თომას მ. მაგშტადტი

გავიგოთ პოლიტიკა

იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი — 2010

გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები
თომას მ. მაგშტადტი

Understanding Politics: Ideas, Institutions, and Issues, 6th Ed.
Thomas M. Magstadt

COPYRIGHT @ 2003 Wadsworth, a division of Cengage Learning Inc.
Cengage Learning™ is a trademark used herein under license.

Wadsworth/ Cengage Learning
ISBN 9780534603816

წიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამით — „საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარება“. წიგნი გამოიცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ.

მთარგმნელები: არჩილ აბაშიძე, გიორგი გვალია, ელენე ნოდია, ნინო სვანაძე, მალხაზ სალდაძე, რევაზ ბახტაძე, ქეთევან ციხელაშვილი, გელა ბანძელაძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ნოდარ მანჩხაშვილი, მარიამ ესეგუა

რედაქტორები: გია ნოდია
დავით აფრასიძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: სოფო კევლიშვილი

ქართული გამოცემა
© სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-0-0223-6

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
Ilia State University Press 3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი

მსოფლიო რუკა

I შესავალი: პოლიტიკის შესწავლა 19

პოლიტიკა და ყოველდღიური ცხოვრება

პოლიტიკის ძირითადი ცნებები
● წესრიგი ● ძალაუფლება და მასთან დაკავშირებული ცნებები ● სამართლიანობა

როგორ სწავლობენ პოლიტიკას?
● რა მიზნით? ● რა მეთოდებით? ● რა პერსპექტივიდან?

რატომ სწავლობენ პოლიტიკას?
● პირადი ინტერესი ● საზოგადოებრივი ინტერესი

ნაწილი I შედარებითი პოლიტიკური სისტემები

II უტოპია: სანიმუშო სახელმწიფოები.....47
პლატონის „სახელმწიფო“: პასუხი ფილოსოფიაა
● სამართლიანი ქალაქი ● კეთილშობილი ტყუილი

ფრენსის ბეკონის „ახალი ატლანტიდა“: პასუხი მეცნიერებაა
● სტაბილურობა და მეცნიერება ● სამომავლო ნიმუში

კარლ მარქსის უკლასო საზოგადოება: პასუხი ეკონომიკაა
● ეკონომიკის წამყვანი როლი ● პროლეტარიატის დიქტატურა
● უკლასო საზოგადოება

უტოპიისაკენ დაბრუნება
● უტოპიით შთაგონება ● გზა უტოპიისაკენ ● უტოპიის პრაქტიკულობა
● უტოპია და ადამიანის ბუნება ● უტოპია და პოლიტიკის უგულებელყოფა

დისტოპია: ოცნებიდან კოშმარამდე
● ორუელის სამყარო ● უტოპია და ტერორიზმი

დასკვნითი მოსაზრებანი

III კონსტიტუციური დემოკრატია: წარმომადგენლობის რევოლუცია 67

დემოკრატიული კონსტიტუციები

დემოკრატია, როგორც მგრძნობიარე ხელისუფლება
● უმრავლესობის მმართველობა ● უმრავლესობის ტირანია

დემოკრატია, როგორც შეზღუდული ხელისუფლება
● უმცირესობის უფლებები ● კანონის უზენაესობა ● კონსტიტუციონალიზმი, როგორც მართებული პროცედურა ● ფედერალიზმი

დემოკრატია, როგორც ეფექტიანი ხელისუფლება
● სტაბილურობის აუცილებლობა ● ქმედითობის აუცილებლობა

ხელისუფლების ხელახლა გამოგონება: განმანათლებლობა და ამერიკის იდეა

თავისუფლების არქიტექტურა
● შეკავება და გაწონასწორება ● საპრეზიდენტო სისტემა ● ძალაუფლების დანაწილება ● შეზღუდვები უმრავლესობის მმართველობაზე ● როდისაა ძალაუფლება მართებული?

IV ავტორიტარული სახელმწიფოები: ტრადიციული მმართველობა 96

ავტორიტარიზმის ღირსებები

ავტორიტარიზმის ნაკლოვანებები

ავტორიტარული სახელმწიფოს ნიშნები

ავტორიტარული პოლიტიკა

ავტორიტარიზმის მაგალითი — ნიგერია

ავტორიტარიზმის თეორია: მითი და რეალობა
● ავტორიტარიზმი თანამედროვე ფენომენია ● ავტორიტარული რეჟიმი ტირანულია ● ავტორიტარული რეჟიმი არალეგიტიმურია ● ავტორიტარული რეჟიმი არაპოპულარულია ● ავტორიტარული რეჟიმი საზოგადოებრივ ინტერესებს უგულებელყოფს ● ავტორიტარიზმი ყველაზე ცუდი მმართველობაა

ავტორიტარიზმის აღსასრული?

V ტოტალიტარული სახელმწიფოები: განუხორციელებელი უტოპიები 118

ტოტალიტარიზმის არსი

ტოტალიტარიზმის რევოლუციური ეტაპი
● ლიდერობა ● იდეოლოგია ● ორგანიზაცია ● პროპაგანდა ● ძალადობა

ძალაუფლების კონსოლიდაცია
● ოპოზიციური პარტიების განადგურება ● პარტიის რეალური ან წარმოსახვითი მეტოქეებისგან გაწმენდა ● მონოლითური საზოგადოების შექმნა

საზოგადოების ტრანსფორმაცია
● სტალინის საბჭოთა კავშირი ● ჰიტლერის გერმანია ● მაოს ჩინეთი

ტოტალიტარიზმის ნაირსახეობები

ტოტალიტარიზმის უსახელო მსხვერპლნი

ტოტალიტარული რეჟიმების სიცოცხლისუნარიანობა

ნაწილი II ჩამოყალიბებული და განვითარებადი დემოკრატიები

VI საპარლამენტო დემოკრატია 160

დიდი ბრიტანეთი: ნიმუში

● შერეული წყობა ● ძალაუფლებათა შერწყმა ● ხელისუფლებაში ყოფნის განუსაზღვრელი ვადები ● „დისციპლინებული“ პარტიები ● ორი მეთაური სჯობს თუ ერთი? ● შესაძლებელია თუ არა ბრიტანული ინსტიტუტების „გადანერგვა“?

დემოკრატიის შეგუებადობა: ხუთი შემთხვევა

საფრანგეთი: პრეზიდენტი პარლამენტის წინააღმდეგ.

● მეხუთე რესპუბლიკა: ჰიბრიდული სისტემა ● აღმასრულებელი ხელისუფლება ● ეროვნული ასამბლეის შეზღუდული როლი ● პოლიტიკური პარტიები ● კონსტიტუცია ზეწოლის ქვეშ: ბალანსის გამოცდა ● სასამართლო სისტემა ● მუშაობს თუ არა დემოკრატია საფრანგეთში?

გერმანია: ფედერალიზმი მილიტარიზმის წინააღმდეგ.

● ვაიმარის რესპუბლიკა ● გაყოფილი გერმანია: ცივი ომის მინი მოდელი ● გაერთიანებული გერმანია: დემოკრატიის ტრიუმფი ● გერმანული ფედერალიზმი ● აღმასრულებელი ხელისუფლება ● საკანონმდებლო ხელისუფლება ● პოლიტიკური პარტიები ● სასამართლო ხელისუფლება ● ძირითადი კანონი და სამოქალაქო თავისუფლებები ● მუშაობს თუ არა დემოკრატია გერმანიაში?

იაპონია: საპარლამენტო მმართველობა კონსენსუსის ქვეყანაში.

● ისტორიული წანამძღვრები ● ახალი კონსტიტუცია ● საპარლამენტო დემოკრატია: გარეგნული და რეალური ● პარტიული სისტემა ● პოლიტიკურ ცვლილებათა შემაფერხებელი ფაქტორები ● სასამართლო ხელისუფლება და იაპონური კულტურა ● მუშაობს თუ არა დემოკრატია იაპონიაში?

საპარლამენტო მმართველობა მოულოდნელ გარემოში

● ინდოეთი: საპარლამენტო სასწაული ● ისრაელი: ომის რესპუბლიკა

პრეზიდენტები და პარლამენტები: შედარებითი დახასიათება.

● საკანონმდებლო ხელისუფლება ● აღმასრულებელი ხელისუფლება ● სასამართლო ხელისუფლება ● ორი სისტემის უპირატესობები და ნაკლოვანებები ● კონსტიტუციები და კონტექსტები

VII სახელმწიფოები გარდამავალ პერიოდში: ახალი დემოკრატიები და აღმოცენებადი გაზრები 222

კომუნიზმის კრახი

რუსეთი: არეულობა და ტრანზიცია (თუ მხოლოდ არეულობა?)

● გორბაჩოვის ტრანზიცია ● რეფორმის მარცხი: სისტემის დეზინტეგრაცია
● თანამედროვე სირთულეები ● ბოლოსდაბოლოს, გამოჩნდა ლიდერი?
● სამომავლო პერსპექტივები

აღმოსავლეთი ევროპა გზაგასაყარზე: (მოკვდება თუ არა ოდესმე ძველი ჩვევები)
ჩინეთი: გადასვლა მართვად კაპიტალიზმზე (რა იქნება შემდეგ)
● მაო ხელისუფლებაში ● ხელისუფალთა ცვლა ● დომინანტი პარტია ● იდეოლოგიის შესუსტება ● ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები ● გაზრდილი პიროვნული თავისუფლება ● ახალი სახელმწიფოებრივი პრობლემები ● პოლიტიკური და რელიგიური რეპრესიები ● პოლიტიკური ფრაგმენტაციის საფრთხე ● ამომავალი სახელმწიფოები

აზია: ეკონომიკური ტრანზიცია (და თავისუფლებაც?)
● სამხრეთ კორეა ● ტაივანი ● აზიის ვეფხვები

ლათინური ამერიკა: პოლიტიკური ტრანზიცია (და კეთილდღეობაც?)
● რეფორმის ანაბანა (არგენტინა, ბრაზილია, ჩილე) ● მექსიკა

VIII განვითარებადი ქვეყნები: დემოკრატია თუ დიქტატურა..... 267

განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაცია

განვითარებადი ქვეყნების შესწავლა

კოლონიალიზმის მემკვიდრეობა

პოლიტიკური განვითარება: ოთხი გამოწვევა

დემოკრატია და განვითარებადი ქვეყნები
● დემოკრატიის კორელატები ● დემოკრატიული სტრატეგიები ● დემოკრატია განვითარებად ქვეყნებში: ტენდენცია თუ ილუზია?

განვითარების თავსატეხი
● განვითარების მოტივები ● განვითარების საზოგადოებრივი ბარიერები ● განვითარების ფსიქოლოგიური ბარიერები ● ეკონომიკური განვითარების დაბრკოლებები
● განვითარების მარცხი

დისფუნქციური სახელმწიფოები:
● სომალი ● იუგოსლავია ● სიერა-ლეონე ● ავღანეთი

განვითარების თეორია: ტენდენციური მსჯელობა?

ჭარბგანვითარება: კაპიტალიზმის პატარა ბინძური საიდუმლო

ნაწილი III პოლიტიკის სამოქალაქო განზომილება

IX პოლიტიკური სოციალიზაცია: მოქალაქის ჩამოყალიბება 309
კარგი მოქალაქე და კარგი პიროვნება
● საპირისპირო განმარტებები ● კლასიკური ხედვა

პოლიტიკური სოციალიზაცია
● ოჯახი ● თანატოლები ● მასმედია ● კანონი
● ძირითადი პოლიტიკური ღირებულებები: როგორ ვიპოვვოთ ოქროს შუალედი?

პოლიტიკური სოციალიზაციის მარცხი

X პოლიტიკური მონაწილეობა: გავლენის საფასური 335

მონაწილეობის ფორმები
● სამართლებრივი ფორმები ● არასამართლებრივი ფორმები

მოქალაქეთა მონაწილეობის განსაზღვრება
● საზოგადოებრივი აზრი ● გამოკითხვები ● არჩევნები ● საარჩევნო სისტემები ● პირდაპირი დემოკრატია

მონაწილეობის შეფასება: რატომ მივცეთ ხმა?
● ხმის მიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში ● მონაწილეობის ტენდენციები ● ინდივიდუალიზმი და საზოგადოებრივი მონაწილეობა ● პოლიტიკური აპათია: ამერიკული დაავადება?

მონაწილეობის შეფასება: რა იციან ამომრჩევლებმა?

მონაწილეობის შეფასება: მბრუნავი კარი
● ელიტისტური თეორიები: რკინის კანონები და დემოკრატიის ირონია
● პლურალისტები და ელიტისტები

პოლიტიკური მონაწილეობა ავტორიტარულ სახელმწიფოში

პოლიტიკური პარტიები
● ისტორიული წინამძღვრები ● ძირითადი მიზნები ● ერთპარტიული სისტემა ● ორპარტიული სისტემა ● მრავალპარტიული სისტემა ● პარტიული სისტემების განმსაზღვრელები ● პერსპექტივები: პოლიტიკური პარტიების დაკნინება?

ინტერესთა ჯგუფები
● ინტერესთა ჯგუფების ტიპები ● ზეგავლენის წყაროები და მეთოდები ● ინტერესთა ჯგუფების ბუმი ● ინტერესთა ჯგუფები დემოკრატიებში ● იკლებს თუ არა საზოგადოების ინტერესი? ● ინტერესთა ჯგუფები ავტორიტარულ ქვეყნებში

XI პოლიტიკური ლიდერობა: ძალაუფლების მრავალსახეობა 390

ნამდვილი ლიდერები
● მართვის ხელოვნების არსი ● დიდების ხიბლი ● ლიდერის ოთხი ტიპი ● ლიდერობის დაკნინება?

დემაგოგები

პოლიტიკოსები
● კანონმდებლები, როგორც დელეგატები ● კანონმდებლები, როგორც მეურვეები ● „პოლიტიკო“ ● დამშოშმინებლები

სამოქალაქო ლიდერები

XII რა არის საჯარო სიკეთე? იდეოლოგიები და იზმები.....421

პოლიტიკის მიზნები და საშუალებები

იდეოლოგიები და საჯარო ინტერესი
● ანტისამთავრობო იდეოლოგიები ● მემარჯვენე იდეოლოგიები ● მემარცხენე იდეოლოგიები

იზმები და ამერიკული პოლიტიკა
● იარლიყები ამერიკულ პოლიტიკაში ● საერთო თემები ● კონსერვატორები: ეკონომიკური უფლებების პრიმატი ● ლიბერალები: სამოქალაქო უფლებების პრიმატი ● არსებითი განსხვავებები ● კონსერვატორები, ლიბერალები და საჯარო პოლიტიკა

XIII საჯარო სიკეთის პროგლემები: პრინციპები, პრიორიტეტები და პრაქტიკები.....445

უსაფრთხოების უზრუნველყოფა
● გარე მტრებისგან დაცვა ● შიდა მტრებისგან დაცვა ● სოციალური დაცვა ● საკუთარ ქმედებათაგან დაცვა

კეთილდღეობის უზრუნველყოფა
● საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი ● საგანმანათლებლო კრიზისი ● შემოსავლების განანილება

თანასწორობის უზრუნველყოფა
● რასობრივი დისკრიმინაცია ● პოზიტიური ქმედებები თუ შებრუნებული დისკრიმინაცია ● ვის სჭირდება დაცვა?

თავისუფლების უზრუნველყოფა
● თავისუფლების ღირებულება ● თავისუფლება და პირველი საკონსტიტუციო შესწორება ● პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

სამართლიანობის უზრუნველყოფა
● დანაშაული და სასჯელი ● მართლმსაჯულება, როგორც მართებული პროცედურა
● სამართლებრივი დაცვის საზღვრები

მიზანთა კონფლიქტი

ნაწილი IV პოლიტიკა ძალადობის გზით

XIV რევოლუცია: სამართლიანობის სახელით 487

რევოლუციის კვლავდაბრუნება თანამედროვე რევოლუციები: ორი ტრადიცია
● ამერიკული რევოლუცია ● ფრანგული რევოლუცია ● ორი რევოლუციის შედარება

რევოლუციის სასურველობა: ბერკი, პეინი და ლოკი
● ბერკის პოზიცია ● პეინის კრიტიკა ● ლოკისეული პერსპექტივა

რევოლუციის მიზეზები

● ტრადიციული ახსნა ● რევოლუციის სოციალური ფსიქოლოგია ● რევოლუციის თანამედროვე თეორიები

XV ტერორიზმი: სუსტის იარაღი.....514

რა არის ტერორიზმი?
● ტერორიზმის წარმოშობა ● ტერორიზმის ლოგიკა ● ტერორისტული ტაქტიკა ● ტერორისტული აქტი და ომი ● ტერორისტული ჯგუფების მახასიათებლები ● ტერორიზმი ალჟირში: თანამედროვე მაგალითი.

ვინ არის ტერორისტი?
● ტერორისტების კლასიფიკაცია: კრიმინალები, პარტიზანები თუ რევოლუციონერები?
● ტერორისტის იდენტიფიცირება

ტერორიზმი და საზოგადოება
● ახალგაზრდა რეკრუტები ● ტერორიზმის ფსიქოლოგია ● ტერორიზმი და მასმედია

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა
● შიდა კანონმდებლობა ● ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ● უნილატერალური ზომები ტერორიზმის წინააღმდეგ ● რა შეუძლია პიროვნებას

შესაძლებელია კი ტერორიზმის შეკავება?

XVI ომი: პოლიტიკა სხვა საშუალებებით.....551
ომის მიზეზები
● ადამიანის ბუნება ● საზოგადოება ● გარემო

ომის თეორიები: კრიტიკა პოლიტიკის მიღმა

ტოტალური ომი: ომი, რომელშიც ყველა იბრძვის

შემთხვევითი ომი: ომი, რომელიც არავის სურს

ბირთვული ომი: ომი, რომელსაც ვერავინ იგებს

არის თუ არა ომი ოდესმე მორალურად გამართლებული?
● სამართლიანი ომის დოქტრინა ● სამართლიანი ომის დოქტრინის შეფასება ● ნიურნბერგის პროცესი

ნაწილი V პოლიტიკა მთავრობის გარეშე

XVII საერთაშორისო ურთიერთობები: ბრძოლა.....589

იყავი რეალისტი: მაკიაველი და მორგენთაუ

კლასიკური ევროპული სისტემა
● სისტემური წინაპირობები ● ევროპული კონსენსუსის მარცხი
თანამედროვე გლობალური სისტემა

● ევროცენტრიზმის დასასრული ● ბიპოლარობის დასაწყისი ● იდეოლოგიის პრიმატი
● ბირთვული ომის საფრთხე ● ურთიერთ შეკავება

ამერიკის საგარეო პოლიტიკა: გუშინ და დღეს
● რა არის ეროვნული ინტერესი? ● ეროვნული ინტერესის დაცვა

დიდი დებატები: რეალიზმი და იდეალიზმი
● ბუმერანგის ეფექტი ● ახალი საგარეო პოლიტიკის ძიებაში ● იდეალიზმი, როგორც ეგოიზმი: ზნეობის ძალა ● ახალი სამყარო, ძველი ჩვევები ● ახალი ტენდენციები, ძველი პრობლემები ● რა ხდება ცივი ომის შემდეგ? ● გლობალური ეკონომიკა ● რეგიონალიზმის აღზევება ● ეთნიკური ძალადობის წყევლა ● აღსასრულის ახლებურად: „მდუმარე გაზაფხულის“ თავიდან აცილება ● აღსასრული ძველებურად: ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილება ● საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია

აპოკალიფსური ხედვები: ცივილიზაციათა შეჯახება და ანარქია?

XVIII საერთაშორისო ურთიერთობები: ბრძოლა წესრიგისთვის.....635
არასახელმწიფო აქტორები მსოფლიო ასპარეზზე
● მულტინაციონალური კორპორაციები ● საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორანიზაციები

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
● ისტორიული ფონი: ერთა ლიგა ● გაეროს დაარსება ● გაერო ცივი ომის დროს
● გაერო ცივი ომის შემდეგ ● დიდი საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემები

საერთაშორისო სამართალი
● სარგებლიანობა ● შესრულება და იძულება ● საერთაშორისო სამართალი თანამედროვე ეპოქაში ● საერთაშორისო სამართლის შეზღუდულობა
● საერთაშორისო სამართლის შეფასება

მუდმივი სწრაფვა მშვიდობისაკენ

შესავალი

დღეს პოლიტიკური და ეკონომიკური არამდგრადობა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე მცხოვრებ ადამიანზე ახდენს გავლენას. ტერორისტული აქტები, სამხედრო შეტაკებები, სამოქალაქო ომები, ეთნიკური კონფლიქტები, ეკონომიკური ვარდნა, საფინანსო კრიზისი და ცვალებადი საფონდო ბირჟა ყოველდღიური მოვლენებია. ისეთ ფუნდამენტურ მოვლენებს, როგორიც 2001 წლის შემოდგომაზე შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები იყო, ისევე მრავალგვარად შეუძლია იმოქმედოს ჩვენს ცხოვრებაზე, როგორც შედარებით ნაკლებად დრამატულ აქტს, მაგალითად, კონგრესის მიერ 2002 წლის გაზაფხულზე მიღებულ ახალ კანონს საფინანსო სამართლის ან კორპორაციული გიგანტების ტრანსეროვნული შერწყმის შესახებ.

მოვლენები თვალისმომჭრელი სიჩქარით იცვლება, თუმცა პოლიტიკის ძირითადი ბუნება უცვლელი რჩება. ძალაუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება, ისევე როგორც ბრძოლა წესრიგისა და სამართლიანობისათვის მთელ მსოფლიოში. ძალაუფლების საზღვრები თვით ყველაზე კონცენტრირებულ ფორმებშიც კი, გამომწვევად აშკარაა – დაწყებული ახლო აღმოსავლეთში მდებარე პალესტინისა და ცენტრალურ აზიაში მდებარე ავღანეთის მსგავსი ძველისძველი ადგილებიდან, დამთავრებული შედარებით მოკლე ისტორიისა და ასევე მოკლე მეხსიერების მქონე ამერიკის შეერთებული შტატებით.

ძალზე აშკარაა წარუმატებელი ან დამახინჯებული პოლიტიკის, ცინიკური ან უბრალოდ არაკომპეტენტული ლიდერობის შედეგები თანამედროვე მსოფლიოში. არც მოქალაქეობრიობის ხარისხი გვაძლევს სიამაყის საშუალებას. ეს ორმაგი დეფიციტი, პოლიტიკური საზოგადოების როგორც ზედა, ასევე ქვედა საფეხურებზე, ერთგვარი უხილავი კრიზისია, რომელიც საკუთარი არსებობის უთვალავ სამხილს გვიტოვებს, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულწილად შეუმჩნევლად არსებობას განაგრძობს. ამავე დროს, არც უსამართლობა, შეუწყნარებლობა, არასწორად გაგებული იდეალიზმი, ფანატიზმი და ადამიანთა ტანჯვა არის უცხო ხილი, რომლის არსებობა გვიდასტურებს, რომ ჩვენი, კიდევ უფრო დაბინძურებული და გადატვირთული პლანეტა, უკეთესობისაკენ არ იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის რამდენიმე იღბლიან ქვეყანაში ადამიანები თავს უფრო დაცულად და კომფორტულად გრძნობენ, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა დედამიწის ე.წ. განვითარებად რეგიონებში.

წიგნის „გავიგოთ პოლიტიკა“ დებიუტი 1984 წელს შედგა. მას შემდეგ ჩემი რწმენა პოლიტიკის მნიშვნელობის შესახებ არ შერყეულა. უწინდებურად მჯერა, რომ სტუდენტებს ელემენტარული ცოდნა მაინც სჭირდებათ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების შესახებ, რათა თავისუფლების სიკეთესა და დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას ჩასწვდნენ. პარადოქსულია, რომ რაც უფრო ხელმისაწვდომი ხდება ცოდნა, სიახლე და ინფორმაცია (რაშიც დიდი წვლილი პერსონალურ კომპიუტერსა და მსოფლიო მასშტაბით ინტერნერ-ქსელს მიუძღვის, ამერიკელთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში სულ უფრო და უფრო მცირდება. ეს სამწუხარო ფაქტია, რადგან პოლიტიკური განსწავლულობის ამაღლება პირველი ნაბიჯია მოქალაქეთა მომავალი თაობების განათლებისა და უფლებამოსილებისაკენ — მათ უნდა მისცენ ხმა არჩევნებში, გადაიხადონ გადასახადები და მათ ხელში უნდა გადალახოს ქვეყანამ რთული ათწლეულები.

პოლიტიკის შესწავლა ერთგვარი ჭიშკარია ადამიანური ბუნების, საზოგადოებისა და

სამყაროს უფრო ფართოდ და ღრმად გასაგებად. თავდაპირველად სწორე ეს რწმენა გახდა ორი ახალგაზრდა პროფესორისათვის ამ წიგნის პირველი გამოცემის შექმნის სტიმული. ეს რწმენა დღემდე წიგნის მრავალი გამოცემის შთაგონების წყაროა და მას ემატება ის განცდა, რომ ჩვენი შრომა მუდამ განახლებადი პროცესი იქნება.

პოლიტიკის კარგი შესავალი ორი ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს: (1) გააქარწყლოს პოლიტიკის, როგორც მეცნიერების გაგების მცდელობასთან დაკავშირებული ნერვიულობა, განსაკუთრებით დამწყებთათვის და (2) უზრუნველყოს დღევანდელი კოლეჯის სტუდენტის გამოსაწვევად აუცილებელი ინტელექტუალური სტიმული. ეს წიგნი იმის დადასტურებაა, რომ პოლიტიკა როგორც მეცნიერება და ფილოსოფია პირდაპირ ერწყმის მეცნიერების ლიბერალურ ტრადიციებს. ფრაზა „პოლიტიკა როგორც მეცნიერება და ფილოსოფია“ დისციპლინაში ერთ ყველაზე ღრმა განხეთქილებაზე მიანიშნებს: ანალიტიკოსები, რომლებიც პოლიტიკას მეცნიერების კუთხით უდგებიან, ხშირად ძალაუფლების მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას, ხოლო ისინი, ვინც პოლიტიკას ფილოსოფიის მრავალმხრივი ობიექტივით განიხილავენ, ხაზს სამართლიანობის მნიშვნელობას უსვამენ. ძალაუფლებასა და სამართლიანობას შორის განსხვავება, ისევე, როგორც მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის განსხვავება ხშირად გადაჭარბებულია.

რეალურ ცხოვრებაში ზნეობრივი და პოლიტიკური საკითხები არსებითად განუყოფელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლება თავისთავად ქმედებას პოლიტიკურ ელფერს არ აძლევს; ძალაუფლების მართებულ და არამართებულ გამოყენებასა და გამოყენების შედეგად მოგებულთა და დაზარალებულთა შესახებ დებატები აქცევს ძალაუფლებას *პოლიტიკურ* კატეგორიად. ამრიგად, როდესაც საჯარო პოლიტიკის სფეროში სამართლიანობის საკითხი დგება (მაგალითად, აბორტისა და სიკვდილით დასჯის აღკვეთა, პოლიციისა და სამხედროების მიერ ძალის გამოყენება), სახეზე გვაქვს პოლიტიკის არსებითი კომპონენტები. ძალაუფლების ან ზნეობის კონცეფციისადმი გადაჭარბებული ყურადღება აფერხებს პოლიტიკის გააზრებისა და მტკივნეული და განხეთქილების ჩამომგდები პრობლემების გადაჭრის მცდელობას. ამრიგად, ყოველთვის საჭიროა ტოლობის ბალანსი — პოლიტიკური რეალიზმის შერბილება სამართლიანობის სიყვარულით.

სწორედ ასევე მაცდურია დიქოტომია ფაქტებსა და ფასეულობებს შორის. რაციონალური მსჯელობა დასაბუთებული მოსაზრებით კარგისა და სამართლიანის თაობაზე ხშირად უფრო მნიშვნელოვანია (ან ნაკლებად ეფემერული), ვიდრე ფაქტები (განცხადება „ადოლფ ჰიტლერმა და ნაცისტებმა შელახეს ადამიანთა უფლებები“ ამგვარი დასკვნის საფუძველია). ფასეულობის მატარებელი განცხადებები შესაძლოა ვარაუდის მაღალ ხარისხს შეიცავდეს, მაგრამ არა აბსოლუტურ უტყუარობას (მაგალითად, „თუ ძალადობრივი დანაშაულის შემცირება გვსურს, სიღარიბე უნდა შევამციროთ“). სხვა ამგვარი საკითხები შესაძლოა, აბორტის თაობაზე დებატების მსგავსად, ძალზე რთული იყოს. მაგალითად, შეიძლება თუ არა ქალის ბიოლოგიური თვითგანსაზღვრის უფლებამ გადასწონოს ნაყოფის სიცოცხლის უფლება? უაზრობა იქნებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხების უგულებელყოფა მათზე პასუხის გაცემის სირთულის მიზეზით. მაშინაც კი, როცა სწორი პასუხები ბუნდოვანია, ხშირად მცდარი პასუხების განსაზღვრაც თავისთავად მნიშვნელოვანია.

წიგნი შესაბამის ყურადღებას უთმობს თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებს და ამავე დროს, არ უგულებელყოფს მათ საფუძველში არსებულ მარადიულ კითხვებს. მაგალითად, ხმის მიმცემთა წინაშე არსებული დილემა, ვინ იქნებოდა საუკეთესო მერი, გუბერნატორი ან პრეზიდენტი უფრო სერიოზულ კითხვებს წამოსწევს ხოლმე. რა კვალიფიკაცია არის აუცილებელი სახელმწიფო დაწესებულებისათვის? რა ხინჯი აქვს სისტემას,

რომელიც ვერ იძლევა მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას? ასევე, კონფლიქტები ერი-სახელმწიფოებსა ან სოციალურ ჯგუფებს შორის აჩენს ზოგად კითხვებს იმის თაობაზე, რა აიძულებს ადამიანებს ებრძოლონ და მასობრივად დახოცონ ერთმანეთი.

მიუხედავად ჩემი მცდელობისა, მინიმუმამდე შემემცირებინა სახელებისა და თარიღებისგამოყენება, პოლიტიკურ საკითხებზე წარმატებული მსჯელობა შეუძლებელია ისტორიულ ვაკუუმში. ისტორიული მაგალითების შერჩევისას ვხელმძღვანელობდით პოლიტიკის ცალკეული საკითხების გაგების მოტივით. მეოცე საუკუნის ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდი (მათ შორის, რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია, ჰიტლერის გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტების მმართველობა, კოლონიური იმპერიების ნგრევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეერთებულ შტატებში მოძრაობა სამოქალაქო უფლებათა დაცვის მოთხოვნით და ევროპაში კომუნიზმის დამხობა) იმდენად მნიშვნელოვანია და ისეთ ფუნდამენტურ კითხვებს წამოს-წევს, რომ ის, ვინც ლიბერალურ განათლებაზე დებს თავს, მათი მნიშვნელობა უნდა იცოდეს.

რა თქმა უნდა, ზოგიერთი თემა და მოვლენა რამდენიმე თავშია განხილული: პოლიტიკის სამყარო უნაკერო ქსელს უფრო ჰგავს, ვიდრე უჯრებიან კარადას. პოლიტიკაში, ისევე როგორც ბუნებაში, კონკრეტულ მოვლენას ან ფენომენს ხშირად მრავალი მნიშვნელობა აქვს და სხვა მოვლენებთან და ფენომენებთან აშკარად დაკავშირებული როდია. ძირითად პოლიტიკურ იდეებს, ინსტიტუტებსა და პრობლემებს შორის ხაზის გავლება დამწყებ სტუდენტს პოლიტიკური თავსატეხის ერთი შეხედვით დაუკავშირებელ ნაწილებში აზრის დანახვაში ეხმარება. პოლიტიკის გასაგებად აუცილებელი ნაბიჯია სხვადასხვა ნაწილებს შორის კავშირების დანახვა.

„გავიგოთ პოლიტიკა“ პოლიტიკისა და ხელისუფლების შესწავლისას ქვემოდან ზემოთ მიდგომას იყენებს. ის იწყება სტუდენტთათვის საინტერესო პოლიტიკური ფენომენის განსაზღვრით (მაგალითად, ომისა და ტერორიზმის) და შემდეგ ცდილობს მათ აღწერასა და ახსნას. მინდოდა, რომ წიგნი სტუდენტის ჩვეულ ცნობისმოყვარეობაზე ამეგო და ამიტო ვეცადე თავიდან ამეცილებინა უფრო თანამედროვე ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მრავალი ჟარგონი, ტექნიკური თუ ბუნდოვანი დისპუტი.

კონკრეტული დისციპლინის სიღრმეების განხილვის გარდა, წიგნი ისეთ დისციპლინებსაც მიმოიხილავს, როგორიცაა ისტორია და ფილოსოფია. ხელისუფლებისა და პოლიტიკის შესწავლისას, ის მიზნად ისახავს ლიბერალური განათლებისათვის დამახასიათებელ მიდგომას. მიზანი ამბიციურია: გამოიწვიოს სტუდენტებში სწავლის ისეთი ინტერესი, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვებათ. ამას კი შედეგად კარგად ინფორმირებულ, აქტიურად ჩართულ, საკუთარ თავში დარწმუნებულ და მოაზროვნე მოქალაქეთა თაობის ჩამოყალიბება მოჰყვება, რომელიც შეძლებს აღშფოთება გამოხატოს საზოგადოებრივი მლიქვნელობის, თაღლითობის, სიბრიყვის თუ ზოგადი უუნარობის გამო.

I თავში „შესავალი: პოლიტიკის შესწავლა“ განსაზღვრულია პოლიტიკის ძირითადი კონცეფციები და ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ და რატომ უნდა შევისწავლოთ ეს საგანი. ეს თავი შემდეგი თავების ერთგვარი საფუძველია.

I ნაწილში („შედარებითი პოლიტიკური სისტემები“) გაანალიზებულია როგორც ხელისუფლების უტოპიური, დემოკრატიული და ავტორიტარული ფორმები, ასევე პოლიტიკურ სისტემათა სირთულეები ავტორიტარული ინსტიტუტებიდან დემოკრატიულ ინსტიტუტებზე გადასვლის პერიოდში. ამ ნაწილში (მე-2-დან მე-5 თავის ჩათვლით), რომელიც ასევე ერთგვარი საფუძველია, თეორიულ ასპექტშია განხილული სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმები.

II ნაწილი („ჩამოყალიბებული და განვითარებადი დემოკრატიები“) სამი თავისაგან

(6-8 თავები) შედგება და წარმოდგენილია ჩამოყალიბებული დემოკრატიის მქონე ქვეყნები (მე-6 თავი), გარდამავალ პერიოდში მყოფი სახელმწიფოები (მე-7 თავი) და განვითარებადი ქვეყნები (მე-8 თავი). მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა ქვეყნის ხელისუფლება მიისწრაფის დემოკრატიისაკენ ან „დემოკრატიულობაზე“ დებს თავს. ეს, თავისთავად, დემოკრატიის იდეის ძლევამოსილების საინტერესო დადასტურებაა. მიუხედავად ხშირი თავდასხმისა, დემოკრატიის იდეა ორ საუკუნეზე მეტია მრავალი ადამიანის წარმოსახვას შთააგონებს. ეპოქაში, როცა ცუდი ამბები სისხლით იწერება და მოკლულებში შეიარაღებულ მეომრებს უდანაშაულო მოქალაქეები სჭარბობენ, კარგი იქნება გვახსოვდეს, რომ დემოკრატიული იდეალები არასდროს ყოფილა ასე თბილად მიღებული ან ფართოდ (თუ არასრულყოფილად) ინსტიტუციონალიზებული, როგორც დღეს.

III ნაწილი „პოლიტიკის სამოქალაქო განზომილება“ (მე-9-დან მე-13 თავის ჩათვლით), კონცენტრირებულია პოლიტიკურ პროცესებზე. ამ ნაწილში წარმოდგენილია შეერთებული შტატები, განხილულია მოქალაქეობა და სოციალიზაცია, პოლიტიკური მონაწილეობა (საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ამომრჩეველთა ქცევის ჩათვლით), პოლიტიკური ორგანიზაცია (პარტიები და ინტერესთა ჯგუფები), პოლიტიკური ლიდერობა, პოლიტიკური იდეოლოგიები (ანუ განსხვავებული „მიდგომა საჯარო სიკეთის მიმართ“) და თანამედროვე საჯარო პოლიტიკის საკითხები.

IV ნაწილში „პოლიტიკა ძალადობის გზით“ განხილულია კონფლიქტი, როგორც განსაკუთრებული და უნივერსალური პრობლემა პოლიტიკაში. მასში პრობლემათა სამი კატეგორიაა ასახული: რევოლუცია, ტერორიზმი და ომი (შესაბამისად მე-14, მე-15 და მე-16 თავები). ეს ნაწილი სტიმულს მისცემს სტუდენტთა ცნობისმოყვარეობას და გააღვიძებს საკლასო დისკუსიათა სურვილს.

დაბოლოს, **V ნაწილი** „პოლიტიკა მთვრობის გარეშე“ სტუდენტებს აცნობს მსოფლიო პოლიტიკის საკითხთა ძირითად კონცეფციებს, აღწერს ძირითად სქემებს და წარმოადგენს მსჯელობას მუდმივი პრობლემების შესახებ. მე-17 თავი აერთიანებს წინა გამოცემის ორი თავის მასალას. მასში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პრინციპები და კონცეფციები, მსოფლიო პოლიტიკის ევოლუციური სტრუქტურა და კონტექსტი და ყურადღება ეთმობა მსოფლიო პრობლემათა მთელ რიგს. მე-18 თავში განხილულია საერთაშორისო სამართალი და ორგანიზაციები და მსოფლიო წესრიგის ძიება, ეს კი კურსის კარგი დასასრულია.

ამ ახალ, მე-6 გამოცემაში შენარჩუნებულია წიგნის წინა ხუთი გამოცემის პედაგოგიური თავისებურებები. ყოველი თავი იწყება მოკლე შინაარსით და მთავრდება შეჯამებით, მუქი დახრილი შრიფტით არის გამოყოფილი ტერმინები, წარმოდგენილია კითხვები გამეორებისათვის. ამას გარდა, წიგნი მდიდარია მრავალფეროვანი მასალით – ფოტოებით, ცხრილებით, რუკებით, სქემებითა და ჩანართებით, რომელთაგან უმრავლესობა განახლდა ან შეიცვალა.

ავტორისაგან

წიგნი „გავიგოთ პოლიტიკა“ მჭიდრო პროფესიული და პიროვნული კავშირების შედეგად შეიქმნა. ამ გამოცემის პატივი მხოლოდ მე მხვდა წილად. ჩემი ძველი თანამშრომელი, დოქტორი პიტერ სკოტენი (Dr. Peter Schotten) უკვე აღარ არის პასუხისმგებელი ამ გამოცემაში შეტანილი ცვლილებების, ლოგიკური შეცდომებისა თუ ფაქტების გამო, მაგრამ მისი მონდომებისა და ინტელექტის კვალი, რა თქმა უნდა, არ წაიშლება, სანამ წიგნის ახალი გამოცემები დაიბეჭდება.

მადლიერების ნიშნად

თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში ამ სახელმძღვანელოს ექვსი გამოცემის წარმატებაში სხვადასხვა გამომცემლობასა და უნივერსიტეტში მომუშავე მრავალ ადამიანს მიუძღვის წვლილი. იმ მეცნიერთა და პედაგოგთა შორის, რომლებმაც სახელმძღვანელოს ამ გამოცემის ხელნაწერი კრიტიკულად წაიკითხა და მრავალი ფასდაუდებელი შენიშვნა მომცა, იყვნენ: პიტერ ლონგო (Peter Longo) — ქალაქ კარნის ნებრასკას უნივერსიტეტი; დონალდ, გ. ბეიკერი (Donald G. Baker) საუთჰემპტონის კოლეჯი, ლონგ აილენდის უნივერსიტეტი; ჰენრი სტეკი (Henry Steck) — ნიუ იორკის შტატის უნივერსიტეტი, კორტლენდი; რუთ ენ სტრიკლენდი (Ruth Ann Strickland) — აპალაჩის შტატის უნივერსიტეტი და ირაჯ პეიდარი (Iraj Paydar) — ბელვიუს ადგილობრივი კოლეჯი. მინდა ასევე მადლობა ვუთხრა დევიდ ატკინსონსა (David Atkinson) და დეილ ნიუმანს (Dale Neuman) — მეგობრებსა და კოლეგებს, რომლებმაც თავაზიანად წაიკითხეს ხელნაწერის ცალკეული ნაწილები და სასარგებლო რჩევები მომცეს.

ვალში ვარ Wadsworth-ის გამომცემლობის რამდენიმე რედაქტორთან, განსაკუთრებით, სტეისი სიმსთან (Stacey Sims). კაროლინ კროლეი (Caroline Croley), მარგარეტ პარკსი (Margaret Parks) და ბრაიან ჩაფი (Brian Chaffee) დამეხმარნენ მარკეტინგში და მარკეტინგულ კომუნიკაციებში. მინდა ასევე მადლობა ვუთხრა წინა გამოცემათა რედაქტორებს, გამსაკუთრებით მაიკლ ვებერსა (Michael Weber) და დოუ ბელს (Doug Bell) ყოფილი St. Martin's Press გამომცემლობიდან და ჯეიმს ჰედლის (James Headley) იმ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში თანამშრომლობისათვის, როცა წიგნი St. Martin's/Worth Publishers-ის საკუთრება იყო. წიგნის წარმატებას დღემდე მათი და ბევრი სხვა ადამიანის წვლილი განაპირობებს. გამომცემლობა Bedford/St. Martin's-ის თანამშრომლებმა ემი მაკკონალტიმ (Amy McConathy) და მარიელა ფოლკ ფრეიდმა (Marilea Polk Fried) გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ გამოცემის მომზადებაში.

ნადია ნედელსკიმ (Nadya Nedelsky) „მასწავლებლის გზამკვლევი" კვლავ კეთილსინდისიერად და მიმზიდველად მოამზადა. წინასწარ მხიბლავს Wadsworth-ის რედაქტორებთან ახლო და ხანგრძლივი ურთიერთობა, რომლებმაც 2001 წელს ეს წიგნი Bedford/St. Martin's-ის მიერ პოლიტოლოგიაზე გამოცემული წიგნების სიის ნაწილად აღიარეს.

დაბოლოს, მუდამ ვალში ვიქნები ჩემი ოჯახის – (მერი ჯოს 1990 წელს გარდაიცვალა), დევიდის, ამის, მაიკლის, ბარბარასა და რებეკას წინაშე.

ავტორის შესახებ

თომას მ. მაგშტადტმა დოქტორის ხარისხი თანამედროვე საერთაშორისო კვლევათა ჯონ ჰოპკინსის სკოლაში (SAIS) მოიპოვა. ის რამდენიმე კოლეჯსა და უნივერსიტეტში ასწავლის, მათ შორის: ავგუსტანას კოლეჯში, კარნის ნაბრასკას უნივერსიტეტსა და სამხედრო-საჰაერო კოლეჯში. ორჯერ ხელმძღვანელობდა პოლიტიკის მეცნიერებათა კათედრის. ის ასევე მუშაობდა საგარეო საქმეთა სპეციალისტად ფედერალური მთავრობის აღმასრულებელ შტოში. წიგნის გამოცემის დროს მაგშტადტი ადიუნქტ-პროფესორი იყო ქალაქ კანზასის როკჰარსტის უნივერსიტეტში. იგი არის ავტორი წიგნისა „ქვეყნები და მთავრობები: შედარებითი პოლიტი-კა რეგიონულ ჭრილში", მე-4 გამოცემა (Bedford/St. Martin's/Wadsworth, 2002).

აშშ
კანადა
ამერიკის
შეერთებული
შტატები
მექსიკა
ატლანტის
ოკეანე
ეკვადორი
ბრაზილია
ბოლივია
პარაგვაი
ჩილე
ურუგვაი
ბრიტანეთი
ნაცარი ოკეანე
ბაჰამის კუნძ.
კუბა
ჰაიტი
ბაჰამა
ვენესუელა
კოლუმბია
ნორვეგია
ფინეთი
ესტონეთი
ლატვია
ლიტვა
ბელორუსია
ბელგია
ბულგარეთი
ალბანეთი
ბერძენეთი
ბელგრადი
ბოსნია
ბულგარეთი
ბელგია
ბელარუსი
ბელგრადი
ბულგარეთი
ბელარუსი
ბელგია


ნორვეგია
ფინეთი
ზღვეთი
რ უ ს ე თ ი
ყაზახეთი
მონღოლეთი
ჩრდ. კორეა
სამხ. კორეა
იაპონია
ირანი
ავღ.
ჩ ი ნ ე თ ი
ნეპალი
ინდოეთი
ბანგლადეში
ბირმა
ტაილანდი
ტაივანი
ფილიპინები
ნყნარი ოკეანე
ლიბია
ეგვიპტე
საუდის არაბეთი
სუდანი
ეთიოპია
ეთიოპია
კონგო
ანგოლა
ზამბია
ზიმბ.
ბოტსვანა
ნამიბია
ს.აფრიკა
ლესოთო
ინდოეთის ოკეანე
ინდონეზია
ახალი გვინეა
მადაგასკარი
ავსტრალია
ახალი ზელანდია
მავრიტანია
ნიგერი
სენეგალი
ჩადი
ბენინი
ტოგო
ბურკინა ფასო
ნიგერია
ბენინი
ბანგი
ტოგო
ბენინი
ნიგერია
ლიბერია
ეკვ. გვინეა
ატლანტის ოკეანე

თავი I

შესავალი

პოლიტიკის შესწავლა

პოლიტიკა და ყოველდღიური ცხოვრება ძირითადი კონცეფციები

- წესრიგი
- ძალაუფლება და მასთან დაკავშირებული ცნებები
- სამართლიანობა

როგორ სწავლობენ პოლიტიკას?

- რა მიზნით?
- რა მეთოდებით?
- რა პერსპექტივიდან

რატომ სწავლობენ პოლიტიკას?

- პირადი ინტერესი
- საზოგადოებრივი ინტერესი

ადამიანთა უმრავლესობა ჩვეულებრივად ვცხოვრობთ. სამართლიანად ვზრუნავთ ყოველდღიურობის ჩვეულ, თუმცა არსებით დეტალებზე – გადასახადებზე (მათ შორის, სწავლის!), ოჯახის ან შეყვარებულთა წინსვლასა და უსაფრთხოებაზე, იმაზე, თუ რა მოდელის მანქანა ვიყიდოთ (ან დაიქოქება თუ არა არსებული მანქანა!) და ა. შ. რაღაც დონეზე ვხვდებით, რომ ინდივიდუალური და ეკონომიკური უსაფრთხოებისა და პიროვნული ბედნიერების ეს ჩვეულებრივი, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო საზრუნავები არა მხოლოდ ჩვენს ძალისხმევაზე, არამედ საზოგადოებრივი აზრის ხასიათსა და შედეგებზეც, ანუ პოლიტიკაზე არის დამოკიდებული. სხვა რომ არაფერი, ყველგან მყოფი პოლიტიკა თავს საღამოს ახალი ამბების მოსმენის ან ყურებისას გვახსენებს, როცა ჩვენს სახლებში აფრიკის შორეულ სახელმწიფოებში მძვინვარე უმოწყალო ეთნიკური კონფლიქტები, ახლო აღმოსავლეთის ძალადობრივი შეხლა-შემოხლის სცენები და პოლიტიკური ტერორის აქტები იჭრება.

პოლიტიკა მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზეზით, სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებელ მოქალაქეს პოლიტიკის შემადგენელი იდეების, ინსტიტუტებისა და პრობლემების საფუძვლების ცოდნა სჭირდება.

პოლიტიკა და ყოველდღიური ცხოვრება

პოლიტიკა არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ და იმართებიან ადამიანები. ქვემოთ მოცემული ორი ჰიპოთეტური მაგალითი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკა ათასგვარ გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

მაგალითი № 1

კაცი, რომლის კისერზე ორი გაუპატიურება, მრავალი შედარებით უმნიშვნელო სექსუალური ძალადობა და რამდენიმე შეიარაღებული ძარცვა და თავდასხმაა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ციხიდან გამოუშვეს. ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის პერიოდში პრესას უცხადებს, რომ შეიცვალა, რელიგია დაეხმარა და იმედი აქვს, რომ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდება და ნორმალურ ცხოვრებას დაიწყებს. ქალაქში მისი დაბრუნების პირველივე კვირას რამდენიმე სასტიკი გაუპატიურება ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცის დადანაშაულების არანაირი საფუძველი არ არსებობს, ადგილობრივი მცხოვრებნი აღშფოთებულები არიან. გაუპატიურების შემთხვევები ამყარებს მათ მოსაზრებას, რომ (1) საშიში დამნაშავეები მათ შორის არიან; (2) ძალზე ძნელია მათი დაჭერა, მიუხედავად მათი თავხედური და ხშირი თავდასხმებისა; და (3) დაჭერის შემთხვევაშიც, ის ქურდები, მკვლელები და მოძალადეები, რომლებმაც დანაშაული აღიარეს, ზოგჯერ სასამართლო სისტემის არასრულყოფილების გამო თავს იძვრენენ ხოლმე. მოქალაქეები მოსამართლეებსა და პოლიტიკოსებს აკისრებენ პასუხისმგებლობას იმ შიშისათვის, რომელიც ღამით მათ ქალაქს მოსვენების საშუალებას არ აძლევს. „როგორც ჩანს, კანონმდებლობაში რაღაც ხარვეზი არსებობს, რაკი ასეთი დანაშაული ხდება“, – აცხადებენ ისინი.

მაგალითი № 2

ხანდაზმული ქალბატონი მერი, რომელსაც ახლახან შეუსრულდა ოთხმოცდაათი წელი, მარტო ცხოვრობს იმ სახლში, რომელიც მან და მისმა მეუღლემ პატარა ქალაქში აიშენეს დაახლოებით სამოცდახუთი წლის წინ. მერის საკუთარ თავზე ზრუნვა შეუძლია და მოხუცებულთა სახლში გადასვლა არ სურს. ასაკის შესაფერისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას თავისი მოკრძალებული პენსიით ის მეტ-ნაკლებად ახერხებს, ვიდრე სახლის გასათბობად საჭირო საწვავის ფასი კატასტროფულად არ გაიზრდება; ამის შემდეგ, მისი დანაზოგი სხვა ხანდაზმული მოქალაქეების დანაზოგთა მსგავსად, ყოველწლიურად იკლებს. გასულმა ორმა ზამთარმა, რომელიც განსაკუთრებით მკაცრი იყო, თითქმის ამოწურა მერის პირადი ფინანსები. მერის იმედი საგაზეთო სტატიამ დაუბრუნა, რომელიც იტყობინებოდა, რომ მთავრობამ შემოიღო კანონი, რათა საწვავის სუბსიდიებთ უზრუნველყოს ხანდაზმულები. მიუხედავად ამისა, ცხელ ხაზზე დარეკვით მან შეიტყო, რომ ბანკში მის ანგარიშზე თანხის არსებობამდე, ის სუბსიდიას ვერ მიიღებს. მერი სასოწარკვეთილია: „რა ხდება ჩემს თავს? ჩანს, მთავრობა ვერ მოისვენებს, სანამ უფულო და უსახლკარო არ ვიქნები. სად არის ამ ქვეყნად სამართალი?“

დამნაშავისა და მოხუცი ქალბატონის შემთხვევა თვალსაჩინოს ხდის, რომ ყოველდღიური პოლიტიკის პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებზე ახდენს გავლენას, სამართლიანობის ან საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის მუდმივი ძიების განუყოფელი ნაწილი ხდება. სხვა სიტყვებით, საკითხები მეტ-ნაკლებად პოლიტიკურია იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ძალაუფლება გავლენას ახდენს ცალკეულ მოქალაქეთა ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე.

პოლიტიკის ძირითადი ცნებები

პოლიტიკას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ – როგორც „შესაძლებლის ხელოვნებას“, მოძღვრებას „ვინ რას, როდის და სად იღებს“, „ფასეულობების ავტორიტეტულ განაწილებას“ და ა. შ. შეიძლებადეფინიციაზე ვერც შევთანხმდეთ, მაგრამ ზოგადად ვხვდებით, როდის გვაქვს საქმე პლიტიკასთან. ისევე, როგორც ადამიანის ცოდნის ნებისმიერ სხვა სფეროს, პოლიტიკურ მეცნიერებასაც – პოლიტიკის სისტემურ შესწავლას – აქვს საკუთარი ტერმინები და ენა. ამ ენის შესწავლას მნიშველოვანი პოლიტიკური წონის მქონე „სამი პატარა სიტყვით“ – წესრიგი, ძალაუფლება და სამართლიანობა – დავიწყებთ.

წესრიგი

არსებობს რამოდენიმე დონის ***წესრიგი***. პოლიტიკური გაგებით, წესრიგი აღნიშნავს იმ სტრუქტურებს, წესებს, რიტუალებს, პროცედურებსა და ჩვეულებებს,

რომლებიც პოლიტიკურ სისტემას შეადგენენ. იგი დაფუძნებულია საზოგადოებრივი წყობილების (ან მარტივად რომ ვთქვათ „საზოგადოების“) საძირკველზე. ზუსტად რა არის *საზოგადოება?* ***საზოგადოება***, როგორც მას თანამედროვე კონტექსტში ვიყენებთ, მჭიდრო კავშირშია სიტყვა ***თემთან ან ერთობასთან***, რომელიც საერთო იდენტობის პირთა გაერთიანებაა. ჩვეულებრივ, იდენტობა, ნაწილობრივ მაინც, განსაზღვრულია გეოგრაფიით, რადგან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის ახლოს ცხოვრობენ, როგორც წესი, ერთმანეთს იცნობენ, ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე, აქვთ საერთო ღირებულებები, ინტერესები და გამოცდილება. ხანდახან, საერთო მიზნის განცდის ან პოლიტიკური ერთგულების საფუძველზე, განსხვავებული ჯგუფები ქმნიან ახალ თემს, მაგრამ როგორც 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლამ გვაჩვენა, ახალი სოციალური წყობის შექმნა, კარგად სტუქტურირებული პოლიტიკური სისტემის პირობებშიც კი, ადვილი არაა.

მთავრობა, (ხელისუფლება) ქმნის სავალდებულო წესებს, რომელთა საშუალებით მართავს საზოგადოებას. როგორ შეიძლება მსოფლიოში მმართველობის მრავალგვარი ფორმების კატეგორიებად დაყოფა? ტრადიციულად, სახელმწიფოები იყოფა ***რესპუბლიკებად*** (სადაც სუვერენიტეტი საბოლოოდ ხალხის ხელშია) და სახელმწიფოებად, სადაც სუვერენიტეტი მმართველთა ხელშია – მონარქიად ან ტირანიად. დღეისათვის, თითქმის ყველა რესპუბლიკა დემოკრატიული (ანუ წარმომადგენლობითი) რესპუბლიკაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლება არჩეული წარმომადგენლების ხელშია, რომლებიც ხალხის წინაშე არიან პასუხისმგებელნი.[1]

ზოგიერთი პოლიტოლოგი ერთმანეთისგან უბრალოდ განასხვავებს დემოკრატიულ, სადაც ტარდება თავისუფალი არჩევნები, და დიქტატურულ სახელმწიფოებს, სადაც ასეთი რამ არ ხდება. სხვები, ვინც მეტ ყურადღებას აქცევს ეკონომიკას, განასხვავებენ კაპიტალისტური ანუ ბაზარზე დაფუძნებული სისტემების მქონე და სოციალისტურ ანუ სახელმწიფოს მიერ რეგულირებული სისტემების მქონე სახელმწიფოებს. დაბოლოს, განვითარებად ქვეყნებში მთავრობას ისეთი სახის გამოწვევებთან, პრობლემებთან, სირთულეებთან უხდება გამკლავება, რომლებთან ბრძოლა განვითარებულ ქვეყნებს არ სჭირდება; ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მსოფლიოს მდიდარ და ღარიბ რეგიონებში საკმაოდ განსხვავებული მმართველობების ფორმები გვხვდება.

თანამედროვე მსოფლიოში, ***სახელმწიფო*** *არის* ***სუვერენიტეტის*** ერთადერთი ადგილსამყოფელი. სუვერენული სახელმწიფო არის საზღვრებით მკაფიოდ შემოფარგლული მთლიანობა, რომელსაც ერთი ხელისუფლება განაგებს. პოლიტიკის ენაზე, სახელმწიფო იგივეა, რაც ***ქვეყანა*** (ინგლიისურ ენაში *state* აღნიშნავს სახელმწიფოსაც და შტატსაც. მთარგმ. შენიშვნა). მაგალითად, შეგვიძლია საფრანგეთი მოვიხსენიოთ როგორც „სახელმწიფო“ ან „ქვეყანა“.

ერი შედგება ადამიანთა განსხვავებული ჯგუფებისაგან, რომელთაც აერთიანებს საერთო წარსული და შემდეგ ნიშან-თვისებათაგან ყველა ან ერთი მაინც: გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორია, რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, ენა, კულტურა და საერთო პოლიტიკური იდეების რწმენა. ამ ჩამონათვალის სათავეში გეოგრაფიული მდებარეობა იმ მიზეზით მოხვდა, რომ ერთი ერის წარმომადგენლებს, როგორც წესი, ახასიათებთ კუთვნილების ძლიერი კოლექტიური გრძნობა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიასთან,

რომლისთვის საბრძოლველად, საჭიროების შემთხვევაში კი მისთვის სიკვდილისთვისაც მზად არიან ხოლმე.

ერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან წარსულისა და ჰომოგენურობის (ერთგვაროვნების ანუ წევრთა მსგავსების) მიხედვით. ქვეყნები, რომლებსაც შედარებით ერთგვაროვანი მოსახლეობა ჰყავს, ძირითადად ევროპაში გვხვდება. მაგალითად, პოლონეთი ძალიან ჰომოგენური ერია, ისევე როგორც სკანდინავიური ქვეყნები (დანია, შვედეთი და ნორვეგია), ფინეთი, საფრანგეთი, ავსტრია, პორტუგალია და საბერძნეთი. უფრო არაერთგვაროვანია დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ნიდერლანდები, ესპანეთი და იტალია, მაგრამ აქაც ერთ სახელმწიფო ენაზე ლაპარაკობენ (თუმცა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა დიალექტზეც საუბრობენ). ბელგია კონტინენტზე იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს განეკუთვნება, რომლებიც მკაფიოდაა გაყოფილი კულტურული და ლინგვისტური თვალსაზრისით (ფრანგულად მოლაპარაკე ვალონებად და ჰოლანდიურად მოლაპარაკე ფლამანდიელებად). მისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც იმიგრანტების სახელმწიფო, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგრამ „სადნობი ქვაბი“ საბოლოოდ ყველა ახალჩამოსულს ამერიკული საზოგადოების ძირითად ნაკადში აქცევს (ასიმილირებას ახდენს), რითაც ამკვიდრებს საერთო ეროვნულობას. [2]

აშკარაა, რომ ***ერი-სახელმწიფოს***, როგორც იდეის და როგორც იდეალის ფესვები, კონკრეტულ დროში და ადგილას უნდა ვეძიოთ: ეს ახალი დროის ევროპის, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის ისტორიაა. იგი ნაკლებად მიესადაგება მსოფლიოს სხვა რეგიონებს, სადაც სუვერენული სახელმწიფოების (რომელთაგან ბევრი მეორე მსოფლიო ომამდე ევროპული ქვეყნების კოლონია იყო) პოლიტიკური საზღვრები ხშირად არ ემთხვევა ეთნიკურ თუ კულტურულ საზღვრებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეთნიკური, რელიგიური თუ ტომობრივი დაჯგუფებები, რომლებიც ტრადიციულად ერთმანეთს ძლიერ ემტერებოდნენ, აღმოჩნდნენ ახალ „სახელმწიფოში“, რის შედეგადაც მივიღეთ არასტაბილურობისა და სამოქალაქო ომების მაღალი რისკის მქონე საზოგადოებები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა დეკოლონიზაციამ დასაბამი მისცა ბევრ ერთბაშად შექმნილ ***მრავალეროვნულ სახელმწიფოს***, რომლებშიც ბევრი ეროვნული ჯგუფი (ეთნიკური თუ ტომობრივი) ახალ საზოგადოებრივ წყობაში ასიმილირებული არ იყო. მრავალი ათწლეულის შემდეგაც ეს პრობლემად რჩება; ამ ახალ სახელმწიფოებში ერად ჩამოყალიბება შორეული პერსპექტივაა. არგუმენტის გასაძლიერებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. 1967 წელს, ნიგერია გააფთრებულ სამოქალაქო ომში ჩაიძირა, რომლის დროსაც ერთი დიდი ეთნიკური ჯგუფი (იბო) წარუმატებლად შეეცადა ქვეყანას გამოყოფოდა და დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა. 1994 წელს, რუანდაში მოწმე გავხდით თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხოცვა-ჟლეტისა, რომელშიც ჰუტუს უფრო მრავალრიცხოვანი ტომის წარმომადგენლები ტუტსის ტომის ასიათასობით ადამიანს, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, სასტიკად გაუსწორდნენ. სრულიად უადგილო და გაუმართლებელია ინდოეთის ერი-სახელმწიფოდ მიჩნევა, რადგანაც აქ ასეულობით ენასა და დიალექტზე ლაპარაკობენ, ხშირია შეტაკებები ინდუსებსა და მუსლიმებს შორის, აგრეთვე პენჯაბში ძალადობის ტალღის სპორადული აგორება მეომარი სიხების მონაწილეობით. შრი-ლანკაზე (ყოფილი ცეილონი) ინდუსი თამილები დიდი ხანია აწარმოებენ პარტიზანულ ომს სინჰალელების წინააღმდეგ, რომლებიც ბუდისტები არიან და მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

სახელმწიფოები დაიშალა ევროპის სლავურ ნაწილშიც, ძველისძველი ეთნიკური დაპირისპირებების გამო. საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია იმ სახელმწიფოთა მაგალითია, რომლებიც 1990-იან წლებში შიგნიდან დაიშალნენ.

დაბოლოს, არსებობენ ***სახელმწიფოს არმქონე ერები,*** მაგალითად, პალესტინელები და ქურთები. მათ საერთო იდენტობის (ან თემის) გრძნობა აქვთ, მაგრამ სამშობლო არ გააჩნიათ. სახელმწიფოს გარეშე მათი არსებობა ქმნის ძალზე არამდგრად სიტუაციას, რაც ყველაზე აშკარად ახლო აღმოსავლეთში ჩანს.

ძალაუფლება და მასთან დაკავშირებული ცნებები

მთავრობებისა და მათი ლიდერების უნარი – შეიმუშავონ, მიიღონ და ცხოვრებაში გაატარონ წესები, წახალისებისა ან სასჯელის მეშვეობით გავლენა იქონიონ ინდივიდებისა თუ ჯგუფების ქცევაზე, შეადგენს ***ძალაუფლებას***. მის გარეშე ხელისუფლება ვერ შეინარჩუნებს მშვიდობას, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, ვერ მისცემს სტიმულს ეკონომიკურ ზრდას და ვერ გაატარებს ეფექტიან პოლიტიკას. თუმცა, პოლიტიკური ძალაუფლების შედეგიანი გამოყენება გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ფიზიკური ძალის გამოყენების უნარს. მართლაც, არსებობს ძალაუფლების მრავალი და განსხვავებული წყარო. დამაჯერებელი საარჩევნო მანდატი, ორატორული ნიჭი, სიმდიდრე ან რეპრესიული საიდუმლო პოლიცია – ყველა ეს ძალაუფლების განსხვავებული წყაროა. რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტი ძალაუფლების წყარო (ან რესურსი) არსებობს, მით მეტია მთავრობის შესაძლებლობები. სუსტ მთავრობას ხშირად დიდი ზიანის მოტანა არ ხელეწიფება (ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ მაინც), მაგრამ კარგის გაკეთების შესაძლებლობაც იშვიათად აქვს.

ნებისმიერ საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში შეუძლებელია ძალაუფლების თანაბრად გადანაწილება. მაგრამ, რამდენიმე ადამიანის ხელში ძალაუფლების კონცენტრირების საჭიროება მოქალაქეთა უმრავლესობაში კითხვებს და ეჭვებს ბადებს. ვის ხელშია ძალაუფლება და გამოიყენებენ თუ არა ძალაუფლებას ეფექტიანად? – ეს საერთო კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხებია. ამიტომ, კითხვა „ვინ მართავს?“ შეიძლება ძალზე საკამათო პოლიტიკური საკითხი იყოს. ხანდახან პასუხი ძალზე მარტივია, საკმარისია ჩაიხედო ქვეყნის კონსტიტუციაში და გაეცნო მისი ხელისუფლების ქმედებებს. მაგრამ, თუკი ხელისუფლება საიდუმლო ბურუსშია გახვეული ან, როგორც ეს ხშირად ხდება, ძალაუფლების არაფორმალური მოდელი მკვეთრად განსხვავდება ქვეყნის მთავარ კანონში გაწერილი ფორმალური სტრუქტურებისაგან, შესაძლოა რთული იყოს იმის გამოვლენა, რეალურად ვინ მართავს. ნებისმიერ სახელმწიფოში, პოლიტიკური თანამდებობებისა და ძალაუფლების მქონე პირთა რიცხვი ძალზე მცირეა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით. „ვინ მართავს“ და „რამდენად ეფექტიანად“ – ამ კითხვებთან ერთად, არანაკლებ მნიშველოვანია კითხვა: უპყრია თუ არა მმართველს პოლიტიკური ძალაუფლება კანონიერად.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთმანეთს დავუკავშიროთ ორი ცნება: ძალაუფლება და ავტორიტეტი. ინგლისურ ენაში შესაბამისი ტერმინები (power და authority) ხანდახან სინონიმურადაც კი იხმარება, ანუ სიტყვა authority ზოგ კონტექსტში შეიძლება ვთარგმნოთ როგორ “ხელისუფლება”, ზოგან კი – როგორც “ავტორიტეტი”. ძალაუფლება და ავტორიტეტი პოლიტიკური ხელისუფლების ორ სხვადასხვა გან-

ზომილებას აღნიშნავს. მაო ძედუნმა, ჩინეთის კომუნისტმა ლიდერმა, ერთხელ თქვა, რომ ძალაუფლება თოფის ლულიდან მომდინარეობს. ეს სწორია, მაგრამ ამასთანავე ძალზე გადაჭარბებულიც. პოლიტიკური ძალაუფლება ნაწილობრივ მართლაც გამომდინარეობს იძულების ინსტრუმენტების (პოლიცია, უშიშროების სამსახური, შეიარაღებული დაჯგუფებები, ჯარი) ფლობიდან, მაგრამ არა მხოლოდ აქედან. ის შეიძლება ემყარებოდეს სიმდიდრეს, პიროვნულ ქარიზმას, იდეოლოგიას, რელიგიას, ან თუნდაც კერძო პირის თუ ჯგუფის მორალურ ავტორიტეტს მოცემულ საზოგადოებაში.

ამდენად, ხელისუფლების რეალური განხორციელებისთვის თოფის ლულა არ კმარა: მის გარდა, და შესაძლოა მასზე უფრო მეტად, მას სჭირდება ***ნორმები,*** რომლებიც საზოგადოების დიდ უმრავლესობას აღიარებული და გათავისებული აქვს. ეს ნორმები სხვადასხვა ზომით ფესვგადგმულია ქცევის ზნეობრივ, რელიგიურ და სამართლებრივ კოდექსებში. ხელისუფლება როგორც ავტორიტეტით აღჭურვილი ძალაუფლება (ანუ authority, როგორც მას ინგლისურად ეძახიან) გულისხმობს ***ლეგიტიმურობას*** – მდგომარეობას, როცა ძალაუფლების გამოყენება მისდევს გარკვეულ ინსტიტუტებს და წესებს, ხოლო ადამიანები მათ იძულების გარეშე ემორჩილებიან და სამართლიანად და სწორად მიიჩნევენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს განსაზღვრება სულაც არ გულისხმობს, რომ დემოკრატია მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ფორმაა. პირიქით, მონარქია ან დიქტატურის სხვა ნაირსახეობაც შეიძლება ლეგიტიმური იყოს. თუ გვინდა გავიგოთ, გვაქვს თუ არა საქმე ***ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან,*** ის კი არ უნდა ვიკითხოთ, აქვთ თუ არა ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობის, გაფიცვის ან უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვის უფლება, არამედ ის, თუ რამდენად ***უღირთ*** მათ ეს უფლებები (ან რომელიმე მათგანი). თუ ხალხი კმაყოფილია არსებული პოლიტიკური წესრიგით (იმის მიუხედავად, აქვს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება), მმართველობა ლეგიტიმური ყოფილა. ესე იგი, ძალაუფლება ავტორიტეტითაც ყოფილა აღჭურვილი, რისი ბუნებრივი შედეგიც სახელმწიფო მმართველობის სტაბილურობაა. ისტორიამ საკმარისად ბევრი მაგალითი მოგვცა იმისა, რომ შესაძლებელია ძალაუფლების ***ხელში ჩაგდება*** (უზურპაცია) და სახალხო მანდატის ან საზოგადოების მხარდაჭერის, მორალური, რელიგიური თუ სამართლებრივი დასაყრდენის გარეშე ქვეყნის მართვა. ამ შემთხვევაში გვაქვს ხელისუფლება ავტორიტეტის ანუ ლეგიტიმურობის გარეშე. ძალაუფლების ამგვარი უზურპაციის მაგალითები უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მრავლად მოიძებნება ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, აზიაში და სხვაგან; 1980-იან წლებამდე მსგავსი რამ ხშირი იყო ლათინურ ამერიკაშიც.

ავტორიტეტს თუ ლეგიტიმურობას ძალით ხელში ვერ ჩაიგდებ: იგი შეიძლება დაიმკვიდრო, ან მასზე პრეტენზია გამოთქვა. თუმცა, ცარიელ ლეგიტიმურობასაც აზრი არა აქვს, თუ მმართველობის რეალური ბერკეტები არ გაგაჩნია. ლეგიტიმურობის ხარისხზე დიდწილად არის დამოკიდებული ის, პრობლემად ხომ არ ექცევა მმართველ გუნდს ძალაუფლების შენარჩუნება და რამდენად დასჭირდება მას საამისოდ ძალის გამოყენება. თუ ხალხი არ ცნობს ხელისუფლების ავტორიტეტს, არალეგიტიმური მმართველები არჩევანის წინაშე დგებიან: ან უარი თქვან ძალაუფლებაზე, ან ჩაახშონ თავიანთი მოწინააღმდეგეები. თავის მხრივ, ის, გაამართლებს თუ არა სამთავრობო რეპრესიები, ორ რამეზეა დამოკიდებული: ერთის მხრივ, რამდენად ფართო და მტკიცეა ოპოზიცია, მეორეც, გააჩნია თუ არა მთავრობას საკმარისი ფინანსური რესურსები და იძულების მექანიზმები, რომ ოპონენტები დაამარცხოს და შემდგომი გამოწვევები თავიდან აიცილოს.

ზოგადად, მმართველებისთვის ყოველთვის ჯობია, ჰქონდეთ საზოგადოების მხარდაჭერა, ვიდრე არ ჰქონდეთ. ეს პრინციპი მიეყენება არა მხოლოდ დემოკრატიებს, არამედ დიქტატურებსაც, თუნდაც იმიტომ, რომ ხანგრძლივი რეპრესიები საკმაოდ ძვირი ჯდება. ცხადია, რომ თუ ხალხი პატივს სცემს თავის მმართველებს და იძულების ან ძალის გამოყენების მუქარის გარეშე ემორჩილება დადგენილ წესებს, საზოგადოებაში წესრიგის და სტაბილურობის შენარჩუნება გაცილებით ადვილდება. მეტიც, დათრგუნული, უკმაყოფილო და დაჩაგრული ადამიანები საკმარისად მოტივირებული და ნაყოფიერი მუშაკებიც ვერ იქნებიან – წინა საუკუნეში სწორედ ეს აღმოჩნდა ბევრი დიქტატურის აქილევის ქუსლი. აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტური წყობის დამხობა დიდწილად ამ ფაქტორმაც განაპირობა.

სამართლიანობა

იმის გამო, რომ მართულები ყოველთვის მმართველებზე მეტნი არიან, წარმოიქმნება განსხვავებული, არცთუ იშვიათად დაპირისპირებული მოსაზრებები ხელისუფლების პოლიტიკის და პროგრამების სამართლიანობის შესახებ. ხშირად ამტკიცებენ, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილის დანარჩენ ნაწილზე ბატონობა (მმართველობა) მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ხელსაყრელია. აქედან გამომდინარე, ძალაუფლების განხორციელება ***სამართლიანობის*** საკითხის მეშვეობით უნდა იქნას გაწონასწორებული: ძალაუფლება სამართლიანად, მართულთა ინტერესების დაცვით ხორციელდება თუ მხოლოდ მმართველთა სასარგებლოდ გამოიყენება? 2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პოლიტიკის დამკვირვებლები განასხვავებენ პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებას, ერთი მხრივ საჯარო, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი ინტერესებისათვის. ეს ადასტურებს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლიანობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამართლიანობის საკითხის დასმის საშუალებას ყველა სახელმწიფო არ იძლევა; მართლაც, თუკი ისტორიას გადავავლებთ თვალს, სახელმწიფოთა უმრავლესობა სწორედ ასე იქცეოდა. დღესაც კი, ზოგიერთი მთავრობა სასტიკად და თანამიმდევრულად დევნის პოლიტიკურ დისკუსიებსა და დებატებს, რადგან ეშინია, რომ თუკი საზოგადოების ყურადღება სამართლიანობის და საზოგადი სიკეთის ძირითად საკითხებზე შეჩერდება, არსებული პოლიტიკური წყობის ლეგიტიმურობა შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს. ძალიან ხშირად ხელისუფლების მმართველობის *მეთოდის* კრიტიკამ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ხელისუფლების ზნეობრივი და კანონიერი *უფლება,* მართოს ქვეყანა. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რატომაა პოლიტიკური თავისუფლება ასე მნიშვნელოვანი. სამართლიანობას ხშირად იმის მიხედვით განსაზღვრავენ, რამდენად იცავს მთავრობა ინდივიდის უფლებებს (ესაა, ბუნებითი, ადამიანისა და სამოქალაქო უფლებები). ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის უფლებებია, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს, ეჭვი შეიტანოს მთავრობის ქმედების სამართლიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საზოგადო სიკეთის საკითხების მიჩუმათება, მათი საბოლოოდ ჩახშობა შეუძლებელია. კითხვები, რომელი მმართველია კანონიერი ან რომელი პოლიტიკური კურსია სასურველი, თავისთავად ჩნდება

ყოველდღიურ საუბრებში. ეს, როგორც ჩანს, ადამიანის ბუნებაში ძევს. ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (384-322 ძვ. წ.) შენიშნავდა, რომ ცხოველებისაგან განსხვავებით, რომლებსაც მხოლოდ სიამოვნების და ტკივილის გამომხატველი ხმების გამოცემა შეუძლიათ, ადამიანი გამოიყენებს გონებას და ენას „რათა გამოხატოს, რა არის სასარგებლო და რა არის სამართლიანი და უსამართლო". ამიტომ, განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, „მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობის და უსამართლობის განცდა..."[3] აქედან გამომდინარე, ადამიანის უნარი განაპირობებს ზნეობრივი განსჯის შესაძლებლობის და პოლიტიკური დისკუსიის აუცილებლობასაც.

მოქალაქეებს პოლიტიკური უსამართლობის შესახებ საკუთარი მოთხოვნების გაცხადება მრავალი გზით, მათ შორის დემონსტრაციებისა და საპროტესტო აქციების საშუალებით, შეუძლიათ. 1995 წლის ოქტომბერში ლუის ფარახანის მომხრეთა მილიონიანი საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მიზანი იყო იმის გარკვევა, სამართლიანად ეპყრობოდნენ თუ არა აფრო-ამერიკელ მოქალაქეებს შეერთებულ შტატებში.

როგორ სწავლობენ პოლიტიკას

ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ითვლება პოლიტიკური მეცნიერების მამამთავრად.[4] ის არა მარტო წერდა პოლიტიკასა და ეთიკაზე, არამედ აღწერა სხვადასხვა პოლიტიკური წყობა და მათი კლასიფიკაციისა და შეფასების სქემაც დაგვიტოვა. არისტოტელესათვის პოლიტიკური მეცნიერება უბრალოდ პოლიტიკურ ძიებას ნიშნავდა. ამიტომ, ამ დარგის მეცნიერი მისთვის არის ის, ვინც სისტემატური ძიების გზით პოლიტიკის ჭეშმარიტი ბუნების ამოხსნას ცდილობს. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის შესწავლისადმი არისტოტელესეულ, 2000-ზე მეტი წლის წინანდელ მიდგომას, ბევრი საერთო აქვს იმასთან, რას აკეთებენ თანამედროვე

პოლიტოლოგები. თუმცა, არისტოტელეს შემდეგ ამ დისციპლინამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

დღეს არ არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, თუ რომელია პოლიტიკის შესწავლის საუკეთესო საშუალება. ამის გამო, სახეზეა მრავალწახნაგოვანი დისციპლინა, რომელშიც სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა მიდგომას ირჩევს, სვამს განსხვავებულ შეკითხვებს და სხვადასხვა აუდიტორიას მიმართავს. მიღებული ნაზავი სულაც არაა ურიგო. უფრო მეტიც, იგი ასახავს დისციპლინის მრავალფეროვნებასა და მნიშვნელობას, ისევე როგორც ადამიანის აქტივობის იმ უსაზღვრო სივრცეს, რომელიც პოლიტიკურმა მეცნიერებამ უნდა მოიცვას. შემდეგ გვერდებზე განვიხილავთ იმას, რატომ და როგორ შეისწავლიან თანამედროვე პოლიტოლოგები პოლიტიკას.

რა მიზნით?

გარკვეული გაგებით, პოლიტიკური მეცნიერება არაფრით არ განსხვავდება ბიოლოგიის, ისტორიის ან ფსიქოლოგიისაგან. ისევე როგორც სხვა მეცნიერებათა შემსწავლელი მკვლევარები ეძიებენ ჭეშმარიტებას შესაბამის სფეროში, პოლიტიკური მეცნიერების მიმდევრებიც ცდილობენ ჩასწვდნენ ჭეშმარიტებას პოლიტიკისა და ხელისუფლების შესახებ.

ცოდნის მიღების გარდა, პოლიტიკის გეგმაზომიერ შესწავლას პრაქტიკული უპირატესობებიც აქვს. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესთა ჯგუფების შესწავლა არა მხოლოდ მდიდარ ინფორმაციას გვაძლევს მათი რაოდენობის, შემადგენლობისა და გავლენის შესახებ, არამედ ამ უკანასკნელთ აჩვენებს იმ გზებს, რომლებითაც მათ შეუძლიათ უფრო ეფექტიანად იმოქმედონ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს ამომრჩეველს, თუ რა შედეგებს უნდა ელოდნენ არჩევნებისგან, ასევე ეხმარება კანდიდატებს საარჩევნო კამპანიის დაგეგმვასა და ამა თუ იმ რეგიონსა ან შტატში საარჩევნო ტაქტიკის დახვეწაში (იხ. თავი X). ანალოგიურად, საგარეო პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბოლო 25 წელიწადში ხელმოწერილი და რატიფიცირებული ხელშეკრულებების შესახებ, არამედ შეუძლია ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები იმის თაობაზე, რა გართულებებსა და გრძელვადიან შედეგებს გამოიღებს ახალ ალიანსში შესვლა ან საკუთარ თავზე მსოფლიო მასშტაბის ახალი ვალდებულებების აღება (იხ. თავი XVIII).

თუმცა, ხშირად ექსპერტები და სპეციალისტები ვერ პოულობენ საერთო ენას. პოლიტიკურ მეცნიერებაში, ეს შეუთანხმელობა სცილდება კონკრეტულ თემებს და მოიცავს ძირეულ საკითხებს, მაგალითად, ისეთს როგორიცაა პოლიტიკის შესახებ „ჭეშმარიტი“ მეცნიერების არსებობის შესაძლებლობა ან შეუძლებლობა; უნდა ცდილობდეს თუ არა პოლიტიკური მეცნიერება იწინასწარმეტყველოს მოვლენები ისე ზუსტად, როგორც ამას ქიმიკოსები და ფიზიკოსები აკეთებენ? უნდა წავუყენოთ, მივუსადაგოთ თუ არა პოლიტიკის მეცნიერებს იგივე სტანდარტები, რაც ვთქვათ, მეტეოროლოგებს? იმისათვის, რომ გავიგოთ პოლიტოლოგებს შორის არსებული მრავალფეროვნება, თავდაპირველად განვიხილოთ ის, რასაც ჩვეულებრივ „მეთოდოლოგიას“ უწოდებენ.

რა მეთოდემით?

პოლიტოლოგთა კლასიფიკაციის არაერთი პრინციპი არსებობს. თუმცა, შევჩერდებით თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებულ ორ მიმართულებაზე: ტრადიციონალისტები ბიჰევიორალისტების, ხოლო პოლიტიკური ეკონომისტები – მარქსისტების წინააღმდეგ. გაითვალისწინეთ, რომ ეს კატეგორიები ერთმანეთს არ გამორიცხავს და მეცნიერები ხშირად სხვადასხვა მიდგომას აერთიანებენ.

ტრადიციული მიდგომა. პოლიტიკის ძირითადი ელემენტების ცოდნასთან ერთად, ტრადიციონალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შეფასებას. ისინი ცდილობენ შეაფასონ არა მხოლოდ ის, *როგორ* მუშაობს ესა თუ ის პოლიტიკა, პროცესი ან ინსტიტუტი, არამედ ისიც, *რამდენად კარგად* მუშაობს იგი გარკვეული ზნეობრივი თუ კანონიერი სტანდარტების გათვალისწინებით. მაგალითად, კონგრესის საკომიტეტო სისტემის, ბირთვული საფრთხის, ან გაერთიანებული ერების ქმედითუნარიანობის განხილვისას, ისინი საკითხს ასე დასვამდნენ: „არსებობს უკეთესი ალტერნატივა?“

მსგავსი შეფასებისთვის არსებობს მრავალგვარი კრიტერიუმი – ეს შეიძლება იყოს ფილოსოფია და ფორმალური ლოგიკა, კონსტიტუციები, ხელშეკრულებები, ოფიციალურ დოკუმენტთა ტექსტები, სასამართლო საქმეები, ექსპერტთა აზრები და სხვ. ამას გარდა, კვლევის თემატიკისა და მეთოდების შერჩევა ხშირად იმის მიხედვით ხდება, რა მიაჩნია კონკრეტულ მკვლევარს ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად. მაგალითად, ნაშრომი ხელისუფლების (აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს შორის) დანაწილების შესახებ, კონსტიტუციის მიმოხილვით დაიწყებოდა, რაშიც უდავოდ ჯეიმს მედისონის *„ფედერალისტში“* (1787-88 წწ.) გამოქვეყნებული ცნობილი კომენტარებიც შევიდოდა. ან, კვლევა შეიძლება ყურადღებას ამახვილებდეს იმ ეკონომიკურ ინტერესებზე, რომლებსაც დამფუძნებლები გამოხატავდნენ, ან იმ სოციალურ კლასზე, რომლის წარმომადგენელიც პრაქტიკულად ყველა დამფუძნებელი იყო – მაგრამ ასეთი მიდგომა მკვლევარს უკვე ტრადიციული პოლიტიკური მეცნიერების საზღვრებს მიღმა გაიყვანდა ბიჰევიორალიზმის, პოლიტიკური ეკონომიკის ან გამორიცხული არაა, მარქსისტული ანალიზის სფეროში. მოდით, ახლა ბიჰევიორალიზმი განვიხილოთ.

ბიჰევიორალისტული მიდგომა, ტრადიციონალისტურისაგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს პოლიტიკის ნორმატიულ საკითხებზე აკეთებს, მეტ ყურადღებას მეცნიერულ მეთოდს უთმობს. ეს მსოფლმხედველობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელდა, პოლიტიკური ქცევისა და პოლიტიკური პროცესების დინამიკისა და შედეგების აღწერისა და პროგნოზირების უფრო კონკრეტულ ამოცანას ისახავს მიზნად. ტრადიციონალისტი პოლიტოლოგებისაგან განსხვავებით, ბიჰევიორალისტები, ჩვეულებრივ, ერიდებიან პოლიტიკის შესახებ მორალურ თუ ფილოსოფიურ შეფასებებს (დასკვნებს), რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთი შეფასებები არაფერია, თუ არა სპეკულაცია და მათი მეცნიერულად დასაბუთება შეუძლებელია.

ბიჰევიორალისტი მეცნიერები არად აგდებენ „ღირებულებებს“, მის მაგიერ უპირატესობას „ფაქტებზე“ დაყრდნობას ანიჭებენ (არსებობს თუ არა პოლიტიკურ ცხოვრებაში აშკარა განსხვავება ღირებულებებსა და ფაქტებს შორის, ის საკითხია, რომელსაც სათანადო ყურადღება იშვიათად ექცევა). ბიჰევიორალისტები იყენე-

ბენ მეცნიერულ მეთოდს, რომელიც კარგადაა ნაცნობი ისეთი დარგების მკვლევართათვის, როგორიცაა ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია და სვამენ ისეთ შეკითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ კვლევითი პროექტის შედგენის, ემპირიული მონაცემების შეგროვების, სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებისა და ჰიპოთეზის დასაბუთებისათვის საჭირო ექსპერიმენტების ჩატარების გზით. ზოგიერთი ბიჰევიორალისტი დედუქციურ მეთოდებს უფრო მიმართავს ვიდრე ინდუქციურს, ქმნის რთულ მათემატიკურ მოდელებს, რათა ახსნა მოუძებნოს ამომრჩეველთა, პოლიტიკურ პარტიათა, გადაწყვეტილების მიმღებთა, კოალიციის წევრთა და სხვათა ქცევას. ამ სულისკვეთებით, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რთული სტატისტიკური და მათემატიკური კვლევები ტარდებოდა ომის კორელატებისა (დაკავშირებული ცნებების) და მიზეზების დასადგენად.

ბიჰევიორალისტული მიდგომის ერთი მაგალითი დაგვეხმარება მისი მეთოდების აღწერაში. 1996 წლის დეკემბერში, ერთ ცნობილ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა კვლევის – „არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლების (ამომრჩეველთა აქტიურობის) გავლენა სენატის და საგუბერნატორო არჩევნებზე“, შედეგები.[5] კვლევა სვამდა შემდეგ კონკრეტულ კითხვას, რომელზე პასუხის გაცემა თეორიულად, რაოდენობრივი მეთოდის საშუალებით იყო შესაძლებელი: მართალია თუ არა, როგორც ეს ბევრს სჯერა, რომ ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობადემოკრატიული პარტიისთვისაა ხელსაყრელი? გავრცელებული მოსაზრება, რომ ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა ეხმარებოდა დემოკრატებს გამარჯვებების მოპოვებაში, გულისხმობდა: (1) შედარებით დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანები უფრო იშვიათად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, ვიდრე მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონენი; (2) როდესაც იზრდებოდა ამომრჩეველთა აქტიურობა, ხმის მისაცემად არჩევნებზე მოდიოდა უფრო მეტი დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანი და (3) დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონენი უფრო იმ პარტიას მისცემდნენ ხმას, რომელიც, მათი აზრით, უფრო შედეგიანად დაიცავდა მუშათა კლასის ინტერესებს, კერძოდ, დემოკრატიულ პარტიას. ბევრი პოლიტიკური ექპერტისათვის მისაღები აღმოჩნდა ეს თეორია, რომლის მიხედვით, უკანასკნელ არჩევნებზე რესპუბლიკელთა გამარჯვებები ამომრჩეველთა დაბალ აქტიურობას შეიძლება დაბრალებოდა. პოლიტიკოსებმაც დაიჯერეს, რომ ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა დემოკრატებს ეხმარებოდა, რაც ერთ-ერთი მიზეზი გახდა იმისა, რატომ უჭერდნენ, როგორც წესი, დემოკრატები მხარს (ხოლო რესპუბლიკელები ეწინააღმდეგებოდნენ) 1995 წლის ამომრჩეველთა რეგისტრაციის ეროვნულ აქტს (კანონმა იოლი გახადა ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურები).

მკვლევრებმა გამოიყენეს სტატისტიკური მონაცემები დაწყებული 1928 წლიდან და შეისწავლეს 1 842 შტატების დონის, სენატორის – 983 და გუბერნატორის 859 არჩევნები. კვლევაში არ შევიდა ორი ტიპის არჩევნები – (1) სამხრეთის შტატებში 1928 და 1965 წლებს შორის ჩატარებული არჩევნები, რომლებშიც, ფაქტობრივად, გამარჯვების რეალური შანსის მქონე მხოლოდ ერთი პარტია (დემოკრატიული პარტია) მონაწილეობდა და (2) არჩევნები, რომლებშიც მესამე პარტიის კანდიდატებმა მიიღეს ხმათა 5 პროცენტზე მეტი. მათემატიკური ტესტის საშუალებით მკვლევრებმა დაადგინეს, რომ 1928 წლიდან 1964 წლამდე ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა მართლაც ეხმარებოდა დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ 1964 წლის შემდეგ შედეგები საგრძნობლად განსხვავდებოდა. სენატორების არჩევნებში, არჩევნების დღეს ამომრჩეველთა აქტიურობასა

და დემოკრატებისათვის მიცემულ ხმების რაოდენობას შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა; გუბერნატორების არჩევნებში, რესპუბლიკელები დემოკრატებზე ოდნავ წინ იყვნენ, თუმცა სტატისტიკურად სხვაობა უმნიშვნელო იყო.

რატომ გაქარწყლდა1964 წლის შემდეგ ამომრჩეველთა აქტიურობის საყოველთაოდ მიღებული თეორია? მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვა კვლევის ჰორიზონტს სცილდებოდა, მასზე პასუხი ეხმაურებოდა კიდევ ერთ კომპლექსურ თეორიას ამერიკელი ამომრჩევლის ქცევის შესახებ. 1964 წლის შემდეგ დამოუკიდებელ კანდიდატთა რაოდენობის ზრდის შედეგად (შემცირდა პარტიული იდენტიფიკაცია და ხმის წინასწარგანსაზღვრული მიცემა), სულ უფრო რთული გახდა იმის გაანგარიშება, რომელ პარტიას მოუტანს მოგებას ამომრჩეველთა აქტიურობის მატება.

ეს რთული კვლევითი პროექტი მოიცავს იმ მეთოდოლოგიას, რომელსაც ბიჰევიორალისტი პოლიტოლოგები იყენებენ. ბიჰევიორალისტები, ისევე როგორც სხვა მკვლევარი მეცნიერები, ცოდნის გზაზე გაკეთებული პატარა ნაბიჯებითაც კმაყოფილდებიან. ყოველ ახალ ნაბიჯს მომავალ კვლევასთან მივყავართ.

ადამიანის ქცევის შესწავლა საგრძნობლად განსხვავდება აირების ან ლაბორატორიული თაგვების ქცევის შესწავლისაგან. ადამიანის ქცევას თითქმის ყოველთვის მრავალგვარი ახსნა მოეძებნება. უაღრესად რთულია ქცევის ერთი რომელიმე მიზეზი გამოარჩიო და გამოყო, განასხვავო ჭეშმარიტი მიზეზი უბრალო სტატისტიკური კორელაციისაგან. მაგალითად, რამდენიმე კვლევის თანახმად, დამნაშავეები, როგორც წესი, კანონმორჩილ მოქალაქეებზე ნაკლებად ჭკვიანები არიან. თუკი ასეა, იქნებ დაბალი ინტელექტია დანაშაულის *მიზეზი* (იქნებ ბევრ დამნაშავეს არ ესმის კანონის დარღვევის შედეგები ან ჯილდო, რომელსაც საზოგადოება სურვილების „მყისიერ“ დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის იძლევა)? როგორ მიმართებაშია დაბალი ინტელექტი დანაშაულის სხვა კორელატებთან (და მიზეზებთან), როგორიცაა ასაკი, სქესი, პიროვნული ტიპი, ბავშვობაში გადატანილი აბუჩად აგდება თუ უარყოფა, ან ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულება? რა შეიძლება ითქვას თავისუფალ ნებაზე? უნდა ვივარაუდოთ თუ არა, რომ პასუხისმგებელი საზოგადოებაა და არა დანაშაულის ჩამდენი ინდივიდი?

ბიჰევიორალისტი და ტრადიციონალისტი პოლიტოლოგები ხშირად ვერ თანხმდებიან არა მარტო იმაზე, როგორ უნდა მოხდეს პოლიტიკის შესწავლა, არამედ იმაზეც, რა კითხვები უნდა დაისვას. ბიჰევიორალისტები უპირატესობას ანიჭებენ კონკრეტული და ვიწროდ განსაზღვრული საკითხების განხილვას, რომლებზეც პასუხს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით სცემენ. მსგავსი კვლევების თვალსაწიერის მიღმა რჩება პოლიტიკის ბევრი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, განსაკუთრებით კი სამართლიანობასთან დაკავშირებული. ისეთი კითხვები, როგორიცაა „რა არის სამართლიანობა?“ ან „რომელია საუკეთესო პოლიტიკური სისტემა?“ — უკუგდებულია, რადგან მათზე პასუხები, როგორც ამტკიცებენ, შეიცავს პოლიტიკაზე სუბიექტურ შეხედულებებს და ღირებულებით შეფასებებს. ამის პასუხად, ტრადიციონალისტები ამტკიცებენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მსგავსი საკითხების მეცნიერულად ახსნა შეუძლებელია, ყველა ღირებულებითი შეფასება როდია თვითნებური (პირადული) ან უბრალო ცრურწმენაზე დაფუძნებული. მათი მტკიცებით, პოლიტიკის შესწავლის მხოლოდ იმ კითხვებით შემოფარგვლა, რომლებსაც რაოდენობრივი პასუხები მოეძებნებათ, პოლიტიკური მეცნიერების აკადემიურ თამაშად გადაქცევის საფრთხეს შეიცავს.

ადამიანის ქცევის სირთულის გათვალისწინებით, სულაც არაა გასაკვირი, რომ ექსპერტები მეთოდოლოგიაზე კამათობენ. კამათი ორ მიმართულებას – ტრადიციონალისტებსა და ბიჰევიორალისტებს შორის, დღეს ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე ადრე იყო ხოლმე. ორივემ შესამჩნევი წვლილი შეიტანა პოლიტიკისა და მმართველობის შესწავლაში. პოლიტიკის შესწავლაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლიტიკურმა ეკონომიკამ და მარქსიზმმა. ახლა ამ ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომას განვიხილავთ.

პოლიტიკური ეკონომია. ბევრი პოლიტოლოგი პოლიტიკას პოლიტიკური ეკონომიკის პრიზმაში განიხილავს. ეს გულისხმობს პოლიტიკისა და მაკროეკონომიკის არა ორ განსხვავებულ დისციპლინად, არამედ ერთი მონეტის ორ სხვადასხვა მხარედ დანახვას. ამ გადასახედიდან, პოლიტიკური ანალიზი, რომელიც იგნორირებას უკეთებს ეკონომიკას, უგულვებელყოფს რეალობას. ასევე, პოლიტიკისაგან დაცლილი ეკონომიკური ანალიზი მხოლოდ ფუჭი თეორიული სავარჯიშოა. რეალურ სამყაროში, პოლიტიკა და ეკონომიკა იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთზე დამოკიდებული, რომ მათი ერთმანეთისაგან დაშორება მზის შუქისა და დღის სინათლის ერთმანეთისაგან დაშორების ტოლფასია.

კითხვები, რომლებიც პოლიტეკონომისტებს აწუხებთ, მომდინარეობს პოლიტიკის ამ გაფართოებული დეფინიციისგან. ეკონომიკა პოლიტიკისაგან განსხვავებულ ცნებებზე აკეთებს აქცენტს – კონფლიქტის მაგიერ კონკურენციაზე, ძალაუფლების ნაცვლად – სიმდიდრეზე, ამომრჩევლის ნების ნაცვლად – მომხმარებლის არჩევანზე და ა.შ. ამას გარდა, ეკონომისტები პოლიტოლოგებზე მეტად არიან ორიენტირებული ფისკალურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე – გადასახადების და სახელმწიფო ხარჯების, საპროცენტო განაკვეთებისა და ფულადი მასის, ტარიფებისა და ვაჭრობის ჩათვლით, – როგორც გადაწყვეტილებების მიმღებთა ხელში მძლავრ პოლიტიკურ ინსტრუმენტზე. პოლიტოლოგები, მეორე მხრივ, მეტ ყურადღებას უთმობენ ინტერესთა ჯგუფების გავლენას საჯარო პოლიტიკაზე ან ისეთი ეკონომიკური გადაწყვეტილებების პოლიტიკურ მნიშვნელობას, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ხარჯვა დეფიციტის დროს, გადასახადების შემცირება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

პოლიტეკონომისტები ცდილობენ ორივე სფეროს, პოლიტიკისა და ეკონომიკის, საუკეთესო მხარეები გააერთიანონ, რათა მიიღონ მაღალი დონის ანალიზი, განმარტებისა და პროგნოზის უფრო მაღალი ხარისხით. პოლიტეკონომიკის მეთოდები შედარებითი და საერთაშორისო პოლიტიკის, ასევე, რომელიმე ერთი ქვეყნის პოლიტიკის, შესწავლის ნაყოფიერი საშუალებაა. წარმოგიდგენთ პოლიტიკური ეკონომიკის პესრპექტივიდან დანახული სამყაროს მოკლე აღწერას:

1. მსოფლიოს მატერიალური სიმდიდრე ცუდადაა (არათანაბრადაა) განაწილებული. ღარიბთა ოთხ მეხუთედზე მეტი ცხოვრობს ორ რეგიონში: აფრიკაში – საჰარის სამხრეთით და სამხრეთ აზიაში. 1998 წელს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) ერთ სულ მოსახლეზე ორმოცდაათჯერ მეტი იყო, ვიდრე საჰარის სამხრეთით აფრიკაში და ოცდათხუთმეტჯერ მეტი ვიდრე აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში (სადაც ისეთი მდიდარი ქვეყნებიც შედიან, როგორიც იაპონია, სამხრეთი კორეა და ტაივანია).
2. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებმა იკლო, რაც ყველაზე მძიმედ სწორედ ღარიბ რეგიონებზე

აისახა. განვითარებად ქვეყნებზე ზრდის ტემპის კლების გავლენა ყველაზე ნათლად შეიძლება შეფასდეს, თუკი ზრდის ტემპს შევადარებთ მოსახლეობის მატების ტემპს, რაც მთლიანი ეკონომიკისათვის *ერთ სულ მოსახლეზე* წლიური ზრდის ტემპს მოგვცემს. ამ საზომით, ბევრი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკას, განსაკუთრებით აფრიკაში საჰარის სამხრეთით, ასევე ზოგიერთ არაბულ ქვეყანასა და სამხრეთ აზიაში, ყოველწლიურად ეცლება ნიადაგი.

3. სიმდიდრის განაწილება განვითარებად (ღარიბ) ქვეყნებსა და რეგიონებში უფრო არათანაბარია, ვიდრე განვითარებულ (მდიდარ) ქვეყნებსა და რეგიონებში. მაგალითად, ბრაზილიაში მოსახლეობის 10 პროცენტის მფლობელობაშია ქვეყნის სიმდიდრის 50 პროცენტი, ხოლო კენიაში, ზამბიაში, პერუსა და მექსიკაში ეს მაჩვენებელი 40 პროცენტია. ამის საპირისპიროდ, აშშ-სა და იაპონიაში, ზედა 10 პროცენტი ფლობს სიმდიდრის 25 პროცენტზე ნაკლებს.

ზემომოყვანილი აღწერა ნათლად აჩვენებს, როგორ განსაზღვრავს ჩვენს მიერ არჩეული მიდგომა ან პერსპექტივა იმას, რასაც დავინახავთ ან მივიჩნევთ მნიშვნელოვნად.მკვლევრის მიერ არჩეული თემებიც და ანალიზის მეთოდებიც მნიშვნელოვანწილადაა განსაზღვრული იმ მიდგომით, რომელსაც უპირატესობას მივანიჭებთ. იმ მიდგომათა შორის, რომლებმაც არსებითი გავლენა იქონიეს პოლიტიკურ მეცნიერებაზე (და მსოფლიო პოლიტიკაზე), საყურადღებოა მარქსისტული ანალიზიც, მიუხედავად იმისა, მოგვწონს იგი თუ არა.

მარქსისტული მიდგომა. მარქსიზმი, როგორც იდეოლოგია, განხილულია წინამდებარე ნაშრომის მე-5 და მე-12 თავებში. როგორც იდეოლოგია, მარქსიზმი სამუდამოდაა დაკავშირებული მემარცხენე ტოტალიტარიზმთან, ყოფილ საბჭოთა კავშირში სტალინისტური ხანისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების ნაირსახეობებთან (დღემდე შემორჩენილ, კომუნისტების მიერ მართულ სახელმწიფოთა შორისაა ჩინეთი, ჩრდილოეთი კორეა და კუბა). მაგრამ არსებობს მარქსის იდეების გამოყენების განსხვავებული გზაც. მეცნიერები კომუნისტურ ქვეყნებში იძულებული არიან მარქსიზმის ოფიციალური ვერსია საჯაროდ აღიარონ, მიუხედავად იმისა, ეთანხმებიან თუ არა მას პირადად. ბევრი მეცნიერი არაკომუნისტურ ქვეყნებში (აშშ-ის ჩათვლით) მიიჩნევს, რომ ანალიზის მარქსისეული კატეგორიები სასარგებლოა პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების ახსნისას. ამ მეცნიერთაგან ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს პირადი პოლიტიკური დღის წესრიგი – ანუ იდეოლოგიური მოტივები – მაგრამ უკიდურესად არამეცნიერული იქნებოდა, ყოველივე სოციალისტურის მიმართ ბრმა რწმენის გამო, დემოკრატიული კაპიტალიზმის მარქსისეული კრიტიკის იგნორირება.

აშშ-ში, მარქსიზმს მოკრძალებული აკადემიური (და პოლიტიკური) მიმზიდველობა ჰქონდა, ნაწილობრივ ცივი ომის და მარქსიზმსა და საბჭოური სტილის კომუნიზმს შორის აშკარა კავშირის გამო. თუმცა, ბევრ სხვა ქვეყანაში, მარქსიზმმა როგორც საშინაო, ასევე საგარეო დონეზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოების შესწავლაზე.

მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებით დაინტერესებულ მკვლევართა მიერ ჩამოყალიბებულმა სკოლამ აიტაცა მარქსისტული ანალიზის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ***დაქვემდებარების თეორია*** ეწოდება. იზიარებენ რა იმ აზრს, რომ დედამიწის ბუნებრივი რესურსების მარაგი შეზღუდულია (ულევი არაა), დაქვემ-

დებარების თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ მსოფლიო (ანუ გლობალური საზოგადოება) დაყოფილია სამ ძირითადად კლასად: ინდუსტრიული ბირთვი (აშშ, დასავლეთი ევროპა და იაპონია), ნახევრადპერიფერია (ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, როგორებიცაა სამხრეთი კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჩილე და ბრაზილია) და პერიფერია (აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყოფილ კოლონიურ რეგიონებში განლაგებული ქვეყნების დიდი უმრავლესობა). პერიფერიის და ნახევრადპერიფერიის ქვეყნები ბაზრით, კაპიტალით და ტექნოლოგიით დაქვემდებარებულნი არიან ინდუსტრიულ ბირთვზე. ინდუსტრიული ქვეყნების ინტერესებს წარმოადგენს ამ დაქვემდებარების სამუდამოდ შენარჩუნება.

დაქვემდებარების სისტემა მსოფლიო უთანასწორობის მუდმივ შენარჩუნებას რამდენიმე გზით უზრუნველყოფს. ჯერ ერთი, ბირთვის სახელმწიფოები აწარმოებენ ძვირადღირებულ საქონელს, ხოლო პერიფერიის ქვეყნები მათ იაფ ნედლეულს (სურსათ-სანოვაგესა და მინერალურ ნედლეულს) აწვდიან. ფასებით მანიპულირება წამყვანი ეკონომიკური ძალების ხელშია – შედეგად, ***ვაჭრობის პირობები*** (სამრეწველო საქონლის მომსახურებისა და პროდუქტების ფასები) ბირთვის სახელმწიფოებისთვის უფრო ხელსაყრელია. მოხმარების საგნებზე ფასები წლიდან წლამდე მნიშველოვან ცვლილებას განიცდის; ბევრი განვითარებადი ქვეყანა დამოკიდებულია ერთი ან ორი სახის მოხმარების საგნის ექსპორტზე (როგორიცაა შაქარი, ყავა, ბანანი, ჯუთი). მოხმარების საგნების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი (მოგება) ძალზე მგრძნობიარეა ფასების რყევის მიმართ, რაც ექსპორტიორი ქვეყნების კონტროლს არ ექვემდებარება. მაგრამ განვითარებადი ქვეყნები იძულებულნი არიან გააგრძელონ იმპორტი და იმპორტისთვის გადაიხადონ კონვერტირებადი ვალუტა (როგორიცაა დოლარი). ხშირად ეს ქვეყნები იძულებულნი არიან ფული უცხოეთში ისესხონ, არჩევანი არა აქვთ და იხდიან იმ საპროცენტო განაკვეთს, რომელსაც საერთაშორისო ფინანსისტები ბირთვის ქვეყნებში მოითხოვენ. ამას გარდა, ნებისმიერი უცხოური დახმარება გულისხმობს პირობებსაც. დაბოლოს, კრიზისის დროს, მათ სხვა არჩევანი არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ დათანახმდნენ აშშ-ის მართული საერთაშორისო სავალუტო ფონდის *(IMF)* მიერ მოკლევადიან სესხებზე დაწესებულ პირობებს.

დაქვემდებარების თეორიის მიმდევართა თანახმად, მთელი ამ სისტემის განსაკუთრებით უსამართლო ასპექტი ბირთვის სახელმწოფოების კაპიტალისტთა და პერიფერიული ქვეყნების ეკონომიკურ ელიტას შორის არსებული შეთანხმებაა. ელიტა დიდ მოგებას ნახულობს ამ შეთანხმებით, მაგრამ გარიგება ორმხრივად მომგებიანია: ბირთვის სახელმწიფოები ეხმარებიან მთავრობებს ძალაუფლების (ხშირად დიქტატურის) შენარჩუნებაში, ისინი კი, თავის მხრივ, ინარჩუნებენ წესრიგს და სტაბულურობას, თანაც, შიდა ბაზარს უხსნიან საერთაშორისო ბიზნესს. სამხედრო და ეკონომიკური დახმარების სუბსიდიები, თუკი ამ კუთხით შევხედავთ, ქრთამია, რომლებსაც დონორი ქვეყნებისათვის უფრო დიდი დივიდენდები მოაქვს, ვიდრე მიმღები ქვეყნებისათვის, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ კორუმპირებული მმართველები თანხების დიდ ნაწილს ითვისებენ.

დასავლელ პოლიტეკონომისტთა უმრავლესობა უარყოფს დაქვემდებარების თეორიას. ისინი ხაზს უსვამენ, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის უბედურება სუსტი ინსტიტუტები, კორუმპირებული და არაკომპეტენტური ლიდერები ან ქრონიკული სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობაა. ეკონომიკური განვითარების გზა პოლიტიკური ხასიათისაა. ეკონომიკური განვითარები-

საკენ მიმართულ გონივრულ კანონებსა და პოლიტიკას შეუძლია განვითარების კარიბჭის გახსნა – სხვა შემთხვევაში ეს კარიბჭე დახშული დარჩება. მიუხედავად ამისა, მარქსისტული ანალიზი ჯერ კიდევ რჩება დამაჯერებელ ძალად არა მხოლოდ მსოფლიოს აკადემიურ წრეებში, არამედ ამერიკელ პოლიტოლოგთა ერთ-ერთ მცირერიცხოვან, მაგრამ ნაყოფიერ ჯგუფშიც.

ტა პერსპექტივიდან?

პოლიტიკური ეკონომიკა პოლიტიკური მეცნიერების მხოლოდ ერთი ქვედარგია. სხვა ცნობილი ქვედარგებია პოლიტიკის თეორია, ამერიკის მმართველობა (იგულისხმება ცალკეული ქვეყნები, ჩვენს შემთხვევაში, საქართველო. მთარგ. შენ.), შედარებითი პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და საჯარო მმართველობა. აღსანიშნავია ასევე პოლიტიკური მეცნიერების კიდევ რამდენიმე, უფრო სპეციალიზებული სფერო. იმისდა მიხედვით, როგორ შეისწავლიან მათ, ეს სფეროები შეიძლება უკვე ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ქვედარგში მოექცეს. მაგალითად, *საკონსტიტუციო სამართალი* ტრადიციული სპეციალობაა, რომლის ყურადღების ცენტრში მმართველობის ერთი კონკრეტული ასპექტია. *საჯარო პოლიტიკა*, რომელიც ეხება თანამედროვე მენეჯმენტის ხერხებს, მაგალითად, ნულოვანი ბიუჯეტი, ანგარიშების წარმოება და სისტემური ანალიზი, შედის როგორც (ამერიკის) მმართველობაში, აგრეთვე საჯარო მმართველობაშიც. *პოლიტიკური პარტიები და ინტერესთა ჯგუფები* (როგორც კვლევისა და სწავლების ცალკე სფერო) ჯდება მმართველობის ან შედარებითი პოლიტიკის ჩარჩოში. მოდით, ახლა უფრო ახლოს გავეცნოთ იმ ექვს ქვედარგს, რომლებსაც პოლიტიკური მეცნიერების პროგრამებში ხშირად გამოჰყოფენ ხოლმე.

პოლიტიკური თეორია. ნორმატიული პოლიტიკური თეორია ანუ პოლიტიკის ფილოსოფია პლატონიდან (დაახლ. ძვ. წ. 400 წ.) იღებს სათავეს. ჭეშმარიტების ძიების პლატონისეული მეთოდი მნიშვნელოვანი კითხვების დასმაში მდგომარეობდა, მაგალითად: როგორია კარგი ცხოვრება? როგორია კარგი მმართველობა? რამდენად მოიტანს კარგი მმართველობა კარგ ცხოვრებას? შეიძლება კი კარგი მმართველობის მიღწევა? როგორია ადამიანის ბუნება? ადამიანები უპირატესად კეთილი თუ ბოროტი? ადვილად იცვლება თუ არა ადამიანის ბუნება? სახელმწიფოს რომელი ფორმა უწევს ყველაზე მეტად ანგარიშს ადამიანის ბუნებას საერთო ინტერესის (საჯარო სიკეთის) ხელყოფის გარეშე? წესრიგისა და უსაფრთხოების გარდა, არის თუ არა სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა ზნეობრივად დახვეწოს ადამიანები, აქციოს ისინი თანასწორად, უზრუნველყოს ინდივიდუალური თავისუფლებები და ა.შ. თუკი ამ მიზნებს დაისახავს, როგორი უნდა იყო სახელმწიფო: ძლიერი და ფხიზელი, თუ სუსტი და დამთმობი? როდისაა გამართლებული რევოლუცია? როგორ შეიძლება დავიცვათ პოლიტიკური სტაბილურობა?

პოლიტიკის თეორია ცდილობს უპასუხოს ამ შეკითხვებს განსჯით და ლოგიკით, რომელიც ისეთ პოლიტიკურ მოაზროვნეთა ნაშრომებს ეფუძნება, როგორებიც სხვებთან ერთად იყვნენ არისტოტელე, ჟან-ჟაკ რუსო, ჯონ ლოკი და ჯონ სტიუარტ მილი. მსგავსი ძიების ამოცანაა გამოიტანოს დასკვნები სწორის და არასწორის ან კეთილის და ბოროტის შესახებ. ვინაიდან ყველა, ვინც ცვლილებებს ემხრობა და

ეწინააღმდეგება, დარწმუნებულია თავის მორალურ მართებულობაში, პოლიტიკის გაგება მოითხოვს იმ კრიტერიუმების ცოდნას, რომელთა მიხედვითაც პოლიტიკა და პროგრამები კარგ ან ცუდ შეფასებას იღებს.[6] ნორმატიული თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკის ზნეობრივი ფასისა და მისი შედეგების შესახებ ცოდნის გარეშე, ვერც მოქალაქეებს და ვერც ლიდერებს საკმარისად ცხადად ვერ ექნებათ განსაზღვრული ზუსტი ორიენტირი და მიზანი.

შედარებითი პოლიტიკა. შედარებითი პოლიტიკა ცდილობს ერთმანეთს შეადაროს და შეაფასოს მმართველობა და პოლიტიკური სისტემა. მმართველობის ფორმების, ეკონომიკური განვითარების საფეხურების, საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და პოლიტიკური ტრადიციების შედარებითი ანალიზი საშუალებას აძლევს პოლიტოლოგებს ჩამოაყალიბონ მნიშვნელოვანი განზოგადებები. შედარებითი პოლიტიკის ზოგიერთი მიმდევარი სპეციალიზდება მსოფლიოს რომელიმე კონკრეტული რეგიონის საკითხებზე ან ინტენსიურად სწავლობს რომელიმე კონკრეტულ ერს. სხვები შეისწავლიან რომელიმე კერძო პოლიტიკურ მოვლენას, მაგალითად, როგორიცაა არასტაბილურობა ან საარჩევნო ქცევა.



სქემა 1-1. *პოლიტიკური სისტემის გამარტივებული მოდელი*
წყარო: საავტორო უფლება Devid Easton-1965, 1979.

ყველა პოლიტიკურ სისტემას აქვს გარკვეული საერთო ნიშან-თვისებები. 1-1 სქემაზე გამოსახულია ცნობილი მოდელი, რომელიც პირველად პოლიტოლოგმა დევიდ ისტონმა შექმნა 1965 წელს. მის მიხედვით, ყველა პოლიტიკური სისტემა მოქმედებს გარკვეული პოლიტიკური კულტურის კონტექსტში, რომელიც შედგება ტრადიციების, ფასეულობებისა და საერთო ცოდნისაგან. გარდა ამისა, იგი გულისხმობს, რომ მოქალაქეებს ნიადაგ აქვთ მოლოდინი და მოთხოვნები პოლიტიკური სისტემის მიმართ, მაგრამ ამასთანავე სხვადასხვა გზით მხარს უჭერენ სისტემას. ისინი შეიძლება მონაწილეობდნენ მმართველობაში, არჩევნებში, ან, უბრალოდ, იყვნენ კანონმორჩილნი. მოქალაქეთა მოთხოვნები და მხარდაჭერა, რომლებზეც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი შეხედულებები იმის შესახებ, რა ხდება და რა

უნდა ხდებოდეს საზოგადოებაში, თავის მხრივ გავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემის უნარზე – მიიღოს გადაწყვეტილებები. ეს პროცესი განაპირობებს სახელისუფლებო გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს, ჩვეულებრივ, ბრძანებულებების, კანონებისა და ბრძანებების სახით.

ქვეყნები, რა თქმა უნდა, მრავალგვარად განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგი პოლიტოლოგის აზრით, ეს განსხვავებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსგავსებები. შესაბამისად, ისინი პოლიტიკურ სისტემებსაც სხვადასხვანაირად ანსხვავებენ ერთმანეთისაგან. ამ წიგნში, მაგალითად, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რით განსხვავდება დემოკრატიული, ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოები. ზოგი მეცნიერი არ ემხრობა ტოტალიტარული სახელმწიფოს ცნებას და ამიტომ უბრალოდ განასხვავებს დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სახელმწიფოებს. სხვები ხაზს უსვამენ პოლიტიკის ეკონომიკურ კონტექსტს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში: პოსტინდუსტრიულ სამყაროში (ჩრდილოეთი ამერიკა, დასავლეთი ევროპა, ავსტრალია და იაპონია) და აღმოსავლეთ აზიის სწრაფად მზარდ სახელწიფოებში (ჩინეთი, სამხრეთი კორეა, ტაივანი და სინგაპური); კომუნისტური სამყაროს გაღატაკებულ ნანგრევებში (ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა და კუბა) და ე.წ. „ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში“. ბოლო დროს აქტუალური გახდა განსხვავება ლიბერალური დემოკრატიის მქონე და „ტრანზიციულ სახელმწიფოებს“ შორის (იხ. თავი VII). სხვა მეცნიერები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიუთითებენ მსოფლიო სიმდიდრის არათანაბარ განაწილებაზე და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავების ხაზს ავლებენ (ამას „ჩრდილოეთის და სამხრეთის კონფლიქტსაც“ უწოდებენ) ეკვატორის ჩრდილოეთით მდებარე უფრო მდიდარ და ეკვატორის სამხრეთით განლაგებულ ღარიბ ქვეყნებს შორის. დაბოლოს, ზოგიერთი დამკვირვებელი განასხვავებს სიცოცხლისუნარიან და არშემდგარ სახელმწიფოებს (იხ. 8 თავი).

საერთაშორისო ურთიერთობები. საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტები შეისწავლიან, როგორი ურთიერთობაა ქვეყნებს შორის. რატომაა, რომ სახელმწიფოები ხანდახან მშვიდობიანად თანაარსებობენ და სხვა დროს ეომებიან ერთმანეთს? როგორია დიპლომატიის, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების, გაეროს და ბირთვული შეკავების გავლენა მშვიდობის შენარჩუნების მცდელობებზე? ბირთვული ხანის დადგომამ, რა თქმა უნდა, მოიტანა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის განსაკუთრებული აუცილებლობაც.

ომი და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მწვავე სფეროა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთადერთი. სხვა საკითხები სრულიად განსხვავებულია, ვაჭრობიდან და ტურიზმიდან – ტერორიზმამდე, საგარეო პოლიტიკიდან – აგრარულ პოლიტიკამდე, ეკონომიკური პოლიტიკიდან – ემიგრაციამდე. ეს და სხვა საკითხები საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტთა საქმიანობის საგანია, მაგრამ არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ყველა მათგანის ლაბირინთებს ბოლომდე ჩასწვდება. ამიტომ, საერთაშორისო ურთიერთობებიც, როგორც პოლიტიკური მეცნიერების სხვა ქვედარგები, მრავალწახნაგოვანია.

ზნეობრიობის როლი საგარეო პოლიტიკაში კვლავაც რჩება მწვავე დებატების თემად. ზოგიერთი მეცნიერი (მათ, ჩვეულებრივ, რეალისტებს უწოდებენ ხოლმე) ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო და იქნება უმთავრესი პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობებში.[7] სხვა მეცნიერები (მათ

ხანდახან იდეალისტებს უწოდებენ) ამის საპირისპიროდ ამტკიცებენ, რომ ზნეობრიობის მიმართ ყურადღების გაზრდა მიგვიყვანს მსოფლიო მშვიდობამდე და ბოლოს მოუღებს „ომის სისტემას“, რომელსაც რეალისტები ფატალისტურად იღებენ. სხვების აზრით, ეროვნულ ინტერესებსა და საერთაშორისო ზნეობრიობას შორის განსხვავების ხაზგასმა მცდარია; მაგალითად, დემოკრატიული ქვეყანა შეიძლება დაეხმაროს სხვა ქვეყანაში დემოკრატიას და ამით ემსახუროს როგორც საკუთარ ინტერესს, ისე მსოფლიო მშვიდობასა და კეთილდღეობას.[8]

საჯარო მმართველობა. უკანასკნელ წლებში საჯარო მმართველობა ზოგან ისწავლება არა როგორც პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი ქვედარგი, არამედ როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, რომელიც მოწოდებულია გაწვრთნას, მოამზადოს ადამიანები საჯარო სამსახურში კარიერისათვის. არსებითად, საჯარო მმართველობა ძირითად ყურადღებას აქცევს იმას, როგორ ახორციელებს ბიუროკრატია სახელმწიფო პოლიტიკას. როგორც წესი, ძირითადი აქცენტი კეთდება ეროვნულ (ცენტრალურ) მთავრობაზე, მაგრამ საჯარო მმართველობა ასევე ინტერესდება შტატებისა (რეგიონისა, მთარგ. შენ.) და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ურთიერთობებით. მკვლევარები ცდილობენ გაიგონ, რა ეხმარება და რა უშლის ხელს საჯარო მმართველობისას ბიუროკრატიას მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში. ბიუროკრატიული სტრუქტურების, პროცედურებისა და პროცესების შესწავლა ხდება იმისათვის, რომ გაიზარდოს ეფექტიანობა და შემცირდეს ზედმეტი ხარჯი (გაფლანგვა) და დუბლირება. განსაკუთრებით საყურადღებოა, როგორ და რატომ აყალიბებს ბიუროკრატია საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს იმ სამთავრობო პოლიტიკის მიღმა, რომლის ცხოვრებაში გასატარებლადაცაა ის მოწოდებული.

პოლიტოლოგები, საჯარო მმართველობის შესწავლას, ხშირად ცალკეულ შემთხვევებსაც შეისწავლიან (*case studies)*, ყურადღებას მიაპყრობენ არა მარტო იმას, რა საშუალებებით ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება, არამედ იმასაც, გამოიყენება თუ არა ძალაუფლება საზოგადოებრივ ინტერესებში. ამ თვალსაზრისით, საჯარო მმართველობის სფერო მთლიანად ემთხვევა პოლიტოლოგთა საზრუნავს.

რატომ სწავლობენ პოლიტიკას?

ის, თუ როგორ შეისწავლიან პროფესიონალი პოლიტოლოგები პოლიტიკას, ბევრ ინფორმაციას გვაწვდის თვით დისციპლინის შესახებ, მაგრამ ცოტა რამეს ეუბნება სტუდენტებს პოლიტოლოგიის მნიშვნელობის შესახებ. პოლიტიკის საწყისი ცოდნა მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის სტუდენტის განათლებისათვის იმ მიზეზთა გამო, რომლებზეც საუბარი შემდეგ გვექნება. თუმცა, პოლიტიკის შესწავლისაგან გამომდინარე დადებითი შედეგები რომ გაიაზრონ, სტუდენტებმა სწავლა გულით უნდა მოინდომონ და გონება სიახლეს მიაპყრონ.

პირადი ინტერესი

ვინაიდან პიროვნული ბედნიერება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რას აკეთებს ან არ აკეთებს ხელისუფლება, ყველა ჩვენგანის ინტერესშია გავერკვეთ, როგორ მუშა-

ობს ან რატომ ვერ მუშაობს იგი. მაგალითად, კოლეჯის სტუდენტებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური საკითხებია: ფედერალური პროგრამები „მუშაობა-სწავლა“, შტატების სუბსიდიები საზოგადოებრივი განათლებისათვის, დაბალპროცენტიანი სესხები, ფედერალური გრანტები და სტუდენტთა ინტერესების დასაცავად (ან არდასაცავად) გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები. პოლიტიკის შესწავლის გზით, უკეთ ვერკვევით პოლიტიკური სისტემის მიმართ დამოკიდებულებაში და ვიძენთ ცოდნას, რომელიც გვეხმარება გავაცნობიეროთ, როდის დავუჭიროთ მხარი და როდის დავუპირისპირდეთ ცვლილებებს. ამავე დროს, პოლიტიკის შესწავლა გვეხმარება განვსაზღვროთ, რამდენად შეგვიძლია დადებითი ზეგავლენა მოვახდინოთ მასზე. ყოველთვის გვაფხიზლებს იმის გააზრება, რომ თითოეული ჩვენგანი მხოლოდ ერთი პიროვნებაა მრავალმილიონიან ერში (და მრავალმილიარდიან მსოფლიოში), რომელთა უმრავლესობას ჩვენზე არანაკლებ აქვს შესისხლხორცებული თავისი მოსაზრებები და ცრურწმენები.

საზოგადოებრივი ინტერესი

რა შეიძლება საზოგადეობრივი ინტერესისათვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მოქალაქეთა მორალური ხასიათი და ქცევაა? სამოქალაქო საზოგადოებაზე აისახება უბრალო ხალხის მიერ მიღებული ყოველდღიური გადაწყვეტილებები და არჩევანი. ამავე დროს, სამოქალაქო საზოგადეობა და პოლიტიკის გაბატონებული კულტურა და კლიმატი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხალხზე. მსგავსი შესაძლებლობებისა და სურვილების მქონე ადამიანებს, გარემოებათა მიხედვით, შეიძლება ძალზე განსხვავებული ზნეობრივი განწყობილებები განუვითარდეთ. პოლიტიკა ამ გარემოებათა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და საზოგადოებრივი ინტერესი, ძალზე ფართო გაგებით, ბეწვზე ჰკიდია ხოლმე.

უარყოფითი მაგალითი. ნაცისტური გერმანიის აღზევება და დაცემა (1933-1945) ნათლად გვიჩვენებს, რა უზარმაზარი გავლენა შეუძლია პოლიტიკურმა რეჟიმმა იქონიოს მოქალაქეთა ზნეობრივ ხასიათზე. ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით ნაციზმის ყველაზე მნიშვნელოვანი და გასაოცარი ასპექტები მისი პრინციპები იყო. ნაციზმის პოლიტიკური დოქტრინა ცალსახად ეფუძნებოდა რასობრივი უპირატესობის დოქტრინას. ჰიტლერი მძვინვარებდა ე.წ. არიული რასის უპირატესობის გამო, თითქოსდა, გერმანელი ერის სიწმინდეს ემუქრებოდა უცხო რასებისა და *Untermenschen*-ების (ქვეადამიანების) მიერ შერყვნა. ასეთ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული პოლიტიკის შედეგი იყო მილიონობით უდანაშაულო კაცის, ქალის და ბავშვის სისტემატური ხოცვა. დაახლოებით 6 მილიონი ებრაელი და მილიონობით სხვა ადამიანი, პოლონელების, ბოშების, სექსუალური უმცირესობებისა და შეზღუდული უნარების მქონეთა ჩათვლით, დაუნდობლად გაანადგურეს. რასობრივი „დაბინძურების“ გამოგონილი პრობლემის ბოლომდე მოგვარებას ნაცისტები ისეთი მონდომებით ეკიდებოდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ თვეებში სიკვდილის ბანაკების მუშაობა სამხედრო კამპანიების ხარჯზეც კი გრძელდებოდა.

ჰოლოკოსტი – გაზის კამერებისა და მასობრივ მკვლელობათა შემზარავი სანახაობა – გვაიძულებს დავსვათ კითხვა, როგორ შეიძლება ასეთი მასშტაბის

საშინელება მომხდარიყო ვითომცდა ცივილიზებულ ქვეყანაში. როგორ შეეძლო შთამბეჭდავი ჰუმანისტური ტრადიციების მქონე ერს, რომელმაც შვა ამდენი მსოფლიოში საუკეთესო კომპოზიტორი, მწერალი და მოაზროვნე, დაეშვა ასეთი რამე?

ნაციზმის ხანაში, გერმანელი ერი, ერთი შეხედვით, წარმოგვიდგება როგორც ჰიტლერის ნების დანამატი; სხვა სიტყვებით, ჰოლოკოსტისათვის საშინელი მორალური პასუხისმგებლობა ერთ ადამიანს – ადოლფ ჰიტლერს ეკისრება. მაგრამ ზოგიერთისათვის ეს ინტერპრეტაცია საეჭვოა, რაკი მიაჩნია, რომ ჰიტლერი ვერ მოახერხებდა მასობრივი მკვლელობების მისეული პროგრამის განხორციელებას თანამოაზრეთა ჯგუფის გარეშე. რა ვუყოთ მათ, ვინც მას პოლიტიკის დაგეგმვაში, კოორდინირებასა და მართვაში ეხმარებოდა? ერთი მკვლევარის, ირვინგ კრისტოლის სიტყვებით:

> როდესაც ნაცისტების საქმეს ეცნობი, გეუფლება საშინელი სიცარიელის შეგრძნება და საგონებელში ვარდები. ნუთუ სულ ესაა? განსხვავება დანაშაულსა და დამნაშავეს შორის წარმოუდგენლად დიდია.
> ჩვენ ველით, რომ აღმოვაჩენთ ბოროტ ადამიანებს, ბოროტების განსახიერებებს, დორბლიან, მანიაკ მხეცებს; მზად ვართ შევისწავლოთ თითოეული ნაცისტის სახის თავისებურება, რათა დავადგინოთ ნაცისტის ხასიათის განუყოფელი ნიშნები. მაგრამ ნაციზმის ლიდერები არ იყვნენ ეშმაკისეულნი, ისინი არ ეთაყვანებოდნენ ბოროტებას. რადგან ნაცისტებს– რაოდენ ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს – როგორც ადამს და ევას ცოდვის ჩადენამდე, არაფერი გაეგებოდათ კეთილისა და ბოროტის შესახებ და სწორედ ზნეობრივი გულგრილობის ელფერი არის, მათ რომ ასეთ წვრილმან, უფერულ და ზედაპირულ ადამიანებად წარმოგვიდგენს.[9]

კრისტოლი არაა ერთადერთი, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველა ნაცისტი იმდენად ზნეობრივად დაცემული არ იყო, რამდენადაც ზნეობრივად გულგრილი. ზუსტად ასეთ ადამიანად წარმოგვიდგენს ზოგიერთი მკვლევარი ალბერტ შპეერს, ჰიტლერის შეიარაღებისა და სამხედრო მომარაგების მინისტრს.[10] პოლიტიკური თეორეტიკოსის ჰანა არენდტის მიხედვით, ასეთი იყო, ადოლფ აიხმანიც, ნაცისტი ფუნქციონერი, რომელიც სიკვდილის ბანაკების პროგრამის დიდ ნაწილს ხელმძღვანელობდა. არენდტის აზრით, აიხმანი არ იყო მაინცდამაინც განსაკუთრებული, უჩვეულო ადამიანი.[11] მას ძალიან უნდოდა წინ წასულიყო, ცხოვრებაში წარმატებისათვის მიეღწია, განსაკუთრებით ეამაყებოდა, რომ შეეძლო საქმე შედეგიანად ეკეთებინა. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებულად გამჭრიახი ან დაკვირვებული არ ყოფილა, მაინც ჭკვიანი იყო. არენდტის აღწერით, იგი იყო მერყევი, მაგრამ არა ბევრ სხვა, „ნორმალურ“ ადამიანზე მეტად. აიხმანი ირწმუნებოდა, რომ ებრაელების მიმართ აკვიატებული ზიზღი არ ამოძრავებდა (თუმცა, როგორც ჩანს, ის არ იყო საკმარისად სკეპტიკურად განწყობილი ან დამოუკიდებლად მოაზროვნე, რომ შეწინააღმდეგებოდა მაშინდელ გერმანიაში ფართოდ გავრცელებულ ანტისემიტიზმს). მოკლედ, აიხმანი იყო ზნეობრივად გულგრილი; კრისტოლის სიტყვებით, „მას არაფერი გაეგებოდა კეთილისა და ბოროტისა“.

ეს მკვლევარები მოგვითხრობენ რიგით ადამიანებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ განსაკუთრებული ბოროტების აქტებში. ისინი გვაგონებენ ჩვენთვის ნაცნობ

ადამიანებს, შეიძლება საკუთარ თავსაც კი. რთული არ იქნება წარმოვიდგინოთ აიხმანი ჩვენთვის უფრო ნაცნობ გარემოში, თუნდაც იმედისმომცემ, პატივ-მოყვარე ხელმძღვანელ მუშაკად დიდ ამერიკულ კორპორაციაში ან ახალგაზრდა, დაწინაურებაზე მეოცნებე თანამშრომლად საგარეო უწყებაში. ასეთი პიროვნება, ალბათ, „მუშაობით დაავადებული" (ვორკოჰოლიკი), კომპანისათვის ან ქვეყნი-სათვის თავგადაკლული, დაწინაურებაზე მოფიქრალი და ხელმძღვანელის მაამე-ბელი იქნება. შეიძლება, სულაც არ იყოს მოკლებული წესიერ ადამიანურ თვისე-ბებს და ერთგული მეუღლე და მოყვარული მშობელიც იყოს (ნაცისტებისთვის უცხო არ იყო საკუთარი ოჯახების მიმართ სიყვარულის, ერთგულების გამოვლე-ნა). ძირითადი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ეს ფარისეველი პიროვნება იმდენადაა ჩაბმული „რეალურ სამყაროში", ვიწრო კარიერისტული მიზნების ტერმინოლო-გიით რომ ვთქვათ, მას „აბსტრაქტული" მორალური საკითხებისათვის დრო და ინტერესი არ გააჩნია.

თუკი მართალია, რომ აიხმანი რიგითი ადამიანი იყო, რატომ არსებობენ ასე ცოტა აიხმანები? ამის პასუხი ძირითადად ისაა, რომ, საბედნიეროდ, ადამიანების უმრავ-ლესობას ისეთ პოლიტიკურ რეჟიმში უხდება ცხოვრება, რომელსაც ნაცისტურ გერმანიას ვერც კი შეადარებ. ნაციზმი იყო გადამწყვეტი ფაქტორი ორ მსოფლიო ომს შორის გერმანიაში ყველა აიხმანის პიროვნებისა და ხასიათის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც ყოველმა შეგნებულმა სურსათის მაღაზიის მეპატრონემ იცის, რომ მისი მიზანი მოგებაა, ასევე აიხმანსა და მის მსგავსთ ესმოდათ, რომ მათი მიზანი გაზის კამერებში რაც შეიძლება მეტი ადამიანის განადგურება იყო. ამას გარდა, იგი იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ მის წარმატებას, ისევე როგორც მაღაზიის მეპა-ტრონისას, ძირითადად ერთი კრიტერიუმით – ეფექტიანობით განსაზღვრავდნენ. აიხმანისათვის მნიშვნელობა იმას კი არ ჰქონდა, რას აკეთებდა, არამედ იმას, რამ-დენად კარგად აკეთებდა. სავარაუდოდ, ის ასეთივე მონდომებით შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, პარკების დაგეგმვაზე ან ყვავილების დარგვაზე რომ ყოფილიყო პასუხისმგებელი. ამ ბოროტმოქმედის ბანალურობა და მისი ბოროტების მნიშვნელობა (სიდიდე) ერთდროულად საშინელიცაა და ჭკუის სასწავლებელიც, ვი-ნაიდან ზუსტად ასახავს მაშინდელ გერმანიაში გაბატონებულ პოლიტიკას.[12]

გერმანიის ხელმძღვანელობა ადამიანების მასობრივ განადგურებას აიგივებდა პატრიოტიზმსა და საზოგადოებრივ ინტერესთან. ინტელექტუალური დამოუკიდე-ბლობისა და ზნეობრივი გამბედაობის იშვიათი ერთობლიობა იყო საჭირო, ამ გა-ბატონებულ აზრს რომ არ აჰყოლოდი. სამწუხაროდ, ზუსტად ეს თვისებები აკლდა ასე ძალიან აიხმანისნაირ უამრავ ადამიანს. იმის გააზრება, რომ საზოგადოებრი-ვი ინტერესისათვის არასდროს კარგი არაა ხელისუფლების ბრმა მორჩილება, გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკის გაგება.

დასკვნა

პოლიტიკის შესწავლა სამ ძირითად ცნებას ეფუძნება. ესაა წესრიგი, ძალაუფლე-ბა და სამართლიანობა. პოლიტიკური ცხოვრების გაგება იწყება იმის აღიარებით, რომ ადამიანის ცხოვრება მოწესრიგებულია. კერძოდ, პოლიტიკური წესრიგი ასახ-ულია თემებში (საზოგადოებებში), რომლებშიც ადამიანები ცხოვრობენ და საერთო

იდენტობა აქვთ. თემის მოწყობა, შენარჩუნება და დამკვიდრება მმართველობის საშუალებით ხდება. ყველაზე წარჩინებულ და თვითკმარ თემებში მმართველობის გზით შექმნილმა სტრუქტურამ წარმოშვა თანამედროვე ერი-სახელმწიფოები.

ძალაუფლება, რომელიც რამდენიმე წყაროდან შეიძლება გამომდინარეობდეს, არის მთავრობის უნარი – შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. თუკი მთავრობა არ გამოიყენებს ძალაუფლებას საზოგადეობრივი ინტერესების შესაბამისად, დგება ხოლმე სამართლიანობის საკითხი. ამგვარად, პოლიტიკას ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი ადგილი უკავია, რადგან ადამიანის მიერ სამართლიანობის დაუოკებელი ძიება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ძალაუფლების გამოყენებასთან, მიუხედავად იმისა, რომ ზნეობრივი საკითხები შეიძლება ხანდახან საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი რჩებოდეს.

პოლიტოლოგები შეისწავლიან თავიანთ დისციპლინას იმისათვის, რომ მიაკვლიონ ჭეშმარიტებას პოლიტიკური ინსტიტუტების, ძალების, მოძრაობებისა და პროცესების შესახებ. ტრადიციონალისტი პოლიტოლოგები დაინტერესებულნი არიან მთავრობის მოქმედებების შეფასებით, ბიჰევიორალისტები კი მეცნიერულ მეთოდებს მიმართავენ პოლიტიკის შედეგების აღწერისა და პროგნოზირებისათვის. თითქმის ყველა პოლიტოლოგს აქვს სპეციალიზაცია; დისციპლინის ყველაზე ფართო ქვედარგია პოლიტიკური თეორია (ან ფილოსოფია), ამერიკის მმართველობა, შედარებითი პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები და საჯარო მმართველობა.

პოლიტიკის შესწავლის მრავალ დამაჯერებელ მიზეზთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი: (1) პოლიტიკის გაგება პიროვნული ინტერესის საქმეა და (2) პოლიტიკის კვლევის შედეგად, ინდივიდს უფრო ზუსტი წარმოდგენა უყალიბდება იმაზე, რა არის და რა არ არის საზოგადოებრივი ინტერესების საგანი. რიგით მოქალაქეთათვის ამ წარმოდგენის გადამწყვეტი მნიშვნელობა ნაჩვენები იყო გერმანიაში ნაციზმის აღზევების ტრაგიკული მაგალითით.

საკვანძო სიტყვები

პოლიტიკა
თემი, ერთობა
მთავრობა
რესპუბლიკა
სახელმწიფო
სუვერენიტეტი
ქვეყანა
ერი
ერი-სახელმწიფო
მრავალეროვანი სახელმწიფო
სახელმწიფოს არმქონე ერები
ძალაუფლება
ავტორიტეტი
ლეგიტიმურობა
ლეგიტიმური ხელისუფლება
სამართლიანობა
ტრადიციონალისტები
ბიჰევიორალისტები
მარქსისტები
დაქვემდებარების თეორია
ვაჭრობის პირობები

კითხვები გამეორებისათვის

1. რომელ სამ ძირითად ცნებას ეფუძნება პოლიტიკის შესწავლა?
2. როგორ შეიძლება პოლიტიკური პრობლემის დადგენა? არის თუ არა ზოგიერთი კონფლიქტი სხვებზე მეტად პოლიტიკური ხასიათის? ახსენით.
3. რით განასხვავებენ პოლიტოლოგები?
4. რა დადებითი შედეგი შეიძლება მოუტანოს ადამიანს პოლიტიკის და მმართველობის შესწავლამ?

შენიშვნები

1. ყველაზე დიდი გავლენა იქონია ბარონ დე მონტესკიეს „კანონთა გონის“ II წიგნში მოცემულმა პოლიტიკური მმართველობების კლასიფიკაციამ. მონტესკიე განასხვავებდა რესპუბლიკებს, მონარქიებს და დესპოტურ მმართველობებს, ხოლო შემდეგ დაყოფას ახდენდა დემოკრატიულ რესპუბლიკებად, რომლებიც მთელი ხალხის მიერ იმართება და არისტოკრატულ დემოკრატიებად, რომლებსაც ხალხის ნაწილი მართავს (განსაკუთრებით მდიდართა კლასი). რესპუბლიკებს ისტორიულად განასხვავებენ პირდაპირი დემოკრატიებისაგან. ამგვარად, ჯეიმს მედისონი (ალბათ წამყვანი ფიგურა შეერთებული შტატების დამფუძნებელთაგან) მმართველობებს, რომლებშიც ხალხი პირდაპირ მონაწილეობდა მართვაში (და წარმომადგენლობის იმედზე არ იყვნენ) *პირდაპირ დემოკრატიებს* უწოდებდა. რადგან შეერთებული შტატების მმართველობა წარმომადგენლობას ითვალისწინებდა, მას *რესპუბლიკა* ეწოდა.
2. იხ. ასევე *Arthur Schlesinger Jr.*-ის *The Disuniting of America: Reflections on a Multicultural Society (New York: Norton, 1993).*
3. *Aristotle, The Politics* მთარგმ. და რედ. *Ernest Barker (New York: Oxford University Press, 1962), 4.*
4. პლატონისგან განსხვავებით, რომელსაც პოლიტიკური ფილოსოფიის მამად მოიხსენიებენ ხოლმე.
5. *Jack H. Nagel* და *John E. McNulty "Partisan Effects of Voter Turnout in Senatorial and Gubernatorial Elections", American Political Science Review 90* (დეკემბერი 1996): *780-793.*
6. *იხ. Leo Strauss*-ის *What is Political Philosophy?* და სხვა კვლევები (*New York: Free Press, 1959), 10-12.*
7. არსებობს ამ მიდგომის სხვადასხვა ვარიაცია: მაგალითად, ტრადიციული რეალიზმის თეორია განავითარეს (თუმცა გარკვეული წინააღმდეგობების ფონზე) პოლიტოლოგებმა, რომლებსაც ნეორეალისტებად ან სტრუქტურულ რეალისტებად მოიხსენიებენ. მათი ძირითადი შრომაა *Kenneth Waltz*-ის *Theory of International Politics, (Reading, Mass.: Addison-Wesley, 1979).* იხ. იმავე ავტორის *"Realist Thought and Neo-Realist Theory", Journal of International Affairs XLIV* (გაზაფხული/ზაფხული 1990): *21-37.*

8. ამ ორი მიდგომის მეცნიერული შერწყმის მცდელობად იხ. *Robert O. Keohane-ის International Institutions and State Power (Boulder, Colo.: Westview Press, 1989),* კიოჰეინის თეორიას ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც ნეოლიბერალურ ინსტიტუციონალიზმს.
9. *Irving Kristol "The Nature of Nazism" in The Commentary Reader,* რედ. *Norman Pohoretz (New York: Atheneum, 1965), 16.*
10. იხ. *Albert Speer*-ის *Inside the Third Reich,* თარგმ: *R. Winston* და *C. Winston (New York: Avon, 1971).* შეადარეთ *Stanley Haverwas* და *David Burrell*-ის, *"Self-deception and Autobiography: Reflections on Speer's Inside the Third Reich",* წიგნში *Truthfulness and Tragedy: Further Investigations in Christian Ethics,* რედ. *Stanley Haverwas* და სხვები *(South Bend, Ind.: University of Notre Dame Press, 1977), 82-97.*
11. *Hannah Arendt, Eichmann in Jerusalem: A Report on the Banality of Evil (New York, Penguin Books, 1964).* შეადარეთ *Gideon Hausner-ის, Justice in Jerusalem (New York: Schocken Bokks, 1968). 465.*
12. ყველა გერმანელი ან ევროპელი როდი იყო ბოროტებისადმი აიხმანივით გულგრილი და ეგოისტი. აღსანიშნავი, თუმცა არატიპური მაგალითია ოსკარ შინდლერი(რომლის სახელი მხატვრული ფილმის – „**შინდლერის სია**" წყალობით გახდა ყველასათვის ცნობილი). შინდლერი გერმანელი ბიზნესმენი, ნაცისტური პარტიის წევრი იყო. მან ჯერ ამუშავა, შემდეგ კი საკუთარი საქმიანი და პარტიული კავშირების გამოყენებით გადაარჩინა თავისი ებრაელი მუშები. შინდლერისა და სხვა კეთილი ქრისტიანის მამაცური ქმედებები აღწერილია *Eva Fogelman*-ის წიგნში *Conscience and Courage: Rescuers of Jews during the Holocaust (New York: Doubelday, 1994). იხ. ასევე Samuel P. Oliner* და *Pearl M. Oliner, The Altruistic Personality: Rescuers of Jews in Nazi Europe (New York: Free Press, 1988).* ეჭვგარეშეა, რომ მკითხველთა უმრავლესობა ამ მხსნელებთან და შინდლერთან უფრო გააიგივებს საკუთარ თავს, ვიდრე აიხმანთან, მაგრამ შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ გაცილებით უფრო მეტი გერმანელი („ჰიტლერიუგენდის" ათეულობოთ ათასი წევრის ჩათვლით) ჰიტლერის სიძულვილის პროპაგანდით მონუსხული, აიხმანივით უფრო იქცეოდა, ვიდრე შინდლერივით.



ნაწილი I

შედარებითი პოლიტიკური სისტემები

თავი II
ტიპია: სანიმუშო სახელმწიფოები

თავი III
კონსტიტუციური დემოკრატია: წარმომადგენლობის რევოლუცია

თავი IV
ავტორიტარული სახელმწიფოები: ტრადიციული მმართველობა

თავი V
ტოტალიტარული სახელმწიფოები: წარუმატებელი ტიპიები



თავი II

უტოპია

სანიმუშო სახელმწიფოები

პლატონის „სახელმწიფო“: პასუხი ფილოსოფიაა

- სამართლიანი ქალაქი
- კეთილშობილი ტყუილი

ფრენსის ბეკონის „ახალი ატლანტიდა“: პასუხი მეცნიერებაა

- სტაბილურობა და მეცნიერება
- სამომავლო გეგმა

კარლ მარქსის უკლასო საზოგადოება: პასუხი ეკონომიკაა

- ეკონომიკის წამყვანი როლი
- პროლეტარიატის დიქტატურა
- უკლასო საზოგადოება

უტოპიისაკენ დაბრუნება

- უტოპიით შთაგონება
- გზა უტოპიისაკენ
- უტოპიის პრაქტიკულობა
- უტოპია და ადამიანის ბუნება
- უტოპია და პოლიტიკის უგულებელყოფა

დისტოპია: ოცნებიდან კოშმარამდე

- ორუელის სამყარო
- უტოპია და ტერორიზმი

დასკვნითი მოსაზრებანი

როგორც მოქალაქეები, ხშირად მხარს ვუჭერთ (ან ვეწინააღმდეგებით) პოლიტიკას და ლიდერებს, რადგან გვჯერა, რომ ისინი დაგვეხმარებიან, საზოგადოება უკეთესი ან უფრო სამართლიანი გავხადოთ. ბევრი ჩვენი პოლიტიკური არჩევანის უკან გარკვეულწილად იმალება საჯარო სიკეთისა და კარგი საზოგადოების იდეა. როგორც წესი, ეს შეხედულება გაუაზრებელია – მიუხედავად იმისა, რომ გვჯერა ამა თუ იმ პოლიტიკური წყობისა, ხშირად ვერ ვახერხებთ დავასაბუთოთ ამის მიზეზები.[1] მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია შეგვეძლოს ჩვენი პოლიტიკური იდეებისა და იდეალების საფუძველში მდებარე წარმოდგენების გამოხატვა და ანალიზი. თუ გვინდა პოლიტიკური სისტემების გააზრებული შედარება შევძლოთ (რაც ამ ტექსტის I ნაწილის მიზანია), უნდა განვსაზღვროთ, რა არის საზოგადოებრივი სიკეთე და რა არა. იდეები უტოპიის შესახებ, რომლებიც მოცემულია ამა თუ იმ ფილოსოფოსის, თეოლოგისა და სხვათა ნაწერებში, შეიძლება დაგვეხმაროს პოლიტიკის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების უკეთესად გაგებაში. როგორი იქნებოდა საუკეთესო პოლიტიკური წყობა? რატომ ამბობენ ხშირად, რომ საუკეთესო კარგის მტერია? რა უფრო საშიშია პოლიტიკისთვის, მცირედით დაკმაყოფილება თუ მეტისმეტისკენ სწრაფვა?

სიტყვა *უტოპია* სათავეს იღებს სერ ტომას მორის (1478-1535) წიგნის სათაურიდან. იგი მეფე ჰენრი VIII-ის დროს ინგლისის ლორდ-კანცლერი და გავლენიანი ჰუმანისტი იყო. ტერმინი *ou topos* ბერძნულად „არარსებულ ადგილს“ აღნიშნავს, ხოლო „*eutopos*“ ადგილს, სადაც ყველაფერი კარგად არის. ყოველდღიურ ხმარებაში, უტოპია, როგორც წესი, ორივე მნიშვნელობას ერთად მოიცავს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ***უტოპია*** არის არარსებული ადგილი, სადაც ხალხი ცხოვრობს სრულიად ჯანმრთელად, ჰარმონიულად და ბედნიერად.

დასავლური პოლიტიკის ფილოსოფიის ლიტერატურა მოიცავს კარგად დამუშავებული უტოპიური გეგმების გარკვეულ რაოდენობას. ყოველი მათგანი ავტორის მიერ სრულყოფილი პოლიტიკური წყობის ჩამოყალიბების მცდელობაა. უტოპიური მოდელები ერთმანეთისაგან სპეციფიკური ნიშნებით განსხვავდება, თუმცა ყველა მსგავს მიზნებს ემსახურება. უკლებლივ ყველა უტოპისტი ცდილობდა პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკა მის საბოლოო შედეგებამდე მიეყვანა. ამ პროცესში ისინი ხშირად მიმართავდნენ არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობების ფარულ და აშკარა კრიტიკას. ამ ფუნქციის გამო, უტოპიური კონსტრუქციები ხშირად გამოიყენებოდა პოლიტიკური საზომების სტანდარტად ან პოლიტიკური სისტემების განხორციელების შეფასების კრიტერიუმად. სრულყოფილი საზოგადოების აბსტრაქტული მოდელები ხანდახან პოლიტიკური ქმედების პრაქტიკული სახელმძღვანელოს როლსაც ასრულებდა. ამგვარად, მიუხედავად მისი გარეგნული არაპრაქტიკულობისა, უტოპიური აზრები ემსახურება მნიშვნელოვან მიზნებს და პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს პოლიტიკურ საქმიანობაზე.

ცნობილი უტოპიების კვლევას ვიწყებთ პლატონის „სახელმწიფოთი“, რომელსაც უტოპიის ორ, მოგვიანებით წარმოშობილ ვერსიას შევადარებთ – ფრენსის ბეკონის „ახალ ატლანტიდას“ და კარლ მარქსის ნაშრომებს, რომელშიც იგი „უკლასო საზოგადოების“ ღირსებებს გამოყოფს. უტოპიური შრომები, რომელიც აღწერილია ამ თავში, არჩეულია იმ ნიშნით, თუ რა სფეროში პოულობს პასუხს თითოეული მათგანი. პლატონი პასუხს ფილოსოფიის სფეროში პოულობს, ბეკონი – მეცნიერებაში, მარქსი კი – ეკონომიკაში.

უტოპიური ლიტერატურის მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ნიმუშიც არსებობს. მაგალითად, ტომას მორის „უტოპია“ (1516) დღემდე მნიშვნელოვან ნაწარმოებად რჩება, ისევე როგოც ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქი“, ჯეიმს ჰერინგტონის „ოკეანეთის თანამეგობრობა“ (1656), ფრანგი უტოპისტ-სოციალისტების – ჩარლს ფურიეს, სენ-სიმონის ნაწერები, ასევე ამერიკელი მწერალი ედვარდ ბელამი (1850-1898), რომელმაც რამდენიმე მსგავსი იდეა ასახა წიგნში: „ხედვა უკან: 2000-1887“ (1888) ასახა. ამ და ბევრმა სხვა შეხედულებამ ხელი შეუწყო უტოპიის იდეისა და მისი იდეალის შენარჩუნებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლიტერატურა დისტოპიაზე – პოლიტიკური ექსპერიმენტებზე, რომლებიც საზოგადოებაში სრულყოფილი სამართლიანობის მიღწევას ისახავდნენ მიზნად და სრული კრახი განიცადეს. ამ ნაწარმოებთა მიზანია წარმოაჩინოს ის საშიშროებები, რომლებიც არასრულყოფილ სამყაროში სრულყოფილი წყობის აშენების მცდელობას ახლავს.

პლატონის „სახელმწიფო“: პასუხი ფილოსოფიაა

პლატონის „*სახელმწიფო*“ არის ხანგრძლივი დიალოგი სოკრატესა და მოსაუბრეებს შორის. სოკრატეს (469-399 ძვ.წ.), რომელიც პირველ დასავლელ პოლიტიკის ფილოსოფოსად ითვლება, მიაჩნდა, რომ „გაუაზრებელი ცხოვრება ცხოვრებად არ ღირს“. ეს იდეა გადაიქცა დასავლური ცივილიზაციის ქვაკუთხედად. სოკრატეს ბრწყინვალე მოსწავლის, პლატონის მიერ შემონახული და დამუშავებული სოკრატეს ფილოსოფია ფუნდამენტური ალტერნატივაა ჰომეროსის სოკრატემდელი ნაშრომებისა, რომელშიც იგი სიმამაცესა და ღირსებას ადიდებდა და სოკრატეს შემდგომი იესოს მოძღვრებებისა, რომლის მიხედვითაც ღმერთის რწმენა და ღვთის სიტყვის შესაბამისი მორალური ქცევა კეთილშობილი ცხოვრების საფუძველია.

სიღრმისეულ ფილოსოფიურ კითხვებზე პასუხების მუდმივი ძიების გამო, ათენის მმართველები სოკრატეს ეჭვის თვალით უყურებდნენ. საბოლოოდ სასამართლომ იგი ღმერთების შეურაცხყოფასა და ათენის ახალგაზრდობის გარყვნაში დაადანაშაულა. იგი გაასამართლეს და მიუსაჯეს სიკვდილი. სოკრატესთვის წაყენებული სასჯელის სისრულეში მოყვანა (საწამლავის საკუთარი ხელით მიღება) რჩება ინტელექტუალურ თავისუფლებასა და პოლიტიკურ წყობას შორის არსებული დაპირისპირებულობის ნათელ მაგალითად.

პლატონის „სახელმწიფო“ სოკრატეს მიერ სამართლიანობის ცნების გამოკვლევით იწყება. შემდეგ ის გადადის საუკეთესო პოლიტიკური წყობის აღწერაზე: საზოგადოება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ დაპირისპირებას ფილოსოფოსებსა და მმართველებს შორის[2] (ასეთ საზოგადოებაში სოკრატეს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლო იქნებოდა. არ იარსებებდა შიში იმისა, რომ მასწავლებლები ახალგაზრდებს მოღალატეებად აქცევდნენ, ვინაიდან შესაძლებელი იქნებოდა *ერთდროულად* ფილოსოფოსიც და პატრიოტიც ყოფილიყავი). ასეთი ქალაქის დაფუძნება და აშენება სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა პოლიტიკური აზრების სრულყოფა.

სამართლიანი ქალაქი

დასაწყისში, სკეპტიკური მსმენელი სოკრატეს მაქსიმალური პოლიტიკური სიკეთის კონცეფციის განვითარებისკენ უბიძგებს და ცდილობს აახსნევინოს, რატომ არის უკეთესი იყო სამართლიანი, ვიდრე უსამართლო. განა მართალი არ არის, ეკითხებიან მას, რომ წარმატებული ადამინი, რომელიც უსამართლო ქმედებით მოპოვებული ძალაუფლებითა და გავლენით სარგებლობს, უფრო ბედნიერია, ვიდრე სოკრატესავით სამართლიანი კაცი, რომელსაც არც ძალაუფლება აქვს და არც გავლენა? რადგან სამართლის გამოვლენა ქალაქში უფრო იოლია, ვიდრე ადამიანში, იწყება სამართლიანი ქალაქის ძებნა.[3]

თავდაპირველად სოკრატე ვარაუდობს, რომ პოლიტიკური ცხოვრება იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ არც ერთ ინდივიდს არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი. შემდეგ იგი აღწერს ძალიან მარტივ საზოგადოებას მთავრობისა და გაჭირვების გარეშე, რომლის ფერმერები, მეჯადაგეები და სხვა ხელოსნები მხოლოდ იმდენს გამოიმუშავებენ, რამდენიც უბრალო და მშვიდი ცხოვრების შესანარჩუნებლად არის საკმარისი. ამ საზოგადოებაში, რომელიც ცდილობს დაიკმაყოფილოს ფიზიკური მოთხოვნილებები (საკვები, სასმელი, თავშესაფარი და ა.შ.), თითოეული პიროვნება ასრულებს ერთ განსაზღვრულ ფუნქციას.

ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სამკაულები. მაგრამ ფუფუნების შექმნა ათავისუფლებს სურვილს და სულის დაუმორჩილებლობას უყრის საფუძველს. შედეგად, ქალაქი „მშფოთვარე“ ხდება და გაფართოება სჭირდება. კერძოდ, მას და, ჭირდება უფრო მეტი მიწის ათვისება, ხოლო ამ მიზნისათვის ჯარისკაცები ხდებიან საჭირო. ჯარისკაცები რესპუბლიკაში მეორე კლასის წარმომადგენლები არიან და მათ თადაპირველად მცველებს უწოდებდნენ. დიალოგის მსვლელობისას მათი მოვალეობები სულ უფრო ნათელი ხდება: მათ უნდა დაიცვან პოლისი, როგორც მეცხვარის ძაღლები იცავენ ფარას.

ანტიკური საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, პლატონი (428-348წწ. ძვ. წ.) მიიჩნევდა, რომ იდეალური სახელმწიფოს ძალაუფლება ფილოსოფოსი მეფეების ხელში უნდა ყოფილიყო: „სანამ ფილოსოფოსები არ გამეფდებიან, ქალაქები ვერასდროს მოისვენებენ მათი მტრებისაგან“.

როგორც *„სახელმწიფოში“* არის აღწერილი, მცველთა განათლება მრავალ ადამიანურ საქმიანობას მოიცავს, როგორიცაა ცხოვრების ესთეტიკური, ინტელექტუალური, მორალური და ფიზიკური ასპექტები. სოკრატე თვლის, რომ განათლების მიზანი სიმართლის სწავლებაა. ამის გამო, საჭირო ხდება მცდარ და საშიშ იდეებზე ცენზურის შემოღება. ამგვარი აღზრდის მთელი კურსის განმავლობაში მკაცრი დისციპლინაა დაცული. ყველაფერი საერთოა, მათ შორის პირადი ნივთებიც და მეუღლეებიც. თემის სიყვარული ანაცვლებს უბრალო ადამიანურ სიყვარულს.

ოცი წლის ასაკისთვის სტუდენტები იყოფიან ორ ჯგუფად: ზოგიერთი მათგანი ინიშნება შეიარაღებულ ქვედანაყოფში და ქალაქის დამცველის როლში გვევლინება, ისინი სახელმწიფო ჯარისკაცები ხდებიან; ისინი, ვინც მცველის სტატუსს ინარჩუნებენ, სწავლას განაგრძობენ. შემდგომი შერჩევის დროს განისაზღვრება სამსახური, რომელსაც მცველთა კლასის ეს წარმომადგენლები საბოლოოდ მიიღებენ. ყველა არჩევანი განისაზღვრება დამსახურების მიხედვით. ხანგრძლივი სწავლის ბოლოს, ჭეშმარიტების გაგების შემდეგ, მცველები შეიძლება გახდნენ ფილოსოფოსები. უმაღლესი დონის ბრძენ-ფილოსოფოსები მზად არიან დაიკავონ უმაღლესი თანამდებობები. ამგვარად, რესპუბლიკას მართავან ***ფილოსოფოსი-მეფეები***.

პლატონისეული „სახელმწიფო“ შედგება მიწათმოქმედთა და ხელოსანთა, მებრძოლებისა და ფილოსოფოს-მცველთა კლასებისგან. ეს სამწახნაგოვანი დაყოფა ასახავს პლატონის აზრს, რომ ადამიანის სული იყოფა სამ ნაწილად: მიწიერი ნაწილი, რომელიც გამომდინარეობს ფიზიკური მოთხოვნილებებიდან; კეთილშობილი ნაწილი, რომლის შედეგია რისხვა და აღშფოთება, როდესაც რამე ემუქრება ჩვენთვის ძვირფასს; და რაციონალური ნაწილი, რომელიც ჭეშმარიტების დადგენას ცდილობს. თითოეული კლასი განასახიერებს ერთ ძირითად თვისებას. მუშები და ხელოსნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქის ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თავშეკავებულობით გამოირჩევიან. მათი ცხოვრება ორგანიზებული და ზომიერია. მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლებიც თავშეკავებულნი არიან, მათი მთავარი ღირსება სიმამაცეა, რომელიც სულის კეთილშობილი ნაწილის სრულყოფილებაა. რაციონალური ნაწილის სრულყოფილება – სიბრძნე, ფილოსოფოსების კუთვნილებაა (რომლებსაც, რა თქმა უნდა, აქვთ აგრეთვე დანარჩენი ორი ღირსებაც). მხოლოდ ფილოსოფოსებს აქვთ სრულყოფილი სული; მათი არსების ყველა ნაწილი სრულყოფილია, როგორც მათი სულის ნაწილების ურთიერთკავშირი. მათი ყოვლისმომცველი სრულყოფილების გამო, მხოლოდ ფილოსოფოსებს შეუძლიათ სამართალის, ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსების სრულად აღქმა. მეტიც, ვინაიდან რესპუბლიკის თითოეული კომპონენტი მასზე დაკისრებულ სამუშაოს კარგად ასრულებს (მოსავლის მოყვანა და საგნების შექმნა, ქალაქის დაცვა ან მართვა) და, ამავდროულად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებას წარმოაჩენს (თავშეკავება, სიმამაცე ან სიბრძნე), ეს წარმოსახვითი ქალაქი სამართლიანადაც ითვლება.

ქალაქი და თანაც როგორი! ერთ-ერთი კომენტატორის აზრით, „ყველა დასავლელი კაცის მისწრაფება სამართლიანობისა და კარგი ცხოვრებისაკენ, სოკრატეს შემოთავაზებებში არის გადმოცემული და განხორციელებული“.[4] ეს არის ქალაქი, სადაც

> ადამიანთა ნიჭის გამოყენება არ არის შეზღუდული სიღარიბის, დაბადების ან სქესის მიხედვით და შემთხვევითი ოჯახური კუთვნილება და ქალაქი არ ზღუდავს ადამიანის შემეცნებისა და სიკეთისაკენ სწრაფვას; ეს არის რეჟიმი, სადაც ჭკვიანი, მოქალაქეობრივი შეგნების მქონე ადამიანები მართავენ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის.[5]

თითოეული მოქალაქე იმ საქმეს ასრულებს, რომელიც ყველაზე კარგად შეუძლია. ისინი საზოგადოებისათვის გაწეული სამსახურის შესაბამის აღიარებას, დიდებასა და პატივისცემას მოიპოვებენ. ეს ქალაქი პასუხობს კითხვაზე, რომელიც სოკრატეს დაუსვეს თავდაპირველად. სწორედ ფილოსოფოსები არიან სამართლიანი და ყველაზე ბედნიერი ადამიანები (ნამვილად უფრო ბედნიერი, ვიდრე უსამართლონი), მაგრამ მათი ბედნიერება არ არის დამოკიდებული უსამართლოდ მიღებულ ძალაუფლებაზე. ცხადია, რესპუბლიკაში ფილოსოფოსები არ იდევნებიან; ისინი მმართველი პირები არიან და მათ არასდროს ასამართლებენ.

რომ არა ფილოსოფოსების მმართველობა, და რომ არა მათი სამართლიანობა და სიბრძნე, სხვადასხვა არასასურველი მოვლენა განვითარდება. მაგალითად, იმისათვის, რომ სახელმწიფო მოხელისათვის საზოგადოებრივი ინტერესები კერძო ინტერესებზე მაღლა იდგეს, ჯარისკაცთა და მცველთა კლასებს შორის ნათესაური კავშირი აკრძალულია. საზოგადოებაში ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანების მუდმივად არსებობას ევგენიკური პროგრამა უზრუნველყოფს, რომელიც ადამიანთა სექსუალურ კავშირებზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს. მცველთა კლასი მხოლოდ ჰარმონიულად შეხამებული „ქორწინების ფესტივალის“ სისტემით მრავლდება, რომლის ერთადერთი მიზანი კოლექტიური (და შერჩევითი) გამრავლებაა გარკვეული მიზნებისათვის. არაფერი უნდა მიენდოს შემთხვევითობას.

კეთილშობილი ტყუილი

ქვედა ფენის წევრთა დასამშვიდებლად (იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სავარაუდოდ ვერც გაიგებდნენ და არც დათანხმდებოდნენ მათ დაბალ სტატუსს) ფილოსოფოსი-მეფეები ვალდებულნი არიან მუდმივად მიმართონ კეთილშობილ ტყუილს – ოფიციალურ მითს, რომელზეც სამართლიანი ქალაქი არის დამყარებული. ამგვარად, ყველა მოქალაქეს (ფილოსოფოსების გარდა) ეუბნებიან, რომ მათი წარსული ცხოვრების მოგონებები მხოლოდ სიზმრებია და რომ ისინი ადრე ცხოვრობდნენ მიწისქვეშეთში, სადაც მათ ქმნიდნენ და წვრთნიდნენ. როდესაც საამისოდ მზად იყვნენ, მათი დედა – დედამიწა, გზავნიდა მათ ზედაპირზე. ამასთანავე, ფორმირების პროცესში მათ მიეცათ სული, რომელიც იყო შექმნილი ოქროსგან (ფილოსოფოსების), ვერცხლისგან (მებრძოლების), ან რკინისა და ბრინჯაოსაგან (მიწათმოქმედებისა და ხელოსნების). ამ მითის მიზანია სახელწიფოს მცხოვრებთა დარწმუნება, რომ ყველანი დები და ძმები არიან, აგრეთვე იმისათვის, რომ კლასობრივი სისტემა, რომელიც სახელწიფოს არსებობისათვის უმნიშვნელოვანესია, ყოველთვის პოპულარული იყოს.

საუკეთესო პოლიტიკური სახელმწიფოს აღწერის დროს სოკრატე ასევე საუბრობს იმ სირთულეებზე, რომელიც ახლავს მის შექმნასა და შენარჩუნებას. რესპუბლიკის არა მხოლოდ ზოგადი კონცეფციაა არაპრაქტიკული, არამედ მისი განხორციელებაც შეუძლებელი ჩანს. სოკრატე ნათლად გვიჩვენებს, რა საფასურის გადახდა იქნებოდა აუცილებელი ასეთი პოლიტიკური წყობის შექმნისათვის. როგორც დავინახეთ, საფასური, რომელიც ასეთი წყობის დანერგვისთვის იქნებოდა საჭირო, არის ოჯახების აღმოფხვრა, ცენზურის დაწესება, სიცრუის ფართოდ გავრცელება რეჟიმის მორალური საფუძვლის შესანარჩუნებლად და იმ ხალხის მმართველობა, რომელსაც არ სურს მართვა.

მიუხედავად იმისა, რომ *პლატონის სახელმწიფო* შეიძლება არ იყოს რომელიმე მომავალი პოლიტიკური რეჟიმის სქემა, იგი სასარგებლოა სხვა კუთხითაც. პირველ რიგში, იგი სიღრმისეულად იკვლევს ისეთ საჭირო პოლიტიკურ იდეებს, როგორიცაა სამართლიანობა, ტირანია და განათლება. იგი გვთავაზობს საუკეთესო პოლიტიკური წყობის გააზრებულ იდეას და ამასთანავე გვიჩვენებს მისი დანერგვის პრაქტიკულ ხარვეზებს. საბოლოოდ, *პლატონის სახელმწიფო* უნდა მივიღოთ არა როგორც პოლიტიკური მითითება, არამედ როგორც ფილოსოფიური სავარჯიშო. სოკრატეს ექსკურსია უტოპიაში წარმოგვიდგენს ადამიანის აზრის სრულყოფის მცდელობას და არა ადამიანის ქცევის სრულყოფის ფორმულას.

ფრენსის ბეკონის ახალი ატლანტიდა: პასუხი მეცნიერებაა

იდეა იმის შესახებ, რომ უტოპია რეალურად მიიღწევა „აქ“ და „ახლა“, მეთხუთმეტე საუკუნის შემდეგ გახდა პოპულარული. ფრენსის ბეკონი (1561-1626) იყო პირველი და ყველაზე გავლენიანი გამავრცელებელი უტოპიური იდეისა, რომლის მიხედვითაც მეცნიერებას შეუძლია ადამიანებს მისცეს ყველაზე სასურველი სიკეთე – კომფორტული თვითშენარჩუნება. ისინი, ვისაც დღეს სჯერათ ან ადიდებენ ადამიანის პროგრესის, მეცნიერული მიღწევების, ტექნოლოგიური სიახლეების ან მსოფლიო პოლიტიკური მოდერნიზაციისა და განვითარების ბრწყინვალებას (იხ. თავი IX), ძირითადად ისეთივე პოლიტიკური რეჟიმის სისწორეში არიან დარწმუნებულები, რომელიც ბეკონის სქემასთანაა ახლოს.

ახალ ატლანტიდაში (1627) ბეკონი აღწერს მოგზაურთა წარმოსახვით ვოიაჟს, რომლებმაც აღმოაჩინეს კუნძული ბენსალემი. ისინი დაიტანჯნენ წყნარ ოკეანეში ხანგრძლივი მგზავრობით და სჭირდებოდათ საკვები და დასვენება. თავდაპირველად, კუნძულის მკვიდრებმა გააფრთხილეს, არ გადასულიყვნენ კუნძულზე, მაგრამ მოლაპარაკებების შემდეგ მაინც დართეს ნება. სტუმართა პირველი უარყოფითი შთაბეჭდილება გაქრა, როგორც კი ნახეს კუნძული ისეთი, როგორიც ის ნამდვილად არის: დალოცვილი, ბედნიერი ადგილი.

სტამიოუტომა და მეცნიერება

ბენსალემის ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკული დეტალების უმეტესობა ბეკონს მხოლოდ ზედაპირულად აქვს აღწერილი. მიუხედავად იმისა, რომ კუნძულის წარგზავნილებმა ევროპაში საიდუმლო ექსპედიცია ჩაატარეს მეცნიერული მიღწევების შესასწავლად, სხვა მხრივ კუნძული მოწყვეტილია მსოფლიოს. ამგვარი გეოგრაფიული იზოლაციის გამო, თავდაცვის საჭიროება არ არსებობს. კუნძული ეკონომიკურადაც თვითკმარია. მდიდარი ბუნებრივი რესურსების ხარჯზე ბეკონი ქმნის ყოველმხრივ უზრუნველყოფილ ქვეყნას.

ბენსალემი ქრისტიანული საზოგადოებაა, მაგრამ აღიარებს რელიგიურ თავისუფლებას. სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის წევრებს უკავიათ მაღალი თანამდებობები, აქ ტოლერანტობა ნორმაა. რელიგიური დისპუტები, რომლებმაც განხეთქილება ჩამოაგდო ბევრ ევროპულ ქვეყანას შორის, უტოპიურ კუნძულზე არ არსებობს.

ფრენსის ბეკონი (1561-1626) – ინგლისელი ფილოსოფოსი, მეცნიერი, ესეისტი და სახელმწიფო მოხელე – იმ მოსაზრებას უჭერდა მხარს, რომ მეცნიერება კაცობრიობის თვითშენარჩუნების გასაღებია: „ბუნებაზე რომ იბატონო, მას უნდა დაემორჩილო“, ამბობდა იგი.

ბენსალემის სოციალური საფუძველი ოჯახია; ქორწინება არის საზოგადოების ფუძე. დღესასწაულების დროს, რომელიც ოჯახის ზეიმად არის ცნობილი და დაარსებული და დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, განსაკუთრებულ პატივს დიდი ოჯახის უფროსებს მიაგებენ. ოჯახი და მორალური საქციელი ურთიერთდაკავშირებული და სტაბილური თემური ცხოვრების ქვაკუთხედად არის მიჩნეული. თემის სტაბილურობას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ 2000 წლის წინ დიდსულოვანმა მმართველმა სოლომონმა შექმნა იმდენად სრულყოფილი კანონები, რომელთა განახლება მას მერე საჭირო აღარ გამხდარა.

ბენსალემი ძალიან პროგრესული საზოგადოებაა. მისი საუკეთესო მოაზროვნეები იკრიბებიან კოლეჯში, რომელსაც შესაბამისად სოლომონის სახლი ეწოდება; აქ მეცნიერების კანონები ექსპერიმენტებისა და დაკვირვების გზით „საგნების მიზეზების და იდუმალი ბუნების გარკვევის; ყველა შესაძლო საშუალებით ადამიანის იმპერიის საზღვრების გაფართოების“ აღმოსაჩენად გამოიყენება. პლატონის „*სახელმწიფოსგან*“ განსხვავებით, ბენსალემში ცოდნას არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იძენენ, არამედ ბუნებაზე ბატონობისათვისაც. მეცნიერება უნდა იყოს გამოყენებული „ადამიანის ყოფის შემსუბუქებისათვის“.

ბეკონისეული მეჩვიდმეტე საუკუნის შეხედულება ბევრ საკითხში წინასწარმეტყველურად ჟღერს. მაგალითად, კუნძულზე მეცნიერების მეშვეობით ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა შესამჩნევად იზრდება, ვინაიდან ავადმყოფობის მთელი სიმძიმე აღმოფხვრილია, შექმნილია ხილისა და ყვავილების ახალი ჯიშები, ზოგიერთ მათგანს სამკურნალო თვისებები აქვს, მკურნალობის სფეროში ტექნოლოგიური რევოლუცია მოხდა. ბენსალემის მკვიდრთ ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება შეუძლიათ, ვინაიდან მათი მეცნიერება ბუნების უმკაცრეს საიდუმლოებასაც კი ხსნის.

სამეამავლო გეგმა

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ვერ თანხმდებიან, რაში მდგომარეობს ბეკონის *ახალი ატლანტიდის* ნამდვილი მიზანი, ნაშრომი ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი ცნობილი და ავტორიტეტული მოაზროვნე ბეკონში „პირველ რეალურ, თანამედროვე უტოპისტს“ ხედავს, ვინაიდან ბეკონს ეგონა, რომ მისი იდეალური საზოგადოება არსებობას შეძლებდა.[6] *ახალი ატლანტიდა* არ მოიაზრებოდა როგორც მომავლის *ზუსტი* გეგმა; თუმცა, ბეკონმა შემოგვთავაზა საზოგადოების ერთი შესაძლო ფორმა, რომელშიც მეცნიერული პროგრესი შეუზღუდავად იქნებოდა ნებადართული. ბეკონის ტექნოლოგიური უტოპიის ხედვა მიზნად არ ისახავდა არსებული საზოგადოებისადმი პროტესტს, ეს იყო ადამიანის მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების გეგმა.

კარლ მარქსის უკლასო საზოგადოება: პასუხი ეკონომიკაა

კარლ მარქსიც (1818-1883) უტოპისტი იყო, მაგრამ პლატონისა და ბეკონისაგან განსხვავდებოდა. მარქსის წინამორბედნი იწყებდნენ თავისი სამოთხის დეტალური აღწერით და როდესაც სოციალური რეალობის კრიტიკაზე გადადიოდნენ, ეს უფრო ფარულად ხდებოდა, ვიდრე აშკარად. მათგან განსხვავებით, მარქსმა დაიწყო არსებული საზოგადოების აშკარა კრიტიკით და მისეული უტოპიის მხოლოდ ზოგადი მონახაზი შექმნა. ის საკუთარ თავს პრაქტიკოს-რეალისტად მიიჩნევდა და არა მეოცნებე იდეალისტად. იგი თავის მსოფლმხედველობას ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური რეალობის სწორ ემპირიულ აღქმად განიხილავდა და ამით უარყოფდა, რომ მისი იდეები წარმოსახვით აზროვნებას ეფუძნებოდა.



კარლ მარქსს (1818-1883) — გერმანელ ფილოსოფოსს, ეკონომისტსა და რევოლუციონერს — მიაჩნდა, რომ სამართლიანი სამყარო მხოლოდ კაცობრიობის კაპიტალისტურიდან სოციალისტურ ეკონომიკაზე გადასვლითა და საზოგადოების ევოლუციით მიიღწევა: „აქამდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა“.

მიუხედავად ამისა, მარქსიზმში უტოპიური ელემენტი აშკარაა. წინამორბედი უტოპისტებისაგან განსხვავებით მარქსს სჯეროდა, რომ მისი იდეალური საზოგადოება არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ გარდაუვალი იყო. კლასებს შორის მწვავე ბრძოლა, რომელსაც იგი წინასწარმეტყველებდა (იხ. თავი XIV), მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში შეიძლე-ბა იქნეს სწორად გაგებული, თუ ეს ბრძოლა აღიქმება, როგორც მშვიდობისა და სიუხვის აღთქმულ ქვეყანაში უტოპიური ცხოვრების აუცილებელი შესავალი. ეს წინასწარმეტყველება, მარქსის აზრით, იყო დაუძლეველი ძალის საბოლოო შედეგი, რომელიც კაცობრიობის ისტორიას მისი გარდაუვალი ბედისწერისკენ – უკლასო საზოგადოებისკენ – მიაქანებდა.

ეკონომიკის წამყვანი ტიპი

მარქსის გალაშქრება ეკონომიკური უთანასწორობის წინააღმდეგ, მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში კაპიტალიზმთან ასოცირებული შრომის მძიმე პირობებით და ფართოდ გავრცელებული ტანჯვით იყო გამოწვეული. მდიდარი კომერციული და ინდუსტრიული ელიტა (ბურჟუა კაპიტალისტთა კლასი) ეწინააღმდეგებოდა რეფორმებს, რომლებიც გაღარიბებული მუშათა კლასის (პროლეტარიატის) ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული. მარქსის *კაპიტალში* ნათლად არის აღწერილი დასაქმების სფეროდან მოტანილი ისეთი მაგალითები, რომლებმაც მისი რისხვა გამოიწვია, მაგალითად:

> მერი ენ ვოკლიმ იმუშავა შესვენების გარეშე 26.5 საათი 60 სხვა გოგოსთან ერთად, 30 გოგო ერთ ოთახში, რის გამოც საჭირო რაოდენობის ჟანგბადის ნაცვლად მხოლოდ ერთ მესამედ კუბურ ფუტს შეისუნთქვდნენ... მერი ენ ვოკლი ცუდად გახდა პარასკევს [და] მოკვდა კვირას... ექიმმა კეისმა, რომელიც დაგვიანებით გამოიძახეს, სასამართლოში განაცხადა, რომ „მერი ენ ვოკლი მოკვდა ხალხით გადატვირთულ ოთახში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად“.[7]

მარქსისათვის მერი ენ ვოკლის და სხვა მისნაირების სიკვდილი უბრალო შემთხვევითობა არ ყოფილა. მას სწამდა, რომ ეკონომიკა – მატერიალურ საჭიროებათა წარმოება და განაწილება – ადამიანის ცხოვრების ძირითადი განმსაზღვრელია და რომ ისტორიულად ადამიანთა საზოგადოებები იქმნებოდა და ინგრეოდა ეკონომიკური ფაქტორების მკაცრი დინამიკის შესაბამისად. მას სჯეროდა ისიც, რომ მერი ენ ვოკლი, რაკი კაპიტალიზმის ეპოქაში დაიბადა, განწირული იყო ხანმოკლე და ხელმოკლე ცხოვრებისათვის და საარსებო მინიმუმისთვის სამუშაოდ. წარმოების მეპატრონეებს – კაპიტალისტების კლასს კი – შეეძლო სულ უფრო მეტად გამდიდრებულიყო. ენ ვოკლის ცხოვრება და ადრეული სიკვდილი გამოწვეული იყო მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკით. თუმცა, მარქსის აზრით, კაპიტალიზმის განვითარების ლოგიკამ, გარდაუვალი გახადა სიძუნწესა და ექსპლუატაციაზე აგებული ძალაუფლების ზესტრუქტურების ნგრევა და მარქსის საყვარელი პროლეტარიატის – ღარიბი და გარიყული მუშათა კლასის დიდი სოციალური აღმასვლა.

პროლეტარიატის დიქტატურა

მარქსი რევოლუციური პროცესის პირველ სტადიას, რომელიც დაუყოვნებლივ მოჰყვება კაპიტალიზმის გადავარდნას, ***პროლეტარიატის დიქტატურას*** უწოდებს.

მარქსის მტკიცებით, ეს ისტორიული ეპოქა ***კომუნიზმის პირველი სტადია*** უნდა ყოფილიყო და კაცობრიობის ისტორიაში სოციალისტური ათასწლეულის დასაწყისი განესახიერებინა. პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც დროებითი ფენომენი, იარსებებდა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ იარსებებდა კონტრრევოლუციისაგან დაცვის აუცილებლობა. ამ დროის განმავლობაში შეიქმნებოდა ახალი რევოლუციური პროგრამები „ყველასგან შესაძლებლობების მიხედვით, ყველასთვის საჭიროებათა მიხედვით“ პრინციპით. ამგვარი პოლიტიკა გულისხმობდა კერძო საკუთრების გაუქმებას, მუდმივად მზარდ საშემოსავლო გადასახადს, მემკვიდრეობის უფლების გაუქმებას, სახელმწიფოს მიერ ყველა საკრედიტო დაწესებულების, აგრეთვე კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებების ცენტრალიზაციას, ყველა ბავშვისათვის უფასო განათლების შემოღებას, ბავშვთა შრომის გაუქმებას, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქარხნებისა და წარმოების საშუალებების გაფართოებას და „გამოუყენებელი მიწების კულტივაციასა და მიწის გაუმჯობესებას ზოგადი გეგმის შესაბამისად.“[8]

ამ სტადიების თანმიმდევრულად შესრულების შედეგად ხელისუფლება უბრალოდ თავისთავად გაქრებოდა. როცა (მარქსის კოლეგის, ფრიდრიხ ენგელსის აზრით) კლასობრივი განსხვავება და ანტაგონიზმი ბუნებრივად ქრება, სახელმწიფო ძალაუფლების ჩართვა სოციალურ ურთიერთობებში ზედმეტი ხდება და „ადამიანთა მმართველობა იცვლება საგნების და წარმოების პროცესის ადმინისტრირებით“. საბოლოო ჯამში „სახელმწიფო არ „ნადგურდება,“ იგი გადაშენდება.“[9]

არსებითად, მარქსი, პროლეტარიატის დიქტატურას (კომუნიზმის სოციალისტურ საფეხურს), უკლასო უტოპიის აუცილებელ შუალედურ რგოლად განიხილავდა. მარქსს სწამდა, რომ ადამიანები სუფთა გონებით იბადებიან და ის, რაც მოგვიანებით მათ გონებაში აღიბეჭდება, უფრო მეტად საზოგადოების ბუნებით განისაზღვრება, ვიდრე ინდივიდუალური გენეტიკური მემკვიდრეობით. მეტიც, მარქსი ვერ ხედავდა პიროვნების ჭეშმარიტ ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის შესაძლო დაძაბულობას. შესაბამისად, სოციალისტურ ხანაში ხალხი ბუნებრივად შეითვისებდა სოციალისტურ ღირებულებებს. კაპიტალისტური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სადაც, თითქოს, კონკურენტული მოქალაქეების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს, რომლებიც სინამდვილეში დეგრადირებულნი არიან და ექსპლუატაციას უწევენ ერთმანეთს, სოციალისტური სახელმწიფო აყალიბებდა კოოპერატიულ მოქალაქეებს, რომლებიც პატივს სცემდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს. კლასობრივი კონფლიქტი თავისთავად აღმოიფხვრებოდა და ინტერესთა ბუნებრივი ჰარმონიით იქნებოდა ჩანაცვლებული.

სახელმწიფოთა გაქრობის მარქსისტული რწმენა ინტერესთა მთლიანობის ერთგვარ ლოგიკაზე იყო დაფუძნებული: კერძო საკუთრების შემცირებითა და შრომის დანაწილებით სოციალური უთანასწორობა მცირდება, ხოლო სოციალური უთანასწორობის შემცირებით – შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზები. თავისთავად, კლასების არარსებობის შემთხვაში კლასობრივი ბრძოლაც შეუძლებელი ხდება. დაბოლოს, შეიარაღებული კონფლიქტის შემცირებით სახელმწიფოს საჭიროებაც მცირდება. წარსული საზოგადოებები იყო მხოლოდ ადამიანთა გამოგონება კლასობრივი დომინანტობის შესანარჩუნებლად. მარქსის თანახმად, სოციალური კლასების გაქრობასთან ერთად უფუნქციოდ დარჩენილი მთავრობაც მოკვდება.

უკლასო საზოგადოება

როგორც მარქსი წინასწარმეტყველებდა, მთავრობის არსებობის ბუნებრივი დასასრული ***კომუნიზმის მეორე სტადია*** – უკლასო საზოგადოებაში უნდა მომხდარიყო. ამ კომუნისტურ უტოპიაში ნამდვილი ადამიანური სურვილების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა. კაპიტალიზმში, წერდა მარქსი, „ყველას კონკრეტული, განსაზღვრული საქმიანობის თავსმოხვეული სფერო აქვს, რომელსაც თავს ვერ დააღწევს. მონადირეა ის მეთევზე, მწყემსი თუ „კრიტიკული კრიტიკოსი", ასეთად უნდა დარჩეს, თუ არ უნდა, რომ არსებობის საშუალება დაკარგოს."[10] ამის საპირისპიროდ, კომუნიზმში,

> სადაც არავის აქვს საქმიანობის განსაზღვრული სფერო, მაგრამ შეუძლია მოამზადოს საკუთარი თავი მის მიერ არჩეულ დარგისათვის, საერთო პროდუქციის რეგულირების გზით საზოგადოება შესაძლებელს ხდის ჩემთვის გავაკეთო ერთი საქმე დღეს და მეორე ხვალ. ვინადირო დილით, ვითევზაო შუადღეს, ვმწყემსო ნახირი საღამოს, აგრეთვე გავაკრიტიკო ვახშამი – ზუსტად ისე, როგორც მე მინდა – მონადირედ, მეთევზედ, მწყემსად ან კრიტიკოსად გადაქცევის გარეშე.[11]

ინდივიდუალური თვითრეალიზაციის პარალელურად, განვითარდებოდა ბედნიერების მომტანი სოციალიზმი, რომლის დროსაც ადამიანები იქნებოდნენ „ლოიალური, ბრძენი და არაკორუმპირებული ამხანაგები, რომლებიც ერთმანეთს სრულიად არაეგოისტური კეთილგანწყობით მოეპყრობოდნენ."[12] მარქსის უკლასო საზოგადება ამ მხრივ ვირტუალურად ყველა დანარჩენ უტოპიას მოგვაგონებს. ერთ-ერთი მეცნიერი მარქსისტული უტოპიზმის შესახებ აღნიშნავს, რომ კომუნისტური საზოგადოების მარქსისეული აღწერა ბევრ სხვა უტოპიურ შრომასთან „საერთო ეთიკურ საფუძველს" იზიარებს, რომლის მთავარი მახასიათებლებიცაა „საერთო და არა კონკურენტული შრომა, საზოგადოებისთვის სასიკეთო მიზნები და არა თვითკმაყოფილება და ჰედონიზმი – თითოეულ წევრზე სოციალური პასუხისმგებლობის ეთიკა და არა ყველაზე ძლიერთა გადარჩენისათვის ბრძოლა."[13]

მომავლის სურათი, რომელიც მარქსმა და ენგელსმა მსოფლიოს შესთავაზეს, ნამდვილად მიმზიდველი დ ა უტოპიური იყო:

> დანაშაული აღმოიფხვრებოდა, ცხოვრების ხანგრძლივობა გაიზრდებოდა, ძმობა და თანამშრომლობა ახალ მორალურ წესებს დაამკვიდრებდა, მეცნიერული პროგრესი სწრაფი ტემპით განვითარდებოდა. ყველაფერთან ერთად, სოციალიზმის მთელ მსოფლიოში გავრცელებით, კაცობრიობის უდიდეს დაავადებას – ომსა და მის ტყუპ ძმას, ნაციონალიზმს – ადგილი აღარ ექნებოდა. ამას საერთაშორისო მეგობრობა მოჰყვებოდა ... სოციალური რევოლუციით კაცობრიობა დაასრულებდა მის „პრეისტორიულ" ხანას და პირველად შეაბიჯებდა იქ, რასაც შეიძლება მისი საკუთარი ისტორია ეწოდოს.
> ...რევოლუციის შემდგომ გაერთიანებულ უკლასო საზოგადოებას პირველად შეეძლება გადაწყვიტოს, რომელი გზით წავიდეს და როგორ გამოიყენოს საკუთარი რესურსები და შესაძლებლობები. პირველად ჩვენ თავად შევქმნით საკუთარ ისტორიას! ეს არის „ნახტომი მონობიდან დამოუკიდებლობისაკენ, სიბნელიდან სინათლისაკენ."[14]

უტოპიისაკენ დაბრუნება

არც ერთ უტოპიაში, რომელიც განვიხილეთ, არ არსებობს კონფლიქტი, შური, წინააღმდეგობა, მტრული დისპუტები ან პირადი იმედგაცრუება. არანაირი ღრმად ფესვგადგმული დაპირისპირება არ ყოფს ინდივიდებს და არ არსებობს დიდი ანტაგონიზმი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. თუმცა, ყველა ეს იდეალური სახელმწიფო სხვადასხვა ხედვით არის ინსპირირებული და წესრიგის გეგმაც სხვადსხვაგვარი აქვს.

უტოპიით შთაგონება

როგორც ვნახეთ, პოლიტიკური მოაზროვნეები უტოპიას სხვადასხვა მიზეზის გამო ქმნიან. *„სახემწიფოში“* პლატონმა ადამიანის სრულყოფილების საზღვრები გამოიკვლია; იგი არა მარტო საუკეთესო პოლიტიკური წყობის აღწერას ცდილობდა, არამედ სურდა ნათელი მოეფინა იმ პრობლემებისათვის, რომლებიც შესაძლოა მოჰყოლოდა ასეთი პოლიტიკური წყობის დანერგვის მცდელობას. მისგან განსხვავებით, ბეკონმა *„ახალი ატლანტიდა“* დაწერა არა იმისათვის, რომ ადამიანური შესაძლებლობების ზღვარი ეჩვენებინა, არამედ წარმოეჩინა, თუ რისი მიღწევა შეუძლია თანამედროვე მეცნიერებაზე დაფუძნებულ საზოგადოებას. ბეკონს აინტერესებდა არა ადამიანთა შეზღუდვები, არამედ მათი შესაძლებლობები. მისი ნაშრომი დამაიმედებელია და ადამიანის კეთილდღეობის შესამჩნევ გაუმჯობესებას გვპირდება.

მარქსის უტოპიური შეხედულებაც იმედისმომცემია; მეტიც, იგი შედგება მისი მსოფლმხედველობის ლოგიკური და აუცილებელი ნაწილისგან. გზის ბოლოს უკლასო საზოგადოების დაპირების გარეშე, ძალადობა და ტანჯვა, რომელიც მარქსის რწმენით, აუცილებლად თან უნდა ახლდეს კაპიტალიზმის დასასრულს, საბოლოოდ აზრს მოკლებული იქნება. მარქსის უტოპია იმედის ნაპერწკალს სახავს რევოლუციისა და ბრძოლის უიმედო პერსპექტივაში.

გზა უტოპიისაკენ

იმისათვის, რომ შეიქმნას სრულიად ბედნიერი და ჰარმონიული მსოფლიო, ავტორმა უნდა წარმოადგინოს საზოგადოების კონსტრუირების ახლებური ხედვა. პლატონი ფილოსოფიაში ხედავდა გასაღებს. მისეული სახელმწიფო ვერ იარსებებდა, სანამ მის მმართველობაში ყველაზე ჭკვიანი ფილოსოფოსები არ მოვიდოდნენ; სხვაგვარად არის ბეკონთან, რომლისთვისაც ნათელი მომავალი არის არა ადამიანთა აბსტრაქტული ცოდნის შედეგი, არამედ მეცნიერული მეთოდების ტექნიკური განვითარება. მისი „სოლომონები“ არ იყვნენ ფილოსოფოსები, რომლებიც იდეების სულიერ სფეროზე წუხდნენ; ისინი იყვნენ მეცნიერები, რომლებიც ადამიანთა შესაძლებლობების განმტკიცების მიზნით აანალიზებდნენ, იკვლევდნენ, სისტემატიზაციას უკეთებდნენ, იწერდნენ და ამოწმებდნენ ბუნების სხვადასხვა ფენომენს. მარქსისათვის ფილოსოფია და მეცნიერება ეკონომიკამ დაჩრდილა: მისი აზრით, არაექსპლუატაციური ეკონომიკური ურთიერთობები მშვიდობიანი და მდიდარი ქვეყნის გარანტიაა.

უტოპიის პრაქტიკულობა

თანამედროვე მეცნიერულ და ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, ზოგიერთი პოლიტიკური მოაზროვნე უფრო სერიოზულად დაფიქრდა უტოპიის მიღწევის პრაქტიკულ შესაძლებლობაზე. ახალი უტოპისტები, რაკი შეიარაღდნენ უფრო მეტად განვითარებული ინსტრუმენტებით – ახალი მეცნიერებით, ახალი ეკონომიკით – დედამიწაზე სამოთხის არსებობას სულ უფრო ხშირად განიხილავენ როგორც რეალურ შესაძლებლობას და არა უბრალოდ აუსრულებელ ოცნებას.

ეს ტენდენცია ნათლად არის ასახული ზემოთ განხილულ უტოპიურ ნაშრომებში. მაგალითად, პლატონი გვიჩვენებდა, რომ მისი უტოპიის შექმნა და შენარჩუნება, სრულიად შეუძლებელი თუ არა, ძალიან რთული იქნებოდა. მისგან განსხვავებით, ბეკონმა აღწერა საზოგადოება, რომელიც თანამედროვე მეცნიერების ყველა შესაძლობლობის სრულად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია გამხდარიყო ადამიანის კეთილდღეობის განმტკიცების საფუძველი. რა თქმა უნდა, ბეკონი უტოპიას მომავლის შესაძლებლობად განიხილავდა, თუმცა მიაჩნდა, რომ მისი მიღწევა ადამიანს ხელეწიფება. მარქსის უკლასო საზოგადოება არათუ შესაძლებელი, არამედ გარდაუვალიც იყო — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების დამტკიცება და ჯილდო.

საბოლოოდ, უტოპიებმა სამომავლო გეგმის სახე მიიღო. ამ გეგმების საერთო საფუძველია ზოგადი ხედვები ადამიანთა მოდგმისა და იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანისთვის საუკეთესო.

უტოპია და ადამიანის მუნემა

„სახემწიფოში“, იდეალური ქალაქის აღწერასთან ერთად, აღწერილია მისი დაღუპვაც. ნაშრომის ერთ-ერთი ინტერპრეტაციის მიხედვით, პლატონი ხვდებოდა, რომ ადამიანთა სრულყოფილი თემის დაარსების შემთხვევაშიც კი, მისი გადაგვარება გარდაუვალი გახდებოდა. ამგვარად, პლატონმა დასვა კითხვა, რომელიც გადამდები აღმოჩნდა ყველა შემდგომი უტოპიისათვის: როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ცვლილება? განმარტების მიხედვით, უტოპია არის საუკეთესო პოლიტიკური წყობა; აქედან გამომდინარე, მასში განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება უარესობისკენ არის მიმართული. ამგვარად, პარადოქსულად, ცვლილება ამ ნოვატორული საზოგადოებების მომაკვდინებელი მტერი ხდება.

ცვლილებებისაგან დასაცავად უტოპისტმა ავტორმა იდეალურ საზოგადოებაში არაფერი უნდა დატოვოს შესაცვლელი, განსაკუთრებით ის, რაც ***ადამიანის ბუნებას*** ეხება. ხალხის მშვიდად და ჰარმონიულად ცხოვრებისათვის აუცილებელია აღმოიფხვრას ან მკაცრად გაკონტროლდეს ადამიანის ისეთი ფუნდამენტური თვისებები, როგორიცაა უზნეობა, ბოროტება და არაპროგნოზირებადობა.

ბედნიერი სახელმწიფოს ძიებაში უტოპიები, როგორც წესი, მოიცავენ ***ეუგენიკურ*** პროგრამებს, იძულებით განათლებასა და კერძო საკუთრების აკრძალვას. ეუგენიური პროგრამის მიზანია გააკონტროლოს ხალხის მემკვიდრეობითი თვისებები სელექციური გამრავლების გზით, ხოლო იძულებითი განათლება განიხილებოდა, როგორც საჭირო მეთოდი საუკეთესო ადამიანური თვისებების შენარჩუნებისა და არასასურველი თვისებების აღმოფხვრისათვის. უტოპიურმა

მოაზროვნეებმა იმავე მიზნით დაუჭირეს მხარი კერძო საკუთრების აღმოფხვრას, რათა განიდევნოს ეგოიზმი, სიხარბე და სიძუნწე ადამიანის ბუნებიდან. უტოპისტების უმეტესობის აზრით, ადამიანის ეგოიზმი გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტებით, რომლებიც იცავენ, მხარს უჭერენ და სამუდამოდ ინარჩუნებენ უთანასწორობას და ეს ინსტიტუტები შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ საზოგადოების ფუნდამენტური რეორგანიზაციით. ამის გამო, ბევრ უტოპიაში საერთო სათემო აქტივობა, საერთო საცხოვრებელი და საზოგადოებრივი კვება ანაცვლებს ქონების კერძო მესაკუთრეობას იმ იმედით, რომ თანამშრომლობა გაიმარჯვებს კონკურენციაზე.

საზოგადოების რადიკალური რეორგანიზაციის გეგმათა უმეტესობას საფუძვ-ლად უდევს ადამიანის ბუნების სპეციფიკური ხედვა. ამ თვალსაზრისით, ადამიანთა შორის კონფლიქტი წარმოიშობა ცუდად ორგანიზებულ ან კორუმპირებულ საზოგადოებაში, რასაც ხშირად, უბრალოდ „სისტემა“ ეწოდება. თუ ფუნდამენტურად არაკორექტუ-ლი ინსტიტუტების ნეგატიური გავლენა აღმოიფხვრება, ადამიანის ქცევა პოზიტი-ურისკენ შეიცვლება. უტოპიური შეხედულების მთავარი რწმენა ისაა, რომ ადამიანის ბუნება კარგი თუ არა, დამჯერი მაინც არის (და ამის გამო პოტენციურად კარგია).

უტოპია და პოლიტიკის უგულგულყოფა

უტოპიური რწმენა, რომ ადამიანის ბუნება უნდა და შეიძლება ადვილად შეიცვალოს, სერიოზულ კითხვებს ბადებს. თუ გარემოს მართლაც შეუძლია სერიო-ზული გავლენა იქონიოს ინდივიდზე, მაშინ ადამიანი არა მარტო მორალური სრუ-ლყოფილების, არამედ მორალური გახრწნის კანდიდატი ხდება. აქედან გამომდინ-არე, უტოპიის დროს ნებისმიერმა ნაკლმა შეიძლება ოცნება კოშმარად აქციოს.

თითქმის ყველა უტოპიაში (მარქსის პროლეტარიატის დიქტატურის ეტაპის ჩათვლით) პოლიტიკური ძალაუფლება ცენტრალიზებულია. შესაბამისად, უტო-პიურ მთავრობებს განკარგულებაში აქვთ ძლიერი ინსტრუმენტები, რომლებითაც აკონტროლებენ ადამიანთა ქცევას. თავისთავად ეს ინსტრუმენტები ნეიტრალუ-რია; ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ იყენებენ მათ – ბრძნულად თუ სულელურად, რაციონალურად თუ მფლანგველურად, მორალურად თუ ამორალუ-რად. ხშირად, უტოპისტები თვლიან, რომ ეს ინსტრუმენტები ყოველთვის სასიკე-თოდ იქნება გამოყენებული. მაგრამ თანამედროვე ტექნოკრატიული სახელმწიფოს ძალაუფლებისა და დამყოლი ადამიანური ბუნების გათვალისწინებით, ეს ვარაუდი, რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია. უტოპიური სქემების კრიტიკოსებს აწუხებდათ არა უბრალოდ ძალაუფლების ერთ ადგილას თავმოყრა, რასაც ისინი ხშირ შემთხ-ვევაში დადებითად აფასებდნენ კიდეც, არამედ ძალაუფლების განხორციელებისას შეკავებისა და გაწონასწორების სრული არარსებობა.

უტოპიის მიმდევრები, როგორც წესი, პოლიტიკისა და მთავრობისადმი მცირე ინტერესს იჩენენ. ისინი ვერ ხედავენ ძალაუფლებასა და სამართლიანობას შორის კონფლიქტური ურთიერთობის დარეგულირების აუცილებლობას. მატერიალური სიმდიდრის, სამოქალაქო სულისკვეთებით განმსჭვალული მოქალაქეებისა და ადა-მიანის სურვილებსა და კეთილდღეობას (ან სოციოეკონომიკურ თანასწორობასა და პიროვნულ აღმატებულებას) შორის მცირე ან არარსებული კონფლიქტის შემ-თხვევაში, სოციალური სამართლიანობის მიღწევა გახდება უფრო ტექნიკური,

ვიდრე პოლიტიკური სახის პრობლემა. ამგვარად, არსებული მთავრობის მუშაობის ძირითადი მექანიზმი – ძალაუფლებათა გამიჯვნა, შეკავება და გაწონასწორება, სასამართლო ზედამხედველობა და ა.შ. – უტოპისტათა უმეტესობისთვის ინტერესმოკლებული იყო.

დისტოპია: ოცნებიდან კოშმარამდე

უკონტროლო პოლიტიკური ძალაუფლების საშიშროებანი და კოშმარად გადაქცეული უტოპიის თემა თვალსაჩინოდ არის განხილული ისეთ ცნობილ ნაშრომებში, როგორებიცაა ჯორჯ ორუელის *„ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი“* (1961) და ოლდოს ჰაქსლის *„მამაცი ახალი სამყარო“* (1932). ორივე წიგნი ***დისტოპიის*** გრაფიკული აღწერაა – საზოგადოება, რომლის შემქმნელებიც აპირებდნენ სრულყოფილი პოლიტიკური წყობის აშენებას, აღმოაჩენს, რომ შეუძლებელს დაჰპირდნენ. ისინი ხელისუფლებაში დარჩენას მხოლოდ ძალადობისა და კომუნიკაციის სისტემის მეშვეობით დამყარებული მკაცრი მონოპოლიის გზით ახერხებენ.

ორუელის სამყარო

„ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხში“ ტოტალიტარი მმართველები (რომელთაც განასახიერებს ბუნდოვანი ფიგურა, რომელსაც დიდ ძმას უწოდებენ) ინარჩუნებენ ძალაუფლებას არა მარტო ადამიანთა მოქმედებებისა და ქცევის ფორმების, არამედ მათი აზროვნების წყაროსა და მეთოდების მანიპულირებით. დაარსებულია სიმართლის სამინისტრო, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი მიზანი – სისტემატურად მოატყუოს მოქალაქეები; გამოგონილია ახალი ენა („*Newspeak*“) — ყველა იმ სიტყვის, იდეის და გამოთქმის აღმოსაფხვრელად, რომელიც მთავრობის მიერ საშიშად არის მიჩნეული; გარდა ამისა, შემოღებულია ურთიერთსაწინააღმდეგო ლოგიკა (ორმაგი აზროვნება), რომლის მიზანიცაა მოქალაქეთა გონებისათვის მისაღები გახადოს ოფიციალური პროპაგანდის უპრინციპობა.

ოფიციალური იდეოლოგიის თანახმად, სახელმწიფო ტერორის, მკაცრი ცენზურისა და მუდმივი მეთვალყურეობის მიზანია რევოლუციის მტრებს არ მიეცეთ საშუალება, დაარღვიონ მარში სრული კომუნიზმისკენ – მშრომელთა სამოთხისკენ, სადაც ყველა იქნება ბედნიერი, დაცული, წარმატებული და თანასწორი. თეორიულად, მასები საკუთარ ბედს თავად განაგებენ, პრაქტიკულად კი ისინი მონების ახალ კლასად გადაიქცევიან. მათ ბედს განკარგავს ყველაზე უმოწყალო ტირანი (ან ტირანები), როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ან შესაძლოა, ვერც წარმოვიდგინოთ (ორუელის დახმარების გარეშე).

უტოპია და ტერორიზმი

XV თავში განვიხილავთ ტერორიზმის ბუნებას და გავლენას შიდა და საერთაშორისო პოლიტიკაზე თანამედროვე მსოფლიოში. ტერორისტული აქტები ხშირად ასოცირდება რელიგიურ ან იდეოლოგიურ ფანატიზმთან, განსაკუთრებით, თუ ასეთი

აქტები ხორციელდება სრული თავგანწირვით, როგორც ეს ხდება თვითმკვლელი ტერორისტების შემთხვევაში. ნორმალურ ხალხს უკვირს, რა შეიძლება იყოს ადამიანის მოტივაცია შეასრულოს მისია, რომელიც ერთდროულად ბარბაროსულიცაა და თვითგამანადგურებელიც. 2001 წლის 11 სექტემბრის შემთხვევა – კოორდინირებული შეტევა მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ნიუ-იორკში და პენტაგონზე ვაშინგტონში, რომელშიც მრავალი ადამიანი მონაწილეობდა და იარაღად გატაცებული კომერციული ავიალაინერები გამოიყენეს, შოკის მომგვრელი და ძნელად გასაგებია. რა არის სათავე ასეთი სიძულვილისა, რას შეუძლია არა ერთი პირის, არამედ პირთა ჯგუფების მოტივირება, რათა დაგეგმონ, ხანგრძლივად მოამზადონ და საბოლოოდ განახორციელონ ერთობლივ თვითმკვლელობაზე დაფუძნებული მასობრივი მკვლელობა?

ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს. იქნებ კარგიცაა, რომ უმრავლეს ჩვენთაგანს არ შეუძლია გაიგოს, როგორ პოულობს ვინმე „კარგ“ მიზეზს, უდანაშაულო ხალხისათვის ასეთი ზიანის მისაყენებლად. მაგრამ სავსებით შესაძლებელია – (და ალბათ ასეც არის) – რომ ზოგიერთი ტერორისტი მოტივირებულია იმ დამახინჯებული იდეით, როგორი შეიძლება იყოს სამყარო ბოროტების, როგორც მას ისინი უწოდებენ, სათავეების განადგურების შემდეგ.[15] მეორეხარისხოვანია, რა აზრით ეს „ბოროტება“: კაპიტალიზმი, მატერიალიზმი, ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები თუ სხვა რამ. ექსტრემისტები წარმოიდგენენ დროს, როდესაც, მაგალითად, ისლამური საზოგადოება წმინდა და შეურყვნელი იყო, სანამ დასავლური იდეები, ფასეულობები, მუსიკა, ფული და შეიარაღებული ინტერვენცია წაბილწავდნენ მორწმუნეებს და ძალიან იოლად ასრულებენ მიზეზს – მტერს. ისინი დამახინჯებულად ხედავენ წარსულს, აწმყოსა და მომავლს. შემაშფოთებელია, რომ თანამედროვე ისტორიაში სწრაფვა უტოპიისკენ, დედამიწის იმ ადგილისკენ, სადაც ბედნიერებას არ აქვს საზღვარი, ხშირად ასოცირდება ძალადობასთან, რომელსაც ასევე არ აქვს საზღვარი.

დასკვნითი მოსაზრებანი

შესაძლოა, ზოგიერთი, შედარებითი მოკრძალებული ინსტიტუტი ზოგადი მმართველობის რიგიანი მუშაობისთვის უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე მას უტოპისტები უთმობენ. როგორც ვნახეთ, უტოპიური გეგმები სავსეა ფარული საფრთხეებით. მიუხედავად იმისა, რომ უტოპიური სქემები ხშირად საუკეთესო სურვილებითაა მოტივირებული და მაღალი იდეალებით განმტკიცებული, როგორც პლატონმა აღმოაჩინა, სხვა ადამიანურ სწრაფვათა უმეტესობის მსგავსად, მაინც წარუმატებლობისთვის არის განწირული. რეალურ სამყაროში, უტოპიური ოცნებების მსხვრევა მთლიანად საზოგადოების ნგრევას იწვევს, რაც ნათლად აჩვენა მეოცე საუკუნის ტოტალიტარიზმმა, რომელიც მეტწილად უტოპისტურ იდეალებს ემყარებოდა.

დასკვნა

ტომას მორმა ტერმინ *უტოპიაში* სრულყოფილი ჰარმონიისა და ბედნიერების წარმოსახვითი საზოგადოება იგულისხმა. მეთექვსმეტე საუკუნეში მორის *უტოპია*

იყო შემპარავი შეტევა ჰენრი VIII-ის მმართველობის დროინდელი ინგლისის საზოგადოების მანკიერებებზე. თუმცა, „სრულყოფილი“ პოლიტიკური წყობის განსაზღვრის პირველი მნიშვნელოვანი მცდელობა პლატონის „*სახელმწიფოში*“ გვხვდება.

სახელმწიფოში პლატონი ფილოსოფიური გამოკვლევების გზით სამართლიან საზოგადოებას ეძებდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ფრენსის ბეკონის *ახალმა ატლანტიდამ* გვიჩვენა, როგორ შეიძლება, თანამედროვე მეცნიერების მეშვეობით, გაიზარდოს ადამიანის შესაძლებლობები. მოგვიანებით, კარლ მარქსმა შემოგვთავაზა შეხედულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ საზოგადოების შიგნით ეკონომიკურ ურთიერთობათა რადიკალური რეორგანიზაციის გზით არის შესაძლებელი ჭეშმარიტი სამართლიანობის მიღწევა და ადამიანთა ტანჯვის დასრულება. მარქსის საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის თეორიის საბოლოო მიზანი უკლასო საზოგადოების შექმნაა.

ზოგადად, უტოპიური აზრები იდეალიზმითა და სოციალური უსამართლობის შეუწყნარებლობით იყო შთაგონებული. თუმცა, უტოპიის სავარაუდო სასურველობა ხშირად ეწინააღმდეგება მის პრაქტიკულ შესაძლებლობას. უტოპიური საზოგადოების პრინციპული დაბრკოლება არის ადამიანის ბუნების უდავო არაპროგნოზირებადობა და ეგოიზმი, რომლის კონტროლსაც უტოპისტი მოაზროვნენი ევგენიკური პროგრამების, სავალდებულო განათლების სისტემით და კერძო საკუთრების გაუქმებით ცდილობდნენ.

უტოპისტები ხშირად ადანაშაულებენ პოლიტიკოსებს, რომ მათ ვერ გააუმჯობესეს საზოგადოების ყოფა. შედეგად, ბევრ უტოპიურ გეგმაში, სასურველ ცვლილებათა გატარების დროს, პოლიტიკოსების როლი ან მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ან საერთოდ გაუქმებული. პოლიტიკის უგულვებელყოფა უტოპიური სქემების უმეტესობას კრიტიკის სამიზნედ ხდის, ვინაიდან ისინი ადვილად შეიძლება იქცნენ ტოტალიტარიზმის გეგმად. ასეთი გეგმები ასახულია ნაშრომებში, რომლებშიც უტოპია ღამის კოშმარად გადაქცეულ დისტოპიად იქცევა.

საკვანძო სიტყვები

უტოპია	კომუნიზმის მეორე სტადია
ფილოსოფოსი-მეფეები	ადამიანის ბუნება
პროლეტარიატის დიქტატურა	ევგენიკა
კომუნიზმის პირველი სტადია	დისტოპია

კითხვები გამეორებისათვის

1. საიდან წარმოიშვა და რას ნიშნავს სიტყვა „უტოპია“?
2. აზრთა როგორი სხვადასხვაობა იყო უტოპისტ მწერალთა შორის უტოპიის პრაქტიკულობის თაობაზე?

3. უტოპისტი მწერლები ხშირად გარკვეულ ვარაუდს გამოთქვამენ ადამიანის ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. განმარტეთ.
4. რისი სწავლა შეგვიძლია უტოპიური შეხედულებებიდან თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკასთან მიმართებაში?
5. მეოცე საუკუნეში ტოტალიტარიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ცალკეულ მწერლებზე, რომელთა მოთხრობებში უტოპია „თავდაყირაა“ წარმოდგენილი. განმარტეთ.

შენიშვნები

1. იხ. eo Strauss, *What Is Political Philosophy? and Other Studies* (New York: Free Press, 1959), 10.
2. Allan Bloom, “Interpretive Essay,” in *The Republic of Plato,* trans. Allan Bloom (New York: Basic Books, 1968), 308-310.
3. პლატონისეული პოლიტიკური წესრიგის იდეალს ყველაზე ზუსტად ასახავს „city“. ბერძნული სიტყვა გულისხმობს მცირერიცხოვან თვითკმარ საზოგადოებას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ადამიანურ ურთიერთობას. თანამედროვე განსხვავება, მაგალითად, საზოგადოებასა და მთავრობას ან ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკმაოდ უცხოა ამ ცნებისათვის.
4. Bloom, *The Republic of Plato,* 410.
5. იქვე.
6. Howard White, *Peace among the Willows: The Political Philosophy of Francis Bacon* (The Hague: Martinus Nijhoff, 1968), 97,102.
7. arl Marx, “Capital: Selections,” in *The Marx-Engels Reader,* ed. Robert C. Tucker (New York: Norton, 1972), 259.
8. Karl Marx and Friedrich Engels, “Manifesto of the Communist Party,” in *The Marx-Engels Reader,* ed. Robert C. Tucker (New York: Norton, 1972), 352.
9. Friedrich Engels, “Socialism: Utopian and Scientific,” in *The Marx-Engels Reader,* ed. Robert C. Tucker (New York: Norton, 1972), 635.
10. Karl Marx, “Outlines of a Future Society, from ‘The Germany Ideology,’” in *Capital, Communist Manifesto, and Other Writings,* ed. Max Eastman (New York: Modern Library, 1932), 1.
11. იქვე.
12. Joseph Cropsey, “Karl Marx,” in *History of Political Philosophy,* ed. Leo Strauss and Joseph Cropsey (Skokie, 111.: Rand McNally, 1969), 717.
13. Jerome Gilison, *The Soviet Image of Utopia* (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1975), 110.
14. Roy Macrides, *Contemporary Political Ideologies* (Cambridge, Mass.: Winthrop, 1980), 180.
15. B. F. Skinner, *Walden Two* (New York: Macmillan, 1962), 159.
16. იქვე, 161.
17. იქვე, 104-105.
18. იქვე, 262.

19. იქვე, 193.
20. იქვე, 272.
21. იქვე, 295.
22. მაგალითისათვის იხ. Daniel Pipes-ის ნაშრომები, განსაკუთრებით *The Hidden Hand: Middle East Theories of Conspiracy* (New York: Free Press, 1997) and *Conspiracy: How the Paranoid Style Flourishes and Where It Comes From* (New York: Free Press, 1998); იხ. ასევე, Fouad Ajami, *The Dream Palace of the Arabs: A Generation's Odyssey* (New York: Pantheon, 1998).



თავი III

კონსტიტუციური დემოკრატია

წარმომადგენლობის რევოლუცია

დემოკრატიული კონსტიტუციები
დემოკრატია, როგორც მგრძნობიარე ხელისუფლება

- უმრავლესობის მმართველობა
- უმრავლესობის ტირანია

დემოკრატია, როგორც შეზღუდული ხელისუფლება

- უმცირესობის უფლებები
- კანონის უზენაესობა
- კონსტიტუციონალიზმი, როგორც მართებული პროცედურა
- ფედერალიზმი

დემოკრატია, როგორც ეფექტიანი ხელისუფლება

- სტაბილურობის აუცილებლობა
- ქმედითობის აუცილებლობა

ხელისუფლების ხელახლა გამოგონება: განმანათლებლობა და ამერიკის იდეა
თავისუფლების არქიტექტურა

- შეკავება და გაწონასწორება
- საპრეზიდენტო სისტემა
- ძალაუფლების დანაწილება
- შეზღუდვები უმრავლესობის მმართველობაზე
- როდისაა ძალაუფლება გადამეტებული?

კონსტიტუციური დემოკრატიის პრინციპით მოქმედებს მთავრობა, რომელიც პირდაპირაა არჩეული ანუ რომელიც, ამერიკის დამფუძნებელ მამათა თქმით, „წარმომადგენლობით სტრუქტურას“ მოიცავს. **რესპუბლიკაში** (ეფუძნება *არაპირდაპირი* დემოკრატიული მმართველობის პრინციპს) პოლიტიკურ პროცესში ხალხი მონაწილეობს როგორც პირდაპირ, ისე არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. ისეთი მრავალფეროვანი ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, პოლონეთი, ინდოეთი, სამხრეთი აფრიკა, ბრაზილია და მექსიკა, ითვლება *კონსტიტუციური დემოკრატიის* მაგალითებად. ისეთი ოფიციალური სახელები, როგორებიცაა გერმანიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა ან სამხრეთ კორეის რესპუბლიკა, ასახავს იმას, რომ თანამედროვე დემოკრატიის არსი წარმომადგენლობაა. შესაბამისად, რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრებისთვის არაფერია სასიცოცხლოდ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, როგორც რეგულარული არჩევნები, რაც საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და ხმის ფარულად მიცემის პრინციპებს ეფუძნება. ადვილია იმის დავიწყება, რომ ამ უფლებებისთვის დედამიწის მრავალ ადგილზე უამრავი ადამიანი იბრძოდა და იღუპებოდა მსოფლიო ისტორიის ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. დღეისათვის გაცილებით მეტი ადამიანი გაცილებით მეტ ადგილას სარგებლობს ხმის მიცემის უფლებით, ვიდრე ოდესმე. რეტროსპექტიულად რომ შევხედოთ, ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების შემდგომი ორსაუკუნოვანი ისტორია ძირითადად სწორედ *ადამიანის ღირსებისა* და *სახალხო თვითმმართველობისთვის* ბრძოლის გამოხატვაა (ეს ორი ტერმინი, ბევრი ადამიანის გონებაში არსებითად ერთსა და იმავეს ნიშნავს).

იქაც, სადაც ხალხი პოლიტიკური ძალაუფლების ძირითადი წყაროა, ყველაფრის გაკეთება მასაც არ შეუძლია. ნებისმიერი არსებული დემოკრატია შეზღუდვებს უწესებს უმრავლესობის მმართველობას. ეს შეზღუდვები ხშირად უმცირესობის უფლებებში გამოიხატება – ეს ის უფლებებია, რომლებიც გარანტირებულია თუნდაც იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც საერთოდ ვერ ეწყობიან უმრავლესობას. გამომდინარე აქედან, გამომუშავებულია იმ პროცედურების განმსაზღვრელი რეგულაციის სტანდარტული წესები, რომლის ფარგლებშიც მთავრობა მოქმედებს.

დემოკრატიული კონსტიტუციები

სახელმწიფოს *კონსტიტუცია* ქმნის ხელისუფლების მოწყობისა და მოქმედების სქემას, შესაბამისად განსაზღვრავს, როგორც მის უფლებამოსილებათა, ისე ამ უფლებამოსილებების განხორციელების ჩარჩოებს (შეზღუდვებს). თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმეტესობას დაწერილი კონსტიტუცია აქვს, მაგრამ ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ძირითადად ისტორიისა და მოცულობის მიხედვით. ზოგი მათგანი, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისა, ლაკონურობის მაგალითებია, სხვებისა, ვთქვათ, ინდოეთისა და კენიისა – გრძელი და დეტალურად გაწერილი. ინდოეთის კონსტიტუცია ფედერალური კონტროლის საკითხებს ოთხმოცდაჩვიდმეტ მუხლს უძღვნის, სამოცდაექვსს – შტატების იურისდიქციას და ორმოცდაშვიდს – ფედერალურ და შტატების ხელისუფლებათა საერთო კონტროლის (ანუ ***პარალელური ძალაუფლების***) საკითხებს. კენიის კონსტიტუცია იმდენად დეტალურია ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებათა კომპეტენციების განაწილების თვალსაზრისით, რომ

ეხება ისეთ საკითხებსაც კი, როგორიცაა ცხოველთა დაავადებების კონტროლი, დალაქთა საქმიანობის რეგულაცია და მაცხოვრებელთა მიერ საცხოვრებელი ფართობის არაორგანიზებულად დაკავების საკითხები.

დიდი ბრიტანეთი და ისრაელი არის ორი დემოკრატია, რომლებსაც ფორმალური (დაწერილი) კონსტიტუცია არც აქვთ. ბრიტანული კონსტიტუცია გაწერილია ბრიტანელი ხალხის გულებსა და გონებაში. იგი საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი და საყოველთაოდ გაზიარებული საზოგადოებრივი ხელშეკრულებაა, რომელიც ემყარება ტრადიციას და ჩვეულებას, ასევე ისტორიულ დოკუმენტებში, სამეფო განკარგულებებში, პარლამენტის აქტებსა და სასამართლო პრეცედენტებში ასახულ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში განსაზღვრავენ ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დემოკრატიული კონსტიტუცია იქმნება გარკვეული ძირითადი ღირებულებების საფუძველზე. ეს ღირებულებებია: თავისუფლება, გარკვეული სახის თანასწორობა, და საყოველთაო, მიუკერძოებელი სამართლიანობა კანონის ფარგლებში. ბოლო წლებში დასავლური დემოკრატიისათვის საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე უფრო მზარდი გახდა, ვიდრე შესაძლო საგარეო სამხედრო აგრესია ან სარაკეტო მუქარა. ეს საფრთხე დემოკრატიას სერიოზული დილემის წინაშე აყენებს: როგორ შენარჩუნდეს შეზღუდული მმართველობის შესაბამისი სამოქალაქო თავისუფლებები, თუკი აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ინსტიტუტებს ეფექტიანი მმართველობისთვის ეძლევა მეტი უფლებამოსილებები, რომლებიც, თავის მხრივ, აუცილებელია იმ პირობებში, როდესაც ბოროტება საზოგადოებაში აღწევს, ჩუმად ვრცელდება და გაუფრთხილებლად ესხმის მას თავს.

კონსტიტუციური დემოკრატია უნდა აკმაყოფილებდეს სამ კონკურენტულ, ხშირად კონფლიქტურ მოთხოვნას. პირველი ისაა, რომ რაკი დემოკრატიულია, იგი *მგრძნობიარე* უნდა იყოს ხალხის მიმართ. მეორე – რაკი იგი იმართება განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, *შეზღუდულია* დასახული მიზნების განხორციელებასა და იმ გზების გამოყენებაში, რომლებითაც ამ მიზნების განხორციელებას ესწრაფვიან. ბოლოს, როგორც ყველა მთავრობა, კონსტიტუციური დემოკრატიაც არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს ან დიდხანს შემორჩეს საზოგადოებას, თუ *ეფექტიანად* ვერ უზრუნველყოფს კანონსა და წესრიგს, კომპლექსური არაა ეკონომიკის მართვასა და გარე საფრთხეთაგან მოქალაქეების დაცვაში (აქ იგულისხმება არა მარტო უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემოსევა თუ შემოჭრა, არამედ ორგანიზებული დანაშაული, ბუნებრივი კატასტროფები და ტერორიზმი).

გამომდინარე კონსტიტუციური დემოკრატიის არსობრივი კონცეფციიდან, ხელისუფლება იდეალურია იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად მგრძნობიარეც არის, შეზღუდულიც და ეფექტიანიც. ამ ძირითად მოთხოვნებს შორის სათანადო ბალანსის შენარჩუნება ერთ-ერთი გზაა ნებისმიერი დემოკრატიის წარმატების ხარისხის განსაზღვრისათვის. ამ ბალანსის შენარჩუნება კრიზისის პირობებში დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მუდმივად განმეორებადი გამოწვევაა.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲐᲠᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

კონსტიტუციური დემოკრატია სახალხო კონტროლს უმრავლესობის მმართ-

ველობის პრინციპის შესაბამისად იყენებს. თავისუფალი არჩევნების (და ხანდახან პირდაპირი მონაწილეობის) საშუალებით მოქალაქეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მმართველობაში, კერძოდ, ირჩევენ მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და შესაბამისად, მათი მეშვეობით იღებენ კანონებს, აყალიბებენ პოლიტიკას და მართავენ პროგრამებს, რომლებზეც დამოკიდებულია კარგად ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება. ეს პრინციპი იმდენად თვალნათელია შეერთებულ შტატებში, კანადასა და სხვა დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომ მისი ქმედითობა ეჭვგარეშეა.

უმრავლესობის მმართველობა

თავად დემოკრატიის ქმედითობა შეიძლება საეჭვოც კი იყოს. როგორც ოცდახუთი საუკუნის წინათ სოკრატემ შენიშნა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, ბუნებრივია, ხალხი ექსპერტებს ეძებს. მაგალითად, თუ ავად ვართ, მივმართავთ ექიმს – სამედიცინო ექსპერტს. თუკი კარგი მმართველობა გვსურს, რატომ უნდა მივმართოთ ადამიანებს, რომელთა უმეტესობა პოლიტიკურად აპათიური ან უვიცია? თანამედროვე ავტორმა აღნიშნა, რომ „თუკი ეწვიეთ ექიმს და სთხოვეთ რჩევა, როგორ იმკურნალოთ, ალბათ აღშფოთდებით თუ იგი გიპასუხებთ, რომ ამის თაობაზე შემთხვევით გამვლელებს დაეკითხება და უმრავლესობის ნების მიხედვით იმოქმედს.“[1] მიუხედავად ამისა, ეს სწორედ ის გზაა, რითაც დემოკრატიები მოქმედებენ.

შესაძლოა, უმრავლესობის მმართველობის ყველაზე პირდაპირი დაცვა ალექსის დე ტოკვილმა მოგვცა თავის ნაშრომში *„დემოკრატია ამერიკაში“* (1835 წ.): „უმრავლესობის მორალური ძალაუფლება ნაწილობრივ ეფუძნება განმარტებას, რომლის მიხედვითაც მეტი განსჯის უნარი და სიბრძნე უპირატესად მოცემულია დიდი რაოდენობის ადამიანების ერთად შეკრებილ ჯგუფში, ვიდრე ცალკე აღებულ ინდივიდში“. ტოკვილს სწამდა, რომ ადამიანური გონების დაახლოებითი თანასწორობა დემოკრატიის ძირითადი წინაპირობაა. დამატებით იგი თვლიდა, რომ „უმრავლესობის მორალური ძალაუფლება ასევე ემყარება პრინციპს, რომ ბევრის ინტერესი აღემატება ცოტასას“. ტოკვილთან დემოკრატიის ამგვარი განმარტება საბოლოოდ ასევე ემყარება ადამიანთა თანასწორობის რწმენას.[2]

მაშინ, როდესაც სოკრატემ ხაზი გაუსვა ადამიანთა შორის განსხვავებას სიბრძნის, გონის, სიქველის მიხედვით, ტოკვილმა ყურადღება გაამახვილა ადამიანთა შორის მორალურ თანასწორობაზე, როგორც უმრავლესობის ძალაუფლების მისეული თეზისის დაცვის საფუძველზე. უფრო მეტიც, რადგან უმრავლესობა მუდმივად იცვლება და დღევანდელი უმცირესობები ხვალინდელ უმრავლესობად შეიძლება მოგვევლინონ, უმრავლესობის პრინციპი ყველას ეხება და ერთი კონკრეტული ჯგუფის განსაზღვრაზე არაა მიბმული. ტოკვილის მიხედვით, შეერთებულ შტატებში „ყველა პარტიას სურს სცნოს უმრავლესობის უფლებები, რადგან ისინი იმედოვნებენ, რომ ეს უფლებები მათ უპირატესობად იქცევა მომავალში“.[3]

შესაბამისად, ***უმრავლესობის მმართველობის*** პოლიტიკური პრინციპი მხარდაჭერას პოულობს როგორც თანასწორობის იდეაში, ისე თვითინტერესში. მიუხედავად ამისა, უმრავლესობის მმართველობის მიღწევა არც ისე იოლია და ყოველთვის არცაა დიდად დაფასებული, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს. შეერთებულ

შტატებში, სადაც ორპარტიული სისტემა მყარადაა დამკვიდრებული, არჩევნები, ჩვეულებრივ, გამოკვეთს უმრავლესობას როგორც შტატების, ისე ეროვნული დონის საკანონმდებლო ორგანოებში. არჩევნები ასევე განაპირობებს უმრავლესობის *გამოვლინებას* საპრეზიდენტო არჩევნების უმეტეს შემთხვევაში. მაგრამ როგორც 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხადყო, კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ხალხის ხმების უმრავლესობას, შეიძლება ავტომატურად არ გახდეს პრეზიდენტი. („ყველაფერი გამარჯვებულს" სისტემა (*winner-takes-all*), სადაც ხმების უმრავლესობის მიმღები კანდიდატი შტატის მთელი ელექტორატის ხმებს იღებს VI და X თავებშია განხილული).

საპარლამენტო სისტემებში უმრავლესობის მმართველობის პრობლემა საკმაოდ განსხვავებულად დგას. საპარლამენტო სისტემების უმეტესობას აქვს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მრავალპარტიული წარმომადგენლობის სისტემა (რატომ არის ეს ასე, ქვემოთ იქნება განხილული). ჩვეულებრივ, მრავალპარტიული სისტემები არ ქმნის უმრავლესობას რომელიმე ერთი პარტიისთვის საკანონმდებლო ორგანოში. ორი ან მეტი პარტია იძულებულია კოალიციაში გაერთიანდეს, რათა ჩამოაყალიბოს მთავრობა და მოიპოვოს საპარლამენტო ხმების უმრავლესობა თავისი პროგრამებისა და პოლიტიკის განსახორციელებლად. შესაბამისად, უმრავლესობის მმართველობის ნებისმიერი *შესაძლებლობა* კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. როდესაც ხმის მიმცემნი იყოფიან არა ორ, არამედ, ვთქვათ, ხუთ ან ექვს ჯგუფად, შეუძლებელია გამოთვალო, სად, ან რა პოზიციაზეა *უმრავლესობა.* ასევე, შეუძლებელია რომელიმე ერთმა პარტიამ კოალიციურ მთავრობაში თანმიმდევრულად დაიცვას თავისი პლატფორმა და კოალიციური პარტნიორების სურვილებისა და პოზიციების იგნორირება მოახდინოს. ამას შედეგად მოჰყვება ვიწრო პარტიული პოზიციების წაშლა და, შესაბამისად, მთავრობის მუშაობა დაეყრდნობა უფრო მცირე საერთო ნიშნულს და არა უმრავლესობის მმართველობას. შესაბამისად, ხმის მიმცემნი ხშირად იმედგაცრულებულნი რჩებიან და მათ აღქმაში არაეფექტიანი მთავრობა ცინიზმის ობიექტი ხდება.

დიდ ბრიტანეთშიც კი, მსოფლიოს წამყვან ორპარტიულ საპარლამენტო სისტემაში, უმრავლესობის მმართველობა პრობლემურია. ბრიტანული არჩევნები თითქმის ყოველთვის წარმოშობს გამოკვეთილ უმრავლესობას პარლამენტში (იხ. VI თავი), მაგრამ გამარჯვებული პარტია იშვიათად თუ აგროვებს საერთო ხმების ოდენობის 45%-ზე მეტს (ხშირად ამაზე გაცილებით ნაკლებსაც კი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრიტანული დემოკრატია უფრო ზუსტად დახასიათდება, მას *ხმოსანთა შედარებითი უმრავლესობის* სისტემას (*Plurality vote system*) თუ დავარქმევთ. იგივე, თუმცა გაცილებით ნაკლები ხარისხით, ეხება შეერთებული შტატების დემოკრატიასაც, რადგან კონგრესის წევრებს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში ირჩევენ და ვინც ყველაზე მეტ ხმას იღებს, ის იმარჯვებს (არა აქვს მნიშვნელობა, ამომრჩევლების საერთო რაოდენობასთან თანაფარდობას, მთავარია, მოცემულმა კანდიდატმა მიიღოს მეტი ხმა კონკურენტთან შედარებით).

ხმის მიცემის ორ ტიპს – უმრავლესობასა (*majority*) და შედარებით უმრავლესობას (*plurality*) – შორის განსხვავება თეორიულ პრობლემას ქმნის. თუკი კანდიდატი ან მთავრობა არჩეულია შედარებითი უმრავლესობის და არა ხმების საერთო ოდენობის უმრავლესობის საფუძველზე, მაშინ გამოდის, რომ ამომრჩეველთა უფრო დიდ ნაწილს ამ კანდიდატისთვის თუ მთავრობისთვის ხმა არ მიუცია. ეს საშიშია, რადგან შესაძლოა ამ ანალიზის ლოგიკამ იოლად მიიღოს მცდარი მიმართულება. საქმე ისაა,

რომ თუკი მსგავს შემთხვევებში ვამბობთ, რომ უმრავლესობა არ მართავს, იმას კი არ ვგულისხმობთ , რომ უმცირესობამ ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა, არამედ იმას, რომ უმრავლესობა, როგორც ასეთი, არ არსებობს. შესაბამისად, ლაპარაკი უმრავლესობის მითის შესახებ, არ გულისხმობს უმრავლესობის მმართველობის პრინციპის გაცამტვერებას, ამ შემთხვევაში საქმე ეხება უფრო იმ სირთულის აღიარებას, რაც თან ახლავს ამ პრინციპის პრაქტიკაში დანერგვას.

უმრავლესობის მმართველობა სათქმელად უფრო იოლია, ვიდრე გასახორციელებელი. ის ფაქტი, რომ უმრავლესობა ხშირად ეფემერულია, პრობლემას ქმნის დემოკრატიის თეორიისთვის, ხოლო უმრავლესობის ტირანულობა – დემოკრატიის პრაქტიკისათვის. ქვემოთ ყურადღებას დავუთმობთ სწორედ ამ პრობლემებს და იმას, როგორ ცდილობენ დემოკრატიები მათ გადაჭრას.

უმრავლესობის ტირანია

პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ხელისუფლების ყოლის სურვილი აშკარაა, მაგრამ მსგავსი ხელისუფლების არსებობა არაა იმის გარანტია, რომ სერიოზული სახის უსამართლობა არ იჩენს თავს. ამ მოსაზრების ილუსტრირებისთვის, წარმოვიდგინოთ ველური დასავლეთის სიტუაცია, როდესაც უდანაშაულო მაწანწალა ვერაგულად დადანაშაულებულია ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოქალაქის ცივსისხლიან მკვლელობაში, ჩამწყვდეულია საპატიმროში და ელოდება მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების განაჩენს. ქალაქში თითქმის ყველა ან აღშფოთებულია, ან მთვრალია (ან ორივე ერთად) და განრისხებული ბრბო მკაცრად ითხოვს სამართლის სწრაფ აღსრულებას. ამ მასის წინააღმდეგ დგას ორი პიროვნება, მამაცი შერიფი და მისივე ჯიუტი მოხუცი თანაშემწე. მთელი ამ ამბის გარდაუვალი ფინალი ხდება ქუჩაში, შერიფის ოფისის წინ. „მკვლელის“ ლინჩის წესით გასამართლების მოთხოვნით მოსულ ბრბოს წინ უძღვიან ქალაქის მერი და ქალაქის საბჭოს წევრები (მათ შორის პიროვნება, რომელმაც რეალურად ჩაიდინა დანაშაული). საბოლოოდ, მხოლოდ შერიფის გმირულ საქციელს შეუძლია იხსნას უდანაშაულო ადამიანი საკნიდან გამოთრევისა და უახლოეს ხეზე დაკიდებისაგან.

ეს ბანალური ამბავი რეალურად წარმოაჩენს პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ გაკვეთილს, იმის ცოცხალ მაგალითს, როგორია მგრძნობიარე მთავრობა მოქმედებაში. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობამ თვალნათლივ დაანახა თავისი სურვილები შერიფს, რომელიც ძალაუფლებისა და კანონის უზენაესობის სიმბოლოა. ყველაზე იოლი გამოსავალი შერიფისთვის იქნებოდა ის, რომ დაჰყოლოდა უმრავლესობის ნებას და უდანაშაულო ადამიანი განრისხებული ბრბოსთვის მიეგდო. ამის გარდა, შესაძლებელი იყო რამე ისეთი მოქმედება, რომელიც უფრო მეტად იქნებოდა შესაბამისობაში უმრავლესობის მართვის პრინციპთან და ნაკლებად – ელემენტარული სამართლიანობის მოთხოვნასთან. დემოკრატიული მმართველობა, როდესაც იგი უმრავლესობის შეუზღუდავ ძალაუფლებას გულისხმობს, *შეიძლება* ბრბოს მმართველობის სინონიმურიც კი გახდეს. ის, რაც ჩვეულებრივ ტირანიისგან დაცვად, ანუ უმრავლესობის მმართველობად, აღიქმება, რაგინდ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, შეიძლება იქცეს იმად, რასაც ტოკვილი ***უმრავლესობის ტირანიას*** უწოდებდა.[4] იმის შიშით, რომ ერთ დომინანტურ კლასზე, რელიგიასა ან პოლიტიკურ მრწამსზე დაფუძნებული უმრავლესობა ფეხქვეშ გათელავდა უმცირესობის

უფლებებს, პოლიტიკური მოაზროვნეები საუკუნეთა განმავლობაში ხშირად უარს ამბობდნენ დემოკრატიაზე.

ბრბოს მმართველობის საფრთხის მოწმეები ამერიკელები 2001 წლის ბოლოს გახდნენ, იმ კრიზისის დროს, როდესაც ტერორისტულმა აქტებმა ათასობით ნიუ-იორკელის სიცოცხლე შეიწირა და ათასობით მათგანის ჯანმრთელობა დააზიანა. როდესაც დამნაშავეები მუსლიმი ექსტრემისტები აღმოჩნდნენ, დანაშაულის მასშტაბით დამფრთხალი ბევრი ამერიკელი შეერთებულ შტატებში მცხოვრები არაბული და მუსლიმური უმცირესობების წინააღმდეგ განეწყო. ვნებათაღელვა ახლო აღმოსავლეთიდან ჩასული მიგრანტების მიმართ მხოლოდ მას შემდეგ დაცხრა, რაც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა შთამბეჭდავი განცხადება გააკეთა, რომლითაც ამერიკელებს ტოლერანტობისა და გონიერებისკენ მოუწოდა. დასავლეთ ევროპაში უმრავლესობის მიერ უმცირესობათა უფლებებზე ზეწოლამ სერიოზული ხასიათი მიიღო ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც იმიგრაციის საკითხებზე დაიწყო მსჯელობა. მაგალითად, საფრანგეთში პარტია *ეროვნული ფრონტი* მომენტალურად მოექცა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში და ადგილობრივი და სახელმწიფო დონის არჩევნებში უამრავი მომხრე შეიძინა. ამ პარტიის სწრაფმა აღმასვლამ ბევრი დამკვირვებელი საგონებელში ჩააგდო, რადგან საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ბევრი მათგანი, ვინც ამ პარტიას მხარს არ უჭერდა, ასევე იზიარებდა და თანაუგრძნობდა მის მიზნებს. *ეროვნული ფრონტის* კანდიდატის ჟან-მარი ლე პენის მიერ 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილის დაკავებამ გააოცა საფრანგეთი და ევროპა. მართალი, არჩევნების ბოლო ეტაპზე ლე პენმა წააგო ხელისუფლებაში მყოფი ჟაკ შირაკის მომხრეთა ხმების აშკარა უპირატესობის გამო, მაგრამ ის, რომ მან სერიოზულად დაამარცხა სოციალისტების კანდიდატი, პრემიერ-მინისტრი ლიონელ ჟოსპენი, რეალურად გამოფხიზლებისკენ მოწოდება იყო იმათთვის, ვინც ჯეროვნად ვერ აფასებდა ანტიიმიგრაციული მოძრაობის ძალას ევროპაში.

მსოფლიოში ბევრი დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც უმრავლესობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უმცირესობის მჩაგვრელი. მაგალითად, გერმანიაში ცხოვრობს მრავალრიცხოვანი თურქული უმცირესობა, რომელსაც დღესაც კი არ გააჩნია უმრავლესობის თანასწორი უფლებები. ჩეხეთის რესპუბლიკაში (და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპაში) უმრავლესობა სისტემატურად ეწევა ბოშათა უმცირესობის დისკრიმინაციას. ისრაელში არაბული უმცირესობა (იგულისხმებიან პალესტინელი არაბები, რომლებიც ისრაელის მოქალაქეები არიან და არა დასავლეთ სანაპიროს ან ღაზას სექტორის მაცხოვრებლები) არ სარგებლობს სრული პოლიტიკური და სოციალური თანასწორობით ებრაულ უმრავლესობასთან. თურქეთში ქურთული უმცირესობის უფლებები ხშირად ეწირება თურქული უმრავლესობის შიშსა და სტერეოტიპებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მსოფლიოში არსებული უმრავლესობის ტირანიის მაგალითების მხოლოდ ნაწილობრივ ჩამოთვლაა. შემაშფოთებლად იოლია *დემოკრატიულ საზოგადოებაში* უმცირესობათა უფლებების რუტინული და სისტემატური ხელყოფის მაგალითების პოვნა. ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, შეიძლება, არასწორად გავიგოთ ან დემოკრატიაზე თავდასხმის ინტერპრეტაციად მივიჩნიოთ, მაგრამ სიმართლე სრულიად საპირისპირო განზრახვაში დევს. თვითკრიტიკისათვის მზადყოფნა და ამისგან გამომდინარე შესაძლო სიკეთეები, რომლებიც ახასიათებს დემოკრატიას, მისი, როგორც პოლიტიკური სისტემის უპირატესობის არგუმენტებია.

დაუსვით საკუთარ თავს შემდეგი კითხვები: როდესაც არავინ საუბრობს დემოკრატიაში უმრავლესობის ტირანიაზე, რაზე მიუთითებს ეს? ნიშნავს თუ არა ეს, რომ არავითარი ტირანია არ არსებობს ? ნიშნავს თუ არა ეს, რომ უმრავლესობა არ არსებობს ან რომ მდუმარე უმრავლესობამ ნება დართო თავის პოლიტიკურ წარმომადგენლებს, გათელონ უმცირესობათა უფლებები? ახლა მივუბრუნდებით საკითხებს იმის შესახებ, როგორ ცდილობს დემოკრატია დაიცვას თავისი მოქალაქეების უფლებები, როგორც ხელისუფლებისაგან, ისე თანამოქალაქეებისაგან.

დემოკრატია როგორც შეზღუდული ხელისუფლება

შეზღუდული ხელისუფლება ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობის მმართველობა გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. შეზღუდული მმართველობის აუცილებლობა ცხადი გახდა ველური დასავლეთის ლინჩის მომხრე ბრბოს ჩვენეული მაგალითიდანაც. ადამიანის ჩამოხრჩობა, რომლის დანაშაული დამტკიცებული არაა და რომელიც არც გასამართლებულია, დანაშაულია, და უმრავლესობასაც არ აქვს უფლება მკვლელობა ჩაიდინოს. აშკარაა, რომ მორალურად შეუცდომელი უმრავლესობის ცნება აბსურდია. ყოველი უმრავლესობა შედგება ინდივიდების ერთობისგან, რომელთაგან ბევრი შეიძლება ცდებოდეს, არასწორად მსჯელობდეს ან არასწორად ინფორმირებული იყოს რომელიმე კონკრეტულ საკითხზე. ამიტომ იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი გადაცდომა (მაგალითად, როგორიცაა ლინჩის წესით გასამართლება), საჭიროა ხალხის მმართველობაზე შეზღუდვის დაწესება. ეს შესაძლებელია სხვადასხვა სახით გამოიხატოს. შეერთებულ შტატებში ხელისუფლება შეზღუდულია იმ ასპექტში, როგორ მიიღოს კანონები ან დასაჯოს ამ კანონების დამრღვევი ადამიანები. კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 1, ნაწილი 9 და10) მთავრობას არ შეუძლია მიიღოს *ex post facto კანონი,* რომელიც რეტროსპექტიულად, უკანა თარიღით სჯის ქმედებებს, ან *bill of attainder* – პარლამენტის აქტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დამნაშავის დასჯას სასამართლოს გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფლების დიდი ქარტია“ (Magna Carta) 800 წლისაა, მან დროის გამოცდას გაუძლო და პირველი და უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც იმ იდეის დამკვიდრებას უწყობს ხელს, რომ ხელისუფლება კანონის უზენაესობასა და მოქალაქეთა უფლებების პატივისცემას უნდა უზრუნველყოფდეს.

კონსტიტუცია ზღუდავს სახელმწიფო ძალაუფლებას ასევე სხვა მნიშვნელოვან ასპექტში. *უფლებათა ბილი* (შედგება კონსტიტუციის პირველი ათი ჩასწორებისგან) უკრძალავს მთავრობას უარი უთხრას მოქალაქეებს სიტყვის, პრესის, შეკრების, პირადი ცხოვრების თავისუფლებაზე და სამართლიანი სასამართლოს გარანტიას აძლევს კანონის დარღვევაში ეჭვმიტანილ მოქალაქეებს.

უმცირესობის უფლება

ხელისუფლებაზე დაწესებული კონსტიტუციური შეზღუდვები მკაცრად განსაზღვრავს უმრავლესობის მმართველობის პრინციპის ჩარჩოებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ ადამიანს სურს წაართვას კონკრეტულ ინდივიდს თავისუფალი სიტყვის უფლება, და არც იმას, რამდენად მიზანმიმართულნი არიან ისინი თავის განზრახვაში, არც ერთი ხმა ჩახშობილი არ იქნება.

იმისათვის, რომ შეზღუდული მმართველობა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე, უბრალოდ, ცარიელი კონცეფცია, სულ მცირე, მთავრობამ უნდა შეძლოს უმცირესობის დაცვა მზარდი უმრავლესობის მუქარისაგან. მიუხედავად ამისა, ზღვარი უმრავლესობის მმართველობასა და უმცირესობის უფლებებს შორის რეალურად ხშირად დაუზუსტებელი და საკამათოა. შესაბამისად, კონსტიტუციური უფლებები არაა თვითგანსაზღვრადი. მოქალაქეებს ენიჭებათ თვითგამოხატვის უფლება, მაგრამ იგი არაა აბსოლუტური. მაგალითად, სიტყვის თავისუფლება არ იძლევა უფლებას ვინმეს ტელეფონის საშუალებით შეურაცხყოფა მიაყენოთ ან ფოსტით სიცოცხლის ხელყოფის მუქარა გაუგზავნოთ. ამიტომ ყოველთვის რთულია მკაფიო საზღვრის გავლება ერთი პიროვნების „აზრის გამოხატვასა“ და სხვების უფლებებისა და უსაფრთხოების რისკქვეშ დაყენებას შორის.

შედარებისთვის, შეერთებული შტატები გაცილებით შორსაა წასული სამოქალაქო უფლებებისა და პიროვნული თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით, ვიდრე სხვა დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობა. მაგალითად, ბევრი ევროპელი გაოცებულია შეერთებული შტატების მიერ კვოტების გამოყენებით „საკომპენსაციო დისკრიმინაციის“ (*Affirmative Action*) ფართო პროგრამის ფარგლებში, რითაც თავის მოქალაქეებს თანაბარ საშუალებას აძლევს განათლებისა და სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის კუთხით. მსგავსად ამისა, ფემინისტური მოძრაობა იმდენად გამოკვეთილი არ არის მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, მათ შორის იქაც კი, სადაც დემოკრატიული ტრადიციები, ღია საზოგადოება და სეკულარული კულტურა უკვე დამკვიდრებულია, როგორც შტატებში. დანაშაულში ეჭვმიტანილთა უფლებების დაცვის პრაქტიკის კუთხითაც შტატები უფრო წინაა, ვიდრე სხვა დემოკრატიული ქვეყნები. მათ უმეტესობაში, სადაც ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი არ არსებობს, სასამართლო დარბაზი იშვიათად გამოიყენება იმისთვის, რომ სამართალში მიცემული პირის საწინააღმდეგო ჩვენებები გაბათილდეს. ამის გარდა, დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმეტესობა გაცილებით ნაკლებ თავისუფლებას აძლევს მოქალაქეებს სამოქალაქო სარჩელის აღძვრაზე, ვიდრე შეერთებული შტატები, რომელიც სამოქალაქო დავების სასამართლო წესით გადაჭრის სიხშირის თვალსაზრისით მსოფლიოში წამყვანია.

კანონის უზენაესობა

იდეა მიუკერძოებელი და საყოველთაოდ სავალდებულო კანონებით სახელმწიფოს მართვის შესახებ სიახლე არ არის. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ კანონის ***უზენაესობა*** თითქმის ყოველთვის უპირატესია კონკრეტული პირების შეუზღუდავ ძალაუფლებაზე. ამ არგუმენტს იგი სამართლიანობის კონცეფციაზე აფუძნებდა და

ამტკიცებდა, რომ რადგან ადამიანები დამოკიდებულნი არიან ფიზიკური, მატერიალური და ფსიქოლოგიური იმპულსების დაკმაყოფილების ვნებებზე, კანონი არის „გონი, რომელიც თავისუფალია ყველა ვნებისაგან“.[5] ამიტომ კანონის მმართველობა უპირატესია, ვიდრე ერთეული ინდივიდისა, თუმცა კანონები ინტერპრეტირებული და გატარებული უნდა იქნეს ინდივიდების მიერ (კანონმდებლები და სამართლის აღმსრულებლები).

ორი ათასი წლის წლის შემდეგ, ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა (1632-1704 წწ.) კანონის უზენაესობის პრინციპი ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპთან ახლო კავშირის საფუძველზე დაიცვა. ლოკს სწამდა, რომ თავისუფლება ვერ იარსებებდა დაწერილი კანონის გარეშე და რომ კარგი ხელისუფლება გარკვეული წინასწარგანსაზღვრული წესებით უნდა ხელმძღვანელობდეს (მაგალითად, გადასახადები არ უნდა წესდებოდეს ხალხის თანხმობის გარეშე).

ლოკისთვის ეს წესები უმაღლესი თანრიგის „კანონებია“, რადგანაც ისინი მოიცავენ ყოველივე იმას, რაზეც სამოქალაქო საზოგადოებაა დამყარებული. ისინი „კანონთა კანონებია,“ რომლებიც აუცილებლად და სამართლიანად აწესებენ შეზღუდვებს კანონმდებლებზე ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რამდენად დიდია უმრავლესობა, რომელიც ამ კანონმდებლებს ექვემდებარება. „მაღალი რანგის კანონის“ ლოკისეული კონცეფციიდან წარმოიშვა კონსტიტუციონალიზმის იდეა. როგორც ლოკმა შენიშნა (და როგორც ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, იუსტიციის დეპარტამენტის შენობის შესასვლელზე ამოტვიფრული წარწერა მეტყველებს) „სადაც მთავრდება კანონი, იქ იწყება ტირანია“.[6]

ლოკი იმ საამაყო ინგლისური ტრადიციის გამგრძელებელია, რომელიც 1215 წლიდან მოყოლებული მმართველობაზე შეზღუდვის დაწესებას ეძიებდა. 1215 წელს ამბოხებულმა ბარონებმა ინგლისის მეფე ჯონი აიძულეს, ხელი მოეწერა ცნობილი მაგნა კარტასთვის („თავისუფლებათა დიდი ქარტია“). თავდაპირველად ეს დოკუმენტი შეღავათებს მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატიისთვის აწესებდა, მაგრამ მისი მუხლების ფართო ინტერპრეტაციის საშუალება მოგვიანებით მოქნილად იქნა მორგებული და გაფართოებული ინგლისური საზოგადოების სხვა სოციალურ ფენებზე და თანდათანობით ხალხის მზარდი რაოდენობა მოიცვა. საბოლოოდ, მაგნა კარტა ბრიტანულ თავისუფლებათა საფუძველი გახდა. ეს დოკუმენტი, რომელიც 63 მუხლს მოიცავდა, მონარქიის აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვისათვის დაწესებული შეკავების და გაწონასწორების სისტემის საწყისი მონახაზი იყო. მაგალითად, იგი აცხადებდა, რომ მეფის ვასალები იკრიბებიან საბჭოდ, რათა რჩევა და თანხმობა მისცენ სამეფოს მნიშვნელოვანი საქმეების თაობაზე და რომ განსაკუთრებული გადასახადების დაწესება უნდა მოხდეს მხოლოდ მათი დასტურის შემთხვევაში. შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 39-ე მუხლი, რომელიც გამოხატავდა ვალდებულების პირობას კანონის აღსრულების პროცესში – ის, ვინც ბრალდებული იქნებოდა დანაშაულის ჩადენაში, დაექვემდებარებოდა მიუკერძოებელ სასამართლოს და დაცული იქნებოდა თვითნებური პატიმრობისა და სასჯელისაგან. ამ თვალსაზრისით, დოკუმენტი ამტკიცებდა, რომ „არავინ იქნება დაპატიმრებული, დატყვევებული ან კანონგარეშედ გამოცხადებული, ან გაძევებული, ან მოკლული... მისი თანასწორების მიერ განხორციელებული კანონიერი სასამართლოსა და სამეფოს კანონების გარეშე“.

მეჩვიდმეტე საუკუნის განმავლობაში, ლოკის დროს, დიდი ნაბიჯები გადაიდგა კანონის საფუძველზე ხელისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. მაგალითად,

უფლებათა პეტიციამ (*Petition of Rights,* 1628) წამოაყენა სავალდებულო სამართლებრივი პროცედურების იდეა, რითაც შეიზღუდა მონარქის საგადასახდო ძალაუფლება. ამასთან, საშინელი *ვარსკვლავეთა პალატის* გაუქმებამ (1641) დაასრულა პერიოდი, როდესაც სასამართლოს ჰქონდა ძალაუფლება, წამების გზით მიეღო აღიარებითი ჩვენება და სამეფოს ქვეშევრდომებზე სასჯელი ტახტის მოთხოვნით დაეწესებინა. საბოლოოდ, ჰაბეას კორპუსის (Habeas corpus Act1679) საფუძველზე შეიზღუდა ხელისუფლების უფლება, საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე დაეპატიმრებინა ადამიანი. მან ასევე მძიმე სასჯელი დააწესა იმ მოსამართლეებისათვის, რომლებიც ვერ ახერხებდნენ დროულად გამოექვეყნებინათ *Habeas Corpus Act*-ის ინსტრუქციები და, შესაბამისად, ეჩვენებინათ, რომ ბრალდებული კანონიერადაა დაკავებული და მის მიმართ გამოიყენება ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი კანონები.

მეჩვიდმეტე საუკუნეშივე შეიქმნა სამართლებრივი პრეცედენტი, რომელმაც მოგვიანებით უზარმაზარი გავლენა მოახდინა შეერთებულ შტატებზეც. გამოჩენილი ინგლისელი იურისტი სერ ედვარდ კოუკი *„დოქტორ ბონემის საქმეზე“* (1610) გამოთქმულ მოსაზრებაში ამტკიცებდა, რომ ინგლისური *ზოგადი სამართალი* (*common law*), მათ შორის მაგნა კარტა, უნდა იყოს ის სტანდარტი, რომლის შესაბამისიც იქნება როგორც საპარლამენტო აქტები, ისე მონარქის ბრძანებები. კოუკის სიტყვებით რომ ვთქვათ:

> ჩვენი წიგნებიდან ჩანს, რომ ბევრ შემთხვევაში ზოგადი სამართალი აკონტროლებს პარლამენტის აქტებს და ხანდახან მათ არაფრისმთქმელად მიიჩნევს; როდესაც საპარლამენტო აქტი საერთო უფლებების ან გონიერების საწინააღმდეგოა, შეუსაბამოა მათთან ან შეუძლებელია მისი აღსრულება, ზოგადი სამართალი აკონტროლებს და განსჯის მას.[7]

„მაღალი რანგის კანონის“ თეორიამ ფეხი ვერ მოიკიდა ინგლისში, სადაც პარლამენტის უპირატესობა წესად იქცა, მაგრამ საბოლოოდ შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია და უფლებათა ბილი (დიდწილად ინგლისური ზოგადი სამართლიდან გამომდინარეობს) იქცა იმ სტანდარტებად, რომელთა მიმართებაშიც ფასდება ხალხის მიერ მიღებული კანონები.

კონსტიტუციონალიზმი, რომელიც მართებული პროცედურა

კონსტიტუციონალიზმი მართებული პროცედურის ანუ კანონის უზენაესობის სინონიმურია. მაგალითად, შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუცია კონგრესის თანხმობის გარეშე ქვეყნის პრეზიდენტს უკრძალავს სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციას ან ჩამორთმევას ომის პირობებშიც კი.[8] მსგავსადამისა, კანონისუზენაესობადა ***მართებული სამართლებრივი პროცესი (due process)*** ითვალისწინებს, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი უნდა დაიცვას ადვოკატმა, უფლება უნდა ჰქონდეს დაუპირისპირდეს თავის საწინააღმდეგო ჩვენებას, ინფორმირებულ იქნეს ბრალდების შესახებ და ასე შემდეგ. იგივე მოსაზრებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოები ემორჩილება კანონს, – მიაწოდონ საჯარო ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს.

ყოველ ამ შემთხვევაში, სამართლებრივი პროცედურების არსი ერთი და იგივეა: არც ერთი გადაწყვეტილება არ შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც საბოლოო ან სამართლიანი, სანამ დადასტურებული არაა, რომ განხილვისას „თამაშის წესები“ მკაცრად იყო დაცული. შესაბამისად, კონსტიტუციურ დემოკრატიაში თუ გაირკვევა, რომ, მაგალითად, არჩევნებში გამარჯვებულმა იცრუა, ანუ „თამაშის წესების“ მიხედვით არ იმოქმედა, შედეგი იქნება ის, რომ მისი შედეგები ლეგიტიმურობას დაკარგავს. ფაქტობრივად ეს სწორედ ისაა, რაც მოხდა შეერთებულ შტატებში 1974 წელს, როდესაც უოტერგეიტის სკანდალმა პრეზიდენტი ნიქსონი აიძულა (იმპიჩმენტის საფრთხის გამო) პოსტიდან გადამდგარიყო.

მიუხედავად ამისა, შეერთებულ შტატებში მართებული სამართლებრივი პროცესი სამართალ-წარმოებაში გარე დამკვირვებლის მიერ გადამეტებულად აღიქმება. მაგალითად, პოლიციამ აუცილებლად დაკავებისთანავე უნდა წაუკითხოს დანაშაულში ეჭვმიტანილს თავისი უფლებები და შეახსენოს, რომ დუმილის უფლება აქვს (კონსტიტუციის მეხუთე შესწორება, რომელიც იცავს მოქალაქეს თვითდადანაშაულებისაგან). თუკი ეჭვმიტანილი აღიარებს დანაშაულს იმის გარეშე, რომ მას ეს უფლება არ შეახსენეს (ასევე სხვა უფლებებიც), მსგავსი აღიარება მიუღებელი იქნება სასამართლოსთვის. ფაქტობრივად, ყველა სხვა ლიბერალური დემოკრატიისთვის მსოფლიოში, მათ შორის გაერთიანებული სამეფოსთვის, საფრანგეთისთვის, კანადისა და ავსტრალიისთვისაც, აღიარება აღიარებაა და იგი არ მიიღება მხოლოდ იმ შემთხევვაში, თუ მოპოვებულია მორალური თუ ფიზიკური ზეწოლის სხვადასხვა ფორმის შედეგად.

დემოკრატიისთვის საკმარისი არაა უბრალოდ გამოაცხადოს კანონის უზენაესობა, როგორც პრინციპი; სიტყვები და ქმედებები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. მაგალითად, აფროამერიკელები და სხვა უმცირესობები წლების განმავლობაში დისკრიმინაციის მსხვერპლად რჩებოდნენ მას შემდეგაც კი, რაც სამოქალაქო ომი დასრულდა და მიღებული იქნა კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორება, რომელიც არაორაზროვნად განმარტავს „კანონის წინაშე თანასწორობას“. მსაგავსად ამისა, ქალებს საარჩევნო უფლებები 1920 წლამდე არ მიუღიათ და ბოლო დრომდე სახლის და ოჯახის გარეთ საქმიანობის მცირედი შესაძლებლობებით სარგებლობდნენ. საბოლოოდ, ამერიკის ციხეებში ტუსაღთა უმრავლესობა ახალგაზრდა შავკანიანი ამერიკელები არიან, სიკვდილით დასჯის მოლოდინში მყოფ ტუსაღთა უმეტესობაც ასევე აფროამერიკელია, რაც, მიუხედავად სასამართლოების მიერ კანონისა (ჩვენებების მიღების წესი) და სამართლებრივი პროცედურების მკაცრად დაცვისა, მაინც აღძრავს კითხვებს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სისტემის სამართლიანობის შესახებ.

მართებული პროცედურა არსებითია სამართლის თანასწორი ხელმისაწვდომობისთვის, რაც, თავის მხრივ, არსებითია დემოკრატიისთვის. ამავდროულად, იგი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მყარი ჯავშანი იქნება სერიოზული უსამართლობის წინააღმდეგ. მსგავსი გარანტიის მოთხოვნა, შესაძლოა, ზედმეტი იყოს ნებისმიერი პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის მიმართ. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, უტოპია არაა გამოსავალის მომცემი ალტერნატივა.

ფედერალიზმი

კონსტიტუციური ხელისუფლების შეზღუდვის სხვა გზაა ***ფედერალიზმად*** წოდებული ძალაუფლებათა დაყოფა. თანამედროვე ფედერალური რესპუბლიკებია: ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა, გერმანია, კანადა, ინდოეთი, ბრაზილია და ნიგერია.

თეორიულად, ფედერალიზმი ძალაუფლების დანაწილებაა სახელმწიფო ხელისუფლებასა და რეგიონულ ერთეულებს შორის. ამ ერთეულებს ინგლისურ ენაზე ხშირად *states* უწოდებენ, მაგრამ რადგან ინგლისურ ენაში თავად სახელმწიფოც *state*-ად ჟღერს, იგი არ უნდა აგვერიოს სუვერენულ სახელმწიფოში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ხშირად *nation-state* (ერი-სახელმწიფო) ტერმინით გვხვდება. (სახელმწიფოს პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეული *state* თარგმანში *შტატს* ნიშნავს. მთარგ. შენ.) შეერთებულ შტატებში არსებობს ძალაუფლების კონსტიტუციური დანაწილება სახელმწიფო ანუ ფედერალურ ხელისუფლებასა და შტატის ხელისუფლებას შორის. კონსტიტუციის პირველი მუხლის მერვე ნაწილი, მაგალითად, განმარტავს იმ სფეროებს, რომლის ფარგლებშიც ეროვნული კონგრესი უფლებამოსილია აწარმოოს კანონმდებლობა. ამავდროულად, კონსტიტუციის მეათე შესწორება უზრუნველყოფს იმას, რომ ის კომპეტენციები, რომლებიც კონსტიტუციის ძალით მინიჭებული არ აქვს სახელმწიფო ხელისუფლებას, შტატის უფლებამოსილებებად დარჩეს. ტრადიციულად, შტატის ცენტრალურ ხელისუფლების ფუნქციებში შედიოდა შიდა წესრიგისა და მშვიდობის შენარჩუნება, განათლების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების, ასევე კეთილდღეობის უზრუნველყოფა (ე.წ. შტატების ***საპოლიციო ძალაუფლება*** ანუ სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგი). ერთ დროს ამ ძალაუფლებას თითქმის ექსკლუზიურად თავად შტატი ახორციელებდა, მაგრამ 1930-იანი წლებიდან სახელმწიფო მთავრობის როლი წარმოუდგენლად გაიზარდა, როდესაც პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა (1933-1945) თავისი ახალი კურსი (*New Deal)* პოლიტიკის ფარგლებში ფართომასშტაბიანი ფედერალური პროგრამები წამოიწყო *დიდი დეპრესიის* სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ეკონომიკის სტიმულირებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა (1968-1973) სცადა საპირისპირო მიმართულებით წარემართა ეროვნული ხელისუფლების როლის ზრდის პროცესი და ***ახალი ფედერალიზმის*** *(new federalism)* პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავდა შტატების ხელისუფლების როლის გაზრდას, როგორც მისი ქმედითობის, ისე შედეგის თვალსაზრისით. ამ პოლიტიკის ორი ძირითადი ელემენტი შტატებისთვის ე.წ. ერთდროული სუბსიდიების მიცემა და საერთო შემოსავლის განაწილება იყო. შემდგომში, სხვა პრეზიდენტებმა, კერძოდ, კონსერვატორმა რესპუბლიკელმა რონალდ რეიგანმა (1980-1988) და დემოკრატმა ბილ კლინტონმა (1992-2000) ასევე გააგრძელეს შტატებისთვის კომპეტენციისა და უფლებამოსილების უკან დაბრუნების პოლიტიკა. შეერთებულ შტატებში მსგავს პოლიტიკას დევოლუცია (***ძალაუფლების გადაცემა***) ჰქვია.

რა არის ძალაუფლების დანაწილების მსგავსი ფორმის საზრისი? შეერთებული შტატების ისტორიაში ისინი, ვისაც სწამდა, რომ თავისუფლების დაცვის საუკეთესო საშუალება ხალხთან ხელისუფლების მაქსიმალურად დაახლოება იყო, ფედერალიზმს

ქადაგებდნენ. ხალხის განწყობისა და ადგილობრივი ინტერესებისგან შორს მდგარი ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების ტირანიაში გადაზრდის შიშით, 1787 წელს გამართული კონსტიტუციური კონვენტის ზოგიერთი დელეგატი წარმატებულად ამტკიცებდა, რომ შტატის არსებობა ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ტირანული ძალაუფლების შემზღუდველ მექანიზმებს შექმნიდა. შედეგად, კონსტიტუციამ ცალკეულ შტატს თანაბარი წარმომადგენლობა დაუწესა ახლად დაფუძნებულ სენატში და პრეზიდენტის ფედერალური წესით არჩევაც შემოიღო (საარჩევნო კოლეგიის საშუალებით). ამასთან, დამატებით განისაზღვრა შტატის მნიშვნელობა კონსტიტუციის შესწორების შემთხვევაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველი კონგრესი დათმობაზე წავიდა და კონსტიტუციის მეათე შესწორების მიღებისას შტატების მოსაზრებები და შეთავაზებები გაითვალისწინა.

შეერთებულ შტატებში ფედერალიზმის ფუნქციები დღეს მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფოს განვითარების ადრეულ პერიოდში არსებულისაგან. თავდაპირველად, დიდი წინააღმდეგობები წამოიჭრა საკითხზე, რამდენად შეეძლო შტატს (ვირჯინია და კენტუკი 1798-1799 წწ. სამხრეთი კაროლინა 1830-იან წწ.) ან რეგიონს (სამხრეთის შტატები 1860-იან წწ.) გამოეყენებინა თავისი უფლებები სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სპეციფიკურ პოლიტიკასთან უთანხმოების შემთხვევაში. როდესაც ინტერესისა და პრინციპის საკითხებმა სახელმწიფოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია (კანონები უცხოელებისა და ამბოხის წახალისების შესახებ, 1798 წ., გადასახადების შესახებ, 1830-იანი წწ., მონობის შესახებ 1860-იანი წწ.), პოლიტიკური დაპირისპირებები გაიშალა მთავრობის კონკრეტული ქმედებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხზე, რომელთა არსი იმაზე დადიოდა, ვის ჰქონდა ლეგიტიმურად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება – შტატს თუ ეროვნულ ხელისუფლებას.

საკითხები, რომლებიც კონსტიტუციის მეექვსე მუხლმა ვერ გადაწყვიტა, სამოქალაქო ომმა მოაგვარა. მართალია, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი დაპირისპირებები ფედერალურ და შტატის ხელისუფლებას შორის შენარჩუნდა, განსაკუთრებით სამხრეთში 1950-1960-იან წწ. სკოლების დესეგრეგაციის თაობაზე, მაგრამ დღეისათვის საჯარო პოლიტიკის მრავალ საკითხში, დაწყებული გზების მშენებლობიდან, დასრულებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლით, მათ შორის ურთიერთობა უფრო თანამშრომლობის პრინციპს ემყარება, ვიდრე კონფლიქტს.[9]

მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში სერიოზული შეჯიბრი შეინიშნებოდა ხელისუფლების ამ ორ დონეს შორის. მაგალითად, 1990-იან წლებში ზოგიერთი შტატის ხელისუფლებამ განათლების სფეროში რეფორმების გატარება (სკოლებისთვის იურიდიული და ფინანსური ავტონომიის მინიჭება სწავლების ვაუჩერების პრინციპით დაფინანსება, რელიგიის სწავლების დანერგვა და გაღრმავება) და ანტიკრიმინალური ღონისძიებების განხორციელება სცადა (სასჯელის სავალდებულო დაწესება, სამი გაფიცვის კანონი, მსხვერპლთა კომპენსაციის კანონი). ზოგიერთმა შტატმა ასევე სცადა, უარი ეთქვა კომპენსაციური ქმედების (*affirmative action*) პოლიტიკაზე.

მსგავსი ტენდენციები ადასტურებს, რომ ფედერალიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში ხასიათდება, როგორც შტატისა და ფედერალურ ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობით, ისე მათ შორის შეჯიბრითაც. კონსტიტუცია კი იშვიათად განიხილება, როგორც ბარიერი სხვადასხვა დონის მთავრობათა შორის რეგულარული თანამშრომლობისთვის, რითაც გამსჭვალულია ამერიკული პოლიტიკური სისტემა.

ფედერალიზმი და თავისუფლება ზედმეტი ცენტრალიზაციის საფრთხისაგან დაცვის გზით ფედერალიზმი თავისუფლებასაც იცავს, რადგან ზღუდავს ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლებას. ამ გზით ფედერალიზმი ინდივიდებს იცავს პოტენციურად მბრძანებლობისკენ მიდრეკილი ცენტრალური მთავრობისაგან.[10] ***ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის*** სისტემების მსგავსად, რომელიც მნიშვნელოვანი სამთავრობო ამოცანების განხორციელებაში ადგილობრივ ბიუროკრატიას ეფუძნება, ამერიკული სტილის ფედერალიზმი ინდივიდუალურ თავისუფლებებს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებათა არეალის შეზღუდვის გზით იცავს. შესაბამისად თანამედროვე ფედერალიზმის მიზანი იგივეა, რაც პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა, რომელიც

> ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ფუნქციების გადაცემით ახდენს ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატის შემცირებას და, შესაბამისად, ნაკლებად საშიშს ხდის მას თავისუფლებისათვის. ამავდროულად, დეცენტრალიზაცია განაპირობებს საზოგადოებრივი მასების ჩართვას პოლიტიკურ ცხოვრებაში მათთვის ხელისუფლების ხელმისაწვდომი დონეების გამარტივებითა და გამრავალფეროვნებით, რაც ააქტიურებს სამოქალაქო ერთიანობას და აჩვევს მას თვითმმართველობას. შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლება ორგანიზებულ სტრუქტურებად ყალიბდება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ან მისი ჭარბი ძალის შერბილება შეუძლია. საბოლოოდ, დეცენტრალიზაცია საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, მოერგოს ადგილობრივ საჭიროებებს და გარემოებებს, ასევე საშუალებას აძლევს ექსპერიმენტების საშუალებით პრობლემების გადაჭრის გზების მრავალი ვარიანტი მოძებნოს. ასე რომ, დეცენტრალიზაცია თავისუფლების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მცველია და საუკეთესო საშუალება ენერგიული და კომპეტენტური სამოქალაქო ერთიანობის ჩამოსაყალიბებლად.[11]

ფედერალიზმსა და თავისუფლებას შორის კავშირი განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის შემთხვევაში. გერმანიაში დემოკრატია ხელახლა დაიბადა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ომისაგან გამოფიტული სახელმწიფო, დამარცხებული და ოკუპირებული იყო უცხო ჯარების მიერ. მოკავშირე სახელმწიფოები შეერთებული შტატების მეთაურობით თვლიდნენ, რომ არ უნდა დაეშვათ ახალი გერმანული სახელმწიფოს ხელახალი მილიტარიზაცია და მის მიერ ახალი სამხედრო კამპანიის განხორციელება ევროპაში. ამის საუკეთესო საშუალება, მათი აზრით, გერმანიის დიქტატორულ ვირუსზე „აცრა“ იყო. „ვაქცინა“, რომლის გამოყენებაც გადაწყვიტეს, დემოკრატიული ფედერალიზმი იყო.

როგორ შეეძლო ფედერალიზმს არ დაეშვა ახალი ჰიტლერის შესაძლო აღზევება? ამის პასუხი გერმანიის ხელისუფლების დეცენტრალიზებულ სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ. გერმანული პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულები, რასაც გერმანულად *Land* ანუ ***მიწა*** ეწოდება, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მმართველობაში, როგორც რეგიონულ, ისე სახელმწიფო დონეზე. გერმანიის თექვსმეტი *მიწის* მთავრობების მიერ დანიშნული დელეგატები გერმანული პარლამენტის ზედა პალატის ანუ *ბუნდესრატის* წევრები არიან. ზედა პალატას უფლება აქვს ვეტო დაადოს ყველა იმ კანონს (ახალი გადასახადების ჩათვლით), რომელიც *მიწას* პირდაპირ ეხე-

ბა და გავლენას ახდენს მასზე. ამასთან, გერმანული ბიუროკრატიის დიდი ნაწილი *მიწების* ხელისუფლების პირდაპირი კონტროლის ქვეშ არის.

ალტერნატივა: უნიტარული სისტემები. თანამედროვე მსოფლიოს ხელისუფლებათა უმეტესობა არ ეფუძნება ფედერალურ სისტემას. მმართველობის ყველაზე გავრცელებული ფორმა *უნიტარული სისტემაა*, ისეთი, როგორიც დიდ ბრიტანეთშია. მას უნიტარული ჰქვია იმის გამო, რომ პოლიტიკურ სისტემას მთავრობის მხოლოდ ერთი, ძირითადი ერთეული აქვს. ესაა ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც სხვადასხვა საკითხის თაობაზე ხშირად მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ, როგორც წესი, ეს მას არ მოეთხოვება. შესაბამისად, ის, რაც ამ სისტემას ფედერალურისგან განსხვავებით აკლია, ცენტრალურ და ადგილობრივ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის არსებული ზემოთ ხსენებული *შტატის* ან *მიწის* ეკვივალენტური შუალედური ფენაა.

ზოგი უნიტარული სისტემა, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში, უფრო მეტი მონდომებით იცავს სახელმწიფო ხელისუფლების ძალაუფლებასა და პრერაგატივებს ადგილობრივი მაგისტრატების, მერებისა და პოლიტიკოსების მხრიდან შესაძლო დაუმორჩილებლობისაგან, ვიდრე ბრიტანეთში. საფრანგეთში, ***პრეფექტები*** (ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნულნი) აშუალებენ ურთიერთობებს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ დეპარტამენტებს შორის. მანამ, სანამ ფრანსუა მიტერანის სოციალისტური მთავრობა ინსტიტუციურ რეფორმებს წამოიწყებდა 1980-იანი წლების დასაწყისში, პრეფექტები ვალდებულნი იყვნენ ადგილობრივი დეპარტამენტების მთავრობებისთვის ზედამხედველობა გაეწიათ და იმის უფლებაც ჰქონდათ, რომ მათ მიღებულ გარკვეულ გადაწყვეტილებებზე ვეტო დაედოთ. ამ სისტემის მომხრეები დიდი ხნის განმავლობაში მსგავს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მოწყობას, რომელიც ***ტუტელაჟის (მეურვეობის)*** სახელით იყო ცნობილი, რაციონალური პოლიტიკური მართვის მოდელად მიიჩნევდნენ. *ტუტელაჟის* სისტემა იმდენად ცენტრალიზებული და სისტემატიზებული იყო, რომ გათვითცნობიერებულ დამკვირვებელს საათზე უბრალო შეხედვით იოლად შეეძლო ეთქვა, რა საგანს გადიოდნენ მოცემულ მომენტში სკოლაში მოსწავლეები მთელ საფრანგეთში. ბევრ ამერიკელს, რომლებიც მიჩვეულნი არიან განათლების სისტემის თავისუფლებას, სკოლების, საგანმანათლებლო პროგრამების, სააკრედიტაციო მოთხოვნების და აკადემიური სტანდარტების მრავალგვაროვნებას, მთავრობის დაწესებული მსგავსი ერთგვაროვნება უთუოდ უცნაურად მოეჩვენებოდა.

დემოკრატია, როგორც ეფექტიანი ხელისუფლება

ვამტკიცებდით, რომ დემოკრატიას არ შეუძლია თავისი მოქალაქეების (რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში, იხდიან გადასახადებს, მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში) აზრებისა და რწმენის უგულებელყოფა, მაგრამ ასევე არ შეუძლია უბრალოდ ასახოს უმრავლესობის მომენტალური განწყობა და სურვილები, თუკი ისინი აზარალებენ უმცირესობის ინტერესებსა და უფლებებს. დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც მგრძნობიარეცაა და შეზღუდულიც, სავალდებულო არაა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდეს. იმისთვის რომ წარმატებული იყოს და ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ, გადარჩეს, დემოკრატიული მთავრობა, ისევე როგორც

ხელისუფლების მოწყობის სხვა ფორმები, ეფექტიანი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობები, რომ განახორციელოს ის მიზნები, რისთვისაც ის შეიქმნა. თუ დემოკრატიას არ ძალუძს დაიცვას თავისი მოქალაქეები, უზრუნველყოს კეთილდღეობა და სხვა არსებითი სფეროები (განათლება, სამართლის დაცვა, და ელემენტარულად წყლის მიწოდების სისტემის ან ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის გამართული მუშაობა), მაშინ რა სარგებელია მასში? ამ საკითხის წამოწევა მიუთითებს იმის ალბათობაზე, რომ დემოკრატიული ხელისუფლება, შესაძლოა, ზედმეტად მგრძნობიარე, ან ზედმეტად შეზღუდული აღმოჩნდეს ხალხის საკეთილდღეო ქმედებებში.

შეზღუდული და მგრძნობიარე მთავრობა, რომელსაც ძალუძს იმოქმედოს სწრაფად და მოქნილად, უნდა ეყრდნობოდეს ძალაუფლების შეკავებისა და გაწონასწორების სტრუქტურებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გარკვეულ გარემოებებში მთავრობას ენერგიული მოქმედების უნარი უნდა დაუსუსტდეს. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ჯეიმს მედისონის მოსწრებული ნათქვამი პირველი კონსტიტუციური კონვენტის შესახებ: „იმ სირთულეთა შორის, რომლებსაც კონვენტი შეეჯახა, ძალიან მნიშვნელოვანი ის უნდა იყოს, რომ მოხდეს მთავრობაში აუცილებელი სტაბილურობისა და ენერგიულობის შერწყმა თავისუფლებისა და რესპუბლიკური ფორმის ხელშეუხებლობასთან“.[12] მედისონი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების სტაბილურობა აუცილებელია შიდა სიმშვიდისა და წესრიგისათვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი თვითრწმენისთვის, ქმედითობა კი აუცილებელია შიდა და გარე გამოწვევების გადაჭრისათვის. მისი სიტყვებით, ქმედითუნარიანობა და სტაბილურობა ერთად ეფექტიანი ხელისუფლების ძირითადი საზრისია.

სტამიერმის აუცილომლომა

სტაბილურობა ეფექტიანი მთავრობის არსებითი ატრიბუტია. პოლიტიკური და სიტემური სტაბილურობა შეიძლება განსაკუთრებულად მწვავე პრობლემა იყოს ახლად აღმოცენებული დემოკრატიისა და განვითარებადი ქვეყნებისთვის, მაგრამ ეს არაა მსოფლიოს მხოლოდ კონკრეტულად ამ ტიპის რომელიმე ქვეყნის ან რეგიონისთვის დამახასიათებელი. მაგალითად, იტალია განვითარებული დემოკრატიაა, მაგრამ იგი ცნობილია მთავრობათა ხშირი ცვალებადობით.

სტაბილურობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა გზით. არჩეულ წარმომადგენლებს საკმარისი დრო და ვადა უნდა მიეცეთ იმისთვის, რომ განახორციელონ ან მიაღწიონ რამე ღირებულს. უნდა არსებობდეს გარკვეული სახის პოლიტიკური დისპუტებისა და სოციალური კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუციური გზები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყნის ნაწილებად დახლეჩისა და დესტაბილიზაციის ალბათობა (შეერთებულ შტატებში უმაღლესი სასამართლო ხშირად ასრულებს ამ ფუნქციას, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებსა და საკანონმდებლო ორგანოსაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ). ლიდერების შეცვლის ინსტიტუციური პროცედურები ისეთი რეგულირებული მეთოდების საშუალებით, როგორიცაა არჩევნები და დანიშვნები, ძალიან მნიშვნელოვანია და დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპული უპირატესობაა თანამედროვე დიქტატურებთან შედარებით. მონარქია, ჩვეულებრივ, ამ პრობლემას მემკვიდრეობის პრინციპის შენარჩუ-

ნებით ჭრის, მეფის თუ დედოფლის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტი მის უფროს შვილს გადაეცემა.

ისტორია და ტრადიცია, ისევე, როგორც სიმბოლიზმი და რიტუალი, აძლიერებს განგრძობითობის შეგრძნებას მთავრობებში (გავითვალისწინოთ თუნდაც ის ზარზეიმი და განსაკუთრებული გარემო, რომელიც თან ახლავს შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინაუგურაციას ან ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრების დაქორწინებას). მსგავსი განგრძობითობის შეგრძნების აუცილებლობაზე საუბრისას ჯეიმს მედისონი დაუპირისპირდა თომას ჯეფერსონის წინადადებას კონსტიტუციური კონვენტების პერიოდულობის სიხშირის გაზრდასთან დაკავშირებით იმის საფუძველზე, რომ „ხალხისადმი ყოველი მიმართვა მთავრობაში რაღაც დეფექტის არსებობის მანიშნებელი იქნება, ხშირი მიმართვები კი დიდწილად მოახდენს იმას, რომ მთავრობას მოაკლდება საზოგადოების მხრიდან მოწიწება და თაყვანისცემა, რის გარეშეც შესაძლოა ყველაზე ჭკვიან და ყველაზე თავისუფალ მთავრობასაც კი არ ჰქონდეს ესოდენ საჭირო სტაბილურობა“, უფრო მეტიც „ყველაზე ჭკვიანი მთავრობაც კი არ ჩათვლის ზედმეტ უპირატესობად იმას, რომ საზოგადოებრივი სტერეოტიპები და ცრურწმენები თავის მხარდამჭერად იხილოს“.[13]

ქმედითობის აუცილებლობა

იმისთვის, რომ ეფექტიანი იყოს, ხელისუფლება ქმედითიც უნდა იყოს. ქმედითობის თეზისის მიმართ დამფუძნებელ მამათა მხარდაჭერა შეერთებულ შტატებში ნათლად იქნა ასახული კონსტიტუციაში, რომელმაც არა მარტო გადასცა მთავრობას, როგორც ერთს, საკმარისი ძალაუფლება, არამედ შექმნა ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ჭიდილის შესაძლებლობები მისცა. კონსტიტუციამ კონგრესს უფლებამოსილება მიანიჭა „მიიღოს ყველა კანონი, რომელიც აუცილებელია და შესაბამისია ძალაუფლების აღსრულებისთვის“ (მუხლი1-2). ეს ნათელყოფს დამფუძნებელ მამათა განზრახვას, რომ ხელისუფლებისათვის შეექმნათ შესაძლებლობა, საჭიროებების შემთხვევაში გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯები. ამ თვალსაზრისით, ალექსანდერ ჰამილტონი აღნიშნავდა, რომ „მთავრობა თავის თავში უნდა მოიცავდეს ყოველგვარ ძალაუფლებას, რომელიც აუცილებელია მასზე გადაცემული საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად... თავისუფალი უნდა იყოს ყოველი სახის კონტროლისაგან, მაგრამ უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი სიკეთის პრინციპსა და ხალხის აზრს“.[14]

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეროვნული მთავრობის ძალაუფლება დროთა განმავლობაში ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა, შტატის ხელისუფალთა უფლებამოსილებები კი შედარებით მერყეევია: ხან იზრდება, ხან კლებულობს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ 1789 წლიდან დღემდე ყველა დონის ხელისუფლების ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაიზარდა. შეერთებულ შტატებში მთავრობის როლის ამგვარი ზრდა პასუხია საზოგადოებაში, ეკონომიკაში და, რა თქმა უნდა, ამერიკის საზღვრებს მიღმა არსებულ სამყაროში მომხდარ ცვლილებებზე. ამ ტენდენციის შედეგი, კარგია თუ ცუდი, ისაა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა დღეს უფრო ქმედითია, ვიდრე ერთი საუკუნის წინათ იყო, და გაცილებით ქმედითია, ვიდრე ორი საუკუნის წინ. თუკი ვინმე ფიქრობს, რომ შეერთებული შტატები მსოფლიოს მოწი-

ნავე სამხედრო და ეკონომიკური ძალაა, ერთადერთი ჭეშმარიტი ზესახელმწიფოა XXI საუკუნის დასაწყისში, მისთვის იოლია დაინახოს, რომ დემოკრატიამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამისთვის საკმაოდ კარგად იმუშავა. ერთია, რომ აშშ-ის სისტემა შეიძლება გააკრიტიკო იმისთვის, რომ ის არაა საკმარისად მგრძნობიარე ან ამტკიცო, რომ იგი ზედმეტად ექსპანსიურია ანუ არაა საკმარისად შეზღუდული, მაგრამ ვინ შეიტანს ეჭვს მის ეფექტიანობაში?

მოგვიანებით, VI თავში ვიხილავთ, რომ საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკისთვის (1945-1958) ეფექტიანი მთავრობა ნაკლებადაა დამახასიათებელი. საფრანგეთმა საბოლოოდ ამ პრობლემის დაძლევა ძველი კონსტიტუციის ახლით შეცვლითა და ძალაუფლების სიმძიმის ცენტრის პარლამენტიდან პრეზიდენტზე გადანაცვლებით შეძლო. ამ ქვეყანას ასევე ჰყავს პრემიერ-მინისტრი, რომელიც მთავრობას ხელმძღვანელობს, მაგრამ პრეზიდენტს, რომელიც პირდაპირი არჩევნებით ხუთი წლის ვადით ირჩევა, უფლება აქვს დააკომპლექტოს ან გადააყენოს მთავრობა. ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლების შექმნით, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციამ ფრანგული დემოკრატიის ისტორიაში ახალ პერიოდს დაუდო სათავე, რომელმაც ისეთი სტაბილურობა და აყვავება მოუტანა საფრანგეთს, როგორიც მას ბოლო ორი ასწლეულის განმავლობაში არ ახსოვს.

საფრანგეთისგან განსხვავებით, იტალიას ჯერჯერობით არ გადაუჭრია ეფექტიანი დემოკრატიული მმართველობის ამოცანა. ნებისმიერი სხვა დასავლური საპარლამენტო დემოკრატიისგან განსხვავებით, იგი სამთავრობო არასტაბილურობის ნიმუშია. რადგან აქ საპარლამენტო სისტემაა, მთავრობას პრემიერ-მინისტრი მართავს, და იმის გამო, რომ იტალიას ქაოსური პარტიული სისტემა აქვს, პრემიერს იშვიათად აქვს ხანგრძლივი ან მასზე დამოკიდებული თუ მისდამი დაქვემდებარებული პარტიული კოალიციის (საპარლამნეტო უმრავლესობას გაცილებით მცირე ძალა აქვს) მხარდაჭერა. შედეგი ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში იტალიაში მთავრობები საშუალოდ ექვს თვეში ერთხელ იცვლებოდა. ბოლო წლებში იტალიის საარჩევნო სისტემის რეფორმირების მცდელობამ ამ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით შედეგი არ გამოიღო. საბედნიეროდ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იტალია, მიუხედავად პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით საამაყო მიღწევების ნაკლებობისა, ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით წარმატებული ქვეყნის მაგალითია. რთული წარმოსადგენი არაა, ეკონომიკური განვითარების რა სიმაღლეებს მიაღწევდა იტალია ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მთავრობას ეფექტიანად რომ ემართა.

ეს სამი მაგალითი ადასტურებს, რომ დემოკრატიული მთავრობა შეიძლება იყოს ეფექტიანი, მაგრამ ამის გარანტია არ არსებობს. წარმატებული დემოკრატიის ამ თავში განხილულ სამ თვისებათაგან, ეფექტიანობა ერთადერთია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული მთავრობისთვის არაა დამახასიათებელი. დიქტატურა, ჩვეულებრივ, არ ცდილობს იყოს მგრძნობიარე ან შეზღუდული, მაგრამ აქვს ერთადერთი მიზანი — ეფექტიანი. არცერთ დემოკრატიულ ხელისუფლებას არ ძალუძს შეასრულოს დანაპირები, თუკი მგრძნობიარე არაა, და არცერთი მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება ამოცანების ჩავარდნის შემთხვევაში, თუ იგი შეზღუდული არაა. ბოლო დრომდე ძალზე მწვავედ იდგა საკითხი იმის თაობაზე, რამდენად ძალუძს დემოკრატიას აჯობოს დიქტატურას, როგორც მმართველობის ეფექტიანმა ფორმამ. ბოლო დროის ისტორიულმა ცვლილებებმა ეს საკითხი მოხსნა დღის წესრიგიდან.

ხელისუფლების ახლიდან გამოგონება: განმანათლებლობა და ამერიკის იდეა

შეერთებული შტატები წარმომადგენლობითი დემოკრატიის თანამედროვე თეორიის პრაქტიკაში დანერგვის სამშობლოა. დასაწყისში იგი არ იყო სრულყოფილი, მაგრამ ნამდვილად იყო წარსულიდან უყოყმანოდ გადმოდგმული ნაბიჯი და მომავლის დაგეგმვის გაბედული მცდელობა. იმ იდეის ტრიუმფი, რომ რესპუბლიკა, მონარქიისა და ავტორიტარული მმართველობის სხვა ფორმებისგან განსხვავებით, პოლიტიკური მოწყობის უფრო გონივრული და უმჯობესი ალტერნატივაა, თანამედროვე მსოფლიო ისტორიის განმსაზღვრელი მომენტი გახდა. მოხდა ისე, რომ ეს ტრიუმფი განხორციელდა ადგილზე, რომელსაც ამერიკა ერქვა. დღეს ამერიკის იდეა მთელი მსოფლიოს ხალხთა წარმოდგენაში თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეების სინონიმურია (ეს იდეა გაცილებით მეტია, ვიდრე რეალობა, რომელმაც დაამტკიცა, რომ იგი თანამედროვეობის დიდი ძალაა).

ამერიკის იდეა, რომ დაწერილი კონსტიტუციის ფარგლებში ხალხს საკუთარი თავის მართვა თავად ძალუძდეს, პირდაპირი გაგებით პროდუქტია XVIII საუკუნის განმანათლებლობისა, რომელიც, თავის მხრივ, სათავეს გვიანი XV საუკუნის იტალიური რენესანსის ინტელექტუალური დუღილიდან იღებს. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამერიკული რევოლუცია უბრალოდ ჯორჯ ვაშინგტონის, თომას ჯეფერსონის თუ სხვა რევოლუციური ლიდერების გონებაში არ მომწიფებულა. პოლიტიკური თეორია, რომელიც ამერიკის მამების იდეებში გამოიხატა, მყარად იყო დაფუძნებული გამოჩენილი მოაზროვნეების – ნიკოლო მაკიაველის, თომას ჰობსის, ჯონ ლოკის, ბარონ დე მონტესკიეს და სხვათა ინტელექტუალურ ღვაწლზე. ყოველი მათგანი, არსიტოტელესგან განსხვავებით, ამტკიცებდა, რომ მთავრობის მიზანი არის არა სიქველის დანერგვა, არამედ ბოროტების და მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლა. ადამიანის ბუნებიდან, მართებულად ხედვამ, ეს მოაზროვნეები რეალისტური მიზნების, მაგალითად, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ძიებამდე მიიყვანა, რაც პოლიტიკურად მიღწევადია, სიქველე კი ასეთი არაა.

თავისუფლების არქიტექტურა

ამ ქვეთავში პოლიტიკის უნივერსალური პრობლემაა დასმული: თუკი ხალხი თავისი ბუნებით არაა ქველი, და ამავე დროს თავადაა მმართველი, მაშინ როგორაა შესაძლებელი, რომ მართვის ნებისმიერი სისტემა არ გადაგვარდეს და ტირანიად არ იქცეს? ამერიკის მამებმა ამ თავსატეხის გადაჭრა ისეთი მიდგომის განვითარებით სცადეს, რასაც ***პოლიტიკის ახალი გაგება*** უწოდეს. ეს *ახალი გაგება* პოლიტიკური ინსტიტუტების მანამ უცნობი და ახლებური მოწყობის ირგვლივ გაიშალა, რამაც თავისუფლების პრაქტიკის მეტი შესაძლებლობა დაბადა და ხელისუფლების ფუნქციების დანაწილების საშუალებით, ძალაუფლების დესპოტური გამოყენებისგან (ტირანიის) მისი დაცვა და, შესაბამისად, ძალაუფლების კონცენტრაციის საფრთხის თავიდან აცილება უზრუნველყო. სწორედ ისე, როგორც სერ ისააკ ნიუტონმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, დამფუძნებელ მამებსაც სჯეროდათ, რომ მათ სოციალურ მეცნიერებაში ახალი საფუძვლების დანერგვით პოლიტიკის რევოლუციური გაგება შემოიტანეს.

ჰამილტონი ამ აღმოჩენის არსს *ფედერალისტში* [(ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რატიფიცირების და ცალკე არსებული შტატების გაერთიანების საფუძველზე ფედერალური სახელმწიფოს შექმნის მომხრე ინტელექტუალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა 85 სტატიის კრებულია. ავტორები ალექსანდერ ჰამილტონი (51 სტატიის ავტორია), ჯეიმს მედისონი (29 სტატიის ავტორია) და ჯონ ჯეი (5 სტატიის ავტორია) არიან. სტატიები 1787-1788 წწ. სერიულად იბეჭდებოდნენ ნიუ-იორკის გაზეთებში. 1788 წელს სტატიები კრებულის სახით იქნა გამოცემული და მას *The Federalist Papers* ეწოდა. (მთარგ. შენ.)] ნათელყოფს. ამტკიცებდა რა, რომ ამერიკის კონსტიტუცია თავიდან აიცილებდა „ტირანიის და ანარქიის უკიდურეს გამოვლინებებს“, რომლებმაც ადრე არსებული რესპუბლიკები დაღუპეს, ჰამილტონი თავის მკითხველებს მოუწოდებდა, არ შეჩერებულიყვნენ წარსულის მაგალითებზე: „პოლიტიკის მეცნიერება, მსგავსად ნებისმიერი სხვა მეცნიერებისა, დიდად გაუმჯობესდა... სხვადასხვა პრინციპის ძალა, რომლებიც მანამ ან სრულიად უცნობი იყო, ან ცუდად გაგებული ძველების მიერ, ახლა უკეთაა შეცნობილი“. ჰამილტონმა აღბეჭდა ის პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც ჩადებული იყო კონსტიტუციაში ამ *პოლიტიკის ახალი გაგების* შემქმნელთა მიერ:

> განსაზღვრულ დეპარტამენტებზე (სამინისტროებზე) ძალაუფლების რეგულარული განაწილება; შეკავებისა და გაწონასწორების კანონმდებლობითი მექანიზმების დანერგვა; ისეთი სასამართლოების შექმნა, რომლებიც შედგებიან კარგი ქცევისა და კომპეტენციის საფუძველზე შერჩეული მოსამართლეებისაგან; საკანონმდებლო ორგანოში ხალხის წარმომადგენლობა არჩეული დეპუტატების მეშვეობით – ყოველივე ეს ან სრულიად ახალი აღმოჩენებია, ან თანამდროვეობის მოთხოვნილების შესაბამისად პრინციპული პროგრესის გზით სრულყოფილი. ეს არის საშუალებები, ძლიერი საშუალებები, იმისთვის, რომ რესპუბლიკური მმართველობის უპირატესობა შენარჩუნდეს და მისი ნაკლოვანებები ან შემცირდეს, ან თავიდან იქნეს აცილებული.[15]

ჯეიმს მედისონის სიტყვებით რომ ვთქვათ, დამფუძნებლები ხვდებოდნენ, რომ „განათლებული პოლიტიკოსები ყოველთვის არ იქნებიან ძალაუფლების სადავეებთან“.[16] გონიერი ხელისუფალის არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ თავად სწორად აგებულ სახელმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს მათი ამბიციები, ვინც მისი სახელით მართვაზე აცხადებს პრეტენზიას. არჩევნები ასეთი კონტროლის ერთ-ერთ სახეს უზრუნველყოფს, აღნიშნავდა მედისონი, მაგრამ „გამოცდილებამ კაცობრიობას დამატებითი გარანტიების აუცილებლობა უკარნახა“.[17] უპირველესი გარანტია ხელისუფლების ძირითად კომპონენტებს შორის მუდმივი ჭიდილის დანერგვა იყო: „ხელისუფლების ერთსა და იმავე შტოში ძალაუფლების თანმიმდევრული კონცენტრაციის საშიშროების თავიდან აცილების კარგი საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი დეპარტამენტის (სამინისტროს) ხელმძღვანელობას მიეცეს საჭირო კონსტიტუციური მხარდაჭერა, პირადი მოტივაციის გასაზრდელად წინააღმდეგობა გაუწიოს სხვების მხრიდან მის კომპეტენციებში შემოჭრას“. მოკლედ რომ ვთქვათ, „საჭიროა ამბიციამ გაანეიტრალოს ამბიცია“.[18]

შეკავება და გაწონასწორება

ამ მიზნის მისაღწევად დამფუძნებლებმა სცადეს ხელისუფლების შტოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორგანოებად ჩამოეყალიბებინათ. შესაბამისად, ყოველი შტოს ძალაუფლება კონსტიტუციის სპეციფიკური მუხლიდან გამომდინარეობს (პირველი მუხლი ეხება საკანონმდებლო ორგანოს, მეორე – აღმასრულებელს, მესამე – სასამართლოს). ხელისუფლების ყოველ შტოს მიენიჭა კონსტიტუციური ძალაუფლება მასზე დაკისრებული სპეციფიკური მოვალეობების განსახორციელებლად და ყოველ მათგანს მიეცა საიმისო მექანიზმები, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სხვა შტოს მხრიდან არალეგიტიმური საშუალებებით ზემოქმედების მცდელობებს. ეს მექანიზმები, რომლებსაც უწოდებენ ***შეკავებას და გაწონასწორებას***, შედგება, როგორც ჩვეულებრივი (პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების უფლება), ისე განსაკუთრებული (კონგრესის მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა) პრეროგატივებისაგან.

ისინი ერთობლივად თითოეული შტოს წევრებისათვის „აუცილებელი კონსტიტუციური საშუალებებია“ სხვა შტოების მიერ მის კომპეტენციებში ექსპანსიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. „კერძო ინტერესი უნდა დაუკავშირდეს ინსტიტუტის კონსტიტუციურ უფლებებს“.[19] დამფუძნებლები გრძნობდნენ, რომ ინსტიტუციონალიზებული თვითინტერესი ძალაუფლების გრძნობით აღჭურვილ თანამდებობის პირებს, მათი კონკრეტული ინსტიტუტის მნიშვნელობისა და აღმატებულობის გრძნობას გაუძლიერებდა და გაზრდიდა მათ მონდომებას თავიანთი სამსახურის პრესტიჟის შესანარჩუნებლად (შესაბამისად, საკუთარი კარიერული წინსვლის უზრუნველსაყოფად). ამგვარად, კონგრესის მიერ 1974 წელს პრეზიდენტ ნიქსონის წინააღმდეგ წამოწყებული იმპიჩმენტის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ იგი, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, აშკარა უპატივცემულობას იჩენდა საკანონმდებლო ორგანოს ძალაუფლების მიმართ (ძალაუფლების გადამეტება, უოტერგეიტის საქმის ჩათვლით, ნიქსონის წინააღმდეგ წამოწყებული პროცესის მთავარი თემა იყო). 1998 წელს პრეზიდენტ კლინტონის (დემოკრატიული პარტიიდან) წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესის მცდელობა იმას უკავშირდებოდა, რომ მან წინააღმდეგობა გაუწია კონგრესს (რესპუბლიკელები უმრავლესობას წარმოადგენდნენ), გამოეძიებინა მისი ქცევის შესაბამისობა ზნეობრივ ნორმებთან სამსახურეობრივი ვალდებულებების გათვალისწინებით. მისი ოპონენტები მას ასევე ბრალად სდებდნენ სასამართლო ხელისუფლების უპატივცემულობას, რაც ცრუ ჩვენებების მიცემაში გამოიხატა.

აფუძნებდნენ რა დემოკრატიულ ინსტიტუტებს პირად ინტერესზე (*self-interest*), დამფუძნებლები ადამიანის ბუნების სიკეთისა და ზნეობრივი სრულყოფისადმი მისი მიდრეკილების მიმართ ერთგვარ სკეპტიციზმს გამოხატავდნენ. ჰამილტონის მიხედვით, „ადამიანები ამბიციურები, შურისმაძიებელნი და ხარბები“[20] არიან. მედისონი ეთანხმებოდა და უფრო მკვეთრადაც კი გამოხატავდა ამ აზრს:

> შესაძლოა ადამიანის ბუნებაზე მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ამგვარი მექანიზმები (შეკავება და გაწონასწორება) აუცილებელია ძალაუფლების გადამეტების გასაკონტროლებლად. რაა თავად მთავრობა, თუ არა ადამიანის ბუნებაზე ფიქრის ყველაზე დიდი გამოხატულება? ადამიანები ანგელოზები რომ იყვნენ, არავითარი მთავრობა საჭირო არ იქნებოდა. ანგელოზები რომ

მართავდნენ ადამიანებს, მთავრობაზე კონტროლის არც გარე და არც შიდა მექანიზმები არ იქნებოდა საჭირო“.[21]

კარგად აწყობილ რესპუბლიკაში განათლებული, პირადი ინტერესის მქონე ადამიანი საყოველთაო სიკეთისთვის იღვაწებს. პოლიტიკოსები აღმოაჩენენ, რომ პირადი ინტერესების (მაგალითად, განმეორებით არჩევა) განხორციელების საუკეთესო გზა საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებაა და არა ძალაუფლების გადამეტება ან ბოროტად გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მედისონის სისტემა, ისევე როგორც ადამ სმიტის „უხილავი ხელი“, ავტომატურად მოაწესრიგებს პროცესის მიმდინარეობას, რათა ინსტიტუციური ძალაუფლების წონასწორობა არ დაირღვეს. ამგვარად, შეერთებული შტატების *პოლიტიკის ახალი გაგება* თავის არგუმენტებს მაღალფარდოვან და ზედაპირულ ზნეობრიობაზე ან რელიგიურ გრძნობებზე კი არ აფუძნებდა, არამედ რეალობაზე მყარად მდგარ ინსტიტუცინალიზებული პირადი ინტერესის პრინციპზე.

დამფუძნებელთა ნააზრევზე ფოკუსირდება ყველაფერი „ამერიკულის“ განდიდების, და შესაბამისად, ეთნოცენტრიზმისა და შეზღუდულობაში ბრალდების რისკს ქმნის. ამ შემთხვევაში მაინც არის გამამართლებელი არგუმენტი, რომელიც ლოგიკასა და ისტორიას ეყრდნობა. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ თანამედროვე ისტორიის პირველი წარმატებული დემოკრატიული ექსპერიმენტი ჩრდილოეთ ამერიკაში XVIII საუკუნის დასასრულს განხორციელდა, და რევოლუციონერები, რომლებმაც იგი წამოიწყეს, პოლიტიკის ფილოსოფოსები იყვნენ (იმ პერიოდში პოლიტიკური მეცნიერება, როგორც ასეთი, არც არსებობდა). *პოლიტიკის მეცნიერების* შექმნით, მათ შეიმუშავეს დემოკრატიის პრაქტიკული თეორია, რომელსაც კონკრეტული ისტორიული კონტექსტიდან დაშორებული შინაარსი და გამოყენება აღმოაჩნდა. როგორც დასაწყისში აღინიშნა, მისი გამოყენება სცილდება მსოფლიოს რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოსა თუ რეგიონის ფარგლებს.

საპრეზიდენტო სისტემა

შეერთებული შტატების მმართველობას ხშირად ***საპრეზიდენტო სისტემას*** უწოდებენ, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური კონგრესის წევრებისაგან დამოუკიდებლად და ცალკე ირჩევა. სისტემა ***ძალაუფლების დანაწილებით*** ხასიათდება, რომლის ფარგლებშიც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოები შესაბამისი უფლებამოსილებების და ვალდებულებების განხორციელებისთვის ცალ-ცალკე არიან პასუხისმგებელნი ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფის წინაშე. მმართველობა ფორმალურად სხვადასხვა ფუნქციური ჩარჩოს მიხედვითაა ჩამოყალიბებული. ვინაიდან ყოველი მმართველობისთვის სავალდებულოა კანონების ფორმულირება, აღსრულება და ინტერპრეტირება, ლოგიკურია, რომ ამათგან პირველი ფუნქციის შესასრულებლად საჭიროა შეიქმნას საკანონმდებლო ორგანო (წესების შემუშავება), მეორე ფუნქციისთვის – აღმასრულებელი ხელისუფლება (წესების გამოყენება და დანერგვა) და მესამე, ზედამხედველობის ფუნქციისათვის – სასამართლო ხელისუფლება (წესების განმარტება და ინტერპრეტაცია).

მსგავსი მოწყობის ლოგიკამ არ იცის არც პოლიტიკური და არც გეოგრაფიული საზღვრები, დღეისათვის იგი გვხვდება მსოფლიოს ყველა რეგიონის მრავალი დე-

მოკრატიის სტრუქტურაში. საპრეზიდენტო დემოკრატია ამჟამად განსაკუთრებით ჩვეულებრივი გახდა ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის, მაგრამ ხელისუფლების დემოკრატიული მოწყობის მსგავსი ფორმა სხვადასხვა სახით ისეთ ქვეყნებშიც გვხვდება, როგორიცაა რუსეთი, საფრანგეთი, ნიგერია, სამხრეთი აფრიკა, ინდონეზია, ფილიპინები.

ძალაუფლების დანაწილება

შეერთებული შტატების კონსტიტუცია ხელისუფლების ყოველ შტოს სპეციფიკურ ამოცანებს აკისრებს. მაგალითად, კონგრესს მინიჭებული აქვს ე. წ. ხაზინადარის ძალაუფლება. პრეზიდენტი წარადგენს წლიური ბიუჯეტის პროექტს და ცდილობს მიზნობრივი დაფინანსების შესახებ კონგრესის გადაწყვეტილებებზე გავლენა მოახდინოს, მაგრამ სახელისუფლებო ხარჯებზე საბოლოო სიტყვის უფლება მაინც კონგრესს რჩება. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ასეთი მძლავრი შეზღუდვის მექანიზმი სხვა საპრეზიდენტო დემოკრატიებში ფართოდ არაა დანერგილი, და ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვასა და დამტკიცებაში საბოლოო სიტყვა ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს ეკუთვნის, შემოსავლებისა და ბეგარა-მოსაკრებლების შესახებ გადაწყვეტილებების საბოლოო ინსტანციად კი საკანონმდებლო ორგანო რჩება.

ძალაუფლების დანაწილების ამერიკულ მოდელში არის გარკვეული სფეროები, რომლსაც ძალაუფლებას სხვადასხვა შტო ერთობლივად ახორციელებას. მაგალითად, მსგავსი გამჭოლი და ურთიერთგადამკვეთი პასუხისმგებლობებით „ომის გამოცხადების“ უფლება ხასიათდება. კონგრესს აქვს იმის უფლება, რომ შეკრიბოს და შეინახოს არმია (თუმცა, კონსტიტუცია ამ უფლების გამოყენებას კონგრესს ორწლიანი ვადით განუსაზღვრავს), საჭირო რესურსებით უზრუნველყოს და ზედამხედველობა გაუწიოს სამხედრო ფლოტს, შექმნას შეიარაღებული ძალების მარეგულირებელი წესები და, რაც მთავარია, გამოაცხადოს ომი. თუმცა, ამავდროულად, კონსტიტუცია შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად პრეზიდენტს აცხადებს. შესაბამისად, გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი ნებისმიერი მნიშვნელოვანი სამხედრო აქცია ხელისუფლების ორივე შტოს თანამშრომლობას მოითხოვს. ზოგადად, ურთიერთქმედების ეს ტიპი მსგავსი ინსტიტუტების მქონე სხვა ქვეყნებშიცაა გადაღებული, მაგრამ შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი, როგორც პრინციპის, ისე პრაქტიკის სახით, არსად ისე მყარად არაა დაფუძნებული, როგორც შეერთებულ შტატებში. შესაბამისად, ბევრ საპრეზიდენტო სისტემაში კრიზისის პერიოდში სამხედრო გადატრიალების ალბათობა დემოკრატიისთვის პრინციპულ საფრთხეს ქმნის.

გარდა იმისა, რომ სამი შტოს წევრები სხვადასხვა ამოცანის შესრულებას ემსახურებიან და სხვადასხვა გზით ჭრიან მათ, ისინი სხვადასხვა ვადითა და სხვადასხვა ამომრჩევლის მიერ არიან არჩეულნი. კონსტიტუციისა და მისი შესაბამისი შესწორების მიხედვით, პრეზიდენტი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა ირჩეოდეს და ერთსა და იმავე პირს ორ ვადაზე მეტად თანამდებობის დაკავება არ შეუძლია. მხოლოდ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი არიან მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირები, რომელთაც ძალაუფლების მანდატი სრულიად სახელმწიფო ელექტორატის მიერ გადაეცემათ. ამის საპირისპიროდ, კონგრესში არჩეული წარ-

მომადგენლები კონკრეტული ოლქის (შტატის შიდა ერთეულის) ელექტორატისგან იღებენ მანდატს ორი წლით. სენატორები წარმოადგენენ შტატს და თანამდებობას ექვსი წლის ვადით იკავებენ. უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები (და ყველა სხვა ფედერალური მოსამართლე) არ არიან არჩეულნი, მათ ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობის საფუძველზე. დამფუძნებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დანიშვნის ამ სახეს, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ მიუკერძოებელი სამართლის აღსრულებისთვის საჭიროა სასამართლო თავისუფალი იყოს პოლიტიკური ზეწოლისგან. მოსამართლის თანამდებობა არჩევითი რომ ყოფილიყო, მისი მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის კანდიდატები პოლიტიკურ ჯგუფებთან ალიანსებში ან ფარულ გარიგებებში შევიდოდნენ, რაც კანონის ინტერპრეტაციაში გარკვეული ჯგუფური და კერძო ინტერესების ასახვის გამო, სამართლიანობის პრინციპს დააზარალებდა.

ამა თუ იმ თანამდებობის დაკავების ვადა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარადაა განსაზღვრული, თუმცა ოთხწლიანი ვადა თითქმის ყველგან სტანდარტია. მაგალითად, რუსეთსა და ბრაზილიაში ამ თვალსაზრისით შეერთებული შტატების ანალოგიური სურათია: პრეზიდენტს ოთხი წლით ირჩევენ და მას შეუძლია ვადის გასვლისთანავე ისევ იყაროს კენჭი ამ თანამდებობაზე. ამის საპირისპიროდ, მექსიკასა და ნიგერიაში პრეზიდენტებს ექვსწლიანი ვადით ირჩევენ, მაგრამ ხელმეორედ არჩევის უფლება არ აქვთ. ბოლო დრომდე, საფრანგეთის პრეზიდენტს, ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობით, შვიდწლიანი ვადით ირჩევდნენ (2000 წელს ვადა ხუთ წლამდე შემცირდა, იხ. VI თავი). ბევრ საპრეზიდენტო სისტემაში ქვეყნის მთავრობის უმაღლეს თანამდებობის პირს გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს საკანონმდებლო ორგანოსთან მიმართებაში, ვიდრე ეს შეერთებულ შტატებშია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით, ხელისუფლების არც ერთ შტოს არა აქვს უფლება დომინირებდეს სხვაზე. ძალაუფლება განაწილებულია და გარკვეულწილად მისი ერთიანად მოცვა შეუძლებელიცაა. მსგავსი პოლიტიკური მოწყობის პირობებში გასაკვირი არაა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა პოლიტიკური კამათითა და გავლენისათვის ბრძოლით ხასიათდება, განსაკუთრებით პრეზიდენტსა და კონგრესს შორის ურთიერთობაში. მსგავსი პოლიტიკური ურთიერთობების ტიპი შეინიშნება სხვა ქვეყნების პრეზიდენტებსა და პარლამენტებს შორისაც. თუმცა, სხვა ქვეყნების პრეზიდენტებს პარტიებთან და პარლამენტებთან ბრძოლისთვის აქვთ ისეთი „იარაღი“, რაც შეერთებული შტატების პრეზიდენტს აშკარად არ გააჩნია.

შეზღუდული უმრავლესობის მმართველობაზე

ამერიკის პოლიტიკური სისტემის დამფუძნებლები უმრავლესობის ტირანიის (უმრავლესობის მიდრეკილება, გათელოს უმცირესობათა უფლებები) შესაძლო საფრთხით ერთნაირად იყვნენ შეშფოთებულნი. უმრავლესობის ძალის შესარბილებლად, გარკვეულწილად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საკანონმდებლო ორგანოს ***ორპალატიან პრინციპზე*** მოწყობა (ორ პალატად – წარმომადგენელთა პალატად და სენატად დაყოფა). შესაბამისი მნიშვნელობა ჰქონდა ძალაუფლების დანაწილებასაც. საპრეზიდენტო ვეტო, სასამართლოს დამოუკიდებლობა და ფედერალიზმი ასევე ჩაფიქრებული იყო უმრავლესობის მმართველობისათვის დამახასიათებელი პოტენციური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ მსგავსი პოლიტიკურ-ინსტიტუციური მოდელი სხვა ქვეყნებშიც არის. საკანონმდებლო ორგანოს ორპალატიანი მოწყობა თითქმის ყველგან წესად იქცა. უმრავლეს შემთხვევაში პრეზიდენტებს კანონების მიმართ ვეტოს გამოყენების უფლება აქვთ, მაგრამ ერთიან და გაბედულ საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევა. ჩვეულებრივ, სასამართლოები ისეა მოწყობილი, რომ დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ ის საკითხი, რამდენად არიან კონკრეტული მოსამართლეები პოლიტიკურად ნეიტრალურნი და სამართლებრივად მიუკერძოებლები, ხშირად პრობლემურია. მსოფლიოს ბევრი ფედერალური სისტემა ასევე საპრეზიდენტოა. მათ რიცხვს მიეკუთვნება რუსეთი, მექსიკა, ბრაზილია და ნიგერია (ამის საპირისპიროდ კანადა, გერმანია და ინდოეთი საპარლამენტო ფედერალიზმის მაგალითებია).

რიდისაა ძალაუფლემა გადამეცემული?

ამერიკული სისტემა შექმნილი იყო არა მარტო იმისთვის, რომ ხელი შეეშალა ტირანიის დამკვიდრების შესაძლებლობისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ უზრუნველეყო ძლიერი და ქმედითი მმართველობა. ამ მიზნისთვის, დამფუძნებლებმა სცადეს შეექმნათ ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლებოდა როგორც კონგრესის მხრიდან ჩარევის მცდელობების, ისე შტატების განკერძოების სურვილის მოთოკვა. მათ სწამდათ, რომ მემკვიდრეობითი მონარქის არარსებობის პირობებში, რეგულარული არჩევნები და იმპიჩმენტის შესაძლებლობა ეფექტიანად გააწონასწორებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას.[22]

მიუხედავად ამისა, რეალურად, ამერიკის პრეზიდენტს კონგრესთან ბრძოლაში გაცილებით ნაკლები კონსტიტუციური საშუალება აქვს, ვიდრე პრეზიდენტებს სხვა მსგავსი რესპუბლიკების სისტემებში. კარგია ეს თუ ცუდი, შეერთებულ შტატებში კონგრესს იოლად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს არაპოპულარულ პრეზიდენტებს. ოპოზიციურ პარტიას კონგრესში შეუძლია თვით პოპულარულ პრეზიდენტებსაც კი შეუქმნას უსიამოვნებები და სირთულეები, როგორც ეს პრეზიდენტმა კლინტონმა გამოსცადა. როდესაც პრეზიდენტმა ნიქსონმა სცადა გამოეყენებინა გამოძიების ფედერალური ბიურო და საგადასახადო სამსახური თავისი ოპონენტების დასაშინებლად, ეს, საბედნიეროდ, მასვე მოუბრუნდა ცუდად. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტი, ჩვეულებრივ, მსგავს საკითხებს ასეთივე უხეში მეთოდებით უპრობლემოდ წყვეტს (იხ. VII თავი). სად გადის ან სად უნდა გადიოდეს უფლებამოსილებებსა და შეზღუდვებს შორის გამყოფი ხაზი, დიდადაა დამოკიდებული პოლიტიკურ კულტურასა და გარემოებებზე.

დასკვნა

კონსტიტუციური დემოკრატიის ქვეყნებში ხელისუფლება სახალხოა, მაგრამ ამავე დროს შეზღუდულიც. მართალია, ის სხვადასხვა ქვეყნებში ფორმატითა და დეტალებით განსხვავებულ კონსტიტუციათა საფუძველზე არსებობს, მაგრამ

გამონაკლისის გარეშე სწორედ კონსტიტუცია საზღვრავს მის მიერვე „შექმნილი“ ხელისუფლების ძალაუფლებასა და საზღვრებს.

კონსტიტუციური დემოკრატიის დედააზრი იმის რწმენაა, რომ მთავრობა უნდა იყოს სახალხო, შეზღუდული და ეფექტიანი. უმრავლესობის მმართველობის საშუალებით სახალხო კონტროლის კონცეფცია ცენტრალური იდეაა მგრძნობიარე მთავრობის შესაქმნელად. უმრავლესობის მმართველობის იდეის არსი ისაა, რომ უმრავლესობის ცოდნა და ინტერესები უპირატესია უმცირესობის ცოდნასა და გამოცდილებაზე. მიუხედავად ამისა, რადგან უმრავლესობა ყოველთვის მართალი არაა და შეიძლება ხანდახან ტირანულიც კი იყოს, კონსტიტუციური დემოკრატია შეზღუდვებს აწესებს მთავრობის ძალაუფლებაზე. ინდივიდუალური უფლებების, კანონის უზენაესობისა (კონსტიტუციონალიზმი) და ფედერალიზმის დაცვა უმრავლესობის ტირანიის თავიდან აცილების პრინციპული სტრატეგიებია. დაბოლოს, დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ეფექტიანად უნდა იმოქმედოს. ეფექტიანი ხელისუფლებისაგან ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სტაბილურობაა, მეორე კი – ქმედითობა ანუ მოქმედების, ინიციატივისა და ხელმძღვანელობის უნარი.

ამერიკის იდეა მსოფლიოს ხალხების წარმოდგენაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის სინონიმურია. შეერთებული შტატების დამფუძნებელთა იდეების ფუნდამენტი იმ პოლიტიკური მოაზროვნეების ნაწერებია, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ რენესანსის პერიოდიდან განმანათლებლობამდე და, თავის მხრივ, შთაგონებას კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიიდან, კერძოდ, ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსების – პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომებიდან იღებდნენ. ის, რასაც ავტორი *თავისუფლების არქიტექტურას* უწოდებს, სათავეს იღებს *პოლიტიკის ახალი გაგებიდან*, რომელიც შეერთებული შტატების დამფუძნებლებმა განავითარეს. იგი ძალაუფლების დანაწილების გზით ტირანიისგან გადარჩენის მიზნით შეიქმნა და უზრუნველყოფს იმას, რომ ძალაუფლების ყოველი შტო სათანადო ლეგიტიმური იარაღითაა აღჭურვილი სხვა შტოებისგან დომინირების საფრთხის თავიდან ასაცილებლად (შეკავება და გაწონასწორება).

საკვანძო სიტყვები

რესპუბლიკა
კონსტიტუციური დემოკრატია
კონსტიტუცია
უმრავლესობის მმართველობა
უმრავლესობის ტირანია
შეზღუდული ხელისუფლება
კანონი *Ex post facto*
სახელშელახულთა ბილი (*Bill of attainder)* – პარლამენტის აქტი, რომელიც შესაძლებელს ხდის დამნაშავის დასჯას სასამართლოს გარეშე
კანონის უზენაესობა
მაგნა კარტა
პეტიცია უფლებათა შესახებ
ვარსკვლავიანი პალატა
ჰაბეას კორპუსი (*Habeas Corpus Act)*
დოქტორ ბონემის საქმე
კონსტიტუციონალიზმი
ფედერალიზმი
პოლიტიკური ძალაუფლება
დევოლუცია
ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია
უნიტარული სისტემა

პრეფექტი
ცუტელაჟი
პოლიტიკის ახალი გაგება
შეკავება და გაწონასწორება
საპრეზიდენტო სისტემა
ძალაუფლების დანაწილება
ორპალატიანი სისტემა (ბიკამერალიზმი)

კითხვები გამეორებისათვის

1. რა არის რესპუბლიკა?
2. რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს კონსტიტუციურ დემოკრატიას იმისთვის, რომ საჯარო სიკეთეს ემსახუროს?
3. რა არის ფედერალიზმი? რა უპირატესობები ახასიათებს მმართველობის ამგვარ მოწყობას?
4. რატომ არის ეფექტიანი მმართველობა ენერგიისა და სტაბილურობის ერთობლიობა? როგორ მიიღწევა თითოეული მათგანი?
5. რა არის კონსტიტუციონალიზმი? რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?
6. რა ფილოსოფია დგას *პოლიტიკის ახალი მეცნიერების* უკან?
7. ამერიკის დაფუძნების კონტექსტში რა შინაარსი დევს ფრაზაში – *თავისუფლების არქიტექტურა*?

შენიშვნები

1. *Stephen Cahn, Education and the Democratic Ideal (Chicago: Nelson-Hall, 1979), 3.*
2. *Alexis de Tocqueville, Democracy in America, vol. 1 (New York: Schocken Books, 1961),*
   299-300.
3. იქვე, 301.
4. იქვე, *304-308.*
5. *Aristotle, The Politics,* მთარგმ. და რედ. *Ernest Barker (New York: Oxford University Press, 1962), 1287a, 146.*
6. *John Locke, Second Treatise on Civil Government (New York: New American Library, 1965), sec. 202, 448.*
7. *8 Co. Rep. 114a (1610).*
8. იხ. *Youngstown Sheet and Tube Company v. Sawyer*, *343 U.S. 579* (1952 წ.), განსაკუთრებით მოსამართლე ჯექსონის მოსაზრება.
9. იხ. *Morton Grodzins, "The Federal System",* წიგნში *Goals for Americans: The Report of the Presidential Commission on National Goals (New York: American Assembly, Columbia University, 1960).*
10. მიუხედავად ამისა, ფედერალიზმი არ იცავს ინდივიდებს ადგილობრივი და შტატის ხელისუფლებების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, რასაც ნათლად აჩვენებს აფრო-ამერიკელების გამოცდილება სამხრეთის ზოგიერთ შტატში.

11. *Martin Diamond, Winston Fisk, and Herbert Garfinkel, The Democratic Republic: An Introduction to American National Government (Skokie, Ill.: Rand McNally, 1970), 136.*
12. *Hamilton, Jay, and Madison, The Federalist (New York: Modern Library, 1964), no. 31, 226-227.*
13. იქვე, *no. 49,* გვ. *329.*
14. იქვე, *no. 31,* გვ. *190.*
15. იქვე, *no.*9, 48-49.
16. იქვე, *no.* 10, 57.
17. იქვე.
18. იქვე.
19. იქვე.
20. იქვე, *no. 6, 27.*
21. იქვე, *no. 51, 337.*
22. *Martin Diamond, Winston Fisk, and Herbert Garfinkel, The Democratic Republic: An Introduction to American National Government (Skokie, Ill.: Rand McNally, 1970), 136.*

თავი IV

ავტორიტარული სახელმწიფოები

ტრადიციული მმართველობა

ავტორიტარიზმის ღირსებები
ავტორიტარიზმის ნაკლოვანებები
ავტორიტარული სახელმწიფოს ნიშნები
ავტორიტარული პოლიტიკა
ავტორიტარიზმის მაგალითი — ნიგერია
ავტორიტარიზმის თეორია: მითი და რეალობა

- ავტორიტარიზმი თანამედროვე ფენომენია
- ავტორიტარული რეჟიმი ტირანულია
- ავტორიტარული რეჟიმი არალეგიტიმურია
- ავტორიტარული რეჟიმი არაპოპულარულია
- ავტორიტარული რეჟიმი საზოგადოებრივ ინტერესებს უგულებელყოფს
- ავტორიტარიზმი ყველაზე ცუდი მმართველობაა

ავტორიტარიზმის აღსასრული?

ისტორიულად ყველაზე მეტად ***ავტორიტარული*** მმართველობაა გავრცელებული. მართლაც, 1980-იან წლებში ლათინურ ამერიკაში დემოკრატიის აღზევებამდე და იმავე ათწლეულის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპაში სოციალიზმის დაცემამდე დემოკრატია გამონაკლისად, ხოლო ავტორიტარიზმი ჩვეულებრივ მოვლენად რჩებოდა. ავტორიტარული სახელმწიფოები მასშტაბებითა და ხასიათით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ისინი გვხვდება მმართველობის უძველეს (მონარქიები, თეოკრატიები) და თანამედროვე ფორმებში (დიქტატურა, სამხედრო ხუნტა). ავტორიტარიზმის ერთ-ერთ თანამედროვე გამოვლინებას, მისი უკიდურესი ხასიათიდან გამომდინარე, ტოტალიტარიზმი ეწოდა. ავტორიტარიზმის ფართო სპექტრს ჯერ კიდევ ამშვენებს ტრადიციული მონარქიები, რომლებიც ძირითადად ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაროკო, საუდის არაბეთი, იორდანია, ქუვეითი, ომანი, ბაჰრეინი, კატარი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები.

მასშტაბებისა და ხასიათის ნაირგვარობის მიუხედავად, ავტორიტარული სახელმწიფოები გარკვეული საერთო თვისებებით ხასიათდება. ჩვეულებრივ, მსგავს სისტემას სათავეში თვითგამოცხადებული მმართველი უდგას, ხოლო პოლიტიკური ძალაუფლება მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ადამიანის ხელშია მოქცეული. ავტორიტარულ მმართველთა უმრავლესობა რეალისტურ მიზნებს სახავს, თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა უხეში და სასტიკი ქმედებების გასამართლებლად უტოპიური იდეოლოგია გამოიყენოს.

ჩვეულებისამებრ, ავტორიტარი მმართველები არ ცდილობენ საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ეკონომიკის ყველა სფეროს გაკონტროლებას. მათი ძალისხმევა ძირითადად ძალაუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის არსებული სტრუქტურის შენარჩუნებისკენ არის მიმართული. ავტორიტარული რეჟიმი დღემდე რჩება კონსტიტუციური დემოკრატიის ძირითად ალტერნატივად და პირიქით. ისინი უკეთ შესწავლას საჭიროებს.

ავტორიტარიზმის ღირსებები

რამდენიმე, შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდს – კლასიკური საბერძნეთისა და რომის, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის იტალიის, აგრეთვე უახლეს ისტორიას თუ არ ჩავთვლით, მონარქია, როგორც პოლიტიკური სისტემა, სერიოზული საფრთხის წინაშე არასოდეს დამდგარა (თავად მონარქებს ამ თვალსაზრისით ნაკლებად უმართლებდათ). თვით „განმანათლებლურ“ ეპოქებშიც კი მონარქია მმართველობის უპირატეს ფორმად რჩებოდა. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების ოქროს ხანაშიც მონარქიის ძირითადი ალტერნატივა ავტორიტარიზმის კიდევ ერთი ფორმა – ოლიგარქია იყო და არა რესპუბლიკური მმართველობა.

რატომ არის ავტორიტარიზმი ისტორიაში მმართველობის ყველაზე გავრცელებული ფორმა? ეს რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული: პირველი, იგი მარტივია და არ მოითხოვს რთული კომპლექსური სტრუქტურების, პროცედურების და კანონების შემუშავებას; მეორე – ხისტია და ამდენად (თეორიულად) ეფექტიანი: გამორიცხავს აზრთა სხვადასხვაობას და, შესაბამისად, მხარეთა შორის გარიგების, შეთანხმებისა და კონსენსუსის აუცილებლობას. ბიუროკრატია არსებული რეჟიმისადმი ლოიალური ადამიანებითაა დაკომპლექტებული: სამსახურში აყვანა

ნეპოტიზმისა და მფარველობის პრინციპით ხდება და არა დამსახურების მიხედვით; მესამე – საზოგადოებას არ ძალუძს წინ აღუდგეს ხელისუფლების ნებას: არც ცალკეულ ინტერესთა ჯგუფებს და არც საზოგადოებრივ აზრს არ შეუძლია სახელმწიფოს ქმედებათა ბლოკირება. მსგავს მცდელობას ძალადობრივი რეაქცია მოჰყვება. ოპოზიცია და რეპრესიები ერთი მედლის ორ სხვადასხვა მხარეა. მეოთხე – იქ, სადაც უსაფრთხოება მჭიდრო კავშირშია გარე საფრთხეებისაგან თავდაცვასთან, ძლიერი ლიდერის უნარი, შეაგროვოს გადასახადები, აშენოს გზები კომუნიკაციისა და ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, შექმნას ჯარი და დარაზმოს ხალხი, თვითგადარჩენის უმთავრესი ფაქტორია; მეხუთე – დემოკრატია მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობის, ძლიერი საშუალო ფენის არსებობის პირობებში ყვავის.

დემოკრატიული სისტემის შექმნის რეალური კანდიდატები არიან ქვეყნები, რომელთაც შეუძლიათ, საკუთარ თავს სკოლებისა და სხვა სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნის უფლება მისცენ, რაც ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხს. ღარიბ, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი ადამიანები მხოლოდ გადარჩენისთვის ყოველდღიურ ბრძოლაში არიან ჩართულნი. როგორც პოლიტიკურ პროცესებში კარგად ჩახედულმა ერთმა პიროვნებამ აღნიშნა, „ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად“. ძალაუფლება ნარკოტიკივითაა – იგი ადამიანს შხამავს და იმონებს. საკმარისია გემო გაუგო და ისეთი მადა გიჩნდება, რომლის დაკმაყოფილება ძნელია (ანდაზაც ხომ გვეუბნება: მადა ჭამაში მოდისო).

ავტორიტარიზმის ნაკლოვანებები

ავტორიტარულ სახელმწიფოებს სათავეში ან ერთპიროვნული ლიდერი უდგას, ან ელიტარული მმართველი ჯგუფი. ერთპიროვნული მმართველობა ***ავტოკრატიის***, ხოლო ჯგუფური მმართველობა ***ოლიგარქიის*** სახელითაა ცნობილი (ასეთ ჯგუფებს ზოგჯერ ***ხუნტასაც*** უწოდებენ). მათი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა არჩევნებით (ხალხის აქტიური ნებით) კი არ განისაზღვრება, არამედ მითისა და ძალაუფლების სინთეზზეა დაფუძნებული. ერთი მხრივ, ხალხს მუდმივად უნერგავენ, რომ ხელისუფლებისადმი უტყვი მორჩილება მათი წმიდათაწმიდა მოვალეობაა, მეორე მხრივ, მმართველები მუდმივ მზადყოფნაში არიან, გამოიყენონ ძალა ყოველგვარი აჯანყების წინააღმდეგ და ნებისმიერ ფასად შეინარჩუნონ თავიანთი მდგომარეობა.

ტრადიციულად ავტორიტარული ხელისუფლების სათავეში დიქტატორი დგას. ყველაზე უფრო სახელგანთქმულნი იმ დიქტატორთა შორის, რომლებიც ხელისუფლებაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოვიდნენ, ამ დროისათვის ან გარდაცვლილნი არიან, ან ხელისუფლებას ჩამოშორდნენ. მათ შორისაა იდი ამინი (უგანდა), იმპერატორი ბოკასა I (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა), რაფაელ ტრუხილიო (დომინიკის რესპუბლიკა), ფრანსუა „პაპა დოკ“ დუვალიე და მისი ვაჟი „ბეიბი დოკ“ დუვალიე (ჰაიტი), ფერდინანდ მარკოსი (ფილიპინები), ანასტასიო სომოზა (ნიკარაგუა), მანუელ ნორიეგა (პანამა), შაჰი რეზა ფეჰლევი (ირანი), გენერალი სუჰარტო (ინდონეზია), სადამ ჰუსეინი (ერაყი).

დღემდე ინარჩუნებს ხელისუფლებას მუამარ კადაფი (ლიბია). კიდევ სამი დიქტატორი: ჰაფეზ ალ-ასადი (სირია), მობუტუ სესე სეკო (კონგო, ყოფილი ზაირი) და გენერალი სანი აბაჩა (ნიგერია) 1990-იანი წლების მიწურულს გარდაიცვალნენ.

დღეს სირიას ასადის ვაჟი მართავს, კონგო ანარქიის პირასაა, ხოლო დემოკრატიული მმართველობის დამყარების ფრთხილი ნიგერიული ექსპერიმენტი სერიოზულ საფრთხეში რჩება მუდმივი შიდა ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების ფონზე.

1980-იანი წლებიდან ლათინურმა ამერიკამ გეზი დემოკრატიისაკენ აიღო, მანამდე კი აქ სამხედრო ხელისუფლება ხანგრძლივად გამგებლობდა. თუმცა, ეს რეგიონი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ ყოფილა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ანალოგიური სიტუაცია იყო უმეტეს რეგიონებში, მათ შორის აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში (ე.წ. არაბულ ნაწილში) და აფრიკის სამხრეთში. ბევრ მათგანში დიქტატურა დასრულდა, თუმცა ზოგიერთში ჯერ კიდევ არსებობს. თვით ლათინურ ამერიკაშიც კი, სადაც ამჟამად დემოკრატია ნორმადაა ქცეული, სამხედრო კონტროლის დამყარების საფრთხე გამორიცხული ბოლომდე ვერ იქნება.

იქ, სადაც სამხედრო ძალაუფლება დომინირებს პოლიტიკურ სისტემებზე, კონტროლს ახორციელებენ სამხედრო ინსტიტუტები და არა ცალკეული პიროვნებები. გენერლებისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი (ან ხუნტა), რომელსაც სათავეში პრეზიდენტი ან გენერალი უდგას, ასეთი სისტემებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. სამხედრო რეჟიმი თავის ლეგიტიმურობას სამოქალაქო მმართველობის კორუმპირებულობით ხსნის და იმით ასაბუთებს, რომ მხოლოდ მას ძალუძს წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნება.

ჰაფეზ აღ-ასადი: დიქტატორი



1971 წლიდან 2000 წლამდე ჰაფეზ ალ-ასადი სირიას რკინის ხელით მართავდა. ასადის მოსვლა ხელისუფლებაში და მისი მმართველობა მაკიაველის მოძღვრების ერთ-ერთ თეზას ადასტურებს იმის შესახებ, რომ მმართველის სჯობს ეშინოდეთ, ვიდრე უყვარდეთ. ასადი შიიტი ალავიტების ღარიბ ოჯახში დაიბადა (შიიტი მუსლიმები სირიაში უმცირესობას წარმოადგენენ, მოსახლეობის 65% სუნიტი მუსლიმები მათ ერეტიკოსებად მიიჩნევენ). 16 წლის ასადი ბაასის პარტიას შეურთდა, რომელსაც მოგვიანებით სათავეშიც ჩაუდგა. ბაასის პარტია ნაციონალიზმისა და არაბთა ერთიანობის ლოზუნგებით გამოდიოდა. მოგვიანებით ასადმა სამხედრო აკადემია დაამთავრა მფრინავის სპეციალობით. თუმცა მისი ინტერესის სფეროდ მაინც პოლიტიკა რჩებოდა და მისი ქმედებებიც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების სურვილით იყო მოტივირებული.

ასადს სირიასთან მიმართებაში კარგად ჩამოყალიბებული მიზანი ჰქონდა – მას სურდა, რომ სირიის აბსოლუტური მმართველი ყოფილიყო და თავისი სახელმწიფო რეგიონში პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლოდ ექცია. მან წარმატებას

მიაღწია, თუმცა გარკვეული მარცხიც განიცადა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი 1967 წელს, მისი თავდაცვის მინისტრობის პერიოდში სტრატეგიული მნიშვნელობის გოლანის სიმაღლის დათმობა იყო ისრაელთან ექვსწლიანი ომის შემდეგ. სირიამ ამ ტერიტორიის დაბრუნება 1973 წელსაც ვერ მოახერხა, როდესაც ეგვიპტესთან ერთად ისრაელის წინააღმდეგ ომი წამოიწყო, მაგრამ დამარცხდა. ეს ფაქტი ასადის პოლიტიკური ამბიციების კრახის სიმბოლოდ რჩება.

თუმცა, ასადი სახელმწიფო სახსრებს ხალხის უკიდურესი სიღარიბის დასაძლევად ხარჯავდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამედიცინი მომსახურების გაუმჯობესება შეძლო, მისი ეს მიღწევები პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით წარმოებულმა ფარულმა ბრძოლამ დაჩრდილა. ასადი პერიოდულად არჩევნებსაც ატარებდა, არჩევნებში მისი წარმატების ინდიკატორი კი მუდმივად 99%-ს შეადგენდა, რაც ლოგიკური შედეგი იყო ასადის ქმედებისა: ახლო აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკური ოპონენტების გასანადგურებლად იგი მკვლელებსა და ტერორისტებს იყენებდა, შიდა მტრებს კი მუხაბარატი (სახელმწიფო უშიშროების სამსახური, რომელიც ელექტრონული ზედამხედველობის, ტერორისა და წამების გავრცელებული მეთოდების გამოყენებითაა ცნობილი) დაუპირისპირა. ასადის მიერ ოპონენტების წინააღმდეგ ძალის განსაკუთრებული სისასტიკით გამოყენებამ 1982 წელს პიკს მიაღწია. მან მუსლიმთა საძმოს წევრებზე (რადიკალური სუნიტური ისლამური ორგანიზაცია) ეჭვი მიიტანა, რომ ისინი მისი რეჟიმის დამხობას ცდილობდნენ და ამიტომ ქალაქ ჰამას, მუსლიმთა საძმოს ძირითადი კონცენტრაციის ადგილის, ათასობით მცხოვრები დაახოცვინა (სხვადასხვა შეფასების მიხედვით, 5000-დან 30 000-მდე სირიელი). დღეს სირიას ასადის ვაჟი, პროფესიით ოფთალმოლოგი ბაშარ ასადი მართავს (იგი სირიაში დიდი ბრიტანეთიდან დაბრუნდა, სადაც დიდხანს ცხოვრობდა). მას შემდეგ, რაც მისი უფროსი ძმა 1994 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ბაშარი პოლკოვნიკის ჩინიდან გენერლობამდე დაუყოვნებლივ დააწინაურეს და შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლადაც დანიშნეს. 2000 წელს მამის სიკვდილის შემდეგ მან ხელისუფლება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადაიბარა. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ სირიის სამხედრო დიქტატურა დღემდე უცვლელი და უალტერნატივოა.

ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლათინური ამერიკის ახლადაღმოცენებულ დემოკრატიულ სისტემებში, რომელთა სათავეშიც მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტები – სამოქალაქო პირები დგანან. აფრიკის ბევრ ქვეყანაში სამხედრო ლიდერები კვლავ დომინირებენ და არჩეულ სამოქალაქო ხელისუფლებას სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე კვლავ ემუქრება. ავტორიტარი მმართველები ინდივიდუალურ უფლებებს უარყოფენ, როდესაც ეს უფლებები მათ ხელისუფლებას ან სახელმწიფო პოლიტიკას ეწინააღმდეგება. ავტორიტარული რეჟიმი მმართველთა ინტერესებს რიგით მოქალაქეთა ინტერესებზე მაღლა აყენებს და, ავტორიტარიზმის ხასიათიდან გამომდინარე, მათ ამაში ხელს ვერაფერი შეუშლის. ავტორიტარული სისტემა არის გარემო, სადაც დესპოტური ნება-სურვილი ძალადობით არის განმტკიცებული.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიტარი მმართველები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს განსხვავება კი იმაზეა დამოკიდებული, რა დოზით

ახვევენ ისინი თავიანთ ნებას ხალხს და რა ხარისხით ახშობენ ინტელექტუალურ და შემოქმედებით თავისუფლებას. სხვადასხვა ავტორიტარი მმართველი რეპრესიებსა და ძალადობას მართლაც განსხვავებული ინტენსივობით იყენებს. ერთნი მხოლოდ ნაწილობრივ მიმართავენ იძულებას, ხოლო მეორენი განსაკუთრებული მონდომებით უსწორდებიან თავიანთ ოპონენტებს. მაშინ, როცა ავტორიტარი მართველების უმეტესობა თვითგანდიდებით არის დაკავებული, არიან ისეთებიც, რომლებიც ძალაუფლებას სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდაც იყენებდნენ (იოსებ ბროზ ტიტო იუგოსლავიაში და ანვარ სადათი ეგვიპტეში). ამბიციური სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც წარმოების განვითარების, რეფორმირებისა და ეკონომიკის მოდერნიზაციისკენაა მიმართული, კეთილი ნების დიქტატორების არსებობაზე მიუთითებს. თუმცა, რა თქმა უნდა, ვერც კეთილი ნების დიქტატორები ეგუებიან ორგანიზებული პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას.

ეს პრაქტიკული ნიუანსები, რომლებიც ხშირად ძნელად შესამჩნევია, პოლიტიკური თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებულ შედეგს იძლევა. ავტორიტარული სახელმწიფოები ისეთი რეჟიმებია, რომლებიც ძალაუფლების მცირეოდენ შეზღუდვასაც არ ცნობენ. მათი უმრავლესობა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ზედაპირულად (ფორმალურად) ინტერესდება მოქალაქეთა კეთილდღეობით. ამგვარად, თავნება დიქტატორებიც ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ტირანი დიქტატორია, მაგრამ ყველა დიქტატორი ტირანი არ არის (იხ. სქემა 4-1).



სქემა 4-1. *ავტორიტარული მმართველობის ტიპები*

ავტორიტარული სახელმწიფოს ნიშნები

ავტორიტარი მმართველები ხელისუფლებაში ძირითადად ძალადობრივი გზით მოდიან. წინა ხელისუფლებას ჯერ ძირს უთხრიან, ხოლო შემდეგ ***სახელმწიფო გადატრიალების*** მეშვეობით ამხობენ. უახლოეს წარსულში სწორედ ასე მოხდა აზიის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებში, სადაც დიქტატორები მოდიან და მიდიან ისე, რომ არაფერი იცვლება იმ ხალხისათვის, თითქოსდა ვისი სახელითაც (და ვისი გულისთვისაც) ისინი მოქმედებენ.

ძალაუფლებაზე მონოპოლიის შენარჩუნება ავტორიტარული სახელმწიფოების მთავარი მიზანია. ამდენად, ავტორიტარი მმართველები ცდილობენ შეინარჩუნონ კონტროლი იმ საშუალებებზე, რომლითაც თავიანთ პოლიტიკურ ოპონენტებს დააშინებენ, შეავიწროებენ, დააპატიმრებენ, გადაასახლებენ ან სიკვდილით დასჯიან. ჯარი და პოლიცია იძულების მთავარი იარაღია, აქედან გამომდინარე, დიდია სამხედრო რეჟიმის დამყარების ალბათობა. ავტორიტარული სახელმწიფოების მეთაურთა უმრავლესობა იწყებს როგორც სამხედრო პირი და შემდეგ, ძირითადად მხოლოდ იერსახისთვის, სამოქალაქო სტატუსს ირგებს. მაგალითად, ეგვიპტის მმართველები გამალ აბდელ ნასერი, ანვარ სადათი და ამჟამად ჰოსნი მუბარაქი სამხედრო მაღალჩინოსნები იყვნენ, სანამ პრეზიდენტები გახდებოდნენ.

მოქმედი თუ პოტენციური ოპოზიციის გასანეიტრალებლად ავტორიტარი მმართველები ხშირად მიმართავენ ცენზურას პრესაზე, უკანონოდ აცხადებენ ოპოზიციურ პარტიებს და სასამართლო სისტემაზე მკაცრ კონტროლს აწესებენ, რასაც შემდეგ პოლიტიკური ოპონენტების დევნის იარაღად იყენებენ. მონოპოლია მასმედიასა და სასამართლო ხელისუფლებაზე აბსოლუტურ მმართველებს მათი ძალაუფლების გახანგრძლივების საშუალებას აძლევს და ძალაუფლების გადაჭარბების შენიღბვისა და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მექანიზმია. რეპრესიული პოლიტიკა და ინსტიტუტები წესრიგისა და სტაბილურობის სახელით არის გამართლებული. ამ შემთხვევაში მაგალითად მოჰყავთ ისეთი პრობლემები, რომლებსაც ჩვეულებისამებრ აწყდებიან განვითარებადი ქვეყნები (გარეშე მტრები, შიდა ეთნიკური და რელიგიური განხეთქილებები, ეკონომიკური კრიზისი და ღრმა კლასობრივი განსხვავებები).

თუმცა მართალია, ზოგიერთი ავტორიტარული სახელმწიფო სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ინიციატორად გვევლინება (მაგ., თურქეთი, სამხრეთ კორეა და ტაივანი უახლოეს წარსულში), უმეტესობა მაინც განუვითარებელ აგრარულ ეკონომიკასა და მოსახლეობის მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის მკვეთრ განსხვავებას ინარჩუნებს. ავტორიტარი მმართველები ეკონომიკას მხოლოდ განსაზღვრულ დონეზე აკონტროლებენ. ძირითადად ისინი გადასახადების ამოღების გზით ცდილობენ სამხედრო და ეკონომიკური პროგრამების განხორციელებას და უფრო ხშირად სახსრებს არამიზნობრივად – პირადი ინტერესებისათვის ხარჯავენ.

გადასახადების გადახდა და ხელისუფლებისადმი თაყვანისცემა არის ძირითადი, რასაც ავტოკრატიული რეჟიმები რიგითი მოქალაქეებისგან მოითხოვენ. ამდენად, მთავრობა, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ექსპლუატაციას უწევს თავის მოქალაქეებს, მეორე მხრივ, სრულიად გულგრილია მათ მიმართ, სანამ ეს უკანასკნელნი პოლიტიკის მიღმა რჩებიან. სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეების პირად ცხოვრებაში ჩარევის მცდელობა ერთგვარი ტესტია, რომელიც გვიჩვენებს, გადალახა თუ არა მმართველმა ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის გამყოფი ხაზი.

ავტორიტარი მმართველები ხალხის ცხოვრებას იშვიათად აუმჯობესებენ, ხშირად პირიქით ხდება. მათ უმეტესობას უბრალო მოქალაქეები არც ახსოვს. ზოგადად, ავტორიტარიზმი „ქვეყანაში არსებული ჯგუფებისა და კლასების მოსპობას ან გარდაქმნას არ ცდილობს, იგი მათ საკუთარი მიზნების განსახორციელებელ იარაღად აქცევს“.[1]

ავტორიტარული პოლიტიკა

ავტორიტარი მმართველები ნაკლებად არიან მოტივირებულნი ხალხის სასიკეთოდ იმოქმედონ. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ ავტორიტარული მმართველობის ყველა ფორმა, მიუხედავად მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობისა, კარგი ხელისუფლების დამახინჯებული სახეა. სახელმწიფო მოწყობა, რომელიც საზოგადო ინტერესს ემსახურება, აბსოლუტური სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორ მოწყობას განასახიერებს, აცხადებდა იგი, ხოლო სახელმწიფო მოწყობა, რომელიც მხოლოდ მმართველის პირად ინტერესებზეა ორიენტირებული – არასწორ მოწყობას განასახიერებს ანუ სწორი ფორმების დამახინჯებული სახეა. ასეთი მახინჯი ფორმები დესპოტურია.[2] არისტოტელე ასევე ამტკიცებდა, რომ სწორი მმართველობა ერთი პიროვნების ან პრივილეგირებული უმცირესობის ინტერესებზე კი არა, მოქალაქეთა კეთილდღეობაზე უნდა იყოს ორიენტირებული. დიქტატორებისა და ტირანებისთვის საზოგადო ინტერესებზე მაღლა პირადი ინტერესი დგას. თაღლითი მკურნალის მსგავსად, რომელიც იმით მდიდრდება, რომ ყალბ სამკურნალო საშუალებებს სასწაულმოქმედად ასაღებს, ავტორიტარი მმართველებიც ძალაუფლებას იმით მოიპოვებენ, რომ კეთილდღეობას ჰპირდებიან ხალხს, რომელსაც სინამდვილეში ექსპლუატაციას უწევენ.

მიზანი ამართლებს საშუალებას – თავიანთ ეგოცენტრულ პოლიტიკას ავტორიტარი მმართველები წესრიგსა და თავდაცვაზე მუდმივი ზრუნვით ხსნიან. უსაფრთხოების საკითხზე ყურადღების ასეთი გამახვილება სახიფათოც კი არის, რადგან მმართველებმა შესაძლოა (ხშირ შემთხვევაში ისინი სწორედ ასე იქცევიან) გადაჭარბებულ ძალადობას მიმართონ შიდა არეულობის მოსაგვარებლად, რომელიც მათივე არასწორი პოლიტიკის შედეგია.

ისტორიულად ყველაზე ხშირად ავტორიტარულ სახელმწიფოთა მეთაურებს თავიანთი პოლიტიკური ოპონენტებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის კიცხავენ. როგორც წესი, ასეთ სახელმწიფოებში თავად პოლიტიკის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს: მმართველი ან პოლიტიკაზე მაღლა დგას, ან პოლიტიკური მოღვაწეობა საერთოდ აკრძალულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჯაროდ საკითხის დასმაც კი იკრძალება იმის შესახებ, ვინ ან როგორ უნდა მართოს; სახელმწიფოს მეთაურის მიმართ გამოთქმული ყოველგვარი სახის კრიტიკა ორგულობად და ღალატად აღიქმება.

ავტორიტარიზმის მაგალითი – ნიგერია

ნიგერიის მაგალითი გვიჩვენებს, რატომ იქმნება ავტორიტარული სისტემები ასე ადვილად და რატომ ხდება ისინი საყოველთაოდ საძულველი. აფრიკის ერთ-ერთი

პოტენციურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, ნიგერია ნათელი ილუსტრაციაა იმისა, როგორ ფუნქციონირებენ და რა ზიანის მოტანა შეუძლიათ ავტორიტარულ სისტემებს. მიუხედავად იმისა, რომ ნიგერიას აფრიკის ტერიტორიის მხოლოდ 3% უკავია, 120 მილიონიანი მოსახლეობით (2008 წლისათვის 150 მლნ. მთარგმ. შენ.)კონტინენტის სამხრეთის 20%-ს შეადგენს. მართალია, ნიგერია შიდა ეროვნული პროდუქტით კონტინენტზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შემდეგ მეორე ადგილზეა და ექსპორტისათვის საკმარისი ნავთობის მარაგი აქვს, მისი ეკონომიკა ჯერ კიდევ განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზეა, ხოლო შიდა ეროვნული პროდუქტი ერთ მოსახლეზე 300 აშშ დოლარს შეადგენს (2008 წლისთვის 1450 $ — მთარგმ. შენ.). ნიგერიის ეკონომიკურ განვითარებას ტომობრივ, და ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად, ხელისუფლებაში არაეფექტიანი და კორუმპირებული სამხედრო ლიდერების უწყვეტად ყოფნა აფერხებს. ნიგერია ბრიტანეთის კოლონია იყო და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1960 წელს ჩამოყალიბდა. სხვა აფრიკული სახელმწიფოების მსგავსად, მისი საზღვრები ისე იქნა დადგენილი, რომ კოლონიური მმართველებისათვის ადმინისტრაციულად ხელსაყრელი ყოფილიყო. ამ საზღვრებში კი სხვადასხვა რეგიონის, რელიგიის, ეთნოსისა და კულტურის წარმომადგენელი მოექცა. 250 სხვადასხვა ენასა და დიალექტზე მოლაპარაკე ხალხი საკმარისია ამ ქვეყნის გასაოცარ მრავალფეროვნებაზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ნიგერია ნოყიერი ნიადაგია სოციალური კონფლიქტებისათვის. პირველი, ქვეყანა რელიგიური ნიშნით არის გახლეჩილი: ჩრდილოეთში მუსლიმები არიან უმრავლესობაში, სამხრეთში – ქრისტიანები. მეორე, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დომინირებენ მსხვილი ეთნიკური ჯგუფები (ტომები): ჰაუსა-ფულანი ჩრდილოეთში, იორუბა – დასავლეთში, იგბოსები – აღმოსავლეთში. მესამე, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს ურთთიერთკონკურენციისა და პოლიტიკური ძალაუფლების განსხვავებული რესურსები აქვს. მაგალითად, ჩრდილოეთი ყველაზე უფრო დასახლებული რეგიონია, სამხრეთში ნავთობის უდიდესი მარაგია, ხოლო აღმოსავლეთი – დიპლომატებისა და ადმინისტრატორების სამშობლოა.

სწორედ არსებული რეალობითაა განპირობებული, რომ ნიგერია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ღრმა სოციალურმა ქაოსმა მოიცვა. მაგალითად, 1967 წელს აღმოსავლეთ ნიგერიაში იბოს ტომმა ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფა სცადა. შედეგად სამოქალაქო ომი გაჩაღდა, რომელმაც სამ წელს გასტანა და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სეპარატიზმის მცდელობა კი მარცხით დამთავრდა. ხშირი რელიგიური კონფლიქტები, შედეგად ათასობით დაღუპული ქრისტიანი და მუსლიმი მოქალაქე, ლოკალური სოციალური არასტაბილურობის კიდევ ერთი მაგალითია.

ამგვარად, ნიგერია მრავალეთნიკური სახელმწიფოა, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯგუფებისგან შემდგარი, რომელთა წარმომადგენლებსაც ერთიანი ეროვნული თვითშეგნება ნაკლებად აქვთ ჩამოყალიბებული. მსგავსი განხეთქილებით აიხსნება ის, რატომ არ გაამართლა ნიგერიულმა ექსპერიმენტმა დემოკრატიისა და არჩეული ხელისუფლების შესახებ. ასეთ ქაოსურ ფონზე პოლიტიკური წესრიგის დამყარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ძლიერი ხელისუფლება, რომელსაც შიდა კონფლიქტების ჩახშობა შეუძლია, ფართო მხარდაჭერით სარგებლობს. მაგრამ 1983-1999 წლებში სამხედრო მმართველობამ ქვეყანაში მხოლოდ ვარდნა, უნდობლობა და განხეთქილება მოიტანა.

ნიგერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში კორუფციის ნაკლებობა არც მანამდე შეიმჩნეოდა, პიკს კი სწორედ აღნიშნულ პერიოდში მიაღწია. სამხედრო დიქტატორები

და მმართველი გუნდი ურცხვად მდიდრდებოდა და სრულად უგულებელყოფდა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს. ერთ-ერთი შეფასების მიხედვით, 1999 წლამდე ნიგერიას მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული მთავრობა ჰყავდა. მექრთამეობა და გამოძალვა ცხოვრების წესი იყო, ხოლო პატრონაჟის სისტემამ, სადაც სამხედრო მმართველები თანამდებობებსა და სხვა პრივილეგიებს მხოლოდ რეჟიმის მხარდამჭერებს აძლევდნენ, გაბერილი, არაეფექტიანი, უპასუხისმგებლო ბიუროკრატიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ნიგერიის სამხედრო მმართველები მომავალში სამართლიანი არჩევნების ჩატარებასაც ჰპირდებოდნენ ხალხს, მაგრამ პირობა პირობად დარჩა. 1993 წლის არჩევნების შედეგებით ხელისუფლება უკმაყოფილო იყო. საპასუხოდ, ნიგერიის სამხედრო მეთაურმა გენერალმა იბრაჰიმ ბაბანგიდამ შედეგები გააუქმა, გამარჯვებული კანდიდატი დააჭერინა და ღალატში დაადანაშაულა. მოგვიანებით სამხედრო რეჟიმის სხვა მოწინააღმდეგეების დევნა და დაპატიმრებაც დაიწყო, რამდენიმე მათგანი სიკვდილითაც დასაჯეს.

ცხრილი 4.1

კორუმპირებულ სახელმწიფოთა რეიტინგი *

1. ნიგერია	19. ბოლივია	37. ჰონგ კონგი
2. პაკისტანი	20. არგენტინა	38. იაპონია
3. კენია	21. იტალია	39. ავსტრია
4. ბანგლადეში	22. თურქეთი	40. აშშ
5. ჩინეთი	23. ესპანეთი	41. ისრაელი
6. კამერუნი	24. უნგრეთი	42. გერმანია
7. ვენესუელა	25. იორდანია	43. ბრიტანეთი
8. რუსეთი	26. ტაივანი	44. ირლანდია
9. ინდოეთი	27. საბერძნეთი	45. ავსტრალია
10. ინდონეზია	28. სამხრეთი კორეა	46. ნიდერლანდები
11. ფილიპინები	29. მალაიზია	47. შვეიცარია
12. უგანდა	30. ჩეხეთი	48. სინგაპური
13. კოლუმბია	31. პოლონეთი	49. ნორვეგია
14. ეგვიპტე	32. სამხრეთი აფრიკა	50. კანადა
15. ბრაზილია	33. პორტუგალია	51. ფინეთი
16. ეკვადორი	34. ჩილე	52. შვედეთი
17. მექსიკა	35. ბელგია	53. დანია
18. ტაილანდი	36. საფრანგეთი	54. ახალი ზელანდია

** 1996 წ. კორუფციის დონე ქვეყანაში მრავალეროვნული კორპორაციებისა და დაწესებულებების თანამშრომელთა შეფასებით (1=ყველაზე მეტად კორუმპირებული; 54=ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული)*
წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა, ბერლინი.

საბოლოოდ, 1999 წელს, მრავალწლიანი წარუმატებელი სამხედრო მმართველობისა და ნიგერიის ძლევამოსილი მეთურის – გენერალ სანი აბაჩას მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანას კვლავ მიეცა სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. ყოფილი სამხედრო ლიდერი ოლუსეგუნ ობასანჯო 1983

წლის შემდეგ ნიგერიის პირველი დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი გახდა. ობასანჯო გამონაკლისია ნიგერიაში: საზოგადო მოღვაწე სამხედრო წარსულითა და ზნეობრივი პიროვნების რეპუტაციით. შეძლებს თუ არა იგი ნიგერიის საბოლოოდ დაყენებას დემოკრატიისა და კეთილდღეობის გზაზე, ამას მომავალი გვიჩვენებს. (2007 წლიდან ქვეყანას მართავს უმარუ იარადეა. მის არჩევნებზე საერთაშორისო თანამეგობრობამ არაერთი დარღვევა დააფიქსირა. მთარგმნ. შენიშვნა.) როგორც არ უნდა იყოს, სამხედრო გენერლების მმართველობა ნიგერიაში შემდეგ პოლიტიკურ ჭეშმარიტებას ადასტურებს: პირველი, ავტორიტარი მმართველების უპირატესი მიზანი ხელისუფლების შენარჩუნებაა ნებისმიერ ფასად; მეორე, ყველაზე სასტიკი დიქტატურაც კი ვერ გაექცევა თავისივე არასწორი მმართველობის დამღუპველ შედეგებს.

ავტორიტარიზმის თეორია: მითი და რეალობა

ხშირად ხდება ავტორიტარიზმის უკიდურესი ფორმების განზოგადება, რაც არასწორი შეხედულებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დამღა, რომელიც ავტორიტარიზმს მუდამ თან სდევს და რისი არსებობაც გასაგებია და გამართლებული, რამდენიმე პოპულარული მცდარი მოსაზრების ჩამოყალიბებას განაპირობებს. ქვემოთ განვიხილავთ ექვს ასეთ მოსაზრებას, რომლებიც რეალობისა და მითის სინთეზზეა დამყარებული.

ავტორიტარიზმი თანამედროვე ფენომენია

ეს ჰიპოთეზა ერთი შეხედვით ჭეშმარიტს ჰგავს, თუმცა მცირე კრიტიკასაც ვერ უძლებს. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და შენარჩუნების ფუნდამენტური მეთოდები ორ ათასწლეულზე მეტია არსებობს.

არისტოტელე „პოლიტიკაში“ შთამბეჭდავად აღწერს პოლიტიკურ სტრატეგიას, რომელსაც ადრეული ხანის ავტოკრატი მმართველები იყენებდნენ. ეს მეთოდები არც ახლანდელი დიქტატორებისთვისაა უცხო. არისტოტელე გონივრულად შენიშნავს, რომ ამ ტაქტიკის მიზანია ხელი შეუშალოს ცალკეულ ინდივიდთა შეთანხმებულ პოლიტიკურ მოქმედებას მათი სულიერად გატეხვისა და ერთმანეთის მიმართ უნდობლობის დათესვის გზით. იგი ანადგურებს ნებისმიერ პიროვნებას, რომლისგანაც რაიმე სახის პოლიტიკურ საფრთხეს ელის. შეკრებების, კულტურული ღონისძიებებისა და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის აკრძალვით ინდივიდთა ერთმანეთისგან იზოლაცია ხდება. ასეთი ქმედებები საფრთხისა და უნდობლობის გრძნობას ამყარებს და ხელს უშლის იატაკქვეშა პოლიტიკური მოძრაობების წარმოქმნას. საიდუმლო პოლიცია და ჯაშუშები ხალხში შიშისა და დაძაბულობის სინდრომს კიდევ უფრო აძლიერებენ.

სიღარიბე, მაღალი გადასახადები და მძიმე შრომა ხალხის დროსა და ყურადღებას მთლიანად იკავებს (არისტოტელეს მაგალითის სახით ეგვიპტის პირამიდების მშენებლობა მოჰყავს). ბოლოს, ომის გაჩაღების მცდელობა ავტოკრატი მმართველების ყურადღების გადატანის კიდევ ერთი საშუალებაა, „რითაც ისინი ხალხის გონებას

იპყრობენ და ლიდერის აუცილებლობას მუდმივად შეახსენებენ“.[3]

ავტოკრატული პოლიტიკური ტაქტიკა უფრო განავრცო იტალიელმა მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველიმ. მისი ნაშრომი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების სტრატეგიას ეძღვნება. „მთავარი“ (1513) წარმატებული ავტორიტარი მმართველის სამაგიდო წიგნად შეიძლება ჩაითვალოს. მაკიაველი ამტკიცებდა, რომ მმართველი ზნეობრივ პიროვნებად უნდა აჩვენებდეს თავს მაშინაც კი, როდესაც ამორალურ საქციელს ჩადის. წარმატებული მმართველი სიცრუის ნამდვილი დიდოსტატი უნდა იყოს, ამორალური საქციელი კი ხშირად თავის გადარჩენის ერთადერთი გზაა. ლიდერმა დადებით პიროვნებად უნდა აჩვენოს თავი მაშინ, როცა „ცუდად იქცევა“.

ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) ნაშრომში „მთავარი“ ასაბუთებს, რომ მმართველებს ძალაუფლების შენარჩუნება მხოლოდ უზნეო ტაქტიკისა და სტრატეგიის გამოყენებით შეუძლიათ.

მაკიაველი მომავალ მმართველებს იმასაც ურჩევს, რომ დანაპირები არ შეასრულონ, თუ ეს მათ ინტერესებში აღარ შედის, შენიღბონ თავიანთი ჭეშმარიტი მისწრაფებები, დათესონ შიში სიყვარულის ნაცვლად და უანგარობის იერით შეიმოსონ, როდესაც მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავენ. კეთილშობილება ამ შემთხვევაში საკუთარ ინტერესებზე ზრუნვასა და ხალხის ინტერესების უგულებელყოფასთანაა გაიგივებული. როდესაც ქონების ჩამორთმევაზე, ოპონენტების დაპატიმრებასა თუ მოღალატეთა დასჯაზე მიდგება საქმე – ეს ყველაფერი დაუყოვნებლივ და ერთდროულად უნდა მოხდეს. სისხლიან საქმეებს რაც უფრო ადრე დაასრულებ, მით უფრო სწრაფად დაავიწყდებათ. რაც შეეხება კეთილდღეობას, ძუნწად, ნაწილ-ნაწილ უნდა დაურიგო ხალხს, რათა გემო კარგად გაუგონ და მუდამ ახსოვდეთ, ვისი წყალობაა იგი. დაბოლოს, სასჯელი უმკაცრესი უნდა იყოს: მსუბუქმა სასჯელმა შეიძლება აჯანყების სურვილი გააღვივოს და სუსტი და მერყევი პიროვნების რეპუტაცია შეუქმნას ხელისუფალს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ცნება „მაკიაველიზმი“ სასტიკ და უზნეო ქმედებებთან ასოცირდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მეთოდები მაკიაველის გამოგონილი არ არის. მან მხოლოდ მე-16 საუკუნის იტალი-

ის ქალაქი-სახელმწიფოების მართვის არსებული გამოცდილების სისტემატიზაცია მოახდინა. როგორც მასზე ბევრად უფრო ადრე არისტოტელემ, მაკიაველიმ ავტოკრატი მმართველების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების ტექნიკა და მეთოდები დაამუშავა, რომლებიც დღემდე გამოიყენება.

ავტორიტარული რეჟიმი ტირანულია

ავტორიტარი მმართველების მიერ ძალაუფლების განხორციელების საშუალებები სხვადასხვაგვარია. არისტოტელე ავტორიტარიზმის ორ ფორმას განასხვავებდა. მისი აზრით, ყველაზე გავრცელებული ფორმა დამყარებულია პოლიტიკური კონტროლის ისეთ ტრადიციულ მეთოდებზე, როგორიცაა აბსოლუტური სისასტიკე და რეპრესიები. ასეთ პოლიტიკას აქვს ერთი მიზანი – სამუდამოდ ჩაახშოს ამბოხის სურვილი. ავტორიტარი მმართველების მეორე ტიპი კი ხალხის მოტყუებას ცდილობს. ისინი ხალხზე მზრუნველის შთაბეჭდილებას ტოვებენ, საკუთარი სიმდიდრის წარმოჩენას ერიდებიან, წესიერების ფარგლებს არასოდეს ცდებიან, ღირსეულ მოქალაქეებს პატივს მიაგებენ, ძეგლებს დგამენ და ა.შ. მოკლედ, თავიანთი ხელქვეითების წინაშე არა დესპოტის, არამედ რჩეულის სახით წარდგებიან.[4] რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც უზენაესი კვლავ მმართველის პირადი ინტერესია. ის მხოლოდ შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს, რათა ხალხში ბუნტის ყოველგვარი სურვილი და მოტივაცია გააქროს. ასეთი მმართველი, არისტოტელეს აზრით, „ნახევრად კარგია“. თუმცა, ცხადია, ასეთი „ნახევრად კარგი“ მმართველის ხელში ცხოვრება სჯობს, ვიდრე „ტრადიციული“ დიქტატორისა.

მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მასშტაბებს, რომლითაც ავტორიტარი მმართველი ინდივიდთა ცხოვრებაზე ზემოქმედებს, არამედ მეთოდებს, რომელსაც იგი ამ მიზნის მისაღწევად იყენებს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგიერთი მათგანი დაპატიმრებითა და სიკვდილით უსწორდება არსებულ და პოტენციურ მტრებს, ზოგიერთი კი ძალას იშვიათად იყენებს. ავტორიტარი მმართველები სხვა თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან – ერთნი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართ გულგრილნი არიან და მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებაზე არიან ორიენტირებულნი, მეორენი კი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას დაუღალავად ცდილობენ. მაგალითად, შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი (1929-1980) გარდა იმისა, რომ თავისი პოლიტიკურ მტრებს სდევნიდა, ირანის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მოდერნიზებასაც ცდილობდა. მისი დროის ირანში პიროვნული თავისუფლება გარკვეული ხარისხით მაინც არსებობდა. თანამედროვე ტაივანსა და სინგაპურშიც დემოკრატიისა და დიქტატურის ასევე უცნაური სინთეზი შეინიშნება. ამ ორ ქვეყანას წლების განმავლობაში ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპი და ცხოვრების მაღალი დონე ახასიათებთ, რაც მათ მესამე მსოფლიოს ქვეყნების შურის ობიექტად ხდის.

ავტორიტარული რეჟიმი ანტალეგიტიმურია

ამერიკელთა უმეტესობა გაიზიარებდა ჯონ ლოკის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება არის ის, რომელიც ხალხის ნებასა და

საყოველთაო თანხმობაზეა დაფუძნებული. თუმცა, ეს პირობა ლეგიტიმურობის ერთადერთი საზომი არც არასოდეს ყოფილა – ისტორიაში არსებობდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდები, როდესაც საყოველთაო ნება ლეგიტიმურობის კრიტერიუმი საერთოდ არ ყოფილა.

შუა საუკუნეების ბოლო პერიოდიდან მე-18 საუკუნის მიწურულამდე, ევროპაში მმართველობის ყველაზე გავრცელებული ფორმა მონარქია იყო, რომელიც რელიგიასა (საღვთო კანონი) და მემკვიდრეობითობაზე (სამეფო წარმომავლობა) იყო დაფუძნებული. ანალოგიურად, იმპერიულ ჩინეთში დინასტიური პრინციპი იმპერატორის ლეგიტიმურობის ერთადერთი წყარო იყო, მაგრამ რელიგიაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა – ჩინეთის იმპერატორი „ზეციური მანდატით“ მართავდა. ისტორიულად, სწორედ ტრადიციები და რელიგია გახლდათ ხელისუფლების ლეგიტიმურობის ორი ძირითადი წყარო.

ფრანგი ხალხის მხარდაჭერით ნაპოლეონ ბონაპარტემ (1769-1821) 1804 წელს თავი საფრანგეთის იმპერატორად გამოაცხადა: „მე ვარ სახელმწიფო – მე ერთადერთი ვარ აქ ხალხის წარმომადგენელი“.

თანამედროვე დიქტატურა ლეგიტიმურობის პიროვნულ და ნაკლებად ფორმა-ლურ წყაროებზეა დაფუძნებული. ამ ფენომენს ***ქარიზმატულ ლიდერს*** უწოდებენ. ქარიზმა ხშირად პიროვნულ მიმზიდველობაზე, ორატორულ ხელოვნებაზე ან ეროვნული გმირის მიერ ომებსა და რევოლუციებში მოპოვებულ გამარჯვებებზეა დაფუძნებული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქარიზმატული ლიდერის მაგალითებია ნასერი ეგვიპტეში, სუკარნო ინდონეზიაში და კადაფი – ლიბიაში. მესამე მსოფლიოს პოსტკოლონიური დიქტატურა მთლიანად განმათავისუფლებელი გმირის თაყვანისცემაზეა დამყარებული – პიროვნებისა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ევროპის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლებში მიუძღოდა.

სარწმუნოება, ტრადიციები, ქარიზმა – ავტოკრატული მმართველობის ისტორიული საყრდენია. როგორც წესი, ისინი ამართლებენ იდეას, რომ მმართველებს უფლება აქვთ, მართონ ხალხის ნების წინააღმდეგ. მაგრამ მართვის უფლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სწორად მართვას. სამწუხაროდ, დიქტატორები და ტირანები ამ უფლების გამოყენებისას ხშირად უშვებენ სერიოზულ შეცდომებს.

ავტორიტარული რეჟიმი პოპულარობით არ სარგებლობს

ისინი, ვინც დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობენ, ბუნებრივია, დარწმუნებულნი არიან, რომ არჩევანის შემთხვევაში სხვებიც უპირატესობას სწორედ დემოკრატიულ სისტემებს მიანიჭებენ. როგორც აღმოჩნდა, ეს შეხედულება მცდარია. უდავოა, რომ დიქტატორები არა მარტო შიშს თესავენ ხალხში, არამედ – პატივისცემას, რწმენას, ნებაყოფლობით მორჩილებასა და სიყვარულსაც კი და რადგანაც ავტორიტარი ლიდერები ზოგჯერ პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფენ, თაყვანისცემის ობიექტებიც ხდებიან.

პიროვნული ქარიზმა პოპულარობის კიდევ ერთი წყაროა. ქარიზმატული „მხედრის“ პროტოტიპს ნაპოლეონ ბონაპარტი განასახიერებს. ნაპოლეონმა ხელში რევოლუციით ძირგამოთხრილი სახელმწიფოს ხელისუფლება ჩაიგდო და საფრანგეთი მნიშვნელოვანი გამარჯვებებისაკენ წაიყვანა. მან თითქმის მთელი კონტინენტი დაიპყრო, თავისი წარმატების პიკზე იგი საფრანგეთში აბსოლუტური პოპულარობით სარგებლობდა. ჰიტლერმაც გერმანელი ხალხის სრული მხარდაჭერა მოიპოვა (თუმცა, რა თქმა უნდა, ჰიტლერის ტოტალიტარული სახელმწიფო თავისი პოლიტიკური გავლენით ბევრად აღემატებოდა ნაპოლეონის რეჟიმს). როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავდა:

> საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ის, ვინც უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს, შეუძლებელია ტირანი იყოს. ნაპოლეონსა და ჰიტლერს – თავიანთი დროის ამ ორ უდიდეს ტირანს, მმართველობის ძირითად პერიოდში უმრავლესობის სრული მხარდაჭრა ჰქონდათ. ფრანგების უმეტესობა ნაპოლეონის აგრესიული პოლიტიკის მომხრე იყო და არც ჰიტლერის ანტისემიტურ პოლიტიკას ჰქონია რაიმე სახის წინააღმდეგობა გერმანელი ხალხის მხრიდან, მაგრამ მათი მმართველობა ამის გამო ნაკლებად ტირანული არ გამხდარა.
> წარმოვიდგინოთ, რომ დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრი მსგავს კამპანიას იწყებს და ის ტირანივით უნდა მოიქცეს. სავარაუდოდ, უმცირესობის მხრიდან მას ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდება, რომ იძულებული გახდება ტირანული მეთოდებით ჩაახშოს იგი. მაშასადამე, მისი ხელისუფლება ამომრჩეველთა ნებაზე აღარ არის დაფუძნებული და იგი აბსოლუტური ტირანი ხდება. ასეთი ტირანი შესაძლოა გარკვეულწილად ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდეს, მაგრამ მისი ძალაუფლება ამ მხარდაჭერაზე აღარ იქნება დაფუძნებული.[5]

ცუდი მმართველი, როგორი დაუდევარი და დაუნდობელიც უნდა იყოს, იშვიათად აწყდება წინააღმდეგობას მათი მხრიდან, ვისაც მისი განსჯის უნარი შესწევს. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე ტირანები მე-19 საუკუნის რუსი კლასიკოსის დოსტოევსკის მიერ გამოთქმულ ჭეშმარიტებას ადასტურებენ: თანასწორობის ეპოქაში მასები, უწინარეს ყოვლისა, ესწრაფვიან რა უსაფრთხოებას, სიამოვნებით მიიღებენ დესპოტიზმს, რათა პასუხისმგებლობის იმ ტვირთს გაექცნენ, რომელიც თავისუფლებას ახლავს თან.[6] ჭეშმარიტება ისაა, რომ დესპოტური ხელისუფლება იმაზე უფრო პოპულარულია, ვიდრე ჩვენ გვინდა გვჯეროდეს.

ავტორიტარული რეჟიმი საზოგადოებრივ ინტერესებს უგულებელყოფს

ვერც ეს განზოგადებული მოსაზრება უძლებს კრიტიკას. ყველაზე უარეს ტირანსაც კი ძალუძს ქვეყნის პოლიტიკური ქაოსიდან და ეკონომიკური სტაგნაციიდან გამოყვანა და წესრიგისა და კეთილდღეობის გზაზე დაყენება. ადოლფ ჰიტლერის დამსახურებაა, გერმანიამ რომ ეკონომიკური კრიზისი დაძლია. იმავე ეპოქის იტალიის ფაშისტი დიქტატორის — ბენიტო მუსოლინის აპოლოგეტები აღნიშნავდნენ, რომ მისი წყალობით, სულ ცოტა, მატარებლები აღარ იგვიანებდნენ. წარმატებული სახელმწიფო პოლიტიკის ეს მაგალითები, რა თქმა უნდა, არ ამართლებს ზღვარგადასულ ტირანიას, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში ჰიტლერისა და მუსოლინის პოპულარობის ასახსნელად ნამდვილად გამოდგება.

ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი იმისა, როგორ მოახერხა ავტოკრატულმა რეჟიმმა მდგრადი სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, არის არა ევროპა, არამედ ჩინეთი. ამას მონტესკიე, ადამ სმიტი და კარლ მარქსიც კი აღნიშნავდნენ. ამ თვალსაზრისით ჩინეთი დღემდე რჩება მკვლევართა ინტერესის საგნად.[7] განსაკუთრებით აღსანიშნავია კაშხლების, ჯებირებისა და წყალსადენების ვრცელი სისტემა, რომელიც ჩინეთის უზარმაზარ სამეფოს მთლიანად მოიცავდა.[8] მთელი ეს ჰიდროსისტემა არის ნიშანდობლივი მიღწევა, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბებით აღემატებოდა ძველი დროის დასავლეთში განხორციელებულ ნებისმიერ საერთო სახალხო სახელმწიფო პროექტს. საინტერესოა, რომელმა ცივილიზაციამ შეძლო ასეთი მოცულობის სამუშაოს წარმატებით განხორციელება?

თანამედროვე მკვლევარმა, კარლ ვიტფოგელმა თეორიულად შეისწავლა ჩინური სისტემა, რომელსაც მან „აღმოსავლური დესპოტიზმი“ უწოდა და დაასკვნა, რომ მისი განსაკუთრებული ხასიათი მკაცრ და გაუსაძლის პირობებში მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გადარჩენის აუცილებლობით იყო განპირობებული.[9] ჩინელების ძირითადი საკვები პროდუქტი ყოველთვის ბრინჯი იყო, ხოლო ბრინჯის მოყვანა დიდი რაოდენობით წყალს და მისი კონტროლის სათანადო სისტემას საჭიროებს. ასე რომ, საკვების მუდმივი პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ წყლის მუდმივი პრობლემის მოგვარება იყო აუცილებელი. ეს კი წყლის ნაკადის კონტროლის, ირიგაციისა და დრენაჟის საკმაოდ რთული სქემის შექმნას გულისხმობდა. ჩინეთში შეიქმნა პერმანენტული მეურნეობის სისტემა, რომელმაც ქვეყანას საშუალება მისცა ერთი და იგივე მიწები საუკუნეთა განმავლობაში დაემუშავებინა ისე, რომ მათი ნაყოფიერება შენარჩუნებულიყო.

ამგვარი სისტემის შექმნა კი მხოლოდ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. ისეთი ამბიციური პროექტის განხორციელება, როგორიცაა უძველეს ხანაში ბუნებრივი გარემოს გარდაქმნა, პოლიტიკური უწყვეტობისა და სტაბილურობის, სოციალური ერთობის, სწორი მეცნიერული გათვლების, არნახული მასშტაბის ადამიანური და მატერიალური რესურსების სრული მობილიზებისა და კოორდინირების გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა. სწორედ მუდმივი მეურნეობის ჩინური სისტემის ტექნოლოგიურმა და ორგანიზაციულმა მოწყობამ შეუწყო ხელი უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატისა და ევროპული სტანდარტებისათვის უჩვეულო რადიკალური იმპერიული დიქტატურის დამყარებას. როგორც ძველი დროის მოგზაურები და ვაჭრები აღნიშნავდნენ, ჩინეთის მთავრობა ყველაზე დიდი მიწათმფლობელი იყო (კერძო საკუთრება მკაცრად იყო აკრძა-

ლული). უფრო მეტიც, სამთავრობო პოლიტიკასა და პროგრამებს განსაზღვრავდა და ახორციელებდა ცენტრალიზებული ბიუროკრატია, რომლის წარმომადგენლებიც კარგი ადმინისტრატორები იყვნენ. ამ კლასში მიღება ხდებოდა არა მემკვიდრეობითობის, საკუთრების ფლობის ან სიმდიდრის მიხედვით (როგორც ეს ევროპაში ხდებოდა), არამედ გამოცდებით, რომლითაც მოწმდებოდა კანდიდატის მიერ კონფუცის მოძღვრების, შესაბამისად კი ქცევის სწორი ნორმებისა და ურთულესი ჩინური დამწერლობის ცოდნა. პირამიდის კენწეროში იმპერატორი იმყოფებოდა, რომელსაც „ზეციური მანდატი“ და აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდა.

როგორი იყო საშუალო ჩინელი მოქალაქის ხვედრი ამ უაღრესად ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში? საშუალო ადამიანი საკვები პროდუქტებით ვაჭრობდა და მმართველი ძალისთვის მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ფაქტორი იყო. გარდა იმისა, რომ უბრალო ადამიანებს მკაცრ სამუშაო დისციპლინას უწესებდა, ბიუროკრატია ამ ხალხით არ ინტერესდებოდა. ხელისუფლება სახალხო რევოლუციის მუდმივი შიშით არ იყო შეპყრობილი. იმპერიული ჩინეთი განსაკუთრებით სტაბილური საზოგადოება იყო. რელიგიისა და ხელისუფლების შერწყმა, ის, რომ მასები ბრინჯის მოყვანითა და ფართომასშტაბიანი სამუშაოებით იყვნენ დაკავებულნი, თანამედროვე საბრძოლო და საკომუნიკაციო საშუალებების არარსებობა, განსაკუთრებული პრივილეგები მხოლოდ სწავლულთა მაღალი კლასისთვის – ყველა ეს ფაქტორი ერთად პოტენციურ პოლიტიკურ ოპოზიციას ზღუდავდა. „ჰიდრავლიკურმა დესპოტიზმმა“ დღემდე არსებული მმართველობის ყველა ფორმაზე დიდხანს იარსება.

აზიური დესპოტიზმი ერთგვარი პარადოქსიია. ერთი მხრივ, იგი არის პოლიტიკური რეჟიმის მაგალითი, რომელიც ტრადიციული დასავლური ავტორიტარიზმის ფორმებზე ბევრად უფრო დესპოტურია:

> აღმოსავლური დესპოტიზმი უფრო ძლიერი და ღრმაა, ვიდრე XVI-XIX საუკუნეების ევროპული ავტოკრატია ან თუნდაც რომის იმპერია მისი აღზევების პერიოდში. უმცირესობა აკონტროლებდა და ექსპლოატაციას უწევდა ხალხის გაცილებით დიდ მასას და ბევრად უფრო ეფექტიანი ბიუროკრატიული აპარატი ჰქონდა, ვიდრე ქალაქ-სახელმწიფოთა ტირანიებს.[10]

მეორე მხრივ, იმპერიული ჩინეთის ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური მიღწევები მის ხელოვნებასთან, ენასთან და ლიტერატურასთან ერთად, მართლაც განსაცვიფრებელია. ასევე მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორები და სწავლული-მოხელეები არც ლიბერალები იყვნენ და არც პოლიტიკური განათლება ჰქონდათ მიღებული, „ჰიდრავლიკური დესპოტიზმის“ ჩინურმა სისტემამ ხელი შეუწყო საკვების უზარმაზარი მარაგის დაგროვებას, რომელიც მრავალრიცხოვანი და მზარდი მოსახლეობისათვის საუკუნეთა განმავლობაში საკმარისი აღმოჩნდა (თუმცა, დროდადრო იყო შიმშილობის პერიოდებიც). იმ სიძნელეებსაც თუ გავითვალისწინებთ, რასაც მესამე მსოფლიოს ქვეყნები თავიანთი ხალხის საცხოვრებლითა და საკვებით უზრუნველყოფის საქმეში დღემდე აწყდებიან, იმპერიული ჩინეთის აგრარული მიღწევები კიდევ უფრო ღირსშესანიშნავად უნდა ჩაითვალოს.

ნაკლებად განსაცვიფრებელი, მაგრამ გარკვეულწილად ანალოგიური თანამედროვე ფენომენია „აზიის ვეფხვები“ (ჰონ კონგი, სამხ. კორეა, სინგაპური, ტაივანი). დასავლეთის ხელშეწყობით დღეს ეს ქვეყნები დემოკრატიზაციის პროცესში არიან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უახლოეს წარსულში მათ, როგორც ავტორიტარულმა სახელმწიფოებმა, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და შიდა ეროვნული პროდუქტის ზრდის თვალსაზრისით. ხელისუფლებისა და კერძო ბიზნესის თანამშრომლობა აზიური კორპორატიზმის ქვაკუთხედია. ამის შედეგად განხორციელდა ფართომასშტაბიანი ინდუსტრიალიზაცია და სამრეწველო და ტექნოლოგიური პროგრესი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი. ხელისუფლებამ ადგილობრივი საწარმოები შეინარჩუნა სხვადასხვა პროტექციონისტული სტრატეგიის მეშვეობით, სავაჭრო შეზღუდვებისა და ვალუტის რეგულირების გზით. ამ ქვეყნების ამჟამინდელი ეკონომიკური მიღწევები ავტორიტარული მმართველობის მემკვიდრეობის შედეგია. ეს იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა საზოგადოებრივ ინტერესებს თავისუფლებისა და დემოკრატიის არარსებობის პირობებშიც შეიძლება ემსახურებოდეს.

ავტორიტარიზმი ყველაზე ცუდი მმართველობაა

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში (იხ. V თავი) პიროვნების თავისუფლება გაცილებით უფრო შეზღუდულია, ვიდრე ტრადიციული ავტოკრატიის პირობებში. მეორე, როგორც უკვე ვთქვით, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ის მასშტაბები, რომლითაც სხვადასახვა ავტოკრატი მმართველი თავის მოქალაქეებს ექსპლოატაციას უწევს. ერთნი ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ რეფორმებზე არიან ორიენტირებულნი, მეორენი კი – არა. ზოგიერთი მათგანი ცხოვრების სათანადო პირობებს უქმნის თავის მოქალაქეებს, ზოგიც მათ მიმართ სრულიად გულგრილია. რამდენიმე მათგანი ნაყოფიერი რეფორმატორი და სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებული მმართველია. მესამე, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ავტორიტარიზმი მმართველობის ყველაზე ოპტიმალური ფორმაა. დაბოლოს, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სათანადო პირობების დადგომის შემთხვევაში, ავტორიტარულ ხელისუფლებას კონსტიტუციურ დემოკრატიად გარდაქმნის ბევრად უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე ტოტალიტარულს.

როდესაც ქვეყანა არჩევანის წინაშე დგება: ერთი მხრივ, ანარქია, ეკონომიკური კრახი თუ სოციალური ქაოსი, ხოლო მეორე მხრივ — ავტორიტარული მმართველობა, ჩნდება დილემა. ასეთ პირობებში დიქტატურის რაიმე ფორმა აუცილებელია, დროებით მაინც. თანამედროვე მსოფლიოში დიქტატურა მმართველობის მხოლოდ გარდამავალ ფორმად ყალიბდება.

ავტორიტარიზმის აღსასრული?

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტარული ხელისუფლება პოლიტიკური წესრიგის დამყარების ყველაზე სწორხაზოვანი და მარტივი გზაა, პოლიტოლოგები უკვე ავტორიტარიზმის ეპოქის დასასრულზე ალაპარაკდნენ. 1974-1990 წლებში ლათინური ამე-

რიკის, აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის 30-ზე მეტი ქვეყანა არადემოკრატიულიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადავიდა.[11] ამ ფენომენს ხშირად კომუნისტური სისტემის კრახით ხსნიან. თუმცა, აღმოსავლეთ ევროპაში სოციალიზმის დასრულებამდე უფრო ადრეც, არადემოკრატიული სისტემები ერთი მეორის მიყოლებით დაემხო, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში. 1980-იან წლებში ეკვადორში, ბოლივიაში, პერუში, ბრაზილიაში, ურუგვაიში, არგენტინაში, ჩილესა და პარაგვაიში სამხედრო მმართველობა უფრო დემოკრატიული მმართველობით შეიცვალა. მათ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებმაც მიბაძეს. უკანასკნელ წლებში დემოკრატიამ საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებში შეაღწია. მხოლოდ 1990 წელს, სულ ცოტა 9 აფრიკულმა ქვეყანამ ჩაატარა მრავალპარტიული არჩევნები და კიდევ უფრო მეტი ამ არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელი რეფორმების გატარებას შეუდგა.[12] ოდნავ მოგვიანებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეპრესიული აპარტეიდის სისტემა, რომელიც თეთრკანიანთა უპირატესობის რასისტულ მოდელზე იყო დაფუძნებული, გაუქმდა და ბევრად უფრო დემოკრატიული მმართველობით შეიცვალა.

რამდენად მდგრადი (თუ ეფემერული) აღმოჩნდება ავტორიტარიზმზე უარის თქმის აღნიშნული მცდელობა, ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ გაუცემელი რჩება. შესაძლებელია თუ არა მომავალში, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, დემოკრატია ჩვეულებრივი მოვლენა იყოს, ხოლო არადემოკრატიული რეჟიმი – იშვიათი გამონაკლისი?

თანამედროვე მსოფლიოში მრავლადაა წარმატებული დემოკრატიისა და წარუმატებელი დიქტატურის მაგალითები. უფრო მეტიც, კეთილდღეობა, რომელიც დემოკრატიულ ქვეყნებთან ასოცირდება, ბევრს აღფრთოვანებისა და მიბაძვისკენ უბიძგებს. ბოლო ხანებში დემოკრატიული მოდელი უფრო და უფრო დიდ წარმატებას აღწევს.

თუმცა, დემოკრატიზაციის პროცესის შეუქცევადად გამოცხადება ჯერაც ნაადრევია. წარსულში დემოკრატიამ უკუქცევითი პროცესები რამდენჯერმე განიცადა.[13] ამიტომ დანამდვილებით თქმა, რა მოხდება ამჯერად, ძნელია. მიუხედავად საკმაოდ დამაიმედებელი ნიშნებისა 1990-იანი წლების დასაწყისში, დემოკრატიამ აფრიკის ქვეყნებში ვერ გაამართლა. 1990-იან წლებში ზამბიამ ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია. 1991 წელს არჩევნები ჩატარდა და კენეტ კაუნდა, რომელიც ზამბიას 25 წელზე მეტ ხანს მართავდა, ფრედერიკ ჩილუბასთან დამარცხდა. თუმცა 1996 წელს, როდესაც ახალი არჩევნების დრო დადგა, ჩილუბამ კაუნდას არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა. როგორც ავტორიტეტული ბრიტანული ყოველკვირეული გამოცემა აღნიშნავდა, „ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა აფრიკული ქვეყნებისათვის“.

> აფრიკული არჩევნები ახლა ნაკლებად გამოხატავს ხალხის ნებას. ერთი- ორი გამონაკლისის გარდა, რომელიც ძირითადად აფრიკის სამხრეთში გვხვდება, აფრიკის ქვეყნებში დემოკრატიის პაროდია უფროა. მთელი ძალაუფლება ერთი პიროვნების – პრეზიდენტის ხელშია თავმოყრილი. ხელისუფლება არჩევნებს ნიშნავს, ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს ან მის შედეგებს არ აღიარებს, ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს ოპოზიციას. პრობლემაა ისაა, რომ ტირანებმა იციან, როგორ აკონტროლონ არჩევნები: [საარჩევნო ოლქების] საზღვრებს, მედიას, ეკონომიკასა და საარჩევნო სიებს სურვილისამებრ მართავენ. ოპონენტები შევიწროებულნი არიან. თამაშის წესები ჯარისკაცებმაც

ისწავლეს. დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის ქვეყნების უმეტესობას არჩეული ყოფილი სამხედროები მართავენ, მათ შორის არიან გამბიისა და ნიგერიის მეთაურები, რომლებიც სახელმწიფოს სათავეში მას შემდეგ მოვიდნენ, რაც დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება დაამხეს.[14]

აფრიკა არ არის ავტორიტარული წარსულის მქონე ერთადერთი რეგიონი, სადაც ახალგაზრდა დემოკრატია საფრთხეშია. ლათინურ ამერიკაში დემოკრატიამ ბევრ ქვეყანაში შეაღწია, თუმცა იგი ჯერ კიდევ სუსტია. რამდენიმე ქვეყანას – კოლუმბიას, პერუსა და მექსიკას სერიოზული საფრთხე ემუქრება სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფებისაგან. საერთო სახალხო მღელვარება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებში აისახა. ლათინური ამერიკის ქვეყნებში გამოკითხულთა 70% აცხადებდა, რომ ისინი „არ არიან კმაყოფილი“ ან „სრულებით უკმაყოფილონი არიან“ დემოკრატიული სისტემებით.[15]

რითი აიხსნება ავტორიტარიზმის უწყვეტობა პოსტმოდერნულ მსოფლიოში? ამ კითხვაზე პასუხი, უპირველეს ყოვლისა, იმ ღრმა განსხვავებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებს შორის არსებობს. აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არსებობს თანამედროვე ეკონომიკა. დროთა განმავლობაში განსხვავებები, ეკონომიკისა და განათლების თვალსაზრისით, კიდევ უფრო ღრმავდება. უზარმაზარი საგარეო ვალები და რესურსების დეფიციტი მძიმე ტვირთად აწვება ამ ქვეყნების ეკონომიკას. ეთნიკური განხეთქილებები განვითარებად საზოგადეობას არასტაბილურს ხდის. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სამხედრო მმართველობა შეიცვალა, სამხედრო მაღალჩინოსნები სამოქალაქო ხელისუფლებას ფარულად მაინც აკონტროლებენ. მაშინ,როცა დემოკრატია ფართო ნაბიჯებით მიიწევს წინ დანარჩენ მსოფლიოში, ახლადაღმოცენებული დემოკრატიული სისტემები ჯერ კიდევ არამყა-რია. ასეთ პირობებში ავტორიტარიზმის აღსასრულის გამოცხადება ნაადრევია.

დასკვნა

როდესაც ერთი ან რამდენიმე თვითგამოცხადებული მმართველი პოლიტიკურ ძალაუფლებას ყოველგვარი კონტროლის გარეშე ახორციელებს, საქმე გვაქვს დიქტატურასთან. კეთილი ნების ავტოკრატები (რომლებიც გარკვეულწილად ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავენ), ტრადიციული დიქტატორები (რომლებიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავენ) ან ტირანები (რომლებიც განსაკუთრებული ენთუზიაზმით აჩაღებენ სისხლისღვრასა და ძალადობას) – ყველანი ერთად დიქტატორებს წარმოადგენენ. მათ შორის მცირეოდენი განსხვავება კი სხვადასხვა მასშტაბით აისახება იმ ადამიანთა ცხოვრებაზე, რომლებიც მართვაში რაიმე სახით მონაწილეობის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. ისტორიულად ყველაზე ხშირად ავტორიტარი მმართველები გვხვდებიან. მიუხედავად ამისა, ავტორიტარიზმი სწორი მმართველობის დამახინჯებულ სახედ მიიჩნევა, რადგანაც ის პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს. ნიგერია ავტორიტარული მმართველობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

ავტორიტარიზმის ირგვლივ ბევრი მცდარი მოსაზრებაც არსებობს. სინამდვილეს არ შეესაბამება მტკიცება იმისა, რომ ავტორიტარიზმი თანამედროვე ფენომენია ან ყველა ავტორიტარული სახელმწიფო იდენტურია, არალეგიტიმურია ან არაპოპულარულია თავისივე მოქალაქეებს შორის. გარდა ამისა, ავტორიტარი მმართველები შეიძლება ერთმანეთისაგან მორალური თვალსაზრისითაც განვასხვავოთ: ერთნი საზოგადოებრივ ინტერესებზე არიან ორიენტირებულნი, მეორენი კი არა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიტარული რეჟიმები არ წარმოადგენს მმართველობის ყველაზე ცუდ ფორმას.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტარიზმი გზას თანდათანობით დემოკრატიას უთმობს, საბოლოო დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია.

საკვანძო სიტყვები

ავტორიტარიზმი	ხუნტა
ავტოკრატია	სახელმწიფო გადატრიალება
ოლიგარქია	ქარიზმატული ლიდერი

კითხვები გამეორებისათვის

1. რომელია არადემოკრატიული ხელისუფლების ორი ძირითადი ტიპი? ნაკლებად გავრცელებული ხდება თუ არა ავტორიტარული ხელისუფლება? სად ვხვდებით დღეს ამგვარ ხელისუფლებას?
2. როგორია ავტორიტარული ხელისუფლების ძირითადი მახასიათებლები?
3. ყველა ავტოკრატია ტირანულია თუ არა? ახსენით.
4. როგორი „რჩევა“ მისცა მაკიაველიმ იმ ხელისუფალთ, რომლებიც ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობენ?
5. შეაჯამეთ ავტორიტარული ხელისუფლების ექვსი მითი. რა წინააღმდეგობები ასოცირდება ამ მითებთან?

შენიშვნები

1. *Bernard Crick, Basic Forms of Government: A Sketch and a model (London: Macmillan, 1980), 53.*
2. *Aristotle, The Politics, თარგმ. და რედ. Ernest Barker (New York: Oxford University Press, 1962), 1279a, 112 [ხაზგასმა ჩვენია].*
3. *იქვე, 1313b, 245.*
4. *იქვე, 1312b, 240.*
5. *Maurice Latey, Patterns of Tyranny (New York: Atheneum, 1969), 115.*

6. *Fyodor Dostoyevsky, The Brothers Karamazov, რედ. Ernest Rhys (London: Dent, 1927), 259.*
7. *Crick, Basic Forms of Government, 35.*
8. *იხ. Karl Wittfogel, Oriental Despotism: A Comparative Study of Total Power (New York: Random House, 1981).*
9. *იქვე.*
10. *Crick, Basic Forms of Government, 36.*
11. *Samuel P. Huntington, "How Countries Democratize", Political Science Quarterly 106, no. 4 (1991-92): 579.*
12. *Robert M. Press, "Africa's Struggle for Democracy", Christian Science Monitor, March 21, 1991, 4.*
13. *Huntington, "How Countries Democratize", 579.*
14. *"Polls to Nowhere", Economist, November 23, 1996, 20-21.*
15. *"The Backlash in Latin America", Economist, November 30, 1996, 19.*

თავი V

ტოტალიტარული სახელმწიფოები

განუხორციელებელი უტოპიები

ტოტალიტარიზმის არსი
ტოტალიტარიზმის რევოლუციური ეტაპი

- ლიდერობა
- იდეოლოგია
- ორგანიზაცია
- პროპაგანდა
- ძალადობა

ძალაუფლების კონსოლიდაცია

- ოპოზიციური პარტიების განადგურება
- პარტიის რეალური ან წარმოსახვითი მეტოქეებისგან გაწმენდა
- მონოლითური საზოგადოების შექმნა

საზოგადოების ტრანსფორმაცია

- სტალინის საბჭოთა კავშირი
- ჰიტლერის გერმანია
- მაოს ჩინეთი

ტოტალიტარიზმის ნაირსახეობები
ტოტალიტარიზმის უსახელო მსხვერპლნი
ტოტალიტარული რეჟიმების სიცოცხლიუნარიანობა

თითქმის ყველა არადემოკრატიულ (ავტორიტარულ) სახელმწიფოს დიქტატორი ან ავტოკრატი ხელმძღვანელობს, რომელიც ხშირად ყველაფრის ფასად ცდილობს პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას (იხ. თავი IV). მეოცე საუკუნეში ტირანიის ახალი და ექსტრემალური ფორმა – **ტოტალიტარიზმი** გაჩნდა. ტერმინი გულისხმობს საზოგადოებასა და მის წევრებზე ტირანი მმართველებისა და თავსმოხვეული შეხედულებების სრულ ბატონობას.

კონტროლის შესახებ აკვიატებული აზრი საზოგადოებრივ სფეროს სცდება და მოქალაქეების პირად ცხოვრებაზეც ვრცელდება. მთავრობის ძალაუფლება იმდენად ფართოა, რომ რეჟიმი მისი ქვეშევრდომების მხოლოდ კონტროლს კი არა, ადამიანის ბუნების გარდაქმნასაც ცდილობს. ტოტალიტარი ტირანისათვის *აბსოლუტურად ყველაფერს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს*, მათ შორის სამუშაოს, განათლებას, რელიგიას, სპორტს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ოჯახსაც კი (რადგან ადამიანები თავიანთ მეზობლებზე ჯაშუშობენ და ბავშვებს „არალოიალური“ მშობლების შესახებ ინფორმაციის მიტანისაკენ უბიძგებენ). რადგან ეს რეჟიმები ცდილობენ საზოგადოების გარდაქმნას იდეოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად, ისინი თავისთავად ანადგურებენ „ხალხის ყველა მტერს“. მტრები ხდებიან საზოგადოების მთელი ჯგუფები და კატეგორიები, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავენ ასეულობით ათასს და მილიონობით უდანაშაულო ადამიანს, ვისაც, უმრავლეს შემთხვევაში, არც ერთი ობიექტური სტანდარტით არაფერი აქვს საერთო „პოლიტიკასთან“. ამ ორი უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისით, ტოტალიტარული რეჟიმები განსხვავდება უფრო ტრადიციული, არადემოკრატიული ავტორიტარული სახელმწიფოებისაგან. ავტორიტარული მთავრობები ჩვეულებრივად ცდილობენ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას (და არა საზოგადოების გარდაქმნას) და მტრების წრეს განსაზღვრავენ, როგორც ცალკეულ ინდივიდებს (არა ჯგუფებს), რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან არსებულ სახელმწიფოს.

ტოტალიტარიზმმა ძირფესვიანად შეცვალა მეოცე საუკუნის მსვლელობა, მაგრამ 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ყაიდის კომუნიზმისა და რამდენიმე წელიწადში თავად საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ტირანიის ეს ექსტრემალური ფორმა მკვეთრად დაკნინდა. მაშ, რატომღა უნდა შევისწავლოთ ტოტალიტარული სახელმწიფოები? სულ ცოტა ოთხი მიზეზი გვახსენებს თავს. პირველი, კომუნიზმი ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთადერთი შესაძლებელი ფორმა არაა. ნაცისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის მაგალითები შეგვახსენებს, რომ ტოტალიტარიზმი ერთი იდეოლოგიის, რეჟიმის ან მმართველის მოღვაწეობის შედეგი არაა. მეორე, ტოტალიტარიზმი თანამედროვე ისტორიის შემადგენელი ნაწილია და აშკარა წინააღმდეგობაში მოდის პოლიტიკოსების, პროფესორების, თეოლოგებისა და სხვა მრავალთა განცხადებებთან, ვისაც ადამიანური პროგრესის ოპტიმისტურად სჯეროდა. მრავალი ადამიანი, რომელიც უშუალოდ იტანჯებოდა ტოტალიტარი დიქტატორების ხელში ან დაკარგა ახლობლები ჰიტლერის ჰოლოკოსტის, სტალინური ტერორის, მაოს საზარელი წმენდების ან სხვა უფრო გვიანდელი ტოტალიტარული სისასტიკის დროს, კვლავ ცოცხალია. მსხვერპლთა ფიზიკური თუ ემოციური იარები არ გამქრალა იმ ტირანთა წასვლის შემდეგაც კი, რომლებმაც მათ ეს ჭრილობები მიაყენეს და უსამართლობა ჩაიდინეს. მესამე, ტოტალიტარული სახელმწიფოები წარმოაჩენს იდეალიზმის არასწორად გაგების რისკს. კერძოდ, იგი ეყრდნობოდა ათასწლეულობით დამკვიდრებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი პროგრესისა და სრულყოფილების მიღწევა

ბარბაროსული მეთოდების გამოუყენებლად შეუძლებელია. საბოლოოდ, ყველა ეს შეხედულება სასტიკად დამარცხდა, როგორც სახელმწიფოს მშენებლობის უტოპიური ექსპერიმენტი. მეოთხე, ტოტალიტარიზმის გაჩენის შესაძლებლობა კვლავაც არსებობს იქ, სადაც დიდი სიღარიბე, უსამართლობა და, შესაბამისად, ძალადობისა და არეულობის პოტენციაა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდელი მსოფლიოს დიდ ნაწილში.

სახიფათოა დასკვნა, რომ მსოფლიომ უკანასკნელი ტოტალიტარი ტირანები ისტორიას ჩააბარა. მართლაც, 2001 წლის შემოდგომაზე ამერიკის შეერთებულ შტატებზე ტერორისტული თავდასხმა მწვავე შეკითხვას ბადებს: შესაძლებელია თუ არა, რომ მშვიდობასა და თავისუფლებას მომავალი ტოტალიტარული საფრთხეები მაინცდამაინც მთავრობის მეთაურისგან ან სახელმწიფოს მმართველისგან დაემუქროს? წარმოადგენენ კი უსამა ბინ ლადენი და ალ ქაიდას ქსელი ამგვარ საფრთხეს? ბოლოს და ბოლოს, ავღანეთში თალიბების რეჟიმს, რომელიც ბინ ლადენსა და მის ორგანიზაციას მფარველობდნენ, ტოტალიტარული სახელმწიფოს მრავალი მახასიათებელი ჰქონდა. ჩვენ ამ საკითხს არაერთხელ დავუბრუნდებით ქვემოთ. 2001 წლის 11 სექტემბერი ერთ-ერთი გაკვეთილია იმისა, რომ ცივილიზებულ ხალხს ყველგან სჭირდება ექსტრემიზმის შესწავლა მისი ყველა პოლიტიკური გამოხატულებით, რათა თავიდან ავიცილოთ ძლიერი მასობრივი მოძრაობების აღორძინება ოპორტუნისტი ლიდერების მეთაურობით, რომელთათვისაც ცივილიზაციას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ტოტალიტარიზმის არსი

ძალადობა ყველა ტოტალიტარული სახელმწიფოს საფუძველია – კონტროლირებადი, სისტემატური, სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული ძალადობა. ეს ძალადობა ხშირად განურჩეველი მასობრივი ტერორის და გენოციდის სახეს იღებს, რომელიც ხალხის მთელი ჯგუფების, კატეგორიების ან კლასების წინააღმდეგ არის მიმართული, რომელთაც მტრების, კონტრრევოლუციონერების, ჯაშუშების ან საბოტაჟის მომწყობთა იარლიყებს აკრავენ. ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც კი სხვადასხვა სახით რეჟიმის მიმართ უპირობო ერთგულების დემონსტრირება მოეთხოვებათ და ისინი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ არიან. პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისთვის მასობრივი მობილიზება ხორციელდება უკიდურესად ცენტრალიზებული და დისციპლინირებული ერთპარტიული სისტემის მიერ, რომელიც ერთი, ყოვლისმომცველი იდეოლოგიის მიმდევარია. ამ იდეოლოგიის გასავრცელებლად, სახელმწიფო პროპაგანდასა და ცენზურის აპარატს იყენებს, რომელიც გაცილებით დახვეწილი და ეფექტიანია, ვიდრე ტიპურ ავტორიტარულ სახელმწიფოებში.

> ტოტალიტარული სახელმწიფოების მიზანია ტოტალური პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური კონტროლის დამყარება: ტოტალიტარული დიქტატურა მოიცავს ტოტალურ ბატონობას, რომელიც არც მიღებული კანონებითა ან კოდექსებით (როგორც ტრადიციული ავტორიტარიზმის დროს) და არც მთავრობის ფუნქციით (როგორც კლასიკური ტირანულ სახელმწიფოში) არის შეზღუდული, რამდენადაც ისინი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის განსხვავებას სპობენ... ტოტალიტარიზმი შეზღუდულია მხოლოდ

> იმ საჭიროებით, რომ ხალხის დიდი რაოდენობა მუდმივი მოქმედების მდგომარეობაში ამყოფოს, რასაც ელიტები აკონტროლებენ.[1]

საზოგადოების სრული კონტროლი საჭიროა, რადგან ტოტალიტარული იდეოლოგიები ახალი საზოგადოებრივი წყობის დამყარების პირობას დებენ, იქნება ეს რასობრივად სუფთა არიული სუპერრასა, რომლის შექმნასაც ადოლფ ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმი აპირებდა გერმანიაში, თუ დაჩაგრული და გაწამებული მუშების პროლეტარული ძმობის შექმნა, რასაც საბჭოთა ლიდერები ვ.ი. ლენინი და იოსებ სტალინი პირდებოდნენ ხალხს, თუ ეგოისტური ინტერესების არქმონე გლეხების ახალი, მასობრივი საზოგადოება, რომელიც მაო ძედუნის პოეტურ წარმოსახვაში იძერწებოდა. დეტალების მიუხედავად, ტოტალიტარული იდეოლოგიების ზოგადი შეხედულებები საზოგადოების შესახებ – ბოლოდროინდელი ავღანეთის სასტიკი თალიბი მმართველების ჩათვლით – აშკარად ერთმანეთს ჰგავს. ყველა ტოტალიტარულმა მოციქულმა „გამოამჟღავნა ერთმანეთთან მიმართ მსგავსება... თავიანთ განზრახვაში, რომ შექმნან უფრო მაღალი და უპრეცედენტო სახის ადამიანური ყოფიერება“.[2]

ტოტალიტარი ლიდერის პრეტენზია ლეგიტიმურობაზე სწორედ ახალი საზოგადოების შექმნის თვითნებური მიზნიდან გამომდინარეობს. ერთი ექსპერტის თქმით, „ტოტალიტარული მმართველობის მახასიათებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთად დამორჩილება უტოპიური, მმართველობაზე არაპოლიტიკური მოთხოვნით.“[3] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტოტალიტარი ლიდერები ამტკიცებენ, რომ სრულყოფილი საზოგადოებრივი წყობა მხოლოდ თვითგამოცხადებული ლიდერების გაბედული მოქმედებების შედეგად დამყარდება. ამგვარად, საზოგადოებაზე რწმენების ძალისმიერი თავსმოხვევა გამართლებულია, რაც ლიდერებს კვაზირელიგიურ საზოგადოებად აქცევს შესაბამისად, ტოტალიტარული იდეოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც „იდეათა ლოგიკური წყება, რომელიც იმ პრაქტიკულ საშუალებებს ეხება, რომლის მეშვეობითაც მთლიანად უნდა შეიცვალოს და რეფორმირება განიცადოს საზოგადოებამ ძალის ან ძალადობის გზით და ემყარება წინა ან ამჟამინდელი საზოგადოების ყოვლისმომცველ კრიტიკას“.[4]

ტოტალიტარული მოძრაობების მიერ ნაქადაგები იდეალური საზოგადოებები, ჩვეულებრივ, ისეთ ღირებულებებს აღმერთებენ, როგორიცაა თანასწორობა და ერთობა. ისინი მათ თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმზე წინ აყენებენ. როგორც მეორე ავტორიტეტულმა მკვლევარმა აღნიშნა:

> რევოლუციონერის ნამდვილი საზოგადოება ყოვლისმომცველი და ეგალიტარულია: არანაირი სოციალური განსხვავება არ იარსებებს, თვით ავტორიტეტი და გამოცდილება, მეცნიერული თუ სახელოვნებო, გაქრება. ამგვარი რადიკალური ეგალიტარიზმი აუცილებლობით უარყოფს ყოველგვარ ინდივიდუალიზმს. ინდივიდის უფლება კოლექტივისაგან თავდაცვაზე ქრება და ჩვეულებრივი კონსტიტუციური უფლებები ინტერპრეტირებულია, როგორც უფლება, რათა ჯგუფს შეეგუო. ჯგუფისადმი მოთხოვნების წაყენება – მატერიალურ საქონელზე, ადამიანური ურთიერთობების შეზღუდულ უფლებაზე, როგორიცაა სიყვარული და პირადი ცხოვრება – დაგმობილია, როგორც შეუსაბამო საქციელი. თანასწორობის სახელით, საზოგადოებაში იმგვარი სოლიდარობაა გამოცხადებული, რომელსაც თითქოს თავისი ცნობიერება

> გააჩნდეს, ხოლო ინდივიდუალური ცნობიერება საუკეთესო შემთხვევაში ანტისოციალური გადახრა ხდება.[5]

ამ ჰარმონიული საზოგადოების საფუძველს ადამიანური ბუნების შეცვლის კონცეფცია წარმოადგენს. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში პიროვნების ერთბაშად გადაკეთება ის აუცილებელი პირობაა, რომელიც ოფიციალური იდეოლოგიის მიერ აღთქმულ უტოპიურ საზოგადოებაში მოსახვედრად არის საჭირო. ადამიანური სრულყოფისკენ სწრაფვა აისახა ლენინის მიერ არაერთხელ გაკეთებულ განცხადებებში „ახალი საბჭოთა ადამიანის“ შექმნის შესახებ და ნაცისტების მტკიცებაში, რომ პარტიული მუშაკები და ლიდერები ადამიანის ახალ ტიპს ან „რასობრივად სუფთა“ მმართველების ახალ მოდგმას წარმოადგენდნენ. მაო ძედუნი ლამის აკვიატებულ აზრს ჰყავდა შეპყრობილი ***რეკტიფიკაციის (განწმენდის)*** შესახებ, რაც ჩინური საზოგადოების ყველა დონეზე კაპიტალისტური ელემენტების (მაგალითად, მატერიალიზმი და ინდივიდუალიზმი) რადიკალურ წმენდას ნიშნავდა. საკვირველია, რომ მეოცე საუკუნის ყველა ტოტალიტარული მოძრაობა ცდილობდა, არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოების გარეგნული მხარის, არამედ საზოგადოების წევრების პირადი და ზნეობრივი ნორმების შეცვლასაც.

ყველაზე რეპრესიულმა ტოტალიტარულმა რეჟიმებმაც კი ვერ მოახერხეს ამ გარდაქმნების ბოლომდე მიყვანა. ყველა ტოტალიტარულ სახელმწიფოში არსებობდა „***განცალკევებული კუნძულები***“[6] – ოჯახი, ეკლესია და სხვა სოციალური ინსტიტუტები, რომლის მეშვეობითაც გაბატონებული მთავრობის მიმართ შინაგანი წინააღმდეგობა ნარჩუნდებოდა. გამოგონილი ქვეყნის – ოკეანეთის – განსაკუთრებით ტოტალიტარულმა მთავრობამაც კი, რომელიც ცნობილ ბრიტანელ მწერალს აქვს აღწერილი რომანში *ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი წელი*, ვერ მოახერხა თავისი მოქალაქეების სრული კონტროლი.

იმის მიუხედავად, რომ ტოტალიტარულმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ადამიანის ბუნების გადაკეთება ან უტოპიის განხორციელება, მათ ხშირად გასაოცარი მიღწევები ჰქონდათ ოპონენტების გაჩუმების თვალსაზრისით მაშინ, როდესაც ისინი რადიკალურ (და საბოლოო ჯამში დამანგრეველ) საზოგადოებრივი გარდაქმნების პროგრამებს ატარებდნენ. ტოტალიტარ მმართველებს კარგად ესმოდათ, რომ მათი თანამებრძოლების მიერ შექმნილი ახალი საზოგადოება სხვაგვარად მოაზროვნეთა, დევიანტთა, სკეპტიკოსთა და მტერთა შორის ვერ გადარჩებოდა. იმ ფაქტს, რომ მათი მიზნები და საშუალებები საღ აზრს ეწინააღმდეგებდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი ასევე არ ცნობდნენ პოლიტიკური ძალის გამოყენებისას რაიმე სახის ზნეობრივ შეზღუდვას. დღევანდელი ამომავალი ვარსკვლავი ხვალ, შესაძლოა, ხალხის მტრად გადაიქცეს იმისდა მიხედვით, რა არის მიზანშეწონილი მოცემულ მომენტში. როდესაც გამოცხადებული მიზანი უბრალოდ ხელისუფლების მოპოვება და მისი შენარჩუნება კი არა, მსოფლიოს შეცვლაა, განსაკუთრებული პოლიტიკური საშუალებების გამოყენება ადვილი გასამართლებელია, გაცილებით ადვილი. როცა ლიდერს აღქმული მიწისკენ მიჰყვები, არც ერთი მსხვერპლი არაა ძალიან დიდი, არანაირი ფასი არაა მაღალი.

ამგვარი უტოპიური პოლიტიკური წყობის ყველაზე ნათელი მაგალითებია: ნაცისტური გერმანია, საბჭოთა კავშირი (განსაკუთრებით სტალინური ტერორის დროს) და მაოისტური ჩინეთი. თუმცა, ტოტალიტარიზმი მხოლოდ ამ ქვეყნებით არ შემოიფარგლებოდა. ამგვარი სახელმწიფოები ჯერ კიდევ არ გამქრალა მსოფლიოს

პოლიტიკური რუკიდან. დაბოლოს, იქ, სადაც ამგვარი რეჟიმები გაქრა, ტოტალიტარული ტირანიის დატოვებული კვალი ღრმაა და კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს იმ ქვეყნების პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტების მუშაობაზე, პოსტ-ტოტალიტარულ ერაში.

ტოტალიტარიზმის რევოლუციური ეტაპი

როგორ იწყება ტოტალიტარული მოძრაობები? ჩვეულებრივ, ისინი ჩაისახებიან ხოლმე ძალადობაში და ამოიზრდებიან დაშლილი ან დაშლის პირას მყოფი სახელმწიფოების ნანგრევებიდან. ასეთ არეულ დროში ხშირად ქარიზმატული ლიდერი ჩნდება. ლიდერები ნებისმიერი რევოლუციის წარმატებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. *ტოტალური* რევოლუციის შემთხვევაში, ლიდერის გარდა კიდევ ოთხ ელემენტს აქვს მნიშვნელობა, რომელთაგან თითოეული დაწვრილებით შესწავლას საჭიროებს. ესაა: იდეოლოგია, ორგანიზაცია, პროპაგანდა და ძალადობა.

ლიდერიზმი

ტოტალური რევოლუციების ალბათ ყველაზე უფრო აშკარა მახასიათებელი *ლიდერის კულტზე* დამოკიდებულებაა. ფაქტობრივად, ყველა ამგვარი რევოლუცია გაიგივებული, პერსონიფიცირებული იყო კონკრეტულ ფიგურასთან. რუსეთის რევოლუციას თავისი ლენინი ჰყავდა, მესამე რაიხს – თავისი ჰიტლერი, ჩინეთის რევოლუციას – თავისი მაო, კუბას – თავისი კასტრო და ასე შემდეგ. თითოეული მათგანი გაღმერთებული ჰყავდათ. ერიკ ჰოფერი ლიდერობის მნიშვნელობას თანამედროვე მასობრივ მოძრაობებში შემდეგნაირად აფასებს:

> როგორც კი სცენა მომზადდება, გამოჩენილი ლიდერის არსებობა საჭირო ხდება. მის გარეშე მოძრაობა ვერ იარსებებს. დროის სიმწიფე ავტომატურად მასობრივ მოძრაობას არ წარმოშობს, ისევე როგორც არჩევნები, კანონები და ადმინისტრაციული ორგანოები ვერ შობს მას.
> სწორედ ლენინი იყო ის ადამიანი, რომელმაც მოვლენები ბოლშევიკური რევოლუციისკენ წარმართა. ის რომ შვეიცარიაში ან 1917 წელს რუსეთისკენ მიმავალ გზაზე მომკვდარიყო, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სხვა ცნობილი ბოლშევიკები კოალიციურ მთავრობას შეუერთდებოდნენ. შედეგი კი მეტ-ნაკლებად ლიბერალური რესპუბლიკა იქნებოდა, რომლის მართვას ბურჟუაზია განახორციელებდა. მუსოლინის ან ჰიტლერის შემთხვევები კიდევ უფრო ნათელია: მათ გარეშე არც ფაშისტური და არც ნაცისტური მოძრაობა არ იარსებებდა.[7]

მართალია, ყველა რევოლუცია მასების სახელით იქნა დაწყებული, მაგრამ ინიციატივა ყოველთვის ზემოდან მოდიოდა. რევოლუციურ ლიდერებს ინსტინქტურად ესმოდათ, რომ მსოფლიოს შესაცვლელად საჭირო პოტენციური ძალა მხოლოდ მასებს ჰქონდათ, მაგრამ მათ ნება და მიმართულება აკლდათ (ბოლშევიკების აზრით, მათ აკლდათ „კლასობრივი ცნობიერება“; ნაცისტების აზრით, – *Volksgeist* ანუ „სახ-

ალხო ერის სულისკვეთება“). რევოლუციურ მასობრივ მოძრაობაში აღმაფრენისა და ფანატიკური თავდადების მქონე ადამიანების შერწყმა ეგოისტური ინტერესების მქონე დიდი რაოდენობის ხალხთან ვერ მოხერხდებოდა ისეთი უსისხლო აბსტრაქციის გარეშე, როგორიცაა „პარტია“. თუმცა, ის მხოლოდ ქარიზმატული ლიდერის პიროვნული დინამიზმიდან წარმოიშვება, რომელსაც შეუძლია მასების გულისთქმას ჩასწვდეს, ყურადღება მიიპყროს და მათი გული მოიგოს (ირონიაა, რომ ყველა თანამედროვე მასობრივი მოძრაობა ხაზს უსვამდა ლიდერის პიროვნებას და ამავდროულად აკნინებდა მიმდევართა ინდივიდუალობას). ლიდერები, როგორებიც ლენინი ან მაო იყვნენ, მასობრივი მოძრაობებისთვის იმავე ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც ბომბისათვის – დეტონატორი: მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ძლიერი (ან მომაკვდინებელი) ასაფეთქებელი ნივთიერებაა ბომბის შიგნით, ის უმოქმედო და უწყინარია მანამ, ვიდრე ასაფეთქებელი მოწყობილობა არ დაუყენდება.

იდეოლოგია

ხელმძღვანელობის ხარისხის მიუხედავად, ტოტალური რევოლუციები დამოკიდებულია დიდი რაოდენობის ხალხის სურვილზე – მიზნის მისაღწევად საკუთარი თავი გაწირონ და მოძრაობაში ჩაერთონ. ამგვარი გაუაზრებელი თავდადების გამოწვევა რაციონალური მოწოდებებით ვერ მოხდება. ის უნდა გამომდინარეობდეს აბსოლუტური ჭეშმარიტების ბრმა რწმენიდან, რომელსაც ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოქტრინა იძლევა.

განტევების ვაცის საჭიროება: წარსულის ხელახალი ინტერპრეტაცია. როგორც წარსულის კრიტიკოსი, იდეოლოგია ზოგადად ფოკუსირებულია აბსოლუტური ბოროტების რაიმე ფორმაზე, რომელსაც ყველა ეროვნულ (ან მსოფლიო მასშტაბის) შეცდომასა და სოციალურ უსამართლობას მიაწერენ. რევოლუციური იდეოლოგიისათვის ეკონომიკური ვარდნა, ინფლაცია, სამხედრო დამარცხება, სახელმწიფო კორუფცია, ეროვნული დამცირება, ზნეობრივი გადაგვარება და სხვა პრობლემები მომდინარეობს უარყოფილი წარსულის მისტიციზმიდან და შეთქმულებებიდან.

აბსოლუტური ბოროტება იშვიათად არის სხეულის არმქონე ძალა. ის თითქმის ყოველთვის ადვილად შესაცნობი მტრის სახეს იღებს. თუ ამგვარი მტერი არ არსებობს, მაშინ ის უნდა შეიქმნას. ჩვეულებივ, ამგვარ როლს რომელიმე ადამიანი ან ჯგუფი ასრულებს, რომლის აქამდეც ეშინოდათ, ეზიზღებოდათ ან შურდათ. ლენინი მუშების გაჭირვებულ მდგომარეობას ფულისმომხვეჭელ კაპიტალისტებს აბრალებდა, ჰიტლერი პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებას და მის ხელისუფლებაში მოსვლამდე დაწყებულ ეკონომიკურ კრიზისს – ებრაელებსა და კომუნისტებს. მაომ მტრები მდიდარ მიწათმფლობელებში იპოვა. აშკარაა, რომ ამგვარი გადაწყვეტილებების მიზანი მასების ყურადღების გამზადებულ, ადვილადამოსაცნობ განტევების ვაცებზე ფოკუსირება იყო, რომლებსაც სახელმწიფოს მთელი უბედურება უნდა დაკისრებოდათ.

ერთი ავტორიტეტული მკვლევარის თქმით, „მასობრივი მოძრაობები შეიძლება დაიწყოს და გავრცელდეს ღმერთის რწმენის გარეშე, მაგრამ არასოდეს ეშმაკის გარეშე“.[8] საერთო მიზნისათვის ხალხის გასაერთიანებლად ყველაზე უფრო ეფექტიან ძალას ზიზღი და სტერეოტიპები წარმოადგენენ და არა სიყვარული და დიადი

პრინციპები. ზიზღის ობიექტის განზრახ შექმნა არა მხოლოდ იმას ემსახურება, რომ წარსულში მომხდარი უსამართლობები მას მოეწყოს, არამედ, ამავდროულად, ეს ხელს უწყობს დღეს არსებული გაჭირვების მიზეზის წინააღმდეგ მასების მობილიზებას.

რევოლუციური ბრძოლა: თანამედროვეობის ახსნა. როგორც თანამედროვეობაში მეგზური, იდეოლოგია ***ჭეშმარიტ მორწმუნეს*** საშუალებას აძლევს თანამედროვე საზოგადოებაში მოქმედი ძალების „სწორი“ ანალიზი მოახდინოს. ისეთი კონცეფციები, როგორებიცაა კლასობრივი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის, *Herrenvolk* („გაბატონებული რასა“) ნაცისტებისათვის და „წინააღმდეგობები“ მაოს მიმდევრებისათვის, ინსტრუმენტებად გამოიყენებოდა, რათა სოციალური რეალობა აეხსნათ და პროგნოზი გაეკეთებინათ. გუშინ მტერი იყო გამარჯვებული; დღეს მტერი დამარცხდებოდა.

ტოტალური რევოლუციის მომხრეებს სჯერათ, რომ ბრძოლა პოლიტიკის არსია. მარქსიზმ-ლენინიზმის მომხრეებისათვის კლასობრივი ბრძოლა პროგრესის გამომწვევი იყო ისტორიაში. მაოისტებისათვის თავად ბრძოლა იყო სასურველი მიზანი. მათ სჯეროდათ, რომ მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის უშუალო გამოცდილებით შეეძლოთ მასებს (განსაკუთრებით ახალგაზრდობას) თავგანწირვის ნამდვილი მნიშვნელობის გაგება. ჰიტლერი ძალაუფლებისთვის ბრძოლას ადიდებდა, მან ომი სახელმწიფოს სიდიადის უდიდეს გამოცდად გამოაცხადა (ნიშანდობლივია, რომ ჰიტლერმა თავის წიგნს, სადაც პოლიტიკაში თავის გზა განსაზღვრა, *Mein Kampf* – „ჩემი ბრძოლა,“ უწოდა.) იმის მიუხედავად, მიზანი კაპიტალისტების მონოპოლიის დასრულებაა თუ რასის გაწმენდა, რევოლუციური ბრძოლა ყოველთვის აღიწერება, როგორ კეთილის ბოროტის წინააღმდეგ ბრძოლა. ნაცისტთა ლიდერები ებრაელებს უბრალოდ სახელმწიფოს მტრებად კი არ სახავდნენ, არამედ *Untermenschen*-ად [ქვეადამიანი, არასრულყოფილი რასის წარმომადგენელი. მთარგმნ. შენ.] და ხშირად, არარაობებად ან ტილებად.[9] რა თქმა უნდა, ამგვარი დამამცირებელი დახასიათების მრავალჯერადი გამოყენება საბოლოოდ მასობრივ ცნობიერებაში განტევების ვაცად გამოყენებული ჯგუფის დეჰუმანიზაციას ისახავს მიზნად – უფრო ადვილია მწერების გაწყვეტა დაასაბუთო, ვიდრე – ადამიანებისა.

უტოპია: მომავლის წინასწარმეტყველება. იდეოლოგია აღთქმულ მომავალს სრულყოფილი სამართლიანობისა და სამარადჟამო მშვიდობის ნათელ სურათად წარმოაჩენს. მარქსისტ-ლენინისტები ამ უტოპიას განიხილავდნენ, როგორც უკლასო საზოგადოებას, რომელიც, თავის მხრივ, ყველა სოციალურ და ეკონომიკურ უსამართლობას აღმოფხვრიდა. ნაცისტური უტოპია იყო რასობრივი „დაბინძურების“ გარეშე არსებული საზოგადოება, რომელიც რასობრივი თვალსაზრისით „ჩამორჩენილების“ გაწყვეტას და ან დამონებას ითვალისწინებდა. იმის მიუხედავად, როგორი იყო ამა თუ იმ იდეოლოგიის კონკრეტული ბუნება, ამგვარი მოტივაციის მომცემი ხედვა შეიცავდა მატერიალური სიუხვის დაპირებას, რომელიც მქონებელთაგან უქონელთა სასარგებლოდ ქონების გადანაწილებას ითვალისწინებდა. მარქსიზმ-ლენინიზმი პირობას იძლეოდა, რომ მდიდრებს (ბურჟუაზიას) წაართმევდა და ღარიბებს (პროლეტარიატს) დაურიგებდა. საინტერესოა, რომ ჰიტლერმა მსგავსი პირობა დადო, როდესაც განაცხადა, რომ მიზნად ისახავდა აღმოსავლეთით *Lebensraum*-ის („სასიცოცხლო სივრცე“) შექმნას: ის მიწით მდიდარ,

მაგრამ ზანტ სლავებს მიწას წაართმევდა და მცირემიწიან, მაგრამ შრომისმოყვარე გერმანელებს დაურიგებდა.

ამ უტოპიური მსოფლმხედველობებს თითქმის ყოველთვის თან ახლდა მათ მისაღწევად გამართულ ბრძოლაში წარმატების გარანტია. მაშასადამე, მარქსიზმი დეტერმინისტულ მსოფლმხედველობაზეა დაფუძნებული (იმ თვალსაზრისით, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ნაკარნახევია ისტორიის უდრეკი „კანონებით"). ჰიტლერიც ასევე გამოუსწორებელი დეტერმინისტი იყო. *Mein Kampf*-ში ის წერდა: „ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ აუცილებლობის ფუნდამენტური კანონი ბუნების ყველა სფეროზე ბატონობს".[10] მთელი თავისი კარიერის განმავლობაში, ის ხშირად ლაპარაკობდა „ჩვენი ისტორიული განვითარების რკინის კანონზე", „ისტორიის აღლუმსა" და „მოვლენების შინაგან ლოგიკაზე". ჰიტლერი, ისევე როგორც ლენინი, სტალინი ან მაო, აცხადებდა, რომ მას (და გერმანელ *volk*-ს) მსოფლიოს გარდაქმნის მისია ჰქონდა განსახორციელებელი და რომ წარმატება გარდაუვალი იყო. მან აღნიშნული კონცეფცია თავის ალბათ ყველაზე უფრო ცნობილ განცხადებაში ჩამოაყალიბა: „მე მთვარეულივით იმ გზას ვადგავარ, რომელსაც განგება მკარნახობს".

იდეოლოგია და ჭეშმარიტება. მოცემული რევოლუციური იდეოლოგიის მიერ აღწერილი წარსული, აწმყო და მომავალი, შესაძლოა, დაუინტერესებელ დამკვირვებელს არაბუნებრივად ან სასაცილოდაც კი მოეჩვენოს. მაგალითად, ნაცისტების მიერ ჩამოყალიბებული რასობრივი თეორია ისტორიულ, სოციოლოგიურ, გენეტიკურ და მორალურ საფუძველს აბსოლუტურად მოკლებული იყო. ამავე თვალსაზრისით, ჰიტლერის იდეოლოგიის ეკონომიკური ასპექტი – „სოციალიზმი" ნაციონალ-სოციალიზმში – რეალურ შინაარსს მოკლებული იყო. სოციალიზმის ჰიტლერისეული გაგება იმდენად გაუფასურებული იყო, რომ ერთი ავტორიტეტული მკვლევარის აზრით, „ნებისმიერი, რომელსაც ხალხის ბედი ნამდვილად აღელვებდა, ჰიტლერის თვალში სოციალისტი იყო."[11]

რატომ აღიქვამდა ვინმე ასეთ იდეოლოგიას სერიოზულად? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ის პოპულარულ სტერეოტიპებზე აპელირებდა და მათ რესპექტაბელურობას სძენდა. მეორე, გზავნილზე მეტად გზავნილის მთქმელი ფასობდა ანუ ლიდერის პიროვნულ მომხიბვლელობას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე – სიტყვების აზრს. მესამეც, ერთგულება გაცილებით სერიოზულად აღიქმებოდა, ვიდრე – სიმართლე.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ყველაფერი, რაც წარმატებულმა იდეოლოგიამ ცალკეულ მიმდევარს უნდა მისცეს:

> მას მეცნიერულ ავტორიტეტულობაზე უნდა ჰქონდეს პრეტენზია, რომელიც მორწმუნეს ყოველგვარი ცოდნის ექსკლუზიური გასაღების რწმენას აძლევს; მან უნდა აღუთქვას ათასწლოვანი რაიხი, რომელსაც რჩეულ რასას ან კლასს ამ გასაღების მფლობელი, მათ მიერ არჩეული ლიდერი მოუტანს; მან უნდა დაასახელოს ტირანებისა და დემონების კრებული, რომელზეც უნდა გაიმარჯვოს მანამდე, ვიდრე ბედნიერი სახელმწიფო დამკვიდრდება; ის უნდა შეერწყას (კლასის ან რასის) სიძულვილის, ეჭვის, შიშის დინამიკას და გაამართლოს ეს მდაბალი ვნებები მისი მიზნების სიდიადით; მოწინააღმდეგის დამარცხების მიზნით ყოველგვარი საშუალება და დანაშაული გამართლებულია,

> მტრის ღირსება შეიძლება გადაიქცეს მის ნაკლოვანებად მისთვის მარტივი იარლიყის – „ბურჟუის“ მიკერებით; სახელდობრ, ჭეშმარიტება ის არის, რასაც რჩეული რასისა თუ კლასისთვის სარგებელი მოაქვს, მცდარობა კი ის – რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება; რადგან ეს ჭეშმარიტება მეცნიერულად დამტკიცებადია და რადგან არ არსებობს ორი ადამიანიც კი, რომელიც, სავარაუდოდ, მას დაეთანხმება, ამისათვის საჭიროა, არსებობდეს ერთადერთი ინტერპრეტატორი, რომელიც კანონით იხელმძღვანელებს, თუ იდეოლოგიას სურს სრულიად ქმედითი იყოს; როგორც ყოველგვარი ჭეშმარიტების მატარებელს, ლიდერს უფლება აქვს თავისი მიმდევრებისგან რელიგიურ თაყვანისცემას, მსხვერპლშეწირვასა და დანაშაულის ჩადენას ელოდებოდეს, თუ ისინი მას სარგებლობას მოუტანენ.[12]

საბოლოო ანალიზით, იდეოლოგიები ხშირად თვით ყველაზე აბსურდული განცხადებებითა და ტყუილებით შეიძლება იყოს წარმატებული, თუ ისინი ეხებია ჩვეულებრივი ადამიანის წინაშე მდგომ რეალურ პრობლემებს. ბევრი გერმანელი აცნობიერებდა ნაცისტების რასობრივი თეორიების ექსტრემალურ ხასიათს, თუმცა მათ, ალბათ, სჯეროდათ, რომ ასეთ აბსურდებს ჰიტლერი აღარ გაჰყვებოდა, როგორც კი ქვეყნის გაერთიანების, ეკონომიკის აღმასვლის და ერის დაკარგული დიდების აღდგენის სამუშაო დასრულდებოდა. იმავე თვალსაზრისით, საეჭვოა, რომ ყველაზე თავდადებული ბოლშევიკების გარდა ვინმეს მუშათა სამოთხის მოახლოება დაეჯერებინა, თუმცა რუს ხალხს, სავარაუდოდ, მართლაც სჯეროდა, რომ მიწის რეფორმა მოხდებოდა, რომ დამთავრდებოდა რუსეთის საშინელი შედეგების მქონე ჩარევა პირველ მსოფლიო ომში, რომ ბოლო მოეღებოდა შიმშილს, განვითარდებოდა ჯანდაცვა და განათლება, რასაც ლენინი მათ ჰპირდებოდა.

ორგანიზაცია

იდეოლოგია ყოვლისმომცველ რევოლუციებში მყარი ორგანიზაციის გარეშე ვერ განხორციელდება. მეოცე სუკუნემდელ აჯანყებებს ორგანიზებულობა აკლდათ. ასეთი უეცარი აფეთქებების უმრავლესობა სპონტანურ ხასიათს ატარებდა. მოძრაობა აგორდებოდა, იშვიათად ფართოდაც გავრცელედებოდა, მაგრამ თითქმის ყოველთვის, ბოლოს საკუთარ თავს დისკრედიტირებას უწევდა.

სხვადასხვა რევოლუციის ლიდერები პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლისას ფორმალური ორგანიზების განსხვავებულ მეთოდებზე აკეთებდნენ აქცენტს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ რუსეთში რეალურად 1917 წლის ოქტომბრამდე ვერ მოიპოვა ძალაუფლება, ლენინს პარტია თოთხმეტი წლის წინ ჰქონდა დაარსებული. ლენინმა პარტიაში გულქვა რევოლუციონერები მიიღო. ის ფიქრობდა, რომ რუსეთის მეფის დამარცხება მხოლოდ გრძელვადიანი, იატაკქვეშა ბრძოლით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამგვარად, პატარა, მაგრამ მტკიცედ შეკავშირებული პროფესიონალ რევოლუციონერთა ჯგუფი უფრო მეტად ეფექტიანი იქნებოდა, ვიდრე დიდი, უკონტროლო და უკმაყოფილო ადამიანების უფორმო მასა.

კონსპირაციის, დისციპლინისა და ცენტრალიზებული კონტროლის უზრუნველსაყოფად, ლენინმა ბოლშევიკური პარტია პატარა ***უჯრედებად*** დაჰყო, რომლებსაც

შემდგომში ეწოდათ *ძირითადი პარტიული ორგანიზაციები.* თითოეულ უჯრედს საკუთარი ლიდერი ჰყავდა, მეტსახელად მდივანი, რომელიც მითითებებსა და ინსტრუქციებს ზემოდან იღებდა. საბოლოოდ, სტრატეგიის, ტაქტიკისა და „პარტიული ხაზის" შესახებ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას თავად ლენინი იღებდა (თუმცაღა, ის ამტკიცებდა, რომ პარტიის ***ცენტრალური კომიტეტის*** სახელით ლაპარაკობდა). სანკტ-პეტერბურგში არსებული შტაბის გარდა, სხვა ქალაქებში წარმომადგენლობებისა და მომხრეების რიცხვის ზრდის კვალდაკვალ, სახელისუფლო სტრუქტურების შექმნის აუცილებლობა წარმოიშვა, მაგრამ მკაცრი პარტიული დისციპლინისა და ზემდგომების მიმართ ქვემდგომების სრული მორჩილების პრინციპები არ შეცვლილა.

მას შემდეგ, რაც საკუთარი ფრაქცია ჩამოაყალიბა, ლენინმა საბოლოოდ ფორმალურად აკრძალა ფრაქციების შექმნა. ნებისმიერ ბოლშევიკს, ვინც პარტიულ ხაზს შეეწინააღმდეგებოდა, ფრაქციონერის იარლიყის მიწებება ემუქრებოდა. 1917 წლის ოქტომბერში რეალური ძალაუფლების ხელში აღებამდე, ურჩობისათვის სასჯელი ხშირად პარტიის რიგებიდან გარიცხვა იყო. 1917 წლის შემდეგ რევოლუციური სამართალი ხშირად ნაკლებად შემწყნარებელი იყო. ფრაქციებად დაყოფას არავის პატიობდნენ. პარტიის წევრებს მოეთხოვებოდათ, პარტიული ინტერესები ყოველთვის პირად ინტერესებზე მაღლა დაეყენებინათ. თავგანწირვასა და პარტიის სრულ ერთგულებას სპეციალური სახელი ჰქონდა მინიჭებული – ***პარტიულობა***, ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რათა უხილავი თვისებების ერთობლიობა აღენიშნა (როგორიცაა, ერთგულება, თვითდისციპლინა და რევოლუციური სულისკვეთება), რომლის გამოვლენაც პარტიის ყველა წევრს ევალებოდა.

ლენინთან შედარებით, მაოს რევოლუციას წარმატების მისაღწევად ოც წელზე მეტი დასჭირდა და მასში გაცილებით მეტი ადამიანი მონაწილეობდა. რუსეთისაგან განსხვავებით, ჩინეთის რევოლუცია, ძირითადად, სოფლებიდან დაწყებული უკმაყოფილო გლეხების მასობრივი მოძრაობა იყო. ამ ვითარებაში მაოსთვის ყველაზე უფრო დიდ ორგანიზაციულ პრობლემას გლეხების ეფექტიან სამხედრო ძალად გადაქცევა წარმოადგენდა, რომელსაც ხანგრძლივი პარტიზანული ომის წარმოების უნარი ექნებოდა. გლეხთა ამორფული მასის ეფექტიან საბრძოლო ძალად გადაქცევაში მიღწეული წარმატება დამაჯერებელ არგუმენტს წარმოადგენდა იმისა, რომ ორგანიზებული ღარიბები და ჩაგრულები, ერთი შეხედვით გადაულახავ წინააღმდეგობებს დაძლევდნენ. ამიტომაც, მაოს გლეხობაზე დაფუძნებული რევოლუციის თეორია და პრაქტიკა ბევრმა რადიკალმა (განსაკუთრებით განვითარებად სახელმწიფოებში) რევოლუციური ორგანიზების მაგალითად მიიჩნია.

პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად მაოს ხანგრძლივი, კოორდინირებული ბრძოლისაგან განსხვავებით, ჰიტლერის მცდელობა, გერმანიაში ძალაუფლება მოეპოვებინა, არასტაბილურ გზას წარმოადგენდა. იგი 1920-იან წლებში ჩახშობილი ძალადობრივი სახელმწიფო გადატრიალებიდან დაიწყო და 1930-იან წლებში ქვეყნის კონსტიტუციური სისტემის წარმატებული მანიპულაციით დასრულდა. ჰიტლერის საბოლოო წარმატებისათვის გადამწყვეტი იყო მორჩილი ორგანიზაცია ნაცისტური პარტიის სახით.

ხელისუფლებაში აღზევების დროს ჰიტლერმა ოპოზიციის დასაშინებლად უხეში ძალა ფართოდ გამოიყენა, მაგრამ ამავდროულად მან პარტიის მიერ კონტროლირებადი უამრავი კლუბი და ასოციაცია შექმნა. ჰიტლერულმა ახალგაზრდობამ, ნაცისტი

ქალების ლიგამ, ნაცისტი მუშების ორგანიზაციამ, ნაცისტი სტუდენტების ლიგამ და კიდევ არაერთმა აკადემიურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ნაცისტებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლება შესძინა მანამდე, ვიდრე თავად ჰიტლერი აიღებდა ხელში მართვის სადავეებს (იხ. ცხრილი 9-3). მოგვიანებით, *Gleichschaltung*-ის (უნიფიკაცია) პოლიტიკის მეშვეობით, მან თითქმის ყველა მანამდე არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია გაანადგურა და ისინი ნაცისტური ასოციაციებით ჩაანაცვლა. ნაწილობრივ ამის გამო, ჰიტლერის დაპირებას და მუქარას მთელ გერმანულ საზოგადოებაში დიდი წონა ჰქონდა. ყველა თანამედროვე რევოლუციონერის მსგავსად, ჰიტლერს კარგად ჩამოყალიბებული რევოლუციური ორგანიზაციის ფასი ესმოდა.

პროპაგანდა

რამდენადაც თანამედროვე პოლიტიკა სულ უფრო მეტი ადამიანის ცხოვრებას ეხება, ***პროპაგანდა*** – იდეებისა და ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, რომელიც საგანგებოდ ისეა აგებული, რომ კონკრეტული პოლიტიკური მიზნების განხორციელებას შეუწყოს ხელი – მძლავრი პოლიტიკური იარაღი გახდა. წარმატების მისაღწევად, როგორც ჰიტლერმა შენიშნა, პროპაგანდა მხოლოდ მასებისკენ უნდა იყოს მიმართული. შესაბამისად, „მისი მოქმედების ძირითადი სამიზნე ემოციები უნდა იყოს და ნაკლები ხარისხით ე.წ. ინტელექტი“.[13]



პროპაგანდის უსაზღვროდ ფართო კამპანიისა და ნაცისტური იდეოლოგიის შთაგონების კომბინაციით ადოლფ ჰიტლერმა (1889-1945) შეძლო გერმანელი ხალხი ებრაელთა დევნის, საბოლოო ომისა და გერმანული საზოგადოების რადიკალური გარდაქმნის აუცილებლობაში დაერწმუნებინა.

პროპაგანდის მეცნიერების ერთგულმა მიმდევარმა ჰიტლერმა რამდენიმე თეორემა ჩამოაყალიბა, რომელიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. პირველად უნდა აღინიშნოს მისი ნათქვამი, რომ „ყველა პროპაგანდა სახალხო უნდა იყოს და მისი ინტელექტუალური დონე აუდიტორიის ყველაზე შეზღუდულ ნაწილზე უნდა იყოს მისადაგებული“. აქედან გამომდინარე, „რაც უფრო დიდია ხალხის მასა, რომელიც მან უნდა მოიცვას, მით უფრო დაბალი უნდა იყოს მისი ინტელექტუალური დონე... ეფექტიანი პროპაგანდა შეზღუდული უნდა იყოს მცირე ოდენობის მოსაზრებებით და ლოზუნგე-ბის მეშვეობით ისინი უნდა ისმოდეს მანამდე, ვიდრე საზოგადოების უკანასკნელი წევრი არ გაიგებს იმას, რაც შენ გინდა, რომ მან გაიგოს“. ზემოთქმუ-

ლის გათვალისწინებით, „ყველა პროპაგანდისტული საქმიანობის უპირველესი აქსიომაა, რომ მას ძირითადად სუბიექტური და ცალმხრივი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ყველა საკითხის მიმართ, რომელსაც ის ეხება.“[14] ამას გარდა, რაც უფრო დიდია ტყუილი, მით უკეთესი.

ჰიტლერი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი პროპაგანდისტული კამპანიის წარმატება დამოკიდებულია პროპაგანდისტის მიერ სახალხო მასების „პრიმიტიული გრძნობების“ გაგებაზე. პროპაგანდას ვერ ექნება რამდენიმე შრე: კონცეფციები და ფაქტები საზოგადოებას უნდა წარედგინოს, როგორც მართალი ან ტყუილი, სწორი ან არასწორი, შავი ან თეთრი. ჰიტლერი *Mein Kampf*-ში მაღალ შეფასებას აძლევდა პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანული პროპაგანდის მცდელობებს და ზიზღს გამოხატავდა გერმანული პროპაგანდის მიმართ, რომელმაც მსოფლიო მკვეთრად, შავ და თეთრ ფერებში ვერ დახატა.

ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდი ხნით ადრე, ლენინმა განავითარა და დახვეწა მასობრივი პროპაგანდის მისეული ტექნიკა. ლენინმა დაიწყო პროპაგანდისა და აგიტაციის ერთმანეთისაგან განსხვავება. ამ ორს შორის განსხვავების მისეული ახსნა ჰიტლერის თეორემის ფონზე უნდა განვიხილოთ:

> როდესაც უმუშევრობას განიხილავს, პროპაგანდისტმა კრიზისის კაპიტალისტურ ბუნებაზე უნდა ილაპარაკოს; მან უნდა აჩვენოს თანამედრო-ვე საზოგადოებაში მისი გარდაუვალობის მიზეზი; მან უნდა დაანახოს სოციალისტურ ბაზაზე საზოგადოების ხელახლა შენების საჭიროება და ა.შ. ერთი სიტყვით, მან ბევრი იდეა ერთბაშად, კონცენტრირებულად უნდა გადასცეს, იმდენად ბევრი, რომ საშუალო ადამიანმა ყველა მათგანი ვერ გაიგოს და მთლიანობაში მხოლოდ მცირე ნაწილმა აღიქვას ისინი.
>
> აგიტატორი, მეორე მხრივ, აიღებს პრობლემის ერთ ნაცნობ და კონკრეტულ ასპექტს. ვთქვათ, შიმშილის შედეგად უმუშევარი მუშის სიკვდილს. მისი მცდელობა ამ ფაქტზე იქნება კონცენტრირებული, რათა მასებს ერთი იდეა ჩაუჭედოს – სიმდიდრის ზრდისა და სიღარიბის ზრდის უაზრო დაპირისპირების იდეა. ის შეეცდება მასებს შორის ამ დიდი უსამართლობის წინააღმდეგ უკმაყოფილება და ჯანყი გააღვივოს და ამ დაპირისპირების სრულ განმარტებას ის პროპაგანდისტს დაუთმობს.[15]

ჰიტლერისგან განსხვავებით, რომელიც ძალზე ეფექტიანი ორატორი გახლდათ, ლენინი პამფლეტების დიდოსტატი და პოლემისტი იყო, რომელიც დიდწილად დაწერილ სიტყვას ეყრდნობოდა. თავისი მოძრაობის დასაწყისში ლენინის მთავარი იარაღი მიწისქვეშა გაზეთი იყო. კონტრაბანდული გაზეთები, როგორებიც იყო *ისკრა* („ნაპერწკალი“), *ვპერიოდ* („წინ“) და *პროლეტარი* („პროლეტარები“), ხშირად ქვეყნის შორეულ კუთხეებში ან უცხო ქვეყანაშიც კი იბეჭდებოდა, ხოლო შემდეგ მათი შემოტანა არალეგალურად ხდებოდა სანკტ-პეტერბურგში ორმაგი ძირის მქონე ჩანთის საიდუმლო განყოფილებით ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

ძალადობა

ტოტალიტარული რევოლუციის ბოლო, მეხუთე მახასიათებელია ძალადობის გამოყენება და ტერორი, როგორც პოლიტიკის მიღებული ინსტრუმენტი. რევო-

ლუციონერებისათვის ძალადობა განსაკუთრებით სასარგებლოა პროპაგანდის ეფექტის გაძლიერების თვალსაზრისით. თანამედროვე ტოტალიტარული ტირანიების ერთ-ერთმა მკვლევარმა დაასკვნა, რომ „ტერორი პროპაგანდის გარეშე დაკარგავს მისი ფსიქოლოგიური ეფექტის დიდ ნაწილს, მაშინ როდესაც პროპაგანდას ტერორის გარეშე ძლიერი დარტყმის უნარი ეკარგება.“[16] ნაცისტი თეორეტიკოსის ეუგენ ჰადამოვსკის თქმით, „პროპაგანდა და ძალადობა არასოდეს ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ძალადობის გამოყენება შეიძლება პროპაგანდის ნაწილი იყოს.“[17]

ტერორიზმთან ასოცირებული ძალადობა გულისხმობს ქმედებებს, დაწყებული შერჩევითი მკვლელობებითა და გატაცებებით, დამთავრებული განურჩეველი დაბომბვებითა და საბოტაჟით, რომელთა შედეგია უდანაშაულო გამვლელების სიკვდილი და დაშავება. საბოტაჟის დანიშნულებაა წარმოების, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო სისტემების და, შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილურობის დარღვევა. ტერორის მიზანი კი პირადი უსაფრთხოების ფსიქოლოგიურ შეგრძნებაზე შეტევაა, რომლის არსებობა სოციალური სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენს.

პროპაგანდის მხარდასაჭერად ტერორის გამოყენებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მემარჯვენეებისა და მემარცხენეების მასობრივ მოძრაობებში. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იტალიის ფაშისტური პარტიის ლიდერის ბენიტო მუსოლინის მიერ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული *fasci di combattimento* („მებრძოლი ჯგუფები“). მას შემდეგ, რაც სოციალისტური პარტიიდან მუშათა კლასის ჩამოცილების მცდელობამ არ გაამართლა, მუსოლინიმ დაიწყო საშუალო ფენაზე აქცენტის გაკეთება და მდიდარი მეწარმეებისა და მსხვილი მიწათმფლობელებისაგან ფულის მოძიება. ის დარწმუნებული იყო, რომ იტალიის მთავრობაზე კონტროლის მოპოვებას კანონიერი გზით ვერ შეძლებდა და 1920-იანი წლების დასაწყისში სულ უფრო ხშირად დაიწყო ტერორის გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. მისმა მომხრეებმა პოლიტიკური კონკურენციის ნორმალური, არაძალადობრივი საშუალებები მკვლელობებით და ხანძრის გაჩენით ჩაანაცვლეს. ფაშისტების მიერ გამოგონებული ტერორის ერთ-ერთი ახალი ფორმა იყო *სადამსჯელო ოპერაციები*, რომლის დროსაც შეიარაღებული ბანდები დაუცველი და მოუმზადებელი თემების წინააღმდეგ თავდასხმებს ახორციელებდნენ. ადგილობრივი პოლიცია ხშირად მათთან თანამშრომლობდა, რაც უმოქმედობაში გამოიხატებოდა.

იტალიელი ფაშისტების მიერ ფართოდ გამოყენებული სადამსჯელო ოპერაციები განასახიერებდა ტერორს, როგორც ტოტალური რევოლუციის სტრატეგიასა და ტაქტიკას. თუ ჭკვიანურად იქნა გამოყენებული, ტერორიზმი სრული დაუცველობის შეგრძნებას ქმნის. ტერორისტები სამ მიზანს ისახავენ: (1) ხელოვნური კრიზისის ატმოსფეროს შექმნას; (2) იმის ჩვენებას, რომ სახელმწიფოს კანონმორჩილი, გადასახადის გადამხდელი მოქალაქეების ახლობლებისა და ქონების თავდასხმისაგან დაცვა აღარ შეუძლია; და (3) უბიძგებს შეშინებულ, სასოწარკვეთილ და არაორგანიზებულ მოქალაქეებს, საშველად სწორედ იმ პოლიტიკურ მოძრაობას მიმართონ, რომელმაც ღრმა სოციალური დეგენერაცია გამოიწვია და რომლის შესახებ უმრავლესობამ არაფერი უწყის.

ჰანა არენდტი გვაძლევს ნაცისტების მიერ ანალოგიური მიზნით განხორციელებული ტერორის განსაკუთრებით ნათელ განმარტებას:

ნაცისტები თავს არ ესხმოდნენ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორც ეს პოლიტიკური დანაშაულის ადრინდელი ტალღის დროს ხდებოდა გერმანიაში (რათენაუსა და ერცბერგერის მკვლელობები). ამის ნაცვლად, წვრილმანი სოციალისტი ფუნქციონერების ან ოპოზიციური პარტიების გავლენიანი წევრების მოკვლით, ისინი შეეცადნენ მოსახლეობისათვის დაემტკიცებინათ, რომ საფრთხეს [საზოგადოების] უბრალო წევრობაც კი წარმოადგენდა. ამგვარი მასობრივი ტერორი, რომელიც შემდგომ შედარებით მცირე მასშტაბით განაგრძობდა მოქმედებას, მუდმივად იზრდებოდა, რადგან არც პოლიცია და არც სასამართლოები პოლიტიკურ მოძალადეებს სერიოზულად არ ასამართლებდნენ. ერთმა ნაცისტმა პუბლიცისტმა მას მოსწრებულად „ძალის პროპაგანდა“ უწოდა: მოსახლეობისათვის მეტწილად ნათელი იყო, რომ ნაცისტების ძალაუფლება უფრო დიდი იყო, ვიდრე ხელისუფლებისა და რომ უფრო უსაფრთხო იყო ნაცისტური ნახევრადგასამხედროებული ორგანიზაციის წევრობა, ვიდრე – ერთგული რესპუბლიკელობა. ეს შთაბეჭდილება გააძლიერა ნაცისტების მიერ პოლიტიკური დანაშაულის სპეციფიკურმა გამოყენებამ. ისინი მას ყოველთვის საჯაროდ აღიარებდნენ, არასოდეს იხდიდნენ ბოდიშს „ქვედა დონის მოხელეების მიერ ძალის გადაჭარბების გამო“ – ამგვარ ბოდიშს მხოლოდ ნაცისტების მომხრეები მიმართავდნენ ხოლმე – და მოსახლეობას უჩენდნენ განცდას, რომ ისინი განსხვავდებიან სხვა პარტიების „მოლაყბეებისგან“.

მსგავსება ამგვარ ტერორსა და უბრალო განგსტერიზმს შორის ძალზე აშკარაა, რომ მასზე სპეციალურად მივუთითოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაცისტები განგსტერები იყვნენ, როგორც ეს ზოგჯერ მიუჩნევიათ, არამედ იმას, რომ ნაცისტებმა, ამის აღიარების გარეშე, ისწავლეს იმდენი, რამდენიც შეეძლოთ ამერიკული განგსტერული ორგანიზაციებიდან ესწავლათ ისევე, როგორც მათმა პროპაგანდამ ისწავლა ბევრი რამ ამერიკული ბიზნესის მიერ გამოყენებული რეკლამიდან“.[18]

ძალაუფლების კონსოლიდაცია

ძველი წესრიგის დანგრევის ანუ მისი ფატალური დისკრედიტაციის შემდეგ, ტოტალიტარული რეჟიმის ხელმძღვანელობას კონტროლის განხორციელება უკვე მტკიცე სახელისუფლებო საყრდენიდან შეუძლია. მის წინაშე მდგომი შემდეგი ამოცანაა, გაანადგუროს ნებისმიერი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტია თუ ფრაქცია. შემდეგ, პარტიის მაღალი თანამდებობის პირები უნდა განაწილდნენ ქვეყნის ყველა რეგიონში და დაეკისროთ სამთავრობო ფუნქციები, განსაკუთრებით კი იმ პროვინციებში, რომლებიც რევოლუციის ადრეულ საფეხურზე მის სულისკვეთებას არ იზიარებდნენ. კონსოლიდაციის პროცესის საბოლოო ნაბიჯია პარტიის შიგნით ყველა ისეთი პირის განადგურება, რომელიც რეალურად ან პოტენციურად ტოტალიტარი ლიდერისთვის საფრთხის მატარებლია.

ყველა ამ სტადიაზე, ტოტალიტარი ლიდერი ისევე, როგორც ნებისმიერი ავტორიტარული მმართველი, ძირითადად ძალაუფლების მოპოვებითა და შენარჩუნებით არის დაინტერესებული. ლიდერის განკარგულებაში იგივე მეთოდები და საშუალებები ფიგურირებს, რაც მოძრაობის რევოლუციურ საფეხურზე გამოიყენებოდა. იდეოლოგია და პროპაგანდა ლიდერის მოქმედებების გასამართლებლად

და პოპულარიზებისთვის გამოიყენება, ძალადობა – ოპონენტების შესაშინებლად და გასაჩუმებლად. პარტიული ორგანიზაცია ლიდერს პოპულარობისა (ერთგულ მიმდევართა ჯგუფი) და ძალაუფლების (პარტიის ერთგული ხდება ყოვლის შემძლე სახელმწიფოს თვალი და ყური) თვალსაჩინო მტკიცებულებას სძენს.

ამ ეტაპზე მომავალი ტოტალიტარი ლიდერების მთავარ საშუალებას მათივე უნარები წარმოადგენს. ბევრი სწორი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, თუ მათ წარმატების მიღწევა სურთ. მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, რა სურთ და არ შეიზღუდონ მის განხორციელებაში. მათი მეგზური უნდა იყოს ფრთხილი გათვლა და არა სინდისი. ამ თვალსაზრისით, მაკიაველის რჩევა დასაფასებელია: „ადამიანმა მეორე ადამიანს, ვისი მოკვლაც მას სურს, არ უნდა უთხრას, „მომეცი შენი იარაღი, რომლითაც მოგკლავ“, არამედ „მომეცი შენი იარაღი“, და როცა უკვე იარაღს ხელში ჩაიგდებს, სურვილიც მაშინ უნდა აისრულოს“.[19] ასეთი რჩევის შესაფერისობა მაშინვე გახდება ნათელი, როგორც კი ჩვენ იმ მეთოდებს განვიხილავთ, რომლებსაც მომავალი ტოტალიტარი ლიდერები ძალაუფლების კონსოლოდაციისთვის იყენებდნენ.

ოპოზიციური პარტიების განადგურება

პოლიტიკური კონსოლიდაციის პირველი საფეხურია მოწინააღმდეგე პარტიებისა და დამოუკიდებელი ფრაქციების განადგურება. ორი მიზეზის გამო, მმართველი პარტია ერთადერთი ლეგიტიმური ორგანიზაცია უნდა იყოს სახელმწიფოში. პირველი, არსებობს ტრადიციული შიში, რომელიც ყველა ერთპიროვნულ მმართველს აწუხებს: ნებისმიერი ოპოზიციური ჯგუფი, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად პატარა ან ქმედუუნარო მოჩანს იგი, მმართველისთვის პოტენციურად საფრთხის მატარებელია. მეორე, პოლიტიკურ ოპონენტთა უბრალო არსებობაც კი ზღუდავს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც მოძრაობის იდეოლოგიის მიერაა სანქცირებული. ამიტომ, პოლიტიკური ოპოზიცია ყველა შესაძლო საშუალებით უნდა იქნეს ამოძირკვული.

ლენინმა მეტოქე პარტიების პრობლემა ძველი ტაქტიკის – *გათიშე და იბატონეს* ბრწყინვალე გამოყენებით გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე პარტია (სოციალისტი რევოლუციონერები) მის პარტიაზე (ბოლშევიკებზე) უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდა (ერთ-ერთი დამკვირვებელი ლენინის ტაქტიკას მოიხსენიებს, როგორც ***სალიამის ტაქტიკას*** [20], რადგან ის ფლობდა განსაკუთრებულ უნარს, პატარა, მაგრამ პოტენციურად საშიში ჯგუფები ნაწილ-ნაწილ დაეყო და ისე გაენადგურებინა). მას შემდეგ, რაც ახალი რევოლუციური საკანონმდებლო ორგანო – ასამბლეა იქნა არჩეული, ლენინმა დომინანტ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში უკვე არსებული განხეთქილება იმით გაზარდა, რომ მის მარცხენა ფრთასთან ალიანსი შექმნა. ამ ალიანსმა ლენინს საშუალება მისცა, ერთი მხრივ, პარტიის შედარებით ზომიერი ფრთისა და ასევე სხვა მემარჯვენე პარტიების წინააღმდეგ იერიშზე გადასულიყო, მეორე მხრივ კი, საკმარისი სამართლებრივი მხარდაჭერა შეექმნა, რათა შემდეგ ერთბაშად დაეხურა ასამბლეა. როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალისტ-რევოლუციონერების მარცხენა ფრთასთან ალიანსი მაშინვე გაწყდა, როგორც კი ის ლენინის ინტერესებს აღარ შეესაბამებოდა.

ლენინის სტრატეგია ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დაშლით არ შემოიფარგლებოდა. მეორე სამიზნეს საბჭოთა კავშირის გლეხობის მრავალრიცხოვანი ფენა წარმოადგენდა, რომელშიც ბოლშევიკთა ლიდერს თავდაპირველად ცოტა მხარდამჭერი ჰყავდა. გლეხთა მხარდაჭერის ნაკლებობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემა სამოქალაქო ომის დროს (1918-20 წწ.) გახდა, როდესაც საკვებისა და სხვა ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი საშუალებების განსაკუთრებული სიმწირე იყო. ამის საპასუხოდ, ლენინმა „სოფლებში სამოქალაქო ომის დროს ღარიბი გლეხების უფრო მეტად ღარიბებზე გადამტერების გზით კიდევ ერთი სამოქალაქო ომი გააჩაღა“[21], რითაც ძირი გამოუთხარა პოლიტიკურ ოპოზიციას.

ლენინის *სალიამის ტაქტიკა* წარმოადგენდა მხოლოდ ერთ-ერთ მეთოდს, რომლის მეშვეობით ტოტალიტარულმა მოძრაობამ ოპონენტები და მოწინააღმდეგე პარტიები გაანადგურა. მისგან განსხვავებით, მაო ძედუნს, გარემოებათა გამო, თავის მთავარ მეტოქესთან – ***გომინდანთან*** ანუ ჩან კაი-შის მთავრობასთან – ხანგრძლივ პარტიზანულ ომში ჩაბმა მოუხდა. ჰიტლერმა კი სრულიად სხვა სტრატეგია აირჩია. არჩევნებში ნაცისტური პარტიის მზარდი წარმატებების, მომხრეთა დიდი ოდენობის, პირველხარისხოვანი ორატორული უნარებისა და თავზარდამცემი სპეცრაზმების მეშვეობით გაძლიერების ფონზე, მან ლოდინი არჩია. 1933 წლისთვის ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების შიშისა და პოლიტიკური შეზღუდვების მოხერხებული გამოყენებით ჰიტლერმა გერმანიის კანცლერად გახდომა მოახერხა. როგორც კი თანამდებობა დაიკავა, მან თანდათანობით გაზარდა თავისი ძალაუფლება: პირველად, საგანგებო ვითარებაში განსაკუთრებული უფლებების მინიჭებით, შემდეგ სამოქალაქო თავისუფლებების აღკვეთით, დაბოლოს, გერმანიაში რეალური დემოკრატიის აღმოფხვრით.

მხოლოდ ამის შემდეგ, ძლიერის პოზიციიდან დაიწყო მან ოპოზიციური პარტიების დახურვა. მაოსგან განსხვავებით, რომელიც ოპოზიციური ძალებს სამხედრო ძალით ებრძოდა, ჰიტლერმა გაიძვერობისა და კანონების მანიპულირების მეშვეობით მისი მოწინააღმდეგეები პოლიტიკურად გაანადგურა, ხოლო შემდეგ კი სახელმწიფოს ძალა მათი ფიზიკური განადგურების დასაწყებად გამოიყენა.

პარტიის რეალური ან წარმოსახვითი მეფოძეებისგან გაწმენდა

წმენდა აბსოლუტური ძალაუფლების გზაზე ბოლო ნაბიჯია. პოლიტიკური წმენდის გატარებისას ტოტალიტარული მთავრობები თითქმის ერთნაირ ბრალს დებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს: სახელმწიფოსა და მმართველი მოძრაობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა. მართებულია თუ არა ბრალდება, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს: ისინი უბრალოდ „ოფიციალური“ მიზეზია ტოტალიტარულ მმართველისათვის, რათა გაანადგუროს ის პიროვნებები, რომლებიც საფრთხედ ან მინიმუმ პოლიტიკურ ბალასტად აღიქმებიან. ამგვარი „ოპოზიციონერების“ კარიერული დაქვეითება ან უცაბედი სიკვდილი სხვაგვარად მოაზროვნეებს უჩვენებს, რომ უზენაესი ლიდერის წინააღმდეგ წასვლა ძალიან ძვირი ჯდება.

ერთი ავტორის დაკვირვება, რომ მაო ძედუნი „არასოდეს ყოყმანობდა, მისი მტრები, [მათ შორის] მეტოქე კომუნისტები, გომინდანის აქტივისტები და მიწათმფლობელები გაენადგურებინა,“[22] შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ სხვა

ტოტალიტარი მმართველების დასახასიათებლად. თუმცა, ამგვარი წმენდების მასშტაბი და სისასტიკე სხვადასხვა მმართველის შემთხვევაში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ჰიტლერი, მაგალითად, პარტიაში მოწინააღმდეგეებს თითქმის ქირურგიული სიზუსტით ჩატარებული ოპერაციების შედეგად იშორებდა. 1934 წლისთვის ჰიტლერს აღელვებდა რამდენიმე მისი მომხრის განწყობა და ქმედებები, განსაკუთრებით ერნსტ რომის. როგორც *SA*-ს (*Sturmabteilung* ანუ „მოიერიშე ძალების“) ხელმძღვანელი და კუნთმაგარი ადამიანების ჯგუფის უფროსი, რომლის მთავარ მიზანს ჰიტლერის ხელისუფლებაში აღზევებისას პოლიტიკური ოპონენტების დაშინება წარმოადგენდა, რომი აგრძელებდა ძალადობრივი ქმედებების გატარებას მაშინაც კი, როდესაც მთავრობაზე ფიურერის სრული „ლეგალური“ კონტროლის დაწესება თითქმის დასრულებული იყო. ამას გარდა, ჰიტლერს სურდა *SA*-ს შეცვლა *SS*-ის (*Schutzstaffel* ანუ „უშიშროების ეშელონი“) უფრო დისციპლინირებული და სანდო ლეგიონებით. ყველა მცდელობა, რომ რომი და მისი მხარდამჭერები გეგმას მიჰყოლოდნენ, ჩაფლავდა. ასე რომ, ჰიტლერი რომსა და პარტიის სხვა წევრებს დაუპირისპირდა, რომლებმაც ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის საქმეში საკვანძო როლი შეასრულეს. ფიურერის ბრძანებით, რომის ფრაქცია 1934 განადგურდა. ჰიტლერმა მთელი ინციდენტი თავის პოლიტიკურ მტრებს გადააბრალა და რომის მკვლელობის ფაქტიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა, გერმანიაში მხარდაჭერა გაიმყარა და სახელმწიფოს წინაშე მდგარ (მისი მტკიცებით) უზარმაზარ საფრთხეებზე მოახდინა კონცენტრირება.

ლენინის მიერ განხორციელებული წმენდები უფრო მასშტაბური იყო. 1921 წელს ყველა კონკურენტი პარტიის განადგურების შემდეგ, მან ყურადღება იმ ხალხზე გადაიტანა, რომლებიც თავად მოძრაობის შიგნით მის ლიდერობას ეჭვქვეშ აყენებდნენ. პროფკავშირების ათასობით წევრი და მრავალი მეზღვაური, რომელიც ადრე ბოლშევიკების მხარდამჭერთა ხერხემალს შეადგენდა, საიდუმლო პოლიციამ მოკლა, რადგან მათ თავისუფალი პროფკავშირები და არჩევნები მოითხოვეს. ამის შემდეგ, ლენინი ბოლშევიკურ პარტიაში ე.წ. მუშათა ოპოზიციურ ფრაქციას გაუსწორდა, რომელიც მოითხოვდა, რომ პარტიას პოლიტიკა შეეცვალა და მუშებისთვის თავიანთი საწარმოების კონტროლის უფლება მიეცა. ლენინმა ჯგუფს ბრალი დასდო „ფრაქციონალიზმში“ და პარტიისა და რევოლუციის საფრთხეში ჩაგდებაში დაადანაშაულა. მუშათა ოპოზიციური ჯგუფის წევრები გარიცხულ იქნენ პარტიიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ისინი არ დაუხოცავთ.

ამგვარი, შედარებით რბილი აქციები ლენინის მემკვიდრეს, იოსებ სტალინს არ ახასიათებდა, რომელიც, როგორც საბჭოთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი (1924-53 წწ.) პოლიტიკური მტრების ლიკვიდაციაზე არ ყოყმანობდა. პოლიტიკურ მტრებზე სტალინის საბოლოო გამარჯვება ორ ფაქტორზე იყო დამოკიდებული. პირველი, მან ოსტატურად აითვისა ლენინის სალიამის ტაქტიკა, რომელსაც ლენინი მისი მოწინააღმდეგე პარტიების გასაჩუმებლად იყენებდა, სტალინი კი შიდაპარტიული მეტოქეების წინააღმდეგ. მეორე, სტალინმა შიდაპოლიტიკური ბრძოლების გამორჩეული ტალანტი გამოამჟღავნა. იგი ლენინის ვიწრო წრეში ყველაზე უფრო აქტიური, მიზანდასახული და რკინისებური ნებისყოფის მქონე აღმოჩნდა. ეს ფაქტორი 1924 წელს ლენინის სიკვდილის შემდეგ ატეხილ მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა.

მინიმალური საზოგადოების შექმნა

ტოტალიტარული მმართველობა საზოგადოების უზარმაზარ ორგანიზაციულ კონტროლს მოითხოვს, რადგან ის საზოგადოების სრულ გარდაქმნას ცდილობს. შესაბამისად, მან კონტროლი უნდა მოიპოვოს ეკონომიკაზე, ხელოვნებაზე, ჯარზე, სკოლაზე, მთავრობაზე, მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე. კონტროლის მიღმა არაფრის დატოვება და ამ კონტროლის შესანარჩუნებლად არც ერთი მეთოდის გამორიცხვა არ შეიძლება. როგორც ნაცისტური პროპაგანდის შეფმა იოზეფ გებელსმა შენიშნა, „ჩვენ მიერ მოხდენილი რევოლუცია ტოტალური რევოლუციაა...“[23] საზოგადოების არც ერთმა ასპექტმა – არც პოლიტიკურმა პარტიებმა, არც რელიგიამ, არც ხელოვნებამ, არც განათლებამ ან აკადემიურმა თავისუფლებამ – არ შეიძლება ხელი შეუშალოს ახალი საზოგადოების შექმნას. ამგვარ ვითარებაში ტოტალიტარი ლიდერის ნება უზენაესია. კიდევ ერთი ნაცისტი მაღალი თანამდებობის პირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა უნივერსიტეტის პროფესორთა ტვინები რომ სასწორის ერთ პინაზე დავდოთ, ხოლო მეორეზე – ფიურერისა, რომელი გადაწონის თქვენი აზრით?“[24]

ტოტალური კონტროლის პროგრამის განსახორციელებლად ყველა ქალაქსა და რეგიონში მთავრობისა და საზოგადოების ყველა ელემენტი ერთგულ მომხრეებს უნდა ჩაბარდეს. ეს პროცესი დოკუმენტურად განსაკუთრებით კარგად იყო აღწერილი ჰიტლერის გერმანიაში.[25] ხელისუფლებას ჩამოაშორეს მომცრო ქალაქების თანამდებობის პირებიც, რომლებიც მანამდე საჯაროდ მხარს არ უჭერდნენ ნაცისტებს, . ამავდროულად, „ხალხის უამრავი მტერი“ იქნა „აღმოჩენილი“ და გესტაპოს (საიდუმლო პოლიცია) მიერ დაუყოვნებლივ სასტიკად დასჯილი. სასჯელის სიმკაცრეს, გესტაპოს ყოვლისშემძლეობას და ნაცისტების მიმართ გამოვლენილ მხარდაჭერას განსაკუთრებულ რეკლამას უწევდნენ და მედიით და ხალხში ხმების გავრცელებით აზვიადებდნენ. მოქალაქეები დარწმუნებულები იყვნენ თავიანთ სასტიკ ხვედრში, თუკი ნაცისტებს შეეწინააღმდეგებოდნენ. ამდენად, დაშინება და იძულება ნაცისტების წარმატებას დიდწილად უწყობდა ხელს.

ტერორის ამ ტაქტიკის ეფექტურობა გვეხმარება გავიგოთ, რატომ გაუწიეს მცირე წინააღმდეგობა ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლას, მაგრამ ეს სრულ სურათს მაინც არ გვაძლევს.

ნაცისტებმა ძალაუფლების მოპოვება დაშინების გზით შეძლეს, მაგრამ მათ წარმატებაში თავისი როლი მორალურმა აპათიამ და ეგოისტურმა ინტერესებმაც შეასრულა. ეს აზრი, ალბათ, ყველაზე კარგად წარმოაჩინა გერმანელი ლტოლვილის მიერ მოთხრობილმა ნამდვილმა ამბავმა, რომელიც პრესტიჟულ ფრანკფურტის უნივერსიტეტში ასწავლიდა. ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის დროს უნივერსიტეტს სამაგალითო (და ლიბერალური) აკადემიური დაწესებულების რეპუტაცია ჰქონდა, სადაც პროფესურა მეცნიერების, სინდისის თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთგული იყო.[26] გავრცელებული აზრის თანახმად, თუ ნაცისტები შეძლებდნენ ფრანკფურტის უნივერსიტეტზე სერიოზული ინციდენტების გარეშე კონტროლის დამყარებას, მაშინ ისინი დაშინების მეთოდით სხვა გერმანული უნივერსიტეტების დამორჩილებასაც მოახერხებდნენ. ნაცისტების ოპონენტები განსაკუთრებით იმედოვნებდნენ, რომ პარტიას გაუჭირდებოდა ცნობილი ბიოქიმიკოს-ფიზიოლოგის წინააღმდეგობის გადალახვა, რომელიც ფრანკფურტის უნივერსიტეტში ასწავლიდა და რომლის აკადემიური რეპუტაცია და ჰუმანიზმი მსოფლიო მასშტაბით იყო ცნო-

ბილი. უნივერსიტეტში ნაცისტი კომისრის დანიშვნის შემდეგ, ყველა პროფესორი და სტუდენტი მნიშვნელოვან კრებაზე დაიბარეს:

> ახალ ნაცისტ კომისარს დრო არ დაუკარგავს ზრდილობიან მიმართვებზე. მან დაუყოვნებლივ გამოაცხადა, რომ ებრაელებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალებოდათ და ხელფასის გაცემის გარეშე 15 მარტს დათხოვნილები იქნებოდნენ. ნაცისტების ხმამაღალი ანტისემიტური განცხადებების მიუხედავად, ამას მაინც არავინ ელოდა. შემდეგ მან დაიწყო შეურაცხყოფის, უწმაწური სიტყვებისა და სამასოიანი სიტყვების ტირადა, რომელსაც ბარაკებშიც კი იშვიათად გაიგონებდით და აკადემიურ სამყაროში – ვერასოდეს. მან რიგრიგობით თითი გაიშვირა კათედრების გამგეებისაკენ და თქვა: „თქვენ ან იმას გააკეთებთ, რასაც მე გეტყვით, ან საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდებით“. მისი ლაპარაკის შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა. ყველანი ცნობილ ბიოქიმიკოს-ფიზიოლოგს ელოდნენ.
>
> დიდი ლიბერალი ფეხზე წამოდგა, ხმა ჩაიწმინდა და თქვა: „ძალიან საინტერესოა ეს ყველაფერი, ბატონო კომისარო, და, გარკვეული ასპექტით, მრავლისმთქმელი, მაგრამ ერთი რამ მთლად კარგად ვერ გავიგე. „ფიზიოლოგიაში კვლევებისათვის უფრო მეტი ფული გამოიყოფა?“ ამის შემდეგ კრება ძალიან მალე დამთავრდა, კომისარმა მეცნიერებს აღუთქვა, რომ საკმაო ფული გამოიყოფოდა „რასობრივად სუფთა მეცნიერებებისათვის“. მხოლოდ მცირეოდენს ეყო გამბედაობა ოთახი თავიანთ ებრაელ კოლეგებთან ერთად დაეტოვებინა, მაგრამ უმრავლესობამ არჩია დისტანციაზე ყოფილიყო ამ ადამიანებისგან, რომლებთანაც სულ რამდენიმე საათის წინ მეგობრობა აკავშირებდა“.[27]

ამგვარი ადამიანური სისუსტეები – უნებისყოფობა, მორალური სიბრმავე და ყველაფერზე მაღლა მდგომი ეგოისტური ინტერესები – დაშინების სასტიკ ტაქტიკასთან ერთად ნაცისტებს შედარებით უიოლებდა პოლიტიკურ ხელისუფლებაში საკუთარი პარტიის წევრების მოყვანას.

საზოგადოების ტრანსფორმაცია

პოლიტიკური ძალის კონსოლიდაცია მხოლოდ პრელუდიაა ტოტალიტარული სახელმწიფოს არსებობის უფრო განსაკუთრებულ საფეხურზე გადასასვლელად – სახელმწიფოში წამყვანი პოლიტიკური დოქტრინის მიხედვით საზოგადოების ტრანსფორმირების მცდელობის დასაწყებად. ეს საფეხური, ზოგადად, რეჟიმის მიერ ეკონომიკის კონტროლსა და სახელმწიფოს აქტიურ დაგეგმვასა და ინტერვენციას მოითხოვს.[28] იმისთვის, რომ გაამართლოს ახალი საზოგადოებრივი წესრიგის შექმნის განზრახვა, რეჟიმი ხშირად მიუთითებს საქვეყნოდ გავრცელებულ სოციალურ უსამართლობაზე, რომელიც ყოველი რევოლუციის შემაფერხებელია და ამბობს, რომ ყოველგვარი არასტაბილურობა ქვეყანაში კონტრრევოლუციონერების, ჯაშუშებისა და დივერსანტების მიერაა მოწყობილი.

ამ თვალსაზრისით, ტოტალიტარული რეჟიმები ნათლად ავლენენ თავიანთ იდუმალ მახასიათებლებს, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად გამოსახავენ იმ რევო-

ლუციურ მოძრაობებს, რომლიდანაც თავად იღებენ სათავეს. კარლ ფრიდრიხმა და ზბიგნიევ ბჟეზინსკიმ, ამ საკითხების გამოჩენილმა მკვლევარებმა, ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ექვსი თვისება გამოყვეს.[29] თითოეულ სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი იდეოლოგია, ანუ პოლიტიკური იდეების წყობა, რომელიც რეალობას უარყოფს და სახელმწიფოს ქმედებებს გამართლებას უძებნის მომავალი ბედნიერი ცხოვრების სახელით. ყველა ტოტალიტარულ სახელმწიფოს ჰყავს ერთადერთი, იერარქიული პარტია, რომელიც ან ხელისუფლებაზეა გადახლართული, ან მასზე მაღლა დგას. ყველა მათგანი ენდობა საიდუმლო პოლიციას, რომელსაც სურს და შეუძლია სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ ტერორის კამპანია აწარმოოს. ყველა ტოტალიტარული სახელმწიფო ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს *შეიარაღებულ ძალებთან* და ორგანიზებული ძალადობის სხვა საშუალებებთან. ასევე, ყველა ცდილობს განახორციელოს *მონოპოლია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე,* რომელიც გამოიყენება ოფიციალური პროპაგანდის გასავრცელებლად. დაბოლოს, ყველა ტოტალიტარული საზოგადოება *ეკონომიკის ცენტრალიზებულ კონტროლს* ახორციელებს, რომლის საშუალებითაც ცდილობს რადიკალური სოციალური ცვლილებები გაატაროს. არსებითად, ტოტალიტარული სახელმწიფოს ეს მახასიათებლები სათავეს იღებს რევოლუციური მოძრაობებიდან (ლიდერობა, იდეოლოგია, ორგანიზაცია, პროპაგანდა, ძალადობა), რომელიც ახლა უკვე სახელმწიფოს ყოველდღიური ადმინისტრაციისა და ტრანსფორმაციის შემადგენელი ნაწილი ხდება.

საზოგადოდ, სახელმწიფოს ტრანსფორმირების მცდელობა წინასწარ დადგენილ იდეოლოგიურ ინსტრუქციებს მიჰყვება და იშვიათად განიცდის უფრო პრაგმატული მოსაზრებების გავლენას. ამ საფეხურზე ტოტალიტარული რეჟიმები თავიანთი იდეოლოგიის ერთგულნი რჩებიან და ნაკლებად ცდილობენ, უპასუხონ პრაქტიკულ საჭიროებებს. სტალინის, ჰიტლერის, მაო ძედუნის პოლიტიკური კარიერიდან აღებული მაგალითები ამ თვალსაზრისის საუკეთესო გამოხატულებაა.

სტალინის სამჭოთა კავშირი

პოლიტიკური მტრების დამარცხების შემდეგ, 1928 წელს სტალინმა საბჭოთა ეკონომიკის კოლექტივიზაციასა და ინდუსტრიალიზაციას ჩაუყარა საფუძველი. ეკონომიკაში მისი პირველი ხუთწლიანი გეგმით (1928-1932 წწ.) საბჭოთა კავშირის ისტორიაში კატაკლიზმების პერიოდი დაიწყო. შემდეგი ათი წლის განმავლობაში მილიონობით უდანაშაულო ადამიანი გააგზავნეს ან დახოცეს მუშათა ბანაკებში. შედარებით შეძლებულ მიწათმფლობელთა, ე.წ. ***კულაკთა*** მთელმა კლასმა არსებობა შეწყვიტა. ამას გარდა, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელი სტრუქტურა რადიკალურად შეიცვალა.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ დაატეხა სტალინმა საბჭოთა რეგიონებს ასეთი კატაკლიზმები თავს, უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა გავიაზროთ ტოტალიტარულ სახელმწიფოში იდეოლოგიის განსაკუთრებული როლი. სტალინის პირველი ხუთწლიანი გეგმა ძალიან ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის შექმნას ითვალისწინებდა, რათა საბჭოთა ეკონომიკა სწრაფად განვითარებულიყო და მნიშვნელოვანწილად ძალაუფლების პოლიტიკით იყო მოტივირებული. თუმცა, ფაქტები გვეუბნება, რომ სტალინი ამავე დროს განვითარებული ინდუსტრიული

საზოგადოების შექმნის იდეოლოგიური მიზნის ჭეშმარიტად ერთგული გახლდათ, რომელიც, თავის მხრივ, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ამ მიზნის განხორციელება მარქსიზმს დანარჩენი მსოფლიოსთვის არა მხოლოდ საჩვენებელ მაგალითად გახდიდა, არამედ, აგრეთვე, ახლადფეხადგმულ რევოლუციას მტრული „კაპიტალისტური გარემოცვისაგან“ დაიცავდა. სტალინმა გადაწყვიტა, რომ ერთადერთი საშუალება ამ საგმირო საქმის მისაღწევად მძიმე მრეწველობაში მასიური ინვესტირება იქნებოდა. ამავდროულად, მოგება მაქსიმალურად უნდა გამოწურულიყო სოფლის მეურნეობიდან, რუსეთის ეკონომიკის ტრადიციული დასაყრდენიდან. აქ მარქსისზმ-ლენინიზმის დოგმა ბატონობდა: ფერმების, ცხოველებისა და საწარმოო საშუალებების კერძო მფლობელობა უნდა განადგურებულიყო და მიწათმფლობელობა „კოლექტივიზებული“ გამხდარიყო. სტალინის ***კოლექტივიზაციის*** გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობის წარმოების დიდი ნაწილი დიდ კოოპერატიულ ერთეულებში განათავსეს, რომლებსაც *კოლხოზებს* (კოლექტიურ ფერმებს) ეძახდნენ. მათი წევრები მოგების დანატოვარს იყოფდნენ მას შემდეგ, რაც მოსავლის სავალდებულო ნაწილს ჩააბარებდნენ სახელმწიფოს. *სავხოზებში* (სახელმწიფო მეურნეობებში), გლეხები ხელფასს იღებდნენ.

სტალინს სჯეროდა, რომ ამ სტრატეგიით ინდუსტრიის წარმოება გაორმაგდებოდა ან პირველი ხუთწლედის განმავლობაში სულაც სამჯერ გაიზრდებოდა. შედეგად, საბჭოთა სოფლის მეურნეობამ კოლექტივიზაცია გაიარა, რათა საბჭოთა ინდუსტრიალიზაცია დაეცვა. სოფლად ყოველგვარი წინააღმდეგობის აღმოფხვრითა და კოლექტიურ ფერმებში გლეხების შერეკვით, სახელმწიფოს შეეძლო პოლიტიკური კონტროლის გაზრდა და დრაკონული საგადასახადო სისტემის დანერგვა. „გადასახადები“ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს საკვების მწირ მარაგში შენატანებს ნიშნავდა, რომელიც ინდუსტრიული მუშების მზარდი არმიის გამოსაკვებად და იმპორტირებული კაპიტალური საქონლის გასასტუმრებლად გამოიყენებოდა.

ამ ყველაფრის ფონზე, სტალინის კოლექტივიზაციამ, იმის მიუხედავად, რამდენად ძვირი ჯდებოდა იგი ადამიანური სიცოცხლის თვალსაზრისით, კიდევ უფრო ცივი, გათვლილი და მახინჯი განზომილება შეიძინა, სადაც მორალური შეზღუდვები არ არსებობდა. როდესაც გეგმა განვითარდა, სტალინი არა იმდენად იმით შეწუხდა, რომ ის ბევრი ადამიანის სიცოცხლის ფასად ჯდებოდა, არამედ უფრო იმით, რომ გეგმის შესრულებას პირი არ უჩანდა. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ვერ იმუშავა ამ გეგმამ, იყო ის, რომ სტალინმა გადაჭარბებული ზომის განურჩეველი ძალადობა და სისასტიკე გამოიჩინა. დახოცეს ან გადაასახლეს არა მხოლოდ კულაკები, არამედ მთელი გლეხობა აღგავეს მიწისაგან პირისა. ვრცელდებოდა ისტორიები, როგორ დალიეს სტალინის აგენტებმა უზომო რაოდენობით არაყი და შემდგომ მთელი სოფლები გადაცხრილეს, რათა ქვეყანას დაუნდობელი რუსული ზამთრისთვის გაეძლო. ბევრმა რუსმა გლეხმა ამჯობინა, ნებაყოფლობით გადაეწვა თავისი მოსავალი და დაეხოცა საქონელი, ვიდრე სტალინის აგენტების მითითებები შეესრულებინა და მათთან ეთანამშრომლა. შედეგი მოსალოდნელი იყო. მიუხედავად სახელმწიფოს ყოველგვარი მცდელობისა, ინდუსტრიული წარმოება ძალიან ნელა ვითარდებოდა, თუ ამას საერთოდ განვითარება ერქვა. ამასობაში შიმშილმა მთელი სოფლები გაწყვიტა.

მიუხედავად ყველაფრისა, სტალინმა არ აღიარა პირადი დამარცხება. მან უბრალოდ უგულებელყო შიმშილი და უკუსვლა, რომელიც მისი ეკონომიკური პოლიტიკით იყო გამოწვეული და იმის „დასამტკიცებლად,“ რომ რეალურად პროგრესი მიმდინარეობდა, სტატისტიკა გააყალბა. ვერავინ ბედავდა ეს მონაცემები კითხვის

ნიშნის ქვეშ დაეყენებინა. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, „სტალინის რეჟიმი დაუნდობელი და თანმიმდევრული იყო: ყველა ფაქტი, რომელიც არ ეთანხმებოდა ან ნაკლებად ეთანხმებოდა მის თვალსაზრისს – მონაცემები მარცვლეულის მოსავალზე, კრიმინალურ ვითარებებზე, „კონტრრევოლუციონერების" ნამდვილ ქმედებებზე... არარსებულ ფაქტებად ითვლებოდა."[30]

თუმცა, სტალინი, რომელიც იმაზე წუხდა, რომ მისი პოლიტიკა მას ახალ და ფარულ მტრებს სძენდა, უფრო და უფრო პარანოიდული ხდებოდა. 1934 წელს, როდესაც პირველი ხუთწლიანი გეგმა არცთუ სახარბიელო შედეგებით დასრულდა, საბჭოთა დიქტატორმა გამოაცხადა, რომ მან შორს მიმავალი მიზნების მქონე შეთქმულება აღმოაჩინა, რომელსაც უცხოეთის აგენტები და კონტრრევოლუციონერები ახორციელებდნენ, რათა საბჭოთა რუსეთში კაპიტალიზმი აეღორძინებინათ. ამ შეთქმულების თეორიას დამაჯერებლობა შეემატა, როდესაც სერგეი კიროვი, ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის დინამიური ახალგაზრდა ლიდერი, 1934 წლის დეკემბერში მოკლეს. ამ ინციდენტს სასტიკი რეპრესიები, უამრავი თავდასხმა, მოჩვენებითი სასამართლოები, სიკვდილით დასჯა და მასშტაბური გადასახლებები მოჰყვა. გაკვრით იქნა ნათქვამი, რომ მსხვერპლთა უმეტესობა ე.წ. ლენინგრადის ცენტრის წევრები იყვნენ.

რა თქმა უნდა, „ლენინგრადის ცენტრს" არასოდეს უარსებია და არც სტალინის ჩამოსაგდებად გამიზნული გეგმა მოუმზადებია ვინმეს (კომუნისტური პარტიის პირველმა [გენერალურმა – მთარგმნ. შენ.] მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა 1956 წელს მიანიშნა, რომ სტალინი თავად იდგა კიროვის მკვლელობის უკან). თუმცა, ამ „გეგმამ" სტალინს უზარმაზარი შანსი მისცა იმისათვის, რათა „მოღალატეების", ალბათ, ყველაზე დიდი, სისხლიანი წმენდა მოეწყო ისტორიაში. დააკავეს და დააპატიმრეს ლენინის თავდაპირველი წრის გამოჩენილი ლიდერები, ე.წ. ძველი ბოლშევიკები. პირველი ფაზის დროს, რომელსაც შემდეგ დიდი ტერორი უწოდეს (1934 წლის იანვრიდან 1936 წლის აპრილამდე), კომუნისტური პარტიის წევრთა რაოდენობა დაახლოებით 800 000 კაცით, ანუ 25 პროცენტით შემცირდა. საბჭოთა პრესა მათ კიცხავდა, როგორც „მავნებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებსა და მკვლელებს, რომლებიც პარტიული ბარათს ეფარებოდნენ და ბოლშევიკებად ინიღბებოდნენ".[31]

სტალინური წმენდების მეორე ფაზა (1936-38) გამოირჩეოდა ცნობილი *საჩვენებელი სასამართლოებით*, სადაც ძველ ბოლშევიკებს, პარტიის მაღალჩინოსან ლიდერებს სახალხოდ ასამართლებდნენ და აიძულებდნენ აღმაშფოთებელი „აღიარებები" მიეცათ. თუმცა, სასამართლოები მხოლოდ აისბერგის წვერი იყო. 1934 წლის მეჩვიდმეტე ***პარტიული ყრილობის*** დაახლოებით 2000 დელეგატიდან 1100-ზე მეტი (დაახლოებით 56 პროცენტი) 1934-1938 წლებში დახვრიტეს. ყრილობაზე დამსწრე 1827 თანამდებობის მქონე დელეგატიდან მხოლოდ 35 პროცენტი დაესწრო შემდგომ ყრილობას, რომელიც ხუთი წლის თავზე გაიმართა. 1934 წელს არჩეული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 139 წევრის სამოცდაათი პროცენტი 1938 წლისთვის ლიკვიდირებული იყო. 1939 წლისთვის პარტიის აპარატი საგულდაგულოდ იყო გაწმენდილი.

წითელ არმიაში იგივე მოვლენები ხდებოდა. დიდმა ტერორმა შეიწირა საბჭოთა კავშირის 5-დან 3 მარშალი, 16-იდან 14 სარდალი, რვავე ადმირალი, 67-დან 60 შენაერთის მეთაური და 397 ბრიგადის მეთაურის დაახლოებით ნახევარი. ამას გარდა, 81 უმაღლესი რანგის პოლიტიკური კომისარიდან მხოლოდ 5 გადაურჩა წმენდას.



მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე დაუნდობელმა დიქტატორმა იოსებ სტალინმა (1879-1953) საერთაშორისო კომუნისტური რევოლუციის მარქსისა და ლენინისეულ საბჭოთა მოდელს „გადაუხვია“, რათა „ერთ ქვეყანაში დაემყარებინა სოციალიზმი“. მიზნებისაკენ სავალ გზაზე მან მასშტაბური სიკვდილით დასჯა გამოიყენა და მილიონობით ადამიანი მონად აქცია გულაგებში (იძულებითი შრომის ბანაკში).

ასევე არ დაუნდიათ დაწინაურებული მუშები. 1930-იანი წლების განმავლობაში სტალინმა გაატარა პოლიტიკა, რომელიც ესტაფეტის სახელითაა ცნობილი, როდესაც საბჭოთა მუშების კოლექტივიზაცია სამუშაო ძალის იძულებით გაწვევის გზით მოხდა. სამუშაო ერთეულები სამხედრო ანალოგიით იქმნებოდა და მუშები დივიზიების მსგავსად იყვნენ ორგანიზებული. ამ პოლიტიკის შედეგად დაიბადა ე.წ. ***გულაგის არქიპელაგი***, უკაცრიელ ადგილებში აშენებული მონური შრომის ბანაკები, რომელსაც საბჭოთა საიდუმლო პოლიცია იცავდა და მართავდა, სადაც საზოგადოებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით არასასურველ პირებს ცხოვრებას აიძულებდნენ. გულაგის სისტემის მეშვეობით რკინიგზას, არხებსა და კაშხლებს აშენებდნენ მოშორებულ და ძნელად მისადგომ ადგილებში, სადაც მუშები ნებით არ წავიდოდნენ. გამოჩენილი რუსი მწერლის, ალექსანდრე სოლჟენიცინის შეფასებით, რომელმაც ბანაკში არსებული ცხოვრება აღწერა, ყოველ მოცემულ მომენტში ამ ბანაკებში დაახლოებით 12 მილიონი ადამიანი ჰყავდათ დაპატიმრებული, რომელთა ნახევარი პოლიტიკური პატიმარი იყო. „ზოგიერთების გარდაცვალების პარალელურად“, შენიშნავს იგი, „მანქანას მათი შემცვლელები მოჰყავდა“.[32]

დაბოლოს, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ სტალინი მწვერვალზე მარტო იდგა. მრეწველობა აყვავებული იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირი ყველაფერი იყო მუშათა სამოთხის გარდა. ტერორმა დიდი პოლიტიკური ცვლილებები მოიტანა, რომლის დროსაც საბჭოთა კომუნისტური პარტიის ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილი მრავალი გამოჩენილი ადამიანი მოღალატედ გამოცხადდა და სახალხო სასამართლოზე წარსდგა. ბრალდებულთა სია ოქტომბრის რევოლუციის საპატიო მონაწილეთა რეესტრს ჰგავდა. უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა დათხოვნილ იქნა, პარტიაში თანამდებობის პირთა წმენდა მოხდა და „უმწეო მასები“ სამრეწველო მონობის დონეზე დაიყვანეს. მართალია, სტალინი 1953 წლამდე – საკუთარ სიკვდილამდე მართავდა ქვეყანას, მაგრამ მისი სახელი, პირველყოვლისა, 1930-იანი წლების სისხლიან წმენდებთან ასოცირდება.

ჰიტლერის გერმანია

მესამე რაიხის დროს (1933-45 წწ.) ნაციონალ-სოციალისტური (ნაცისტური) პარტიის იდეოლოგიის წამყვანი თემა ებრაელებისა და სხვა „საზოგადოებრივად არასასურველი“ პირების განადგურება იყო და ამის შემდეგ „რასობრივად სუფთა“ არიული საზოგადოების შექმნა, რომელსაც მისი დამაარსებელი ადოლფ ჰიტლერი განასახიერებდა. რასიზმმა, რომელიც ჰიტლერს მთელი თავისი კარიერის განმავლობაში აკვიატებული ჰქონდა, მას უბიძგა გერმანიის ცხოვრება მთლიანად შეეცვალა. მის მიერ ნებადართული საშუალებები ახლა უკვე ცნობილია: საზოგადოების ნაცისტური იდეოლოგიის საფუძვლებით მასობრივი ინდოქტრინაცია; ნაცისტური პარტიის მკაცრი კონტროლის ქვეშ ყოლა. გერმანიის ცხოვრების წამყვან ძალად გადაქცევა და საზოგადოების მორჩილების უზრუნველსაყოფად საიდუმლო პოლიციის ანუ გესტაპოს ინტენსიური გამოყენება და ეკონომიკაზე, ჯარსა და მასმედიაზე ცენტრალიზებული კონტროლის დაწესება.

ნაცისტური იდეოლოგიისა და პროპაგანდის მეშვეობით გერმანელ ხალხს ჩაუნერგეს ებრაელების დასჯის, ომის საჭიროებისა და საზოგადოების რადიკალური ტრანსფორმაციის იდეა. გერმანული ცხოვრების ყველა ასპექტი პოლიტიზირებულ იქნა გესტაპოსა და *SS*-ის ტერორის ტაქტიკითა და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი „კულტურული რევოლუციის“ მეშვეობით, რომელიც გულისხმობდა ყველა იმ ხელოვანის, ჟურნალისტისა და მეცნიერის ლიკვიდაციას, რომელთა პოლიტიკური აზრის ნდობა არ შეიძლებოდა. ახალი სამთავრობო უწყებები, მათ შორის რაიხის ლიტერატურის, პრესის, მაუწყებლობის, თეატრის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების პალატები ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, მოეხდინა „სახიფათო“ წერილობითი ან მხატვრული გამოვლინებების ცენზურა-გაფილტვრა.

მუსიკის სფეროში გერმანული ხალხური მუსიკა ჩაენაცვლა „დეკადენტურ“ თანამედროვე და კლასიკურ მუსიკას, რომელთა ავტორები იყვნენ ებრაული წარმოშობის კომპოზიტორები, მაგალითად, ფელიქს მენდელსონი და გუსტავ მალერი. ასევე დაგმობილ იქნა თანამედროვე მხატვრობაც. ნაცისტების მმართველობისას არც ლიტერატურა იყო უკეთეს დღეში. მესამე რაიხის ერთ-ერთი ისტორიკოსის კარლ დიტრიჰ ბრახერის თქმით:

> დაუსრულებლად დგებოდა შავი სიები და ისტორია თავიდან იწერებოდა... ბიბლიოთეკებისა და წიგნების მაღაზიების „გაწმენდა“ გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა, მაგრამ გერმანული ლიტერატურის განადგურება და თვითგანადგურება რამდენიმე თვეში იქნა მიღწეული პირველხარისხოვანი მწერლების მეორე და მესამე ხარისხოვანი მჯღაბნელებით ჩანაცვლებითა და საუკეთესო მწერლების გარესამყაროსთან კავშირის ხელის შეშლით.[33]

ხელოვნებაზე ნაცისტების შეტევა იმის მაჩვენებელი იყო, სადამდე შეეძლო ჰიტლერს წასვლა, რათა ნაცისტური ღირებულებების პროპაგანდა მომხდარიყო. თუმცა, გერმანული ცხოვრების ვერც ერთმა სფერომ ვერ გამოხატა ჰიტლერის თავდადება ახალი მომავლისადმი ისე, როგორც ეს სასკოლო სისტემაში მოხდა. როგორც ბრახერმა აღნიშნა, „ნაციონალ-სოციალიზმის მცდელობა თავიდანვე მიმართული იყო ტოტალიტარული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების – პროპაგანდისა და განათლების მიმართულებით“.[34]

ნაცისტური პარტიის იდეოლოგიის წამყვანი თემა იყო ებრაელთა და სხვა „საზოგადოებრივად არასასურველთა“ განადგურება და შემდგომ „რასობრივად გაწმენდილი“ არიული ერის შექმნა. 1933-1945 წწ. ნაცისტურ სიკვდილის ბანაკებში დაახლოებით 6 მილიონი ევროპელი ებრაელი დაიღუპა.

ნაცისტური საგანმანათლებო პოლიტიკა სამი ძირითადი მიმართულებით განხორციელდა. თავდაპირველად, სკოლის ადმინისტრატორები და მასწავლებლები, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ ჰიტლერის, ნაციზმის ან ნაცისტური „რეფორმის“ მიმართ წინააღმდეგობის გაწევაში, დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ამის შემდე, ყველა აკადემიური საგანი გაიჟღენთა იდეოლოგიური შინაარსით. ისტორია გადაიქცა „რასობრივ ისტორიად“, ბიოლოგია გარდაიქმნა „რასობრივ ბიოლოგიად“ და ა.შ. ყველა საგანი ისე შეიცვალა, რომ მათში ჰიტლერის ანტისემიტური რასობრივი თეორიები ასახულიყო. დღე არ გაივლიდა, რომ მოსწავლეებისათვის ის საზარელი რასობრივი თეორიები არ ექადაგათ, რომლებიც ნაცისტურ პოლიტიკურ წყობილებას ამართლებდნენ. ხშირად ეს თეორიები გადაჯაჭვული იყო სამხედრო ძლიერების ისტორიებთან. ფაქტობრივად, ყველა აკადემიური საგანს ლაიტმოტივად გასდევდა არიელების ჩამორჩენილ რასებზე ტრიუმფის იდეა. დაბოლოს, ნაცისტებმა დააარსეს სპეციალური სკოლები, სადაც პარტიის მომავალ ელიტას წვრთნიდნენ, მათ შორის სამხედრო ლიდერებს, პარტიულ მუშაკებსა და სახელმწიფო მოხელეებს. მოსწავლეები ამ სკოლებში ასაკობრივი ჯგუფისა და კარიერული ინტერესების მიხედვით ირიცხებოდნენ. მაგალითად, ადოლფ ჰიტლერის სკოლებში სწავლობდნენ თორმეტიდან თვრამეტ წლამდე ახალგაზრდები, ვისაც პარტიული ფუნქციონერობა სურდა. ზოგადად რომ ვთქვათ, ყველა სპეცსკოლა გარკვეული სახის ძირითად კურსებს ასწავლიდა (მაგალითად, რასობრივ ისტორიასა და ბიოლოგიას) და აქცენტს სამხედრო ვარჯიშებზე აკეთებდა (ამის მაგალითია „სახელგანთქმული“ ჰიტლერული ახალგაზრდობა).

ნაცისტური საგანმანათლებლო პროგრამა ძალზე წარმატებული გამოდგა. ერთი ავტორიტეტული პიროვნების აზრით, „რეჟიმის წინაშე მასწავლებლებისა და მშობლების კაპიტულაციის პარალელურად ახალგაზრდების ინდოქტრინაციაც

წარმატებულად მიდიოდა. ახალგაზრდობას, რომელიც ჰეროიკულ ლეგენდებსა და შავ-თეთრ ფერებად გამარტივებულ სამყაროს სურათს ადვილად იჯერებდა, რეჟიმის განსაცვიფრებელ ხატებას გადასცემდნენ."[35] ახალგაზრდების განათლებას აძლიერებდა კარგად დაგეგმილი ზარ-ზეიმები და ცერემონიები: „ადრეული ბავშვობიდან მათ ასწავლიდნენ დროშის აწევას, აღლუმებში მონაწილეობის მიღებას, ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა სკოლებზე მაუწყებლობა, ბავშვები დაჰყავდათ სალაშქროდ."[36] შთაგონება, პროპაგანდა და არა ტერორი გახდა ის ინსტრუმენტები, რომლის მეშვეობით მესამე რაიხის ბავშვებს ახალ წყობას აზიარებდნენ.

სავარაუდოდ, ყველაზე მეტად ამგვარი მასობრივი შთაგონების პროგრამამ შესაძლებელი გახადა ის, რომ ჰიტლერი ატარებდა სასტიკ რასობრივ პოლიტიკას, რომლის კულმინაციაც ჰოლოკოსტი იყო. ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, ჰიტლერმა ანტიებრაული პოლიტიკა ეტაპებად განახორციელა, რომელთაგან თითოეული წინაზე უფრო რადიკალური იყო.[37] პირველად დაიწყო იმის განსაზღვრა, ვინ იყო ებრაელი. ამის შემდეგ რეჟიმმა დაიწყო ებრაელების გერმანული ცხოვრებიდან იზოლაციის კამპანია და მათი ქონების ექსპროპრიაცია. შემდგომ, ყველა ებრაელი, რომელმაც ქვეყანა 1933-1938 წლებში არ დატოვა, გერმანული საზოგადოებიდან ძალით გამოაცალკევეს და ცნობილ საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნეს. მასობრივი დეპორტაცია წინ უსწრებდა მეოთხე და საბოლოო ეტაპს: ყველა ებრაელი კაცის, ქალისა და ბავშვის განადგურებას, ვისზეც ხელი მიუწვდებოდა მესამე რაიხს.

იმ დროს, როდესაც 1930-იან წლებში ანტიებრაული პოლიტიკა ძალას იკრეფდა გერმანიაში, ჰიტლერმა გერმანული საზოგადოების თითქმის ყველა ელემენტი თავისი მკვლელობების სქემაში ჩართო. ბიუროკრატია ანტიებრაულ ბრძანებებს ადგენდა და განადგურების პროცესისთვის აუცილებელ ლოგისტიკურ პროცესს გეგმავდა. გერმანული ბიზნესი სარგებლობდა ებრაული ქონებითა და საკონცენტრაციო ბანაკებში იძულებითი მუშახელით. მაშინ, როდესაც გერმანია აღმოსავლეთით მიწებს იპყრობდა, არმიის სპეცდანაყოფები მთლიანად ჩაერთვნენ მკვლელობის ოპერაციების ყველა ასპექტში. დაბოლოს, თავად ნაცისტური პარტიის იერარქია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა განადგურების მთლიანი პროგრამის დაგეგმვასა და წარმართვაში. პარტიის ნახევრად გასამხედროებული ორგანო *SS*-ი რეალურად ხელმძღვანელობდა სასიკვდილო ბანაკებში დახოცვის ოპერაციებს.

ჰიტლერისთვის მეორე მსოფლიო ომი იყო შესაძლებლობა, რომ მთელ ევროპაში გაევრცელებინა მისი ხედვა წმინდა არიული გერმანიის შესახებ. ადრინდელი ტირანებისაგან განსხვავებით, რომლებიც ომს ტერიტორიის, ძალაუფლების ან დიდების სიყვარულის გამო აწარმოებდნენ, ჰიტლერის მოტივაციას რადიკალურად ახალ და რევოლუციურ საზოგადოებაზე ოცნება წარმოადგენდა. ასე რომ, მაშინაც კი, როდესაც გერმანიის არმია და მესამე რაიხი დამარცხების პირას იყო, ჰიტლერი კიდევ უფრო შორს წავიდა ებრაელების განადგურების თვალსაზრისით. საბოლოოდ, დაახლოებით 6 მილიონი ევროპელი ებრაელი იქნა მოკლული. ადრე არსებული რასობრივად მოტივირებული პოლიტიკური მკვლელობები დაჩრდილა ჰოლოკოსტის ბარბაროსობამ, რომლის შემოქმედი ადოლფ ჰიტლერი „გაბატონებული რასის" ჩამოყალიბებას და თავის წარმოსახვაში არსებული გროტესკული სამყაროს შექმნას ცდილობდა.

მაოს ჩინეთი

ჩინეთში მაო ძედუნის ხელისუფლებაში მოსვლა რევოლუციური ბრძოლის ეპიკური მაგალითია – ჭეშმარიტად მასობრივი მოძრაობა ღარიბ საზოგადოებაში, სადაც გლეხობა დიდ უმრავლესობას შეადგენდა. ოც წელზე მეტ ხანს (1927-49) მაო სასტიკ „ეროვნული გათავისუფლების ომს“ აწარმოებდა გომინდანის ჩინეთის ეროვნული პარტია – მთარგმნ. შენ.) წინააღმდეგ, რომელსაც ჩან კაი-ში ხელმძღვანელობდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს – იაპონიის წინააღმდეგ. 1930-იანი წლების შუა ხანებში მაო იყო ლეგენდარული შეტევის ლიდერი, რომლის დროსაც პარტიზანების ცუდად გაწვრთნილმა რაზმმა 6000 მილის მანძილზე დაიპყრო, დაატყვევა ან გაანადგურა ჩანის მრავალრიცხოვანი და უკეთ აღჭურვილი ნაციონალური არმია. 1949 წლისთვის, როდესაც მან საბოლოოდ მოიგო უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა და ჩინეთის ხელმძღვანელი გახდა, მაო ძედუნის „კლასობრივი ბრძოლა“ ჩინეთის მასების სახელით ორ ათწლეულზე მეტს ითვლიდა.

მაო არა მარტო თავისი რევოლუციური გმირობით ამაყობდა, არამედ თავისი პოლიტიკური აზროვნებითაც. იმ დროისთვის მის „წითელ წიგნში“ შეტანილმა „თავმჯდომარე მაოს აზრებმა“ ჩინურ საზოგადოებაში წმინდა წერილის სტატუსი შეიძინა. მისმა ხედვამ ახალი, უკლასო სახელმწიფოსა და სამაგალითო კომუნისტი კადრებისა და ამხანაგების შესახებ, რომელთაც ზნეობრივად გადახალისებული საზოგადოება უნდა განესახიერებინათ, დასაბამი მისცა რადიკალურ პოლიტიკას, რომელსაც იცნობენ საერთო სახელით – მაოიზმი.

მართალია, მაოს მსოფლმხედველობა მარქსიზმის ძირითადმა პოსტულატებმა ჩამოაყალიბა, მაგრამ 1920-იან წლებში ჩინეთი პრეინდუსტრიული საზოგადოება იყო რეალური პროლეტარიატის (საწარმოში მომუშავე) ან „მონოპოლისტი კაპიტალისტის“ გარეშე, რომელიც მარქსმა „კაპიტალში” აღწერა. ჩინელი გლეხობის უბედურება ფაბრიკების ბოსები კი არ იყვნენ, არამედ ხარბი მიწათმფლობელები და ბიუროკრატები, რომელთაც სტატუსკ ვოს, თავიანთი ძალაუფლებისა და პრივილეგიების შენარჩუნება აღელვებდათ. ჩაგრული უმრავლესობის გასათავისუფლებლად ხელისუფლებაში მყოფნი უნდა ჩამოეგდოთ. მაოს სჯეროდა, რომ ამგვარი ისტორიული მისიის განსახორციელებლად, აუცილებელი იყო „ქვემოდან“ ძალადობრივი რევოლუციის მოწყობა. „პოლიტიკური ძალაუფლება“, წერდა იგი, „თოფის ლულიდან ამოდის.“[38]

მარქსიზმის ჩინურ რეალობასთან ადაპტირებისას (ანუ „სინიფიკაციისას“) მაო ადიდებდა დიდი ხნის მანძილზე ჩაგრულ ჩინელ გლეხობას, რომელსაც კომუნისტური ღირსებების მატარებელ მოდელად განიხილავდა. მისი აზრით, ჩინელი გლეხები „ღარიბები და სუფთები“ იყვნენ. მაოს სჯეროდა, რომ ვინაიდან ისინი არასოდეს გარყვნილან „ბურჟუაზიული მატერიალიზმით“ და დიდი ქალაქების დეკადანსით, მათი სამაგალითო კომუნისტებად გარდაქმნა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მათი ქალაქელი დახვეწილი თანამოძმეებისა. ამგვარად, მაომ გლეხები უტოპიური, უკლასო საზოგადოების ქვაკუთხედად აქცია, სადაც ექსპლუატაცია არასოდეს მოხდება და მასები ჰარმონიასა და თანასწორობაში მდიდრად იცხოვრებენ.

ამ დიდებული ხედვით აღჭურვილმა მაომ 1949 წლის შემდეგ ჩინეთი ერთგვარ სოციალურ ლაბორატორიად აქცია. პოსტრევოლუციურ წლებში ჩინეთის კომუნისტური პარტია და ჩინეთის არმია ბიჰევიორისტულ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში გრანდიოზულ ექსპერიმენტებს ატარებდნენ. პირველი ნაბიჯი მოიცავდა მასობრივი

კამპანიის წარმოებას სპეციფიკური ბოროტებების აღმოსაფხვრელად ან იმგვარი არასასურველი სოციალური ელემენტების გასანადგურებლად, როგორებიც იყვნენ მიწათმფლობელები, კონტრრევოლუციონერები და ე.წ. ბანდიტები. ამ „გადასამზადებელ კამპანიებს“ თან ახლდა ყოვლისმომცველი მიწის რეფორმის პროგრამა, რომელიც საბოლოოდ ჩინეთის სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციით დასრულდა. როგორც წესი, რთულად გასატარებელი მიწის რეფორმა მასობრივი პროპაგანდისა და ფიზიკური ძალის გამოყენების თანხლებით განხორციელდა. 1950-იანი წლების დასაწყისში ჩინეთში დაიწყო სტალინური გეგმის მსგავსი ინდუსტრიალიზაცია.

მაოს მმართველობაში ერთმანეთს ენაცვლებოდა თავისუფლებისა და რეპრესიების პერიოდები. 1956 წელს, მაგალითად, მან გამოაცხადა ***ასი ყვავილის კამპანია***, რომელიც მკაცრი სოციალური წესრიგის შერბილებას ჰპირდებოდა მოსახლეობას. როგორც პარტიის მაღალჩინოსანმა მაშინ განაცხადა, „ჩინეთის კომუნისტური პარტია ცდილობს, რომ ასი ყვავილი აყვავდეს განათლებული მუშებისათვის და შეეცდება ასი სკოლა წაახალისოს სამეცნიერო სფეროში... დამოუკიდებელი აზროვნება, თავისუფალი დებატები, თავისუფალი შემოქმედება და კრიტიკა, ადამიანის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება“.[39] ისე ჩანდა, რომ თვით პარტიის ხელმძღვანელობის შეზღუდული დოზით კრიტიკაც ნებადართული იქნებოდა.

ჩან კაი-შის კგომინდანის წინააღმდეგ ეროვნული გათავისუფლების წარმატებული ომის გარდა, მაოს მმართველობა 1949-1976წწ. როგორც სოციალური ექსპერიმენტების სიუხვის, ასევე პოლიტიკური რეპრესიების პერიოდებით ხასიათდებოდა.

შედეგმა, მაო გააკვირვა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ოფიციალურ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ. სახალხო პროტესტი და ანტიპარტიული დემონსტრაციები გამორჩეულად კრიტიკული იყო პეკინის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მთელი ჩინეთის მასშტაბით. დაიწყო გაფიცვები და მცირე აჯანყებები. თავდაპირველად ფრთხილად გამოთქმული განსხვავებული აზრები უფრო ხმამაღალი გახდა. პარტიის თანამდებობის პირებზე ცალკეული თავდასხმებიც მოხდა. ასი ყვავილის ნაცვლად, ათასობით „სარეველამ“ გაიხარა ჩინეთის ბაღში. მათ ამოსაძირკვად მძლავრი კამპანია დაიწყო. პარტიის ოფიციალურმა *სახალხო*

ყოველდღიურმა გაზეთმა სახის შესანარჩუნებლად განმარტება გაავრცელა, რომ ასი ყვავილის მთელი კამპანია სახელმწიფოს მტრების გარეთ გამოსატყუებლად ჩატარდა.

რეტროპერსპექტივაში ასი ყვავილის კამპანია უბრალო მოთელვა იყო მაოს ***დიდი ნახტომის*** წინ (1957-60წწ.). დიდი ნახტომი ატყორცნის გამორჩეული მცდელობა იყო – ჩინეთი, მასობრივი მობილიზაციის საშუალებით, „სრული კომუნიზმის“ საფეხურზე უნდა აეტყორცნათ.

მაომ წამოიწყო სსაზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროგრამა, რომელიც იმ რწმენაზე იყო დაფუძნებული, რომ ადამიანის ნებისყოფას შეუძლია ობიექტურ მოვლენებზე გაიმარჯვოს, რაც, თავის მხრივ, ჩინეთში გავრცელებული სიღარიბიდან, გაუნათლებლობისა და გარემოზე დამოკიდებულებიდან იღებდა სათავეს.

ჩინეთის ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ჯონ კინგ ფერბენკის თვალსაზრისით:

> 1958 წელს დიდი ნახტომის სტრატეგიის განვითარება იყო ის, რისი მოფიქრებაც პარტიზანებს შეეძლოთ. მათ ისწავლეს კამპანიის წარმოება და ხალხის მობილიზება, რათა იმ კონკრეტული სოციალური მიზნებისთვის მიეღწიათ, რომლებიც ომში პოზიციების დაკავებას წააგავდა – სამხედრო ტერმინოლოგიის გამოყენება აქ სწორედ რომ უპრიანია. კამპანიის მთელი მექანიზმი ახლა უკვე ეკონომიკური ტრანსფორმაციისკენ, სოფლის მეურნეობისა და წარმოების ერთდროული განვითარებისკენ, დუალიზმის სტრატეგიის ანუ როგორც მაო ამბობდა „ორ ფეხზე სიარულისკენ“ იყო მიმართული, რათა დაენერგათ თანამედროვე წარმოების პროცესები და მიეღწიათ განვითარებისთვის... ჩინეთის კომუნისტურ პარტიას სურდა ჩინეთის სოფლების ჩამორჩენილობითა და დამატებითი მუშახელით სარგებლობა. მაოისტებს სწამდათ, რომ იდეოლოგიური მოტივაცია ეკონომიკურ შედეგებს მოიტანდა, რომ ახალი სულისკვეთება მატერიალური წახალისების გარეშე გამოიყენებდა ადამიანური ენერგიის აქამდე აუთვისებელ რესურსებს.[40]

დიდი ნახტომის ყველაზე უფრო ნათელი და დრამატული სიმბოლო უთვალავი კომუნის დაარსება იყო, რომლებიც შედარებით დიდ, დამოუკიდებელ და თვითკმარ სოციალურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. კომუნალურმა მიწებმა შთანთქა კერძო საკუთრება, მაგალითად, ქვაბი, ტაფა და სხვა საოჯახო ნივთები საერთო მოხმარების ნივთებად გადაიქცა. ამას გარდა, ფერბენკი შენიშნავს:

> ბევრი გლეხი გარკვეულ დროს უზარმაზარ მოუწესრიგებელ დერეფანში ჭამდა საჭმელს. ყველა მუშა კონტროლდებოდა. ყველა ვალდებული იყო თვეში 28 დღე ემუშავა, ბავშვებს დღისით ძიძებთან ტოვებდნენ. ეს ყველაფერი ძალიან ეფექტიანი უნდა ყოფილიყო სოფლისთვის, მთელი მუშახელი, მათ შორის ქალები, მზად უნდა ყოფილიყვნენ სრული დატვირთვით ემუშავათ.[41]

რატომ დამკვიდრდა განსაკუთრებული საზომები, რომლებიც მაოს გრანდიოზულ კონცეფციასთან ასოცირდებოდა? ფერბენკის თქმით: „იმედი ჰქონდათ, რომ შედეგად აშენდებოდა სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ქალაქები, სადაც

ის გაპროლეტარებული გლეხები იცხოვრებდნენ, რომლებიც საკუთარი მიწიდან იყვნენ ამოძირკვულნი“ – ამასთან, არსებობდა ზოგადი შეხედულება, რომ სახელმწიფოს უნდა გაეზარდა მუშახელზე კონტროლი და შეეცვალა გლეხების დამოკიდებულებები.[42]

სწრაფი ნახტომი გადაიქცა ტოტალურ საშინელებად, რადგან თავადაც ცუდად მოფიქრებული იყო და ბუნებაც, როგორც ჩანდა, ხელს არ უწყობდა. 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში, ჩინეთმა საკვების დიდი ნაკლებობა და მოუსავლიანობა განიცადა. მხოლოდ 1960 წელს ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთი მესამედით შემცირდა. მომდევნო ათწლეულის პირველ ხანებში მაოს ძალაუფლება და გავლენა შედარებით შესუსტდა. თუმცა, ეს ამოსუნთქვის მხოლოდ მცირე პერიოდი იყო.

1966-1969 წლებში ***დიადმა პროლეტარულმა კულტურულმა რევოლუციამ*** ჩინეთის საზოგადოება ძირფესვიანდ შეარყია. დანარჩენი სამყაროსთვის ეს რევოლუცია საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე არაორდინალური მოვლენა იყო. ის მაოს ყველაზე ამბიციური მცდელობა გახლდათ, რომლის მიზანიც რევულიციური სულისკვეთების გაცოცხლებაში, ბურჟუაზიული კაპიტალიზმისა და ჩინეთის რელიგიურ-კულტურული ტრადიციის ძირფესვიანად აღმოფხვრაში მდგომარეობდა.

კულტურული რევოლუცია ორი ეტაპად წარიმართა: პირველ ეტაპზე ჩინეთის ცხოვრებაში არსებული ყოველგვარი „დეკადენტურის“ ჩამორეცხვა მოხდა. ამ მიზნით, მაომ ყველა სკოლა დახურა და თავის ახალგაზრდა მიმდევრებს, რომელთაც წითელ გვარდიას უწოდებდნენ, მოუწოდა ბიუროკრატიული ხელისუფლებისა და დამკვიდრებული პრივილეგიების ბასტიონზე იერიში მიეტანათ. მთელი ქვეყნის მასშტაბით მილიონობით მაოისტი ახალგაზრდის მიერ მოწყობილი გამოსვლები მრავალი კვირის განმავლობაში აშინებდა და ართობდა გარესამყაროს. თუმცა, იმ დროისთვის, როდესაც ქაოსი და დაბნეულობა დასრულდა, რევოლუციის ამ ფაზამ მიაღწია იმას, რაც მაოს განზრახული ჰქონდა: წითელმა გვარდიამ „რესპუბლიკის ბიუროკრატიული ინსტიტუტების უმრავლესობა დაანგრია და მათ ხელისუფლებასა და გამოცდილებას ძალა დაუკარგა“.[43] წმენდებმა, საჯარო დამცირებებმა, დასჯამ და მართულმა ანარქიამ ხალხი გატანჯა. ტაძრები და ისტორიული სიმდიდრეები განადგურებული იყო, ისევე, როგორც პარტია, მთავრობა და შეირაღებული ძალები.

მოსალოდნელი იყო, რომ კულტურული რევოლუციის მეორე ეტაპი ნაკლებ წარმატებული იქნებოდა, ვიდრე პირველი. მეორე ეტაპისაგან განსხვავებით, პირველი მეტწილად ნეგატიური იყო იმ გაგებით, რომ მის მიზანს არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წესრიგში ერთგვარი არასასურვილი ელემენტების განადგურება წარმოადგენ-და. მეორე ეტაპი პოზიტიური ქმედებისაკენ მოუწოდებდა, რათა წარსული წყობა ახლითა და უკეთესით შეცვლილიყო. სამწუხაროდ, ეკონომიკა, განსაკუთრებით ქალაქებში, ძლიერ შერყეული იყო. სკოლები, რომელიც მაოს ახალი რევოლუციური წყობისათვის დაიხურა, აღარ გახსნილა თვეების ან წლების განმავლობაში. შედეგად, ჩინელი ახალგაზრდობის მთელმა თაობამ ვერ შეიძინა ის ცოდნა და უნარები, რომლებიც ქვეყნის განვითარებად ეკონომიკას ასერიგად სჭირდებოდა.

კულტურული რევოლუციის საბოლოო ფასის განსაზღვრა შეუძლებელია. თუმცა ერთი ფაქტი ნათელია: მაოს დაუღალავი მცდელობა, დაემტკიცებინა, რომ ადამიანის ბუნება უკიდურესად მოქნილი იყო და, შესაბამისად, საზოგადოების სრულყოფაც დაუსრულებლად შეიძლებოდა, პოლიტიკური რეალობის კლდოვან ნა-

პირს შეეჯახა. 1976 წელს მისი სიკვდილით თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური ისტორიის უნიკალური თავი დასრულდა.

ტოტალიტარიზმის ნაირსახეობები

სტალინური რუსეთის, ჰიტლერული გერმანიისა და მაოს ჩინეთის გარდა, არსებობენ სხვა ტოტალიტარული სახელმწიფოები, რომელთა დასახელება და შესწავლა უპრიანია. მართალია, ამ ნაკლებტოტალიტარული სახელმწიფოების უმრავლესობა გაქრა ან რეჟიმების მმართველობა უფრო შერბილდა, მაგრამ მათი საქმიანობის შედეგად სახელმწიფოების ისტორიაში ღრმა ჭრილობები და რთული მემკვიდრეობა დარჩა.

პოლ პოტი კამბოჯას (სახელი გადაერქვა და კამპუჩია ეწოდა) 1975-დან 1979 წლამდე მართავდა. ის და მისი მომხრეები ცდილობდნენ რადიკალურად განსხვავებული საზოგადოების შექმნას, რომელიც გლეხობიდან შერჩეული კადრების სადა და სპარტანულ ცხოვრებაზე იქნებოდა დაფუძნებული. ძველი წყობილების ყველა ნაკვალევი, დაწყებული კალენდრიდან და დასრულებული ოჯახით, განადგურდა. პოლ პოტმა 1978 წელი „ნულოვან წლად“ გამოაცხადა, რაც აბსურდი იყო, მაგრამ ერთგვარად შეესაბამებოდა იმ შედეგს, რაც მისი ხანმოკლე მმართველობის ბოლოს მიიღო ქვეყანამ: ამ წლებში დაიხოცა 2 მილიონი კამბოჯელი (7.5 მილიონიანი მოსახლეობიდან). ისინი წმენდების, შიმშილის ან გასამართლების მსხვერპლნი გახდნენ.

ტოტალიტარი მმართველის მეორე მაგალითია ეთიოპიელი მენგისტუ ჰაილე მარიამი, რომელიც ქვეყანას 1970-იანი წლების შუა ხანებიდან 1991 წლის მაისამდე მეთაურობდა. მენგისტუ სახელმწიფოს რეორგანიზაციას ხალხის დივიზიებში გაერთიანებითა და ლტოლვილთა ბანაკებში განთავსებით შეეცადა, რათა მთავრობას მათი ინტენსიური თვალთვალის, პროპაგანდის და შთაგონების საშუალება მისცემოდა. მისმა მცდელობებმა ქვეყნის სოფლის მეურნეობა დაანგრია და შიმშილი გამოიწვია. მართალია, დასავლეთმა სცადა ეთიოპიაში ბავშვებს საკვებით დახმარებოდა, მაგრამ თავად ეთიოპიის მთავრობა ამ საკითხით აშკარად ნაკლებად იყო დაინტერესებული. მაშინ, როდესაც მისი ხალხი შიმშილობდა, მენგისტუ პომპეზურ სამხედრო აღლუმებს ატარებდა, ხორბალს მეზობელ სახელმწიფოებზე ყიდდა და მიღებულ შემოსავალს იარაღის შესყიდვაზე ხარჯავდა. 1991 წლის მაისში, როცა მისი მთვრობა აჯანყებულების კოალიციურმა ძალებმა ალყაში მოამწყვდიეს, მენგისტუ ქვეყნიდან გაიქცა.

ტოტალიტარი მმართველები მთელ მსოფლიოში მოდიოდნენ ხელისუფლების სათავეში. ფიდელ კასტრო, რომელიც 1959 წლიდან კუბის ლიდერია, ყველაზე ხანგრძლივადაა ამ თანამდებობაზე. [2008 წელს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ფიდელ კასტრომ ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი თავის ძმას რაულ კასტროს გადასცა. მთარგმნ. შენიშვნა.] 1994 წლამდე ჩრდილოთ კორეას რკინისებური ხელით მართავდა კიმ ირ სენი და მისი სიკვდილის შემდეგ ეს ქვეყანა კვლავ ტოტალიტარულ სახელმწიფოდ დარჩა. აზიაში ბევრგან, მაგალითად ჩინეთსა და ვიეტნამში, კვლავ იყენებენ არადემოკრატიულ, ადრეული ტოტალიტარული რეჟიმების მეთოდებს.



1979 წლის იანვრის რევოლუციის შემდეგ აიათოლა რუჰოლა ხომეინის (1900-1989) ხელმძღვანელობით ირანი თეოკრატიად გარდაიქმნა, რომელიც ფუნდამენტალისტური შიიტური მუსლიმური პრინციპებით იმართებოდა.

როგორც ამ თავის დასაწყისში უკვე აღინიშნა, ტოტალიტარული რეჟიმები სხვადასხვა ფორმას იღებენ, ამის მაგალითია ირანის ფანატიკური მემარჯვენე ფუნდამენტალისტი ლიდერი აიათოლა რუჰოლა ხომეინი (1979-89). ხომეინიმ ირანი ***თეოკრატიად*** გარდაქმნა, მმართველობად, რომელიც რელიგიაზეა დაფუძნებული და რომელსაც სასულიერო პირები ხელმძღვანელობენ. საბოლოოდ ირანში ცხოვრების არც ერთი ასპექტი არ დარჩენილა მთავრობის კონტროლს მიღმა. მასწავლებლები, სახელმძღვანელოები, განათლება, გართობა, სამართლებრივი სისტემა, არშიყობა და სექსუალური ქცევაც კი ფუნდამენტალისტურ ისლამურ შეხედულებებს დაუმორჩილეს. რეჟიმმა ომი გამოუცხადა საჯარო მოხელეებს, ინტელექტუალებს, საშუალო კლასის პროფესიონალებსა და მეწარმეებს და ყველა მათ, ვინც თანამდროვე დასავლური ცხოვრების წესს და კულტურას აღიარებდა.

ხომენეის ირანმა ტოტალიტარულ მმართველობასთან ასოცირებული მრავალი თვისება გამოამჟღავნა: საზოგადოების გარდაქმნის მცდელობა, დიქტატურა, რომელიც უსიტყვო ერთგულებას, მორჩილებასა და თავგანწირვას მოითხოვდა, ყოვლისმომცველი კრედო, რომელიც აწესრიგებდა, ხსნიდა და ასაბუთებდა სახელმწიფოს ქმედებებს, პრესის ცენზურა და საიდუმლო პოლიცია, საჩვენებლი სასამართლოები, დასჯა და წმინდა ომები. ირანის მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმებმა, დემოკრატიულისა და ტრადიციული დიქტატორულის მსგავსად, შეიძლება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში სხვადასხვა სახე მიიღონ, მაგრამ ამავდროულად ჰქონდეთ საერთო არსი.

ტოტალიტარიზმის უსახელო მსხვერპლნი

ტოტალიტარულ რეჟიმებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები და საშუალებები აქვთ. თუკი ამგვარი სახელმწიფოების მიზნები ხშირად

ღვთივკურთხეულად არის წარმოდგენილი, ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული საშუალებები – ინსტიტუციონალიზებული დასჯა, წმენდა და გენოციდები – ეშმაკისეულია. მრავალი დამკვირვებლის აზრით, ნაცისტური გერმანიის სასიკვდილო ბანაკები და სტალინური რუსეთის სამუშაო ბანაკები მეოცე საუკუნის ტოტალიტარიზმის არსს განასახიერებენ. ეს ფაქტები გვიჩვენებს, როგორი წარმოუდგენელი საშინელებები შეიძლება განხორციელდეს ტოტალიტარული დიქტატურის მმართველობისას, რადგან მთავრობას არაფერი უპირისპირდება ძალადობისა და თუნდაც თვითგანადგურების უკიდურესი ფორმების გზაზე.

ტოტალიტარულ რეპრესიების ადამიანური მსხვერპლის მოკრძალებულ შეფასებებს გვთავაზობს პოლიტოლოგი ს.უ. კასინელი ჰიტლერის, სტალინისა და მაოს მისეულ შედარებით ანალიზში. კასინელის თქმით, „სამი რევოლუციის სახელით, დაახლოებით, 110 მილიონი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელიც მათ გამოიწვიეს, ადამიანურ წარმოდგენას სცილდება.“[44] კასინელის თქმით, ეს ციფრი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლსაც მოიცავს, შესაძლოა, რეალურად ნაკლები იყოს.[45] შემდგომ მოპოვებულმა მტკიცებულებებმა მისი ეჭვები დაადასტურა. თუმცა, კასინელის მიერ დასახელებული რაოდენობა ორზეც რომ გავყოთ, მონაცემები მაინც განსაცვიფრებელია.

ომში დაღუპულთა რიცხვმა „გერმანიასა და ავსტრიაში 6 მილიონს მიაღწია, ხოლო საბჭოთა კავშირში – 20 მილიონს და ერთად აღებულ დანარჩენ ევროპულ სახელმწიფოებში – 10 მილიონს, რაც ჯამში 36 მილიონი გამოდის.“[46] ჰიტლერის პოლიტიკამ დაახლოებით 6 მილიონი ევროპელი ებრაელის დახოცვა გამოიწვია, რომ აღარაფერი ვთქვათ არაებრაელებზე, რომელთაც ჰიტლერი „საზოგადოებრივად არასასურველად“ მიიჩნევდა. მთლიანობაში, პირდაპირ თუ ირიბად ადოლფ ჰიტლერის პოლიტიკას დაახლოებით 42 მილიონი ადამიანი შეეწირა.

1917 წლის რუსეთის რევოლუცია და მისი შემდგომი პერიოდი არანაკლები მსხვერპლით გამოირჩეოდა. 1918-1923 წლებში დაახლოებით 3 მილიონი საბჭოთა მოქალაქე დაიღუპა ტიფის, დიზინტერიისა და ქოლერის შედეგად, დაახლოებით 9 მილიონზე მეტი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მრავალი მათგანი 1921 წელს ძლიერი გვალვების გამოც დაიღუპა, მაგრამ უმრავლესობის სიკვდილის მიზეზი პირდაპირ თუ ირიბად, პოლიტიკა იყო.

1920-იანი წლების ბოლოს სტალინის ტიტანური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში კულაკები, როგორც კლასი, განადგურდა. ამას გარდა, მეორე დამღუპველი შიმშილობის პერიოდი დაიწყო 1930-იანი წლების დასაწყისში. თუ კოლექტივიზაციის ადრეული ეტაპის მსხვერპლთ შიმშილით გარდაცვლილებს დავამატებთ, 1929-1934 წლებში დაღუპულთა რიცხვი რამდენიმე მილიონს აღწევს.

თუმცა, ყველაზე დიდი საშინელება ჯერ კიდევ წინ იყო. 1934 წლის შემდეგ, სტალინის მასობრივი წმენდები – ისტორიის, ალბათ, ყველაზე სისხლიანი ტერორი – გადაიზარდა 1 მილიონი საბჭოთა მოქალაქის მკვლელობაში და დამატებით 2 მილიონმა „კლასობრივმა მტერმა“ სული დალია ციმბირში არსებულ იძულებით სამუშაო ბანაკებში. არც 1938 წლის დიდი წმენდების შემდეგ დასრულებულა პოლიტიკური ანგარიშსწორებები, რამაც მეორე მსოფლიო ომთან ერთად, საბჭოთა საზოგადოებას უზარმაზარი ძალა დააკარგვინა. კასინელის გამოთვლებით, 1938-დან 1950 წლამდე იძულებით სამუშაო ბანაკებსა და ციხეებში, სავარაუდოდ, 12 მილიონი ადამიანი მოკვდა. მთლიანობაში სტალინი (და შედარებით ნაკლები ხარისხით ლენინი) პასუხისმგებელია მილიონობით უდანაშაულო დაუცველი მოქალაქის სიკვდილში, რომელთათვისაც „რევოლუციური

სამართალი“ სამუშაო ბანაკებში ნელ სიკვდილს ან სადამსჯელო ათეულის მიერ ნასროლ ტყვიას ნიშნავდა.

მაოისტური რევოლუცია, მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით, უფრო „მოკრძალებულად“ გამოიყურება, ვიდრე ნაცისტური ან საბჭოთა რევოლუციები, თუმცა, 1927-1949 წლებში, ჩინეთში დაახლოებით 50 000 ადამიანი დაიღუპა. მათი სიკვდილის ფაქტები, ძირითადად, დაკავშირებული იყო კომუნისტური კონტროლის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე მიწის მფლობელებისა და მდიდარი გლეხების განადგურებასთან.

1949 წელს კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლიდან 1957 წლის „დიდი ნახტომის“ პროგრამამდე არაერთი მასობრივი კამპანია დაიწყო კონტრრევოლუციური ძალებთან საბრძოლველად. კასინელის თქმით:

> 1949 წლიდან 1952 წლამდე მიმდინარე მიწის რეფორმის პროგრამამ უეჭველია, რომ რამდენიმე მილიონი „მიწისმფლობელი“ და მსგავსი კატეგორიის ადამიანი შეიწირა. კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ 1951-52 წლებში წარმოებული კამპანიის გამო, დამატებით მილიონნახევარი ადამიანი დაიღუპა; ბანდიტების განადგურების კამპანიის დროს, რომლის მიზანს ფიზიკური წინააღმდეგობის საბოლოო გატეხვა წარმოადგენდა, 1949-დან 1956 წლამდე უამრავი ადამიანი დაიღუპა. 1951-53 წლებში „სამი ანტი“ და „ხუთი ანტი“ კამპანიების და 1958-59 წლებში ანტი-მემარჯვენე კამპანიის შედეგად უამრავი მკვლელობა მოხდა. დაბოლოს, 1957-დან 1967 წლამდე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას თან ახლდა მნიშვნელოვანი დანაკარგები. ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს და სახალხო რესპუბლიკის პირველ ათწლეულში ადამიანური დანაკარგების შესახებ ხშირად ინფორმირებული პირების ვარაუდებიც ნაკლებია. დაახლოებით 12 მილიონი სიცოცხლე მოკრძალებული, მაგრამ რეალისტური შეფასებაა.[47]

ეს მონაცემები არ ეხება გაჭირვებისა და ქონების დაკარგვით გამოწვეულ სიკვდილიანობას, რომელიც ყველაზე ხშირი იყო 1950-იან წლებში განხორციელებული „დიდი ნახტომის“ დროს ხალხის საცხოვრებელი ადგილიდან აყრისას.

„კულტურული რევოლუცია“ (1966-69) ჩინეთის ისტორიის კიდევ ერთი სისხლიანი ეპიზოდი იყო, თუმცა, დაღუპულთა ზუსტი მონაცემების მოპოვება შეუძლებელია. გაცილებით დიდი იყო ჩინეთის გულაგის სისტემის შედეგად გამოწვეული დანაკარგი. სავარაუდოდ, 15 მილიონი ადამიანი დაიღუპა იძულებით სამუშაო ბანაკებში არაადამიანური მოპყრობის შედეგად. როცა კასინელი პოლიტიკურ მკვლელობებს აჯამებს და მას „სხვადასხვა მიზეზით გარდაცვლილ 1 მილიონს ამატებს“, ის განსაცვიფრებელ მონაცემამდე მიდის: „დაახლოებით 33.5 მილიონი.“[48] მართალია, ამ რიცხვის შემოწმება შეუძლებელია, მაგრამ ის არსებულ ფაქტებს შეესაბამება. თვით ის ფაქტი, რომ აღნიშნული რიცხვი დაუჯერებელი არ ჩანს, მეტყველებს ამგვარი მკვლელობების მასშტაბებზე.

როგორც წესი, ტოტალიტარულ რეჟიმებს არ სურთ იმის აღიარება, რომ ნებისმიერი მიზანი – ზნეობრივი თუ უზნეო – პოლიტიკურად მიუღწეველია. შესაძლოა, სწორედ ამ ძალზე მცდარი კონცეფციების შემოწმების სურვილით აიხსნას ის პათოლოგიური ძალადობა, რომლითაც ტოტალიტარული მმართველობა გამოირჩევა.

ტოტალიტარული რეჟიმების სიცოცხლისუნარიანობა

ადგილი არ გვეყოფა იმისათვის, რომ სრულად აღვწეროთ მეოცე საუკუნის ყველა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ჩადენილი ძალადობა და დესპოტიზმი. თუმცა, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ომებში, რევოლუციებსა და სისტემატურ სახელმწიფო ტერორში მონაწილეობით, ტოტალიტარული სახელმწიფოები პირდაპირ თუ ირიბად პასუხისმგებლები არიან ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობის სიკვდილსა და წამებაში.

ტოტალიტარული რეჟიმები ხშირად ხმამაღლა აცხადებდნენ პრეტენზიას თავიანთი არსებობის ხანგრძლივობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. მაგალითად, ჰიტლერი თავის იმპერიას ათასწლოვანს ეძახდა. უფრო და უფრო მეტი სამხილი არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ ტოტალიტარული რეჟიმების არსებობა ხანმოკლეა. ისინი სცენაზე დრამატულად ჩნდებიან, შემდეგ ძალიან მალევე საკუთარ თავს ამოწურავენ ხოლმე. ყველაზე დიდხანს, ტოტალიტარული რეჟიმები მათი რევოლუციური ლიდერების სიკვდილის შემდეგ რამდენიმე ათწლეულს ძლებენ. რატომ ხდება ასე?

ტოტალიტარული სახელმწიფოების უეცარი აღსასრული შეიძლება გამოიწვიოს სხვა ერებთან ფატალურმა ომებმა, მაგალითად გამოდგება მეორე მსოფლიო ომში მოკავშირე სახელმწიფოების მიერ ჰიტლერის დამარცხება. აგრეთვე, კონკრეტული ქარიზმატული და წარმატებული ლიდერის სიკვდილმა – მაგალითად, სტალინის ან მაოსი – შეიძლება დააჩქაროს სპირალისებური დაღმასვლა. უღიმღამო მემკვიდრეებმა, რომლებიც სახელმწიფოს მართავენ ძალისა და ტერორის მეშვეობით და არა შეთანხმებით, შეიძლება ის ეკონომიკა, მორალური ძალა და პოლიტიკური იდეალიზმი დაასუსტონ, რომლებსაც ლეგიტიმური პოლიტიკური ძალაუფლება რეალურად ეფუძნება. ამდენად, საბჭოთა კავშირის დანგრევა გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ხანგრძლივად გაგრძელდა ეკონომიკური დაღმავლობა და ხალხში რეჟიმისა და პოლიტიკური იდეებისადმი რწმენა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიკარგა. ეს იყო „ტოტალიტარიზმის დაღმასვლის“ პერიოდი.[49] ოფიციალური იდეოლოგიისადმი (კომუნიზმის) რწმენის შესაბამის დაკარგვას დღეს, როგორც ჩანს, ადგილი აქვს ჩინეთშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარიზმის მმართველობა საბჭოთა კავშირში სულ რაღაც სამოცდაათი წელი გაგრძელდა, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კი თითქმის ხუთი ათეული წლის შემდეგაც ხელუხლებელია, ისტორიული თვალსაზრისით ეს პერიოდები მაინც ხანმოკლეა. სამწუხაროდ, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტოტალიტარული დიქტატურის მცირე ხნით არსებობაც კი დიდი ზიანის მომტანია.

დასკვნა

ტოტალიტარული სახელმწიფოები უტოპიური ხედვის რეალიზებასა და ახალი პოლიტიკური წესრიგის შექმნას ცდილობენ. ავტორიტარული სახელმწიფოების მსგავსად, ტოტალიტარული სახელმწიფოები არადემოკრატიულები არიან. რეჟიმის ეს ორი ფორმა მნიშვნელოვანი თვისებებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერ-

ძოდ, ტოტალიტარული სახელმწიფოები მოსახლეობის ცხოვრების ყველა ასპექტის ტოტალურ გაკონტროლებას ესწრაფვიან და ამომრჩევლისაგან მოითხოვენ აქტიურ მონაწილეობას და არა პასიურ თანხმობას.

გასული საუკუნის სამმა ტოტალიტარულმა სახელმწიფომ (საბჭოთა რუსეთი, ნაცისტური გერმანია, მაოისტური ჩინეთი) განვითარების სხვადასხვა საფეხური გაიარა. პირველი ეტაპი ძალადობრივი რევოლუციების პერიოდია. წარმატებული რევოლუციისთვის ხუთი არსებითი ელემენტია საჭირო: ქარიზმატული ლიდერი, იდეოლოგია, ორგანიზება, პროპაგანდა და ძალადობა. მეორე საფეხურზე, რომელიც ტოტალიტარული ლიდერის ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციას გულისხმობს, ოპოზიციური პარტიები ნადგურდება, პარტიის ერთგული პირები საკვანძო ადგილებს იკავებენ და სპობენ პარტიის რეალურ ან წარმოსახულ მტრებს. მესამე ეტაპზე ხდება საზოგადოების სრული ტრანსფორმაციის მცდელობა. 1928 წელს საბჭოთა კავშირში სტალინმა პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება დაიწყო. ნაცისტურ გერმანიაში ჰიტლერის მიზანმა, მოეხდინა „რასობრივი წმენდა“, გაამართლა ტოტალიტარული ძალის გამოყენება, რომელმაც კულმინაციას მეორე მსოფლიო ომსა და ჰოლოკოსტში მიაღწია. მაოისტურ ჩინეთში საზოგადოების ტრანსფორმირების პირველი მცდელობა *„დიდი ნახტომი“* გვიან 1950-იან წლებში დამარცხდა, თუმცა მას *„კულტურული რევოლუცია“* (1966-69) მოჰყვა.

ტოტალიტარიზმის მიერ გამოწვეული ადამიანური დანაკარგი ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. არსებული სტატისტიკის გადამოწმება ხშირად არ ხერხდება, თუმცა ყველაზე უხეში გაანგარიშებითაც რომ ვიმსჯელოთ, მეოცე საუკუნის ტოტალიტარულმა ექსპერიმენტებმა მილიონობით ადამიანს მოუტანა წამება და სიკვდილი.

ტოტალიტარული სახელმწიფოები მრავალგვარი ფორმით ჩნდებიან და არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ ამგვარი სახელმწიფოები მომავალში აღარ გამოვლენ ასპარეზზე. რეალურად, ახლახან ავღანეთში ხელისუფლებიდან ჩამოშორებული თალიბების რეჟიმი კვალიფიცირდება, როგორც ტოტალიტარიზმის ახალი ფორმა, რომელმაც მასობრივი რელიგიის (ისლამის) დამახინჯებული ფორმა პოლიტიკურ იდეოლოგიად გამოიყენა.

საკვანძო სიტყვები

ტოტალიტარიზმი
მასობრივი მოძრაობა
რეკტიფიკაცია
განცალკევების კუნძულები
ჭეშმარიტი მორწმუნე
უჯრედები
ცენტრალური კომიტეტი
პარტიულობა
პროპაგანდა
სალიამის ტაქტიკა
მომინდანი
წმენდა
გესტაპო
კულაკები
კოლექტივიზაცია
პარტიის ყრილობა
გულაგის არქიპელაგი
ასი ყვავილის კამპანია
დიდი ნახტომი
დიადი პროლეტარული კულტურული
რევოლუცია
თეოკრატია

კითხვები გამეორებისათვის

1. რა განასხვავებს ტოტალიტარიზმს მმართველობის სხვა არადემოკრატიული ფორმებისაგან?
2. რა არის საჭირო წარმატებული საყოველთაო რევოლუციებისთვის?
3. როგორ ახერხებენ ტოტალიტარული სახელმწიფოები ძალაუფლების კონსოლიდაციას?
4. რა არის ტოტალიტარული მმართველობის სისტემის ძირითადი თვისებები?
5. რა იყო სტალინის მთავარი მიზანი საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნის მცდელობისას 1930-იან წლებში? რა მეთოდებს იყენებდა ამისთვის?
6. როგორ და რატომ ცდილობდა ჰიტლერი გერმანული საზოგადოების გარდაქმნას?
7. რა მოტივაცია არსებობდა *დიდი ნახტომისა* და *კულტურული რევოლუციის* უკან? რა მეთოდებს იყენებდნენ მაოისტები? როგორი საზოგადოება წარმოედგინათ მათ?
8. ადამიანური სიცოცხლის თვალსაზრისით, რა „ღირს“ ტოტალიტარიზმი?
9. „ტოტალიტარიზმი დასრულდა ჰიტლერის, სტალინისა და მაოს სიკვდილით“. ახსენით ეს ფრაზა.

შენიშვნები

1. William Kornhauser, The Politics of Mass Society (New York: Free Press, 1959), 123.
2. C.W. Cassinelli, Total Revolution: A Comperative Study of Germany, the Soviet Union under Stalin and China under Mao (Santa Barbara, Calif.: Clio Books, 1976), 225.
3. განსაზღვრება ეკუთვნის ჰანს ბუქჰეიმს, ციტირებულია Leonard Shapiro, Totalitarianism (New York: Praeger, 1972), 104.
4. Carl Friedrich და Zbigniew Brzezinski, Totalitarian Dictatorship and Autocracy, მე-2 გამოცემა (New York: Praeger: 1966), 88.
5. Cassinelli, Total Revolution, 231.
6. Friedrich and Brzezinski, Totalitarian Dictatorship, 279-339.
7. Eric Hoffer, The True Believer: Thoughts on the Nature of Mass Movements (New York: Harper & Row, 1951), 104-105.
8. იქვე, 86.
9. Raul Hilberg, The Destruction of the European Jews (New York: Harper& Row,1961), 12.
10. ციტირებულია Cassinelli, Total Revolution, 16.
11. Karl Dietrich Bracher, The German Dictatorship (New York: Holt, 1972), 181.
12. Maurice Latey, Patterns of Tyranny (New York: Atheneum, 1969), 172.
13. Adolf Hitler, Mein Kampf, მთარგმ. R. Manheim (Boston: Houghton Mifflin, 1971), 179-180.

14. იქვე, 182.
15. ციტირებულია David Shub, Lenin (Baltimore: Pelican, 1966), 62.
16. E.Kohr Bramstedt, ციტირებულია Hannah Arendt, The Origins of Totalitarianism (New York: Harcourt,1951), 333.
17. იქვე.
18. იქვე, 335-336.
19. ციტირებულია Leo Strauss, Thoughts on Machiavelli (Seattle: University of Washington Press,1968), 9.
20. Latey, Patterns of Tyranny, 100.
21. Cassinelli, Total Revolution, 103.
22. იქვე, 186.
23. ციტირებულია Bracher, German Dictatorship, 257.
24. იქვე, 187.
25. W.S. Allen, The Nazi Seizure of Power: The experience of a Single German Town, 1930-1935 (Chicago: Quadrangle Books, 1965).
26. Peter Drucker, "The Monster and the Lamb" Atlantic (December 1978): 84.
27. იქვე.
28. Friedrich and Brzezinski, Totalitarian Dictatorship, 374.
29. იქვე, 9-10.
30. Hannah Arendt, Totalitarianism (Orlando: Fla.: Harcourt, 1968), xiv.
31. იხ. Stalin, Mastering Bolshevism, 10; citirebulia Merle Fainsod, How Russia Is Ruled, ganaxlebuli gamocema (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1964), 435.
32. Aleksandr Solzhenitsyn, The Gulag Archipelago, 1918-1956 (New York: Harper & Row, 1974), 595.
33. Bracher, German Dictatorship, 258.
34. იქვე, 259-260.
35. იქვე, 262.
36. იქვე.
37. Hilberg, Destruction of the European Jews, 31.
38. Mao Zedong, Selected Works (Beijing: Foreign Languages Press,1960-1965), 224.
39. Franz Michaels and George Taylor, The Far East in the Modern World (New York: Holt, 1964), 479.
40. John King Fairbank, The United States and China, მე-4 გამოცემა (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1979), 409.
41. იქვე, 413.
42. იქვე.
43. Cassinelli, Total Revolution, 195.
44. იქვე, 243. რასაკვირველია, მონაცემები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, რუმელი, რომელიც სხვა კრიტერიუმებს იყენებს, ჰიტლერის, ლენინ-სტალინის და მაოსთვის საგრძნობლად განსხვავებულ რიცხვებს ასახელებს. თუმცა მის მიერ დასახელებული მთლიანი მონაცემი 105.5 მილიონი მოკლული ადამიანი საკმაოდ ახლოსაა კასინელის გამოთვლებთან. იხ. R. J.Rummel, Death by Government. (New Brunswick, N.J.: Transaction, 1996), 8.
45. მაგალითად, მანამადე გასაიდუმლოებული დოკუმენტების 1.5 მილიონი გვერდი

(ბრიტანეთის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს გადაჭერილი გერმანული შეტყობინებები, ისევე, როგორც ახლადგამომზეურებული რუსული დოკუმენტები) ცხადყოფს, რომ ჰიტლერმა სავარაუდოდ 7 მილიონამდე ებრაელი გაწყვიტა (განსხვავებით ხუთი-ექვსი მილიონისა, როგორც ამას კასინელი და სხვები ვარაუდობდნენ). იხ. ასევე 47-ე შენიშვნის კომენტარი.

46. Cassinelli, Total Revolution, 46.

47 იქვე, 186. კასინელის წიგნის გამოსვლის შემდეგ აღმოჩენილი ახალი ფაქტები ცხადყოფს, რომ ეს მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა აღნიშნულ პერიოდში მოკლულ ადამიანთა რიცხვს. ერთი ავტორიტეტული მკვლევარის აზრით, 1959-1962 წლებში, მხოლოდ შიმშილობის შედეგად, სულ მცირე 30 მილიონი ჩინელი დაიღუპა. შიმშილობის ძირითადი მიზეზი მაოს პოლიტიკა იყო, რომლის მიხედვით ჩინელ გლეხებს საკუთრება წაართვეს და კომუნებად დაასახლეს. იხ. Jasper Becker, Hungry Goasts: Mao's Secret Famine (New York: Free Press, 1997).

48. იქვე, 187.

49. ლაკორი ამ კონცეფციას საბჭოთა კავშირს არგებს, განსაკუთრებით ტოტალიტარიზმის შესახებ თავში. იხ. Walter Laqueur, The Dream That Failed, Reflections on the Soviet Union (New York: Oxford University Press, 1994), 77-95, 84.

ნაწილი II

ჩამოყალიბებული და განვითარებადი დემოკრატიები

თავი VI
საპარლამენტო დემოკრატია

თავი VII
სახელმწიფოები გარდამავალ პერიოდში: ახალი დემოკრატიები და აღმოცენებადი მაზრები

თავი VIII
განვითარებადი ქვეყნები: დემოკრატია თუ დიქტატურა?



თავი VI

საპარლამენტო დემოკრატია

დიდი ბრიტანეთი: ნიმუში

● შერეული წყობა ● ძალაუფლებათა შერწყმა ● ხელისუფლებაში ყოფნის განუსაზღვრელი ვადები ● „დისციპლინებული“ პარტიები ● ორი მეთაური სჯობს თუ ერთი? ● შესაძლებელია თუ არა ბრიტანული ინსტიტუტების „გადანერგვა“?

დემოკრატიის შეგუებადობა: ხუთი შემთხვევა

საფრანგეთი: პრეზიდენტი პარლამენტის წინააღმდეგ

● მეხუთე რესპუბლიკა: ჰიბრიდული სისტემა ● აღმასრულებელი ხელისუფლება ● ეროვნული ასამბლეის შეზღუდული როლი ● პოლიტიკური პარტიები ● კონსტიტუცია ქვეშ: ბალანსის გამოცდა ● სასამართლო სისტემა ● მუშაობს თუ არა დემოკრატია საფრანგეთში?

გერმანია: ფედერალიზმი მილიტარიზმის წინააღმდეგ

● ვაიმარის რესპუბლიკა ● გაყოფილი გერმანია: ცივი ომის მინი მოდელი ● გაერთიანებული გერმანია: დემოკრატიის ტრიუმფი ● გერმანული ფედერალიზმი ● აღმასრულებელი ხელისუფლება ● საკანონმდებლო ხელისუფლება ● პოლიტიკური პარტიები ● სასამართლო ხელისუფლება ● ძირითადი კანონი და სამოქალაქო თავისუფლებები ● მუშაობს თუ არა დემოკრატია გერმანიაში?

იაპონია: საპარლამენტო მმართველობა კონსენსუსის ქვეყანაში.

● ისტორიული წანამძღვრები ● ახალი კონსტიტუცია ● საპარლამენტო დემოკრატია: გარეგნული და რეალური ● პარტიული სისტემა ● პოლიტიკურ ცვლილებათა შემაფერხებელი ფაქტორები ● სასამართლო ხელისუფლება და იაპონური კულტურა ● მუშაობს თუ არა დემოკრატია იაპონიაში?

საპარლამენტო მმართველობა მოულოდნელ ადგილებში

● ინდოეთი: საპარლამენტო სასწაული ● ისრაელი: ომის რესპუბლიკა

პრეზიდენტები და პარლამენტები: შედარებითი დახასიათება

● საკანონმდებლო ხელისუფლება ● აღმასრულებელი ხელისუფლება ● სასამართლო ხელისუფლება ● ორი სისტემის უპირატესობები და ნაკლოვანებები ● კონსტიტუციები და კონტექსტები

კონსტიტუციონალიზმის ცნება (იგივე კანონის უზენაესობა) ღრმად არის ფესვგადგმული ბრიტანულ ისტორიაში. თუმცა, ამერიკის „დაწერილი“ კონსტიტუცია მკვეთრად განსხვავდება ბრიტანეთის „დაუწერელი“ კონსტიტუციისაგან, რომელიც ეფუძნება პრეცედენტებს, კანონებს, ტრადიციებს, და ასევე საპარლამენტო უზენაესობის პრინციპს.

მაშინ როცა ამერიკული საპრეზიდენტო სისტემა რაციონალური განსჯისა და აზროვნების შედეგად შექმნილ და ფურცელზე გადატანილ ერთგვარი „წესდების“ პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენს, ბრიტანული საპარლამენტო სისტემა ბრიტანეთის პოლიტიკური ცხოვრების მდიდარ გამოცდილებას ეფუძნება. ბრიტანეთის პოლიტიკური ინსტიტუტები განვითარდა და თანდათან ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების ერთგვარ „ლაბორატორიაში,“ ამ უკანასკნელის ევოლუციის პარალელურად. ამრიგად, ბრიტანულ „კონსტიტუციას“ აქვს საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები. ბრიტანული საპარლამენტო სისტემის ორგანული ბუნებიდან გამომდინარე, ისმის ლოგიკური კითხვა – რამდენად შესაძლებელია მისი გადანერგვა და ადაპტირება სხვა საზოგადოებებში? თუმცა, ვიდრე ამ საკითხს გავარკვევთ, უფრო დეტალურად განვიხილოთ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ბრიტანული ფორმის თავისებურებები.

დიდი ბრიტანეთი: ნიმუში

კონსტიტუციური დემოკრატიის ამერიკული ექსპერიმენტი წარმოადგენდა ევროპულ ავტოკრატიულ ტრადიციასთან მკვეთრ გამიჯვნას, რამაც ახალი პოლიტიკური თეორიების შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა. მაგალითისათვის, „ფედერალისტს“ არ გააჩნია ბრიტანული ანალოგი. თუმცა, ბრიტანული დემოკრატიის ერთგვარი თეორია შესაძლოა ამოიკრიბოს და შეიკრას ედმუნდ ბერკის (1729-1797) წერილობითი ნაშრომებისა და გამოსვლების შესაბამისი ფრაგმენტებისაგან. ბერკმა დეტალურად დაახასიათა ბრიტანეთის პოლიტიკური განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, რომლის დროსაც ეკონომიკური თანასწორობისკენ გადადგმულ ნაბიჯებს თან ახლდა პოლიტიკურ თავისუფლებათა სფეროს გაფართოება. მონარქიის შესუსტების პარალელურად, ბრიტანეთის ხელისუფლება თანდათან უფრო დემოკრატიული გახდა და ***საპარლამენტო სისტემისკენ*** გადაიხარა. ასევე თანდათანობით დამკვიდრდა ის ტრადიცია, რომ ბრიტანეთის მონარქი ავტომატურად ამტკიცებდა პარლამენტის მიერ არჩეულ პრემიერ-მინისტრს. დროთა განმავლობაში, პრემიერ-მინისტრმა, როგორც ხელისუფლების ქმედითმა მეთაურმა, ჩაანაცვლა მონარქი. დღეისათვის, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აღმასრულებელი ხელისუფლების ექსკლუზიური განმკარგავია, მაშინ როცა მონარქი მხოლოდ ნომინალური ფიგურაა.

შერეული წყობა

მე-17 საუკუნიდან ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემა იქცა პირველ მაგალითად არისტოტელეს მიერ დახასიათებული ***შერეული რეჟიმისა***, სადაც სხვადასხვა კლასებს სხვადასხვა ინსტიტუტები წარმოადგენენ. მე-19 საუკუნეში პარლამენტის

მზარდი უპირატესობა სამეფო ხელისუფლებასთან შედარებით, მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ პარლამენტის ორი პალატა წარმოადგენდა ბრიტანული საზოგადოების სხვადასხვა კლასის ინტერესებს. ლორდთა პალატა წარმოადგენდა ტრადიციული მმართველი კლასების ინტერესებს, მაშინ როცა თემთა პალატა, თავისუფალი არჩევნების გზით, თანდათანობით იქცა ამომრჩეველთა სულ უფრო ფართო წრეების ინტერესების გამომხატველად.

დიდი ბრიტანეთის შერეულმა რეჟიმმა, სხვადასხვა კლასთა შორის გარკვეული პოლიტიკური წონასწორობის უზრუნველყოფით, ისტორიულად შეუწყო ხელი სტაბილურობას. სხვა შემთხვევაში, ეს კლასები შესაძლოა ღიად დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს და საფრთხე შეექმნათ მთლიანად პოლიტიკური სისტემისათვის. დღეისათვის ბევრი რამ შეიცვალა. ის, რასაც ხშირად ბრიტანულ „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ უწოდებენ, ფაქტობრივად შემოსავალთა გადანაწილების კარგად გამართული სისტემაა, რომელიც მიზნად ისახავს ფართო საშუალო კლასის ჩამოყალიბებას. ძლიერი და მრავალრიცხოვანი საშუალო კლასის განვითარებამ აზრიც კი დაუკარგა ეკონომიკურად განცალკევებული კლასების ინტერესთა ტრადიციულ წარმომადგენლობას, თუმცა, კონსერვატული და ლეიბორისტული პარტიები მაინც აგრძელებენ „მაღალი“ და „დაბალი“ სოციალური ჯგუფების ინტერესთა ლობირებას. ამ ტენდენციას თვალსაჩინოდ ასახავს უფრო ფართო წარმომადგენლობითი მანდატის მქონე თემთა პალატის ისტორიულად მზარდი უპირატესობა არისტოკრატიულ ლორდთა პალატასთან შედარებით. ლორდთა პალატა შედგება 1100 წარმომადგენლისაგან, რომელთაც გააჩნიათ არისტოკრატიული ტიტულები (რომელიც ძირითადად მემკვიდრეობით გადაეცემათ), მაგრამ მათგან მხოლოდ 300-მდე მონაწილეობს აქტიურად პალატის მუშაობაში.[1] ლორდთა პალატამ ფაქტობრივად აღიარა თემთა პალატის უპირატესობა 1911 და 1949 წლების საპარლამენტო აქტების დამტკიცებით, რომელთა მიხედვითაც ლორდთა პალატას არ ძალუძს თემთა პალატის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს გავრცელება (მას შეუძლია მაქსიმუმ ერთი წლის ვადით მხოლოდ გააჭიანუროს კანონის ძალაში შესვლა).

ძალაუფლემათა შერწყმა

ბრიტანული საპარლამენტო სისტემის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლება, ანუ პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი, დაკომპლექტებულია თემთა პალატაში ხმათა უმრავლესობით გამარჯვებული პარტიის ლიდერებით. არჩევნების შემდეგ, გამარჯვე-ბული პარტია ასახელებს ახალი კაბინეტის წევრებს (მინისტრებს), რომელთაც ამტკიცებს პარლამენტი და ნიშნავს დედოფალი. ამგვარად ყალიბდება ახალი მთავრობა. მთავრობა პასუხისმგებელია საკანონმდებლო ინიციატივების ჩამოყალიბებასა და წარდგენაზე. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ყველა წევრს, მათ შორის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს გააჩნიათ სრული უფლება გააკრიტიკონ ან სულაც საეჭვო გახადონ საკანონმდებლო ინიციატივის მართებულობა, მთავრობას ფაქტობრივად გარანტირებული აქვს საკანონმდებლო პროგრამის დამტკიცება, რადგანაც ბრიტანულ სისტემაში ყოველთვის არის ერთგვაროვანი უმრავლესობა.

საპარლამენტო სისტემების უმრავლესობა მოქმედებს ბრიტანული სისტემის მსგავსად, თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, მთავრობას არ შეუძლია დაეყრდნოს

ერთგვაროვან უმრავლესობას საკანონმდებლო ორგანოში. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში საკანონმდებლო სტრუქტურა დაკომპლექტებულია ხუთი-ექვსი სხვადასხვა კონკურენტი პოლიტიკური პარტიით, განსხვავებით ბრიტანეთისაგან, სადაც მხოლოდ ორი ძირითადი პარტიაა წარმოდგენილი. თავის მხრივ, მრავალპარტიულ პარლამენტებში, ხშირად არც ერთ პარტიას არ აქვს ხმათა აშკარა უმრავლესობა იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს მთავრობა. ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება კოალიციის შექმნა (ორი ან მეტი პარტიის შეთანხმებით და ძალთა გაერთიანებით). ზოგიერთ შემთხვევაში კოალიციური მთავრობა საკმაოდ წარმატებულად მუშაობს, ზოგჯერ – ვერ ამართლებს. უარეს შემთხვევაში, ისე როგორც ეს, მაგალითად, იტალიაშია, საპარლამეტო მმართველობა შესაძლოა იყოს არასტაბილური და ქაოსურიც კი.

ხელისუფლებაში ყოფნის განუსაზღვრელი ვადები

როდესაც 1997 წლის მაისში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლეიბორისტი ტონი ბლერი გახდა, იგულისხმებოდა, რომ იგი ამ ფუნქციას მომდევნო ხუთი წლის ვადით ან უფრო ნაკლები დროის განმავლობაში შეასრულებდა. ამ მიმართებაშიც, ბრიტანული და ამერიკული სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება. აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, ხოლო კონგრესის (საკანონმდებლო ორგანო) წარმომადგენელთა პალატა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მთლიანად გადაირჩევა, ისევე როგორც სენატის ერთი მესამედი (როტაციულად). ბრიტანულ სისტემაში ხელისუფლებაში ყოფნის ვადები ფაქტობრივად განუსაზღვრელია. პარლამენტი სავალდებულოდ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა გადაირჩეს, თუმცა პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, თუ მიიჩნევს, რომ მოცემულ მომენტში ელექტორატის განწყობა მმართველი პარტიისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია. ამის მსგავსად, საკანონმდებლო ორგანოსაც შეუძლია იძულებით დაითხოვოს მთავრობა, მისთვის „უნდობლობის“ გამოცხადების გზით. ამ შემთხვევაში, ან ახალი მთავრობა ყალიბდება შესაბამისად ახალი შემადგენლობით, ან დედოფალი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს ახალ არჩევნებს.

ახალი არჩევნების დანიშვნის უფლებამოსილება ბრიტანულ სისტემაში მნიშვნელოვანი პრეროგატივაა, რადგან ის ზრდის მმართველი პარტიის შანსებს გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნის ვადები დადგენილ ხუთ წელიწადზე მეტი ხნით. პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა ზედმიწევნით კარგად გამოიყენა ამგვარი შესაძლებლობა. მაგალითად, 1983 წელს – პრემიერ-მინისტრობის მეოთხე წელიწადს – ბრიტანული პარტიოტიზმის ერთგვარი აღზევების ფონზე, რაც პროვოცირებული იყო ფოლკლენდის კუნძულების კრიზისითა და მისი თანმდევი ხანმოკლე ომით არგენტინასთან, მან წარმატებით მოახერხა მმართველი კონსერვატიული პარტიის მანდატის გახანგრძლივება დამატებით ხუთი წლის ვადით. შემდგომ, 1987 წელს – ისევ ხელისუფლებაში მეორე ვადით ყოფნის ოთხი წლის თავზე – მან გამოაცხადა ვადამდელი არჩევნები და მმართველობა კიდევ დამატებით ხუთი წლის ვადით გაიხანგრძლივა. პრემიერ-მინისტრის ფუნქციის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლოა სხვა მიზეზითაც იყოს გამოწვეული. კერძოდ, თუ პოლიტიკური ზეწოლა ან დაძაბულობა მატულობს, პოლიტიკური ლიდერების შეცვლა შესაძლოა

არსებული სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავალი გახდეს. 1992 წელს პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის რეიტინგი მკვეთრად დაეცა ქვეყანაში მის მიერ ძალზე არაპოპულარული და, ბევრის აზრით, რეგრესული და უსამართლო ინდივიდუალური გადასახადის მხარდაჭერის გამო. ტეტჩერი საკუთარი პარტიის შიგნითაც მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცა. მან არჩევნებში დამარცხებას პარტიის ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვება არჩია, მმართველობის სადავეები კი მის მიერვე ხელდასხმულ ჯონ მეიჯორს გადასცა. მარგარეტ ტეტჩერს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა უწყვეტად ათ წელიწადზე მეტ ხანს ეკავა, რაც ამ პოსტზე ყოფნის ყველაზე ხანგრძლივი ვადაა. კონსერვატორთა („ტორთა“) პარტიამ მეიჯორის თაოსნობით ბევრის გასაოცრად მოიგო მომდევნო არჩევნები, თუმცა მცირე – ცხრა საპარლამენტო მანდატის უპირატესობით, რამაც „ტორთა“ მთავრობას შეუნარჩუნა და გაუხანგრძლივა ხელისუფლებაში ყოფნის ვადა 1997 წლის გაზაფხულამდე, როცა „ტეტჩერის ეპოქა“ ლეიბორისტთა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ დაასრულა.

მარგარეტ ტეტჩერის გადადგომა პარტიის ლიდერის პოსტიდან არ ყოფილა უპრეცედენტო. 1940 წელს კონსერვატორი პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტია კვლავაც წარმოადგენდა აშკარა უმრავლესობას თემთა პალატაში. მაგრამ, მიუნხენში ადოლფ ჰიტლერთან დათმობებზე წასვლის გამო, მისი პოპულარობა და რეიტინგი ხალხში იმდენად დაეცა და იმდენად შეირყა მისთვის მინიჭებული „ნდობის“ მანდატი პარტიის შიგნით, რომ პრემიერი იძულებული გახდა განზე გამდგარიყო და პოსტი დაეტოვებინა. თუმცა, ამის შემდგომ ახალი არჩევნები არ დანიშნულა, რადგან კონსერვატორებს პარლამენტში მყარი უმრავლესობა ჰქონდათ და პარტიის ერთ-ერთმა გამორჩეულმა წარმომადგენელმა თემთა პალატაში, უინსტონ ჩერჩილმა, წარმატებით შეძლო ბრიტანელთა მობილიზება მისი პიროვნული ქარიზმის ირგვლივ.

არსებობს სხვა გარემოებებიც, რამაც ვადამდე, ანუ დადგენილ ხუთ წლამდე, მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტა შეიძლება გამოიწვიოს. იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობის პარტია განსაკუთრებით არაპოპულარული ხდება, ან მთავრობა გაეხვევა რაიმე სკანდალში, ოპოზიციას შეუძლია ისარგებლოს ზემოთ ნახსენები **უნდობლობის ვოტუმის** უფლებით. ამ უფლების განხორციელება, ჩვეულებრივ, მოითხოვს უმრავლესობის რიგებიდან რამდენიმე უკმაყოფილო ან მთავრობის პოლიტიკით გაღიზიანებული წევრის გადმობირებას და მათი ხმების დახმარებით, შესაძლებელი ხდება მთავრობის იძულებით დათხოვნა. როგორც წესი, როცა კაბინეტი გადადგება, პრემიერ-მინისტრი მიმართავს დედოფალს, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები. ამგვარი რამ ხშირია მრავალპარტიულ საპარლამენტო სისტემებში, თუმცა დიდ ბრიტანეთში ახლო წარსულში ეს არ მომხდარა.

დაბოლოს, არის კიდევ ერთი მიზეზი, რამაც შესაძლოა მთავრობის ვადაზე ადრე დაშლა გამოიწვიოს. ამგვარი ვითარება შეიძლება შეიქმნას მაშინ, როცა უმრავლესობას ძალზე უმნიშვნელო უპირეტესობა აქვს პარლამენტში და მესამე პარტიის მცირე წარმომადგელობა ორ ძირითად პარტიას შორის ბალანსისათვის კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, გერმანიაში მსგავსი ვითარება გრძელდება უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს. მთავრობას შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეექმნას ხელისუფლების სტაბილურობის თვალსაზრისით ან სულაც დაიშალოს, თუ მისი „უმცროსი პარტნიორი“ მერყეობს, იცვლის მხარეებს ან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას უარს აცხადებს მხარდაჭერაზე.

„დისციპლინირული“ პარტიები

ბრიტანული საპარლამენტო სისტემის კიდევ ერთი მახასიათებელია ე.წ. **დისციპლინებული** პარტიების არსებობა. ამგვარი პარტიები, მიდრეკილნი არიან კოორდინირებული ქმედებების, ერთსულოვანი ხმის მიცემის პრინციპებისკენ და მნიშვნელოვნად განსხვავდება ამერიკული პარტიებისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო დეცენტრალიზებულნი, ნაკლებად მკაცრად სტრუქტურიზებულნი და ინდივიდებზე ორიენტირებულნი არიან. ამრიგად, ბრიტანეთში კონსერვატული და ლეიბორისტული პარტიები ინარჩუნებენ მდგრად პარტიულ პლატფორმებს, რომლებიც განსხვავებულ ფილოსოფიურ და ტრადიციურ წანამძღვრებს ეფუძნება: კერძოდ, ერთი – კონსერვატულ ღირებულებებსა და ბიზნესზე, ხოლო მეორე სოციალისტურ იდეებსა და მუშათა კლასზე ორიენტირებულ ტრადიციულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს.

პარლამენტში არჩევნების შედეგად მოსული უმრავლესობა, იღებს რა ქვეყნის მართვის სადავეებს ხელში, თავისი წევრებისაგან მოითხოვს ერთსულოვან მხარდაჭერას საარჩევნო პროგრამის განხორციელებაში. პარლამენტის იმ წევრებს (უმრავლესობიდან), რომლებიც მთავრობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან კანონ-პროექტს მხარს არ დაუჭერენ, პარტიის უკმაყოფილება ემუქრებათ, რაც ძირითადად გამოიხატება მომდევნო არჩევნებში ამ პირების პარტიული სიიდან ამოღებაში. „უკომპრომისოთა“ მხოლოდ ძალზე მცირე რიცხვი ახერხებს ამ რისკის თავიდან აცილებას.

თუმცა, მკაცრი პარტიული დისციპლინა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის წევრები არასდროს გადადიან დაწესებულ ზღვარს იქით და საკუთარ ხმას არ იყენებენ ოპოზიციური გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად, ან კიდევ იმას, რომ ნაკლებად პომპეზურმა წევრებმა ყოველთვის უყოყმანოდ თავი უნდა უქნიონ კოლეგებს ამა თუ იმ საკითხის კენჭისყრისას და ხმა მისცენ მის სასარგებლოდ. მაგალითისათვის, მათ შეუძლიათ ძალზე მნიშვნელოვან შემთხვევებშიც კი, წარმატებით გამოიყენონ ხმის მიცემისაგან თავის შეკავების შესაძლებლობა. განსაკუთრებით უკმაყოფილო წევრებს კი შეუძლიათ სრულადაც განუდგნენ პარტიას და შექმნან ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია. ეს პრაქტიკაში იშვიათად ხდება, თუმცა შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაჯგუფებები და ცვლილებები. მეოცე საუკუნის დასაწყისში ამგვარ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ტრადიციული ლიბერალური პარტია (ვიგები) დაჩრდილა და ფაქტობრივად ჩაანაცვლა მზარდი პოპულარობის მქონე ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელმაც წარმატებით შეძლო ბრიტანეთის მუშათა კლასის ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად მობილიზება. 1980-იანი წლების დასაწყისში, პარლამენტის ზოგიერთმა იმედგაცრუებულმა ლეიბორისტმა წევრმა დატოვა პარტია და ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც 1987 წლის ზაფხულში შეუერთდა ძველ ლიბერალურ პარტიას (და შექმნა ე.წ. ალიანსი), რომელიც პოლიტიკური ცენტრის დაკავებას შეეცადა. 1990 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტია საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე დაიშალა.

ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა როლს ასრულებს ამ საპარლამენტო სისტემაში ე.წ. „მისი აღმატებულების /დედოფლის/ ერთგული ოპოზიცია“, როგორც მას ხშირად უწოდებენ დიდ ბრიტანეთში? იმდენად, რამდენადაც უმრავლესობის პარტიას ხელეწიფება სასურველი საკანონმდებლო პროგრამის „გატანა“ პარლამენტში სა-

კუთარი ხმების მეშვეობით, ოპოზიციურ პარტიებს, ანუ უმცირესობას, ლიმიტირებული, თუმცა არა უმნიშვნელო ფუნქციის შესრულება უწევს. ისინი აკრიტიკებენ უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს და ცალკეულ შემთხვევებში, გავლენასაც ახდენენ შესაბამის გადაწყვეტილებებზე. მაშინაც კი, როდესაც ოპოზიციური პარტიის გავლენა უმნიშვნელოა, მისი კრიტიკა ძირითადად საფუძვლიანია და პასუხისმგებლობით განმსჭვალული, რადგან ოპონენტები „საკუთარ თავზე ფიქრობენ, როგორც მომდევნო ხელისუფლებაზე, და „კეთილგონიერი ოპოზიცია“ მოქმედებს იმ ფარგლებში, რომელსაც იმედოვნებს, რომ ასევე არ გადააჭარბებენ მისი მომავალი ოპონენტები, როცა ძალთა განლაგება შეიცვლება.“[2] აღსანიშნავია, რომ ბრიტანულ საპარლამენტო ტრადიციაში ოპოზიციის ცნება არანაირ სტიგმას არ უკავშირდება. როგორც ლოიალურ ოპოზიციას, უმცირესობის წევრებს მიაჩნიათ, რომ მათი მოვალეობაა მთავრობის კრიტიკა. როგორც ერთი ექსპერტი აღნიშნავს:

> ბრიტანულ პოლიტიკურ ცხოვრებაში უკვე ტრადიციად იქცა, რომ უნდა არსებობდეს პარტია, რომელიც აყალიბებს მთავრობას, ისევე როგორც პარტია, რომელიც აყალიბებს ოპოზიციას და რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს ალტერნატიულ მთავრობას. ორგანიზებული ოპოზიცია ახლა არ ითვლება საბოტაჟურ ან მოღალატეობრივ ძალად. 1973 წლიდან, ოპოზიციის ლიდერი იღებს სპეციალურ გასამრჯელოს საჯარო ფონდიდან და ხალხი ხშირად საუბრობს „მისი აღმატებულების ოპოზიციაზე“, რადგან ოპოზიციის არსებობა მოიაზრება, როგორც დედოფლის ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი.[3]

ღრი მეთაური სჯობს თუ ერთი?

აშშ-საგან განსხვავებით, სადაც ერთი უმაღლესი ხელისუფლების პირი (პრეზიდენტი) ერთდროულად არის სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის მეთაური, დიდი ბრიტანეთი ინარჩუნებს ***გაორებული აღმასრულებელი ხელისუფლების*** ტრადიციას, რომელიც ყოფს ამ ორ ფუნქციას. ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაური არის გვირგვინოსანი მონარქი. დედოფალი ელისაბედ II-ს, „სავარაუდოდ მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ადამიანს,“ უკვე ხუთ ათწლეულზე მეტია ბრიტანეთის სამეფო ტახტი უჭირავს. როგორც სახელმწიფოს ნომინალური მეთაური, მონარქი ძირითადად ცერემონიულ როლს ასრულებს სახელმწიფო ცხოვრებაში, უძღვება ეროვნულ დღესასწაულებთან დაკავშირებულ სახალხო ზეიმებსა და ცერემონიებს, აწყობს დიპლომატიურ მიღებებს ელჩებისა და სხვა ქვეყნების მეთაურთათვის, გარკვეულ საერთაშორისო ღონისძიებებზე წარმოადგენს სახელმწიფოს. მონარქი ნაციონალური სიმბოლო და ერთიანობის წყაროა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს და არა ხელისუფლებას.

ბრიტანეთის ხელისუფლების რეალური მეთაურია საპარლამენტო სისტემის საყრდენი ფიგურა – პრემიერ-მინისტრი, რომელიც კაბინეტის ძირითად წევრებთან ერთად (ხშირად უწოდებენ შიდა კაბინეტს), განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ეროვნული პოლიტიკა მუშავდება მთავრობის ძირითადი გუნდის მიერ, რომელიც შემდგომ წარედგინება მთლიანად კაბინეტს. კაბინეტის ის წევრები, რომლებიც კრიტიკულ საკითხებსა თუ საკვანძო გადაწყვეტილებებში არ ეთანხმებიან მთავრობას, როგორც წესი, ხმაურის გარეშე თვითონვე ტოვებენ თანამდებობას.

დიდი ბრიტანეთის ორმაგი აღმასრულებელი სისტემა წარმოდგენილია დედოფლის ელისაბედ II-ის (მარცხნივ) – სახელმწიფოს მეთაურის ეროვნული სიმბოლოსა და პრემიერ მინისტრის, ტონი ბლერის (მარჯვნივ) – ქვეყნის ხელისუფლების რეალური მეთაურის სახით (2007 წლიდან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნია — მთარგმნ. შენ.).

ბუნებრივია, ყველა საპარლამენტო სისტემა არ ფუნქციონირებს ბრიტანულის მსგავსად. უმეტესობას არ გააჩნია საპარლამენტო მმართველობის ხანგრძლივი ისტორია და ძლიერი ტრადიცია, რაც ბრიტანული სისტემისათვის მყარ საძირკველს ქმნის. ამდენად, მსგავსი პოლიტიკური კულტურის არქონის პირობებში, ბრიტანული სტილის დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე სხვა ქვეყნების უმრავლესობა დაწერილ კონსტიტუციას ეყრდნობა. სამწუხაროდ, დაწერილი კონსტიტუციების უმრავლესობასაც არა აქვს ისეთი „ხანგრძლივი ისტორია და ძლიერი ტრადიცია," როგორიც ამერიკულ საპრეზიდენტო სისტემას. აქედან გამომდინარე, ამ ორი პოლიტიკური სისტემის მაგალითად გამოყენება შეიცავს საფრთხეს, რომ მკითხველმა მოახდინოს მცდარი გაიგივება დემოკრატიასა და ხელისუფლების სტაბილურობას შორის. სინამდვილეში, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო დემოკრატიების უმრავლესობას ხშირად უხდება არასტაბილურობის ხანმოკლე „რყევებთან" გამკლავება.

შესაძლებელია თუ არა მრიცანული ინსტიტუტების „გადანერგვა"?

საპარლამენტო სისტემების უმრავლესობა ევროპაში ჩამოყალიბდა ბრიტანული ნიმუშის მსგავსად. იტალია საპარლამენტო მმართველობაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადავიდა. საფრანგეთში საპარლამენტო სისტემა არსებობდა 1876 წლიდან (მესამე რესპუბლიკის დასაწყისი) 1958 წლამდე (მეოთხე რესპუბლიკის დასასრული). ორივე ქვეყანას ამგვარი მმართველობის განსხვავებული გამოცდილება გააჩნია.

საფრანგეთსა და იტალიაში პოლიტიკური პარტიები და პარლამენტი იქცა წამყვან პოლიტიკურ ძალად. ბრიტანეთის კონსტიტუციურ სისტემაში არსებული პრემიერ-მინიტრისა და კაბინეტის, როგორც უმნიშვნელოვანესი მართვის ინსტიტუტის როლი, ამ ორ ქვეყანაში შემცირდა. ტრადიციულობით, თავდაჭერილობითა და პრაგმატულობით გამორჩეული ბრიტანელი ხალხისაგან განსხვავებით, ფრანგული და იტალიური საზოგადოებები უფრო ღრმა სოციალური დაპირისპირებებითა და რადიკალური პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერისკენ მიდრეკილებით ხასიათდება. ორივე ქვეყანაში პოლიტიზების მაღალმა დონემ ხელი შეუწყო მრავალპარტიულობის განვითარებასა და მცირე პოლიტიკური დაჯგუფებების წარმოქმნას. ამგვარ ვითარებაში, პარტიული სისტემა დანაწევრდა, შიდაპარტიული დისციპლინა ფაქტობრივად მოიშალა და მთავრობა იქცა დაუსრულებელი საკანონმდებლო ქიშპობის მძევლად. განზოგადებულად შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო აქტიური და რთულად სამართავია საზოგადოება და რამდენადაც უფრო დანაწევრებულია პოლიტიკური სპექტრი, მით უფრო ქაოსური და არამყარი ხდება ხელისუფლება. ამგვარ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია ძლიერი და ენერგიული აღმასრულებელი შტოს არსებობა, რომელიც საფრანგეთში 1958 წლამდე არ არსებობდა, ხოლო იტალიაში, ფაქტობრივად, დღემდე არ არსებობს.

ამგვარმა სიტუაციამ პოლიტიკური ჩიხის მდგომარეობამდე მიიყვანა ორივე ქვეყანა სხვადასხვა დროს. საფრანგეთში, მესამე და მეოთხე რესპუბლიკის მმართველობის განმავლობაში, ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო ადგილების უმრაველსობის მოპოვება ნაციონალურ ასამბლეაში. იმავე პერიოდში, საფრანგეთმა 119 მთავრობა გამოიცვალა, რომელთა საშუალო სიცოცხლისუნარიანობა მხოლოდ წელიწადს შეადგენდა. ცალკეულ შემთხვევებში კი მთავრობათა ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ რამდენიმე თვე ან კვირა გრძელდებოდა. ასეთივე მერყეობით ხასიათდებოდა პოლიტიკური მმართველობა იტალიაშიც, სადაც 1945-დან 1986 წლამდე 40 პრემიერ-მინისტრი შეიცვალა, (საშუალოდ თითოეულის მმართველობის წელიწადზე ნაკლები ხანგრძლივობით).

მრიცანული დღის წესრიგი: მაგალითი

ეკონომიკა და ელექტორატი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის მდგომარეობა დიდ ბრიტანეთში მთავარი პოლიტიკური საკითხი იყო. გერმანიის, იტალიის და საფრანგეთის მუდმივად უკეთესი მაჩვენებლები შეშფოთებას იწვევდა. ლეიბორისტთა ხელმძღვანელობით XX საუკუნის 50-60-იან წლებში ბრიტანეთი განვითარდა კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელად, როგორც მას კეთილგანწყობილი დამკვირვებლები უწოდებდნენ. 1970-იან წლებში ბრიტანეთის დაღმავალი ეკონომიკა „სტაგფლაციამ“ (ინფლაციისა და რეცესიის ყველაზე ცუდმა კომბინაციამ) დაასუსტა.

კონსერვატორი ლიდერი მარგარეტ ტეტჩერი დიდი, ძლიერი მთავრობის მკაცრი ოპონენტი იყო. 1979 წელს, პრემიერ მინისტრად გახდომის შემდეგ ტეტჩერმა სახელმწიფო საწარმოების ხელახალი პრივატიზაცია და ბრიტანეთის ეკონომიკის სისტემატური დაბალანსება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებ-

ში ტეტჩერის ხელმძღვანელობით, ეკონომიკის მდგომარეობა გაუმჯობესდა, დიდ ბრიტანეთში შედარებით კვლავ მაღალია უმუშევრობა, არასახარბიელოა ზრდა და პასიურია საწარმოო სექტორი. 1992 წელს ტეტჩერი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ გადადგა. კონსერვატორებმა არჩევნებში როგორღაც კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს და ჯონ მეიჯორმა, ტეტჩერის მემკვიდრემ, ქვეყანას იგივე ეკონომიკური კურსი შეუნარჩუნა. მეიჯორის ხელმძღვანელობით ბრიტანეთის ეკონომიკამ წინსვლა დაიწყო – 1996 წელს 2.2%, ხოლო 1997 წელს – 3.2%-ით გაიზარდა. ინფლაცია ზომიერი იყო, დაახლოებით 2.5%. 1997 წლის დასაწყისში უმუშევრობის დონეც კი შემცირდა 6.2%-მდე (შეადარეთ საფრანგეთის უმუშევრობის დონეს, რომელიც 12%-ს შეადგენდა).

ბრიტანელი ამომრჩევლები ჯერ ისევ ცუდ გუნებაზე იყვნენ და 1997 წლის მაისში, პირველად თვრამეტი წლის მანძილზე, კონსერვატორებს ხელისუფლებიდან იშორებდნენ. ამის ერთი მიზეზი ის იყო, რომ სტატისტიკური მონაცემების მიუხედავად, ბრიტანეთის საშუალო კლასის მრავალი წარმომადგენელი ცხოვრების ხარისხის დაცემას გრძნობდა. ახლად არჩეული პრემიერ მინისტრის ტონი ბლერის წინაშე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური კითხვა დადგა ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით.

გადასახადები და სახელმწიფო ხარჯები

1979 წელს, კონსერვატორების არჩევნებში გამარჯვების დროს, ლეიბორისტული პარტიის დანატოვარი გადასახადები მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 40% შეადგენდა. პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა გადასახადების ტვირთის შემცირების შესახებ დანაპირები შეასრულა და 1990-იანი წლების დასაწყისში გადასახადები მშპ-ს 34%-ს შეადგენდა. მაგრამ ამ უშედეგო სტატისტიკამ მუშათა კლასს გადასახადების ტვირთი ვერ შეუმსუბუქა. 1994 წელს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებმა აჩვენა, რომ ჯონ მეიჯორის კონსერვატორთა მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად გადასახადების საშუალო გადამხდელი 1994-95 წლებში, 1978-79 (ლეიბორისტთა ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო წელი) წლებთან შედარებით, საკუთარი შემოსავლის უფრო მეტ წილს თმობდა. არჩევნებამდე სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამომრჩევლები ახალი ლეიბორისტული ხელისუფლებისაგან გადასახადების გაზრდას მოელოდნენ, თუმცა ბევრი ისე იყო განრისხებული ჯონ მეიჯორზე, რომ ყველაფრის მიუხედავად ლეიბორისტებისთვის აპირებდა ხმის მიცემას. თავის მხრივ, ტონი ბლერი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არ გაიზრდებოდა და გათბობაზე დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) შეკვეცდა.

ტერორიზმი და ჩრდილოეთ ირლანდია

1969 წლიდან მოყოლებული კათოლიკე და პროტესტანტი ექსტრემისტების მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შედეგად დაახლოებით 3 ათასი ადამიანი დაიღუპა. 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტამდე ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ ტერორისტული შეტევები განახორციელა, რათა ბრიტანელებს ჩრდილოეთ ირლანდია დაეტოვებინათ: სცადეს როგორც ტეტჩერის, ასევე მეიჯორის მოკვლა. 1990 წელს არმიის ტერორისტებმა იან გოუ – პარლამენტის კონსერ-

ვატორი წევრი და ტეტჩერის მესაიდუმლე მოკლეს. პრობლემის გადაჭრისას უნდა გაეთვალისწინებინათ იმ პროტესტანტთა მოთხოვნები, რომელთაც ბრიტანეთის მხარდაჭერა ჰქონდათ და რიცხობრივად აჭარბებდნენ ჩრდილოეთ ირლანდიაში მცხოვრებ კათოლიკეებს, ასევე კათოლიკეთა მოთხოვნები, რომლებიც ირლანდიის რესპუბლიკის უმრავლესობას შეადგენდნენ. პრობლემის მოგვარების იმედი 1998 წლის აპრილში ჩაისახა, როდესაც დაინტერესებული მხარეები მრავალმხრივ ხელშეკრულებაზე შეთანხმდნენ. ხელშეკრულებით ჩრდილოეთ ირლანდიაში თვითმმართველობა აღდგა. მის საფუძველზე შეიქმნა ახალი პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელთა მიზანი კათოლიკე უმცირესობათათვის მეტი პოლიტიკური ხმის მინიჭება და იმავდროულად, ჩრდილოეთ ირლანდიის ბრიტანეთის ნაწილად დარჩენის თაობაზე პროტესტანტთა მოთხოვნის გათვალისწინება იყო. მიუხედავად ყველაფრისა, დაძაბულობის შედეგად 2001 წელს კონფლიქტი ისევ გაჩაღდა და მომავალი გაურკვეველი გახადა.

თუმცა, მცდარი იქნებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ საპარლამენტო სისტემა არსად მუშაობს ბრიტანეთის გარდა. ნახევარ საუკუნეზე მეტია ეს წყობა დომინირებს თითქმის მთელს ევროპულ კონტინენტზე ჩრდილოეთიდან – სკანდინავიიდან დაწყებული (შვედეთი, ნორვეგია, დანია), სამხეთით – იბერიის ნახევარკუნძულამდე (ესპანეთი და პორტუგალია), ისევე როგორც გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში. საპარლამეტო დემოკრატიების რიცხვს მიეკუთვნება ასევე ფინეთი, ირლანდია, საბერძნეთი, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, სლოვაკეთი და სლოვენია, ისევე როგორც სხვა რამდენიმე პოსტ-კომუნისტური ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში. შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო წყობა არის დიდი ბრიტანეთის საჩუქარი მთლიანად ევროპისათვის.

დემოკრატიის შეგუებადობა: ხუთი შემთხვევა

როგორ მუშაობს საპარლამენტო მმართველობის ფორმა სხვა ქვეყნებში? იმუშავებს თუ არა ამგვარი ფორმა ავტორიტარული ტრადიციების ქვეყნებში? რისი თქმა შეიძლება იმ ქვეყნებზე, სადაც ადგილი აქვს პოლიტიკურ არასტაბილურობას და რევოლუციებსაც კი? შესაძლოა თუ არა განსხვავებული პოლიტიკური კულტურის პირობებში დემოკრატიამ მოიკიდოს ფეხი?

საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, ინდოეთისა და ისრაელის მაგალითებმა ცხადყო, რომ დემოკრატია გაცილებით უფრო შეგუებადია, ვიდრე ეს თეორეტიკოსთა უმეტესობას წარმოედგინა. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც დემოკრატია თითქმის ყველგან სავალდებულო ქების ობიექტად გადაიქცა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, რაოდენ ტირანული ხასიათისაც უნდა იყოს იგი, გარეგნულად იძენს კონსტიტუციურობის ელფერს და საკუთარ თავს დემოკრატიულად აცხადებს. იმ ქვეყნებში, სადაც მედია ხელისუფლების მიერ კონტროლირდება, სადაც უცხოელებისათვის გადაადგილება და კონტაქტების დამყარება შეზღუდულია, სადაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს გამუდმებით პოლიციური რეპრესიების შიშის განცდა აწუხებთ, მთავრობას რეალურად არაფერი ზღუდავს იმაში, რომ დემოკრა-

ტიულოულობასა და ლიბერალური ღირებულებების ერთგულებაზე ისაუბროს და იმავდროულად, დევნიდეს, ამცირებდეს და აშინებდეს საკუთარ მოქალაქეებს.

ეჭვგარეშეა, რომ დემოკრატიის მზარდი პოპულარობა არნახულ მასშტაბებს იძენს (თუმცა, არ არის უნივერსალური) – ჩრდილოეთ აფრიკის მუსლიმური ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთი აზიის ზოგიერთი სახელმწიფო ამ მხრივ გამონაკლისია. ყველაზე მკაცრი დიქტატორული რეჟიმებიც კი დემოკრატიულობაზე აცხადებენ პრეტენზიას. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმაა და ამას აღიარებენ კიდეც?

ამ კითხვაზე პასუხი არ არის მარტივი. ზოგიერთ ერს აქვს ტრადიციები – მაგალითად, ავტორიტარული პოლიტიკური ტრადიციები – რომელიც დემოკრატიას არაბუნებრივად და არასასურველადაც კი წარმოაჩენს. სხვების ჩვეულებები და კულტურული მემკვიდრეობა, სრულიად შეუთავსებელია დემოკრატიის იდეისათვის უმნიშვნელოვანეს ინდივიდუალიზმისა და ეგალიტარიანიზმის პრინციპებთან. დაბოლოს, იმ ქვეყნებში, რომელებსაც აწუხებს ჭარბი მოსახლეობისა და საკვებზე პერმანენტული დეფიციტის პრობლემები, კონსტიტუციონალიზმი სრულიად უსარგებლო და აბსტრაქტულ ცნებად მიაჩნიათ. ხალხისათვის, რომელიც შიმშილის ზღვარზეა, ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც შეძლებს მათი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის შემსუბუქებას, უკვე თავისთავად კარგი ხელისუფლებაა.

ბევრ ქვეყანას მოუხდა საკმაოდ რთული კულტურული, სოციალური თუ ეთნიკური წინააღმდეგობების გადალახვა წარმომადგენლობითი მმართველობის ჩამოყალიბების გზაზე. საკმაოდ ახლო წარსულში, ექსტრემალურმა ინდივიდუალიზმმა და სამოქალაქო თვითშეგნების ნაკლებობამ საეჭვო გახადა დემოკრატიის მიზანშეწონილობა საფრანგეთში. მიუხედავად ამისა, მეხუთე რესპუბლიკა აგერ უკვე მეოთხე ათწლეულია ფუნქციონირებს, რაც სწრაფი პოლიტიკური ცვლილებების ისტორიის მქონე ერისათვის მნიშვნელოვანი მიღწევაა. ბევრი ანალიტიკოსი პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დაარსებული გერმანიის ვაიმარის რესპუბლიკის დაცემას უკავშირებდა გერმანელთა ანტიდემოკრატიულ მისწრაფებებს, რაც გერმანულ საზოგადოებაში ზედმიწევნითი წესრიგისა და დისციპლინის ჩამოყალიბების სურვილს გულისხმობს. მაგრამ დასავლეთ გერმანიის შემდგომმა წარმატებამ ამ თეორიას საფუძველი გამოაცალა. ასევე, იაპონიასაც დემოკრატიული ცხოვრების გამოცდილება არ ჰქონია მეორე მსოფლიო ომამდე და მისი კონსენსუსის პრინციპზე დამყარებული და პატრონ-კლიენტელური ტიპის ურთიერთობებზე აგებული საზოგადოება სრულიად წინააღმდეგობრივი ჩანდა დემოკრატიის განვითარებისათვის. თუმცა, იაპონია უკვე ნახევარი საუკუნეა დემოკრატიულ მმართველობას ახორციელებს. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ინდოეთი და ისრაელი ასევე ქმედით დემოკრატიებს წარმოადგენენ პირველ შემთხვევაში საზოგადოების მკვეთრი სიჭრელის, ხოლო მეორე შემთხვევაში მუდმივი დაპირისპირებების პირობებში.

საინტერესოა გავარკვიოთ, ეს მაგალითები გამონაკლისია, თუ მართლაც ადასტურებს, რომ არასწორია განზოგადებითი დასკვნა დემოკრატიის ზოგიერთ საზოგადოებაში არარელევანტურობის შესახებ? საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, ინდოეთისა და ისრაელის მაგალითები ცხადყოფენ, რომ დემოკრატია მმართველობის საოცრად მოქნილი და ადაპტირებადი ფორმაა.

საფრანგეთი: პრეზიდენტი პარლამენტის წინააღმდეგ

ამერიკის საპრეზიდენტო და ბრინატეთის საპარლამენტო სისტემები წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის ორ განსხვავებულ ფორმას. მეხუთე რესპუბლიკის პერიოდში საფრანგეთი წარმატებულად ითავსებს ორივე სისტემისათვის დამახასიათებელ ელემენტებს.

მეხუთე რესპუბლიკა: ჰიბრიდული სისტემა

1958 წელს მეხუთე რესპუბლიკის შექმნა მისი წინამორბედების ნაკლოვანებების გამოსწორების მცდელობა იყო. მისმა დამფუძნებელმა შარლ დე გოლმა (1890-1970) ამ ნაკლს ფრანგული პოლიტიკის ფატალური კვანძი უწოდა— უძლური აღმასრულებლები იმართებოდნენ ფიცხი კანონმდებლების მიერ. ხელისუფლების ქრონიკული პარალიზება და სახალხო იმედების გაცრუება კონსტიტუციური წესრიგის სისტემატური დამხობის პროვოცირებას ახდენდა. როგორც დე გოლი ხშირად აღნიშნავდა, რესპუბლიკური მმართველობის დამყარების პირველი სამი მცდელობა საფრანგეთში დიქტატურით დამთავრდა. საფრანგეთის ისტორია 1878 წლიდან 1958 წლამდე იმის მშვენიერი ილუსტრაციაა, რაც *„ფედერალისტის“* ავტორებს კარგად ესმოდათ: ხელმძღვანელობას მოკლებული ხელისუფლებას საკუთარ თავზე უარესი მტერი არ ჰყავს.

მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში (1946-58) მთავრობა საშუალოდ ექვს თვეში იცვლებოდა. პოლიტიკური პარტიების არნახულმა სიჭარბემ, რომელთა ნაწილის სიცოცხლისუნარიანობა ძალიან ხანმოკლე იყო, საფრანგეთის საპარლამენტო სისტემა პაროდიად აქცია. მეტიც, პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა პოლუსზე მდებარე პარტიები – მემარჯვენე გოლისტები და მემარცხენე კომუნისტები – ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მეოთხე რესუბლიკის კონსტიტუციისათვის. ერთადერთი საკითხი, რაზეც ეს ორი პარტია თანხმდებოდა, იყო ის, რომ მეოთხე რესპუბლიკა ანათემაა, და ამიტომ პერიოდულად თანამშრომლობდნენ მთავრობის დამხობის მიზნით. ამ ორ ექსტრემისტულ პარტიას ერთობლივად ჰქონდა საკმარისი ძალა ნაციონალურ ასამბლეაში, რომ დაებრკოლებინათ არასასურველი საკანონმდებლო ინიციატივები დაამ გზით გადაეყენებინათ სუსტი კოალიციური მთავრობები (ასეთ ქმედებას უარყოფითი ვეტო ეწოდება).

საფრანგეთში ბევრს იმედი ჰქონდა, რომ 1958 წლის კონსტიტუცია ქვეყანაში გამეფებულ პოლიტიკურ არასტაბილურობას დაასრულებდა. ახალი კონსტიტუცია შედარებით მოკლედ და გასაგები ენით იყო დაწერილი. მისი დებულებები დე გოლის პოლიტიკურ შეხედულებებს ეფუძნებოდა, რისი ძირითადი პრინციპები მან თავის ცნობილ გამოსვლაში კონსტიტუციის მიღებამდე 12 წლით ადრე ასე ჩამოაყალიბა:

> აშკარაა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება არ უნდა იყოს დამოკიდებული პარლამენტზე, რომელიც, თავის მხრივ, ორპალატიანია და წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება პასუხისმგებლობების აღრევას, სადაც მთავრობა სხვა არაფერი იქნება თუ არა პარტიული დელეგაციების დაჯგუფება... საფრანგეთის ხელისუფლების ერთიანობა, კოორდინირებულობა და შიდა წესრიგი უნდა იქცეს მთავარ

ამოცანად, თორემ ქვეყნის მმართველობა იქცევა უუნაროდ და სნეულად. მაშ როგორ უნდა იქნას მიღწეული ამგვარი ერთიანობა, კოორდინირებულობა და წესრიგი, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება გამომდინარობს სხვა ორგანოდან, რომელიც წესით მის დაბალანსებას უნდა ახდენდეს და მთავრობის თითოეული წევრი, რომელიც ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე კოლექტიურ პასუხისმგებლობას უნდა იზიარებდეს, არაფერია, თუ არა საკუთარი პარტიის ემისარი? ამიტომაც აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს წარმოდგენილი სახელმწიფოს მეთაურის სახით, რომელიც იქნება პარტიებისაგან დამოუკიდებელი და აირჩევა იმ ორგანოს მიერ, რომელიც მოიცავს პარლამენტსაც, მაგრამ მასზე უფრო ფართოა...

სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივაა საზოგადო ინტერესების განხილვა მის მიერ შერჩეულ პირებთან ერთად და ასევე, პარლამენტის ორიენტაციის გათვალისწინებით. მისივე უფლებაა მინისტრთა ნომინირება და მათ შორის, პირველ რიგში პრემიერ-მინისტრის დასახელება, რომელმაც უნდა წარმართოს მთავრობის პოლიტიკა და მუშაობა. მისი მოვალეობაა კანონის პროპაგანდა და განცხადებების გაკეთება, რადგანაც ისინი ვრცელდება მთელი სახელმწიფოს მოქალაქეებზე. ასევე, ის უნდა ხელმძღვანელობდეს კაბინეტს და ამ ფუნქციით დაიცვას ეროვნული განგრძობითობა. მან უნდა შეასრულოს არბიტრის ფუნქციაც, რომელიც ყოველდღიურ პოლიტიკურ გარემოებებზე მაღლა დგას და უზრუნველყოფს კაბინეტის ნორმალურ მუშაობას, ან განსაკუთრებული არეულობის პერიოდში, დანიშნოს არჩევნები, რათა ხალხმა გამოავლინოს მისი სუვერენული გადაწყვეტილება ამ გზით. მან, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა რაიმე საფრთხის წინაშე დადგება, უნდა აიღოს ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიებისა და ყველა იმ ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება, რასაც საფრანგეთი შეუერთდება.[4]

საერთო ჯამში, მთავარი კონსტიტუციური სისტემის სქემაში, რასაც დე გოლი დაჟინებით მოითხოვდა, იყო ძლიერი აღმასრულებლის არსებობა, რომელსაც უნდა გაეწონასწორებინა გამუდმებით დანაწევრებული პარლამენტი; აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ფიგურად კი მოიაზრებოდა სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი) და არა პრემიერ-მინისტრი.

აღმასრულებელი ხელისუფლება

საჯარო ხელისუფლების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული დე გოლის კონცეფციის ძირითადი ელემენტები 1958 წლის კონსტიტუციის თითქმის ყველა დებულებაშია ასახული. საპარლამენტო მოდელის შესაბამისად, საფრანგეთის აღმასრულებელი ხელისუფლებაც დაყოფილია. კონსტიტუციის მიხედვით, პრემიერ-მინისტრი არის მთავრობის მეთაური, ხოლო პრეზიდენტი კი სახელმწიფოს მეთაურია. ბრიტანელი მონარქისაგან განსხვავებით, ბუნებრივია, საფრანგეთის პრეზიდენტი არჩეულია დემოკრატიული წესით და გაცილებით მეტი პოლიტიკური ძალაუფლებაც აქვს. საფრანგეთის პრეზიდენტი, რომლის ფართო უფლებები თავად დე გოლის ამბიციებს მოარგეს, ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ფიგურაა. იგი დამოუკიდებელია საკნონამდებლო შტოსაგან, გააჩნია ძალაუფლების მრავალი

ბერკეტი და საპრეზიდენტო პოსტს განსაზღვრული ვადით იკავებს (შვიდი წელი 1962-დან 2000 წწ., ამჟამად ხუთი წელი).

კონსტიტუციამ პრეზიდენტ დე გოლს კონფლიქტური ინტერესებისა და კონკურენტი პოლიტიკური პარტიების მომრიგებლის ფუნქციაც შეუთავსა. კონსტიტუციამ ასევე მიანიჭა დე გოლს და მის მემკვიდრეებს საგარეო პოლიტიკის სფეროში უპირატესი უფლებები. პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს და გაათავისუფლოს პრემიერ-მინისტრი, დაითხოვოს საკანონმდებლო ორგანო, დანიშნოს ახალი არჩევნები, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, გამოსცეს კანონის ძალის მქონე ბრძანებულებები და უხელმძღვანელოს კაბინეტის სხდომებს. გარდა ამისა, პრეზიდენტმა შეიძლება ჩაატაროს ეროვნული რეფერენდუმი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებზე.

1958 წლის კონსტიტუცია თავდაპირველად ითვალისწინებდა, რომ პრეზიდენტი არჩეული უნდა ყოფილიყო ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ, რომელშიც შევიდოდნენ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, რათა ამ

გზით პრეზიდენტი ყოველდღიურ პოლიტიკაზე მაღლა დამდგარიყო. 1962 წელს დე გოლმა თვითნებურად დანიშნა რეფერენდუმი, სადაც ფრანგ ხალხს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის საკითხი უნდა გადაეწყვიტა („თვითნებურად" იმდენად, რამდენადაც მას კონსტიტუცია ცვლილებების შეტანის პროცესში ნაციონალური ასამბლეის გვერდის ავლის უფლებას არ აძლევდა). რეფერენდუმმა, აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საფრანგეთის პრეზიდენტის მმართველობას სახალხო მანდატი მიანიჭა. დე გოლმა კარგად იცოდა, რომ დემოკრატიული მმართველობის პირობებში არაფერი აძლევს პოლიტიკურ ლიდერს იმხელა ძალაუფლებას და ლეგიტიმურობას, როგორც ამომჩეველთა პირდაპირი მხარდაჭერა.

საფრანგეთში პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტთან შედარებით ნაკლები ძალაუფლება და გავლენა აქვს, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ამ ორ ინსტიტუტს შორის გაცილებით მეტი ბალანსია, ვიდრე დე გოლის მმართველობის დროს იყო. პრემიერი პრეზიდენტის მიერ ირჩევა და ემსახურება მის ნებას. როგორც მთავრობის მეთაური, პრემიერი მართავს მინისტრთა კაბინეტს და საკანონმდებლო ორგანოს წინაშე პასუხისმგებელია საჯარო პოლიტიკასა და ეროვნულ თავდაცვაზე. პრემიერი და მისი კაბინეტი თვალყურს ადევნებს და აკონტროლებს მთავრობისა და ბიუროკრატიის მუშაობას. თუმცა, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია ზუსტად არც განსაზღვრავს რა უფლებამოსილებანი და ფუნქციები აქვს პრეზიდენტს, და რა – პრემიერ-მინისტრს. დე გოლს, ფრანგულ პოლიტიკაში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსწონდა კონსტიტუციის მისებური ინტერპრეტირების შესაძლებლობის არსებობა. ამიტომ, დე გოლის მმართველობის პერიოდში, საპრეზიდენტო ძალაუფლება ძალზე მოქნილი იყო და მოცემულ მომენტში ყველა საჭირო რესურსისა და ბერკეტის გამოსაყენების შესაძლებლობას უქმნიდა.

დე გოლის შემდგომ, არცერთი პრეზიდენტი არ ყოფილა ასე დომინანტური ფრანგულ პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტ ფრანსუა მიტერანს საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი 14 წლის განმავლობაში ეკავა (1981-1995), მისი რეპუტაცია ვერასდროს მიუახლოვდა დე გოლის რეიტინგს. თუმცა, მიტერანის მმართველობის უმეტეს პერიოდში ძალთა ბალანსი მაინც პრეზიდენტის სასარგებლოდ იხრებოდა პრემიერის საპირისპიროდ. საფრანგეთს, მეხუთე რესპუბლიკის დაარსებიდან 1988 წლამდე, არ ჰყოლია ისეთი პრემიერი, რომელიც პრეზიდენტის ძალაუფლებას დაბალანსებდა ან დაჩრდილავდა. 1986 წლის ეროვნულ არჩევნებში მიტერანის სოციალისტურ პარტიაზე ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიის გამარჯვების შემდგომ ორ წელიწადში საფრანგეთის პრემიერი ამ უკანასკნელის წარმომადგენელი ჟაკ შირაკი გახდა. 1997 წელს კი ლიონელ ჟოსპენი გახდა პრემიერ-მინისტრი მას შემდეგ, რაც მისმა სოციალისტურმა პარტიამ ეროვნულ არჩევნებში დაამარცხა ორი წლის წინ პრეზიდენტად არჩეული შირაკის მომხრეები ნაციონალურ ასამბლეაში. ორივე შემთხვევაში, პრეზიდენტის პარტიის წარუმატებლობა პარლამენტში საპრეზიდენტო გავლენის შესუსტებასა და ახალი პრემიერის (და მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის) თუნდაც დროებით პოლიტიკურ უპირატესობაში გამოიხატა.

ეტიკეტული ასამბლეის შეზღუდული ტიპი

თუკი საპრეზიდენტო ინსტიტუტი მეხუთე რესპუბლიკის რეალური პოლი-

ტიკური მონაპოვარია, გარკვეულწილად შესუსტდა საპარლამენტო შტო. იგი ორ პალატად: სენატად და ეროვნულ ასამბლეად არის გაყოფილი. საფრანგეთის სენატი, რომელსაც შეზღუდული უფლებამოსილება გააჩნია, ირჩევა არაპირდაპირი გზით, ხოლო ***ეროვნული ასამბლეა*** ირჩევა პირდაპირი წესით მრავალმანდატიანი რაიონებიდან ორმაგი ხმის მიცემით (ორეტაპიანი არჩევნების შედეგად). ეროვნულმა ასამბლეამ უნდა დაამტკიცოს ყველა წარდგენილი კანონპროექტი და ამდენად აღასრულოს მისი ძირითადი საკანონმდებლო უფლებამოსილება. თუმცა, 1958 წლის კონსტიტუციაში კანონის ცნება საკმაოდ ვიწროდ არის განმარტებული. ბევრი ნახევრად საკანონმდებლო გადაწყვეტილება აღმასრულებლის კომპეტენციაში რჩება, რომელსაც, სხვათა შორის, „ბრძანებულებითი კანონის“ გამოცემის უფლება აქვს.

ეროვნული ასამბლეა უფრო საინტრესოა იმ უფლებამოსილებების განხილვის თვალსაზრისით, რომელიც მას არ გააჩნია, ნაცვლად იმის ჩამოთვლისა, რაც მის კომპეტენციაში შედის. აღმასრულებელი ხელისუფლება განსაზღვრავს საფრანგეთის პარლამენტის დღის წესრიგს. პარლამენტს გააჩნია მხოლოდ კომიტეტების შეზღუდული რაოდენობა, მას შეუძლია იმუშაოს წელიწადში მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში და არა აქვს ფინანსური კანონპროექტების წარდგენის უფლება. თუკი ის რაიმე მიზეზით ვერ მოახერხებს აღმასრულებლის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის დამტკიცებას მოცემულ ვადამდე, მაშინ ბიუჯეტი ძალაში შედის აღმასრულებლის დეკრეტის საფუძველზე. მეტიც, შესაძლოა აღმასრულებელმა მოსთხოვოს პარლამენტს კანონპროექტთა მთელ პაკეტს ერთდროულად უყაროს კენჭი. დაბოლოს, მთავრობას შეუძლია რაიმე კონკრეტულ ქმედებაზე მოითხოვოს პარლამენტისაგან ნდობის ხმა. თუ ამგვარ შემთხვევაში პარლამენტის გადაწყვეტილება იქნება უარყოფითი, მაშინ ეროვნული ასამბლეა ფაქტობრივად ითხოვს მთავრობის გადაყენებას და პრეზიდენტს ანიჭებს არჩევანის უფლებას, დააკომპლექტოს ალტერნატიული მთავრობა ან დანიშნოს ახალი არჩევნები. მაგრამ, როგორც წესი, კანონმდებლებს არცთუ ისე ხიბლავთ ახალი არჩევნების იდეა, მით უმეტეს, თუ მათ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებით გავლენიანი პრეზიდენტის უკმაყოფილება გამოიწვიეს.

დე გოლი იმდენად შორს წავიდა პარლამენტზე კიდევ უფრო დიდი უპირატესობის მოსაპოვებლად, რომ მან საკმაოდ საინტერესოდ შეაკავშირა რამდენიმე ცალკეული კონსტიტუციური დებულება. მისი მითითებით, მთავრობას შეეძლო მოეთხოვა საკითხთა პაკეტზე კანონმდებელთა მხარდაჭერა ერთიანი კენჭისყრის გზით და შემდგომ ეს მხარდაჭერა სულაც ნდობის უპირობო გამოცხადებად ექცია. მას შემდეგ, რაც 1969 წელს დე გოლმა დატოვა პოლიტიკა, საფრანგეთის პრეზიდენტები ეროვნულ ასამბლეას შედარებით უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობიან.

პოლიტიკური პარტიები

საფრანგეთში პოლიტიკური პარტიების საკმაოდ დიდი სპექტრია. ევროპის სხვა მრავალპარტიულ სისტემათა მსგავსად, საფრანგეთშიც პოლიტიკური პარტიები კლასიფიცირებულნი არიან მემარჯვენე და მემარცხენე ძალებად. უმნიშვნელოვანესი მემარცხენე პარტიები არიან კომუნისტური და სოციალისტური (შესაბამისად, რადიკალური და ლიბერალური ორიენტაციის).

ჟაკ შირაკმა, ნეოგოლისტმა პრემიერ-მინისტრმა 1995 წლის მაისში სოციალისტი პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი შეცვალა. 1997 წლის ივნისში პრეზიდენტმა შირაკმა ახალი საპარლამენტო არჩევნები მოითხოვა და იძულებული გახდა სოციალისტი ლიონელ ჟოსპენი დაესახელებინა ახალ პრემიერ-მინისტრად, მას მერე რაც ცენტრისტული პარტიები მემარცხენე პარტიებთან დამარცხდნენ. 2002 წლის გაზაფხულზე ჟოსპენი საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხის შემდეგ გადადგა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1970 წლამდე კომუნისტური პარტია საშუალოდ ხმათა 20 პროცენტს იღებდა ეროვნულ არჩევნებში. თუმცა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მისი პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. სოციალისტური პარტია იქცა მემარცხენეთა მხარდაჭერის ძირითად მიმღებად. 1981 წელს სოციალისტურმა პარტიამ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა არჩევნებში, ხოლო მისი კანდიდატი, ფრანსუა მიტერანი საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ 1986 წლის არჩევნებში პარტიის მიმართ მხარდაჭერამ იკლო, სოციალისტებმა პოზიციები 1988 წელს მიტერანის ხელმეორედ არჩევისას აღიდგინეს და კვლავაც წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცნენ პარლამენტში (თუმცა, მათ არ ჰქონდათ მანდატების უმრავლესობა).

1990-იანი წლებში სახალხო მხარდაჭერა ცენტრისტულ-მემარჯვენე ძალებისაკენ გადაიხარა. 1993 წელს კი მათ აბსოლუტური გამარჯვება იზეიმეს და ეროვნულ ასამბლეაში დაიბრუნეს დომინანტური პოზიცია. ორი წლის შემდეგ, ნეოგოლისტი კანდიდატი – ჟაკ შირაკი არჩეული იქნა ქვეყნის პრეზიდენტად. შირაკის არჩევამ, რომელსაც დაემატა იმავე წელს ცენტრისტული-მემარჯვენე ძალების ტრიუმფი სენატის არჩევნებშიც, კონსერვატიული ძალებს მართვის სრული სადავეები ჩაუგდო ხელთ, თუმცა არა ხანგრძლივი ვადით. 1997 წელს პრეზიდენტ შირაკის მიერვე ვადაზე ადრე დანიშნულმა საპარლამენტო არჩევნებმა ყველა გააკვირვა, განსაკუთრებით თვითონ შირაკი, რომელიც მნიშვნელოვანი სახალხო მხარდაჭერის მოპოვებას ელოდა მისი სერიოზული ეკონომიკური პროგრამის გამო. მაგრამ მემარცხენე ძალებმა, ისევ სოციალისტთა ხელმძღვანელობით, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. შირაკს აღარ ჰქონდა სხვა არჩევანი, გარდა სოციალისტი ლიონელ ჟოსპენის ახალ პრემიერ-მინისტრად გამოცხადებისა.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ჟან მარი ლე პენის ულტრა მემარჯვენე ნაციონალისტურმა პარტიამ 1997 წლის არჩევნებში მხოლოდ ერთი საპარლამენტო მანდატი მიიღო, საფრანგეთის ორეტაპიანი საარჩევნო პროცედურის უცნაური შედეგია. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭიროა არჩევნების მეორე ტურის ჩატარება იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც პირველ ეტაპზე ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს გადამწყვეტ უმრავლესობას (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის არჩევნებში ლე პენის შთამბეჭდავმა პოზიციებმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ულტრამემარჯვენეებს გაძლიერებისათვის დამატებითი ბიძგი მისცა). ხშირად, ურთიერთმსგავსი პოლიტიკური შეხედულებების მქონე პარტიები არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის აყალიბებენ ალიანსებს, სხვადასხვა ოლქში ერთმანეთის კანდიდატების მხარდაჭერის პირობით, რითაც პარლამენტში მარგინალური და რადიკალური პარტიების გავლენა მცირდება.

კონსტიტუცია ზეწოლის ქვეშ: მაღანსის გამოცდა

1964 წელს, პრემიერ-მინისტრმა ჟორჟ პომპიდუმ (რომელიც მოგვიანებით საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა, 1969-1974) მეხუთე რესპუბლიკის რთული ინსტიტუციონალური ბალანსი იმგვარად აღწერა, რომ ის დღეისთვისაც ადეკვატურია:

> საფრანგეთმა აირჩია შუალედური მმართველობის ფორმა ამერიკულ საპრეზიდენტო სისტემასა და ბრიტანულ საპარლამენტო სისტემას შორის, სადაც სახელმწიფოს მეთაურის (რომელიც განსაზღვრავს საერთო პოლიტიკურ კურსს) ძალაუფლება სახალხო მხარდაჭერიდან მომდინარეობს, მაგრამ ამ ძალაუფლების განხორციელება მხოლოდ მთავრობასთან ერთად შეუძლია, რომელსაც თავადვე აირჩევს და წარადგენს, თუმცა ამ უკანასკნელმა, საკუთარი თავის გადასარჩენად, უნდა შეინარჩუნოს ასამბლეის ნდობა.[5]

მეხუთე რესპუბლიკამ საფრანგეთს სტაბილური დემოკრატია მოუტანა ნახევარი საუკუნის განმავლობაში. 1958 წლის კონსტიტუციაზე დაფუძნებულმა სისტემამ უფრო კარგად იმუშავა, ვიდრე მისმა წინამორბედებმა, უკვე ოთხჯერ მეტხანს გასტანა ვიდრე მეოთხე რესპუბლიკა და გაცილებით უფრო ნაკლებ მერყევი აღმოჩნდა ვიდრე მესამე რესპუბლიკა. დე გოლის გავლენამ მისი პრეზიდენტობის შემდეგაც დიდ ხანს გასტანა. მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს ეროვნულ ღირსებასა და დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც ემყარებოდა სწრაფად განვითარებად ევროპაში საფრანგეთის წამყვანი როლის დეგოლისეულ ხედვას, მის სურვილს, კიდევ უფრო აემაღლებინა საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის პრესტიჟი (მათ შორის, როგორც ერთ-ერთი ბირთვული სახელმწიფოსი). დე გოლის მემკვიდრეობის კიდევ ერთ ილუსტრაციას წარმოადგენს ძლიერი ეროვნული ეკონომიკის მოდელი, სადაც, ფრანგული ტრადიციით, აღიარებულია სახელმწიფოს დიდი როლი და ასევე, გათვალისწინებულია საბაზრო ეკონომიკის პრინციპები.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეროვნული ასამბლეაც მხარს უჭერდა ამ პოლიტიკას. მხოლოდ ერთი ხანმოკლე გამონაკლისი დადგა 1981 წლის შედეგებთან ერთად, რომელმაც სოციალისტებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო არჩევნებში გამარჯვება მოუტანა. წარმატებით შთაგონებულმა სოციალისტებმა,

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააძლიერეს სოციალური პროგრამები და ფრანგული ინდუსტრიის დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია მოახდინეს. თუმცა, როგორც კი საბაზრო ეკონომიკის საპირისპიროდ გატარებული მემარცხენე პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ეკონომიკამ სტაგნაცია დაიწყო, ამომრჩეველმა სოციალისტები დასაჯა და 1986 წლის არჩევნებში ძალაუფლების სადავეები ისევ მემარჯვენე-ცენტრისტებს დაუბრუნა. გზავნილი აშკარა იყო: საკმარისია, თავი დაგვანებეთ.

ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, რაც უფრო მოშორებულია პრეზიდენტი საზოგადოებრივი აზრისაგან, მით უფრო მეტად დემოკრატიული ხდება ფრანგული სისტემა იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც იგი ემსახურება. იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტი 2000 წლამდე შვიდ წელიწადში ერთხელ, ხოლო ახალი პარლამენტი ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც ირჩევა, არჩევნების სიხშირე და მასთან დაკავშირებული მზადება ფრანგული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მართლაც, 1962-დან 1997 წლამდე თოთხმეტჯერ ჩატარდა არჩევნები. ერთ-ერთი ავტორის თქმით, „საარჩევნო ტაქტიკის ლოგიკიდან გამომდინარე, გრძელვადიან პროგრამებს მომენტალურ შედეგებზე გათვლილი პოლიტიკა და პარტიული ალიანსები სჭარბობს“.[6] (არჩევნები კიდევ უფრო მეტი სიხშირით ტარდება აშშ-ში, მაგრამ წარმომადგენელთა პალატის არჩევნები ყოველ ორ წელიწადში ან სენატის მესამედის განახლებასთან დაკავშირებული პროცესები, როგორც წესი, დიდი ელექტორალური ინტერესით და აქტივობით არ გამოირჩევა).

მეხუთე რესპუბლიკის დასაწყისში არსებობდა იმის პოტენციური საფრთხე, რომ საფრანგეთის **გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლება** მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს შექმნიდა იმ შემთვევაში, თუ პრეზიდენტი და პრემიერი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები იქნებოდნენ, სხვადასხვა პოლიტიკურ იდეოლოგიას გაატარებდნენ და განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ექნებოდათ. დღემდე სამი ამგვარი პრეცედენტი იყო, თუმცა ამას რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა ნამდვილად არ გამოუწვევია. 1986 წელს, როცა მემარჯვენე ძალებმა გაიმარჯვეს ეროვნულ არჩევნებში, სოციალისტი პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი იძულებული იყო მოეწვია პარიზის ნეოგოლისტი მერი ჟაკ შირაკი პრემიერად, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა ახალი მთავრობა. 1993 წელს, როცა სოციალისტები განმეორებით დამარცხდნენ საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიციის მიერ, მიტერანი ისევ იძულებული გახდა მოეწვია გამარჯვებული ძალის წარმომადგენელი ედუარდ ბალადური პრემიერ-მინისტრად. დაბოლოს, 1997 წლის ივნისში პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ანალოგიური გარემოებების გამო (მხოლოდ ამჯერად კონსერვატორებზე მემარცხენეების გამარჯვების მიზეზით), პრემიერ-მინისტრად სოციალისტი ლიონელ ჟოსპენი დანიშნა, რომელმაც, სხვათა შორის, 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში სამარცხვინო დამარცხება იწვნია შირაკის კანიდატურასთან დაპირისპირების გამო.

გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლების პრობლემამ დღის წესრიგში ***თანაარსებობის*** აუცილებლობა დააყენა, როცა გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლება სხვადასხვა პარტიების მიერ კონტროლდება. რამდენად კარგად მუშაობენ ერთად პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი სხვა საკითხია. როგორც აღვნიშნეთ, ამ ორ აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების ფორმალური გაყოფა ხშირად სამარცხვინო ფორმას იღებს და ხელისუფლებას ჩიხში აქცევს. მიუხედავად ამისა, „თანაარსებობის“ ხანმოკლე გამოცდილებამ აჩვენა, რომ თავად სისტემას საფრთხე არ ექმნება.

თრანგული დღის წესრიგი: მაგალითი

ევროპა და მსოფლიო ვაჭრობა

საფრანგეთი ფრთხილად აგრძელებს ევროკავშირის ფარგლებში გაფართოებულ სავაჭრო შესაძლებლობებათა მხარდაჭერას. მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელი გამოკვლევები ცხადად ადასტურებს ფრანგების უმრავლესობის შეხედულებას, რომ ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა „ძალზე ბევრ მსხვერპლს“ მოითხოვს. პრეზიდენტ მიტერანის ხელმძღვანელობით საფრანგეთმა მხარი დაუჭირა ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით სვლას. თუმცა, საფრანგეთის ბევრ ტრადიციულ პროდუქცუას გერმანელი და სხვა ევროპელი ქვეყნების კონკურენტების მხრიდან საფრთხე დაემუქრა. ფრანგი ფერმერები განსაკუთრებული სიმკაცრით მოითხოვდნენ პროტექციონისტური ზომების მიღებას ზოგჯერ გააფთრებული პროტესტებისა და დემონსტრაციების (მაგალითად, ტრაქტორებით ძირითადი ქუჩებისა და გზების გადაკეტვა) გამართვით. ევროპულ სავალუტო კავშირში გაწევრიანებას აზრთა დიდი სხვადასხვაობა მოჰყვა, რადგან ფრანგული საზოგადოების დიდი სექტორი ნებისმიერ სუპრანაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში ყოველთვის გააფთრებით იცავდა ეროვნული სუვერენიტეტის იდეას. ამას გარდა, უნიფიცირებული ევროპული ვალუტის შემოღება დამოკიდებული იყო ეროვნული ბიუჯეტის დეფიციტის მთლიანი შიდა პროდუქციის 3%-მდე შემცირებაზე – სტანდარტი, რამაც პრეზიდენტ შირაკის ბიუჯეტის შეკვეცის ზომების მხარდაჭერა აიძულა. ეს არაპოპულარული ღონისძიებები, თავის მხრივ, სოციალისტებისა და სხვა მემარცხენე პარტიების ხელში 1997 წლის ივნისის არჩევნებში შირაკის პარტიის დამარცხების იარაღად იქცა.

უმუშევრობა და ეკონომიკა

თანამედროვე ფრანგულ საზოგდოებაში ფართოდ გავრცელებული იმედგაცრუების მიზეზების გამოცნობა ძნელი არ არის. 1996 წელს გადასახადებმა და უმუშევრობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, ხელფასები გაიყინა, საზოგადოებრივი დანახარჯები და სექტორი შეიკვეცა; ეროვნული ვალი 1993 წლის მშპ-ს 45.4%-დან 1997 წელს დაახლოებით 58%-მდე გაიზარდა. ფრანგული ეკონომიკა 1996 წელს ნელი ტემპით 0.9%-ით, ხოლო 1997 წელს დაახლოებით 2.6%-ით გაიზარდა. საფრანგეთი უმუშევრობის მაღალი დონით - 12%-ით, ევროკავშირში ესპანეთის შემდეგ მეორე ადგილზე იყო. ეს მუდმივი პრობლემა კიდევ უფრო ამძაფრებს დაძაბულ ურთიერთობებს პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშებსა და ხელისუფლებას შორის იმ ქვეყანაში, სადაც მუშები ხშირად აწყობენ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. ბევრი ფრანგი ხედავს მჭიდრო კავშირს უმუშევრობასა და ემიგრაციას შორის – ემიგრანტები თანახმა არიან დაბალ ხელფასად იმუშაონ, ქალაქებში იყრიან თავს და შეზღუდული სამუშაო ადგილებისათვის კონკურენციაში ებმებიან.

ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის დამაღალანსებელი

უმუშევრობის შესამცირებლად ფრანგებს ეკონომიკური ზრდა სჭირდებათ. პრე-

მიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა 1997 წელს თავისი საარჩევნო კამპანიის დროს 350 ათასი სამოქალაქო მოსამსახურის დასაქმებისა და სამუშაო კვირის 39 საათიდან 35 საათამდე შემცირების პირობა დადო ხელფასის შემცირების გარეშე. გასაგები მიზეზების გამო ამ ზომათა პოპულარობის მიუხედავად, საფრანგეთი მსოფლიო ეკონომიკურ კონკურენციაში არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა – ფრანგული ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას საფრთხე შეექმნა.

ემიგრაცია და საზოგადოება

უკიდურესი მემარჯვენე ეროვნული ფრონტი ჟან მარი ლე პენის ხელმძღვანელობით ყველაზე სერიოზულად მოეკიდა ემიგრაციის საკითხს. ამჟამად საფრანგეთში ძირითადად ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოსული 3 მილიონზე მეტი არაბი და აფრიკისა და აზიის ყოფილი კოლონიებიდან ემიგრირებული მრავალი ადამიანი ცხოვრობს. უმუშევრობამ და ქალაქების სახის დაკარგვამ პოლიტიკური დევნილების, ლტოლვილების და თავშესაფრის მაძებართა მიმართ ტრადიციული ფრანგული სტუმართმოყვარეობა შეასუსტა. საზოგადოების მხრიდან ზეწოლისა და უკიდურესი მემარჯვენეების პრეტენზიების საპასუხოდ ხელისუფლებამ გააძლიერა მოთხოვნები არალეგალური ემიგრანტების მიმართ და პოლიტიკური დევნილების მიერ თავშესაფრის ძიებას მეტი სკეპტიციზმით მოეკიდა. უცხოელები, ტურისტების ჩათვლით ხშირად ჩივიან, რომ მათ საფრანგეთში გულღიად არ ხვდებიან. ლე პენის მეორე ადგილმა 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში საფრანგეთი (და მთელი ევროპა) შოკში ჩააგდო; მიუხედავად იმისა, რომ შირაკმა საბოლოოდ სრული გამარჯვება მოიპოვა, ლე პენი და მისი მიმდევრები წამყვანი პარტიებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ.

სასამართლო სისტემა

საფრანგეთის სასამართლო სისტემა დაყოფილია ორი უმთავრესი ტიპის სასამართლოდ: ჩვეულებრივი სასამართლო და ადმინისტრაციული სასამართლო. მიუხედავად ამ საკმაოდ რუტინული კლასიფიკაციისა, საფრანგეთის იურიდიული სისტემა რამდენიმე საკმაოდ საინტერესო და უჩვეულო ინოვაციას შეიცავს. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით განიხილავს სასამართლო დაწინაურებებისა და დისციპლინურ საკითხებს. უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია გაასამართლოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ქვეყნის ღალატისათვის და ხელისუფლების წევრები საჯარო ვალდებულებების შესრულებისას კრიმინალური დანაშაულის ჩადენისათვის.

საკონსტიტუციო საბჭო შედგება ცხრა მოსამართლისა (რომელთაგანაც სამი რესპუბლიკის პრეზიდენტის, სამი – ნაციონალური ასამბლეის პრეზიდენტის, ხოლო დანარჩენი სამი კი – სენატის პრეზიდენტის მიერ არის დასახელებული) და ასევე ქვეყნის ყველა ყოფილი პრეზიდენტისაგან. მას სასამართლო მეთვალყურეობის ფუნქციაც აქვს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ფრანგულ სისტემაში. იგი ზედამხედველობს პრეზიდენტის არჩევნებს და ასევე ძალუძს წინააღმდეგობრივი

საკანონმდებლო დავების გამოძიება და გადაწყვეტა. გარკვეულ შემთხვევებში, მას შეუძლია მოამზადოს დასკვნები მომავალი კანონმდებლობის ან უკვე ძალაში შესული კანონების კონსტიტუციურობის შესახებ. საბჭოსათვის გადაცემული საქმეები არ ატარებს ინდივიდუალური დავების ან მიმართვის ხასიათს (როგორც ეს აშშ-შია). ეს საქმეები საბჭოში ხელისუფლების დანარჩენი ორი შტოს სპეციალური მიმართვის საფუძველზე შეიძლება მოხვდეს. აქედან გამომდინარე, საკითხები, რომელსაც საბჭო განიხილავს, ძირითადად პოლიტიკურია და პირდაპირ ეხება კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა თუ სტრუქტურის მიერ.

მუშაობს თუ არა დემოკრატია საფრანგეთში?

საფრანგეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული დემოკრატიული ტრადიციების მატარებელი ქვეყანაა. საფრანგეთის რევოლუცია ამერიკის რევოლუციიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა და თითქმის სწორედ იმ ისტორიულ მომენტში, როცა ამერიკელი დამფუძნებლები ფილადელფიაში განიხილავდნენ მსოფლიოში პირველი კონსტიტუციური დემოკრატიის მოდელის შექმნის საკითხს. ორივე რევოლუციამ თავისუფლება აღიარა უმთავრეს პრინციპად და ორივემ მიიჩნია პოლიტიკური თანასწორობა (იგივე დემოკრატია) თავისუფლების დაცვის საუკეთესო, თუ არა ერთადერთ საშუალებად. მაგრამ საფრანგეთის გზა დემოკრატიამდე ამერიკასთან შედარებით გაცილებით უფრო გრძელი და რთული აღმოჩნდა. ხუთჯერ სცადეს ფრანგებმა ამ სისტემის წარმატებით აწყობა და მართებულად გათავისება და მართლაც მიაღწიეს ამას. დღესდღეობით საფრანგეთს აქვს ძლიერი ეკონომიკა (რომელიც ხანდახან მაინც აწყდება პრობლემებს), ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება (რომელიც დროდადრო სტუდენტების, ფერმერებისა თუ მუშათა ჯგუფების საპრტოტესტო აქტივობითაც გამოიხატება) და მრავალფეროვანი კულტურა. საფრანგეთი ახალი ევროპის ლიდერია (ევროკავშირი), მისი შედარებით დიდი მეზობლის (და ისტორიული მოწინააღმდეგის) გერმანიის თანასწორი პარტნიორი და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) ერთ-ერთი წამყვანი წევრი. ქსენოფობიური პოლიტიკის უარყოფა უმრავლესობის მიერ, რაც 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ჟან მარი ლე პენის დამარცხებამ ცხადყო, საფრანგეთის ელექტორატის სამოქალაქო სიმწიფეზე მიუთითებს. საფრანგეთში, ყველა შესაბამისი პარამეტრის მიხედვით, დემოკრატია ფუნქციონირებს კარგად (რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია იდეალურისგან შორს მყოფ მსოფლიოში).

გერმანია: ფედერალიზმი მილიტარიზმის წინააღმდეგ

თანამედროვე გერმანიამ ჩამოყალიბება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდში, როცა ორი შთამბეჭდავი სამხედრო გამარჯვების (1866 წელს ავსტრიაზე, ხოლო 1871 წელს საფრანგეთზე) შედეგად აღზევდა ევროპულ ასპარეზზე. მეოცე საუკუნის განმავლობაში გერმანიის მშფოთვარე ისტორიის გასაგებად, აუცილებელია მისი წარუმატებელი დემოკრატიული ექსპერიმენტის განხილვაც.

ვაიმარის რესპუბლიკა

ჰიტლერის მესამე რაიხი აღმოცენდა ვაიმარის რესპუბლიკაში, რომელიც თავის მხრივ გერმანიაში კონსტიტუციური დემოკრატიის ჩამოყალიბების პირველი ექსპერიმენტი იყო. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ პრობლემა იყო არა ვაიმარის რესპუბლიკის წარუმატებლობა თავისთავად, არამედ წარმატების შანსის არარსებობა. დაარსებისთანავე, 1919 წელს იგი ასოცირებული იყო გერმანიის სამარცხვინო დამარცხებასთან პირველ მსოფლიო ომში და შეზღუდული იყო ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებით დადგენილი მკაცრი პირობებით. რესპუბლიკას დაკისრებული ჰქონდა მძიმე კომპენსაცია გამარჯვებულთა ალიანსის მხრიდან, რამაც გამოიწვია მწვავე ეკონომიკური პრობლემები, უმუშევრობის მაღალი დონე, ბიზნესის ჩავარდნა, სწრაფი ინფლაცია და შედეგად, ვაიმარის რესპუბლიკის შესუსტება. ამგვარი დაძაბული ვითარების ფონზე, გერმანულმა საზოგადოებამ პოლარიზება განიცადა უკიდურეს მემარჯვენე და უკიდურეს მემარცხენე მიმდინარეობებად. ექსტრემიზმის აღმოცენებამ კი თავისთავად ხელისუფლების კრიზისი განაპირობა. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით: „სტაბილური დემოკრატიული მმართველობა ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მუდმივად საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ქვეყანა იმართებოდა... არაპოპულარული უმცირესობათა კაბინეტების, შიგნიდან სუსტი „დიდი კოალიციების“, ან კიდევ, პარლამენტს მიღმა ავტორიტარული საპრეზიდენტო კაბინეტების მიერ.“[7]

თუ წარსულს გადავავლებთ თვალს, აშკარაა, რომ ვაიმარის რესპუბლიკის დაცემა გარდაუვალი იყო. როგორც ვარაუდობენ, ძალიან ცოტა დემოკრატია თუ შეძლებდა ამგვარი წინააღმდეგობების დაძლევას. ძნელია იმის წარმოდგენაც, შედგებოდა თუ არა დემოკრატია პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში უფრო უკეთეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში. ბოლოს და ბოლოს, კანცლერ ოტო ფონ ბისმარკისა (1871-1890) და ვილჰელმ II-ის მმართველობის (1888-1891) პერიოდში გერმანია დემოკრატიულობის იდეისაგან ნამდვილად ძალიან შორს იდგა. ამ ავტორიტარი მმართველების დროს, სიტყვის თავისუფლება, პოლიტიკური მონაწილეობა და პარტიული პოლიტიკა აკრძალული იყო. მეტიც, მმართველისადმი მორჩილება გერმანულ თავისებურებად იქცა. ამდენად, გერმანული საზოგადოება 1919 წელს, როგორც ჩანს, მოუმზადებელი იყო დემოკრატიისათვის. თუმცა ამავდროულად, ვერსალის შეთანხმებით დაწესებულმა არაშორსმჭვრეტელმა სადამსჯელო პოლიტიკამ კიდევ უფრო დაამძიმა დემოკრატიის განვითარებისათვის ისედაც არახელსაყრელი გარემო. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, 1949 წელს ერთი ძირითადი კითხვა გაჩნდა: საერთოდ, შესაძლებელი იყო თუ არა დემოკრატიის მუშაობა ოდესმე იმ ქვეყანაში, რომელიც ცოტა ხნის წინ თავს უხრიდა სასტიკ ტირანს (ჰიტლერს), ემსახურებოდა ტოტალიტარულ მთავრობას (ნაცისტურ რეჟიმს) და თვალს ხუჭავდა, როცა მილიონობით უდანაშაულო ადამიანს (მათ შორის ბავშვებს) გაზის კამერებში ხოცავდნენ?

გაყოფილი გერმანია: ცივი ომის მინიმოდელი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთი გერმანიის) საფუძვლების გაანალიზება მნიშვნელოვანია მისი შემდგომი განვითარების შესაფასე-

ბლად. მეორე მსოფლიო ომმა დაანგრია გერმანია. ქვეყანა და მისი დედაქალაქი ბერლინი გაყოფილი იქნა ალიანსის წევრებს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი) შორის. თავდაპირველი განზრახვა იყო საოკუპაციო ზონების გაერთიანება და მათი თვითმმართველობისათვის შემზადება, მაგრამ საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა მის კონტროლს ქვეშ მყოფი სეგმენტის დათმობაზე. ეს უკანასკნელი გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად (აღმოსავლეთი გერმანია), მაშინ როცა დასავლეთ გერმანიამ დანარჩენი სექტორები გააერთიანა. 1949 წლიდან 1990 წლამდე გერმანელი ერი გაყოფილი იყო. ბერლინი, ისტორიული დედაქალაქი, იქცა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის ღია პლაცდარმად. ორად გაყოფილი გერმანია მსოფლიოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკვეთრ პოლიტიკურ დაყოფას შეახსენებდა, იგი საფრთხეს უქმნიდა მთლიანად მსოფლიოს მომავალს.

მიუხედევად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანია აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კომუნისტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, დასავლეთ გერმანიის ეკონომიკური მდგომარეობა მასთან შედარებით ბევრად წარმატებული იყო. დასავლეთ გერმანიის ეკონომიკური განვითარება და მისი აღმასვლის დაუჯერებლად სწრაფი ტემპი მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი ეფექტის ფონზე, სასწაულადაც კი მონათლეს. 1960 წელს დასავლეთ გერმანია ევროპის ახლადჩამოყალიბებული საერთო ბაზრის დასაყრდენად იქცა, რაც შემდგომ მსოფლიოს უმსხვილეს სავაჭრო გაერთიანებად და თანდათან ერთიან ევროპულ ეკონომიკად ჩამოყალიბდა. ჩვენ მას დღეს ევროკავშირის სახელით ვიცნობთ. იმავდროულად, დასავლეთ გერმანიის ეკონომიკა კვლავაც რჩება ევროპის ყველაზე დინამიურ ძალად.

ასევე შთამბეჭდავი აღმოჩნდა დემოკრატიის წარმატება დასავლეთ გერმანიაში, მისი აღმოსავლელი კომუნისტი მეზობლისაგან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან განსხვავებით. უზარმაზარი განსხვავება ორ გერმანიას შორის გახდა მიზეზი 1961 წელს ბერლინის კედლის აშენებისა, რომელსაც აღმოსავლეთ გერმანელების (და სხვა აღმოსავლეთ ევროპელების) იზოლირება უნდა მოეხდინა დასავლეთისაგან და დასავლეთ ბერლინის გზით მათი დასავლეთში გაქცევის შესაძლებლობა აღეკვეთა. ბერლინის კედელი არა მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის წყალგამყოფს წარმოადგენდა, არამედ სიმბოლურად გამოხატავდა მათ შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განსხვავებებს.

30 წლის შემდეგ გერმანია ისევ გაერთიანდა. თუმცა, მანამდე, ცხოვრების გაცილებით დაბალი სტანდარტების მქონე აღმოსავლეთ გერმანელებს ეკრძალებოდათ დასავლეთ გერმანიაში ემიგრირება და ვიზიტიც კი. საბჭოთა კავშირის ლიდერმა, მიხეილ გორბაჩოვმა (1985-1991) ახალი რეალიები შემოიტანა საბჭოთა კავშირის მიერ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში დამყარებული არაპოპულარული და წარუმატებელი კომუნისტური რეჟიმები თანდათან დაუძლეველ პრობლემად იქცა. გორბაჩოვის პერიოდში, საბჭოთა კავშირს აღარ შესწევდა ამ წარუმატებელი ეკონომიკური სისტემებისა და დანგრევის პირას მყოფი სახელმწიფოების აღორძინების უნარი. აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმის აღსასრული დადგა მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპაში ეროვნული წინააღმდეგობის ტალღა პიკში იყო: პოლონეთსა და უნგრეთს უკვე გადადგმული ჰქონდა მნიშვნელოვანი ნაბიჯები კომუნისტური რეჟიმის რღვევის მიმართულებით. მათ დიდად არ ჩამორჩებოდა ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და ბულგარეთიც.

აღმოსავლეთ გერმანიის კომუნიზმის რღვევა დაიწყო მასობრივი ემიგრაციებით.

ასობით ათასი ადამიანი გაიქცა უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიმართულებით, სადაც იქაური კომუნისტი ლიდერები უშედეგოდ ცდილობდნენ აზვირთებული ტალღის შეკავებას. იმავდროულად, ადგილზე დარჩენილი ათასობით აღმოსავლეთ გერმანელი მასობრივ დემონსტრაციებში იღებდა მონაწილეობას ბერლინში, ლაიფციგსა და სხვა ქალაქებში. ამას მოჰყვა ბერლინის კედლის ნგრევის ემოციური ეპიზოდები და აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმის რღვევა 1989 წელს.

გაერთიანემული გერმანია: დემოკრატიის ტრიუმფი

სულ რამდენიმე კვირაში სახალხო ზეწოლის შედეგად დაემხო ერიხ ჰონეკერის [აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტი ლიდერის – მთარგმნ. შენ.] რეჟიმი, რამაც გზა გაუხსნა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებას. ეს გაერთიანება უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე ექსპერტთა უმრავლესობა ვარაუდობდა. 1990 წლის გაზაფხულზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებულ დემოკრატიულ არჩევნებში უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტურ პარტიას. 1990 წლის ოქტომბერში, ორი გერმანია გაერთიანდა საერთო სახელმწიფო სივრცეში და ბერლინი აღდგენილი იქნა როგორც ახალი გერმანიის დედაქალაქი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი გერმანია ევროპის წამყვან სახელმწიფოდ იქცა.

თუმცა, გერმანიის გაერთიანება პირდაპირი გაგებით ძალიან ძვირი აღმოჩნდა და წელიწადში ათობით მილიარდი დოლარი „დაჯდა.“ აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკის რეაბილიტაციისთვის დასავლეთ გერმანელებს მოუხდათ 7,5 პროცენტით გაზრდილი საშემოსავლო და ასევე მომატებული ბრუნვის გადასახადის გადახდა. გაერთიანებას ასევე თან ახლდა სოციალური დაძაბულობა – მუშათა გაფიცვები, პოლიტიკური დემონსტრაციები, ეკონომიკური განვითარების შენელება, უმუშევრობის მაღალი დონე, იმიგრანტ მუშახელთან დაპირისპირება და ასევე, ულტრამემარჯვენე და ნეონაცისტი ექსტრემისტების აღზევება. 1990-იანი წლების მიწურულს გერმანიის აღმოსავლეთში უმუშევრობის დონე კვლავაც მაღალ ნიშნულს, 21 პროცენტს უტოლდებოდა – ანუ ორჯერ მეტი იყო, ვიდრე დასავლეთში. გერმანიაში ერთიანი ეკონომიკისა და ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

გერმანული ფედერალიზმი

დემოკრატია ნამდვილად ყვავის გერმანიაში. 1989 წლამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 10 ფედერალურ მიწას (*Länder*, მხოლობითში *Land*) და ბერლინის დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. მას დაახლოებით აშშ-ის ორეგონის შტატის თანაზომადი ტერიტორია ეკავა. გაერთიანებამ კი ფედერალური რესპუბლიკის სტრუქტურა ექვსი ახალი მიწითა და, შესაბამისად, დამატებითი მოსახლეობითა და ტერიტორიით გააფართოვა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ გაერთიანებული გერმანიის ანალოგიური ტერიტორიული ფართობის მქონე 25 სახელმწიფოც კი თავისუფლად „დაეტეოდა“ აშშ-ის კუთვნილ ტერიტორიულ ფართობზე. თუმცა, გერმანიის ფედერალიზმი, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებაზე მუდმივ კონტროლს უზრუნველყოფს, უფრო პოლიტიკური მოვლენაა, ვიდრე გეოგრაფიული.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოკავშირეებმა დაადგინეს გერმანული მიწების საზღვრები, რომლებიც ფაქტობრივად მათ ისტორიულ საზღვრებს ემთხვეოდა. მიუხედვად იმისა, რომ გერმანიის გეოგრაფიული კომპაქტურობა ერთი შეხედვით გამორიცხავს რეგიონულ მრავალფეროვნებას, მნიშვნელოვანი განსხვავებები ჩვეულებებში, მიდგომებში, დიალექტში და ა.შ. მაინც თვალშისაცემია. თუმცაღა, ამგვარი რეგიონული თუ ადგილობრივი მრავალფეროვნება სულაც არ ახასიათებს ზოგიერთ მიწას და ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ გერმანიის ფედერალური სისტემის შიგნით ამ ფედერალური ერთეულების სტანდარტიზაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ის შტატების შემთხვევაში.

მიწები წარმოადგენს ქვაკუთხედებს გერმანული სისტემისა, რომელიც შეიქმნა პოლიტიკური დეცენტრალიზაციის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად. მიწების ხელისუფლების ძირითად უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილზე კანონების ამოქმედება ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება ან კულტურა. მხოლოდ მათ გააჩნიათ შესაბამისი ბერკეტები ფედერალურ დონეზე მიღებული კანონების აღსრულების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ადგილობრივ ადმინისტრაციებში შესაბამისი განკარგულებების გაცემისა და საგანმანათლებლო სისტემის მართვის

უფლება, ისევე როგორც საპოლიციო ძალაუფლება. დაბოლოს, მხოლოდ მათ გააჩნიათ პრესაზე ლიმიტირებული, მაგრამ მაინც გარკვეული შეზღუდვების დაწესების უფლება.

მიუხედავად ამისა, ფედერალური ხელისუფლება ნამდვილად არ წარმოადგენს გერმანული სისტემის სუსტ რგოლს. ბერლინში განლაგებულ მთავრობას აქვს ექსკლუზიური საკანონმდებლო უფლებები საგარეო, სავალუტო და ფისკალური პოლიტიკის, მოქალაქეობის მინიჭების, სარკინიგზო კომუნიკაციის, საფოსტო მომსახურებისა და ტელეკომუნიკაციის, აგრეთვე საავტორო უფლებების სფეროებში. ზოგიერთი სხვა საკითხი, კერძოდ კი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ეკონომიკური რეგულაციები ცენტრალური და რეგონული ხელისუფლების საერთო კომპეტენციების სფეროს განეკუთვნება.

გერმანია უფრო ფედერალურია ვიდრე აშშ; ფედერალური მიწები აღჭურვილნი არიან უფრო მეტი ძალაუფლებით და გადასახადების პროპორციულად უფრო დიდი წილიც ადგილობრივ ბიუჯეტში მიემართება. მაგალითისათვის, კერძო და კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი ცენტრსა და მიწებს შორის თანაბრად ნაწილდება და თითოეული 40 პროცენტს იღებს, დანარჩენ 20 პროცენტი კი ქალაქების ბიუჯეტში მიდის. მიწები ასევე იღებენ დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) ერთ მესამედს, რაც ევროპაში უდიდეს, მაგრამ ხშირად დაფარულ ბრუნვის გადასახადს წარმოადგენს. შედეგად, მაშინ როცა ბერლინიდან კიდევ გარკვეული დამატებითი თანხების გადარიცხვა ხდება ფედერალური ერთეულებისა და ქალაქების ბიუჯეტში, მათ არ უწევთ განმეორებითი მიმართვების გზავნა ცენტრში აშშ-ის შტატებისა და ქალაქების მსგავსად, რომლებიც ცდილობენ ამ გზით მიიღონ საჭირო დაფინანსება ვაშინგტონიდან.[8]

აღმასრულებელი ხელისუფლება

გერმანია წარმოადგენს საპარლამენტო მმართველობის ფორმას დანაწევრებული აღმასრულებელი ხელისუფლებით. ცენტრალური სამთავრობო ფიგურა არის კანცლერი, რომელიც პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს კაბინეტის წევ-რებს. საგანგებო მგომარეობის შემთხვევაში, კანცლერი ხდება არმიის მთავარსარდალი და საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც მეტწილად მხოლოდ სიმბოლური ფუნქცია აქვს, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევისა, თუ პარლამენტი პოლიტიკურ ჩიხში მოექცევა.

დიდ ბრიტანეთში მეფისა თუ დედოფლის მსგავსად, გერმანიაში პრეზიდენტს პარტიული პოლიტიკის მიუხედავად შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამდენად განასახიერებდეს სისტემის განგრძობითობასა და სტაბილურობას. პრეზიდენტი ირჩევა არაპირდაპირი არჩევნების გზით ხუთი წლის ვადით. პარმალენტის ქვედა პალატაში უმრავლესობის პარტიის ლიდერი ხდება ქვეყნის კანცლერი. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი პარტია ვერ მოიპოვებს უმრავლესობას, და ხშირად ასეც ხდება პრაქტიკაში, მაშინ კანცლერს ირჩევს რამდენიმე პარტიისაგან შემდგარი მმართველი კოალიცია.

საკანონმდებლო ხელისუფლება

გერმანიაში საკანონმდებლო ხელისუფლება ორად არის გაყოფილი: ბუნდესტაგი წარმოადგენს პარლამენტის ქვედა პალატას და ბუნდესრატი – ზედა პალატას. ისევე როგორც საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ორპალატიან პარლამენტშიც, ქვედა პალატა უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა, ამ ორი ქვეყნისაგან განსხვავებით, ზედა პალატა (ბუნდესრატი) გერმანიაში გაცილებით უფრო ქმედითია და ფუნქციურად დატვირთული.

ბუნდესტაგი. ბუნდესტაგის თავმჯდომარე ყოველთვის ირჩევა უმრავლესობის პარტიის ლიდერთაგან. პროცედურული საკითხები მოწესრიგებულია იმ ნორმებით, რომლებიც რაიხსტაგიდან (საკანონმდებლო ორგანო ომამდე) მომდინარეობს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორც არის საკომიტეტო დავალებების, დებატების დღის წესრიგის და საპარლამენტო მუშაობის სხვა ყოველდღიური საკითხების განსაზღვრა, ხდება უხუცესთა საბჭოს მიერ. ეს ორგანო შედგება ბუნდესტაგის პრეზიდენტის (თავმჯდომარის), მისი მოადგილეების და რამდენიმე სხვა წევრისაგან, რომელთაც ირჩევს თითოეული პარტია.

ბუნდესტაგის წევრები დემოკრატიულად ირჩევიან ოთხი წლის ვადით, თუმცა, როგორც სხვა საპარლამენტო სისტემებში, მათი ფუნქციონირების ვადა შესაძლოა შემცირებული იქნეს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში. ამგვარ ვითარებაში, კანცლერი უნდა გადადგეს და პრეზიდენტმა უნდა დაითხოვოს პარლამენტი. თუმცა, გერმანიაში, სხვა საპარლამენტო სისტემებისაგან განსხვავებით, ძირითადი კანონი მოითხოვს „უნდობლობის ხმის კონსტრუქციულ“ გამოყენებას, რაც იმას გულისხმობს, რომ კანცლერი არ შეიძლება დათხოვნილი იქნას ბუნდესტაგის მიერ „უნდობლობის ხმით,“ თუ იმავდროულად წარდგენილი და არჩეული არ არის მისი შემცვლელის, ახალი კანცლერის კანდიდატურა.

ბუნდესტაგის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებს წამოადგენს ფრაქციები. იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს ფრაქცია, პოლიტიკურმა პარტიამ სულ მცირე 15 ადგილი უნდა მოიპოვოს პარლამენტში. ბუნდესტაგის პროცედურებითა და განაწესით, მხოლოდ ამ საპარლამენტო ორგანიზაციის მეშვეობით შეიძლება დეპუტატების წარდგენა კომიტეტებში და პარტიების ფორმალური აღიარება პარლამენტში. იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადი საკანონმდებლო სამუშაო მიმდინარეობს სწორედ კომიტეტების შიგნით, პარტიებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პარლამენტში ადგილების საკმარისი რაოდენობის მოპოვება და შესაბამისად ფრაქციის ჩამოყალიბება.

ბუნდესრატი. ზედა პალატის კომპეტენციას მიეკუთვნება ყველა ის საკითხი, რაც ცენტრალურ და რეგიონულ (მიწების) ძალაუფლებათა ბალანსის დაცვას თუ შეცვლას გულისხმობს. ბუნდესრატის წევრები არიან მიწების ხელისუფლების მიერ დანიშნული და არა არჩეული დეპუტატები და ბლოკური ხმის მიცემის პრინციპს იყენებენ. ამრიგად, გერმანულ მიწებს გააჩნიათ ქმედითი და ეფექტიანი ბერკეტი, რათა თავი დაიცვან ფედერალური ხელისუფლების მხრიდან შესაძლო შევიწროებისაგან. შედეგად, ბუნდესრატი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქმედითი და მნიშვნელოვანი ზედა საპარლამენტო პალატაა. გერმანიის მიწები უმთავრეს როლს ასრულებენ ფედერალური პოლიტიკის განხორციელებაში, ისევე როგორც

საერთო ან გამიჯნული კომპეტენციის სფეროებისთვის შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრაში, როგორც ეს ძირითადი კანონით არის განსაზღვრული.

პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკური პარტიების სისტემა იმგვარად იქნა ჩამოყალიბებული, რომ პარტიების რაოდენობა გარკვეულ ზღვარს არ გასცილებოდა და მცირე ექსტრემისტურ დაჯგუფებებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულების შანსი არ ჰქონოდათ. პარტიებმა უნდა გადალახონ ხუთპროცენტიანი ბარიერი საერთო არჩევნებში და სულ მცირე სამ საარჩევნო რაიონში მოიპოვონ ადგილები იმისათვის, რომ ბუნდესტაგში იქნან წარმოდგენილნი.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ძირითადი პარტიების გაძლიერებას კიდევ უფრო უწყობს ხელს, არის ბუნდესტაგის არჩევნების პრინციპი. თითოეული ამომრჩეველი ორჯერ აძლევს ხმას: ერთს – კონკრეტულ კანდიდატს, მეორეს – პარტიის მიერ განსაზღვრულ სიას. არჩევნების ეს თავისებურება საშუალებას აძლევს ძირითად პარტიებს გადამწყვეტი როლი შეასრულონ პოლიტიკური და საჯარო კარიერის მოსურნეთა მომავლის განსაზღვრაში, რადგანაც ბუნდესტაგის შემადგენლობის ნახევარი პროპორციული არჩევნების, ანუ საარჩევნო რეგიონების პარტიული სიიდან ხვდება პარლამენტში. (პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში პოლიტიკური პარტია არა მხოლოდ განსაზღვრავს სიაში ჩასმული კანდიდატების ვინაობას, არამედ მათ რანჟირებასაც: სიაში პირველს პრიორიტეტულად ყველაზე დიდი შანსი აქვს პარლამენტში მოხვედრისა, უკანასკნელს კი – ყველაზე ნაკლები).

1949 წლიდან გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში მხოლოდ ორი ძირითადი პარტია არსებობდა: სოციალ-დემოკრატიული პარტია (*SPD*) და კონსერვატიული ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიან-სოციალისტური კავშირი (*CDU/CSU*). გარდა ამისა, შედარებით უფრო მომცრო თავისუფალ-დემოკრატიული პარტია (*FDP)* ახერხებდა ძალაუფლების შენარჩუნებას, გააჩნდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქცია და ასრულებდა გადამწყვეტ როლს მმართველი ძალის განსაზღვრაში თანაბარი ძალის მქონე ორ პარტიას შორს ერთ-ერთთან კოალიციური ერთობის ჩამოყალიბებით. თითქმის თანაბარი ხმების მქონე ორი მსხვილი პარტიისათვის თავისუფალ-დემოკრატების ხმებს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნდესტაგში. ამიტომაც, შედარებით მცირე პარტიის დიდი გავლენა ხშირად არაპროპორციულიც კი იყო მის მასშტაბთან მიმართებაში. იგი კოალიციურ მთავრობათა უმრავლესობაში უმცროსი პარტნიორის სტატუსით წარმატებით სარგებლობდა.

ახლო წარსულში კიდევ ერთი, მწვანეთა პარტია დამკვიდრდა როგორც მცირე, მაგრამ ანგარიშგასაწევი ძალა. აღნიშნული პარტია სათავეს იღებს გარემოს დაცვის საკითხებზე აღზევებული სოციალური მოძრაობიდან. 1998 წელს, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა დაამარცხეს ქრისტიან-დემოკრატები არჩევნებში, მაგრამ ვერ დააგროვეს ხმათა (და შესაბამისად ადგილების) უმრავლესობა პარლამენტში, მათ შექმნეს კოალიცია მწვანეთა პარტიასთან მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, შედეგად გერჰარდ შროდერი, სოციალ-დემოკრატების ლიდერი, გახდა გერმანიის კანცლერი, ხოლო იოშკა ფიშერი, მწვანეთა ლიდერი – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. გარდა ამისა, მწვანეებმა რამდენიმე სხვა პოსტიც დაიკავეს კაბინეტში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მწვანეთა პარტია გერმანიის ხელისუფლებაში აღმოჩნდა.

ამავდროულად, არსებობს რამდენიმე მცირე, მაგრამ საკმაოდ აქტიური ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკური გაერთიანება, რომლებიც გერმანული ნაციონალიზმის აღზევებისაკენ მიისწრაფვიან, მიუხედავად ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური მრავალფეროვნებისა, მათ შორის მუსლიმური და ებრაული უმცირესობით. ამგვარ პარტიებს განეკუთვნება: ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია *(NPD)*, გერმანიის სახალხო კავშირი *(GVU)* და რესპუბლიკური პარტია. ჯერჯერობით ეს უკიდურესად მემარჯვენე ძალები მხოლოდ მცირეოდენი მხარდაჭერით სარგებლობს თუმცა, გერმანიაში ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის გაძლიერება თავისთავად შემაშფოთებელია ქვეყნის პოლიტიკური წარსულის გამო, რომელიც ჰიტლერის რეჟიმსა და ჰოლოკოსტთან არის დაკავშირებული.

სასამართლო ხელისუფლება

გერმანიის სხვა ფედერალური ინსტიტუტების მსგავსად, სასამართლო სისტემაც იმგვარად იქნა ჩამოყალიბებული, რომ შეეკავებინა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ძალაუფლების კონცენტრირების საფრთხე. სასამართლო სისტემა, რომლის ზემგდომ ინსტანციას ფედერალური უზენაესი სასამართლო წარმოადგენს, მუშაობს ოთხი სპეციალიზებული ტრიბუნალის ირგვლივ. ესენია: შრომის ფედერალური სასამართლო, ფედერალური სოციალური სასამართლო, ფედერალური ფინანსური სასამართლო და ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო. პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვან სასამართლო სტრუქტურას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს, რომელიც ექსკლუზიურად კონსტიტუციურ საკითხებზე მუშაობს და უფლებამოსილია გამოაცხადოს ფედერალური თუ მიწის საკანონმდებლო აქტები არაკონსტიტუციურად.

აშშ-ში ფედერალურ მოსამართლეთა არჩევის პროცედურისაგან განსხვავებით, გერმანიაში უმაღლესი რანგის მოსამართლეები (ანუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები) აირჩევიან საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ბუნდესტაგი ირჩევს ამ მოსამართლეთა ერთ ნახევარს, ხოლო ბუნდესრატი – მეორეს. თუმცა, მოსამართლეთა უმრავლესობა აირჩევა საკონკურსო საჯარო სამსახურის ტიპის ტესტირების საფუძველზე და მტკიცდება მთელი სიცოცხლის ვადით იუსტიციის მინისტრის მიერ, რომელიც შესაბამის დახმარებას თავის მხრივ იღებს ფედერალური და მიწების კანონმდებელთა მიერ არჩეული ნომინირების კომიტეტებისაგან. სასამართლოში იერარქიული აღმასვლისათვის, მოსამართლე უნდა დაწინაურდეს უკვე სისტემის შიგნით, მსგავსად სახელმწიფო სამსახურში მყოფი ჩვეულებრივი საჯარო მოხელისა. სასამართლო დამოუკიდებლობა გარანტირებულია მოსამართლეთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ვადით დანიშვნით. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ხელისუფლება ადეკვატურად არის აღჭურვილი იმისათვის, რომ ეფექტიანად დააბალანსოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება და დაიცვას სამოქალაქო თავისუფლებები.

ძირითადი კანონი და სამოქალაქო თავისუფლებები

სამოქალაქო თავისუფლებათა სფეროში, როგორც გერმანული პოლიტიკის ერთმა მკვლევარმა განაცხადა „შესაბამისი ისტორიული გამოცდილება მიღებუ-

ლი იქნა მესამე რაიხის დროს, როცა რეპრესიული რეჟიმის პირობებში ადამიანის ყველა თავისუფლებები შეზღუდული და უხეშად დარღვეული იყო.“[9] ძირითადი კანონის პირველი ცხრამეტი მუხლი დეტალურად აღწერს ყოველი გერმანელი მოქალაქის განუყოფელ უფლებებს. დისკრიმინაციის ყველა ფორმა, მათ შორის რელიგიური და რასობრივი, ცალსახად აკრძალულია. სიტყვის, გადაადგილების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება გარანტირებულია, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა ეს უფლებები გამოყენებულია „თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის ხელყოფისათვის.“ ეს უკანასკნელი ჩასწორება აშკარად ორი რადიკალური პოლუსისათვის – ერთი მხრივ, ულტრამემარცხენე კომუნიზმისა და მეორე მხრივ, ულტრამემარჯვენე ნაციზმისთვის, იყო გამიზნული, რომელთა აღზევებამ სერიოზული კვალი დაასვა გერმანიის ისტორიას მეოცე საუკუნეში. უდავოდ, ეს არის ომისშემდგომი პერიოდის გამოძახილი, როცა მთელ ატლანტიკურ სივრცეს და, განსაკუთრებული სიმძაფრით, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილს კომუნიზმის სენი მოედო. თუმცა, არც უკიდურესად მემარჯვენე ძალების ისევ გაძლიერების საშიშროებაა მხოლოდ მოჩვენებითი. ამიტომ, აღნიშნული შეზღუდვა ომისშემდგომ პერიოდში „თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის“ წინააღმდეგ მიმართულ ძირითად საფრთხედ ნეო-ნაციზმს გულისხმობს.

მუშაობს თუ არა დემოკრატია გერმანიაში?

ძირითადი კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო „ახალი გერმანიის“ ინსტიტუციური კონსტრუირება ისე, რომ გამორიცხული ყოფილიყო „ძველი გერმანიის“ განმეორება. შეზღუდული ხელისუფლება – ძირითადი კანონის შემქმნელებმა გერმანული კონსტიტუციური დემოკრატიის მშენებლობისათვის იმ საძირკვლად მოიაზრეს, რომელიც ყველა სხვა მექანიზმზე უკეთესად უზრუნველყოფდა ძალაუფლების ცენტრალიზაციის პოტენციურად საშიში ტენდენციის შეკავებას, რამაც გერმანიის ახალ ისტორიაში შემზარავი შედეგები მოიტანა.

გერმანული დღის წესრიგი: მაგალითი

ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკა და რეკონსტრუქცია

გერმანიის ხელახლა გაერთიანება „ძვირი დაჯდა“. ყოფილი აღმოსავლეთ გერმანია დასავლეთთან შედარებით ეკონომიკურად დასუსტებული იყო. ინფრასტრუქტურა ცუდ მდგომარეობაში იყო, ქარხნები მოძველებული მანქანა-დანადგარებით მუშაობდა, მუშებს მნიშვნელოვანი უნარები არ ჰქონდათ, საწარმოთა დახურვის გამო უმუშევრობის დონე მაღალი იყო და კომუნისტური ეპოქის წვრილი ბიუროკრატია, რომელსაც თანამედროვე მენეჯმენტის არაფერი გაეგებოდა, საკუთარ პოზიციებს არ თმობდა. ეკონომიკამ წინსვლა დაიწყო მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ხელისუფლების სათავეში ჰელმუტ კოლი მოვიდა. 1994 წლის ოქტომბერში კოლი მეოთხე ვადით აირჩიეს კანცლერად. მართალია, ეკონომიკა 1992 წლიდან 1994 წლამდე წელიწადში

7-8%-ით იზრდებოდა, აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკა 1996 წელს მხოლოდ 3.5%-ით გაიზარდა, ხოლო 1997 წელს მხოლოდ 1.0%-ით ზრდას ელოდნენ. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ გერმანიის ეკონომიკა, სადაც დასავლეთი ქვეყნის მთლიან ეროვნულ შიდა პროდუქტში 90%-ს ითვლის, მალე ვერ შეიცვლება.

უცხოელი მუშები, არალეგალური ემიგრანტები და ნეოფაშისტური რეაქცია

მაღალი უმუშევრობა (აღმოსავლეთ გერმანიაში დაახლოებით 21%) განსაკუთრებით მტკივნეული იყო აღმოსავლეთ გერმანელებისათვის, რომლებიც კომუნისტური მმართველობის დროს სრულ დასაქმებას, დასაქმების გარანტიასა და დაბალ სამომხმარებლო ფასებს იყვნენ მიჩვეულნი. ამას გარდა, აღმოსავლეთ ევროპიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მრავალი დროებითი მუშა და არალეგალური ემიგრანტი კეთილდღეობის საძებნელად გერმანიაში წავიდა. ამან პოლიტიკური უთანხმოება, ეთნიკური დაძაბულობა და ქსენოფობიაც კი გამოიწვია – გერმანელი მოქალაქეები წუხდნენ, რომ მათ ერს უცხოელების მიერ განადგურება ელოდა. ქსენოფობიის ყველაზე უსიამოვნო გამოვლინებაა ნეონაცისტების („სქინჰედების“ ჩათვლით), მოქმედება და უცხოელების მიმართ განხორციელებული ძალადობის აქტები.

ევროკავშირის აღმავლობა

კოლის ხელისუფლება კვლავ უცვლელად უჭერდა მხარს ევროკავშირს ახალი ევროპული სავალუტო კავშირის შექმნის ჩათვლით. გერმანიისათვის საერთო ევროპის იდეა ხელსაყრელია, რადგან ამგვარი ლეგიტიმური სტრუქტურის გარეშე, ახალი გერმანული ფანატიზმის საფრთხე დგება დღის წესრიგში, რომლის მსგავსს 1930-იან წლებში ჰიტლერმა ჩაუყარა საფუძველი. მეორე მიზეზი ის არის, რომ გერმანიამ კარგად უწყის გაერთიანებულ ევროპაში თავისი დომინანტური ძალაუფლების შესახებ. მისი ძლიერი ეკონომიკა იმის გარანტიას იძლევა, რომ მას სხვა წევრ ქვეყნებზე პოლიტიკური გავლენა და კონკურენტული უპირატესობა ექნება.

აღმოსავლეთში ინვესტირება

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ გერმანიის უპირველესი მიზანი აღმოსავლეთი ნაწილის აღორძინებაა, გერმანელები ისტორიულად და გეოგრაფიულადაც ცენტრალურ ევროპაში ეძებენ ბაზრებს, ნედლეულს და ინვესტირების შესაძლებლობებს. გერმანია ბუნებრივი სავაჭრო პარტნიორია პოლონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკისათვის, ასევე დიდი ინტერესი აქვს გააფართოოს ვაჭრობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან.

ევროპასა და მსოფლიოში საკუთარი რიღის ხელახლა განსაზღვრა

თანამედროვე გერმანია გარდამავალ პერიოდშია. მისი მნიშვნელობა და დინამიკა გვკარნახობს, რომ ევროპასა და მის ფარგლებს მიღმა ის ლიდერის როლს ითამაშებს, თუმცა ამ როლის ზუსტი ბუნება ბუნდოვანია. 1990-იანი წლების შუა

ხანებში ბოსნიაში გაერთიანებული ერების მშვიდობის მისიის შესრულებისას გერმანელი ჯარისკაცები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გაგზავნეს საზღვარგარეთ. გერმანია არ შეურიგდება ნახევარი საუკუნის წინანდელ სამხედრო შეზღუდვებს. ჯერ უცნობია, კერძოდ როგორი როლი ექნება მას ევროპასა და მსოფლიოში.

თუმცა, ფედერალური რესპუბლიკის დემოკრატიული ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება ნამდვილად შთამბეჭდავია. ვაიმარის ისტორიული განმეორება არ მომხდარა. თუ ვაიმარის რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა ჩიხში მოაქცია, 1949 წლის შემდგომ დასავლეთ გერმანიის სწრაფი ომისშემდგომი რეაბილიტაცია და მგდრადი ინდუსტრიული განვითარება ხშირად ეკონომიკურ სასწაულადაც კი მოიხსენიება. ფედერაციული რესპუბლიკა დასავლეთ ევროპის წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და „თავისუფალი მსოფლიოს“ მესამე უდიდეს ეკონომიკურ ძალად იქცა, აშშ-სა და იაპონიის შემდეგ. ეკონომიკური წარმატება ერთ-ერთი იმ ძირითად მიზეზთაგანია, რის შედეგადაც დემოკრატია წარმატებულად განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო ვაიმარის რესპუბლიკა დაემხო. სწორედ დინამიკური ეკონომიკის წყალობით, თანამედროვე გერმანელებმა შეძლეს სიცოცხლისუნარიანი და ეფექტიანი დემოკრატიის შექმნა იმ მიწაზე, სადაც ერთ დროს წარმოუდგენელი იყო დემოკრატიის მუშაობა. ამ წარმატებამ, ყველა სხვა ცალკეულ ფაქტორზე უფრო მეტად, დააჩქარა მეზობელ აღმოსავლეთ გერმანიაში კომუნიზმის მარცხი.

ჯერ ადრეა დასკვნების გაკეთება იმის თაობაზე, თუ რა გრძელვადიან შედეგებს მოიტანს გერმანიის გაერთიანება ევროპისა და მთლიანად მსოფლიოსათვის. თანამედროვე გერმანია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთგულია და მისი ეკონომიკა მზარდი ევროკავშირის ფარგლებში ვითარდება. ეჭვი თითქმის აღარავის ეპარება, რომ ახალი გერმანია ევროპაში ნებისმიერი ახალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფორმაციის წამყვანი ძალა იქნება. ისიც ეჭვგარეშეა, რომ გერმანიის დემოკრატია კვლავაც განვითარდება იმ რთული გამოწვევის დაძლევის შემდგომ, რასაც აღმოსავლეთ გერმანიის მომაკვდავი დიქტატურიდან სრულფასოვან დემოკრატიად გადაქცევა წარმოადგენდა.

იაპონია: საპარლამენტო მმართველობა კონსენსუსის ქვეყანაში

მსგავსად სხვა აზიური საზოგადოებებისა, იაპონიასაც არ ჰქონდა დემოკრატიული ცხოვრების გამოცდილება 1947 წლამდე. მეტიც, მისი ისტორია და კულტურა ზოგჯერ დასავლური დემოკრატიული იდეებს ეწინააღმდეგებოდა კიდეც. თუმცა, დღეისათვის, იაპონია აზიის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული საპარლამენტო დემოკრატიაა (მეორე ამგვარი ტრადიციის ქვეყანა ინდოეთია, სადაც საპარლამენტო დემოკრატია იმავე პერიოდში ჩამოყალიბდა ძალიან რთულ პირობებში). იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ როგორ მოხდა ამგვარი ტრანსფორმირება, პირველ რიგში, უნდა მიმოვიხილოთ იაპონიის ისტორია.[10]

ისტორიული წანამძღვრები

იაპონიაში ფეოდალური ხანა 1868 წელს ***მეიძის რესტავრაციამდე*** გრძელდებოდა. ძველი დიდების დაბრუნების ფონზე, ტახტზე ახალი იმპერატორი (მეიძის დინასტიიდან) ავიდა და დაიწყო იაპონიის მოდერნიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული პრინციპები მარგინალურად, მაგრამ მაინც უკვე შესული იყო ქვეყანაში, მეიძის დინასტიის იაპონია კვლავაც ოლიგარქიად რჩებოდა. მართვის სადავეებს უხუცეს სახელმწიფო მოღვაწეთა საბჭო, ანუ გენრო, ფლობდა. იმპერატორის ფუნქცია, როგორც ეს ისტორიკოსებს დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, სიმბოლური იყო. თუმცა, თანამედროვე კვლევებმა ცხადყო, რომ ამგვარი შეფასება არასწორია. მართლაც, მიიჩნევდნენ რა ხორციელ ღვთაებად, იმპერატორს თაყვანს სცემდნენ და აღიქვამდნენ, როგორც ეროვნული ერთიანობის სიმბოლოს. თუმცა, ამავდროულად, ქვეყნისათვის კრიტიკულ სიტუაციაში იმპერატორი რეალურად აქტიურ სახელმწიფო ფიგურად და გადაწყვეტილების მიმღებ ხელისუფლად იქცეოდა ხოლმე.[11]

იაპონიამ ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი შიდა პროგრესი განიცადა. მოდერნიზებულმა ელიტამ წაახალისა ეკონომიკური განვითარება პროტექციონიზმისა და სუბსიდირების გზით. მხოლოდ ძირითადი ან სტრატეგიული მნიშვნელობის ინდუსტიული დარგები დარჩა სახელმწიფო მფლობელობაში. ეკონომიკური მოდერნიზაციის მოდელი დიდწილად დასავლურის მსგავსად შეიქმნა. მიუხედავად მიწისმფლობელთა პერიოდული წინააღმდეგობისა, ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა კაპიტალის განვითარების პროგრამით ხელმძღვანელობდა და მიზნად ისახავდა მძიმე მრეწველობის ხელშეწყობას. ქვეყნის ლიდერებმა მეიძის დინასტიის მმართველობის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავს, „გააუქმეს ფეოდალური ინსტიტუტები, დააკანონეს მიწაზე კერძო საკუთრება, აამუშავეს დასავლური ტიპის სამართლებრივი სისტემა, შემოიღეს სავალდებულო განათლება, ჩამოაყალიბეს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ახლებური ფორმები და აღმოფხვრეს ლეგალური ბარიერები სოციალურ კლასებს შორის.“[12]

პირველი მსოფლიო ომისა და მეიძის დინასტიის მმართველობის დასრულების შემდეგ, იაპონია პოლიტიკური განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ნაციონალიზმი, რომელსაც სკოლებშიც ასწავლიდნენ როგორც დისციპლინას, ერთგვარ რელიგიადაც კი იქცა. ხელისუფალნი ძალიან სწრაფად და ქაოსურად იცვლებოდნენ. თუმცა, იყო დემოკრატიული რეფორმების განხორციელების გარკვეული მცდელობები: მაგალითისათვის, 1925 წელს მოიხსნა არჩევნებში მონაწილეობისათვის ეკონომიკური ცენზი და ხმის მიცე-მის უფლებით სარგებლობის ნება მიეცა 25 წელს გადაცილებულ ყველა მამაკაცს. მაგრამ, 1930-იან წლებში მილიტარიზმის მზარდმა ტალღამ ახლადჩამოყალიბებული დემოკრატიული ჩანასახი გადაფარა. ულტრანაციონალისტები აცხადებდნენ, რომ დემოკრატიის მესვეური პოლიტიკოსები იაპონიის ძლევამოსილებას აკნინებდნენ და ქვეყანა მსოფლიოში მისი საკადრისი ადგილის მოპოვებას მხოლოდ ძლიერი მილიტარისტული მმართველობის პირობებში შეძლებდა. მილიტარისტებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მათი გამარჯვება იაპონიას მეორე მსოფლიო ომში სამარცხვინო დამარცხების ფასად დაუჯდა.

1930-იან წლებში პირველადი დემოკრატიული რეფორმების საკმაოდ სწრაფი და უმტკივნეულო ჩაშლა ცხადყოფს, რომ იაპონიაში რეალურად არც მომხდარა კონსტიტუციური მმართველობის იდეის გატარება. ზოგადი რწმენით, სუვერენიტეტი გამომდინარეობდა იმპერატორის ღვთაებრიობისაგან და არა ხალხისგან. ამდენად, ომამდე პერიოდის იაპონია დემოკრატიის იდეას მხოლოდ ზედაპირულად შეეხო.

ახალი კონსტიტუცია

იაპონიის 1947 წლის კონსტიტუცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომში იაპონიაზე გამარჯვებული აშშ-ის მიერ იქნა შემოღებული, მიზნად ისახავდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, სუვერენიტეტის წყაროს უკვე ხალხი წარმოადგენდა და არა იმპერატორი. ამერიკული გავლენა აშკარაა იაპონიის კონსტიტუციაზე, განსაკუთრებით მის პრეამბულაზე:

> ჩვენ, იაპონელი ხალხი, ვმოქმედებთ რა ეროვნულ პარლამენტში ჩვენ მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, ვიღებთ გადავწყვეტილებას, ჩვენთვის და ჩვენი კეთილდღეობისათვის დავამყაროთ მშვიდობიანი თანამ-

> შრომლობა ყველა ერთან, დავიცვათ თავისუფლება ამ მიწაზე, აღარასდროს დავუშვათ ომის განმეორება და გამოწვევა ხელისუფლების რაიმე ქმედებით, ვაცხადებთ, რომ ძალაუფლება მომდინარეობს ხალხისგან და ვამტკიცებთ ამ კონსტიტუციას... ხელისუფლება აღჭურვილია ხალხის ნდობით, ხელისუფლების ძალაუფლება მომდინარეობს ხალხისგან და ხელისუფლება ემსახურება ხალხს.

იაპონიის 1947 წლის კონსტიტუციის ავტორები ცდილობდნენ წარმომადგენლობითი დემოკრატიის დეტალურად გაწერილი სისტემა შეემუშავებინათ. იმ ფუნდამენტურ უფლებებს შორის, რომელთაც კონსტიტუცია ითვალისწინებდა, იყო მოქალაქეთათვის განათლების მიღების თანასწორი უფლება და მუშათა შეკრებისა და კოლექტიური შეთანხმების უფლება. იაპონიის კონსტიტუციის კიდევ ერთი თავისებურება გახლდათ ისიც, რომ იგი ერთმნიშვნელოვნად გმობდა ომს და აცხადებდა, რომ ქვეყანა არასდროს იქონიებდა „სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს ან ომის წარმოების სხვა პოტენციალს“ (თუმცა, ამ დათქმამ იაპონიის ხელისუფლება მაინც ვერ შეაჩერა, შეექმნა ლიმიტირებული „თავდაცვითი ძალები“).

საპარლამენტო დემოკრატია: გარეგნული და რეალური მხარეები

კონსტიტუციის მიხედვით იაპონიაში საპარლამენტო მმართველობის ფორმა დამკვიდრდა. იმპერატორი ქვეყნის ფორმალურ მმართველად რჩება, თუმცა მისი ფუნქცია მხოლოდ ცერემონიულია. პრემიერ-მინისტრი არის ქვეყნის რეალური მეთაური. კონსტიტუციის ავტორებმა ფორმალური ხელისუფლების უზენაესობა ახალ ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოს მიანიჭეს. ეს ორგანო, რომელსაც ასამბლეა ეწოდება, შედგება 511 წევრიანი წარმომადგენელთა პალატისაგან, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევა (შესაძლებელია, არჩევნები უფრო ხშირადაც ჩატარდეს იმ შემთხვევაში, თუ პალატა დათხოვნილი იქნება და შედარებით ნაკლები გავლენის მქონე 252 წევრიანი მრჩეველთა პალატისაგან, რომელიც ექვსი წლის ვადით ირჩევა (მისი ნახევარი სამ წელიწადში ერთხელ ახლდება) [ეს ციფრები შეიძლება იცვლებოდეს – მთარგმნ. შენ.].

თავიდან, ორივე პალატის წევრები კენჭს იყრიდნენ მრავალმანდატიანი უბნებიდან საყოველთაო არჩევნების წესით, სადაც ამომრჩეველი მხოლოდ ერთ არჩევანს აკეთებდა. ამ სისტემამ 1994 წლამდე იმუშავა, ანუ ვიდრე საარჩევნო რეფორმის მიხედვით არ შეიცვალა საარჩევნო უბნების საზღვრები და საარჩევნო პროცედურა წარმომადგენელთა პალატისათვის (კერძოდ, ჩამოყალიბდა 300 ერთმანდატიანი საარჩევნო ერთეული, ხოლო დანარჩენი 200 მანდატი პროპორციულ წარმომადგენლობაზე გადანაწილდა).

კონსტიტუცია აცხადებდა, რომ სახალხო სუვერენიტეტის მატარებელი ორგანო არის ასამბლეა, რომელიც ერთადერთი კანონშემოქმედი სახელისუფლო ინსტიტუტია. თუკი ადრე პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი ანგარიშვალდებულნი იყვნენ იმპერატორის წინაშე, ახლა ეს ვალდებულება პარლამენტის, „როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს“ წინაშე დაეკისრათ. იაპონიის უზენაესი სასამართლო უფლებამოსილი გახდა კანონები არაკონსტიტუციურად გამოეცხადებინა (რაც ძალიან იშვიათად ხდება), მოსამართლეები კი მათი დანიშვნის შემდგომ ყოველი ათი

წელიწადში ხელახლა უნდა ყოფილიყვნენ დამტკიცებულნი ამომრჩეველთა მიერ (ამ პროცესმა ფაქტობრივად ავტომატური ხასიათი შეიძინა).

როგორც ქვემოთ გავიგებთ, იაპონიას მოუხდა დასავლური ინსტიტუტების საკუთარ, საკმაოდ ძლიერ და თავისებურ კულტურულ ტრადიციებზე მორგება. შედეგად, ჩამოყალიბდა უნიკალური სისტემა, რომელიც ახლის (დემოკრატიული პოლიტიკა და საბაზრო ეკონომიკა) და ძველის (პოლიტიკური იერარქია, ეკონომიკური ცენტრალიზაცია, საზოგადოებრივი დისციპლინა) საინტერესო კომბინაციაა.

პარტიული სისტემა

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია დომინირებდა იაპონურ პოლიტიკაში 1955-დან 1993 წლამდე. მართალია, არსებობდა სხვადასხვა, უფრო მცირე პოლიტიკური პარტიებიც, მაგრამ ისინი არაეფექტურნი და ნაკლებად გავლენიანნი იყვნენ. ამ ოპოზიციურ პარტიებს შორის, სოციალისტებმა და კომუნისტებმა რამდენჯერმე შეძლეს ხმათა მნიშვნელოვანი რაოდენობის დაგროვება, მაგრამ მათი საკანონმდებლო როლი ძირითადად საპარლამენტო ოპონირებით შემოიფარგლებოდა. დაახლოებით ოთხი ათწლეულის განმავლობაში, ქვეყნის რეალური მართვის სადავეებს თითქმის ექსკლუზიურად ფლობდა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია.

თუ ერთი პარტია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს საპარლამენტო ადგილების უმრავლესობას თავისუფალი არჩევნების პირობებში, ეს როგორც წესი, იმაზე მიანიშნებს, რომ ამ პარტიამ შეძლო სოციალური ინტერესების ფართო სპექტრის დაკმაყოფილება. ლიბერალ-დემოკრატების წარმატება იაპონიაში განაპირობა იმან, რომ ლდპ-მ ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა ფართო სახალხო მოთხოვნები დააყენა, განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო რამდენიმე სპეციფიკური და ყველაზე აქტუალური ინტერესის მიმართ, გააჩნდა ძალიან დიდი უპირატესობა ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების თვალსაზრისით და კარგად სარგებლობდა პოლიტიკური ინერციით. ორი მოსაზრების თანახმად:

> იმ მიზეზების დადგენა, თუ რამ გამოიწვია კონსერვატორების ხანგრძლივი დომინირება, რთული არ არის. პირველ რიგში, ეს განაპირობა კონსერვატორების მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა, რომელთაც საზოგადოებას დაანახეს, რომ არ ხდებოდა სრული წყვეტა წარსულთან. დამოუკიდებლობის მიიღებისთანავე გაატარეს მიწის რეფორმა. ის ცვლილებები, რაც მათ განახორციელეს უფრო ცენტრალიზებული მმართველობის სასარგებლოდ, მიმართული იყო ოკუპაციური მმართველობის მიერ დაშვებული აშკარა შეცდომების გამოსწორებისაკენ. გარდა ამისა, ლიბერალ-დემოკრატებს გააჩნდათ რესურსების კონტროლის მნიშვნელოვანი ბერკეტი, რაც მათ საჭირო მომენტში საჭირო ეკონომიკური და პროფესიული კავშირების მხადაჭერის მოპოვებაში უწყობდა ხელს. პარტია ერთდროულად სარგებლობდა სამეურნეო და ბიზნეს-ჯგუფების უმრავლესობის მხარდაჭერით, რაც მის პოზიციას კიდეც უფრო აძლიერებდა. ის ბიუროკრატიასთან ძალიან ახლოს იდგა. თუმცა, საინტერესოა ისიც, რომ მჭიდრდო კავშირები ბიუროკრატიასთან, ბიზნეს-საზოგადოებასთან ან რესურსების კონტროლი არ იყო საკმარისი. 1955 წელს ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო ფართო პარტიული

> აღმშენებლობა წევრების მასობრივი მიზიდვით. პარტიამ ნამდვილად რთულ ამოცანას გაართვა თავი ქვეყანაში, სადაც ძნელად წარმოსადგენი იყო რეგიონულ პარტიულ ორგანიზაციას ჩაენაცვლებინა ტრადიციული პიროვნული კულტი და გამხდარიყო ის ფაქტორი, რის გარშემოც შეიძლებოდა საზოგადოებრივი კონსოლიდაცია.[13]

ლიბერალ-დემოკრატების, როგორც იაპონიის უმთავრესი პარტიის მიერ დამკვიდრებული კონსენსუსის მიღწევის პრინციპი ქვეყნის პოლიტიკის მახასიათებელ ნიშნად იქცა. პარტია არ წარმოადგენდა მონოლითურ პოლიტიკურ ბლოკს, იგი იყო სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფების ერთგვარი თავისუფალი კოალიცია, სადაც შიდა კონსენსუსის მიღწევა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა. 1993 წლამდე პარტიის მიერ არჩეული თავმჯდომარე, საყოველთაო არჩევნების შემდგომ, ავტომატურად ხდებოდა ქვეყნის პრემიერ- მინისტრი. პარტიის ლიდერის არჩევა კი, როგორც წესი, დაკავშირებული იყო საკმაოდ ინტენსიურ მოლაპარაკებებსა და გარიგებებთან პარტიის შემადგენელ განსხვავებულ ფრაქციებს შორის, რომელთაც თავიანთი ლიდერები, სამოქმედო პროგრამები და მხარდამჭერი რეგიონები ჰყავდათ.

იაპონიის სტაბილური, ერთი პარტიის მიერ დომინირებული სისტემა შეირყა 1993 წლის ისტორიული საყოველთაო არჩევნების შედეგად. სინამდვილეში, ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ თვითონ განაპირობა საკუთარი დამარცხება. 1990-იანი წლების დასაწყისში პარტია ფაქტობრივად დაიშალა: იმ გახმაურებული პოლიტიკური სკანდალების შემდეგ, რაშიც პარტიის მაღალჩინოსნები იყვნენ ჩართული და რამაც პარტიის იმიჯი მკვეთრად შელახა, მას გამოეყო რამდენიმე ფრაქციის ლიდერი. პოლიტიკური სკანდალები კიიჩი მიიაძავას მთავრობის დამხობის კატალიზატორად იქცა. უფრო ღრმა და რეალურ მიზეზს კი საზოგადოებაში უხვად დაგროვილი სოციალური პრობლემები წარმოადგენდა: დღითიდღე მზარდი სოციალური უკმაყოფილება, მაღალი ფასები, გრძელი სამუშაო დღეები და ა.შ.

თუმცა, მმართველი პარტიის დამარცხებას არ გამოუწვევია გამოკვეთილი ალტერნატივის გაჩენა: ლიბერალ-დემოკრატები აშკარად დამარცხებულები იყვნენ, მაგრამ არ ჩანდნენ ასეთივე აშკარა გამარჯვებულნი. რვა ცენტრისტული, მემარცხენე-ცენტრისტული და მემარცხენე პარტიის არამყარმა კოალიციამ ახალბედა პოლიტიკოსი მორიჰირო ჰოსოკავა აირჩია პრემიერ-მინისტრად. ჰოსოკავა მანამდე პატარა პარტიის – „ახალი იაპონიის“ ლიდერი იყო, რომელმაც მხოლოდ 35 მანდატი მოიპოვა პარლამენტში და ამ პარამეტრით მეხუთე ადგილი დაიკავა ლიბერალ-დემოკრატების (223 მანდატი), სოციალ-დემოკრატების (70 მანდატი), იაპონიის აღორძინების პარტიისა (55 მანდატი) და „სუფთა მმართველობის“ პარტიის (51 მანდატი) შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ რვავე პარტია ერთიანდებოდა კოალიციაში ლიბერალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ეს გაერთიანება არ იყო საკმარისად ერთსულოვანი იმისათვის, რომ ხანგრძლივად დაეჭირა მხარი ჰოსოკავას მმართველობისათვის.

ამრიგად, ჰოსოკავას მმართველობა ერთ წელიწადსაც არ გაგრძელებულა. მომდევნო მთავრობამ ცუტოუმო ჰატას ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მოკლე ხანს, სულ რაღაც ორ თვეს დაჰყო ხელისუფლებაში. ჰოსოკავას მსგავსად, ჰატაც ყოფილი ლიბერალ-დემოკრატი იყო, რომელიც გამოეყო პარტიას იმისათვის, რომ ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია შეექმნა. მის მიერ ჩამოყალიბებული პარტია „ახალი ფრონტი“ არ აღმოჩნდა პოლიტიკურად დღეგრძელი, ჰატამ ახალი პოლიტიკური ბერკეტი – ნაციონალური პარტია შექმნა. ამ და სხვა ახალი ორგანიზაციების ერთდროული გამოჩენა

არენაზე იაპონიაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ტრანსფორმაციას მოასწავებდა. ერთ დროს ძალზე სტაბილური პარტიული სისტემა მოკლე ხანში გადაიქცა დანაწევრებულ და ძნელად პროგნოზირებად პოლიტიკურ სპექტრად. იაპონია პარტიული ძალების გადაჯგუფებისა და ცვლილებების პროცესში აღმოჩნდა, რომლის საბოლოო შედეგი საკმაოდ ბუნდოვანი იყო.

იაპონიის პოლიტიკური მერყეობა კვლავ გრძელდებოდა. 1994 წლის ივნისში, ლიბერალ-დემოკრატების მართული კოალიციის მიერ იაპონიის მთავრობის ახალ ხელმძღვანელად არჩეულ იქნა სოციალისტური პარტიის ლიდერი. ამგვარი რამ, თუნდაც ერთი წლით ადრე წარმოუდგენელი იქნებოდა. წელიწადნახევრის შემდგომ კი რუიუიტარო ჰაშიმოტო, ლიბერალ-დემოკრატების თავმჯდომარე გახდა ბოლო სამი წლის განმავლობაში იაპონიის უკვე რიგით მეხუთე პრემიერ-მინისტრი. ამავდროულად, 1996 წლის არჩევნების შედეგებმა მოახდინა ლიბერალ-დემოკრატების ერთგვარი პოლიტიკური რეაბილიტაციაც საკანონმდებლო ორგანოში, სადაც მათ გაიმარჯვეს, თუმცა არადამაჯერებლად (ხმების უმრავლესობის მოპოვება მაინც ვერ შეძლეს). პარტია რჩებოდა ცვლილებების მოწინააღმდეგე კონსერვატორი ლიდერების კონტროლის ქვეშ და ამ მოუქნელმა პოლიტიკამ 1990-იანი წლების ბოლოს ეკონომიკური რეგრესი და შესაბამისად, ელექტორატის მხარდაჭერის შესუსტება გამოიწვია.

2001 წლის გაზაფხულზე, საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ბრძოლის შედეგად, ქარიზმატული რეფორმისტი, ძიუნიტირო კოიძუმი გახდა ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. კოიძუმი პარტიის უხუცესთა და მათი მკაცრად კონსერვატიული მიდგომების წინააღმდეგ გამოდიოდა. საინტერესოა, რომ მას არ გააჩნდა საკუთარი პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობის მხრიდან საკმარისი მხარდაჭერა, მაგრამ პარტიაში გარკვეული წრეები და ასევე ზოგადად ხალხი ენთუზიაზმით შეხვდა კოიძუმის პიროვნულ ქარიზმას, ახლებურ იდეებსა და მიზანმიმართულობას. მისი ხედვა ძირეულ რეფორმებს გულისხმობდა, განსაკუთრებით ქვეყნის დახურული და იზოლირებული ეკონომიკური სისტემის რეფორმირებას, რომელმაც განაპირობა ხანგრძლივი ეკონომიკური ჩავარდნა, არცთუ შთამბეჭდავი მდგომარეობა საფონდო ბირჟაზე (კარგად გამოიხატა *Nikkei*-ს ინდექსში [ტოკიოს საფონდო ბირჟის ინდექსი – მთარგმნ. შენ.]), და უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრი დაცემა (1990-იანი წლების დასაწყისში საკუთრების ღირებულება ზოგიერთ შემთხვევაში 80 პროცენტითაც კი გაუფასურდა). თუმცა, ვიდრე იაპონიის ეკონომიკურ „შემობრუნებას“ უზრუნველყოფდა, კოიძუმის მოუხდა 1993 წლიდან ინიცირებული და შემდგომ შეფერხებული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების ბოლომდე მიყვანა. ტრადიციების ერთგულ იაპონიაში ეს უდავოდ რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენდა.

პოლიტიკურ ცვლილებათა შემათრგუნველი ფაქტორები

თანამედროვე იაპონიის დემოკრატია წარმოდგენს ადგილობრივი კულტურისა და იმპორტირებული დემოკრატიის უნიკალურ კომბინაციას. კერძოდ, 1947 წელს იაპონიაში დამყარებულმა დემოკრატიულმა სისტემამ შეინარჩუნა ტრადიციული პოლიტიკის მახასიათებელი იმგვარი ელემენტები, როგორიც იყო, მაგალითად, პატრონ-კლიენტელური ტიპის ურთიერთობები. ეს უკანასკნელი კარგად ვლინდება ფრაქციული ლიდერებისა და ერთგული მომხრეების დამოკიდებულებებში.

პიროვნული ერთგულება და ნდობა არის ფინანსური დახმარების, შიდაპარტიული ძალაუფლების და ცალკეული პარტიული ლიდერის ავტორიტეტის მოპოვების წინაპირობა. თუმცა, ძნელია იმის ზუსტად თქმა, თუ რამდენად შეარყია ამ სისტემის საფუძველი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის დანაწევრებამ და 1994 წელს განხორციელებულმა საარჩევნო და ანტიკორუფციულმა რეფორმებმა. აშკარაა, რომ ფრაგმენტირებული პარტიული სისტემისა და ნაკლებად სტაბილური ხელისუფლების პირობებში, პოლიტიკური ძალაუფლებაც უფრო არამდგრადი და ადვილად წარმავალი გახდა. თუმცა, უცნობია, ამ ცვლილებებმა რამდენად მოახდინა გავლენა კლიენტელური ტიპის ურთიერთობებზე ხელისუფლებას, ბიუროკრატიასა და ბიზნეს-ელიტას შორის კულუარულ გარიგებებში.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, პრემიერ-მინისტრი ძიუნიტირო კოიძუმი 2001 წლის ზედა პალატის არჩევნებში საკუთარი პარტიის შთამბეჭდავ გამარჯვებას ზეიმობს. კოიძუმიმ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას იაპონიის პოლიტიკაში წამყვანი როლი დაუბრუნა.

კიდევ ერთი ტრადიცია, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს შეიძლება ემსხვერპლოს, არის იაპონიისათვის მახასიათებელი კონსენსუსის პრინციპი გადაწყვეტილებების მიღებისას. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით:

> ეს მეთოდი ემყარება წინაპირობას, რომ ერთი ჯგუფის – მაგალითად, სოფლის საბჭოს წევრებმა უნდა განაგრძონ დისკუსია, მოლაპარაკება და კომპრომისული გარიგებები მანამ, სანამ კონსენსუსი იქნება მიღწეული... დემოკრატიული ნორმების გავრცელების მიუხედავად, კონსენსუსით მართვის ტრადიცია ჯერ კიდევ აქტუალურია და ზოგჯერ იწვევს „უმრავლესობის ტირანიის“ წინააღმდეგ ხმამაღალ გამოსვლებს – მაგალითისათვის, მაშინ როცა მმართველი ძალა ახდენს იმგვარი საკანონმდებლო ინიციატივის გატანას, რომელსაც ოპოზიცია სასტიკად ეწინააღმდეგება.“[14]

ისევე როგორც პატრონ-კლინტელური ტიპის ურთიერთობები, კონსენსუსის პრინციპი ღრმად ფესვგადგმულია იაპონიის კულტურასა და ტრადიციაში და ამიტომ, ნაკლებად მოსალოდნელია ამ ღირებულებების ჩანაცვლება ახლო მომავალში. თუმცა, არსებობს იმის გარკვეული მოლოდინიც, რომ მრავალპარტიულობამ და პოლიტიკური არასტაბილურობის ზრდამ შესაძლოა გაართულოს და მოშალოს კიდეც საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის პრინციპი და განსხვავებულ აზრს, პოლიტიკურ სისტემა-ში ფარული თანამშრომლობისა და ჩუმი გარიგებების ნაცვლად, პირდაპირი ოპონირე-ბისაკენ უბიძგოს.

სასამართლო ხელისუფლება და იაპონური კულტურა

იაპონიის სასამართლო სისტემა ამერიკული და ევროპული გავლენის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. ამერიკული გავლენა აშკარაა თუნდაც იაპონიის უმაღლესი სასამართლო ორგანოს, უზენაესი სასამართლოს დასახელებაში. უმაღლესი მოსამართლე, მთავრობის წარდგინების შემდგომ, ინიშნება იმპერატორის მიერ. დანარჩენი მოსამართლეები ინიშნებიან პირდაპირ კაბინეტის მიერ იმპერატორის ყოველგვარი ფორმალური ჩარევის გარეშე. უზენაესი სასამართლო, მისი ამერიკული ანალოგის მსგავსად, უფლებამოსილია იურიდიული რევიზია მოახდინოს (ანუ შეუძლია გამოაცხადოს ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი არაკონსტიტუციურად). მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სისტემისათვის უცხო არ არის, მაინც ექსტრაორდინალურია რამოდენიმე დანიშნული პირისათვის იმგვარი ძალაუფლების მინიჭება, რითაც შესაძლებელია 750 არჩეული პირის გადაწყვეტილების კანონგარეშედ გამოცხადება და გაუქმება. კონსტიტუციური დემოკრატიების უმრავლესობაში მოსამართლეები კანონმდებლებზე ამგვარი უპირატესობით არ არიან აღჭურვილნი.

ზოგადად, სასამართლო სისტემა უფრო ეროპული მოდელის მიხედვით არის აგებული, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკულ გავლენას განიცდის. კულტურული თვალსაზრისით კი იაპონელები ამერიკელებთან შედარებით უფრო ნაკლებ მიდრეკილნი არიან სხვადასხვა დავების სასამართლო გზით გადაწყვეტისაკენ – ამა თუ იმ სამოქალაქო კონფლიქტის თუ მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში, იურიდიულ საშუალებებზე მეტად სოციალური ინსტიტუტებსა და ნორმებს მიმართავენ. ხშირად, თემის პატივსაცემი პირის, ოჯახის უფროსის ან სამსახურებრივი ხელმძღვანელის წარმატებული ჩარევა ამგვარ შემთხვევებში საქმის ლეგალური მსვლელობის აუცილებლობას ხსნის.

მუშაობს თუ არა დემოკრატია იაპონიაში?

მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური რყევებისა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, დემოკრატია იაპონიაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ძირითადად სტაბილური და მყარია. იმის გათვალისწინებით, რომ იაპონიას მანამდე არ ჰქონია სახალხო თვითმმართველობის რაიმე გამოცდილება, ეს მიღწევა უფრო შთამბეჭდავია. ისევე როგორც გერმანიის შემთხვევაში, იაპონიაშიც სტაბილური დემოკრატიის ჩამოყალიბებაში ეკონომიკამ შეასრულა წამყვანი როლი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკა ძალიან სწრაფად და დინამიურად განვითარდა, ხოლო ომის შედეგად განადგურებული ქალაქები (რომელებსაც სიმბოლურად განასახიერებდა ჰიროსიმა და ნაგასაკი), გადაიქცა ეფექტიანი და ინოვაციური ინდუსტრიული წარმოების მოდელებად. რეფორმატორი სამეწარმეო ელიტის მიერ ეკონომიკური ზრდის მიზანმიმართული დაგეგმარე-ბა მნიშვნელოვანი იყო იაპონიის სწრაფი აღმასვლისათვის. არანაკლები წვლილი შეიტანა ამ საქმეში მსოფლიო სავაჭრო სისტემაში ინტენსიურმა და მოცულობითმა ჩართვამ, ისევე როგორც კორეის ომის დროს (1950-53 წწ.) მასობრივმა ამერიკულმა შესყიდვებმა. ექსპორტზე ორიენტირებულმა, მერკანტილისტურმა ეკონომიკურმა სტრატეგიამ მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში უზარმაზარი წინსვლა განაპირობა მძიმე მრეწველობის დარგში – კერძოდ მანქანათმშენებლობაში, ავტომატიკისა და სამომხმარე-

ბლო ელექტრონიკის წარმოებაში. დღესდღეობით იაპონია მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკას წარმოადგენს მიუხედავად „ომამდე არსებული ტერიტორიების 52 პროცენტის დაკარგვის, კალიფორნიის შტატის ფართობის ქვეყანაში 5 მილიონზე მეტი ადამიანის დაბრუნების, სანაოსნო ძალების 80%-ზე მეტის განადგურებისა და საწარმოთა ერთი მეხუთედის და მრავალი დიდი ქალაქის დანგრევისა."[15]

1980-იანი წლების შუა პერიოდში, იაპონიის საბაზრო ეკონომიკის წარმატების თვალსაჩინო ნიშანი გახდა აშშ-სთან მრავალმილიარდიანი ვაჭრობიდან მიღებული შთამბეჭდავი მოგება. აშშ იაპონური ექსპორტის მესამედის მომხმარებელს წარმოადგენდა. ამან აშშ-ში იაპონიის სავაჭრო სტრატეგიის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. იაპონელი ხელისუფალნი ირწმუნებოდნენ, რომ ამერიკაში არსებობდა მზარდი მოთხოვნა პროდუქციაზე იარლიყით „დამზადებულია იაპონიაში" (*made in Japan),* რადგან ამერიკული პროდუქცია ხარისხით ჩამოუვარდებოდა მას. ამ ტიპის დაძაბულობა ორ ერს შორის თითქმის მთელი ათწლეული გრძელდებოდა და გამოიხატებოდა იაპონიაში ნაციონალიზმის ერთგვარი ზრდით, ხოლო აშშ-ში „ანტიიაპონური", ე.წ. „შეიძინე ამერიკული" [პროდუქცია] სენტიმენტების გაძლიერებით.

იაპონია აღმოცენდა როგორც აზიის პირველი, ხოლო მსოფლიოში რიგით მეორე უმძლავრესი ეკონომიკა, მაგრამ ახლო წარსულის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ამგვარი ჯანსაღი და ძლიერი ეკონომიკაც კი არ არის დაზღვეული რეცესიისაგან. 1990-იანი წლების დასაწყისში, იაპონიაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა, რამაც სტაგნაცია გამოიწვია. თავის მხრივ ეს უკავშირდებოდა ბოლო 12 წლის განმავლობაში ოთხი ეკონომიკური რეცესიის გავლენას. 1996 წლიდან იაპონიის საბანკო სისტემა უზარმაზარი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფო ჩარევისა და დახმარების მოთხოვნამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და ამასთანავე, აზიის მრავალი ეკონომიკა დაეცა საბანკო და კრედიტების დაუდევარი პოლიტიკისა და ფინანსური ინსტიტუტების ძალზე არაადეკვატური რეგულირების გამო. ახალი ათასწლეულის დასაწყისში იაპონიის ეკონომიკა განაგრძობდა უკუსვლას, რასაც თან ახლდა ქვეყნის საბანკო სისტემის ჩიხში შესვლა, მთავრობისაგან დამოუკიდებელად გაფორმებული მსხვილი ბიზნეს-გარიგებების შედეგად განვითარებულ დარგებში გაჩენილი პრობლემების გამო. კერძოდ, იმგვარი ინდუსტრიები, როგორიცაა მშენებლობა, უძრავი ქონების ბიზნესი და საცალო ვაჭობა, იქცნენ საბანკო სისტემიდან მიღებული უზარმაზარი სესხების ნაკლებ გადახდისუნარიან მევალეებად.

იაპონიის დღის წესრიგი: მაგალითი

ხელისუფლების თანმიმდევრულობის აღდგენა

1990-იანი წლებში იაპონიის წინაშე მდგარი ყველაზე მძიმე პოლიტიკური საკითხი ბუნებით ინსტიტუციონალური იყო: ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის მონოპოლიის მოსპობის შემდეგ, შეძლებდა თუ არა იაპონია იმ პოლიტიკური სტაბილურობის აღდგენას, რომელიც ლდპ-ს მმართველობისას ჰქონდა და რომლის გარეშე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი „ეკონომიკური საოცრება" იქნებ არც მომხდარიყო? ისევ იქნებოდა თუ არა იაპონურ დემოკრატიაზე გავლენა ხელისუფლების სუსტი კოალიციიებით განპირობებულ რყევებს, ფართო მასების მხარდაჭერის

მოპოვების ან შეთანხმების მიღწევის უუნარობას იმ საზოგადოებაში, სადაც მუდამ ფასობდა კონსენსუსი გადაწყვეტილების მიღებისას?

კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება

უკანასკნელ პერიოდში აზიამ არამდგრადობა დაადასტურა. თუმცა, დიდი დროის განმავლობაში იაპონიის უპირატესი სავაჭრო მდგომარეობა აზიაში რამდენიმე მიმართულებით აწყდებოდა სირთულეებს. სირთულეთა ერთი ჯგუფი ე.წ. ახალ სამრეწველო ქვეყნებს – სამხრეთ კორეას, ტაივანს და სინგაპურს, მოიცავს (ჰონკონგი ამ ჯგუფის წევრი იყო 1997 წელს ჩინეთის კონტროლის ქვეშ ხელმეორედ მოქცევამდე. მისი ბედი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის დამოუკიდებელი აქტორისა კვლავ ბუნდოვანია). განვითარებადი აზიური ქვეყნების მეორე ტალღა, ტაილანდისა და მალაიზიის წინამძღოლობით, ასევე უცვლის სახეს აზიის რეგიონულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. გრძელვადიან პერიოდში იაპონური მერკანტილიზმისათვის გაცილებით დიდ აზიურ საფრთხეს გლობალურ ეკონომიკაში ჩინეთის სწრაფად მზარდი დომინანტური როლი წარმოადგენს.

შეერთებულ შტატებთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება

შეერთებული შტატები იაპონიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე და სავაჭრო პარტნიორია. შეერთებული შტატები, როგორც უდიდესი ბაზარი და ინვესტირებისათვის უპირატესი ადგილი იაპონიისათვის, სასიცოცხლოდ არსებითია ამ უკანასკნელის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის (და პირიქით). წყნარი ოკეანის დასავლეთ აუზში შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების არსებობამ და ამერიკულმა ბირთვულმა დაცვამ (რომელიც თეორიულად არა მხოლოდ შეერთებულ შტატებს, არამედ ამერიკის უახლოეს სამხედრო მოკავშირეებსაც იცავს ბირთვული თავდასხმისაგან) საშუალება მისცა იაპონიას, სამომხმარებლო მრეწველობის მაღალი ტექნოლოგიების განვითარებასა და საგარეო ბაზრებზე გადართულიყო და მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ზე ნაკლები დაეხარჯა თავდაცვაზე. მიუხედავად ამისა, ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით ძველი კამათის გამო დაძაბულობამ და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის განვითარების პროგრამის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობამ მაინც იჩინა თავი ორმხრივ ურთიერთობებში. შეერთებული შტატების ხელისუფლების აზრით, იაპონიასთან მიმართებაში ხანგრძლივი ამერიკული სავაჭრო დეფიციტის მიზეზი იაპონიის პროტექციონისტური პოლიტიკა და ჩაკეტილი კულტურაა, რომელიც ხშირად იაპონიას პოტენციური უცხოელი კონკურენტებისათვის თითქმის მიუწვდომელს ხდის.

ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნება

1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული ხანგრძლივი ეკონომიკური რეცესიის მიუხედავად, იაპონია მდიდარ საზოგადოებად რჩება. ის პატარა ქვეყანაა მრავალრიცხოვანი მოსახლეობით; მისი მიწის უდიდესი ნაწილი მთიანია და საცხოვრებლად გამოუსადეგარი. იაპონიაში ჭარბმოსახლეობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემებია გავრცელებული, როგორიცაა ჰაერის დაბინძურება, ხმაური, საცობები გზებზე, მიწის მაღალი ფასი. თანამედროვე ტექნოლოგიები ია-

პონიასა თუ რომელიმე სხვა ქვეყანას ჯერ ვერ სთავაზობს ეკონომიკური ჭარბგანვითარების უარყოფით ასპექტების მოგვარების გზებს.

ტრადიციისა და თანამედროვეობის მაღანსი

იაპონური კულტურა დღემდე დიდ გავლენას ახდენს იაპონური საზოგადოების იერსახეზე. შემთხვევითი დამკვირვებლისათვის იაპონია თანამედროვეობის განსახიერებაა. თუმცა სინამდვილეში იაპონელთა უმრავლესობაში ტრადიციული ფასეულობები და დამოკიდებულებებია ძვალსა და რბილში გამჯდარი და ჯიუტად ებღაუჭებიან წარსულს. ამის გამო, უცხოელისთვის ძალზე ძნელია იაპონიაში საქმის დაწყება და წარმატების მიღწევა. გაუთავებელი დებატების თემაა ტრადიცია და თანამედროვეობა. ზოგი ამტკიცებს, რომ იაპონიამ კარი უნდა გაუღოს სხვა ხალხებს, სხვები კი შიშობენ, რომ ისედაც მრავალგვარი უცხოური გავლენა დაუშვეს, რაც საფრთხეს უქმნის იაპონურ კულტურას. იაპონური ეკონომიკის დაღმავლობა კიდევ უფრო აღრმავებს ამ არგუმენტს და ზოგს აფიქრებინებს, რომ იაპონიის ეკონომიკას სასწრაფოდ სჭირდება მოდერნიზაცია და საფუძვლიანი სტრუქტურული რეფორმა.

> იმ „ეკონომიკური სასწაულის“ შემდგომ, რომელიც იაპონიაში დემოკრატიის განვითარების საწყის ათწლეულებს და 1980-იანი წლების ეკონომიკურ ბუმს დაემთხვა, და რასაც შთამბეჭდავი პიკიდან სწრაფი ვარდნა მოჰყვა, საინტერესოა, აღმოჩნდა თუ არა საფრთხის ქვეშ იაპონიის საპარლამენტო დემოკრატია? პასუხია — არა. მიუხედავად 1990-იანი წლების შეფერხებებისა, საზოგადოებრივი აზრი პოზიტიურია: იაპონელთა 60 პროცენტი კვლავაც კმაყოფილია არსებული ცხოვრების დონით, რაც იმაზე მიუთითებს რომ ეს მაჩვენებელი სრულიადაც არ შეცვლილა იმ „ძველი კარგი დროის“ შემდგომ, როცა იაპონია შესაშურად სწრაფად ვითარდებოდა და აზიისა და მთელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად იქცა. ამგვარი ოპტიმიზმის არსებობა ქვეყნისათვის საკმაოდ რთულ ეტაპზე გარკვეულწილად იძლევა იმ რწმენის საფუძველს, რომ იაპონიაში დემოკრატია მყარია და მას მნიშვნელოვანი საფრთხე არ ემუქრება. მეტიც, წარმატება თავისთავად შედეგიანია. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ეკონომიკურმა წარმატებამ განაპირობა იმგვარი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც სამოქალაქო თავისუფლებებს ყოველგვარ ავტორიტარულ მმართველობასა თუ სამხედრო ექსპანსიონიზმზე მაღლა აყენებს.

საპარლამენტო მმართველობა მოულოდნელ ადგილებში

თუკი საპარლამენტო სისტემა მუშაობს ევროპასა და იაპონიაში (სადაც ამ სისტემის დანერგვა იაპონიის მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდგომ „გარედან“ მოხდა), საინტერესოა, რამდენად უნარიანია იგი იმ რეგიონებში, სადაც დემოკრატიას არ გააჩნია ადგილობრივი წანამძღვრები ან სულაც იმ ქვეყნებში, რომლებიც მეზობლებთან მუდმივი ომის მდგომარეობაში იმყოფებიან? ინდოეთისა და ისრაელის მაგალითები ბევრის მთქმელია, შეიძლება ითქვას, პასუხის შემცველიც: პასუხი კი ნამდვილად სასიამოვნო მოულოდნელობას წარმოადგენს საპარლამენტო დემოკრატიის მომხრეებისთვის.

ინდოეთი: საპარლამენტო სასწაული

ინდოეთი უძველესი ცივილიზაციებისა და დიდი იმპერიების, მათ შორის **მოგოლების** (მუსლიმი დამპყრობლების) ისტორიული სამშობლოა. იგი მე-19 საუკუნეში დიდი ბრიტანეთის კოლონიად გადაიქცა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მოსახლეობა ორ ძირითად და განსხვავებულ ჯგუფად იყოფა: ესენი არიან ინდუსები (ყველაზე მრავალრიცხოვანი) და მუსლიმები, რომელებიც მეორე მსოფლიო ომამდე ცხოვრობდნენ ინდოეთის ისტორიულ ტერიტორიაზე. მუსლიმთა ყველაზე მჭიდრო დასახლებები ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებშია კონცენტრირებული, მაშინ როცა მათ შორის მდებარე ფართო ტერიტორია (რომელიც ბრიტანეთის რაჯის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა) დასახლებულია ძირითადად ინდუსთა თემებით. ამ ორ რელიგიურად განსხვავებულ ჯგუფს შორის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ბრიტანელებმა კოლონიის დატოვებისას ტერიტორია გაყვეს და ორი სახელმწიფო: ინდოეთი და პაკისტანი ჩამოაყალიბეს. პაკისტანის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს ერთმანეთისაგან მათ შორის მდებარე ინდოეთის ტერიტორია აშორიშორებდა.

ეს გეოგრაფიული ანომალია, მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან პრობლემათგან, რომელიც ბრიტანელებმა გადაუჭრელი დატოვეს. გარდა ამისა, არსებობდა ასევე ინდუსებისა და მუსლიმების დაპირისპირება თავად ინდოეთში. მართალია, ამ უკანასკნელთა უმრავლესობა პაკისტანში იყო კონცენტრირებული, მაგრამ საკმაოდ დიდი მუსლიმური უმცირესობა დარჩა ახლად ჩამოყალიბებული ინდოეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეც. კიდევ უფრო პრობლემატურ თავისებურებას ინდოეთისათვის, როგორც დემოკრატიისათვის, წარმოადგენდა მისი ეთნიკური და კულტურული სიჭრელე. ქვეყანაში ძალიან ბევრი ლინგვისტური ჯგუფია, რომლებიც სხვადასხვა და ერთმანეთისათვის სრულიად გაუგებარ ენებზე საუბრობენ, რომ აღარაფერი ვთქვათ რელიგიურ მრავალფეროვნებაზე, სიქიზმის, ჯაინიზმის, ქრისტიანობის, ინდუიზმისა თუ ისლამის სახით.

დაბოლოს, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ თანამედროვე ინდოეთი ხასიათდება სიღარიბის მაღალი მაჩვენებელითა და მოსახლეობის ფეთქებადი ზრდის ტემპით. ეს ორი პრობლემა ე.წ. განვითარებადი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ერთმანეთთან კავშირში და ერთმანეთის პარალელურად არსებობს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ინდოეთი იყო და კვლავაც რჩება მსოფლიოში მეორე ქვეყანად (ჩინეთის შემდგომ). დღესდღეობით ინდოეთში მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ათობით მილიონი წერა-კითხვის უცოდინარია, ასობით მილიონი სოფლის მაცხოვრებელი კი (რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგნენ) – ძალიან ღარიბი.

ინდოეთმა არაერთი პოლიტიკური არეულობა და კონფლიქტი გამოიარა, მათ შორის ომები მეზობლებთან – ჩინეთთან და პაკისტანთან. განსაკუთრებით მწვავეა კონფლიქტი პაკისტანთან ქაშმირის სადავო ტერიტორიაზე. ამასთანავე, ინდოეთსაც და პაკისტანსაც გააჩნია ატომური განვითარების პროგრამები და, სავარაუდოდ, მოქმედი ბირთვული იარაღიც. ორ ქვეყანას შორის დაძაბულობამ რამდენიმეჯერ შეიარაღებული კონფლიქტიც გამოიწვია, მათ შორის უახლეს წარსულში, 2002 წელს. ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ეპიზოდი შეიქმნა 1970-იანი წლების დასაწყისში, როცა აღმოსავლეთ პაკისტანი გამოეყო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – ბანგლადეშად ჩამოყალიბდა.

გარდა ამისა, თემების დაპირისპირება (ინდუსების, მუსლიმების, სიქჰების) და ეთნიკური ძალადობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა ინდოეთის სახელმწიფოებრიობასა და სტაბილურობას.

და მაინც, საპარლამენტო დემოკრატია აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ფუნქციონირებს იმ საზოგადოებაში, რომელიც სხვადასხვა ტიპის უამრავი და ურთულესი პრობლემების წინაშე დგას და სადაც ერთიანი სახელმწიფოს არსებობა, ერთი ხელისუფლების კონტროლქვეშ – რა ფორმისაც უნდა იყოს ეს ხელისუფლება – უკვე თავისთავად საოცრებაა. ერთი შემთხვევის გარდა (როდესაც 1970-იანი წლების ბოლოს პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და შეითავსა დიქტატორული ძალაუფლება), ინდოელი ლიდერები (დიდი ჯავაჰარლარ ნერუდან მოყოლებული) ბრიტანული სტილის საპარლამენტო დემოკრატიის ჩარჩოებში მოქმედებდნენ.

ინდოეთი ფედერალური სისტემაა არაპირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტით, რომელსაც ხელისუფლებაში მეტწილად ცერემონიალური დატვირთვა აქვს. რეალურ ძალაუფლებას ფლობს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრემიერ-მინისტრი, რომელიც არჩევნებში გამარჯვებული უმრავლესობის ლიდერია (ისევე როგორც სხვა საპარლამენტო სისტემებში). პრემიერ-მინისტრი აკომპლექტებს კაბინეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტის ქვედა პალატას, რომელსაც **ლოკ საბჰა** ეწოდება. პარლამენტის ზედა პალატა (**რაჯია საბჰა**) არაპირდაპირი წესით ირჩევა. იგი ერთგვარად ქვედა პალატის „მეორე ხმას“ წარმოადგენს, თუმცა განიხილავს და შეუძლია გააჭიანუროს კიდეც კანონის მიღება, რითაც თავის წევრებს კანონშემოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გარკვეული გავლენის მოხდენის საშუალებას აძლევს.

ისრაელი: ომის ტესპუმლიკა

ინდოეთის მსგავსად, ისრაელი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა. თუმცა, ინდოეთისაგან განსხვავებით, ისრაელი არა ადგილობრივ მაცხოვრებელთა, არამედ ახალჩასახლებულთა სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ინდოეთისაგან განმასხვავებელი კიდევ ერთი მკვეთრი ნიშანი ისიც არის, რომ ისრაელის პრობლემა მოსახლეობისა და ტერიტორის უკიდურესი სიმცირეა, მაშინ როცა ინდოეთისათვის პრობლემაა ამ ფაქტორების უკიდურესი სიდიდე. მტრულად განწყობილი არაბული სახელმწიფოებით გარშემორტყმული ისრაელი არსებობის დღიდან დაპირისპირებებისა და წინააღმდეგობების არეალად იქცა. მეტიც, თვითონ ისრაელის შექმნაც ძალადობასთან იყო დაკავშირებული – ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლებთან, რომელსაც ისრაელი ადგილობრივ პალესტინელ არაბებთან აწარმოებდა.

ისრაელის სახელმწიფო სეკულარულია, მაგრამ საზოგადოება იუდეურია. ებრაელთა მასობრივი მიგრაცია პალესტინაში 1930-იან წლებში გერმანიაში ჰიტლერის აღზევებასთან ერთად დაიწყო. თუმცა, ებრაული სახემწიფოსათვის ბრძოლა უფრო ადრე, 1890-იან წლებში გაიშალა. ***სიონიზმი*** (როგორც ეს მოძრაობა იწოდებოდა) განსაკუთრებით გაძლიერდა 1917 წელს (პირველი მსოფლიო ომის დროს), ცნობილი **ბალფურის დეკლარაციის** შედეგად, რომელიც ბრიტანეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის სახელს უკავშირდება და რომელმაც, თავის მხრივ, პირველად ოფიციალურად გამოთქვა ებრაული სახელმწიფოს შექმნის იდეა (იმ დროს, პა-

ლესტინა ფაქტობრივად დიდი ბრიტანეთის კოლონიას წარმოადგენდა). მაგრამ რეალურად ისრაელის სახელმწიფო ნაცისტური გერმანიის მიერ 1939-1945 წლებში განხორციელებული ჰოლოკოსტის (იხ. V თავი) პირმშოა. ამ შემზარავი ტრაგედიის შემდგომ, მასობრივი ლოზუნგების „აღარასოდეს განმეორდეს“ ფონზე, და ორი წამყვანი ქვეყნის მხარდაჭერით, ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებლებმა 1947 წელს გამარჯვება იზეიმეს.

ისრაელი ომისა და ცეცხლის შედეგად შეიქმნა, თუმცა მის ლეგიტიმურობას სამი წამყვანი ძალის – აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (ერთა ლიგის „შთამომავალი“) – ერთობლივი მხარდაჭერა უზრუნველყოფდა. თავდაპირველად იყო იდეა, რომ შექმნილიყო ორი სახელმწიფო: ისრაელი და პალესტინა, ხოლო იერუსალიმი, როგორც სამი რელიგიის წმინდა ადგილი, ყოფილიყო საერთაშორისო ქალაქი გაეროს ეგიდის ქვეშ. ამ იდეის განხორციელების პერსპექტივა ჩაიშალა მაშინ, როცა პალესტინელმა არაბებმა უარყვეს ამგვარი წინადადება (ებრაელებმა იგი მიიღეს). ამის შემდეგ, პალესტინელ არაბთა უმრავლესობა გააძევეს ტერიტორიიდან. გაძევებულებმა თავი ლტოლვილთა ბანაკებს შეაფარეს ღაზას სექტორში, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ლიბანში. ნაწილი ლტოლვილებისა სხვა არაბულ ქვეყნებში გაიქცა.

ამ მოვლენებმა სასოწარკვეთითა და შურისძიებით აღსავსე ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დატოვა, რამაც წარუშლელი დაღი დაასვა ახლო აღმოსავლეთის ისტორიას. ისრაელმა სამი ომი აწარმოა ეგვიპტესთან და სამივეში გამარჯვება მოიპოვა: 1956 წლის სუეცის ომი, 1967 წლის ექვსდღიანი ომი, 1973 წლის იომ კიპურის ომი. 1967 წლის ომის შედეგად ისრაელმა თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია ღაზას სექტორი და სინაის უდაბნო ეგვიპტეში, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო (იორდანია), სირიის გოლანის მაღლობები. 1973 წლის ომში ისრაელმა მოიპოვა იმგვარი უპირატესობა, როცა შეეძლო მთელი ეგვიპტის დაპყრობა, მაგრამ აშშ-ის მხრიდან სერიოზული დიპლომატიური ზეწოლის შედეგად, გადაიფიქრა ამის განხორციელება. 1978 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ძალისხმევითა და შუამავლობით გაფორმდა კემპ-დევიდის შეთანხმება – ზავი ისრაელსა და ეგვიპტეს შორის. ეს ისტორიული გარიგება აშშ-ის მხრიდან ორივე მხარისათვის გამოყოფილ სერიოზულ სუბსიდიებს უკავშირდებოდა. სამაგიეროდ, ამ შეთანხმებამ რეალურად იმუშავა: ისრაელსა და ეგვიპტეს 1973 წლის შემდგომ, ანუ უკვე სამ ათეულ წელიწადზე მეტი ხანია, აღარ ჰქონიათ შეიარაღებული დაპირისპირება.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ახლო აღმოსავლეთისა და განსაკუთრებით ისრაელის ისტორია 1978 წლიდან არასტაბილურობისა და ძალადობის პირობებში ვითარდება. უმეტეს შემთხვევებში ამგვარი მოვლენების ეპიცენტრში სწორედ ისრაელია. დაძაბულობისა და კონფრონტაციების ამ დაუსრულებელ ჯაჭვში ლიბანი, ლიბია, სირია, ერაყი და ირანი წარმოადგენენ ისრაელის ძირითად მოწინააღმდეგეებს. 1980-იან და 1990-იან წლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხანგრძლივმა პალესტინურმა აჯანყებამ – რომელსაც არაბულად ***ინტიფადა*** ეწოდება – უამრავი სიცოცხლე შეიწირა და აუნაზღაურებელი ტანჯვა და დანაკარგი გამოიწვია ორივე მხარეს. ხშირად ორ ამგვარ აჯანყებას მოიხსენიებენ, თუმცა რეალურად ეს ერთი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც 1990-იან წლებში სამშვიდობო გარიგების იმედად დროებით შეწყდა. მაგრამ მშვიდობის მოლოდინი არ გამართლდა. ახლაც, ისრაელი ოკუპირებულ ტერიტორიების პალესტინელებთან შეიარაღებულ კონფლიქტში იმყოფება, ხოლო პალესტინელები აგრძელებენ თვითმკვლელი ტერორიტების მიერ განხორციელებული აფეთქებებს სერიას ისრაელში.

ყველა ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, ისრაელი დაარსების დღიდან შეფერხების გარეშე ფუნქციონირებდა როგორც საპარლამენტო დემოკრატია. დიდი ბრიტანეთის მსგავსად, ისრაელს არა აქვს დაწერილი კონსტიტუცია. კონსტიტუციური პრინციპების წერილობით გაფორმებას თავი აარიდეს იმ მიზეზის გამო, რაც საპარლამენტო მმართველობის შენარჩუნებისათვისაც მნიშვნელოვანია: არსებობს იმის განცდა, რომ აუცილებელია უსაფრთხოების ექსტრემალური ზომების გატარება, რაც იწვევს სამოქალაქო თავისუფლებების გარკვეულ შეზღუდვას და ფაქტობრივად 600 000 პალესტინელი არაბის სისტემატიურ დისკრედიტაციას (შედარებისათვის, ებრაული მოსახლეობა დაახლოებით, 5,1 მილიონია). თუმცა, ისრაელის მოქალაქეებს თავისუფალ არჩევნებში რეგულარული მონაწილეობის უფლება და შესაძლებლობა აქვთ.

შეიძლება ითქვას, რომ ისრაელი ზოგიერთ შემთხვევაში ზედმეტად დემოკრატიულიც კი არის: არჩევნები, რომელიც ღია სისტემას ეყრდნობა, ღიაა ყველასათვის და საშუალებას აძლევს თუნდაც ახლადჩამოყალიბებულ პატარა პარტიებს მანდატების გარკვეული რაოდენობა მოიპოვონ ***ქნესეთში*** (პარლამენტი), რაც ზოგჯერ ქაოსურ სიჭრელესაც კი ქმნის. ყალიბდება კოალიციური მთავრობები, სადაც ხშირად შესაძლებელია ერთად ვიხილოთ მემარჯვენე და მემარცხენე ძალები, გამომდინარე ქვეყანაში არსებული ვითარებიდან, არაბ მეზობლებთან ურთიერთობების მდგომარეობიდან და ბუნებრივია, არჩევნების შედეგებიდან. კრიზისულმა სიტუაციებმა და საფრთხეების განეიტრალების მუდმივმა აუცილებლობამ ერთგვარად გადაარჩინა კიდეც საზოგადოება წინააღმდეგობრივი პოლიტიკური კულტურის აღზევების, ქაოსური პარტიული სისტემის ჩამოყალიბებისა და შედეგად, ხელისუფლების არასტაბილურობისაგან.

თუმცა, ისრეალი რჩება ერთგვარად საოცარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფენომენად, რომელიც ვითარდება დაარსების დღიდან მისთვის არახელსაყრელ, ხშირად მტრულ გარემოში. და თუკი ისრაელს ძალუძს ქმედითი საპარლამენტო დემოკრატიის შენარჩუნება, თუნდაც აშშ-ის უზარმაზარი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი მხარდაჭერით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერ საზოგადოებას შესაბამისი კულტურული წანამძღვრებით, შეუძლია იგივე.

დასავლეთის (განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის) გავლენა გარკვეულწილად, თუმცა არა სრულფასოვნად, გვეხმარება ავხსნათ, რა არის დემოკრატიის წარმატების მიზეზი ინდოეთში. ამ ორი ქვეყნის მაგალითი, სადაც წარმოუდგენელ პირობებში მუშაობს საპარლამენტო დემოკრატია, არ ამტკიცებს იმას, რომ სახალხო თვითმმართველობა ყველგან იქნებოდა ქმედითი, მაგრამ ნამდვილად ცხადყოფს, რომ იგი მუშაობს ზოგჯერ სრულიად წარმოუდგენელ ადგილებშიც კი.

პრეზიდენტები და პარლამენტები: შედარებითი დახასიათება

საინტერესოა, როგორ გამოიყურება საპარლამენტო და საპრეზიდენტო დემოკრატიის სისტემები ერთმანეთთან მიმართებაში? შედარებითი დახასიათების გამარტივებისათვის აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მოდელებს გამოვიყენებთ.

საკანონმდებლო ხელისუფლება

საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქცია ნებისმიერ კონსტიტუციურ დემოკრატიაში კანონშემოქმდებება და კანონის ამოქმედებაა. ამ ძირითადი საერთო ნიშნის გარდა, ბრიტანული და ამერიკული საკანონმდებლო შტოები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბრიტანული ტრადიციის მიხედვით, პარლამენტი სუვერენული ორგანოა. ცნობილი ბრიტანელი იურისტის, სერ უილიამ ბლექსტოუნის (1723-1780 წწ.) სიტყვებით, პარლამენტს შეუძლია „ყველაფრის კეთება, რაც ბუნებრივად შეუძლებელი არ არის". კიდევ ერთი ცნობილი ავტორის თანახმად, „საპარლამენტო სუვერენიტეტის კონცეფციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და გამოარჩევს ბრიტანეთს დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობისაგან. პარლამენტს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი კანონი, რომელსაც ის მიიჩნევს მიზანშეწონილად და არც ერთ სხვა ორგანოს არ ძალუძს ამ კანონის უგულებელყოფა მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადების ან არასასურველად მიჩნევის მოტივით."[16] ამერიკული სისტემა კონსტიტუციას კონგრესზე მაღლაც კი აყენებს. 1803 წლის „მარბერი მედისონის წინააღმდეგ" საქმის შემდგომ, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ წარმატებით დაამკვიდრა საკუთარი უფლება და მოვალეობა კონგრესის მიერ დამტკიცებული ნებისმიერ კანონი „დაძიროს," თუ მას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს.[17]

აღსანიშნავია, რომ ორი ქვეყნის საკანონმდებლო შტოს ბევრი მსგავსი ფუნქცია აქვს. მაგალითად, ეს არჩეული ორგანო ორივე სისტემაში უფლებამოსილია მიიღოს ან „ჩააგდოს" ესა თუ ის კანონი, დაამტკიცოს მინისტრები ასევე, ორივეს გააჩნია უფლება, მოითხოვოს ან მოიკვლიოს ინფორმაცია უმაღლესი აღმასრულებლის და ასევე კაბინეტის წევრების შესახებ, თუმცა ეს უფლება უფრო აშკარად და მასშტაბურად ბრიტანულ სისტემაში გამოიყენება, ვიდრე ამერიკულში. გარდა ამისა, ეს ორგანოები ორივე ქვეყანაში წარმოადგენს ფორუმს ქვეყნის ყოველდღიურობაში ყველაზე აქტუალური საკითხების ღია განხილვისათვის.

თუმცა, დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებით, სხვა საპარლამენტო დემოკრატიებს (გარდა ისრაელისა) გააჩნია დაწერილი კონსტიტუცია. როგორც წესი, კონსტიტუციის მიერვე შექმნილი პარლამენტი არ არის უფლებამოსილი დაარღვიოს უზენაესი კანონი ან მისით მანიპულირება მოახდინოს. შესწორებების შეტანა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ეს პროცესი, როგორც წესი, ძალიან რთული და წინააღმდეგობრივია. კონსტიტუცია ითვალისწინებს სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის შესაძლებლობას, როგორც ეს, მაგალითად, გერმანიაში, საფრანგეთსა და ესპანეთშია, მას მინიჭებული აქვს უფლება გამოაცხადოს ესა თუ ის კანონი ან სამთავრობო აქტი არაკონსტიტუციურად.

საკანონმდებლო შტოს დამოუკიდებლობა. მართალია, კონგრესის ძალაუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, მაგრამ აშშ-ის კანონმდებლებს დამოუკიდებლად მანევრირებისათვის გაცილებით უფრო ფართო ასპარეზი აქვთ ბრიტანელ კოლეგებთან შედარებით, რადგან ამერიკელი წარმომადგენელთა პალატის წევრებისა და სენატორების არჩევისას პიროვნული ფაქტორი გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე „პარტიული ბილეთი." კონგრესი ფაქტობრივად 500-ზე მეტი პოტენციური პოპულარული ლიდერის ასამბლეას წარმოადგენს. პოლიტიკურ პარტიებს უდავოდ აქვთ გარკვეული გავლენა, მაგრამ აშშ-ში ნაკლებად ძლევამოსილნი არიან იმისათვის, რომ მტკიცე და მკაცრი კონტროლი განახორციელონ.

ასევე, იმის რეალური შესაძლებლობა, რომ კონგრესის ერთ პალატაში ერთი პარტია დომინირებდეს, ხოლო მეორეში კი სხვა, კომპრომისს აუცილებლობადაც კი აქცევს, რაც, თავის მხრივ, აზრს უკარგავს მკაცრი პარტიული დისციპლინისა თუ მორჩილება-ერთგულების რაიმე საჭიროებას. ამავე ალბათობით, შესაძლებელია კონგრესს აკონტროლებდნენ, მაგალითად, დემოკრატები, ხოლო თეთრ სახლს – რესპუბლიკელები (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), რასაც იგივე ეფექტი აქვს.[18] დაბოლოს, კონგრესმენები ძირითადად კონკრეტულ და ლოკალურ ინტერესებზე უფრო არიან ორიენტირებულნი, ვიდრე საქვეყნო მასშტაბის საერთო საკითხებზე. ისინი არჩეულნი არიან სწორედ კონკრეტული შტატისა და საარჩევნო ოლქის მიერ იმისათვის, რომ ადგილობრივი ინტერესების ლობირება მოახდინონ, მათ შორის, იმ გავლენიანი ინტერეს-ჯგუფებისა, რომელიც თითქმის ყველა არჩეულ კანდიდატს სჭირდება წინასაარჩევნო კამპანიის მხარდაჭერისა და დაფინანსებისათვის და ამიტომ გამარჯვების შემდგომ „ვალში“ არიან მათთან. როგორც წარმომადგენელთა პალატის ყოფილის სპიკერი ტიპ ო'ნილი ხუმრობით აღნიშნავდა, „ყველა პოლიტიკა ადგილობრივია,“ რაც გარკვეულწილად სიმართლის მარცვალსაც შეიცავდა ერთ დროს. თუმცა, დღესდღეობით ვაშინგტონში ნებისმიერი პოლიტიკა, რამდენად „ადგილობრივიც“ უნდა იყოს იგი გარეგნულად, ფინანსდება პოლიტიკურ ქმედებათა კომიტეტის (*PAC*) [იხ. თავი X. მთარგმ. შენ.] მიერ, ნაცლად ნებისმიერი ერთეული შტატის შიდა რესურსისა. ამიტომაც, ხშირად სწორედ ფინანსები ყოველგვარ პარტიულ კუთვნილებაზე მეტადაც კი განსაზღვრავს კანონმდებელთა გადაწყვეტილებებს საკითხების უმეტესობის ირგვლივ.

საპარლამენტო სისტემების უმრავლესობა, აშშ-სთან შედარებით, გაცილებით უფრო მკაცრ პარტიულ დისციპლინას და წესრიგს ემყარება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პროპორციული საარჩევნო სისტემაა. ამ შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები აირჩევიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პარტიული სიის მიხედვით. იმისათვის, რომ ესა თუ ის კანდიდატი არჩეული იქნას, საჭიროა კარგი ურთიერთობები ჰქონდეს პარტიასთან და მის გავლენიან გუნდთან, რომელიც წყვეტს, ჩასვას თუ არა კანდიდატი საარჩევნო სიაში და რა ნომრად (ანუ, სიის დასაწყისში, ბოლოს თუ შუა ნაწილში). სიის დასაწყისში მყოფ კანდიდატებს ყველაზე დიდი შანსი აქვთ იყვნენ არჩეულნი.

სტრუქტურული სირთულე. გავლენისა და ძალაუფლების დაყოფა კონგრესში მის სტრუქტურას ბრიტანეთის პარლამენტთან შედარებით გაცილებით უფრო კომპლექსურს ხდის. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის თემთა პალატაში მხოლოდ ექვსი მუდმივი კომიტეტია, რომელიც 20-დან 50-მდე დეპუტატს აერთიანებს და არ გააჩნია სპეციალიზაცია, ანუ განიხილავს კანონპროექტების მთელ რიგს თემატიკის მიუხედავად. შესაბამისად, კომიტეტები არ არიან უფლებამოსილნი მოიწვიონ სპეციალური მოსმენა ან მოითხოვონ საექსპერტო განხილვა და ასევე არ შეუძლიათ თავი აარიდონ განხილვას. ყველაზე მეტი, რაც მათ შეუძლიათ, გარკვეული ტექნიკური და ლინგვისტური ცვლილებების შეტანაა პროექტში. საკომიტეტო მუშაობა ამიტომ საკმაოდ მოსაწყენი და ტრივიალურიც კი შეიძლება იყოს, თუმცა ის ლიმიტირებულ, მაგრამ მაინც გარკვეულ საშუალებას იძლევა ლობიზმისათვის.

ამდენად, ბრიტანეთის პარლამენტის საკომიტეტო სისტემა ძალიან განსხვავდება აშშ-ის კონგრესისაგან. წარმომადგენელთა პალატაში, ისევე როგორც სენატში, თხუთმეტზე მეტი სპეციალიზებული კომიტეტია, რომლებიც ქმნიან პოლიტიკურ

ლანდშაფტს. ამ კომიტეტებს გააჩნია მრავალრიცხოვანი ქვეკომიტეტები კიდევ უფრო ვიწრო სპეციალიზაციით. აღმასრულებელი ხელისუფლების პროგრამებისა და საქმიანობის გამოძიების შემთხვევაში, კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებს შეუძლიათ სპეციალური მოსმენის მოწვევა და მოწმეების სასამართლოში გამოძახების მოთხოვნა. კარგად სტრუქტურირებული საკომიტეტო სისტემა დიდწილად განსაზღვრავს საკანონმდებლო საქმიანობას ქვეყანაში. იმდენად, რამდენადაც დეპუტატები ვერ იქნებიან ერთდროულად ყველა საკითხის ექსპერტები, ისინი ირჩევენ კონკრეტულ სპეციალიზაციას – იქნება ეს სოფლის მურნეობა, საგარეო პოლიტიკა, შრომითი ურთიერთობები და ა.შ. ამასთანავე, ამგვარი სპეციალიზაცია საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. პოლიტოლოგები ხშირად საუბრობენ ერთგვარ საკვალიფიკაციო სისტემაზე კონგრესის ორივე პალატაში. ზოგადად, ყველაზე გავლენიანი და ქმედითი კანონმდებლები არიან ისინი, ვინც უკვე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფლობენ მანდატს და შესაბამისად, კარგად ერკვევიან ამა თუ იმ საკითხში. მათ მოსაზრებას და პოზიციას განსაკუთრებული წონა აქვს.

კონგრესის მხრიდან მუდმივი მონიტორინგისა და კონტროლის ფუნქცია სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. შეცდომებს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კანონშემოქმედებითი პროცესის ამა თუ იმ ეტაპზე (მაგალითად, საბიუჯეტო პროცესის ავტორიზაციის და ასიგნების ფაზაში, ან საკითხის მოკვლევისა და საკომიტეტო მოსმენის დროს). ის კანონმდებლები, რომელთაც საკმარისი რაოდენობის პროფესიონალი კადრები ჰყავთ, რეგულარულად ახორციელებენ პროგრამის შეფასებასა და პოლიტიკის რევიზიას. ეს კადრები კი ხშირად გავლენიანი ფუნქციონერები არიან „კულისებიდან“, რომელთა რჩევებსა და ექსპერტიზას ეყრდნობიან.

ბრიტანული საპარლამენტო სისტემა მკვეთრად განსხვავდება ამ კუთხით. ანგარიშვალდებულების გამოხატვის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია **შეკითხვების საათი**, რომელიც კვირის რამდენიმე დღეს ტარდება და სადაც ცალკეული მინისტრები პარლამენტართა მიერ მიღებულ შეკითხვებს პასუხობენ. შეკითხვები თავისთავად შეიძლება იყოს როგორც მწვავე ხასიათის, ისე საკმაოდ ტრივიალური, შესაძლოა მიზნად ისახავდეს მთავრობისათვის მისი პასუხისმგებლობების შეხსენებას, საჯარო ყურადღების მიქცევას კონკრეტულ საკითხზე, და/ან დამატებითი ინფორმაციის მიღებას. შედარებისათვის, ამერიკული კონგრესისათვის დამახასიათებელი სპეციალიზაცია თითქმის სრულად იგნორირებულია ანგარიშვალდებულების საპარლამენტო სისტემაში.

საკანონმდებლო და აღმასრულებლი ფუნქციების შეკავშირება. კიდევ ერთი თვალშისაცემი განსხვავება ორ პოლიტიკურ სისტემას შორის გახლავთ ის, თუ რა დოზით მონაწილეობს საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტებაში. როგორც ადრე აღვნიშნეთ, საპარლამენტო სისტემაში პარლამენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალი ადმინისტრაციის (კაბინეტის) ჩამოყალიბებაში. პრემიერ-მინისტრი არის საპარლამენტო უმრავლესობის პარტიის ლიდერი და კაბინეტის დანარჩენი წევრების შერჩევაც პარტიის ლიდერთა რიგებიდან ხდება. რადგანაც საპარლამენტო სისტემაში „წყალგამყოფი ხაზი“ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის არც ისე მკაფიოა, ძნელია იმის ზუსტად ჩამოყალიბება, სად იწყება ერთის და მთავრდება მეორის ძალაუფლება.

ძალთა ამგვარ გაერთიანებას ადგილი არა აქვს საპრეზიდენტო სისტემაში. სენატორებისა და წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, პრეზიდენტს გააჩნია

ნაციონალური სახალხო მანდატი და მისი ძალაუფლება გამომდინარეობს კონ-სტიტუციის ცალკე სეგმენტიდან. თუმცაღა, კონგრესს მაინც გააჩნია გარკვეული გავლენის მოხდენის ბერკეტი აღმასრულებლის დაკომპლექტებაზე, რადგან მისმა ორივე პალატამ უნდა დაამტკიცოს წარმოდგენილი შემადგენლობა და ასევე გადაწ-ყვიტოს სხვა მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნის საკითხი. თუ აღმასრულე-ბლის ესა თუ ის ქმედება წინააღმდეგობრივია ან ეჭვს იწვევს, საკანონმდებლო ორ-განოს შესაბამის კომიტეტს, კონსტიტუციის მიერ მინიჭებული მაკონტროლებლის ფუნქციის გამოყენებით, შეუძლია მოითხოვოს აღმასრულებელი პირების და/ან სხვა მოწმეების სასამართლო დაკითხვა. ამდენად, ადგილი აქვს მუდმივ ურთიერთქ-მედებას საკანონმდებლო და აღმასრულე-ბელ შტოებს შორის. თუმცა, ბრიტანეთის პარლამენტისაგან განსხვავებით, აშშ-ის კონგრესს არ შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლების დათხოვნა „უნდობლობის გამოცხადების“ უფლებით. იმ შემთხვევა-შიც, თუ კონგრესი არ მიიღებს თეთრი სახლის მიერ წარმოდგენილ რაიმე საკვანძო მნიშვნელობის პროგრამას, პრეზიდენტი დარჩება თანამდებობაზე სრული ოთხ-წლიანი ვადით (ექსტრაორდინარული შემთხვევების – იმპიჩმენტი, გარდაცვალება, ან გადადგომა – გამოკლებით).

აღმასრულებელი ხელისუფლება

ხელისუფლების აღმასრულებელი შტო წარმოდგენილია მთავრობის მეთაუ-რით და სახელმწიფოს მეთაურით, კაბინეტით და ბიუროკრატიული აპარატით. ძალიან ბევრ მსგავსებასთან ერთად, ორი პოლიტიკური სისტემის აღმასრულებელ ხელისუფლებას ახასიათებს ზოგიერთი განსხვავება, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ. უპირველესად, აშშ პრეზიდენტი არის მთავრობის მეთაური და სახელმწიფოს მეთაური, მაშინ როცა ბრიტანეთში ეს ფუნქციები გაყოფილია პრემიერ-მინისტრსა და მონარქს შორის. ამ ორი უფლებამოსილების შეთავსება აშშ-ის პრეზიდენტის ინსტიტუტს უფრო გავლენიანსა და პრესტიჟულს ხდის ბრიტანული პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტთან შედარებით. პრეზიდენტი არა მხოლოდ უძღვება მთავრობას და გამოდის სახელმწიფოს სახელით, არამედ, ბრიტანეთის პრემიერისგან განსხვავებუით, არჩეულია პერსონალურად საერთო ეროვნულ არჩევნებში.

აშშ-ის პრეზიდენტის ფიქსირებული სამოქმედო ვადაც საკმაოდ დაცულია. ბრიტანეთის პრემიერის პოზიცია კი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს იგი თემთა პალატაში უმრავლესობის მხარდაჭერისა და ნდობის შენარჩუნებას. საკმაოდ ხშირად ყოფილა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან დათხოვნის პრეცედენტები, სახალხო უკმაყოფილების ან პარლამენტში საკვანძო უმრავლესობის დაკარგვის გამო.

მხოლოდ ამომრჩევლებს შეუძლიათ მოქმედი პრეზიდენტის გადაყენება, თუ არ ჩავთვლით ასევე ექსტრაორდინარული გარემოებებს. ამერიკის არც ერთი პრეზიდენ-ტი არ ყოფილა იმპიჩმენტის წესით გადაყენებული (ენდრიუ ჯონსონს და უილიამ კლინტონს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ გამოუცხადა იმპიჩმენტი, მაგ-რამ არც ერთ შემთხვევაში სენატს არ დაუდასტურებია ეს გადაწყვეტილება). დიდი ალბათობით, რიჩარდ ნიქსონი შესაძლოა რეალურად გამხდარიყო პრეზიდენტი, რომელსაც იმპიჩმენტის წესით გადააყენებდნენ, მაგრამ ამგვარი შედეგის დადგო-მამდე იგი თავად გადადგა.

საპრეზიდენტო პოსტის კიდევ ერთი უპირატესობა მეტი ავტონომიურობაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აშშ-ის კაბინეტის წევრებს ძირითადად ადმინისტრაციული და საკონსულტაციო ფუნქციები აქვთ და პრეზიდენტს შეხედულებისამებრ შეუძლია გამოიყენოს ან არ გამოიყენოს მათი რჩევა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კი კაბინეტში მოქმედებს, როგორც „პირველი თანასწორთა შორის". თუმცაღა ამ ტრადიციამ დიდწილად დაკარგა ძალა, პრემიერი ძირითადად მაინც კოლეგიალურ გადაწყვეტილებებს იღებს [კაბინეტის დანარჩენ წევრებთან თანამშრომლობით]. იმავე ლოგიკით მოქმედებს ***კოლექტიური პასუხისმგებლობის*** პრინციპიც, რომელიც ფაქტობრივად გამორიცხავს კაბინეტის წევრების მხრიდან ხელისუფლების პოლიტიკის ნებისმიერი ასპექტის კრიტიკას, ან საერთო პასუხისმგებლობის არიდებას.

დაბოლოს, პრეზიდენტი ქვეყნის მხედართმთავარია, ასევე მთავარი კანონმდებელი (არა მხოლოდ მისი ვეტოს უფლებიდან გამომდინარე, არამედ ასევე მის მიერ წარდგენილი მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო პროექტების გამო) და მთავარი დიპლომატიც. აშშ-ის პრეზიდენტს უჭირავს პოსტი, რომელსაც დემოკრატიულად არჩეულ მთავარ აღმასრულებლებს შორის ფაქტობრივად ყველაზე მეტი ძალაუფლება, უფლებამოსილება და ავტორიტეტი გააჩნია.

თუმცა, ერთ ასპექტში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები მაინც აჭარბებს აშშ-ის პრეზიდენტისას. მართალია, პრეზიდენტი იმავდროულად პარტიის ლიდერიც არის, მაგრამ ეს ფუნქცია მნიშვნელოვანად შეზღუდულია პარტიების დეცენტრალიზებული, სუსტი სტრუქტურის გამო. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მმართველი პარტიის ტიტულიანი ლიდერი. დიდ ბრიტანეთში პარტიის ხელმძღვანელობა უდიდეს როლს ასრულებს პარტიული პროგრამისა და პოლიტიკის წარმატების საქმეში. პრემიერი სწორედ პარტიის მეშვეობით ახორციელებს მართვას. მაშინ, როცა, ამერიკულ სისტემაში პარტიებს ძალუძთ გარკვეული გავლენის მოხდენა მათ თანაპარტიელ კონკრეტულ პირებზე წარმომადგენელთა პალატაში ან სენატში, ბრიტანეთის სისტემაში პარტიები ორიენტირებულნი არიან თემთა პალატაში კენჭისყრისას მათი დეპუტატების პოლიტიკური ქცევის [ხმის მიცემის] საერთო კონტროლზე. სხვა დემოკრატიული სისტემების უმრავლესობა ამ თვალსაზრისით ბრიტანულ სისტემასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ამერიკულთან.

სასამართლო ხელისუფლება

მიუხედავად მნიშვნელოვანი სტრუქტურული განსხვავებებისა ამერიკულ და ბრიტანულ სასამართლო სისტემებს შორის, მათ აერთიანებთ ე.წ. ***საერთო სამართლის*** *(common law)* ტრადიცია. საერთო სამართალი ემყარება მოსამართლეთა გადაწყვეტილებებს, ნაცვლად წერილობითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებისა. ეს ტრადიცია XII საუკუნიდან იღებს სათავეს, კერძოდ მეფე ჰენრი II-ის მცდელობიდან დაემკვიდრებინა სისტემა, სადაც მოსამართლეები ვალდებულნი იქნებოდნენ აღესრულებინათ მეფის კანონი ადგილობრივი ჩვეულებების გათვალისწინებით. დავების გადაწყვეტისას, თითოეული მოსამართლე ამზადებდა მოხსენებას სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ და აგზავნიდა ლონდონში. წლების განმავლობაში, მსგავს საქმეთა შესახებ მოხსენებებიდან გამომდინარე,

კონკრეტული მიდგომები და იურიდიული პრინციპები ჩამოყალიბდა. რამდენადაც პრეცედენტული სამართალი საუკუნეების განმავლობაში ფორმულირდებოდა, რამდენიმე ცნობილი და გახმაურებული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად მოხდა მისი პოპულარიზაცია. დროთა განმავლობაში, იურიდიულმა კომენტატორებმა (მათ შორის ყველაზე ცნობილი ჩარლზ ბლაკსტოუნი გახლდათ) მოახდინეს ამ გადაწყვეტილებების პრეცედენტების კოდიფიცირება. მათი მეშვეობით, ამგვარი ნორმები ფართოდ გავრცელდა, მათ შორის ამერიკულ კოლონიებშიც.



პრეზიდენტი, როგორც მთავრობისა და სახელმწიფო მეთაური ყოველწლიურ მოხსენებას ამზადებს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კონგრესის წევრებისა და ამერიკელი ხალხისათვის.

საერთო სამართლის წანამძღვრებს შორის მსგავსებას თუ არ ჩავთვლით, ბრიტანული და ამერიკული სასამართლო სისტემა ბევრი ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან: მოსამართლეთა შერჩევის წესით, სასამართლოს ორგანიზაციით, სასამართლო კონტროლის განხორციელებით და სხვა საკვანძო სტრუქტურული ასპექტით.

მოსამართლეთა შერჩევა. დიდ ბირტანეთში ორი ტიპის სამართლის სკოლა არსებობს. ქვედა დონის სკოლებში ხდება სტუდენტის კვალიფიცირება *სოლისიტორად,* [იურისკონსულტი], ანუ სასამართლო მოხელედ, რომელიც ამზადებს საქმეებს სასამართლო განხილვისათვის, კონსულტაციას უწვეს კლიენტებს, ადგენს კონტრაქტებს, ანდერძებს და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს. ექსკლუზიური სკოლები კი ამზადებენ *ბარისტერებს* [უმაღლესი დონის ადვოკატი], რომელთაც შეუძლიათ სოლისიტორის ყველა ფუნქციის განხორციელება და ამავდროულად, აქვთ სასამართლოში გამოსვლისა და საქმის წარმოების უფლება. მოსამართლეებად ინიშნებიან მხოლოდ ბარისტერთა რანგის მქონე პირები. მეტიც, იმისათვის, რომ ბარისტერი დანიშნული იქნეს მოსამართლედ (რომელიც აშშ-ის ფედერალური დონის მსგავსად მთელი სიცოცხლის ვადითაა), მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი კვალიფიკაცია სამართლის სკოლიდან და ამასთანავე გააჩნდეს წარმატებული იურიდიული პრაქტიკის მრავალწლიანი გამოცდილება.

ამერიკაში სასამართლოს დაკომპლექტების პრინციპი უფრო პოლიტიკურია. აქაც, მოსამართლედ შეიძლება დანიშნული იყოს პირი პრესტიჟული იურიდიული სკოლის წარჩინებით დამთავრების ან გამორჩეული და ხანგრძლივი პრაქტიკული სასამართლო გამოცდილებით, თუმცა ყოველთვის არა. უფრო ხშირად, ფედერალურ დონეზე მოსამართლეთა შერჩევა აშკარა პოლიტიკური გათვლებით არის

განპირობებული – იქნება ეს კონკრეტული პირისათვის გარკვეული დამსახურებების გამო ერთგვარი ჯილდო, გავლენიანი კონგრესმენის თუ ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელის ინტერესის დაკმაყოფილება, თუ გარკვეული გეოგრაფიული ბალანსის მიღწევა მოსამართლეთა წამომადგენლობაში. შტატისა და ადგილობრივ დონეებზე მოსამართლის პოსტი ხშირად არჩევითია.

ფედერალური სასამართლოები უნიტარულთან მიმართებაში. ამერიკული სასამართლო სისტემა ფედერალურ საფუძველზეა აგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მოიცავს 51 სასამართლო სისტემას. ფედერალური სასამართლო განიხილავს იმ საქმეებს, სადაც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ფედერალური ხელისუფლება ან მიესადაგება ფედერალური კანონი. ფედერალური სასამართლო იყოფა ქვესისტემად, რომელიც წარმოდგენილია ***საოლქო სასამართლოებით*** – სადაც ძირითადად იწყება კიდეც საქმეთა განხილვა, ***სააპელაციო სასამართლოებით*** — რომელიც აპელაციის საფუძველზე განიხილავს საოლქო სასამართლოების მიერ წარმოებულ საქმეებს და ***უზენაესი სასამართლოთი*** – რომელიც ფაქტობრივად ფუნქციონირებს როგორც უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, იღებს რა გადაწყვეტილებებს იმ განსაკუთრებულ საქმეებზე, სადაც წინააღმდეგობრივ იურიდიულ ინტერპრეტაციას ან კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის საჭიროებას ვაწყდებით.

ფედერალურ სასამართლო ერთეულთან ერთად ფუნქციონირებს კიდევ ორმოცდაათი შტატის სასამართლო, რომელთა უმრავლესობას მსგავსი სამსაფეხურიანი სტრუქტურა გააჩნია. შტატის სასამართლოები ფედერალური სასამართლოსაგან სრულად განცალკევებული არ არის. აშშ-ს უზენაესი სასამართლო ხშირად განიხილავს შტატის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოდან წამოსულ საქმეს იმ შემთვევაში, თუ იურიდიულ საკითხებს კონსტიტუციური შინაარსი აქვს.

აშშ-სგან განსხვავებით, ბრიტანული სასამართლო სისტემა უფრო სწორხაზოვანია, რაც ბრიტანეთის უნიტარული წყობის გამოძახილია. შტატის სასამართლოების ანალოგის არარსებობა ბრიტანულ სისტემას ამერიკული სისტემისათვის დამახასიათებელი იურისდიქციული და პროცედურული სირთულეებისაგან ათავისუფლებს.

სასამართლო კონტროლი. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მკვეთრი პოლიტიკური განსხვავება ორ სასამართლო სისტემას შორის ***სასამართლო გადასინჯვის (კონტროლის)*** განხორციელებას უკავშირდება, ანუ სასამართლოს უფლებას თვალყური ადევნოს და კანონგარეშედ გამოაცხადოს აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ქმედება/გადაწყვეტილება. აშშ-ში ორივეს, შტატის და ფედერალურ სასამართლოს აქვს ხელისუფლების სხვა შტოების აქტების განხილვის უფლება, პირველს – შტატის კონსტიტუციასთან, ხოლო მეორეს – ფედერალურ კონსტიტუციასთან მიმართებაში.

სასამართლო გადასინჯვის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის დაწერილი კონსტიტუციის არსებობა, რადგან იგი წამოადგენს მკვეთრ საზომს, რის მიხედვითაც ფასდება ჩვეულებრივი (სტატუტური) კანონები. გარკვეულწილად, ფედერალურმა წყობამ როგორც ასეთმა, თავისთავად განაპირობა სასამართლო კონტროლის აუცილებლობა. თუ შტატის სასამართლოებს ექნებოდათ იმის უფლება, მოეხდინათ ფედერალური კანონის სურვილისამებრ ინტერპრეტირება, იურისპრუდენციის ნაციონალური ორგანოს არსებობა დაკარგავდა ყოველგვარ მნიშვნელობას.[19] იუ-

რიდიული ერთგვაროვნების საჭიროებისა და იმ საერთო კანონიერი პრინციპების მნიშვნელობის გათავისება, რომელთაც ნებისმიერ დონეზე წარმოდგენილი ხელისუფლების ქმედებები უნდა დაექვემდებაროს, წარმოადგენს სასამართლო კონტროლის არსებობის საფუძველს არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ კონსტიტუციური დემოკრატიების უმრავლესობაში.

რაც შეეხება ბრიტანელ მოსამართლეებს, ისინი მხოლოდ მარგინალურად მონაწილეობენ ქვეყნის მართვაში. მაშინ როცა აშშ-ში კანონმდებლისა და აღმასრულებლის ნებისმიერი გადაწყვეტილება აქტიურად განიხილება კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით, დიდ ბრიტანეთში სასამართლოს არ ძალუძს პარლამენტის მიერ მიღებული აქტების გაუქმება. მათ, ამერიკელი კოლეგებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ სამოქალაქო თავისუფლებების „კონსტიტუციური მცველების“ ფუნქცია, მაშინ როცა ამერიკელი მოსამართლეები ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტზე ინდივიდის უზენაესი უფლებების მტკიცებისას, ხშირად სწორედ ამ ამპლუაში გვევლინებიან. იშვიათ შემთხვევებში, ბრიტანელი მოსამართლეები მხოლოდ მიანიშნებენ აღმასულებელს თუ იგი გასცდება მოქმედების კანონიერ ჩარჩოებს. ერთ-ერთი შეფასებით:

> ბრიტანეთის მთავრობის ძალაუფლება შეზღუდულია სამართლის ფორმალური ინსტიტუტების მიუხედავად და არა მათ მიერ. ინგლისელები უფრო ნაკლებად ასაჩივრებენ სამოქალაქო თავისუფლებების ან კანონიერი სამართლებრივი პროცესის უგულვებელყოფას, ვიდრე იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც გააჩნიათ დაწერილი კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა ბილი ან მკვეთრად განსაზღვრული სასამართლო კონტროლის პროცედურა.[20]

აშშ-ის უზენაესი სასამართლო დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც გამიზნულად დაცულია პოლიტიკური ცხოვრების გავლენისაგან. ბრიტანეთის სასამართლო ხელისუფლებას კი სათავეში უდგას კაბინეტის წევრი – ცნობილი ლორდი კანცლერის სტატუსით, რომელიც ამავდროულად არის ლორდთა პალატის თავმჯდომარე და იძლე-ვა რეკომენდაციებს სასამართლო დანიშვნებთან დაკავშირებით. თეორიულად, ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოს ლორდთა პალატა წარმოადგენს. პრაქტიკულად კი ეს ერთობა წარმოდგენილია პალატის მხოლოდ რამდენიმე იურიდიული კვალიფიკაციის მქონე გამორჩეული წევრით. ძალაუფლებათა გაერთიანება, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია ბრიტანეთის საპარლამენტო სისტემისათვის, ამ შემთხვევაში გვხვდება პარლამენტის ზედა პალატაში საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების შეთავსებით, ისევე როგორც ეს ხდება მის ქვედა პალატაში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს შორის.

ორი სისტემის უპირატესობები და ნაკლოვანებები

ერთ-ერთი ამერიკელი ავტორის შეფასებით, „საპარლამენტო სისტემა [ავტომანქანა] „კადილაკია“ სახელისუფლო ფორმებს შორის.“ იგივე ავტორი ამერიკულ საპრეზიდენტო სისტემას ფორდის „მოდელი *T*“-ს ადარებს.[21] საპარლამენტო სისტემები ითვალისწინებს ხელისუფლების პასუხისმგებლობის მაღალ დონეს ამომრჩევლის წინაშე. პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კამპანიებს განსხვავებულ და კარგად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პლატფორმებზე აგებენ. თუ არჩევნების შედეგები ძლიერი მანდატით აღჭურვავს ერთ რომელიმე პარტიას, მაშინ ამ უკანასკნელს პარლამენ-

ტის მხარდაჭერით საკუთარი პროგრამის განხორციელების დიდი შანსი აქვს. თუ მთავრობის პოლიტიკა არაპოპულარული, არაპრაქტიკული ან წინააღმდეგობრივი აღმოჩნდება, შესაძლებელია პრემიერ-მინისტრის ან მმართველი პარტიის შეცვლა მთელი პოლიტიკური სისტემის რყევის გარეშე. დაბოლოს, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთის პარტიების დისციპლინირებულობა უფრო ეფექტიანს ხდის მის საპარლამენტო სისტემას აშშ-ის საპრეზიდენტო სისტემასთან შედარებით.

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, აშშ-ის საპრეზიდენტო წყობა ხშირად აწყდება დილემებს, რაც მისი სამგანშტოებიანი სტუქტურის გაწონასწორებისა და დაბალანსების (*checks and balances)* პრინციპიდან გამომდინარეობს. ძალიან ხშირად, ერთი პარტია წარმოადგენს საპრეზიდენტო ხელისუფლებას, ხოლო მეორე აკონტროლებს კონგრესს. მეტიც, ძალიან რთულია არაკომპეტენტური და თუნდაც არაპოპულარული პრეზიდენტის დათხოვნა. გარდა ამისა, ორპარტიული არამოქნილი სისტემა ბევრ განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფს კონგრესში წარმომადგენლობის საშუალებას არ აძლევს. ბოლოს, ე.წ. პრეზიდენტის სახალხო არჩევნები საკმაოდ ილუზორულია: საქმე ისაა, რომ პრეზიდენტს რეალურად ირჩევს აშშ-ის ხმის მიცემის უფლების მქონე მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით 25 პროცენტი. კრიტიკოსთა მოსაზრებით, მაჟორიტარულ პრინციპზე (*winner-takes-all*) დამყარებული ამომრჩეველთა კოლეგიის არჩევის უკვე დრომოჭმული პრაქტიკა ხშირად იმგვარ სურათს ქმნის, რომ რეალური უმრავლესობის ნება არ სრულდება – მაგალითისათვის გამოდგება 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც კანდიდატმა ალ გორმა მიიღო ხმების რეალური უმრავლესობა, მაგრამ ჯორჯ ბუში უმცროსი გამოცხადდა გამარჯვებულად.

საპრეზიდენტო სისტემის მომხრეები კი აღნიშნავენ, რომ ნამდვილად არის შემთხვევები, როცა საჭირო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სწორედ ვაშინგტონში მიიღება და არა სხვაგან (შეგვიძლია გავიხსენოთ ლინდონ ჯონსონისა და რონალდ რეიგანის საწყისი საკანონმდებლო წარმატეტები). მათივე აზრით, ლეგალურად ფიქსირებული საპრეზიდენტო ვადა სწორედ რომ უპარატესობაა. მიუხედავად სირთულეებისა, რასაც ხანდახან პრეზიდენტის იმპიჩმენტის უაღრესად რთული პროცესი ქმნის (მაგალითად, რიჩარდ ნიქსონის გადაყენების პროცედურული სირთულე, მიუხედავად მის მიერ ძალაუფლების გადამეტების ფაქტის თვალსაჩინოობისა), პრეზიდენტისათვის გარანტირებული ვადის არსებობა პოზიტიურ მახასიათებელს წარმოადგენს. მაგალითად, ჰარი ტრუმენი, რომელიც დღესდღეობით ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს პრეზიდენტად მიიჩნევა, მისი მმართველობის უმეტეს პერიოდში საკმაოდ არაპოპულარული იყო. ასევე, პრეზიდენტს გააჩნია კრიზისულ ვითარებაში ქვეყნის მართვის ეფექტიანი კონსტიტუციური ბერკეტები, მაშინაც კი, როცა საზოგადოებრივი ინტერესი მას უბიძგებს არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმისაკენ. ეს შესაძლოა განხილული იქნას, როგორც საპრეზიდენტო სისტემის აშკარა უპირატესობა.

კონსტიტუცია და კონტექსტი

საპარლამენტო მმართველობების შედეგიანობის ემპირიული შესწავლა, მათი განსხვავებულობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ადასტურებს ჯერ კიდევ არ-

ისტოტელეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ პოლიტიკური სწავლებები შესაძლოა ძალიან აბსტრაქტული გახდეს. არისტოტელეს მიხედვით, მთავარია არა ის, თუ რა არის უმჯობესი, არამედ ის, რა არის შესაძლებელი არსებულ გარემოებებში. ზოგიერთ შემთხვევაში საპარლამენტო წყობა ამართლებს, ზოგან კი – ვერ. ამდენად, არისტოტელეს მოსაზრებანი დღესაც აქტუალურია:

> ჩვენ არ უნდა ვფიქრობდეთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური კონსტიტუცია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რაც პრაქტიკულია [ანუ, საუკეთესო მოცემული პირობების გათვალისწინებით] — და ამასთან ერთად, ადვილად განხორციელებადი და ზოგადად უფრო შესაფერისიც... კონსტიტუციური სისტემის იმგვარი ფორმა უნდა იქნას შერჩეული, რაც ხალხს ადვილად დაარწმუნებს უკვე არსებული სისტემის ნაცვლად მისი დანერგვის აუცილებლობაში და შეაძლებინებს კიდეც ამის განხორციელებას.[22]

დასკვნა

ბრიტანულ საპარლამენტო მოდელს ახასიათებს ძალაუფლებათა შერევისა და გაერთიანების პრინციპი, მმართველობის განუსაზღვრელი ვადები, დისციპლინირებული პარტიები, და ორმაგი აღმასრულებელი. კონსტიტუციური დემოკრატიის ეს მოდელი უფრო ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში (გარდა ლათინური ამერიკისა), ვიდრე ამერიკული მოდელი. იგი განსაკუთრებით დომინანტურია ევროპაში, სადაც ბრიტანეთის მაგალითის მიხედვით ჩამოყალიბდა ამჟამინდელი კონსტიტუციური დემოკრატიების უმრვალესობა.

საფრანგეთი კონსტიტუციური დემოკრატიის ჰიბრიდულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს ბრიტანული და ამერიკული სისტემების მახასიათებლებს. გერმანია საპარლამენტო დემოკრატიაა, მაგრამ განსხვავდება როგორც ბრიტანული, ისე ფრანგული სისტემებისაგან იმით, რომ ის არა უნიტარული, არამედ ფედერაციული სახელმწიფოა (და მოიცავს ფედერალურ მიწებს). იაპონიაც საპარლამენტო დემოკრატიაა, და ევროპისაგან არა იმდენად პოლიტიკური სტრუქტურით, რამდენადაც პოლიტიკური კულტურით განსხვავდება. იაპონიის კონსენსუსის პრინციპზე აღმოცენებულ საზოგადოებას, არაფორმალურ და დიდწილად პიროვნულ კავშირებზე დამყარებული პოლიტიკური ძალაუფლების მქონე და პატრონაჟულ ურთიერთობებზე აგებული პოლიტიკური სტრუქტურები გააჩნია, რომლებიც, ზედაპირული განხილვისას შესაძლოა მისი ევროპული ანალოგიებისთვის მიგვემსგავსებინა (თუმცა, ეს ინსტიტუტები რეალურად ამერიკაში შეიქმნა, აშშ-ის მიერ მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ).

ინდოეთი და ისრაელი ის ორი შემთხვევაა, სადაც, ერთი შეხედვით, რესპუბლიკური წყობის არსებობა წარმოუდგენელიც კი უნდა იყოს, სინამდვილეში კი ორივე ქვეყანაში საპარლამენტო დემოკრატია უკვე ნახევარი საუკუნეა არსებობს. ინდოეთისა და ისრაელის მაგალითები ცხადყოფს, რომ ბრიტანული მოდელი მოქნილი და ადაპტირებადია იმგვარ ადგილებშიც კი, სადაც არჩევნების ჩატარება და სტაბილური ხელისუფლების შენარჩუნება წარმოუდგენლადაც კი გვეჩვენება ძალზე რთულ პირობებში.

ამერიკული და ბრიტანული სისტემების შედარებისას იკვეთება მსგავსებებიც და საკმაოდ პროვოკაციული განსხვავებებიც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურირებისა და განხორციელების თვალსაზრისით. თუმცა ძნელია ცალსახად იმის თქმა, რომელი სისტემაა უკეთესი. ამაზე პასუხი თითოეული ქვეყნის განსაკუთრებული კონტექსტისა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

საკვანძო სიტყვები

საპარლამენტო სისტემა
შერეული რეჟიმი
უნდობლობის ვოტუმი
დისციპლინებული პარტიები
ერთგული (ლოიალური) ოპოზიცია
გაორმაგებული აღმასრულებელი ხელისუფლება (dual executive)
ნაციონალური ასამბლეა
გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლება
თანაარსებობა (კოჰაბიტოცია)
ვაიმარის რესპუბლიკა
ცივი ომი
ბუნდესტაგი
ბუნდესრატი
მეიძის დინასტიის აღორძინება
მოგოლები
ბრიტანეთის რაჯი
ქაშმირი
ლოკ საბჰა (ქვედა პალატა)
რაჯა საბჰა (ზედა პალატა)
პალესტინელი არაბები
პალესტინა
სიონიზმი
ბალფურის დეკლარაცია
კემპ დევიდის შეთანხმება
ინტიფადა
ქნესეთი
საპარლამენტო სუვერენიტეტი
შეკითხვების საათი
საერთო სამართალი
სააპელაციო სასამართლო
უზენაესი სასამართლო
სასამართლო გადასინჯვა

კითხვები გამეორებისათვის

1. რატომ განიხილება ბრიტანული პოლიტიკური სისტემა ხშირად საპარლამენტო დემოკრატიის ნიმუშად?
2. როგორია საპარლამენტო სისტემის ძირითადი სამუშაო პრინციპები?
3. როგორ ცხოვრობენ ბრიტანელები დაუწერელი კონსტიტუციის გარეშე?
4. როგორ და რა გარემოებებში წარმოიშვა თანამედროვე ფრანგული რესპუბლიკა?
5. რა მსგავსება და განსხვავებაა საფრანგეთის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დემოკრატიებს შორის? (მიმანიშნებელი შეკითხვა: რომელი ქვეყანა გამოიყენა საფრანგეთმა საკუთარი პოლიტიკური სისტემის მოდელად?)
6. როდის და რა გარემოებებში შემოიღო იაპონიამ საპარლამენტო სისტემა?
7. შეადარეთ იაპონიის დემოკრატია საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დემოკრატიებს.

8. როგორია თქვენი მოსაზრებები საპარლამენტო დემოკრატიის მნიშვნელობაზე ინდოეთსა და ისრაელში.
9. შეადარეთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო ხელისუფლების უპირატესობები და ნაკლოვანებები.

შენიშვნები

1. *1958* წლის *the Life Peerage Act (*წარჩინებულთა ტიტულის სასიცოცხლოდ მინიჭების აქტი) მიხედვით, მონარქი უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის საფუძველზე, მიანიჭოს არაარისტოკრატიული წარმოშობის პირებს წარჩინებულის ტიტული მთელი სიცოცხლის ვადით, თუმცა ის მემკვიდრეობით არ გადაეცემა მის შთამომავალს. ამ ინიციატივის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პარტიების ბალანსის შენარჩუნება და ლორდთა პალატის ქმედითი წევრების რაოდენობის გაზრდა. ლორდთა დაახლოებით მეოთხედი და ლორდთა პალატის აქტიურ წევრთა პროცენტულად კიდევ უფრო დიდი შემადგენლობა სწორედ ამ გზით ფლობს წარჩინებულის ტიტულს.
2. *Sidney Bailey, British Parliamentary Democracy, მე-3 გამოცემა (Westport, Conn.: Greenwood, 1978), 130.*
3. იქვე, *131.*
4. *Suzanne Berger, The French Political System, 3rd ed. (New York, Random House, 1974), 368.*
5. *Berger, French Political System, 368.*
6. *Roy Macradis, რედ., Modern Political Systems: Europe, (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1986), 120.*
7. *Karl Dietrich Bracher, The German Dictatorship, (New York: Holt, 1970), 75.*
8. *Michael Roskin, Countries and Concepts: An Introduction to Comparative Politics, (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1982), 190.*
9. *Guido Goldman, The German Political System (New York: Random House, 1974), 56.*
10. იხ. *John W. Dower, Embracing Defeat: Japan in the Wake of World War II, (New York: Norton, 2000).*
11. იხ. *Herbert P. Bix, Hirohito and the Making of Modern Japan (New York: HarperCollins, 2000).*
12. *Franz Michael and George Taylor, The Far East in the Modern World, (New York: Holt, 1964), 263.*
13. იქვე, *607.*
14. *Nobutaki Ike, Japanese Politics: Patron-Client Democracy, მე-2 გამოცემა (New York: Knopf, 1972),*
15. *Michael and Taylor, Far East in the Modern World, 603.*
16. იქვე, 5.
17. *Marbury v. Madison, 1 Cranch 137 (1803).*
18. რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდი (1981-1987 წწ). კონგრესის ორ პალატის ამგვარი გახლეჩვის მაგალითია, როცა რესპუბლიკელები სენატს, ხოლო

დემოკრატები წარმომადგენელთა პალატას აკონტროლებდნენ; მიუხედავად ამისა, უფრო გავრცელებულია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების „გახლეჩვის“ შემთხვევები. როგორც წესი, დემოკრატები საკანონმდებლო შტოს აკონტროლებდნენ მაშინაც კი, როცა პრეზიდენტი რესპუბლიკელი იყო, მაგრამ 1994 წლის შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელებმა კონგრესის ორივე პალატაში კონტროლის უფლება დემოკრატ ბილ კლინტონის პრეზიდენტად არჩევიდან ორი წლის შემდეგ მოიპოვეს.

19. იხ. *Martin v. Hunter's Lessee, 14 U.S. 304 (1816).*
20. *Richard Rose, "Politics in England", wignSi Comparative Politics Today: A World View, red. Gabriel Almond (Boston: Little, Brown, 1974), 148.*
21. *Edward Courtier, Principles of Politics and Government (Boston: Allyn and Bacon, 1981), 84.*
22. *Aristotle, The Politics,* მთარგმ. და რედ. *Ernest Barker (New York: Oxford University Press, 1962), 1288b-89a, 155-56.*



თავი VII

სახელმწიფოები გარდამავალ პერიოდში

ახალი დემოკრატიები და აღმოცენებადი მაგრები

კომუნიზმის კრახი

რუსეთი: არეულობა და ტრანზიცია (თუ მხოლოდ არეულობა?)

- გორბაჩოვის ტრანზიცია • რეფორმის მარცხი: სისტემის დეზინტეგრაცია • თანამედროვე სირთულეები • ბოლოსდაბოლოს, გამოჩნდა ლიდერი? • სამომავლო პერსპექტივები

აღმოსავლეთი ევროპა: ტრანზიციული გზაგასაყარზე: მოკვდება თუ არა ოდესმე ძველი ჩვევები

ჩინეთი: გადასვლა მართვად კაპიტალიზმზე (რა იქნება შემდეგ?)

- მაო ხელისუფლებაში • ხელისუფალთა ცვლა • დომინანტი პარტია • იდეოლოგიის შესუსტება • ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები • გაზრდილი პიროვნული თავისუფლება • ახალი სახელმწიფოებრივი პრობლემები • პოლიტიკური და რელიგიური რეპრესიები • პოლიტიკური ფრაგმენტაციის საფრთხე • ამომავალი სახელმწიფოები

აზია: ეკონომიკური ტრანზიცია (და თავისუფლებაც?)

- სამხრეთი კორეა • ტაივანი • აზიის ვეფხვები

ლათინური ამერიკა: პოლიტიკური ტრანზიცია (და კეთილდღეობაც?)

- რეფორმის ანაბანა (არგენტინა, ბრაზილია, ჩილე) • მექსიკა

1991 წლის დეკემბრის ბოლო დღეს, საბჭოთა კავშირმა, ერთ-ერთმა იმ ორ სუპერ-სახელმწიფოთაგან, რომლებიც დომინირებდნენ მსოფლიო პოლიტიკაში თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, არსებობა შეწყვიტა. ამ კომუნისტური „მონსტრის“ სიკვდილი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკური მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ მისი აღსასრული საკმაოდ მოულოდნელად დადგა, ეს არ მომხდარა წინაპირობების გარეშე; პირიქით, 1985 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირს მიმზიდველი, თუმცა მშფოთვარე ცვლილებების პერიოდი დაუდგა, როდესაც მიხეილ გორბაჩოვმა, ქვეყნის ახალმა ქარიზმატულმა ლიდერმა, რეფორმების მთელი სერია წამოიწყო.

საბჭოთა წყობილების დეზინტეგრაციამ სათავე დაუდო ახალ ეპოქას მსოფლიო პოლიტიკაში. მან ასევე გამოკვეთა გარდამავალი პერიოდის პრობლემები, რაც აღმოსავლეთ ევროპაში დისფუნქციური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემების წინაშე იდგა. ამ ქვეყნებში ტრანზიციის პრობლემები, ნაწილობრივ, ხელახალი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების აუცილებლობითაა გამოწვეული. ტრანზიცია და განვითარება (რომელიც ამ თავში იქნება განხილული) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია; ტრანზიციის საკითხებს გადაკვეთის მრავალი წერტილი აქვს გარდამავალ პროცესში მყოფი საზოგადოებების განვითარების საკითხებთან. უფრო მეტიც, როგორც შემდეგ დავინახავთ, ცნება „სახელმწიფოები ტრანზიციის (გარდამავალ) პერიოდში“ დღეს ბევრ ქვეყანას მიესადაგება მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა რეგიონში. ყოფილი კომუნისტური ქვეყნების პრობლემების გაცნობის შემდეგ, ჩვენ მოკლედ შევეხებით აზია-სა და ლათინური ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოებს, რომლებიც საბაზრო ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით გადასვლის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან.

კომუნიზმის კრახი

ის, რასაც ერთ დროს „კომუნისტურ სამყაროს“ უწოდებდნენ, უკვე აღარ არსებობს. კომუნიზმმა, როგორც პოლიტიკურმა ძალამ, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეებზე, მცირე გამონაკლისების გარდა, მსოფლიოში არსებობა შეწყვიტა. 1988 წელს, ცივი ომის დასრულებამდე, თხუთმეტი სახელმწიფო კლასიფიცირდებოდა როგორც კომუნისტური. 2002 წლისთვის მათი რაოდენობა 5-6 სახელმწიფომდე შემცირდა (ჩინეთი, კუბა, ლაოსი, ჩრდილოეთ კორეა, ვიეტნამი და, სავარაუდოდ, კამბოჯა); თითოეული მათგანი დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებს, შესაბამისად დღეს „კომუნისტურ ბანაკზე“ საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებულია. რა მოხდა? 1989 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე ორი წლით ადრე, აღმოსავლეთ ევროპამ მოულოდნელად უარყო კომუნისტური მმართველობა. ამ დროიდან მოყოლებული, დემოკრატია და პრივატიზაცია (სახელმწიფოს მიერ მართული საწარმოების გადასვლა კერძო სექტორში) პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში. ეს პროცესები, განსაკუთრებით პოლონეთსა და უნგრეთში, გარკვეული პოლიტიკური ზიგზაგებით ხასიათდებოდა. ამ ქვეყნების ამომრჩევლებმა ხელისუფლებაში კვლავ ყოფილი კომუნისტები მოიყვანეს, თუმცა, დაიწყო ამავდროულად, უარყვეს ცენტრალიზებული, გეგმიანი ეკონომიკა დასავლური, საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ორიენტირებული პოლიტიკური კურსის სასარგებლოდ. რუმინეთში, სლოვაკეთში, ბულგარეთსა და ალბანეთში დემოკრა-

ტიზაციის მიმართულებით მოძრაობა ბევრად ნელი იყო, თუმცა მაინც შეინიშნებოდა. განსაკუთრებულ შემთხვევას ყოფილი აღმოსავლეთ გერმანია წარმოადგენს, რომელიც 1990 წელს დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანდა.

კომუნისტური რეჟიმები აზიაში უფრო მყარი გამოდგა. 1976 წელს, მაოს გარდაცვალების შემდეგ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შეარბილა ტოტალიტარული რეჟიმი და ეკონომიკის გარკვეული ლიბერალიზაცია მოახდინა, თუმცა, იგი მაინც რჩება რეპრესიულ სახელმწიფოდ. ის აგრძელებს რეფორმებს საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, რამაც ხელი შეუწყო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით მის სამხრეთ სანაპირო რეგიონებში. ჩრდილოეთ კორეა, სტალინისტური მართვის მეთოდების ერთგული ქვეყანა, ამჟღავნებს ნაცნობ ტენდენციას ქსენოფობიის, ყველაფრის გასაიდუმლოებისა და თვითდაწესებული იზოლაციის მიმართულებით. ვიეტნამი და ლაოსი რჩებიან კომუნისტური მმართველობის ქვეშ, მაგრამ ჩრდილოეთ კორეისაგან განსხვავებით, ორივე მათგანი მსუბუქ საერთაშორისო გავლენას განიცდის და უფრო მიღებულია საერთაშორისო საზოგადოებაში. დაბოლოს, კამბოჯაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხანგრძლივი მცდელობა ხელი შეეწყო ამ სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარებისათვის, უშედეგო აღმოჩნდა 1997 წელს ჰან სენის მიერ ორგანიზებული გადატრიალებისა და იქ დიქტატორული მთავრობის ჩამოყალიბების გამო.

კუბაში ფიდელ კასტრო ებღაუჭება პოლიტიკურ ძალაუფლებას [(2008 წლიდან ქვეყანას ოფიციალურად ფიდელის ძმა რაულ კასტრო მართავს – მთარგმ. შენ.)]. იგი ცდილობდა ჩაენაცვლებინა დაკარგული საბჭოთა დახმარება და ამავდროულად, გამკლავებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული ეკონომიკური ემბარგოს შედეგებს. კუბაში, განსხვავებული აზრისადმი არატოლერანტული პოლიციური სახელმწიფოს პირობებშიც კი, გახშირდა პერიოდული სახალხო დემონსტრაციები, რამაც კასტროს მმართველობით გამოწვეული სახალხო უკმაყოფილების ძლიერი ნაკადი გამოამჟღავნა. 1998 წელს რომის პაპის, იოანე პავლე II-ისა და 2002 წელს ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის ისტორიული ვიზიტები – ორივე პირველი შემთხვევა იყო კუბის რევოლუციის შემდეგ – აღქმული იქნა როგორც შესაძლო ნაბიჯები რელიგიური და პოლიტიკური თავისუფლების მიმართულებით და როგორც ნიშანი იმისა, რომ ასაკოვანი დიქტატორი რბილდებოდა. თუმცა, სხვა ექსპერტები ეჭვობდნენ, რომ ამ პროცესებს საფუძვლიანი რეფორმები შეიძლებოდა მოჰყოლოდა და მიიჩნევდნენ, რომ ერთადერთი რამ, რაც კასტროს ადარდებდა, დაგროვილი პოლიტიკური პრობლემების ფონზე ძალაუფლების შენარჩუნება იყო.

რუსეთი: არეულობა და ტრანზიცია (თუ მხოლოდ არეულობა?)

1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი მსოფლიო იმპერიებს შორის ბოლო იმპერიას წარმოადგენდა. ის ბატონობდა დაპყრობილ ხალხებსა და კულტურებზე, თუმცა დიდი შიდა დაძაბულობების ფონზე. შეძლებენ თუ არა ასეთი იმპერიები არსებობას იმ მსოფლიოში, სადაც იზრდება ნაციონალიზმის, ეგალიტარიზმის გავლენა და თვითგამორკვევის რწმენა? თუ ყველა ასეთი იმპერია სამუდამოდ განწირულია?

სტალინისტური სახელმწიფო, რომელიც 1991 წლამდე არსებობდა, ტოტალიტარული მმართველობის ყველა თავისებურებას ამჟღავნებდა, მათ შორის: ცენტრალიზებული კონტროლი სამხედრო ძალებზე, მასმედიასა და ეკონომიკაზე; გაბატონებული მონოპოლისტი პარტია; ოფიციალური იდეოლოგია; სისტემური ტერორი საეჭვო პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და რეჟიმისათვის უვარგისად ან საშიშად მიჩნეული უდანაშაულო ადამიანების მასობრივი მკვლელობები. საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული წარმომავლობა არსებითი საფუძველია დღევანდელი რუსეთის პოლიტიკის ბუნების გასაგებად.

1991 წელს, ძველი საბჭოური რეჟიმის მარცხის შედეგად, ახალი შემცირებული რუსული სახელმწიფო აღმოცენდა. პოსტსაბჭოთა მთავრობამ ბორის ელცინის მეთაურობით გაწყვიტა კავშირი წარსულთან და თავდაპირველად კონსტიტუციური დემოკრატიის დაფუძნებას შეეცადა. შემდეგ მან შექმნა ძალიან სუსტი კონფედერაცია, ***დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)***, რომლის შემადგენლობაში შევიდა რუსეთი და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ბალტიისპირეთის ქვეყნების – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გამოკლებით (იხ. სქემა 7-1).

ბარენცის ზღვა
ლაპტევის ზღვა
ალ. ციმბირის ზღვა
ფინეთი
ტალინი
ბალტიის ზღვა
ლიტვა
ბელორუსი
ვილნიუსი
3
5
6
11
12
14
ბრესტ.
ბრესტ.
ბალტ. ზ.
ბალტ. ზ.
ბალტ. ზ

ბაჩოვმა ამ მიზნით განახორციელა ქმედებები, რაც დასავლეთში ***პერესტროიკის, გლასტნოსტის*** და ***დემოკრატიზაციის*** სახელებით გახდა ცნობილი.

რატომ გარისკა გორბაჩოვმა. ლენინის მიერ 1917 წელს ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, ეკონომიკა საბჭოთა კავშირში იყო გეგმური, ან სხვანაირად, მბრძანებლური, სადაც ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილება (რა და რამდენი უნდა ეწარმოებინათ და ა.შ.) კომუნისტური პარტიის ზედა ეშელონებში მიიღებოდა. კონკურენცია, სარგებლისაკენ სწრაფვა და კერძო საკუთრების უმრავლესი ფორმები აკრძალული იყო, როგორც შეუთავსებელი კომუნისტურ პრინციპებთან.

ცენტრალური დაგეგმვის ამ სისტემამ საბჭოთა კავშირი პირველი ხარისხის სამხედრო ძალად აქცია, თუმცა დიდი საბიუჯეტო დეფიციტის ფასად. გარდა ამისა, 1980-იანი წლების შუა ხანებში აშკარად გამოჩნდა, რომ ცენტრალურმა დაგეგმვამ ეკონომიკური სტაგნაცია გამოიწვია, რამაც საბჭოთა კავშირი კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით არასახარბიელო პირობებში ჩააყენა ისეთ ინდუსტრიულ, დემოკრატიულ ქვეყნებთან მიმართებაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და რამდენიმე ევროპული სახელმწიფო.[1] 1985 წლისთვის, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი 2 პროცენტამდე დაეცა და შეადგინა დაახლოებით ნახევარი იმისა, რაც ათი წლის წინ იყო. ცხრა ინდუსტრიული საწარმოდან სულ მცირე ერთი და სახელმწიფო მეურნეობების თითქმის მესამედი კოტრდებოდა. საკვები, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სამკურნალო საშუალებები და ტრანსპორტი მოთხოვნების სრულიად არაადეკვატური იყო, როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად.

საბჭოთა მოქალაქეთა უმეტესობის ცხოვრება ზოგადად გაუსაძლისი იყო. რაც საბჭოეთში კომფორტად და ხელსაყრელ პირობებად მიიჩნეოდა, დასავლეთისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაღაზიები ხშირად უხეიროდ ან საერთოდ არ მარაგდებოდა. გარკვეული სახის სათადარიგო ნაწილების შოვნა ხშირად შეუძლებელი იყო. ერთ-ერთი შეფასების თანახმად, მიღებულ ნორმას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ქალები, ჩვეულებრივ, დღეში ორ საათს, კვირის შვიდივე დღის განმავლობაში რიგებში ატარებდნენ.[2] 1980-იანი წლების ბოლოსათვის, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 28 პროცენტი ოფიციალურად მიჩნეულ სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობდა.[3]

სოფლის მეურნეობის სფეროში საკვების წარმოება ძლივს უწყობდა ფეხს მოსახლეობის ზრდას და მიუხედავად ამ სფეროში განხორციელებული უხვი ინვესტიციებისა, მთავრობა ბევრს ხარჯავდა იმპორტირებულ ხორცსა და მარცვლეულში. ამასთანავე, სოფლის მეურნეობაში საბჭოთა კავშირის საინვესტიციო პრიორიტეტები აშკარად ასახავდა საშინელი დაგეგმარების არსებობას. პროდუქციის მეურნეობებიდან ბაზრისაკენ გადაადგილება, საცავებად განკუთვნილი საწარმოები, საკვების გადამუშავება, დაფასოება და საცალო გაყიდვა აბსოლუტურად უგულებელყოფილი იყო. საბჭოთა ეკონომისტებმა დაიანგარიშეს, რომ მარცვლეულის მთელი მოსავლის დაახლოებით ერთი მეოთხედი ყოველწლიურად ბაზარზე მოხვედრამდე იკარგებოდა. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ 1988 წელს დანაკარგი დაახლოებით 4 მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების იმპორტირებული მარცვლეულის რაოდენობას უტოლდებოდა. ამის შედეგად, ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქის მიერ ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება, ორ ათწლეულზე უფრო მცირე დროში, 30 პროცენტით შემცირდა.[4]

საბჭოთა ეკონომიკის დაქვეითებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის ფონზე, გაუარესებულმა სოციალურმა პრობლემებმა საფრთხე საბჭოთა საზოგადოების საფუძველს შეუქმნა. ყველაზე დიდ პრობლემებს შორის იყო ალკოჰოლიზმი და კორუფცია. ალკოჰოლიზმი დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა კავშირის ყველაზე მყარ და ძვირ პრობლემას წარმოადგენდა. ალკოჰოლის მიღება მავნე გავლენას ახდენდა ადამიანის ჯანმრთელობასა და ოჯახურ ცხოვრებაზე, ამცირებდა პროდუქტიულობას და შრომისუნარიანობას, ზრდიდა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობას (ფეხმძიმობისას ალკოჰოლის მიღების გამო), ამცირებდა ცხოვრების ხანგრძლივობას და დიდწილად განაპირობებდა ახალგაზრდებში დამნაშავეობის ზრდას. ამასთანავე, კორუფციაც ყვაოდა. სამომხმარებლო საქონლის ქრონიკული არარსებობა და სახელმწიფოს მიერ ფასების კონტროლი შავი ბაზრის აყვავებას იწვევდა. საბჭოთა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ბიუროკრატიზირებული იყო და ნებისმიერ საკითხზე ოფიციალურ სახელმწიფო თანხმობას საჭიროებდა, რამაც გავლენების არაოფიციალური სისტემის განვითარება გამოიწვია. იმისათვის, რომ დაეჩქარებინათ ოფიციალური თანხმობა ან ბიუროკრატიისგან სასურველი მოპყრობისათვის მიეღწიათ, საბჭოთა მოქალაქეებისათვის ნებისმიერი მეთოდის გამოყენება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

სხვა კრიტიკულ პრობლემას 1970-1980-იან წლებში გაღრმავებული ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა წარმოადგენდა – კომპიუტერული რევოლუცია ასცდა საბჭოთა მოქალაქეებს მაშინ, როცა მათი ეკონომიკური კონკურენტები გარდაქმნა. ამ სფეროში ფულის დაბანდება მენეჯერებისთვის არახელსაყრელი იყო და პარტიაც შიშობდა, რომ მისი ფართო მოხმარება პოლიტიკურ ოპონენტებს გააძლიერებდა. ამგვარი დამოკიდებულების შედეგად საბჭოთა ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია შეუძლებელი ხდებოდა.

ამ პრობლემათა უმეტესი ნაწილის საფუძველს ცენტრალური დაგეგმვა წარმოადგენდა, რომელიც არ უწყობდა ხელს ახალ ინიციატივებს, რადგანაც ქარხნების მმართველები და სახელმწიფოს მიერ მართული საწარმოების დირექტორები ცენტრალურ გეგმაზე რჩებოდნენ მიბმულნი, რომელიც ქარხნისა და მეურნეობების წარმოებაზე მკაცრ კვოტებს აწესებდა. გეგმის შესრულება საბჭოთა ეკონომიკის ყველა ადმინისტრატორის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა. სტალინისტურმა სისტემამ ხარისხი შესწირა რაოდენობას. გარდა ამისა, ზევიდან წამოსული ინსტრუქციებით მოქმედი მენეჯმენტისათვის არ არსებობდა საკმარისი ინიციატივა თუ შესაძლებლობა ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. მასალებისა და აღჭურვილობების მიწოდების შეწყვეტით გამოწვეულმა პრობლემებმა მოულოდნელად შეაფერხა აღმშენებლობითი პროექტები და ქარხნისა და მეურნეობების წარმოება შეამცირა. წარმოების ამბიციურ კვოტების მიღწევის მიზნით და დაუსრულებელი ზეწოლის გამო, დირექტორები არსებული ჩავარდნების დასაფარად ხშირად სხვადასხვა ხრიკებს იყენებდნენ.

მმართველთა ცინიზმი ერწყმოდა საბჭოთა მუშახელის დაბალ მორალს. იგი იყო არასათანადოდ დასაქმებული, უხალისოდ მუშაობდა, ან რომელსაც, უბრალოდ სამუშაო მოტივაცია არ გააჩნდა. სანდო და ეფექტიანი მუშახელის არარსებობის პირდაპირი შედეგი იყო საშინლად დაბალი პროდუქტიულობა. მუშების ცინიზმი კარგად ჩანდა ისეთ პოპულარულ საბჭოთა გამონათქვამებში, როგორიცაა, „პარტია თავს იკატუნებს, თითქოს გვიხდის და ჩვენც თავს ვიკატუნებთ, რომ ვმუშაობთ“. ეს ცინიზმი იკვებებოდა პარტიული მუშაკების თვალთმაქცობით, რომლებიც მხარს

უჭერდნენ ეგალიტარულ იდეალებს, მაგრამ ცხოვრობდნენ სიმდიდრეში, მაშინ როცა პროლეტარიატი, რომელსაც ისინი ადიდებდნენ, პურისა და სხვა პირველადი მოთხოვნილების ნივთების შესაძენად გრძელ რიგებში იდგა. მოხდა ყველაზე უარესი: **ბევრმა საბჭოთა კავშირში საკუთარი პოლიტიკური სისტემის მიმართ რწმენა დაკარგა.**[5]

რეაქციული ძალები, ნაციონალისტები და *ნომენკლატურა.* ადამიანებს, ვინც ფლობდნენ თანამდებობებს და გავლენას საბჭოთა სისტემაში, *ნომენკლატურას* უწოდებდნენ. საბჭოთა კავშირში ეს ადამიანები პრივილეგირებულ ელიტარულ კლასს შეადგენდნენ.[6] მათ შემადგენლობაში შედიოდნენ პოლიტიკური ბიუროკრატიის წევრები (ე.წ. აპარატჩიკები), უფროსი ეკონომიკური მმართველები და სამეცნიერო ადმინისტრატორები, ასევე კონკრეტული მწერლები, მსახიობები, კოსმონავტები, ათლეტები და გენერლები, რომლებიც წარმოადგენდნენ საბჭოთა სახელმწიფოს და აძლიერებდნენ მის რეპუტაციას.

ნომენკლატურის არსებობა ორი მიზეზით იყო მნიშვნელოვანი. პირველი: კარგად განვითარებული, ექსკლუზიური და უმეტესწილად შენიღბული კეთილმოწყობილი ბინების ინფრასტრუქტურა, სპეციალური მაღაზიები, სანატორიუმები, საავადმყოფოები, კლინიკები, კურორტები და სკოლები, ამ ფენას არა მარტო განზე აყენებდა ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქისაგან, არამედ სრულიად ეწინააღმდეგებოდა თანასწორობისა და სამართლიანობის მარქსისტულ და კომუნისტურ იდეალებს, რომელსაც კომუნისტები ხშირად ქადაგებდნენ. მეორე: ნომენკლატურა, არაეფექტიანი იყო და უფრო მეტად აინტერესებდა საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებით, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის შესრულება. 1980-იანი წლების შუა პერიოდისათვის, არავინ იყო ისე შეფიქრიანებული პოლიტიკური ელიტის მიერ ეკონომიკური განვითარების შეფერხების პერსპექტივით, როგორც საბჭოთა კავშირის ახალი ლიდერი, მიხეილ გორბაჩოვი.

რეფორმის პოლიტიკა. გორბაჩოვის სამი რეფორმისტული პროგრამის – პერეს-ტროიკის, გლასტნოსტის და დემოკრატიზაციის მიზანს წარმოადგენდა კომუნიზმის გადარჩენა და არა მისი დანგრევა. პერესტროიკის მიზანი ცენტრალური დაგეგმვის დოგმატური სისტემის გამოცოცხლება იყო. გორბაჩოვი ამ ამბიციური მიზნის მიღწევას ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების სოციალურ და პოლიტიკურ სათავეებზე იერიშის მიტანით იმედოვნებდა – რაც ნიშნავდა ნომენკლატურისა და აპარატჩიკების გავლენის შემცირებას და ამავდროულად, საბჭოთა მუშახელის ეფექტიან ომის ზრდას. საბედისწეროდ, ვერც გორბაჩოვი ხვდებოდა, ან კიდევ თვალს არ უსწორებდა ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში რადიკალური ცვლილებების გატარების აუცილებლობას. შესაბამისად, პერესტროიკის იდეა უფრო მიმზიდველ პოლიტიკურ სლოგანს წარმოადგენდა, ვიდრე თანმიმდევრულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

გორბაჩოვის დამსახურება იყო ნაწილობრივი რეფორმების გატარების მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავდა ინდივიდუალური ინიციატივის ამაღლებას. ხელფასების გამომუშავების, განაწილებისა და ფასწარმოქმნის სისტემის რეფორმირების, ზედა ეშელონის ბიუროკრატების ძალაუფლების შემცირებას, ადგილობრივი მენეჯერული თავისუფლების ხელშეწყობის, სახელმწიფო საწარმოებისა და მუშების მფლობელობაში არსებული საწარმოებისა და კოოპერატივების წახალისების გზით. გა-

ტარდა ასევე სხვა სახის საბაზრო ორიენტაციის რეფორმებიც, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა შეძლო ფუნდამენტურად შეეცვალა ეკონომიკური სისტემა სახელმწიფო მმართველობაში არსებული წარმოების საშუალებებისა და ცენტრალური დაგეგმვიდან კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური ინიციატივის მიმართულებით.

ფოტოზე მიხეილ გორბაჩოვისა და მისი მეუღლის რაისას ფინეთში ვიზიტია ასახულია 1989 წელს. გორბაჩოვმა მმართველობის პერიოდში, 1985 წლის მარტიდან 1991 წლის აგვისტომდე, კომუნიზმისა და კომუნისტური პარტიის რეფორმირების რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკა შეიმუშავა. საბოლოო ჯამში ამ წამოწყებებმა სტალინისტური სახელმწიფოს ეროზია გააღრმავა და მთელ აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის დამხობას შეუწყო ხელი.

1989 წლისთვის, საბჭოთა ეკონომიკა სწრაფ დეზინტეგრაციას განიცდიდა და ორ წელიწადში იგი სრულ დეპრესიაში აღმოჩნდა; 1991 წლისთვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ყოველწლიურად 10 პროცენტით მცირდებოდა. დაისვა კითხვა, რა უნდა მოემოქმედათ? მმართველი ელიტა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. რადიკალური რეფორმის მომხრეები მხარს უჭერდნენ ცენტრალური და მბრძანებლური ეკონომიკიდან მკვეთრ ტრანზიციას საბაზრო სისტემის მიმართულებით. ძველი კურსის მომხრე კონსერვატორები (განსაკუთრებით ისინი, ვინც სამხედრო და საიდუმლო პოლიციასთან ასოცირდებოდნენ) ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ რევოლუციურ ცვლილებებს. საბჭოთა მმართველი ელიტა ცდილობდა გამკლავებოდა მზარდ ეკონომიკურ კრიზისს, თუმცა, განსხვავებით დენ სიაოპინის დროინდელი ჩინეთისაგან, მას არასოდეს ჩამოუყალიბებია მომავლის ზუსტი ხედვა და არ გაერთიანებულა კომპლექსური რეფორმების აუცილებლობით.

ამ არეულობის ფონზეც კი, გორბაჩოვის ეკონომიკური შეხედულებები გაურკვეველი რჩებოდა. თანამდებობაზე ყოფნის ბოლო თვეებში აშკარა გახდა, რომ პერესტროიკამ (რომელიც მიზნად ისახავდა გამოეცოცხლებინა ცენტრალური დაგეგმვა

და კომუნიზმი) არ გაამართლა და რევოლუციური ეკონომიკური ცვლილება (რომელიც საბედისწეროდ თავად პერესტროიკის მიერ იყო წამოწყებული) ჩქარდებოდა. კერძო საკუთრება და ეკონომიკური წინაპირობები თანდათანობით ვითარდებოდა მაშინ, როცა ეკონომიკური არეულობა და უიმედობა მატულობდა.

გლასტნოსტი. გორბაჩოვის უფრო მეტად გახმაურებულმა „გლასტნოსტის" (საჯაროობა) პოლიტიკამ გააძლიერა პერესტროიკა და საბჭოთა ისტორიაში მედიასაშუალებებზე ცენზურა არნახულად შეამცირა. გარკვეული დროის განმავლობაში, ამ პოლიტიკამ გამოიწვია გორბაჩოვის მიმართ დიდი სიმპათია და წარუმატებელი ეკონომიკური რეფორმებისგან მოსახლეობის ყურადღების გადატანა.

გლასტნოსტს ასევე დიდი გამოძახილი ჰქონდა საბჭოთა საზღვრებს მიღმა; მან გორბაჩოვი მსოფლიო პრესისათვის ძვირფას პიროვნებად და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში პოპულარულ ფიგურად აქცია.

მიუხედავად მისი საგარეო პოლიტიკური წარმატებებისა, გლასტნოსტი, პირველ რიგში, შიდა პოლიტიკის ინსტრუმენტი იყო. მის საწყის განზრახვას ოფიციალური კორუფციისა და არაკომპეტენტურობის გამოაშკარავება წარმოადგენდა, რასაც გორბაჩოვი საბჭოთა ეკონომიკის არასრულყოფილების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევდა. მას სურდა მასიური ცვლილების მოწინააღმდეგე საბჭოთა ბიუროკრატიის შერყევა და მუშათა კლასის გამოცოცხლება. საბჭოთა მშრომელებს არ ჰქონდათ, ერთი მხრივ, მუშაობის სტიმული და, მეორე მხრივ, გაფიცვის უფლება, რის გამოც აპათიასა და ალკოჰოლიზმში ჩაფლულიყვნენ. რეალურად, ეს ბოლო, ეპიდემიური ხასიათის პრობლემა – გახრწნილი საზოგადოების ტრაგიკულ სიმპტომს წარმოადგენდა.

გლასტნოსტი მჭიდრო კავშირში იყო პერესტროიკასთან: ის იყო იმ კომუნისტური საზოგადოების გამოცოცხლების საშუალება, რომელსაც მამოძრავებელი ძალა გამოეცალა და რომელმაც არსებობის მიზანი დაკარგა. პოლიტიკურ ***ლიბერალიზაციას*** უნდა შეექმნა ამაღლებული განწყობა, რაც საზოგადოებას ენერგიულს გახდიდა, მიეცემოდა რა მას ძველი, მუშაობის არაეფექტიან მახასიათებლებისა და მმართველობის კრიტიკის უფლებას. გლასტნოსტმა სწრაფად შეიძინა საკუთარი მიმართულება, მას შემდეგ, რაც ადრე აკრძალული წიგნები და ფილმები ბევრისთვის ხელმისაწვდომი გახდა. თუმცა, ყველაზე გასაოცარ ფაქტს საბჭოთა მედიის სახელმწიფო პოლიტიკის მოქნილი ინსტრუმენტიდან საზოგადოებრივი კრიტიკის მექანიზ-მად გარდაქმნა წარმოადგენდა. პოპულარული ახალი სატელევიზიო არხები საბჭოთა ოფიციალური კორუფციისა და ძალაუფლების უზურპაციის მხილებით იყვნენ დაკავებულნი, საბჭოთა გაზეთები და ჟურნალები კი ყავლგასული პოლიტიკური პრინციპებისა და წესების შესახებ კრიტიკულ სტატიებს აქვეყნებდნენ. საბჭოთა კავშირმა საკუთარი თავი რეალურად ***ერთი ღამის*** განმავლობაში გარდაქმნა. ქვეყნა, რომელიც არ უშვებდა არანაირ კრიტიკას, იქცა იმ ქვეყნად, სადაც კრიტიკა სწრაფად აცლიდა ლეგიტიმურობას კომუნისტურ პარტიასა და პოლიტიკურ სისტემას, რაც დიდი ხნის მანძილზე მისი მმართველობის ინსტრუმენტებს წარმოადგენდა.

დემოკრატიზაცია. ისევე როგორც პერესტროიკის შემთხვევაში, ზუსტად არც ის იყო ცნობილი, თუ რას გულისხმობდა გორბაჩოვი რუსულ ენაზე დემოკრატიზაციის ხსენებისას. დემოკრატიზაცია, მინიმუმ, მოიაზრებოდა როგორც პოლიტიკური სისტემა, სადაც არჩევნები იქნებოდა ნებადართული, თუმცა რა დოზით – გაურკვევე-

ლი რჩებოდა. ეს ხედვა ასახული იყო 1989 წელს მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ჩატარებულ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში, რომელიც ამომრჩეველს უფლებას აძლევდა ხმა მიეცა ოპოზიციისათვის კომუნისტური პარტიის წევრების წინაღმდეგ, რაც პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა ისტორიაში. ამავდროულად, გორბაჩოვი მართავდა როგორც საბჭოთა პრეზიდენტი (არაპირდაპირი გზით არჩეული თანამდებობა, რომელიც მან შემოიღო, როგორც მისი პოლიტიკური რეფორმის ნაწილი) და არა როგორც კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი. ***დემოკრატიზაციის*** შედეგად გამოწვეული პოლიტიკური ცვლილებები საკმაოდ განსაცვიფრებელი იყო და მიანიშნებდა უფრო დემოკრატიული მომავლისაკენ. ის მოიცავდა:

- ოპოზიციის, გავლენიანი არაკომუნისტური და ანტიკომუნისტური პიროვნებების და პარტიების გაჩენას, რომელთაგანაც ზოგიერთი ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში აირჩიეს;
- კომუნისტური პარტიის შიდა დისციპლინის მნიშვნელოვნად შესუსტება (რასაც მის რიგებში ურთიერთქიშპისა და აზრთა სხვადასხვაობის ზრდა სდევდა თან) საბჭოთა კავშირის მასშტაბით პარტიის წევრების რიცხვის შემცირების ფონზე;
- ცენტრალური მთავრობის ძალაუფლებისა და პრესტიჟის ხარჯზე რესპუბლიკების გავლენისა და ძალაუფლების ზრდა;
- რეფორმები მთავრობის შიგნით, რომელსაც არა პარტიის გენერალური მდივანი, არამედ არჩეული ოფიციალური პირები და პრეზიდენტი მართავდნენ და რომელიც შეძლებდა კომუნისტური პარტიისაგან რეალური, დამოუკიდებელი ძალაუფლების განხორციელებას.

რეფორმის მარცხი: სისტემა იშლება

გორბაჩოვის მცდელობა – მოეხდინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ცვლილება, მარცხით დამთავრდა. ფაქტობრივად, მის მიერ ძალაუფლების მოპოვების საწყის ეტაპზე არსებული ყველა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემა გაცილებით გამწვავებული იყო იმ დროისათვის, როცა მან, დაახლოებით 6 წლის შემდეგ, თანამდებობა დატოვა. მოსახლეობის მოლოდინის ზრდის პარალელურად, დრამატულად მცირდებოდა ცხოვრების დონე, რაც ქმნიდა პოლიტიკურად არამდგრად სიტუაციას. ამ ყველაფერს თან დაერთო ახალი პრობლემა – სწრაფი ინფლაცია, რამაც კიდევ უფრო შეასუსტა მთავრობისადმი ნდობა. სახალხო მღელვარება გამოიხატა საბჭოთა კავშირისათვის ისეთი ახალი ფენომენის გაჩენით, როგორიცაა მუშათა გაფიცვები. საზოგადოებრივი მღელვარების ესკალაციასთან ერთად, გორბაჩოვის პოპულარულობა და მისი გავლენა პარტიული და სახელმწიფო ბიუროკრატიის რიგებში შემცირდა.

საბჭოთა რეჟიმის უკანასკნელ დღეებში შიდა არამდგრადობის მთავარი მიზეზი იყო საუკუნოვანი ეროვნული პრობლემა. რიცხობრივად ყველაზე დიდი ჩვიდმეტი ეროვნება საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენდა, მათ შორის, რუსები 50%-ზე ოდნავ მეტი, ხოლო უკრაინელები 16%-ზე ოდნავ ნაკლები წილით 294 მილიონიანი მოსახლეობის 2/3-ს შეადგენდნენ 1991 წელს. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში დაახლოებით 20 ეროვნული ჯგუფი ცხოვრობდა, რომელიც ცალ-ცალკე 1 მლნ ადამიანზე მეტს ითვლიდა. ამ მსხვილ ჯგუფებს შორის იყო 15 ეროვნება,

რომელთა სახელები ეწოდებოდა რესპუბლიკებს; ასევე, თათრები, პოლონელები, გერმანელები, ებრაელები, ჩუვაშები, ბაშკირები და მორდოველები (იხ. ცხრილი 7.1). სულ ყოფილ სსრკ-ში 100-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნება ცხოვრობდა და 130-მდე ენაზე საუბრობდნენ.

ცხრილი 7.1

ძირითადი ეროვნებები საბჭოთა კავშირში მისი დაშლის დროს (1989)

ეროვნებები	პროცენტული შემადგენლობა[ა]	ეროვნებები	პროცენტული შემადგენლობა
რუსები	*50.78*	მოლდოველები	*1.17*
უკრაინელები	*15.47*	ლიტველები	*1.07*
უზბეკები	*5.84*	თურქები	*0.95*
ბელორუსები	*3.50*	ყირგიზები	*0.85*
ყაზახები	*2.84*	გერმანელები	*0.71*
აზერბაიჯანელები	*2.38*	ჩუვაშები	*0.64*
თათრები	*2.32*	ლატვიელები	*0.51*
სომხები	*1.62*	ებრაელები [ბ]	*0.50*
ტაჯიკები	*1.48*	ბაშკირები	*0.50*
ქართველები	*1.39*	პოლონელები	*0.39*

ა. მონაცემები აღებულია საბჭოთა კავშირის ბოლო ოფიციალური სახალხო აღწერიდან.
ბ. ყოფილი საბჭოთა კავშირი ებრაელებს ცალკე ერად გამოყოფდა.
წყარო: Population Today, November 1991, Population Reference Bureau. იბეჭდება ნებართვით.

ისტორიულად, საბჭოთა მთავრობა არარუსი ჯგუფების ასიმილირებისათვის ძალადობას მიმართავდა. ამასთან ერთად, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს განათლების სისტემა წარმოადგენდა: საბჭოთა კავშირის ყველა სკოლის ყველა მოსწავლე ვალდებული იყო შეესწავლა რუსული.

ამის შედეგად, ორი ენის ფლობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საბჭოთა რესპუბლიკებში – არარუსი მოსახლეობის უმრავლესობას შეეძლო გამართული რუსულით ესაუბრა. მაგრამ საბჭოთა კავშირის ულმობელი მცდელობა, დაენერგა რუსების კულტურული დომინანტობა, ხშირად სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა. კომუნისტური პარტიის ზედა ეშელონებში ეთნიკური რუსები დომინირებდნენ, რომლებიც მმართველი ელიტის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენდნენ, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდიდა ეთნიკური უმცირესობების გაღიზიანებას. საბჭოთა კავშირის წარუმატებელმა მცდელობამ, მოეხდინა ეთნიკური უმცირესობების სრული ასიმილირება, მსოფლიოს ერთ-ერთ უკანასკნელ იმპერიას საფუძველი გამოაცალა.

მოსკოვს საკმაოდ კარგი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ „ეროვნული საკითხი“ ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზი გახდებოდა. ირონიულად, სწორედ გორბაჩოვის რეფორმებმა შექმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც არარუსი ეროვნების მოსახლეობას შეეძლო გაებედა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოძრაობის დაწყება. გლასტნოსტმა, გარკვეულწილად, ცენტრალური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის კრიტიკა წაახალისა. გორბაჩოვის საბედისწერო გადაწყვეტილებამ – ნება დაერთო ყოფილი „სატელიტი სახელმწიფოებისათვის“ (პოლონეთი, აღმოსავლეთ გერმანია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი და რუმინეთი) დაეტოვებინათ საბჭოთა გავლენის სფერო, ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა. პირველად დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში დაიწყო, სადაც ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა (რომლებიც დამოუკიდებელნი იყვნენ 1939 წლამდე, სანამ სტალინმა მათი ხელში ჩაგდება არ მოახერხა ჰიტლერთან სამარცხვინო პაქტის დადების შემდეგ) რეფორმებს სულ სხვა სიმძაფრე და მიმართულება მისცა, ვიდრე გორბაჩოვს ჰქონდა განზრახული. ბალტიის სახელმწიფოები ლიტვის წინამძღოლობით, პირველები გამოეყვნენ საბჭოთა კავშირს. ეროვნულმა დემონსტრაციებმა და ამბოხებებმა გადაუარა საბჭოთა იმპერიას, და რესპუბლიკები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებდნენ დამოუკიდებლობას.

1991 წლის ბოლოსთვის საბჭოთა კავშირი თავისით დაიშალა. გორბაჩოვის ყველა მცდელობა, გადაეჭრა საბჭოთა კავშირის ფუნდამენტური პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, მარცხით დასრულდა. 1991 წლის აგვისტოში, გორბაჩოვი ძალაუფლებად ჩამოაცილა კომუნისტური პარტიის რვაკაციანმა ჯგუფმა, რომელსაც სამხედროებთან და ე.წ. სუკ-თან (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) ჰქონდა კავშირი, მაგრამ გადატრიალება მარცხით დასრულდა: დემოკრატიისა და საბაზრო რეფორმებისათვის მებრძოლმა ბორის ელცინმა, რომელიც მოსკოვში ალყაშემორტყმული რუსეთის პარლამენტის შენობაში იმყოფებოდა და შთააგონებდა ქუჩაში გამოსულ უზარმაზარ მასას ებრძოლა დემოკრატიისათვის, წინააღმდეგობა გაუწია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ელცინის დაჟინებით, გორბაჩოვმა კვლავ დაიკავა თავისი ყოფილი თანამდებობა, 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის ფორმალურ დაშლამდე, თუმცა რუსეთს უკვე ახალი გმირი ჰყავდა.

ბორის ელცინი: პოსტსაბჭოთა რუსეთის პირველი პრეზიდენტი

1991 წლის ივნისში რუსეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მოპოვების შედეგად ბორის ელცინი პირველი სახალხოდ არჩეული პრეზიდენტი გახდა რუსეთის ისტორიაში. ორი თვის შემდეგ, 1991 წლის აგვისტოში, მან ჩააჩუმა რეაქციული ძალები, რომელთაც სახელმწიფო გადატრიალების გზით დაამხეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი. დრამატულ მომენტში, როდესაც შედეგი ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა, ელცინი ავიდა ტანკზე და წაიკითხა ახლა კარგად ცნობილი მანიფესტი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას არალეგიტიმურად აცხადებდა და მოითხოვდა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას, მათ შორის პრეზიდენტ გორბაჩოვის ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ეს სიტუაცია საკმაოდ ირონიული იყო. ბორის ელცინი საბჭოთა პოლიტიკაში თავის გრანდიოზულ აღმასვლას გორბაჩოვს უმადლოდა.

1980-იანი წლების შუა ხანებში ელცინი იყო უცნობი პარტიული მუშაკი სვერდლოვსკში, როდესაც გორბაჩოვმა იგი მოსკოვში პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელად გადაიყვანა. მაგრამ ელცინი მალევე დაუპირისპირდა მას; ბრალს სდებდა გორბაჩოვს იმაში, რომ იგი რეალური რეფორმების გატარების საქმეში ფეხს ითრევდა, თვითონ კი უფრო რადიკალური ლიბერალიზაციის პოლიტიკას უჭერდა მხარს. ელცინის მკაცრი და სახალხო კრიტიკით გაღიზიანებულმა გორბაჩოვმა განსხვავებული მოსაზრებების მქონე ეს ადამიანი პოლიტბიუროს 1987 წელს ჩამოაშორა.

მაგრამ ელცინი არ დანებდა. იგი ბრძოლას აგრძელებდა და ბევრი მომხრეც გაიჩინა მშობლიურ რუსეთში. 1991 წლის არჩევნებში გამარჯვებით ელცინმა დაჩრდილა გორბაჩოვი, რომელიც არასოდეს ყოფილა სახალხოდ არჩეული და შესაბამისად, აკლდა ნდობის ის მანდატი, რომელიც ელცინს გააჩნდა. ელცინმა გადამწყვეტი როლი შეასრულა გორბაჩოვის გაურკვეველი, და, სავარაუდოდ, ფატალური მომავლისაგან გადარჩენაში, რამაც საბოლოოდ ელცინი უპირატეს პოზიციაში ჩააყენა გორბაჩოვთან მიმართებაში, რომლის ნდობა და პრესტიჟი და, შესაბამისად, ძალაუფლებაც გაქრა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ. ბოლოს, გორბაჩოვი არა მხოლოდ მიხვდა, რომ დაეტოვებინა კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა და განეცალკევებინა პარტია მთავრობისაგან, არამედ ასევე საჭიროდ ჩათვალა შეგუებოდა საბჭოთა კავშირის დაშლას. გორბაჩოვმა პრეზიდენტის თანამდებობა 1991 წლის 25 დეკემბერს დატოვა.

ელცინი დარჩა რუსეთის მთავრობის სათავეში, მაგრამ გაღრმავებული სოციალური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მას უწევდა საპარლამენტო ოპოზიციასთან გამკლავება. ელცინის შეუსაბამო და სასტიკმა დამოკიდებულებამ რუსეთის სეპარატისტული რეგიონის, ჩეჩნეთის მიმართ ვერ გააუმჯობესა მისი შელახული იმიჯი, ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც მის გარეთ. მისი პოპულარობა, რამაც იგი უძლეველი გახადა 1990-იანი წლების დასაწყისში, 1996 წლის ივნისში, ახალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ძალიან დაცემული იყო. ელცინს მოუხდა შეჯიბრება პრეზიდენტობის კომუნისტ კანდიდატ ევგენი ზიუგანოვთან, და მეორე ტურში მცირედი უპირატესობით მაინც გაიმარჯვა. მისი ტრიუმფი ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გააფერმკრთალა. 1996 წლის ბოლოს ელცინმა გულის ოპერაცია გაიკეთა. 1997 წლისთვის ის გამოჯანმრთელდა, თუმცა არ იყო ისეთივე ქმედითი, როგორც წინა წლებში. 2000 წელს ვლადიმერ პუტინი აირ-

ჩიეს მის მემკვიდრედ. პუტინის წინაშეც სერიოზული პრობლემები იდგა, მათ შორის: დასნეულებული ეკონომიკა, კორუფციული საზოგადოება, სასტიკი დამნაშავეობა და ჩეჩნეთში აალებული ომი.

თანამედროვე სიტუაციები

მოიცავს რა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის 75, მოსახლეობის 50 და მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 60 პროცენტს, რუსეთი რჩება ევრაზიის გაბატონებულ ძალად. რუსეთის უზარმაზარი გავლენა დსთ-ს სივრცეზე ბევრ ფუნდამენტურ კითხვას წამოჭრის: იქნება თუ არა დსთ მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკები განიმტკიცებენ თავიანთ დამოუკიდებლობას, თუ ის იქნება სტრუქტურა, რომლითაც რუსეთი დაშლილი იმპერიის აღდგენას შეეცდება? 1990-იანი წლების შუა პერიოდში აშკარა ნიშნები იკვეთებოდა მეორე სცენარის სასარგებლოდ, რადგან რუსეთი ძველი რუსეთის იმპერიისა და სლავური ევროპის ტერიტორიებზე დაკარგული გავლენის აღდგენას ცდილობდა.

რუსული ჯარი განლაგებული იყო ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, მათ შორის ლატვიაში, ესტონეთში, მოლდოვაში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში. კონფლიქტურ სახელმწიფოებში – აზერბაიჯანში, ტაჯიკეთსა და საქართველოში მოსკოვმა სამხედრო ინტერვენცია „სამშვიდობო“ საფუძვლებზე გაამართლა, როდესაც ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებში, ან მათ შორის, როგორც შიდა, ასევე საგარეო უთანხმოებები წარმოიშვა.

დანარჩენი მსოფლიო განსაკუთრებულად შეფიქრიანებული იყო იმ ფაქტით, რომ რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ბელორუსია მათ ტერიტორიებზე განთავსებული საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღის მემკვიდრეები იყვნენ. ამის შედეგად მსოფლიოში მოულოდნელად გაჩნდა რამდენიმე ახალი ბირთვული სახელმწიფო და ეს მაშინ, როცა ბირთვული იარაღი კიდევ უფრო ამწვავებდა დაძაბულობას ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის. პოლიტიკური მოტივებით რუსეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღის საკუთარ არსენალში მოქცევას შეეცადა. უკრაინამაც და ყაზახეთმაც პირობა დადეს, გადაეცათ ეს იარაღი რუსეთისათვის, თუმცა ამავდროულად, ამ ნაბიჯის გადადგმამდე, მოსკოვისაგან ეკონომიკურ და ფინანსურ დათმობებს მოითხოვდნენ, ხოლო დასავლეთისგან – უსაფრთხოების გარანტიებს. 1996 წლისთვის ყველა ბირთვული იარაღი, მათ შორის ბელორუსიაში არსებულიც, რუსეთში იქნა გადატანილი. რუსეთის უზარმაზარი მასობრივი განადგურების ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის არსენალის უსაფრთხოებაც დასავლეთის დიდი შეფიქრიანების საგანს წარმოადგენდა. 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, რამდენადაც არსებობდა საშიშროება, რომ ზოგიერთი ამ მომაკვდინებელ ნივთიერებათაგან (მათ შორის ანტრაქსი) შეიძლებოდა ავღანეთში და სხვაგან დაბინავებულ საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებს ჩაეგდოთ ხელში.

რუსეთის განვითარების პროცესში მყოფ პოლიტიკური და ეკონომიკური პროექტია. თუმცა, შეუძლებელია ავიწინასწარმეტყველოთ მისი მომავალი პერსპექტივები. ის ფაქტი, რომ რუსეთი რჩება მნიშვნელოვან და ძლევამოსილ სახელმწიფოდ, ეჭვს

არ იწვევს. რუსეთის წარმატება დამოკიდებული იქნება მის უნარზე, გაუმკლავდეს სულ მცირე სამ გამოწვევას: ეკონომიკურ ვარდნას, ეთნიკურ ფრაგმენტაციას და სახელმწიფო მშენებლობას.

ეკონომიკური ვარდნა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მუდმივმა ეკონომიკურმა პრობლემებმა დიდ გასაჭირში ჩააგდო დსთ-ს სახელმწიფოები. არც რუსეთი წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს: მისი სუსტი ეკონომიკა განაპირობებს ჩვეულებრივი მოქალაქეების ყოველდღიურ დუხჭირ ცხოვრებას. 1991 წლის შემდეგ, დსთ-ის სახელმწიფოთა უმრავლესობის მსგავსად, რუსეთმა სამრეწველო წარმოებაში, საცალო გაყიდვასა და ეროვნულ შემოსავალში განსაცვიფრებელი ვარდნა განიცადა. გაიზარდა საბიუჯეტო დეფიციტი. თავდაპირველად ამ ეკონომიკურ ჩავარდნებს თან ახლდა ფართოდ გავრცელებული ინფლაცია.

ამ დროიდან მოყოლებული ეკონომიკური გამოცოცხლების ნიშნები გამოჩენას აგვიანებდა. ეკონომიკურმა ვარდნამ, რომელიც ასოცირდებოდა საბჭოთა ძალაუფლების კოლაფსთან და ელცინის მთავრობის მიერ თანმიმდევრული და ენერგიული ეკონომიკური რეფორმის გატარების მცდელობისას განცდილ მარცხთან, წარმოების მასშტაბები 1990-იანი წლების შუა პერიოდში ერთი მესამედით შემცირდა.[7] მაგრამ აქვე ზოგიერთი დადებითი სიმპტომიც შეიმჩნეოდა, მათ შორის: ფასების გათავისუფლებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მცდელობა, თავდაცვის დაფინანსების შემცირება, დისტრიბუციის ძველი ცენტრალიზებული სისტემის უარყოფა, ვაუჩერული პრივატიზაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის გატარება, კერძო ბანკების დაარსება და საგარეო ვაჭრობის დემონოპოლიზაცია.

1996 წლისთვის ელცინმა ინფლაციის შემცირებისა და რუბლის სტაბილიზირების თვალსაზრისითაც წარმატებას მიაღწია. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, ეკონომიკა კვლავ დაღმავლობას განაგრძობდა. მთლიანი შიდა პროდუქტი და სამრეწველო წარმოების მოცულობა 6 პროცენტზე მეტით დაეცა.[8] (თუმცა, ვარდნა უფრო ნელი იყო ვიდრე ორი წლის წინ, როდესაც ის 15 პროცენტს შეადგენდა.) ამაში ნაწილობრივ რუსეთში პრივატიზაციის შედარებით დაბალი დონე (ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის უფრო წარმატებულ ეკონომიკებთან შედარებით) შეიძლება დავადანაშაულოთ, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობისა და საგარეო ინვესტიციების წახალისების მიზნით მყარი სამართლებრივი საფუძვლების განვითარებაც ვერ მოხერხდა, რაც ეკონომიკური ვარდნის ასევე მნიშვნელოვანი გამომწვევი ფაქტორია. სხვა ფაქტორთა შორის იყო აქციონერთა ზუსტად განსაზღვრული უფლებების, მიწის ბაზრების განვითარების ხელშემწყობი კანონებისა და სოციალური უსაფრთხოების ქსელის არარსებობა, რაც საწარმოებს მუშებისათვის შეღავათების უზრუნველყოფის ტვირთისაგან გაათავისუფლებდა.

მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემას მუდმივად აქვს მნიშვნელოვანი სოციალური შედეგები. დღეს რუსების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა წლებთან ერთად უარესდება. ფართოდ გავრცელებული ჯანდაცვის პრობლემები (ნაწილობრივ გამოწვეული მთავრობის უუნარობით, ხელი შეეწყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამისათვის), არსებული ხელფასების შემცირება (ინფლაციის გამო), სახელფასო დავალიანებისა და უმუშევრობის სწრაფი ზრდა კვლავ რჩება რუსების შეშფოთების მთავარ მიზეზებად. 1990-იანი წლების შუა პერიოდში, დაახლოებით 36.6 მილიონი რუსი, ანუ მოსახლეობის ერთი მეოთხედი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა. ერთადერთ ნათელ წერტილს ინფლაციის ტემპის შემ-

ცირება წარმოადგენდა – 1998 წლის დასაწყისისათვის 10.2 პროცენტამდე. 2001 წელს, ინფლაციამ კვლავ იმატა (დაახლოებით 20 პროცენტი), მაგრამ რუსული ეკონომიკა, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ძლიერი ხელმძღვანელობის წყალობით, აღორძინების ნიშნებს ამჟღავნებდა.[9] [შემდეგ წლებში რუსეთის ეკონომიკის გაჯანსაღებას განაპირობებდა ნავთობზე მაღალი ფასები — მთარგმნ. შენ.]

ეთნიკური ფრაგმენტაცია. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლას ძველი იმპერიის ბევრ ნაწილში სამოქალაქო ომი, რელიგიური დევნა და ეთნიკური ამბოხებები ახლდა თან. რუსეთი რჩება ეთნიკურად მრავალფეროვან ქვეყნად, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობს გადალახოს კონფლიქტური ეთნიკური ჯგუფების ძლიერი ცენტრიდანული ძალა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მათგანს სუვერენული დამოუკიდებლობა სურს. ამ ჯგუფების რუსულ სახელმწიფოში წარმატებული ინტეგრაცია დაუმთავრებელ საქმედ დარჩა ახალი ათასწლეულის დასაწყისში.

1993 წლის კონსტიტუციით ეთნიკური ჯგუფები რუსეთის ფედერაციაში 21 რესპუბლიკის საფუძველს ქმნიან. ეს ფედერალური ერთობები (მსგავსი შტატების მმართველობისა ამერიკის შეერთებულ შტატებში) წარმოდგენილია, როგორც ***რესპუბლიკები*** რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატაში. თუმცა, ვერც ერთი კონსტიტუცია ვერ შეძლებს გადაჭრას ეთნიკური დაძაბულობა რუსეთის შიგნით – დრო, ურთიერთპატივისცემა და ეკონომიკური წარმატება დომინანტურ რუსულ და პერიფერიებზე მცხოვრებ ეროვნებებს შორის გრძელვადიანი სტაბილური ურთიერთობის ნებისმიერი რეცეპტის აუცილებელი ინგრედიენტებია (ეს ეხება როგორც რუსეთის საზღვრებს შიგნით, ასევე მის გარეთ არსებულ ვითარებას).

პოლიტიკურ სახელმწიფოში განსხვავებული ეროვნებების ინტეგრაციის პრობლემის დაძლევა სხვა სირთულესაც უკავშირდება. ტრადიციულად, საბჭოთა კავშირი ბიუროკრატიულად მოსკოვიდან რეგიონული ადმინისტრაციული ერთობების (ობლასტი) და ეთნიკური (ან ეროვნული) რესპუბლიკების მეშვეობით იმართებოდა. ორმაგი იურისდიქციის ეს სისტემა რუსეთში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კვლავ აგრძელებდა ფუნქციონირებას. მაგრამ ცენტრალური მთავრობის ძალაუფლება კომუნიზმის მარცხის შედეგად შემცირდა, მაშინ როცა რეგიონების ძალაუფლება გაიზარდა. დათრგუნულმა ეთნიკურმა სიამაყემ და რუსული დომინანტობის მიმართ პროტესტის გრძნობამ რესპუბლიკებში განსხვავებულ ეროვნულ ჯგუფებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დაპირისპირების ალი აანთო. ამავდროულად, რესპუბლიკები მეტოქეობას უწევდნენ ობლასტებს რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებისათვის.

რუსეთის ეთნიკური რესპუბლიკების მიერ გამოწვეულმა პოლიტიკურმა პრობლემებმა წინა პლანზე 1994 წლის დეკემბერში წამოიწია, როდესაც რუსეთმა სამხედრო თავდასხმა განახორციელა მის შემადგენლობაში არსებულ, ეთნიკურად მუსლიმურ რესპუბლიკაზე, ჩეჩნეთზე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს. ადრე ჩეჩნეთმა რუსეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გადაწყვიტა რა ბოლო მოეღო ჩეჩნეთის დაუმორჩილებლობისათვის, რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა ამბოხების ჩასახშობად იქ რუსული ჯარი გააგზავნა. ომის მსვლელობისას რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა სასტიკად დაბომბეს ჩეჩნეთის დედაქალაქი – გროზნო. ჩეჩენი ჯარისკაცები ძალიან მოტივირებულები იყვნენ, მაშინ როცა რუსი ჯარისკაცები, ასახავდნენ რა ფართოდ გავრცელებულ სახალხო სკეპტიციზმს, ნაკლებად მონდომებულები იყვნენ ბრძო-

ლაში ჩასაბმელად (ალბათ, ახსოვდათ სასტიკი ომი ავღანეთში 1980-იან წლებში) და დიდ დანაკარგებსაც განიცდიდნენ.

გაჭიანურებული „ბინძური“ ომის შედეგად დასჯილი რუსეთი ისწრაფვოდა მშვიდობისაკენ. 1996 წლის ბოლოს ხელმოწერილმა ზავმა ფაქტობრივად სეპარატისტული მეამბოხეების გამარჯვება აღიარა. მან რუსეთს მისცა საშუალება 2001 წლამდე გადაეწყვიტა, როგორ მოპყრობოდა ჩეჩნეთის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნას. ამავდროულად ძალაში რჩებოდა პასუხგაუცემელი კითხვები:

- შენარჩუნდება თუ არა ცეცხლის შეწყვეტა?
- მისცემს თუ არა რუსეთი ჩეჩნეთს გამოყოფის უფლებას?
- მოსალოდნელია თუ არა, რომ რუსეთში არსებულმა რამდენმა სხვა ეთნიკურმა ჯგუფმა მიბაძოს ჩეჩნებს და მოითხოვოს დამოუკიდებლობა?
- ჩაეფლობა თუ არა უზარმაზარი ბირთვული იარაღის მქონე რუსეთი ანარქიაში?

ეთნიკურად მრავალფეროვანი რუსეთის შენარჩუნება და შიდა მართვა მხოლოდ ერთი პრობლემაა; თუმცა, სხვადასხვა ეთნიკური დაპირისპირება, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებსა და პოლიტიკურ კავშირებზე რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკას შორის, განსხვავებული სახის პრობლემებს წარმოშობს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა და რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ორგანიზაციის წევრები არიან, მათ შორის გარკვეულმა უთანხმოებამ მაინც იჩინა თავი. ამ პრობლემის ერთი ნაწილი ისტორიულია. უკრაინა (განსაკუთრებით კიევი) რუსეთის ისტორიული დაბადების ადგილია (კიევის რუსეთი). ის, 40 მილიონიანი მოსახლეობით, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქვეყანაა (უხეშად რომ ვთქვათ, მეზობელი პოლონეთის ზომის). უკრაინის კუთვნილ სტრატეგიულ ნახევარკუნძულზე, რომელიც ყირიმის სახელწოდებითაა ცნობილი, არის შავი ზღვის სანაპიროზე არსებული უძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყირიმის დღევანდელ მოსახლეობას ***დიდი რუსები*** [უკრაინელებს მცირერუსებს უწოდებენ – მთარგმნ. შენ.] წარმოადგენენ, რომლებმაც ჩაანაცვლეს ადგილობრივი მოსახლეობა, ყირიმელი თათრები მას შემდეგ, რაც სტალინმა ისინი ციმბირში გადაასახლა 1930-იან წლებში. როდესაც 1994 წლის იანვარში პრორუსული ნაციონალისტი აირჩიეს ყირიმის პრეზიდენტად, იგი იმუქრებოდა, რომ უკრაინისაგან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების მოთხოვნით რეფერენდუმს ჩაატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმი არ ჩატარებულა, უკრაინის გაყოფის ალბათობას დასავლეთ (უკრაინულ) და აღმოსავლეთ (რუსულ) ნაწილებად, ვერ გამოვრიცხავთ.

კრიზისი წარმატებით მოწესრიგდა 1990-იანი წლების შუა პერიოდში. დაწესდა ორმაგი კონტროლი ყოფილ საბჭოთა საზღვაო საწარმოებსა და სამხედრო ძალებზე სამხრეთ უკრაინის საპორტო ქალაქ სევასტოპოლში (ყირიმის ნახევარკუნძულზე), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მომავალი კონფლიქტის შესაძლებლობაზე რუსეთსა და უკრაინას შორის. კრიზისი ამოიზარდა ამ ორ ყოფილ პარტნიორს შორის არსებული ამბიციური და კონფლიქტური ინტერესებიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის შავი ზღვის საზღვაო ტექნიკის მფლობელობის საკითხის გარშემო. მიუხედავად იმისა, რომ უთანხმოება მშვიდობიანად გადაწყდა 1997 წელს (რუსეთმა მიიღო ფლოტის 80 პროცენტი, თუმცა დათანხმდა, რომ თავად პორტი უკრაინას ეკუთვნოდა), ეს კიდევ

ერთხელ გვახსენებს, რომ ეს ორი დიდი სლავური სახელმწიფო დღეს უფრო მეტოქეები არიან, ვიდრე ძმები (მიუხედავად იმისა, რომ ისტორიისა და ეთნიკურობის თვალსაზრისით ისინი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერთი და იმავე ოჯახის ხის ორი განშტოება).

ასეთივე აქტიური ან პოტენციური კონფლიქტის მრავალი სხვა მაგალითი არსებობს. მაგალითად, 1997 წელს ყაზახეთში (რომელიც რუსეთს ესაზღვრება) მოსახლეობის 51 პროცენტი იყო ყაზახი და 32 პროცენტი რუსი. დაპირისპირება ორ ჯგუფს შორის ყაზახეთის საზოგადოებრივ მშვიდობას ემუქრება იმდენად, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში რუსეთის ინტერვენციის შესაძლებლობა იზრდება. ეთნიკური და პოლიტიკური დაპირისპირება მოხდა მოლდოვაში, სახელმწიფოში, რომელიც ესაზღვრება რუმინეთს ყოფილი საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვარზე. რუსეთის მიერ მოლდოვაში ეთნიკური რუსების მიერ წამოყენებული ტერიტორიული მოთხოვნების მხარდაჭერამ (რომლებიც მთელი მოსახლეობის 13 პროცენტს შეადგენენ), გამოიწვია უთანხმოებები, ერთი მხრივ, მოლდოველ რუსებსა და ადგილობრივ მოლდოველებს (რომლებიც მოსახლეობის 65 პროცენტია) და მეორე მხრივ, რუსეთისა და მოლდოვეთის მთავრობებს შორის.

სახელმწიფოს მშენებლობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დისკრედიტირებული კომუნისტური პარტიის ჩასანაცვლებლად ახალი სამთავრობო სტრუქტურები და მთავრობები გახდა საჭირო. ახლადშექმნილ სახელმწიფოებს ახალი სამთავრობო სტრუქტურები სჭირდებოდათ სამართავად, მით უფრო არახელსაყრელი ეკონომიკური გარემოსა და ეთნიკური დაძაბულობის ფონზე.

რუსეთმა უნდა გადაჭრას სახელმწიფო მშენებლობის სერიოზული პრობლემები იმისათვის, რომ მომავალი პოლიტიკური სტაბილურობა უზრუნველყოს. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო არჩევნები ჩატარდა 1993 და 1995 წლებში, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა 1996 და 2000 წლებში [საპარლამენტო არჩევნები ასევე ჩატარდა 1999, 2003, 2007 წლებში,ხოლო საპრეზიდენტო 2004 და 2008 წწ. – მთარგმნ. შენ.], დემოკრატია რუსეთში კვლავ განვითარების საწყის ეტაპზე რჩება. სახელმწიფოს მშენებლობის სირთულეები, რომელსაც რუსეთი პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით უნდა გაუმკლავდეს, შემდეგია:

- ***მყიფე კონსტიტუცია***: 1993 წელს მიღებულმა რუსეთის კონსტიტუციამ გააძლიერა პრეზიდენტი პარლამენტთან მიმართებაში, რამაც ელცინს საპარლამენტო ოპოზიციაზე წარმატების მოპოვების საშუალება მისცა. მიუხედავად იმისა, რომ იგი საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური დოკუმენტია, ჯერჯერო-ბით არ წარმოადგენს საკადრისი პატივისცემის ობიექტს, რასაც, როგორც წე-სი, ასეთი დონის დოკუმენტები იმსახურებენ.
- ***დანაწევრებული პარტიული სისტემა***: რუსეთის პარტიული სისტემა ძალიან დანაწევრებულია. 1995 წლის დეკემბერში **დუმის**, რუსეთის ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოს **ფედერალური ასამბლეის** ქვედა პალატის არჩევნებში 42 პარტია დაფიქსირდა. ეს პარტიები საუცხოოდ გამოხატავდნენ პროფესიული, იდეოლოგიური და ეთნიკური ინტერესის მთელ სპექტრს; მათ შორის ზოგიერთი განსაკუთრებით საინტერესოა: ***ეკოლოგიური პარტია, რუსეთის ქალები, მუსლიმური მოძრაობა, რუსეთის ადვოკატთა ასოციაცია და თვით ლუდის მსმელთა პარტიაც*** კი. რუსეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიები წარმოადგენს ორ პოლიტიკურ სპექტრს – ნაციონალისტებს, რომლებიც მხარს უჭერენ ძველი რუსეთის იმპერიის აღორძინე-

ბას და კომუნისტებს, რომლებიც ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების ტემპის შემცირების ან საერთოდ გაუქმების მომხრეებად გვევლინებიან. ასეთმა უთანხმოებამ გამოიწვია პოლიტიკურ ჩიხში შესვლა და რადიკალიზმი – რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური შეშფოთების მიზეზია.

- ***გაურკვეველი ფედერალიზმი***: რუსეთის ოფიციალური სახელწოდება – რუსეთის ფედერაცია, გამოხატავს ძალაუფლების დანაწილებას ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის. ამასთან, კონსტიტუცია ნათლად ვერ გამოსახავს ცენტრსა და ფედერაციის წევრებს შორის არსებულ უფლებამოსილებებს. ზოგიერთი დამკვირვებელი ამტკიცებს, რომ ძალთა ბალანსი ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივი მთავრობების სასარგებლოდ ინაცვლებს. 1993 წლის კონსტიტუციის მიღებამ და შესაბამისმა კანონმდებლობამ, რომელიც **ფედერაციის საბჭოში** (ფედერალური ასამბლეის ზედა პალატა) მსხდომი ადგილობრივი ლიდერების არჩევნებს აწესებდა, გავლენიანი ლიდერების ხელმძღვანელობით რეგიონული ძალის ცენტრების შექმნას შეუწყო ხელი. მოსკოვი ვეღარ შეძლებს გამოდევნოს დაუმორჩილებელი ადგილობრივი მთავრობები; ახლა მას მოუწევს მოლაპარაკებები გამართოს ლიდერებთან ქვედა დონეებზე [პუტინის დროს განხორციელდა რეფორმა, რომელმაც ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას შეუწყო ხელი და რეგიონების მოსკოვის კონტროლს დაუქვემდებარა – მთარგმნ. შენ] .[11]
- ***ორგანიზებული დანაშაულის ზრდა***. სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებლობას კვაზისამთავრობო ფუნქციის შესრულების მსურველი მოპაექრე ორგანიზაციების გავლენისა და რაოდენობის ზრდაც ასახავს, რომლებიც ამ მიზნის მიღწევას დამოუკიდებლად ან არსებული სამთავრობო სტრუქტურების მეშვეობით ცდილობენ. ერთ-ერთი შეფასების თანახმად, ორგანიზებულ დამნაშავეობაში დღეს დაახლოებით 3 მილიონი ადამიანია ჩართული და მან როგორც რუსეთის, ასევე სხვა რესპუბლიკების პოლიციასა და ბიუროკრატიაშიც კი შეაღწია. ქურდული სამყაროს გავლენა ყველგანაა: „დასავლეთს აშფოთებს მისი შეჭრა ყველა სფეროში: წარმოშობის სტადიაში მყოფ თავისუფალ ბაზარზე, პრივატიზაციაში, განიარაღებაში, სამხედრო სფეროში, საგარეო ჰუმანიტარულ შემწეობასა და ფინანსურ დახმარებაში და თვით სახელმწიფოს სავალუტო და ოქროს რეზერვებში.“[12] 1995 წლის მარტში, მაფიის მიერ ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობის შემდეგ, ელცინმა განაცხადა, რომ ორგანიზებული დამნაშავეობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის რუსეთის პოლიტიკურ სტაბილურობას. დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებმა გამოხატეს შეშფოთება, რომ რუსულ მაფიას, აგრეთვე იმ მეცნიერებს, ინჟინრებს და ტექნოლოგებს, რომლებიც საკმაოდ დაზარალდნენ სამსახურებიდან გათავისუფლებებით და ხელფასების მკვეთ-რი შემცირებით, შეიძლება მოპარული ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი შავ ბაზარზე ტერორისტული დაჯგუფებებისა და ურჩი სახელმწიფოებისათვის მიეყიდათ (იარაღითა და ნარკოტიკებით საერთაშორისო არალეგალუ-რი ვაჭრობა დიდ ბიზნესს წარმოადგენს).
- ***კანონის მიმართ უპატივცემულობის ზრდა:*** ორგანიზებული დამნაშავეობის ზრდა, ადგილობრივი პოლიტიკური ბოსების გაჩენა, კორუფციის ფართოდ გავრცელება და ისეთი საზოგადოებრივი პრობლემები, როგორიცაა ჩვეულებრივი დამნაშავეობა, პროსტიტუცია და ნარკოტიკების მოხმარება, საზოგადოებრივი სტრუქტურის ხარჯზე იკვებებოდა. ფართოდ გავრცელებული დამნაშავეობაც ასახავს მთავრობის უუნარობას – დაიცვას კანონიერება და წესრიგი. ამ პრობლემების ერთი შედეგი არის ზოგადად კანონის იდეის უპატივცემულობა, რომელსაც „რუსეთის ყველაზე დიდ გასაჭირს“ უწოდებდნენ.[13]

მოულოდნელი, გამოჩნდა ლიდერი?

1999 წლის აგვისტოში, იმდროინდელმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ვლადიმერ პუტინი, ყოფილი სუკ-ის ოფიცერი და პოლიტიკურად უცნობი ადამიანი, ახალ პრემიერ-მინისტრად დაასახელა. ელცინის ოთხ წინა პრემიერ-მინისტრთაგან დიდი ხნით არც ერთი დარჩენილა ამ თანამდებობაზე, შესაბამისად პუტინის მოულოდნელი დაწინაურება შესაძლოა დიდი ამბავი სულაც არ ყოფილიყო. რეალურად კი ეს მართლა დიდი გარიგება აღმოჩნდა: რვა თვის შემდეგ პუტინი რუსეთის ახლად არჩეული პრეზიდენტი გახდა.

თუ ელცინი საპრეზიდენტო თანამდებობაზე პუტინის მემკვიდრეობას გეგმავდა, მაშინ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. პუტინმა, თავის მხრივ, ორი რამ გააკეთა, რამაც გაამყარა მისი პოზიციები ამომრჩევლებში. პირველ რიგში, ჩეჩნეთის ომთან მიმართებაში მკაცრი კურსის აღების შედეგად, მან სწრაფად მოიპოვა ბევრი რუსის მხარდაჭერა. მისი წინამორბედები ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ (წინამორბედებში, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ელცინიც იგულისხმება). მეორე, მან გაბედულად დაუჭირა მხარი ორ მოულოდნელად გამოჩენილ პარტიას – ***ერთობას*** (მას ასევე უწოდებდნენ **მედვედს**, რაც დათვს ნიშნავს), რომელიც ბოლო წუთის კოალიციას წარმოადგენდა და არავინ იცოდა მისი პოლიტიკური პროგრამა და ***მემარჯვენე ძალთა კავშირს,*** ლიბერალ-რეფორმატორთა პარტიას. ***ერთობა*** ლამის პირველ ადგილზე გავიდა და მცირედით ჩამორჩებოდა კომუნისტებს, მაშინ როცა ***მემარჯვენე ძალთა გაერთიანება*** მეოთხე ადგილზე გავიდა. ერთად ამ ორივე პარტიამ ამომრჩეველთა ხმების მთელი რაოდენობის ერთი მესამედი მოაგროვა და კომუნისტებთან შედარებით ოდნავ ნაკლები ადგილი მიიღო დუმაში. რუსეთის პარლამენტში ერთმანეთის პირისპირ პირველად აღმოჩნდა ორი ბლოკი წარმოდგენილი – ერთი ცენტრიდან მარცხნივ, ხოლო მეორე ცენტრიდან მარჯვნივ. ხდებოდა თუ არა რუსეთის პოლიტიკური პარტიული სისტემა ბოლოს და ბოლოს ნაკლებად ქაოსური, შესაძლოა, უფრო ნორმალურიც?

მთლად ასეც არ იყო საქმე. ახლად არჩეული დუმის პირველ შეკრებაზე, კომუნისტებმა და ***ერთობამ*** (ძირითადმა პრო-პუტინისეულმა პარტიამ) უცნაური ალიანსი შეკრეს, ერთმანეთში ინაწილებდნენ რა მთავარი კომიტეტების თავმჯდომარეების თანამდებობებს. კომუნისტები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მათ შეინარჩუნეს დუმის თავმჯდომარის თანამდებობა და მიიღეს ცხრა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი. სამაგიეროდ, მათ მხარდაჭერა აღუთქვეს პუტინის მიერ შეთავაზებული პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ახალ მთავრობას, ასევე რეფორმის პროგრამას. ოპოზიციურმა პარტიებმა წესების დარღვევაზე გამოთქვეს უკმაყოფილება (ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ევგენი პრიმაკოვმა, ამ გარიგებას „წაბილწვა“ უწოდა). მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის ახალგაზრდა დემოკრატიისათვის ეს პირველი გარიგება იყო: აღმასრულებელ ხელისუფლებას არასდროს ჰყოლია გამოკვეთილი უმრავლესობა პარლამენტში.

რეტროსპექტულად, ელცინის გადაწყვეტილება გაეხადა პუტინი პრემიერ-მინისტრი 1999 წელს, წარმოადგენდა პირველ სცენას დრამის საბოლოო აქტში, რომელიც დაახლოებით ათი წლის წინ დაიწყო. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პუტინმა სწრაფად სცადა რუსეთის შიდა და საგარეო პოლიტიკისათვის თავისი „ხელწერა“ დაეტყო. ქვეყნის შიგნით მან წამოიწყო მოძრაობა ორგანიზებული დამნა-

შავეობისა და რუსეთის ცნობილი „ოლიგარქების“ (მდიდარი ფინანსური მაგნატები, რომელთაც ელცინის დროს მოიპოვეს კონტროლი საბჭოთა ეკონომიკის უზარმაზარ ნაწილზე) წინააღმდეგ; ქვეყნის გარეთ, მან რუსეთის საგარეო პოლიტიკას ახალი იერი მისცა, შეამცირა რა თავიდან დაძაბულობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, დახურა რუსეთის მოსასმენი პოსტი ვიეტნამში და საზღვაო ბაზა კუბაში, განაახლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მოთხოვნა და მყარად დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების კამპანიას ტერორიზმის წინააღმდეგ 2001 წლის ბოლოს.

პუტინმა ასევე ჯეროვანი ყურადღება დაუთმო ეკონომიკურ რეფორმებს, მათ შორის ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში და ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად ფინანსური დაზვერვის სამსახურის შექმნა. 1990-იანი წლების ბოლოს ნავთობზე გაზრდილი ფასების წყალობით ამოტივტივებული რუსეთის ეკონომიკა გამოცოცხლების ნიშნებს ამჟღავნებდა. ამაში მას 1998 წელს რუბლის გაუფასურებაც დაეხმარა. მაგრამ რუსეთის პროტექციონისტული, კარტელური ეკონომიკის სტრუქტურა უცვლელი დარჩა, მათ შორის მისი მთავარი სექტორები: საწარმოები, ბანკები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დაწესებულებები. არც პოლიტიკური ლანდშაფტი შეცვლილა ფუნდამენტურად: რეგიონებში კვლავ გამეფებულია ინტრიგა და კორუფცია, ბიუროკრატია არის იმპერიული და შეუღწევადი, დამოუკიდებელი პრესა სახელმწიფოსაგან თითქმის დაუცველია (მუქარები ჟურნალისტების მისამართით რომლებიც ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებენ, არ წარმოადგენს უჩვეულო მოვლენას და არ შეიძლება ამის უგულებელყოფა).

საბოლოოდ, კომუნისტური მმართველობის საფარველის მოცილებიდან ათი წლის შემდეგაც, დასავლეთისა და მსოფლიოსათვის რუსეთი კვლავ გამოცანას წარმოადგენს. პუტინის სწრაფი გაძლიერება და მყარი მმართველობა ადასტურებს ორ რამეს: როგორც არაპროგნოზირებადობას, ასევე რუსეთის მიერ დემოკრატიის საკუთარი ექსპერიმენტის დაწყებას.

მომავლის პერსპექტივემი

დღეს ისმის კითხვა: რუსეთი დაქვეითების, დაქუცმაცებისა და ანარქიის პროცესში მყოფი დიდი იმპერიის ნარჩენია თუ იგი მოახერხებს სტაბილიზაციას და მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ და იმპერიად ხელმეორედ აღმოცენებას? როგორ დაასრულებს რუსეთი ტრანზიციის პროცესს: როგორც დემოკრატიული თუ როგორც ავტორიტარული სახელმწიფო? ეს ორი კითხვა განსაზღვრავს ნებისმიერ ვარაუდს რუსეთის მომავლის შესახებ.

ეკონომიკური, ეთნიკური და პოლიტიკური უწესრიგობის პირობებში, რუსეთი იტანჯება იდენტობის კრიზისით. რწმენათა რომელი სისტემა მისცემს აზრს მოსახლეობის ცხოვრებას, განსაკუთრებით, არასახარბიელო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში? კომუნიზმმა, როგორც გავლენიანმა რწმენათა სისტემამ, თანდათანობით დაკარგა ნდობა სტალინის სიკვდილის შემდეგ და საბოლოოდ, მარცხი განიცადა. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ბევრს სთავაზობს ნუგეშისცემას, თუმცა მიუხედავად კომუნიზმის მარცხისა, მაინც იბრძვის ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური გავლენისაგან გათავისუფლებისათვის. როგორც ვნახეთ, ზოგიერთს რუსული მაფია სთავაზობს ძალაუფლების საცდურს და გავლენის მოხვეჭას. ალბათ, ყველაზე

სანუკვარი ხატი აღდგე-ნილი, ძლიერი, იმპერიალისტური რუსეთია, რომელიც ფართოდ გავრცელებული ნოსტალგიითა და რუსეთის ისტორიაში ღრმად ფესვგადგმული სამშობლოს სიყვარულით არის მოტივირებული. როგორც ჩანს, პუტინი სწორედ პატრიოტიზმის ამ თანდაყოლილ გრძნობასა და ეროვნულ სიამაყეს მიმართავს დემაგოგიური მოწოდებებისა თუ უკიდურეს მემარჯვენეთა გულის მოგების გარეშე.

საუკუნეების განმავლობაში დესპოტიზმისა და ცენტრალიზებული მართვის გამო დემოკრატია რუსეთში ყოველთვის გაურკვეველ პერსპექტივას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ოპტიმისტებს სჯეროდათ, რომ რუსეთი დემოკრატიის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით მოძრაობდა. მოგვიანებით იმავე ათწლეულში, წააწყდა რა უამრავ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაბრკოლებას, პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაცია შორეულ იმედად იქცა.

სანამ რუსეთის მომავალი უწონადობის მდგომარეობაშია, დემოკრატია კვლავ მყიფე რჩება სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების არსებობის ფონზე, რომელთათვისაც ეთნიკური არატოლერანტულობა და წარსულის ნოსტალგია საერთო მახასიათებლებია. რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუცია ქაღალდზე საკმაოდ დამაიმედებლად გამოიყურება. თუმცა, მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ გამოიყურება კონსტიტუცია ქაღალდზე, არამედ ის, თუ როგორ მუშაობს იგი პრაქტიკაში. აშკარაა, რომ მომავალ წლებში დემოკრატიას რუსეთში ბევრი მკაცრი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. თუ რუსეთს გადაწყვეტილი აქვს დაასრულოს ტრანზიცია ღია და ლიბერალური საზოგადოების შექმნით, ეს, ერთი მხრივ, განპირობებული უნა იყოს ბრძნული და გაბედული მმართველობით და, მეორე მხრივ, საზოგადოების უზარმაზარი შეუპოვრობით.

ჩვენ ახლა მოკლედ გავეცნობით აღმოსავლეთ ევროპას. ეს არის რეგიონი ტრანზიციის პროცესში მყოფი სახელმწიფოებით. თქვენ ვერ ნახავთ ორ ქვეყანასაც კი, რომლებსაც გარდაქმნის პროცესში აბსოლუტურად მსგავსი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები ჰქონდეა. შესაბამისად, ყველაზე წარმატებულ და წარუმატებელ სახელმწიფო-ებს შორის ძალიან დიდია ზღვარი.

აღმოსავლეთი ევროპა გზაგასაყარზე (მოკვდება თუ არა ოდესმე ძველი ჩვევები)

ამ რეგიონის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ოთხ ათწლეულზე მეტ ხანს კომუნისტური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. საბჭოთა „დიდი ძმის“ მსგავსად, მათაც ცენტრალიზებული დაგეგმილი ეკონომიკის უღელი ედგა. ცენტრალურმა დაგეგმვამ გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ გაამართლა როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე სხვაგანაც. როდესაც კომუნიზმი საბოლოოდ გაქრა, აღმოსავლეთ ევროპის დიდი ხნის მანძილზე ნატანჯ ხალხს უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდა. ოცნებები თითქმის ყველგან მალევე დაინგრა და ეიფორია იმედგაცრუებამ შეცვალა. ეს ფენომენი უნივერსალური იყო რეგიონში, მაგრამ იმედგაცრუების მასშტაბი და სიღრმე ეკონომიკური განვითარების პირდაპირპროპორციულად იცვლებოდა.

დღეისათვის აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დინამიკური ეკონომიკების მქონე სახელმწიფოები, სადაც ყველაზე მკაცრი რეფორმები გატარდა, არის პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი. პოლონეთი მოულოდნელად გადაეშვა ეკონომიკურ რეფორმებში 1989 წლის შემდეგ, როდესაც იქ „შოკური თერაპიის“ სახელწო-

დებით ცნობილი ეკონომიკური პოლიტიკის მთელი სერია წამოიწყეს, რომელიც მიზნად ისახავდა მოქმედი ბაზრების შექმნას და კომუნისტური მმართველობის დანატოვარი არაეფექტიანი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას. მართალია პოლონეთს მცირე კერძო სექტორი კომუნიზმის პირობებშიც კი ჰქონდა, მაგრამ დღეს იქ ორ მილიონამდე ოფიციალურად რეგისტრირებული ბიზნესია.

პოლონეთის მტკიცე მიდგომამ რეფორმისადმი 1990-იან წლებში შთამბეჭდავი შედეგები გამოიღო. რეგიონის ბევრი აღმოცენებადი ბაზრისაგან განსხვავებით (მათ შორის უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის ჩათვლით), პოლონეთმა აიცილა ვარდნები და სავალუტო კრიზისი. ამავდროულად, პოლონეთის ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მისი ყოფილი კომუნისტური მეზობლების: 1995 და 2000 წლებს შორის ეკონომიკური ზრდა ყოველწლიურად საშუალოდ ხუთ პროცენტზე მეტს შეადგენდა. პოლონეთმა ასევე მოახერხა დაეძლია ინფლაცია, რომელიც რეგიონის მასშტაბით სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა. გასულ წლებში ამ ეკონომიკურმა ნაბიჯებმა პოლონეთში დიდი რაოდენობით საგარეო ინვესტიციების შედინება გამოიწვია.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვან პრობლემას გაზრდილი უმუშევრობა წარმოადგენდა, განსაკუთრებით იმ ქვეყნისათვის, სადაც კომუნისტური მმართველობის ოთხ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში სამსახური ყველა ახალგაზრდისათვის გარანტირებუ-ლი იყო. მზარდი უთანასწორობა მდიდარ და ღარიბ, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის ასევე სერიოზულ საკითხს წარმოადგენდა, რადგანაც გაღარიბებული სოფლის მოსახლეობა უფრო და უფრო ჩამორჩებოდა ქალაქის საშუალო ფენის მოსახლეობას. პოლონეთის მოსახლეობის უკიდურესად ღარიბი ფენები დღესაც დასაქმებულია სოფლად არსებული შინამეურნეობებში.[14] მნიშვნელოვანია აქვე აღვნიშნოთ, რომ პოლონეთის სოფლის მეურნეობას კოლექტივიზაციის პროცესი არ შეხებია.

პოლონეთში, ისევე როგორც ყველგან რეგიონში, არის შემაძრწუნებელი ურთიერთდამოკიდებულება, ერთი მხრივ, უთანასწორობასა და სიღარიბეს, ხოლო მეორე მხრივ, დამნაშავეობას შორის. გამოკვლევამ აჩვენა, რომ პოლონელთა უმეტესობა პოლონეთს საცხოვრებლად უსაფრთხო ადგილად აღარ მიიჩნევს. გარდა ამისა, ოფიციალურმა კორუფციამ მთავრობისადმი საზოგადოების ნდობას ძირი გამოუთხარა. არ არის გასაოცარი, რომ ოთხი პოლონელი ამომრჩევლიდან და გადასახადის გადამხდელიდან სამი მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება.

ჩეხეთის რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრი ვაცლავ კლაუსი ქებას ასხამდა საბაზრო ეკონომიკის ღირსებებს და ვაუჩერიზაციის ამბიციური გეგმა განახორციელა, რაც ჩეხეთის ყველა მოქალაქეს თეორიულად ახლად პრივატიზირებული (ადრე სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული) საწარმოების წილების მიღების უფლებას აძლევდა. მაგრამ განაწილება განხორციელდა ადეკვატური გარანტიების გარეშე და ვერ შეძლო უზრუნველეყო მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი – მიეცა ჩეხებისათვის ფსონი ახალ საბაზრო ეკონომიკაში. რეალურად, ბიუროკრატებმა მიისაკუთრეს ძირითადი სააქციო კაპიტალი (რომელთა უმეტესობა არასოდეს ყოფილა ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის) და გამოიყენეს კავშირები, რომ ხელში ჩაეგდოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ქონება. საბედისწეროდ, რეფორმის გატარების ამ არეულ-დარეულმა მცდელობამ, ნაცვლად იმისა, რომ განემტკიცებინა საზოგადოებრივი მხარდაჭერა, როგორც ეს თავიდან იყო ჩაფიქრებული, გამოიწვია ჩეხების აპათია დემოკრატიისა და კაპიტალიზმის მიმართ. ინფლაციამ, სამსახურის დაკარგვის

შიშმა, კორუფციამ მაღალ თანამდებობებზე, მზარდმა ზღვარმა მდიდრების ჯგუფსა და უმრავლესობას შორის, იმის მტკივნეულმა შეგნებამ, თუ როგორ ჩამორჩნენ დასავლეთს აღმოსავლეთ ევროპელები და, კერძოდ, ჩეხები, კიდევ უფრო გააღრმავა იმედგაცრუება ბნელი მეწარმეებისა და თვითგანდიდებული პოლიტიკოსების მიმართ, ვინც ხალხის თვალში სისტემასთან გაიგივდნენ.

ფართოდ გავრცელებული სახალხო უკმაყოფილების მიუხედავად ცხოვრების ზოგადი დონის გაუმჯობესების ტემპით, ჩეხეთი მაინც შემდგარი რესპუბლიკაა (ჩეხოსლოვაკია შეიქმნა I მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც სრულმასშტაბიანი საპარლამენტო დემოკრატია – სახალხო თვითმმართველობის ერთადერთი მაგალითი აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წლამდე). გარდა ამისა, ჩეხეთის ეკონომიკამ, რომლის განვითარება თითქმის ათწლეულის მანძილზე იყო შეფერხებული, 1997-1999 წლების რეცესიის შემდეგ აშკარა განახლება მოახერხა. სტრუქტურულმა რეფორმებმა (მაგალითად, საბანკო სექტორში) ხელი შეუწყო ამ შედეგების მიღწევას.

თუმცა, რაც ზემოთ ითქვა პოლონეთის შემთხვევაში, ასევე ვრცელდება ჩეხეთის რესპუბლიკაზეც: ჩეხების უმრავლესობა უკმაყოფილოა იმ მიმართულებით, რაც დღეს აქვს ქვეყანას არჩეული. ამავდროულად, ის არც იმდენად დიდია, რომ მოსახლეობის უმრავლესობას კომუნიზმის, ცენტრალური დაგეგმვის და ტოტალიტარული სახელმწიფოს ნოსტალგია გაუჩნდეს.

უნგრეთი იყო პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელმაც ეკონომიკური რეფორმები კომუნიზმის მარცხამდე წამოიწყო. 1968 წელს, ჩეხოსლოვაკიაში პრაღის ხმაურიანი გაზაფხულის თანადროულად, უნგრეთის კომუნისტურმა მთავრობამ შექმნა ***ახალი ეკონომიკური მექანიზმი***, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკის შეზღუდულ დეცენტრალიზაციას და საბაზრო მიმართულების მქონე სხვა რეფორმების გატარებას. *ახალი ეკონომიკური მექანიზმის* საწყის ფაზაში ზომიერი წარმატების მიღწევა გახდა შესაძლებელი. სამომხმარებლო საქონლის წარმოება (რაც, ყოველთვის ნაკლებად პრიორიტეტული იყო საბჭოური ტიპის ეკონომიკებში) გაიზარდა და უნგრელების ცხოვრების დონე ზოგადად გაუმჯობესდა. მაგრამ რეაქციონერი კომუნისტები შინ და გარეთ (კერძოდ საბჭოთა კავშირში) ამ რეფორმებს წინააღმდეგობას უწევდნენ. 1980–იან წლებში *ახალი ეკონომიკური მექანიზმი* გააუქმეს. მართლია ეკონომიკის განვითარება ამ დროის განმავლობაში სწრაფად შემცირდა, უნგრეთი მალევე მიუბრუნდა დასავლეთს სავაჭროდ, დახმარებისა და ინვესტირებისათვის. ლიბერალიზაცია, რომელიც თან სდევდა ამ პოლიტიკას, უშვებდა კერძო ბიზნესს და საერთაშორისო მრავალეროვნულ კომპანიებთან თანამშრომლობას. ასე რომ, უნგრეთის შეზღუდულმა მცდელობამ რეფორმის მიმართულებით მას კარგი სასტარტო მდგომარეობა მისცა იმ დროისათვის, როდესაც კომუნიზმმა თვითონ მოუღო ბოლო საკუთარ თავს 1980-იანი წლების დასასრულს.

1989 წლის შემდეგ უნგრეთის ახალმა ლიბერალ-დემოკრატიულმა მთავრობამ დააჩქარა თავისუფალი ბაზრის რეფორმების ტემპი. კერძოდ, როგორც წამყვანმა აღმოცენებადმა ბაზარმა რეგიონში, უნგრეთმა აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებული პირდაპირი საგარეო ინვესტიციების ნახევარზე მეტი მიიზიდა, მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის მოსახლეობა (დაახლოებით 10 მილიონი) წამოადგენდა პოლონეთის მოსახლეობის (40 მილიონი) მხოლოდ 25 პროცენტს და რუსეთის 147 მილიონიან მოსახლეობასთან შედარებით მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. პოსტკომუნისტურმა უნგრეთმა სწრაფად მოახდინა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების პრივატიზაცია: 1993 წლისათვის კერძო სექტორის წილმა მთლიან

შიდა პროდუქტში 50 პროცენტი შეადგინა. პრივატიზაციის ტემპი თანდათან შემცირდა, როდესაც სოციალისტებმა მოიპოვეს უმრავლესობა პარლამენტში 1994 წელს, მაგრამ მომდევნო წელს იმავე პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომელსაც უნდა დაეჩქარებინა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების პრივატიზაცია, აგრეთვე მოემზადებინა გასაყიდად საზოგადოებრივი საქონელი და ფოლადისა და ელექტროენერგიის სტრატეგიული საწარმოები. მიუხედავად რესტრუქტურიზაციის ამ სერიოზული მცდელობებისა, უნგრეთი განიცდიდა ინფლაციისა და უმუშევრობის ისეთ მაღალ დონეს, რომელიც კომუნიზმის დროს არ არსებობდა.

დადებითი კუთხით თუ შევხედავთ, დღეს უნგრეთი მყარად არის დამკვიდრებული ევროპული სახელმწიფოების ლიბერალურ-დემოკრატიულ კატეგორიაში. 1989 წლიდან პირველ სამ თავისუფალ არჩევნებში თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა პარტიამ მოიპოვა კონტროლი მთავრობაზე – რაც, თავის მხრივ, პარტიული კონკურენციისა და პოლიტიკური პლურალიზმის არსებობის ნიშანია. უფრო მეტიც, ამ ცვლილებებს არ გამოუწვევია მკვეთრი გადახრები მარცხნივ ან მარჯვნივ და არც პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის წყარო გამხდარა. საბოლოოდ, უნგრეთის ეკონომიკა აჩვენებს, რომ იგი სტაბილური განვითარების გზაზე დგას.

თუ ამ სამ ქვეყანაში ტრანზიციის პროცესები დაუსრულებელია, მაშინ სხვა ბევრი ყოფილი კომუნისტური რესპუბლიკა, მათ შორის უკრაინა, ბულგარეთი და რუმინეთი უფრო ცუდ მდგომარეობაშია. სლოვენია, ადრე ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციის ნაწილი, არის ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი, რომელიც ჩრდილავს დანარჩენ ქვეყნებს (მათ შორის პოლონეთს, უნგრეთს და ჩეხეთის რესპუბლიკას). ზოგადი კეთილდღეობით სლოვენია აღემატება ევროპის კავშირის ორ წევრს, საბერძნეთსა და პორტუგალიას და მცირედით ჩამორჩება ევროკავშირის კიდევ ერთ წევრს – ესპანეთს. სლოვაკეთი (ადრე ჩეხოსლოვაკიის ნაწილი) და ხორვატია(ასევე იუგოსლავიის ნაწილი მის დაშლამდე) ახლოს არიან სამ წამყვან ქვეყანასთან და საკმაოდ წინ ზოზინა ქვეყნებთან შედარებით. ბელორუსია, მოლდოვა, მაკედონია და ალბანეთი ამ რეგიონში წარუმატებელ ქვეყნებს შორის არიან. რაც შეეხება სერბეთსა და მონტენეგროს, ამ სახელმწიფოებს მერვე თავში განვიხილავთ.

ამ ნაწილში აღმოსავლეთ ევროპის ორი სუბრეგიონი იმსახურებს მოკლედ აღნიშვნას. ბალტიის სახელმწიფოები — ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ლიდერებსა და ჩამორჩენილებს შორის თავსდებიან. სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – სლავურ აღმოსავლეთ ევროპასა და თურქულ ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის ბუნდოვან გეოგრაფიულ და კულტურულ ზონაში მდებარეობენ. ტრანზიციის შეჯიბრში ისინი ბოლო რიგების სიახლოვეს დგანან, მაგრამ მდიდარი ნავთობის საბადოები კასპიის ზღვაში ამ რეგიონს სტრატეგიულ ღირებულებას ანიჭებს, რაც მას სხვა შემთხვევაში არ ექნებოდა.

ჯამში, კომუნიზმი გაუჩინარდა ევროპის რუკიდან, თუმცა კომუნისტური პარტიები (ხშირად ახალი სახელებით) კვლავ არსებობს. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ტარდება თითქმის ყველგან და ჭეშმარიტი საპარლამენტო დემოკრატიები მთავრობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ ყველა ამ ქვეყანამ აღმოაჩინა, რომ ბევრად მარტივია განახორციელო პოლიტიკური ცვლილებები ინსტიტუციონალურ დონეზე, ვიდრე შეცვალო პოლიტიკური კულტურა. მათ ასევე ისწავლეს, რომ არჩევნების ჩატარება უფრო მარტივია, ვიდრე ინფლაციისა და დეფიციტის მოთოკვა და რომ პოლიტიკური სტრუქტურების შეცვლა ბევრად მარტივია, ვიდრე ეკონომიკურის. იქაც კი, სადაც ტრანზიცია პოლიტიკური პლუ-

რალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ყველაზე შორს წავიდა, ხალხი გამოხატავს ზოგად უკმაყოფილებას რეფორმების ტემპითა და მიმართულებით. ასე რომ, კომუნიზმის მარცხის ამბავი სავსეა მოულოდნელობებით. დღეისათვის ის კვლავ სანახევროდ დაწერილია, მისი დასასრული საიდუმლოებითაა მოცული მანამ, სანამ გარდამავალი ეპოქა საბოლოოდ არ დასრულდება – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიზმი მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ დასრულდება.

ჩინეთი: მართვად კაპიტალიზმზე გადასვლა (რა იქნება შემდეგ?)

ახლა, როცა საბჭოთა კავშირი და „მსოფლიო სოციალისტური სისტემა“ (როგორც მას მოსკოვი უწოდებდა) ისტორიას ჩაბარდა, ჩინეთი ერთადერთ მთავარ კომუნისტურ სახელმწიფოდ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიასთან, სამხრეთ კორეასა და სინგაპურთან შედარებით ჩინეთი ღარიბი ქვეყანაა, ის იაფი მუშახელის (მისი მოსახლეობა 1.3 მილიარდია) უდიდესი მიმწოდებელი და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რაც წინდახედული ოპტიმიზმის ორი მიზეზია. მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ჩინეთმა მემკვიდრეობით მიიღო მაოისტური ტოტალიტარული მმართველობა (იხ. თავი 5); მხოლოდ ზოგიერთისათვის არის საკამათო, რომ ის რეპრესიულ, ავტორიტარულ სახელმწიფოდ რჩება.

ძალაუფლებისაკენ გზა, რომელიც მაო ძედუნის ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ აირჩია, მკვეთრად განსხვავდებოდა ლენინის ბოლშევიკებისეული გზისაგან. მაოს გამარჯვება იაპონიისა და ჩან კაი-შის ჩინეთის ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გაჭიანურებულ პარტიზანულ ომს მოჰყვა. არმიამ გაცილებით დიდი როლი ითამაშა მაოსეული რევოლუციის თეორიასა და პრაქტიკაში, ვიდრე ლენინისეულში. როცა ჩინელი კომუნისტები 1949 წელს ხელისუფლებაში მოვიდნენ, არმია და პარტია ერთ ორგანიზაციად იყო შერწყმული. ვირტუალური ხელისუფლების როლში არმიას არა მარტო ბრძოლა, არამედ ადმინისტრირებაც ევალებოდა, რაც მოიცავდა კანონისა და წესრიგის დაცვას, მშენებლობასა და საზოგადოებრივ საქმიანობას, ეკონომიკის მართვას, განათლებასა და იდეოლოგიურ მუშაობას. არსებითად არმია სახალხო რესპუბლიკის ბირთვი გახდა, ჩინეთის ახალი ხელისუფლება.

მაო ხელისუფლემაში

1950-იანი წლების დასაწყისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩსრ) მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებაზე. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაზარდა კორეის ომმა (1950-53). სსრკ, რომელსაც ხანდაზმული სტალინი მართავდა, დაჟინებით მოითხოვდა, რომ პეკინის ახალბედა კომუნისტურ ხელისუფლებას სტალინისეული მოდელი გადაეღო. ამრიგად, ჩინეთის სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურა ისევე, როგორც მისი ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკა ძალზე ჰგავდა საბჭოთა კავშირისას. ყველაფერი, დაწყებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით, სამრეწველო ინვესტიციებზე ცალსახა აქცენტით და დამთავრებული საბჭოთა განათლების სისტემით, თითქმის ცვლილების გარეშე იქნა გადაღებული.

გარდატეხის მომენტი დადგა, როდესაც სტალინის მემკვიდრემ, ნიკიტა ხრუშ-ჩოვმა 1956 წელს მოხსენება გააკეთა პარტიის XX ყრილობაზე, რომელზეც მან აღიარა სტალინის დანაშაულებანი და განაცხადა დასავლეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის ეპოქის დასაწყისის შესახებ. იმ დროიდან დაწყებული ჩინეთის კომუნისტებმა მაოს ექსცენტრიული მმართველობით საკუთარი უჩვეულო გზით გააგრძელეს სვლა.

1958 წელს დაწყებული „დიდი ნახტომის“ პოლიტიკა წარმოადგენდა მაოს განცხადებას სამრეწველო განვითარების საბჭოური მოდელისაგან დამოუკიდებლობის შესახებ. სტალინისეულ მძიმე მრეწველობაზე, განსაკუთრებით ფართომასშტაბიან მოპოვებით და მეტალურგიულ კომპლექსებზე აქცენტის ნაცვლად დიდმა ნახტომმა ხაზი გაუსვა დეცენტრალიზებულ სამრეწველო წარმოებას, რათა წარმატებით გამოეყენებინა ჩინეთის უდიდესი ბუნებრივი რესურსი — ადამიანური შრომა. უამრავი მცირემასშტაბიანი მოძველებული ფოლადსადნობი ღუმელი ამ შრომატევადი მიდგომის სიმბოლო ხდება.

მაოსეულმა „მასობრივი მობილიზაციის“ მიდგომამ, რომლის მიხედვით ყველაფრის მიღწევა შეიძლება გლეხთა მასების შთაგონებული ძალისხმევით, ჩაანაცვლა საბჭოთა პარტიის სახელმწიფო ბიუროკრატია, როგორც საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის (ტრანსფორმაციის) მამოძრავებელი ძალა. დიდი პროლეტარულ-კულტურული რევოლუცია – მაოს მიერ შთაგონებული რეაქცია ნებისმიერი ბიუროკრატიის წინააღმდეგ, ამ მიდგომის კულმინაცია იყო. ჩინეთისათვის საბჭოთა სისტემა კონტრრევოლუციის მოდელი გახდა.

ხელისუფალთა ცვლა

სახალხო რსპუბლიკის ორი დიდი ფუძემდებლის ჩჟოუ ენლაისა და მაო ძედუნის გარდაცვალებამ 1976 წელი თანამედროვე ჩინეთის ისტორიის წყალგამყოფად აქცია. ერთ-ერთი ჩინელი მეცნიერის აზრით, „მაოს სიკვდილი ეპოქის დასასრული იყო; ბუნდოვანი იყო, მომავალ ერაში ვინ გაუძღვებოდა ჩინეთს და რა მიმართულებით“.[15]

შეფერხებული რეფორმებიდან ორი წლის შემდეგ ქვეყანას დენ სიაოპინი მართავდა (ის მაომ ორჯერ ამხილა მოჩვენებითი რევოლუციური სულისკვეთების ბრალდებით), რომელმაც წამოიწყო ძირითადი კამპანია იდეოლოგიური დოგმის უკუგდებისა და პრაგმატიზმის ადაპტირების მიზნით. ამ კამპანიის სიმბოლო იყო ლოზუნგები: „პრაქტიკა ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმია“ და „ვეძებოთ ჭეშმარიტება ფაქტებში“.[16] ეკონომიკურმა განვითარებამ ჩაანაცვლა კლასთა ბრძოლა,მტავრობამ კარი გაუხსნა ინვესტიციებისა და სავაჭრო კავშირების დასალეთიდან. უარყვეს მასობრივი კამპანიები, დამკვრელური პროგრამები, გმირის (პიროვნების) კულტი და იდეოლოგიური ფანატიზმი, როგორც მაოიზმის სიმბოლოები.

ვაჭრობის გაფართოება, განსაკუთრებით სამრეწველო დემოკრატიის მქონე ქვეყნებთან, პეკინის დიპლომატიის პრინციპულ მიზნად იქცა. დენის ეკონომიკური რეფორმები თანდათანობით გატარდა 1978-1982 წლებში, როცა მან ფრთხილად და მოთმინებით მოახდინა საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაცია მმართველი პოლიტბიუროს ფარგლებში. 1982 წლის შემოდგომისათვის რეფორმების სულისჩმდგმელ დენს სრული ძალაუფლება ჰქონდა.

დენი სიკვდილამდე ჩინეთის უმაღლესი ხელისუფალი იყო. ის 92 წლისა გარდაიცვალა 1997 წლის 19 თებერვალს. თავდაპირველად მისი ადგილი დენის ყოფილი ოთხი თანაპარტიელის კოლექტიურმა მმართველობამ შეცვალა, რომელთა შორის ძიან ძემინმა გაიმარჯვა და კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი და ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. პროფესიით ინჟინერი ძიანი 1989 წელს კომუნისტური პარტიის ლიდერობამდე შანჰაის მერი იყო. ქვეყნის ლიდერად გახდომის შემდეგ ძიანმა დეტალური მითითებები გასცა დენის პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკისა და ინსტიტუტების გაგრძელების თაობაზე. ამ პოლიტიკისა და ინსტიტუტების გამორჩეული თავისებურებები შემდეგ ქვეთავშია აღწერილი.

დომინანტი პარტია

ჩინეთს ისევ კომუნისტური პარტია მართავს. ის დაახლოებით 57 მილიონ წევრს — ჩინეთის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 5 პროცენტს აერთიანებს. პარტიის წევრები პოლიტიკურ ელიტას შეადგენენ, რომელთაც განსაკუთრებული პრივილეგიები აქვთ. ამას გარდა, მაღალი რანგი პარტიაში პოლიტიკური ძალაუფლების წინაპირობად რჩება.

მმართველობის მთელ პერიოდში დენი კომუნისტური პარტიის ხელშეწყობას ცდილობდა. მაოსაგან განსხვავებით, რომელიც ხშირად ყურადღების ცენტრში ყოფნას ცდილობდა და რომლის სოციალური და პოლიტიკური აღმასვლები ძირს უთხრიდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, დენი მშვიდად იდგა სცენის მიღმა და თავის ორმაგ როლს ასრულებდა — ქვეყნის დიდი სტაბილიზატორისა და პარტიის დამცველისა. მისი მემკვიდრე ძიან ძემინი დენის ცხოვრების წესს აგრძელებდა. ამრიგად, იმ დროს, როცა ზოგიერთი დამკვირვებელი ამტკიცებდა, რომ ჩინეთი სამართავად უფრო და უფრო რთული ქვეყანა ხდება, კომუნისტურ პარტიას შესწევს ძალა მყარად ეჭიროს ჩინეთის პოლიტიკის სადავეები.[17]

იდეოლოგიის შესუსტემა

1978 წლამდე მარქსიზმის მაოსეული ადაპტაცია ჩინეთის ოფიციალური იდეოლოგია იყო. 1978 წლის შემდეგ უპირატესი გახდა დენის პრაგმატული ხედვა, რომ ეკონომიკური ზრდა და არა კლასთა ბრძოლა უნდა იყოს როგორც პარტიის, ისე ქვეყნის წარმატების საზომი. პარტიას აღარ სჭირდება მარქსისტული იდეოლოგიის მოშველიება საკუთარი პროგრამების ან პოლიტიკის გასამართლებლად ან პარტიის მმართველობის დასაკანონებლად.[18]

მართლაც რომ საინტერესო მოვლენაა კომუნისტური პარტია, რომელიც საკუთარ თავს კომუნიზმისგან შორს იჭერს. უტოპიურ დაპირებებზე მორალური იმედის ნაცვლად ჩინეთის კომუნისტური პარტია საკუთარ როლს პრაგმატულად განსაზღვრავს: მყარი პოლიტიკური წესრიგის დაცვა და წარმატებული ეკონომიკის ხელშეწყობა. პოლიტიკური ლეგიტიმურობის და ხშირად სასტიკი მმართველობის გამართლების საფუძველს დღეს ცალკეული ტენდენციები უფრო ქმნის, ვიდრე კომუნიკაციური იდეოლოგიის კორექტივები.

მაზარზე ორიენტირებული რეფორმები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაოს სიკვდილის შემდეგ დენის ორიენტირება ეკონომიკურ განვითარებაზე არსებითი ცვლილება იყო, რომელიც რადიკალურად გასცილდა მარქსისტულ მოდელს. იგი აკეთებდა აქცენტს შედარებით თავისუფალ ბაზრებზე, ბიზნესის კერძო საკუთრებას და საბაზრო სტიმულებზე, მოგების ჩათვლით. ამ პოლიტიკის გასატარებლად პეკინი თავგამოდებით ცდილობს უცხოური სესხებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოპოვებას, უპირატესად დასავლეთიდან (და ამრიგად, არღვევს მყარ იდეოლოგიურ ტაბუს). დასავლეთთან ურთიერთობებისადმი ჩინეთის ახლებური „ღია კარის“ მიდგომის მიზანი ქვეყნის ეკონომიკის (როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მრეწველობის) რაც შეიძლება სწრაფი მოდერნიზება იყო. ამ მიდგომამ გაამართლა, როგორც კი დასავლური ინვესტიციები და სესხი შევიდა ქვეყანაში 1980-იან 1990-იან წლებში და უზრუნველყო ჩინეთი მოდერნიზებისათვის ძალზე საჭირო კაპიტალით (იხ. სქემა 7-2).



***სქემა** 7-2 უცხოური კაპიტალის შემოდინება (მლრდ დოლარი)*
**1998 წელს ჯამური 42.6 მლრდ დოლარი მოიცავს როგორც უცხოურ სესხებს, ასევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.*
წყარო: Economist, 22 თებერვალი, 1997, გვ. 22; 2000 World Bank Atlas (Washington, DC: World Bank, 2000), გვ. 56.

ამავე დროს, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია მოხდა სოფლის მეურნეობაშიც. არსებითი სიტყვა იყო – დეკოლექტივიზაცია – სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო საკუთრების უარყოფა და საოჯახო მეურნეობაზე დამყარებულ ფერმერობაზე მიბრუნება. მრავალი ექსპერიმენტის შემდეგ რეჟიმი შეჩერდა ისეთ სისტემაზე, სადაც სახელმწიფო ხელშეკრულებებს დებს ინდივიდუალურ საოჯახო მეურნეობებთან განსაზღვრული პროდუქციის შესყიდვაზე. რეფორმა წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ფერმერებმა რეკორდული მოსავალი მიიღეს და კერძო ბაზარზე გაყიდეს. მრეწველობასა და ვაჭრობაშიც ჩინეთი წინ საბაზრო ძალებზე დაყრდნობით მიიწ-

ევდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი სტატისტიკური მონაცემი: 1978 წელს ჩინეთში არც ერთი კერძო ბიზნესი არ არსებობდა; დაახლოებით 20 წლის განმავლობაში მთელი ბიზნესის ერთი მესამედი კერძო საკუთრებაში იყო (იხ. სქემა 7-3).

ჩინეთის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მომხდარი რევოლუციის შედეგები შთამბეჭდავი იყო. მაოს მმართველობით გამოწვეული უწესრიგობის ათწლეულების შემდეგ ჩინეთის ეკონომიკა გამოცოცხლდა. ფაქტობრივად, დღეს ჩინეთს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა აქვს, თუმცა ის კვლავინდებურად ღარიბია ერთ სულ მოსახლეზე სიმდიდრის მიხედვით. მაგალითად, ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი გერმანიის ნახევარს უდრის, თუმცა გერმანიის მოსახლეობა ჩინეთის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეთექვსმეტედია. ამ პირობებშიც კი, ზოგიერთი შეფასების მიხედვით დაახლოებით 150-200 მილიონმა ადამიანმა (დასავლეთ ევროპის მოსახლეობის ნახევრის ტოლი) თავი დააღწია უკიდურეს სიღატაკეს. მაშინ როცა უმიწო ჩინელთა სამი მეოთხედი კვლავ ღარიბი რჩება, სასოფლო სამეურნეო რეფორმების გატარების კვალდაკვალ ფერმების შემოსავალი მკვეთრად იზრდება.[19]



სქემა 7-3 აღმოცენებადი (განვითარებადი) კერძო სექტორი ბიზნესის კერძო მფლობელობა ჩინეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

** ნაწილობრივ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული.*
წყარო: Newsweek, *3 მარტი 1997, თავი.* cxxxix, *№9, გვ. 27. გამოკვლევა ეკუთვნის მოსახლეობის ფონდსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ავტორები არიან ანა კუჩმენტი და დანტე ჩინი.*
© 1997 Newsweek, Inc. *ყველა უფლება დაცულია. იბეჭდება ნებართვით.*

მაოს სიკვდილის შემდეგ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯების მიუხედავად, ჩინეთი ღარიბ ქვეყნად რჩება (შედარებითი მონაცემებისათვის იხ. ცხრილი 7-2). მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა 1990-იან წლებში ოფიციალურად აღიარა სიღატაკეში მცხოვრები 80-100 მილიონი ადამიანი, სხვა შეფასებების მიხედვით, მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ, ეს ციფრი 350 მილიონს უდრის.[20] შემოსავლების ინდიკატორები უმრავლესობის, ისევე როგორც მოქალაქეთა ცხოვრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხარისხის ინდიკატორთა მიხედვით (როგორიცაა ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი), ჩინეთი კლასიფიცირდება როგორც განვითარებადი ქვეყანა ან როგორც აღმოცენებადი ბაზარი.

არსებობდა სხვა ეკონომიკური სირთულეებიც. მაღალი ინფლაცია ზოგჯერ აფერხებს ქვეყნის ეკონომიკას. ამას გარდა, ჩინეთში შემოსავლის მკვეთრი უთანასწორობაც არსებობს. თვალშისაცემი უთანასწორობა უამრავ სოფლელ ღარიბ გლეხსა და მზარდი რაოდენობის შედარებით მდიდარ ქალაქელ ჩინელს (მდიდარი მეწარმე ელიტის ჩათვლით) შორის, რომლებიც ჩინეთის სწრაფად მზარდ სანაპირო ქალაქებში ცხოვრობენ. მზარდი ახალი კლასი ჩინეთის სეზონურ მიგრანტებთან თანაცხოვრობს, რომელიც 100 მილიონი უმუშევრის ან მინიმალურად დასაქმებული ადამიანისაგან შედგება. ისინი პროვინციებიდან ქალაქებში ჩადიან სამუშაოსა და უკეთესი ცხოვრების ძიებაში. აღმოსავლეთის სანაპირო პროვინციები გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე ცენტრალური და დასავლეთ ჩინეთი. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით მათ ამჟამად შიდა პროვინციებთან შედარებით 2-4-ჯერ მეტი შემოსავალი აქვთ.[21]

შანხაი ეკონომიკური ექსპანსიის განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაგალითია — 1997 წელს მას, მსოფლიოს უდიდეს ქალაქებთან შედარებით, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველზე მაღალი ტემპი ჰქონდა. უძველესი საპორტო ქალაქი მდინარე იანძის პირას მდებარეობს ცენტრალურ აღმოსავლეთ ჩინეთში. მისი უპირატესობა იმაშია, რომ პირდაპირი კვშირი აქვს აზიის სხვა მნიშვნელოვან პორტებთან და სწრაფად ვითარდება მსოფლიო მნიშვნელობის საფინანსო და სავაჭრო ცენტრად.

ცხრილი 7.2

ჩინეთი და შეერთებული შტატები — ცხოვრების დონის შედარებითი ინდიკატორები

ცხოვრების დონის ინდიკატორები	ჩინეთი	შეერთებული შტატები
მოსახლეობა	1,203,097,268	284,796,887
მოსახლეობის წლიური ზრდა	1.04%	1.02%
ქალაქის მოსახლეობა	30%	76%
სიცოცხლის ხანგრძლივობა (წლები)	68.08	75.99
ჩვილთა სიკვდილიანობა (1000	52.1	7.88
ახალშობილზე)	1.84	2.08
შობადობა (ბავშვი ერთ ქალზე)	3,051 აშშ	29,240 აშშ დოლ.
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998)	დოლ.	13.451 ტრილ. დოლ.
საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია (1998)	330 მლრდ.	
ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულზე	დოლ.	11,822
კილოვატი (1998)		97%
წერა-კითხვის მცოდნე	714	1.3
ერთი ტელეფონი მოსახლეობაზე	78%	1.2
ერთი ტელევიზორი მოსახლეობაზე	36.4	458.6
პერსონალური კომპიუტერი 1000 ადამიანზე	6.7	
(1998)	8.9	

წყარო: *Newsweek, 3 მარტი 1997, თავი. cxxxix, №9, გვ. 27. გამოკვლევა ეკუთვნის ჰერიტიჯის ფონდსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ავტორები არიან ანა კუჩმენტი და დანტე ჩინი. © 1997 Newsweek, Inc. ყველა უფლება დაცულია. იბეჭდება ნებართვით. 2000 World Bank Atlas (Washington, DC: World Bank, 2000), გვ. 50-51; U.S. Census Bureau, www.census.gov, 2002 წლის 13 მაისი.*

დაბოლოს, თავისუფალი ბაზრის პრინციპები და მართვადი კაპიტალიზმი თანამედროვე ჩინეთში როგორც შემოსავლების, ასევე უთანასწორობის სტიმული გახდა. მნიშვნელოვანი კითხვა კითხვად რჩება: რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ჩინეთის თავისუფალი მეწარმეობა? ჩინეთში პრივატიზაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს, უდიდესი ფირმები — არაეფექტიანი, ინტენსიურად სუბსიდირებული და ვალებში ჩაფლული — ისევ სახელმწიფო საკუთრებაშია. სახელმწიფო არ აპირებს ხელიდან გაუშვას ყველაზე სტრატეგიული მრეწველობა, მათ შორის მანქანათმშენებლობა და იარაღის მწარმოებელი კომპანიების. ჩინეთს არასრულყოფილი პროგრესი აქვს პრივატიზაციის მიმართულებით (იხ. სქემა 7-3). ათი წლის წინ წარმოუდგენელი იყო, რომ ჩინურ კომპანიათა აქციები ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გაიყიდებოდა (როგორც დღეს იყიდება). ჩინეთის უფრო ლიბერალური ეკონომიკისაკენ მიბრუნებას შეერთებულმა შტატებმა იმით უპასუხა, რომ წინააღმდეგობა აღარ გაუწია ჩინეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო); 2001 წელს ჩინეთი ფორმალურად გაწევრიანდა მსო-ში. ჟურნალ „ეკონომისტის“ მიხედვით „ჩინეთის გაწევრიანება მსო-ში. . . ქვეყნის უდიდესი ნაბიჯია ეკონომიკური სისტემის კაპიტალისტურ დასავლეთთან ინტეგრაციისაკენ მას შემდეგ, რაც 50 წელზე მეტი ხნის წინ დაიწყო კომუნისტური მმართველობა“.[22]

გაზრდილი პირადული თავისუფლება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ტოტალიტარიზმის დასასრულის ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ ჩინეთი „მრავალი ადამიანისათვის ყოველდღიური ცხოვრების თვალსაზრისით უფრო თავისუფალი ხდება“.[23] ადამიანებს შეუძლიათ სამსახურის შეცვლა, ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა, უფრო მეტი ინდივიდუალობის გამომჟღავნება ჩაცმულობასა და საკუთარი თავის გამოხატვაში, აქვთ თავისუფალი არჩევანი ისეთ მნიშვნელოვან პიროვნულ საკითხებში, როგორიცაა ქორწინება და გაყრა. ასეთი ინდივიდუალური თავისუფლებები ძნელად წარმოსადგენი იყო მაოს ჩინეთში. ეს ახალი თავისუფლებები ჯერ კიდევ ძალზე შორს არის დასავლეთისთვის ჩვეული კონსტიტუციური უფლებებისაგან. მაგალითად, ხელისუფლების შეზღუდვით წყვილს მხოლოდ ერთი შვილი უნდა ჰყავდეს. როგორც ვნახავთ, არ არსებობს პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლებები.

ახალი საზოგადოებრივი პრობლემები

საოცარია, მაგრამ ჩინეთს ზოგიერთი ისეთი პრობლემაც აწუხებს, რომელიც გავლენას ახდენს დასავლურ დემოკრატიაზე. ერთი ექსპერტის აზრით, „ავტორიტეტის ტრადიციული ფორმების შესუსტების შედეგად ჩინეთში დანაშაულის ტალღა გაიზრდა“.[24] ქალაქებში გავრცელებული ქურდობა და ყაჩაღობა, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისა და პროსტიტუციის ზრდა — ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსიის უარყოფითი შედეგებია.

კორუფცია ჩინეთის ცხოვრების წესი ხდება. სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის ზღვრის წაშლასა და ჩინეთის მზარდ ეკონომიკაში ფულის უდიდესი მასის მიმოქცევასთან ერთად ბიზნესისა და პოლიტიკისათვის ჩვეული ხდება მექრთამეობა, ნეპოტიზმი და „არაოფიციალური ფავორიტიზმი“.

პოლიტიკური და რელიგიური რეპრესიები

ეკონომიკასა და საზოგადოებრივ სფეროებში ლიბერალიზაციის მიუხედავად, ჩინეთში არ წყდება პოლიტიკური და რელიგიური დევნა. ჩინეთის ამჟამინდელი ხელისუფალნი არავითარ მინიშნებას არ იძლევიან ამ აშკარად შეუსაბამო კურსისაგან თავის დაღწევის თაობაზე, რომელსაც საფუძველი დენ სიაპინმა ჩაუყარა.

დენგის მმართველობის დასაწყისში იყო რაღაც მომენტი, როცა თითქოს რაღაცის შეცვლა შეიძლებოდა. 1978 წელს დემოკრატიის კედლის სახელწოდებით ცნობილმა ფენომენმა მსოფლიო ყურადღება მიიპყრო. ამ კედელზე, რომელიც პეკინის ცენტრში იდგა, ოფიციალური კურსის საწინააღმდეგო მოსაზრებები და შეხედულებები, არსებული სისტემისა და ლიდერების უხეში კრიტიკის ჩათვლით, ხელისუფლების ჩუმი სანქციით გამოჩნდა. დემოკრატიის კედელთან პრესის ამ უპრეცედენტო თავისუფლების გარდა სიტყვის ახლად აღმოჩენილმა თავისუფლებამაც გაშალა ფრთა. მაგრამ 1979 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა განსხვავებული აზრისათვის ბოლო მოეღო. შემდგომმა დაპატიმრებებმა, საჩვენებელმა სასამართლო პროცესებმა და პოლიტიკური რეპრესიების სხვა საყოველთაოდ ცნობილმა ფორმებმა ცხადყო, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია არ აპირებდა რკინის მარწუხების მოდუნებას პოლტიკური ძალაუფლების ბერკეტებზე.

ათი წლის შემდეგ ტიანანმენის მოედანზე მომხდარმა ჟლეტვამ გამოააშკარავა ჩინეთის ხელისუფლების მტრობა ადამიანური უფლებების წინააღმდეგ. 1989 წელს სტუდენტებმა და მუშებმა მასობრივი გამოსვლა მოაწყეს პეკინში პარტიის პრივილეგიებისა და კოპუფციის გასაპროტესტებლად და დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით. პროტესტი გამძაფრდა მას შემდეგ, რაც დემონსტრატები ტიანანმენის მოედანზე დაბანაკდა და სიტყვით გამოსვლები და ლოზუნგების ძახილი დაიწყეს. მსოფლიო აღფრთოვანებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოვლენებს, როცა დასავლეთის სატელევიზიო კამერების წინ დრამა განვითარდა. იმ ფაქტმა, რომ მიხეილ გორბაჩოვი „კომუნიზმის რეფორმის“ მამა პეკინს სწორედ იმ თვეში (სამი ათწლეულის განმავლობაში პირველ ჩინურ-საბჭოურ სამიტზე) სტუმრობდა დრამა კიდევ უფრო გაამძაფრა. როდესაც მღელვარება მთელ ჩინეთში გავრცელდა, პეკინმა სავსებით უსარგებლო სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა.

3 ივნისს ჩინეთის დედაქალაქში ტანკებითა და იარაღით შევიდა არმია. მალე აშკარა გახდა, რომ ძალის დემონსტრირება ბლეფი არ იყო. დამსჯელმა ღონისძიებებმა დემოკრატიული მოძრაობა სისხლიან დასასრულამდე მიიყვანა. ასობით (შესაძლოა ათასობით) პროტესტანტი დაიღუპა ან დაიჭრა, კიდევ უფრო მეტი დააპატიმრეს. შემდეგ უსაფრთხოების ძალებმა თავი მოუყარეს ათასობით დისიდენტს და სულ მცირე 31 აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. უიარაღო მოქალაქეების მიმართ სისასტიკემ ცხადყო, რომ ჩინეთი ჯერ კიდევ რეპრესიული სახელმწიფო იყო.

ტიანანმენის მოვლენები ჩინეთში კრიტიკოსებისა და დისიდენტების დევნის სიმბოლო იყო, განსაკუთრებით კი მათი, ვინც გაბედავდა და პარტიის უმაღლეს ლიდერებს გააკრიტიკებდა. მეორე საკითხი იყო, როგორ ეპყრობოდნენ პოლიტიკურ პატიმრებს. ბევრი მათგანი მონასავით ქანცის გაწყვეტამდე მუშაობდა ფაბრიკებში, სადაც საექსპორტოდ იაფფასიან საქონელს აწარმოებდნენ საგარეო ვაჭრობისათვის.

კიდევ ერთი პრობლემა იყო ჩინეთის ხელისუფლების მიერ რელიგიური ჯგუფების გამუდმებული დევნა. გარკვეულწილად მთავრობის მიერ რელიგიის მიმდევართა დაპატიმრება რელიგიის მიმართ მარქსიზმის იდეოლოგიური უნდობლობისა და

მტრობის ნაშთი იყო. უფრო მეტად კი, ის ასახავდა პარტიის გამუდმებულ განცდას, რომ რელიგია პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენდა რეჟიმის მთლიანობისა და სიჯანსაღისათვის.

მთავრობა აკონტროლებს რელიგიას რელიგიური ინსტიტუტების (ეკლესიების, მონასტრების, მეჩეთების და სხვ.) ლიცენზირებისა და ზედამხედველობის გზით. ბუდისტებს, მუსლიმებსა და ქრისტიანებს ლამის საკუთარი რწმენისათვის აპატიმრებენ. ჩინელები განსაკუთრებით დაუნდობლები იყვნენ ტიბეტში, სადაც მათ დახურეს ბუდისტური მონასტრები, დააპატიმრეს და გაასამართლეს მორწმუნეები და გადაასახლეს ტიბეტის რელიგიური ლიდერი დალაი ლამა. 1997 წლის დასაწყისში ანტიჩინური მასობრივი არეულობები ტიბეტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე უპირატესად მუსლიმურ პროვინცია სინძიანში ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების მიზეზად იქვა [იგივე განმეორდა 2009 წელს — მთარგმნ. შენ.].

ჩინეთის მიერ ადამიანის უფლებათა შელახვა შეუმჩნეველი არ დარჩა შეერთებულ შტატებს. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ქრისტიანთა კოალიცია განსაკუთრებით კრიტიკული იყო ჩინეთში ქრისტიანთა დევნის მიმართ. ჩინეთის მიერ ადამიანის უფლებათა შელახვა. ის საკითხი დაისვა შეერთებული შტატების კონგრესში მათ მიერ, ვინც ეწინააღმდეგებოდა ჩინეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის აღდგენას, რაც გააფართოებდა ჩინეთის ექსპორტს შეერთებულ შტატებში ისეთივე შედარებით დაბალი ტარიფით, რომლითაც ამერიკის სავაჭრო პარტნიორები სარგებლობდნენ.

ცინიკურია, რომ სტატუსის აღდგენის თაობაზე დებატების ცენტრი შეერთებულ შტატებში იდელისტებსა და პრაგმატისტებს შორის დისპუტი იყო. ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური ზეწოლა ყველაზე ნათლად გამოხატავდა მორალურ გაკიცხვას და იმავდროულად ჩინეთს რეალურად აზღვევინებდა ადამიანის უფლებათა შელახვის გამო. უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო სტატუსის მინიჭების მომხრეები კი ამტკიცებდნენ, რომ ამგვარი პოზიციით მხოლოდ ამერიკული ბიზნესი დაზარალდებოდა, მაშინ როცა მსოფლიოს სხვა ქვეყნები დიდი სიამოვნებით დააკავებდნენ აშშ-ს ბაზრის წილს. მხარდამჭერები ასევე აცხადებდნენ, რომ გრძელვადიან პერიოდში ვაჭრობა და არა ეკონომიკური იზოლაცია შეასუსტებდა პოლიტიკურ დევნას ჩინეთში. 2000 წლის სექტემბერში შეერთებული შტატების კონგრესმა ჩინეთისთვის კეთილსასურველი ერის (MFN) სტატუსის მინიჭება დამოკიდებული გახადა. მას შემდეგ ჩინურ იმპორტს აღარ ემუქრება სატარიფო დისკრიმინაციის გამეორება შეერთებული შტატების უზარმაზარ ბაზარზე.

პოლიტიკური თრაგმენტაციის საფრთხეში

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტია კვლავ მკაცრად აკონტროლებს საზოგადოებას, შიდა პრობლემაც უხვად აქვს.[25] ერთ-ერთი სირთულე ჩინეთის შორეულ რეგიონებში არსებული დაძაბულობაა. მეორე — ვაჭრობის პირობების შესახებ კამათი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნის ცენტრში მდებარე პროვინციებსა და სანაპირო პროვინციებს შორის, რომლებიც მზა პროდუქციას აწარმოებენ და ჰყიდიან. კიდევ ერთი პრობლემაა ისიც, რომ ჩინეთის პროვინციები და ოლქები დროდადრო სავაჭრო ბარიერებსა და ტარიფებს აწესებენ კონკურენციისა-

გან ადგილობრივი მრეწველობის დაცვის მიზნით. მაგალითად, 1997 წელს შანხაის მუნიციპალურმა მთავრობამ ფოლკსვაგენის მწარმოებელი ადგილობრივი მანქანათმშენებელი ქარხანის სასარგებლოდ ახალი სტანდარტები დააწესა (ძრავის ზომა, საბარგულის ტევადობა და ა.შ.) იმ მანქანებისათვის, რომლებიც ტაქსის ფუნქციას ასრულებდნენ. ჩინეთი კვლავ აგრძელებს ადგილობრივი ლიდერების როტაციული წესით მოძრაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მათ მიმართ ადგილობრივი სიმპათიებისა და ლოიალურობის გაჩენა.

ამჟამაეული ზესახელმწიფო

გარდა იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ჩინეთი რეგიონის დომინანტური სახელმწიფო ხდება, ის ასევე სწრაფად ყალიბდება გლობალური ძალადაც. მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ძალზე ადვილად შეძლებს ახალწვეულების მოძებნას თავისი შეიარაღებული ძალებისათვის, რომელიც ისედაც 3 მილიონ ჯარისკაცს ითვლის. 1970-იანი წლების მიწურულიდან ჩინეთი საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზებას ცდილობს. დღეს მას მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებთან შედარებით შეიარაღებაზე ყველაზე მზარდი ხარჯები აქვს. ჩინეთმა მსოფლიო ყურადღება იმითაც მიიპყრო, რომ აგრძელებს ბირთვული იარაღის გამოცდასა და უახლესი შეიარაღების გაყიდვას საერთაშორისო ბაზარზე (ზოგჯერ იმ მომხმარებლისათვის, რომელსაც შეერთებული შტატების ხელისუფლება საერთაშორისო მშვიდობისა და წესრიგის საფრთხედ მიიჩნევს).

ამერიკის ვაჭრობა ჩინეთთან: პრობლემა თუ შესაძლებლობა?

შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ვაჭრობა დისკუსიის საგანია. დიდი ხნის განმავლობაში ამერიკული ბიზნესი ჩინეთს ერთ უზარმაზარ, განუვითარებელ ბაზრად მიიჩნევდა: 1 მილიარდი ჩინელი მოუთმენლად ელოდა ამერიკული საქონლის შეძენას. მრავალმა ამერიკულმა მრავალეროვნულმა კორპორაციამ ძალ-ღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ გავლენა მოეხდინა საერთაშორისო ვაჭრობაზე და ამერიკის მთავრობის ლობირებით ჩინეთთან კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

ძალზე საინტერესო ტენდენცია განვითარდა. შეერთებულ შტატების სავაჭრო ბალანსს ჩინეთთან მაღალი დეფიციტი ჰქონდა (რაც იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები გაცილებით მეტ საქონელს ყიდულობს ჩინეთისაგან, ვიდრე ჩინეთი შეერთებული შტატებისაგან). 1990-იანი წლების მიწურულს შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან იაპონიასთან დეფიციტს გაუტოლდა (რომელთანაც შეერთებულ შტატებს სავაჭრო ბალანსის უდიდესი დეფიციტი ჰქონდა) და ზოგიერთი ეკონომისტი ვარაუდობდა, რომ მალე ჩინეთი გაუსწრებდა იაპონიას. ჩინეთს საერთაშორისო ვაჭრობაში უდიდესი უპირატესობა აქვს: ის იაფად აწარმოებს საქონელს, რადგან დაბალ ხელფასს უხდის ჩინელ მუშებს.

ემუქრება თუ არა შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სავაჭრო ურთიერთო-

ბებს ისეთივე დაძაბულობა, როგორიც შეერთებულ შტატებსა და იაპონიას აქვს? შეიძლება, არა! აცხადებს ზოგიერთი ექსპერტი. საფეიქრო ნაწარმის გარდა ჩინური საქონელი პირდაპირ კონკურენციას ვერ უწევს ამერიკულ საქონელს; ჩინური პროდუქცია დაბალტექნოლოგიურია (მაგალითად, ტანსაცმელი, საფეიქრო ნაწარმი, სათამაშოები და ნედლეული), მაშინ როცა იაპონია მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას აწარმოებს (მანქანებს, კომპიუტერებს, ელექტროსაქონელს და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობას). გარდა ამისა, იაპონიისაგან განსხვავებით, ჩინეთიდან შემოსული ყველა საქონელი ჩინური არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლები არასაიმედოა. რატომ? იმიტომ, რომ ჩინეთიდან ექსპორტირებული საქონლის დაახლოებით 50% იმ საწარმოებში იწარმოება, რომელსაც ერთობლივად ფლობენ ან მართავენ არაჩინელები. როგორც ჩანს, დაბალი დანახარჯები, რომელიც მიმზიდველს ხდის ჩინურ ექსპორტს შეერთებულ შტატებში, ასევე მიმზიდველს ხდის ჩინეთის ბიზნეს-შესაძლებლობებს არაჩინელი მეწარმეებისა და ბიზნესისათვის.

ჩინეთის მზარდი სამხედრო ძალაუფლება შეუმჩნეველი არ დარჩა არც აზიასა და არც მთელ მსოფლიოში.[26] ინდოეთის წინააღმდეგობა უარი ერთქვა ბირთვული იარაღის საკუთარ პროგრამებზე შესაძლოა ნაწილობრივ ჩინეთის მიმართ მისი ფრთხილი დამოკიდებულებითაც იყოს გამოწვეული. იმავე მიზეზით, იაპონიის ლიდერები ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაციას ცუდად შენიღბული განგაშით უყურებენ. ვიეტნამელებს არ დავიწყებიათ 1979 წელს ჩინეთთან სასაზღვრო ომი და პერიოდულად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოების ალიანსის შექმნის მცდელობას იწყებენ ჩრდილოეთის კოლოსის წინააღმდეგ. ფილიპინებს, წყნარი ოკეანის დასავლეთში ამერიკის ძველ ერთგულ მოკავშირეს, გადაუჭრელი დავა აქვს ჩინეთთან სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე პოტენციურად ნავთობით მდიდარი კუნძულების თაობაზე. ყველაზე საშიშ მდგომარეობაში ტაივანი იმყოფება, რომელსაც პეკინი ჩინეთის ნაწილად მიიჩნევს და რომლის შემოერთების სურვილი აქვს.

ჩინეთის პერიოდული სამხედრო-საზღვაო წვრთნები ამ შიშს აძლიერებს, მიუხედავად იმისა, რომ ტაივანი სიმტკიცის შენარჩუნებას ცდილობს შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის მხარდაჭერით. კიდევ ერთი პოტენციურად ფეთქებადი საკითხი გადაიჭრა ინციდენტის გარეშე, როცა 1997 წელს დიდმა ბრიტანეთმა ფორმალურად დააბრუნა ჰონკონგი ჩინეთის კონტროლის ქვეშ. ეს აქტი, რომელმაც წერტილი დაუსვა თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში ბრიტანულ მმართველობას ხმაურიან საერთაშორისო სავაჭრო და ფინანსური ცენტრზე, პეკინმა მსოფლიო პოლიტიკაში ჩინეთის ახალი სტატუსის ნიშანად.

ჩინეთი ამომავალი ზესახელმწიფოა, არა უბრალოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო თვალსაზრითაც (იხ. სქემა 7-4). ზოგიერთი დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ XXI საუკუნეში ჩინეთი შესაძლოა შეერთებული შტატების მეტოქედაც კი მოგვევლინოს. ასე რომ, ამერიკული პერსპექტივიდან მნიშვნელოვანი კითხვა იკვეთება: ითანამშრომლებენ და შეინარჩუნებენ თუ არა ჩინეთი და შეერთებული შტატები კარგ ურთიერთობებს, თუ მეტოქეობისათვის, ან შესაძლოა მტრობისთვისაც კი არიან ისნი განწირულნი?

	საბრძოლო თვითმფრინავი	სამხედრო გემი	ტანკი	მლნ ჯარისკაცი	ბირთვული ქობინი	მშპ-ში სამხედრო ხარჯების %-ლი წილი
ჩინეთი	5 224	110	9 400	3.0	300 +	5.7
ინდოეთი	700	39	3500	1.1	25	2.5
ჩრდილოეთ კორეა	730	26	4.200	1.1	n/a	25.2
რუსეთი	4500	299	17 000	1.5	6.000	7.4
შეერთებული შტატები	4 971	237	12 500	1.5	6.000	3.8

სქემა 7-4 *ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზება დენის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო, რაც საფიქრალს აჩენდა, რომ „მზარდ ჩინეთს“ აზიის სამხედრო ბალანსის დარღვევა შეეძლო.*
წყარო: Newsweek, *3 მარტი 1997, თავი.* cxxxix, ***№9,*** *გვ. 28. გამოკვლევა ეკუთვნის ჰერიტიქის ფონდსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ავტორები არიან ანა კუჩმენტი და დანტე ჩინი.*
© 1997 Newsweek, Inc. *ყველა უფლება დაცულია. იბეჭდება ნებართვით.*

აზია: ეკონომიკური ტრანზიცია (და თავისუფლებაც?)

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი აზიის გიგანტური სახელმწიფოა, ყველაზე შთამბეჭდავი ეკონომიკური მიღწევები ამ რეგიონში მაინც სხვაგან დაფიქსირდა. იაპონიის შემდეგ ყველაზე წარმატებული, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები შემდეგმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს: სამხრეთ კორეამ, ტაივანმა, ჰონკონგმა (ჩინეთის ნახევრად დამოუკიდებელი ნაწილი 1997 წლიდან) და სინგაპურმა. ამ ოთხი სახელმწიფოს მიერ მიღწეულმა წარმატებებმა, რომელთაც ხშირად ოთხ პატარა დრაკონს ან აზიის ვეფხვებს უწოდებენ, დასაბამი მისცა სახელმწიფოთა ახალი კატეგორიის – **ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (NIC)** — წარმოშობას. აზიის სხვა სახელმწიფოებმაც, მათ შორის ტაილანდმა, მალაიზიამ და ინდონეზიამ, კურსი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური რეფორმებისაკენ აიღეს, იმ მიზნით, რომ საგარეო ინვესტიციები მიეზიდათ და ექსპორტის განვითარებისათვის შეეწყოთ ხელი. ჩვენი ყურადღების ცენტრში ამ ეტაპზე სამხრეთ კორეა და ტაივანი მოექცევა, რადგან ისინი საექსპორტო ბაზრებისათვის კონკურენციას იაპონიას უწევენ და ამავდროულად, პოლიტიკური ლიბერალიზაციის მიმართულებითაც გადადგეს ნაბიჯები. ამ მხრივ, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან რეგიონის უზარმაზარი სახელმწიფოსაგან, ჩინეთისაგან, რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ფუნდამენტურ პოლიტიკურ ცვლილებებს.

სამხრეთი კორეა

სამხრეთ კორეის ეკონომიკური ტრანსფორმაცია ღარიბი, სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული ქვეყნიდან ძალამოკრებილ, ტექნოლოგიურად დაწინაურებული მეწარმეობის სექტორის მქონე თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ XX საუკუნის მიწურულისათვის დასრულებულ ფაქტს წარმოადგენდა. სამხრეთ კორეის

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე, უხეშად რომ ვთქვათ, მას იმავე დონეზე აყენებს, რა დონეზეც პორტუგალია და საბერძნეთია, ორივე ევროკავშირის წევრი. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი ევროპის მდიდარ სახელმწიფოებთან შედარებით ღარიბთა რიცხვში შედიან. უკეთესად რომ წარმოვაჩინოთ სამხრეთ კორეის მიღწევები, საკმარისია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ კორეის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მეტია ლათინური ამერიკის ყველაზე მდიდარი ქვეყნის, არგენტინის შესაბამის მაჩვენებელზე და ორჯერ მეტი ბრაზილიის, ჩილეს, მექსიკის და ვენესუელის, რეგიონის ოთხი წამყვანი სახელმწიფოს მაჩვენებლებზე, რომლებიც ასევე ტრანზიციის პროცესში იმყოფებიან.

1990-იან წლებში, როდესაც სამხრეთ კორეის ეკონომიკამ სტაგნაცია დაიწყო, მთავრობამ პრეზიდენტ კიმ დე იუნგის მეთაურობით გაბედული რეფორმების პროგრამა წამოიწყო. ტრადიციულად, სამხრეთ კორეის ეკონომიკაში უზარმაზარი ინდუსტრიული კონგლომერატები და რეგულირებისაგან თავისუფალი დიდი ბანკები დომინირებდნენ: სპეციფიკური ინტერესების გავლენის გაზრდამ შედეგად კონკურენციის ჩახშობა მოიტანა. 1990-იანი წლების ბოლოს ***აზიური გრიპის*** სახელწოდებით ცნობილი აზიის ფინანსური კრიზისი მართალია სამხრეთ კორეაში არ დაწყებულა, მაგრამ იქაც გამანადგურებელი გავლენა ჰქონდა. დიდმა ბანკებმა ფული დიდი ბიზნესის წარმომადგენლებს ყოველგვარი ფინანსური გარანტიების გარეშე ასესხეს. ამ სიტუაციამ და ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლების ზოგადმა საჭიროებამ დაარწმუნა სახალხოდ არჩეული პრეზიდენტი, რომ აუცილებელი იყო აგრესიული სახელმწიფო ჩარევა განეხორციელებინა – შეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიერ ეკონომიკის კონტროლს და ამავდროულად, მოქმედების მეტი თავისუფლება საბაზრო ძალებისათვის მიეცა. შედეგად, გვიან 1990-იან წლებში სამხრეთ კორეის მთავრობამ ტრანზიციის მეორე ძირითადი პროცესი წამოიწყო, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა დიდი ინდუსტრიული კონგლომერატების რესტრუქტურიზაციას და საბანკო რეფორმებს, რამაც ძალიან დადებითი შედეგები გამოიღო. 2000 წელს სამხრეთ კორეის ეკონომიკა ძლიერ აღმავლობას და დაბალ ინფლაციას განიცდიდა.

რამდენად იყო ეს მეორე ტრანზიცია პოლიტიკური და ამავდროულად ეკონომიკურიც? ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. აზიის სხვა საზოგადოებათა მსგავსად, კორეელებიც მუდამ ავტორიტარული სახელმწიფოს მიერ იმართებოდნენ. ჩრდილოეთ კორეა მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან იყო (და არის) კომუნისტური, მაშინ როცა სამხრეთ კორეა, ამერიკის შეერთებული შტატების ახლო მოკავშირე სახელმწიფო, ანტიკომუნისტურია. მიუხედავად ამისა, სამხრეთკორეული „დემოკრატია“ სხვა არაფერი იყო, თუ არა პროდასავლური პოლიტიკის მქონე სახელმწიფოს ფასადი. მაგრამ 1997 წელს, გაპრეზიდენტების წინა ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, კიმ დე იუნგი გახდა სამხრეთ კორეაში პირველი ოპოზიციონერი კანდიდატი, რომელიც პრეზიდენტად აირჩიეს, (ისევე როგორც, ვისენტე ფოქსი გახდა პირველი არჩეული ოპოზიციონერი პრეზიდენტი მექსიკაში, სადაც მის არჩევამდე სულ რაღაც სამი წლით ადრე ერთპარტიული სისტემა იყო გაბატონებული). ოპოზიციონერი კანდიდატის პრეზიდენტად არჩევა გარღვევაა ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც ლიბერალური დემოკრატიული მმართველობის მიმართულებით პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში იმყოფება. როგორც ვნახავთ, 2000 წელს ასეთი გარღვევა კიდევ სულ მცირე ერთ ადგილას მოხდა.

ტაივანი

ტაივანი დამოუკიდებელი II მსოფლიო ომის შემდეგ გახდა, როდესაც ჩინელმა კომუნისტებმა, მაო ძედუნის მეთაურობით, დაამარცხეს ჩან კაიშის ნაციონალისტები. 1972 წლამდე, ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებდა ტაივანს, როგორც ჩინეთის ლეგიტიმურ მთავრობას, თუმცა ისიც აშკარა იყო, რომ ქვეყნის კონტინენტურ ნაწილს პეკინის კომუნისტური რეჟიმი აკონტროლებდა. 1972 წლიდან ტაივანი გახდა დამოუკიდებელი, თუმცა მას სუვერენულ სახელმწიფოდ არ აღიარებენ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მიაღწია ეღიარებინათ მისი მოთხოვნა, რომ ტაივანი არის ჩინეთის ნაწილი, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი და რომ პეკინი არის ჩინეთის დედაქალაქი.

მიუხედავად ამისა, ტაივანი ინარჩუნებს მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს აშშ-თან, კვლავ სარგებლობს მისი სამხედრო ძლიერებითა და დიპლომატიური კეთილ ნებით. ტაივანის ეკონომიკა ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურია აზიაში, დიდი ტემპით უსწრებს რა სამხრეთ კორეას. რეალურად, ტაივანი ევროპაში რომ იყოს, ერთ სულზე მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით უფრო წინ იქნებოდა, ვიდრე პორტუგალია და საბერძნეთი და იმავე ლიგაში, სადაც არის ესპანეთი. ამ „ეკონომიკურ სასწაულში“ არაფერია ახალი, მაგრამ ტაივანის ბოლოდროინდელი მოძრაობა ლიბერალური საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესრიგისაკენ ნამდვილად ახალია.

1988 წელს, ლი ტენ-ჰუი გახდა პირველი ადგილობრივი ტაივანელი ლიდერი, რომელმაც მოიპოვა პრეზიდენტობა და ამავდროულად იყო პირველი სახალხოდ არჩეული პრეზიდენტი ტაივანის ისტორიაში. ლიმ, მისი თორმეტწლიანი პრეზიდენტობის დროს, გაატარა რადიკალური პოლიტიკური რეფორმები, აგრძელებდა რა 1980-იანი წლების შუახანებში თავისი წინამორბედის, ჩან ჩინ-კუოს (ჩან კაიშის ვაჟი) მიერ წამოწყებულ პროცესებს. ნაციონალისტური პარტიის რკინის ხელის ჩამოშორების ყველაზე დიდი შედეგი იყო 2000 წლის არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატის, ჩენ შუი-ბინის გამარჯვება. ესეც ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო ტაივანის პოლიტიკურ ისტორიაში.

აზიის ვეფხვემი

სამხრეთ კორეასა და ტაივანში დღეს არსებული პოლიტიკური ლიბერალიზაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც ეკონომიკურმა ცვლილებებმა ამ ორი საზოგადოების ტრანსფორმაცია მოახდინა. ეკონომიკური ლიბერალიზაციის ასეთი ფორმა, გარკვეული მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილების გარეშე, დამახასიათებელია მთელი აზიისათვის. რეალურად, აზიის ყველაზე წარმატებულ ეკონომიკას ქალაქ-სახელმწიფო სინგაპური წარმოადგენს, რომლის მმართველობა მთლიანად უარყოფდა დასავლური ტიპის ლიბერალურ-დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ფილიპინებმაც და ტაილანდმაც და შედარებით ნაკლებად მალაიზიამ და ინდონეზიამ, ლიბერალიზაციის რეფორმები განსხვავებული ხარისხით განახორციელეს. მაგრამ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა, ვიეტნამი, ლაოსი და მიანმა (ბირმა) ჩაფლულნი რჩებიან იმ სტრუქტურებსა და სისტემებში, რამაც ფუნდამენტური ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები შეუძლებელი გახადა.

მაშინ როცა ტრანზიციის პროცესი აზიის სახელმწიფოებმა ეკონომიკური რეფორმებით დაიწყეს, ლათინურმა ამერიკამ იგივე პროცესი პოლიტიკური ცვლილებით დაიწყო. 1980-იან წლებში ლათინური პოლიტიკის დემოკრატიზაციის პროცესი სწრაფი იყო და მყარი, მაგრამ ლათინური ამერიკა კვლავ რჩება ეკონომიკური აღორძინების რეცეპტის ძებნის პროცესში მყოფ რეგიონად.

ლათინური ამერიკა: პოლიტიკური ტრანზიცია (და კეთილდღეობაც?)

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში მოპოვებული დამოუკიდებლობიდან მოყოლებული სამხედრო-ბიუროკრატიული მმართველობა საუკუნეების მანძილზე ლათინურ ამერიკაში ტრადიციას წარმოადგენდა. ლათინური ამერიკის სახელმწიფოები (ადრე პორტუგალიის ან ესპანეთის კოლონიები) დამოუკიდებელნი გახდნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მსოფლიოს სხვა ნაწილებში ევროპული კოლონიური იმპერიები დაიშლებოდნენ. სამხედრო დიქტატურა პრაქტიკაში და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებები თეორიაში დიდი ხანი თანაარსებობდნენ. სახალხოდ არჩეული სამოქალაქო მთავრობა 1980 წლამდე მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში იყო – კოლუმბია, ვენესუელა და კოსტა-რიკა. მაგრამ ვითარება შეიცვალა – საკმარისი ცვლილებები მოხდა იმისათვის, რომ დაიწყოს ახალი ეპოქა ლათინური ამერიკის ისტორიაში, ახალი გვერდი ლათინური ამერიკის პოლიტიკაში და სავარაუდოდ, ახალი ეტაპი ლათინური ამერიკის ეკონომიკურ განვითარებაში.

რეფორმის ანამანა (არგენტინა, მრაზილია, ჩილე)

1980-იან წლებში სამხედრო დიქტატურები ერთი მეორის მიყოლებით ტოვებდა პოლიტიკურ არენას და ადგილს დემოკრატიულად არჩეულ სამოქალაქო მთავრობას უთმობდა. დღეს, რეგიონში ფაქტობრივად ყველა მთავრობა ლიბერალურ დემოკრატიას წარმოადგენს. პოლიტიკური ტრანზიციები სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთს დაემთხვა, რაც გულისხმობდა, რომ ლათინური ამერიკა მომწიფებული იყო პოლიტიკური რეფორმისათვის. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ ცვლილებას ძალა ეკონომიკური რეფორმების საჭიროებამ შესძინა, რასაც ამ რეგიონის მრავალი სახელმწიფოს უზარმაზარი საგარეო ვალიც ადასტურებდა. ვალების სიმძიმემ, გაერთიანებულმა მოძველებულ ეკონომიკურ სტრუქტურებთან და არაკონკურენტუნარიან საწამოებთან, მაღალ ინფლაციასთან, მასობრივ უმუშევრობასთან, ფართოდ გავრცელებულ სიღარიბესთან და შოკის მომგვრელ უთანასწორობასთან მდიდარსა და ღარიბ ფენებს შორის, რეგიონში თვითრწმენის კრიზისი და მოხმარების არნახული ვარდნა გამოიწვია (მილიონობით ადამიანს, განსაკუთრებით ***კამპესინოებს*** [გლეხებს — მთარგმნ. შენ.] სოფლებში, გადარჩენისათვის ბრძოლა საარსებო მინიმუმის პირობებში უწევთ).

ჩილემ გეზი საკუთარი ეკონომიკის რეფორმირებაზე აიღო. ფაქტობრივად, ჩილე გამონაკლისია ლათინურ ამერიკაში, რადგან ქვეყანამ საბაზრო რეფორმები საკუთარი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციამდე განახორციელა. აუგუსტო პინოჩეტის მმართველობის პირობებში (1974-1990), ჩილე ერთ-ერთ ყველაზე მკვეთრად

გამოკვეთილ სამხედრო დიქტატურას წარმოადგენდა, მაგრამ საბაზრო ძალების მიერ სტიმულირებული ჩილეს ეკონომიკა მაინც გამოცოცხლდა. ამის მსგავსი წარმატება სხვაგან ლათინურ ამერიკაში არ მომხდარა, რაც, თავის მხრივ, გვეხმარება ავხსნათ 1980-იან წლებში სამხედრო მმართველობის დაცემის მიზეზები.

ბრაზილიაში 1985 წელს სამხედრო მმართველობამ გზა სამოქალაქო მთავრობას დაუთმო და სამი წლის შემდეგ მან ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელმაც პრეზიდენტის პირდაპირი არჩევენების ჩატარება უზრუნველყო. ბრაზილიის მთვრობა ეკონომიკის რესტრუქტურიზაციასა და რეფორმირებას ცდილობს. ქვეყანას მძიმე ტვირთად აწევს დიდი საგარეო ვალები, ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტი, ექსტენსიური სიღარიბე სოფლად და აშკარა უთანასწორობა. ბრაზილიას სასწრაფოდ სჭირდება სოციალური უსაფრთხოების სისტემის არსებითი გადახედვა და საგადასახადო რეფორმა, რათა გააწონასწოროს საზოგადოების მდგომარეობა. მაგრამ ეს ზომები ქვეყანაში, სადაც კონსტიტუციური დემოკრატია ჯერ კიდევ მისი სიჭაბუკის (თუ არა ჩვილობის) ასაკშია, *პოლიტიკურად ურთულეს საკითხს* წარმოადგენს.

არგენტინის სამხედრო მმართველები გაეცალნენ ქვეყანას მას შემდეგ, რაც ისინი ბრიტანეთთან ფოლკლენდის კუნძულებისათვის ომში სამარცხვინოდ დამარცხდნენ (1982წ). საპრეზიდენტო დემოკრატია — არგენტინა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენს სამხრეთ ამერიკაში. თუმცა, არგენტინის ეკონომიკური ქმედებები ასევე იმედგაცრუებას იწვევდა. იმისათვის, რომ შეეკავებინათ ინფლაცია და საბიუჯეტო დეფიციტი, არგენტინის ვალებით დატვირთულმა მთავრობამ გადაწყვიტა წასულიყო მკაცრ საბიუჯეტო ეკონომიაზე (მაღალი გადასახადები და შეზღუდვები ხარჯვაზე). ამის შედეგად, უმუშევრობა დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენდა გასულ წლებში, მაგრამ „მუხრუჭზე ფეხის აშვების შემთხვევაში“, მთავრობა შიშობს, რომ უცხოელ ინვესტორებს დააფრთხობს.

პრობლემები, რომლის წინაშეც დგანან ბრაზილია და არგენტინა, მთელი დანარჩენი რეგიონისათვის არის დამახასიათებელი. ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური რეფორმა (დემოკრატიზაცია) აღმოჩნდა უფრო მარტივი, ვიდრე ეკონომიკური რეფორმა და აღორძინება. ამის მიზეზი ბევრი და განსხვავებულია; ყველაზე უფრო გადაუჭრელი პრობლემები არსებითად სოციალური და კულტურული პრობლემებია. ლათინურ ამერიკული საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში იყო ზედმეტად ელიტისტური და უსამართლო. უთანასწორობა იმდენად დიდია და სიმდიდრე იმდენად არის კონცენტრირებული, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არა აქვს საკმარისი მსყიდველობითი შესაძლებლობა იმისათვის, რომ იყოს *მომხმარებელი,* ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით. მყარად მზარდი ეკონომიკა ყოველთვის ასოცირდება მასობრივი მოხმარების ფენომენთან. ლათინურ ამერიკაში მასებს ხშირად არ გააჩნიათ კარგი სამსახური ან მდგრადი შემოსავალი და შესაბამისად ვერ ჩაერთვებიან იმ სახის მოხმარებაში, რომელიც, ექსპორტთან ერთად, სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას იწვევს. ასე რომ „სიმდიდრის განაწილება“ არა მხოლოდ ზნეობრივი იმპერატივია, არამედ ეკონომიკური იმპერატივიცაა – სიმდიდრის მუდმივი ცირკულაციის პირობებში, როდესაც ამ პროცესში მთელი საზოგადოება არაა ჩართული, რთულია, თუ არა შეუძლებელი, დაასრულო ტრანზიცია სასოფლო ტიპის, ნელი ტემპებით მზარდი, პროტექციონისტული ეკონომიკიდან თანამედროვე, ბაზარზე დაფუძნებული, საქალაქო-ინდუსტრიული, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის მიმართულებით. თუმცა, საბოლოოდ როგორც ჩანს, ლათინური ამერიკა მაინც მი-

აღწევს ამ მიზანს, მაგრამ რეგიონის გაღარიბებულ მასებს იქ მისასვლელად დიდი დრო დასჭირდებათ.

მექსიკა

ბოლოს, ჩვენ მივუბრუნდებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთელ მეზობელს – მექსიკას. მექსიკა არის კარგი მაგალითი იმ ისტორიული წინააღმდეგობისა, რომელიც ლათინური ამერიკის ძალიან ბევრ ქვეყანაში შეიმჩნევა – რომანტიკული მიკუთვნებულობა დემოკრატიული იდეალებისადმი, რომელიც რესპუბლიკის მანტიაში გამოწყობილ ავტორიტარულ რეჟიმთან თანაარსებობდა. I მსოფლიო ომიდან მოყოლებული მექსიკა წარმოადგენდა ლიბერალურ დემოკრატიას, ოღონდ ქაღალდზე. რეალობაში კი, 2000 წლამდე მექსიკაში კონკურენტული არჩევნების მსგავსი არაფერი ყოფილა. საბოლოოდ, ***ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის*** ერთპარტიული მმართველობის ათწლეულების შემდეგ, მექსიკელ ამომრჩევლებს რეალური არჩევანი და რეალური შესაძლებლობა მიეცათ. არჩევანი იყო *ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის* კანდიდატსა და ოპოზიციის სხვა კანდიდატებს შორის. ეს იყო პირველი შესაძლებლობა მექსიკაში – თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. შედეგი იყო გამაოგნებელი: ოპოზიციის კანდიდატმა ვისენტე ფოქსმა, რომელიც *ეროვნული ქმედების პარტიას* წარმოადგენდა, გამარჯვება მოიპოვა.

1990-იანი წლების დასაწყისში მექსიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და კანადასთან ერთად შეუერთდა ***ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას*** *(NAFTA)*, რამაც ბიძგი მისცა მექსიკის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას. თუმცა, არაეფექტიანი სახელმწიფო კომპანიების (მაგალითად, სანავთობო მონოპოლისტი *PEMEX*) მყარად მომაგრებული ინტერესების და კორუმპირებული, საკუთარი პრივილეგიების დაკარგვის შიშით შეპყრობილი ბიუროკრატიის პირობებში შიდა საბაზრო რეფორმების გატარება საკმაოდ რთულია. ***ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში*** წევრობა მექსიკას უხსნის გზას ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრებთან. ის ასევე აძლევს აშშ-ს მექსიკის მთავრობაზე ზემოქმედების მექანიზმებს იმისათვის, რომ მან ეკონომიკური რეფორმები დააჩქაროს. როცა პრეზიდენტ ფოქსი ხელისუფლებაში მოვიდა, იგი პირობას დებდა, რომ ზუსტად ამას გააკეთებდა. ეს არ იქნება უფრო ადვილი მექსიკაში, ვიდრე იყო მთელს დანარჩენ ლათინურ ამერიკაში, მაგრამ მექსიკას, სხვა არჩევანი არც აქვს თუ მას სურს კონკურენცია გაუწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას, როგორც *NAFTA*-ს თანასწორმა წევრმა.

რეგიონის მასშტაბით ლათინურმა ამერიკამ პოლიტიკური პლურალიზმისა და ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით მკვეთრი შემობრუნება მოახდინა. მაგრამ ლიბერალიზაციის ეკონომიკური სარგებელი ჯერ კიდევ განსახორციელებელია და ელოდება სულ მცირე ორ რამეს: პირველი, გაბედულ რეფორმებს უმაღლეს ხელისუფლებასა და ფესვგადგმულ ბიუროკრატიას შორის არსებული დაპირისპირების და ცვლილების მომხრეებსა და მდიდარ მიწათმფლობელ ელიტას შორის კონფლიქტის ფონზე; მეორე, საარჩევნო უფლებამინიჭებული და გაძლიერებული გლეხების მობილიზაციას, ვისაც პირველად მიე-ცა სისტემაში საკუთარი სიტყვის თქმის შესაძლებლობა.

დასკვნა

კომუნისტურმა ხელისუფლებამ თითქმის მთელს მსოფლიოში მარცხი განიცადა. საბჭოთა კავშირის დაშლა ამ ფენომენის ყველაზე ნათელი მაგალითია. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სახელმწიფომ – განსაკუთრებით ჩინეთმა – გააგრძელა კომუნისტური მმართველობა. კომუნიზმის მარცხი ყურადღებას მიაპყრობს ყოფილი საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოების ტრანზიციის პრობლემებზე. სხვა ქვეყნები, როგორიცაა სამხრეთ კორეა და ტაივანი აზიაში და არგენტინა, ბრაზილია და ჩილე ლათინურ ამერიკაში ასევე გადიან პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანზიციის პროცესს.

ტრადიციულად, საბჭოთა სისტემა იყო ტოტალიტარული, სტალინის იმიჯის შესაფერისად შექმნილი. მიხეილ გორბაჩოვამდე მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვმა სცადა მისი შერბილება. საბჭოთა სისტემაში მართავდა კომუნისტური პარტია და თანამდებობა პარტიაში იყო საუკეთესო ინდიკატორი პიროვნების პოლიტიკური ძალაუფლების შესაფასებლად. როდესაც გორბაჩოვი დაწინაურდა კომუნისტური პარტიის წამყვან თანამდებობაზე 1985 წელს, მის წინაშე იდგა როგორც რთული ეკონომიკური, ასევე სოციალური პრობლემები, რომელიც ცენტრალური დაგეგმვის მარცხით იყო გამოწვეული. დამატებით, მას ასევე უნდა დაეძლია საბჭოთა ელიტის, *ნომენკლატურის* თვითკმაყოფილება და წინააღმდეგობა. კომუნისტური სისტემის რეორგანიზაციის მცდელობისას, გორბაჩოვმა გაატარა ეკონომიკური რეფორმები (პერესტროიკა), პოლიტიკური ლიბერალიზაცია (გლასტნოსტი) და დემოკრატიულ პოლიტიკური რეფორმები *(დემოკრატიზაცია).* ეს ზომები არასაკმარისი აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის გადასარჩენად.

რუსეთი (ბორის ელცინის მმართველობის დროს) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობას წარმოადგენდა. ელცინიც საშიში პოლიტიკური გამოწვევების წინაშე იდგა, მათ შორის: მუდმივი ეკონომიკური უწესრიგობა, ეთნიკური ფრაგმენტაცია და სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებლობა. თუ რამდენად წარმატებულად შეხვდება რუსეთი ამ გამოწვევებს, ამაზეა დამოკიდებული ამ ქვეყნის მომავალი, ასევე, იქნება თუ არა იგი დემოკრატიული.

სამხრეთი კორეა და ტაივანი ტრანზიციის პროცესში მყოფი აზიური საზოგადოების ორი მაგალითია. ორივე ქვეყანამ ტრანზიცია განახორციელა ჯერ საბაზრო (თუმცა ნახევრად პროტექციონისტული) ეკონომიკის მიმართულებით და შემდეგ მიუბრუნდა პოლიტიკურ რეფორმებს. სამხრეთ კორეამ ახლახან წამოიწყო რეფორმის ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ბოლო მოეღო განვითარების შემაფერხებელი მონოპოლისტური სტრუქტურებისა და საქმიანობისათვის. ტაივანს აქვს ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური ეკონომიკა აზიაში, მაგრამ ბოლო დრომდე ის ნაციონალური პარტიის ერთპარტიულ დიქტატურას წარმოადგენდა. პოლიტიკურმა რეფორმებმა 2000 წელს ოპოზიციის კანდიდატის ჩენ შუი ბინის არჩევა გამოიწვია.

ტრანზიციის პროცესი ლათინურ ამერიკაში წარმოადგენს აზიის შებრუნებულ ვარიანტს. არგენტინა, ბრაზილია, ჩილე და მექსიკა რეგიონის ოთხი ძირითადი ქვეყანაა. ტრანზიცია ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით ამ ქვეყნებში, გარდა მექსიკისა, ეკონომიკური რეფორმების გატარებამდე განხორციელდა. ლათინური ამერიკა პოლიტიკური ეკონომიის თეორიასა და პრაქტიკაში „ტრანზიციასა“ და „განვითარებას“ შორის წაშლილი ზღვრის ილუსტრაციაა. სანამ ლათინური ამერიკის

ქვეყნები ძალიან მდიდრებად (უმცირესობა) და ძალიან ღარიბებად (უმრავლესობა) დაყოფილი საზოგადოების ტრანზიციას დაასრულებენ, შესაძლოა ეკონომიკური განვითარება შეფერხდეს.

საკვანძო სიტყვები

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)
ნომენკლატურა
პერესტროიკა (გარდაქმნა)
გლასტნოსტი (საჯაროობა)
ლიბერალიზაცია
დემოკრატიზაცია
ფედერალური ასამბლეა (რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანო)
ფედერაციის საბჭო (რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა)
დუმა (სათათბირო, რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატა)
პოლიტბიურო (კომუნისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი ორაგნო)
ახალი ინდუსტრიული ქვეყნები
აზიური გრიპი
ჩრდილოთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (*NAFTA*)

კითხვები გამეორებისათვის

1. რა პრობლემების წინაშე იდგა საბჭოთა კავშირი 1985 წელს?
2. როგორ დაუპირისპირდა პრეზიდენტი გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის პრობლემებს? რამდენად წარმატებული იყო იგი? ახსენით.
3. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც დღეს დგას რუსეთის წინაშე, არის შემდეგი: შეძლებს თუ არა იგი სტაბილურ დემოკრატიად ჩამოყალიბებას? გააკეთე კომენტარი რუსეთის ტრანზიციის პრობლემებზე.
4. აქამდე რომელმა ქვეყნებმა მოახდინა ყველაზე წარმატებული ტრანზიცია?
5. შეადარე ტრანზიციის პროცესები აღმოსავლეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში.
6. შეადარე ტრანზიციის პროცესები აზიასა და ლათინურ ამერიკაში.

შენიშვნები

1. Thomas M. Magstadt, Nations and Governments: Comparative Politics in Regional Perspective (New York: Bedford/St. Martin's, 2002), 226-235.
2. Hedrick Smith, The Russians (New York: Time Books, 1978), 83.
3. იხილეთ, Susan Dentzer, Jeff Triamble, and Bruce Auster, „The Soviet Econ-

omy in Shambles," US News&World Report, November 20, 1989, 25-29,32, 35-37, and 39.
4. იქვე., 25 და 26 გვ.
5. Walter Laquer, The Dream That Failed (New York: Oxford University Press, 1994), 71-73.
6. იხილეთ, Milovan Djilas, The New Class (New York,: Praeger, 1957); and Hedrick Smith, The Russians (New York: Time Books, 1978), 30-67.
7. „Russia," World Factbook (electronic edition), Central Intelligence Agency,
1996, 6.
8. „Emerging Market Indicators," Economist, March 15, 1997, 108.
9. იხ. „Emerging Market Indicators," Economist, April 13, 2002,104.
10. Vera Tolz, „Thorny Road toward Federalism in Russia," Radio Free Europe/Radio Liberty Research Report 48 (December 1993): 1.
11. „Russia's Regions: Fiefs and Chiefs,„Economist, January 25, 1997, 47.
12. Claire Sterling, „Redfellas: The Growing Power of Russia's Mob," New Republic, 11 აპრილი, 1994, 19.
13. Xan Smiley, „Russia's Wobbles Ahead,„The World in 1997 (ეკონომისტის წელიწლეული)., 39.
14. იხ. Matthew Valencia, „Lipming Towards Normality: A Survey of Poland," The Economist, October 27, 2001, 3-16
15. A. Doak Barnett, „Ten Years after Mao," *Foreign Affairs* (Summer 1986): 38.
16. იქვე, 39.
17. იხ. Peter Ferdinand, „Social Change and the Chinese Communist Party," *Journal of International Affairs* 49, no. 2 (Winter 1996): 478-492.
18. „Deng's China," *Economist,* February 22,1997,21.
19. იქვე. იხ. ასევე Johanna McGeary, „The Next China," *Time,* March 3,1997, 52-53.
20. ეს 1996 წლის მონაცემებია. განსხვავება აიხსნება იმ ფაქტით, რომ მსოფლიო ბანკი სიღარიბის სტანდარტად მიიჩნევს დღეში 1 აშშ დოლარის გამომუშავებას. ჩინეთის სტანდარტი განსაზღვრავს რამდენი ჩინელია ღარიბი ჩინეთის კეთილდღეობის სტანდარტის მიხედვით. იხ. *World Bank News,* October 25, 1996, 5. იხ. ასევე მსოფლიო ბანკის პრეს-რელიზი № 96/41 EAP.
21. „China's Feuding Regions," *Economist,* April 20,1996,27.
22. „China Learns the World's Rule," *The World in 2001* (London: The Economist Newspaper Limited, 2000), 85-86.
23. Ferdinand, „Social Change and the Chinese Communist party," 483.
24. იქვე, 478.
25. ეს მსჯელობა ძირითადად ეყრდნობა „China's Feuding Regions," 27-28.
26. იხ., „Charting the Deng Revolution," *Newsweek,* March 3,1997,26-27.
27. Robert G. Wesson, *Communism and communist systems* (Englewood Cliffs, N. J.: Prentice-Hall, 1978), 172-173.



თავი VIII

განვითარებადი ქვეყნები

დემოკრატია თუ დიქტატურა

განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაცია
განვითარებადი ქვეყნების შესწავლა
კოლონიალიზმის მემკვიდრეობა
პოლიტიკური განვითარება: ოთხი გამოწვევა
დემოკრატია და განვითარებადი ქვეყნები

- დემოკრატიის კორელატები • დემოკრატიული სტრატეგიები • დემოკრატია განვითარებად ქვეყნებში: ტენდენცია თუ ილუზია?

განვითარების თავსატეხი

- განვითარების მოტივები • განვითარების საზოგადოებრივი ბარიერები • განვითარების წინაშე მდგარი ფსიქოლოგიური ბარიერები
- ეკონომიკურიგანვითარებისდაბრკოლებები • განვითარების მარცხი

დისფუნქციური სახელმწიფოები:

- სომალი • იუგოსლავია • სიერალეონე • ავღანეთი

განვითარების თეორია: ტენდენციური მსჯელობა?
ჭარბგანვითარება: კაპიტალიზმის პატარა ბინძური საიდუმლო

ამერიკის შეერთებული შტატები არც ერი-სახელმწიფოდ და არც ზეახელმწიფოდ მეოცე საუკუნემდე არ ჩამოყალიბებულა. გეოგრაფიულმა იზოლირებამ, ენერგიულმა ხალხმა, უხვმა ბუნებრივმა რესურსებმა და უზარმაზარმა ტერიტორიებმა ხელი შეუწყო მის განვითარებას, ბრძენმა დამფუძნებლებმა და იღბალმა კი მსოფლიო ლიდერობისაკენ მისი საბოლოო აღმასვლა განაპირობა. ეკონომიკურად საკმაოდ მდიდარი აშშ-ს საზოგადოება ინდუსტრიული და სამეცნიერო კუთხით განვითარებულია: ამერიკელი ხალხის მნიშვნელოვანი პროცენტი ინაწილებს ქვეყნის სიმდიდრეს, არის ნაკითხი და განათლებული და საკუთარ თავს დიდი საზოგადოების წევრად მიიჩნევს. პოლიტიკურად – აშშ-ს მთავრობა კარგად ჩამოყალიბებულია, იგი ეფექტიანად ქმნის პოლიტიკური ძალაუფლების გადაცემის წინაპირობას და უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და ინდივიდუალურ უსაფრთხოებას.

ამის საპირისპიროდ, ***განვითარებადი ქვეყნები*** (რომლებსაც აგრეთვე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, მოდერნიზირებად ან მესამე სამყაროს ერი-სახელმწიფოებს უწოდებენ) ვერ აკმაყოფილებენ ერთ ან რამდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს. ხშირად, ყოველივე ამას დრამატული ხასიათი აქვს. ამგვარი წარუმატებლობის მტკივნეული შედეგებია: სიღარიბე, ეთნიკური, რელიგიური და ტრაიბალური (ტომთაშორისი) კონფლიქტების მაღალი მაჩვენებელი, ფართოდ გავრცელებული გაუნათლებლობა, პოლიტიკური არეულობები და მნიშვნელოვანი კლასობრივი დაყოფა. დღეს მრავალი აფრიკული, აზიური და ლათინურ-ამერიკული ერი მიისწრაფვის იმგვარი აყვავებულობისა და სტაბილურობისაკენ, რომელიც აქვს ევროპისა და წყნარი ოკეანის სარტყელის ქვეყნებს (ავსტრალია, ახალი ზელანდია და იაპონია), აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას. ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნები სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისაკენ მიმავალ სახიფათო ბილიკზე უდიდეს დაბრკოლებებს აწყდებიან. ყველაზე ცუდ შემთხვევებში, ეკონომიკა განიცდის მკვეთრ ვარდნას, მთავრობა უაღრესად წარუმატებელია, საზოგადოება ნაწილებად იხლიჩება და მთელი მოსახლეობა ჩათრეულია სწორედ იმგვარ კოშმარულ სამოქალაქო ომში, რომელსაც ცნობილი ინგლისელი პოლიტიკის ფილოსოფოსი თომას ჰობსი მეჩვიდმეტე საუკუნეში მოიაზრებდა როგორც „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“. ამგვარი საშინელი წინასწარმეტყველება რეალობად იქცა ისეთ ადგილებში, როგორიცაა ყოფილი იუგოსლავია, ავღანეთი, აფრიკის ქვეყნები (მათ შორის სომალი, რუანდა, კონგო და სიერა-ლეონე). იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ ის ექსტრემალური სირთულეები, რომლებსაც განვითარებადი ქვეყნები აწყდებიან, საჭიროა უფრო ახლოდან შევხედოთ ეგრეთ წოდებული „მესამე სამყაროს“ (ტერმინი, რომელიც კვლავ მოხერხებულია, მაგრამ დროის შესაფერისი აღარაა) პოლიტიკურ კონტექსტს.

განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაცია

ადამიანები პირობით აღნიშვნებს ან ჟარგონებს, როგორც სემანტიკურ ინსტრუმენტს, ყოველდღიურ საუბრებში ხშირად იყენებენ. ამასთან, ეს ტერმინები ბანალურობის ელფერს იძენს, ხშირად მათი გამოყენება სასარგებლო არ არის. სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე განვითარებადი ქვეყნების „მესამე სამყაროდ“ მოხსენიებისას. ეს ტერმინი ცივი ომის დროს პოპულარული კლასიფიკაციის სქემიდან მომდინარეობს, როდესაც ***პირველი სამყარო*** ჩრდილო-ამერიკის, დასავლეთ

ევროპის, იაპონიის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის მოწინავე ინდუსტრიული დემოკრატიებისაგან შედგებოდა, ხოლო ***მეორე სამყარო*** კომუნისტურ ქვეყნებს აერთიანებდა და მოიცავდა ყოფილ საბჭოთა კავშირს, მის სატელიტურ ქვეყნებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, სხვადასხვა კომუნისტურ სახელმწიფოებს აზიაში, კუბასა და ჩინეთს. ყველა სხვა დანარჩენი ქვეყანა, რომელიც არც ეკონომიკურად განვითარებული და არც კომუნისტური იყო, ***მესამე სამყაროდ*** იწოდებოდა. ასეა თუ ისე, კომუნიზმის კრახისა და ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებში ტრანსფორმაციის დაწყების შედეგად (იხ. თავი VII) მესამე სამყაროს ცნებას აზრი დაეკარგა – თუკი მეორე სამყარო გაქრა, მესამე როგორ იარსებებს (თუ მესამე სამყარომ მეორის ადგილი დაიკავა მაშინ, როცა მეორე ჯერაც არ შერწყმია პირველს?). ტერმინი კვლავ გამოიყენება, თუმცა უკვე იშვიათად.

განვითარებად ქვეყნებს „სამხრეთსაც“ უწოდებდნენ, რაც ეკვატორის ჩრდილოეთით მდებარე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებსა და სამხრეთის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის უდიდეს უთანასწორობას ასახავს. ზოგიერთ დამკვირვებელს მიაჩნია, რომ ჩრდილოეთის მდიდარი ერები ეკონომიკურ ექსპლუატაციას უწევენ სამხრეთის ღარიბ ერებს, რასაც „ჩრდილოეთისა და სამხრეთის“ კონფლიქტსაც კი უწოდებენ. ამგვარი კატეგორიზაცია დამაბნეველია. „ჩრდილოეთად და სამხრეთად“ დაყოფის სიტყვა-სიტყვით განმარტება გულისხმობს არა მარტო სამხრეთის ეკონომიკურად ღარიბ ქვეყნებს, არამედ აგრეთვე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასაც – ორ ქვეყანას, რომლებიც აშკარად იგივე კატეგორიას მიეკუთვნებიან, რასაც დასავლეთ ევროპის მდიდარი ლიბერალური დემოკრატიები. ეროვნული სიმდიდრის, პოლიტიკური ინსტიტუტების და საერთაშორისო სტატუსის მიხედვით, ისეთი განსხვავებული ქვეყნები, როგორებიცაა საუდის არაბეთი, სამხრეთ აფრიკა და ბრაზილია არ შეესაბამებიან ჩრდილოეთის და სამხრეთის პარადიგმას. ასევე სამხრეთი კორეა, ტაივანი, ჰონკონგი და სინგაპურიც.

ჩვენ ვუყურებთ განვითარებად სამყაროს და გვიჩნდება კითხვა „ვინ?“. რომელია იმ სამყაროს ქვეყნები, რომელიც განვითარების სირთულეებს გადის? სინამდვილეში, ყველა ქვეყანა ან ვითარდება, ან ინგრევა. ის, რაც ზოგადად ტერმინ „განვითარებად ქვეყნებში“ იგულისხმება, არის შემდეგი: მსოფლიოს ხალხთა (ერთა) უმეტესობას არა აქვს განათლების, დასაქმების, დასვენების, მოგზაურობის ან ჭარბი მოხმარების საშუალება, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი (არა მარტო დასავლეთის, არამედ იაპონიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და რამოდენიმე სხვა ქვეყნისთვისაც). უფრო მეტიც, მრავალი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის კარგი მთავრობით, ანუ პასუხისმგებლობის მქონე, სტაბილური და სუფთა (არაკორუმპირებული) მთავრობით. შედეგად, როდესაც ვამბობთ, რომ ქვეყანა ვითარდება, ვგულისხმობთ, რომ ის ჯერ არაა ჭეშმარიტად მოდერნიზებული (დასავლეთის ქვეყნების ანალოგიურად) და ვვარაუდობთ, რომ როდესაც (თუ) ეს ქვეყნები განვითარდებიან, ისინი უფრო და უფრო მეტად დაემსგავსებიან შეერთებულ შტატებს (ურბანიზაციის, სეკულარიზაციის, მატერიალიზმისა და ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების თვალსაზრისით).

განვითარებადი ქვეყნების შესწავლა

განვითარებადი ქვეყნების მარტივად განზოგადება შეუძლებელი თუ არა, ძალზე რთულია. არ არსებობს იმ ქვეყნების კატეგორიებად დაყოფის ადვილი გზა, რომლე-

ბიც დედამიწის ზედაპირის თითქმის ნახევარს ფარავენ და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენენ[1] (იხ. ცხრილი 8-1). უხეშად რომ ვთქვათ, დედამიწაზე არსებული 190 ქვეყნიდან 115-ს შეიძლება განვითარებადი ეწოდოს; ამათგან მთელი 40% საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაზე მოდის; თითქმის 25% ლათინურ ამერიკაზე, ხოლო დანარჩენი სრულიად თანაბრად ნაწილდება აზიის, წყნარი ოკეანის აუზის და არაბული სამყაროს ქვეყნებზე (ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა). სინამდვილეში, მრავალფეროვნება განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია. ზოგიერთი მათგანი უზარმაზარია – ბრაზილიის ტერიტორია სამ მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს (უფრო დიდია, ვიდრე კონტინენტური შეერთებული შტატები), ხოლო მოსახლეობა კი – 160 მილიონს; ინდოეთში კი მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მცხოვრები მოსახლეობა მილიარდს აჭარბებს.

ეს გიგანტები კონტრასტულად განსხვავდებიან ისეთი ძალიან პატარა კუნძულისახელმწიფოებისაგან, როგორიცაა ბარბადოსი (ტერიტორია 166 კვადრატული კილომეტრი; მოსახლეობა 252 ათასი) კარიბის ზღვაში; კირიბატი (ტერიტორია 266 კვადრატული კილომეტრი; მოსახლეობა 61 ათასი) წყნარ ოკეანეში. წყნარი ოკეანის კუნძული ნაურუ ალბათ ყველაზე „ჯუჯა“ სახელმწიფოს პრიზს მიიღებდა. აქ 8000 ადამიანი ცხოვრობს ათ კვადრატულ კილომეტრზე. ნაურუ შეიძლება პატარაა, მაგრამ არა ღარიბი: ფოსფორის ექსპორტით ერთ სულ მოსახლეზე მისი ყოველწლიური შემოსავალი 20.000 დოლარს აჭარბებს.

ნაურუ განვითარებად სამყაროში გამონაკლისია – აქ, ზოგადად, სიღარიბე ბატონობს. განვითარებადი ეკონომიკების უმეტესობა ჯერ კიდევ უშუალოდ არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. მხოლოდ რამოდენიმე მათგანის ეკონომიკა ეყრდნობა მინერალურ რესურსებს, ძირითადად სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარი ქვეყნები (ბაჰრეინი, ქუვეითი, ომანი, საუდის არაბეთი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები).

მცირე გამონაკლისის გარდა, განვითარებად ქვეყნებზე მოდის მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის უდიდესი ტემპი (მსოფლიოს მოსახლეობის ყოველწლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 1.48%-ია; ამ ტემპით, იგი ორმოცდარვა წელიწადში გაორმაგდება). მოსახლეობის მკვეთრი ზრდა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურებს შეიძლება უზარმაზარ ტვირთად დააწვეს და ხელი შეუშალოს მათ განვითარებას.

შედარებები ხშირად სიურპრიზებს გვთავაზობს. მაგალითისათვის, მექსიკის მოსახლეობა დაახლოებით ისეთივე სისწრაფით იზრდება, როგორც ინდოეთისა. აზიაში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი ცხოვრობს, მაგრამ მხოლოდ მისი ტერიტორიის 18 პროცენტზე. აზიისა და ეგვიპტის გარდა, რომლის მოსახლეობაც მდინარე ნილოსის გასწვრივაა განსახლებული, მოსახლეობის სიმჭიდროვე განვითარებად ქვეყნებში შედარებით დაბალია. აფრიკის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე მხოლოდ 24 ადამიანია კვადრატულ კილომეტრზე, განსხვავებით ინდოეთისა (სადაც ეს მაჩვენებელი 296-ია) და სინგაპურისაგან (5571). ისრაელში მოსახლეობის ზუსტად ისეთივე სიმჭიდროვეა, როგორც ინდოეთში, თუმცა ისრაელი ჯერ კიდევ მიესალმება ემიგრანტებს. ამას გარდა, ამგვარი ციფრები არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, ტერიტორიის რა ნაწილია საცხოვრებლად ვარგისი (მაგალითად, ურბანიზაციის შემთხვევაში). აღსანიშნავია, რომ აფრიკას შედარებით მეტი

სახნავ-სათესი მიწა აქვს ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე ნებისმიერ სხვა განვითარებად რეგიონს. ამავდროულად, მოსახლეობის ზრდის ტემპი საჰარის მიმდებარე აფრიკის ქვეყნებში (მათ შორის სომალი, უგანდა, კონგო, ნიგერია, ანგოლა და ბურკინა-ფასო) ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი მოსახლეობა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზეა; იემენი და ავღანეთი, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზეა. მთლიანობაში, ისლამური და არაბული მოსახლეობა დემოგრაფიული აფეთქების მსგავსს განიცდის. მუსლიმთა რაოდენობა ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიის ქვერეგიონში, ზოგიერთი გამოთვლის მიხედვით, 1,5 მილიარდს უახლოვდება.

გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური სოციალური და პოლიტიკური განვითარება მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში არ ხდება. მართლაც, ერთდროული განვითარება და დაღმასვლა მთელი მსოფლიოსთვისაა დამახასიათებელი – არცერთი მათგანი არ არის სტატიკური. მაგრამ განვითარება არათანაბრად ხდება; ზოგიერთი ერი, როგორიცაა ავღანეთი, ბანგლადეში, ბურუნდი, ჩადი, კონგო, ერიტრეა, ეთიოპია, გვინეა-ბისაუ, მალი, მალავი, მიანმა, რუანდა, სიერა-ლეონე, სომალი და სუდანი, უაღრესად ღარიბი და გაჭირვებულია (ყურადღება მიაქციეთ, ამ ღარიბთა შორის უღარიბეს ქვეყანათა ჩამონათვალში რამდენი მდებარეობს საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში). ეს გლობალური უთანასწორობა კონფლიქტებისა და ძალადობის პოტენციური წყაროა, ისევე, როგორც უფრო მაღალი კატეგორიის მორალური საკითხი.

რატომ არიან ღარიბი ქვეყნები ღარიბები? განიცდიან თუ არა ისინი რესურსების ნაკლებობას? იქნებ ეს ბუნების სასტიკი ხუმრობაა? იქნებ, დასავლეთია დამნაშავე (კოლონიალიზმი და ნეოკოლონიალიზმი)? ეს კითხვები შემდეგ თავებშია განხილული.

კოლონიალიზმის მემკვიდრეობა

გაერთიანებული ერების ორგნიზაციის დღევანდელ წევრთაგან 1800 წელს მხოლოდ 23 ქვეყანა იყო დამოუკიდებელი. ამ სახელმწიფოთა ნახევარზე მეტი ევროპაშია; სიას ავღანეთი, ჩინეთი, ეთიოპია, იაპონია, ირანი, ნეპალი, ომანი, რუსეთი, ტაილანდი, თურქეთი და შეერთებული შტატები აგვირგვინებს[2]. მას შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვი რვაჯერ (და უფრო მეტადაც) გაიზარდა. მეორე მსოფლიო ომი (1945-1949) წარმოადგენდა მიჯნას, ვინაიდან მან ევროპული კოლონიური იმპერიები სწრაფ დაშლამდე მიიყვანა. დღეს არსებული ქვეყნების ნახევარზე მეტი უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე წარმოიშვა და მათი უმრავლესობა შეიძლება განვითარებად ქვეყნად ჩაითვალოს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ უშუალოდ გამოიწვია ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. მეორე ტალღა ზოგიერთი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს დეზინტეგრაციის ან დაყოფის შედეგად წარმოიქმნა (მაგალითად ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია). 1994 წლისთვის, დეზინტეგრაციის პროცესის შედეგად დაახლოებით 25 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა.[3] საუკუნეების მანძილზე ევროპის ზესახელმწიფოები მსოფლიოს უშორეს კუთხეებში განლაგებული, სუსტი და ტექნოლოგიურად ნაკლებად განვითარებული ხალხებისა და ტერიტორიების კოლონიურ მპყრობ-

ელობაში, მართვასა და გამგებლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეს კოლონიური სამფლობელოები არა მხოლოდ პრესტიჟის, არამედ (რაც უფრო მნიშვნელოვანია) ეკონომიკური უპირატესობის წყაროსაც წარმოადგენდა. მიზეზთა და მიზეზთა გამო აფრიკა კოლონიზაციისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო და ევროპულმა ძალებმაც მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე ფაქტობრივად მთელი აფრიკა დაინაწილეს და მიითვისეს. მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, პორტუგალია, ჰოლანდია, იტალია და ესპანეთი (ისევე, როგორც თურქეთი) ***კოლონიალიზმის*** ან იმპერიალიზმის ერთგულნი იყვნენ. სახელის მიუხედავად, ეს ევროცენტრული სისტემა ადგილობრივი აფრიკელი, აზიელი და ლათინოამერიკელი ხალხის თვალში „ფერმკრთალი უცხოელების“ მიერ დაქვემდებარებისა და ექსპლოატაციისა სინონიმად იქცა.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, რომ კოლონიალიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა ევროპელების ბატონობა ადგილობრივ ხალხზე და რომ იგი ეფუძნებოდა რასობრივი უპირატესობისა და რელიგიური სწრაფვების ღია და დაფარულ წარმოდგენებს. ასეა თუ ისე, კოლონიზატორთა ძალების მიერ გამოყენებულ მეთოდებსა და საშუალებებს შორის უდიდესი განსხვავება არსებობდა. მაგალითად, ბრიტანული მიდგომა ხაზს უსვამდა კანონის უზენაესობას და ბევრად უფრო რბილი იყო, ვიდრე ესპანური კოლონიური მმართველობა, რომელიც სისასტიკით გამოირჩეოდა. პორტუგალიელები და ფრანგები ცდილობდნენ კოლონიური ხალხების ასიმილირებას (მაგალითად, ფრანგები ალჟირელებს ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში და ნაციონალურ კაბინეტში ადგილებით აჯილდოვებდნენ), მაშინ როცა ჰოლანდიელები ნებას რთავდნენ ადგილობრივ მმართველებს ძალაუფლება შეენარჩუნებინათ. ბრიტანეთი ორივე ამ სტრატეგიას მისდევდა, ითვალისწინებდა რა ადგილობრივი ავტორიტეტების შეხედულებებს, რათა მათ შეენარჩუნებინათ სამართლიანობა და წესრიგი და, ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ნიჭიერ წარმომადგენლებს საჯარო ადმინისტრაციაში კარიერის გაკეთების, ბრიტანულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში სწავლის საშუალებას აძლევდა.[4]

მიუხედავად ამისა, კოლონიური ხალხების უმრავლესობისათვის შემზარავი იყო იმის გააზრება, რომ შორეული ქვეყნის მიერ ხარ მართული. მათ საბოლოოდ, ძირითადად, ძალადობის მრავალი ფორმის გამოყენებით მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ინდოეთში მაჰათმა განდი წარუძღვა ა***რაძალადობრივი წინააღმდეგობის*** საერთოეროვნულ კამპანიას (სატიაგრაჰა) - ეს მეთოდი, რომელსაც აგრეთვე ***სამოქალაქო დაუმორჩილებლობას*** უწოდებდნენ, მოგვიანებით, 1960-იან წლებში მარტინ ლუთერ კინგ უმცროსის, შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებათა მოძრაობის დიდი ლიდერის მიერ იქნა გამოყენებული (საინტერესოა, რომ ორივე, განდიც და კინგიც, მოკლეს).

კოლონიალიზმის საბოლოო მემკვიდრეობა წინააღმდეგობრივი რჩება. პოზიტიური მნიშვნელობა აქვს ევროპელების მიერ მოდერნიზაციის ზოგიერთი ელემენტის გავრცელებას, რაც ჯანდაცვის (საავადმყოფოები), განათლების (სკოლები) და ტრანსპორტის (გზები) უმნიშვნელო გაუმჯობესებას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, ამ ცვლილებათა გავლენა ხშირად საკმაოდ შეზღუდული იყო და ეკონომიკური და პოლიტიკური თვითკმარობის, აგრეთვე ცხოვრების ტრადიციული გზების ხარჯზე ხდებოდა. ამასთან, ნებისმიერი მოგება დანაკარგებთან მიმართებაში იზომება. დანაკარგები კი ძალიან დიდია: შეურაცხყოფა, ჩაგვრა, ავადმყოფობები (ევროპელების მიერ გავრცელებული ეპიდემიური დაავადებები, რომელსაც ადგი-

ლობრივი მოსახლეობა ეწირებოდა), – ეს ყველაფერი კოლონიურ მმართველობას უკავშირდება.[5]

სადავო ხდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განვითარებადი ქვეყნები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც მდიდარი დასავლური ქვეყნების ექსპლოატაციის ქვეშ რჩებიან. მაგალითისთვის, ე.წ. დამოკიდებულების თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ განუვითარებლობა არაა ბუნებრივი მოვლენა, იგი დასავლური ექსპლოატაციის შედეგია. ისინი ასკვნიან, რომ ჯერ ბუნებრივი რესურსების იაფად მიღებით, შემდეგ კი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით ამ რესურსების ძვირადღირებულ პროდუქტებად გარდაქმნით ინდუსტრიულმა ქვეყნებმა არა მარტო ექსპლოატაცია გაუწიეს განვითარებად ქვეყნებს, არამედ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ისინი სუსტებად და ღარიბებად დარჩენილიყვნენ. სხვა მკვლევარები უარყოფენ ამ მოსაზრებას და განვითარებადი ქვეყნების მძიმე მდგომარეობის მიზეზად ისეთ ენდემურ ფაქტორებს მიიჩნევენ, როგორებიცაა კლიმატი და ბუნებრივი რესურსები, სახნავ-სათესი მიწა, მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი ზრდა, ეპიდემიები, ეთნიკური წინააღმდეგობები და ღირებულებები.

კოლონიალიზმის შედეგები თანამედროვე მსოფლიოშიც გვხვდება. კოლონიური იმპერიები მანამდე არსებული ეთნიკური იდენტობების, ტერიტორიული საზღვრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ლოიალურობის გათვალისწინების გარეშე შეიქმნა. როდესაც ევროპულმა ძალებმა უკან დაიხიეს, მათ წარმოშვეს უაზრო, ახალი, ნაგლეჯ-ნაგლეჯი სახელმწიფოები, რომელთა საზღვრებიც სრულიად გაუაზრებელი იყო, ვინაიდან ისინი ტრადიციულ რელიგიებს, ეთნოსებს და ტომობრივ-ტერიტორიულ ხაზებს კვეთდნენ. მოსალოდნელმა შედეგმაც არ დააყოვნა: ქრონიკული პოლიტიკური არასტაბილურობა, გადატრიალებები, რევოლუციები, სამოქალაქო ომები და თვით გენოციდიც კი. კოლონიალიზმის ამ მწარე მემკვიდრეობამ გასულ წლებში მრავალი განვითარებადი სახელმწიფო დაღუპა, მათ შორის ანგოლა, ბურუნდი, კამბოჯა (ყოფილი კამპუჩია), კონგო (ყოფილი ზაირი), ეთიოპია, ლიბერია, ნიგერია, რუანდა, სიერა-ლეონა და შრი-ლანკა.

პოლიტიკური განვითარება: ოთხი სირთულე

ქვეყნები, რომლებიც მოდერნიზაციის სტრატეგიებს მისდევენ, ცდილობენ დააფუძნონ სტაბილური მთავრობა; უზრუნველყონ საჯარო მომსახურება (პოლიცია, სახანძრო სამსახური, განათლება, ჯანდაცვა და სანიტარული პირობები); დაამკვიდრონ სამართლებრივი სისტემა (კანონები და სასამართლოები). ეს ელემენტები პოლიტიკური განვითარების მინიმალური და სოციალური და ეკონომიკური პროგრესის წინაპირობაა. თუმცა, ამ მიზნების მიღწევა, ფართოდ გავრცელებული კორუფციის, სიღარიბის, გაუნათლებლობის და უთანხმოების პირობებში, იმგვარ სირთულედ იქცევა, რომელსაც ძალიან ცოტა განვითარებადი სახელმწიფო თუ ართმევს თავს.

ვინაიდან განვითარების პროცესი თავისთავად რყევებით ხასიათდება, მრავალი განვითარებადი სახელმწიფოს მთავრობა ხშირად ქრონიკულად არასტაბილურია. ეს მთავრობები თითქმის ყოველთვის ავტორიტარულია, მიდრეკილია გადატრიალებებისაკენ და კრიზისებითაა გარემოცული. განვითარებადი ქვეყნების წინაშე, როგორც წესი, ოთხი ფუნდამენტური სირთულეა: ერის ჩამოყალიბება, სახელმწიფოს მშენებლობა, მონაწილეობა (ჩართულობა) და გადანაწილება.[6]

ამ სირთულეთაგან უმთავრესი ***ერის მშენებლობაა***, პროცესი, რომლის შედეგადაც მოცემული ტერიტორიის ყველა მაცხოვრებელი, მიუხედავად თითოეული მათგანის ეთნიკური, ტომობრივი, რელიგიური ან ლინგვისტური განსხვავებებულობისა, საკუთარი თავის იდენტიფიცირებას სახელმწიფოს სიმბოლოებთან და ინსტიტუტებთან ახდენს და საერთო ბედის განცდას იზიარებს. თეორიულად, ეროვნულობის ახალი განცდა, რასაც ახალი ერი ჰქვია, პროცესის ბოლოს ყალიბდება. მაგრამ, პრაქტიკულად, განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი, უდიდესი მრავალფეროვნების გამო ეს მიზანი უაღრესად რთულად მიღწევადი რჩება.

ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა ვერ გაუმკლავდა ამ სირთულეს, რასაც შედეგად მტანჯველი სამოქალაქო ომები და ზოგი ქვეყნის დაშლაც კი მოჰყვა. ასეთი ქვეყნის მაგალითებია პაკისტანი (ბანგლადეში 1971 წლამდე აღმოსავლეთ პაკისტანი იყო) და კონგო (ყოფილი ზაირი). სამოქალაქო ომებმა გააჩანაგა აგრეთვე ნიგერიის, ჩადის, ანგოლის, რუანდას და სომალის საზოგადოებები – და ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

ხშირად პოლიტიკური ლიდერები შიდა დაპირისპირებებისაკენ ამ გამაოგნებელ მიდრეკილებას კოლონიალიზმსა და იმპერიალიზმს აბრალებენ. ასევე, ხშირად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თავისთავად ხდება საერთო მიზეზით ახალი ერის გაერთიანების საშუალება. დროშები, აღლუმები და თვით ეროვნული ავიახაზებიც კი (რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთი ან ორი სამგზავრო თვითმფრინავისაგან შედგებოდეს, რომელსაც ზედ ქვეყნის სახელი და ფერები ექნება გამოხატული) შეიძლება ეროვნული იდენტობის გრძნობის გაჩენას ეხმარებოდეს. მეზობელი სახელმწიფოებისაგან მომდინარე საფრთხე – რეალური, მოჩვენებითი თუ გამოგონილი – შეიძლება აგრეთვე სასარგებლო აღმოჩნდეს. დაბოლოს, ქარიზმატული ეროვნული ლიდერის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლადია. საგულისხმო მაგალითებია ეგვიპტელი გამალ აბდელ ნასერი (რომელიც ქვეყანას1954 წლიდან 1970 წლამდე მართავდა), კენიის ჯომო კენიატა (1963-1978), ინდოეთის ჯავაჰარლალ ნერუ (1947-64), ინდონეზიელი ახმედ სუკარნო (1949-65) და ლიბიელი მუამარ კადაფი, რომელიც კვლავ ხელისუფლებაშია.

პოლიტიკური განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ***სახელმწიფოს მშენებლობა*** – პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა, კერძოდ კი ცენტრალური მთავრობისა, რომელიც მთელ საზოგადოებაზე შეძლებს ძალაუფლების განხორციელებას. ***პოლიტიკური შეღწევის*** ეს ტიპი ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ინფრასტრუქტურის შექმნა (გზები, ხიდები, სატელეფონო ხაზები) ხელს უწყობს ინტეგრირებული ეროვნული ეკონომიკისათვის აუცილებელ ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ ერთობას. ამგვარი ინფრასტრუქტურის შექმნის დასაფინანსებლად მთავრობას, როგორც მინიმუმი, გადასახადების დაწესება და შეგროვება უნდა შეეძლოს (ეფექტიანი მთავრობის მახასიათებელი). მაგრამ განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს ხშირად არ შეუძლიათ გადასახადებისაგან ადეკვატური შემოსავლების მიღება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დასაბეგრი არაფერია (ან არასაკმარისადაა). ესაა „მოჯადოებული წრე“, რომლისაგან თავის დაღწევაც მხოლოდ უცხოური კაპიტალის შემოდინებით შეიძლება (ვაჭრობა, დახმარება და, რაც მთავარია, ინვესტიციები). მაგრამ უცხოური ინვესტიციები (გარე ცვლადი) დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე (შიდა ცვლადი). განვითარებად ქვეყნებში „მოჯადოებულ წრეთა“ ყველა სახეობა გვხვდება.

კიდევ ერთი სირთულე, რომლის წინაშე განვითარებადი ქვეყნები ჯერ კიდევ დგანან, ***მონაწილეობაა***. იმისათვის, რომ ახალი საზოგადოებები ეკონომიკურად

გაიზარდოს და აყვავდეს, ხალხი განვითარების პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული. განვითარების ნებისმიერი, კარგად გააზრებული სტრატეგიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ხალხის მობილიზება, საზოგადოების ერთი კონკრეტული მიმართულებით წასაყვანად. მაგრამ მობილიზაცია პოლიტიკურ დილემას აჩენს: ვინაიდან მობილიზებული ხალხი უფრო აქტიურადაა ჩაბმული პოლიტიკაში და განიცდის მთავრობის (კარგ ან ცუდ) ზეგავლენას, ის მმართველის არჩევასა და მმართველობის ფორმის განსაზღვრაში უფრო მეტი ხმის უფლებას ითხოვს. თუკი მონაწილეობის სახალხო მოთხოვნა წინ უსწრებს ინსტიტუტების განვითარებასა და მთავრობის შესაძლებლობას – მოახდინოს პოზიტიური რეაგირება, სახელმწიფოს ეპიზოდური და ქრონიკული არასტაბილურობის სერიოზული საფრთხე დაემუქრება. აქედან გამომდინარე, მონაწილეობის გამოწვევაა: როგორ იქნეს გამოყენებული სახალხო ენერგია ისე, რომ არ ამოძრავდნენ პოლიტიკური დეზინტეგრაციისა და რევოლუციის ძალები.

აზრიანი მონაწილეობა პოლიტიკურ ორგანიზაციას საჭიროებს. აგრარულ საზოგადოებებში სახალხო მონაწილეობის მანადმე არსებული მოდელები ხშირად ნათესაურ კავშირებსა და (განსაკუთრებით აზიაში) ***პატრონ-კლიენტელურ ურთიერთობებზეა*** დაფუძნებული. ამ უკანასკნელში, „პატრონები“ გავლენიანი ფიგურებია, რომლებიც თავიანთ სტატუსს, სიმდიდრესა და პოლიტიკურ კავშირებს ეროვნულ და პროვინციულ დონეებზე იყენებენ, რათა უზრუნველყონ მატერიალური სარგებელი„ კლიენტებისთვის“ (სამსახურები, სკოლები, გზები და ა.შ). საპასუხოდ, „კლიენტები“ მხარს უჭერენ „პატრონებს“, რაც ამ უკანასკნელთ პოლიტიკური საქმიანობისათვის ესაჭიროებათ. ამგვარ დამოკიდებულებაში იგულისხმება ლოიალური მხარდაჭერა, ფიზიკური დაცვა, ნატურალური გადახდა (მაგალითად, მოხალისეთა შრომა), და საარჩევნო ხმები. ვინაიდან სოციალური სისტემა იერარქიულია, ერთ დონეზე „პატრონები“ მეორე დონეზე „კლიენტები“ არიან. განვითარებას კი იწვევს ურთიერთდაკავშირებული პერსონალური ლოიალურობის ჩახლართული ქსელი, რაც ნათესაურ, კულტურულ ან გეოგრაფიულ კავშირებს ეფუძნება. ამგვარად, იქმნება ექსკლუზიური ინტერესთა ჯგუფები, რომელთა მეშვეობითაც პოლიტიკური მოთხოვნე-ბი, ინსტრუქციები და გადაწყვეტილებები შეიძლება გადაიცემოდეს როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურადაც. „პატრონ-კლიენტელური“ ურთიერთობების ექსკლუზიური და პარტიკულარული ხასიათიდან გამომდინარე, ვითარდება ქსელების სისტემა, რომელშიც თითოეული ქსელი აყალიბებს დახარისხების პოლიტიკურ „მექანიზმს“. ამ სტრუქტურათაგან თანამედროვე პოლიტიკური სისტემის პროტოტიპი შეიძლება შეიქმნას (თუმცა, დასავლეთის სამართლებრივი პოლიტიკური კულტურისგან საპირისპირო პრინციპებზე დაფუძნებული).

მეოთხე მიშვნელოვანი სირთულე განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისათვის არის გადანაწილება – იმის უზრუნველყოფა, რომ არ მოხდეს სიმდიდრის, საკუთრებისა და ძალაუფლების ზედმეტი კონცენტრირება, რაც ხშირად ახასიათებს ტრადიციულ და გარდამავალ საზოგადოებებს. რესურსების ამგვარ ზედმეტ კონცენტრირებას უსამართლობის განცდის გავრცელება და მასიური ამბოხების გამოწვევა შეუძლია (იხ. თავი XIV). უსამართლობის ამგვარი განცდა ხშირად დაკავშირებულია გრძნობასთან, რომ საზოგადოებრივი სიკეთეები უსამართლოდაა განაწილებული (მდიდრები ექსპლუატაციას უწევენ ღარიბებს) და რომ რევოლუცია რეალური ცვლილებების მოხდენის ერთადერთი გზაა. მარქსისტული თეორიისა და იდეოლოგიის გავლენა ხშირად იგრძნობა არა მხოლოდ კომუნისტურ ჩინეთსა და ვიეტნამში, არ-

ამედ აგრეთვე ისეთ შორეულ და მოულოდნელ ადგილებში, როგორებიცაა იემენი, ანგოლა, ეთიოპია, კამბოჯა, ლაოსი, ინდონეზია, ფილიპინები, ჩილე, კუბა, ნიკარაგუა, ელ სალვადორი და კოლუმბია (ეს გრძელი ჩამონათვალიც კი არასრულია). მთავრობები გადანაწილების გამოწვევას ზოგჯერ მიწის რეფორმის მეშვეობით პასუხობენ. ამის შემდგომ ისინი ახდენენ საგადასახადო ტვირთის კორექტირებას და შეიძლება თვით სოციალური კეთილდღეობის კანონმდებლობაც კი აამოქმედონ. მაგრამ ამგვარი ნაბიჯები დამოკიდებულია ეკონომიკური წარმატების მაჩვენებლებზე, რომლებიც ყოფილ კოლონიებს ხშირად არ წყალობს.

დემოკრატია და განვითარებადი ქვეყნები

როგორც ვნახეთ, პოლიტიკურ განვითარებას უფრო ფართო პოლიტიკური მონაწილეობისკენ მივყავართ. მაგრამ მოითხოვს კი იგი ხელისუფლების დემოკრატიულ ფორმას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განვითარება და კონსტიტუციური დემოკრატია აუცილებლად მოითხოვს ერთმანეთს თუ არა? არის თუ არა დემოკრატიული ხელისუფლება პოლიტიკური განვითარების თავისთავადი ნიშანი? როგორც III თავში აღვნიშნეთ, პასუხისმგებლობის გრძნობა კონსტიტუციური დემოკრატიის თვისებაა. თუმცა დემოკრატიული სახელმწიფოები მაინც შეზღუდულები არიან ზოგიერთ უფლებასთან, წესთან, კანონთან და, რასაკვირველია, საზოგადოებრივ აზრთან დაკავშირებულ ქმედებაში. ასე რომ, დემოკრატიის და განვითარების თანაარსებობა ხშირად ადვილი არ არის.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ხელისუფლება არც დემოკრატიულად არის არჩეული და არც სამოქალაქო თავისუფლებების თავგადაკლული დამცველია. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერების უმრავლესობას სამხედროები მართავენ ან აკონტროლებენ. სამოქალაქო ხელისუფლებები კი, როგორც წესი, ავტორიტარულია და (დამფუძნებელი) მამა-მარჩენალის ისეთი ფიგურის გარშემოა შემოკრებილი, როგორებიც იყვნენ ჯომო კენიატა (კენია), ჯოშუა (კვამე) ნკრუმა (განა), გამალ აბდელ ნასერი (ეგვიპტე), ჯავაჰარლალ ნერუ (ინდოეთი) და ახმედ სუკარნო (ინდონეზია).

დასავლელი დამკვირვებლებისათვის დამახასიათებელი ტენდენციის მიხედვით დემოკრატია პოლიტიკური განვითარების ნიშნად აღიქმება. დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობა განვითარებული ერია, თუმცა არა ყველა; არც ყველა განვითარებული ერია აუცილებლად დემოკრატიული, თუმცა უმრავლესობა არის. მაგრამ ფაქტი სახეზეა – წარმომადგენლობითი დემოკრატია ერთ-ერთია იმ მრავალ მახასიათებელს შორის, რომლებიც პოლიტიკურად განვითარებულ ქვეყნებში ხშირად გვხვდება.

დემოკრატიის კოტეჯადმი

სტაბილური ხელისუფლების ჩამოყალიბება, რომელსაც ეფექტიანი მართვა შეეძლება, ადვილი ამოცანა არ არის. დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოყალიბება განსაკუთრებით გართულებულია იმ საზოგადოებებში, რომლებიც მოდერნიზაციის გამოწვევებს წააწყდნენ. იმისათვის, რომ სიცოცხლისუნარიანი იყოს, დემოკრატია გარკვეული მნიშვნელოვანი მახასიათებლების არსებობას მოითხოვს. განვითარებადი ერის მიერ დემოკრატიის მიღწევის პოტენციალის გაზომვის ერთ-ერთ გზას წარ-

მოადგენს დემოკრატიის კორელატებზე (დაკავშირებულ ცნებებზე) ფოკუსირება. სადაც ეს კორელატები ყველაზე დიდი რიცხვითი მნიშვნელობითა და სიდიდით არსებობს, იქ დემოკრატიის ალბათობა ყველა-ზე დიდია; და პირიქით, სადაც მათი სერიოზული ნაკლებობაა, იქ დემოკრატიას წარმა-ტების ყველაზე მცირე შანსი აქვს.[7]

ეკონომიკური კორელატები ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია:

- *ეროვნული სიმდიდრე.* კეთილდღეობა ზოგადად კავშირშია დემოკრატიასთან. სიღარიბე კი, პირიქით, დემოკრატიას ხელს არ უწყობს. მაგრამ თუ დემოკრატია ის ფუფუნებაა, რომელიც ღარიბი ერებისთვის არაა განკუთვნილი, როგორ ავხსნათ ინდოეთის შემთხვევა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოკრატიული, მეტისმეტად მრავალფეროვანი და ძალიან ღარიბია?
- *საბაზრო ან შერეული ეკონომიკა.* საბაზრო ეკონომიკა ითვალისწინებს წარმოების და განაწილების ფაქტორების როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებას. ასეთი ტიპის ეკონომიკურ სისტემაში მოსახერხებელია საბაზრო ეკონომიკის ელემენტების შერწყმა სხვადასხვა ფორმის და ხარისხის სახელმწიფოებრივ ინტერვენციასთან. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ასეთ სისტემაში ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც პროდუქციის და მომსახურების წარმოებას და განაწილებას ეხება, მთლიანად კერძო მესაკუთრეების და მომხმარებლების მიერ მიიღება. მსგავს გადაწყვეტილებებში ფართო მასშტაბის ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი დაგეგმარება არავითარ როლს არ თამაშობს.
- *საშუალო ფენა.* ეს კორელატი უფრო საზოგადოებაზე სიმდიდრის გადანაწილებას უსვამს ხაზს, ვიდრე მის ზოგად უთანასწორო განაწილებას. სოციალურ ფენებს შორის მკვეთრი განსხვავებები ხელს არ უწყობს დემოკრატიის სტაბილურობას.

პოლიტიკური კორელატებია:

- *კომუნიკაციის თავისუფლება.* დემოკრატია მოითხოვს გამჭვირვალობას (მხოლოდ უკიდურესად აუცილებელი ინფორმაცია უნდა იყოს გასაიდუმლოებული). ამდენად, განსხვავებული შეხედულებების თავისუფალი გაშუქება, პრესის თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა დემოკრატიის მნიშვნელოვანი კორელატებია.ამის საპირისპიროდ, იქ, სადაც პრესაზე ცენზურა ხორციელდება და ჟურნალისტებს ემუქრებიან ან აპატიმრებენ, დემოკრატიის განვითარება შეუძლებელია.
- *სტაბილური პარტიული სისტემა.* ეს პოლიტიკური კორელატი ხაზს უსვამს პოლიტიკური პარტიების არსებობის საჭიროებას, რათა მოხდეს სხვადასხვა ინდივიდთა და ჯგუფების ინტერესების რეპრეზენტაცია. სისტემის ეფექტიანობისათვის აუცილებელია ერთზე მეტი პარტიის არსებობა; ამავდროულად, თითოეულ პარტიას უნდა ჰქონდეს მოქ-

მედების თავისუფლება და არ უნდა განიცდიდეს ზეწოლას და მუქარას სახელმწიფოს მხრიდან.

- *სამოქალაქო კონტროლი სამხედრო სექტორზე.* ვინაიდან სამხედრო სექტორი განვითარებად სახელმწიფოებში ხშირად მიისწრაფის ძალაუფლებისკენ, ის სამოქალაქო წესრიგისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.
- *ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება.* დემოკრატიის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სამოქალაქო თავისუფლებების და უმცირესობების უფლებების დაცვა, რაც, თავის მხრივ, ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობაზეა დამოკიდებული.
- *პოლიტიკური და სოციალური პლურალიზმი.* მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შიგნით მკვეთრმა პოლიტიკურმა და სოციალურმა დაყოფამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დემოკრატიის განვითარებას, ხშირად მიიჩნევა, რომ განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფები და ნებაყოფლობითი გაერთიანებები (პროფკავშირები, სავაჭრო სამრეწველო გაერთიანებები, ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და რელიგიური დაწესებულებები, ამხანაგობები, სამოქალაქო გაერთიანებები, რომელთა მიზანია სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება და მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდა) წარმომადგენლობითი დემოკრატიული პოლიტიკური კომპრომისისათვის ლეგიტიმურ და აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.[8]

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოკულტურული კორელატი არის:

- *განსხვავებულ ინდივიდთა და ჯგუფთა მიმართ ტოლერანტულობა.* თუ გავითვალისწინებთ, რომ დემოკრატია მოითხოვს სხვათა უფლებების აღიარებას, სოციალური და კულტურული განსხვავებების პატივისცემა დემოკრატიული მთავრობის მნიშნელოვან კორელატს წარმოადგენს. შეუძლებელია დემოკრატიის განვითარება გავრცელებული საზოგადოებრივი უნდობლობის პირობებში, რომლის მიზეზი გამოკვეთილი ეთიკური, რელიგიური და ტრაიბალური განსხვავებებია.
- *დემოკრატიის მტკიცე რწმენა.* ეს კორელატი ახნას არ საჭიროებს: ხალხს ვერ აიძუ-ლებ, რომ თავისუფალი იყოს.

ბოლო წყვილი ისტორიული, ანუ გარემოებითი კორელატებისაა:

- *დემოკრატიის ადრინდელი გამოცდილება.* ზოგიერთ სახელმწიფოს, მაგალითად, ჩილეს, ეკვადორსა და ურუგვაის აქვსდემოკრატიული მმართველობის გამოცდილება. აქ დემოკრატიულ ხელისუფლებას პერიოდულად ცვლიდნენ ავტორიტარული მთავრობები. იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული მმართველობა საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაშია შემორჩენილი, დემოკრატიის განვითარების ალბათობა საგრძნობლად იზრდება.
- *დემოკრატიული სახელმწიფოების მეზობლობა.* მეზობელი წარმატე-

ბული ქვეყნების მმართველობის ფორმებს დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ესპანეთსა და პორტუგალიაის ხშირად ასახლებენ იმ ერების მაგალითად, რომელთა პოლიტიკურ მომავალზე დიდი გავლენა იქონია ევროპაში წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობამ.

ერთმა პოლიტოლოგმა დემოკრატიის კორელატთა ყოვლისმომცველ თეორიას *ძალაუფლების რესურსების განაწილების* თეორია უწოდა.[9] ეს ინდექსი მოიცავს ექვს სპეციფიკურ კორელატს, რომელთა მიზანია ერის შიგნით ეკონომიკური და ინტელექტუალური რესურსების განაწილების გაზომვა (ამ თეორიის მიხედვით, რაც უფრო დიდია გადანაწილება, მით მეტია დემოკრატიის განვითარების შანსი). ერთ-ერთი ასეთი საზომი დამოკიდებულია ურბანიზაციის დონეზე. თეორიულად, რაც უფრო მაღალია ურბანიზაციის დონე, მით უფრო მრავალფეროვანია ეკონომიკა, დასაქმების შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები და, შესაბამისად, ადგილი აქვს შემოსავლების უფრო მრავალფეროვან და ფართო გადანაწილებას. მეორე საზომი, რომელიც ეკონომიკური რესურსების სასურველ განაწილებასთან ასოცირდება, დამოკიდებულია საოჯახო მეურნეობათა პროცენტზე. უფრო რთული საზომები ზომავენ არააგრარული ეკონომიკის დეცენტრალიზაციის დონეს. დაბოლოს, ინტელექტუალური რესურსების განაწილების გასაზომად ხდება მოსახლეობის განათლების დონისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობრივი შეფასება.

დემოკრატიული სტრატეგიები

განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიული მმართველობის დანერგვა ადვილ ამოცანას არ წარმოადგენს. რა სტრატეგია უნდა გამოიყენოს დემოკრატიული ტრადიციის არმქონე სახელმწიფომ? ამ შეკითხვის აქტუალობას 1990-იანი წლების დასაწყისში ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოები აწყდებოდნენ. საკითხავია, ჯერ პოლიტიკური რეფორმები უნდა განხორციელდეს და მერე უნდა მოხდეს ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია საბაზრო ეკონომიკად (***„გლასტნოსტის“ პირველადობის მოდელი***) თუ ჯერ ეკონომიკური რეფორმები უნდა განხორციელდეს (***„პერესტროიკის“ პირველადობის მოდელი***)?[10] ერთი მხრივ, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მაგალითი, რომლებმაც ჯერ პოლიტიკური რეფორმები გაატარეს და უკიდურეს სოციალურ და ეკონომიკურ სიძნელეებს წააწყდნენ და, მეორე მხრივ, მექსიკის, ჩილეს, სამხრეთ კორეის, ჩინეთის, ტაივანის, სინგაპურის, ტაილანდის და მალაიზიის შედარებითი წარმატება, რასაც ამ ქვეყნებმა თავდაპირველად ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით მიაღწიეს, ამტკიცებს, რომ ჯერ ეკონომიკური რეფორმების გატარება უნდა მოხდეს. ამის ორი მთავარი მიზეზი არსებობს: პირველი, ძირითადი ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება მთავრობის უფრო ფუნდამენტურ ვალდებულებას წარმოადგენს, ვიდრე პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფა. თუ ხალხი მშიერი, ავადმყოფი და უსახლკაროა, სამოქალაქო უფლებები მას საერთოდ არ აინტერესებს. მეორეც, ეკონომიკის განვითარება უფრო ადრე ახდენს პოზიტიურ გავლენას ცხოვრების დონეზე, სოციალურ მომსახურებაზე, ინფრასტრუქტურასა და განათლების შესაძლებლობებზე, ვიდრე პოლიტიკური სტრუქტურების რეფორმირება.

დემოკრატია განვითარებად ქვეყნებში: ტენდენცია თუ იუნგზია?

1974-1990 წლებში სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ლათინური ამერიკის და აღმოსავლეთ აზიის ოცდაათ სახელმწიფოზე მეტი ავტორიტარულიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადავიდა. ერთ-ერთმა ცნობილმა მეცნიერმა ამ მოვლენას გლობალური რევოლუცია და მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა.[11] ყველაზე დრამატული ცვლილებები 1980-იან წლებში ლათინურ ამერიკაში მოხდა, სადაც სამხედრო დიქტატურები ერთიმეორის მიყოლებით შეიცვალა საყოველთაო არჩევნებში გამარჯვებული მთავრობებითა და მრავალპარტიული დემოკრატიული მმართველობებით. ასეთ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა ბრაზილიაში, არგენტინაში, ჩილეში და სხვა ქვეყნებში. ნიკარაგუასა და პანამაშიც მოხდა დიქტატურის ჩანაცვლება არჩეული მთავრობებით. მექსიკაში, სადაც მრავალი ათწლეულის მანძილზე დომინირებდა ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია, 2000 წელს პრეზიდენტად არჩეული იქნა ვისენტე ფოქსი; პრეზიდენტი ფოქსი ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე პირველი ოპოზიციონერი იყო, რომელიც ქვეყანას ჩაუდგა სათავეში.

შესაძლებელია თუ არა მომავალში პარალელურად წარიმართოს განვითარებისა და დემოკრატიზაციის ლათინურ ამერიკაში დემოკრატიის საბოლოო ტრიუმფზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო მთავრობები მწვავე წინააღმდეგობას აწყდებიან. რეგიონს მთავრობების უმრავლესობას ხან ერთი, ხანაც მეორე სახის დესტაბილიზაციასთან უწევს გამკლავება. დიდი საგარეო ვალის გარდა სახელმწიფოებს დიდ დარტყმას აყენებს უმუშევრობა, ინფლაცია, სავალუტო კრიზისი და სხვა უარყოფითი მოვლენები. 1990-იან წლებში ტერორიზმი დესტაბილიზაციას ქმნიდა პერუსა და მექსიკაში. კოლუმბია, რომელსაც უფრო ხანგრძლივი დემოკრატიული ტრადიციები აქვს ვიდრე ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობას, ძირითად სიძნელეებს ნარკობარონების დიდი გავლენის და მემარცხენე პარტიზანების გამუდმებული თავდასხმების გამო აწყდებოდა.

ისტორიაც გვიჩვენებს, რომ ლათინური ამერიკის დემოკრატიულობის შესახებ თამამი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება. რეგიონში ბოლო დრომდე მთავარ როლს სამხედრო ძალა თამაშობდა. 1980-იან წლებამდე ლათინური ამერიკის ძალიან ცოტა ქვეყანაში თუ იყო დემოკრატიული მმართველობა. ხშირად, საყოველთაო არჩევნები პლებისციტს ემსგავსებოდა, რითაც ავტორიტარული მმართველობისთვის მანდატს იღებდა. სხვა შემთხვევებში, კაუდილო (ძლიერი ლიდერი) სამხედრო მაღალჩინოსნების ხუნტები უბრალოდ აუქმებდნენ არჩევნების შედეგებს და ძალაუფლებას უკანონოდ იტაცებდნენ.

ადრეულ 1990-იან წლებში „დეფექტიანი“ დემოკრატია გავრცელდა საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაშიც.[12] 1990 და 1991 წლებში ამ რეგიონის სულ ცოტა ცხრა ქვეყანაში, მათ შორის ბენინში, კაბო-ვერდესა და გაბონში გაიმართა თავისუფალი არჩევნები, რაც ამ ქვეყნების უმეტესობისათვის პირველი შემთხვევა იყო. 1991 წლის მარტში ბენინის პრეზიდენტი გენერალი მეთიუ კერეკუ გახდა პირველი აფრიკელი ლიდერი, რომელიც მოსახლეობამ გადაირჩია. რეგიონის სხვა ქვეყნებმა, მათ შორის მოზამბიკმა და კონგომ, გაატარეს გამიზნული რეფორმები დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებისათვის. 1990-იან წლებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ განსაცვიფრებელი ცვლილებები განიცადა. შავკანიანი უმ-

რავლესობის მმართველობამ შეცვალა ბურების (ჰოლანდიელების) თეთრკანიანთა უპირატესობაზე დაფუძნებული მმართველობა. 1997 წლისათვის ბენინი, ბოცვანა, გვინეა-ბისაუ, მადაგასკარი, მალი, ნამიბია და სან ტომე, ისევე როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ნამდვილად მრავალპარტიული სახელმწიფოები იყვნენ, სადაც ადამიანის უფლებათა პატივისცემა და კანონის უზენაესობა არსებობდა.[13]

საჰარის სამხრთით მიმდებარე აფრიკის „დემოკრატიული რომანსი" უაღრესად მოუხეშავი და უწესრიგო აღმოჩნდა. ნიგერიელმა სამხედრო მმართველებმა 1993 წელს გააუქმეს არჩევნების შედეგები. კოტ-დივუარის მთავრობამაც იგივე გააკეთა (ნიგერიამ სწორი მიმართულებით სვლა საბოლოოდ 1999 წელს დაიწყო, როდესაც ოლუსეგუნ ობასანჯო 1983 წლის შემდეგ ქვეყნის პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი გახდა). 1992 და 1993 წლის არჩევნებს კენიაში, კამერუნსა და გაბონში არეულობებმა და კორუფციამ მიაყენა ჩრდილი. რუანდა 1994 წელს გენოციდის ასპარეზად იქცა. 1996 წელს სამხედრო მთავრობები ჩადიში, გამბიასა და ნიგერიაში ნაციონალური არჩევნებით მანიპულირებდნენ, რათა სასურველი შედეგისათვის მიეღწიათ. არც სხვა აფრიკული სახელმწიფოების საზოგადოებებია გამორჩეულად სტაბილური (და დემოკრატიისათვის ხელსაყრელი). ლიბერიამ და სიერა-ლეონემ საკმაოდ სისხლიანი სამოქალაქო ომები გადაიტანეს, ხოლო კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ყოფილი ზაირი) 1990 წლების ბოლოსათვის ანარქიამ მოიცვა. კლანობრივი და ტომობრივი დაპირისპირებები საფრთხეს უქმნის შიდა სტაბილურობას საჰარის სამხრეთით აფრიკის მრავალ სახელმწიფოში, სადაც ნებისმიერი ტენდენცია დემოკრატიისაკენ მძლავრ საწინააღმდეგო ტენდენციას აწყდება.[14]

განვითარების თავსატეხი

პოლიტიკური განვითარება, რომელიც დემოკრატიული ხელისუფლების შენარჩუნების ძალისხმევასაც მოიცავს, მოდერნიზაციის ჯერ კიდევ მტკივნეული და დაუსრულებელი პროცესის ნაწილია. ხალხთა შორის ტრადიციულ კავშირებს ძირი ეთხრება, ხალხი საკუთარ ფესვებსაა მოწყვეტილი, ხოლო კულტურის სახეცვლილება ხშირად შეუქცევადი პროცესია. საკვების უკმარისობა და სოციალური უკმაყოფილება ხშირად ინდუსტრიალიზაციის თანმდევი მოვლენებია. მაშ რატომ სურთ განვითარებადი ქვეყნების ლიდერებს მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ რისკებზე წასვლა?

განვითარების მიზეზები

განვითარებად ქვეყნებს ხშირად მოდერნიზაციის გარდა სხვა არჩევანი არ გააჩნიათ. მხოლოდ ცოტაა ისეთი იღბლიანი, როგორც, მაგალითად, ყატარი (არაბეთის ნახევარკუნძულზე), რომელსაც უხვად აქვს ნავთობი და მცირე მოსახლეობაც ყავს. ვენესუელაც ნავთობის დიდი მარაგის მფლობელი. იმისათვის, რომ ეს ბუნებრივი რესურსები ფულად ექციათ, თვით ვენესუელასა და ყატარსაც კი დასჭირდა ჭაბურღილების გათხრა, გზების გაყვანა, ნავთობის სპეციალისტების გამოზრდა, ნავთობგადამამუშავებელი და საწყობი ინფრასტრუქტურების აგება, ნავთობსადენების გაყვანა, საბანკო სისტემის დაფუძნება, საექსპორტო ბაზრების განვითარება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდერნიზება.

ნაკლებად იღბლიანი განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური განვითარება გაბატონებული სიღარიბისაგან თავის დაღწევის ერთადერთი იმედია. ამ ქვეყანათა უმეტესობა ღარიბია. ღარიბთა შორის უღარიბეს ქვეყნებში, რომლებსაც ხანდახან ყველაზე განუვითარებელ ქვეყნებს უწოდებენ, ყოველწლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 250 დოლარზე ნაკლებია. თვით ის ერებიც, რომლებიც შედარებით განვითარებულნი არიან, ფართოდ გავრცელებული სიღარიბით იტანჯებიან. აქედან გამომდინარე, 1990-იანი წლების შუა პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი აფრიკის და აზიის მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანაში აღემატებოდა 1000 დოლარს.

განვითარების კიდევ ერთი სტიმული თანამედროვე შეიარაღების ნებისმიერ ფასად შეძენის სურვილია, რაც ეროვნულ სიამაყეს უკავშირდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის ყველა ომი მესამე სამყაროში მიმდინარეობდა.[15] მესამე სამყაროს ქვეყნების დაპირისპირების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია ირანისა და ერაყის, პაკისტანისა და ინდოეთის, ვიეტნამისა და ჩინეთის, ლიბიისა და ჩადის, ეთიოპიისა და სომალის ომები, ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყანა აგრეთვე ჩაბმულია მეზობლებთან კონფლიქტში. მაგალითისათვის, ჩილე ჩაება სამხედრო შეტაკებებში სამივე მეზობელ სახელმწიფოსთან: არგენტინასთან, ბოლივიასა და პერუსთან. ამას გარდა, პერუს ეკვადორთან სასაზღვრო დავა ჰქონდა. ურთიერთობები კოლუმბიასა და ვენესუელას შორის საზღვრის საკითხის მოუგვარებლობის გამო დროდადრო მწვავდებოდა. რა თქმა უნდა, საომარ მოქმედებებს, იზიდავს რა ხელისუფლების მთელ ყურადღებას, შეუძლია შეაფრეხოს, ან საერთოდ შეაჩეროს სახელმწიფოს განვითარება და ბოლომდე ამოუწუროს ისედაც შეზღუდული რესურსები.

თავად განვითარებადი ქვეყნების არსებობა უზრუნველყოფს განვითარების სტიმულის გაჩენას. თანამედროვე გლობალური კომუნიკაციები, სატრანსპორტო სისტემა და მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულების სულ უფრო მეტად გაღრმავება ცალკეული ერების ძალასა და სიმდიდრეს კიდევ უფრო თვალშისაცემს ხდის. აქედან გამომდინარე, მრავალი ინდუსტრიული სახელმწიფოს წარმატება დასაბამს უდებს (როგორც ამას ჩვეულებრივ უწოდებენ) ***მზარდი მოლოდინების რევოლუციას***, საზოგადოებრივი, რომლის მიზნების განხორციელებაც მხოლოდ განვითარების მეშვეობითაა შესაძლებელი.

რა კონკრეტულ პრობლემებს უნდა გაუმკლავდნენ განვითარებადი ქვეყნები, რომ ფართომასშტაბიანი განვითარება წარმატებით განახორციელონ? ადრე განხილული პოლიტიკური გამოწვევების გარდა, განვითარების გზაზე ხშირია აგრეთვე სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური წინაღობები.

განვითარების საზოგადოებრივი მატიერი

მრავალი განვითარებადი სახელმწიფო ყოფილი კოლონიური სამფლობელოებისაგან წარმოიშვა და მოკლებულია მოცემული ტერიტორიის გეოგრაფიულ თუ ისტორიულ შინაარსს, აგრეთვე ადგილობრივ ეთნიკურ, რელიგიურ, ტომობრივ თუ ლინგვისტურ მოდელებს. ყოველივე ამის შედეგად, კულტურული მრავალფეროვნება მესამე სამყაროს მრავალი ქვეყნისათვის თვალშისაცემი მახასიათებელია. ზოგჯერ ეს მრავალფეროვნებაც ახალი „ეროვნული“ პოლიტიკური კულტურის კატეგორიაშია აყვანი-

ლი, თუმცა, უფრო ხშირად, იგი ეთნიკურ დავებსა და სამოქალაქო ომებს იწვევს.

ყველა შემთხვევაში, განვითარება აჩენს დამაფიქრებელ პრობლემებს. ფრაგმენტირებული მოსახლეობის პირობებში, რაც ერი-სახელმწიფოს კონცეფციაში არ ჯდება, ესაა ერის იდეა. წარმატებული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია ერთი ეროვნული იდენტობის გამოჭედვა და საერთო პოლიტიკური ბედისწერის განცდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეომარი ჯგუფი ან მოძრაობა შეიძლება სოციალური ინტეგრაციისა და მშვიდობიანი მოდერნიზაციისადმი მტრულადაც კი იყოს განწყობილი. მაგალითისათვის, ისლამი ჩვეულებრივ, მოდერნიზაციის დაბრკოლებად არის მიჩნეული, ვინაიდან მის მიერ ყურადღების გამახვილება ღვთისმოსაობაზე, ერთგულებაზე და ალაჰზე, აგრეთვე ყოველდღიური ლოცვები (ხუთჯერ დღეში) ისევე როგორც მისი მორალური ქცევის მკაცრი წესები, რელიგიას შეუწყნარებელს ხდის სეკულარიზაციის, სექსუალური რევოლუციის, მატერიალიზმისა და ყოველგვარი სიამოვნების მიმართ, რაც ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში და ყველგან თან ახლდა სოციალურ ცვლილებებს. საბოლოოდ, აღნიშნულ ეთნიკურ, რელიგიურ, ტომობრივ ან ლინგვისტურ განსხვავებულობათა გამო, არაბუნებრივია, რომ მოცემული განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ არსებული მთავრობა ლეგიტიმურად აღიქვას.

სპეციფიკური მაგალითები საუკეთესოდ აღწერს მოსახლეობის მრავალფეროვნებით გამოწვეულ პრაქტიკულ პრობლემებს. ნიგერია და ინდოეთი განვითარებადი ქვეყნებია უაღრესად მრავალფეროვანი მოსახლეობით.

ნიგერია. დასავლეთ აფრიკის ეს დიდი ქვეყანა რამოდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს, რომელთა გავლენა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში ვრცელდება.[16] გარდა ამისა, არსებობს მრავალი პატარა ტომი. ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ (დაახლოებით 400 დამოუკიდებელი ენა). განსაკუთრებული დაძაბულობაა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. რელიგიური, ეთნიკური და ენობრივი განსხვავებებით განპირობებულმა მტრულმა დამოკიდებულებამ ქვეყანა 1967 წლის სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, როდესაც ნიგერიას აღმოსავლეთ ნაწილი გამოეყო და ბიაფრას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ომმა, რომელიც სამი წელი გრძელდებოდა და ბიაფრელების დამარცხებით დასრულდა, 600 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1967 წლიდან ნიგერიას უმეტესად კორუმპირებული სამხედრო რეჟიმები მართავდა. მიუხედავად სახელმწიფოს კუთვნილი ნავთობის მარაგებისა, რომლის ექსპორტსაც ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი შემოსავალი მოჰქონდა, ნიგერიის ეკონომიკა სულ უფრო და უფრო მეტად ეფლობოდა ჭაობში და ნიგერიის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (106 მილიონი 2000 წელს) საკვების ფულს ძლივს შოულობდა. ნიგერიაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი, რომელიც დაახლოებით 300 დოლარს შეადგენდა, ორჯერ ნაკლები იყო ინდონეზიის მაჩვენებელზე, მიუხედავად იმისა, რომ ინდონეზიის მოსახლეობა ნიგერიისას ორჯერ აღემატება. აქედან გამომდინარე, ნიგერია, ყველა სტანდარტის მიხედვით, ყოვლად უუნარო ეკონომიკის მქონე ქვეყნად ითვლებოდა.

ჩნდება კითხვა: რატომ? პასუხი საკმაოდ ნათელია. ამის პირველი მიზეზი ცუდი მთავრობაა. 1967 წლიდან თითქმის განუწყვეტლივ ქვეყანას კორუმპირებული სამხედრო რეჟიმები მართავდა. მოქმედი დიქტატორები ხშირად იძლეოდნენ საყოველთაო არჩევნების გამართვის პირობას და რამოდენიმე შემთხვევაში ჩაატარეს კიდეც

არჩევნები, მაგრამ, როგორც წესი, შედეგებს ან წინასწარ ადგენდნენ, ან თუ სამხედრო გენერლებს არ მოეწონებოდათ, საერთოდ აუქმებდნენ, როგორც ეს 1993 წელს გააკეთეს. ნიგერიელი გენერლების სისასტიკის და ულმობლობის წყალობით ქვეყანა 1990 წლისთვის საერთაშორისო ბოროტების კერად გადაიქცა, რომელიც ოდნავ თუ ჩამორჩებოდა შავ სიაში მოხვედრილ სახელმწიფოებს: ირანს, ერაყს და ჩრდილოეთ კორეას. დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო ზეწოლამ, რომლის გავლენითაც ბოლოს და ბოლოს ნიგერიის სამხედრო მმართველები არჩევნების ჩატარებაზე დათახმდნენ და აღიარეს მისი შედეგები. ამ არჩევნებში, პირველად ოცი წლის მანძილზე, პრეზიდენტობის პოპულარულმა კანდიდატმა გაიმარჯვა [ნიგერიაზე იხ.თავი IV — მთარგმნ. შენ.].

ინდოეთი. ეს ქვეყანაც ბევრი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფისაგან შედგება, რომლებიც განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ. ინდოეთი მოსახლეობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა (1 მილიარდზე მეტი ადამიანი). იგი ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ქვეყანაა. ინდოეთის კონსტიტუცია თექვსმეტ ენას აღიარებს, მაგრამ აღწერის მიხედვით ინდოეთში, დიალექტების ჩათვლით, 1500-ზე მეტ ენაზე საუბრობენ. სამი ყველაზე გავრცელებული სახელმწიფო ენებია: ინგლისური, ჰინდი, ურდუ. ჰინდიზე ინდოეთის მოსახლეობის ერთი მესამედი ლაპარაკობს. ინგლისური ელიტარული მოსახლეობის ენას წარმოადგენს, მასზე ძირითადად საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანები ლაპარაკობენ. ურდუ კი ინდოელი მუსლიმების ენაა, რომლებიც ქვეყნის ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენენ.

ეთნიკური და ლინგვისტური განსხვავებების გარდა, ინდოეთი რელიგიური ნიშნითაც მკვეთრად დაყოფილი ქვეყანაა. ინდუიზმი ინდოეთის მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიაა, მაგრამ მუსლიმური მოსახლეობის რიცხვიც საკმაოდ დიდია (მთლიანი მოსახლეობის 11%). არიან სხვა მნიშვნელოვანი რელიგიური უმცირესობები (სიქჰები, ჯაინები, პარსიები, ბუდისტები და ქრისტიანები). ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პერიოდულად ადგილი ჰქონდა მოწინააღმდეგე რელიგიურთემებს შორის დაპირისპირებას. ზოგჯერ ერთ-ერთ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი მეორე ჯგუფის წევრებს ხოცავდა. ასეთი შემთხვევები ინდუსებს და მუსლიმებს ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობდა. მსგავსი დაპირისპირებები ხდებოდა ინდუსებსა და სიქჰებს შორისაც. 1984 წელს სიქჰმა პირადმა მცველმა მოკლა ინდოეთის ინდუსი პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი. 1991 წელს მოკლეს ინდოეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი, ინდირა განდის ვაჟი რაჯივ განდი, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტის ხელახლა დასაკავებლად საარჩევნო კამპანიას აწარმოებდა. ძალადობით აღსავსე წარსული ამძაფრებს უარყოფით დამოკიდებულებას და ხელს უშლის შერიგებას და კომპრომისს.

ინდოეთში არსებული ტრადიციული კასტური სისტემა განვითარებისთვის დამატებით ბარიერს წარმოადგენს. ამ სისტემაში ყველა იბადება ამა თუ იმ სოციოეკონომიკურ კასტაში და მთელი ცხოვრება იქ რჩება. ცხადია, რომ ასეთ სისტემაში შეუძლებელია სოციალური მობილობა, **რაც** აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ტრადიციულიდან თანამედროვე სისტემაზე გადასასვლელად. ტრადიციულ ინდოეთში ყველაზე დაბალი კლასის წარმომადგენლებს – მიუკარებლებს – არავითარი უფლებები და შესაძლებლობები არ გააჩნიათ. ინდოეთის მთავრობამ ახლახან აკრძალა „მიუკარებლობა“, მაგრამ ძველი შეხედულებების გავლენა ინდოეთის ტრადიცი-

ულ სოფლის საზოგადოებებში ძალიან ნელა სუსტდება (მოსახლეობის 75-80% პატარა სოფლებში ცხოვრობს).

ინდოეთის მრავალფეროვანი მოსახლეობის მინიმუმ კიდევ ერთი მახასიათებელი იმსახურებს ყურადღებას: ტენდენციური სოციალური დაყოფები შესუსტების ნაცვლად კიდევ უფრო მძაფრდება. ინდოელი მუსლიმები მხოლოდ თავიანთ განსხვავებულ რელიგიას კი არ მისდევენ, არამედ ისინი აგრეთვე თავიანთ ჩაკეტილ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, აქვთ განსხვავებული ეთნიკური მემკვიდრეობა და საუბრობენ საკუთარ ენაზე. თითქმის იგივეს თქმა შეიძლება სიქჰებზე, იანებზე და სხვა ჯგუფებზე. ინდოეთის სოციალური ჯგუფების მიერ მათ სათემო დაყოფის გაცნობიერებას უამრავი ფაქტორი განაპირობებს, ამავე დროს იგი ძირს უთხრის ცენტრალური ხელისუფლების მცდელობას, შექმნას ეროვნული ერთობის განცდა. ხშირად ეს დაყოფები სეპარატიზმს იწვევს, რისი მაგალითიც არის სიქჰების მიერ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადება (სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ).

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ნიგერიასა და ინდოეთზე. ასეთივე პრობლემები მრავალი სხვა განვითარებადი ქვეყნისთვისაცაა დამახასიათებელი. მაგალითად, შრი-ლანკა გახლეჩილია სინჰალელების უმრავლესობასა (74%, რომლებიც უმეტესად ბუდისტები არიან) და ტამილებს შორის (18%, რომელთა უმეტესობაც ინდუიზმის მიმდევარია და ქვეყნის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებშია დასახლებული). მავრები, ევროპელები და ვედები აბორიგენი შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის დარჩენილ 8 პროცენტს. ტამილთა მებრძოლი ჯგუფები გამოყოფისაკენ ისწრაფვიან, ტერორისტულ აქტებს აწყობენ და პარტიზანულ ომს აწარმოებენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ (მას შემდეგ, რაც 1983 წელს ადგილობრივ თემში მომხდარ არეულობებს 2000 ტამილის სიცოცხლე შეეწირა).[17] შრი-ლანკა, ინდოეთის მსგავსად, მკვეთრი საზოგადოებრივი დაყოფის მქონე კულტურული მრავალფეროვნების მოდელს წარმოადგენს.

აფრიკის სახელმწიფოთა უმრავლესობას და მრავალ აზიურ თუ ლათინურ-ამერიკულ სახელმწიფოს საზოგადოებრივი მრავალფეროვნების მაღლი დონე ახასიათებს. 132 ქვეყნის კვლევამ აჩვენა, რომ 53 მათგანის (ანუ 40 პროცენტის) მოსახლეობა ხუთზე მეტ მსხვილ ჯგუფად იყოფოდა.[18] ასე რომ, მესამე სამყაროში „მოზაიკური საზოგადოებები“ საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ეს მრავალფეროვნება ხშირად მნიშველოვან ბარიერებს უქმნის განვითარებას.

განვითარების ფსიქოლოგიური მარიერები

ინდივიდის იდენტობის განსაზღვრისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ინდივიდის ურთიერთობა სოციალურ ჯგუფთან, ასევე ამ ჯგუფის სტატუსი საზოგადოებაში. ეს ურთიერთობები ასევე გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რამდენად აიგივებს ხალხი თავს ეროვნულ ხელისუფლებასთან და აღიარებს მისი მმართველობის უფლებას (მის ლეგიტიმურობას). ამ კუთხით, დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემულ კულტურაში ფესვგამდგარ ჩვევებსა და რწმენებსაც. წარმატებული განვითარებისათვის საჭიროა, რომ შეიცვალოს ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ინდივიდთა მორალური ღირებულებები განვითარებად ქვეყნებში. ვნახოთ, რატომაა ასე.

ამერიკელების უმეტესობა თანამედროვედ აზროვნებს. ამის გამო, ამერიკელებს ხშირად უჭირთ გაუგონ სხვა კულტურის ხალხებს, განსაკუთრებით, განვი-

თარებად ერებს. მაგალითად, ადამიანები ამგვარ ***ტრადიციულ საზოგადოებებში,*** განსაზღვრებიდანვე გამომდინარე, ძლიერ დამოკიდებულნი არიან ყოველდღიური ცხოვრების ძველებურ წესზე. ამერიკელები (უფრო მეტად, ვიდრე დასავლეთში მცხოვრებთა უმეტესობა) არად აგდებენ ტრადიციებს.

ის სოფლები, რომლებიც ტრადიციული ცხოვრებით ცხოვრობენ, როგორც წესი, ძნელად ეგუებიან ცვლილებებს, ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვეულებები მათთვის უსაფრთხო და საიმედოა, ხოლო ახლისა და უჩვეულოსი ხშირად ეშინიათ. გაურკვევლობის და სიახლის შიშისადმი თავის არიდების ტენდენცია გასაგებია, როდესაც გარემო ხიფათით აღსავსე უამრავი გაურკვევლობითაა სავსე. ტრადიციულად განწყობილი ადამიანები ბუნებას მოკრძალებით და მოწიწებით უყურებენ, ისინი ბუნების კეთილგანწყობის მოპოვებას მისი თაყვანისცემით ცდილობენ.

ტრადიციული ხალხები ნაკლებად ენდობიან უცნობებს (ანუ ყველას, ვისაც ისინი არ იცნობენ). რა თქმა უნდა, მათ იშვიათად აქვთ ურთიერთობა უცნობებთან; ზოგადად, მათი სოციალური ურთიერთქმედება იზღუდება ოჯახით, კლანით თუ მათივე სოფლის მაცხოვრებლებით. უცნობების შიშის, ბუნების სტიქიების შესახებ ფატალისტური წარმოდგენების და საკუთარი თავის რწმენის უქონლობის გამო ტრადიციული წესებით მცხოვრები სოფლის მოსახლეობას არ უყვარს გარისკვა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ აფერხებს განვითარებას მსგავსი ჩვევები. ფრთხილ და კონსერვატიულად განწყობილ ადამიანებს ნაკლები მიდრეკილება აქვთ სიახლეებისადმი, იქნება ეს კულტურული, თუ აგროკულტურული ტექნოლოგიური სიახლეები. ეს ადამიანები ძნელად ეგუებიან და ხშირად განიცდიან იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როდესაც განვითარების პროცესი მათ ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას და იმ სოფლის დატოვებას აიძულებს, სადაც მათ და მათმა წინაპრებმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი გააატარეს.

განვითარების შემაფერხებელი შეიძლება იყოს სხვა ტრადიციული ჩვევებიც. ტრადიციულ ადამიანებს ნაკლებად აქვთ დროის განცდა, იშვიათად გეგმავენ წინასწარ თავიანთ საქმიანობას და არა აქვთ საკუთარი თავის რწმენა, განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომლებიც მიჩვეულნი არიან თანამედროვე ცხოვრებას. ინდივიდუალური მიღწევების, სოციალურ კიბეზე მაღლა მოძრაობის, პირადი დამსახურების და ინტერესთა დაკმაყოფილების იდეები უცხოა მათთვის, ვინც შეზღუდულია ტრადიციული ღირებულებებით და ჩვეულებებით. ეს ყველაფერი გამომდინარეობს ტრადიციული საზოგადოებების მიდრეკილებიდან ***ასკრიპტიული საზოგადოებებისაკენ*** (რისი ყველაზე მკაფიო მაგალითიცაა ინდოეთის კასტური სისტემა) – რაც გულისხმობს იმას, რომ პიროვნების სტატუსი და მდგომარეობა საზოგადოებაში განისაზღვრება მისი რელიგიის, ასაკის და ა. შ. მიხედვით. სტატუსი და მდგომარეობა ასევე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სქესზე მამაკაცების სოციალური და პოლიტიკური უპირატესობა გაცილებით უფრო აშკარად გამოკვეთილია განვითარებად ქვეყნებში, რომელთაც ახასიათებთ დაბალი ტექნოლოგიური დონე, დაწყებული მძიმე ტექნიკის უქონლობით და დამთავრებული შობადობის კონტროლის მექანიზმების არარსებობით, ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით და ტრადიციული გენდერული როლებით და ჩვეულებებით. ამრიგად, განვითარებად ერებში, პირადი თავისუფლების იდეები და ინდივიდუალური მისწრაფებები ხშირად ითრგუნება წეს-ჩვეულებებით და ტრადიციული საზოგადოებების თემური ბუნებით.

ეკონომიკური განვითარების დამტკიცოლემები

განვითარებად ერებს შორის ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილების დონეებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, მათი უმეტესობა ღარიბია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიღარიბე, ყველა სხვა ფაქტორებზე უფრო მეტად, უბიძგებს ამ ქვეყნებს განვითარებისაკენ. სიღარიბეს განაპირობებს ვაჭრობის არახელსაყრელი პირობები, დიდი საგარეო ვალი, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, მიწის საკუთრების პრობლემა, ავადმყოფობები და ცუდი კვება, განათლებისა და ტექნოლოგიების დაბალი დონე და მძიმე ბუნებრივი პირობები. მიუხედავად ოპტიმისტური მოლოდინებისა, ეს პრობლემები სიღრმისეულია. ისინი გვევლინებიან სიღარიბის მიზეზად და ამავდროულად აფერხებენ ეკონომიკურ განვითარებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სიღარიბის დაძლევა.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები უმეტესწილად ეფუძნება სოფლის მეურნეობას და ნედლეულის მოპოვებას – ღარიბი მოსახლეობის სოფლიდან ქალაქებში მიგრაციის მაღალი (და ზრდადი) დონის მიუხედავად. შედეგად, ცხოვრების სტანდარტების ზრდა, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან ნელა ხდება, ფართო ეკონომიკური უთანასწორობა კი კვლავ არსებობს (იხ. ცხრილი 8-1).

გადაჭარბებულ დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობასა და ნედლეულის მოპოვებაზე რთული პრობლემები სდევს. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას მოჰყავს მხოლოდ ერთი სახეობის მცენარე (რასაც *მონოკულტურა* ეწოდება). ბანგლადეში, მაგალითად, საექსპორტოდ მხოლოდ ჯუთს აწარმოებს. როცა ჯუთზე ფასი ეცემა, ბანგლადეშს – ერთ-ერთ უღარიბეს განვითარებად სახელმწიფოს – არაფერი რჩება. ეთიოპიის ეკონომიკა ძალიანაა დამოკიდებული ყავაზე, კუბას საექსპორტოდ ძირითადად სიგარა გააქვს, ჰონდურასს – ბანანი და ა. შ. ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა ეკონომიკურად დამოკიდებულია არალეგალური, მაგრამ მომგებიანი მცენარეების მოყვანაზე: მაგალითად, კოლუმბიელი, ეკვადორელი, პერუელი გლეხები საექსპორტოდ კოკაინს აწარმოებენ. ავღანეთი მსოფლიოში ჰეროინის ნომერ პირველი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას რამდენიმე სახეობის მცენარე ან მინერალური რესურსი გააჩნია, მათგან ცოტას თუ აქვს იმდენად დივერსიფიცირებული ეკონომიკა, რომ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ჯანსაღი შერწყმა მოახერხოს.

განვითარებისათვის ამ ქვეყნებმა უნდა მოახდინონ სამრეწველო პროდუქციის იმპორტი; აღნიშნული პროდუქციის ფასის გადასახდელად მათ უნდა გაიტანონ საკვები, ქსოვილები და მადანი, მაგრამ ვაჭრობის კანონები მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებს: სამრეწველო პროდუქციის ფასი მაღალია, იმ დროს, როდესაც სასოფლო პროდუქციის და ნედლეულის ფასი ხშირად დაბალია. უფრო მეტიც, მსოფლიო ბაზარზე საქონლის ფასები ძალიან მერყეობს, რაც გაურკვევლობას უქმნის ამ ქვეყნებს და ზრდის მათ საგარეო ვალს.

ამასთან ერთად, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა აწყდება სერიოზულ დემოგრაფიულ პრობლემას. ინდუსტრიულ დემოკრატიებში მოსახლეობის ზრდა ერთ პროცენტზე ნაკლებია და 1990 წლისათვის ზოგიერთმა დასავლურმა ევროპულმა ქვეყანამ „მიაღწია“ მოსახლეობის ნულოვან, ან უარყოფით ზრდასაც კი; მაშინ როცა, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის ზრდის ყოველწლიური მაჩვენებელი ორი ან სამი პროცენტია (იხ. სქემა 8-1 და 8-2). თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ნიგერიაში, ეთიოპიასა და ანგოლაში, მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება.

ცხრილი 8-1

ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) რეგიონის მიხედვით

რეგიონი	**მეპ-ი ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარებში)**
აფრიკა	$1,790
საჰარის სამხ. აფრიკა	1,370
ჩრდილოეთ აფრიკა	3,070
აღმოსავლეთ აფრიკა	1,000
დასავლეთ აფრიკა	850
ცენტრალური აფრიკა	—
სამხრეთ აფრიკა	8160
ჩრდილოეთ ამერიკა	31,260
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	6,460
ცენტრალური ამერიკა	6,900
კარიბის ზღვის კუნძულები	—
სამხრეთ ამერიკა	6,730
აზია	3,930
აზია, ჩინეთის გარდა	4,130
დასავლეთ აზია	4,810
ცენტრალური აზიის სამხრეთი	2,250
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	3,210
აღმოსავლეთ აზია	5,750
ევროპა	14,970
ჩრდილოეთ ევროპა	21,460
დასავლეთ ევროპა	23,480
აღმოსავლეთ ევროპა	6,770
სამხრეთ ევროპა	16,520
ოკეანეთი	17,880

წყარო: *2001 წლის მსოფლიო მოსახლეობის მონაცემები, ცხრილი 5, Population Reference Bureau, www.prb.org, 16 მაისი, 2002.*

როგორც წესი, მოსახლეობის სწრაფი მატება ყველაზე მეტად ურბანულ არეალებზე აისახება. სოფლებში არსებული სიღარიბე და ხელისუფლების პოლიტიკა განაპირობებს მიგრაციას ქალაქებში. სწრაფი ურბანიზაცია პრობლემატურია,

რამდენადაც განვითარებად ქვეყნებს არ გააჩნიათ სათანადო რესურსები სახელმწიფო მომსახურებებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად და ახალი სკოლების, საავადმყოფოების, საცხოვრებელი კომპლექსების და რაც ყველაზე მთავარია, სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მოსახლეობის მატების და მიგრაციის პირობებში, თვით ოპტიმალური კლიმატისა და ეკონომიკური წინამძღვრების არსებობის შემთხვევაშიც კი, განვითარებადი ქვეყნების ფერმერებისათვის სულ უფრო ძნელი ხდება საკვების წარმოების საკმარისად სწრაფად გაზრდა, რათა ფეხი აუწყონ მოსახლეობის ზრდის ტემპს. მიუხედავად რიგ განვითარებად ქვეყნებში (მათ შორის ინდოეთში, მექსიკაში, ტაივანსა და ფილიპინებში) ***მწვანე რევოლუციად*** *წოდებული წარმოების მკვეთრი ზრდისა,* როდესაც ხორბლის და ბრინჯის მაღალმოსავლიანი ჯიშების მოყვანა შეუხამეს თანამედროვე საირიგაციო სისტემებსა და სინთეტიკურ სასუქებს – ეს ქვეყნები კვლავ სიძნელეების წინაშე რჩებიან.

ვაჭრობის არახელსაყრელი პირობების, მზარდი საგარეო ვალის და დემოგრაფიული აფეთქების გარდა, განვითარებად ქვეყნებს წარმატებული განვითარების გზაზე სამი უმნიშვნელოვანესი წინააღმდეგობა ეღობებათ: დაბალი ტექნოლოგიური დონე, მიწის საკუთრების სერიოზული პრობლემა და მძიმე გარემო პირობები. მწვანე რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები არსებობს, გაუმჯობესებული თესლის, პესტიციდების, ჰერბიციდების, ხელოვნური სასუქის, ირიგაციის, მეცხოველეობის, ფერმიდან ბაზრამდე მისასვლელი გზისა და საწყობების ჩათვლით. ეს, თავის მხრივ, საინვესტიციო კაპიტალისა და უცხოური რეზერვების ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

მრავალ განვითარებად ქვეყანაში მიწის საკუთრებაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მიწის საკუთრების სქემები სხვადასხვა ქვეყანაში (და რეგიონში) სხვადასხვაა, მაგრამ განვითარებადი ქვეყნებიდან ეფექტიანად მხოლოდ ერთეულებმა გაართვეს თავი ამ სფეროს პრობლემებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ტრადიცია ყველაზე უფრო მეტად დამაბრკოლებელი სოფლის გარემოშია, სადაც ჩამოყალიბებული წესები და მეთოდები ძალიან ნელა იცვლება. უმთავრესი პრობლემა მიწის ნაკვეთების უსამართლო ან ეკონომიკურად არასწორი განაწილებაა. ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში მიწაზე საკუთრება (და ადგილობრივი ხელისუფლება) მეტისმეტად კონცენტრირებულია, სხვა ადგილებში კი მიწა მცირე ფრაგმენტებადაა დაყოფილი, რაც მოგების საშუალებას არ იძლევა. ლათინურ ამერიკაში ეს ორი პრობლემა გვერდიგვერდ არსებობს – უზარმაზარი სამფლობელოების (ე. წ. *ლატიფუნდიების*) გვერდით გვხვდება ძალზედ პატარა ნაკვეთები (*მინიფუნდიები*). მსგავსი პრობლემა არსებობს ეგვიპტეშიც. უფრო მეტიც, ბევრ განვითარებად ქვეყანაში ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც გლეხები იჯარით ამუშავებენ მიწას და დამოკიდებულნი არიან დიდი მიწათმფლობელების ნება-სურვილზე.

აფრიკაში გავრცელებულია სასოფლო მიწების ერთობლივი საკუთრება. აქ ჩნდება სხვა ტიპის პრობლემები. სოფლის მაცხოვრებლებს ეკუთვნით მიწის ნაკვეთები და ინაწილებენ მოსავალს, რომლის დიდი ნაწილი მათ მიერვე მოიხმარება და არ იყიდება. თუმცა, ბოლო დროს სულ უფრო ვრცელდება კომერციული პლანტაციები, მომგებიანი ნათესები ენაცვლება ნაკლებად მომგებიან ტრადიციულ კულტურებს. რაც ყველაზე უარესია, უმუშევრობის გამო ახალგაზრდები იძულებულნი არიან დატოვონ სოფლები; ბევრი მათგანი სამუშაოდ ეწყობა ფერმაში და კიდევ უფრო მეტად ეფლობა სიღარიბესა და უიმედობაში. აზიაში მდგომარეობა გარკვეულწილად განსხვავებულია, მაგრამ მიწის განაწილების პრობლემები იქაც ხელს უშლის



რუკა მოსახლეობის პროპორციის მიხედვით

აქ და მომდევნო გვერდზე გამოსახული მსოფლიოს რუკები გეოგრაფიული ზომის ნაცვლად თითოეული ქვეყნის ზომას მოსახლეობის პროპორციის შესაბამისად აჩვენებს.

მაგალითად, 1995-2030 ნლებში აფრიკის გრანდიოზული ზრდა მოსახლეობის გაორმაგების ფაქტს ასახავს. ამის საპირისპიროდ ევროპა მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზრდება.

ზოგიერთი პატარა ქვეყანა, კუნძულის ქვეყნების ჩათვლით, ნაჩვენები არ არის.

„ვაშინგტონ პოსტ"-ის კარტოგრაფის რიჩარდ ფურნოს (Richard Furno) მიერ შედგენილი ეს რუკები 1995-2030 ნლებში მსოფლიო ბანკის მიერ მოსახლეობის შეფასებას ეფუძნება.

მომდევნო 35 ნლის განმავლობაში ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყანა*

ომანი	209%
ნიგერია	198%
იემენი	187%
ეთიოპია	180%
ანგოლა	175%

* მოუხედავად იმისა, რომ ჯერ ქვეყნად არ ჩამოყალიბებულა, ღაზას სექტორი ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონია. ვარაუდობენ, რომ დედამინის ეს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილი 2030 ნლისათვის 208%-ით გაიზრდება.

1995 ნ-თვის 10 ყველაზე მეტად დასახლებული ქვეყანა

ჩინეთი	1.2 მლრდ
ინდოეთი	934 მლრდ
აშშ	263 მლნ
ინდონეზია	192 მლნ
ბრაზილია	161 მლნ
რუსეთი	149 მლნ
პაკისტანი	130 მლნ
იაპონია	125 მლნ
ბანგლადეში	121 მლნ
ნიგერია	111 მლნ

სქემა 8-1. *მსოფლიოს მოსახლეობა, 1995: 5,692,210,000*

© 1997 The Washington Post. *იბეჭდება ნებართვით.*


ევროპა: 741,707,000
მსოფლიო მოსახლეობის 9%
+ 1,5% (რუსეთის ჩათვლით)
აზია: 5,053,974,000
მსოფლიო მოსახლეობის 60%
+ 1,5%
ამერიკა: 1,082,702,000
მსოფლიო მოსახლეობის 13%
+ 41%
აფრიკა: 1,556,723,000
მსოფლიო მოსახლეობის 18%
+ 116%
ავსტრალია: 22,824,000
მსოფლიო მოსახლეობის 0,3%
+ 116% (ავსტრალია)
კანადა +23%
აშშ +25%
მექსიკა +57%
+55% კუბა
იამაიკა +287%
+49% ჰაიტი
+55% დომ.რესპ.
პუერტო-რიკო +100%
+105% გვატემალა
+67% ელ სალვადორი
+94% ნიკარაგუა
+61% ტრინიდადი და ტობაგო
+39%
კოსტა რიკა +56%
პანამა +41%
ეკვადორი +61%
პერუ
ბოლივია +83%
ჩილე +37%
+109% პარაგვაი
ბრაზილია +43%
+3,9% ბრიტანეთი
ირლანდია +24%
ნიდერ. +3,4%
ნორვეგია +8,5%
შვედეთი +7,0%
დანია
ფინეთი +4,2%
-2,7% ბელგია
გერმანია
ავსტრია
+3,1%
პოლონეთი
რუსეთი
საქართველო +13%
ტაჯიკეთი +101%
სომხეთი +33%
ყირგიზეთი +55%
ازერბაიჯანი +43%
ყაზაღეთი +31%
საფრანგეთი +7,8%
ბელგია
ჩეხ.
უკრაინა
უზბეკეთი +78%
მონგოლეთი +88%
ჩრდილოეთ კორეა +45%
+25% ჩინეთი
+20% სამხრეთ კორეა
-2,5% იაპონია
+48% თურქეთი
ავღანეთი +146%
+90% ნეპალი
ბუტანი +90%
ირანი +107%
პაკისტანი +100%
+5,3% პონაპონგი
ტაივანი +22%
ლაოსი +129%
ფილიპინები +75%
კამბოჯა +75%
ინდოეთი +53%
ბანგლადეში +58%
ბირმა +6%
ტაილანდი +36%
ვიეტნამი +66%
მალაზია +51%
სინგაპური +35%
ახალი გვინეა +75%
შრი ლანკა +35%
ინდონეზია +43%
ავსტრალია
ახალი ზელანდია +22%
+3,1%
+160%
+50% ლიბ.
+44% ისრ.
ალბანეთი +43%
+198% ნიგერია
ტუნისი +66%
+63% მაროკო
ალჟირი +77%
+156% ბურკინა ფასო
+147% მავრიტანია
+175% მალი
სენეგალი +106%
+143% გვინეა
+136% სიერა ლეონე
+116% ლიბერია
+125% განა
+164% კოტ დ'ივუარი
+145% ტოგო
+104% ზამბია
ანგოლა +175%
+97% ბოცვანა
ნამიბია +100%
სამხრეთ აფრიკა
ლესოტო +82%
სვაზილენდი +156%
ზიმბაბვე +66%
ბოტსვანა +153%
მადაგასკარი +109%
+113%
+144%
+112%
+143%
+139%
+139%
+73%
+162%
+81%
+154%
+187%
+180%
+209%
+56%
ეთიოპია
ნიგერია +110%
ქენია
უგანდა
რუანდა
ბურუნდი
ტანზანია
მალავი
ეგვიპტე
ლიბია
ალჟირი
ნიგერია +127%
ზაირი
ანგოლა
ბენინი
ტოგო
ბურკინა ფასო
ნიგერ.
ჩადი
სუდანი
ერიტრეა
ეთიოპია
ეგვიპტე
ლიბია
ალჟირი
ნიგერია
ჩადი
სუდანი
ერიტრეა
ეთიოპია
ბენინი
ტოგო
ბურკინა ფასო
ნიგერ.

ხელისუფლებას, გადაახალისოს ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობის წამყვან როლზე დაფუძნებული ეკონომიკა და მოდერნიზაციის გზით ხელი შეუწყოს საერთო ეკონომიკურ ზრდას.

ბუნებრივი პირობები ხშირად ყველაზე უფრო სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნის ეკონომიკურ განვითარებას. ყველაზე საშინელი ის ტრაგედიებია, რომლებიც ბუნებრივ კატასტროფებსა და ადამიანების უგუნურობას აერთიანებს. მაგალითად, 1980-იან წლებში საძოვრების ზედმეტად ინტენსიურმა გამოყენებამ გაამწვავა უწყლოობის პრობლემა აფრიკის შუა სარტყელის უდიდეს ნაწილში. მსგავსად ამისა, წყალდიდობები ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ნაწილობრივ მაინც გამოწვეული იყო ხე-ტყის მასალის ინტენსიური გამოყენების მიზნით მდინარეების ნაპირებზე ტყის გაჩეხვით. ამგვარი ბუნებრივი კატასტროფების ყველაზე ხშირი შედეგია ფართომასშტაბიანი და ძალაგამომცლელი შიმშილიანობა. თუმცა, ამგვარი ტრაგედიებისა და ხშირად მათი თანმდევი ეპიდემიების გარეშეც კი, საკვების უკმარისობის პრობლემა კვლავაც დგას ასობით მილიონი ადამიანის წინაშე განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით აფრიკაში. ადამიანებს, რომლებიც განიცდიან უკიდურეს შიმშილს, არ გააჩნიათ წარმოების ენერგია, რაც ბევრ განვითარებად ქვეყანას ჩაკეტილ წრეში აქცევს: ისინი არიან ღარიბები იმიტომ, რომ არ არიან საკმარისად პროდუქტიულები, და არ არიან საკმარისად პროდუქტიულები იმიტომ, რომ არიან ღარიბები.

განვითარების მატრიცა

ერები ვითარდებიან პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური განზომილების მქონე მრავალმხრივი პროცესების შედეგად. შეცდომა იქნებოდა გვევარაუდა, რომ განვითარება უწყვეტი, ან შეუქცევადი პროცესია. განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი ერი-სახელმწიფოები და საზოგადოებები შეიძლება იქცნენ არასტაბილურობის და დაკნინების გამომწვევი ძალების მსხვერპლად. არც ერთ მკვლევარს, რომელიც შეისწავლის ამერიკის სამოქალაქო ომს, ან ისეთი ქვეყნების უახლეს ისტორიას, როგორებიცაა სომალი, ყოფილი იუგოსლავია და თანამედროვე ეგვიპტე, არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს დეზინტეგრაციიის საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება დაემუქროს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს.

რა იწვევს დეზონტეგრაციას? საინტერესოა, რომ პოლიტიკური დაკნინება ხშირად გამომდინარეობს ერის უუნარობიდან, გადაწყვიტოს განვითარების შემაფერხებელი სიღრმისეული პრობლემები. მთავრობები, რომელთაც არ შეუძლიათ დაძლიონ რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ ან კულტურულ ჯგუფებს შორის დაძაბულობათა ნიადაგზე წარმოშობილი პრობლემები, ხშირად ამჟღავნებენ დაკნინების შესამჩნევ ნიშნებს. XIX საუკუნის შუა პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები იდგა უმნიშვნელოვანესი სირთულის წინაშე, რაც მომდინარეობდა მონობის გადაუწყვეტელი საკითხიდან. დღევანდელ მსოფლიოში უამრავი მსგავსი და განსხვავებული პრობლემაა. ეგვიპტის ხელისუფლება მნიშვნელოვნად არის შესუსტებული ფუნდამენტალისტური მუსლიმური ოპოზიციის არსებობით. შრი-ლანკა (ყოფილი ცეილონი) დასუსტებულია პერიოდული დაპირისპირებით ტამილ უმცირესობასა და სინჰალელ უმრავლესობას შორის. რუანდაში ჰუტუს და ტუტსის ტომების შორის სისხლიანი კონფლიქტის შედეგად გამუდმებული სამოქალაქო ომები და ძალადობა მძვინვარებს.

ეკონომიკურმა წარუმატებლობებმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს საზოგადობრივი და პოლიტიკური დაკნინება. არა მარტო ქვეყნის შიდა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ მსოფლიო მასშტაბის მაკროეკონომიკური ცვლილებებიც შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. 1970-იან წლებში ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელიც ზემოთქმულის არცთუ მახასიათებელ, მაგრამ ისტორიულ მაგალითად შეიძლება გამოდგეს: მცირე რესურსებისა და საექსპორტო შემოსავლების მქონე მესამე სამყაროს ბევრ ქვეყანას უდიდესი პრობლემები შეუქმნა ნავთობზე ფასების მკვეთმა ზრდამ. ამ ქვეყნების მთავრობების მიერ გატარებულ მკაცრ ზომებს თან მოჰყვა პოლიტიკური სირთულეები და სოციალური არეულობები. შედეგად, აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში გაიზარდა საგარეო ვალი და თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ არასტაბილურობას.

საბოლოოდ, დეზინტეგრაცია შეიძლება გამოწვეულ იქნას პოლიტიკურ სისტემაში არსებული უთანასწორობებითაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს გაფანტული ეროვნული გრძნობების ერთ იდენტობად შეკავშირებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ მონაწილეობას, ან სიმდიდრის მთელ საზოგადოებაზე გადანაწილებას, პოლიტიკური განვითარება წყდება. ამას გარდა, როგორც უკვე დიდი ხანია აღნიშნავენ პოლიტოლოგები, განვითარება შეიძლება შეჩერდეს მაშინაც, როდესაც ხელისუფლებას *შეუძლია* ამ მიზნების მიღწევა (მაგალითად, განათლების ხელშეწყობით, მასობრივი კომუნიკაციების განვითარებით, საარჩევნო მონაწილეობით და ურბანული ცხოვრებით), მაგრამ არ გააჩნია ინსტიტუტები, გამოცდილება ან შესაძლებლობა, რომ ეფექტიანად გაართვას თავი პოლიტიკურ ცვლილებებს.[19] ამგვარ შემთხვევებში, პოლიტიკური დაკნინება შეიძლება იქცეს განვითარების ბნელ მხარედ. როგორც პოლიტოლოგი სემუელ ჰანტინგტონი აღნიშნავს, „მოდერნიზაცია პრაქტიკაში ყოველთვის გულისხმობს ცვლილებებს და ხშირად ტრადიციული პოლიტიკური სისტემის დაშლასაც, მაგრამ იგი ყოველთვის არ გულისხმობს განვითარებას თანამედროვე პოლიტიკური სისტემის მიმართულებით... მაგრამ ხშირად ვარაუდობენ, რომ თუ მიმდინარეობს საზოგადოებრივი მოდერნიზაცია, პარალელურად მიმდინარეობს პოლიტიკური მოდერნიზაციაც“.[20]

დისფუნქციური სახელმწიფოები

ბოლო ათწლეულებში მსოფლიო გახდა რამდენიმე საზოგადოების თვითგანადგურების მოწმე, რამაც გამოიწვია დესტაბილიზაცია მეზობელ ქვეყნებში და დაემუქრა მშვიდობას მთლიანად მსოფლიოში. დისფუნქციური სახელმწიფოები ის უსიხარულო ადგილებია, სადაც უკიდურესობები ნორმადაა ქცეული, სადაც მთავრობები ან მეტისმეტად რეპრესიულია, ან მეტისმეტად სუსტი, იმდენად, რომ არ შეუძლიათ უზრუნველყონ ელემენტარული წესრიგი და კანონიერება. ქალაქის ქუჩებში კრიმინალური და პოლიტიკური ძალადობაა გამეფებული, რაც ემუქრება პოლიციისგან დაუცველ სოფლებსა და თავისუფალ პრესას. მსოფლიო ხშირად დღეების, კვირების და ზოგჯერ თვეების მანძილზეც კი ვერ ამჩნევს ამ საშინელებებს. ეს შემაშფოთებელი სურათია, თუმცა მეტისმეტად რეალურია მსოფლიოს ძალიან ბევრ ადგილში. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ოთხ მაგალითს ისეთი პოლიტიკური სისტემებისა, რომლებიც არიან (ან იყვნენ) დისფუნქციური – სამწუხაროდ,

ამ მაგალითებით არ ამოიწურება კანდიდატების სრული სია, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირიც შედის (იხ. თავი VII).

სომალი

აფრიკაში მდებარეობს რამდენიმე უღარიბესი ქვეყანა, მათ შორის სუდანი, სომალი, ერიტრეა და ეთიოპია. 1980-იან და 1990-იან წლებში ამ რეგიონში გვალვა, შიმშილი, საერთაშორისო კონფლიქტები, სამოქალაქო ომები და ყველანაირი სახის ძალადობა მძვინვარებდა. 1990-იანი წლების დასაწყისში საკვების ყველაზე კატასტროფული უკმარისობა სომალიში იყო, სადაც სამოქალაქო ომმა და გვალვამ ადამიანთა საშინელი ტანჯვა გამოიწვია. 1992 წლის აგვისტოში გაეროს ბავშვთა ფონდი (*UNICEF*) მასიური საერთაშორისო დახმარების მოზიდვას შეეცადა, როდესაც განაცხადა, რომ ორი მილიონი სომალელი (ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა ოდნავ აღემატება რვა მილიონს) ექვსი თვის განმავლობაში შიმშილობდა.

ძალადობისა და ამგვარი გაუსაძლისი მდგომარეობის წინააღმდეგ ამბოხებულებმა 1991 წ. იანვარში დაამხეს სომალის დიქტატორი სიად ბარე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მართავდა ქვეყანას. ამას მოჰყვა შეტაკებები და შიმშილი, რამაც შეიწირა 300 ათასი ადამიანის სიცოცხლე და მილიონობით ადამიანი საფრთხის წინაშე დააყენა. კანონისა და წესრიგის თითქმის აბსოლუტური არარსებობის პირობებში ქვეყანა ანარქიამ მოიცვა; ქალები და ბავშვები შეიარაღებული ბანდიტების მოწყალების იმედად დარჩნენ. მათ ჩაშალეს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის ყველა მცდელობა, იპარავდნენ ბავშვებისათვის განკუთვნილ საკვებს და ხოცავდნენ ჰუმანიტარული მისიების თანამშრომლებს. 1992 წ. ბოლოს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა), თავისი საპრეზიდენტო ვადის მიწურულს წამოიწყო სამხედრო ინტერვენცია, რათა უზრუნველეყო ჰუმანიტარული დახმარების უსაფრთხოება. მდგომარეობა იმდენად ქაოტური იყო, რომ წესრიგის და კანონიერების აღდგენა შეუძლებელი ჩანდა. მას შემდეგ, რაც ძირითადად ამერიკელებისგან შემდგარმა გაეროს ძალებმა დატოვა ქვეყანა 1995 წ. მარტში (რამდენიმე ამერიკელი ჯარისკაცის სასტიკი მკვლელობის შემდეგ), სომალი დარჩა ეროვნული ხელისუფლების გარეშე – ქვეყნის რუკაზე აღნიშნული იყო რომელი დაჯგუფება რომელ ტერიტორიას აკონტროლებდა, რაც უფრო თავსატეხ სურათს წაგავდა, ვიდრე პოლიტიკურ გაერთიანებას.

სომალი რჩება აფრიკის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანად, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 500 დოლარზე ნაკლებია, ხოლო წერა-კითხვის არმცოდნე მოსახლეობის წილი 75 პროცენტს შეადგენს. სომალი განუვითარებელია არა მარტო ეკონომიკურად, არამედ ასევე პოლიტიკურადაც. სომალის საზოგადოების სტრუქტურა ეფუძნება ნათესაურ კავშირებს, ანუ კლანებს, ხოლო სამოქალაქო ომი, ფაქტობრივად, კლანებს შორის გაჩაღებული ომია. თუ სომალი ვერ იპოვის პოლიტიკური სტაბილურობის ფორმულას, იგი ვერ ააღორძინებს ეკონომიკას. სამართლიანია შებრუნებული დებულებაც: სტაბილურობა დამოკიდებულია ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე. ჯერ ადრეა საუბარი, იპოვის თუ არა სომალი ეფექტიანი ხელისუფლების რეცეპტს. მისი რეპუტაცია კი, როგორც დისფუნქციური სახელმწიფოსი, არ შეიცვლე-ბა, სანამ თავად სომალი არ შეიცვლება.

იუგოსლავია

ამ სახელმწიფოსაგან მხოლოდ სახელიღა არსებობს. ცივი ომის პერიოდის უდიდეს ნაწილში იგი შედარებით თავისუფალი სახელმწიფო იყო, მაგრამ დაიშალა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ნგრევამ შეცვალა ევროპის გეოპოლიტიკური რუკა 1990-იან წლებში. ყოფილი იუგოსლავიის დაშლამ წინა პლანზე წამოწია ის, რასაც ზოგიერთი მკვლევარი „კოშმარულ სცენარს“ უწოდებს – პოლიტიკური კოლაფსის პერსპექტივა, რომელსაც ეთნიკური სიძულვილი კვებავს და რაც, სხვადასხვა ალბათობით, ბევრ ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოს ემუქრება.

ბალკანური კრიზისი ისტორიულ პერსპექტივაში. იუგოსლავიის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან 1945 წლიდან II მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი სპეციფიკური პირობების საფუძველზე ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც გერმანული ოკუპაციისგან საბჭოთა

სქემა 8-3. *ყოფილი იუგოსლავიის დაყოფა*
წყარო: ადაპტირებული ყოფილი იუგოსლავიის 728104, CIA 1993 და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის (პოლიტიკური) 802474, CIA 1997 რუკებიდან.

არმიამ გაათავისუფლა, იუგოსლავია გაათავისუფლა მარშალ იოსებ ბროზ ტიტოს პარტიზანულმა ძალებმა. იუგოსლავიური წინააღმდეგობის მოძრაობაში შეტანილი წვლილის გამო, ტიტო ეროვნული გმირი გახდა და საბოლოოდ ახალი იუგოსლავური ნაციონალიზმის სიმბოლოდ იქცა.

ომის შემდგომ პერიოდში ტიტო უარს ამბობდა მოსკოვიდან მიღებული ბრძანებების შესრულებაზეა სტალინმა იუგოსლავიას სამაგიერო კომუნისტური თანამეგობრობიდან გაძევებით გადაუხადა. ცოტა ხნის შემდეგ, ტიტომ დაიწყო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა საკუთარი მმართველობის პოპულარიზაციისათვის, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო კოლექტივიზაციის ტემპის შენელებით, ხოლო შემდგომში მისი სრულებით გაუქმებით. იუგოსლავურმა კომუნიზმმა გამორჩეული კვალი დატოვა სამრეწველო ურთიერთობებში. უკიდურესი ცენტრალიზაცია, რომელიც ახასიათებდა საბჭოთა კავშირს, უარყოფილ იქნა და მის სანაცვლოდ ტიტომ სათავე დაუდო სოციალისტური ეკონომიკური ორგანიზაციის ახალ ფორმას, რომელიც თვითრეგულირებას ეფუძნებოდა. მან ფართო რეგიონული ავტონომია მიანიჭა იუგოსლავიის ფედერაციაში შემავალ ექვს რესპუბლიკას, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამას ეკონომიკურ საწარმოებში მუშათა საბჭოების შექმნა მოჰყვა. ქარხნის, ან სხვა ტიპის საწარმოს მუშათა მიერ მიერ არჩეული საბჭოები თავის მხრივ ირჩევდნენ მმართველ კომიტეტებს, ხოლო მმართველი კომიტეტები იკრიბებოდნენ როგორც რეგიონული ასოციაციები და ირჩევდნენ სხვადასხვა საწარმოთა დირექტორებს პარტიის თანხმობით. 1950 წელს მშრომელებს მიენიჭათ გაფიცვის უფლება, პროფკავშირები გამოცხადდა დამოუკიდებლად, ხოლო პირდაპირი გეგმური ეკონომიკა შეიცვალა ნაკლებად იძულებითი „გეგმური ხელმძღვანელობით“. 1970-იან წლებში მოხდა კონტროლის ზოგადი გამკაცრება იუგოსლავიის ეკონომიკასა და საზოგადოებაზე, როდესაც ხელისუფლება შეეცადა ბოლო მოეღო აზრთა სხვადასხვაობისათვის და მიძინებული ეკონომიკას გამოეცოცხლებინა.

მიუხედავად ამისა, იუგოსლავია უნიკალური იყო სხვა კომუნისტურ რეჟიმებს შორის. ერთმა მკვლევარმა შემდეგ ნაწყვეტში ასახა ქვეყნის ცხოვრება ტიტოს მმართველობის პირობებში:

> „ხელოვნებისა და ლიტერატურის უმეტესი ნაწილი აპოლიტიკურია და მხატვრებს და მწერლებს შეუძლიათ იმოღვაწეონ თავისუფლად, თუ მათი შემოქმედება ხელისუფლების მკვეთრ კრიტიკას არ შეიცავს. არ არსებობს წინასწარი ცენზურა, მხოლოდ სასამართლოს შეუძლია საბოლოო ჯამში აკრძალოს ნაწარმოები; ხოლო კერძო გამომცემლები თითქმის იმდენივე წიგნს უშვებენ, რამდენსაც ოფიციალური გამომცემლობები. გაზეთები თითქმის ერთსა და იმავეს წერენ, მაგრამ ისინი გაცილებით უფრო ინფორმატიული არიან, ვიდრე სხვა აღმოსავლეთ ევროპული კომუნისტური ქვეყნების გაზეთები, რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოთა კავშირზე. თავისუფლად იყიდება უცხოური პრესა. პარტიის ორატორები გმობენ დასავლეთის გავლენებს პრესაში, მაგრამ ჟურნალები მისდევენ სენსაციურობასა და სიშიშვლეს, რაც უცხოა კომუნისტური მორალისთვის. სავარაუდოდ, ყოველწლიურად 15 მილიონი ადამიანი კვეთს საზღვარს. არსებობს გაერთიანებების თავისუფლება, თუ ეს პარტიის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ტიტოს არასდროს დაუხვრეტია და იშვიათად თუ დაუპატიმრებია ოპონენტები.“[21]

1980-იანი წლების განმავლობაში იუგოსლავიის ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება და ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა. იუგოსლავია წარმოადგენდა ხელოვნურ ქვეყანას, რომელიც შედგებოდა მნიშვნელოვნად განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის და კულტურული ფესვების მქონე ადამიანებისგან – მართლმადიდებელი სერბები და ჩერნოგორიელები კათოლიკე ხორვატები და სლოვენები, მუსლიმი უმცირესობები სერბიაში და შერეული ბოსნიელები, ჰერცეგოვინელები და დალმატები. მათ ერთმანეთთან ტიტოს პრესტიჟი და ავტორიტეტი აკავშირებდათ. 1980 წელს, როდესაც ტიტო გარდაიცვალა, ბზარები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, გადაიზარდა იუგოსლავიის ერთიანი სტრუქტურის აშკარა გახლეჩვაში. აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის დაცემამ დააჩქარა დაშლის პროცესი. 1990-იან წლებში დემოკრატიამ და თავისუფალმა არჩევნებმა შეცვალა კომუნიზმი. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1990-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკას ამძიმებდა უცხოური ვალი (16 მილიარდი დოლარი), 100 პროცენტიანი ინფლაცია და უმუშევრობის მაღალი დონე (20 პროცენტი). იუგოსლავიის საზოგადოება მოიცვა დიდი ხნის განმავლობაში დაფარულმა ეთნიკურმა მტრობამ და ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა რესპუბლიკებს შორის კონფლიქტების შედეგად. პოლიტიკურად წარმატებული სლოვენია და ხორვატია ექიშპებოდნენ ტრადიციულად დომინანტ სერბებს ერის ბედის განსაზღვრაში.

სერბიის სწორხაზოვან პრეზიდენტს, სლობოდან მილოშევიჩს სურდა სიცოცხლე შეენარჩუნებინა იუგოსლავიის კომუნისტური ცენტრალიზებული ფედერალური სისტემისათვის, ხოლო სლოვენიას და ხორვატიას სურდათ თავისუფალი კონფედერაცია და საბაზრო ეკონომიკა. საბოლოოდ გაიმარჯვეს ნაციონალისტურმა ძალებმა. 1991 წლის ივნისში სლოვენიამ და ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დაიწყო სისხლიანი სამოქალაქო ომი სერბიას და ხორვატიას შორის, რომელმაც დაახლოებით 10 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა, სლოვენიის და ხორვატიის მცდელობა წარმატებული გამოდგა და 1992 წლის იანვარში ორივე მათგანი საყოველთაოდ ცნეს, როგორც დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფოები.

ბოსნიური და კოსოვოს ტრაგედია. დიდი ხანი არ გასულა სერბიისა და ხორვატიის კონფლიქტის დასრულებიდან, როდესაც ახალმა კონფლიქტმა იფეთქა, ამჯერად ბოსნია-ჰერცეგოვინის რესპუბლიკაში. ბოსნია წარმოადგენს ეთნიკური დაძაბულობით გაჯერებულ საზოგადოებას, რომლის მოსახლეობაც შედგება სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფისგან – სერბების, ხორვატების და ბოსნიელი მუსლიმებისგან. უკანასკნელი ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია, თუმცა ისინი ყველაზე მცირე ტერიტორიაზე არიან კონცენტრირებულნი. ეთნიკურ განსხვავებებს აძლიერებს რელიგიური ფაქტორი (ხორვატები კათოლიკეები არიან, სერბები კი მიეკუთვნებიან მართლმადიდებლურ ეკლესიას) და ისტორიული მტრობაც, რომელსაც განაპირობებს ამ ჯგუფების მიერ ერთმანეთისათვის წარსულში მიყენებული წყენა.

ბოსნიური კონფლიქტი იყო ბრძოლა ტერიტორიისათვის დაამავე დროს, ძველი ანგარიშების გასწორება. მას სამი განზომილება ჰქონდა: სერბები ხორვატების წინააღმდეგ, მუსლიმები ხორვატების წინააღმდეგ და ყველაზე მეტად, სერბები მუსლიმების წინააღმდეგ. სერბების და მუსლიმების ბრძოლა ბოსნიაში ყველაზე სასტიკი და უთანასწორო იყო. სერბებმა დაიკავეს ტერიტორიის დიდი ნაწილი. მათ ასევე განახორციელეს მასიური ეთნიკური წმენდა – გაუპატიურებები, ძარცვა და მასიური მკვლელობები, რამაც გამოიწვია ყველა მუსლიმის და არასერბის გან-

დევნა იმ ქალაქებიდან და სოფლებიდან, რომლებიც სერბებმა დაიკავეს და სერბული სახელმწიფო სერბსკას შემადგენლობაში შეყვანა სცადეს. 1993-94 წლებში ბოსნიელმა სერბებმა, რომელთაც ზურგს სერბია უმაგრებდა, ალყა შემოარტყეს სარაევოს, ბოსნიის დედაქალაქს და რამდენიმე დიდ მუსლიმურ ქალაქს. სარაევოს ალყა დასრულდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდა ნატოს და გაეროს ინტერვენცია. სხვა შემთხვევაში ალყა გაგრძელდებოდა, მიუხედავად გაეროს არაეფექტიანი რეზოლუციებისა, რომლებიც საფრთხის წინაშე მდგომ ამ ქალაქებს „უსაფრთხო თავშესაფრად“ აცხადებდა. გაერომ დაადანაშაულა აგრეთვე ხორვატია ბოსნიასთან კონფლიქტის გაღვივებაში შეტანილი წვლილისათვის. იგი ასევე დაემუქრა ბოსნიელ სერბებს ნატოს საჰაერო იერიშებით. ინტენსიურ საშუამავლო მცდელობებთან (განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან) შეჯერებულმა ამ ღონისძიებებმა შედეგი მოიტანა.

1994 წლის თებერვალში სერბები დათანხმდნენ მძიმე იარაღის გამოტანაზე სარაევოდან და ერთი კვირის თავზე ბოსნიის მთავრობამ და ბოსნიელმა ხორვატებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. 1994 წლის მარტში დროებით გაჩნდა მშვიდობის პერსპექტივა, როდესაც ხორვატულმა ხელისუფლებამ და ადგილობრივმა სერბმა მმართველებმაც დადეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო მტრობისთვის.

თუმცა, მშვიდობა მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა. როდესაც გაეროს ძალები გაემართნენ ბოსნიაში ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად, ბოსნიელმა სერბებმა მოულოდნელად შეუტიეს მათ და განაგრძეს ბრძოლები. ნატოს საჰაერო დარტყმები, რომლებიც განხორციელდა 1994 წლის აპრილსა და ნოემბერში და 1995 წლის მაისში, მიზნად ისახავდა დაეცვა გაეროს სამშვიდობო ძალების უსაფრთხოება. ბოსნია კიდევ ერთხელ მოიცვა სისხლიანმა ანარქიამ.

საბოლოოდ, გაეროს განახლებული სამშვიდობო გეგმა გახდა ახალი თანაცხოვრების საფუძველი. ყველა დაპირისპირებულმა მხარემ შეიმუშავა სამშვიდობო გეგმა 1995 წლის ნოემბერში დეიტონში, ოჰაიოს შტატში (აშშ) და ხელი მოაწერა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებას **პარიზში** 14 დეკემბერს. შეთანხმების მიხედვით, ბოსნიის 49 პროცენტი გადაეცა ბოსნიის სერბულ რესპუბლიკას და 51 პროცენტი მუსლიმ-ხორვატულ ფედერაციას. სარაევო რჩება დედაქალაქად მუსლიმურ-ხორვატული ფედერაციის ტერიტორიაზე. ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც შედგება პრეზიდენტის კოლექტიური პოსტისა და პარლამენტისგან, წარმართავს საგარეო პოლიტიკას, ეკონომიკას, ფინანსებს და სხვა საქმეებს. ბოსნიის თითოეულ ნახევარს საკუთარი შეიარაღებული ძალები და პოლიცია გააჩნია.

ბოსნიაში სამშვიდობო პროცესის მონიტორინგისათვის ნატოს მეთაურობით გაიგზავნა 60 ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი საერთაშორისო ძალები. მიუხედავად სხვადასხვა დარღვევებისა, არჩევნები ჩატარდა 1996 წლის სექტემბერში. მაგრამ ცოტა ვინმე თუ ელოდა დეიტონის შეთანხმების შენარჩუნებას. უკვე 1997 წლის შუახანებში ნაციონალისტმა სერბებმა და ხორვატებმა ბოსნიაში მოინდომეს ბოსნიის გაყოფა ეთნიკურად „წმინდა“ ტერიტორიებად. 1998 წლის მარტში რეგიონი შეძრა სერბიის მიერ ზურგგამაგრებულმა ძალადობამ ალბანელი უმრავლესობის წინააღმდეგ კოსოვოს ავტონომიურ პროვინციაში. ამგვარი ტერიტორიული ამბიციების და გაუთავებელი ეთნიკური ემოციების ფონზე, შეუძლებელი ჩანდა იმის წარმოდგენა, რომ ბოსნია გააგრძელებდა არსებობას ერთიანი მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სახელმწიფოს სახით.

სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომი კოსოვოში 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ომის მიზეზი ავტონომიის საკითხი იყო – კოსოვოელები ითხოვდნენ მას, ხოლო სერბები უარს აცხადებდნენ. სერბულმა ძალებმა არ დაინდეს მშვიდობიანი მოსახლეობა, სისტემატურად აძევებდნენ კოსოვარებს (ალბანელ სერბებს) ქვეყნიდან (კოსოვოდან). იმ დროისთვის, როდესაც ნატოს ინტერვენციამ საბოლოოდ დაჩოქა მილოშევიჩის მთავრობა, მილიონზე მეტი კოსოვარი (დაახლოებით სამი მეხუთედი ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობისა) ლტოლვილად იყო ქცეული. მშვიდობა კოსოვოს მხოლოდ კოსოვოს გათავისუფლების არმიის გააფთრებული ბრძოლების და გაეროს და საერთაშორისო საზოგადოების ინტერვენციის შემდეგ დაუბრუნდა.

ბრძოლების ტკივილიან დასასრულს თან ახლდა თავსმოხვეული მშვიდობა. გაერომ მოახდინა საკუთარი „დროებითი ადმინისტრაციის“ ფორმირება, ნატოს ძალები კი გარკვეულწილად პოლიციის ფუნქციას ასრულებდნენ. დეკლარირებული მიზანი იყო „არსებითი ავტონომია და თვითმმართველობა“ პროვინციისთვის. გაერო-ნატოს რეჟიმმა განაიარაღა კოსოვოს გათავისუფლების არმია და დადო მცირერიცხოვანი (5 პროცენტიანი) სერბული უმცირესობის განრისხებული ალბანელების შურისძიებისაგან დაცვის პირობა. ეს პირობა სრულად არ შესრულდა, რამდენადაც ხშირი იყო კოსოვოში სერბებზე თავდასხმისა და მუქარის შემთხვევები.

საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა. მილოშევიჩის ხელისუფლებაში ყოფნისას გაეროს პროტექტორატს ბოლო არ უჩანდა. კეთილი სურვილების მიუხედავად, გაერომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არ იყო მზად მმართველობის განსახორციელებლად. გაეროს ადმინისტრაცია არ იცნობდა ადგილობრივ ჩვეულებებს და აწყდებოდა ძნელად გადასალახ ენობრივ ბარიერს. ნატოს ძალები, რომლებმაც ახლა სერბების დაცვის რთული მისია იკისრეს, უფლებაშელახული კოსოვარებისგან მტრულ დამოკიდებულებას წააწყდნენ. ამავდროულად, შეიქმნა ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ვაკუუმი, სადაც არ არსებობდა არც კანონი, არც სასამართლოები, არც ადგილობრივი პოლიცია, რათა გამკლავებოდნენ ჩვეულებრივ (და არცთუ მთლად ჩვეულებრივ) კრიმინალს [(2008 წლის თებერვალში კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც უკვე აღიარა რამდენიმე სახელმწიფომ – მთარგმნ. შენ)].

სისხლიანი დიქტატორი მილოშევიჩი საბოლოოდ დაამხეს საპრეზიდენტო არჩევნებში 2000 წელს (იგი ეცადა არჩევნების გაყალბებას, მაგრამ დაამხო სახალხო ოპოზიციის მძლავრმა ტალღამ) [მილოშევიჩი ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცეს 2001 წელს. იგი გულის შეტვით გარდაიცვალა ციხეში 2006 წ. — მთარგმნ. შენ.]. მხოლოდ დრო აჩვენებს, შეძლებენ თუ არა მილოშევიჩის მემკვიდრე (ან მემკვიდრეები) დაუბრუნონ პოლიტიკური წესრიგი და საერთაშორისო პატივისცემა დანგრეული ეკონომიკის მქონე ამ დაქუცმაცებულ ერს.

სიერა-ლეონე

როგორც უკვე აღინიშნა, დემოკრატია სულაც არ არის ჩვეული ამბავი საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში. იქაც კი, სადაც იგი თითქოს მუშაობდა, დამარცხდა – ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად უნუგეშოდ. არსად იგი ისე უმოწყალოდ არ დამარცხებულა, როგორც სიერა-ლეონეში.

1986 წელს სიერა-ლეონეში საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები გაიმართა და

პარტიამ სახელწოდებით „საერთო სახალხო კონგრესი“ (სახელი მარჯვედ იყო შერჩეული), შეარჩია 335 კანდიდატი, რათა ებრძოლა 105 ადგილისათვის. პარტია ჩვეულებრივ აყენებდა სამ კონკურენტს თითოეულ ადგილზე, რაც გავრცელებული პრაქტიკაა რეგიონის ერთპარტიულ ქვეყნებში. ამრიგად, ამომრჩევლებს სიერა-ლეონეში ფაქტობრივად ჰქონდათ მეტი არჩევანი – სულ მცირე, პიროვნებებთან მიმართებაში – ვიდრე ამომრჩევლებს აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების უმრავლეს შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა, სიერა-ლეონე 1990-იან წლებში ანარქიაში გადაეშვა. 1996 და 1998 წლებს შორის მთავრობა ოთხჯერ გამოიცვალა. შემდეგ დაიწყო სრული კოშმარი და აჯანყებულებმა (ე. წ. ერთიანი რევოლუციური ფრონტის წევრებმა) სისხლიანი არეულობები მოაწყვეს. ისინი იტაცებდნენ პატარა ბიჭებს და მათ სექსუალური ძალადობის მსხვერპლად და მკვლელებად აქცევდნენ. შეუძლებელია, და არც არის საჭირო, აღწერო სიერა-ლეონეში მომხდარი ყველა საშინელება. ამ ქვეყანაში არ ჩამოყალიბებულა არც პოლიტიკური ინსტიტუტები და არც სამოქალაქო კულტურა, რაც აუცილებელია დემოკრატიის მდგრადი განვითარებისათვის. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, გარეგნული დემოკრატიის მიღმა ინიღბებოდა საზოგადოება, რომელიც ნებისმიერ მომენტში მზად იყო სამოქალაქო ძალადობის ვულკანისებრი ამოფრქვევისათვის.

ავღანეთი

დაბოლოს, ყურადღებას შევაჩერებთ ავღანეთზე, სადაც საერთაშორისო მხარდაჭერით ზურგგამაგრებულმა აშშ-მ მოახდინა სამხედრო ინტერვენცია მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ. ერთ დღეში ავღანეთი ამერიკელებისთვის რუკაზე არარსებული ქვეყნიდან იქცა ქვეყნად, რომელზეც ყველაზე მეტს საუბრობენ მსოფლიოში. ამერიკელებმა უცებ გაიგეს, რომ სასტიკი ბანდიტების ხროვა, რომელიც მოკალათებული იყო თალიბების სახელწოდებით ცნობილ ტოტალიტარულ რეჟიმში, დაჩაგრულ და უაღრესად გაღატაკებულ ქვეყანას გაუკუღმართებული ისლამის სახელით მართავდა. მათ ასევე გაიგეს, რომ თალიბური რეჟიმი წარმოადგენდა მყუდრო თავშესაფარს ოსამა ბინ ლადენისა და მისი ტერორისტული ქსელის – ალ-ქაიდასთვის. ცოტას თუ ესმოდა ისტორიული ფონი: ავღანეთი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დისფუნქციური სახელმწიფო სამი ათწლეულის განმავლობაში იმ მოვლენებამდე, რომლებმაც უშუალოდ გამოიწვია ავღანეთის მიწაზე ამერიკის სპეციალური ძალების შესვლა. 1970 წლამდეც კი ავღანეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უღატაკესი ქვეყანა იყო; მდგომარეობა სწრაფად გაუარესდა მონარქიის დამხობის შემდგომ რამდენიმე ათწლეულში. 2001 წელს მთელი ქვეყანა ნანგრევებში იყო და მილიონობით ადამიანი, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, სიკვდილის ზღვარზე ცხოვრობდნენ.

ავღანეთში მრავალი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, რომლებიც ენათესავებიან მეზობელი ქვეყნების – პაკისტანის, ირანის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და ჩინეთის მოსახლეობას. უდიდესი ჯგუფი, პუშტუნები, მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს (რაც 2000 წელს 26 მილიონი იყო). ამრიგად, ქვეყანაში არ არსებობს უმრავლესობის ჯგუფი, ცხოვრობენ მხოლოდ სხვადასხვა ზომის

უმცირესობები. ავღანელების დაახლოებით 99 პროცენტი მუსლიმია, აქედან 15 პროცენტი შიიტია (მსგავსად ირანელების უმრავლესობისა).

ავღანეთი 1747-1973 წლებში მონარქია იყო. როდესაც ქვეყანამ დაშლა დაიწყო, მაშინვე აშკარა გახდა, რომ ამ მრავალფეროვან საზოგადოებაში ბევრი ბზარი არსებობდა. სხვადასხვა ჯგუფები იბრძოდნენ უპირატესობის მოსაპოვებლად 1973 წლიდან, სანამ საბჭოთა კავშირმა არ გამოიტანა საბედისწერო გადაწყვეტილება შეჭრილიყო ავღანეთში მისი ფავორიტი დაჯგუფების (კომუნისტების) სახელით. საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრას შედეგად მოჰყვა სასტიკი და ხანგრძლივი ომი, დამარცხებულმა საბჭოთა კავშირმა საკუთარი ძალები საბოლოოდ 1989 წელს გაიყვანა, ათი წლის დამანგრეველი (და დამამცირებელი) ბრძოლების შემდეგ. 1992 წელს ოპონენტებმა დაამხეს კომუნისტური რეჟიმი და ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. როდესაც მისი ვადა ამოიწურა, ხელისუფლებამ უარი განაცხადა ძალაუფლების დათმობაზე, მაგრამ თალიბებმა იერიში მიიტანეს დედაქალაქზე და დააამხეს იგი 1996 წელს. ახალმა რეჟიმმა დაამყარა ტოტალიტარული ძალაუფლება, რომელიც ისლამის ენასა და იდეებს ქადაგებდა, მაგრამ ეფუძნებოდა ყურანის (წმინდა წერილის) თავნებურ ინტერპრეტირებას და შარიათის კანონებს (მუსლიმი სასულიერო პირების, ანუ მოლების სწავლებას). ქალები და გოგონები იძულებულნი იყვნენ საზოგადოებაში ჩადრი ეტარებინათ და მათ აეკრძალათ სახლის გარეთ მუშაობა, სკოლაში სიარული და ოფიციალურისაგან განსხვავებული შეხედულებების გამოხატვა. აიკრძალა ტელევიზია, ფილმები, მუსიკა, ცეკვა და „გარყვნილი“ გართობის სხვა ელემენტები. შეზღუდული იქნა თვით ბავშვთა თამაშებიც კი (პრესის მონაცემების მიხედვით, მაგალითად, აიკრძალა ქაღალდის ფრანით თამაში).

ავღანეთი ყველაზე ცნობილი მაგალითია დისფუნქციური სახელმწიფოსი, მაგრამ არა ერთადერთი. როგორც მისი ისტორიის ბოლო სამი ათწლეული გვიჩვენებს, დისფუნქციური სახელმწიფოები შეიძლება ძალიან სახიფათონი აღმოჩნდნენ რეგიონული სტაბილურობისა და თვით მსოფლიო წესრიგისთვისაც კი. ამ პრობლემის გასაღების პოვნა ისევე ადვილია, როგორც ძნელია მისი განხორციელება: ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება უკეთეს ცხოვრებას ქმნის ძალადობით, შიმშილით, ავადმყოფობით და უიმედობით დაჩაგრული საზოგადოებებისათვის.

განვითარების თეორია: ტენდენციური მსჯელობა?

დასავლეთში *განვითარება* და *დემოკრატია* ხშირად სინონიმებად განიხილება და განვითარების ყველა ასპექტი სასურველად მიიჩნევა. პოლიტიკური მეცნიერების ენა და განვითარების შესახებ ლიტერატურა უფრო ბევრ რამეს ააშკარავებს. იგულისხმება, რომ განუვითარებელ ქვეყანას განვითარებული სჯობია. დაუკვირდით ამ უკანასკნელი ტერმინის ანტონიმებს: *სუსტად განვითარებელი, ნაკლებად განვითარებული, განვითარებადი, ტრადიციული* ან *ჩამორჩენილიც* კი. ზოგჯერ, პოლიტიკური კორექტულობის მიზნით, პოლიტოლოგები ტერმინ „*პრემოდერნულსაც*“ კი იყენებენ განვითარების ადრეულ საფეხურებზე მყოფ საზოგადოებათა დასახასიათებლად.

ამდენად, განვითარების თეორია გულისხმობს, რომ განვითარება კარგია. ამის მიზეზი შესაძლებელია ისიც იყოს, რომ ყველაზე ნაკლებ განვითარებული და არათა-

ნამედროვე საზოგადოებები იმავდროულად, როგორც წესი, უღარიბესებიც არიან. როგორც ვნახეთ, ეკონომიკური განვითარება და საზოგადოებრივი მოდერნიზაცია ზოგჯერ პოლიტიკურ დემოკრატიასთანაც ასოცირდება.

თუკი ასეა, მაშინ ისმის კითხვა: არიან კი თანამედროვე მოქალაქეები ინდუსტრიულად განვითარებულ ერი-სახელმწიფოებში უფრო ბედნიერნი, ვიდრე აფრიკული ტომის წევრები, რომლებიც შედარებით იოლი ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელთა მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია ტომის მიერ (იმ თემის მიერ, რომელშიც ცხოვრობენ) და რომელთა რელიგიურ და მეტაფიზიკურ შეკითხვებს ცალსახა პასუხები გააჩნია თაობიდან თაობაზე გადაცემული რწმენების საფუძველზე? დახვეწილი მედასავლეთეები ამგვარ ცხოვრებას პრიმიტიულად და ჩამორჩენილად მიიჩნევენ. მათი აზრით ცრურწმენები, მითები და წარსულის მკვდარი ხელი აფერხებს როგორც ინდივიდების, ასევე საზოგადოების განვითარებას.

მაგრამ ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ დისკუსიები განვითარების შესახებ ხშირად არ სცდება დასავლური ყაიდის განვითარების ქებას და ადანაშაულებს დასავლელ ექსპერტებს ეთნოცენტრიზმში.[22] სინამდვილეში, დასავლელი ფილოსოფოსები დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდნენ ამ პრობლემას. 1750 წელს ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ჟაკ რუსო წერდა: „ჩვენი სულები დამახინჯებულია მეცნიერებისა და ხელოვნების სრულყოფისაკენ ჩვენი სწრაფვის შესაბამისად“.[23] რუსოს პოლიტიკური ფილოსოფია ეფუძნება იდეას, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ უფრო გამოფიტა, ვიდრე გაამდიდრა ჩვენი ადამიანური ბუნება. უდავოა, რომ განვითარებად ქვეყნებში ბევრი ადამიანი, რომელიც იძულებული იქნა მიეტოვებინა სოფელი და შეჩვეოდა ქალაქის ცხოვრების ცვალებადობას (ხშირად ჭუჭყიან ჯურღმულებში), დაეთანხმებოდა ამ იდეას.

ჭარბგანვითარება: კაპიტალიზმის პატარა ბინძური საიდუმლო

დასაწყისში ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ განვითარება მხოლოდ დასავლეთსა და მის ფარგლებს მყოფ ერთეულ ქვეყნებში არ ხდება. ყველა საზოგადოება მუდმივი ცვლილებების პროცესშია, ისინი განიცდიან ან აღმავლობას, ან დაცემას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ისინი არასდროს იყინებიან ერთ ადგილზე. საზოგადოებები სხვადასხვა გზით, ტემპით და სხვადასახვა დროს ვითარდებიან. თანამედროვე ეპოქაში, დასავლურმა საზოგადოებებმა პირველებმა გაიკვლიეს გზა – ისინი განვითარდნენ ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად, განავითარეს პოლიტიკური ინსტიტუტები. მათ ამ პერსპექტივაში, განვითარება თანამედროვე გაგებით, წარმოადგენდა ბუნებრივ პროცესს, რომლის სათავეც ამ საზოგადოებებშია. განვითარებადი ქვეყნებისთვის ხშირად საპირისპიროდ ხდება: განვითარება უცხო პროცესია, რომელიც სათავეს გარედან იღებს (ანუ მსოფლიოს საბაზრო ძალებისგან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლისგან, უცხოური კაპიტალიდან, რომელიც იაფ სამუშაო ძალას ეძებს და ა. შ.).

ამდენად, განვითარება დასავლეთში ზოგადად ნაკლებად დამანგრეველი იყო, ვიდრე მესამე სამყაროს ბევრ ქვეყანაში. მაგრამ განვითარების ისტორია არ მთავრდება პოსტინდუსტრიული პერიოდის მოსვლით. დასავლურმა საზოგადოებებმა გაიარეს

განვითარების აგრარული და ინდუსტრიული საფეხურები და შექმნეს მაღალტექნოლოგიური ეკონომიკები, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ კომერციული და ფინანსური სერვისების ფართო სპექტრს (რა თქმა უნდა, ეს ქვეყნები კვლავაც ჩართულნი არიან სოფლის მეურნეობაში, მადნეულის მოპოვებასა და მრეწველობაში, მაგრამ ეკონომიკის ეს სექტორები დაჩრდილა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მნიშვნელობამ, მათ შორის კომპიუტერულმა პროგრამებმა, ფინანსურმა სერვისებმა, მეცნიერებასა და კვლევაზე დაფუძნებულმა პროდუქციამ, როგორიცაა, მაგალითად, მედიკამენტების წარმოება და სხვა). ეს ახალი პროდუქტები ცხოვრების ახალ ხარისხს ქმნის მომხმარებლებისათვის, მაგრამ ამ ყველაფერს თან სდევს გვერდითი ეფექტებიც: ტრანსპორტის საცობები, ქალაქის გადაჭედვა, ატმოსფეროს დაბინძურება და ხმაური, სტრესული დაავადებები, ოჯახების დანგრევის მაღალი მაჩვენებლები, ნარკომანია, ძალადობრივი კრიმინალის ზრდა, გადაჭარბებული მოხმარება, ქალაქების უზომოდ ზრდა, ენერგიის უკმარისობა (მაგ. კალიფორნიაში), ნარჩენების განადგურების პრობლემა, მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, ტოქსიკური წვიმები, გლობალური დათბობა, ოზონის ფენაში ხვრელების გაჩენა, მცენარეთა და ცხოველთა უამრავი სახეობის განადგურება და ბევრი სხვა ბოროტება, რაც, ჩვეულებრივ, განვითარების თანმდევი მოვლენებია.

პოსტინდუსტრიული ქვეყნების წინაშე მდგარი ამ პრობლემებიდან მხოლოდ ზოგიერთის დასახელებაც კი გვიჩვენებს, რომ განვითარების მაღალ საფეხურებს თავისი სირთულეები გააჩნია. ეს სირთულეები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ყველა თავისებურ საფრთხეს შეიცავს. კარგი იქნებოდა, თუ *ჭარბგანვითარებული ქვეყნები* – ის ქვეყნები, სადაც განვითარებამ გაასწრო საზოგადოების შესაძლებლობებს გამკლავებოდნენ აჩქარებული ტემპის ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების თანმდევ არასასურველ გვერდით ეფექტებს – მეტ ყურადღებას დაუთმობდნენ მათ წინაშე მდგარ პრობლემებს, და არა *განუვითარებელი ქვეყნების* აღზრდა-სწავლებას – რა და როგორ გააკეთონ.

დასკვნა

განვითარებად ქვეყნებს ასე იმიტომ უწოდებენ, რომ ისინი ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულნი და ნაკლებად მოდერნიზებულნი არიან, ვიდრე დასავლური ლიბერალური დემოკრატიები. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია განვითარებადი ქვეყნების დამახასიათებელი საერთო ნიშნების გამოყოფა (მაგალითად, სიღარიბე, შობადობის მაღალი მაჩვენებლები, სოფლის მეურნეობის წამყვანი როლი), ეს ქვეყნება უაღრესად მრავალფეროვანია. განვითარებადი ქვეყნების ისტორიული მემკვიდრეობა – განსაკუთრებით ევროპული კოლონიალიზმი – ღარიბი სამხრეთის გაუნელებელი აღშფოთების მიზეზია მდიდარი ჩრდილოეთის მიმართ. ამ ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილია არაჯანსაღი პოლიტიკური რუკა: საზღვრები ხშირად არ ასახავს ადგილობრივ ეთნიკურ, რელიგიურ და ტომობრივ დანაწილებას და ამრიგად, პოლიტიკური არასტაბილურობის, მათ შორის აჯანყებების, სამოქალაქო ომების და გენოციდის მიზეზიც კი ხდება.

პოლიტიკური განვითარება ქვეყნის ლიდერებისგან მოითხოვს მოსახლეობის

წარმატებულ გაერთიანებას (ერის მშენებლობა), ხელისუფლების ისეთი ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც ასახავენ ხალხის ნებას (სახელმწიფოს მშენებლობა), მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფას და სიმდიდრის, ძალაუფლებისა და საკუთრების სამართლიანი განაწილების ხელშეწყობას. კონკრეტულად, პოლიტიკური განვითარება მოითხოვს, რომ მთავრობამ მართოს ეფექტიანად და მოხდეს ხელისუფლებების უმ-ტკივნეულო ცვლილებები. როგორც წესი, პოლიტიკური განვითარება ასევე გულისხმობს პროგრესს დემოკრატიული მმართველობის მიმართულებითაც. დემოკრატია განვითარებად ქვეყნებში დაკავშირებულია გარკვეული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ქცევითი პირობების არსებობასთან. დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად, ერმა ან პოლიტიკური, ან ეკონომიკური რეფორმების განხორციელება უნდა დაიწყოს, მაგრამ ეკონომიკური რეფორმების პირველადობის სტრატეგია უფრო მეტად რალურ პერსპექტივებს ქმნის დემოკრატიის წარმატებისთვის. 1974-დან 1990 წლამდე მრავალი განვითარებადი ერი გახდა დემოკრატიული, მაგრამ ეს ტენდენცია შექცევადია.

განვითარება შესაძლოა რთული ამოცანა იყოს. განვითარებისაკენ მიმართული პროგრამების გატარებისას ერები მოტივირებულნი არიან ეკონომიკური სიძნელეებით, პოლიტიკური ქიშპობით და მაღალი მოლოდინებით, თუმცა ამ პროცესში მათ მნიშვნელოვანი ბარიერები ეღობებათ წინ. მათი მოსახლეობა ხშირად სოციალურად ფრაგმენტირებულია, ინდივიდები ფსიქოლოგიურად ძლიერ დამოკიდებულნი არიან ტრადიციებზე და ხშირად ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს. ეკონომიკაში არსებული პრობლემა უამრავია – ვაჭრობის არახელსაყრელი პირობები, დიდი უცხოური ვალი, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ტექნოლოგიების დაბალი დონე, მიწის ნაკვეთების განაწილება, მკაცრი ბუნებრივი პირობები და ა.შ. როდესაც პოლიტიკური ლიდერები ვერ ახერხებენ წარმატებით დააკმაყოფილონ განვითარების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები (მრავალ მიზეზთა გამო), განვითარება წყდება და ერებში განხეთქილებები იწყება.

ზოგიერთი საზოგადოება განვითარების ნაცვლად დაკნინებისა და დაშლის მსხვერპლი ხდება. ამის ბოლოდროინდელი მაგალითებია სომალი, იუგოსლავია, სიერალეონე და ავღანეთი. საბჭოთა კავშირი და ბევრი სხვა ქვეყანაც გამოდგება დაშლის და დაქვეითების მაგალითად.

ჭარბგანვითარება (განუვითარებლობის საპირისპიროდ) წარმოადგენს პრობლემას, რომელიც ბევრ დასავლურ საზოგადოებას აწუხებს. თანამედროვე დისკუსიები განვითარების თემაზე უპირატესად განვითარების ქება-დიდებას წარმოადგენს, თუმცა მისი ასერიგად სასურველობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს.

საკვანძო სიტყვები

განვითარებადი ქვეყნები	სამოქალაქო დაუმორჩილებლობა
პირველი სამყარო	პოლიტიკური განვითარება
მეორე სამყარო	ერის მშენებლობა
მესამე სამყარო	სახელმწიფოს მშენებლობა
კოლონიალიზმი	პოლიტიკური შეღწევა
არაძალადობრივი წინააღმდეგობა	მონაწილეობა

პატრონ-კლიენტური ურთიერთობები	მზარდი მოლოდინების რევოლუცია
დემოკრატიის კორელატები	მოზაიკური საზოგადოებები
„გლასტნოსტ“-ის პირველადობის მოდელი	ტრადიციული საზოგადოებები
„პერესტროიკ“-ის პირველადობის მოდელი	ასკრიპტიული საზოგადოებები
	მწვანე რევოლუცია
	ეთნიკური წმენდა
	დეიტონის შეთანხმებები

კითხვები გამეორებისათვის

1. რა არის ე. წ. მესამე სამყაროს ძირითადი მახასიათებლები? როგორ უკავშირდება ეს მახასიათებლები განვითარების პროცესს?
2. დაასახელეთ დემოკრატიის კორელატები. ახსენით, რამდენად მართებულია ანალიზის ამგვარი მიმართულება.
3. რა არის მოდერნიზაციის მიზნები? რა უშლის ხელს მას?
4. მივყავართ თუ არა განვითარებას ყოველთვის დემოკრატიისკენ? თუ პირიქით? მოიტანეთ მაგალითები.
5. რა დაბრკოლებები ეღობება განვითარებას? თუ განვითარება ასე ძნელია, რატომ ესწრაფვიან მას?
6. როგორ უკავშირდება ერთმანეთს განვითარება და დაკნინება? ჩერდებიან თუ არა სახელმწიფოები და საზოგადოებები ოდესმე ერთ ადგილზე? ახსენით.
7. დაასახელეთ ოთხი დისფუნქციური სახელმწიფო და ერთ-ერთი მათგანის მაგალითზე აღწერეთ დისფუნქციური სახელმწიფოს ბუნება.

შენიშვნები

1. ეს მონაცემები ჭეშმარიტია კლასიფიკაციის თითქმის ყველა სისტემის მიხედვით, თუმცა ჩინეთის განვითარებად ქვეყნად ჩათვლა/არჩათვლა მნიშვნელოვნად იმოქმედებს ზუსტ მაჩვენებლებზე. ჩვენს ცხრილში ჩინეთი განვითარებად ქვეყნად არის მიჩნეული.
2. *John Allen, Student Atlas of World Politics (Guilford, Conn.: Dushkin, 1994), 16.* ტაილანდს მაშინ სიამი ეწოდებოდა, ირანს კი სპარსეთი.
3. იქვე, 17. თუმცა, თანამედროვე პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ყოფილი იუგოსლავიის, ცვალებადობის გამო ეს მაჩვენებელი ძალზე არამყარია.
4. როგორც აღნიშნავს *Robert Clark, Power and Politics in the Third World, 4th ed. (New York: Macmullian, 1991), 26.*
5. იხ. *Jared Diamond, Guns, Germs, and Steel: The Fate of Human Societies: (New Yaork: Norton, 1997).*
6. ამ საკითხებს საზოგადოდ ესმება ხაზი ლიტერატურაში. იხ. *James A. Bill da*

Robert L. Hardgrave, Jr, Comparative Politics: The Quest fir Theory (Webster-ville, Ohio: Merrill, 1973), 70-71.

7. მაგალითისათვის იხ. *Seymour Lipset, Political man: The Social gases of Democracy (Garden City. N.Y. Doubleday, 1983); Tatu Vanhamen, The Process of Democratization: A Comperative Study of 147 States, 1980-1988 (Bristol, Pa: Taylor & Francis, 1990);* და *Samuel P. Huntington, "Will More countries Become Democratic?" Political Science Quarterly 99 (1984): 193-218.* ასევე საინტერესოა *Thomas Scanton, "Democracy's Fragile Flower Spreads Its Roots", Time, July 13, 1987.10-11.* ამგვარ კორელატებზე დაფუძნებულ, დემოკრატიის ოპტიმისტურ ხედვას გვთავაზობს *Carl Garsman, "Democracy as the Wave of the Future: World Revolution", Current, (May 1989): 18-23.* ასევე იხ. *Morton Kondracke, "Freedom Bummer", New Republic, November 26, 1990, 21-24.*
8. *Gershman "Democracy as the Wave of the Future", 23.*
9. *Vanhamen, Process of Democratization, 51-65.*
10. იხ. *Kondracke, "Freedom Bummer," 23*
11. *Samuel Hantington „How Countries Democratize", Political Science Quarterly 106, (1991-1992): 579.*
12. მაგალითისათვის იხ. *Robert M. Press "Africa's Strugle for for Democracy", Christian Science Monitor, March 21, 1991, 7;* და *Kennet B. Noble, "Despots Dwindle as Reform Alters Face of Africa", New York Times, April 13, 1991, 1.*
13. როგორც აღნიშნავს *Thomas R. Lansner "Out of Africa", Wall Street Journal, December 10, 1996. A18.*
14. *Huntington, "How Countries Democratize", 12.*
15. ჩვეულებრივ, მესამე სამყაროს ქვეყნების მიერ. უკანასკნელი პერიოდის მნიშვნელოვანი გამონაკლისი იყო 1991 წლის დასაწყისში შეერთებული შტატების წინამძღოლობით გაერთიანებული ერების ჯარებისა და ერაყს შორის ომი.
16. *Jean Herskovits, "Nigeria: Power and Democracy in Africa", Headline Series 527 (January-February 1982): 18.*
17. *Vyvyan Tenorio, "Sri Lanka Process at Delicate point", Cristian Science Monitor, September 2, 1986,11.*
18. *Robert E. Gamer, Developing Nations: A Comparative Perspective, 2nd ed. (Dubuque, Lowa: William C Brown, 1982), 312-314.*
19. *Samuel Huntington, "Political Development and Political Decay," Worlds Politics 17 (April 1965): 386-430.*
20. *Samuel Huntington, Political Order in Changing Societies (New Haven, Conn.: Yale University Press, 1968), 35.*
21. *Robert G. Wesson, Communism and Communist Systems (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1978), 172-173.*
22. *მაგალითისათვის იხ. Bill and Hardgrave, Comparative Politics, 58-59.*
23. *Jean-Jacques Rousseau, "The First Discourse," წიგნში The First and Second Discourses, რედ. Roger D. Masters (New York: St. Martin's Press, 1964), 39.*



ნაწილი III

პოლიტიკის სამოქალაქო განზომილება

თავი IX
პოლიტიკური სოციალიზაცია: მოქალაქის ჩამოყალიბება

თავი X
პოლიტიკური მონაწილეობა: გავლენის სათასური

თავი XI პოლიტიკური ლიდერობა: ძალაუფლების მრავალსახეობა

თავი XII საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზღუდეზე: იდეოლოგიები და იზმები

თავი XIII საჯარო პოლიტიკის პრობლემები: პრინციპები, პრიორიტეტები და პრაქტიკა



თავი IX

პოლიტიკური სოციალიზაცია

მოქალაქის ჩამოყალიბება

კარგი მოქალაქე და კარგი პიროვნება

- საპირისპირო განმარტებები
- კლასიკური ხედვა

პოლიტიკური სოციალიზაცია

- ოჯახი
- თანატოლები
- მასმედია
- კანონი
- ძირითადი პოლიტიკური ღირებულებები: როგორ ვიპოვოთ ოქროს შუალედი?

პოლიტიკური სოციალიზაციის მარცხი

1932 წელია. საბჭოთა კავშირი საკვების საშინელ ნაკლებობას განიცდის, მილიონობით ადამიანი შიმშილობს. იოსებ სტალინმა, კომუნისტური პარტიის ლიდერმა და საბჭოთა ხელისუფლების თავკაცმა, წამოიწყო საბჭოთა სოფლის მეურნეობის ძირფესვიანი რეორგანიზაცია, რაც მიწათმფლობელთა მთელი სოციალური კლასის (კულაკების) მოსპობასა და მთლიანი მიწების კოლექტივიზაციას გულისხმობდა _ ამიერიდან მიწის ყოველი ნაკვეთი და მასზე მოწეული პროდუქტი სახელმწიფოს ეკუთვნის. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო აწ უკვე სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ქონების ქურდობა, საბჭოთა ხელისუფლებამ შემოიღო კანონი, რომლითაც თითოეულ გლეხს აეკრძალა პირადი მოხმარებისათვის მარცვლელულის ნებისმიერი რაოდენობის მითვისება. ამ კანონის გავლენით, პატარა ბიჭმა მამამისი მარცვლეულის დამალვისათვის ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაასმინა. მამა სახელმწიფო ქონების ქურდობის გამო დახვრიტეს. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და გლეხების ჯგუფმა, რომელსაც ამ ბიჭის საქციელით განრისხებული ბიძა წინამძღოლობდა, იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ხელისუფლებამ, რომელიც შემთხვევას სრულიად განსხვავებული კუთხით განიხილავდა, ბიჭი ტანჯულ გმირად შერაცხა.

კარგი მოქალაქე და კარგი პიროვნება

სტალინი ამ პატარა ბიჭს სამაგალითო მოქალაქედ, გმირად მიიჩნევდა. ის ფაქტი, რომ საკუთარი მამის დამსმენი ბავშვი შეიძლება კარგ მოქალაქედ ჩათვლილიყო, მიუთითებს განსხვავებაზე რომელიც პირველად არისტოტელემ აღნიშნა: კარგ მოქალაქეს განსაზღვრავს კანონები, რეჟიმები და წესები, მაგრამ კარგი პიროვნების ზნეობ-რივი სახე (და უნივერსალური თვისებები) მყარია და ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის მოთხოვნებზე მაღლა დგას.[1] ამრიგად, კარგი ***მოქალაქეობა*** გულისხმობს სახელმწიფოში და საზოგადოებაში არსებული წესების, ნორმებისა და მოლოდინის თანახმად მოქცევას. მაგრამ კარგი მოქალაქეობის არსებული კრიტერიუმები, შესაძლოა, ძლიერ განსხვავდებოდეს (და ეს ასეცაა) სხვადასხვა ერში. 1930-იანი წლების საბჭოთა რუსეთში კარგი მოქალაქე იყო ის, ვინც, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური პარტიის ერთგული იყო. კარგი მოქალაქეობის საზომი ტოტალიტარულ სახელმწიფოში ასეთია: კარგი მოქალაქე მზად უნდა იყოს პოლიტიკური ხელისუფლების ნებას (ბრძანებას) დაუქვემდებაროს ყოველგვარი პირადი შეხედულებები და ოჯახის ერთგულებაც კი, და მიჰყვეს დიქტატორის ნება-სურვილს, საითაც არ უნდა იყოს იგი მიმართული. კონსტიტუციურ დემოკრატიებში არსებული მოქალაქეობის სტანდარტები მკვეთრად განსხვავებულია: წახალისებული და დაცულია პიროვნების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, დაემორჩილონ საკუ-თარ სინდისს და გამოხატონ თავისი მოსაზრებები.

მაშინ, როდესაც აბსტრაქტული კარგი მოქალაქისადმი არსებული მოთხოვნები (რომლებსაც ყოველთვის სახელმწიფო განსაზღვრავს) უპირისპირდება რეალური ადამიანების (მოქალაქეების, როგორც კეთილი და თანამგრძნობი ადამიანების)ზნეობრივ ორიენტირებს და სადაც სახელმწიფო ცდილობს მოსპოს განსხვავება ამ ორს შორის, წარმოიშობა სერიოზული თეორიული და პრაქტიკული სახის პრობლემები. როდის წყვეტს ადამიანი ნამდვილ მოქალაქედ ყოფნას და იქცევა უბრალო, რიგით სუბიექტად, შეიძლება მონადაც კი? ადამიანი სახელმწიფოს ემორჩილება თუ საკუთარი სინდისის კარნახს?

ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა ზნეობრივი მრწამსის ადამიანები იჩემებდნენ საზოგადოების კარგ მოქალაქეობას. მოქალაქის ზნეობრივ სახეს და მმართველობის სხვადასხვა ფორმას შორის არსებული ურთიერთკავშირი ხაზს უსვამს (აძლიერებს) არისტოტელეს მოსაზრებას, რომ პოლიტიკური სისტემის ჭეშმარიტი საზომი ის მოქალაქეა, რომელსაც იგი აყალიბებს. ამ შეხედულების თანახმად, კარგი სახელმწიფო ისაა, რომლის სანიმუშო მოქალაქე კარგი პიროვნებაცაა; ცუდია სახელმწიფო, რომლის სანიმუშო მოქალაქე ისე ემორჩილება ბრძანებას, რომ თავს არ იწუხებს კეთილისა და ბოროტის შესახებ კითხვებზე პასუხით. რაოდენ მარტივიც არ უნდა იყოს ამგვარი ფორმულირება, იგი მნიშვნელოვან მოსაზრებას გვთავაზობს მმართველობასა და მოქალაქეს შორის ურთიერთობაზე და მაგალითად, იმაზეც მიუთითებს, რომ სამოქალაქო სათნოება (საზოგადოებრივი ზნეობა) განუყოფელია ინდივიდუალური კეთილსინდისიერებისაგან (პირადი მორალური პრინციპებისაგან).

საპირისპირო განმარტებები

გასაკვირი არაა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში მოქალაქეობის განსხვავებული დეფინიციაა მიღებული. ბევრ ავტორიტარულ სახელმწიფოში ადამიანების მოქალაქეებად კვალიფიცირება მხოლოდ ამ სიტყვის ძალიან ვიწრო გაგებით შეიძლება, ანუ ისინი ცხოვრობენ რომელიღაც კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მის კანონებს ემორჩილებიან. ასეთი სახელმწიფოს და მოქალაქის ურთიერთობა ცალმხრივი მოძრაობის ქუჩას ჰგავს: როგორც რიგითი მოქალაქეები, ისინი არ მონაწილეობენ იმის გადაწყვეტაში, ვინ და როგორ მართავს (მაშინაც კი, როდესაც ისინი არჩევნებში მონაწილეობენ). ზოგადად, თუკი ისინი სისტემის მიმართ დამთმობნი არიან, მთავრობა მათ არ აწუხებს.

განსხვავებით ამისაგან, ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, რომლებშიც ხელისუფლება ცდილობს შეცვალოს საზოგადოება და ახალი ტიპის მოქალაქე ჩამოაყალიბოს, ადამიანები იძულებული არიან ჩაერთონ პოლიტიკურ სისტემაში. თუმცა, მოქალაქის პოზიციიდან მსგავს მონაწილეობას აზრი არა აქვს, რადგან ეს არ არის ნებაყოფლობითი და გულისხმობს ვალდებულებებს შესაბამისი უფლებების გარეშე. კარგი მოქალაქეო-ბის განმსაზღვრელია ერთგულება და ფანატიზმი, რამაც შეიძლება აიძულოს ისინი მათთვის მორალურად მიუღებელი ბრძანებებიც კი შეასრულონ.

დემოკრატიულ საზოგადოებებში, ადამიანები მოქალაქეობას სულ სხვაგვარად განმარტავენ. დაწყებით სკოლაში კარგ მოქალაქედ ითვლება ის მოწაფე, რომელიც კარგ მაგალითს იძლევა, პატივს სცემს სხვებს, წესიერად იქცევა და დავალებებს დროზე ასრულებს. მოზრდილები კარგ მოქალაქეებად ითვლებიან, თუკი სერიოზულად ეკიდებიან მოქალაქეობრივ ვალდებულებებს, იცავენ კანონებს, იხდიან გადასახადებს და რეგულარულად მონაწილეობენ არჩევნებში. დემოკრატიულ სახელმწიფოში კარგი მოქალაქეობის დეფინიცია კანონებშია მოცემული, კანონებს კი კანონმდებლები წერენ, რომელთაც ხალხი ირჩევს _ სხვა სიტყვებით, ჭეშმარიტი რესპუბლიკა შლის, სპობს (ან ამცირებს მაინც) დაძაბულობას მოქალაქეობასა და სინდისს შორის.

ბევრი ადამიანი, ლიბერტარიანელების ჩათვლით, ამტკიცებს, რომ მოქალაქეობის არსი ინდივიდუალურ უფლებებსა და პირად თავისუფლებაშია. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეობისადმი ფორმალური მოთხოვნები მინიმ-

ალურია, მოქალაქეობის უპარატესობები კი ისეთი, რომ მსოფლიოში ნებისმიერ ადამიანს შეშურდება (ამიტომაც, აშშ-ში იმიგრანტების უწყვეტი ნაკადია აშშ-დან სხვა ქვეყნებში მოქალაქეთა მცირე გადინების ფონზე). მეთოთხმეტე შესწორების თანახმად, „ყველა პირი, რომელიც დაბადებულია ან ნატურალიზებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და მის იურისდიქციაში იმყოფება, არის მოქალაქე ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმ შტატისა, რომელშიც ცხოვრობს“. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში მოქალაქეობა განსაზღვრულია/განმარტებულია კონსტიტუციით.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები მოქალაქეობის არმქონეთაგან იმის მიხედვით კი არ არიან გამორჩეული, რას აკეთებენ ან ადრე რა აქვთ გაკეთებული, არამედ, უბრალოდ, დაბადების ადგილის მიხედვით. ამის საფუძველი კი ისაა, რომ თუ ერთხელ გახდი მოქალაქე, სულ იქნები მოქალაქე, თუკი რაიმე განსაკუთრებული დანაშაული არ ჩაიდინე (როგორიცაა ღალატი) ან ნებაყოფლობით არ თქვი უარი მოქალაქეობაზე. მშვიდობის დროს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის მიღებაზე არსებული მოთხოვნები, როგორც წესი, საკმაოდ სუსტია.

კლასიკური ხედვა

შესაძლოა მოქალაქეობის მინიმალისტური ხედვა საკმარისია იმისათვის, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ „შინაურები და „უცხოები“, მაგრამ ის არ ითვალისწინებს ერთი კონცეფციის ჭეშმარიტ არსს, რომელსაც დასავლურ ცივილიზაციაში დიდი ხნის განმავ-ლობაში განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ძველი ბერძნებისთვის მოქალაქეობა მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაკავშირებული დაბადების ფაქტსა და პოლიტიკურ გეოგრაფიასთან; მოქალაქეობის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენდა საზოგადოების საჯარო საქმეებში სერიოზული და უანგარო მონაწილეობა. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ „მოქალაქის ცნებას ყველაზე უკეთ განსაზღვრავს სასამართლოსა და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება“.[2] არისტოტელესდროინდელი ათენი პატარა პოლიტიკური საზოგადოება, ქალაქი-სახელმწიფო იყო, რომელშიც მოქალაქეთა პროპორციულად დიდ ნაწილს მინიჭებული ჰქონდა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება. მოქალაქეობა იყო პატივი, რომლის საშუალებითაც სათანადო მონდომებისა და განათლების მქონე თავისუფალი ადამიანები მართავდნენ სხვა თავისუფალ ადამიანებს, თვითონ კი იმართებოდნენ მათ მიერ და ამით ემსახურებოდნენ წინსვლას, საზოგადოებრივ წესრიგსა და კეთილდღეობას.

მეთვრამეტე საუკუნის ევროპაში ბერძნული იდეალი მოდერნიზებული ფორმით ხელახლა გაცოცხლდა. მოქალაქე იქცა ტერმინად, რომლითაც ახასიათებდნენ იმათ, ვინც იბრძოდა უფლებისათვის, თხოვნით მიემართა ან ეჩივლა მთავრობისათვის. მოქალაქეებს განასხვავებდნენ მონებისაგან, რომელთაც ქონებად თვლიდნენ და მოთხოვნები და უფლებები არ შეიძლება ჰქონოდათ. მოქალაქეები განსხვავდებოდნენ ასევე ქვეშევრდომებისაგან (ვასალი), რომელთა პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება ხელმწიფის ერთგულება და მორჩილება იყო. გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის (1724-1804წწ.) მიხედვით, მოქალაქეებს, მონებისა და ქვეშევრდომებისაგან განსხვავებით, ჰქონდათ კონსტიტუციური თავისუფლება ანუ უფლება, დამორჩილებოდნენ მხოლოდ კანონებს, რომლებზეც მათ საკუთარი

თანხმობა ჰქონდათ მიცემული. კანტი ასევე ამტკიცებდა, რომ მოქალაქეებს ჰქონდათ სამოქალაქო თანასწორობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. პირველი ათავისუფლებდა მათ იმ კანონისა თუ წესისგან, რომელიც ავალდებულებდა თავის შორის უფროსი ეღიარებინათ, მეორე კი იმის აღმნიშვნელი იყო, რომ პიროვნების პოლიტიკური სტატუსი ფუნდამენტური უფლებებიდან გამომდინარეობდა და არა ვინმეს ნებიდან.[3]

მოქალაქეობის ცნების აშკარად განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო პიროვნული ღირსების იდეა. მოქალაქეს უნდა მოქცეოდნენ როგორც თავისუფალ და თანასწორ პიროვნებას, რომელსაც უნარი შესწევს განსაზღვროს, რა შედის მის ინტერესებში. მოქალაქეები სხვებს არ უნდა ემართათ თვითნებურად (დესპოტურად); როგორც გონიერი არსებები, ისინი იმსახურებენ პატივისცემით მოპყრობას. მოქალაქეობის ამ იდეალთან ყველაზე ახლოს რესპუბლიკური მმართველობა მივიდა. საბოლოოდ, როგორც კანტი და მეთვრამეტე საუკუნის სხვა მოაზროვნეები აღიარებდნენ, მოქალაქეობისაგან განუყოფელი თავისუფლება და ღირსება მხოლოდ რესპუბლიკური მმართველობისას განმტკიცდებოდა და ასეთი მმართველობა კი ფუნქციონირებას შეძლებდა მხოლოდ მაშინ, თუკი მისი რიგითი წევრები გაიაზრებდნენ და გასაქანს მისცემდნენ მოქალაქეობის ვალდებულებებს.

ამჟამად უკვე გაცილებით მეტი ადამიანი კანონიერად იწონებს თავს „მოქალაქეობით“ არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ცალკეულ ქვეყნებშიც. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასობრივ უმცირესობებს, ქალებს და ქონების არმქონე პირებს მრავალი წლის განმავლობაში უხდებოდათ ბრძოლა არჩევნებში მონაწილეობის უფლებისა და საკუთარი სამოქალაქო უფლებების კანონის ფარგლებში დასაცავად. ეს პროცესი არ მიმდინარეობდა შეცდომებისა და ჩავარდნების გარეშე. გაიზარდა რა მოქალაქეთა (და საერთოდ ადამიანების) რაოდენობა, უფრო რთული გახდა ეფექტური პოლიტიკური მონაწილეობაც: გაძლიერდა ზემოქმედება მთავრობაზეც, რათა მან უზრუნველყოს სამოქალაქო განათლება და სოციალური გარემო, რაც იმისათვისაა აუცილებელი, რომ ყველა მოქალაქემ შეძლოს თავისი უფლებების სათანადოდ დაცვა. ძველ ათენში, ქალაქის შედარებით მცირე ზომისა და მოქალაქეთა მცირე რაოდენობის გამო (მონები და ქალები მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ), ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო დაეკავებინა სახელმწიფო თანამდებობა და აქტიური მონაწილეობა მიეღო კანონებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მზარდ ერებში, მილიონობით მოქალაქით, სადაც თითქმის ყველა სრულწლოვანს მოქალაქის სტატუსი აქვს, შინაარსიანი და ეფექტიანი მონაწილეობა ხშირად მიუწვდომელ იდეალად რჩება.

პოლიტიკური სოციალიზაცია

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის ზუსტ განმარტებაზე შეიძლება ვიკამათოთ, ზოგადად ყველა აღიარებს: კარგ მოქალაქედ კი არ იბადებიან, არამედ ყალიბდებიან. ბავშვები ხდებიან პასუხისმგებლობით აღჭურვილი მოქალაქეები სხვადასხვა გავლენისა და ინსტიტუტის ურთიერთქმედების შედეგად; ესაა ოჯახი, რელიგია, სკოლა, თანატოლები, მასმედია და კანონი, რომლებიც უყალიბებენ მოქალაქის ვალდებულებისა და საკუთარი თავის რწმენის შეგრძნებას. სოციალიზაცია ეწოდება პრო-

ცესს, რომლითაც ადამიანი იძულებული ხდება იფიქროს და იმოქმედოს საზოგადოებრივად მისაღები ფორმით.

პოლიტიკური სოციალიზაცია არის პროცესი, რომელშიც მოქალაქეს უყალიბდება ღირებულებები, შეხედულებები და აზრები, რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ პოლიტიკურ სისტემას დაეხმარონ.[4] ყოველი თვითკმარი საზოგადოება მოქალაქეებს ჩაუნერგავს გარკვეულ ძირითად ღირებულებებს. ეჭვგარეშეა, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აუცილებელი საშენი მასალა (აგური) საერთო შეხედულებებია. ისეთი შეუდრეკელი ინდივიდუალისტიც კი, როგორიც ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ სტიუარტ მილი იყო (1806-1873წწ.), აცნობიერებდა, რომ ლოიალობის და ერთგულების მოქალაქეობრივი გრძნობა „შეიძლება სხვადასხვა ობიექტს შეეხებოდეს და მმართველობის რომელიმე ერთ ფორმაზე არ იყოს მიჯაჭვული; მაგრამ დემოკრატიასა თუ მონარქიაში მისი არსი ყოველთვის ისაა, რომ სახელწიფოს კონსტიტუციაში არის რაღაც განსაზღვრული, სამუდამო, რაც ეჭვს არ იწვევს, რასაც საყოველთაო შეთანხმების საფუძველზე, აქვს უფლება იყოს იქ, სადაც არის და რაც არ უნდა შეიცვალოს, იყოს დაცული და ხელუხლებელი“.[5]

აქედან გამომდინარე, ვერც ერთი ხელისუფლება, რა ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს იგი, ვერ მისცემს თავს უფლებას უგულებელყოს მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების გზა. ეს პროცესი ოჯახში იწყება.

ოჯახი

ოჯახი ახდენს პირველად და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას პიროვნული (ინდივიდუალური) ღირებულებების ფორმირებაზე. სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი სხვადასხვაგვარად განიხილავს ოჯახს. ზოგიერთი მთავრობა მხარში უდგას და მფარველობს ოჯახს; სხვა რეჟიმები გულგრილი არიან მის მიმართ; ზოგიერთი ცდილობს მას ნიადაგი გამოაცალოს, რადგანაც ოჯახური კავშირებიდან გამომდინარე სიყვარულსა და ერთგულებას სახელმწიფოსათვის ძირგამომთხრელად მიიჩნევს. მიუხედავად ამ განსხვავებული დამოკიდებულებებისა, ყველა მთავრობა აღიარებს ოჯახის მნიშვნელობას სოციალიზაციის პროცესში.

იმ ერებმაც კი, რომლებიც ღიად აღიარებენ ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებს, შეიძლება ვერ მოახერხონ საზოგადოებაში მისი წარმატების უზრუნველყოფა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960-იანი წლების შემდეგ მარტოხელა მშობლებთან მცხოვრები ბავშვების რიცხვი, განქორწინებებისა და მარტოხელა ქალებს შორის შობადობის ზრდის შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა (იხ. სქემა 9-1). თუ 1970 წელს ახალშობილთა დაახლოებით 12 პროცენტი მოდიოდა მარტოხელა ქალებზე, 1996 წლისათვის იგი 33%-ს მიუახლოვდა. ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის მამისაგან მიტოვებული დედა იძულებულია მარტო იტვირთოს ბავშვის მოვლისა და ოჯახის პატრონობის მძიმე ტვირთი. ორსულობა თინეიჯერებში (მოზარდებში), სიღარიბე და განათლების დაბალი დონე პირდაპირ კავშირშია ამგვარ დანაწევრებულ ოჯახებთან. პრობლემის გამო იზრდება სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, მაგალითად „გაჭირვებული ოჯახების დროებითი დახმარების“ და საკვებზე ტალონების პროგრამების მეშვეობით.



სქემა 9-1. *მარტოხელა ოჯახებში მცხოვრები ამერიკელი ბავშვები, 1960-95წწ წყარო: "Keeping Track", New York Times, 20 ივლისი, 1994, A7.*

მომავალში მოსალოდნელია პრობლემით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური ხარჯების საგრძნობი ზრდა. როგორც კვლევები ადასტურებს, მარტოხელა მშობლის მიერ გაზრდილ ბავშვებს სკოლიდან გარიცხვის, კრიმინალთა და ნარკოტიკების მომხმარებელთა წრეში მოხვედრის, არა თავისი სპეციალობით მუშაობის და სიღარიბეში დარჩენის, მოზრდილობაში კი უიღბლო პირადი კავშირების და უიღბლო ოჯახების შექმნის უფრო რეალური რისკი ემუქრებათ, ვიდრე ორივე მშობელთან აღზრდილ ბავშვებს.[6] რა თქმა უნდა, ხშირად ერთმშობლიანი ოჯახებიც წარმატებული არიან ხოლმე და მათი აღზრდილი ბავშვებიც მშვენივრად უღებენ ალღოს ცხოვრებას. იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მშობელი ბავშვზე ნეგატიურ ფიზიკურ ან ემოციურ გავლენას ახდენს, ბავშვისთვის შეიძლება უკეთესიც იყოს ცალკე იმ მშობელთან ცხოვრება, რომელიც ასეთ ზემოქმედებას არ მიმართავს.

ბავშვი თავდაპირველ სოციალიზაციას საკუთარ სახლში, ოჯახში გადის და იღებს რა თავისი ყოველდღიური ქცევისთვის ჯილდოს ან სასჯელს, სწავლობს, რა არის დაშვებული და რა არა. ამგვარად, ბავშვი ერკვევა, რა ვალდებულებები აქვს ოჯახის და სხვების მიმართ. ნელ-ნელა ის ხდება ოჯახის მოქალაქე (წევრი), როგორც წესი, მკაფიოდ განსაზღვრული მოვალეობებით, ნაწილობრივ, უფლებებითა და პრივილეგიებით. განსაკუთრებულად ესმევა ხაზი მნიშვნელოვან მორალურ წესებს მაშინაც კი, თუ ბავშვს არ განუმარტავენ ამ წესების მიზეზებს („გითხარი და გააკეთე"). ნდობა, თანამშრომლობა, თავისი თავის პატივისცემა, სხვების პატივისცემა და თანაგრძნობა ფესვგადგმულია ოჯახურ ურთიერთობებში, მათ ეფუძნება პიროვნების ქცევითი და ზნეობრივი განვითარება.[7]

ოჯახი ასევე გვეხმარება გავარკვიოთ, სად მიგვიყვანს საბოლოოდ ბავშვების პოლიტიკური სოციალიზაცია და რამდენად წარმატებული იქნება იგი. პარტიული ორიენტაცია და კუთვნილებაც კი ხშირად ოჯახიდან მოდის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორივე მშობელი ერთი პარტიის წევრია. ამას გარდა, ოჯახი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რწმენაზე (რელიგიურ შეხედულებებზე), რაც მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც პარტიულ კუთვნილებასთან, ასევე კონკრეტულ პოლიტიკურ

შეხედულებებთან (ფუნდამენტალისტი პროტესტანები, როგორც წესი, აბორტის წინააღმდეგი არიან; ებრაელები ისრაელს უჭერენ მხარს და ა. შ.).[8] შეერთებულ შტატებში, იმ ბავშვების დაახლოებით 70 პროცენტი, რომელთა ორივე მშობელიც ერთ პარტიას უჭერს მხარს, თვითონაც იმავე პარტიას ანიჭებს უპირატესობას.[9] თუმცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, როდესაც საქმე მიდის უფრო აბსტრაქტულ პოლიტიკურ საკითხებამდე, მშობლების გავლენა საკმაოდ შეზღუდული ხდება.[10] დაბოლოს, იმ ფაქტს, რომ უკვე ზრდასრულები, ხშირად არ ვეთანხმებით ჩვენი მშობლების შეხედულებებს პოლიტიკაზე (სხვა რაღაცებთან ერთად), მიაწერენ ხოლმე „თაობათა შორის“ განსხვავებას.

სოციალური კლასი და უმცირესობის სტატუსი. რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის სტრუქტურა (მოდელი) მშობელთა სხვადასხვა სოციალურ კლასში უმნიშვნელოდ განსხვავდება.[11] საშუალო და მაღალი ფენის ბავშვების პოლიტიკაში აქტიური ჩაბმის ალბათობა უფრო მაღალია, რადგან ითვლება, რომ პოლიტიკით ოჯახის დაინტერესება სოციალურ სტატუსთან ერთად იზრდება. დაბალი ფენების ოჯახებიდან გამოსული ბავშვებს პოლიტიკაზე ნაკლები ინფორმაცია აქვთ და უფრო იშვიათადაც მონაწილეობენ პოლიტიკურ ღონისძიებებში.[12]

ოჯახის ფარგლებში, უმცირესობის სტატუსმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში. მაგალითად, ზოგიერთმა მკვლევარმა დაადგინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებში აფრო-ამერიკელი ბავშვები უფრო ნაკლებად ენდობიან მთავრობას, ვიდრე მათი თეთრკანიანი თანატოლები. ეს ბავშვები ასევე ნაკლებად არიან დარწმუნებული მთავრობაზე გავლენის მოხდენის საკუთარ შესაძლებლობებში.[13] გასაკვირი არაა, რომ ამდაგვარივე დამოკიდებულებაა პოლიტიკურ შეხედულებათა მიმართაც; ამგვარად, შავკანიანი ამერიკელები (აღიარებენ რა კლასებს შორის არსებულ განსხვავებებს მუდმივ, უცვლელ მოცემულობად), ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის უმრავლეს საკითხთან მიმართებაში (თუმცა, ეს განწყობა ყველა პოლიტიკურ საკითხზე როდი ვცელდება, რისი მაგალითიცაა დანაშაულის მიმართ დამოკიდებულება) უფრო პოლიტიკურად ლიბერალურ განწყობებს ამჟღავნებენ, ვიდ-რე თეთრკანიანი ამერიკელები. ამის მსგავსად, აზიური წარმოშობის ამერიკელები, ხელისუფლების და ტრადიციული ოჯახის სტრუქტურისადმი მათთვის დამახასიათებელი პატივისცემიდან გამომდინარე, თეთრკანიან ეთნიკურ ჯგუფებთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე შავკანიანთა ჯგუფებთან, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო საკითხებში. ესპანურენოვან ამერიკელებს შეიძლება შავკანიან და თეთრკანიან ამერიკელებს შორის მივაკუთვნოთ ადგილი, თუმცა ოჯახური სოციალიზაციის და პოლიტიკური შეხედულებების გადაცემის ეფექტმა გავლენა იქონია კუბელ ამერიკელებზე, რომლებიც, როგორც ცალკე ჯგუფი, უფრო მტკიცე კონსერვატორებად ჩამოყალიბდნენ (განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში), ვიდრე სხვა ესპანურენოვანი ამერიკელები, მექსიკელებისა და პუერტორიკოელების ჩათვლით. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ როდესაც რევოლუციის დროს კუბელების ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიქცა, კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ მათ ქონება ჩამოართვა და კუბაში დარჩენილ მათი ოჯახის წევრებს დევნა დაუწყო.

გენდერი და პოლიტიკა. ამერიკულ პოლიტიკაში მამაკაცებსა და ქალებს ხანდახან მმართველობის და პოლიტიკის განსხვავებული ხედვა აქვთ; კლასებსა და რასებს

შორის განსხვავების მსგავსად, სქესთა შორის არსებული განსხვავებაც შეიძლება პოლიტიკური ქცევის და შეხედულებების მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი კორელატები იყოს. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში შეგვიძლია ვისაუბროთ ერთგვარ ***გენდერულ განსხვლაზე***, ანუ იმ განსხვავებებზე, რასაც ფიქრობენ და მხარს უჭერენ მთლიანობაში მამაკაცები და ქალები. მაგალითად, 1996 წლის საყოველთაო არჩევნებში ქალების 54 პროცენტმა ხმა მისცა დემოკრატ ბილ კლინტონს, ხოლო 37 პროცენტმა _ **კონსერვატორ** ბობ დოულს; სრულიად განსხვავებული მაჩვენებლები ჰქონდათ მამაკაცებს, რომელთა ხმები თითქმის თანაბრად გაიყო კლინტონსა და დოულს შორის (თითოეულმა 44 პროცენტი მიიღო). იმავე არჩევნებში, ქვეყნის მასშტაბით, წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში ქალების 55 პროცენტმა ხმა დემოკრატებს მისცა, ხოლო მამაკაცების 54 პროცენტმა _ რესპუბლიკელებს.

როგორ შეიძლება აიხსნას ეს ფენომენი? ზოგიერთი მკვლევარი სქესთა შორის არსებულ განსხვავებას ოჯახში განცდილ ადრინდელ გამოცდილებასა და მოლოდინებს უკავშირებს; სხვები ამტკიცებენ, რომ არსებობს თანდაყოლილი განსხვავებები კაცებისა და ქალების ზნეობრივი და პოლიტიკური შეგნების ჩამოყალიბების პროცესის მიმდინარეობაში. ერთი თეორიის მიხედვით, სოცილიზაციის და ბიოლოგიის გარკვეული კომბინაციის შედეგად, ქალს, როგორც დედას და ბავშვის ძირითად მომვლელს, უვითარდება მორალური და პოლიტიკური ხედვა, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანაგრძნობასა და ადამიანის სიცოცხლის დაცვას.[14] სხვა, ალტერნატიული თეორიის თანახმად, გენდერზე დაფუძნებული პოლიტიკური განსხვავებები საფუძველს იღებს ზოგიერთი ქალის გვიანდელ ცხოვრებისეულ გამოცდილებებში. ხმის მიცემის კანონზომიერებათა ერთმა ამასწინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ „გათხოვილი ქალები, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც არასოდეს ჰყოლიათ ბავშვი, მამაკაცების მსგავს არჩევანს აკეთებენ, მარტოხელა და გაშორებული ქალები კი ლამის მემარცხენე ფრთის პროლეტარიატს წარმოადგენენ“.[15]

როგორიც უნდა იყოს განსხვავებების წყარო, ისინი არ წარმოიქმნება მხოლოდ სქესთან დაკავშირებული საკითხებიდან _ მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა ვერ გამოავლინა ვერავითარი განსხვავება სამოქალაქო თავისუფლებების ან თანასწორუფლებიანობის სხვა საკითხების შესახებ მამაკაცებისა და ქალების დამოკიდებულებაში. როგორც ჩანს, სქესთა შორის ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური განსხვავება უკავშირდება მთავრობის მიერ ძალის გამოყენების საკითხს. ზოგადად, ქალები ნაკლებად არიან განწყობილი ომის მხარდასაჭერად, უფრო ეწინააღმდეგებიან სიკვდილით დასჯას და იხრებიან ირაღზე კონტროლის გამკაცრებისაკენ. ასევე, ქალები უფრო მეტად ემხრობიან ოჯახების, ღარიბთა და ხელმოკლეთა დასახმარებლად გამიზნული სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს. ამ განსხვავებათა მეშვეობით, შესაძლებელი ხდება ავხსნათ, რატომ დაეხმარა სქესთა შორის არსებული სხვადასხვაობა უკანასკნელ წლებში დემოკრატებს აშშ-ში.

რელიგია. ეკლესიაც და სახელმწიფოც შეიძლება საკუთარ თავს მორალური ავტორიტეტის ჭეშმარიტ წყაროდ წარმოადგენდეს, რის გამოც რელიგიას სოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისევე როგორც რელიგიას შეუძლია მოახდინოს გავლენა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდის

პოლიტიკურ შეხედულებებზე, ასევე პოლიტიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ოჯახში რელიგიის ფაქტორის დამკვიდრებაში და განსაზღვროს ის ადგილი, რომელსაც რელიგია საბოლოოდ პოლიტიკურ წესრიგში დაიკავებს.

ხანდახან რელიგია არსებულ ჩვეულებებს ლეგიტიმურობას ანიჭებს და გარდამავალ პერიოდში მყოფ საზოგადოებას სტაბილურობას სძენს. მაგალითად, ინდუიზმი ინდოეთში ცვალებადი პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის მისაღები აღმოჩნდა. ინდუიზმი, რომელიც ერთმა ექსპერტმა დაახასიათა, როგორც „მრავალი შრის მქონე რთული წარმონაქმნი, რომელიც აღიარებს მრავალი ღმერთის, მრავალი ინკარნაციის, ჭეშმარიტების მრავალი შრის არსებობას,“[16] ისტორიულად, არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას უწყობდა ხოლმე ხელს. მაშინაც კი, როდესაც არსებული მდგომარეობა (*status quo*) უფრო დაბალ საფეხურზე მდგომის („ხელშეუხებელთა“ კასტის) სისტემატურ დისკრიმინაციას გულისხმობდა, ინდუიზმი ქადაგებდა მოთმინებასა და გამძლეობას მომავალი ცხოვრების მოლოდინში. სამყაროს სხვა მხარეებში, სხვადასხვა რელიგიურმა დოქტრინამ აგრესიულ პოლიტიკას მიმართა. მაგალითად ლიბიასა და ირანში, ისლამური ფუნდამენტალიზმის დახმარებით გაჩაღდა აგრესიული საგარეო და ომის მხარდაჭერის პოლიტიკა.

რელიგია და პოლიტიკა ხანდახან ერთმანეთს უპირისპირდება. მაგალითად, ნაცისტური მთავრობა გერამანიაში ებრძოდა ლუთერანულ და კათოლიკურ ეკლესიებს. ყოფილ საბჭოთა კავშირში, რეჟიმი ფუნქციონირების საშაულებას აძლევდა ისტორიულად დამკვიდრებულ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მაგრამ ზღუდავდა და თვალყურს ადევნებდა მის საქმიანობას, ხშირად დევნიდა მორწმუნეებს.[17]

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთს რამდენიმე დონეზე აძლიერებს. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასამართლოს განმარტებით კონსტიტუცია კრძალავს ხელისუფლების მიერ რელიგიის პირდაპირ მხარდაჭერას, კონსტიტუციის პირველი დამატება ასევე კრძალავს ხელისუფლების მიერ პიროვნების რელიგიური რწმენის თავისუფლად განხორციელებაში ხელის შეშლას. ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიის აბსოლუტური თავისუფლებაა. „ამერიკელთა 90 პროცენტზე მეტი თავს მიაკუთვნებს რომელიმე რელიგიურ მიმდინარეობას და 40 პროცენტზე მეტი კვირაობით დადის ეკლესიაში“. უფრო მეტიც, „თითქმის ყველა მაჩვენებლით ამერიკის შეერთებული შტატები შეიძლება ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოზე უფრო რელიგიურ ქვეყნად ჩაითვალოს, ირლანდიისა და პოლონეთის გამოკლებით.“[18] მიუხედავად იმისა, რომ დღეს რელიგია ბევრი ამერიკელის ცხოვრებაში უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე წინათ იყო, ის მაინც რჩება მნიშვნელოვან ძალად ამერიკულ საზოგადოებაში, კულტურასა და პოლიტიკაში (იხ. სქემა 9-2).

ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავაც დომინირებს იუდეურ-ქრისტიანული ტრადიცია, რომელშიც მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება შეინიშნება. მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტი პროტესტანტია; 20 პროცენტი _ კათოლიკე; 20 პროცენტი თეთრი ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკლესიების მიმდევარია; 8 პროცენტი კი შავი პროტესტანტული ეკლესიისა; 3 პროცენტი იუდეველია. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ საზოგადოებამ და მასმედიამაც ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი მუსლიმური უმცირესობაც არის.



სქემა 9-2. *ამერიკელებისათვის რელიგიის მნიშვნელობა, 1952-96წწ.*
წყარო: "Influence, Relevance of Religion in Today's Society" (28-30 მარტი, 1994; Survey GO 422041), Gallup Poll Monthly, 2-4 აპრილი, 1994 და "Importance of Religion", Gallup Poll (21-24 ნოემბერი, 1996).

ზოგიერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური განსხვავება კავშირშია რელიგიურ განსხვავებებთან და შეიძლება რელიგიური დოქტრინებიდანაც კი გამომდინარეობდეს. მაგალითად, კვაკერები და მენონიტები პაციფისტები არიან, ფუნდამენტალისტი პროტესტანები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბორტის წინააღმდეგ გამოდიან, ხოლო იუდეველები ისრაელის დამცველები არიან. ასევე, პროტესტანტული ეკლესიის შავკანიანი მიმდევრები პოლიტიკურად უფრო ლიბერალურად განწყობილნი არიან, ვიდრე ძირითადი მიმდინარეობის პროტესტანტულ ეკლესიათა წევრები, ეს უკანასკნელნი კი უფრო ლიბერალურად განწყობილნი, ვიდრე ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკლესიის მიმდევრები. უფრო ზოგადად, პოლიტიკური კონსერვატიზმის და ლიბერ-

ალიზმის შკალაზე, პროტესტანტები კათოლიკეებზე ცოტა უფრო კონსერვატორებად და იუდეველებზე გაცილებით კონსერვატორებად წარმოგვიდგებიან. იუდეველები და კათოლიკეები ისტორიულად დემოკრატიულ პარტიასთან უფრო აიგივებდნენ თავს, მაშინ როდესაც პროტესტანები რესპუბლიკური პარტიისკენ იხრებოდნენ. თუმცა, რელიგიასა და პარტიულ კუთვნილებას შორის არსებული კორელა-ცია სულ უფრო კლებულობს.

შესაძლებელია ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიას უტილიტარული პოლიტიკური ღირებულებაც აქვს. ამ თვალსაზრისით, რელიგიას სარგებლობა მოაქვს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის, ვინაიდან, ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვებით „აუცილებელი მხარდაჭერის“ აღმომჩენია წარმომადგენლობითი ხელისუფლებისათვის. ქადაგებს რა ღმერთის წინაშე ყველას თანასწორობას, რელიგია ნერგავს პიროვნულ/კერძო ზნეობრიობას, რომელიც აკეთილშობილებს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ხანდახან პოლიტიკური ლიდერები მიმართავენ რელიგიურ იდეებს (სახეებს) რათა გააერთიანონ მოქალაქეები თანამედროვეობის საერთო აღქმაში ან შთააგონონ მათ მომავლის უფრო ღირსეული ხედვა.[19] მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა სასულიერო პირმა და სამოქალაქო უფლებათა დამცველმა მარტინ ლუთერ კინგმა საკუთარი ოცნებით ერს იმ დღის დადგომა შთაუნერგა, „როდესაც ყველა ღვთის შვილი, თეთრი და შავკანიანი, ებრაელი და ურწმუნო, პროტესტანტი და კათოლიკე, ხელიხელჩაკიდებული ერთად იმღერებდა შავკანიანთა ძველ საეკლესიო სიმღერას *`Free at last! Free at last! Thank God Almighty, we are free at last*“. კინგის ტრაგიკულმა სიკვდილმა (მკვლელობამ), ისევე როგორც ერთი საუკუნით ადრე აბრაამ ლინკოლნის მკვლელობამ, ამერიკელი ხალხი რასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმა.

ოსამა ბინ ლადენმა და ალ-ქაიდას ტერორისტულმა ქსელმა წარმოგვიდგინა რელიგიის და პოლიტიკის შერწყმის ბნელი მხარის თანამედროვე მაგალითი, როდესაც ისინი 2001 წლის შემოდგომაზე შეეცადნენ მსოფლიოს 1.3 მილიარდი მუსლიმი გაეერთიანებინათ „ჯვაროსნების“ (ქრისტიანებისა და ებრაელების) წინააღმდეგ ჯიჰადში (საღვთო ომში). ეს განზრახვა ჩაიშალა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბინ ლადენი შეეცადა რელიგია პოლიტიკურ იდეოლოგიად და თავისი მოძრაობის დასავლეთის (ძირითადად აშშ-ს) წინააღმდეგ მიმართული საპროპაგანდო კამპანიის საფუძვლად გამოეყენებინა, ჭკუის სასწავლებელია. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ რელიგია შეიძლება ყველაზე კეთილშობილი ან ყველაზე ბოროტი მიზნების სამსახურში აღმოჩნდეს.

სკოლა. სკოლა ***სამოქალაქო განათლებაში***, ანუ ახალგაზრდებში საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებათა და შეხედულებათა ჩანერგვაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. საჯარო განათლების მეშვეობით სახელმწიფო ცდილობს გავლენა მოახდინოს ახალგაზრდებზე მანამ, სანამ მათი ზნეობრივი სახე საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

ყველა ქვეყანა სკოლას პოლიტიკური სოციალიზაციის საშუალებად იყენებს. ზოგიერთი მთავრობა უბრალოდ სამოქალაქო განათლების ან ისტორიის ერთ-ორ კურსს აწესებს სავალდებულოდ, მოითხოვს, რომ მოსწავლეები დროშას მიესალმონ და სკოლის კედლებზე ეროვნული გმირების სურათები ეკიდოს. ზოგიერთი მთავრობა მთელ სასკოლო პროგრამას კარნახობს, ბავშვებს თავში ლოზუნგებს უჭედავს,

მკაცრ ცენზურას აწესებს სახელმძღვანელოებსა და საბიბლიოთეკო შესყიდვებზე და მასწავლებლებს ერთგულების ნიშნით არჩევს.

ყველა სახელმწიფო ცდილობს სამუდამოდ „უკვდავყოს“ ზოგიერთი ძირითადი ღირებულება, მაგრამ ამ ღირებულებათა არსი, ისევე როგორც მათი დამკვიდრების მეთოდები, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. განსხვავებული რეჟიმები განსხვავებულ ღირებულებებს ამკვიდრებს. ზოგიერთი რეჟიმის დროს (მაგალითად, 1930-იან წლების საბჭოთა კავშირში) ხელისუფლების ბრმა მორჩილება ნორმა იყო. სხვაგან ხდება პატრიოტიზმის წახალისება, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობენ კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარსაც.

სოციალიზაციის კვლევებმა კარგად გვიჩვენა, როგორ სწავლობენ ბავშვები პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ღირებულებებს ამერიკულ საჯარო სკოლებში.[20] დაწყებით სკოლაში ამერიკელ ბავშვებს დადებითი ემოციური განწყობა უყალიბდებათ ისეთი ძირითადი პოლიტიკური ცნებების მიმართ, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და ერთმანეთის პატივისცემა. გარდა ამისა, ბავშვები, როგორც წესი, ხელისუფლებას აღიქვამენ ავტორიტეტის მქონე პირის _ პოლიციელის, პრეზიდენტის და ა.შ. სახით.

ასაკთან ერთად, ბავშვები ნაკლებემოციურად და უფრო შემეცნებით რეაგირებენ, იგებენ ისეთი აბსტრაქტული ცნების დეტალებს, როგორიცაა დემოკრატია. ყმაწვილობასა და ადრეულ მოწიფულობაში, მათი დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი ხშირად რადიკალურად იცვლება. მშობლების ზედამხედველობის შესუსტებასა და დამოუკიდებლობის მატებასთან ერთად, ბავშვები აღარ ემორჩილებიან ავტორიტეტს უსიტყვოდ (შეკითხვების, ეჭვის გარეშე). ისინი სულ უფრო მეტად ცდილობენ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. ეს დამოკიდებულება პოლიტიკის სფეროშიც ადვილად გადადის.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი საშუალო სკოლის სამოქალაქო განათლების ტიპურ გაკვეთილს კარგი მოქალაქეობისათვის აუცილებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმალური ტრეინინგის (წვრთნის) ასპარეზად განიხილავს, რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე სწავლის გამოცდილების საერთო კონტექსტი.[21] გავლენის მქონე ფაქტორებში შედის მასწავლებლების დამოკიდებულება დემოკრატიისადმი; სახელმძღვანელოში ერის ისტორიის, კულტურის, ეკონომიკური სისტემისა და ა.შ. დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოდგენის ხასიათი; მთლიანად სასწავლო პროგრამა; ფორმალური რიტუალები, როგორიცაა დროშასთან ფიცის დადება და პატრიოტული სიმღერების შესრულება; კლასგარეშე ღონისძიებები, მუსიკა და სპორტი, ნათლად გვიჩვენებს კეთილსინდისიერი მონაწილეობისა და საერთო მიზნისათვის მუშაობის მნიშვნელობას. სასკოლო გაზეთზე მუშაობა ნათელყოფს მედიის როლს საზოგადოებრივ საქმეებში. დებატების კლუბებში მოსწავლეები ეცნობიან პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს და სწავლობენ, რომ ყოველ საკითხთან მიმართებაში სულ ცოტა ორი აზრი შეიძლება არსებობდეს. დაბოლოს, მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობა მათ პოლიტიკური პროცესის ფუნდამენტურ წესებს აცნობს.

ზოგადად, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მოსწავლეს პოლიტიკაზე ინფორმაციის მიღებისა და მასში მონაწილეობის მით მეტი ინტერესი აქვს. უფრო ზუსტად, არსებობს პოზიტიური კავშირი (ურთიერთდამოკიდებულება) განათლების დონესა (მოსწავლის ცოდნა იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ხელისუფლებას ინ-

დივიდზე, ინტერესი ახალი ამბების მიმართ, პოლიტიკის შესახებ საერთო განათლება, შეხედულებათა ჰორიზონტი) და პოლიტიკაზე მსჯელობის, განსაკუთრებით კი ბევრ განსხვავებულ ადამიანთან მსჯელობის სურვილს შორის. დაბოლოს, განათლების მაღალი დონე დაკავშირებულია იმის შეგნებასთან, რომ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს ხელისუფლებაზე, ასევე საკუთარი შესაძლებლობების რწმენასა და სხვების ნდობასთან.[22]

უმაღლესი განათლების გავლენა. ძნელია განსაზღვრო, რამდენად დიდია უმაღლესი განათლების გავლენა პოლიტიკურ სოციალიზაციაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში კოლეჯის სასწავლო პროგრამა ხშირად პროფესიულ-ტექნიკური წვრთნის (ტრენინგის) და ლიბერალური განათლების ნაზავია; ეს უკანასკნელი მოიცავს ლიტერატურას, ფილოსოფიას, ზუსტ მეცნიერებას, ისტორიას და ლინგვისტიკას და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე.[23] ***ლიბერალური განათლების*** მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ სტუდენტები იძულებული არიან იაზროვნონ ნათლად, ზუსტად წერონ და სწორად იმეტყველონ. მათ უსვამენ ხელოვნებისა და მეცნიერების მარადიულ შეკითხვებს და აცნობენ დიად იდეებს, თანაც აგულიანებენ გადახედონ (კრიტიკული თვალით შეხედონ) იმ ზნეობრივ და მატერიალურ ღირებულებებს, რომლებიც მოცემულ ეპოქაში აღიარებულ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ. ამ თვალთახედვის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ლიბერალური განათლების მქონე სტუდენტები შეიძენენ იმ ინტელექტუალურ საშუალებებს, რომელიც დასჭირდებათ იმისათვის, რომ იტვირთონ დემოკრატიული მოქალაქეობის ვალდებულებები.

ამერიკული უმაღლესი განათლების ზოგიერთი კონსერვატორი კრიტიკოსი ადანაშაულებს აკადემიურ წრეებს იმაში, რომ ისინი მეტწილად მემარცხენე (მემარცხენეობასთან ახლომყოფ) პოლიტიკურ შეხედულებებს ანიჭებენ უპირატესობას, რაც გავლენას ახდენს სწავლებისა და სწავლის შინაარსზე. მართლაც, არსებობს გარკვეული მტკიცებულება, რომ სტუდენტთა პოლიტიკურ შეხედულებებზე გავლენას ახდენს კოლეჯის მაღალ ინტელექტზე გათვლილი წიგნები, იდეები და მასწავლებლები; თუმცა, ნათელი არაა, პირდაპირ მივყავართ თუ არა კოლეჯის გამოცდილებას უფრო ლიბერალურ აზროვნებასთან. ის შესაძლებლობის ფარგლებში ახერხებს იმას, რომ ზრდის ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკული აზროვნება. ანუ, ამერიკული კოლეჯის კურსდამთავრებულები უფრო აქტიურად დაუჭერენ მხარს სამოქალაქო თავისუფლებებს და სახელმწიფო სოციალურ პროგრამებს.[24]

ლიბერალური განათლების იდეალი ადვილად ჯდება კონსტიტუციური დემოკრატიის სქემაში, სადაც დაცულია ხელისუფლებაზე ეჭვის მიტანის უფლება. ამავე დროს, განათლების მაღალი დონე უბიძგებს მოქალაქეებს შინაარსიანად ჩაებან პოლიტიკაში.[25] იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებას უსიტყვოდ ემორჩილებიან, მოქალაქეებს არ გამოუმუშავდებათ პოლიტიკური მონაწილეობის უნარ-ჩვევები. ლიბერალური განათლების მიზანია მოამზადოს მსგავსი უნარების, განსაკუთრებით კი კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული უნარების მქონე მოქალაქეები. დემოკრატიულ საზოგადოებაში კარგი მოქალაქე ხოტბას ასხამს მთავრობას, როცა მთავრობა ამის ღირსია და აკრიტიკებს, თუკი ის კრიტიკას იმსახურებს. ამიტომ, მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში არ ითვლება დამოუკიდებელი აზროვნება და განსხვავებული აზრი მავნებლობად. გაიხსენეთ, ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე მავნებლად ჩათვალეს და სიკვდილი მიუსაჯეს (საწამლავის მიღებით) არა იმიტომ,

რომ თავის მოწაფეებს ასწავლიდა რა ეფიქრათ, არამედ იმიტომ, რომ ასწავლიდა როგორ ეაზროვნათ.

თანატოლი

ადამიანთა უმრავლეობას გაცნობიერებული აქვს, რომ თანატოლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ჩვენს პოლიტიკურ ქმედებებსა და შეხედულებებზე, მაგრამ ორი საკითხში მაინც საჭიროა გარკვეული სიცხადის შეტანა. ჯერერთი, ამ ტერმინს თანდაყოლილი ორაზროვნება ახლავს. ***თანატოლთა ჯგუფი*** შეიძლება ეწოდოს მეგობრების ჯგუფს ან ერთი ასაკისა და დამახასიათებელი ნიშნების მქონე ადამიანთა ჯგუფს. ორივე შემთხვევაში, ცნება ყურადღებას ამახვილებს „პიროვნებათა მიდრეკილებაზე, თავი გააიგივონ თავის მსგავსს ადამიანთა ჯგუფებთან“.[26]

მეორე, და უფრო სერიოზული საკითხი _ სირთულეს ის ქმნის, რომ ამ სფეროში ძალზე ცოტა კვლევაა ჩატარებული. მაგალითად, 1930-იან წლებში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ბენინგტონის კოლეჯის სტუდენტ გოგონათა პოლიტიკურ შეხედულებებზე თანატოლთა ჯგუფის გავლენას შეისწავლიდა, აჩვენა რომ ჯგუფის გავლენით მის წევრთა შეხედულებები უფრო ლიბერალური გახდა. 1965 წლის კვლევისას სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებზე თანატოლთა ჯგუფებისა და მშობლების გავლენა შეადარეს და დაადგინეს, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში მშობელთა გავლენა უფრო მნიშვნელოვანი იყო _ მაგალითად, პარტიული იდენტიფიკაციის ან საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმის მიცემის გადაწყვეტილების მიღებისას. ეს კვლევები ბევრ კითხვას პასუხობს, მაგრამ ამდენივე კითხვა უპასუხოდ რჩება.[27]

გენდერი (სქესი) თანატოლთა ჯგუფებთან დაკავშირებული კიდევ ერთი გამოცანაა. ჩვენ ვიცით, რომ ბიჭები მიდრეკილნი არიან შექმნან ჯგუფები სხვა ბიჭებთან ერთად და გოგონები კი გოგონებთან ერთიანდებიან, და ვვარაუდობთ, რომ ასეთი ჯგუფების პოლიტიკური შეხედულებები განსხვავებულია. მაგალითად, მივიჩნევთ, რომ მესამედან მერვე კლასამდე ბიჭებს თანატოლ გოგონებზე უფრო ჩამოყალიბებული და ნაკლებად იდეალისტური წარმოდგენა აქვთ პრეზიდენტობაზე, თუმცა ამის დამადასტურებელი (ან უარმყოფი) კვლევის შედეგები ხელთ არა გვაქვს.[28]

განსაკუთრებით საინტერესოა მამრობითი სქესის კანონდამრღვევ მოზარდთა ანტისოციალური შეხედულებების განვითარებასა და თანამოაზრეთა ჯგუფებში (და ბანდებში) მათ წევრობას შორის არსებული კავშირი. იგი მიუთითებს სიძნელეზე, რაც თან ახლავს იმ გავლენის განსაზღვრას, რასაც თანატოლთა ჯგუფები ახდენენ პიროვნების შეხედულებებზე. ამ სფეროშიც შედარებით ნაკლები კვლევაა ჩატარებული.[29] მიუხედავად იმასა, რომ თანატოლთა ჯგუფებისა და ბანდების ცნების გაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თინეიჯერთა დანაშაულის გასაგებად, მაინც ბოლომდე ცხადი არაა „კარგი“ ბიჭები (და გოგონები) ხდებიან „ცუდი წრის“ უარყოფითი გავლენის და თანატოლთა ანტისოციალური შეხედულებების მსხვერპლი თუ ახალგაზრდების დაჯგუფებები იზიდავენ კრიმინალური მიდრეკილებების, ანტისოციალური განწყობების მქონე პირებს. ახლო ურთიერთობა მსგავს დაჯგუფებასთან, განსაკუთრებით ბანდის წევრობა ზრდის საშუალო სტატისტიკური თინეიჯერის მიერ დანაშაულის ჩადენის სიხშირეს. თანატოლები და ბანდები „გავლენას ახდენენ პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენისათვის მინიჭებული

ჯილდოს ღირებულებაზე“ (ამას ემატება ნადავლის ღირებულების ან ქმედების პირდაპირი ჯილდოს გამო კოლეგების მიერ გამოთქმული მოწონება).[30]

ფსიქოლოგიურად, თანატოლთა ჯგუფები ადასტურებენ მათი წევრების სურვილის განხორციელების აუცილებლობას, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკური შეხედულების და რწმენის ჩამოყალიბებაზე. ზოგადად, თანატოლთა ჯგუფები იქმნება ნებაყოფლობით და არაფორმალურად. თუკი თანატოლთა ჯგუფების ცნებას ისე გავაფართოვებთ, რომ მან მოიცვას ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა გოგონა სკაუტები, ახალგაზრდა დემოკრატები, სტუდენტთა ჟურნალისტური კლუბი და სხვა პოლიტიკურ კონტექსტში მოქმედი მსგავსი ორგანიზაციები _ საინტერესო აღმოჩენას გავაკეთებთ. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, სადაც ხელისუფლება ცდილობს შეცვალოს პოლიტიკური წესრიგი შეხედულებებისა და რწმენის რადიკალური ცვლილების გზით, მსგავსი ჯგუფები შეიძლება სახელმწიფომ შექმნას როგორც ახალგაზრდებისათვის, ასევე ზრდასრულებისათვის. ეს არანებაყოფლობითი გაერთიანებები რეჟიმის გზავნილის გასავრცელებლად და მოქალაქეებისთვის განათლების ან ხელახალი განათლების მისაცემად არის შექმნილი. ეს ფონემენი აღწერილია სქემაზე 9-3, სადაც ჩანს, როგორ ახერხებდა ნაცისტური პარტიის იერარქია (აღნიშნულია პო-თი — პარტიული ორგანიზაცია) ფართომასშტაბიანი სახალხო მოძრაობის მართვას, რომლის საბოლოო მიზანი გერმანული საზოგადოების სახეცვლილება იყო. ნაციონალ-სოციალისტური (აღნიშნულია ნს-თი) პარტიის მმართველობისას გერმანიის ცხოვრების ორგანიზება ხდებოდა ერთი ცენტრის მიერ მართული თანასწორთა ჯგუფების კარგად გათვლილი ქსელის საშუალებით, რასაც უნდა უზრუნველეყო დროთა განმავლობაში ყველა გერმანელის მიერ „სწორი“ პოლიტიკური შეხედულებების შეთვისება და ახალ ნაცისტურ სახელმწიფოში სათანადოდ სოციალიზება. ამის მსგავსად, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა ყოვლისმომცველი ერთი ცენტრის მიერ მართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კლუბების და სამოქალაქო გაერთიანებების საფარველის ქვეშ).

მასმედია

მასმედიაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ სოციალიზაციასა და მოქალაქეთა შემდგომ აღზრდაში. არადემოკრატიულ სახელმწიფოებში, ***მასმედია*** (ტელევიზია, რადიო, გაზეთები და დიდტირაჟიანი ჟურნალები) თითქმის ყოველთვის სახელმწიფოს მფლობელობაშია ან მის მიერ კონტროლდება. ზოგიერთი დემოკრატიული ხელისუფლებაც ახდენს რადიო და ტელემაუწყებლობის მონოპოლიზებას (როგორც ეს დანიაშია) ან ფლობს და ამუშავებს სატელევიზიო ქსელს (როგორც ეს დიდ ბრიტანეთშია). ასეთ შემთხვევებში, ძირითადი განსხვავება დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ისაა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები იღებენ კანონებს ან შეიმუშავებენ პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მასმედიის სამართლიანობასა და ობიექტურობას. აშშ-ში, სადაც თითქმის ყველა სატელევიზიო და რადიოქსელი და ინდივიდუალური სადგური კერძო საკუთრებაშია, კომუნიკაციების ფედერალური კომისია, მარეგულირებელი სააგენტო, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს რადიო და სატელევიზიო სადგურების ეროვნული ლიცენზირების პოლიტიკა, დროდადრო აქვეყნებს დადგენილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ მაუწყებლობაში მხარეთა

თანასწორობას. დადგენილია წესებიც, რომლებიც არასასურველი და საშიში ქცევის თავიდან აცილებას ემსახურება. სწორედ ამ მიზეზებით, აშშ-ში სატელევიზიო სადგურებს ეკრძალებათ სიგარეტის რეკლამის ეთერში გაშვება.



სქემა 9-3. *ნაცისტური მოძრაობის ორგანიზაციები*
წყარო: Mark N. Hagopian, Regimes, Movements, and Ideologies, მე-2 გამოცემა (White Plains, N.Y.: Longman, 1984). საავტორო უფლება © 1984 Longman Inc. ყველა უფლება დაცულია.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სწრაფად ვითარდებოდა ე.წ. ელექტრონული მედია (რადიო და ტელევიზია). აშშ-ში ბევრს კამათობენ ტელევიზიის მზარდ გავლენაზე. ზოგი ამერიკელი, კონგრესის ზოგიერთი წევრის ჩათვლით, წუხს ტელევიზიით ძალადობის დიდი ოდენობით ჩვენებისა და იმ გავლენის გამო, რასაც იგი მოქალაქეთა ქცევაზე ახდენს. სხვები მიუთითებენ, რომ ტელევიზია უაზრო, ვულგარული და ზედმეტად თამამია.

შეშფოთების საბაბს იძლევა ასევე მასმედიის პოლიტიკურ პროცესში გამოყენე-

ბის საკითხიც. მაგალითად, სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან ამერიკელები გაზეთებს სულ უფრო ნაკლებად კითხულობენ და პოლიტიკური პარტიების შეკრებებსაც უფრო იშვიათად ესწრებიან.[31] აქ მნიშვნელოვანია მსგავსი რეკლამის მაღალი საფასური, მისგან იმედგაცრუებული კანდიდატების რაოდენობა, მისი ეფექტიანობა, ის თუ რამდენადაა მისი შინაარსი განსაზღვრული მედიაკონსულტანტების მიერ, რადგან ყველაფერი ეს შეიძლება შეეხოს (და ეს ასეც ხდება ხოლმე) არა მხოლოდ კამპანიის ხარისხს, არამედ კანდიდატსაც.

ასევე შემაშფოთებელია სარეკლამო რგოლების შინაარსიც. 1970-იანი წლებიდან, ამერიკის პოლიტიკურ კამპანიებში დომინირებდა მოკლე, ემოციური, იერიშის სტილის რეკლამა (განსხვავებით ადრე გავრცელებული დოკუმენტური ხასიათის განცხადებებისაგან), რომელიც თითქმის ყოველთვის მარტივი, სიმბოლური და პერსონიფიცირებულია. ხშირად ამგვარ რეკლამებში ჭარბობს მუქი ფერები, ავისმომასწავებელი მუსიკა, დაბალი ხმა და სიმბოლოები, რომელთაც ნეგატიური დატვირთვა აქვთ. მათი სამიზნეა პოლიტიკური კანდიდატების კეთილსინდისიერება, მოტივები ან მათი წარსული.

ძალზე საეჭვოა ისიც, როგორ გვაწვდიან ახალ ამბებს, განსაკუთრებით ტელევიზიით. ზოგიერთი კონსერვატორი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ სატელევიზიო ახალი ამბები (და ზოგადად მედია) ასახავს პოლიტიკურ დღის წესრიგს ან ჟურნალისტთა და დიქტორთა შეხედულებებს, რაც, თავის მხრივ, ძირითადად ლიბერალური არის ხოლმე. გარდა ამისა, რადიო და ტელევიზია ხშირად ზედმეტად ზედაპირული და სენსაციებს გამოდევნებულია. ისინი ცუდ ამბებს უფრო ეძებენ, ვიდრე მნიშვნელოვან სიახლეებს. მაგალითად, საარჩევნო კამპანიების ტელეასახვა ყურადღებას ამახვილებს კანდიდატის ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია სტარტეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად, იმის მაგივრად, რომ ხაზი გაუსვას იმ პოლიტიკასა და იდეებს, რომლებსაც ისინი ქადაგებენ და ხშირად დიდ დროს უთმობენ შეუთავსებლობებს და შეცდომებს _ როგორ წაიბორძიკა და ჩამოვარდა პრეზიდენტი ვერტმფრენის საფეხურიდან ან ცუდად გახდა იაპონიაში ყოფნისას ერთ-ერთ ოფიციალურ ვახშამზე. ამასობაში, ნებისმიერს შეუძლია ისარგებლოს ინტერნეტ-ტექნოლოგიებით, შექმნას ვებ-გვერდი, სადაც ასახული იქნება სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი ცხოვრება და ამგვარად გავცელდება ჭორები. გასაკვირი არაა, რომ მედიას ადანაშაულებენ უკანასკნელ ოთხ ათწლეულში საზოგადოებაში გავრცელებულ მწარე ცინიზმში. მართლაც, როგორც ერთი პოლიტოლოგი ამტკიცებს „აშშ-ში საღი კამპანია მანამ ვერ იარსებებს, სანამ ის ახალ ამბებზე იქნება აგებული“.[32]

ვინაიდან ქსელური და საკაბელო სატელევიზიო ბიზნესის შემოსავლები დამოკიდებულია მაყურებელთა მაღალი რეიტინგების შენარჩუნებაზე, სატელევიზიო ახალი ამბები შინაარსის ნაცვლად გართობასა და ტრაგედიაზე აკეთებენ აქცენტს. მაგალითად, იშვიათი არაა საღამოს ახალ ამბებში იხილოთ ცხარე კამათი მოწმესა და სენატის რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარეს შორის მაშინ, როდესაც მიცემული ჩვენების შინაარსს არანაირი ყურადღება არ ექცევა. ეს შეგნებული კორპორაციული გადაწყვეტილებაა. ტელევიზიის ხელმძღვანელებმა იციან, რომ კონფლიქტი და დაპირისპირება ხალხს ართობს და, როგორც წესი, ცუდ ამბებს კარგი რეიტინგი მოაქვს ხოლმე. ამის გამოც, ტელევიზია თითქმის ყოველთვის წარმოაჩენს საპრეზიდენტო არჩევნებს როგორც „დოღს“, ხაზს უსვამს, ვინ არის წინ, ვინ მოიგო და ვინ წააგო რაიმე შეცდომის თუ სამხილის გამო. ტელეარხები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ დაასწრებს რამდენიმე წუთით და გამოაცხადებს რაიმე სიახლეს არჩევნების

შესახებ. ამიტომ ბევრი მოქალაქისათვის, საპრეზიდენტო კამპანიასა და არჩევნებში სწორედ შეჯიბრია ყველაზე მნიშვნელოვანი და არა შედეგები.

უფრო მეტიც, ახალი ამბების საღამოს გამოშვებებში, ტელეარხები სულ უფრო ნაკლებ დროს უთმობენ ინფორმაციას ამერიკის პოლიტიკური ლიდერების შესახებ. ახალი ამბების გაშუქების კვლევამ აჩვენა, რომ 1968 და 1988 წლებში პრეზიდენტის გამონათქვამების ციტირების საშუალო ხანგრძლივობამ 45 წამიდან 9 წამამდე იკლო.[33] რეპორტიორის მოკლე შესავალი და პრეზიდენტის შედარებით ხანგრძლივი სიტყვა შეიცვალა რეპორტიორის შესავალით და კომენტარებით, რომლის ფონზე პრეზიდენტის კომენტარები უკვე მოკრძალებულად გამოიყურება. იმავე სქემით მოქმედებენ ტელეარხები ადგილობრივ დონეზე (რეგიონებში) _ ისინიც მნიშვნელოვნად, შეიძლება ითქვას ზედმეტად არიან დამოკიდებული იმავე ფაქტორებზე რაზეც დიდი ტელეარხები. კანდიდატებმა და საარჩევნო კამპანიის მენეჯერებმაც კარგად გაითავისეს ახალი ამბების გაშუქების ეს თავისებურებანი, ამიტომ წინასწარ ამზადებენ ჭკვიანურ გამონათქვამებს, იმისათვის, რომ მოხვდნენ მედიის ზედაპირული და ხშირად მყვირალა ახალი ამბების სათაურებში. როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ღრმა ანალიზი დიდი ხანია იქცა მანიპულაციების ობიექტად მედიაკონსულტანტების, პიარსპეციალისტებისა და პოლიტიკის გურუების მხრიდან, რომლებიც ამისთვის დიდ გასამრჯელოს იღებენ.

კიდევ ერთი აშკარა ტენდენცია, რომელიც შეშფოთების მიზეზს იძლევა, სატელევიზიო ახალ ამბებში ე.წ. ტაბლოიდური (ბულვარული, დაბალი დონის) ჟურნალისტიკის მიმართულებით გადახრაა. ჭორებსა და ინსინუაციებზე (არაპირდაპირ მინიშნებებზე) აქცენტი მედიის მიერ ხშირად გამოიყენება, როგორც ახალი ამბების დაფარული მხარეების განხილვის საშუალება; გახმაურებული სასამართლო პროცესების გაშუქებისას აქცენტი კეთდება ძირითადად ამბის უჩვეულო და გაუკუღმართებულ მხარეზე. სატელევიზიო ჟურნალისტიკის ამგვარმა მიდრეკილებამ გააბუნდოვანა ან საერთოდ წაშალა განსხვავება სენსაციებს გამოკიდებულ ყოველკვირეულ გამოცემებსა და სერიოზულ ახალ ამბებს შორის. მაყურებლის ყველაზე ცხოველურ ინსტინქტებზე გათვლილმა ახალი ამბების გაშუქების სტილმა შეიძლება ეთერიდან განდევნოს უფრო სერიოზული და კომპლექსური ახალი ამბები.

უარყოფითი რეკლამა – პატიოსანი თუ უპატიოსნო თამაში?

მასმედია სულ უფრო და უფრო მეტ უარყოფით პოლიტიკურ რეკლამას გვაწვდის. ეს რეკლამები შესაძლოა სიმართლეს ან შეესაბამებოდეს ან არა, მაგრამ ხშირად ძალზე ეფექტიანია. ზოგჯერ ერთგვარ პოლიტიკურ „ჩასაფრებად“ წარმოდგენილი, ის პოლიტიკური ოპონენტების ზედმიწევნით შესწავლის შედეგია და კამპანიის პერიოდში სტრატეგიული მნიშვნელობის მომენტებში გადაიცემა მასმედიის საშუალებით.

განვიხილოთ სანდრა შულც ნიუმენის შემთხვევა, რომელიც 1993 წლის შემოდგომაზე პენსილვანიის მოსამართლეობაზე იყრიდა კენჭს. ნიუმენს, ფილადელფიის გარეუბნის ადვოკატს, არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მან პოლიტიკური კონსულტანტების გუნდი დაიქირავა. მის ოპონენტს ჯოზეფ მისტიკს უკეთ იცნობდნენ – პიტსბურგელი ადვოკატი მერიაში მუშაობდა და ადგილობრივი ზონებისა და დაგეგმარების საბჭოს წევრი იყო.

ნიუმენის კონსულტანტთა გუნდმა მისტიკის წარსულის დასადგენად მკვლევარები დაიქირავა. მათ პიტსბურგის ძველი გაზეთიდან ექვსი წლის წინანდელი ამბავი ამოქექეს. მასში ნათქვამი იყო, რომ პიტსბურგის ზონებად დაყოფის კომისიაში მუშაობისას მისტიკმა საკუთარი ბიზნეს-პარტნიორების სასარგებლოდ, არც მეტი არც ნაკლები, 40-ჯერ წარმართა საქმე. ნიუმენის გუნდმა ოცდაათწამიანი რეკლამა მოამზადა, რომელშიც მისტიკს პოლიტიკურ არაკორექტულობაში ადანაშაულებდნენ. რეკლამა კამპანიის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე გაუშვეს, რის გამოც მისტიკს თითქმის არ დარჩა დრო პასუხის გასაცემად. ნიუმენი გამარჯვებას ზეიმობდა მაშინ, როცა დამარცხებული მისტიკი ზონებად დაყოფის სექციაში მუშაობისას საკუთარ პატიოსნებას ამტკიცებდა.

წყარო: ადაპტირებულია *James M. Perry*-ის *"Young Guns: A Second Generation of Political Handlers Outduels Forebears", Wall Street Journal*, იანვარი 10, 1994, 6. იბეჭდება *Wall Street Journal*-ის ნებართვით, საავტორო უფლება © 1994, *Dow Jones & Company, Inc.* ყველა უფლება დაცულია მსოფლიოს მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ კრიტიკულობას გარკვეული შედეგი მოაქვს, მაინც საჭიროა თავშეკავება. ტელევიზია არის შეჯიბრზე დამოკიდებული ინდუსტრია, რომელზეც გავლენას ახდენს მომხმარებლის გემოვნება და სურვილები. აქედან გამომდინარე, ახალი ამბები გასართობი ხასიათისაა, რადგან მაყურებელს უნდა, რომ ის ასეთი იყოს. მეტიც, ვინაიდან საშუალო მაყურებელი ყურადღების კონცენტრირებას მხოლოდ მცირე დროით ახდენს, ტელევიზიის ხელმძღვანელები უპირატესობას ანიჭებენ ექსტრავაგანტურ ვიდეოტექნოლოგიებს, მყვირალა კომპიუტერულ გრაფიკასა და ბლიც-ინტერვიუებს, სწრაფად ცვლიან ამბებს, ადგილებსა და კამერის დაყენების კუთხეს. ტელევიზიის ხელმძღვანელებს ესმით, რომ მაყურებელს ურჩევნია ახალი ამბები წინასწარ დამუშავებული ულუფებით მიიღოს. დამღლელი სამუშაო დღის ბოლოს, მაყურებელთა დიდი ნაწილი სულაც არაა რთული პოლიტიკური დებატების ხასიათზე _ პოლიტიკური საკითხები ხომ, როგორც წესი, რთულია.

მედიის ტენდენცია, ყურადღება გაამახვილოს ნეგატიურ ამბებზე, შეგვახსენებს, რომ სიტყვის თავისუფლება და ხელისუფლების კრიტიკა ლიბერალურ დემოკრატიებში დაცული უფლებებია. მართლაც, გაზეთების შინაარსი, რადიოთი და ტელევიზიით გადმოცემული ახალი ამბები ერთ-ერთი ინდიკატორია იმისა, როგორია თავისუფლების ხარისხი ამ ქვეყანაში. იქ, სადაც დაშვებულია მთავრობის კრიტიკა, როგორც წესი, თავისუფლება დაცულია. საბოლოოდ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში მასმედია პიროვნული თავისუფლების საზომიცაა და გარანტიც.

კანონი

ზოგიერთ საზოგადოებაში კანონში უკვე ასახულია მოქალაქეთა ღირებულებები და შეხედულებები, მაგრამ კანონი ასევე ეხმარება ამ ღირებულებებისა და შეხედულებების ფორმირებასაც. რა თქმა უნდა, ზოგიერთი კანონი უბრალოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ემსახურება (მაგალითად, ქუჩის მარჯვენა მხარეს

მოძრაობის უფლება). თუმცა სხვა კანონები კრძალავს ისეთ ქმედებებს, რომლებსაც საზოგადოება თავისი არსით ბოროტებად მიიჩნევს, როგორიცაა, მაგალითად, მკვლელობასთან, პედოფილიასთან, ქურდობასა და რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული კანონები. მსგავსი კანონების მიღება და ცხოვრებაში გატარება საზოგადოებისათვის განკუთვნილი გზავნილებია (განსაკუთრებით კი საზოგადოების ახალგაზრდა წევრებისათვის, რომელთა მორალური ღირებულებები მსგავსი კანონების საშუალებით ყალიბდება), რომელიც იუწყება, რომ მკვლელობა, ყალბი ჩვენების მიცემა, ქურდობა და რასობრივი დისკრიმინაცია კანონის თვალში დანაშაულია და მას სასჯელი მოჰყვება. მოქალაქეთა პოლიტიკურ სოციალიზაციაზე ამ გზავნილის გავლენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხდება მისი მიღება, გაგება და ცხოვრებაში განხორციელება.

ძირითადი პოლიტიკური ღირებულებები: რიგორ ვიპოვოთ იქრის შუალედი?

ერის პოლიტიკურ კულტურას საფუძვლად უდევს ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომლებიც ძვირფასია მისი ხალხისათვის. არაა აუცილებელი ეს ღირებულებები მთლიანად თანმიმდევრული იყოს, ისინი შეიძლება ხანდახან კონფლიქტურიც აღმოჩნდეს. ამას გარდა, არაა აუცილებელი, რომ პიროვნებათა ყოველდღიური პოლიტიკური შეხედულებები და ქმედებები ყოველთვის სტანდარტს ემთხვეოდეს (ხშირად ასეც ხდება).[34] თუმცა, პოლიტიკური კულტურის ლოგიკა გულისხმობს პოლიტიკური ღირებულებების არსებობას, მათ ფართო აღიარებას და მთავრობის პოლიტიკის შესაფასებლად ამ ღირებულებების გამოყენებას. ამ ერთობლივ ღირებულებათა უბრალო არსებობაც კი, მომავალ მოქალაქეთა სოციალიზაციის პროცესში სამოქალაქო ღირსებების შესახებ მოცემული საზოგადოების წარმოდგენის ჩამოყალიბების სულისჩამდგმელი ძალა ხდება. ეს პროცესი ასევე განსაზღვრავს იმ ტემპს, რომლითაც ერის ძირითადი პოლიტიკური ღირებულებები ვითარდება მიმდინარე ცვლილებათა ფონზე (მათ შორის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცვლილებების). ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ფართოდ აღიარებული ღირებულებები საუკეთესო დაცვაა იმ პრობლემებისგან, რომელიც საზოგადოებას შეიძლება შეექმნას ქრონიკული (ან თუნდაც ეპიზოდური) არასტაბილურობის გამო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირადი ღირებულებები ახლო კავშირშია ძირითად საზოგადოებრივ (ან სამოქალაქო) ღირებულებებთან.[35] ამერიკელებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ისეთი ფუნდამენტური ღირებულებების მყარი რწმენა, როგორიცაა პიროვნული თავისუფლება, პოლიტიკური თანასწორობა, კერძო საკუთრება და რელიგიური შემწყნარებლობა. ეს არა მარტო ასახულია ერის ძირითად დოკუმენტებში, დამოუკიდებლობის დეკლარაციის, კონსტიტუციის და „ფედერალისტის“ ჩათვლით, ისინი ამერიკელ ახალგაზრდებში ინერგება სოციალიცაზიის სხვადასხვა სტრატეგიის დახმარებით.

სხვა დემოკრატიულ საზოგადოებებში, სოციალიცაზიის პროცესი ამის მსგავსად მიმდინარეობს და იმავე მიზნებს ემსახურება რასაც აშშ-ში, მაგრამ ისეთი ძირითადი ღირებულებების *გამოხატვა* როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა და სამართლიანობა (იხ. თავი XIII), ისევე როგორც მათი ზუსტი

შინაარსი და მათ შორის ბალანსი სხვადასხვა ქვეყანაში საგრძნობლად განსხვავებულია. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში (და ზოგადად ევროპაში), თანასწორობას გააჩნია როგორც სოციალური (კლასობრივი), ასევე პოლიტიკური განზომილება (სამოქალაქო უფლებები). შესაბამისად, სახელმწიფო აწარმოებს გაცილებით მეტ სოციალურ მომსახურებას (მაგალითად, ყველასათვის გარანტირებული ჯანდაცვა), ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. ასევე, ბევრ ევროპულ სახელმწიფოში თავისუფლება არ უშლის ხელს პოლიციას კრიმინალური გამოძიების დროს ისე, როგორც ეს აშშ-ში ხდება ხოლმე და ასევე არ ზღუდავს სახელმწიფოს მკაცრი ანტიტერორისტული ღონისძიებების გატარებაში (როგორიცაა, მაგალითად, ძირითად საერთაშორისო აეროპორტებში მძიმედ შეირაღებული სამხედრო პირადი შემადგენლობისა და სპეციალური აპარატურის გამოყენება).

პოლიტიკური სოციალიზაციის მარცხი

როდესაც მრავალეთნიკური ერი ვერ ახერხებს მოახდინოს დიდი რაოდენობის მოქალაქეთა ერთი თემის (ერთობის) წევრებად (ახალ ერად) სოციალიზაცია (პოლიტიკური თვალსაზრისით), ამას შეიძლება შორს მიმავალი შედეგები მოჰყვეს. თუკი არსებობს მრავალი თემი (ერთობა), იარსებებს მრავალი პროცესი და მრავალი პოლიტიკური კულტურა დამკვიდრდება. არ მოხდება სხვადასხვა ეროვნული თემის წევრების პოლიტიკურ სისტემაში წარმატებული ინტეგრირება; მათ არ ექნებათ საერთო ნორმები, წესები და კანონები.

მსგავსი წარუმატებლობა შეიძლება დაემუქროს ერი-სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მსურველ, მრავალეთნიკურ ან რაიმე სხვა მიზეზით შინაგანად გახლეჩილი საზოგადოების არსებობასაც. უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო მასშტაბით გახშირებული სტუდენტური გამოსვლები გვაფიქრებინებს, რომ ბევრ საზოგადოებაში ახალგაზრდების პოლიტიკური სოციალიზაცია აღარაა ისეთი ეფექტიანი, როგორიც ოდესღაც იყო. მაგალითად, 1987 წლის შემდეგ სამხრეთ კორეაში სტუდენტებმა მოაწყვეს რამდენიმე მასობრივი გამოსვლა, რაც ხშირად პოლიციასთან ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამ სტუდენტთაგან ბევრმა დაუფარავად გამოუცხადა უნდობლობა მთლიანად სისტემას, და არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკას. აშშ-ში რასობრივი ამბოხებები ლოს-ანჯელესში 1992 წელს, ისევე როგორც უფრო გვიანდელი მსოფლიო ბანკის საწინააღმდეგო დემონსტრაციები (მაგალითად, 2000 წელს სიეტლში) იყო აშშ-ის ხელისუფლების მიმართ გაუცხოებისა და უნდობლობის გამომხატველი გზავნილი.

ზოგიერთი მოქალაქის სრული პოლიტიკური სოციალიზაცია შეიძლება არც არასოდეს მოხდეს. პოლიტიკური რეჟიმის უუნარობა, მოახდინოს მოქალაქეთა სოციალი-ზაცია შეიძლება მოქალაქეთა მიმართ ხელისუფლების არაერთგვაროვანი ან უსამართლო მოპყრობით იყოს გამოწვეული. ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქეთა გაბრაზება, ცინიზმი, გამწარება ან მათი დანაშაულში ჩართვა და რევოლუციაც კი. უკიდურესი უსამართლობის, ტირანული მმართველობის შემთხვევაში შესაძლოა მოქალაქეთა „დანაშაულებანი“ გავამართლოთ კიდეც. ამგვარად, თუკი პოლიტიკური სოციალიზაციის წარუმატებლობა ხელისუფლებაში მყოფი ძალებისათვის ყოველთვის ზიანის მომტანია, მსგავსი წარუმატებლობის ზნეობრივი და პოლიტიკური შედეგები ყოველთვის ადვილად შესაფასებელი სულაც არაა.

დასკვნა

მოქალაქეობის კონცეფციას სხვადასხვა ხელისუფლება სხვადასხვაგვარად უდგება. რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფო მოითხოვს წესების (კანონების) დაცვას და უმრავლესობა დაბადებას ან ნატურალიზაციას პოლიტიკურ სისტემაში მოქალაქეობის *sine qua non* (აუცილებელ პირობად) მიიჩნევს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქალაქეობის კონცეფცია ასევე დაკავშირებულია თანასწორობისა და თავისუფლების იდეებთან, ისევე როგორც პოლიტიკაში მონაწილეობის იდეასთან (მაგალითად, პერიოდული არჩევნები). დემოკრატიული მოქალაქეობის ეს იდეალი დასაბამს იღებს ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებიდან, რომლის მოქალაქეები იმდენად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რომ პირდაპირი დემოკრატიის საშუალებას იძლეოდნენ (ხმის უფლების მქონე მოქალაქეები პირადად ესწრებოდნენ საჯარო შეკრებებსა და პლებისციტებს).

როგორ ყალიბდება მოქალაქე? პოლიტიკური სოციალიზაცია არის პროცესი, რომელშიც მოქალაქეს უყალიბდება ღირებულებები, შეხედულებები, რწმენა და აზრები, რომელთა საშუალებით იგი კავშირს ამყარებს და მოქმედებს პოლიტიკურ სისტემაში. განვითარების პროცესში მყოფ მოქალაქეზე განსაკუთრებული გავლენა აქვს ოჯახს, რელიგიას, საჯარო განათლებას, მასმედიას, კანონს, თანატოლებსა და ძირითად პოლიტიკურ ღირებულებებს. პოლიტიკური სოციალიზაცია უდიდესი მნიშვნელობისაა; თუ ერი ვერ ახერხებს მოქალაქეთა დიდი ნაწილის სოციალიზაციას, ამ ერის პოლიტიკური სტაბილურობა საფრთხეში აღმოჩნდება.

საკვანძო სიტყვები

მოქალაქეობა
პოლიტიკური სოციალიზაცია
გენდერული გასვლა
სამოქალაქო განათლება
ლიბერალური განათლება
თანატოლთა ჯგუფები
მასმედია

კითხვები გამეორებისათვის

1. რატომ იყო მოქალაქეობის ცნება არისტოტელესა და სხვა პოლიტიკური მოაზროვნეებისათვის ცენტრალური მნიშვნელობის?
2. როგორია სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში მოქალაქეობის განმარტება? რომელი მათგანი აღწერს საუკეთესოდ მოქალაქეობის თქვენეულ გაგებას? დაასაბუთეთ საკუთარი მოსაზრება.
3. ხანდახან ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტ მოქალაქეებს მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოში შეხვდებით. რას გულისხმობენ ამით?

4. რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას მოქალაქეთა პოლიტიკურ სოციალიზაციაზე?

შენიშვნები

1. Aristotle, The Politics, თარგმ. და რედ. Ernest Barker (New York: Oxford University Press, 1962), 1276b, 101-102.
2. იქვე, 1274b, 93.
3. Immanuel Kant, The Science of Right, tomi 42 (Chicago: Encyclopedia Britannica, 1952), 436.
4. პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხასიათის ჩამოყალიბების ბერძნულ მიდგომასთან. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ქცევითი პოლიტიკური მეცნიერება ძირითადად იმ პროცესზეა კონცენტრირებული, რომლის შედეგად პოლიტიკური შეხედულებები ყალიბდება, ხოლო ბერძნული, ყველა კარგი მოქალაქისათვის აუცილებელი ხასიათის თავისებურებებს უსვამს ხაზს.
5. John Stuart Mill, A System of Logic, Ratiocinative and Deductive, ტომი 2 (London: Longmans, Green, 1879), 518.
6. დამაჯერებელი სამხილი მოაქვს Barbara Defoe Whitehead-ს ნაშრომში "Dan Quayle Was Right", Atlantic (აპრილი 1993), 41. თუმცა, ოჯახი მარტოხელა მშობლით არშემდგარი ოჯახის მხოლოდ ერთი მიზეზია. აღსანიშნავია, James Q. Wilson-ის აზრი: ერთ-ერთი მიზეზი „ოჯახის დასუსტებისა, იმაშია, რომ სულ უფრო მეტი ბავშვი იზრდება მარტოხელა მშობლის ოჯახში და ხშირად ეს მარტოხელა მშობელი თინეიჯერი დედაა. მეორე მიზეზი იმ დროის სიმცირეა, რომელსაც მარტოხელა ან სრულფასოვანი ოჯახები იმეტებენ საკუთარი შვილებისათვის და აქედან გამომდინარე, არასახარბიელო აღზრდა". ორმშობლიანი ოჯახების შესახებ აკადემიური მსჯელობისათვის იხ. James Q. Wilson-is "The Family-Values Debate", Commentary (აპრილი 1993), 24-31. ციტატა მოტანილია 24-ე გვერდიდან.
7. იხ. James Q. Wilson-is The Moral Sense (New York: Free Press, 1995), 141-163.
8. Harry Holloway da John George, Public Opinion, მე-2 გამოცემა (New York: St. Martin's Press, 1985), 73-77.
9. Herbert Winter da Thomas Bellows, People and Politics (New York: Wiley, 1977), 120.
10. Dean Jaros, Socialization to Politics (New York: Praeger, 1973), 87-88.
11. იქვე, 83.
12. იხ. M. Margaret Conway და Frank Fergert, Political Analysis: An Introduction (Boston: Allyn & Bacon, 1972), 106.
13. Holloway da George, Public Opinion, 79.
14. იხ. M. Kent Jennings-ის "Preface"; Henry Kenst-ის "The Gender Factor in a Changing Electorate"; და Arthur Miller-is "Gender and the Vote", წიგნში The Politics of the Gender Gap: The Social Construction of Political Influence, რედ. Carol Mueller (Newbury Park, Calif.: Sage, 1987). პოლიტიკურ ლიტერატურაში მხარს უჭერენ იმ

მოსაზრებას, რომ სქესთა შორის ბუნებრივი განსხვავება განვითარების ფსიქოლოგიაში გარკვეულ ცოდნას მოიცავს; იხ. Carol Gilligan-ის In a Different Voice (Camridge, Mass.: Harvard University Press, 1982); და M. Belenky-ის, B. Clinchy-ის, W. Goldberger-ისა და J. Tarule-ის Women's Ways of Knowing: The Development of Self, Voice, and Mind (New York: Basic Books, 1986).

15. Michael Barone da Grant Ujifusa, The Almanac of American Politics, 1994 (Washington, D.C.: National Journal, 1994), xxvii.
16. Ralph Buuljens, "India: Religion, Political Legitimacy, and the Secular State", Annals of Political and Social Sciences 483 (იანვარი 1986): 107.
17. James Billington, "The Case for Orthodoxy", New Republic, 30 მაისი 1994, 26.
18. A. James Reichley, Religion in American Public Life (Washington, D.C.: Brookings Institution, 1985), 2.
19. ამით იმას არ უარვყოფთ, რომ რელიგია უპრინციპო ლიდერების მიერ სამარცხვინო მიზნებით შეიძლება იქნეს გამოყენებული.
20. მსჯელობა აგებულია William Flanigan-ისა და Nancy Zingale-ის, Political Behavior of the American Electorate (Boston: Allyn & Bacon, 1979), 184-187.
21. Kenneth Langton da M. Kent Jennings, "Political Socialization and the High School Civics Curriculum", American Political Science Review (სექტემბერი 1968): 851.
22. Conway და Fergert, Political Analysis, 110. იხ. ასევე, Judith Torney-Purta, "From Attitudes and Knowledge to Schemata: Expanding the outcomes at political Socialization Research", წიგნში Political Socialization, Citizenship Education, and Democracy, რედ. Orit Ichilov (New York: Teachers College Press, 1990), 99.
23. ან ასე ჩანს. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ არა მარტო ის, თუ რას ვსწავლობთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვსწავლობთ. იხ. Albert Speer-ის კომენტარები გერმანული განათლების შესახებ წიგნში Inside the Third Reich, R. Winston-ისა და C. Winston-is Targm. (New York: Avon, 1971), 35.
24. Robert Erikson, Norman Luttbeg da Kent Tedin, American Public Opinion (New York: Macmillan, 1991), 113.
25. იქვე, 7.
26. ეს საყოველთაოდ აღიარებულია. იხ. James MacGregor Burns, J. W. Peltason, Thomas E. Cronin, da David B. Magleby, Government by the People, მე-17 გამოც. (Upper Saddle River, N. J.: Prentice Hall, 1998), 293.
27. იქვე, 49-50.
28. Richard Dawson da sxvebi, Political Socialization, მე-2 გამოც. (Boston: Little, Brown, 1977), 62-63.
29. James Q. Wilson da Richard Hernstein, Crime and Human Nature (New York: Simon & Schuster, 1985), 293.
30. იქვე, 311.
31. ეს ნაწილი აგებულია Montague Kent-ისეულ ანალიზზე წიგნში Thirty-Second Politics: Political Advertising in the Eighties (New York: Praeger, 1989).
32. Thomas E. Patterson, Out of Order (New York: Vintage, 1994), 25.
33. Daniel Hallin-ის კვლევა ციტირებულია როგორც უფრო ვრცელი დისკუსია ამ საკითხზე Samuel Popkin-ის წიგნში The Reasoning Voter: Communication and Persuasion in Presidential Campaigns (Chicago: University of Chicago Press, 1991), 228-229.

34. ამიტომ დაასკვნა ქცევის შემსწავლელი ერთ-ერთი ცნობილი კვლევის ავტორმა „თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებს ნაკლები ენთუზიაზმით უჭერენ მხარს, როცა ისინი მათეულ სპეციფიკურ ან პრაქტიკულ ფორმებს ეწინააღმდეგებიან“. იხ. Herbert McCloskey-ის “Consensus and Ideology in American Democracy”, American Political Science Review 58 (ivnisi 1964): 361-384.
35. Donald Devine, The Political Culture of the United States (Boston: Little, Brown 1972), 187-230. ამერიკული კრედოს შემადგენელი ფასეულობების შესახებ ფართო მსჯელობისათვის იხ. ასევე Seymour Martin Lipset-is American Exceptionalism: A Double-Edged Sword (New York: Norton, 1996)

თავი X

პოლიტიკური მონაწილეობა

გავლენის სათასური

მონაწილეობის ფორმები

- სამართლებრივი ფორმები
- არასამართლებრივი ფორმები

მოქალაქეთა მონაწილეობის განსაზღვრება

- საზოგადოებრივი აზრი • გამოკითხვები • არჩევნები • საარჩევნო სისტემები • პირდაპირი დემოკრატია

მონაწილეობის შეფასება: რატომ მივცეთ ხმა?

- ხმის მიცემა ამერიკისშეერთებულ შტატებში • მონაწილეობის ტენდენციები • ინდივიდუალიზმი და საზოგადოებრივი მონაწილეობა • პოლიტიკური აპათია: ამერიკული დაავადება?

მონაწილეობის შეფასება: რა იციან ამომრჩევლებმა?

მონაწილეობის შეფასება: მბრუნავი კარი

- ელიტისტური თეორიები: რკინის კანონები და დემოკრატიის ირონია
- პლურალისტები და ელიტისტები

პოლიტიკური მონაწილეობა ავტორიტარულ სახელმწიფოში

პოლიტიკური პარტიები

- ისტორიული წინამძღვრები • ძირითადი მიზნები • ერთპარტიული სისტემა • ორპარტიული სისტემა • მრავალპარტიული სისტემა • პარტიული სისტემების განმსაზღვრელები • პერსპექტივები: პოლიტიკური პარტიების დაკნინება?

ინტერესთა ჯგუფები

• ინტერესთა ჯგუფების ტიპები • ზეგავლენის წყაროები და მეთოდები • ინტერესთა ჯგუფების ბუმი • ინტერესთა ჯგუფები დემოკრატიებში • იკლებს თუ არა საზოგადოებისი ინტერესი? • ინტერესთა ჯგუფები ავტორიტარულ ქვეყნებში

XI თავში ვნახეთ, რომ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მონაწილეობა კარგი მოქალაქეობის შემადგენელი ატრიბუტია. იმისათვის, რომ იყოს მნიშვნელოვანი, მონაწილეობა *მინიმუმ* ნებაყოფლობითი და თანმიმდევრული უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მონაწილეობა შეიძლება ძალიან მარტივ და წესიერ საქმედ გვეჩვენოს, უფრო ახლოს გაცნობისას მის არასასურველ მხარეებსაც დავინახავთ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარულ საზოგადოებებში მონაწილეობა თითქოს უზრუნველყოფილია, მას არანაირი აზრი არ გააჩნია, ვინაიდან სახელმწიფო ყველას აიძულებს ცრუ არჩევნებში მონაწილეობას და მმართველი პარტიის შერჩეული კადიდატებისათვის ხმის მიცემას. ამის საწინააღმდეგოდ, დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური მონაწილეობა ნებაყოფლობითია; მოქალაქეებს აქ მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება, მათ შორის არმონაწილეობის.

ბევრ ამერიკელს გარკვეული დაუსაბუთებელი ვარაუდი აქვს დემოკრატიასა და პოლიტიკურ მონაწილეობაზე:

- რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს, მით უფრო ჯანსაღია დემოკრატია;
- მონაწილეობა *ბუნებრივია,* ანუ მოქალაქეებს უნდათ მონაწილეობა;
- საშუალო ამომრჩეველი კარგად ინფორმირებულია, ანუ მონაწილეებმა იციან და ესმით ის პოლიტიკური არჩევანი, რომელსაც აკეთებენ;
- საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვანია.

ამ შეხედულებებს უფრო ახლოს გავეცნობით პოლიტიკურ პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის განხილვის შემდეგ.

მონაწილეობის ფორმები

მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ პოლიტიკაში მონაწილეობა, ორი ალტერნატივა აქვთ _ ისინი შეიძლება ჩაერთონ სამართლებრივ ან არასამართლებრივ საქმიანობებში. მოქალაქეთა უმეტესობა სამართლებრივ მონაწილეობას ირჩევს ან საერთოდ არ მონაწილეობს.

სამართლებრივი ფორმები

პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული ტიპები არსებული ინსტიტუტების ფარგლებში კონვენციური სამართლებრივ საქმიანობებს მოიცავს. მოქალაქეთა უმეტესობა პოლიტიკაში მეტწილად სიმბოლურად, პასიურად ან რიტუალურად მონაწილეობს _ მაგალითად, ესწრება პოლიტიკურ მიტინგებს, მონაწილეობს პოლიტიკურ გამოკითხვებში, წერილს წერს ადგილობრივი გაზეთის რედაქტორს ან საკუთარ მანქანაზე აფიშას აკრავს.

ხმის მიცემა ***ტრადიციული მონაწილეობის*** ყველაზე თვალსაჩინო ფორმაა. თუმცა, ხმის მიცემის ეფექტიანობა, როგორც აქტიური მოქალაქის მონაწილეობის საზომი, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: რამდენად პატიოსნად არის დათვლილი ხმები, ელექტორატის სიდიდესა (რაც უფრო მეტია ამომრჩეველი, მით უფრო ნაკლები გავლენა აქვს თითოეულ ხმას) და რეალური არჩევანის არსებობაზე. ხმის მიცემას მნიშვნელოვანი გზავნილის გადმოცემა შეუძლია; ის შეიძლება

ძლიერი ან კომიკური ელფერის მშვიდობიანი პროტესტის ფორმა იყოს. მაგალითად, 1959 წელს სან-პაულოს (ბრაზილიის) უკმაყოფილო მოსახლეობამ ქალაქის საბჭოში აირჩია მარტორქა ადგილობრივი ზოოპარკიდან![1] ანალოგიურად, გასული სამი ათწლეულის განმავლობაში, შეერთებულ შტატებში შედეგზე ორიენტირებული ინიციატივებისა და რეფერენდუმების რაოდენობის ზრდის მოწმენი ვიყავით; ამ პერიოდის მანძილზე სახელმწიფო ამომრჩეველი განსჯიდა ისეთი განსხვავებული საკითხების ავკარგიანობას, როგორიცაა საკუთრების გადასახადის შემცირება ან გაყინვა, ჰომოსექსუალი მამაკაცებისა და ქალებისათვის სამართლებრივი დაცვის დონის განსაზღვრა და უსაფრთხოების ღვედებისა და მოტოციკლისტის ჩაფხუტის გამოყენების მოთხოვნა.

შეერთებული შტატების მოქალაქეთა მეოთხედი თუ იქნება მეტ-ნაკლებად აქტიურად ჩართული პოლიტიკაში.[2] პოლიტიკურ აქტივისტთა დიდი ნაწილი პოლიტიკური პარტიებისათვის ხარჯავს დროსა და ფულს, მიეკუთვნება საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფს და ნებაყოფლობით იღებს მონაწილეობას თავისი ფავორიტი კანდიდატის კამპანიაში. ბევრი მოქალაქე მუშაობს სამთავრობო ორგანოებში, განსაკუთრებით სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე როგორც აქტივისტი. ხშირად ეს მოქალაქეები ანაზღაურებას არ იღებენ. რეალურად შეერთებულ შტატებში ბევრ ადგილობრივ მთავრობაში საერთოდ არავინ იღებს ხელფასს. ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახური მომავალი პროფესიონალი პოლიტიკოსისათვის გარკვეულ სკოლას წარმოადგენს, რომელიც პროცედურების, ნორმებისა და მართვის პრაქტიკის სფეროში ღირებულ პირველად გამოცდილებას უზრუნველყოფს.

შეერთებულ შტატებში პოლიტიკური აქტივისტები საკმაოდ იშვიათად გვხვდებიან, მაგრამ მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც პოლიტიკურ კარიერას უმიზნებს. კიდევ უფრო. ეს იმ ხალხის ჯგუფია, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლებას ანაზღაურებად პოლიტიკურ ან არჩევით თანამდებობაზე (პარტიული თანამდებობები, ლობისტები, დანიშვნითი თანამდებობები, საშტატო მოსამსახურეები, კანონმდებლები და სხვა). რა თქმა უნდა, ყველა თანამდებობის პირი არ იწყებს საქმიანობას პროფესიონალ პოლიტიკოსად. მართლაც, დემოკრატიულ საზოგადოებებში შედარებით გამოუცდელი კანდიდატს იშვიათად ირჩევენ მაღალ თანამდებობაზე.

პოლიტიკური საქმიანობის სამართლებრივი, თუმცა მოქალაქეთა უმრავლესობისათვის მიუღებელი ფორმა, ***არაკონვენციური მონაწილეობაა***. ბუნებრივია, მისაღები პოლიტიკური ქცევა გავრცელებულ პოლიტიკურ კულტურაზეა დამოკიდებული და მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. შეერთებულ შტატებში, სადაც მოქალაქეთა უმეტესობისთვის კანონი და წესრიგი დიდი ღირებულებაა, უმეტესობა ტრადიციულად არ იწონებდა პროტესტებს და დემონსტრაციებს. ეს პრინციპი გარკვეულწილად შეიცვალა ბობოქარ 1960-იან წლებში და 70-იანის დასაწყისში, რომელიც რასობრივი თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლისა და ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო საყოველთაო სტუდენტური გამოსვლების აღმასვლით გამოირჩეოდა. თუმცა, უოტერგეიტის სკანდალის შემდეგაც კი, რამაც პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი 1974 წელს აიძულა გადამდგარიყო, საზოგადოების მხოლოდ 8 პროცენტი უჭერდა მხარს რაიმე სახის დემონსტრაციებს, მაგალითად მჯდომარე აქციას, მასობრივ გამოსვლას, მიტინსი ან სამთავრობო საქმიანობის ობსტრუქციას.[3]

იმავე წლის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ შეერთებული შტატების მოსახლეობის უმეტესობა არაკონვენციური პოლიტიკური ქმედების ათი ფორმიდან მხოლოდ სამს

აფასებდა დადებითად: პეტიციების ხელმოწერას, კანონიერ დემონსტრაციებში მონაწილეობას და ბოიკოტს (როგორიც არის სალათის ფურცლის ყიდვისგან თავის შეკავება დაბალანაზღაურებადი მიგრანტი მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად)[4] გამოკითხულთა მხოლოდ 2 პროცენტი ამართლებდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალადობის გამოყენებას. არაკონვენციური მონაწილეობის რბილი ფორმების მხარდაჭერა უფრო მაღალია იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ქმედება არ გადაცდება სამართლებრივ ზღვარს.

არასამართლებრივი თვრმემი

პოლიტიკური რეჟიმები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან იმით, რას ანიჭებენ ისინი ***არასამართლებრივი მონაწილეობის*** კლასიფიკაციას და რამდენად მკაცრად სჯიან ასეთ ქცევას. როგორც წესი, ავტორიტარული მთავრობები პოლიტიკურ საქმიანობის უფრო მეტ ფორმას აცხადებენ უკანონოდ, ვიდრე დემოკრატიული მთავრობები. მაგალითად, დემოკრატიული მმართველობის პირობებში სულ რამდენიმე (ან საერთოდ არც ერთი) პოლიტიკური პარტია ცხადდება არალეგალურად და მოქალაქეებს, როგორც წესი, შეუძლიათ შევიდნენ ნებისმიერ პარტიაში საკუთარი ნება-სურვილით, ტოტალიტარული მმართველობის შემთხვევაში კი, ერთის გარდა ყველა პარტია არალეგალურია. მეტიც, ავტორიტარული მთავრობები „პოლიტიკურ დანაშაულს“ მეტად განაზოგადებენ და უფრო მკაცრად სჯიან „პოლიტიკურ დამნაშავეებს“, ვიდრე მათი დემოკრატიული ანალოგები.



ამერიკელთა უმრავლესობისათვის მისაღებია კანონიერი დემონსტრაციები, როგორც პოლიტიკური პროტესტის ფორმა. ფოტოზე 1997 წელს United Parcel Service-ის წინააღმდეგ მოწყობილი გაფიცვაა ასახული.

ზოგიერთი უკანონო ქმედება _ განსაკუთრებით ***სამოქალაქო დაუმორჩილებლობად*** წოდებული _ მიზნად ისახავს ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას (ამიტომაც ზოგიერთ ქვეყანაში ისინი უფრო ეფექტიანია, ვიდრე სხვაგან). სამოქალაქო

დაუმორჩილებლობა ნიშნავს კონკრეტული კანონების დარღვევას მათი უსამართლობის დემონსტრირების მიზნით. მაჰათმა განდიმ (1869-1948წწ.) სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოიყენა დიდი ბრიტანეთისგან ინდოეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლისას. მარტინ ლუთერ კინგმაც (1929-1968წწ.) შეერთებულ შტატებში რასობრივი თანასწორობის მიღწევის მიზნით არაძალისმიერი პროტესტის მძლავრი ტალღა ააგორა.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა უარს ამბობს ძალადობაზე და მოუწოდებს მონაწილეებს, სასჯელი ლეგიტიმურად აღიარონ. სპექტრის მეორე მხარეს კი დგას: პოლიტიკური ***ტერორიზმი,*** რომელიც ოპონენტთა დემორალიზების, დაშინებისა და დამორჩილებისათვის ძალადობას ან ძალადობის მუქარას მიმართავს; ***საბოტაჟი,*** მთავრობის დამხობის მცდელობა, რაც ხშირად გარეშე ძალების დახმარებით ხორციელდება; ***აჯანყებისკენ წაქეზება***, ბუნტისა და ანტისამთავრობო ქმედებების პროვოცირება. ყოველი მათგანი რევოლუციური ქმედებაა. თუმცა, იმის მიხედვით, რა რეჟიმთან გვაქვს საქმე, საბოტაჟად და პროვოკაციდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არალეგალურ შეხვედრაში მონაწილეობა ან უკანონო პოლიტიკურ პარტიაში შესვლა, მთავრობის გამაკრიტიკებელი პროკლამაციების დაბეჭდვა ან ოფიციალური პოლიტიკისა და იდეოლოგიისაგან განსხვავებული აზრის ქონა. ბევრ ავტორიტარულ სახელმწიფოში მთავრობის ნებისმიერი სახის ოპონირება, თუნდაც ისეთი უწყინარი რამ, როგორიცაა, ვთქვათ, მეგობრისათვის წერილის მიწერა, რომელიც შეიცავს სათავეში მყოფი ხელისუფლების ფარულ კრიტიკას, შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის ძირგამომთხრელ საქმიანობად.

მთავრობის საწინააღმდეგო, წინასწარ დაგეგმილი ტერორისტული აქტები ყოველთვის რევოლუციურია. ასეთი აქტები უკანონოა იმ ქვეყნებშიც კი, რომელთაც თვითმარქვია რევოლუციური რეჟიმები მართავს (იხ. თავი XV).

მოქალაქეთა მონაწილეობის განსაზღვრება

დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეები მონაწილეობენ პოლიტიკაში აზრის გამოხატვისა და ხმის მიცემის გზით. გამოკითხვები ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივ აზრზე და გამოხატავს მას. პირველად ***საზოგადოებრივ აზრს*** განვიხილავთ.

საზოგადოებრივი აზრი

გამოკითხვებს, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთილ საზოგადოებრივ აზრს ან მის არსებით ცვლილებებს გვიჩვენებენ, შეუძლიათ სახელმწიფო თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებებზე, ქმედებებსა და პოლიტიკაზე იქონიონ გავლენა. დემოკრატიულ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრი იმიტომაც არის ლეგიტიმური, რომ მთავრობა ანგარიშვალდებულია ამომრჩევლების წინაშე. საზოგადოებრივ აზრს იმიტომ შეუძლია გავლენის მოხდენა პოლიტიკაზე, რომ პოლიტიკოსებს სურვილი აქვთ იყვნენ არჩეულნი და რაც შეიძლება მეტ ხანს დარჩნენ თანამდებობაზე. მაგრამ როდესაც საზოგადოებრივი აზრი იყოფა, რაც იშვიათად არ ხდება, არჩეულ პირებს ხშირად შეუძლიათ მისი იგნორირება მოახდინონ.

საზოგადოებრივი აზრისა და მისი გავლენის შეფასება შეიძლება ბუნდოვანი იყოს. მისი გავლენა მაქსიმალურია, როდესაც: (1) მოქალაქეთა მნიშვნელოვან რაოდენობას ცალკეულ პრობლემაზე საკუთარი შეხედულება აქვს და სმი მიმართ უბრალოდ ინდიფერენტული არ არის; (2) ის სტაბილურია ხანგრძლივი დროის განმავლობაში; (3) ის გარკვეული მიმართულებით ცალსახადაა გადახრილი; (4) ის აშკარად საგრძნობია; და (5) საკითხი, რომელსაც იგი ეხება, ყველასათვის ცნობილია ანუ ამომრჩევლები მას პრიორიტეტად მიიჩნევენ.

რამდენად სერიოზულად უნდა ითვალისწინებდნენ ლიდერები მოქალაქეთა აზრს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს? ამ საკითხის განხილვისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოებრივი აზრი ხშირად ნაკლებადაა რაციონალური გააზრების შედეგი და, როგორც წესი, ნართაული გამონათქვამების, ეჭვებისა და ვარაუდების ნაზავია, რაც თავის მხრივ ეფუძნება ცრურწმენებს, წინათგრძნობებს და იმ ადამიანების არასრულ ინფორმაციას, რომლებიც, ჩვეულებრივ, პოლიტიკას დიდ ყურადღებას არ აქცევენ.

გამოკითხვემი

ყველა მთავრობა ცდილობს საზოგადოებრივი აზრის შეფასებასა და გაანალიზებას. დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა პრობლემაზე თავისუფლად ფასდება და განიხილება არა მხოლოდ საზოგადოებრივი დაწესებულებების, არამედ აგრეთვე პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების, მედიის, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციის, კვლევითი ინსტიტუტებისა და მკვლევარების მიერ. იმის განსასაზღვრად, რა დამოკიდებულება გააჩნია საზოგადოებას მოცემულ საკითხზე, ორგანიზაციები ეყრდნობიან ***საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას*** (მოქალაქეთათვის მათი აზრის გამოკითხვა), რომელიც ყველაზე პოპულარული და საზოგადოებრივი აზრის ცვლილებების განსაზღვრისა და გრაფიკულად გამოსახვის ზუსტი საშუალება გახდა.

საზოგადოებრივი აზრის გაზომვის პირველი მცდელობა იყო ***„ჩალის გამოკითხვები“*** (*straw polls*), რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში გაზეთებმა განავითარეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოკითხვები დაუმუშავებელი იყო, ხშირად სწორ პროგნოზს აკეთებდა გამარჯვებულის თაობაზე. ლოკალურ დონეზე გაზეთები, რადიო და ტელევიზია დღესაც იყენებენ ამ მეთოდს. ამგვარი გამოკითხვების მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, რამდენად ასახავს ასეთი გამოკითხვა მთლიანი მოსახლეობის აზრს.

ჟურნალ *Literary Digest*-ის გამოკითხვა, რომელმაც იწინასწარმეტყველა, რომ ალფ ლენდონი დაამარცხებდა ფრანკლინ დ. რუზველტს 1936 წელს, არის ყველაზე ცნობილი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება არამეცნიერული გამოკითხვა დამღუპველი აღმოჩნდეს _ ამ შემთხვევაში იმ ჟურნალისთვის, რომელმაც ეს გამოკითხვა ჩაატარა. რა იყო ამ კონკრეტული გამოკითხვის შეცდომა? მოქალაქეთა შერჩევისას გამოიყენეს სატელეფონო ცნობარი და მანქანების რეგისტრაციის სიები _ ორი ძალიან არარეპრეზენტანტული რეესტრი, ვინაიდან 1930-იან წლებში (დიდი დეპრესიის პერიოდი) მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ ტელეფონისა და ავტომობილის შეძენა. თუმცა, შერჩევის იმავე მეთოდით *Literary Digest*-მა ზუსტად იწინასწარმეტყველა წინა სამი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები. მიუხედავად ამისა, 1936 წელს

გამოკითხვა „შეცდა“ _ რუზველტმა დიდი უპირატესობით მოიგო. სხვათა შორის, ამით დასრულდა *Literary Digest*–ის გამოკითხვები და, ფაქტობრივად თავად ჟურნალის არსებობაც. 1938 წლიდან მან არსებობა შეწყვიტა.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების ტექნოლოგიებმა უფრო სერიოზული სახე მიიღო. გამოკითხვათა უმეტესობა ადამიანებს ეკითხება ეთანხმებიან თუ არა ისინი ამა თუ იმ დებულებას ან პოლიტიკას. ზოგიერთი გამოკითხვა მოქალაქეებს სთხოვს სხვადასხვა პოლიტიკურ ალტერნატივას შორის აირჩიონ ერთ-ერთი (თუმცა ბევრი თვლის, რომ ეს მეთოდი ხელოვნურად ზრდის პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანთა რაოდენობას). ასეთი გამოკითხვის მეთოდებით მკვლევარები შედარებით მცირე რაოდენობის რესპონდენტთა პასუხების საფუძველზე მოსახლეობის დიდი ნაწილის პოზიციის პროგნოზს აკეთებენ. ყველაზე ხშირად მიმართავენ ***შემთხვევით შერჩევის*** მეთოდს, როდესაც ხდება მთელი მოსახლეობიდან („გენერალური ერთობლიობა“) შემთხვევით შერჩეულ მოქალაქეთა გამოკითხვა (სტატისტიკოსებმა დაადგინეს, რომ 1500 რესპოდენტის შერჩევა იდეალურია ისეთი გამოკითხვებისათვის, რომლებმაც ხალხის დიდი რაოდენობა უნდა მოიცვას). ამგვარი შერჩევისას ასაკობრივი, რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური, განათლების ნიშნით შერჩეული და სხვა ჯგუფები მეტ-ნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს მთელ მოსახლეობას.

გამოკითხვების პოლიტიკური და მოსაზრებად გამოყენება

ტრადიციულად, გამოკითხვები აფასებდა საზოგადოებრივ აზრს *მას შემდეგ*, რაც პოლიტიკური ლიდერები იკავებდნენ თანამდებობას ან ამტკიცებდნენ კანონს. თუმცა, საარჩევნო კამპანიაში გამოკითხვა უფრო და უფრო მეტად გახდა მომავლის ორიენტირი _ იგი გამოიყენება იმის განსასაზღვრად, რა პოზიცია *უნდა* დაიკავონ კანდიდატებმა, როგორ გავიდნენ მოწინავე პოზიციაზე, ან როგორი პოლიტიკური განცხადებები შეუქმნის მათ პოზიტიურ იმიჯს. ამას ხანდახან ***სტრატეგიული გამოკითხვა*** (*strategic polling*) ეწოდება.

იმისათვის, რომ განისაზღვროს, რომელი პოლიტიკური განცხადება ან პოზიცია იქნება პოპულარული, გამოიყენება ***ფოკუს-ჯგუფები*** (***focus groups***) – ხალხის მცირე რაოდენობა კომუნიკაციების პროფესიონალი ექსპერტის ხელმძღვანელობით განიხილავს პოლიტიკური გზავნილის კონკრეტულ საკითხებს. უფრო გვიან განვითარდა ელექტრონული გამოკითხვა, რომელმაც მოიცვა სატელეფონო ჯგუფებიც (***dial groups***), რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს დარეკვით დაარეგისტრირონ დადებითი ან უარყოფითი პასუხი.

სტრატეგიული გამოკითხვა ჯიმი კარტერის პრეზიდენტობის შემდეგ გახდა პოლიტიკური ცხოვრების წესი, მათ შორის თანამდებობის პირთათვისაც კი. პრეზიდენტი ბილ კლინტონი მნიშვნელოვნად ეყრდნობოდა გამოკითხვებს იმის განსასაზღვრად, რომელი საკითხებისათვის მიექცია განსაკუთრებული ყურადღება და როგორ წარედგინა ისინი.

იმის გამო, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი ასობით ცალკეული ინტერვიუს ჩატარება, მკვლევარები ხანდახან წინასწარ ირჩევენ რესპონდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფებს, ისეთი საკვანძო მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიცაა ასაკი, რელიგია, შემოსავალი და პარტიის წევრობა. გამოკითხვის ამ მეთოდს ***სტრატიფიცირებულ შერჩევას*** (*strarified sampling*) უწოდებენ. ეგზიტ-პოლები, რომლებიც ტელევიზიებს საშუალებას აძლევს საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ იწინასწარმეტყველონ პოლიტიკური გამარჯვებულები, წარმოადგენს სტრატიფიცირებული შერჩევის ორ დონეს. პირველ რიგში მკვლევარები ადგენენ საარჩევნო უბანს, რომელიც სტატისტიკურად უახლოვდება უფრო დიდ პოლიტიკურ ერთეულს (საარჩევნო ოლქს, შტატს ან ქვეყანას). შემდეგ ისინი, ვინც ატარებენ ეგზიტ-პოლის ინტერვიუს, ცდილობენ ისე მოახდინონ ადამიანთა შერჩევა, რომ ის ყველაზე კარგად ასახავდეს საარჩევნო უბნის საერთო მახასიათებლებს.

განმეორებად გამოკითხვაში, ანუ ადამიანთა ერთი და იმავე ჯგუფის მრავალჯერად გამოკითხვებში (*tracking polls*), რასაც ხშირად კანდიდატები სახელწიფო ორგანიზაციებისათვის, კამპანიის მიმდინარეობისას ატარებენ, ერთი და იგივე ამომრჩევლები მონაწილეობენ განმეორებით. ასეთი გამოკითხვებით ცდილობენ დაადგინონ ცვლილებები ამომრჩევლის დამოკიდებულებაში და დააკავშირონ ის მედიის სტრატეგიასთან, საკითხების ცვლილებებთან, კანდიდატების შეცდომებთან და ა.შ. ამგვარი გამოკითხვების მიზანია კანდიდატს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომელი სტრატეგია მუშაობს (და რომელი არა) მოცემული კამპანიის დროს. ამგვარი სტრატეგიული გამოკითხვები ხშირად გამოიყენება ფოკუს-ჯგუფებთან და კამპანიის სხვა საშუალებებთან ერთად.

გამოკითხვები, ჩვეულებრივ, საკმაოდ ზუსტია, მაგრამ იშვიათად _ უშეცდომო; თვით უმაღლეს დონეზე ორგანიზებულ გამოკითხვებშიც კი შეიძლება იყოს ცდომილებები. როგორც წესი, 0.05 სარწმუნოობის ხარისხის შემთხვევაში მათ აქვთ 3 პროცენტიანი ცდომილების ზღვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ 100-დან 95 შემთხვევაში ნებისმიერი მიმართულებით ცდომილება არაუმეტეს 3 პროცენტია. გამოკითხვის ამა თუ იმ მეთოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კითხვის ზუსტი და ცხადი ფორმულირება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში როცა ხალხს არ გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული მოსაზრება; ორი ალტერნატიული პოლიტიკის არჩევანის შემთხვევაში (მაგალითად, „ფედერალურმა მთავრობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფა, თუ ადამიანებმა თვითონ უნდა იზრუნონ საკუთარ სახლებზე?“) ზოგიერთი რესპონდენტი შეიძლება იმდენად მოექცეს ალტერნატივათა თანმიმდევრობის გავლენის ქვეშ, რომ ამან ორ არჩევანს შორის 30 პროცენტიანი განსხვავება გამოიწვიოს. ეს დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, პირველად რომელი ალტერნატივაა მოცემული.[5] უფრო მეტიც, იმავე კითხვის იმგვარად დასმა, რომ საკითხის მხოლოდ ერთი ალტერნატივა იყოს ნახსენები (მაგალითად, „ფედერალურმა მთავრობამ უნდა აიღოს თუ არა საკუთარ თავზე მოსახლეობის ადექვატური საცხოვრებლით უზრუნველყოფა?“) სავარაუდოდ, გამოიწვევს უფრო მეტ დადებით პასუხს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ამ კითხვის ფორმულირებაში შევიდოდა მოცემული საკითხის ერთზე მეტი ალტერნატივა.

ცალკეული გამოკითხვის შედეგებიდან დასკვნების გამოტანის არასაიმედობა ნათლად ჩანს 10-1 სქემიდან („ორი ერთი და იგივე გამოკითხვა, განსხვავებული შედეგები“). ეს მაგალითი აგრეთვე გვიჩვენებს, როგორ შეუძლია გამოკითხვებს არა მარტო *გაზომოს* საზოგადოებრივი აზრი, არამედ *გავლენაც იქონიოს* მასზე.

მაგალითად, თუ რესპონდენტებს უსვამენ კითხვას თამბაქოს მოწევის შესახებ ინდივიდუალური არჩევანის უფლების კუთხით, უფრო მეტი იქნება თანახმა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იგივე კითხვაში მოხსენიებული იქნება საფრთხე, რომელსაც მოწევა უქმნის სხვების ჯანმრთელობას. კანდიდატები, კორპორაციები და სხვა ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები, ვისაც სურს აჩვენოს ამა თუ იმ პოზიციის ან პროდუქტის პოპულარობა, მათთვის სასურველ შედეგებს ხშირად იღებენ კითხვის შესაბამისი ფორმულირების გზით. სამწუხაროდ, ასეთი მიდგომა აპრობირებული მეთოდია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.



სქემა 10-1. *ორი ერთი და იგივე გამოკითხვა: განსხვავებული შედეგები*
ეს ორი გამოკითხვა თითქმის ერთდროულად ჩატარდა, მაგრამ შედეგები რადიკალურად განსხვავებულია. ეს ფაქტი ნაწილობრივ მაინც გამოწვეულია კითხვების ფორმულირებით.
წყარო: *The Polling Company National Survey, reprinted from John H. Fund, „The Perils of Polling,“ Wall Street Journal, August 13, 1996, A12. იბეჭდება Wall Street Journal-ის ნებართვით. Copyright © 1996 Dow Jones & Company, Inc. ყველა უფლება დაცულია მსოფლიო მასშტაბით.*

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გამოკითხვებმა საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიებში დიდ როლი შეასრულა. 1996 წლის არჩევნების განმავლობაში მარტო *CNN*-მა დაახლოებით 200 გამოკითხვა ჩაატარა. შეადარეთ ეს 1992 წლის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას, როდესაც ყველა მედიასაშუალებამ ერთად ჩაატარა 125-150 გამოკითხვა.[6] ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოკითხვების პოპულარობამ მნიშვნელოვნად იმატა. ერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ 1968 წელს შრომის დღესა და არჩევნების დღეს შორის (მაისიდან ნოემბრამდე _ მთარგმ. შენ.) მხოლოდ 10 საერთო ეროვნულმა გამოკითხვამ მიმართა ამომრჩევლებს კითხვით: „ვის მისცემდით ხმას, არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს?“ 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს კი 300 საერთო ეროვნულმა გამოკითხვამ დასვა იგივე კითხვა.[7]

ცხრილი 10.1

1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო გამოკითხვის პროგნოზი

გამოკითხვის ორგანიზატორი	კლინტონი	დოული	პერო	გამარჯვებულის ზღვარი
CBS/New York Times	*53%*	*35%*	*9%*	*18*
Pew Research	*49%*	*36%*	*8%*	*13*
ABC News	*51%*	*39%*	*7%*	*12*
Harris	*51%*	*39%*	*7%*	*12*
NBC/Wall Street Journal	*49%*	*37%*	*9%*	*12*
USA Today/CNN/Gallup	*52%*	*41%*	*7%*	*11*
HOTLINE/Battleground	*45%*	*36%*	*8%*	*9*
Reuters/Zogby	*49%*	*41%*	*8%*	*8*
რეალური შედეგები	*49%*	*41%*	*8%*	*8*

წყარო: *From Everett C. Ladd's „The Pollster's Waterloo" in the Wall Street Journal (November 19, 1995), p. A-22. მონაცემები მოგვაწოდა კონექტიკუტის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი კვლავის Roper Center-მა. იბეჭდება ავტორის ნებართვით.*

ბოლო წლებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა უფრო საიმედო გახდა. მაგალითად, ჯორჯ ბუშსა და ელ გორს შორის 2000 წლის საპრეზიდენტო მარათონის დროს *CNN/USA Today/Gallup*-სა და *CNN/Time*-ის გამოკითხვები საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეს ორივე კანდიდატისთვის ერთნაირ შედეგს წინასწარმეტყველებდა. საბოლოოდ ბუშმა გამარჯვებისათვის საკმარისი ამომრჩეველთა კოლეგიის ხმები დააგროვა ფლორიდის საკმაოდ საეჭვო არჩევნების შემდეგ. შედეგები მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომაც დაადასტურა, რეალურად კი გორმა უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ბუშმა. გამოკითხვის შედეგებმა გაამართლა.

გამოკითხვები მაინც არ არის ყოველთვის ზუსტი ან შედარებით ზუსტი, როგორც ეს ნაჩვენებია 10-1 ცხრილში. ყველა პოლიტიკური გამოკითხვა გარკვეულ რისკს შეიცავს. გამოკითხვა, პირველ რიგში, დროის მცირე მონაკვეთში არსებული საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის საშუალებაა, ხოლო საზოგადოებრივი აზრი ძალიან ხშირად იცვლება. მეორეც, გამოკითხვები ფართოდ გავრცელდა და მომაბეზრებელი გახდა, რის გამოც მოქალაქეები ნაკლები ენთუზიაზმით იღებენ მათში მონაწილეობას. მესამეც, სხვადასხვა გამოკითხვას შორის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური განსხვავებები არსებობს. არჩევნებს შორის ჩატარებული გამოკითხვები თავისი მნიშვნელობით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საარჩევნო კამპანიების დროს ჩატარებულ გამოკითხვებს. მაგალითად, პრეზიდენტის პოპულარობა, რომელსაც ზომავს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ხელს უწყობს იმის განსაზღვრას, რა გავლენა აქვს პრეზიდენტს ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხზე. იმავეს თქმა შეიძლება პრეზიდენტისა და კონგრესის ურთიერთობებზე, განსა-

კუთრებით მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე პარტიას უმრავლესობა ჰყავს ერთ-ერთ ან ორივე პალატაში.

არჩევნები

მნიშვნელოვანი არჩევნები გამოკითხვებს ყველაზე საჭირო პოლიტიკურ გამართლებასა და გამოყენებას უძებნის. არჩევნების გარეშე გამოკითხვების პოლიტიკური გამოყენება მნიშვნელოვნად შეზღუდული იქნებოდა.

არჩევნების ფუნქციები. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემებში არჩევნებს განსხვავებული ფუნქციები აქვს. სამხედრო დიქტატურების შემთხვევაში, როგორც წესი, რეგულარული არჩევნები, უბრალოდ, არ ტარდება _ რაც ასეთ რეჟიმებში სამოქალაქო მონაწილეობის მინიმალურ ან სრულ არარსებობაზე მიანიშნებს. თუ არჩევნები ტოტალიტარულ სახელმწიფოში მაინც ტარდება, მათ უბრალო პოლიტიკური რიტუალის სახე აქვს, რაც მმართველებს მათი ხელისუფლების ლეგიტიმაციის საშუალებას აძლევს. მათგან განსხვავებით, კონსტიტუციური დემოკრატიების პირობებში არჩევნები პრინციპული საშუალებაა მოქალაქეთა მიერ მმართველის განსასაზღვრად. არჩევნები ირიბად იმასაც განსაზღვრავს, რა სახის პოლიტიკა იქნება გატარებული მომავალში.

თავისუფალი არჩევნები თავისთავად გულისხმობს წარმომადგენლობის კონცეფციას. წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებენ ამომრჩეველთა სახელით, იღებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მოქალაქეები, მათი დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, ერთობლივად ვერ მიიღებდნენ. თანამედროვე კონსტიტუციური მმართველობის ძირითადი იდეა უკვე გულისხმობს, რომ არჩევნები უმნიშვნელოვანესია ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი სისტემის ფუნქციონირებისათვის.

არჩევნების შეზღუდვები. იდეალურ შემთხვევაში არჩევნებმა დემოკრატიულ საზოგადოებას თავისი მოქალაქეების სურვილების კანონებსა და პოლიტიკაში ასახვის საშუალება უნდა მისცეს. თუმცა, რეალურად არჩევნებს ყოველთვის არ მოსდევს იდეალური შედეგები. არჩევნებს, როგორც საზოგადოებრივი არჩევანის საშუალებას, შემდეგი თანმდევი შეზღუდვები გააჩნია:

1. თუ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე საზოგადოებრივი აზრი არასწორად განსაზღვრული ან დაქსაქსულია, ახლადარჩეული თანამდებობის პირები ამომრჩეველთაგან ვერ მიიღებენ მკაფიოდ განსაზღვრულ მანდატს. თუ ასეთი მანდატი მაინც იქნება მიცემული, თანამდებობის პირებმა შეიძლება კონკრეტულ საკითხზე საზოგადოებრივი აზრი ან არასწორად გაიგონ, ან უგულებელყონ, ან შეცვალონ.
2. სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად საჭირო საარჩევნო კამპანიას ძალიან დიდი დრო და უამრავი ფული სჭირდება, რის გამოც ბევრი კვალიფიციური კანდიდატი ვერ იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ან ზოგ შემთხვევაში უპირატესობა უსამართლოდ ენიჭება ამა თუ იმ კანდიდატს.
3. რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლისა და ინტერესთა ჯგუფის მოზიდვის მიზნით საჯარო მოხელეობის კანდიდატმა შეიძლება ამა თუ იმ საკითხზე არამყარი

პოზიცია დაიკავოს. ამ წინასწარ განზრახულმა გაურკვევლობამ შეიძლება პატიოსან ამომრჩეველს გონივრული არჩევანის გაკეთება გაურთულოს.

4. კანდიდატები ხშირად იძლევიან დაპირებებს, რომელთა შესრულებაც მათ არ შეუძლიათ, ვინაიდან სათანადოდ ვერ აფასებენ მოსალოდნელ სირთულეებს. შეერთებულ შტატებში რთულია პოლიტიკური ცვლილებების გატარება, რადგან ხშირად პრეზიდენტის და კონგრესის პოლიტიკა განსხვავდება. წინააღმდეგობას ქმნის ისიც, რომ წარმოუდგენლად ჩახლართული საბიუჯეტო პროცესი მთელ ყურადღებას იქცევს და ხშირად კონგრესის პარალიზებასაც კი იწვევს.
5. თანამდებობაზე არჩევის შემდეგ კანდიდატმა შეიძლება უბრალოდ შეიცვალოს შეხედულება კონკრეტული პოლიტიკის სასურველობასა და ვარგისიანობაზე. სპეციფიკური ინტერესების ძლიერმა ზეგავლენამ, უფრო მეტი და უკეთესი ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ ან განსხვავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩახლართული ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერებამ კონგრესის ახალარჩეულ წევრზე შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს.



თანამედროვე კონსტიტუციური ხელისუფლების იდეა გულისხმობს პოლიტიკურ წარმომადგენლობას, ხოლო ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი სისტემის ფუნქციონირებისათვის არჩევნები არსებითია. ფოტოზე კენიელი ამომრჩეველი ბიულეტენს აგდებს.

მიუხედავად შეზღუდვებისა, სხვა მეთოდებთან შედარებით, არჩევნები საუკეთესო საშუალებაა მოქალაქეთა აზრების სახელმწიფო პოლიტიკად რეალიზაციისათვის, განსაკუთრებით კი დიდ და მრავალფეროვან საზოგადოებაში. რეალურად არსებობს კარგი საფუძველი ვიფიქროთ, რომ პოლიტიკური დაპირებები უფრო ხშირად სრულდება, ვიდრე ირღვევა.[8] ხანდახან თანამდებობის პირები იმედებს გვიცრუებენ, თუმცა სიურპრიზებსაც იშვიათად გვიწყობენ. ამომრჩეველს საკმაოდ

კარგად აქვს წარმოდგენილი, რას უნდა ელოდოს კონკრეტული კანდიდატისგან, რომელსაც იგი ირჩევს. დაბოლოს, ხანდახან კანდიდატებს დარღვეული პირობა ძვირად უჯდებათ.

საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემები შეიძლება სტრუქტურულად სხვადასხვაგვარი იყოს მაჟორიტარული, როცა მოგებული იღებს ყველა მანდატს (გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს) და პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემები არჩევითი წარმომადგენლობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდებია.

მაჟორიტარული სისტემა _ გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს (***Winner-take-all***). შეერთებულ შტატებში კონგრესის წევრს ირჩევენ ერთმანდატიანი საარჩევნო უბნიდან ხმათა მარტივი უმრავლესობით; ანუ ამ *სისტემაში* მხოლოდ ერთი წარმომადგენელი აირჩევა თითოეული საარჩევნო უბნიდან და ის კანდიდატი, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, იკავებს თანამდებობას. ვინაიდან შტატის ორი სენატორი ირჩევა სხვადასხვა წლებში, მთლიანი შტატი წარმოადგენს ერთმანდატიან საარჩევნო უბანს. დაბოლოს, საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც, ორმოცდაათივე შტატი ერთმანდატიანი საარჩევნო უბანია, ვინაიდან ყველა საარჩევნო ხმა ენიჭება პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, რომელიც იღებს ხმათა უმრავლესობას ამ თუ იმ კონკრეტულ შტატში.

ასეთი სისტემის პრაქტიკული პოლიტიკური შედეგები მრავალფეროვანია. ერთმანდატიან საარჩევნო უბანში ნებისმიერი არჩევნების დროს, როდესაც მხოლოდ ორი კანდიდატია, ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად მიიღებს ***მარტივ უმრავლესობას***, რომელიც ამომრჩეველთა ყველაზე დიდ გაერთიანებად განისაზღვრება. თუ სამი ან მეტი კანდიდატი იბრძვის გამარჯვებისათვის, არჩეულად ითვლება ის, ვინც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას: ხუთი კანდიდატის შემთხვევაში შესაძლოა გაიმარჯვოს იმან, ვინც მიიღებს ხმათა 25 პროცენტს (ან ნაკლებს). როგორც ვნახავთ, ეს მეთოდი ხელს უწყობს ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას.

მაჟორიტარული სისტემის _ ასევე ცნობილი, როგორც **first past the post** საარჩევნო სისტემის შედეგები, აშშ კონგრესის არჩევნების ჰიპოთეტურ ცხრილში 10-2 არის გრაფიკულად ასახული. გაითვალისწინეთ, რომ ამ სისტემას აქვს მინიმუმ ერთი უპირატესობა მაინც: იგი განსაზღვრავს სუფთა გამარჯვებულებს. უბრალო უმრავლესობა წყვეტს, ვინ იქნება საარჩევნო უბნის წარმომადგენელი. ცხრილში მოყვანილ მაგალითში ლიბერალი ჯონი არის სუფთა გამარჯვებული. მაგრამ ამ ხელსაყრელი შედეგისათვის საფასური უნდა იქნეს გადახდილი _ უმრავლესობამ (ამომრჩეველთა 57 პროცენტმა) არ მისცა ხმა ლიბერალს. უბრალოდ, მათ შეეძლოთ დარჩენილიყვნენ სახლში. არც კონსერვატორი ჯეინისა და უპარტიო აიმას პოლიტიკა და არც უმრავლესობის მიერ მინიჭებული უპირატესობები ამ საარჩევნო უბნიდან წარმოდგენილი არ იქნება.

მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას შეუძლია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ნაკლოვანებები წარმოაჩინოს. ჩვენს ჰიპოთეტურ არჩევნებში ლიბერალმა გაიმარჯვა საარჩევნო უბნის ხმათა მხოლოდ 43 პროცენტით, მაგრამ იგი გახდა 100 პროცენტიანი წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, მისი კანდიდატურა დაფინანსებუ-

ლი იყო ძლიერი ორგანიზაციის ორი წამყვანი ამერიკული პოლიტიკური პარტიიდან ერთ-ერთის მიერ. ამას გარდა, ეს ორი პარტია ინერციის წყალობითაც იგებს _ ხმას აძლევენ ჩვეულების და არა რწმენის გამო.

ცხრილი 10.2

ჰიპოთეტური პოლიტიკური მარათონი

პარტია	**კანდიდატი**	**მიღებული ხმები**	**ხმების პროცენტული რაოდენობა**
დემოკრატიული	*ლიბერალი ჯონი*	*25,800*	*43*
რესპუბლიკური	*კონსერვატორი ჯეი-*	*24,600*	*41*
დამოუკიდებელი	*ნი*	*9,600*	*16*
	უპარტიო აიმა		

ასეთი სისტემის დროს ორი მთავარი პარტიიდან ერთ-ერთი ყოველი არჩევნების შედეგად მუდმივად იღებს წარმომადგენლობის უფლებას, რაც *არჩევნებში მონაწილე მეორე პარტიისა და მეორეხარისხოვანი პარტიების ხარჯზე* მიღებული საარჩევნო ხმების პროპორციული არ არის. ამგვარად, მთავარმა პარტიამ, რომელიც ამომრჩევლის 40-დან 45 პროცენტამდე ხმას იღებს, შეიძლება მანდატების უმრავლესობა მიიღოს, როგორც ეს ძირითადად ხდება ბრიტანულ არჩევნებში. არჩევნების სურათის ასეთი დამახინჯება იმდენად გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში, რომ მთავარ პარტიას, რომელიც იღებს ხმების ნახევარზე ნაკლებს, შეუძლია დამაჯერებლად გაიმარჯვოს (ხმათა შედარებითი უმრავლესობის მიღების შედეგად იღებს საპარლამენტო უმრავლესობას).

ამგვარად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას და ართულებს მცირე პოლიტიკური პარტიების ზრდას. მრავალპარტიულ სისტემასთან შედარებითი უპირატესობა გამოიხატება უფრო მეტ პოლიტიკურ სტაბილურობაში. თუმცა, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ამგვარი სტაბილურობა მიიღწევა *წარმომადგენლობითი* დემოკრატიისთვის მისი დედააზრის მოსპობით _ ანუ აქცენტის გაკეთებით მთავრობაზე, რომელიც უმრავლესობის სურვილს (და პრეფერენციებს) გამოხატავს. იმის გამო, რომ ეს სისტემა არ წარმოაჩენს ამომრჩევლის მთელი სპექტრის აზრებსა და ინტერესებს, იგი ისწრაფვის გაზარდოს მმართველი პარტიის (ან პარტიების) საკანონმდებლო ძალაუფლება და დაბრკოლებები შეუქმნას უმცირესობის პარტიათა მცდელობას, შეიქმნან საკანონმდებლო ნიადაგი.

პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემები. მაჟორიტარული სისტემების ალტერნატივას წარმოადგენს ***პროპორციულ წარმომადგენლობაზე*** დაფუძნებული საარჩევნო სისტემა, რომლის მიზანია უზრუნველყოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში პარტიებისათვის ელექტორატის მხარდაჭერის თითქმის შესაბამისი წარმომადგენლობა. როგორც წესი, ასეთი სისტემის შემთხვევაში ქვეყანა დაყოფილია საარჩევნო უბნებად, საიდანაც ირჩევენ რამდენიმე დეპუტატს. მათ შორის თანამ-

დებობები ნაწილდება პარტიების მიერ თითოეულ უბანში მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად.

იმ მრავალ ქვეყანას შორის, რომლებმაც დანერგეს ეს სისტემა, არის ისრაელი, იტალია, ბელგია, ნორვეგია და ირლანდია. გერმანიაც იყენებს პროპორციული წარმომადგენლობის სისტემას ბუნდესტაგის (პარლამენტის ქვედა პალატის) წევრთა ნახევრის ასარჩევად. როგორც წესი, კანდიდატი უბანზე იგებს არჩევნებს, თუ იგი მიიღებს ხმათა გარკვეულ რაოდენობას. ხმათა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება გამოყოფილ მანდატებზე ხმათა რაოდენობის გაყოფით. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ 10-2 ცხრილის შემთხვევაში პროპორციულ წარმომადგენლობასთან გვაქვს საქმე. საარჩევნო უბანზე გამოყოფილია სამი მანდატი და ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 60 000-ია. ასეთი ვითარებაში კანდიდატი არჩეული იქნება პარტიის მიერ მიღებული ყოველი 20 000 ხმის შემთხვევაში. ამ ფორმულის მიხედვით ორივე კანდიდატი, ლიბერალიც და კონსერვატორიც არჩეულად ჩაითვლება, ვინაიდან თითოეულმა 20 000-ზე მეტი ხმა მიიღო. საარჩევნო უბნის მესამე წარმომადგენელი განისაზღვრება რეგიონული გადანაწილების პრინციპით, რომელიც შემდეგნაირად მოქმედებს: დემოკრატების 5 800, რესპუბლიკელების 4 600 და დამოუკიდებელი კანდიდატების 9 600 ხმა გადაეცემა რეგიონს, სადაც იგი სხვა საარჩევნო უბნების ხმებთან ერთად დაითვლება და ხელახლა გადანაწილდება. იმ შემთვევაში, თუ რეგიონული გადანაწილებით კანდიდატი ვერ აირჩევა, შეიძლება საჭირო გახდეს *ქვეყნის მასშტაბით* გადანაწილება. ამგვარად, პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა უზრუნველყოფს, რომ არც ერთი სარჩევნო ხმა არ იკარგება.

თუმცა, ზოგიერთმა ქვეყანამ პატარა, უმნიშვნელო პარტიების მომრავლების თავიდან აცილების მიზნით პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის მოდიფიცირება მოახდინა. ასეთ ქვეყნებში უმცირესობის პარტიებმა უნდა მიიღონ განსაზღვრული მინიმალური ხმების რაოდენობა (საარჩევნო ბარიერი _ მთარგმ. შენ.), რათა საარჩევნო უბნიდან ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენელი. გერმანიასა და რუსეთში ეს მინიმუმი 5 პროცენტია, სხვა ქვეყნებში შეიძლება 15 პროცენტი და მეტიც კი იყოს.

საარჩევნო სიები პროპორციული წარმომადგენლობის გამოყენების ყველაზე გავრცელებული მეთოდია. ამგვარი სისტემის დროს პარტიას შეუძლია საარჩევნო უბანზე რამდენიც სურს, იმდენი კანდიდატი წარადგინოს. ამ შემთხვევაში პარტიამ საარჩევნო ბიულეტენში უნდა მოახდინოს მათი რანჟირება _ თუ პარტია მიიღებს ხმათა რაოდენობას, რომელიც საკმარისია მხოლოდ ერთი მანდატის მოსაპოვებლად, მანდატს მიიღებს საარჩევნო სიაში მითითებული პირველი კანდიდატი; თუ პარტია დააგროვებს ორი მანდატის მოსაპოვებლად საკმარის ხმათა რაოდენობას, მაშინ სიაში მითითებული მეორე კანდიდატიც მიიღებს მანდატს და ა.შ. საარჩევნო სიების სისტემა მნიშვნელოვნად აძლიერებს პარტიებს, ვინაიდან მოქალაქეები ხმას აძლევენ პარტიას (და არა კანდიდატს) და პარტია აკონტროლებს კანდიდატთა თანმიმდევრობას საარჩევნო ბიულეტენებში.

არსებობს საარჩევნო სიების ალტერნატიული სისტემები. ერთ-ერთი მათგანი ემყარება ცალკეულ, გარდამავალ ხმის მიცემას და უფრო მეტად აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ კანდიდატებსა და პერსონებზე, ვიდრე პარტიებზე. კანდიდატები თავისუფლად ეცილებიან ერთმანეთს დასაკავებელ თანამდებობებს. კვოტა წინასწარ არის განსაზღვრული და ყველა კანდიდატი, ვინც დააგროვებს ხმათა საჭირო

რაოდენობას, ითვლება არჩეულად. მაგრამ ეს სისტემა უცნაურ ხრიკს შეიცავს: ყველა ამომრჩეველი მიუთითებს პირველ და მეორე არჩევანს. იმ შემთხვევაში, თუ პირველადი არჩევანის ხმების დათვლის შემდეგ კიდევ რჩება აუთვისებელი მანდატები, ზედმეტი ხმები, ამომრჩევლის მეორე არჩევანის გათვალისწინებით, გადადის დარჩენილ კანდიდატებზე.

საარჩევნო სისტემათა შედარება. პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემას მაჟორიტარულ წარმომადგენლობით სისტემასთან შედარებით გარკვეული უპირატესობები გააჩნია. უფრო ნაკლები ხმა იკარგება, შეხედულებათა უფრო ფართო სპექტრია წარმოდგენილი და საკანონმდებლო ორგანოში უფრო მეტ პარტიას შეუძლია ჰყავდეს წარმომადგენელი. ეს სისტემა მანდატები უფრო სამართლიანი და მიუკერძოებელია, ვინაიდან თანამდებობები პარტიებს შორის ნაწილდება მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად.

თუმცა, პროპორციულ წარმომადგენლობას, განსაკუთრებით საარჩევნო სიების შემთხვევაში, რამდენიმე არასასურველი მოვლენა ახასიათებს, მათ შორის პარტიის ცენტრალიზაციის აშკარა ტენდენცია, ერთ საკითხზე კონცენტრირებული პარტიების აღმოცენება, უფრო ინტენსიური საპარლამენტო ფრაქციონალიზმი, ქვეყნის მასშტაბით კონსენსუსის მიღწევის გართულება, პოლიტიკური პარტიების, როგორც პოლიტიკური არჩევანის ძირითადი საშუალებების სასარგებლოდ ინდივიდუალური კანდიდატების უგულებელყოფა. ზოგიერთი ამ მოვლენათაგანი შეიძლება სასურველიც კი იყოს. მიუხედავად მაჟორიტარული სისტემის ხარვეზებისა, ამერიკელთა უმეტესობა არ ემხრობა ახალი, უცნობი სისტემით მის ჩანაცვლებას. სიახლისადმი შიში ამერიკული პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

პირდაპირი დემოკრატია

პირდაპირი დემოკრატია ნიშნავს, რომ პოლიტიკურ საკითხებს ამომრჩეველი თვითონ წყვეტს. ალბათ ამის საყოველთაოდ ცნობილი მოდელია ქალაქ ნიუ-ინგლენდის მუნიციპალიტეტის შეხვედრა. კონსტიტუცია, არჩეული წარმომადგენლების უზრუნველყოფით, წარმომადგენლობითი დემოკრატიის სასარგებლოდ უარყოფს პირდაპირი დემოკრატიის იდეას.

დღეს ბევრგან პირდაპირი დემოკრატია თანაარსებობს წარმომადგენლობით დემოკრატიასთან. ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიცაა შვეიცარია და ავსტრალია, აგრეთვე ამერიკის რამდენიმე შტატი, მოქალაქეებს შეუძლიათ გვერდი აუარონ კანონს ან ჩაანაცვლონ იგი საჯარო პოლიტიკის სპეციფიკურ საკითხებზე პირდაპირი კენჭისყრით. როგორც წესი, ასეთ კენჭისყრას ***პლებისციტი*** ეწოდება. შეერთებულ შტატებში არსებობს პირდაპირი დემოკრატიული მონაწილეობას სამი ფორმა. ***რეფერენდუმი*** ტარდება მაშინ, როდესაც კანონმდებლობა ან კონსტიტუცია საკითხს ან საჯარო პოლიტიკას განსახილველად წარუდგენს ამომრჩევლებს. ზოგიერთ შემთხვევაში ხმის მიცემას უფრო სარეკომენდაციო ხასიათი აქვს (ელექტორატის პრეფერენციების მაჩვენებელია); სხვა შემთხვევებში კი იმისათვის, რომ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი ძალაში შევიდეს, ამომრჩევლის თანხმობაა საჭირო. საკანონმდებლო ***ინიციატივის*** შემთხვევაში საკითხი ამომრჩეველს თვითონ გააქვს განსახილველად ხელმოწერათა წინასწარ დადგენილი რაოდენობის



სქემა 10-2. *მოქალაქეთა მიერ საფუძველჩაყრილი ინიციატივა, რეფერენდუმი და იმპიჩმენტი ტატების დონეზე*
წყარო: იბეჭდება Thomas E. Cronin-ის წიგნის Direct Democracy: The Politics of Initiative, Referendum, and Recall-ის გამომცემელთა ნებართვით (Cambride, Mass.: Harvard University Press). საავტორო უფლება 1989, Twentieth Century Fund, Inc. განახლებულია Thomas Magstadt-ის მიერ, 2002წ.

შეგროვების შემდეგ. გაწვევა არის პოლიტიკური მექანიზმი არჩეული თანამდებობის პირის გადასაყენებლად. იგი ინიციატივის მსგავსია და განსახილველად გადის მოქალაქეთა ხელმოწერების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის შეგროვების შემდეგ. [საქართველოს რეფერენდუმს ხელისუფლებისათვის სავალდებულო ხასიათი აქვს, ხოლო პლებისციტს — სარეკომენდაციო — მთარგმნ. შენ.].

ინიციატივა და რეფერენდუმი

არსებობს ორი სახის ინიციატივა _ პირდაპირი და ირიბი; რეფერენდუმიც ორი სახის არსებობს _ სახალხო და საკანონმდებლო. ოცდასამმა შტატმა შტატის მასშტაბით დააკანონა ინიციატივა ან სახალხო რეფერენდუმი 1898-1959 წლებში; ოთხმა შტატმა კი _ 1958 წლის შემდეგ.

- ოცდაშვიდ შტატს აქვს გარკვეული სახის ინიციატივა ან სახალხო რეფერენდუმი.
- ოცდაოთხ შტატს აქვს ინიციატივის რაღაც ფორმა.
- ოცდაოთხ შტატს აქვს სახალხო რეფერენდუმი.
- ორმოცდაცხრა შტატს გააჩნია საკანონმდებლო რეფერენდუმი.
- პირველი შტატი, რომელმაც 1778 წელს ჩაატარა საკანონმდებლო რეფერენდუმი კონსტიტუციის მიღების მიზნით, იყო მასაჩუსეტსი.
- პირველი შტატი, რომელმაც 1898 წელს დააკანონა ინიციატივა და სახალხო რეფერენდუმი, იყო სამხრეთ დაკოტა.
- პირველი შტატი, სადაც 1904 წელს ინიციატივას ეყარა კენჭი, იყო ორეგონი.
- პირველი შტატი, რომელმაც 1897 წელს ქალაქებს მისცა ინიციატივისა და სახალხო რეფერენდუმის ჩატარების უფლება, იყო ნებრასკა.
- პირველი შტატი, რომელმაც 1907 წელს საკუთარ კონსტიტუციაში გაითვალისწინა ინიციატივა და სახალხო რეფერენდუმი, იყო ოკლაჰომა.
- უკანასკნელი შტატი, რომელმაც 1992 წელს დააკანონა ინიციატივა, იყო მისისიპი.

წყარო: *ადაპტირებულია Initiative and Referendum Institute, http://www.iandrinstitute.org/factsheets/quickfacts.htm, accessed May 15, 2002.*

მრავალი დემოკრატია პოლიტიკურ საკითხთა პირდაპირი ხმის მიცემით გადაწყვეტის ცნობილ მაგალითებს გვიჩვენებს. 1962 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა, შარლ დე გოლმა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების ჩასატარებლად რეფერენდუმის გზით შესწორება შეიტანა კონსტიტუციაში. 1973 წელს დიდმა ბრიტანეთმა, პირველად მის ისტორიაში, ჩაატარა რეფერენდუმი იმის განსასაზღვრად, გაწევრიანებულიყო თუ არა საერთო ბაზარში (ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის არაოფიციალური სახელწოდება). (ხმათა მცირე უპირატესობით საზოგადოებამ მხარი გაწევრიანებას დაუჭირა). შეერთებულ შტატებში პირდაპირი დემოკრატიის თანამედროვე პერიოდი სათავეს იღებს 1978 წლის კალიფორნიის ცნობილი *Proposition 13*-დან (საკანონმდებლო ცვლილება), რომელმაც არა მარტო მინიმუმ გაანახევრა გადასახადი კერძო საკუთრებაზე, არამედ საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა ინიციტივისა და რეფერენდუმის საქვეყნო ჩატარებას.

პირდაპირი დემოკრატიის მრავალი ღონისძიება საკამათოა. მაგალითად, 1996 წელს მიღებულმა კალიფორნიის სამოქალაქო უფლებათა ინიციატივამ კალიფორნიის კონსტიტუციის შეცვლის გზით შეზღუდა პოზიტიური დისკრიმინაციის პროგრამები და აკრძალა უპირატესი დამოკიდებულება „საჯარო სამსახურში, საზოგადოებრივ განათლებაში ან სახელმწიფო კონტრაქტების დადებისას რასობრივი, სქესობრივი, კანის ფერის, ეთნიკური კუთვნილების ან ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე. ინიციატივის დამცველებისა და მოწინააღმდეგეების ბრძოლა გაგრძელდა მისი მიღების შემდეგაც, როდესაც მოწინააღმდეგეებმა სასამართლოებში ინიციატივის არაკონსტიტუციურობის დამტკიცების გზით მისი განხორციელების გადადებას მიაღწიეს. სასამართლოს ჩარევა ამ შემთხვევაში ასახავს საერთო ტენდენცია: სასამართლოები კონსტიტუციურ პრობლემებს პოულობენ

პირდაპირი დემოკრატიის გზით გატარებულ ბევრ ღონისძიებაში და აფერხებენ პირდაპირი დემოკრატიის რეალიზაციას.

საკითხის ამგვარი განხილვა მნიშვნელოვანია, რადგან პირდაპირი დემოკრატიის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა ქმედება მუდამ დემოკრატიის გამაძლიერებელ საშუალებად აღიქმებოდა. ამგვარ ღონისძიებებში იგულისხმებოდა მთავრობის მგრძნობიარობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა, ამომრჩევლის მონაწილეობის გააქტიურება და არჩეულ კორუმპირებულ, შეუსაბამო ან უპასუხისმგებლო წარმომადგენლებზე ადექვატური რეაგირება.[9] პირდაპირი დემოკრატიის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ფულმა და სხვაგვარმა დაინტერესებამ შეიძლება შეუსაბამოდ დიდი როლი ითამაშოს ამგვარ სპეციალურ კენჭისყრაში, ვიდრე ჩვეულებრივ საკანონმდებლო პროცესში. ისინი იმასაც ამბობენ, რომ ინიციატივები და რეფერენდუმები ხშირად ტექნიკურად იმდენად რთულია, რომ საშუალო ამომრჩეველი ვერც ერკვევა განსახილველი საკითხების არსში. თუმც,ა ამ აზრს არ იზიარებს ამ პროცესის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი, რომელიც ამტკიცებს: „შტატების გამოცდილება აჩვენებს, რომ ამომრჩევლებს, როგორც წესი, კარგად ესმით იმ საკითხის არსი, რომელსაც ისინი ხმას აძლევენ და შესაბამისად კომპეტენტურად მოქმედებენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი ფართოდ იყო გაშუქებული.“[10]

ამგვარად, პირდაპირი დემოკრატიის მიერ გატარებული ღონისძიებების ნეგატიური შეფასებები გადამეტებულია. რა თქმა უნდა, ოპონენტების მხრიდან იმის მტკიცება, რომ ფული სავარაუდოდ დაამახინჯებს პლებისციტის შედეგებს, საუკეთესო შემთხვევაში თვალთმაქცობაა _ დღეს ფული არის ძირითადი (შესაძლებელია, უმნიშვნელოვანესიც) ფაქტორი ფაქტობრივად *ყველა* მნიშვნელობის ამერიკულ არჩევნებში. ნიშნავს ეს იმას, რომ ინიციატივებისა და რეფერენდუმების გავრცელება აბსოლუტური სიკეთეა? არა, ეს არ არის აუცილებელი. ძალიან გადაჭარბებულმა დემოკრატიამ შეიძლება პრობლემა შექმნას. პრობლემის გადაჭრა მოიცავს მის სწორად დაბალანსებას. ასეთი ზომები ლოკალურ დონეზე თვითმმართველობას აძლიერებს. მაგრამ თუ ეს ზომები მრავალრიცხვოვანია და საკითხებიც რთულია, სპეციფიკური ინტერესები იზრდება და კომპეტენტური ამომრჩეველის არსებობის ალბათობა კლებულობს. დღეს ამ მიზეზთა გამო პირდაპირი დემოკრატია აღიქმება, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამატება და არა მისი შემცვლელი.

მონაწილეობის შეფასება: რატომ მივცეთ ხმა?

პირდაპირი დემოკრატიის შესახებ მსჯელობისას ვარაუდი ეფუძნება იმას, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა ბუნებრივია _ მათ უნდათ მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ მმართველობაში, მაგრამ ზოგჯერ ისინი პროცესში არ დაიშვებიან. ამგვარი შეხედულება საკმაოდ დამაჯერებელია. უბრალო მამაკაცები და ქალები მთელ მსოფლიოში იბრძოდნენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის, ვინაიდან ისინი დიდად აფასებენ თავისუფალ არჩევნებს და ხმის მიცემის უფლებას. ის უფლებები, რომელთა მოპოვებაც ადრეული თაობებისათვის ძალიან რთული იყო, ამჟამად თავისთავად, ცხად მოცემულობად ითვლება. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს შეერთებული შტატების მაგალითზე. ჩნდება კითვა: რატომ?

ხმის მიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში

შეერთებულ შტატებში არჩევნებში მონაწილეობის გასაგებად ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ არჩევნებში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი დაბალია და დროთა განმავლობაში სულ უფრო კლებულობს. 1960 წელს კენედი-ნიქსონის არჩევნებში ზრდასრული მოსახლეობის თითქმის 63 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. 1996 წელს რაოდენობა შემცირდა 49 პროცენტამდე და ოდნავ მაღალი იყო 2000 წელს (50.4 პროცენტი). 2000 წლის არჩევნები რესპუბლიკელმა ჯორჯ ბუშმა ამომრჩეველთა კოლეგიაში (რომელიც ირჩევა შეერთებულ შტატებში პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ასარჩევად) ძალიან მცირე უპირატესობით მოიგო მას შემდეგ, რაც ქვეყნის მასშტაბით ფაქტობრივად დამარცხდა. ოდნავ მეტ ადამიანს რომ მიეღო მონაწილეობა არჩევნებში ფლორიდის (ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ ნახევარზე ნაკლები მივიდა არჩევნებზე) ან რამდენიმე სხვა შტატში, არჩევნებს ნამდვილად დემოკრატი ალ გორი მოიგებდა.



შუალედურ არჩევნებზე ამომრჩეველთა მაჩვენებელი კვლავ დაბალია. ის მკვეთრად დაეცა მას შემდეგ, რაც 1971 წელს ხმის მიცემის ასაკმა 18 წლამდე დაიწია და კვლავ დაღმავლობის ტენდენციით ხასიათდებოდა, თუ არ ჩავთვლით ოდნავ მატებას რეცესიის პერიოდში 1982 წელს და მნიშვნელოვან მატებას 1994 წელს.

მისისიპის შტატის ქალაქ ტენესისა და ლუიზიანაში (სადაც მხოლოდ ამომრჩეველთა ერთი ოლქი დაფიქსირდა ნოემბერში) ამომრჩეველთა მაჩვენებელმა 20%-საც კი ვერ მიაღწია. მხოლოდ ოთხ შტატში მიიღო მონაწილეობა ხმის მიცემის უფლების მქონე მოსახლეობის უმრავლესობამ წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში: მენი (55.6 პროცენტი), მინესოტა (54.8 პროცენტი), მონტანა (54.6 პროცენტი) და ალასკა (52.5 პროცენტი).

სქემა 10-3. *შეერთებულ შტატებში შუალედურ არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობა, 1962-94წ. ეყრდნობა წარმომადგენელთა პალატის არჩევნების მონაცემებს (ხმის მიცემის ასაკის მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა)*

წყარო: ადაპტირებულია Congressional Quarterly Weekly Report, 23 თებერვალი, 1991წ., 484.

არჩევნებში მონაწილეობის სხვა საზომი არის შუალედური არჩევნები (როდესაც

არ ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები). 1962 წელს შუალედურ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 46,3 პროცენტმა, 1994 წელს ეს რიცხვი 38.7-მდე შემცირდა (იხ. სქემა 10-3); 1998 წელს მხოლოდ 36 პროცენტი (მესამედზე ოდნავ მეტი) მივიდა გამოკითხვაზე. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 45 პროცენტისთვის არ გადაუჭარბებია. სხვა დემოკრატიებთან შედარებით (მაგალითად იტალიაში, ბელგიაში, შვედეთში, საბერძნეთში, ჰოლანდიაში, ავსტრალიაში, დანიასა და ნორვეგიაში საშუალოდ ელექტორატის 80 პროცენტი იღებს მონაწილეობას საპრეზიდენტო ან მის ეკვივალენტურ არჩევნებში), ამომრჩეველთა აქტიურობა შეერთებულ შტატებში სამარცხვინოდ დაბალია.[11]

ამომრჩევლის დაბალი აქტიურობა არის გამოცანა (და სირცხვილი), ვინაიდან იგი იმ ცვლილებათა საფუძველზე წარმოიშვა, რომლებსაც სრულიად სხვა ეფექტი უნდა ჰქონდა. როგორც ორმა ექსპერტმა აღნიშნა, ამომრჩევლის აქტიურობის კლების პერიოდში მოხდა ბევრი ისეთი რამ, რასაც თეორიულად ამომრჩევლის მონაწილეობის მატება უნდა გამოეწვია. პირველ რიგში იყო გრძელვადიანი ცვლილებები კანონმდებლობაში: წესები, დადგენილებები, რომლებიც ართულებდა კენჭისყრაში ამომრჩევლის დაშვებას, როგორიც იყო საარჩევნო გადასახადის დაწესება, განათლების ცენზისა და ქვეყანაში ხანგრძლივი ბინადრობის მოთხოვნები, თითქმის სრულად გაუქმდა. ხმის მიცემის მინიმალურმა ასაკმა 18 წლამდე დაიწია. შედეგად ქვეყანამ შექმნა (სტრუქტურულად და იურიდიულად) ელექტორატის დიდი მასის არსებობის პოტენციალი, რომელშიც მცირე გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად ყველა ზრდასრული ადამიანი შევიდოდა.[12]

უფრო მეტიც, 1993 წელს ე.წ. „მძღოლი-ამომრჩეველის კანონი“ მიღებით ახალ ამომრჩეველს შეუძლია დარეგისტრირდეს მართვის მოწმობის აღების ან განახლების დროს. დაბოლოს, დაბალი საარჩევნო მაჩვენებელი ასვე მოულოდნელია იქიდან გამომდინარე, რომ „ფართომასშტაბიანმა ცვლილებებმა მოსახლეობაში აამაღლა განათლების, შემოსავლისა და დასაქმების დონე, რაც დაკავშირებულია არჩევნებში აქტიურობის მაღალ მაჩვენებელთან“.[13] სინამდვილეში, ალბათ, უპრიანია კითხვა არა „ვინ აძლევს ხმას?“ არამედ „ვინ არ აძლევს ხმას?“

მონაწილეობის მოდელი

აქსიომაა, რომ პოლიტიკაში ამერიკის მოქალაქეთა მხოლოდ უმცირესობა იღებს აქტიურ მონაწილეობას. ერთ-ერთმა პირველმა კვლევამ, რომელიც ჩაატარეს ჯულიან ვუდვორდმა და ელმო რუპერმა 1950 წელს, აჩვენა, რომ ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტი პოლიტიკურად პასიური იყო.[14] მოგვიანებით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით 26 პროცენტი შეიძლება მივაკუთვნოთ აქტივისტებს. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მონაწილეობა შემოიფარგლება მხოლოდ ხმის მიცემით ან საერთოდ პოლიტიკისათვის თავის არიდებით.[15] აქტიური მონაწილეების დადგენა იოლად არის შესაძლებელი: უფრო მეტად აქტიურები არიან შუახნის მოქალაქეები, ვიდრე ახალგაზრდები ან ხანში შესულები; უფრო მეტად ოფისში მომუშავენი, ვიდრე წარმოებაში დაკავებულნი; უფრო მეტად დაქორწინებულნი, ვიდრე მარტოხელები; უფრო მეტად თეთრკანიანები, ვიდრე შავკანიანები და უფრო მეტად შავკანიანები, ვიდრე ლათინოამერიკელები.

მათ, ვინც მონაწილეობას იღებს პოლიტიკაში (ხმის მიცემის გზით მაინც), რო-

გორც წესი, გავლენის მოხდენის უფრო დიდი რწმენა აქვთ. არ არის გასაკვირი, რომ ***პოლიტიკური ქმედუნარიანობის*** ამგვარი შეგრძნება ხშირად ასახავს ბუნებრივ შესაძლებლობათა, ინდივიდუალური მდგომარეობისა და სოციალურ გარემოებათა ნაზავს. თუმცა ძალაში რჩება კითხვა: რატომ არის, რომ ამდენი ამერიკელი ხმასაც კი არ აძლევს და მიუხედავად პერიოდული ზრდისა, უკანასკნელ სამ ათწლეულში მაჩვენებელი კლებულობს?

ზოგიერთი მკვლევარი ეყრდნობა 1971 წელს საარჩევნო ასაკის თვრამეტ წლამდე დაწევას და მიუთითებს, რომ თვრამეტიდან ოცდაერთ წლამდე მოქალაქეთა არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია. მოქალაქეთა გაზრდილი მობილურობა, დამოკიდებულების ფაქტორები, განსაკუთრებით კი პარტიასთან იდენტიფიკაციის კლება და მზარდი შეგრძნება იმისა, რომ ინდივიდუალური ქმედებები არაეფექტიანია, პოლიტიკა კი მოსაწყენი ან ხელოვნური გახდა, სრული პასუხის მხოლოდ ნაწილებია. არსებობს ძალიან ბევრი მტკიცებულება მოსახლეობის გენერალურ ერთობლიობაში სამოქალაქო ვალდებულებების შემცირებისა. დაბოლოს, ხანგრძლივი პოლიტიკური კამპანიები (განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების დროს) და უგემოვნო სატელევიზიო რეკლამების არნახული შემოტევა აღიზიანებს ძალიან ბევრ ამომრჩეველს.

ინდივიდუალიზმი და საზოგადოებრივი მონაწილეობა

ამ ფაქტორებმა შეიძლება ნათელი მოფინოს ამომრჩევლის მონაწილეობის საერთო კლებას. მაგრამ რას შეიძლება მივაწეროთ ამომრჩევლის აქტიურობის მუდმივად დაბალი დონე? ზოგიერთი სოციოლოგი თვლის, რომ შეერთებულ შტატებში პოლიტიკური მონაწილეობის შედარებით დაბალი დონე ფართოდ გავრცელებული ***გაუცხოების*** დამამტკიცებელია, რაშიც ამერიკელების მხრიდან მთავრობის უნდობლობას გულისხმობენ. მაგრამ ამერიკელების უმეტესობა საკუთარ თავს არ თვლის გაუცხოებულად ან უკმაყოფილოდ მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ისინი გაცილებით უფრო ცინიკურები გახდნენ (იხ. სქემა 10-4). მთავრობისადმი უნდობლობა მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის ამომრჩევლის მონაწილეობის კლებას. უფრო სრულყოფილი ახსნა სხვაგან უნდა ვეძიოთ.

დიდი ხნის წინ ფრანგმა მწერალმა ალექსის დე ტოკვილმა (1805-1859) დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ თუ თანასწორობის რწმენა ფართოდაა გავრცელებული, ინდივიდები საკუთარ თავში მორალურად დარწმუნებულნი ხდებიან. ასეთ შემთხვევებში სოციალურ ორიენტირთა სხვა წყაროებს _ რელიგიას, ოჯახს, მონარქიას, ტრადიციასა თუ მთავრობას _ ისეთი წონა არა აქვს, როგორიც ბევრ ტრადიციულ საზოგადოებაში.

ტოკვილი ამ სოციალურ თავისებურებას, რომელსაც ***ინდივიდუალიზმს*** უწოდებდა, განიხილავდა, როგორც ეგოიზმის მორალურ ეკვივალენტს. ის წერდა, რომ

> ინდივიდუალიზმი მომწიფებულობისა და სიმშვიდის განცდაა, რომელიც თემის თითოეულ წევრს ახლობელი ადამიანებისაგან გასამიჯნად განაწყობს; ჩამოაშორებს ოჯახს და მეგობრებს იმისათვის, რომ საკუთარი პატარა წრის ფორმირების შემდეგ მან ხალისით დატოვოს საზოგადოება, რომელსაც თავდაპირველად მიეკუთვნებოდა.[16]

ტოკვილის აზრით, ამერიკელები იმდენად ეგოცენტრისტები (და ზოგადად ეგოისტები) არიან, რომ საჯარო სიკეთეზე ზრუნვა გაქრობის საფრთხის წინაშე დადგა. ამ საზოგადოებაში, წარმატება განისაზღვრება, როგორც „მეზობლებს შორის მატერიალურ კეთილდღეობაში შეჯიბრი, რაც ამერიკელებს პირად ამბიციებზე გამოდევნებისაკენ უბიძგებს“. აქედან გამომდინარე ის ასკვნიდა, რომ „ამერიკაში ფიზიკური კეთილდღეობისადმი სწრაფვა... ყველაფერში იგრძნობა“ და რომ „კარგი ნივთების შეძენის სურვილი ამერიკელი ხალხის უმთავრესი ვნებაა“.[17]



სქემა 10-4. *ამერიკული ცინიზმის ზრდა*

წყარო: Thomas D. Gallagher-ის Wall Street Weighs the Election. © 1Lehman Brothers. იბეჭდება Americans Talk Issues Foundation-ის ნებართვით.

ტოკვილის აზრით, ინდივიდუალიზმის დამღუპველ ეფექტს გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა ის, რომ ამერიკელები გაწევრიანებული იყვნენ ძალიან მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან სამოქალაქო ასოციაციებში. ეს ასოციაციები აფართოებდნენ საშუალო ამერიკელის თვალსაწიერს და ამავდროულად საზოგადოებრივი თანამშრომლობის წახალისებით, სხვათა აზრის პატივისცემის სწავლებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისა და უმრავლესობის ძალაუფლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით, აძლიერებდნენ დემოკრატიის საფუძველს.

დღეს ზოგიერთ ექსპერტს სწამს, რომ ყველა სახის ჯგუფში მონაწილეობა და ჯგუფური აქტივობა შეერთებულ შტატებში კლებულობს. 1980-დან 1993 წლამდე ბოულინგის მოთამაშეთა რიცხვი 10 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში ბოულინგის ლიგის წევრთა 40 პროცენტით შემცირდა. ეს დასკვნა მოცემულია რობერტ პატნემის ცნობილ ნაშრომში, რომლის მიხედვითაც ბოულინგი ამერიკული ცხოვრებაში ცვლილებებისსიმბოლოდ იქცა.[18] ამომრჩევლის შემცირებული აქტივობა ამ ფენომენის პოლიტიკური ანალოგიაა. პატნემმა აგრეთვე მიუთითა, რომ რელიგიურ რიტუალებში და ჯგუფებში, პროფკავშირებში, მასწავლებლებისა და მშობლების ასოციაციაში, ტრადიციულ ქალთა ჯგუფებში, როგორიც

არის ამომრჩეველ ქალთა ლიგა და საზოგადოებრივ კლუბებში, ვთქვათ, მასონებში, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში მონაწილეობა შემცირდა. ასევეა მოხალისეთა სერვის-ორგანიზაციებში, მაგალითად, ბოი სკაუტებში.

დღეს ამერიკელები მეზობლებთანაც ნაკლებ დროს ატარებენ, ვიდრე ოცდაათი წლის წინ. შედეგები შემაშფოთებელია: თემის შეგრძნების შესუსტება და სხვებზე ზრუნვის შემცირება _ რაც სამოქალაქო საზოგადოების ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

პოლიტიკური აპათია: ამერიკული დაავადება?

როგორც ვნახეთ, შეერთებული შტატები პოლიტიკური უკმაყოფილებისგან თავისუფალი არ არის. პოლიტიკოსების მისამართით ამერიკელები სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მაგრამ ამომრჩევლის აპათია ძირითადად გამომდინარეობს არა რწმენიდან, რომ არჩეულ თანამდებობის პირთა უმეტესი ნაწილი კორუმპირებულია ან პოლიტიკური სისტემა დაინგრა და აღდგენას აღარ ექვემდებარება; პოლიტიკის მიმართ ამერიკელების გულგრილობის მიზეზი უფრო მეტად არის ის, რომ მათ არ ემუქრებათ საფრთხე, ზეწოლა, არ იხდიან უზარმაზარ გადასახადებს, არ განიცდიან სხვაგვარ შევიწროებას მთავრობის მხრიდან (როდესაც ასე ხდება, ამომრჩევლის აქტიურობა მატულობს). თუ ამ კუთხით შევხედავთ, ***პოლიტიკური აპათია*** ერთგვარი ფუფუნებაა. მხოლოდ მდიდარ და კმაყოფილ საზოგადოებაში თვლის ხალხი ხმის მიცემის უფლებას ბუნებრივად, ან ეპყრობა მას, როგორც ტრივიალურ ნივთს.

მეტიც, ზოგადი დაკვირვება, რომ ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური აპათია პოლიტიკის გადაგვარების ნიშანია, შეიძლება მცდარიც იყოს. პირიქით, ამერიკული დემოკრატია ფუნქციონირებდა, როგორც სტაბილური პოლიტიკური სისტემა და ჰარმონიულად თანაარსებობდა მუდმივად მზარდ ეკონომიკასთან, მიუხედავად პოლიტიკური მონაწილეობის ძალიან დაბალი დონისა. როდესაც ჩვეულებრივ შემთხვევებში აპათიური ადამიანები უცაბედად პოლიტიკით განსაკუთრებით ინტერესდებიან, როგორც წესი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არ არის. მაგალითად, სამოქალაქო ომამდე ცოტა ხნით ადრე პოლიტიკური აპათია თითქმის გაქრა მონობასა და შტატების უფლებებზე დავის გამო, თუმცა ქვეყანა დაშლის პირას იყო. როდესაც აზრები ისე მკვეთრად არის გაყოფილი, რომ კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი ჩანს და საკითხი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეთა დიდ წრეს ეხება, მონაწილეობა და არასტაბილურობა ერთდროულად იზრდება.

თუმცა, შეცდომა იქნებოდა დაგვესკვნა, რომ რადგან ამერიკულ დემოკრატიას შეუძლია ფუნქციონირება მიუხედავად აპათიისა, ხოლო არასტაბილურობა ხშირად ასოცირდება მზარდ მონაწილეობასთან, ამიტომ აპათია კარგია და მონაწილეობა ცუდი. ერთი მხრივ, აპათია, რომელიც აღმოცენდება გაუცხოების ღრმა გრძნობიდან, სერიოზული დაფიქრების საფუძველია; მეორე მხრივ, მონაწილეობის მაღალი ხარისხი, რომელიც საზოგადოებრივი სიკეთის ჭეშმარიტ ერთგულებას ეფუძნება, საუკეთესო საშუალებაა ზედმეტად მაღალი ხარისხის ინდივიდუალიზმის საწინააღმდეგოდ. დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობის მაღალი ხარისხი დემოკრატიისათვის არ არის სავალდებულო, წარმომადგენლობითი ხელისუფლების ეფექტიანი მუშაობისათვის ამომრჩეველთა მინიმალური დაინტერესება მაინც აუცილებელია.

მონაწილეობის შეფასება: რა იციან ამომრჩევლებმა?

მრავალმა ზრდასრულმა ამერიკელმა არ იცის მთავრობის ლიდერთა სახელები, არ იცნობს საარჩევნო საკითხებს და არ ესმის პოლიტიკა. სახელმწიფო სამსახურში უმაქნის კანდიდატებს ირჩევენ; დამნაშავეები, რომლებიც გართობის მიზნით კენჭს იყრიან ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობაზე, იღებენ ათასობით ხმას. პოლიტიკურმა კონსულტანტებმა მიუთითეს, რომ ბევრ საარჩევნო მარათონში (განსაკუთრებით ქალაქებსა და სოფლებში, სადაც გრძელი საარჩევნო ბიულეტენია), ასობით ან ათასობით ხმა შეიძლება მიიღოს იმან, ვინც საარჩევნო სიაში უბრალოდ პირველია.

უკანასკნელმა კვლევებმა ცხადყო, რომ ათიდან ოთხმა ამერიკელმა ვერ შეძლო სწორად დაესახელებინა ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო ორმა მესამედმა ვერ შეძლო დაესახელებინა პიროვნება, ვინც წარმოადგენს მათ საარჩევნო უბანს წარმომადგენელთა პალატაში. ამერიკელებმა ამაზე უკეთ ვერც მათი მთავრობის ფუნქციონირების ელემენტარული ფაქტების განსაზღვრა შეძლეს. თითქმის ნახევარმა არ იცოდა, რომ კანონის კონსტიტუციურობის დასადგენად საბოლოო ინსტანცია უზენაესი სასამართლოა, ხოლო ოთხიდან სამმა არ იცოდა, რომ სენატორებს ირჩევენ ექვსი წლის ვადით.[19] როდესაც ასეთ უცოდინრობასთან გვაქვს საქმე, როგორ შეიძლება ამერიკელებმა მიიღონ გააზრებული ან გონივრული გადაწყვეტილება? საქმის ამგვარი ვითარება პრობლემური იქნებოდა, ჯანსაღი დემოკრატია მხოლოდ ინფორმირებული და ჭკვიანი მოქალაქეების არსებობაც რომ მოითხოვდეს.

მაგრამ მდგომარეობა არც ისე მძიმეა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი წარმოაჩენს. პირველ რიგში იქ, სადაც ხმის მიცემის ასაკის მქონე მოსახლეობის უმცირესობა მონაწილეობს არჩევნებში, ეს უმცირესობა, როგორც წესი, უკეთ არის ინფორმირებული, ვიდრე ის, ვინც არ მონაწილეობს. მეორეც, ვინაიდან მოქალაქეები ძალიან ცუდად ინფორმირებული არიან, ამერიკელებმა პოლიტიკაზე იმდენივე იციან, რამდენიც 1940-იან წლებში (და ქვეყანამ ეს მონაკვეთი საკმაოდ კარგად გამოიარა).[20] მესამე _ ის, რომ ამერიკელებმა არ იციან ბევრი, შესაძლოა ბუნებრივიც იყოს. ამერიკის მთავრობის გავლენიანი ექსპერტის, ჯეიმს ვილსონის აზრით პრობლემა არის არა ის, „რომ ამერიკელი ხალხი არის უვიცი, არასტაბილური ან მიმნდობი, არამედ ის, რომ ამერიკელებს არ მიაჩნიათ საჭიროდ პოლიტიკაზე ფიქრში იმ დროის ხარჯვა, რომელსაც ისინი ატარებენ სამსახურში, ოჯახში და მეგობრებთან.“[21]

მეოთხეც, ბევრი ამერიკული არჩევნები რთულია და მოიცავს მრავალ გაურკვეველ სახელწიფო და ადგილობრივ კანდიდატს და საკითხს (და ამით განსხვავდება ევროპული ქვეყნების არჩევნებისაგან, სადაც მოქალაქეები მხოლოდ პარტიებს აძლევენ ხმას). მეხუთეც, ბევრ კანდიდატს არ გააჩნია ნათელი პოლიტიკური პოზიცია, ხოლო ვისაც გააჩნია, განზრახ აბუნდოვნებს მას.

დაბოლოს, თუმცა ეს გამოკითხვები და კვლევები ააშკარავებს ფართოდ გავრცელებულ პოლიტიკურ უმეცრებას, აგრეთვე გვიჩვენებს, რომ ამერიკელებმა რაღაც მაინც იციან მთავრობისა და პოლიტიკის შესახებ. მაგალითად, ამ ნაწილის შესავალში განხილული კვლევისას აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა უმეტესობამ იცოდა პრეზიდენტის არჩევის ვადის შეზღუდულობის შესახებ და რომ უოტერგეიტის სკანდალის დროს პრეზიდენტი იყო რიჩარდ ნიქსონი. ათიდან თითქმის ცხრამ იცოდა, რომ პრეზიდენტი კლინტონი დემოკრატიული პარტიის წევრი იყო და ათიდან რვამ იცოდა, რომ კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით კერძო სტრუქტურებს დაევალათ თანამშრომელთა შვებულებით უზრუნველყოფა ბავშვის გაჩენის ან

ოჯახური აუცილებლობის შემთხვევაში. რეალურად საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამომრჩეველს შეუძლია კანდიდატებსა და საკითხებზე საღად მსჯელობა მაშინაც კი, თუ ისინი ნაკლებად ინფორმირებულნი არიან.[22]

მკვლელმა 33.000 ხმა მიიღო

ზოგიერთმა ამომრჩეველმა არ იცის ან არ ანაღვლებს, ვის აძლევს ხმას. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ლეონარდ რიჩარდსი, რომელმაც 1990 წელს მინესოტას წინასწარ არჩევნებზე 33 004 ხმა მიიღო და მესამე ადგილზე გავიდა. გამარჯვებულმა, მაიკლ მაკგრატმა მიიღო 148 617 ხმა. რიჩარდსს არ უწარმოებია საარჩევნო კამპანია, ვინაიდან ჰენპინის ციხეში იმყოფებოდა და მის მიერ ჩადენილ მკვლელობაზე საქმის განმეორებით განხილვას ელოდებოდა. 1987 წლიდან რიჩარდსი სასჯელს იხდიდა საგადასახადო აგენტის სასიკვდილოდ დაჭრისათვის. საქმის განმეორებით განხილვის უფლება მას მისცა მინესოტას უზენაესმა სასამართლომ, რადგან პირველ შემთხვევაში მას არ მიეცა უფლება პირადად ყოფილიყო საკუთარი თავის ადვოკატი. საქმის ხელმეორედ განხილვამ რიჩარდს საშუალება მისცა წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა არჩევნებში და ამით ტექნიკურად შეეჩერებინა პროცესის წარმოება. კამპანიის დროს რიჩარდსის სურათები დაიბეჭდა გაზეთში. მის მისამართად მითითებული იყო ციხე, სადაც სასჯელს იხდიდა.

არჩევნების შედეგებზე რეაქცია სხვადასხვაგვარი იყო. „შეუძლებელია ამომრჩეველმა ძალიან ბევრი იცოდეს ყველა კანდიდატის შესახებ“, – შენიშნა სახელმწიფო მდივანმა ჯოან გრუვმა. „უნდა გახსოვდეთ, რომ წინასწარი არჩევნები არის მხოლოდ ერთი საფეხური. ამიტომაც გვაქვს ამდენი საფეხური და იმედია, ასეთი რამ აღარ განმეორდება. ეს არ არის სრულყოფილი სისტემა, მაგრამ იგი გასაგებია. ეს არის რეალური, ღია დემოკრატიის ბუნება“. წინასწარი არჩევნების გამარჯვებულმა, მაკგრატმა თქვა: „მე არ მაქვს არანაირი ახსნა იმისა, რატომ უნდა მიეცა მისთვის ვინმეს ხმა“ და დაამატა: „მე მასზე მხოლოდ კარგი ვთქვი.“ არჩევნების შემდეგ რიჩარდსი ისევ გაასამართლეს და საგადასახადო აგენტის მკვლელობის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 1994 წლის მაისში მას საკუთარი ნახევარი დის მკვლელობის ბრალიც დაემატა.

წყარო: ადაპტირებულია *Kevin Diaz, 'Blind Ballots? 33,004 Voted for Candidate Who's in Jail', Star Tribune, September 13, 1990, 1A, 17A;* და *Margaret Zack, 'Richards Convicted of Killing Half Sister: Case has been Long and Costly, 'Star Tribune, May 13, 1994, 1B, 4B.*

პოლიტოლოგი სამუელ პოპკინსი კარგად ხსნის, თუ ინფორმაციის უქონლობის დროს როგორ ახერხებენ ამომრჩევლები ხმის მიცემას გააზრებულად. ის ამტკიცებს, რომ ამომრჩევლები იყენებენ ***მწირი ინფორმაციის რაციონალობას***, აერთიანებენ რა „ცოდნასა და ინფორმაციას წარსული გამოცდილებიდან, ყოველდღიური ცხოვრებიდან, მედიიდან და პოლიტიკური კამპანიებიდან“.[23] ამომრჩეველმა შეიძლება არ იცოდეს, რომელი პარტია წარმოადგენს კონგრესში უმრავლე-

სობას და ვინ არის მათი სენატორი, მაგრამ მათ იციან ეკონომიკის, მათი შვილების სკოლების, საპენსიო გეგმების, აბორტის თაობაზე შეხედულებებისა და ა.შ. შესახებ. მოქალაქეები პოლიტიკური მჯელობისას „შემოკლებებსა“ და „გამარტივებულ ვარაუდებს“ იყენებენ, მაგალითად კანდიდატებზე მსჯელობისას ან პარტიის იდენტიფიცირებისა.

პოპკინსისეული ნაკლები ინფორმაციის მქონე ამომრჩეველი არც იდეალური მოქალაქეა, ვინც სრული ინფორმაციის საფუძველზე ჭკვიანურად აძლევს ხმას და არც სრულიად სულელი. ალბათ სამართლიანია იმის თქმა, რომ ბევრი მოქალაქე ხმის მიცემას, უხეშად რომ ვთქვათ, იმდენივე დროს და ენერგიას ანდომებს, რამდენსაც მანქანის ყიდვას. აშკარად არაკეთილგონივრულმა არჩევანმა და მანქანის სულელურმა შეძენამ შეიძლება შედეგები გამოიღოს, მაგრამ ეს უფრო მეტად გამონაკლისია, ვიდრე წესი. თუმცა გადამწყვეტი განსხვავება მანქანის მყიდველებსა და ამომრჩევლებს შორის არის ის, რომ ამომრჩევლებს, როდესაც მიდიან საარჩევნო უბანზე, გაცილებით მცირე არჩევანი აქვთ, ვიდრე მანქანის მყიდველებს _ ეს არის პრობლემა და მისი მოგვარება მხოლოდ არჩეულ წარმომადგენლებს შეუძლიათ, რომლებიც, სამწუხაროდ, მისი არმოგვარების კანონიერი უფლება აქვთ.

დაბოლოს, უნდა ავხსნათ, რატომ ირჩევს ამომრჩეველი კონგრესში ხელახლა ძველ წარმომადგენელს მაშინ, როდესაც კონგრესს, როგორც ინსტიტუტს, არ ენდობა. ხშირად ეს შეიძლება იყოს ამომრჩევლის მცდელობა, განამტკიცოს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი ამ ინტერესის დამცველი ყველაზე შესაფერისი წარმომადგენლის არჩევით, განსაკუთრებით სხვა შტატებიდან წამოსული კონკურენციის ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობის პირთა არჩევისადმი ამგვარი მიდგომა მთლად კარგად გასაგები არ არის, ის რაციონალურია ადგილობრივ დონეზე. დემოკრატიისათვის დილემას კი ქმნის ის ფაქტი, რომ ამგვარი „კომფორტული ხმის მიცემა“ მთლიანობაში აუცილებლად რაციონალური არ არის სახელმწიფო დონეზე — უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, კანონებისა და პოლიტიკის დონეზე.

მონაწილეობის შეფასება: მბრუნავი კარი

ზოგიერთი გავლენიანი პოლიტიკური თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ „მმართველი ელიტა“ პოლიტიკურ პროცესს თავიდან ბოლომდე აკონტროლებს. ამ თეორიის ყველაზე პოპულარული ვერსიის მიხედვით, რიგით მოქალაქეებს არჩევნებისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების მიუხედავად, დიდი გავლენის მოხდენა არასოდეს შეუძლიათ. პოლიტიკური სისტემით მანიპულირება ზემოდან უფრო ხდება, ვიდრე ქვემოდან. მანიპულატორი კი არის ძალაუფლების მქონე ელიტა, ინდივიდების მცირე ჯგუფი, რომელსაც აქვს რა ერის ბედზე ზემოქმედების უზარმაზარი ძალაუფლება, შედის და გადის „მბრუნავ კარში“ ინდუსტრიის მმართველებსა და ხელისუფლების დახვეწილ ეშელონებს შორის. ამ მუდმივი პოლიტიკური კლასის სტატუსი, სიმდიდრე და ძალაუფლება უზრუნველყოფს, რომ მთავრობის ყველა დონეზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ რამდენიმე ინდივიდის მიერ იყოს მონოპოლიზებული. მმართველი ელიტა ხელისუფლებას იყენებს პირადი და არა საზოგადო ინტერესებისთვის.

ელიტისტური თეორიები: რკინის კანონები და დემოკრატიის ირონია

ამ თეორიების მიხედვით დემოკრატიას ამომრჩევლები ან საზოგადოებრივი აზრი და სხვადასხვა კონკურენტული ინტერესები კი არ მართავს, არამედ მდიდარ ინდივიდთა მცირე ჯგუფი. ამ თეორიამ მნიშვნელობა და გავლენა 1950-იან წლებში მოიპოვა მას შემდეგ, რაც მისით სოციოლოგი რაიტ მილსი დაინტერესდა.[24] მილსმა შეისწავლა შეერთებული შტატების მმართველი ფენა, რომელიც სათუთად ინახავს პოლიტიკური თანასწორობის პრინციპს. „მმართველი ელიტისათვის" საყოველთაო ყურადღების მიპყრობით სადავო გახადა „ხალხის მმართველობის" იდეა და გაჩნდა სერიოზული კითხვა – არსებობს (ან ოდესმე არსებობდა) თუ არა იგი ამერიკაში.

რობერტ მიხელსმა ასევე შექმნა ელიტიზმის თეორია, მაგრამ მისი მოსაზრება ეხებოდა ყველა თანამედროვე ბიუროკრატულ ორგანიზაციას. მისი დასკვნები ეყრდნობოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ანალიზს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებამდე ყველაზე დიდი სოციალისტური პარტია იყო მსოფლიოში. მიხელსი თვლიდა, რომ ვინაიდან პარტია მხარს უჭერდა სიმდიდრისა და სტატუსის თანასწორობას, ის დემოკრატიული პრინციპების ერთგული უნდა ყოფილიყო. ამის მაგივრად მან აღმოაჩინა, რომ პარტიას მართავდნენ ელიტური ჯგუფები, რომლებიც ძალაუფლებას და ხელისუფლებას იღებდნენ კარგად განვითარებული ორგანიზაციული უნარ-ჩვევებით.

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის კოალიციამ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის წინ მოაწყო საპროტესტო აქცია, რომლის დროსაც სიმბოლურად განასახიერეს სიკვდილი. საბოლოოდ, მწარმოებელმა Burroughs Wellcome-მა შეამცირა წამლის ღირებულება და ხელმისაწვდომი გახადა ის იმუნოდეფიციტის ვირუსისა და შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის მქონე ადამიანებისათვის.

ამ აღმოჩენამ მიხელსი მიიყვანა ***ოლიგარქიის რკინის კანონის*** ცნობილ პოსტულატამდე, რომლის მიხედვით ყველა მსხვილი ორგანიზაცია, მათ შორის მთავ-

რობა, იმართება ერთნაირად. მას სჯეროდა, რომ როდესაც დემოკრატიული ორგანიზაციები იწყებენ საქმიანობას, დროთა განმავლობაში ისინი აუცილებლად უფრო ოლიგარქიული, ბიუროკრატული და ცენტრალიზებული ხდებიან, ვინაიდან სათავეში მყოფნი იღებენ მეტ ინფორმაციას, ცოდნას, კომუნიკაციებზე კონტროლის შესაძლებლობასა და დახვეწილ ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებს. ხოლო მასა (ან მოქალაქეები) რჩება აპოლიტიკური, მისი წევრები დაკავებული არიან პირადი საქმეებით და აბნევთ მრავალრიცხვოვანი საკითხების სირთულე. ამ შეხედულების მიხედვით, ხალხი, ვის სასარგებლოდაც შეიქმნა დემოკრატიული ინსტიტუტები, გარდაუვლად გამოიდევნება პოლიტიკური და ორგანიზაციული პროცესებიდან, ისევე როგორც კორპორაციულ ორგანიზაციებში მოსამსახურეები და ბიუროკრატები მართავენ რიგითი აქციონერის ანუ ხალხის სახელით.

ელიტისტურ თეორიებში დემოკრატია აღქმულია, როგორც მისტიფიკაცია ან მითი: არა აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობს, ამბობს ან აკეთებს ხალხი, ვინაიდან მას არ გააჩნია რეალური გავლენა საზოგადოებრივ პოლიტიკაზე. თუ ხალხის უმეტესობას სჯერა, რომ საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვანია, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გულუბრყვილოები არიან და ვერ ხვდებიან, როგორ მუშაობს „სისტემა“.

უმეტესობას სჯერა, რომ „დემოკრატია რამდენიმესთვის“ მმართველობის არსს ეწინააღმდეგება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ ამერიკული პოლიტიკური სისტემა მართულია რამდენიმე პრივილეგირებულის მიერ და ყველანი მნიშვნელოვნად ვართ მათზე დამოკიდებული, ვინაიდან ხალხი, როგორც ერთი მთლიანი, ვერ მართავს საკუთარ თავს. ამ შეხედულების მიხედვით, „მასები არიან ავტორიტარულები, არატოლერანტულები, არაინტელექტუალურები, ატავისტები, გაუცხოებულები, ზიზღით აღსავსენი და მოძალადეები“.[25] ამ კუთხით „დემოკრატიის ირონია“ ნათელია: ხალხისათვის რეალური ძალაუფლების მიცემა – მართვის უფლება, გამოიწვევს მხოლოდ ანტიდემოკრატიული სურვილების და პოლიტიკის განხორციელებას.

პლურალისტემი და ელიტისტემი

ელიტისტური აზროვნების სკოლის მთავარი მოწინააღმდეგეები არიან ***პლურალისტები***. პლურალისტებიც და ელიტისტებიც ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ყველა საზოგადოებაში არსებობს ძალაუფლების გრადაცია და განსაზღვრული ჯგუფები ან ინდივიდები ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხზე არაპროპორციულ გავლენას ახდენენ. ისინი ვერ თანხმდებიან პოლიტიკური სისტემის არსზე.

პლურალისტების აზრით, ამერიკული პოლიტიკური სისტემა რთული და დეცენტრალიზებულია. ისინი აღიარებენ, რომ ინტერესთა სხვადასხვა ორგანიზებული ჯგუფები მთელი თავისი ენერგიის, რესურსების და ყურადღების კონცენტრირებას ახდენენ ერთ საკითხზე (ან საკითხთა ერთ სფეროზე) და არაპროპორციულ გავლენას ახდენენ პოლიტიკის ამ სპეციფიკურ სფეროზე. ისინი აგრეთვე აღნიშნავენ, რომ დროდადრო უქონელი ან არაპოპულარული ჯგუფები შეიძლება არაადეკვატურად იყოს წარმოდგენილი. მაგრამ არც ერთ ინდივიდს ან ჯგუფს არ შეუძლია საზოგადოებრივი პოლიტიკის მთელ სპექტრზე მოახდინოს ტოტალური გავლენა. პოლიტიკური სისტემა ზედმეტად მრავალფეროვანი, თავისუფლად მოძრავი და ინსტიტუციურად დანაწევრებულია იმისათვის, რომ ძალის ასეთი აკუმულირება დაუშვას. ერთი ცნობილი პლურალისტის აზრით:

> შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი ცვლილების დამაბრკოლებელი მნიშვნელოვანი გარემოებაა არა ძალაუფლების კონცენტრაცია, არამედ მისი გაბნევა... ძალაუფლება საკმარისად კონცენტრირებული რომ ყოფილიყო, ცვლილების მსურველს მხოლოდ ამ ძალაუფლების მქონესთან მოუწევდა მოლაპარაკება და საჭიროების შემთხვევაში მასზე ზეწოლასაც მოახდენდა. მაგრამ ძალაუფლება იმდენად გაბნეულია, რომ ბევრ ინსტანციაში არავინ არის, ვისთანაც შეიძლება მოლაპარაკება ან ვისზეც განხორციელდებოდა ზეწოლა.[26]

რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ მილიონობით ამერიკელისთვის არსებობს სახელმწიფო დაწესებულებათა მხოლოდ მცირე რაოდენობა, ნიშნავს იმას, რომ პირდაპირი პოლიტიკური მონაწილეობა შეზღუდულია. მაგრამ ვინაიდან ძალაუფლება ასე გაბნეულია და პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების მრავალი საშუალება არსებობს, პლურა-ლისტების მტკიცებით, საზოგადოებრივი ინტერესი – რომელიც განიმარტება, როგორც კერძო ინტერესების ერთობლიობა – სხვა სისტემებთან შედარებით უკეთესად მუშაობს კონსტიტუციური დემოკრატიის პირობებში.

პლურალისტები არ უარყოფენ, რომ მათ, ვისაც მაღალი თანამდებობები უკავიათ მთავრობასა და ბიზნესში, მსგავსი წარსული და თვისებები ახასიათებთ: ეჭვგარეშეა, რომ *Ivy League* (ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე 8 პრივილეგიური უნივერსიტეტის გაერთიანება) განათლებამიღებულთა უმეტესობა მდიდარი *WASP* (თეთრი ანგლო-საქსური პროტესტანტი) ოჯახის მამაკაცები არიან. მაგრამ პლურალისტთა აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სიმდიდრე, სტატუსი და განათლება ახლო კავშირშია პოლიტიკურ მონაწილეობასთან, არ ამტკიცებს სისტემის ჩაკეტილობას და საზოგადოებრივი პოლიტიკის წინასწარ განსაზღვრულობას; არც იმას, რომ დემოკრატიული მოქალაქეობა სიმულაციაა. ძნელია ელიტისტური თეორიების უარყოფა. თუმცა, საზოგადოებრივი პოლიტიკა დროდადრო საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ ნამდვილად *იყო*. მაგალითად, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული და მუდმივად მზარდი საზოგადოებრივი განწყობა ეფექტიანი საშუალება იყო ამერიკის კონფლიქტიდან გამოსაყვანად. შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ხშირად დანაწევრებული იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს ან არარელევანტურია.

პოლიტიკური მონაწილეობა ავტორიტარულ სახელმწიფოში

დემოკრატიულისგან განსხვავებით, პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მონაწილეობა ავტორიტარულ ქვეყნებში იშვიათად გვხვდება. ავტორიტარულ სახელმწიფოებში მოქალაქეები თითქმის არასოდეს მონაწილეობენ თავიანთი ქვეყნის მმართველობაში. შედარებისთვის, ტოტალიტარულ ქვეყნებში მოქალაქეთა მონაწილეობა ხშირად წახალისებული ან სავალდებულოა. მასობრივი მიტინგები და პოლიტიკურ ან პარტიულ შეხვედრებზე ხშირი დასწრება მონაწილეობის იმიტაციაა და დამკვირვებლები ტოტალიტარული სახელმწიფოების ყველაზე აქტიურ საფეხურს ***მასობრივი მობილიზაციის რეჟიმად*** მოიხსენიებენ. ასეთ სახელმწიფოებში მოქალაქეები ჩართული არიან პოლიტიკაში, მაგრამ მხოლოდ მათზე იდეოლოგიური ზემოქმედებისა და კონტროლის, და არა მათი შეხედულების გაგების მიზნით.

ავტორიტარულ ხელისუფლებას არა აქვს კერძო გამოკითხვების ჩატარების მიზეზი, აგრეთვე გამოკითხვების გამოყენების საჭიროება (თუმცა საბჭოთა კავშირის

არსებობის უკანასკნელ დღეებში მთავრობამ დააფინანსა საზოგადოებრივი გამოკითხვები). ზოგიერთ ავტორიტარულ სახელმწიფოში არჩევნები დაშვებულია და ზოგჯერ მოქალაქეებს მოეთხოვებათ კიდეც არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუმცა შედეგები თითქმის ყოველთვის გაყალბებული და ამის გამო აზრს მოკლებულია.

ავტორიტარულ სახელმწიფოებში მოქალაქეთა მნიშვნელოვანი მონაწილეობის ფორმების უმეტესობა. ამის გამო, მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისებას (და დემოკრატიის მხარდაჭერას) ხელისუფლება ძირითადად აფასებს, როგორც კანონდარღვევას და მკაცრად სჯის. ზოგჯერ მნიშვნელოვანი მონაწილეობა შეიძლება აიხსნას მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად და ბოიკოტის ფორმაც კი მიიღოს. ერთი მაგალითი შეიძლება იყოს არჩევნებში მონაწილეობისგან თავის შეკავება მაშინ, როდესაც მონაწილეობა სავალდებულოა, მაგრამ აზრს მოკლებულია. მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის პროტესტის უკიდურესი ფორმაა ემიგრაციაში წასვლა და საკუთარი ქვეყნიდან გაქცევა. ამგვარი რეჟიმების უდიდეს ირონიად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მისი მოქალაქეების ყველაზე მნიშვნელოვანი პროტესტი – ქვეყნის დატოვებაა.

პოლიტიკური პარტიები

მრავალ თანამედროვე საზოგადოებაში ერთი ინდივიდუალური ხმა ძალიან სუსტია იმისთვის, რომ ის საზოგადოებამ გაიგოს. იმისათვის, რომ მოქალაქეთა ხმებს საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს, მათი რაოდენობა ბევრად უნდა გაიზარდოს. ამის გამო, მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე ეფექტიანი ფორმა ინდივიდუალური ინტერესებისა და შეხედულებების გაერთიანებაა. პოლიტიკური პარტიები და ინტერესთა ჯგუფები არის ორი სტრუქტურული ტიპი, რომელიც გამოდგება გაერთიანების ფუნქციის შესასრულებლად. ამა თუ იმ საზოგადოებაში ასეთი სტრუქტურების ხელმისაწვდომობა ან ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, რა ზომით იცავს ხელისუფლება პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს და რამდენად მგრძნობიარეა ხალხის მოთხოვნების მიმართ.

ფართო სპექტრის პოლიტიკური პარტიები სხვადასხვა განსაკუთრებულ ინტერესს ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებენ. უკანასკნელ წლებში ინტერესთა ჯგუფების გავლენა შეერთებულ შტატებშიცა და ევროპაშიც გაიზარდა; ამავე დროს პოლიტიკური პარტიების როლი შემცირდა. ახლა განვიხილავთ ამგვარი განვითარების მიზეზებსა და მის შედეგებს დემოკრატიებისათვის.

პოლიტიკური პარტიის მიზანია არჩევით თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევა, დასახელება და მხარდაჭერა. პოლიტიკური პარტიები ყველა ლიბერალური დემოკრატიის, მათ შორის შეერთებული შტატების უცვლელი ნაწილი გახდა. გასაკვირია, რომ პოლიტიკური პარტიები არ შედიოდა დამფუძნებელ მამათა თავდაპირველ გეგმაში. ორპარტიული სისტემის გაჩენა აშშ-ის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა.

ისტორიული წინამძღვრები

აშშ-ისკონსტიტუციაში პოლიტიკური პარტიები არ არის ნახსენები; დამფუძნებელი მამების უმეტესობა პარტიებს ვერ იტანდა. ჯორჯ ვაშინგტონმა შექმნა კაბინეტი,

რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ იმ დროის ყველაზე ნიჭიერი ადამიანები, მაგალითად, თომას ჯეფერსონი სახელმწიფო მდივნისა და ალექსანდრე ჰამილტონი ფინანსთა მინისტრის თანამდებობებზე. ამგვარი კაბინეტის შექმნით იგი პარტიულობის თავიდან აცილებას ცდილობდა. ამ ორი ნიჭიერი, მაგრამ მსოფლმხედველობით ურთიერთდაპირისპირებული პიროვნების დანიშვნა ასახავდა ვაშინგტონის რწმენას, რომ ერის ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე საზოგადოებრივად მოაზროვნე მოქალაქეების თანამშრომლობა საზოგადოებისათვის სიკეთის მომტანი იქნებოდა.

სამწუხაროდ, პარტიული პოლიტიკის თავიდან აცილების ვაშინგტონისეული კეთილშობილური მცდელობა ჩავარდა. ჯეფერსონსა და ჰამილტონს შორის პირადი უთანხმოება წარმოიქმნა მეტწილად ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის ურთიერთსაწინააღმდეგო გაგების ირგვლივ, რის გამოც ეს ორი ადამიანი ერთმანეთის დაუძინებელი მტერი გახდა. 1790-იანი წლების ბოლოს ჯეფერსონმა და მისმა მიმდევრებმა საკმაოდ სუსტად ორგანიზებული რესპუბლიკური პარტია ჩამოაყალიბეს. ამ პარტიის მთავარი მიზანი იყო ფედერალისტების (რომელთა წარმომადგენლები იყვნენ, მაგალითად, ჯონ ადამსი და ალექსანდრე ჰამილტონი), ძლიერი ანტიფრანგული პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა,1789 წელს თავად ჯეფერსონმა დაწერა: „თუ ჩემთვის სამოთხეში წასვლა მხოლოდ ჩემს პარტიასთან ერთად იქნებოდა შესაძლებელი, საერთოდ უარს ვიტყოდი სამოთხეზე“.[27]

რატომ უცხადებდა უნდობლობას პოლიტიკურ პარტიებს ჯეფერსონის თაობის ამდენი სახელმწიფო მოღვაწე? ჯეფერსონის შემთხვევაში პარტიებისადმი ანტიპათია ამერიკისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმიდან მომდინარეობდა, რომელიც დღემდე არსებობს. „შემეძლო საკუთარი აზრი მქონოდა, თავად მეფიქრა, ჩემი რელიგიური, ფილოსოფიური, პოლიტიკური ან სხვა რომელიმე შეხედულებათა სისტემა არასოდეს დამიქვემდებარებია არანაირი პარტიის კრედოსთვის, როგორი შემადგენლობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი,“ ამბობდა იგი და ასკვნიდა, რომ ასეთი მიდრეკილება თავისუფლებისა და მორალის წარმოუდგენელი დეგრადაციაა.[28] ჯეფერსონის თაობის სხვა ამერიკელებს და ზოგიერთ მათ ინგლისელ კოლეგას სჯეროდა, რომ პოლიტიკური პარტიები ზოგადი ან საზოგადოებრივი ინტერესების ხარჯზე ვიწრო პირად ინტერესებს აღვივებდა. ამ აზრით პოლიტიკურ პარტიებს ხშირად აღიქვამდნენ, როგორც საზოგადოების დონეზე გავრცელებულ ეგოიზმს.

პარტიულობამ ეს დამღა მხოლოდ თანდათანობით დაკარგა. სხვადასხვა პოლიტიკური ფილოსოფიის განმასახიერებელი პოლიტიკური პარტიებისაგან სარგებლის მიღების (მაგალითად პოლიტიკის ალტერნატივების წარმოდგენით) იდეამ ინგლისში მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო გავრცელება. მოწინავე ამერიკელი სახელწიფო მოხელეების გამოცდილებამ საუკუნით გვიან ამერიკაც ანალოგიურ დასკვნამდე მიიყვანა, რომ პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული პროცესისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ძირითადი მიზნები

პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, პოლიტიური ძალაუფლების მოპოვების ან შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვიან, რაც პრაქტიკულად ხელისუფლებაზე კონტროლის მოპოვებას ნიშნავს. ვინაიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში მართვის უფლებას არჩევნები განსაზღვრავს, დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარ-

ტიების ძალისხმევა არჩევნების მოგებაზეა კონცენტრირებული. ისინი ცდილობენ მრავლისმომცველი კონსენსუსის შექმნას საკუთარი პარტიის პლატფორმისათვის, რომელიც ჩამოყალიბებულია სხვა პარტიის ან პარტიების მიმზიდველი ალტერნატივის გათვალისწინებით.

როგორც წესი, წარმატებული პოლიტიკური პარტია ქმნის უთვალავი ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური და კულტურული ინტერესების საერთო საქვეყნო კონსენსუსს. პარტია უნდა ითვალისწინებდეს მრავალი ამომრჩევლის ინტერესებს და ამავდროულად შეძლოს მათი გაერთიანება დამყოლ უმრავლესობად. თუ პარტიას არა აქვს იმედი უმრავლესობის ხმების მოპოვებისა, მისი გავლენა და საკანონმდებლო ძალა, როგორც წესი, დამოკიდებულია მიღებული ხმების საერთო რაოდენობასა და განაწილებაზე, რომელიც, თავის მხრივ, ასახავს მის წარმატებას შედარებით ფართო სპექტრის ამომრჩევლის მიზიდვაში.

ხმების მიღების მიზნით კანდიდატები ხშირად იძლევიან დაპირებას, რომ ამომრჩევლის ინტერესების – ე.წ. საარსებო საშუალებების მიმართ იქნებიან უფრო მეტად პასუხისმგებლები და ენერგიულები, ვიდრე მათი ოპონენტები. თუმცა ხანდახან კანდიდატები და პარტიები აქცენტს აკეთებენ იდეოლოგიურ საკითხებზე ან საშინაო და საგარეო პოლიტიკის სადავო ინიციატივებზე. ამ სტრატეგიების გამოყენებით პარტიები ხშირად ქმნიან პოლიტიკურ ალტერნატივებს მემარცხენე ლიბერალურ და მემარჯვენე კონსერვატიულ პოლიტიკას შორის. ეს განსაკუთრებით ეხება დიდ ბრიტანეთს და კონტინენტური ევროპის საპარლამენტო და კვაზი-საპარლამენტო დემოკრატიებს, სადაც ხშირად რამდენიმე პარტია იბრძვის ხმების მოსაპოვებლად და თითოეულს შეუძლია განსხვავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ალტერნატივები ჩამოაყალიბოს. ასეთ სისტემებში უმრავლესობის პარტიების პოლიტიკური პლატფორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული კანდიდატის პირადი პოპულარობა, ვინაიდან საპარლამენტო სისტემის დროს პარტიები ცდილობენ მოიპოვონ და შეინარჩუნონ რაც შეიძლება მეტი ადგილი პარლამენტში. ამგვარად, პარტია, რომელიც აკონტროლებს პარლამენტს, მთავრობასაც აკონტროლებს. შედეგად საპარლამენტო სისტემის დროს პოლიტიკური პარტიები, მათი ამერიკული ანალოგებისგან განსხვავებით, ცდილობენ იყვნენ არა მხოლოდ დისციპლინირებული, იერარქიული და ცენტრალიზებული, არამედ უფრო მეტად პოლიტიკაზე ორიენტირებული და მკაფიო იდეოლოგიის მატარებელი.

შეერთებულ შტატებში, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება გამიჯნულია და კანდიდატებს თანამდებობაზე ხშირად ირჩევენ უფრო პიროვნული, ვიდრე პოლიტიკური თვისებების გამო, პარტიები იშვიათად მიმართავენ მკვეთრ პოლიტიკურ ალტერნატივებს. როგორც წესი, პრეზიდენტობის კანდიდატებიდან აირჩევა ის, ვინც პოლიტიკურ ცენტრთან უფრო ახლოს არის.[29] ამერიკული ორპარტიული სისტემა, მისი მომხრეების აზრით, ქმნის სტაბილურობას, პოლიტიკურად ზომიერ კანდიდატს და ხელს უშლის მძაფრ იდეოლოგიასა და პოლიტიკურ პოლარიზაციას.

კრიტიკოსები – განსაკუთრებით ისინი, ვინც აღფრთოვანებულია იმით, როგორ ფუნქციონირებენ პარტიები ბრიტანულ საპარლამენტო სისტემაში ან სხვა მრავალპარტიული სისტემებში – ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებს უბრალოდ პოპულარობაში გაჯიბრებად აღიქვამენ. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციურ დემოკრატიაში ყველა პარტია ცდილობს მიაღწიოს კონსენსუსს და სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი ქმედების შედეგად, როგორიცაა კანდიდატების შერჩევა ან წახ-

ალისება, ფინანსური სახსრების მოზიდვა, მედიაკამპანიების წარმართვა ფასიანი პოლიტიკური რეკლამების ჩათვლით და სხვ. შექმნას ალტერნატივები. პარტიის პლატფორმაში შემოთავაზებები და პოლიტიკა იმნაირად არის ფორმულირებული, რომ დააკმაყოფილოს მთავარი ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც თავის მხრივ მხარს დაუჭერენ პარტიის კანდიდატებს ფინანსებითა და საარჩევნო ხმებით.

არჩევნებს შორის პარტიებს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრიათ. ბრიტანული სტილის საპარლამენტო სისტემაში გამარჯვებული პარტია ან კოალიცია მთავრობის ორგანიზებას ახდენს; საპრეზიდენტო სისტემაში, მაგალითად, აშშ-ს შემთხვევაში, სადაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო სფეროები გაყოფილია, პოლიტიკური პარტიები ხელს უწყობენ ამ ორი სფეროს მოქმედებათა კოორდინირებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე პარტია დომინირებს ორივე სფეროში. რამდენადაც გამარჯვებული პარტია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებისა და სამთავრობო მოქმედებების ფასილიტაციაში, იმდენადვე დამარცხებული პარტია კისრულობს არსებული მთავრობის ოპონირებისა და კრიტიკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას და საზოგადოებას სთავაზობს ალტერნატივას მომავალ არჩევნებში. მხოლოდ იშვიათად შეიძლება ხელისუფლებაში მყოფმა პარტიამ სრულად დააკმაყოფილოს ელექტორატი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია იაპონიაში შეიძლება გამონაკლისად განვიხილოთ); როდესაც ინფლაცია გაიზრდება ან უმუშევრობა დაუშვებელ ზღვარს მიაღწევს, ამომრჩევლები ახალი ლიდერისა და ახალი პოლიტიკური ალტერნატივის ძებნას იწყებენ.

ერთპარტიული სისტემა

აქამდე განვიხილავდით კონსტიტუციურ დემოკრატიებს, სადაც პარტიები არჩევნების მოსაგებად ცდილობენ მიაღწიონ საქვეყნო კონსენსუსს და მოქალაქეებს შესთავაზონ პოლიტიკური ალტერნატივები. თუმცა, პოლიტიკური პარტიები შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთ ქვეყნებშიც, სადაც თავისუფალი არჩევნები არ ტარდება.

ავტორიტარულ სახელმწიფოებში პარტია არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩაახშოს პოლიტიკური ალტერნატივები, ისევე, როგორც სახალხო კონსენსუსი. ხშირად, როგორც მმართველი რეჟიმის მთავარი იარაღი, იგი გამოიყენება სახელმწიფო ძალაუფლების განსამტკიცებლად და პოლიტიკური ოპოზიციის აღსაკვეთად.

ტოტალიტარულ სახელმწიფოებში პარტია მრავალ ფუნქციას ასრულებს, მათ შორის პოლიტიკური რეკრუტირების, ინდოქტრინაციის, მობილიზაციისა და ზედამხედველობის. ფაშისტურ გერმანიაში, ისევე როგორც კომუნისტური ქვეყნების უმეტესობაში, პარტია მთავრობად იქცა. რამდენადაც ვითარდებოდა ეს სახელმწიფოები, მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ნელ-ნელა სრულად გადადიოდა ან პირდაპირ პარტიის, ან პარტიის ლიდერებს დაქვემდებარებული ბიუროკრატიული მოხელეების ხელში. ამგვარად, პარტიის კონცეფცია, როგორც სახალხო ნების გამოხატვის საშუალება, თავდაყირა დადგა და პარტიები ცენტრალიზებული საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი გახდა, რომელსაც სრულად შეეძლო ინდივიდუალური თვითგამოხატვის ნებისმიერი მცდელობის ჩახშობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარ გარემოებებში მასობრივი მონაწილეობა რეჟიმის ანტიდემოკრატიული ბუნების მიჩქმალვის გამიზნული ნიღაბია.

მიუხედავად იმისა, რომ ერთპარტიული სისტემა ძირითადად ავტორიტარულ სახელმწიფოებში არსებობს, ზოგიერთი მათგანი მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ პოლიტიკაშიც გვხვდება. მაგალითად, 2000-იან წლებამდე მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია დომინირებდა მექსიკურ პოლიტიკაში. ინდოეთში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში პოლიტიკური ძალაუფლება თითქმის ექსკლუზიურად ინდოეთის კონგრესს (სახელის მიუხედავად, იგი პოლიტიკური პარტიაა) ეკუთვნოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია დომინირებდა იაპონიის პოლიტიკაში 1950-იანი წლების შუა პერიოდიდან. შეერთებულ შტატებშიც კი, რომელიც არ არის ერთპარტიული ტენდენციის მქონე ქვეყანა, სამხრეთში სამოქალაქო ომის შემდეგ დემოკრატიული პარტია თითქმის ერთი საუკუნე დომინირებდა. მექსიკის შემთხვევაში ინსტიტუციურ-რევოლუციურმა პარტიამ დომინანტური როლი შეინარჩუნა კორუფციის, დაშინებისა და არჩევნების გაყალბების კომბინაციით. ინდოეთში, იაპონიასა და სამხრეთ ამერიკაში ეს ფაქტორები მცირე როლს ასრულებდა, თუმცა კორუფცია ყველა ამ შემთხვევაში



2000 წელს ვისენტე ფოქსი პირველი ოპოზიციონერი კანდიდატი იყო, რომელიც დაახლოებით 70 წლის განმავლობაში მექსიკის არჩეული პრეზიდენტი გახდა. ფოქსის ისტორიულ გამარჯვებამდე ინსტიტუციურ-რევოლუციურ პარტიას მონოპოლია ჰქონდა პრეზიდენტობაზე და მთლიანად აკონტროლებდა მექსიკის ხელისუფლებას. ფოქსმა დაიფიცა, რომ შეებრძოლებოდა კორუფციას და საფუძველს ჩაუყრიდა შორსმიმავალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს.

არსებობდა, ხოლო დაშინება და არჩევნების გაყალბება სამხრეთ ამერიკაში ძალაში რჩებოდა 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების მოძრაობის განვითარებამდე – ამ რეგიონის პოლიტიკის ტრანსფორმაციამდე.

დემოკრატიული ერთპარტიული სისტემები შედარებით იშვიათია. ასეთი პარტიები განსაკუთრებით ამჟღავნებენ კორუფციულ მიდრეკილებებს; პოლიტიკური ძალაუფლების ვირტუალური მონოპოლია ბიზნეს-ლიდერებს, ბანკირებს, ფესვგადგმულ ბიუროკრატებსა და უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს სარფიანი გარიგებებისკენ უბიძგებს. ამგვარად, არ არის მოულოდნელი, რომ უკანასკნელ წლებში მექსიკასა და იაპონიაში კორუფციაში ბრალდებებმა ერთი პარტიის დომინირების დროებით შეჩერებაში (და არა დასრულებაში), მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ორპარტიული სისტემა

ორპარტიული სისტემის დროს ამომრჩეველთა დიდი უმრალესობა მხარს უჭერს ერთ-ერთ ძირითად პარტიას. მხოლოდ ძირითადი პარტიის წევრებს აქვთ თანამდებობაზე არჩევის მეტი შანსი, ხოლო ოპოზიციური პარტია კონსტიტუციის მიერ დაცულია ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ან დაშინებისგან. ორპარტიული სისტემის მნიშვნელოვანი უპირატესობა არის შედარებით სტაბილური მთავრობა, ვინაიდან უმრავლესობა იზიარებს ძირითად პოლიტიკურ შეხედულებებს, რომელიც მიღებულია საშუალო ფენაში, არის კულტურულად და ეთნიკურად ჰომოგენური, რაც იშვიათობაა განვითარებად ქვეყნებში. გარკვეულწილად განგრძობადობა უზრუნველყოფილია თავად სისტემის მიერ, ვინაიდან ორი ძირითადი პარტია აწონასწორებს ინტერესთა ფართო სპექტრს. ამავე დროს მუდმივად არსებობს ფართო მასებისთვის მისაღები ოპოზიციური პარტია, რომელიც მზად არის ხელისუფლებაში მოსასვლელად.

ორპარტიული სისტემა სამართლებრივად და კონსტიტუციურად არ არის შეზღუდული მხოლოდ ორი პარტიით. მცირე პარტიებს შეუძლიათ იარსებონ და არსებობენ კიდეც, თუმცა შეერთებულ შტატებში მათი წარმატება ერთობ მოკრძალებულია. ძირითადად მცირე პარტიები ფუძნდება იმ ცალკეული პოლიტიკური ფიგურის ძალისხმევის შედეგად, რომელიც გაემიჯნება ერთ ან ორივე ძირითად პარტიას (მაგალითად, თეოდორ რუზველტის [აშშ-ის პრეზიდენტი 1901-1909 წ. — მთარმნ. შენ.] პროგრესული პარტია 1912 წელს ან როს პერო რეფორმების პარტია 1990-იან წლებში). გერმანიაში, სადაც II მსოფლიო ომის შემდეგ ორი ძირითადი პარტია ცვლის ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში, მცირერიცხოვანი თავისუფალ-დემოკრატიული პარტია თავის მასშტაბთან შედარებით ძალიან დიდი ძალაუფლებით და გავლენით სარგებლობდა 1990-იანი წლების ბოლომდე, ვიდრე მწვანეთა პარტია სოციალ-დემოკრატებთან „წითელ-მწვანე“ კოალიციურ მთავრობაში უმცროს პარტნიორად შევიდა.

მრავალპარტიული სისტემა

მრავალპარტიული სისტემა ჩნდება იქ, სადაც ორზე მეტი პარტია საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოსვლისათვის კონკურენცია გაუწიოს ერთმანეთს. ასეთ სისტემაში მუდმივად არც ერთი პარტია არ არის უმრავლესობაში; ამა თუ იმ არჩევნებში ნებისმიერ პარტიას შეუძლია მოიპოვოს მანდატების დიდი უმრავლესობა, თუმცა ხშირად იმარჯვებენ აბსოლუტურ უმრავლესობაზე ნაკლები ხმებით. *მრავალპარტიული საპარლამენტო სისტემის* დროს ინდივიდუალური პარტიები არჩევნებისას დროს გაურბიან კომპრომისებს და სპეციფიკურ საკითხებსა და პროგრამებზე ლაპარაკს. ახალი მთავრობის ფორმირებისათვის მხოლოდ ხმების დათვლის შემდეგ ხდება საჭირო კომპრომისების დაშვება. როგორც წესი, უძლიერესი პარტია მმართველი უმრავლესობის შექმნის მიზნით ცდილობს ჩამოაყალიბოს ***კოალიციური მთავრობა*** სხვა პარტიასთან ან პარტიებთან ერთად. კოალიციის ფორმირების შემდეგ იგი მართავს მომავალ არჩევნებამდე, ან კოალიციის დაშლამდე. ეს პროცესი ამერიკელებისათვის უცნაურად ჟღერს, მაგრამ ევ-

როპელებისთვის, აზიელებისა და სხვა საპარლამენტო დემოკრატიულ ქვეყნებში მცხოვრებთათვის იგი ნორმალურია.

მრავალპარტიული სისტემის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ამომრჩეველს ფართო არჩევანი აქვს. მისი მთავარი უარყოფითი თვისება არის არასტაბილური ხელისუფლება – ზოგიერთ ქვეყანაში ეს არასტაბილურობა შეიძლება ქრონიკულიც კი გახდეს. პროცესი შეიძლება თავისთავად განვითარდეს: დაძაბულობას მოაქვს ფრაქციათაშორისი დაპირისპირებები მთავრობაში, პოლიტიკის ცენტრში საერთო არეულობას – ნდობის კრიზისი, ხოლო ეს კრიზისი თავის მხრივ უფრო მეტ დაძაბულობას იწვევს. II მსოფლიო ომის შემდეგ იტალია ამ ფენომენის საუკეთესო მაგალითად რჩება ევროპაში.

პარტიული სისტემის განმსაზღვრელი

რა განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიების რაოდენობას ამა თუ იმ ქვეყანაში? პირველ რიგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მმართველობის ფორმას – მხოლოდ კონსტიტუციურ დემოკრატიებში შეუძლიათ პოლიტიკურ პარტიებს იბრძოლონ პოლიტიკურ სისტემაზე დროებითი (შემდგომ არჩევნებამდე) კონტროლის მოპოვებისთვის.

მეორე, დემოკრატიულ ქვეყნებში საარჩევნო სისტემის სახეობამ შეიძლება გავლენა იქონიოს პარტიული სისტემის ტიპზე. მცირე პარტიების წარმატებას ხელს უშლის ისეთი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ერთმანდატიან საარჩევნო უბანზე, სადაც ნებისმიერი კანდიდატი იგებს ერთი ხმის უპირატესობით (ხმათა უბრალო უმრავლესობით) ერთადერთ არსებულ მანდატს. პატარა პარტიებს უჭირთ მოიზიდონ ამომრჩევლები, ვინაიდან მათ კანდიდატებს მოგების ძალიან მცირე შანსი აქვთ. ამის საწინააღმდეგოდ, პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა, სადაც რამდენიმე კანდიდატი ირჩევა თითოეული საარჩევნო უბნიდან, უფრო მცირე პარტიებს მოგების გაცილებით დიდ შანსს აძლევს. ამგვარად, პროპორციული წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, განსხვავებით იმ სისტემისაგან, სადაც კანდიდატი უბრალო უმრავლესობით იგებს, მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობა უფრო სავარაუდოა.

მესამე, პოლიტიკური პარტიული სისტემა, ისევე, როგორც ხელისუფლების ძირითადი ფორმა, ხანდახან განსაზღვრულია კონსტიტუციით. კონსტიტუციები განსხვავდება ერთმანეთისაგან პარტიული სისტემების მიმართ დამოკიდებულებით. ზოგიერთი, მაგალითად, აშშ-ის კონსტიტუცია, საერთოდ არ ეხება ამ საკითხს, ზოგი კი პირდაპირ ან ირიბად ასახავს მას. როგორც არ უნდა იყოს, ყოველთვის არსებობს აშკარა გამიჯვნა პარტიასა და ბიუროკრატიას შორის. პირველი ეხმარება პოლიტიკისა და მთავრობის ორგანიზებას, ხოლო მეორეს ევალება მთავრობის ადმინისტრირება; იქ, სადაც ამ ორ სფეროს შორის განსხვავება ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს, დემოკრატიაც ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს.

მეოთხე, ტრადიცია გავლენას ახდენს ქვეყნის მართველობის ფორმასა და მის პარტიულ სისტემაზე. ვინაიდან განვითარებად ქვეყანათა უმეტესობაში ავტორიტარული რეჟიმები არსებობს, რომელთაც თითქმის არ გააჩნიათ დემოკრატიის ტრადიცია, არ არის გასაკვირი, რომ მესამე სამყაროში ძალიან ხშირად გვხვდება

ერთპარტიული სისტემა. ამ ტენდენციის ორი ყველაზე ცნობილი გამონაკლისია ლათინური ამერიკის ვენესუელა და კოლუმბია. II მსოფლიო ომის შემდეგ ორივე ამ ქვეყანაში ძალიან შთამბეჭდავი დემოკრატიული ტრადიციები განვითარდა. ორივე მათგანის მთავრობა ძალიან სტაბილური იყო; კოლუმბიაში კი ხანგრძლივმა აჯანყებებმაც ვერ შეძლეს სისტემისთვის სერიოზული ზიანის მიყენება (თუმცა ვენესუელაში სისტემამ შვა აპოპულისტი უგო ჩავესი, რომელმაც დემოკრატია ფარსად აქცია – მთარგმნ. შენ.).

მეხუთე, სადაც არსებობს ღრმა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ან რელიგიური განსხვავებები, როგორც წესი, პოლიტიკური ცხოვრება პოლარიზებულია, გაჯერებულია ემოციითა და იდეოლოგიით. ამგვარი გარემოებები უპირატესად მრავალპარტიულ სისტემებს ავითარებს და არა ორპარტიულს.

პარტიები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება განსხვავებულ დემოკრატიებში. ზოგიერთ მათგანში ძალაუფლება ძლიერ სტრუქტურირებულია და მთლიანად სათავეშია კონცენტრირებული. მაგალითად, ბრიტანული პოლიტიკური პარტიები უფრო დისციპლინირებული და ცენტრალიზირებული არიან, ვიდრე ორი მთავარი პარტია შეერთებულ შტატებში. პარტიის ცენტრალიზაცია მნიშვნელოვანია საპარლამენტო სისტემაში, რადგან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების შერევისას კანონმდებლები ან უნდა „გაჰყვნენ პარტიის ხაზს," ან მუდმივად ჰქონდეთ ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლის შიში. ცენტრალიზებულ პარტიას ყველაზე კარგად შეუძლია განახორციელოს პოლიტიკური ზეწოლა პარტიული დისციპლინის ჩამოსაყალიბებლად. მეტიც, ვინაიდან საპარლამენტო სისტემაში მნიშვნელოვანია პარტიის პროგრამა და არა ინდივიდუალური კანდიდატის პიროვნება, დაგეგმვა, ორგანიზება და ფინანსური კამპანიები ქვეყნის დონეზე ყველაზე კარგად მუშაობს.

ასევე ისიც გასათვალისწინებელია, თავად პოლიტიკური სისტემა ცენტრალიზებულია თუ დეცენტრალიზებული. ფედერალურ სისტემაში პარტიები ცდილობენ ფედერალური სტრუქტურის მთავრობის ანალოგიით მოახდინონ საკუთარი პარტიების სტრუქტუთირება. ამ საკითხის პრაქტიკული წარმოჩენისთვის ერთ მაგალითს განვიხილავთ. შეერთებულ შტატებში მაჟორიტარული სისტემით საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხმათა მთლიანი რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით განისაზღვრება, მაგრამ ითვლება (და შეჯერება ხდება) შტატების მიხედვით. ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯორჯ ბუშმა გაიმარჯვა 2000 წლის არჩევნებში მიუხედავად იმისა, რომ მისმა ოპონენტმა ალ გორმა ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტი ხმა მიიღო. გასამარჯვებლად პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაიმარჯვონ არა ერთ, არამედ 50 არჩევნებში. ასეთ პოლიტიკურ გარემოში დეცენტრალიზებული სტრუქტურა მნიშვნელოვანია. ეროვნულ დონეზე ძლიერი პარტიული ორგანიზაცია ხელს უწყობს სენატორების, წარმომადგენლებისა და სახელმწიფო და ადგილობრივი თანამდებობის პირების არჩევას. მსგავსი სისტემა გვხვდება სხვა ფედერალურ სისტემებშიც.

თუმცა, ამერიკული პოლიტიკური პარტიები შედარებით სუსტია. ისინი არ არიან უფრო ძლიერნი ნაწილობრივი იმის გამოც, რომ ეს არ სჭირდებათ. შეერთებული შტატები დიდწილად საშუალო ფენის საზოგადოებაა, რომლის წევრთა შორის პოლიტიკის ძირითად პრინციპებზე კონსენსუსი არსებობს. ეს ნიშნავს, რომ არცერთი ძირითადი პარტიაა იდეოლოგიურად დოგმატური და მოთხოვნებში შეზღუდული; პარტია უფრო მეტად განსხვავებული ჯგუფებისა და ინტერესების კოალიციაა,

ვიდრე თანამოაზრეთა მონოლითური ორგანიზმი. შეერთებულ შტატებში მთავრობის საქმიანობის ხელმძღვანელობასა და კოორდინაციაში პრეზიდენტი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე პოლიტიკური პარტიები; საპარლამენტო სისტემებში პოლიტიკური პარტია (ან პარტიების კოალიცია) ახალი მთავრობის ძირითადი ბირთვია.

პოლიტიკური პარტიები – თუკი ისინი გამოიყენებენ ლიბერალურ-დემოკრატიულ კონსტიტუციურ სისტემას კონსტიტუციის *გასანადგურებლად* – შეიძლება ტოტალიტარული მოძრაობის საფუძვლად იქცნენ (ამის კლასიკური მაგალითია ნაციონალ-სოციალისტური ანუ ნაცისტური პარტია გერმანიაში ორ მსოფლიო ომს შორის). ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტოტალიტარული პარტია განიცდის ტრანსფორმაციას და ყალიბდება მთავრობად. ავტორიტარული პარტიების შესაძლებლობები შედარებით უფრო ვიწროა. ეს პარტიები ახორციელებენ მმართველის სურვილებსა და პოლიტიკას, მაგრამ არა საყოველთაო მობილიზაციის კამპანიებს, გრანდიოზულ სამშენებლო პროექტებს ან „რევოლუციას ზემოდან," რომელიც მიმართულია საზოგადოების ტრანსფორმაციის ან განწმენდისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიპის პარტია – ტოტალიტარულიც და ავტორიტარულიც, როგოც წესი, ცენტრალიზებულია და რეჟიმს ექვემდებარება, ისინი ყოველთვის არაა ეფექტიანი. ავტორიტარული პარტიები სრულიადაც არ არის თავისუფალი მფლანგველობისაგან, დეგრადაციისა და კონფლიქტური ინტერესებისაგან, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს ყველა სხვა ბიუროკრატიაში.

პერსპექტივები: პოლიტიკური პარტიების დაკნინება?

ბევრი ექსპერტი თვლის, რომ პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა შეერთებულ შტატებში ნელ-ნელა იკლებს. ისინი საუბრობენ საზოგადოებრივ გამოკითხვებზე, რომლებიც ავლენენ საზოგადოებაში პარტიების პატივისცემის კლებას: ხალხის აზრით, პარტიებს არ გააჩნიათ უნარი, აიძულონ თანამდებობის პირები – პასუხიმგებლობით მოეკიდონ ამომრჩეველთა მოთხოვნებს. ამომრჩეველი სულ უფრო იშვიათად აიგივებს საკუთარ თავს პარტიასთან და საარჩევნო ბიულეტენი სხვადასხვა პარტიის კანდიდატით ჩვეულებრივი მოვლენაა. პოლიტოლოგები იხრებიან საზოგადოებრივ აზრისაკენ: პოლიტიკური პარტიები არაეფექტიანია.

რამ განაპირობა ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება? ზოგიერთი მიმომხილველი ამტკიცებს, რომ ბევრი სპონსორი არჩევს ფული მისცეს პირდაპირ კანდიდატს და არა პარტიას, ვინაიდან უნდა, რომ მომავალი თანამდებობის პირი მისგან იყოს „დავალებული." სხვები თვლიან, რომ ბევრი ამომრჩეველი არარეალურ იმედს ამყარებს პარტიებზე ან პარტიები შრომასა და ბიზნესს შორის კლასობრივი ბრძოლის შედეგი იყო, რამაც მნიშვნელობა დაკარგა.[30] ზოგიერთი კი მათ წარუმატებელი პოლიტიკური პროცესის ნაწილად განიხილავს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეერთებულ შტატებში პარტიული პოლიტიკის იდეა წინააღმდეგობაში მოვიდა დემოკრატიის იდეალთან. როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო დონეზე დემოკრატები და რესპუბლიკელები ერთნაირად ცდილობდნენ შეემცირებინათ პარტიული პროფესიონალების გავლენა კანდიდატის შერჩევის პროცესზე. დემოკრატიის ამერიკულ კონცეფციას ეწინააღდეგება გაბო-

ლილ ოთახში პარტიული ხელმძღვანელის უსიამოვნო იმიჯი, რომელიც წყვეტს რომელი უწყება ვინ უნდა მართოს. ამ იმიჯმა, რეალურმა თუ წარმოსახვითმა, ხელი შეუწყო საარჩევნო რეფორმებს (თუმცა არჩევნების სისტემის ნამდვილი რეფორმა დღემდე ძალზე ეფემერულია).

კანდიდატის წამოყენების პროცესის დემოკრატიზაციის მცდელობა განსაკუთრებით პოპულარულია. შტატის დონეზე წინასწარი არჩევნები, ერთ დროს გამონაკლისი, წესად იქცა. ახლა შტატები ერთმანეთს წინასწარი არჩევნების უფრო ადრე ჩატარებაში ეჯიბრებიან. თავად არჩევნები ზოგიერთი შტატისთვის სარფიან საქმედ იქცა, ვინაიდან დიდი შემოსავალი და მედიის ყურადღება მოაქვს. სხვა შტატები ატარებენ შიდაპარტიულ დახურულ სხდომებს, სადაც პარტიის რიგითი წევრები ირჩევენ დელეგატებს, რომლებიც შემდგომ მონაწილეობას იღებენ შტატის ყრილობაში, სადაც, თავის მხრივ, ირჩევენ დელეგატებს, რომლებსაც დავალებული აქვთ ამა თუ იმ კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერა პარტიის ნაციონალურ ყრილობაზე.

ასეთი რეფორმები *აგრძნობინებს* მოქალაქეთა საშუალო ფენას, რომ ისინი მონაწილეობენ პარტიის ნომინაციის პროცესში და ამცირებს შტატისა და ეროვნული პარტიის ერთგულ მხარდამჭერთა ძალაუფლებას. თუმცა, რაც უფრო მეტი შტატი ატარებს წინასწარ არჩევნებს, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები მით უფრო დაძაბული, ძვირად ღირებული და გახანგრძლივებულია; პრეზიდენტის ნომინაციისა და არჩევნების პროცესმა შეიძლება ერთ წელსაც გასტანოს (მასთან შედრებით, ბრიტანული საპარლამენტო არჩევნები ხშირად ერთ თვეზე ნაკლებ ხანს გრძელდება და გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ამერიკული არჩევნები.) უფრო მეტიც, ფინანსების მოზიდვა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი გახდა არა მარტო პრეზიდენტობის მსურველთათვის, არამედ სენატისა და პალატის სერიოზული კანდიდატებისათვისაც, რაც ცინიკოსებს საფუძველს აძლევს შენიშნონ, რომ შეერთებულ შტატებში არჩევნები მუდმივ ღონისძიებად იქცა.

ეს სიტუაცია უნიკალურია შეერთებულ შტატებში. *არც ერთი ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოში არ ხარჯავს იმდენ დროსა და ფინანსებს თანამდებობის პირების არჩევა ზე, როგორც ამერიკა.* რამდენად შუეძლია ამგვარ დემოკრატიას პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამომრჩეველთა სურვილებსა და მოთხოვნებს, უპასუხო კითხვად რჩება.

პარტიები ჯერ კიდევ ეხმარებიან კანდიდატებს არჩევაში, მაგრამ ისინი ახლოსაც ვერ მივლენ შეერთებულ შტატებში არჩევნებისათვის საჭირო ფინანსებთან. როგორ ივსება ეს დეფიციტი? ვის მიმართავენ კანდიდატები ფინანსური მხარდაჭერისათვის? როგორც ვნახავთ, ინტერესთა ჯგუფები ისწრაფვიან შეავსონ დეფიციტი, მაგრამ ამის სანაცვლოდ წინა პლანზე იწევს კითხვები, რომლებიც ერის დემოკრატიის იდეალებს ეხება.

ინტერესთა ჯგუფები

ინტერესთა ჯგუფები არ ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას, არ მონაწილეობენ საჯარო თანამდებობის პირების რეკრუტირებასა, წარდგენასა და არჩევაში. სამაგიეროდ, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ზეგავლენა მოახდინონ კანონმდებლობაზე, პოლიტიკასა და პროგრამებზე, მათი სპეციალური, განსაკუთრებული ინტერესის სფეროების მიხედვით (აქენად მოდის *სპეციალური ინტერესის* ცნებაც) – მაგალითად, კორპორაციების (მოგების) გადასახადი და სუბსიდიები (დიდი

ბიზნესები), საბანკო რეგულაციები, სუბსიდიები სოფლის მეურნეობისათვის, ფედერალური დახმარება განათლების სფეროში, ან გარემოს დაცვა. ჩვენი განხილვა ინტერესთა ჯგუფების სხვადასხვა ტიპის შესწავლით დავიწყოთ.

ინტერესთა ჯგუფების ტიპები

ინტერესთა ჯგუფების კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებული სქემა ეკუთვნის პროფესორ გაბრიელ ალმონდს, რომელიც განასხვავებდა ოთხ ძირითად ტიპს.[31] პირველი და ყველაზე გავრცელებულია *ასოციაციის ტიპის ინტერესთა ჯგუფები,* რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ სახელწოდება, ეროვნული შტაბ-ბინა, ჰყავთ პროფესიონალი თანამშრომლები, და ა.შ. ამის მაგალითია მეწარმეთა ეროვნული ასოციაცია, იარაღის მოყვარულთა ასოციაცია და სხვა.

მეორეა *არაასოციაციური ტიპის ინტერესთა ჯგუფები*, რომლებსაც არა აქვთ სახელწოდება და ფორმალური სტრუქტურა, მაგრამ გამოხატავენ სოციალურ, ეთნიკურ, კულტურულ ან რელიგიურ ინტრესებს და შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში შეერწყან ძლიერ პოლიტიკურ ძალებს. ასეთი ინტერესთა ჯგუფები ყველაზე ხშირად გვხვდება განვითარებადი აზიის, არაბული სამყაროს, ლათინური ამერიკისა და საჰა-რის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში.

მესამეა *ინსტიტუციური ინტერესთა ჯგუფები,* რომლებიც მთავრობის შიგნით არსებობენ. სამთავრობო დეპარტამენტებსა და სააგენტოებს საკუთარი ინტერესი გააჩნიათ სხვადასხვა გადაწყვეტილებებისა და პროგრამების მიმართ, რისთვისაც ისინი შიგნიდან – ხშირად საზოგადოების თვალთახედვის მიღმა, ლობირებენ. მაგალითად, პენტაგონი ურიგდება თავდაცვის სფეროს კონტრაქტორებს შეიარაღების პროგრამების ერთობლივი ძალით „გასატანად"; შრომის, სოფლის მეურნეობისა და განათლების დეპარტამენტებს ხშირად სდებენ ბრალს, რომ ისინი იმ ინტერესთა ჯგუფების ტყვეები არიან, რომელთა ინტერესები ამ დეპარტამენტების მიერ მართულ პროგრამებს ემთხვევა.

მეოთხე, *ანომიკური (anomic) ინტერესთა ჯგუფები* სპონტანურად ყალიბდება, როდესაც ბევრი ადამიანი ეწინააღმდეგება რაიმე პოლიტიკას. ამ ფენომენის ბრწყინვალე მაგალითია სტუდენტური დემონსტრაციები 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ალმონდი ამბობს, რომ ქუჩის არეულობები და ზოგიერთი მკვლელობაც კი ამავე კატეგორიაში შეიძლება მოექცეს.

ინტერესთა ჯგუფების კატეგორიზაციის კიდევ ერთი გზაა მათი დაყოფა ვიწრო და საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფებად. *Common Cause* (საერთო საქმე) – ორგანიზაცია, რომელიც დააარსა ჯანდაცვის, განათლების და სოცუზრუნველყოფის ყოფილმა მდივანმა (მინისტრმა) და რომელიც 300 000-ზე მეტ წევრს აერთიანებს, ასეთი ტიპის ინტერესთა ჯგუფის მაგალითია.

ინტერესთა ჯგუფები მარტო იმით არ განსხვავდებიან, რა საკითხებზე მუშაობენ, არამედ იმითაც, რომ ისინი განსხვავებულ აქცენტებს სვამენ. ძალზე ვიწრო აქცენტები ყველაზე ხშირად დამახასიათებელია ეთნიკური (მაგალითად, ამერიკელ იტალიელთა ფონდი), რელიგიური (ამერიკელ ებრაელთა კონგრესი), პროფესიული (უნივერსიტეტების პროფესორთა ამერიკული ასოციაცია), ასაკობრივი ნიშნით განსაზღვრული (პენსიონერთა ამერიკული ასოციაცია) და სხვა მრავალი ჯგუფისათვის, რომელთათვისაც რომელიმე კატეგორიაში ადგილის მიჩნევა ძალზე რთუ-

ლია (მაგალითად, ამერიკელ უნარშეზღუდულ ვეტერანთა ორგანიზაცია). ყოველ ასეთ შემთხვევაში ***კერძო ინტერესთა ჯგუფები***, პირველ რიგში, ცდილობენ თავის წევრთა ინტერესების დაცვას.

საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფების ინტერესთა სფერო უფრო ფართოა. ისინი იბრძვიან იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებსაც, მათი აზრით, მთელი საზოგადოებისათვის შეუძლია სარგებლობის მოტანა. ასეთი ორგანიზაციის ერთი მაგალითია სიერა კლუბი, რომელიც ლობირებს მკაცრ და კონსერვაციულ გარემოსდაცვით პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არ ეთანხმება სიერა კლუბის მიზნებს, ვერავინ დაადანაშაულებს მის წევრებს ვიწრო პირადი ინტერესებისათვის ბრძოლაში; მართლაც, სუფთა ჰაერი და წყალი ხომ ყველა მოქალაქისთვის სასარგებლოა.

ასოციაციური ტიპის ინტერესთა ჯგუფები ძლიერ განსხვავდებიან კაპიტალითა და თვისებებით. ძირითადი განსხვავებები დაკავშირებულია იმასთან, რამდენი ფულის შეკრება შეუძლიათ მათ, რამდენი და რამდენად არაერთგვაროვანი ტიპის წევრები ჰყავთ, როგორი კავშირები აქვთ კანონმდებლებთან და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, აქვთ თუ არა კვალიფიცირებული თანამშრომლების დაქირავების საშუალება. გარდა ამისა, ინტერესთა ჯგუფები განსხვავდებიან მათ მიერ არჩეული მოქმედების ტაქტიკითაც, იქნება ეს ხელისუფლების წევრებთან ერთი-ერთზე ლობირება, პოლიტიკური შემოწირულობები, მასობრივი საფოსტო გზავნილები, სასამართლო სარჩელები, დემონსტრაციების და გამოსვლების ორგანიზება თუ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ კვლევების დაფინანსება.

ზეგავლენის წყაროები და მეთოდები

ინტერესთა ჯგუფები, როგორც წესი, ცდილობენ შეცვალონ საჯარო პოლიტიკა არჩეულ თანამდებობის პირებს და საზოგადოებრივ აზრზე (სახელმწიფო ან რეგიონულ დონეზე) ზეგავლენის მოხდენით. ამას ისინი სამი ძირითადი გზით ახერხებენ: (1) არჩევნებში მათი ნდობით აღჭურვილი პირების გამარჯვების მიღწევით; (2) ცდილობენ არჩეულ თანამდებობის პირებთან დაკავშირებას და (3) მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით კამპანიების გაჩაღებით. ინტერესთა ჯგუფები ეძებენ პირდაპირ კავშირებს გადაწყვეტილების მიმღებებთან. ბევრი ინტერესთა ჯგუფი ქირაობს ***ლობისტს***, რომელიც სხვადასხვა გზით ცდილობს კანონმდებელთა ნდობისა და მათზე გავლენის მოპოვებას. ლობისტი ექსპერტების სპეციფიკური ცოდნის საფუძველზე, ისინი გამოდიან საკანონმდებლო კომიტეტების წინაშე, შუამდგომლობენ ახლო მეგობრებსა თუ ამომრჩევლებს მათი შეხედულებების ცხოვრებაში გასატარებლად. ლობისტები ასევე ორგანიზებას უკეთებენ და სარგებლობენ პიარ-კამპანიებით, სატელეფონო თუ ინტერნეტკავშირებით; საერთო საკანონმდებლო მიზნების მისაღწევად კოორდინირებას ახდენენ და თანამშრომლობენ თანამოაზრე ლობისტებთან; ცდილობენ გააფართოონ კანონმდებლებთან ურთიერთობის შესაძლებლობები (მაგალითად, მართავენ წვეულებებს ან აფინანსებენ საქველმოქმედო ღონისძიებებს).[32]

ცხადია, ზოგიერთი ინტერესთა ჯგუფი სხვებზე უფრო წარმატებულია. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორ ფაქტორს – ფინანსებსა და წევრობას. ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ საერთო ინტერესის მქონე მოქალაქეთა უფრო დიდ და გამორჩეულ ნაწილს, აშკარა უპირატესობა გააჩნია. ეს განსაკუთრებით აშკარაა, როდესაც საქმე ეხება სპეციფიკურ საკითხებს და როდესაც არ არსებობს სხვა,

პენსიონერთა ამერიკული ასოციაციის წევრები ამერიკელ ხანდაზმულთათვის ხელისუფლების მხარდაჭერის გასაძლიერებლად და შესანარჩუნებლად დემონსტრაციას აწყობენ, რათა ხაზი გაუსვან საკუთარ წუხილსა და პოლიტიკურ შეხედულებებს.

იმავე საკითხით დაინტერესებული კონკურენტი ან დაპირისპირებული ინტერესთა ჯგუფები. დიდი რაოდენობის თანამოაზრეთა ლობის საუკეთესო მაგალითია პენსიონერთა ამერიკული ასოციციაცია (დაახლოებით 33 მილიონი წევრით), რომელიც ხანდაზმულ მოქალაქეთა სამთავრობო დახმარების გაზრდის და შენარჩუნების საკითხში ნამდვილი მონოპოლისტია და მასთან დაპირისპირებისას ვერც ერთმა ორგანიზაციამ წარმატებას ვერ მიაღწია. ამ ორგანიზაციის წევრია 50 წელს გადაცილებულ ამერიკელთა 48 პროცენტი (ამომრჩეველთა 20 პროცენტი), რის გამოც იგი ქვეყანაში რიგით მეორე არამომგებიანი ორგანიზაციაა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის შემდეგ. 18 რეგისტრირებული ლობისტით, 1700 დაქირავებული ადამიანითა და თითქმის 500 მილიონიანი ბიუჯეტით ეს ასოციაცია, რომელიც საკუთარ თავს ამერიკელ ხანდაზმულთა დამცველად წარმოაჩენს, აშშ-ის ყველაზე გავლენიანი ლობია.

იარაღის მოყვარულთა ეროვნული ასოციაცია გავლენიანი ინტერესთა ჯგუფის მაგალითია. იგი ერთი ვიწრო ინტერესის გარშემოა შექმნილი, თუმცა ბოლო ათწლეულებში მისი გავლენა შემცირდა. ამ ასოციაციის მხრიდან იარაღზე ნებისმიერი ფორმის კონტროლის დაწესებაზე მედგარი წინააღმდეგობა კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა მას შემდეგ, რაც აშშ-ის საზოგადოებრიობა უფრო და უფრო მეტ კავშირს ხედავს ცეცხლსასროლ იარაღსა და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ დანაშაულებებს შორის. უფრო წარუმატებელი არიან ახლა ფერმერები; მათ რამდენიმე ორგანიზაცია შექმნეს, რომელთაც ჩამოაყალიბეს სოფლის მეურნეობის საკითხების ძალზე დაქუცმაცებული ლობი.

ინტერესთა ჯგუფების წარმატებასთან დაკავშირებული ფაქტორებია: 1) მო-

ქალაქეთა რაოდენობა, რომელსაც წარმოადგენს ჯგუფი; 2) ჯგუფის წევრთა შესაბამის საკითხთან (ინტერესთან) გაიგივების (იდენტიფიკაციის) ხარისხი; 3) იმ კონკურენტ ჯგუფთა არსებობა ან არარსებობა, რომლებმაც შეიძლება შეასუსტონ ინტერესთა ჯგუფის მიერ ხელისუფლებაზე მოპოვებული გავლენა. *მაგრამ არაფერია ამერიკულ პოლიტიკაში ფულზე უფრო მნიშვნელოვანი.* ხანდახან შეძლებულ მოქალაქეთა შედარებით მცირერიცხოვანმა ჯგუფმა შეიძლება პოლიტიკურ პროცესზე უზარმაზარი გავლენა მოახდინოს, მაგალითად, ძვირადღირებული მედიაკამპანიასა თუ პოლიტიკურ კამპანიისათვის დიდი თანხების შეწირვის წყალობით. ამას გარდა, ასეთ ჯგუფთა წევრებს, როგორც წესი, გააჩნიათ პირადი კავშირები და პოლიტიკური კონტაქტები, რაც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, როდესაც საქმე შეეხება წარმომადგენლის ან სენატორის მიერ კენჭისყრაზე დაყენებულ ამა თუ იმ საკითხის მხარდაჭერას.

ინტერესთა ჯგუფები ხშირად უპირატესობას მოიპოვებენ თუ კავშირები აქვთ პოლიტიკურ პარტიასთან. დასავლეთ ევროპაში უდიდესი პროფკავშირები ახლო კავშირშია მშრომელთა კლასის წარმომადგენელ პოლიტიკურ პარტიებთან (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ლეიბორისტული პარტია და პროფკავშირების კონგრესი, რომლებსაც მხარს უჭერს დიდი ბრიტანეთის ორგანიზებულ პროფკავშირთა წევრების 85 პროცენტი). ამისგან განსხვავებით, აშშ-ში ინტერესთა ჯგუფები პოლიტიკურ პარტიებს საერთოდ გვერდს უვლიან და პირდაპირ იმ კანდიდატებს აფინანსებენ, რომლებსაც თვითონ უჭერენ მხარს. ზოგიერთ შემთხვევაში, ინტერესთა ჯგუფები თავს იზღვევენ და საარჩევნო კამპანიაში ორივე დაპირისპირებულ კანდიდატს აფინანსებენ.

ინტერესთა ჯგუფის წარმატების მნიშვნელოვანი გასაღებია პირდაპირი გზავნილის (ფოსტა, ელფოსტა) საშუალებით მოთხოვნილი ფონდები, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია დინამიკური ხელმძღვანელობაც. ინტერესთა ჯგუფების ხელმძღვანელები (ლიდერები) წარმართავენ და ხშირად თვითონვე იჩენენ ლობისტურ ინიციატივას, ცდილობენ კონფიდენციალური შეხვედრებისას დაარწმუნონ კანონმდებლები და გადაწყვეტილებების მიმღებნი, მხარი დაუჭირონ (ან არ დაუჭირონ) ამა თუ იმ საკითხს. ინტერესთა ჯგუფის წარმატებულობა ხშირად დამოკიდებულია ლობისტის პიროვნულ ღირსებებსა და რეპუტაციაზე. ამის გათვალისწინებით, ინტერესთა ჯგუფები ვაშინგტონში ხშირად ცდილობენ პრეზიდენტების ყოფილი მრჩევლების „ხელში ჩაგდებას“ საკუთარი ინტერესების დამცველებად (და ამისთვის კარგ გასამრჯელოსაც უხდიან ხოლმე).

ინტერესთა ჯგუფების მუმი

მიუხედავად იმისა, რომ არსებული სავარაუდო მონაცემები საკმაოდ განსხვავდება, ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ინტერესთა ჯგუფებისა და მათ მიერ დაქირავებულ ლობისტთა რაოდენობა აშშ-ში ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში სულ მცირე 50 პროცენტით გაიზარდა. დღეს ეს ასოციაციები ვაშინგტონში სიდიდით მესამეა ხელისუფლებისა და ტურიზმის შემდეგ. ერთ-ერთი წყაროს მონაცემებით, 1991 წელს დაახლოებით 6 000 ლობისტი იყო რეგისტრირებული და დაახლოებით 80 000 ადამიანი მუშაობდა იმ ასოციაციებისთვის, რომლებიც კონგრესში ლობირებდნენ.[34] ვაშინგტონში ლობის თითქმის ორი მესამედი ბიზნესისა

და სავაჭრო წრეებიდან მოდის. 1994 წლის ერთ-ერთი გამოკვლევა კიდევ უფრო შემაშფოთებელ სურათს ააშკარავებს:

> მაგალითად ავიღოთ გეილის კვლევაში ასოციაციების ნციკლოპედია მოცემული ჯგუფების რაოდენობა. თუ 1956 წელს მათი რიცხვი 5000 იყო, დღეისათვის 20 000-მდე გაიზარდა. რა თქმა უნდა, ისინი ამერიკის ინტერესთა ჯგუფების სამყაროს მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ. მხოლოდ გარემოს დაცვის ორგანიზაციები ითვლიან დაახლოებით 7 000 ჯგუფს, თუკი მათ ადგილობრივ მოხალისე დამსუფთავებლებსაც მივათვლით; *Washington Blade*-ის ცნობარში შეტანილია 400-ზე მეტი გეი-ჯგუფი, მაშინ როდესაც 1990 წელს ასეთი მხოლოდ 300 იყო. 1961 და 1982 წლებს შორის ვაშინგტონში კორპორაციული ოფისების რაოდენობა ათჯერ გაიზარდა. კიდევ უფრო დრამატულად იმატა საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად შექმნილმა ორგანიზაციებმა და ფართო მასების საინიციტივო ჯგუფებმა. 1960-იან წლებამდე ასეთი ჯგუფები თითქმის არ არსებობდა; დღეს ასეთი ორგანიზაცია ათიათასობითაა და პოლიტოლოგ რონალდ შაიკოს თქმით, 40 მილიონი მოქალაქისაგან 4 მილიარდ დოლარზე მეტსაც აგროვებენ. [35]

ინტერესთა ჯგუფების მომრავლების მიზეზია სახელმწიფო დახმარებების მნიშვნელოვანი ზრდა, პოლიტიკური პარტიების გავლენის შესუსტება, ამერიკული საზოგადოების მზარდი მრავალფეროვნება, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების ჩამოყალიბება, რამაც ხელი შეუწყო მრავალი ვიწრო ინტერესის გარშემო შექმნილი ჯგუფის გაჩენას.[36] ამავე დროს, საფოსტო და კომპიუტერული ტექნოლოგიები მსგავსი ორგანიზაციების დაარსებას შედარებით აიოლებს. განათლების დონის ამაღლებამ გაზარდა მოქალაქეთა ინტერესი მსგავსი ასოციაციების მიმართ, ხოლო შედარებითმა კეთილდღეობამ საშუალება მისცა მათ იხადონ საწევრო გადასახადები.

1970-იანი წლების დასაწყისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში პოპულარული გახდა ახალი ტიპის ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ***პოლიტიკური ქმედების კომიტეტების*** *(PAC)* სახელითაა ცნობილი. 1971 წელს კონგრესმა აუკრძალა კორპორაციებსა და შრომით კავშირებს პოლიტიკური კამპანიებისათვის ფულის პირდაპირი წესით გაღება, რითაც არჩევნების დროს დარღვევების აღკვეთას შეეცადა. თუმცა, კანონმა, იმ სახით, როგორითაც კონგრესში მისი დამტკიცება და სასამართლოების მიერ ინტერეპრეტირება მოხდა, ხელი ვერ შეუშალა ვიწრო ინტერესთა ჯგუფებს არაპირდაპირი გზით – სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომიტეტების მეშვეობით – ფულის ხარჯვაში. 1980-იანი წლების შუა პერიოდამდე პოლიტიკურ ქმედებათა კომიტეტების რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდებოდა, როგორც ეს 10-5 სქემიდან ჩანს. დიდი და გავლენიანი პოლიტიკური ქმედების კომიტეტები გააჩნია შემდეგ ინტერესთა ჯგუფებს: ამერიკის მედიკოსთა ასოციაციას, უძრავი ქონებით მოვაჭრეთა ეროვნულ ასოციაციას, დილერების ეროვნულ ასოციაციას, ფოსტალიონთა ეროვნულ ასოციაციას, ამერიკის სტომატოლოგთა ასოციაციას, სახელმწიფო, საოლქო და მუნიციპალურ დონეზე დასაქმებულთა ამერიკულ ფედერაციას.



სქემა 10-5. *პოლიტიკური ქმედების კომიტეტების რაოდენობის ზრდა, 1972-96წწ. პოლიტიკური ქმედების კომიტეტების რაოდენობა სტაბილურია 1984 წლიდან. წყარო:ადაპტირებულია Theodore L. Lowi-სა და Benjamin Ginsberg-ის წიგნიდან American Government: Freedom and Power, მე-3 გამოცემა (New York: W.W. Norton & Company, 1994), 345, და "Midyear and Year-End PAC Counts, 1990-1996," Federal Election Commission Record, თავი 27, ნომერი 9, სექტემბერი 1996, 7.*

პოლიტიკური ქმედების კომიტეტებს გადამწყვეტი როლი აქვთ შესრულებული ეროვნულ და საშტატო დონეზე კანდიდატებისა და საკითხების დაფინანსებაში. ამავე დროს, არჩევნების ფასი – სულ უფრო დამოკიდებული სატელევიზიო რეკლამაზე – გაიზარდა. დაიან ფაინსტაინი, დემოკრატი სენატორი კალიფორნიიდან, 1994 წლის არჩევნებისას შვიდი თვის განმავლობაში ყოველდღიურად 22 000 დოლარს აგროვებდა; ეს რომ ბიზნესი ყოფილიყო, იგი მოსალოდნელი შემოსავლით ამერიკის წამყვან კორპორაციათა 5 პროცენტში მოხვდებოდა.[37] დაუჯერებელია, მაგრამ ფაინსტაინზე მეტი თანხა დახარჯა მისმა რესპუბლიკელმა ოპონენტმა მაიკლ ჰაფინგტონმა, რომელმაც დაახლოებით 29 მილიონი დოლარი გაატანა ქარს კამპანიაში, რომელიც ფაინსტაინმა მიუგო. არჩევნების მზარდი ფასის კიდევ ერთი მაგალითია 1996 წლის ვირჯინიის შტატის სასენატორო არჩევნები, რომელშიც დამარცხებულმა დემოკრატმა კანდიდატმა მარკ უორნერმა 11 მილიონი დოლარი დახარჯა (თითოეულ ამომრჩეველზე 3.30 დოლარი, მაშინ როდესაც ჰაფინგტონმა 2.03 დოლარი დახარჯა). ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ქმედების კომიტეტების შეზღუდვა პოპულარული რეფორმისტული წინადადება გამოდგა, დღევანდელი სააარჩევნო კამპანიების ხანგრძლივობა და მაღალი ხარჯები, რომლის გაღების არანაირი სურვილი საზოგადოებას არა აქვს, იძლევა იმის გარანტიას,

რომ პოლიტიკოსები ვერ შეელევიან პოლიტიკური ქმედების კომიტეტების მიერ გაღებულ ფულს.

ბევრი დამკვირვებელი გმობს ამერიკულ პოლიტიკაში ფინანსების მზარდ გავლენას. ფული ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პოლიტიკაში, მაგრამ უკანასკნელ ათწლეულებში იგი იქცა ფაქტორად, რომლის გარეშე გამარჯვება უბრალოდ წარმოუდგენელია. თუკი წარმომადგენლობით პალატაში ადგილის მოპოვების საშუალო ხარჯი 1976 წელს 73 ათასდოლარს შეადგენდა, 1996 წლისათვის იგი 80 ათასდოლარამდე გაიზარდა; იგივე პერიოდში, სენატში ადგილის მოსაპოვებლად ხარჯი 595 000 დოლარიდან 3,8 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ერთ-ერთი განცხადებით,

> მარტივად რომ ვთქვათ, ფული ის საწვავია, რომელიც ამოძრავებს ამჟამინდელ საკამპანიო სისტემას. ინტერესთა ჯგუფები, კანდიდატები და პარტიები აგროვებენ ფულს იმისათვის, რომ დაიქირავონ კონსულტანტები და აწარმოონ ძვირადღირებული სატელევიზიო სარეკლამო კამპანიები.[38]

თავის მხრივ, არანაკლებ შთამბეჭდავი იყო ინტერესთა ჯგუფების აღმასვლა დასავლეთ ევროპის საპარლამენტო დემოკრატიებშიც.[39] ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში ინტერესთა ჯგუფები მთავრობამ ოფიციალურად აღიარა და მათ ნახევრად ოფიციალურ სტატუსსაც მიაღწიეს. მაგალითად, შვედეთსა და ნორვეგიაში სამინისტრო, რომელიც ადმინისტრაციულ ქმედებას გეგმავს, ვალდებულია შეუთანხმდეს ჯგუფებს, რომლებსაც ეს ქმედება შესაძლოა შეეხოს და პირდაპირ ჩართოს ინტერესთა ჯგუფები პოლიტიკის შემუშავების პროცესში. საფრანგეთში მთავრობასა და კერძო სექტორს შორის კონსულტაციების სახელმწიფო სისტემა მოიცავს 500-მდე საბჭოს, 200 კომიტეტსა და 300 კომისიას. თითოეული ასეთი სამთავრობო ორგანოს წევრები არიან როგორც მთავრობის, ასევე ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები.

ამრიგად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში ინტერესთა ჯგუფებმა აღმასვლა განიცადეს. ამერიკელები სპეციალურ (ვიწრო) ინტერესებს ხშირად კნინობით ფორმაში მოიხსენიებენ. ეს ნეგატიური იმიჯი კიდევ უფრო გააძლიერა პოლიტიკური ქმედებათა კომიტეტების და დიდი ფულის პოლიტიკის გაძლიერებამ. ინტერესთა ჯგუფები მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ რაკი არ არსებობს ***რბილ ფულზე*** (ფული, რომელსაც აძლევენ პოლიტიკურ პარტიებს ვითომდა არასაკამპანიო მიზნებისათვის და ფული, რომელიც დამოუკიდებლად იხარჯება კანდიდატების ან პარტიების სახელით) რაიმე ეფექტიანი შეზღუდვა, ისინი სულ უფრო ხშირად ხდებიან იმ სისტემური კორუფციის ნაწილი, რომლის ლეგალური ან პოლიტიკური წამალიც დღესდღეობით არ მოიპოვება.

ორი ათწლეულის წინ ინტერესთა ჯგუფები ფრთხილობდნენ და თავის ქმედებებს მაღალფარდოვანი არგუმენტებით ნიღბავდნენ. დღეს სულ უფრო გულახდილი პოლიტიკური საუბრები ისმის. მრავალი კერძო ინტერესთა ჯგუფის ლიდერი (ეს ჯგუფები წარმოადგენენ საშუალო კლასის გადამხდელებს, სახლების მფლობელებს, ესპანურენოვან ამერიკელებს, ხანდაზმულებს და სხვ.) მოურიდებლად აცხადებს პროტესტს იმის გამო, რომ ვერ მიიღო საჯარო სიკეთის კუთვნილი წილი. სულ უფრო ნაკლებად საუბრობენ საზოგადოებრივ ინტერესზე; უფრო და უფრო ხშირად, ამერიკულ პოლიტიკას განიხილავენ როგორც შეჯიბრს, რომლის გამარჯვებულები – როგორც წესი, გავლე-

ნიანი ვიწრო ინტერესების მქონე ლობი – თანამდებობის პირებისაგან ჯილდოს მოელიან არჩევნებში მოპოვებულ გამარჯვებაში გაწეული დახმარებისათვის.

რთულია გამოითვალო საზოგადოებრივი სულისკვეთებისა და საზოგადოებრივი ზნეობის ფასი, მაგრამ უდავოა, რომ იგი ძალზე მაღალია და თავს მხოლოდ ნელნელა გამოაჩენს. ერთი რამ ცხადია: ინტერთა ჯგუფების გავლენის ზრდასთან ერთად, საზოგადოებაც უფრო ადვილად ეგუება ამერიკული პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელ ძალად ეგოისტური ინტერესის აღიარებას.

ინტერესთა ჯგუფები დემოკრატიულ ქვეყნებში

რიგით მოქალაქეებს მიაჩნიათ ხოლმე, რომ პოლიტიკა პირად ინტერესზე მაღლა უნდა იდგეს და ხშირად ცნება – *სპეციალური ინტერესი* – მათში ანტიპათიას იწვევს. მიუხედავად ამისა, დემოკრატია ზეწოლის ჯგუფების გარეშე ძნელი წარმოსადგენია სულ მცირე სამი მიზეზით.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ კონსტიტუციური მმართველობა იცავს ინდივიდუალურ თავისუფლებებს, მათ შორის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას. ამრიგად, ინტერესთა ჯგუფები შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილად და, ამასთანავე, მის გარდაუვალ შედეგად. როგორც ჯეიმს მედისონი, დამფუძნებელ მამათაგან ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკის თეორეტიკოსი ფედერალისტში აღნიშნავდა, თავისუფლება ფრაქციებისათვის (ინტერესთა ჯგუფებისათვის) იგივეა, რაც ჰაერი ცეცხლისათვის. ფრაქციები შეიძლება შეზღუდო, მაგრამ ამისათვის უნდა მოისპოს თავისუფლებაც.[40]

ინტერესთა ჯგუფები საკუთარი აზრის გამოხატვისა და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მიზნით ყალიბდება. ხშირად ისინი ცნობილ ადამიანებს იწვევენ საკუთარი ძალისხმევის წარმოსაჩენად. ფოტოზე მსახიობი რიჩარდ გირი პროტესტს გამოხატავს ტიბეტში ჩინეთს მხრიდან რეპრესიის წინააღმდეგ.

მეორე, დემოკრატიული საზოგადოებები პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ავტორიტარულ საზოგადოებებზე უფრო რთულადაა მოწყობილი. დემოკრატიაში, სადაც პიროვნებას აქვს შესაძლებლობა გამოხატოს და იმოქმედოს თავისი შეხედულებებისა და ინტერესების მიხედვით, პოლიტიკური თავისუფლება იწვევს ინტერესთა ზრდას. ამის გამო, დემოკრატიისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების მრავალფეროვნება. ამას ადასტურებს ცხადი მაგალითი ეკონომიკის სფეროდან. დასავლური ეკონომიკა შეიძლება დავყოთ „ისეთ სხვადასხვაგვარ ბიზნეს-ორგანიზაციებად, როგორიცაა გიგანტური კორპორაციები, მცირე ბიზნესი, მძიმე ინდუსტრია, მომსახურების სფეროს ფირმები, პროფკავშირების მქონე და არმქონე მრეწველობა, სოფლის მეურნეობის ფირმები, მრავალეროვნული კორპორაციები და ნაციონალიზებული ან სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოები – ყველა მათგანს საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნები და ინტერესები გააჩნია“.[41]

მესამე მიზეზი კონსტიტუციურ დემოკრატიებში ინტერესთა ჯგუფების წარმატებისა არის ის, რომ მთავრობა რეგულარულად ანაწილებს მოგებას (შემოსავალს). ყოველწლიურ “საბიუჯეტო ბრძოლაში” შემოსავლების განაწილებისათვის ნამდვილი ტაციაობა იმართება. დასავლურ დემოკრატიებში კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად იმატა ინტერესთა ჯგუფებმაც, რომლებიც შემოსავლებიდან უფრო დიდი წილის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეჯიბრებიან. აშშ-ში ახალი ინტერესთა ჯგუფების გაჩენას ხელი შეუწყო ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს შორის შემოსავლების თანაბრად განაწილებისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა სხვადასხვა ან სკოლებში *Hot-lunch*-ის პროგრამების ფარგლებში. და, რაღა თქმა უნდა, მსგავსი პროგრამების განხორციელებასა და საზოგადოებისათვის მიწოდების საქმეში თავისი ინტერესი აქვს სახელმწიფო სააგენტოებსა და იმ მონაწილე მხარეებს (კომპანიებს), რომლე-ბიც პროგრამების განხორციელებით არიან დაკავებული.

იკლემს თუ ატა საზოგადოემტიკი ინტერესი?

ხშირად, როდესაც მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ გავლენიანი ვიწრო ინტერეს-ჯგუფების გამო, ისინი გულისხმობენ იმ ლობისტებს ან ზეწოლის ჯგუფებს, რომლებიც სხვათა ინტერესებს იცავენ; ხოლო როდესაც ისინი ჩვენს ინტერესებს იცავენ, ჩვენ ვამართლებთ და ტაშს ვუკრავთ მათ. მაგალითად, ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც სტუდენტებისათვის სესხების პროგრამებს ექომაგებიან, იგივე ხალხი ასხამს ხოტბას (განათლების სფეროს მუშაკები), რომლებიც ზოგადად მსგავსი ჯგუფების გადაჭარბებულ გავლენაზე ჩივიან.

რა პრობლემებს უქმნის სინამდვილეში ინტერესთა ჯგუფები საზოგადოებრივ ინტერესს? ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში ინტერესთა ჯგუფების მომრავლებამ საზოგადოების ყველაზე უფრო დაუცველ სეგმენტს შეუქმნა განსაკუთრებული სიძნელეები. ღარიბებს ძალზე მცირე გავლენა აქვთ ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკურ არენაზე, მდიდრებს კი – უაღრესად დიდი. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიებში ინტერესთა ჯგუფების აღმასვლამ ჩამოაყალიბა სისტემა, რომელიც სუსტებისა და დაჩაგრულების ხარჯზე ყველაზე გავლენიანთა ინტერესების ხელისშემწყობია.

კრიტიკოსები ასევე შეშფოთებას გამოხატავენ იმასთან დაკავშირებით, რომ სულ მეტი თანამდებობის პირი ტოვებს საჯარო სამსახურს და სამუშაოდ მიდის იმ კომპანიებში, რომლებთანაც მათ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ. მაგალითად, პენტაგონის ყოფილი თანამდებობის პირებს ხშირად თავდაცვის სფეროში არსებული ფირმები ქირაობენ, პრეზიდენტების ყოფილი მრჩევლები კი ლობისტები ან მედია-კომენტატორები ხდებიან, ან სხვა მაღალანაზღაურებად სამსახურებში გადადიან. 1978 წელს კონგრესმა აუკრძალა ყოფილ მაღალჩინოსან მოხელეებს საჯარო სამსახურის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში ყოველგვარი კონტაქტი იმ სააგენტოებთან, რომლებშიც ისინი მუშაობდნენ და ასევე, აუკრძალა ყოველგვარი მცდელობა იმ სფეროს პოლიტიკაზე გავლენის მოხდენისა, რომელშიც მათ ორი წლის განმავლობაში გააჩნდათ „ოფიციალური პასუხისმგებლობა.“

არსებული სისტემის დამცველები კი ამტკიცებენ, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა სათანადოდაა წარმოდგენილი (ჰყავთ წარმომადგენელი). მათი აზრით, ინტერესთა ჯგუფების სიმრავლე იმის დადასტურებაა, რომ დაპირისპირებული ძალები ამ ჯგუფებს თითქმის მუდმივად აკონტროლებენ.

მაგრამ, კეთილდღეობის სახელმწიფოს ზრდა და მისი თანმდევი ხარჯები ზოგიერთი კონსერვატორის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, მაშინ როდესაც პოლიტიკურ ქმედებათა კომიტეტების (*PAC*) გავლენის ზრდა ერთნაირად აშფოთებს ლიბერალებსა და რეფორმების მომხრე ზომიერებსაც. პოლიტიკური ზეწოლა (ინტერესთა ჯგუფები ასევე ცნობილი არიან, როგორც „ზეწოლის ჯგუფები”) ზუსტად ასახავს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის პოლიტიკურ უპირატესობას; პრობლემაც სწორედ ესაა. როგორ შეიძლება მთავრობამ იმოქმედოს ობიექტურად, როდესაც ექცევა საზოგადოების დიდი ნაწილის საერთო აზრის გამომხატველი, ძლიერი ინტერესთა ჯგუფის ზეწოლას ქვეშ? მეორე მხრივ, როდესაც ერთი საკითხის დამცველი ინტერესთა ჯგუფი რომელიმე ძალიან სპეციფიკური წესის ან კანონისათვის იბრძვის – რომელიც მოქალაქეთა დიდ ნაწილს სულ არ ანაღვლებს ან არავითარ ყურადღებას არ აქცევს – რა შეიძლება იყოს სტიმული კანონმდებლების ან ბიუროკრატებისათვის, რომელიც დაეხმარება მათ, გაუძლონ ზეწოლას ვიწრო ინტერესების ჯგუფების მხრიდან? დიდ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების რამოდენიმე დონე არსებობს, გასაკვირი არაა, რომ ბევრი კანონი ან პოლიტიკა ხდება რუტინული განხილვის საგანი. როდესაც ზეწოლის ჯგუფები მონდომებით ლობირებენ რაიმე საკითხს, რომელსაც საერთოდ არავითარი ან ძალზე მცირე კავშირი აქვს საზოგადოებრივ ინტერესთან და, აქედან გამომდინარე, საზოგადოება მას ფაქტობრივად მხარს არ უჭერს, მოსალოდნელია, რომ პოლიტიკური პროცესი გაიხრწნას (კორუმპირებული გახდეს).

ინტერესთა ჯგუფები ავტორიტარულ ქვეყნებში

ავტორიტარულ სახელმწიფოებში ინტერესთა ჯგუფებს არსებობა უჭირთ, რადგან ზოგადად, ოპოზიცია იდევნება. ვინაიდან ავტორიტარულ სახელმწიფოთაგან ბევრი ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფება, ინდივიდუალური ინტერესები ხშირად ნათესაურ კავშირებზე დაფუძნებული ჯგუფების მეშვეობით არის გამოხატული (ტომები ან კლანები). როგორც წესი, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ სამხედროებს, მაშინაც კი, როდესაც ისინი მმართველობის სათავე-

ში არ იმყოფებიან, რადგან მათი მხარდაჭერა ხელისუფლებისათვის აუცილებელია ძალაუფლების შესანარჩუნებლად. განვითარებად ქვეყნებში „პროფკავშირები ხშირად პოლიტიკური პარტიების შემადგენელი ნაწილი ხდება და მათ დაქვემდებარებაში ექცევა."[42] დასავლეთში, როგორც წესი, ორგანიზებული პროფკავშირი პოლიტიკური პარტიებისაგან დამოუკიდებელია.

ყველაზე გავლენიანი ლობისტები ავტორიტარულ სახელმწიფოებში ხშირად ინტერესთა ჯგუფები კი არ არის, რომლებიც მოქალაქეთა ინტერესებს წარმოადგენენ, არამედ ბიუროკრატიული ჯგუფები და პარტიის შიდა ფრაქციები, რომლებიც შეზღუდული საბიუჯეტო სახსრების ცენტრალიზებული განაწილებისას უპირატესობის მოპოვებისათვის ეჯიბრებიან ერთმანეთს.[43] ესენი, ჩვეულებრივი გაგებით, ინტერესთა ჯგუფები არ არიან, მაგრამ მაინც შემოაქვათ პლურალიზმის ელემენტი ისეთ პოლიტიკურ რეჟიმებში, რომლებიც ოპოზიციის მიმართ ტოლერანტობით არ ხასიათდება.

დასკვნა

მოქალაქეებს საშუალება აქვთ სხვადასხვა კანონიერი გზით მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესში: პირობითად, არჩევნებში ხმის მიცემით და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში მონაწილეობით; ორგანიზაციული თვალსაზრისით, შესაძლებელია პოლიტიკურ პარტიაში ან ინტერესთა ჯგუფში გაწევრიანება; პროფესიული თვალსაზრისით, მოქალაქეს შეუძლია ასეთ ორგანიზაციაში მუშაობის დაწყება. პოლიტიკური მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა არაა ჩვეულებრივი, მაგალითად, პროტესტებში ან ეკონომიკურ ბოიკოტში ჩართვა. მონაწილეობის არასამართლებრივი ფორმები ამაზე უფრო შორს მიდის – განზრახ ჩადენილი არაძალადობრივი ქმედებებით (სამოქალაქო დაუმორჩილებლობა) დაწყებული და უკიდურესად სასტიკი მოქმედებებით დამთავრებული (ტერორიზმი).

ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად, მოქალაქეებმა კონსტიტუციურ დემოკრატიებში ინდივიდუალური შეხედულებებისა და ინტერესების კოლექტიურ მოსაზრებებად და ინტერესებად გადაქცევა უნდა შეძლონ. პოლიტოლოგები ამ პროცესს ინტერესთა აგრეგაციას უწოდებენ. საზოგადოებრივი აზრი შეიძლება გამოიხატოს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას, რასაც პოლიტიკურ პროცესზე დიდი გავლენა აქვს ხოლმე. არჩევნები, მიუხედავად თანდაყოლილი შეზღუდვებისა, მასობრივი შეხედულებების საჯარო პოლიტიკად ქცევის საუკეთესო საშუალებაა. არსებობს განსხვავებული საარჩევნო სისტემები, მაგრამ უმთავრესი ორია: მაჟორიტარული სისტემა (ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში) და წარმომადგენლობის პროპორციული სისტემა (წარმომადგენლობითი დემოკრატიების უმრავლესობაში). დემოკრატიულ რესპუბლიკებში ამომრჩევლები ირჩევენ კანონმდებლებს, მაღალი თანამდებობის პირებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ზოგჯერ მოსამართლეებსაც. პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტებია რეფერენდუმი, ინიციატივა და თანამდებობის პირების გამოწვევა, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნებში მონაწილობის (ხმის მიცემის) დაბალი მაჩვენებელია და იგი კიდევ უფრო კლებულობს. ამომრჩევლები, როგორც წესი, არ არიან გათვითცნობიერებულნი.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მასების პოლიტიკური მონაწილეობა უფრო ილუზორულია და ძალაუფლება სინამდვილეში გავლენიან პირთა მცირერიცხოვანი, ელიტარული ჯგუფების ხელშია მოქცეული. ამ ელიტისტურ თეორიას არ ეთანხმებიან პლურალიზმის დამცველები. ისინი ამტკიცებენ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლება უფრო გაბნეულია, ვიდრე კონცენტრირებული და რომ პოლიტიკური მოვლენები ძალზე რთულია საიმისოდ, რომ ისინი ელიტისტური თეორიის მარტივ გაგებამდე დავაკნინოთ.

ავტორიტარულ სახელმწიფოებში სრულფასოვანი მონაწილეობა იშვიათია. თუკი ასეთი რამ ხდება, იგი ემსახურება არა მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობას, არამედ მთავრობის მიერ კონტროლის გამტკიცებასა და განხორციელებას.

დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეები ცდილობენ გავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკაზე პოლიტიკური პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფების მეშვეობით. ავტორიტარულ ქვეყნებში პარტიები მთავრობის იარაღია და არა ხალხის ნების გამომხატველი ინსტრუმენტი. ინტერესთა ჯგუფები, თუკი ასეთ ქვეყნებში ისინი არსებობენ, გაცილებით უფრო შეზღუდულ როლს ასრულებენ, ვიდრე დემოკრატიულ ქვეყნებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პარტიებს თავდაპირველად უყურებდნენ როგორც განხეთქილების შემომტანებს. დღეს მათ საყოველთაოდ აღიქვამენ დემოკრატიულ სახელმწიფოში ძირითადი ფუნქციის განმახორციელებლად, რამდენადაც ისინი აღწევენ ეროვნულ თანხმობას და გვთავაზობენ ალტერნატივებს. განსაკუთრებით არჩევნების პროცესში, ისინი გვეხმარებიან ხელისუფლების ჩამოყალიბებაში. პოლიტიკური პარტიები მოქმედებენ ერთპარტიული, ორპარტიული ან მრავალპარტიული სისტემების კონტექსტში.

პარტიების სიძლიერესა და ორგანიზაციაზე ამა თუ იმ ქვეყანაში რამდენიმე ფაქტორი შეიძლება ახდენდეს გავლენას, მათ შორის, ტრადიციები, კონსტიტუცია, ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური მრავალფეროვნება. ბოლო დროს პოლიტიკური პარტიების გავლენა შემცირდა.

ინტერესთა ჯგუფების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვანაირად მოხდეს: ერთი მეთოდით შეიძლება კერძო ინტერესთა ჯგუფების საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფებისაგან განსხვავება. ამ ჯგუფების ეფექტიანობას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, სიდიდის, წევრების პოლიტიკურ მოსაზრებათა ინტენსიურობის, დაფინანსების და ლიდერების ჩათვლით. უკანასკნელ წლებში ამ ასოციაციათა რიცხვი და ძალაუფლება გაიზარდა. ზოგიერთი მკვლევარი შიშობს, რომ ისინი ზედმეტად გავლენიანი გახდნენ, თუმცა სხვებს მიაჩნიათ, რომ ჯგუფების მრავალრიცხოვნობა და მრავალფეროვნება ხელს უწყობს პოლიტიკური სტაბილურობისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები

კონვენციური მონაწილეობა
არაკონვენციური მონაწილეობა
არასამართლებრივი მონაწილეობა
სამოქალაქო დაუმორჩილებლობა
ტერორიზმი
საბოტაჟი
წარმომადგენლობითი დემოკრატია
საზოგადოებრივ აზრი
„ჩალის“ გამოკითხვა
შემთხვევითი შერჩევა
სტრატეგიული გამოკითხვა
ფოკუს-ჯგუფები
სტრატიფიცირებული შერჩევა
განმეორებადი გამოკითხვა
უბრალო უმრავლესობა
მაჟორიტარული სისტემა
გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს *(winner-takes-all)*
პროპორციული სიების სისტემა
პირდაპირი დემოკრატია
პლებისციტი
რეფერენდუმი
გაწვევა
პოლიტიკური ქმედითუნარიანობა
გაუცხოება
ინდივიდუალიზმი
პოლიტიკური აპათია
მწირი ინფორმაციის რაციონალობა
ოლიგარქიის რკინის კანონი
პლურალისტები
მასობრივი მობილიზაციის რეჟიმი
პოლიტიკური პარტია
კოალიციური მთავრობა
ინტერესთა ჯგუფები
კერძო ინტერესთა ჯგუფები
საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფები
ლობისტები
პოლიტიკური ქმედების კომიტეტი (*PAC*)
„რბილი ფული“ (*soft money*)

კითხვები გამეორებისათვის

1. როგორ შეუძლიათ მოქალაქეებს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესში?
2. საარჩევნო სისტემების რა ფორმები არსებობს? შეადარეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.
3. არის თუ არა დემოკრატიულ სახელმწიფოში აპათია მოქალაქის ვალის სრულფასოვნად შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორი? პასუხი დაასაბუთეთ.
4. რითი განსხვადება დემოკრატიის ელიტისტური თეორიები პლურალისტული მოდელისაგან?
5. რას ამბობენ, როგორც წესი, დემოკრატიულ სახლმწიფოში პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ? მართალია თუ არა ეს? პასუხი დაასაბუთეთ.
6. რა განსხვავებაა ერთ-, ორ-, და მრავალპარტიულ სისტემებს შორის?
7. რამდენად არის ინტერესთა ჯგუფების ქმედითობა დამოკიდებული იმ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელშიც ისინი მოქმედებენ?
8. რატომ გაიზარდა ინტერესთა ჯგუფების გავლენა პოლიტიკური პარტიების გავლენის შესუსტებასთან ერთად. არის თუ არა ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებული?
9. რას ნიშნავს დებულება – “ყველა ინტერესთა ჯგუფი არაა თანასწორი”?

შენიშვნები

1. M. Margaret Conway, Political Participation in the United States (Washington, D.C.: C.Q. Press, 1987), 10.
2. მოგვიანებით ამ თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ შეერთებულ შტატებში ხმის მიცემის ფორმებს.
3. Conway, Political Participation, 52-53.
4. იქვე.
5. Howard Schuman and Stanley Presser, Questions and answers in Attitude Surveys (Orlando, Fla.: Academic Press, 1981), 70-71. ეს კვლევა თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი James Q. Wilson-is American Government, მე-4 გამოცემა (Lexington, Mass.: Heath, 1989), 99.
6. John L. Fund, "It'll Be Close," Wall Street Journal, 1 ნოემბერი 1997წ., 12.
7. Everett Carll Ladd, "The Pollsters' Waterloo," Wall Street Journal, 19 ნოემბერი 1997წ., 22.
8. ერთ-ერთი კვლევით დადგინდა, რომ წამყვანი პარტიის პლატფორმის დაპირებათა ორი მესამედი სრულდება; იხ. Gerald M. Pomper-ისა და Susan Lederman-ის Elections in America: Control and Influence in Democratic Politics, მე-2 გამოცემა (New York: Dodd, Mead, 1980), 161.
9. Thomas Cronin, Direct Democracy: The Politics of Initiative, Referendum, and Recall (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1989).
10. იქვე, 87.
11. ის გარემოება, რომ მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში ამომრჩეველს დარეგისტრირება არ სჭირდება, ხშირად მათი მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლის მიზეზად მიიჩნევა. ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრალიისა და ბელგიის ჩათვლით) ის მოქალაქეები, რომლებიც ხმას არ აძლევენ, ჯარიმდებიან.
12. Harry Holloway and John George, Public Opinion: Coalitions, Elites, and Masses, მე-2 გამოცემა (New York: St. Martin's Press, 1986), 161.
13. იქვე, 162-163.
14. იხ. Julian L. Woodward and Elmo Roper, "Political Activity of American Citizens," American Political Science Review 44 (1950): 822-885.
15. Sidney Verba and Norman Nie, Participation in America (New York: Harper & Row, 1972), 79-80.
16. Alexis de Tocqueville, Democracy in America, tomi 2 (New York: Schocken Books, 1961), 18.
17. იქვე, 153, 159.
18. Robert D. Putnam, "Bowling Alone: America's Declining Social Capital," Journal of Democracy (იანვარი 1995), 65-78.
19. Richard Morin, "Who's In Control? Many Don't Know or Care," Washington Post, 29 იანვარი 1996, 6.
20. იქვე.
21. James Q. Wilson, American Government, 100.
22. Richard Niemi and Herbert Weisberg, Controversies in Voting Behavior, მე-3 გამოცემა (Washington, D.C.: C.Q. Press, 1992), 103.

23. Samuel Popkin, The Reasoning Voter and Persuasion in Presidential Campaigns (Chicago: University of Chicago Press, 1991), 212-216.
24. C. Wright Mills, The Power Elite (New York: Oxford University Press, 1956).
25. Thomas Dye and L. Harmon Ziegler, The Irony of Democracy: An Uncommon Introduction to American Government, მე-4 გამოცემა (North Scituate, Mass.: Duxbury Press, 1978), 374.
26. Andrew Greeley, "Power Is Diffused throughout Society," წიგნში Taking Sides: Clashing Views on Controversial Political Isuues, რედ. George McKenna da Stanley Feingad (Guilford, Conn.: Dushkin, 1983), 23. იხ. ასევე Arnold Rose, The Power Structure: Political Process in American Society (London: Oxford University Press, 1967), 483-493.
27. Thomas Jefferson-ისა და Francis Hopkinson-ის მიმოწერა, 13 მარტი 1789წ. წიგნში The Political Writings of Thomas Jefferson, რედ. Edward Dumbauld (Indianapolis: Bobbs-Merrill, 1955), 46.
28. იქვე.
29. თეორია წარმოდგენილია Harry Jaffa-ს წიგნში quality and Liberty: Theory and Practice in American Politics (New York: Oxford University Press, 1965), 3-32.
30. Paul Best, Kul Rai and David Walsh, Politics in Three Worlds: An Introduction to Political Science (New York: Wiley, 1986), 271-272.
31. Gabriel Almond and G. Bingham Powell, Comparative Politics: A Developmental Approach (Boston: Little, Brown, 1966), Tavi 4.
32. am msjelobisaTvis unda vumadlodeT William Keefe-sa da Morris Ogul-s wignSi The American Legislation Process: Congress and the States, me-8 gamocema (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1992), 334.
33. Thomas DiLorenzo, "Who Really Speaks For the Elderly?" Consumers Research 79 (სექტემბერი 1996): 15 და Charles Morris, The AARP: America's Most Powerful Lobby and the Clash of Generations (New York: Times Books, 1996), 4, 10-11.
34. Jeffrey Birnbaum, "Overhaul of Lobbying Laws Unlikely to Succeed Thanks to Opposition of Lobbyists Themselves," Wall Street Journal, 30 მაისი 1991, A 20.
35. Jonathan Rauch, "The Hyperpluralism Trap," New Republic, 6 ივნისი 1994. 22.
36. იქვე, 2-3.
37. John Harwood, "Political Treadmill: For California Senator, Fundraising Becomes Overwhelming Burden," Wall Street Journal, 2 მარტი 1994. A1. ფაინსტინისეული თანხის მოზიდვის ძალისხმევას საფუძვლად ედო ის ფაქტი, რომ 1992 წელს მან არჩევნებში მხოლოდ ორწლიანი ვადით გაიმარჯვა. Harwood-ის შეფასებით 1992 წელს ბრძოლა და 1990 წელს გუბერნატორის არჩევნებში დამარცხება ფაინსტაინის დაახლოებით 30 მლნ დოლარი დაუჯდა.
38. იხ. "Campaign finance reform" Pew Charitable Trusts ვებ-გვერდზე www.pewtrusts.com/ideas/.
39. ეს პარაგრაფი ეყრდნობა Best, Rai and Walsh, Politics in Three Worlds, 228-229.
40. Alexander Hamilton, James Madison, and John Jay, The Federalist (New York: Modern Library, უთარიღო), ნომერი 10, 55.
41. Best, Rai and Walsh, Politics in Three Worlds, 220.
42. იქვე, 240.
43. Gordon Skilling-სა და Franklyn Griffiths-ის რედაქტორობით Interest Groups in Soviet Politics (Printceton, N.J.: Princeton University Press, 1971).



თავი XI

პოლიტიკური ლიდერობა

ძალაუფლების მრავალსახეობა

ნამდვილი ლიდერები

- მართვის ხელოვნების არსი
- დიდების ხიბლი
- ლიდერის ოთხი ტიპი
- ლიდერობის დაკნინება?

დემაგოგები

პოლიტიკოსები

- კანონმდებლები, როგორც დელეგატები
- კანონმდებლები, როგორც მეურვეები
- „პოლიტიკო“ • დამშოშმინებლები

სამოქალაქო ლიდერები

თანამედროვე ცხოვრებაში პოლიტიკოსები უფრო ერთიან ჯგუფად აღიქმებიან და სტერეოტიპებით ფასდებიან, ვიდრე გამოჩენილი სპორტსმენები, ექიმები, ბიზნესის ლიდერები ან თუნდაც გართობის ინდუსტრიის მოღვაწეები. მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როდესაც წვლილი შეგვაქვს პოლიტიკურ კამპანიებში ან ხმას ვაძლევთ არჩევნებში, უპირატესობას ვანიჭებთ ერთ კანდიდატს მეორესთან შედარებით და, შესაბამისად, ვააშკარავებთ იმ ბაზისურ რწმენას, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომელი კანდიდატია არჩეული. ისევე, როგორც თვითმფრინავის მგზავრებს არ შეუძლიათ ინდიფერენტულები იყვნენ ეკიპაჟის გამოცდილებისა და უნარის მიმართ, მოქალაქეებსაც არ ძალუძთ გულგრილნი დარჩნენ სახელმწიფო ლიდერების ხასიათისა და გონიერების მიმართ.

ერების კეთილდღეობა ხშირად დამოკიდებულია ლიდერების უნარზე, გააკეთონ ბრძნული არჩევანი და იმოქმედონ კეთილგონივრულად. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გადაწყვეტილება, დაესაჯა ბოროტმოქმედები 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის გამო აუცილებელ და შესაბამის ნაბიჯად იქნა აღქმული ამერიკელი ხალხის უმრავლესობის მიერ. მამამისის [ჯორჯ ბუში უფროსის] მიერ 1990 წელს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ჯარები გაეგზავნა ქუვეითში იქ შეჭრილი სადამ ჰუსეინისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, საშუალება მისცა შტატებს დაეცვა ნავთობის საბაზრო ფასი მსოფლიო ბაზარზე და ამგვარად, თავიდან აერიდებინა ნავთობის მკაცრი დეფიციტი (მაგრამ ამავე დროს, ერაყის დიქტატორის ხელისუფლებაში დატოვებამ ორ სახელმწიფოს შორის ხანგრძლივი დაძაბულობა და ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია); პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის უოტერგეიტის ქმედებებმა ამერიკელი ერი კონსტიტუციური კრიზისის ზღვარზე მიიყვანა; პრეზიდენტ ლინდონ ბ. ჯონსონის გადაწყვეტილებით ვიეტნამში 500 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნამ და ომის გამწვავებამ მძიმე შედეგები გამოიღო როგორც ამერიკისთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის.

ცხადია, ლიდერობა პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია. II მსოფლიო ომის შემდეგ პერეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა [1945-1953] ისტორიული გადაწყვეტილებების მთელი სერია მიიღო: მარშალის გეგმის ფარგლებში ევროპის აღორძინება, ახალი სამხედრო ალიანსების, მათ შორის ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) შექმნა, აგრეთვე შეკავების მკაცრი პოლიტიკის საშუალებით საბჭოთა კავშირის საგრძნობი გაფართოებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. სავარაუდოა, რომ მაგალითად, უორენ ჰარდინგი [აშშ პრეზიდენტი 1921-1923] ასეთ სტრატეგიებს ვერ შეიმუშავებდა.

ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარის აზრით, „პოლიტიკა თავისი არსით ლიდერობა ან ნებისმიერი ფორმის პოლიტიკური ერთობის მართვის მცდელობაა“.[1] პოლიტიკური ლიდერობის ძალა ის ფაქტორია, რომლის არსებით გავლენას ყოველთვის განიცდის ყველა სახის ერთობა და ყველა ქვეყანა. მაგალითად, წლობით ციხეში ყოფნის შემდეგ 1994 წლის მაისში ანტიაპარტეიდული აფრიკის ეროვნული კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე ნელსონ მანდელა არჩეულ იქნა რასობრივად მრავალფეროვანი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტად. თვითნასწავლმა, საყოველთაო ნდობით აღჭურვილმა, და ბევრისთვის საყვარელმა სამოცდათხუთმეტი წლის ნელსონ მანდელამ წარმატებით შეძლო ძალაუფლების მშვიდობიანად შეცვლა, რითაც დაასრულა თეთრკანიანთა ხანგრძლივი ბატონობის რეჟიმი. შესაძლოა, სხვა ვერავინ შეძლებდა ამ ამოცანისთვის თავის გართმევას. მაგრამ მაინც, რევოლუციური მოძრაობის მოთავეობა და ქვეყნის მართვა ორი სხვადასხვა ამო-

ცანაა. მართალია მანდელა დიდი ლიდერის მრავალი თვისების მქონე პიროვნებაა, ჯერ კიდევ ადრეა დასკვნების გაკეთება იმის თაობაზე, როგორ მოახერხა მან ახალი სამხრეთ აფრიკის ლიდერობა.

ამ თავში განვიხილავთ ოთხი ტიპის ლიდერებს: ნამდვილ ლიდერებს, დემაგოგებს, ჩვეულებრივ პოლიტიკოსებს და სამოქალაქო ლიდერებს. ამგვარი დაყოფა უმეტესწილად ხდება მათი მიღწევების, თვისებების, მეთოდებისა და მიზნების მიხედვით. ***ნამდვილი ლიდერები*** არიან პოლიტიკური არქიტექტორები, რომლებიც ახალ სახელმწიფოებს ქმნიან, მშვიდობისმყოფელები, რომლებიც კონფლიქტებს აგვარებენ და ორატორები, რომლებსაც ეროვნული კრიზისის დროს ხალხის შთაგონება შეუძლიათ. ისინი არიან წარსულის დამფუძნებლები, აწმყოს გზამკვლევები და მომავლის ლეგენდები. ***დემაგოგები*** ატყუებენ ხალხს და მანიპულირებენ მისი ნდობით თავისი კერძო მიზნის მისაღწევად. ისინი ინტრიგანები, წამქეზებლები და ომის გამჩაღებლები არიან. ***ჩვეულებრივი პოლიტიკოსები*** არ სჩადიან არც დიდ ბოროტებას და არც დიდ სიკეთეს, მათი ქმედებები კონცენტრირებულია არჩევასა და გადარჩევაზე. ***სამოქალაქო ლიდერებს*** არა აქვთ ოფიციალური საჯარო თანამდებობები, მაგრამ აქტიურად არიან ჩაბმულნი ერის პოლიტიკაში და მნიშვნელოვანწილად შეუძლიათ მისი განსაზღვრა.

ხშირად ასეთი განსხვავება თეორიულად გაცილებით იოლია, ვიდრე მისი პრაქტიკაში გადატანა. მაგალითად, შეიძლება ვინმეს ფრანკლინ დელანო რუზველტი [აშშ პრეზიდენტი 1933-1945] განსაკუთრებულ ლიდერად მიაჩნდეს, სხვა კი მას ჩვეულებრივ პოლიტიკოსად, გზასაცდენილ ლიდერად, და იქნებ დემაგოგადაც კი აღიქვამდეს. შესაძლოა საზოგადო ცხოვრების, კარიერის სხვადასხვა ეტაპზე ესა თუ ის პოლიტიკოსი ოთხივე ტიპს შეესაბამებოდეს, და მაინც, სხვაობაც ნათელია — საყოველთაო აზრია, რომ ადოლფ ჰიტლერი დემაგოგი იყო, ხოლო უინსტონ ჩერჩილი — II მსოფლიო ომის ყველაზე მძიმე დღეებში დიდი ბრიტანეთის გმირული დაცვის არქიტექტორი.

ნამდვილი ლიდერები

ნამდვილი ლიდერები მართვის ხელოვნებას, სახელმწიფოს გონივრულ გაძღოლას არიან ნაზიარები. ლიდერობის ეს იდეალი დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა. პლატონი და არისტოტელე განიხილავდნენ მას თავიანთ ნაშრომებში. პლატონი აღწერს სოკრატეს, რომელიც მონაწილეობს დიალოგში *სახელმწიფო მოღვაწის* შესახებ – ტერმინით, რომლითაც ტრადიციულად მიმართავენ ან მოიხსენებენ პოლიტიკური ნიჭით დაჯილდოებულ ლიდერს. XX საუკუნის განმავლობაში ტერმინი *სახელმწიფო მოღვაწე* (მართებულად თუ უმართებულოდ) ბევრი მსოფლიო ლიდერის მიმართ გამოიყენებოდა, იუგოსლავიის დამაარსებელ, იოსებ ბროზ ტიტოდან (1945-1980) დაწყებული, ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკის სკოლის მასწავლებლით, გოლდა მეიერით (1969-1974) დამთავრებული, რომელიც ისრაელის მეოთხე პრემიერ-მინისტრი გახდა 1969 წელს.

ლიდერები, რომლებიც ხანგრძლივი ვადით ქმნიან განსხვავებულ ისტორიას, იშვიათი თვისებების მქონე ადამიანები არიან, მშვიდობის, ჰარმონიისა და საზოგადო სიკეთის იდეის ერთგულნი და ამჟღავნებენ პრაქტიკულ სიბრძნეს. ამასთან, კრიზისის დროს ეს ადამიანები ერს წინამძღოლობას უწევენ გადარჩენის გზაზე.

ამ ტიპის ლიდერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ახალი ერების შემქმნელებს, რომელთა ხედვის, სიბრძნისა და შთამაგონებელი ლიდერობის გარეშე კონკრეტული ერი ან მთავრობა საერთოდ ვერ იარსებებდა. ჯორჯ ვაშინგტონი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამფუძნებელი მამაა ბევრ სხვა ერსაც ჰყავს დამფუძნებელი მამები, რომლებსაც ხალხი ეთაყვანება და განსაკუთრებულ დღეებში იხსენებს (მაგალითად, ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს).

მართვის ხელოვნების ატსი

იდეალური ლიდერის ტიპის განსაზღვრა იოლი არ არის. კარგი ლიდერობის უნარს საფუძვლად უდევს ისეთი შეუმჩნეველი თვისებები, როგორიცაა ინტუიცია, შთაგონება, საღად აზროვნების უნარი; არსებითია სხვა თვისებებიც — ინტელექტი და თავშეკავებულობა. ცნობილი მოაზროვნე და საგაზეთო სვეტის ავტორი უოლტერ ლიპმანი „*მორალის შესავალში*“ შეეცადა გამოეყო ეს თვისებები განათლებული ლიდერების უბრალო ლიდერებთან შედარების საშუალებით. ლიპმანის მიხედვით, პოლიტიკოსების უმეტესობა „მუშაობს მიკერძოებული (კონკრეტული) ინტერესისთვის“. ამის მაგალითია პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარ „ბუდეებს“ იშენებენ ან მონურად მიჰყვებიან პარტიულ ხაზს. ცნებაში — *სახელმწიფო მოღვაწეობა* — ამის საპირისპიროდ „მოიაზრება ადამიანი, რომლის აზროვნება მოკამათე პარტიების კონფლიქტზე გაცილებით მაღლა დგას და საშუალებას აძლევს მას განახორციელოს ის ქმედებები, რომლებიც მოიცავენ და ითვალისწინებენ ინტერესთა ფართო სპექტრს ხანგრძლივ პერსპექტივაში“.[2]

ლიპმანი აღიარებდა, რომ წყალგამყოფი ჩვეულებრივ პოლიტიკოსსა და ნამდვილ ლიდერს შორის ხშირად ბუნდოვანია. არცთუ იშვიათად ჭეშმარიტ ლიდერებსაც კი არ ძალუძთ სპეციფიკური ინტერესის უგულებელყოფა. დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა ლიდერი ხანდახან უნდა იქცეოდეს ისე, როგორც პოლიტიკოსი. მიუხედავად ამისა, პოლიტიკოსი ლიდერად გადაიქცევა, როგორც კი შეეცდება შეწყვიტოს მხოლოდ თავისი ამომრჩევლების მყისიერი სურვილების დაკმაყოფილება. ამისთვის უკეთესი გზაა დაარწმუნო ხალხი (ამომრჩევლები), რომ საერთო, საზოგადოებრივი ინტერესებისკენ სწრაფვა უმთავრესია და რომ კერძო ინტერესები არ არის (არც უნდა იყოს) პოლიტიკის უპირველესი საზრუნავი.

საზოგადოებრივი სიკეთისაკენ სწრაფვა. ჭეშმარიტი ლიდერი მოტივირებულია არა მყიფე ეგოიზმით ან ვიწრო ჯგუფური კუთვნილებით, არამედ საყოველთაო საზოგადოებრივი სიკეთის გააზრებით. ორი უკიდურესობის დაპირისპირებით, „რას ჩათვლის საბოლოოდ ხალხი კარგად, იმის საპირისპიროდ, რა სურს ხალხს მოცემულ მომენტში“, ლიპმანი ასკვნიდა, რომ ნამდვილმა ლიდერებმა თავი უნდა აარიდონ სწრაფ პოპულარობას. მათ უარი უნდა თქვან პოლიტიკურად შეუძლებელ დაპირებებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ იყვნენ პატიოსანი და გაწონასწორებული ლიდერები და არა მლიქვნელი პოლიტიკოსები. ასეთი გადაწყვეტილება ლიდერისგან მოითხოვს „სიმამაცეს, რომელიც შორსაა მოცემული მომენტის აგიტაციებისგან“ და ასევე „ცოდნას, რომელსაც საფუძვლად უდევს ფაქტების ობიექტური და ღრმა ცოდნა და „ცივი“ მიუკერძოებლობა“.

მართალია, საზოგადოებრივი სიკეთისთვის ზრუნვა შეიძლება აღწერილ იქნეს გაწონასწორებულობის, მიუკერძოებლობის, ცოდნისა და პატიოსნების ფარგლებში, ის მაინც არ იძლევა ცხადი განზოგადების საშუალებას. მაგალითად, პატიოსნება სიქველეა, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში გამონაკლისებიც არსებობს. როდესაც ფსონები მაღალია, სრული პატიოსნება წარმატებისთვის წინაღობაა და ერის სანუკვარი ინტერესები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ეშმაკობის ან სიცრუის საშუალებით, ამიტომ ჭეშმარიტი ლიდერი ხანდახან პატიოსნების ასეთ „დათმობაზეც“ მიდის.

განსაკუთრებული გარემოებები პოლიტიკოსებისაგან განსაკუთრებულ ზომებს მოითხოვს. მაგალითად, აბრაამ ლინკოლნი [აშშ პრეზიდენტი 1861-65], როგორც სამოქალაქო ომამდე, ისე ომის დროს განუხრელად აკნინებდა მონობის საკითხს იმ მოტივით, რომ უპირატესობას ანიჭებდა შტატების კავშირის გადარჩენას. ლინკოლნი ხვდებოდა, რომ მონობის საკითხზე ყურადღების გამახვილება მის სუსტ კოალიციაში ზოგი წევრის გაუცხოებას გამოიწვევდა და ამ კავშირზე დამყარებულ პოპულარობას დაკარგავდა, რითაც ავნებდა როგორც კავშირს, ისე მონების გათავისუფლების საკითხს.[3]

პრაქტიკული სიბრძნე. ჭეშმარიტ ლიდერებს ახასიათებთ ის, რასაც არისტოტელე კეთილგონიერებას, ანუ პრაქტიკულ სიბრძნეს უწოდებდა. საზოგადოებრივი სიკეთის ყოვლისმომცველი ხედვა უსარგებლოა, თუ არ იცი, როგორ მიაღწიო მას. ლიდერები აცნობიერებენ კავშირს დაუყოვნებლივ ქმედებასა და საბოლოო შედეგებს შორის და შეუძლიათ გათვალონ როგორც მოყვასის, ისე მტრის რეაქცია ამ ქმედებებზე. დაბოლოს, მათ შეუძლიათ ერთმანეთისგან განასხვავონ ხანგრძლივი და ეფემერული, ფუნდამენტური და უმნიშვნელო, შესაძლო და მიუღწეველი მიზნები. მოკლედ, სახელმწიფო მოღვაწეობა მოითხოვს იშვიათ ცოდნას და როგორც პრობლემის გამოცნობის, ისე მისი გადაჭრის გზების მოძიების უნარს. ამ თვალსაზრისით, ჭკვიანი ლიდერები გვაგონებენ ექიმებს, რომელთა წარმატება გამოიხატება არა დოლარების ოდენობით, არამედ იმ ერთობის ჯანმრთელობით, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

პოლიტიკური უნარები. არაა საკმარისი, რომ, მაგალითად, პრეზიდენტს გულში ჰქონდეს ჩაბეჭდილი ეროვნული ინტერესი, არსებითია შემოთავაზებული პროგრამების და პოლიტიკის ორგანიზებული მხარდაჭერა. დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი და პოლიტიკა (არჩევნების შემთხვევაში თავად ლიდერები) მართულთა თანხმობას მოითხოვს. ჭკუისა და თანხმობის თანაფარდობა სწრაფად ცვალებად საჯარო სივრცეში ლიდერის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

პოლიტიკის ყოველდღიურ სამყაროში ლიდერმა ასევე უნდა შეძლოს უზარმაზარი ბიუროკრატიის მართვა და უშუალოდ დაქვემდებარებული კადრების ხელმძღვანელობა; იმუშაოს კანონმდებლებთან, რათა უზრუნველყოს მთავრობის პროგრამების დამტკიცება და გააერთიანოს საზოგადოებრივი აზრი მთავრობის პოლიტიკის მხარდასაჭერად. წარმატებულმა აღმასრულებელმა უნდა გამოამჟღავნოს ორგანიზატორული ნიჭი, ადამიანთა დარწმუნებისა და სხვა პოლიტიკური ქმედებების უნარი.

პოლიტიკური კეთილგონიერება გულისხმობს, რომ ლიდერობის უნარი კარგი და საჭირო საქმისთვის გამოიყენება. პოლიტიკური ალღო მაშინაა საქები, როდესაც ლიდერის უნარი საზოგადოებრივი სიკეთისკენაა მიმართული. თუკი ეს უნარი

იმისთვის გამოიყენება, რომ ლიდერთა წარმატებული კარიერა ან ჯიბის გასქელება უზრუნველყოს, მაშინ ლიდერის წარმატება დემოკრატიული სისტემის მარცხს ნიშნავს. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაშიც, თუ ლიდერის მიზნები მოსაწონია, მაგრამ მათი მიღწევის გზები — მიუღებელი. პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ცდილობენ საჭირო საზოგადოებრივი რეფორმების გატარებისას წარმოქმნილი წინააღობები ნგრევით, დაპატიმრებებით ან ოპონენტების ლიკვიდაციით გადალახონ, ვერ იქნებიან მისაღები, რაგინდ სასარგებლო იყოს მათ მიერ გატარებული პოლიტიკა.

განსაკუთრებული შესაძლებლობები. ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე ისტორიკოსები ასკვნიან, რომ დიადი დრო დიად ლიდერებს ქმნის. იმისთვის, რომ გახდეს ჭეშმარიტი ლიდერი, პიროვნებამ უნდა იცხოვროს ისეთ დროს, როდესაც ხელისუფლების ქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები არსებით განსხვავებას ქმნის საზოგადოების და შესაძლოა, მთელი მსოფლიოს ცხოვრებაშიც კი. ასეთი ლიდერი შესაძლოა ჭეშმარიტად ზრუნავდეს საზოგადოებრივ სიკეთეზე, ჰქონდეს განსაკუთრებული პოლიტიკური უნარ-ჩვევები და დიდი პრაქტიკული სიბრძნე, მაგრამ მოვლენათა განვითარებაზე მაინც ვერ მოახდინოს არსებითი ან ხანგრძლივი გავლენა. ყველაზე უნარიან ლიდერებსაც კი ყოველთვის არა აქვთ საშუალება, გამოსცადონ თავიანთი განსაკუთრებული ნიჭი.

მაშ, რა ქმნის პოლიტიკურ დიდებას: პიროვნებები თუ დრო? აქ ისევ გამოდგება მედიცინასთან ანალოგია. საყოველთაო აღიარება იმ ექიმს კი არა აქვს, რომელიც პაციენტებს ყოველდღიურ რჩევებს აძლევს, არამედ იმას, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებებსა და ტრავმებს უმკლავდება. ადამიანთა მსგავსად, ერებიც განიცდიან კრიზისს, რაც მათ არსებობას უქმნის საფრთხეს. ასეთ დროს ზნეობრივი გამხნევება და პოლიტიკური ცოდნა არსებითია ერის გადასარჩენად; ასეთი სიტუაცია ხელსაყრელი სახელმწიფო მოღვაწეობის უნარისა და ცოდნის გამოსაცდელად.

ბედის წყალობა. გამორჩეული ლიდერობის საბოლოო წინაპირობა გამართლებაა. არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არაა წარმატებული თუ ბედი ოდნავ მაინც არ სწყალობს. შემთხვევითი მანევრი პოლიტიკური ბრძოლის დროს, გააზრებული, მაგრამ ართქმული (ან დაგვიანებით ნათქვამი) განცხადება, და არაერთი თითქოსდა უმნიშვნელო შემთხვევა და ქმედება შესაძლოა წამგებიანი აღმოჩნდეს. წარმატება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მთლიანად ბედის წყალობას მივაწეროთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ რთულ გარემოს, რომელშიც ლიდერები მოღვაწეობენ, გამართლება ხშირად ქმნის წარმატებისა და მარცხის პირობას.

დიდების ხიმღი

პოლიტიკური ლიდერები ხშირად თავის თავზე იღებენ ისეთ საჯარო პასუხისმგებლობას, რაც საკმაოდ ძვირად შეიძლება დაუჯდეთ. მათ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უხდებათ ოჯახის წევრებთან დაშორება, მაღალანაზღაურებად სამსახურზე უარის თქმა და საზოგადოებრივი კრიტიკის მუდმივ ობიექტად ქცევა. თავისთავად ჩნდება კითხვა: რატომ უძღვნიან განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანები თავისი ნაყოფიერი ცხოვრების საუკეთესო წლებს პოლიტიკაში თავის გამოჩენის სურვილს? რა უბიძგებს ასეთ ადამიანებს, იღვაწონ საზოგადოებრივი სიკეთისთვის ხშირად

უფრო აშკარა და გამოკვეთილი საკუთარი ინტერესების ხარჯზე?

ისტორიკოს დუგლას ადერის აზრით, ამერიკის დამფუძნებელი მამები, უპირველს ყოვლისა, მოტივირებული იყვნენ დიდების იდეით. ჯორჯ ვაშინგტონის, ჯეიმს მედისონის, ალექსანდერ ჰამილტონისა და ბენჯამინ ფრანკლინისათვის ვიწრო კერძო ინტერესი, რაც შეიძლება პირად ძალაუფლებასა და სიმდიდრეში გამოხატულიყო, არ იყო უპირველესი საზრუნავი. ამის განმსაზღვრელი არც პირადი ღირსება იყო, რაც ადერის განსაზღვრებით „ქცევის ისეთი ტიპია, რომელიც მიმართულია სოციალურად თანასწორი ან უპირატესობის მქონე თანამედროვეებისაგან ქება-დიდების მიღების სურვილზე“.[4] დამფუძნებელი მამების მამოძრავებელი ძალა დიდების სურვილი იყო, რისი იდეაც, ადერის განმარტებით, კლასიკური პერიოდიდან მოყოლებული ღრმად იყო გამჯდარი დასავლურ ფილოსოფიურ და ლიტერატურულ ტრადიციაში. იყენებს რა ამ ინტერპრეტაციას ამერიკის დამფუძნებელი მამების მიმართ, ადერი წერს:

> რა თქმა უნდა, ისინი პატრიოტები იყვნენ, რა თქმა უნდა, მათ ეამაყებოდათ თავისი ქვეყნის სამსახური გასაჭირის დროს, მაგრამ ვაშინგტონი, ადამსი, ჯეფერსონი და მედისონი არ იყვნენ სრულიად მოწყვეტილი საკუთარ ინტერესებს. დიდებისკენ ლტოლვა, რაც მათ განათლებით ჰქონდათ შეთვისებული, იყო საშუალება, რითაც შეძლეს საკუთარი ეგოისტური და განდიდების იმპულსები საზოგადოების სამსახურში გადაეტანათ. მათ ნასწავლი ჰქონდათ, რომ კერძო ინტერესებისაგან თავისუფალი კეთილშობილური საზოგადოებრივი მოღვაწეობა საუკეთესო გზა იყო საკუთარი სახელის უკვდავსაყოფი „მარადი მონუმენტების“ ასაგებად და შემდგომი თაობების მეხსიერებაში საკუთარი ღვაწლის დასატოვებლად.[5]

ისევე, როგორც ყველა პოლიტიკური ლიდერი (შესაძლოა მათი უმეტესობაც) არაა ბრძენი, ყველა ბრძენი ლიდერიც როდია განმსჭვალული დიდების სურვილით. ზოგჯერ მარტივი სურვილი, გააკეთო კარგი საქმე და მოიპოვო ხალხის მხარდაჭერა, ასევე საკმარისი სტიმულია მოღვაწეობისთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, უდიდესი ლიდერები ყოველთვის მოტივირებულნი იყვნენ მხოლოდ დიდების სურვილით. მართლაც, როგორც ალექსანდერ ჰამილტონმა შენიშნა, დიდების სიყვარული „ გონების მმართველი ყველაზე კეთილშობილური ვნებაა“,[6] უკვდავების სურვილი კი — ძლიერი ელექსირი.

ლიდერის ოთხი ტიპი

ისტორიის განმავლობაში ჭეშმარიტი ლიდერები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას გამოჩენილან. მსოფლიოში ცნობილი ოთხი ლიდერის ქვემოთ მოტანილი პოლიტიკური ბიოგრაფიები ცხადყოფს, რომ ლიდერობის უმაღლეს საფეხურს მიღწეული პოლიტიკოსების ცოდნაში, თვისებებსა და მოტივებში ბევრ მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც ბევრია.

რომულო ბეტანკური (1908-1981). 1830 წელს ვენესუელა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ამ პერიოდიდან 1959 წლამდე, სანამ რომულო ბეტანკური გახდებოდა

ქვეყნის არჩეული პრეზიდენტი, არც ერთ დემოკრატ ლიდერს არ გაუძლია პრეზიდენტის თანამდებობაზე ორ წელზე მეტხანს. ბეტანკურმა არათუ შეძლო გადაელახა თითქმის წარმოუდგენელი სირთულეები და შეენარჩუნებინა თანამდებობა, არამედ მოახერხა თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაშლაც და გამოაცოცხლა თავისი ქვეყნის სუსტი დემოკრატია. მართალია, ის ძლიერი პრეზიდენტისთვის დამახასიათებელი მანერით მართავდა, მაგრამ შეძლო დაეცვა ზღვარი დემოკრატიულ მმართველობასა და ძალაუფლების ავტორიტარულ, ბოროტად გამოყენებას შორის. მან ხელი შეუწყო ზომიერების, კომპრომისისა და ტოლერანტობის პოლიტიკის განვითარებას. იგი ითვალისწინებდა ხელისუფლების სხვა შტოების ლეგიტიმურ ძალაუფლებას, იცავდა კონსტიტუციას, პატივს სცემდა მოქალაქეთა უფლებებს და ცალსახად არიდებდა თავს მატერიალური უპირატესობის მოსაპოვებლად ძალაუფლების გამოყენებას (ასევე სხვებს არ აძლევდა ამის ჩადენის საშუალებას).[7] პრეზიდენტობის ხუთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ბეტანკურმა გააკეთა ის, რაც მანამდე ვენესუელის არც ერთ ლიდერს არ გაუკეთებია — როგორც მისი მმართველობის პერიოდში დაწერილი კონსტიტუცია ითხოვდა, მან ძალაუფლება თავის დემოკრატიულად არჩეულ შემცვლელს გადააბარა.

ამ მიზეზების გამო რომულო ბეტანკური შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს ვენესუელაში დემოკრატიის ფუძემდებლად. ამ თვალსაზრისით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება XX საუკუნის სხვა დამფუძნებელი ლიდერებისაგან, როგორებიც არიან პოლ პოტი და ფიდელ კასტრო. მათ საგულდაგულოდ დააფუძნეს და ბეჯითად შეუდგნენ შეუზღუდავი პირადი პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებას ისე, რომ უგულებელყვეს ინდივიდთა უფლებები. უფრო მეტიც, ბეტანკურმა ძალაუფლება გამოიყენა არა ძალაუფლებისთვის, არამედ იმ საზოგადო სიკეთის მისაღწევად, რისთვისაც იგი არსებობს. სწორედ ამის გამო მას იოლად შეეძლო ძალაუფლებას ნებაყოფლობით შელეოდა და სწორად გაეგო პოლიტიკური ლიდერობის დიდი გაკვეთილი: გამორჩეული ლიდერები განგებ ახდენენ თავიანთი როლის დაკნინებას იმისთვის, რომ ხალხმა თავად შეძლოს საკუთარი თავის მართვა მაშინ, როდესაც ლიდერი არ ეყოლება.[8]

ბეტანკურის პოლიტიკური კარიერა მაშინ დაიწყო, როდესაც ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო და ვენესუელას სამხედრო დიქტატორი ხუან ვისენტე გომესი (1908-1935) განაგებდა. 1928 წელს 20 წლის ბეტანკური სტუდენტების ლიდერი გახდა რევოლუციაში, რომელიც დამარცხდა და იგი ციხეში მოხვდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი რვა წლის განმავლობაში ცხოვრობდა დევნილობაში კოსტა რიკაში და ვენესუელაში დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა. 1930-იანი წლებიდან იგი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე გახდა და საქმიანობას 1959 წლამდე ეწეოდა. პოლიტიკური მოღვაწეობის ადრეულ წლებში ბეტანკურის სიმპათიები კომუნისტების მხრეს იყო, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ მისი შეხედულებები უფრო ზომიერი გახდა და დემოკრატიული სოციალიზმისკენ გადაიხარა. ამ პერიოდში ბეტანკურის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ის, რომ სათავე დაუდო შემდგომში ვენესუელის წამყვან პოლიტიკურ პარტიას დემოკრატიული ქმედების პარტიას. თავისი ოპოზიციური მოღვაწეობის თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში ბეტანკური და მისი პარტია თანმიმდევრულად იბრძოდნენ ყველა მოქალაქის ფართო დემოკრატიული მონაწილეობისთვის, აგრარული რეფორმისათვის, გარანტირებული საყოველთაო განათლების უფლებისათვის, ეროვნული ჯანდაცვის სისტემისათვის, და ეკონომიკური დივერსიფიკაციისათვის (ვენესუელა მთლიანად დამოკიდებული იყო ნავთობის ექსპორტზე).

ბეტანკური შეუერთდა (და ზოგი ვერსიით ხელმძღვანელობდა კიდეც) სამხედრო რეფორმატორთა ჯგუფს 1945 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებაში ვენესუელის სამხედრო ხელისუფლების წინააღმდეგ. ბეტანკური ამ პროცესების შედეგად პრეზიდენტი გახდა და საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად აქცია სამხედრო დიქტატურებთან ყოველგვარ დიპლომატიურ კავშირებზე უარის თქმის პოლიტიკა. ამავდროულად, მისი მთავრობა მოუწოდებდა რეგიონის სხვა სახელმწიფოებს იგივე მიდგომა გამოეჩინათ. შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით კი სიახლე იყო ის, რომ ბეტანკურმა დაავალდებულა დიდი ნავთობკომპანიები შემოსავლების ნახევარი სახელმწიფოსთვის გადაეცათ, რითაც მთავრობას საშუალება მიეცემოდა განეხორციელებინა სკოლების, საავადმყოფოების, სანიტარული სამსახურების, საზოგადოებრივი წყალმომარაგების სისტემისა და იაფი საცხოვრებლების მშენებლობის ხანგრძლივვადიანი პროგრამები. მისი ინიციატივით 1947 წელს დაიწერა ახალი კონსტიტუცია, მანვე გამოაცხადა არჩევნები და განაცხადა, რომ არ იბრძოლებდა პრეზიდენტობისთვის. კანდიდატი, რომელმაც რომულო ბეტანკური შეცვალა, პოსტზე მხოლოდ ცხრა თვე დარჩა, სანამ სამხედრო გადატრიალებამ მისი მთავრობა არ დაამხო. 1959 წლამდე, სანამ ბეტანკური პრეზიდენტად არ აირჩიეს, ვენესუელა დემოკრატიისკენ არ შებრუნებულა.

პრეზიდენტობის ხუთწლიანი ვადის განმავლობაში ბეტანკურმა იმ პროგრესული პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომლისკენაც ყოველთვის მიისწრაფვოდა. კონკრეტულად, აღსანიშნავია მისი მცდელობა, მოეზიდა უცხოური ინვესტიციები და განევითარებინა ურბანული მშენებლობა. ბეტანკურმა ასევე მიწის რეფორმირების ინიცირება მოახდინა. მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიღწევები გამორჩეული იყო, ვინაიდან მისი ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროისათვის ვენესუელა ეკონომიკურ კრიზისში იყო ჩაფლული, სამხედროები მის რეჟიმს მხარს არ უჭერდნენ და როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე სამხედრო-პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები ხელს უშლიდა მის მმართველობას (ბეტანკური მკვლელობის არაერთ მცდელობას გადაურჩა).

საბოლოოდ ბეტანკურმა გაიმარჯვა და იგი შეიყვარა თავისმა ხალხმა. რამ შეიტანა წვლილი მისი, როგორც დემოკრატიული პოლიტიკური ლიდერის წარმატებაში იმ ქვეყანაში, რომელსაც ავტორიტარიზმის ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა? როგორც ჩანს, ბეტანკურს ჰქონდა ზებუნებრივი უნარი, გამოეცნო სხვების მოტივები და ხასიათი; თითქმის უშეცდომოდ განესაჯა, როდის მდგარიყო ჯიუტად თავის პოზიციაზე და როდის წასულიყო დათმობაზე; მოესმინა რჩევები, მაგრამ დარჩენილიყო თავის აზრზე; ჰქონდა იმის ძალა, რომ მიეღო რთული გადაწყვეტილებები; შეეძლო საკუთარი თავის კონტროლი და პიროვნულად იყო გამბედავი. მან ეს თვისებები შეაზავა მაღალი დონის პრაქტიკულ იდეალიზმთან, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ნათლა იცოდა, რა სურდა მას თავისი ქვეყნისთვის და ერთგული იყო იმ ღირებულებებისა, რომლებიც წარმართავდნენ მის ქმედებებს სახელმწიფო პოლიტიკაში.[9]

რომულო ბეტანკური ვენესუელისთვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ლიდერი, რომელმაც რთულ დარტყმებს გაუძლო. ერთ-ერთი მისი ბიოგრაფთაგანი, რობერტ ალექსანდერი შენიშნავს: „ვერცერთი მისი თანამედროვე ვენესუელელი ლიდერი ვერ იქნებოდა წარმატებული იმ პირობებში“[10]. ისტორიკოსი ჯონ ფაგი წერდა: „თუ მორალური ავტორიტეტი და მაღალი ზნეობრივი პრინციპები მნიშვნელოვანია, მაშინ რომულო ბეტანკური ვენესუელის ისტორიაში ტიტანად გვევლინება.“[11]

გამორჩეული ლიდერები არსებობდნენ ბევრგან და სხვადასხვა დროს, მაგრამ ისინი ნამდვილად იშვიათად არსებობენ; ვენესუელას გაუმართლა, რომ ერთ-ერთი მათგანი ჰყავდა.

უინსტონ ჩერჩილი (1874-1965). სანამ 1940 წლის მაისში ბრიტანეთის პრემიერი გახდებოდა, ჩერჩილს ცვალებადი საჯარო კარიერა ჰქონდა. იგი იყო გონებამახვილი, მომხიბლველი, ჭკვიანი, კამათის მოყვარული, საქმის მიმართ სკრუპულოზური და სიმამაცით გამორჩეული პიროვნება. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ასახავდა პოლიტიკური თავისუფლების მიმართ განუხრელ ერთგულებას. უფრო მეტიც, ყოველთვის, როდესაც თავისუფლებას საფრთხე ექმნებოდა, საჭირო დროს საჭირო ადგილზე ჩნდებოდა. 1930-იანი წლების წამყვან პოლიტიკურ ფიგურებს შორის ის თითქმის ერთადერთი იყო, რომელიც მუდმივად მიუთითებდა ნაცისტური გერმანიის საფრთხეზე. შეძლო რა ამ საფრთხეების გამოცნობა გამოაშკარავებამდე, ჩერჩილმა საკუთარი თავი იმ ეპოქის ყველაზე ალღოიან დამკვირვებლად წარმოაჩინა.

უინსტონ ჩერჩილი დაიბადა წარჩინებულ ინგლისურ ოჯახში, რომელიც სათავეს ჯონ ჩერჩილიდან, მალბროს პირველი ჰერცოგიდან იღებდა. მამამისი ინგლისის პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის გამორჩეული წევრი იყო, დედამისი კი ამერიკელი გახლდათ. თავად ის პარლამენტის წევრად აირჩიეს ოცდახუთი წლის ასაკში და თითქმის მაშინვე მოიპოვა ენამჭევრი და გულწრფელი პოლიტიკოსის რეპუტაცია. 1911 წელს იგი საადმირალოს პირველ ლორდად დაინიშნა და ეს პოსტი პირველი მსოფლიო ომის პირველ წლამდე ეკავა. 1915 წელს ჩერჩილი აიძულეს გადამდგარიყო თურქეთზე დარდანელის სრუტის გავლით საზღვაო-სახმელეთო შეტევის ჩაშლის გამო, რომელსაც იგი მხარს უჭერდა. ჩერჩილის პოლიტიკური პრესტიჟი წარმოუდგენლად დაეცა, თუმცა შეძლო ნდობის იმდენად აღდგენა, რომ 1917 წელს სამხედრო უზრუნველყოფის მინისტრად დაინიშნა.

1920-იან წლებში ჩერჩილი კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი იყო პარლამენტში და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის ხაზინის კანცლერის საპატიო თანამდებობაც ეკავა. მიუხედავად საჯარო სამსახურში დაგროვილი სოლიდური გამოცდილებისა, 1930-იანი წლების პოლიტიკაში მაინც პოლიტიკური განდეგილის სახით შევიდა — იგი გაუცხოვდა თავისი პარტიის ლიდერებისგან. მიუხედვად იმისა, რომ ძალაუფლება კონსერვატორებს ეკუთვნოდათ, იგი მთავრობიდან გარიცხეს, რის გამოც პარლამენტში იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ორმოცდათექვსმეტი წლის ასაკში ჩერჩილს თავისი პოლიტიკური კარიერის უდროო დასასრული ელოდა.

მაგრამ ჩერჩილს გარკვეული სახის ნათელმხილველობის უნარი ჰქონდა, რაც ასე იშვიათია პოლიტიკაში. მას შეეძლო ნათლად დაენახა მოვლენები მაშინ, როდესაც სხვები გზააბნეულები იყვნენ. ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის აღზევების დროიდან, ჩერჩილმა დაიწყო დასავლური დემოკრატიების გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის — გერმანიის სწრაფი შეიარაღების შესახებ, მიუთითებდა ასევე ბრიტანეთის თავდაცვისუნარიანობის შედარებით სისუსტეზე, განსაკუთრებით საჰაერო ძალების თვალსაზრისით. პოლიტიკური ამინდის შემქმნელმა ბევრმა პოლიტიკოსმა და კომენტატორმა სასაცილოდ აიგდო ჩერჩილი და პანიკიორი დაარქვა. მისი ბიოგრაფის სიტყვებით, ჩერჩილის ნათქვამი რჩებოდა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.[12]

სასოწარკვეთილების ეპოქაში უისტონ ჩერჩილის მიზანდასახულობამ და თავდაჯერებულობამ ბრიტანელი ერი შემდეგი სიტყვებით გააერთიანა: „არ უნდა მოვდუნდეთ და არც დავმარცხდეთ. ჩვენ მიზნამდე უნდა მივიდეთ... არასდროს დავნებდეთ“.

1930-იანი წლების ბოლოს, როგორც კი ჩერჩილის გაფრთხილებებმა ერის გამოღვიძება დაიწყო, მისთვის მაინც არ მოიძებნა ადგილი თავისი პარტიის კაბინეტში. მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდი ბრიტანეთი II მსოფლიო ომში ჩაება, ჩერჩილს სთხოვეს მთავრობაში დაბრუნება, ჯერ თავის პირვანდელ თანამდებობაზე (საადმირალოში), შემდეგ პრემიერის რანგში. მისი შთამაგონებელი სიტყვები და მაგალითი დამაჯერებელი იყო, ვინაიდან ბრიტანეთი ამ დროისთვის მარტო აღმოჩნდა „ღერძის ალიანსის“ [გერმანია, იტალია, იაპონია] პირისპირ, ჩერჩილის სიტყვებით “მარტო, მაგრამ კაცობრიობის ყოველი კეთილშობილი გულის ძგერით ზურგგამაგრებულმა, ჩვენ გამოვიწვიეთ ტირანი თავისი ტრიუმფის ჟამს“.[13]

ჩერჩილს ლიდერობის იშვიათი თვისებები ჰქონდა. მან კარგად იცოდა ადამიანური ბუნების ბნელი მხარეები და ამგვარად გათვალა ის საფრთხე, რასაც ჰიტლერი ცივილიზაციას უმზადებდა. იგი თამამად იცავდა თავის რწმენას და არ უფრთხოდა საზოგადოებრივ აზრს, თუნდაც საკუთარი პარტიიდან გარიყვის შიშით. მისი რიტორიკა შთამაგონებელი იყო ერისთვის სასიკვდილო საფრთხისა და უმოწყალო დაბომბვების დროს. მოვლენებმა დაადასტურა მისი მწარე სიმართლე მოახლოებული საშიშროების, ჰიტლერის ავისმომასწავებელი შეიარაღებისა და თავდაცვისთვის სასწრაფო მზადების აუცილებლობის შესახებ. მართალია, მისი გაფრთხილების (რომ კიდევ ერთი საშინელი ომი ახლოვდებოდა, თუ ბრიტანეთი არ შეეცდებოდა მის თავიდან აცილებას) მოსმენა ის თანამემამულეებს არ სურდათ, მაგრამ ჩერჩილს ეს არ აშინებდა, უფრო იმაზე ზრუნავდა, რა უნდა გაეგო მის ხალხს. ჩერჩილმა აჩვენა ლიდერობის ძალა, სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების განჭვრეტის უნარი კრიტიკულ დროს.

აბრაამ ლინკოლნი (1809-1865). ჩერჩილმა თავისი ერი საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ გააერთიანა, ლინკოლნმა კი ერი საკუთარი თავისგანვე იხსნა.

ლინკოლნის დროს ძირითადი საკითხი მონობა იყო. ჩერჩილმა შეძლო ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრის შეცვლა II მსოფლიო ომამდე, მაგრამ ლინკოლნს არ ჰქონდა არანაირი შესაძლებლობა, რომ დაერწმუნებინა სამხრეთელების უმრავლე-

სობა მონობის გაუქმების აუცილებლობაში. სამხრეთის ეკონომიკური დამოკიდებულება მონობაზე, ასევე ჩრდილოეთის რასობრივი სტერეოტიპები იმის წინაპირობას ქმნიდა, რომ მონობის დაუყოვნებლად გაუქმების მომხრე ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი ვერ იმსახურებდა ერთიანი სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ეს იყო ის კონტექსტი, რომელშიც აბრაამ ლინკოლნმა პრეზიდენტობისთვის ბრძოლა დაიწყო. 1860 წელს იგი პრეზიდენტად აირჩიეს.

ლინკოლნის პოლიტიკა ემყარებოდა ძირითად ზნეობრივ პრინციპებს და ღრმა პრაქტიკულ მოსაზრებებს. ზნეობრივი პრინციპი, რომელსაც იგი გამუდმებით იმეორებდა 1858 წელს სენატის არჩევნებში თავის ოპონენტ სტივენ დუგლასთან პაექრობისას, იმაში მდგომარეობდა, რომ მონობა პრინციპულად მცდარი იყო ყველგან და გამონაკლისის გარეშე. მონობის უსამართლო და უზნეო მოვლენად გამოცხადებით ლინკოლნი განზოგადებულ ფილოსოფიას კი არ ეფარებოდა, არამედ პირდაპირ მიანიშნებდა დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე, რომელშიც წერია: „ყველა ადამიანი თანასწორია“. ამგვარად, ლინკოლნისთვის მონობა ამერიკის პოლიტიკური წესრიგის ყველაზე ფუნდამენტური პრინციპის დარღვევა იყო.

ლინკოლნი იყენებდა უჩვეულოდ პრაქტიკულ მსჯელობას იმ პირობების შეფასებისას, რომელშიც მონობა შესაძლოა აღმოფხვრილიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. უპირველეს ყოვლისა, მას სწამდა, რომ კავშირი შტატებს შორის უნდა შენარჩუნებულიყო გეოგრაფიული ერთობის სახით, ისევე, როგორც უნდა მომხდარიყო მისი ერთიანობის დაცვა კონსტიტუციური დემოკრატიის ფარგლებში. მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ერთი, ცენტრალიზებული ხელისუფლების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი მონობის დასრულება (თუმცა, ეს გარდაუვალი არ იყო). შესაბამისად, კავშირის შესაძლო დაშლა ნიშნავდა მონობის გაურკვეველი ვადით გაგრძელებას, ყოველ შემთხვევაში, სამხრეთში მაინც.

პოლიტიკური თანასწორობის ლინკოლნისეული რწმენა და მისი მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ასეთი თანასწორობა მხოლოდ კავშირის შენარჩუნებით იქნებოდა შესაძლებელი, ხსნის იმ ნაბიჯებს, რომლებიც სამოქალაქო ომის წინ მის მიერ იქნა გადადგმული ან თავიდან აცილებული. მართალია, მას სწამდა, რომ მონობა ზნეობრივად გაუმართლებელი იყო, მაგრამ არ შემოუთავაზებია მისი დაუყოვნებლივ გაუქმება, რადგან იცოდა, რომ ასეთი შეთავაზება სამხრეთს გამოყოფისკენ უბიძგებდა და ამ რეგიონში მონობის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს. არც ჩრდილოელი აბოლიციონისტებისთვის [გამოყოფის მომხრეების — მთარგმნ. შენ.] დაუჭერია მხარი, რომლებიც კავშირშიდან გამოყოფვას ესწრებოდნენ იმ მოსაზრებით, რომ იგი მონობის საკითხს. და კიდევ, ლინკოლნი ხვდებოდა, რომ ასეთი პოლიტიკა მხოლოდ გაამყარებდა მონობას, რომლის აღმოფხვრაც მას ასე სურდა. საბოლოოდ, იგი უპირიპირდებოდა დუგლასის „სახალხო სუვერენიტეტის“ ფორმულას, რომლის მიხედვით ყველა ახალ შტატს დამოუკიდებლად შეეძლებოდა გადაეწყვიტა, მხარს უჭერდა მონობას თუ არა. მონობის საკითხი, ლინკოლნის რწმენით, ზედმეტად ფუნდამენტური იყო იმისთვის, რომ მისი გადაწყვეტა პოლიტიკური ბაზრის კაპრიზებისთვის მიენდო.

იმის მაგივრად, რომ რომელიმე ამ პოლიტიკას გაჰყოლოდა, ლინკოლნმა არჩია მონობის გავრცელებისთვის ბოლო მოეღო და მხოლოდ ის ახალი შტატები მიეღო კავშირში, სადაც მონობა არ იყო. ლინკოლნის აზრით, ეს მონობის საწინააღმდეგო ერთადერთი პოლიტიკა იყო, რომელიც შეიძლებოდა მიეღო საზოგადოებას. მისი სტრატეგიის ძირითადი ელემენტები მოთმინება და უდრეკობა იყო. მისი გეგმის მიღე-

ბა აუცილებლად ბოლოს მოუღებდა მონობას მთელს კავშირში, როგორც კი მონათმფლობელური შტატების წონა და კანონმდებლობითი ძალა დროთა განმავლობაში შემცირდებოდა კავშირში ახალი, მონობისაგან თავისუფალი შტატების მიღებით.

როდესაც ცხადი გახდა, რომ ლინკოლნის პოლიტიკა ვერ გაიმარჯვებდა, მან მიიღო სამოქალაქო ომის ალბათობა, როგორც გარდუვალობა. და მაინც, კონფლიქტის განმავლობაში შექმნილი პირობების კვალობაზე მისი პოზიცია მონობის საკითხთან დაკავშირებით იცვლებოდა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, როდესაც ბრძოლები კავშირისთვის არასახარბიელოდ წარიმართა და ომის ბედი კავშირში დარჩენილ მონათმფლობელურ შტატებზე იყო დამოკიდებული, ლინკოლნმა შეარბილა მონობის საკითხზე ზეწოლა. რაკი კავშირის გადარჩენა უპირველეს ამოცანად რჩებოდა, ჩრდილოეთს სამხედრო გამარჯვებები ესაჭიროებოდა და არა განცხადებები. მას ასევე სწამდა, რომ კავშირი ვერ გადარჩებოდა, თუკი იგი „ნახევრად თავისუფალი და ნახევრად მონათმფლობელური“ დარჩებოდა. ლინკოლნის მიერ სამოქალაქო ომის მხარდაჭერის მიზეზი პარადოქსული იყო — კავშირის იმ სახით გადარჩენა, როგორც დამფუძნებელ მამებს ჰქონდათ ჩაფიქრებული.

როგორც სამოქალაქო ომამდე, ისე მის შემდეგ, ლინკოლნის პოლიტიკა მიმართული იყო მაქსიმალური საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევაზე საყოველთაო თანხმობის პირობებში. როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, მან თავისი ლეგიტიმური ძალაუფლების მაქსიმუმი გამოიყენა (და, ზოგის აზრით, გადააჭარბა კიდეც). ისევე როგორც მშვიდობიანობის დროს კავშირის შენარჩუნებაზე მიმართულ კომპრომისს არ შეურყევია მისი ძირითადი მიზანი, ასევე არც მისი ზნეობრივი სახე არ შერყვნილა ომის დროინდელი დიქტატორული ძალაუფლებით. ყველა ამ მიზეზის გამო ლინკოლნი სანიმუშო ლიდერია, რომლის მკაცრი ქმედებები და გადაწყვეტილებები მხოლოდ საშუალება იყო ომის დროს კავშირის გადარჩენისთვის.

ანვარ ალ-სადათი (1918-1981). ახლო აღმოსავლეთი დიდი ხანია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური და ძალადობით აღსავსე ტერიტორიაა. 1993 წლის ბოლოს ისრაელის პრემიერმა იცხაკ რაბინმა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა იასირ არაფატმა, ერთმანეთის დაუძინებელმა მტრებმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც პალესტინელებს შეზღუდული ავტონომია მიეცათ ისრაელის მიერ ოკუპირებულ მდ. იორდანეს დასავლეთის სანაპიროსა და ღაზას სექტორში. ეს შეთანხმება პოტენციურად მშვიდობისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იყო, მაგრამ არა პირველი ნაბიჯი. მშვიდობის დამყარების პრეცედენტის პოლიტიკური შემოქმედი ანვარ ალ-სადათი იყო.

სადათი ეგვიპტის პრეზიდენტი 1970 წელს გახდა და ეს პოსტი მკვლელობამდე აღსასრულამდე, 1981 წლამდე ეჭირა. მან ეგვიპტის ხელმძღვანელის პოსტზე გამალ აბდელ ნასერი შეცვალა, რომელიც არაბული სამყაროს და II მსოფლიო ომის შემდგომი ანტიკოლონიური მოძრაობის აღიარებული ლიდერი იყო. ნასერი ავტოკრატი მმართველი იყო, რომელიც რკინის ხელით მართავდა ეგვიპტეს და ეწინააღმდეგებოდა ისრაელის სახელმწიფოს არსებობას. ეგვიპტის კონსტიტუციის თანახმად, ნასერის მკვლელობის შემდეგ სადათს, როგორც ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტს, მთავრობისთვის დროებით, სამოცი დღით უნდა ეხელმძღვანელა, სანამ ეროვნული ასამბლეა პრეზიდენტის შემცვლელს არ აირჩევდა. გარკვეული ირონიის შემცველია ის ფაქტორი, რომ ეგვიპტის საკანონმდებლო ორგანომ სადათი ნასერის კურსის განუხრელ მიმდევრად ჩათვალა და პრეზიდენტის პოსტზე იგი დაამტკიცა.

რა თქმა უნდა, სადათისგან სხვა მოლოდინის საფუძველი არც არსებობდა, ვინაიდან თავისი ადრინდელი პოლიტიკური ცხოვრება მან დიდი ბრიტანეთისგან ეგვიპტის დამოუკიდებლობის დაცვას მიუძღვნა. II მსოფლიო ომის დროს მისი ანტიბრიტანული ქმედებები გერმანელებთან კავშირში გამოიხატებოდა. ამის გამო სადათმა ორი წელი საპატიმრო ბანაკშიც კი გაატარა. მოგვიანებით, მას კიდევ ემუქრებოდა 3-წლიანი პატიმრობის საფრთხე (1946-1949) ბრიტანელი ჩინოსანის მკვლელობის ბრალდებით. იმ ნაციონალისტური სტრატეგიის ჩარჩოებში, რომელიც ეგვიპტეში არსებულ ანტიბრიტანულ განწყობებს ეფუძნებოდა, სადათი და ნასერი თანამოაზრეები იყვნენ. სწორედ სადათმა გამოაცხადა საჯაროდ ეგვიპტური მონარქიის დამხობა და ნასერის ხელმძღვანელობით ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსება 1952 წლის ივლისში.

ამ ისტორიის გათვალისწინებით წარმოუდგენელი იყო, რომ პრეზიდენტი სადათი ნასერის პოლიტიკას არ გაჰყოლოდა. როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, მოლოდინი არ გამართლდა. 1971 წელს იგი არაბული რესპუბლიკების ფედერაციის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო, რომელშიც ეგვიპტე, ლიბია და სირია ერთიანდებოდა. ეს მოვლენა არაბული სამყაროს გაერთიანების ნასერისეული პოლიტიკით იყო მოტივირებული. მალე აღმოჩნდა, რომ ფედერაცია წარუმატებელი პროექტი იყო მაგრამ არა სადათის დამსახურებისა თუ სურვილის გამო.

1973 წელს სადათმა ეგვიპტე ისრაელთან ომში ჩააბა. მართალია, ეგვიპტე ომში დამარცხდა, მაგრამ სადათმა ყურადღება გაამახვილა მისი არმიის მიერ გადამწყვეტი ბრძოლის მოგებაზე — მისი აზრით, ამ გამარჯვებამ აღადგინა ეგვიპტის ეროვნული ღირსება.

ომის შემდეგ სადათის მებრძოლი არაბი ნაციონალისტის პოზიცია მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ერთგულებით შეიცვალა. ეს გარდაქმნა იმით დასრულდა, რომ სადათმა გაუგონარი პრეცედენტი დაუშვა: იგი სახელმწიფო ვიზიტით ეწვია ისრაელს, სადაც შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ქნესეთში (ისრაელის პარლამენტი) 1977 წლის 20 ნოემბერს. თავად სიტყვაზე უფრო მნიშვნელოვანი და სიმბოლური იყო მისი ოფიციალური ვიზიტი ისრაელში. ამით ეგვიპტე პირველი არაბული ქვეყანა გახდა, რომელმაც ისრაელი, როგორც სუვერენული სახელმწიფო აღიარა.

სადათის მიერ ასე დრამატულად წარმართულმა მოლაპარაკებებმა შემდეგ წელს გზა გაკვალა კემპ-დევიდის მოლაპარაკებებისკენ. ეგვიპტესა და ისრაელს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ კემპ-დევიდში (მერილენდის შტატი), რამაც განაპირობა ისრაელის გასვლა ოკუპირებული სინას ნახევარკუნძულიდან, გააოცა უცხოელი დამკვირვებლები და არაბული სამყარო. სადათს მოუხდა სხვა არაბი ლიდერების მწვავე შეტევების მოგერიება, რომლებიც მას პალესტინის საქმის ღალატში ადანაშაულებდნენ. არაბებისთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა გარე დამკვირვებლისთვის, სადათის თამამი ნაბიჯები ხანგრძლივი ისრაულ-არაბული მშვიდობისაკენ მოულოდნელი იყო იმდენად, რამდენადაც უპრეცედენტო.

რატომ გადადგა სადათმა ეს უჩვეულო ნაბიჯი? ზოგი ექსპერტი ვარაუდობს, რომ სადათი აცნობიერებდა იმ გარემობებს, რომ მისი გაღარიბებული, მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ვერ გაუძლებდა ისრაელთან მუდმივ ომს. სხვები ფიქრობენ, რომ ისრაელმა დაზვერვის ინფორმაცია მიაწოდა ეგვიპტეს მის მიმართ უფრო და უფრო მტრულად განწყობილი მეზობლის – ლიბიის ქმედებების შესახებ. დაბოლოს, გავრცელებული აზრით, სადათი პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი იყო, რომელიც ხვდებოდა, რომ ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჯერ კიდევ 1967 წელს დაკარგული სინას ნახევარკუნძულის დაბრუნება.

მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა – ყველა ამ ფაქტორს ალბათ შეეძლო ჩამოეყალიბებინა სადათის გათვლები, მაინც არაა ცხადი სამშვიდობო პოლიტიკის იმ ღონისძიებების ინტენსიურობა და მასშტაბები, რაც სადათმა განახორციელა და რისთვისაც საკუთარ თავზე უამრავი პირადი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო. მან კარგად იცოდა, რომ თავისი ქმედებებით არაბული სამყაროსა და საკუთარი მოქალაქეების უმეტესობისგან გაუცხოება მოუწევდა. როგორც ჩანს, სწორედ ისევე, როგორც ახალგაზრდა სადათი თავისუფალი და დამოუკდიებელი ეგვიპტის იდეალს მიჰყვებოდა (რომლის ხორცშესხმაში უზარმაზარი წვლილი სწორედ მას მიუძღოდა), ასაკოვან სადათს აშკარად უფრო კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებდა. როგორც თავად განაცხადა კემპ-დევიდის შეთანხმებების ხელმოწერისას:

> დაე, აღარ იყოს ომები და სისხლისღვრა არაბებსა და ებრაელებს შორის; დაე, აღარ იყოს ჩაგვრა და უფლებების შელახვა; დაე, აღარ იყოს სასოწარკვეთა და რწმენის დაკარგვა; დაე, არც ერთ დედას არ მოუწიოს შვილის დაკარგვის გამო გლოვა; დაე, არც ერთ ახალგაზრდა კაცს არ მოუწიოს თავისი სიცოცხლის უაზროდ დაკარგვა კონფლიქტში, რომელშიც არ არიან გამარჯვებულები. მოდით, ერთად ვიმუშავოთ, სანამ არ მოვა დღე, როდესაც ხმლებს სახნავებად და ისრებს ნამგლებად გადააკეთებენ.[14]

რეგიონში სიძულვილის, რელიგიური ფანატიზმისა და მუდმივი ომიანობის შეწყვეტა, რაც აქამდე, დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრების წესი იყო, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი შენების დიად აქტად შეიძლება ჩაითვალოს. შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამკვიდრების მცდელობა უკვდავებაზე სადათის პიროვნული განაცხადი იყო. არავინ იცის, იცოდა თუ არა მან ალექსანდერ ჰამილტონის შეხედულებები ლიდერობის შესახებ, მაგრამ თავისი ქმედებებით სადათმა გაამართლა ჰამილტონის დაკვირვება, რომ დიდების სიყვარული ისტორიის ყველაზე გამორჩეული ლიდერების „მმართველი გრძნობაა“.

ლინკოლნის მსგავსად სადათიც ერთ-ერთმა მისმა თანამემამულემ მოკლა. უცნაურია, მაგრამ ხშირად ასეთია ისტორიის უდიდეს მშვიდობისმყოფელთა ბედი (XX საუკუნის არაძალადობრივი ბრძოლის მოქადაგე მაჰათმა განდიც მოკლეს). მართალია, ხანგრძლივი მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში ვერ დამყარდა, მაგრამ ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება ორ ათწლეულზე მეტხანს გრძელდება, რაც ანვარ ალ-სადათის პირად სიბრძნესა და გამბედაობაზე დაფუძნებულმა სამშვიდობო შეთანხმებამ მოიტანა.

ლიდერობის დაკნინება?

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს პოლიტიკური ლიდერობის შესახებ თავში გამორჩეულ ლიდერებზე ესოდენ დიდი ყურადღების გამახვილება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამერიკულ პოლიტიკაში კარგად ცნობილი გამონათქვამი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მოღვაწე სხვა არავინაა, თუ არა დიდი ხნის წინ გარდაცვლილი პოლიტიკოსი. იმ წინასწარმეტყველისა არ იყოს, რომელიც თავის ქვეყანაში დაფასებული არ იყო, ჭეშმარიტ ლიდერებს ხშირად არ აფასებენ თანამედროვენი. ასეთ მმართველებს, როგორც წესი, საკმარისი დროის გასვლის შემდეგ აღიარებენ,

როდესაც მათი შორსმჭვრეტელური პოლიტიკის პრაქტიკული შედეგები ყველასათვის თვალსაჩინო ხდება.

და მაინც, ეპოქაში, როდესაც პოლიტიკური ლიდერები სკანდალებით არიან მოცულნი და მათი წინადადებები და პოლიტიკა ასახავს მხოლოდ ფოკუს-ჯგუფებისა და საგანგებოდ დაკვეთილი გამოკითხვების შედეგებს, გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერობა თითქოს შორეულ იდეალად რჩება. აქ არსებობს უშუალოდ თანამედროვეობით განპირობებული სხვა მიზეზი, რის გამოც ამ ტიპის ლიდერობა ასე დაუფასებელია ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში: მისი არსებობა, და შესაძლებლობაც კი, ეჭვს იწვევს. რადგან ამერიკის მოქალაქე დიდი ეჭვით უყურებს ნებისმიერი არჩეული საჯარო მოხელის საჯარო განცხადებებს (ხშირ შემთხვევაში ცდილობს ამოიცნოს ღრმად დამალული პირადი ინტერესები და პოლიტიკური მოტივები, რაც მართლაც ზედაპირის მიღმა იმალება), ამიტომ ფიქრობს, რომ განსაკუთრებული ლიდერები მხოლოდ ძველი დროის ძალიან ჭკვიანი და წარმატებული პოლიტიკოსები არიან. აღსანიშნავია, რომ თუკი 1934 წელს გამოცემული სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედია მოიცავდა ბრიტანელი მკვლევარის მოკლე, მაგრამ მწვავე ესეს პოლიტიკური ლიდერობის შესახებ, უფრო თანამედროვე გამოცემა გულგრილად მოიხსენიებს სახელმწიფო მოღვაწეობის ნებისმიერ ასპექტს პოლიტიკური აზროვნების კატეგორიაში.

ამასთან, პოლიტიკური გონიერების იდეის გადაფასება ასევე ასახავს იმ დამოკიდებულებას, რა მცირე მნიშვნელობა აქვს გამორჩეულობას ეგალიტარულ ეპოქაში.[15] რაკი თანამდეროვე დემოკრატიები ათვალწუნებით უყურებენ ყველა სოციალურ და ეკონომიკურ განსხვავებას, ნაკლებად მოდური ხდება იმის აღიარება, რომ ვინმე შეიძლება გამოირჩეოდეს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრია იქ, სადაც პოლიტიკა პროფესიად მოიაზრება.

აზროვნების ამ ჩარჩოებიდან გამომდინარეობს თანამედროვეობის სწრაფვა გააცამტვეროს სანიმუშო და ბრძნული ლიდერობის იდეა. ამ მიდგომის მომხრეთათვის ისტორიის მამოძრავებელი ძალები გაურკვეველი ისტორიული დეტერმინანტები და ვიწრო კერძო ინტერესებია და არა თავისუფალი ნება. მათთვის გულუბრყვილობაა იმის დაჯერება, რომ ზოგი ლიდერი მართლა ზრუნავს საზოგადო სიკეთეზე. ასეთი ცინიკური მიდგომა მსოფლიო ისტორიის გამორჩეული ლიდერების რადიკალურად შეზღუდულ ხედვას იძლევა. აქედან გამომდინარეობს, რომ „ძველი ისტორიები მეფეებისა და მხედართმთავრების შესახებ, რომლებსაც ჩვენი წინაპრები შეცდომით და სულელურად გმირებად აღიქვამდნენ... ჭკვიანი მანიპულატორების დიდების პანთეონით უნდა შეიცვალოს“.[16]

პოლიტიკური მიღწევების მიმართ ასეთი მზარდი ანტიპათიის ყველაზე სერიოზული შედეგი ისაა, რომ იგი პოლიტიკურ ცხოვრებას ნაკლებად მიმზიდველს ხდის უნარიანი და პატიოსანი პიროვნებებისთვის, რომლებსაც შესაძლოა, ერჩიათ საზოგადო და არა კერძო ინტერესების სამსახურში გამოეჩინათ თავი. დემოკრატიულ საზოგადოებას საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებაც შეუძლია იმით, რომ საჯარო მოხელეებს ჯეროვან პატივს არ მიაგებს. ის ყოვლისმომცველი რწმენა, რომ ყველგან მხოლოდ კორუმპირებული და საშუალო უნარის მქონე პოლიტიკოსები არიან, შეიძლება თვითრეალიზებადი ავი წინასწარმეტყველება აღმოჩნდეს და სწორედ ასეთმა პიროვნებებმა დაიკავონ საჯარო თანამდებობები.

დემაგოგები

გულწრფელი და მაღალი ზნეობრივი პრინციპების მქონე, მაგრამ შეცდომაში შეყვანილი ნევილ ჩემბერლენისგან [ბრიტანელი პოლიტიკოსი, პრემიერ-მინისტრი 1937-1940] განსხვავებით, ადოლფ ჰიტლერი ოპორტუნისტი ლიდერი იყო და პოლიტიკოსების ყველაზე საშიშ ტიპს, დემაგოგებს განეკუთვნებოდა. თავდაპირველი გაგებით, ძველ საბერძნეთში დემაგოგი იყო ლიდერი, რომელიც ჩვეულებრივი ხალხის საქმისთვის იღვწოდა. დღეისთვის დემაგოგს უწოდებენ ისეთი ლიდერს, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისთვის ხალხის რწმენის ექსპლუატაციას ეწევა, აყალბებს სიმართლეს და ცრუ დაპირებებს იძლევა. ზოგადად, დემაგოგი ითავსებს შეუზღუდავ პირად ამბიციას, მოუზომავ მეთოდებსა და ფართო სახალხო მიმზიდველობას.

თუკი ჭეშმარიტი ლიდერები იდეალს წარმოადგენენ, დემაგოგები რყვნიან როგორც ჭეშმარიტების, ისე ლიდერობის არსს. გამორჩეული ლიდერები ცდილობენ სამართლიანობისა და საზოგადო სიკეთის დამკვიდრებას, დემაგოგები კი ასეთი ღირებულებებისთვის მხოლოდ იმდენად იღვწიან, რამდენადაც ეს მათ საშუალებას მისცემს მოიპოვონ საკუთარი პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად საჭირო უზომო ძალაუფლება, რაც სწორედ საზოგადოებრივი ინტერესების ხარჯზე ხდება.

დემაგოგები უწინარესად დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩნდებიან, სადაც ხალხის მხარდაჭერის მოპოვება აუცილებელია უმაღლესი თანამდებობების დასაკავებლად. დიდი დემოკრატი ლიდერებისგან განსხვავებით, დემაგოგებს საზოგადოება იშვიათად თუ იმახსოვრებს მათი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. ზოგ შემთხვევაში ისინი წარუშლელ კვალს ტოვებენ, რაც მათი სიდიადის კი არა, პირიქით, მათივე სამარცხვინო საქმიანობის შედეგია.

ამერიკის პოლიტიკურ ისტორიაში მრავლადაა დემაგოგების აღზევებისა და დაცემის მაგალითები. ზოგი მათგანის საქმიანობას მხოლოდ ვიწრო ლოკალური გავლენა ჰქონდა, ზოგისა კი მთელ ერს შეეხო. ყოველი მათგანი საზოგადოების მეხსიერებაში ზიზღის გრძნობითაა შემონახული.

თეოდორ ბილბო (1877-1947). ბილბო მისისიპის პოლიტიკაში წამყვანი ფიგურა იყო 1920-1940-იან წლებში, როგორც შტატის გუბერნატორი და შემდეგ სენატორი. ის ერთნაირად სასტიკი იყო როგორც შავკანიანების, ისე თავისი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. მისი რიტორიკა მრავალფეროვანი და შეურაცმყოფელი იყო. ერთ-ერთი პოლიტიკური კამპანიის დროს მან თავის ოპონენტს „აფთარისა და მაწანწალა ძაღლის ნაჯვარი... საფლავში შუაღამით ნაშობი, ღორის გამოზრდილი და სულელის მიერ აღზრდილი“[17] უწოდა. მართალია, ბილბოს თეთრკანიანთა უპირატესობისა და ენის პოლიტიკამ ბევრი მისისიპელის გული მოიგო, თუმცა ყველაში ერთნაირი აღფრთოვანება არ გამოუწვევია. მისი პოლიტიკური მოკავშირეებიც კი ბილბოს საკუთარი ინტერესების გამტარებელ მანიპულატორად აღიქვამდნენ.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით „შტატის სენატმა 1911 წელს, ბილბო საკანონმდებლო ორგანოში წესიერ და პატიოსან ადამიანებთან ერთად ჯდომისთვის შეუფერებელ პიროვნებად გამოაცხადა, მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა უფრო მწვავედაც დაახასიათა: „პატარა მოხერხებული ნაბიჭვარი“[18]. ერთ-ერთი გზეთის რედაქტორის თვალში ბილბო იყო ადამიანი, რომელიც „არ იღწვოდა არაფ-

რისთვის, რაც ამაღლებული ან კონსტრუქციულია... არაფრისთვის, რაც ვნების, ცრურწმენისა და სიძულვილისგან გვიცავს... არაფრისთვის, რაც ღირებულია".[19]

ჰიუ ლონგი (1893-1935). თეოდორ ბილბო იოლად გაექცა ამერიკელ ისტორიკოსთა უმეტესობის ყურადღებას, ჰიუი ლონგი კი, მისისიპის მეზობელ შტატ ლუიზიანაში მოღვაწე პოლიტიკოსი, ვერა. ჰიუი ლონგი, რომელიც თავისი კეიჯუნელი [კეიჯუნელები — ფრანკოფონური ეთნოსი, რომელიც ლუიზიანას შტატში ცხოვრობს. მთარგმნ. შენ.] ამომრჩევლებისთვის, ცნობილი იყო როგორც *კინგფიში* [მეფე-თევზი — ეს ზედმეტსახელი ლონგმა თვითონ დაირქვა. მთარგმნ. შენ.*]*, გაცილებით უფრო ამბიციური გახლდათ, ვიდრე ბილბო. იგი მდაბიო წარმომავლობის იყო, დაასრულა სამწლიანი სამართლის კურსი თულეინის უნივერსიტეტში, ჩააბარა სპეციალური გამოცდა ლუიზიანას უმაღლეს სასამართლოში და ოცდაერთი წლის ასაკში ლიცენზირებული ადვოკატი გახდა. მისივე სიტყვებით, ის „სასამართლო დარბაზიდან იმისთვის გამოვიდა, რომ თანამდებობისთვის ებრძოლა".[20] სამი წლის შემდეგ ლონგი შტატის რკინიგზის რწმუნებულად აირჩიეს, 1928 წელს კი ლუიზიანას გუბერნატორიც გახდა.

ჰიუი ლონგი გუბერნატორობის ოთხი წლის განმავლობაში (1928-1932), ასევე სენატორობის დროსაც ლუიზიანას რკინის ხელით მართავდა, სანამ არ მოკლეს 1935 წელს. როგორც გუბერნატორი, ლონგი შტატის პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტს მართავდა. მცველებითა და პოლიტიკური მანქანით გარემოცული, შტატის პოლიციას და მილიციას (სახალხო ლაშქრის) ის ამომრჩევლების დასაშინებლად იყენებდა, საკადრო პოლიტიკაში ხელმძღვანელობდა პატრონაჟისა და ფავორიტიზმის პრინციპებით, შექმნა შტატის საგამომცემლო ორგანო, რათა ხელი შეეშალა დამოუკიდებელი და მის მიმართ ოპოზიციური პრესისთვის, ადამიანის გატაცების ბრძანება გასცა არჩევნების წინა დღეს, რათა თავიდან აეცილებინა გართულებები, და საერთოდ, იგი უფრო დესპოტი მმართველივით იქცეოდა, ვიდრე შტატის დემოკრატიულად არჩეული გუბერნატორის საკადრისად. მისი ავტორიტარული მმართველობის პერიოდში

> „ადამიანები შეიძლება ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც დაპატიმრებული ამოუცნობი პირების, მისი საიდუმლო პოლიციის წევრების მიერ. მათ არ ჰქონდათ გარე სამყაროსთან ურთიერთობის საშუალება, აწამებდნენ და შეთითხნილ ბრალდებებით სცნობდნენ დამნაშავეებად. შტატის უმაღლესი სასამართლოს წევრთა უმეტესობა ურცხვად მისი მომხრე გახდა... მკვლელმა, რომელმაც წინასწარგანზრახული მკვლელობა ჩაიდინა — თავი გაუხეთქა ლონგის ოპონენტს — სასამართლოში ჯიბიდან შეწყალების წინასწარ ხელმოწერილი საბუთი ამოიღო".[21]

ამ შემთხვევებისა და ფუფუნების მიმართ სწრაფვის მიუხედავად, ლონგი ყოველთვის ცდილობდა ეზრუნა საკუთარი თავის „უბრალო ბიჭად" წარმოჩენაზე. მისი აზრით, ჭეშმარიტი ბოროტმოქმედები მდიდარი კორპორაციები იყვნენ, მაგალითად, *სტანდარდ ოილი*, რომლებიც უბრალო ადამიანებს აღარიბებდნენ და მხოლოდ კომპანიის რამდენიმე მოხელეს ამდიდრებდნენ.

დიდი ბიზნესის მიერ ხალხის სავარაუდო ძარცვისთვის „ხელშესაშლელად" და 1936 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ფართო სახალხო მხარდაჭერის მობი-

ჰიუ ლონგი (1893-1935) ლუიზიანას გახმაურებული გუბერნატორი, ხოლო მოგვიანებით შეერთებული შტატების სენატორი, შტატის მძლავრი პოლიტიკური მანქანის დემაგოგიური კონტროლის მაგალითია. პოპულისტის ნიღბით ლონგმა ძალაუფლების მოპოვება ამომრჩეველთათვის იმედის შეთავაზებით შეძლო.

ლიზებისათვის ლონგმა შეიმუშავა უტოპიური, მაგრამ პოპულარული პროგრამა „გაანაწილე სიმდიდრე". ეს პროგრამა დიდი დეპრესიით დაზარალებული ადამიანების გრძნობებსა და გაჭირვებაზე იყო გათვლილი და მორგებული. ლონგის პროგრამა გულისხმობდა სიმდიდრის ზღვარის განსაზღვრას, საზღვრავდა მინიმალურ და მაქსიმალურ შემოსავალს, გულისხმობდა გრანტების საშუალებით დახმარების გაწევას ყველა ფერმერის ოჯახისთვის, უფასო უმაღლეს განათლებას, დანამატებს ვეტერანებისთვის და პენსიებს ასაკოვანი ადამიანებისთვის, ასევე ჰპირდებოდა ამომრჩეველს რადიოების, ავტომობილებისა და საკვების სუბსიდირებას სახელმწიფო შესყიდვების ხარჯზე. რამდენადაც არარეალისტური და არაპრაქტიკული უნდა იყოს ეს პროგრამები, საგულისხმოა, რომ ადამიანებს, რომლებსაც ჰიუი ლონგი მიმართავდა, ამ თვალსაზრისით ეჭვი და კითხვა არ გასჩენიათ. მათ სჭირდებოდათ ვინმე, ვისი რწმენაც ექნებოდათ.

სხვა დემაგოგების მსგავსად, ლონგმა ძალაუფლება უიმედოთათვის იმედის მიცემით მოიპოვა. დემაგოგები ძირითადად ამტკიცებენ, რომ დაამარცხებენ ბოროტ ძალებს, რომელთა ბრალიც არის ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა. რა თქმა უნდა, ეს ძალები, ბილბოს შემთხვევაში შავკანიანები და ლონგის შემთხვევაში კორპორაციები, სინამდვილეში არ ფლობენ ისეთ ძალას, რომ ხალხის ბედი განსაზღვრონ. როგორც კი წარმოიდგენენ, რომ უბრალო ხალხის მტრებს ებრძვიან, ისინი თავად იხიბლებიან ამით. დემაგოგებს ხშირად ჰქონიათ იმის შესაძლებლობა, რომ მოულოდნელი ფართო მხარდაჭერა და პოპულარობა მიეღოთ საკუთარი უკანონო მიზნების განსახორციელებლად.

ჯოზეფ მაკკარტი (1908-1957). 1950-იანი წლების განმავლობაში არაფრით გამორჩეულმა პოლიტიკოსმა ვისკონსინიდან, ჯოზეფ მაკკარტიმ, გამოააშკარავა დემონი, ამერიკელი ხალხის უდიდესი მტერი და შემდეგ გამუდმებით ცდილობდა ამ ბოროტი ძალის კვალის პოვნას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

რესპუბლიკელმა სენატორმა მაკკარტიმ საყოველთაო ყურადღება იმით მიიპყრო, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში მოკალათებული კომუნისტების შოკის მომგვრელი „მხილება“ მოახდინა. დაახლოებით ოთხი წლის განმავლობაში ის ღალატის ბრალდებით ადანაშაულებდა საჯარო მოხელეების ფართო სპექტრს, კოლეჯის პროფესორებსა და ჰოლივუდის ვარსკვლავებს. იყენებდა რა თავის მდგომარეობას, საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელობას სენატში, მაკკარტი აშანტაჟებდა, აშინებდა და ღირსებას ულახავდა უამრავ ადამიანს მთავრობაში და მის გარეთ. რაკი მისი ბრალდებები შიშის ატმოსფეროს ქმნიდა, სახელმწიფოში მისი ძალაუფლებაც იზრდებოდა და ვინც მას წინააღმდეგობას უწევდა, ამას საკუთარი მდგომარეობის რისკის ფასად აკეთებდა.

1954 წელს მაკკარტიმ ჯორჯ მარშალი (ყოფილი სახელმწიფო და თავდაცვის მდივანი) უცხოეთის ჯაშუშური ქსელის მოქმედების შესახებ ინფორმაციის დამალვაში დაადანაშაულა. ეს ბრალდებები გენერალ ჯორჯ მარშალის, პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის შემდეგ შესაძლოა ამერიკაში ყველაზე პატივსაცემი საჯარო პირის წინააღმდეგ წაყენებულ სხვა ინსინუაციებთან ერთად, გარდატეხის წერტილად იქცა. მაკკარტიმ ძალიან შორს შეტოპა. ირონიულია, რომ მისი უპასუხისმგებლო ბრალდებები და მოუხეშავი მეთოდები სენატის გამოძიების საგანი გახდა. ამ საკითხზე სენატში გამართული მოსმენები გადაიცემოდა რადიოთი და შუქდებოდა ტელევიზიით, ეს თემა ყველა მნიშვნელოვანი გაზეთის პირველ გვერდებზე იბეჭდებოდა. საბოლოოდ, მაკკარტი ისევე სწრაფად მიეცა დავიწყებას, როგორ სწრაფადაც შემოიჭრა ქვეყნის ყურადღების ცენტრში.

პოლიტიკოსები

დემოკრატიულ სახელმწიფოთა მოქალაქეები ხშირად დამამცირებლად მოიხსენიებენ პოლიტიკოსებს ისე, რომ არ ითვალისწინებენ როგორები არიან ისინი სინამდვილეში. პოლიტიკოსები არიან ადამიანები, რომელთა უპირველესი (მაგრამ არა ერთადერთი) მიზანი არჩევითი თანამდებობის მოპოვება და შენარჩუნებაა; ისინი თავიანთ ამომრჩევლებს წარმოადგენენ, აკეთებენ იმას, რასაც საჭიროდ ან სწორად თვლიან (ან აკეთებენ იმას, რაც იოლად გაუვათ) და სწორედ ამისთვის სჭირდებათ პოლიტიკური ძალაუფლება. პოლიტიკოსებს მნიშვნელობა აქვთ იმდენად, რამდენადაც მათი არსებობა მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებშია შესაძლებელი.

პოლიტიკოსებს ისევე, როგორც ნებისმიერი თანამდებობის მქონე პირთა უმეტესობას, არც დიადი ხედვები აქვთ, არც განსაკუთრებული უნარები. დღიდან დღემდე ისინი თავიანთი შესაძლებლოების მაქსიმუმს აკეთებენ იმ შეზღუდვების პირობებში, რომლებშიც მათ მოქმედება უწევთ. ყოველთვის, როდესაც მათ კარგი საქმის გაკეთება სურთ, სირთულეს ქმნის მორალური და ეთიკური საკითხების ცალსახად დაცვა. უფრო მეტ სირთულეს კი ის ქმნის, რომ თავზე პოლიტიკური რისკის აღება უწევთ. ზოგადად ისინი კორუმპირებულნი არ არიან, მაგრამ ხშირად კორუფციისადმი მიდრეკილებას ამჟღავნებენ. ისინი ადამიანების უმეტეს ნაწილზე არც უკეთესები არიან და არც უარესები — ისინი ჩვეულებრივები არიან.

პრობლემა მაშინ წარმოიშობა, როდესაც მოქალაქეებს განსაკუთრებული ლიდერის მოთხოვნილება უჩნდებათ. დემოკრატიებში პოლიტიკოსებს ურთერთსაწინააღმდეგო მოლოდინებს შორის ლავირება უწევთ. მათგან მოელიან იმას, რომ

ისეთივე ჩვეულებრივები იყვნენ, როგორც რიგითი მოქალაქეები; ამავდროულად, მათგან თავიანთი მოვალეობებისა და ქვეყნისადმი უჩვეულო თავდადების გამომჟღავნებას მოითხოვენ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სავარაუდო ლიდერი მარადიული კითხვის წინაშე დგას: იმოქმედოს, როგორც თავისი ამომრჩევლების დელეგატმა და აღასრულოს მათი სურვილები, თუ იმოქმედოს, როგორც ნდობით აღჭურვილმა პირმა და დამოუკიდებლად იმსჯელოს ხალხის სახელით. თავად პოლიტიკური სისტემა მოითხოვს არჩეული წარმომადგენლებისგან, იყვნენ გულისხმიერნი, თუკი მათ სურთ კვლავაც აირჩიონ. მაგრამ ჭეშმარიტი ლიდერები არ მიჰყვებიან მასას, ისინი მას წინ მიუძღვიან და სწორედ ამაშია პოლიტიკოსობის დილემა.

კანონმდებელი, რიგითი დელეგატი

ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც შეერთებული შტატებია, რომ არაფერი ვთქვათ ინდოეთზე, შეუძლებელია ცალკე აღებულმა ინდივიდმა თავად უზრუნველყოს საკუთარი ინტერესების წარმოდგენა და დაცვა. სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანო ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელების ძირითადი მექანიზმია, რადგან ისაა ხელისუფლების შტოებს შორის ყველაზე წარმომადგენლობითი ინსტიტუტი. ***წარმომადგენლობის დელეგაციური თეორიის*** მიხედვით საკანონმდებლო ორგანო"წარმომადგენლობითია მაშინ, როდესაც მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმის ყველა ელემენტს შესაბამისი პროპორციით მოიცავს. ეს ჩვენი ანარეკლია, ჩვენი მიკროკოსმოსი".[22]

წარმომადგენლობითი დემოკრატიის ამ მოდელში არჩეული წარმომადგენლები ვალდებულნი არიან იმოქმედონ როგორც დარიგებულმა დელეგატებმა. ამ თეორიის მიხედვით წარმომადგენელი საზოგადოებრივი აზრის მატარებელია, აქედან გამომდინარე, ამომრჩევლები ქირაობენ მას, როგორც გარკვეული სახის რწმუნებულს საკანონმდებლო ორგანოში. ამ თვალსაზრისით საზოგადოებასთან კავშირისთვის, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისა და ფოკუს-ჯგუფების საშუალებით, შესაძლებელი ხდება მოცემული მომენტისთვის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შერჩევა. არჩეული წარმომადგენლისათვის, რომელმაც თავი გამოიჩინა როგორც ყველაზე გულისხმიერმა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე დელეგატმა, ჯილდოს სახით ხელახლა არჩევის შესაძლებლობა არსებობს (თუმცა, შეერთებულ შტატებში უკვე არჩეული თანამდებობის პირებს განუზომელი უპირატესობა აქვთ).

დელეგაციური თეორიის საფუძველი ხალხის საღი აზრი და წესიერების რწმენაა. ამ თეორიის ერთ-ერთი გამოჩენილი მქადაგებელი, იმის გათვალისწინებით, რომ „არსებობს შედარებითი თანასწორობა წარმომადგენლებისა და ამომრჩევლების შესაძლებლობებსა და ჭკუას შორის", ამტკიცებდა, რომ „თავკერძული და გაუმართლებელი იქნებოდა წარმომადგენლების მიერ ხალხის აზრის და სურვილების გაუთვალისწინებლობა" და რომ პოლიტიკური საკითხები ხშირად „უფრო ირაციონალურ და პირად მოსაზრებებზე და არა სახალხო განხილვასა და თანხმობაზე დაფუძნებულ ხედვებს მოიცავს... აუცილებელია წარმომადგენლებმა რჩევა ჰკითხონ ხალხს და გაითვალისწინონ მათი არჩევანი".[23]

ეს მიდგომა, მისი მქადაგებლების აზრით, ასევე ხელს უშლის კორუფციას. კანონმდე-

ბლები, რომლებიც ამომრჩევლების აზრის გათვალისწინებით მოქმედებენ, შეზღუდულნი არიან და მათ საქმიანობაში უკანონო გარიგებებისთვის მცირე სივრცე რჩება.

კანონმდებელი, რიგითი მეურვეები

წარმომადგენლობის დელეგაციური თეორიის კრიტიკოსები ამბობენ, რომ ამ მიდგომის თანახმად, არჩეული პირები პასიურები არიან, ვინაიდან ისინი მოქმედებენ როგორც ხალხის აზრის მიმდევრები და არა როგორც ლიდერები. ამ თეორიის გამორჩეული კრიტიკოსი იყო ედმუნდ ბერკი (1729-1797), XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე და კანონმდებელი.

ბერკი ამტკიცებდა, რომ კანონმდებლებმა ფიქრისა და მოქმედების გარკვეული ხარისხის თავისუფლება უნდა დაიტოვონ. უფრო კონკრეტულად, ბერკი ამ მოსაზრებას იმით ამტკიცებდა, რომ არჩეულ წარმომადგენელს სჭირდება ყოფით საკითხებზე მოწუწუნე და თავშეუკავებელი (შესაძლოა ირაციონალური) ელექტორატის გარკვეული პრობლემებისაგან იზოლირება. ის ამტკიცებდა, რომ პოლიტიკოსმა, როგორც კანონმდებელმა, უნდა მოისმინოს მისი ამომრჩევლის მოსაზრებები, მაგრამ ყველა პრობლემას თანაბარი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს: კომპეტენტურ კანონმდებელს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ ერთმანეთისგან განასახვავოს ადამიანური ბუნების ნაკლოვანებიდან გამომდინარე საჩივარი თუ საწუხარი (რომლის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება) იმ პრობლემებისგან, რომლებიც „მოცემული მომენტის კონკრეტული სატკივარის სიმპტომებს მოიცავს“.[24] ამ თვალსაზრისით, ხალხის განწყობა ღირებული ბარომეტრია იმისთვის, რომ კონკრეტული საკითხის აქტუალურობა განსაზღვრო.

პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და საზოგადოებრივ აზრს შორის ამ ურთიერთქმედების გათვალისწინებით საინტერესოა, რა ადგილს უჩენს ბერკი კანონმდებელს. პირდაპირ რომ ვთქვათ, მას სწამდა, რომ მმართველობა ბუნებრივი არისტოკრატიის ხვედრია, რომელიც გამორჩეული და საუკეთესო პირებისგან შედგება და არჩეული მმართველები უნდა მოქმედებდნენ ისე, როგორც თავიანთი ამომრჩევლების მეურვეები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონმდებლები უნდა მოქმედებდნენ საზოგადოებრივი სიკეთის საკუთარი გაგების საფუძველზე და არა როგორც ამომრჩევლების მარიონეტები. როგორც თავად ბერკმა აღნიშნა ამომრჩევლებისადმი თავის ცნობილ მიმართვაში: „თქვენი წარმომადგენელი თქვენ წინაშე ვალდებულია არამარტო თავისი საქმიანობით, არამედ თავისი აზროვნებით; და ის გღალატობთ, თუკი თქვენ სამსახურს თქვენ მოსაზრებებზე დაბლა დააყენებს და მათ შესწირავს მსხვერპლად“.[25]

ბერკისეული ***წარმომადგენლობის მეურვეობითი თეორია*** მმართველობის მისეულ ფართო ფილოსოფიაშია მოცემული. მისი აზრით, კარგი მმართველობა უნდა მოიცავდეს არა მარტო კეთილ ნებას, არამედ „სიქველესა და გონებასაც“. წარმომადგენლობითი მმართველობა ქმედითი იყოს, ის უნდა ემყარებოდეს სწორ ქცევას და ფრთხილ განსჯას იმისათვის, რომ აღმოაჩინოს და განახორციელოს ჭეშმარიტი საზოგადოებრივი სიკეთე. ბერკმა პარლამენტი განმარტა, როგორც „*ერთი* ინტერესის მქონე *ერთი* ქვეყნის *სათათბირო* ასამბლეა, სადაც ლოკალური მიზნები და ლოკალური ხედვები კი არ უნდა უძღოდეს მსჯელობას, არამედ საჯარო სიკეთე, რომელიც ერთი და *განუყოფელი* საერთო გონიდან გამომდინარეობს“.[26]

ბერკს სწამდა, რომ კანონმდებლებსა და ჩვეულებრივ ამომრჩევლებს შორის დიდი განსხვავებაა. მისი აზრით, ძლიერ რესპუბლიკაში წარმომადგენლები უფრო გონიერები და უკეთ ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, ვიდრე ამომრჩევლები და, შესაბამისად, უნდა ჰქონდეთ იმის უნარი, რომ ფრთხილი განხილვის შემდეგ ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემები გადაწყვიტონ. საბოლოოდ იგი ამტკიცებდა, რომ ქვეყნის, როგორც მთლიანის კეთილდღეობა (ეროვნული თუ საზოგადოებრივი ინტერესი) მისი შემადგენელი ნაწილების (ლოკალური ან რაიმე კონკრეტული ჯგუფის) კეთილდღეობასა და ინტერესებზე უფრო მაღლა უნდა იდგეს. ამის გათვალისწინებით ბერკი ხაზს უსვამდა კანონმდებლის, როგორც ლიდერის მნიშვნელობას და მას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე კანონმდებელს, როგორც ამომრჩევლის აზრის გამომხატველსა და საზოგადოებრივი განწყობის მიმდევარს.

„პოლიტიკოს“

ზოგიერთი ამერიკელი პოლიტოლოგი ტერმინ ***პოლიტიკოს*** იყენებს იმ პოლიტიკოსების დასახასიათებლად, რომლებიც წარმატებით ახერხებენ კანონმდებლის, როგორც დელეგატისა და მეურვის ფუნქციების შეთავსებას. შესაბამისად, „პოლიტიკოები“ არიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც ამომრჩევლების ზედაპირული ინტერესებით მოწონებული „საყველპურო“ კანონების დამტკიცებისთვის იბრძვიან და არ დგამენ დამოუკიდებელ ნაბიჯებს იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც პირდაპირ არ ეხება მათი ამომრჩევლების მოთხოვნებს. მაგალითად, კანზასის მეოთხე საკანონმდებლო რეგიონი ცნობილია როგორც ამერიკის საავიაციო ცენტრი (ბოინგის კორპორაციის სამხედრო ბიზნესის თავმოყრის ადგილი), ამიტომ გასაკვირი არაა, რომ აქაური წარმომადგენელი კონგრესში ამომრჩეველთა ინტერესებს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე კონსერვატიულად განწყობილთა ხმების მოპოვებით ასახავს.[27] „პოლიტიკოები“ ზოგადად თავიანთი ოლქის ან შტატის სპეციფიკური ეკონომიკური ინტერესებისთვის იბრძვიან, პოზიციები, რომლებსაც ისინი იკავებენ, ხშირად კონკრეტულ საკითხებზეა ორიენტირებული. ასე რომ, გასაკვირი არაა ვიხილოთ, თუ როგორ ეწინააღმდეგებიან იარაღზე კონტროლის შესახებ კანონმდებლობას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიმდევარი შტატების ლიბერალი სენატორები, რითაც ხაზს უსვამენ თავიანთი ამომრჩევლების პოზიციების ერთგულებას.

არკანზასელმა სენატორმა უილიამ ფულბრაიტმა (1905-1995) მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე სიტყვა წარმოთქვა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, რომელშიც მან დემოკრატიული ლიდერობისადმი „პოლიტიკოს“ მიდგომა გამოხატა:

> საშუალო სტატისტიკური კანონმდებელი თავისი კარიერის დასაწყისშივე აღმოაჩენს, რომ არსებობს ამომრჩეველთა გარკვეული ინტერესები ან სტერეოტიპები, რომლებთანაც არასერიოზული დამოკიდებულება საკმაოდ საშიშია. ამ სტერეოტიპების ნაწილი შეიძლება არ იყოს ერის კეთილდღეობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისა, ამ შემთხვევაში კანონმდებელი შეიძლება არ ეთანხმებოდეს, მაგრამ წაახალისოს ეს სტერეოტიპები. უფრო საშიშია შემთხვევა, როდესაც სტერეოტიპი ქვეყნის კეთილდღეობის ფუნდამენტურ პოლიტიკას ეხება. ამ შემთხვევაში კარგი კანონმდებლის კვალიფიკაცია იმა-

> ში გამოიხატება, თუ რამდენად შესწევს უნარი განასხვავოს ფუნდამენტური საჭიროება ზედაპირულისგან და მოახერხოს ამ უკანასკნელის გამიჯვნა. იმის საილუსტრაციოდ, რასაც ვგულისხმობ, მოდით, მოვიყვანოთ იზოლაციონიზმის და სულადობრივი გადასახადის [გადასახადი, რომელიც თანაბრად ეკისრება გადასახადის ყველა გადამხდელს შემოსავლებისა და მდგომარეობის მიუხედავად] მაგალითი. მიუხედავად იმისა, რაოდენ დამაჯერებლებიც უნდა იყვნენ ჩემი კოლეგები და ეროვნული მედია სულადობრივი გადასახადის ბოროტების შესახებ საუბრისას, მე ვერ ვხედავ მის ფუნდამენტურ მნიშვნელობას და ვემხრობი ჩემი შტატის ხალხის აზრს. შესაძლოა, მრავალთათვის სამწუხარო პირობები სიმბოლური მოგვეჩვენოს, მაგრამ ვეჭვობ რომ ამ კანონის გაუქმებამ რომელიმე ჩვენი ძირითადი პრობლემა გადაწყვიტოს. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რაოდენ შეუპოვრადაც უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ჩემი ამომრჩევლები გაერთიანებული ერების ძლიერი ორგანიზაციის შექმნას და მასში მონაწილეობას, მე ვერ დავუჭერ მათ მხარს მანამ, სანამ არ დავრწმუნდები მის განუხორციელებლობაში.[28]

ფულბრაიტის კარიერა სენატში (1945-1975) შესაძლოა „პოლიტიკოს“ მოქმედების მაგალითად გამოდგეს. ხშირად იგი ისეთი კანონების წინააღმდეგ აძლევდა ხმას, განსაკუთრებით სამოქალაქო უფლებების სფეროში, რომელთა მიმართ, შესაძლოა პირადი სიმპათიაც კი ჰქონდა. ის ხვდებოდა, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია თავისი არკანზასელი ამომრჩევლების უმრავლესობის რასისტული სტერეოტიპებისთვის მაშინ, როდესაც თავად მას სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდა. ფულბრაიტი ხშირად თავს იმართლებდა იმით, რომ სამოქალაქო უფლების ზოგი საკითხი ფუნდამენტური მნიშვნელობის არ იყო.

რასობრივ საკითხზე საკუთარი შტატის უმრავლესობის აზრის მიმართ პატივისცემამ ფულბრაიტს ფართო ასპარეზი მისცა საგარეო პოლიტიკაში, რომლის მიმართ არკანზასელ ამომრჩევლებს ნაკლები ინტერესი ჰქონდათ. ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე გახდა და მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად კონსერვატიულ შტატს წარმოადგენდა, აღიარება მოიპოვა, როგორც საგარეო პოლიტიკაში ლიბერალიზმის პრინციპების გამჟღერებელმა.

დამშიმშინემლემი

პოლიტიკოსები, რომლებსაც ძალუძთ „საქმის კეთება“ პატივისცემას და აღიარებას იმახურებენ . იგულისხმება, რომ ისინი ცუდ საქმეს არ აკეთებნ. დამშიმშინებლები ჩვეულებრივი პოლიტიკოსების საინტერესო ქვეჯგუფია: ის, რაც მათი წარმოდგენით შეიძლება იყოს საზოგადო სიკეთე და ის, რაც რეალურად არის კარგი ქვეყნისთვის, ხშირად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო რამ აღმოჩნდება. ასე რომ, თავად თუ გაიმარჯვებს, შეიძლება ქვეყანამ წააგოს.

შესაძლოა დამთმობის საუკეთესო (ან ყველაზე ცუდი) მაგალითი იყოს ნევილ ჩემბერლენი, რომელიც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იყო 1937-1940 წლებში. რეტროსპექტივას თუ გადავხედავთ, მეორე მსოფლიო ომამდე გერმანია დაჩქარებულ გადაიარაღებას აწარმოებდა, მაგრამ ჩემბერლენს პატიოსნად სწამდა,

რომ ომი და შეიარაღება ფუჭი და ზედაპირული საქმიანობა იყო. მას იმისიც სწამდა, რომ მოლაპარაკებები და დათმობები ყოველგვარი პოლიტიკის, მათ შორის საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველი უნდა გამხდარიყო. 1938 წლის ოქტომბერში ჩემბერლენი თემთა პალატაში ამტკიცებდა, რომ „ჩვენ წინაშე განიარაღების საკითხის მიმართ ახალი შესაძლებლობები იშლება და მე მწამს, ისინი ისეთივე იმედის მომცემნი არიან დღეს, როგორც წინათ“. ის აგრეთვე ამბობდა:

> ასეთ ამოცანებს ზურგს უმაგრებს იმის რწმენა, რომ ქვეყნებს შორის მტრობა ეტაპობრივად დაიძლევა. თანდათანობით, მანამ, სანამ ერები არ იგრძნობენ, რომ მათ უშიშრად შეუძლიათ დაუშვან იარაღი... მე ვისურვებდი, რომ ამ თანამდებობაზე ჩემს ხელთ არსებული დრო... მათ მიერ დასახულ მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს შორის დიდი უფსკრულია ხოლმე. და მთელი ჩემი ენერგია მიმეძღვნა ამ ამოცანისთვის.[29]

მიუხედავად ჩემბერლენის რწმენისა, ბევრი ბრიტანელი ახალგაზრდა ბრძოლის ველზე დაეცა ჰიტლერის უკომპრომისო მილიტარიზმის წყალობით. საერთაშორისო პოლიტიკის უპრეცედენტოდ ცივილური ჩემბერლენისეული ანალიზი, რომელიც საფუძვლად ედო ველური დიქტატორის მოთვინიერების მცდელობას, არ იყო მოკლებული პრინციპულ ხედვას თუ გულწრფელობას, მაგრამ ის უბრალოდ მცდარი იყო.

სამოქალაქო ლიდერები

ვაცლავ ჰაველი. 1960-იანი წლების შუა ხანებში ოცდაცხრა წლის ვაცლავ ჰაველი (დაიბადა1936 წელს) უკვე ცნობილი იყო მსოფლიოში თავისი სატირული, აბსურდისტული პიესებით — „*წვეულება ბაღში*“ (1964) და „*მემორანდუმი*“ (1965). 1968 წლის ზაფხულში ჰაველმა და ჩეხეთის კულტურის ოცდაათმა სხვა მოღვაწემ ხელი მოაწერეს განცხადებას, რომლითაც ისინი კომუნისტების მიერ კონტროლირებულ ჩეხოსლოვაკიაში კანონგარეშედ გამოცხადებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენას ითხოვდნენ. ჩეხოსლოვაკიაში 1963 წელს დაწყებული ლიბერალიზაციის ფრთხილი, მაგრამ მზარდი ტენდენცია 1968 წლის აგვისტოში საბჭოთა არმიის შეჭრით დასრულდა, რითაც ქვეყანა მკაცრ საბჭოთა კონტროლს დაუბრუნდა.

ამ კონფლიქტის პერიოდში ჰაველმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩეხეთის თავისუფალი რადიოს ჩამოყალიბებაში იგი ამ იატაკქვეშა რადიოს ყოველდღიურ ტრანსლაციას იყენებდა დასავლელი ინტელექტუალებისათვის ხმის მისაწვდენად — დახმარებოდნენ ჩეხეთს. შემდეგი ორი ათწლეულის განმავლობაში ჰაველი ჩეხოსლოვაკიის ყველაზე ცნობილი დრამატურგი გახდა. მისი პიესები პრაღის მმართველი კომუნისტების მწვავე სატირას შეიცავდა. მაგრამ ჰაველის მზარდი პოპულარობის საფუძველი მხოლოდ მისი პიესები როდი იყო. ის ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი დისიდენტი და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი ლიდერი გახდა. ჰაველი იყო თანაავტორი 1977 წელს დაწერილი სამოცდამეჩვიდმეტე მანიფესტისა, რომელშიც იგი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ მთავრობას ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმებებისა და, შესაბამისად, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევაში ამხელდა. პოლიტიკური წინააღმდეგობის ამ ფაქტების გამო ჰაველი დააპატიმრეს და ისეთი სასჯე-

ლი დაუწესეს, რომელიც მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებდა; თუმცა, მისი გაჩუმება მაინც ვერ შეძლეს.

1989 წლის დეკემბერში, სახალხო პროტესტის შედეგად, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური მთავრობა დაეცა და ჰაველი სახალხო კონსენსუსის შედეგად არჩეული პრეზიდენტი გახდა. ძალაუფლებისკენ ასეთ აღმასვლაში ყველაზე მეტად აღსანიშნავი ის გახლდათ, რომ ჯერ კიდევ 1989 წლის დასაწყისში ჰაველი ციხეში იმყოფებოდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩეხოსლოვაკიაში არც ერთ საზოგადო მოღვაწეს არ ჰქონდა ისეთი მორალური ავტორიტეტი, როგორიც ოცდაათი წლის განმავლობაში სამოქალაქო მოღვაწეობის შედეგად მოიპოვა ჰაველმა. ჰაველი თანამდებობაზე სამი წელი დარჩა, სანამ ჩეხოსლოვაკია ორ ეთნიკურ სახელმწიფოდ — ჩეხეთად და სლოვაკეთად არ გაიყო. ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ამ ეტაპზე იგი თანამდებობიდან გადადგა.

მაგრამ ჰაველმა გააგრძელა საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1993 წლის 26 იანვარს, გადადგომიდან სულ რაღაც ექვსი თვის შემდეგ, ჩეხეთის პარლამენტმა იგი რესპუბლიკის პრეზიდენტად ხუთწლიანი ვადით აირჩია. მიუხედავად თავისი გამორჩეული პოზიციისა, ჰაველი ყოველთვის არ თამაშობდა წამყვან როლს ქვეყნის მართვაში, თუმცა, იგი ერის მნიშვნელოვან ფიგურედ რჩებოდა. მართალია, ჩეხების უმეტესობა უნდობლად და გულგრილად უყურებდა თავის პოლიტიკოსებს, მაგრამ ჰაველს პატივს სცემდნენ, როგორც ადამიანს, რომელიც არა მარტო წერდა და ქადაგებდა „სიმართლით ცხოვრებას“, არამედ თავისი პირადი მაგალითით აუჩვენებდა იგივეს.

მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი (1929-1968). იგი გამოჩენილი სამოქალაქო ლიდერი იყო. 1957 წელს მარტინ ლუთერ კინგი ახლად აღმოცენებული სამხრეთის ქრისტიან ლიდერთა კონფერენციის პრეზიდენტი გახდა და ამ დროიდან მისი მნიშვნელოვნება სწრაფად იზრდებოდა. ის უძღვებოდა მჯდომარე აქციებს, მსვლელობებს, დემონსტრაციებს, რომლებიც რასობრივი სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ იყო მიმართული როგორც შრომითი, ისე საცხოვრებელზე უფლებების სფეროში. კინგის მიმდევრები არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის აქტებით ხშირად ღიად არღვევდნენ იმ კანონებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ აფროამერიკელების სეგრეგაციას სასადილოებში, ტრანსპორტში და ა. შ. კანონის დარღვევის შემდეგ ისინი ნებაყოფლობით იღებდნენ სასჯელს.

კინგს განზრახული ჰქონდა შეეწუხებინა კანონმდებლების, მოსამართლეებისა და შესაბამისად, ამერიკელი ხალხის სინდისი. როგორც ის 1963 წელს ბირმინჰემის ციხიდან (კინგი წავიდა ბირმინჰემში, ალაბამაში, რათა ეთავა ბოიკოტის მოწყობა საზოგადო ადგილების დესეგრეგაციის მოთხოვნით; მან მოაწყო არასანქცირებული მსვლელობა, რის გამოც დაპატიმრებულ იქნა) თავის ცნობილ წერილში აღნიშნავდა:

> მე ვაცხადებ, რომ ადამიანი, რომელიც არღვევს კანონს, რომელსაც მისი სინდისი უსამართლოდ მიიჩნევს და ნებაყოფლობით იღებს სასჯელს, რჩება ციხეში და ამით საზოგადოებას კანონის უსამართლობაზე მიუთითებს, სინამდვილეში გამოხატავს უდიდეს პატივისცემას კანონის მიმართ.[30]

კინგი იმედოვნებდა: „ჩვენ უნდა დავინახოთ არაძალადობრივი კრაზანების საჭიროების აუცილებლობა, უნდა შევქმნათ დაძაბულობა საზოგადოებაში, რომელიც

საშუალებას მისცემს ადამიანს სტერეოტიპების და რასიზმის ბნელი ჯურღმულებიდან, ურთიერთგაგებისა და ძმობის ბრწყინვალე სიმაღლეებზე გამოაღწიოს".[31]

კინგის და სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლი სხვა აფროამერიკელი ლიდერების — როი უილკინსის, მალკოლმ იქსის, უიტნი იანგის, ჯეს ჯექსონის და ვერნონ ჯორდანის გავლენა უდიდესი იყო. მათი ხშირად უკიდურესად ურთიერთსაწინააღ-მდეგო ქმედებები საფუძვლად დაედო 1964 წელს მიღებულ სამოქალაქო უფლებების აქტს, რომელმაც გააუქმა რასობრივი დისკრიმინაცია დასაქმებასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მოგვიანებით მიღებულ იქნა სამოქლაქო უფლებების დამცველი სხვა კანონებიც. 1964 წელს კინგს თავისი საქმიანობისთვის ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში. ოთხი წლის შემდეგ, ოცდაცხრამეტი წლის ასაკში, კინგი მოკლეს.

როზა პარკსი (1913-2005). როზა პარკსმა სიმამაცის ერთი გამოვლინებით ერის სინდისი გამოაღვიძა. მონტგომერიში, ალაბამას შტატში, 1955 წლის 1 დეკემბერს სამსახურიდან გამოსული როზა პარკსი ავტობუსში ავიდა და თავისუფალ ადგილზე დაჯდა. ცოტა ხანში ფეხზე მდგომმა თეთრკანიანმა მამაკაცმა ადგილის გათავისუფლება მოსთხოვა (მონტგომერის სატრანსპორტო მომსახურების რეგულაციათა თანახმად, თუ თეთრკანიანს არ შეეძლო სხვა თეთრკანიანის პარალელურად ადგილის პოვნა, მისთვის ოთხ შავკანიანს უნდა დაეთმო დასაჯდომი ადგილი, ვინაიდან შავკანიანს უფლება არ ჰქონდა თეთრკანიანის მჯდარიყო),[32] რაზეც როზა პარკსმა უარი თქვა:

> ვფიქრობდი, რომ ერთადერთი გზა მეჩვენებინა მათთვის, რას ვგრძნობდი, როდესაც უსამართლოდ მექცეოდნენ, იყო ის, რაც გავაკეთე — წინააღმდეგობა გავუწიე კანონს. ამაზე წინასწარ არ მიფიქრია, ეს თავისთავად მოხდა და შემდეგ უბრალოდ გადავწყვიტე, რომ არ ავდგებოდი. დაღლილი ვიყავი და თავს კარგად არ ვგრძნობდი, მაგრამ ამას შემდეგ ბევრი სხვა დღე მოჰყვა, როდესაც თავს კარგად არ ვგრძნობდი.[33]

ავტობუსის მძღოლმა როზა პარკსი დააკავა, რის შემდეგაც იგი დააპატიმრეს. ბევრი ისტორიკოსი ამერიკის სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის ათვლის წერტილად მიიჩნევს მონტგომერიში როზა პარკსის დაპატიმრებას, რასაც მონტგომერის ავტობუსების სახელით ცნობილი სახალხო აქცია მოჰყვა. მისი დაუმორჩილებლობის ერთ სიმბოლურ ქმედებას დღეს აღვიქვამთ პოლიტიკური გმირობის აქტად, რომელმაც ყურადღება მიაპყრო რასობრივ უსამართლობას და გამოიწვია მოვლენების მთელი ჯაჭვი, რის შედეგადაც ქვეყანა სამუდამოდ შეიცვალა.

პატი უოტერლინგი. სენტ-ჯოზეფელი (მინესოტას შტატი) ოთხი შვილის დედა პატი უოტერლინგი ყველაფერს გაიღებდა, პოლიტიკური აქტივისტი რომ არ გამხდარიყო. 1989 წლის 11 ოქტომბერს ნიღბიანმა მამაკაცმა მისი თერთმეტი წლის ვაჟი ჯეიკობი გაიტაცა. პატის ამის შემდეგ თავისი შვილი აღარ უნახავს. თავდაპირველად ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც მას შეეძლო, შვილის ძიება და გლოვა იყო. მოგვიანებით მან ჯეიკობ უოტერლინგის ფონდი ჩამოაყალიბა, რომლის ერთ-ერთი მიზანი გატაცებისა და სქესობრივი ძალადობისგან ბავშვების დამცველი კანონმდებლობის ლობირება იყო შტატისა და ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოებში. 1991 წელს მან

წარმატებით გაიტანა კანონი, რომლის თანახმადაც სქესობრივ ძალადობაში მხილებული პირები ვალდებულნი იყვნენ გაევლოთ რეგისტრაცია მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში შტატის მეთვალყურეობის ქვეშ. 1996 წელს ნაწილობრივ პატი უოტერლინგის ძალისხმევით მინესოტას კონგრესმა მიიღო საზოგადოების ინფორმირების პროგრამა, რომლის მიხედვითაც შტატის ხელისუფლება ვალდებული იყო შეეფასებინა სქესობრივი ძალადობისთვის სასჯელმოხდილთა უვნებლობა საზოგადოებისთვის და იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი მიჩნეული იქნებდა საზოგადოებრივად საშიშად, შეეტყობინებინა ამის შესახებ საზოგადოებისთვის. გამოცდილება უჩვენებს, რომ ასეთი მოძალადეები ძნელად გადიან რეაბილიტაციას და ჩადენილი დანაშაულის მიმართ შემდგომი რეციდივების მაღალი დონე ახასიათებთ.

1994 წელს პატი უოტერლინგმა შეძლო დაერწმუნებინა კონგრესი, მიეღო კანონი (ჯეიკობ უოტერლინგის აქტი) რომელიც ახალისებს შტატებს მიიღონ კანონმდებლობა, რომლის თანახმად ციხიდან გამოსული მოძალადეები ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ სამართალდამცავ ორგანოებში, და რომელიც საშუალებას აძლევს ამ ორგანოებს ინფორმაცია (სახელების, მისამართების, ფოტოების ჩათვლით) გაავრცელონ ამ პირების შესახებ.[34]

პატი უოტერლინგის საქმიანობას ბევრი მშობელი ადიდებს, მაგრამ ბევრი სამოქალაქო უფლების დამცველი მიიჩნევს, რომ ეს კანონები იმ დამნაშავეების პირადი ცხოვრების უფლებასა და თავისუფლებებს არღვევს, რომლებმაც ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელი უკვე მოიხადეს.[35] მიუხედავად ამისა, პატი უოტერლინგი სამოქალაქო ლიდერის კარგი მაგალითია, რომელმაც მიუხედავად ენით გამოუთქმელი ბოროტებისა და აუტანელი ტკივილისა, შეაბიჯა პოლიტიკაში და ცვლილებებსაც მიაღწია.

დასკვნა

პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც სამთავრობო თანამდებობებზე არიან, შეიძლება დავაჯგუფოთ ნამდვილ ლიდერებად, დემაგოგებად ან ჩვეულებრივ პოლიტიკოსებად. სამოქალაქო ლიდერებს არა აქვთ არანაირი თანამდებობა, მაგრამ შეიძლება სერიოზული პოლიტიკური გავლენა ჰქონდეთ.

ნამდვილი ლიდერები, რომლებიც შედარებით იშვიათნი არიან, საზოგადოებრივ სიკეთეზე ზრუნავენ, გამოირჩევიან ლიდერის თვისებებით, პრაქტიკული ჭკუით ექსტრაორდინარულ სიტუაციაში, როდესაც ერის კეთილდღეობა დგას დღის წესრიგში. ისტორიულად ისინი მოტივირებულნი იყვნენ, როგორც მინიმუმ, დიდების სურვილით. სახელმწიფო მოღვაწეობის ამ გაგების მიმართ თანამედროვეობის გულგრილობა ზოგ დამკვირვებელს აიძულებს ამ ტიპის მოღვაწეობა მომაკვდავ ხელოვნებად აღიაროს.

წარმომადგენლობით დემოკრატიებში ყველაზე მეტნი ჩვეულებრივი პოლიტიკოსები არიან. ყველა არჩეულ პოლიტიკოსს უწევს არჩევანის გაკეთება – პოზიტიური ლიდერის როლი იტვირთოს თუ უბრალოდ თავისი ამომრჩევლების აზრი წარმოაჩინოს. დემოკრატიული წარმომადგენლობის დელეგაციური თეორიის მიხედვით პოლიტიკოსები უნდა იქცეოდნენ, როგორც თავისი ელექტორატის სურვილების გამტარებლები. მეურვეობითი თეორია, პირიქით, აქცენტს აკეთებს პოლი-

ტიკაში დამოუკიდებელი მოქმედების აუცილებლობაზე. პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ ამ ორი მიდგომის გაერთიანებას, „პოლიტიკოებს“ ვეძახით. ზოგი ჩვეულებრივი პოლიტიკოსი შეიძლება დამშოშმინებლად შევაფასოთ. ისინი ხშირად შესაძლოა კეთილშობილური განზრახვებითაც ხელმძღვანელობენ, მაგრამ არაკომპეტენტურობის თუ გულუბრყვილობის გამო მათი გადაწყვეტილებები შეიძლება კატასტროფის საფუძველი გახდეს. პოლიტიკაში უფრო ავბედითები დემაგოგები არიან. ისინი აერთიანებენ უსაზღვრო პირად ამბიციას, მოუხეშავ მეთოდებს და ქარიზმატულობის მოთხოვნილებას. დემაგოგები ჭარბად არიან დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც მათი დაცემა ხშირად ისევე მოულოდნელია ხოლმე, როგორც მათი აღზევება.

სამოქალაქო ლიდერები აჩვენებენ თავდადებას საქმისადმი, პირად შესაძლებლობებს და გარკვეული სახის მაგნეტიზმს, აგრეთვე სამთავრობო პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობას. ისინი შთააგონებენ ადამიანებს ან იზიდავენ მიმდევრებს მსოფლიოს მასშტაბით, ავლენენ მორალურ ძალაუფლებას, რომელიც მათი საქმიანობიდან გამომდინარეობს.

საკვანძო სიტყვები

დემაგოგები	თეორია
ჩვეულებრივი პოლიტიკოსები	წარმომადგენლობის მეურვეობითი
სამოქალაქო ლიდერები	თეორია
სახელმწიფო მოღვაწე	„პოლიტიკო“
წარმომადგენლობის დელეგაციური	

კითხვები გამეორებისათვის

1. რა ჯგუფებად შეიძლება დავყოთ პოლიტიკოსები? რა განსხვავებაა სხვადასხვა კატეგორიებს შორის?
2. რატომ არის პოლიტიკური ლიდერების კვლევა საერთოდ პოლიტიკური კვლევების მნიშვნელოვანი ასპექტი?
3. რატომ არიან ნამდვილი ლიდერები ასე იშვიათნი?
4. აღწერეთ წარმომადგენლობის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია. რომელი მათგანია თქვენთვის მისაღები და რატომ?
5. რა არის დემაგოგი? დაასახელეთ რომელიმე დემაგოგი. რა ამოძრავებთ დემაგოგებს? აქვს თუ არა დემოკრატიას რაიმე ბუნებრივი დაცვითი მექანიზმი დემაგოგიისგან? თუ ასეა, რა არის ეს მექანიზმი?
6. რა არის სანიმუშო ლიდერობის არსი? დაასახელეთ ოთხი სანიმუშო ლიდერი და დეტალურად ახსენით, რა ხდის თითოეულ მათგანს სანიმუშოდ.

შენიშვნები

1. Robert C. Tucker, Politics as Leadership (Columbia: University of Missouri Press, 1995), iii.
2. Walter Lippmann, A Preface to Morals (Boston: Beacon Press, 1960), 280. მომდევნო ციტირებები არის 279-283 გვერდებიდან.
3. იხ. Harry Jaffa, "The Emancipation Proclamation", წიგნში 100 Years of Emancipation, რედ. Robert Goldwin (Skokie, III.: Rand McNally, 1964), 1-24.
4. Douglas Adair, "Fame and the Founding Fathers" წიგნში Fame and the Founding Fathers: Essays by Douglas Adair (New York: Norton 1974), 10.
5. იქვე, 8
6. Alexander Hamilton, John jay, and James Madison, The Federalist (New York: Modern Library, n.d.), 470.
7. Robert J. Alexander, Romulo Betancourt and the Transformation of Venezuela (New Brunswick, NJ.: Transaction Books, 1982), 435.
8. Aaron Wildavsky, The Nursing Father: Moses as a Political Leader (Tuscaloosa: University of Alabama Press, 1984).
9. Alexander, Romulo Betancourt, 436.
10. იქვე.
11. John Edwin Fagg, Latin America: A General History, მე-2 გამოცემა (New York: McMillan, 1969), 627.
12. Martin Gilbert, Churchill (Garden City, N.Y.: Doubleday, 1980), 100-126.
13. იქვე, 127.
14. U.S. Department of State, Selected Documents, 1979 წლის აპრილი.
15. Alexis de Toqueville, Democracy in America, vol. 2 (NY, Schoken Books, 1961), 102-106.
16. Morton Frisch and Richard Stevens, "Introduction" წიგნში American Political Thought: The Philosophic Dimension of American Statemanship, რედ. Morton Frisch და Richard Stevens (Dubuque, Iowa: Kendall/Hunt, 1976), 5
17. ციტირებულია Roman J. Zorn, "Theodore G. Bilbo: Shibboleths for Statemanship", reprinted in A Treasury of Southern Folklore: Stories, Ballads, Traditions, and Folkways of the People of South, რედ. B.A. Brotkin (New York: Crown, 1949), 304.
18. James W. Silver, Mississippi: The Closed Society (Orlando, Fla.: Harcourt, 1964), 19.
19. იქვე.
20. Hodding Carter, "Huey Long: American Dictator", wignSi The Aspirin Age: 1919-1949, რედ. Isabel Leighton (New York: Simon & Schuster 1949), 347
21. იქვე. 361.
22. Joseph Tussman, ციტირებულია Marie Collins Swaley, "A Quantitative View", კრებულში Representation, red. Hannah Pitkin (New York: Atherton Press, 1969), 83.
23. Hannah Pitkin, "The Concept of Representation", კრებულში Representation, red. Pitkin, 21.
24. ციტირებულია Harvey Mansfield, Jr., Statesmanship and Party Government: A

Study of Burke and Bolingbroke (Chicago: University of Chicago Press, 1965), 23.

25. Edmund Burke, "The English Constitutional System", წიგნში Representation, red. Pitkin, 175.
26. იქვე.
27. 1964 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ოცდამეოთხე შესწორების მიღებამდე, არსებობდა სულადობრივი საარჩევნო გადასახადი ფედერალურ და შტატების არჩევნებში მონაწილეობისთვის. კონსტიტუციის ოცდამეოთხე შესწორებამ აკრძალა ამ გადასახადის მოქმედება ფედერალური დონის არჩევნებში. 1966 წელს აშშ უმაღლესმა სასამართლომ ეს გადასახადი შტატების არჩევნების შემთხვევაშიც ანტიკონსტიტუციურად სცნო და გააუქმა.
28. ციტირებულია Malcolm Jewell and Samuel Patterson, The Legislative Process in the Unites States (NY. Random House, 1966), 32.
29. Martin Gilbert, Churchill: A Life (NY.: Henry Holt 1996), 993.
30. Martin Luther King, Jr., "Letter from Birmingham City Jail" წიგნში Civil Disobedience: Theory and Practice (NY.: Pegasus, 1969), 78-79.
31. იქვე. 75.
32. David J. Garrow, Bearing the Cross: Martin Luther King Jr. and the Southern Christian Leadership Conference, 1955-1968 (NY.: Random House, 1988), 11.
33. იქვე. 12.
34. საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც თხოვდა შტატებს მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მოძალადეების შესახებ, რომლებმაც დანაშაული სქესობრივ ნიადაგზე ჩაიდინეს, ცნობილია როგორც მეგანის კანონი. მეგან კანკა შვიდი წლის გოგონა იყო ნიუ ჯერსიდან, რომელიც 1994 წელს მეზობელმა გააუპატიურა და მოკლა. მეგანის მშობლებმა, ისევე როგორც პატი უოტერლინგმა, ინტენსიური კამპანა აწარმოეს იმისთვის, რომ შტატისა და ფედერალურ საკანონმდებლო ორგა-ნოებს მიეღოთ კანონმდებლობა სქესობრივი ძალადობის წინააღმდეგ.
35. მაგალითისათვის იხ. Caroline Louise Lewis, "The Jakob Wetterling Crimes Against Children and Sexually Violent Offender Registration Act: An Unconstitutional Deprivation of the Right to Privacy and Substantive Due Process", Harvard Civil Rights - Civil Liberties Law Review 31 (1996): 89-119. ამ არგუმენტების მიუხედავად სასამართლოებმა მხარი დაუჭირეს ამ კანონებს.



თავი XII

რა არის საჯარო სიკეთე?

იდეოლოგიები და იზმები

პოლიტიკის მიზნები და საშუალებები

იდეოლოგიები და საჯარო ინტერესი

• ანტისამთავრობო იდეოლოგიები • მემარჯვენე იდეოლოგიები • მემარცხენე იდეოლოგიები

იზმები და ამერიკული პოლიტიკა

• იარლიყები ამერიკულ პოლიტიკაში • საერთო თემები • კონსერვატორები: ეკონომიკური უფლებების პრიმატი • ლიბერალები: სამოქალაქო უფლებების პრიმატი • არსებითი განსხვავებები • კონსერვატორები, ლიბერალები და საჯარო პოლიტიკა.

ლუის ქეროლის ცნობილი ნაწარმოების, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში," ერთ-ერთ ეპიზოდში ალისა იკარგება და ხვდება ჩეშირულ კატას. „თუ შეგიძლიათ, მითხარით, აქედან საით უნდა წავიდე?" – ეკითხება ალისა მას. „ეს იმაზეა დამოკიდებული, სად გსურს მისვლა", პასუხობს კატა. „ჩემთვის სულერთია", ეუბნება ალისა. „მაშინ ისიც სულერთია, საით წახვალ", – მიუგებს კატა.

ტყეში დაკარგული ალისას მსგავსად, ქვეყნებსა და მათ ხელისუფლებს ხშირად წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, საით სურთ წასვლა და რომელ გზაზე დადგომა ურჩევნიათ. პოლიტიკური მმართველობა შეიძლება იყოს არასრულყოფილი, მაგრამ როგორც ალისასა და კატის საუბარი გვიჩვენებს, პოლიტიკისა და პოლიტიკური კურსის გონივრულად გააზრება ხდება მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების აღსრულებით. ქვეყნებმა, ინდივიდების მსგავსად, არ იციან რომელ კურსს მისდიონ, თუ არ გააჩნიათ წინასწარ განსაზღვრული მიზანი და საბოლოო დანიშნულების პუნქტი.

პოლიტიკის მიზნები და საშუალებები

პოლიტიკაში მიზნები და საშუალებები ერთმანეთისგან განუყოფელია. ხშირად, როცა კამათობენ იმის შესახებ, რა სახის პოლიტიკური კურსია სასურველი, თითქმის ყოველთვის გამოდიან დაშვებიდან, რომ *მისი შედეგი* უნდა ეთანხმებოდეს ***საჯარო სიკეთეს*** ან უნდა შედიოდეს საჯარო ინტერესებში და გარკვეული საერთო სარგებელი მოუტანოს მოგებას პოლიტიკურ ერთობას, როგორც ერთ მთელს. როგორც წესი, დემოკრატიულ პოლიტიკურ მექანიზმებში დებატები იმართება საშუალებებთან და არა მიზნებთან დაკავშირებით. მაგალითად, პოლიტიკოსებს შორის შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, ხელს შეუწყობს თუ არა ქვეყნის აყვავებას ამა თუ იმ პერიოდში გადასახადების შემცირება (დაზოგვისა და ინვესტირების წახალისებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებით, ინფლაციის მაჩვენებელთა შემცირებითა და ა.შ.). მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ სახის კამათი, ძირითადად, გზებსა და საშუალებებს ეხება და არა მიზნებს. ისინი, შეიძლება, ვერ თანხმდებოდნენ საუკეთესო მონეტარულ თუ ფისკალურ სტრატეგიებზე, მაგრამ ორივე მხარე ერთსულოვანია იმის მტკიცებისას, რომ მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ეკონომიკურ სიძლიერესა და სტაბილურობაზე.

ზოგ ქვეყანაში მთავრობის მიზნებსა და საქმიანობას ცოტა აქვს საერთო საჯარო ინტერესებთან და ისინი მიმართულია ძალაუფლებისადმი პირადი ლტოლვისაკენ.[1] ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში საჯარო სიკეთე, ძირითადად, ასოცირებულია ისეთ ფასეულობებთან, როგორიცაა უსაფრთხოება, აყვავება, თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა (იხ. თავი XIII). ეს მიზნები პოლიტიკური „ტივტივებია", რომელთა დახმარებითაც სახელმწიფოს გემი კურსს მიჰყვება. კამათი იმის შესახებ, რა გზით უნდა წავიდეს გემი, მოცემული პოლიტიკური დინებისა და ზურგის ქარის გათვალისწინებით, ძირითადი საკითხია საჯარო პოლიტიკაში. სასურველ დანიშნულების პუნქტთან მიახლოება მთავრობის მთავარი გამოცდაა.

იდეოლოგიები და საჯარო ინტერესი

ადამიანებს ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საჯარო პოლიტიკისა და იმის შესახებ, როგორ მუშაობს მთავრობა ან რას აკეთებს ამა თუ იმ მომენტში,[2] მაგრამ ისინი, ძირითადად, კონსერვატიული ან ლიბერალური შეხედულებებისკენ იხრებიან. როცა ადამიანები შეწყვეტენ აქეთ-იქეთ „გადახრას" და მიემხრობიან მყარ, შეკრულ პოლიტიკურ იდეებს, ამ დროს ისინი ***იდეოლოგიას*** ირჩევენ. იდეოლოგია ფილტრის მსგავსია, რომელსაც „ნამდვილი მომხრეები" იყენებენ მოვლენათა ინტერპრეტირებისათვის, ადამიანთა ქცევის ასახსნელად და პოლიტიკური ქმედების გასამართლებლად. იდეოლოგია სხვადასხვაგვარია, კაცობრიობისა და სოციალური ორგანიზაციის ყოვლისმომცველი თეორიებით (მაგ. მარქსისზმით) დაწყებული, იდეათა არამყარი კავშირებით (ლიბერალიზმი) დამთავრებული, რომლებიც იცვლება დროთა განმავლობაში.

პოლიტიკურ დისკუსიაში იდეოლოგიათა იარლიყის გამოყენება სემანტიკური კომფორტია, რომელიც სხვადასხვა სახის პოლიტიკური ორიენტაციის უფრო ადვილად და ლაკონურად განხილვის საშუალებას იძლევა. მაგალითად, ამერიკელი კონსერვატორი, როგორც წესი, ძლიერი თავდაცვის, ფედერალური მთავრობის მიერ მიღებული სოციალური კეთილდღეობის პროგრამების შეზღუდვის, ბიზნესისა და ინდუსტრიულ საქმიანობაში მთავრობის ჩარევის შემცირება-დერეგულაციისა და მსგავსი ტიპის პროგრამების მომხრეა. ამის საპირისპიროდ, ამერიკელი ლიბერალი მხარს უჭერს სამთავრობო დახმარების პროგრამებს, სამხედრო დანახარჯების შემცირებასა და მთავრობის მიერ ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა საკვები და ნარკობიზნესი, ჯანდაცვა, ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

ამერიკელთა უმრავლესობა არც დოქტრინული ლიბერალია და არც დოქტრინული კონსერვატორი. მეტიც, საერთოდ ძალიან ცოტა ამერიკელი შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე იდეოლოგიის მიმდევრად. ამისათვის ადამიანი ძალიან მკაცრად და ჯიუტად უნდა მიჰყვებოდეს იდეოლოგიას ან „პარტიის კურსს". ინდივიდებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ ან პოლიტიკურად აპათიურები არიან (ამერიკელთა უმრავლესობა), ცხადია, ამ განსაზღვრებას ვერ მივუსადაგებთ.

ამ თავში იდეოლოგია დაყოფილია სამ ჯგუფად: ანტისამთავრობო იდეოლოგია, მემარჯვენე იდეოლოგია და მემარცხენე იდეოლოგია. ტერმინები *მემარჯვენე* და *მემარცხენე* წარმოიშვა ევროპული საპარლამენტო ტრადიციის მიხედვით, განეთავსებინათ სოციალური და პოლიტიკური ცვლილების მომხრე პარტიები მარცხენა მხარეს, ხოლო ცვლილების მოწინააღმდეგენი (ან მმართველობის წინა ფორმის აღდგენის მხარდამჭერი პარტიები) — მარჯვნივ. ცხადია, ყველა პოლიტიკური თვალსაზრისი სრულად ვერ თავსდება ამ ორ კატეგორიაში. ეს განსაკუთრებით ეხება ექსტრემისტულ იდეოლოგიებს.

ანტისამთავრობო იდეოლოგიები

ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მმართველობის ნებისმიერ ფორმას, რაც არ უნდა შეზღუდული იყოს იგი, ***ანარქიზმის*** მომხრეები არიან. ანარქიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ხშირად მიაწერენ რუს რევოლუციონერს მიხეილ

ბაკუნინს (1814-1876წწ.), რომელიც, ერთობოდა განადგურების სიამოვნებით და საზოგადოების უღარიბეს ფენებსა და კრიმინალებს ძალადობრივი აჯანყებებისკენ მოუწოდებდა. ანარქიზმი ახლოს დგას ***ნიჰილიზმთან***, რომლის მიხედვითაც არსებული პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუციების სრული განადგურება თავისთავად არის სასურველი მიზანი. ამ ექსტრემალურად უარყოფით იდეოლოგიას შედარებით ნაკლები გავლენა ჰქონდა რევოლუციამდელი რუსეთის (და ალბათ, ესპანეთის) საზღვრებს გარეთ, თუმცა ზოგი ამჟამინდელი ტერორისტული დაჯგუფება აშკარად ანარქისტული და ნიჰილისტურია.

ორგანიზაცია „ისლამის ერის“ ლიდერის — ლუის ფარახანის წინააღმდეგობრივ შეხედულებებში შეერთებული შტატების მთავრობისა და მისი პოლიტიკის შენიღბული კრიტიკაა ასახული.

ლიბერტარიანელები ნაკლებად მტრულად არიან განწყობილნი ფორმალური მთავრობის იდეისადმი, თუმცა, მათ მიაჩნიათ, რომ მთავრობის უფლებამისილება მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს (ამის გამო მათ ხშირად მინიმალისტებსაც ეძახიან). ***ლიბერტარიანელობა*** ხაზს უსვამს პიროვნული თავისუფლების უდიდეს მნიშვნელობას. მისი მიმდევრები, როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების და თავისუფალი არჩევანის შემზღუდველ საჯარო პოლიტიკას – ხანდაზმულთათვის სოციალური უსაფრთხოების და საშემოსავლო გარანტიების ჩათვლით. ლიბერტარიანელები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ბაზრის უჩინარ ხელს უკეთ შეუძლია მოაგვაროს სოციალური და ეკონომიკური ძალების ურთიერთობა, ვიდრე მთავრობას; კერძო საკუთრების უფლებამ კი უნდა მოიცვას მრავალი ეკონომიკური და მორალური არჩევანი. მაგალითად, ლიბერტარიანელები იცავენ მოქალაქის უფლებას, დაბეჭდოს და გაავრცელოს პორნოგრაფიული მასა-

ლა, რაც არ უნდა ბინძური და მიუღებელი შეიძლება იყოს ის უმრავლესობისათვის (მათ შორის თვით ლიბერტარიანელებისათვის). ისინი ეწინააღმდეგებიან ჯარში სავალდებულო გაწვევასაც, რადგან ფიქრობენ, რომ ეს პირადი არჩევანის საკითხი უნდა იყოს.

მემარჯვენე იდეოლოგიები

ანარქიზმსა და ლიბერტარიანელობას უპირისპირდება იდეოლოგია, რომელიც ხაზს უსვამს ცენტრალური ხელისუფლებისა და პოლიტიკური წესრიგის უზენაეს მნიშვნელობას. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მონარქია ხელისუფლების ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო მსოფლიოში სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ. მეფეები თუ იმპერატორები, ხანები თუ სულთნები, შეიხები თუ შაჰები – მონარქები მბრძანებლობდნენ ყველა დროში, ყველა ადგილას. მათ მომხრეებს, ვინც შეინარჩუნა გვირგვინი რევოლუციური გამოწვევებისა და დემოკრატიული რეფორმების საყოველთაო მოთხოვნათა მიუხედავად, ეწოდებათ როიალისტები, ანუ ***მონარქისტები***. მონარქიას, უფრო სწორად, ბრძენი მეფის მმართველობას არისტოტელე მმართველობის საუკეთესო ფორმად მიიჩნევდა (თუმცა, ის ასევე აღნიშნავდა, რომ ბრძენი მეფეები, ტირანებისგან განსხვავებით, ძალიან იშვიათად გვხვდებოდნენ). მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მონარქები დღესაც მართავენ რამდენიმე მნიშვნელოვან ქვეყანას – **მაგალითად**, იორდანიას, მონაკოს, საუდის არაბეთს. ნავთობით მდიდარი სპარსეთის ყურის ქვეყნები მონარქიათა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

ფაშიზმი. მონარქია, როგორც მემარჯვენე ფრთის ექსტრემალური იდეოლოგია, მეოცე საუკუნეში დათრგუნა ***ფაშიზმმა***. ეს არის იდეოლოგია, სადაც ხაზგასმულია ერთი რასის უპირატესობა და ასევე, ხელისუფლებისადმი სრული მორჩილება. ფაშიზმმა დიდი გავლენა მოიპოვა ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში 1920-40-იან წლებში. უპირატესად, ცხადია, შეისწავლება „ღერძი სახელმწიფოები“ (იტალია, გერმანია, იაპონია) მეორე მსოფლიო ომის დროს. თუმცა, არსებობს ფაშიზმის სხვა ადგილებიც — მაგალითად, ესპანეთში, უნგრეთსა და არგენტინაში.

თავისი ელიტური ხასიათის მიუხედავად, ფაშიზმი სარგებლობდა უდიდესი მასობრივი მხარდაჭერით, ძირითადად, თავისი ულტრანაციონალისტური ელფერის გამო. ერის კონცეფციის (ჰიტლერის შემთხვევაში, რასის) ხაზგასმასთან ერთად, ფაშიზმი ეყრდნობოდა იდეოლოგიურ ფესვებს, მათ შორისაა რომანტიზმი, ქსენოფობია, პოპულიზმი და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სოციალიზმის იერარქიული, არაეგალიტარული და ვიწრო ფორმები (გერმანული ნაციზმი, პრაქტიკაში განხორციელებული მემარჯვენე ფრთის იდეოლოგია, განხილულია V თავში).

მემარჯვენე ფრთის ექსტრემალური იდეოლოგიების ერთ-ერთი განმასხვავებელი შტრიხია ცრურწმენებსა და სიძულვილზე დაყრდნობა.[3] ეს იდეოლოგია დიდ მხარდა-ჭერას მაშინ პოვებს ხოლმე, როცა უამრავი ადამიანი, რასისტული ან ეთნიკური უმრავლესობა, განიცდის ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ეკონომიკურ სიდუხჭირეს. ასეთ სიტუაციაში ადამიანები, განსაკუთრებით, თუ არა აქვთ ფორმალური განათლება და აკლიათ პოლიტიკური გარჩევის უნარი, მიდრეკილნი არიან დაუჯერონ მათი სავალალო მდგომარეობის დემაგოგიურ ახსნას. მძიმე მდგომარე-

ობის მიზეზად გამოიძებნება „განტევების ვაცები“ – რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, უცხო ქვეყანა და ა.შ.

ევროპაში ქსენოფობიის ზრდამ და ანტიემიგრანტულმა განწყობილებებმა 1990-იან წლებში დემონსტრაციები და ძალადობის აქტები გამოიწვია, განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანიაში (ულტრამემარჯვენე, ონაციონალისტური ეროვნული ფრონტი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები დროდადრო საკმაო ძალას იკრებდნენ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში). აშშ-ში ამერიკული ნაცისტური პარტიისა და კუ-კლუქს-კლანის გავლენა იზრდება, როცა გარკვეული ჯგუფები აქტიურად გამოდიან თეთრი რასის აღმატებულობის იდეით. ეს იდეოლოგია მოსაზრებებით კვებავს მრავალ ექსტრემისტულ პოლიტიკურ შეხედულებას, რომლებიც ეხება იმიგრანტებს (ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ქვეყანაში უცხოელთა შეშვებას), სამოქალაქო უფლებებს (აფროამერიკელები, ებრაელები და სხვა უმცირესობანი, როგორც წესი, დაბალ საფეხურზე განიხილებიან და არ იმსახურებენ თეთრების თანაბარ კონსტიტუციურ გარანტიებს), საგარეო პოლიტიკას (ამერიკისათვის საფრთხის შემქმნელთ უნდა გაუმკლავდნენ მაქსიმალური ძალით). ეს ჯგუფები მილიტარიზირებულები არიან და ძალადობას ქადაგებენ. იმის მიუხედავად, რომ კუ-კლუქს-კლანი (მისი სიმბოლო იყო აალებული ჯვრები. დაჯგუფების წევრები იმოსებოდნენ თეთრი ზეწრებით) შემცირდა თითქმის 10000 წევრამდე, აფროამერიკელებისადმი მისი ძალადობისა და ფანატიკური სიძულვილის ხანგრძლივმა ისტორიამ აქცია ის ისეთ დაჯგუფებად, რომლის საქმიანობასაც მთავრობა დღესაც გულდასმით აკვირდება.

რელიგიური მემარჯვენეები (ახალი მემარჯვენეები). რელიგიურ მემარჯვენეთა მოძრაობა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა, წარმოიშვა 1980-იან წლებში. კონსერვატორი რესპუბლიკელის, რონალდ რეიგანის პრეზიდენტად არჩევამ დააჩქარა აშშ-ში ახალი მემარჯვენე პოლიტიკური კოალიციის შექმნა. ტრადიციულ ფასეულობათა აღსადგენად ის იყენებდა მასობრივი შეტყობინების თანამედროვე პოლიტიკურ მექანიზმებს, ექსტენსიური პოლიტიკური კაპიტალის მობილიზებას და მასმედიას (განსაკუთრებით ტელევიზიას). მოძრაობის ფასეულობებში შედიოდა აბორტის აკრძალვა, საჯარო სკოლებში ლოცვების განახლება, კამპანია პორნოგრაფიის წინააღმდეგ, ამერიკული ცხოვრების საფუძვლად ოჯახის აღიარება და კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ფრონტზე.

ეს კოალიცია აერთიანებდა უამრავ ფუნდამენტალისტსა თუ ევანგელისტ პროტესტანტს, რომელთაც ახალ რელიგიურ მემარჯვენეებს და ქრისტიან-მემარჯვენეებსაც უწოდებენ, რადგან ისინი პოლიტიკას ცენტრალური რელიგიური ფასეულობების ნაყოფად მიიჩნევდნენ. ახალი მემარჯვენეები ყველაზე მეტად ასოცირდებოდნენ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების სატელევიზიო ევანგელისტ ჯერი ფალველთან და მისი მორალური უმრავლესობის მოძრაობასთან. პოლიტიკური დამკვირვებლები ვერ თანხმდებოდნენ ახალი მემარჯვენეების მიმდევართა რაოდენობაზე და იმის შესახებ, იყო თუ არა ეს მოძრაობა ამერიკული პოლიტიკის ძირითადი მიმდინარეობა. კრიტიკოსებმა ახალ მემარჯვენეებს მიაკრეს საშიშისა და ექსტრემისტის იარლიყები. უფრო სიმპათიით განწყობილი დამკვირვებლები, თავის მხრივ, ამბობდნენ, რომ არ არსებობდა კანონი, რომელიც კრძალავდა პოლიტიკისა და მორალის ან პოლიტიკისა და რელიგიის სინთეზს.

მემარჯვენეებმა წარუმატებლობა იწვნიეს, როდესაც, 1988 წელს, ევანგელისტი

მინისტრი პეტ რობერტსონი ვერ გახდა რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი და 1992 წელს, როდესაც მეცნიერ პეტ ბიუკენენის კამპანიამ სრული ფიასკო განიცადა. რობერტსონმაც და ბიუკენენმაც საჯარო აღიარება საკაბელო ტელევიზიის წყალობით მოიპოვეს. რობერტსონი ქრისტიანულ სატელევიზიო თოქ-შოუს *The 700 Club*-ს უძღვებოდა, ხოლო ბიუკენენი მონაწილეობდა პროგრამაში *Crossfire*, რომელიც საჯარო საქმიანობას შეეხებოდა. იმის მიუხედავად, რომ ახალი მემარჯვენეებიდან და ქრისტიან-კონსერვატორებიდან ყველა არ უჭერდა მათ მხარს, ბიუკენენი და რობერტსონი ცენტრალური კონსერვატიული ფასეულობების მომხრენი იყვნენ. ახალი მემარჯვენეები და მათი ქრისტიანი მხარდამჭერები კვლავაც ცდილობენ რესპუბლიკურ პარტიაში გავლენის მოპოვებას. ქვეყნის მასშტაბით ხუთიდან ერთი რესპუბლიკელი ამომრჩეველი შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიან-კონსერვატორად.

ქრისტიანული კოალიციის კიდევ ერთი კონსერვატიული ჯგუფის ფესვები ორმოცდაათიანელთა (პროტესტანტიზმის მიმართულება) ეკლესიიდან მომდინარეობს (პეტ რობერტსონის ღვთის ასამბლეათა ეკლესია ორმოცდაათიანელურია. ჯერი ფალველის მორალური უმრავლესობის წევრები ძირითადად მორწმუნე ევანგელისტები არიან). მილიონიანი ქრისტიანული კოალიცია ამზადებს და ფართოდ ავრცელებს კანდიდატთა შეფასების ბარათებს, რითაც აფასებს პოლიტიკური კანდიდატების პოზიციას უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით. მისი წევრები ცდილობენ, რომ მოხვდნენ საშუალო განათლების სისტემაში, რათა ამ გზით გაავრცელონ პატრიოტიზმი (მულტიკულტურალიზმის საპირისპიროდ), აგრეთვე მოახერხონ განათლების სფეროს საფუძვლებთან დაბრუნება, სექსუალური განათლების გაკვეთილების ჩატარებისას ზომიერების ფარგლების შენარჩუნება (ან ამგვარი გაკვეთილების გაუქმება) და სკოლებში მართლწესრიგის აღდგენა.

ქრისტიანულ კოალიციას მაინც ჰქონდა გარკვეული წარმატება, მაგრამ ორგანიზაციის მცდელობა დაიკავოს საჯარო თანამდებობი წამოჭრის ორ კითხვას: პირველი, როგორ შეიძლება გავიგოთ მათი საქმიანობა – როგორც პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეების ლეგიტიმური და შესაქები მცდელობა, მონაწილეობა მიიღონ საჯარო საქმეებში, თუ როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული გამიჯვნის შემაშფოთებელი შემცირება? მეორე, ქრისტიანული კოალიცია ინტერესთა ჯგუფია თუ პოლიტიკური პარტია?

კაპიტალიზმი. დღეს ყველაზე გავლენიანი და ძლიერი იდეოლოგია დასავლეთში ***კაპიტალიზმია***. კომუნიზმის მარცხი, რომელიც უარყოფდა კერძო საკუთრებას, მოგების სტიმულს და ებრძოდა სოციალური უთანასწორობას ტრიუმფი იყო ***თავისუფალი მეწარმეობისა*** და ***საბაზრო ეკონომიკის*** ყველა მომხრისათვის. „ცივი ომი“ იყო იდეოლოგიური დაპირისპირება აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით.

კაპიტალიზმი აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში არის კონსერვატორების წამყვანი იდეოლოგია. ეს არის ფილოსოფიური საფუძველი ისეთი ძლევამოსილი ორგანიზაციებისათვის (და ლობისთვისაც), როგორიცაა აშშ-ს სავაჭრო პალატა და მეწარმეთა ეროვნული ასოციაცია. ასევე, მულტინაციონალური კორპორაციებისათვის, მაგალითად, ჯენერალ მოტორსი, მაიკროსოფტი, მაკდონალდსი და სხვ.

რა არის კაპიტალიზმი? ეს არის როგორც ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრეში“ მიგნებულ პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური თეორია, ისე იდეოლოგია,

რომელიც მხარს უჭერს ინდივიდუალიზმის ღირსებას, მძიმე და ბეჯით შრომას, დამოუკიდებლობასა და პირად ინიციატივას. ის ეწინააღმდეგება მთავრობის ჩარევას (თეორიულად) და მთავრობის რეგულაციას (პრაქტიკაში). ის მიესალმება პრეზიდენტ კალვინ კულიჯის (1923-29 მიერ გამოთქმულ მოსაზრებას: „ამერიკის ბიზნესი (საქმე) ბიზნესია“.

როგორც იდეოლოგია, კაპიტალიზმი ეწინააღმდეგება „სოციალურ კეთილდღეობასა“ და „მთავრობის მიერ გაწეულ დახმარებას“. კალვინისტების[4] მსგავსად, კონსერვატორებს სჯერათ, რომ ქონება წარმატების ნიშანია და ჯილდოა ღირსეულთათვის. მდიდარი ადამიანები იმსახურებენ სიმდიდრეს, სიღარიბე კი თავად ღარიბების ბრალია, რომლებიც ზარმაცები, უმოქმედოები და უპასუხისმგებლოები არიან. სიღარიბის დაძ-ლევა ქველმოქმედებისა და ეკლესიის საქმეა. კონსერვატორებს, ასევე, სჯერათ (ან თავს აჩვენებენ, რომ სჯერათ) „ჩამოჟღენთვის თეორიისა“: თუ საზოგადოების ყველაზე ინიციატივიან და მოხერხებულ წევრებს მიეცემათ საშუალება, ნახონ მოგება და გადასახადების ამკრეფთათვის ქონების გადაცემის მაგივრად, მოახერხებენ მის რეინვესტირებას, მაშინ ეკონომიკა გაიზრდება, დაბალი ფენების ცხოვრება გაუმჯობესდება და ყველანი უკეთ იქნებიან. მართალია, საჯაროდ ამას კონსერვატორები ნაკლებად აცხადებენ, მაგრამ ბევრი მათგანი მართლაც ასე ფიქრობს.

მემარცხენე იდეოლოგიები

მემარცხენე იდეოლოგები ქადაგებენ ადამიანების კოლექტიურად თანაცხოვრების იდეას, რომლის შესაბამისადაც ისინი თავისუფალნი იქნებოდნენ დამამცირებელი და მიკერძოებული სოციალური დაყოფისაგან. ეკონომიკის სფეროში ეს იდეოლოგია ფესვგადგმულია კოლექტივიზმის იდეაში. მის მიხედვით, საჯარო კეთიდღეობას ყველაზე უკეთ ემსახურება საერთო საკუთრება და პოლიტიკური ერთობის პროდუქციითა და დისტრიბუციით ადმინისტრირება. ამრიგად, კოლექტივიზმი ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება კაპიტალიზმს. ეს უკანასკნელი ემხრობა მოსაზრებას, რომ წარმოების საშუალებათა პირად საკუთრებაში ფლობა და განკარგვა საუკეთესო გზაა საზოგადოების, როგორც ერთი მთელის, გამდიდრებისათვის. თანამედროვე ეპოქაში კოლექტივიზმის პრინციპები ყველაზე ხშირად გამოიხატება ***სოციალიზმის*** ფორმით. სოციალიზმი შეიძლება განიმარტოს, როგორც „იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ინდივიდუალიზმს, კერძო საკუთრებას და პირად მოგებას. ამის მაგივრად ის ემხრობა სისტემას, დამყარებულს ეკონომიკურ კოლექტივიზმზე, წარმოების საშუალებათა და საქონლის დისტრიბუციის სახელისუფლებო, საზოგადო და ინდუსტრიულ-ჯგუფურ მფლობელობასა და სოციალურ პასუხისმგებლობაზე.“[5]

თანამედროვე სოციალიზმის მამად ფრანგი რევოლუციონერი ფრანსუა-ნუელ ბაბეფი (1760-1797) ითვლება, რომელიც ემხრობოდა ეკონომიკურ თანასწორობასა და მიწის საერთო მფლობელობას. ბაბეფის იდეები გაიზიარეს და განაახლეს ე.წ. ***უტოპისტმა სოციალისტებმა***, მათ შორის სენ-სიმონმა (1760-1825)და ჩარლზ ფურიემ (1772-1837). ლუი ბლანი (1811-1882) ემხრობოდა უფრო გონივრულ სოციალიზმს, რაც გულისხმობდა მუშების მიერ კონტროლირებადი საბჭოებისა და საწარმოების შექმნას. ბლანკი აქტიური იყო 1848 წლის მუშათა ამბოხებისას. ამ

მღელვარებიდან წარმოიშვა თეორია და მეთოდები, რომელთაც ემხრობოდა მეოცე საუკუნის მემარცხენე იდეოლოგიები, რევოლუციური კომუნიზმით დაწყებული, დემოკრატიული სოციალიზმით დამთავრებული.

რევოლუციური კომუნიზმი. მემარცხენე ექსტრემისტული იდეოლოგიის, ***რევოლუციური კომუნიზმის*** ანუ მარქსიზმის იდეები წარმოიშვა კარლ მარქსის (1818-1883წწ.) და მისი თანამოაზრის, ფრიდრიხ ენგელსის (1820-1895 წწ.) ნაშრომებიდან. მარქსი ჩამოშორდა უტოპისტ სოციალისტებს, რადგან ამტკიცებდა, რომ კოლექტიური იდეალის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ღია კლასობრივი კონფლიქტის მეშვეობით და რომ ისტორიის მეცნიერული „კანონები" წინასწარ განსაზღვრავდა ამ კონფლიქტის შედეგს. ***პროლეტარიატის*** მიერ განხორციელებული რევოლუციის გარდუვალობასა და აუცილებლობაზე ხაზგასმა განასხვავებს მარქსიზმს ანუ კომუნიზმს სოციალიზმის სხვა ფორმებისაგან.

მარქსი და ენგელსი *„კომუნისტურ მანიფესტს" (1848)* თამამი განცხადებით იწყებენ: „მთელი ისტორია არის ისტორია კლასობრივი ბრძოლისა" – ეს განცხადება ემყარება ორ მოსაზრებას: (1) ადამიანის ნებისმიერი ქმედების უკან დგას ეკონომიკური ან მატერიალური ძალები და (2) ისტორიაში ცვლილება და პროგრესი წარმოიშობა ეკონომიკური ძალების მუდმივ შეჯახებათა, კონფლიქტის ან, გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის (1770-1831წწ.) ტერმინს თუ გამოვიყენებთ, *„დიალექტიკური პროცესის"* საფუძველზე. მარქსი თვლიდა, რომ ყველა საზოგადოებამ განვითარების ერთი და იგივე ისტორიული საფეხურები გაიარა. თითოეული ამ საფეხურთაგანი დომინანტური ეკონომიკური სტრუქტურაა (თეზისი), რომელიც შეიცავს ახალი და კონფლიქტური სტრუქტურის (ანტითეზისის) ელემენტებს. თეზისსა და ანტითეზისს შორის გარდაუვალი შეჯახების შედეგად ჩნდება სინთეზი ანუ ახალი ეკონომიკური ეპოქა. მარქსის აზრით, ის, რასაც ჩვენ ახლა ინდუსტრიულ რევოლუციას ვუწოდებთ, იყო ისტორიის კაპიტალისტური საფეხური. მან დაამარცხა ფეოდალური ეპოქა, როცა ***ბურჟუაზიამ*** (ქალაქელმა ხელოსნებმა და ვაჭრებმა) ფეოდალ მიწათმფლობელებს ხელიდან გამოგლიჯა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება. ***დიალექტიკური მატერიალიზმის*** კანონმა, როგორც მარქსმა უწოდა ისტორიის თავისეულ ხედვას, კაპიტალიზმის აღზევება გარდაუვალი გახადა. ზუსტად ამავე კანონის მიხედვით, ასევე გაურდაუვალია კონფლიქტი კაპიტალისტებსა და პროლეტარიატს შორის. ეს კონფლიქტი, მარქსის აზრით, დასრულდება მუშათა კლასის გამარჯვებით და სტაბილური, უკლასო საზოგადოების გამოცხადებით (უკლასო საზოგადოების უტოპიური იდეა აღწერილია II თავში).

მარქსისტული თეორიის თანახმად, თანამედროვე ინდუსტრიული კაპიტალიზმის მთავარი შტრიხია საზოგადოების დაყოფა ორ ანტაგონისტურ კლასად: კაპიტალისტებად – ისინი ფლობენ წარმოების საშუალებებს და პროლეტარებად, რომლებიც იძულებულნი არიან საათობით იმუშაონ საარსებო მინიმუმისთვის. განსხვავება ამ გასამრჯელოსა და მუშათა შრომის შედაგად მიღებული პროდუქტის ფასს შორის არის *ჭარბი ღირებულება* (მეტისმეტად დიდი მოგება), რომელსაც კაპიტალისტები იჯიბავენ. კაპიტალისტები სისტემატურად ახდენენ პროლეტართა ექსპლოატაციას და ამით გაუცნობიერებლად პროლეტარულ რევოლუციას უყრიან საფუძველს.

მარქსი და მისი თანამოაზრეები მიიჩნევენ, რომ ეს რევოლუცია შემდეგნაირად განვითარდება: ე.წ. ***კაპიტალისტური დაგროვების კანონის*** თანახმად, კაპიტალისტები უნდა გაფართოვდნენ თავიანთი კონკურენტების ხარჯზე ან თავად

განდევნილ იქნენ ბაზრიდან. სანამ კაპიტალისტები აგრძელებენ გაფართოებას, ისინი თავიდან იშორებენ სუსტებს და ხელში იგდებენ ბაზრის სულ უფრო მზარდ წილს. საბოლოოდ, ყველაზე სასტიკ შეჯიბრში წარმატებული მონაწილეები განდევნიან დანარჩენებს. ამრიგად, ისინი შედიან მონოპოლიური კაპიტალიზმის ეპოქაში, რომელიც დაუყოვნებლივ იწვევს მთელი კაპიტალისტური სისტემის დაშლას. რატომ უნდა იქნას კაპიტალიზმი დათრგუნული ამ საფეხურზე, როცა ჩანს, რომ კაპიტალისტურმა მონოპოლიამ ხელთ იგდო უპირობო ძალაუფლება? – იმიტომ, რომ ზუსტად იმ დროს, როცა მდიდრები მდიდრდებოდნენ, ღარიბები ღარიბდებოდნენ. ადამიანური შრომა მანქანამ შეცვალა. კონკურენციის პროცესში იზრდებოდა უმუშევრობა, მცირდებოდა მსყიდველობითი უნარი და საშინაო ბაზარი. საქმიანი აქტიურობის ვარდნის ეს თანდაყოლილი ტენდენცია და თავის მხრივ, დეპრესიაც, იწვევს უფრო მეტ უმუშევრობას, დაბალ გასამრჯელოს და ა.შ. უთვალავი ადამიანი ხდება „ჭარბი მუშა“ – უმუშევარი, უფულო და უიმედო. ამას ***პაუპერიზაციის (გაღატაკების) კანონი*** ეწოდება და ეს გარდაუვალია. ორთოდოქსი მარქსისტებისათვის „კაპიტალიზმის კრიზისი“ და მის შედეგად დაწყებული პროლეტარული რევოლუციაც გარდაუვალი მოვლენებია. რადგანაც კაპიტალისტები არ დათმობენ თავიანთ ძალაუფლებას, პრივილეგიებს ან ქონებას უბრძოლველად, კაპიტალიზმის დამხობა მხოლოდ სისხლიანი რევოლუციის გზითაა შესაძლებელი.

რწმენა, რომ ძალადობრივი მასობრივი ქმედება აუცილებელია რადიკალური ცვლილებების განსახორციელებლად, უმთავრესი იყო მარქსის მიმდევრის, ლენინის (1870-1924წწ.) თეორიებში. ამ უკანასკნელმა დააარსა რუსეთის კომუნისტური პარტია და სათავეში ჩაუდგა რუსეთის 1917 წლის რევოლუციას. მარქსისტ-ლენინისტები, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ, ფიქრობდნენ, რომ საპარლამენტო დემოკრატია და „ბურჟუაზიული ლეგალურობა“ მხოლოდ კაპიტალისტური ექსპლოატაციის რეალობის შესანიღბად შექმნილი სუპერსტრუქტურებია (ზედნაშენია). რევოლუციონერი კომუნისტები არ ინტერესდებოდნენ იმ წარმომადგენლობითი ინსტიტუტებით, რომლებიც ჭარბობდა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში.

საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის დაცემასთან ერთად, მარქსიზმმა დაკარგა თავისი ავტორიტეტი. თუმცა, ეს დოქტრინა ინარჩუნებს მომხიბვლელობას ჩაგრულთა კლასში, გარკვეულწილად, თავისი „ჯვაროსნული სულისა“ და გათავისუფლების დაპირების გამო. ბევრ ასპექტში რევოლუციური მარქსიზმი წააგავს მილიტარისტულ-ფუნდამენტალისტურ რელიგიას, თანამედროვე ისლამისა და ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანობის მსგავსად. ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ბერნარ რასელმა შემდეგნაირად გამოსახა პარალელები ქრისტიანობასა და მარქსიზმს შორის:[6]

მარქსიზმის ფსიქოლოგიის კუთხით გასაგებად შემდეგი ლექსიკონი უნდა გამოვიყენოთ:

იეღოვა (ღმერთი)	=	დიალექტიკური მატერიალიზმი
მესია	=	მარქსი
რჩეულნი	=	პროლეტარიატი
ეკლესია	=	კომუნიტური პარტია
მეორედ მოსვლა	=	რევოლუცია
ჯოჯოხეთი	=	კაპიტალისტების სასჯელი
მარადიული სამოთხე	=	კომუნისტური თანამეგობრობა

რასელის აზრით, მარცხნივ განლაგებული ტერმინები ემოციურ შინაარსს აძლევს მარჯვნივ განლაგებულს. ეს ანალოგია გვეხმარება გავიგოთ მარქსიზმის დიდი ემოციური ზემოქმედება.

კომუნიზმი და დემოკრატია. აშშ-ში კომუნისტური პარტია ძლიერი არასდროს ყოფილა და ძალიან ცოტა ამერიკელი თუ გამოტყდება, რომ სიმპათიითაა განწყობილი კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ. თუმცა, მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში კომუნისტური პარტია ბოლო დრომდე ყვაოდა. ყოფილ საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ ევროპაში, ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამში, კუბასა და მესამე მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში კომუნისტური პარტია დომინირებდა მარქსიზმის (უპირატესად, მარქსიზმ-ლენინიზმის) დროშის ქვეშ.

მესამე მსოფლიოს ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტები ან მარქსისტები სათავეში ედგნენ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს“, რომლებიც მიზნად ისახავდა არსებულ მთავრობათა დამხობას. ბევრ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, არამმართველმა კომუნისტურმა პარტიებმა მიაღწიეს დემოკრატიულ რესპექტაბელურობას. საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში კომუნისტური პარტია კანონიერად იყო აღიარებული და მონაწილეობდა ეროვნულ არჩევნებში და ზოგჯერ კოალიციურ მთავრობათა ფორმირებაშიც. უმეტესწილად, ეს პარტიები პოლიტიკური წესების მიხედვით თამაშობდნენ და მოიპოვებდნენ საზოგადოებრივ ნდობას, თუმცა ისინი ვერასდროს ახერხებდნენ ხმათა უმრავლესობის დაგროვებას, რაც საჭირო იყო ძალაუფლების ხელში ასაღებად. 1970-იან წლებში იტალიასა და ესპანეთში კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა ***ევროკომუნიზმის*** სახელით ცნობილ მოძრაობას. ევროკომუნისტები უარს ამბობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ბევრ უძველეს დოგმაზე, მათ შორის ძალადობრივი რევოლუციის წამოწყებაზე, პროლეტარიატის დიქტატის რწმენასა და დემოკრატიული ცენტრალიზმისადმი დოგმატურ ერთგულებაზე, რაც უპირობო მორჩილებას მოითხოვს პარტიული კურსისადმი და კრძალავს ურჩობას.

მართალია, ევროპული კომუნისტური პარტიების გავლენა შედარებით შემცირდა, მაგრამ არ გამქრალა. მას შემდეგ, რაც საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა შთამბეჭდავი საარჩევნო გამარჯვება 1997 წლის მაისში, სამი კომუნისტი დაინიშნა სამთავრობო პოსტებზე. [ბოლო წლებში კომუნისტური პარტიების მნიშვნელობა შემცირდა და ისინი ან გაქრნენ, ან სოციალისტურ პარტიებს შეუერთდნე — მთარგმ. შენ.]

დემოკრატიული სოციალიზმი. რევოლუციური კომუნიზმისგან განსხვავებით, დემოკრატიული სოციალიზმი – სოციალისტური იდეოლოგიის მეორე მნიშვნელოვანი განშტოება, კოლექტივისტურ მიზნებს მისდევს (და ამრიგად, უარყოფს კაპიტალიზმს), მაგრამ ერთგულია დემოკრატიული საშუალებებისა. ორთოდოქსული მარქსიზმისგან განსხვავებით, დემოკრატ-სოციალისტებს სჯერათ ***გრადუალიზმისა*** – რეფორმისა და არა რევოლუციის.

დემოკრატიული სოციალისტები, იგივე სოციალ-დემოკრატები, მთავრობის როლის ზრდისა და ბაზრის როლის შეზღუდვის მომხრენი არიან. სოციალისტურ პარტიათა უმრავლესობა მხარს უჭერს ეკონომიკის ძირითადი ნაწილების – ტრანსპორტის, კომუნიკაციების, კომუნალური მომსახურების, საბანკო სისტემის და ფინანსების, დაზღვევისა და მრეწველობის ისეთი დარგების, როგორიცაა მანქა-

ნათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, სამთო-მოპოვებითი დარგები და ენერგეტიკა – ნაციონალიზაციას. ისინი, ასევე, მომხრეები არიან თანამედროვე „კეთილდღეობის სახელმწიფოსი“, სადაც მთავრობას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ჯანდაცვის, განათლებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის საკითხებში.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მიზანი არის სიღარიბისა და უთანასწორობის დაძლევა შემოსავლების ფართომასშტაბიანი გადანაწილების გზით. მას ხშირად აღწერენ როგორც „აკვნიდან საფლავამდე“ სისტემას. ასეთ სახელმწიფოს ახასიათებს უფასო უმაღლესი განათლება, უფასო (ან დიდად სუბსიდირებული) სამედიცინო მომსახურება, ხელგაშლილი საჯარო დახმარებები (ფულადი დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს, საპენსიო გეგმები, სხვადასხვა სახის უფასო ან სუბსიდირებული მომსახურება). ამ პროგრამებისა და მომსახურების დასაფინანსებლად სოციალისტები მხარს უჭერენ მაღალ გადასახადებს, მათ შორის, მკვეთრად მზარდ საშემოსავლო და მყარ მემკვიდრეობით გადასახადებს, რათა ამოივსოს უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის. სოციალისტური იდეოლოგია მოითხოვს ამგვარ პოლიტიკას, რადგან ის სოციალურ სამართლიანობას ეკონომიკურ თანასწორობასთან აიგივებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიულ სოციალიზმს უდიდესი გავლენა ჰქონდა დასავლეთ ევროპაში (და რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში). ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს წარმატებული სოციალ-დემოკრატიული პარტია. გერმანიაში, მაგალითად, ცენტრალურ მემარცხენე პარტიას ფორმალურად ეწოდება სოციალ-დემოკრატიული. „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ დიდი ბრიტანეთი და სკანდინავიის ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ 1981 წელს საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა სოციალისტი ფრანსუა მიტერანი და ამის შემდეგ ეროვნულ არჩევნებში მისმა პარტიამ მოიპოვა საკმარისი ხმები იმისათვის, რომ შეედგინა პირველი მემარცხენე მთავრობა მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში (რომელიც 1958 წლიდან არსებობს). და მაინც, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როგორიცაა დანია და შვედეთი, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური გავლენა შემცირდა 1990-იან წლებში. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მხარს უჭერდნენ სოციალისტურ პრინციპებს, ან კარგავდნენ გავლენას, ან უფრო „უმეგობრდებოდნენ“ თავისუფალ ბაზარსა და ეკონომიკური კონკურენციის იდეებს. ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია, რომელიც 1997 წელს მოვიდა მთავრობაში „ზომიერი“ პოლიტიკოსის, ტონი ბლერის მეთაურობით, თვალსაჩინო მაგალითია უკანასკნელ წლებში ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციის შერბილებისა.

დემოკრატიულ სოციალიზმს, როგორც ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალას, მცირე გავლენა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ის პოლიტიკაზე, მიუხედავად იმისა, რომ 1930-იან წლებში პრეზიდენტობის კანდიდატის ნორმან ტომასის პროპაგანდა სოციალისტური ხასიათისა იყო და ამომრჩეველთა დიდი მხარდაჭერა და ყურადღება მოიპოვა. როგორც პირველ მსოფლიო ომამდე, ისე მის შემდეგ, სოციალისტებმა მიიღეს 900 ათასი ხმა არჩევნებზე. 1912 და 1920 წლის არჩევნებმა აშშ-ში სოციალიზმის მიმართ დიდი ინტერესი აჩვენა. რაში იყო საქმე?

ამერიკელები, როგორც წესი, ინდივიდუალისტები არიან და ეჭვით უყურებენ „დიდ სახელმწიფოს“; ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი სოციალიზმს საერთოდ კომუნიზმთან აიგივებდნენ და ამიტომ უარყოფდნენ მას. ამის მიუხედავად, ბევრი საჯარო პროგრამა, რომლებიც ახლა საყოველთაოდაა აღიარებული, წააგავს იმ პროგრამებს, რომლებსაც უკვე დიდი ხანია მხარს უჭერენ დემოკრატი სოციალი-

სტები. მაგალითების სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ სოციალური უსაფრთხოება, ჯანდაცვა, მრავალშვილიან ოჯახთა დახმარება, უმუშევრობის კომპენსაცია და საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამები.

რადიკალური ეგალიტარიანიზმი. რადიკალური ეგალიტარიანიზმი არ არის პირდაპირი იდეოლოგია იმ გაგებით, რომ ის არ უმადლის თავის არსებობას ერთი ინდივიდის ნაშრომებს და არ შედგება ერთი-ორი ყოვლისმომცველი პრინციპისგან. ის არც უნივერსალურადაა აღიარებული. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, რადიკალური ეგალიტარიანიზმი არის ცხადი და მკაფიოდ განსაზღვრული პოზიცია საჯარო კეთიდღეობისადმი. იგი სრულიად თანასწორი მსოფლიოს მომხრეა. მის მიმდევართა აზრით, საზოგადოებაში მიღებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ყოველდღიური განსხვავებები (ვინ არის წარმატებული, რას ვსწავლობთ და ვკითხულობთ და ა.შ.) თავდაპირველად წარმოიშვა მიკერძოების/მიდრეკილების ან ეთნოცენტრიზმის საფუძველზე. რადიკალური ეგალიტარიანისტები მიიჩნევენ, რომ ეთნიკური უმცირესობები, ქალები, ჰომოსექსუალები, ფიზიკურად თუ გონებრივად უნარშეზღუდული ადამიანები და ყველანი, ვინც უმრავლესობის ფარგლებს გარეთ ხვდებიან, განიცდიან დისკრიმინაციას. ამიტომაც საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მათი წინწაწევის, წარმატებისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ეს ჯგუფები დიდი ხნის მანძილზე იდევნებოდნენ (პრივილეგირებული თეთრკანიანი მამაკაცების სასარგებლოდ), ამიტომაც ისინი უნდა გახდნენ კვლევების ობიექტებიცა და წყაროებიც და მათთვის და მათ შესახებ დაწერილი ნამუშევრები უნდა შედიოდეს ყოველი კოლეჯის სასწავლო გეგმაში. და ბოლოს, მათი აზრით, ეს ჯგუფები არ არის კარგად შესწავლილი სისტემური დისკრიმანიციისა და დასავლური ცივილიზაციის ენდემური მიდრეკილებების გამო.

ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის, საზოგადებისა და ცივილიზაციის რადიკალური ეგალიტარიანისტული ანალიზი ძალიან საკამათოა. კონსერვატორი კრიტიკოსები ეწინააღმდეგებიან ამერიკული საზოგადოებისა და დასავლური ცივილიზაციის რადიკალურ-ეგალიტარიანისტულ დახასიათებას და ბრაზდებიან, როდესაც მათი კრიტიკა უარყოფილია როგორც რასისტული, გენდერულად დისკრიმინაციული, ჰომოფობიური (ჰომოსექსუალთა ზიზღი) ან სხვა მიზეზით. კონსერვატორი კრიტიკოსები აცხადებენ, რომ რადიკალი ეგალიტარიანისტები ქმნიან ემოციურად დაძაბულ კლიმატს, სადაც მხოლოდ „პოლიტიკურად კორექტულ“ აზრს სცემენ პატივს. 1990-იან წლებში პოლიტიკური კორექტულობის პოლემიკა თავს დაატყდა ამერიკულ კოლეჯებს. ხშირად ეს გამოიხატებოდა დებატებში რადიკალურ-ეგალიტერიანისტული მსოფლმხედველობის საჭიროების შესახებ.

იზმები და ამერიკული პოლიტიკა

ამერიკული პოლიტიკა, არსებითად, არის მძაფრი კონკურენცია ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის. რამდენადაც ეს ორი მიმართულება ხშირად დაბნეულობას იწვევს და რადგანაც ძნელია ამერიკული პოლიტიკის უმთავრესი საკითხების გაგება ლიბერალიზმ-კონსერვატიზმისგან განცალკევებით, საჯარო სიკეთესთან ერთად უნდა განვიხილოთ ეს ორი ამერიკული მიმდინარეობა.

იარღიყები ამერიკულ პოლიტიკაში

თანამედროვე ამერიკულ ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს დასავლური პოლიტიკური აზრის 300-წლიანი ***ლიბერალური ტრადიცია*** უდევს საფუძვლად. ყველაზე ფუნდამენტური პრინციპი ამ ტრადიციისა იყო ის, რომ მთავრობა უნდა იცავდეს ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებს. ***ამერიკული ლიბერალიზმი*** ხაზს უსვამს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანასწორობას ყველა სამოქალაქო უფლების დაცვისა და გაფართოების სახელით. ამისგან განსხვავებით, ***ამერიკული კონსერვატიზმი*** მომხრეა ისეთი პოლიტიკისა, რომელიც წინ წამოსწევს აყვავებასა და თანაბარ შანსებს ინდივიდუალური საკუთრებისა და ეკონომიკური უფლებების დაცვის სახელით. ამრიგად, როგორც ლიბერალები, ისე კონსერვატორები ემხრობიან ინდვიდუალური უფლებების დაცვას, უბრალოდ, ისინი განსხვავდებიან იმის მიხედვით, რომელი მიაჩნიათ ამ უფლებათაგან უფრო მნიშვნელოვნად.

რამდენიმე ფაქტორი აძნელებს იმის ზუსტად განსაზღვრას, რას გულისხმობს ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი ამერიკული პოლიტიკის ასპექტში. რა არის ეს ფაქტორები?

უპირველეს ყოვლისა, აშშ-ში იდეოლოგიის როლი მკაცრად შეზღუდულია პოლიტიკური კულტურით, სადაც ყოველდღიური პოლიტიკა მოიცავს კონკრეტულ ინტერესთა დაპირისპირებას და არა შეურიგებელი იდეებისა და პრინციპების კონფლიქტს. როგორც წესი, არჩეული მოხელეების დღის წესრიგი გამოსახავს ადგილობრივ ეკონომიკურ ინტერესებს, ამომრჩევლის სოციალური და ეკონომიკური განწყობების ცვლილებას, უპირისპირდება გარკვეულ პრობლემას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ პოლიტიკაში არიან დოქტრინული ლიბერალები და კონსერვატორები, პრაქტიკაში ამერიკელი პოლიტიკოსები უფრო პრაგმატულნი არიან, ვიდრე დოგმატურები.

ლიბერალები და კონსერვატორები კამათისას იშვიათად ექცევიან ერთსა და იმავე მხარეს. მაგალითად, ზოგადად, კონსერვატორები ემხრობიან კანონებს პორნოგრაფიის წინააღმდეგ, მაშინ, როცა ლიბერალები ეწინააღმდეგებიან ასეთ შეზღუდვებს (მეტიც, ხანდახან ხუმრობით ამბობენ, რომ ლიბერალები ყიდულობენ იმ წიგნებს, რომელთა აკრძალვაც უნდათ კონსერვატორებს, იმ დროს, როცა კონსერვატორები ქმნიან ცენზურის კომიტეტებს და იქ ჯგუფურად კითხულობენ ამ წიგნებს). ამის მიუხედავად, ე.წ. მინიმალისტი კონსერვატორები ანუ ლიბერტარიანელები ეწინააღმდეგებიან ყველა სახის შეზღუდვას ნებისმიერი სახის საკითხავი მასალის გაყიდვაზე, დემონსტრირებაზე, დისტრიბუციასა და ფლობაზე. ამ დროს, ქალთა უფლებების დამცველი ზოგი ლიბერალი, რადიკალიც კი, უერთდება კონსერვატორებს ამგვარი წიგნების აკრძალვის მოთხოვნაში, იმ მოტივით, რომ პორნოგრაფია ექპლუატაციას უწევს და რეპუტაციას ულახავს მდედრობითი სქესის ყველა წარმომადგენელს გაუკუღმართებული მამაკაცების სიამოვნებისათვის.

ზოგი საკითხი, რომელიც ლიბერალებსა და კონსერვატორებს ყოფდა ორ დაპირისპირებულ ბანაკად ერთ დროს, სხვა დროს შეიძლება საერთოდ შეუსაბამო გახდეს. კონსერვატორები იცავდნენ არისტოკრატიის ძალაუფლებასა და პრივილეგიებს, მაგრამ ყველა სახის მაღალი წარმომავლობის ტიტული გაუქმდა ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ. ევროპაში, სადაც მემკვიდრეობითი ტიტულები ადრე გასაღები იყო ქონებისა და ძალა-უფლებისათვის, მათი ყოფილი უპირატესობის შეხსენება დღეს წარსულისკენ ანომალიურ მიბრუნებად გვეჩვენება. იმის მიუხედავად, რომ

კონსერვატორები ლიბერალებზე მეტად მიდრეკილნი არიან მდიდართა ინტერესების დაცვისადმი, ვერც ერთი სერიოზული პოლიტიკური ფიგურა ვერ გაბედავს გამოთქვას აზრი არისტოკრატიის უპირატესობის აღდგენის შესახებ.

საერთო თემები

ერთ დროს ცნებები – ***ლიბერალიზმი*** და ***კონსერვატიზმი***, შეიძლება ლოგიკურად თანმიმდევრულ და ზუსტად განსაზღვრულ ალტერნატივებს გამოხატავდა. თუმცა, თანამედროვე ამერიკულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი არაა ცალკეული და მყარად ჩამოყალიბებული იდეოლოგიები, როგორიც, მაგალითად, კომუნიზმი ან ფაშიზმი.

აშშ-ში როგორც ლიბერალიზმი, ისე კონსერვატიზმი განვითარდა პოლიტიკური პრინციპების ფუნდამენტური წყებიდან და მათ ვარიაციებს წარმოადგენს.[7] ეს პოლიტიკური კრედო ბევრს უნდა უმადლოდეს ჯონ ლოკის პოლიტიკურ შრომებს. როგორც დამოუკიდებლობის დეკლარაციაშია შეჯამებული, ყველა ადამიანი იბადება თანასწორად; უზრუნველყოფილია მათი არსებითი უფლებები, მათ შორის სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებები (ლოკის „საკუთრების უფლების“ ჯეფერსონისეული ვარიაცია); მთავრობა არსებობს ამ უფლების დასაცავად და ლეგიტიმური ხდება მართულთა თანხმობის საფუძველზე. დეკლარაცია ასევე აცხადებს, რომ როდესაც მთავრობას ავიწყდება მისი ხელისუფლებაში მოსვლის მიზანი და მიზეზები, ხალხს აქვს უფლება შეცვალოს ან გააუქმოს ის.

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ზოგადადაა ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რომლებზეც თავის დასაწყისში ვისაუბრეთ. *თავისუფლება* ხაზგასმითაა ნახსენები, ისევე როგორც ინდივიდის უფლება *სიცოცხლესა* და *უსაფრთხოებაზე*. *აყვავება* გულიხმობს მთავრობის მოვალეობას, დაიცვას ადამიანის უფლება, ილტვოდეს ბედნიერებისაკენ (ბოლოს და ბოლოს, ბედნიერებისკენ სწრაფვა არ გამორიცხავს სიმდიდრისკენ სწრაფვას კომერციულ საზოგადოებაში). *თანასწორობა* მიჩნეულია ადამიანის ფუნდამენტურ მდგომარეობად და ამერიკელ ხალხს, სხვასთან ერთად, გარანტირებული აქვს თანაბარი თავისუფლება.

და ბოლოს, მიჩნეულია, რომ მთავრობა, რომელიც ადეკვატურად არ იცავს და პატივს არ სცემს ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებას, არ იმსახურებს კეთილ სახელს. ამგვარი სახის მთავრობა, დეკლარაციის მიხედვით, არღვევს სამართლიანობის პრინციპებს და შეიძლება მისი შეცვლა ან გაუქმება. აშშ-ის კონსტიტუციაში, რომელსაც აქვს საყოველთაოდ აღიარებული მიზანი – „გამოაცხადოს სამართლიანობა, უზრუნველყოს მშვიდობა ქვეყნის შიგნით, საერთო უსაფრთხოება, თავისუფლების დაცვა და საზოგადოების კეთილდღეობას შეუწყოს ხელი“, მთავრობის ეს ძირითადი ამოცანები კიდევ უფრო ცხადად არის აღწერილი.

კონსერვატიზმი: ეკონომიკური უფლემების პრიმატი

აშშ-ში კონსერვატორები ძირითადად ხაზს უსვამენ ეკონომიკასა და ეკონომიკურ უფლებებს. ამ სახის წინადადებებით პირველად წარდგნენ XVII-XVIII საუკუნის პოლიტიკური ფილოსოფოსები და ეკონომისტები.

ჯონ ლოკი (1632-1704). იმის მიუხედავად, რომ ჯონ ლოკი, უპირველესად, მიჩნეულია პოლიტიკის ფილოსოფოსად, მან დიდი წვლილი შეიტანა კომერციული რესპუბლიკის იდეის ჩამოყალიბებაში. ეს არის ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე კონსერვატიზმის ბირთვს. ლოკმა ნათლად განაცხადა, რომ ინდივიდებს აქვთ საკუთრების უფლება – განსაკუთრებით თავისი ძალისხმევით მოპოვებულ საკუთრებაზე – და მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი კერძო საკუთრების დაცვაა. მან ასევე გონივრული ახსნა მოუძებნა საკუთრების უფლებებს, ლეგალურ ფულად ვალებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რაც კომერციული სახელმწიფოს საფუძველია. ამასთან ერთად, სიხარბის ინსტინქტს ინტელექტურ დისკურსში ახლადმოპოვებული რესპექტაბელობა მიანიჭა.

ბევრი ძველი ფილოსოფოსი, არისტოტელედან თომა აქვინელამდე (1224-1274), გაურბოდა ამქვეყნიური მფლობელობით ზედმეტად დაინტერესებას. ამისგან განსხვავებით, ლოკს წარმოდგენილი ჰქონდა საზოგადოება, სადაც ინდივიდები მუდმივად იღვწიან თავიანთი ხვედრის გასაუმჯობესებლად, სადაც წარმოებისა და გამოგონების სული ყვავის და ფული არის გაცვლის უნივერსალური საშუალება. მისი აზრით, ქონების დაგროვების შემდგომ, რეინვესტირებული და გაფართოებული საზოგადოება აყვავდება და აყვავებული საზოგადოება იქნება ბედნიერი.

ბარონ დე მონტესკიე (1689-1755). მაშინ, როცა ლოკმა განავითარა კომერციული რესპუბლიკის ზოგადი თეორია, ფრანგმა პოლიტიკის ფილოსოფოსმა ბარონ დე მონტესკიემ თავის ცნობილ ნაშრომ *„კანონთა გონში“* (1748) განსაზღვრა ბიზნესსა და კომერციასთან დაკავშირებული საკითხების დადებითი მხარეები. მონტესკიეს აზრით, ქვეყნებს, რომლებიც ექსტენსიურ ვაჭრობას აწარმოებენ სხვა სახელმწიფოებთან, სურვილი ექნებათ მშვიდობისა, რადგან ომი ხელს უშლის საერთაშორისო ვაჭრობას. მან, ასევე, დაასკვნა, რომ კომერცია ხელს უწყობს უფრო სამართლებრივი პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, ინდივიდუალური თვითგაუმჯობესებისათვის ახალი გზების გახსნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიღარიბეში დაბადებულსაც შეუძლია გახდეს მდიდარი დაუღალავი შრომითა და ჟინით. ამასთან, კომერციაზე გაკეთებული აქცენტი განაწყობდა საზოგადოებას რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ. მიწიერ კეთილდღეობაზე ზრუნვა და „ჯოუნსებთან შეჯიბრი“ (ამერიკული გამოთქმა – მეზობლებთან შეჯიბრება მატერიალურ საკუთრებაში) დაიკავებდა რელიგიური დაპირისპირების გამომწვევი ფანატიკური აღმაფრენის ადგილს. კომერციული წესრიგის საუკეთესო მხარეა მისი დადებითი გავლენა ინდივიდუალურ მორალურობაზე. მონტესკიეს სჯეროდა, რომ კომერციული დემოკრატია წარმოშობდა ბურჟუაზიულ ღირსეულ თვისებებს, მათ შორის „ყაირათიანობას, ეკონომიურობას, შრომას, შორსმჭვრეტელობას, წესრიგს.“[8]

ადამ სმიტი (1723-1790). მას შემდეგ, რაც ლოკმა ჩამოაყალიბა კომერციული სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლები და მონტესკიემ ჩამოთვალა ამგვარი სახელმწიფოს დადებითი მხარეები, შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა ახსნა მისი მოქმედების პრინციპები. სმითი დარწმუნებული იყო, რომ როგორც ინდივიდუალური ბედნიერება, ისე სოციალური ჰარმონია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოების გზებთან. მან თავის ცნობილ ნაშრომში *„ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების კვლევა“ (Inquiry into the Nature and Causes of the*

Wealth of Nations; 1776) (რომელმაც შემდეგ დიდი გავლენა მოიპოვა) სქემის სახით ჩამოაყალიბა, როგორ შეუძლია კომერციულ საზოგადოებას ეფექტიანად იარსებოს ცენტრალური მთავრობის მიერ ეკონომიკური სფეროს რეგულირებისა და დაგეგმვის გარეშე. ეს ნაშრომი ყველა სხვა წიგნზე მეტად იქცა თანამედროვე კაპიტალიზმის ლოგიკურ დასაბუთებად.

ლოკის მსგავსად, სმიტიც აღიარებდა ადამიანთა საქმიანობაში კერძო ინტერესის უმნიშვნელოვანეს როლს. ეკონომიკურ ბაზარზე კერძო ინტერესი არა მარტო განაწყობს ინდივიდს მუშაობისთვის, არამედ კარნახობს მას ისეთი საქმიანობის არჩევას, რომელიც მიესადაგება მის სპეციფიკურ სოციალურ საჭიროებას:

> ჩვენ რომ სადილს მივირთმევთ, ეს არ არის ყასაბის, ხაბაზის ან ლუდის მხარშველის კეთილგანწყობის შედეგი, ეს საკუთარი დაინტერესების შედეგია. ჩვენ ჩვენს ინტერესების დაკმაყოფილებას უნდა ვუმადლოდეთ არა მათ ჰუმანურობას, არამედ მათ საკუთარი თავის სიყვარულს. და ჩვენ მათ ვესაუბრებით არა ჩვენი საჭირობიდან, არამედ მათი უპირატესობიდან გამომდინარე.[9]

სმიტის ცნობილი თეორიაა ბაზრის „უჩინარი ხელი“, რომელიც გამოხატულია ***მოთხოვნა-მიწოდების კანონით***. მისი აზრით, ეს კანონი განსაზღვრავს საბაზრო ფასს. სადაც პროდუქტის რაოდენობა დიდია და მოთხოვნა – მცირე, საქონლის საბაზრო ფასი ეცემა იმ დრომდე, სანამ ყველაზე ეფექტიანი მწარმოებლები არ დარჩებიან ბაზარზე. საპირისპიროდ, როცა პროდუქტის რაოდენობა მცირეა და მოთხოვნა – დიდი, საქონლის საბაზრო ფასი მატულობს. საბოლოოდ, ღირებულება დაიწევს, როცა კონკურენცია გაიზრდება. ამ გზით ბაზარი ავტომატურად ამყარებს მიწოდება-მოთხოვნის წონასწორობას.

სმიტს სჯეროდა, რომ გამორჩენით დაინტერესება და საბაზრო ძალები ერთმანეთს შეეწყობოდნენ, რათა შეენარჩუნებინათ ეკონომიკური შეჯიბრი და კონკურენცია. ეს, თავის მხრივ, არ მისცემდა ფასებს საშუალებას ძალიან გასცდენოდა პროდუქციის რეალურ ღირებულებას (თუ ეს ასე მოხდებოდა, მწარმოებლებს დათრგუნავდნენ კონკურენტები). ამ თვალსაზრისით, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება და საბაზრო მდგომარეობა ხელს უწყობს ფასების თვითრეგულაციას: მაღალი ფასები ქმნის მაღალი კონკურენციის ინიციატივას, დაბალი ფასი იწვევს მოთხოვნის გაზრდას და შესაბამისად, ამას შედეგად პროდუქციის გაზრდა მოჰყვება.

და ბოლოს, სმიტის თავისუფალი მეწარმეობის თეორიის მიხედვით, ინდივიდები ნებაყოფლობით ირჩევენ კონკრეტულად იმ პროფესიასა და საქმიანობას, რომლებიც საზოგადოებაში ყველაზე ფასეულად ითვლება, რადგან ფულადი გასამრჯელო ამ შემთხვევაში ძალიან დიდი საცდურია, მაშინაც კი, როცა თვით საქმიანობა არ არის ძალიან მომხიბვლელი.[10] ეს კონცეფციები ერთად განსაზღვრავს ე.წ. თავისუფალი (***laissez-faire*** (მიეცით საშუალება ხალხს, გააკეთოს, რაც უნდა) ***კაპიტალიზმს***. ეს არის იდეა, რომლის თანახმადაც მთავრობის ჩარევისგან თავისუფალი ბაზარი ეკონომიკის საუკეთესო რეგულატორია.

თანამედროვე კონსერვატიზმი. ლოკის, მონტესკიესა და სმითის ნამუშევრებზე დაყრდნობით თანამედროვე კონსერვატორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანთა უფლებას, ილტვოდნენ ბედნიერებისაკენ როგორც ინდივიდები (და არა როგორც კოლექტივის წევრები). ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ

ადამიანის უფლებაზე მოიპოვოს, დააგროვოს და განკარგოს საკუთრება. ასევე, იცავენ ბიზნესისა და კორპორაციული ინდუსტრიის ინტერესებს. ამით ეთანხმებიან სმითის მოსაზრებას, რომ ინდივიდუალური კეთილდღეობის მოპოვება აუცილებლად გამოიწვევს საერთო აყვავებასა და კეთილდღეობას. და ბოლოს, კონსერვატორები აკრიტიკებენ ბაზრის მოქმედებაში სახელმწიფოს ჩარევას (ისევე როგორც სოციალური კეთილდღეობის პროგრამებს) და ბიზნესის საქმეებში ბიუროკრატიულ „ცხვირის ჩაყოფას" (მაგალითად, ფედერალურ მოთხოვნებს მინიმალური გარემოსდაცვითი სტანდარტების შესახებ).

კონსერვატორები ირწმუნებიან, რომ ინდივიდუალიზმს კონკრეტული საჯარო სიკეთეები მოაქვს, მათ შორის, ნერგავს შრომით ეთიკას, წესრიგისა და სტაბილურობის სურვილს და ჯანსაღ თვითშეკავებას მთავრობის მხრიდან. ეს საჯარო (საზოგადოებრივი) სიკეთეები ყველაზე მეტად იმ პოლიტიკურ სისტემაში შეიქმნება, სადაც ყველაზე კარგი პირობებია ინდივიდის წარმატებისათვის. შეიძლება მონტესკიესეული „ყაირათიანობა, ეკონომიურობა, ზომიერება, შრომა, შორსმჭვრეტელობა, სიმშვიდე, წესრიგი და კანონი" არაა უმაღლესი იდეალები, მაგრამ კონსერვატორებისათვის ყველაფერი ეს ნორმალური და სტაბილური პოლიტიკური სისტემის გარანტიებია.

ლიბერალიმი: სამოქალაქო უფლემების პრიმატი

კონსერვატორების მსგავსად, ლიბერალებიც მიიჩნევენ, რომ ინდივიდებს მინიჭებული აქვთ გარკვეული უფლებები. მაგრამ, მათგან განსხვავებით, უფლებები, რომლებიც ლიბერალებს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, არის სამოქალაქო უფლებები. ამრიგად, ისინი გააფთრებით იცავენ იმ ინდივიდებსა და ჯგუფებს, რომელთა უფლებებიც ირღვევა და დისკრიმინაციას განიცდიან (მაგ. რასობრივი უმცირესობანი, ქალები და ღარიბები). ლიბერალები ეთანხმებიან ხელისუფლების მცდელობასა და ქმედებებს, მიაღწიონ თანაბარ უფლებებს. ამავდროულად, ისინი ზოგადად ეწინააღმდეგებიან მთავრობის მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას; აგრეთვე, ერთობის სტანდარტებისა და ტრადიციების შენარჩუნების მიზნით „მორალის დაკანონების" მცდელობებს.

პიროვნულ თავისუფლებაზე ყურადღების ასეთი გამახვილება ფუნდამენტურ რწმენას აძლევს ინდივიდუალურობის ღირსებას. თითოეული ადამიანის უნიკალურობისა თუ ღირსების დაცვა და პატივისცემა საზოგადოებაში მთავრობის უმნიშვნელოვანესი მიზანი უნდა იყოს. ინდივიდუალიზმის დასაცავი არგუმენტები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომში „თავისუფლების შესახებ" (1859):

> მას, ვინც უფლებას აძლევს სამყაროს ან სამყაროს მისთვის განკუთვნილ ნაწილს, მის მაგივრად დაგეგმოს მისი ცხოვრება, არ სჭირდება სხვა არანაირი ნიჭი, გარდა მაიმუნისებრი ადამიანისა. ის, ვინც თავის ცხოვრებას თავად გეგმავს, იყენებს ყველა თავის ნიჭს. მას სჭირდება დაკვირვება, რათა დაინახოს; ლოგიკური აზროვნება და განსჯის უნარი, რათა პირდაპირ განჭვრიტოს; საქმიანობა, რათა მოაგროვოს მასალა გადაწყვეტილების მისაღებად; განსხვავების უნარი, რათა გადაწყვიტოს და როცა გადაწყვეტს, სიმყარე და თვით-

> კონტროლი, რათა მისდიოს საგულდაგულოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამ თვისებებს ის საჭიროებს და იყენებს ზუსტად, პროპორციულად, როგორც თავისი ქმედების ნაწილს, რომელსაც განსაზღვრავს საკუთარი აზროვნებისა და გრძნობების მიხედვით. შესაძლებელია ისიც, რომ ის დაადგეს კარგ გზას და თავი აარიდოს ზიანს ყოველივე ამის გამოყენების გარეშეც. მაგრამ ამ შემთხვევაში რა იქნებოდა შედარებითი ღირებულება მისი, როგორც ადამიანისა? დიდი მნიშვნელობისაა არა მარტო ის, რას აკეთებს ადამიანი, არამედ ის მანერაც, რომლითაც ის რამეს აკეთებს. ადამიანის ნამუშევართა შორის, რომლის გაუმჯობესებასა და გალამაზებაშია ჩართული მისი ცხოვრება, უპირველესი მნიშვნელობისა თავად ადამიანია. . . . ადამიანის ბუნება არ არის მანქანა, რომ ნიმუშის მიხედვით ააგო და დანიშნო მისთვის გამოწერილი სამუშაოს ზუსტად შესასრულებლად. ადამიანის ბუნება შეგვიძლია უფრო ხეს შევადაროთ, რომელსაც ზრდა და განვითარება სჭირდება შინაგანი ძალების ტენდენციების მიხედვით, რაც მას ცოცხალ არსებად აქცევს.[11]

მილი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ინდივიდუალურობას მუდმივი საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივი აზრის დამხუთველი ერთგვაროვნების მხრიდან. სწორედ ამ მიზეზით, ლიბერალების აზრით, ინდივიდები საჭიროებენ დაცვას უმრავლესობის მმართველობაზე დამყარებული ხელისუფლებისგან. ისინი მიიჩნევენ, რომ დემოკრატიული საზოგადოება ხშირად ერთმანეთში ურევს აზრის რაოდენობასა და ხარისხს და ხშირად უტოლებს რიცხობრივ აღმატებულებას პოლიტიკურ ჭეშმარიტებას. ამ პროცესში სხვა-გვარად მოაზროვნეებს ხშირად სხვა თვალით უყურებენ და ზოგჯერ დევნიან კიდეც.

მილისა და მისი ინტელექტუალური მემკვიდრეების თვალში ინდივიდუალიზმი კარგია საზოგადოებისათვის და ინდივიდებისათვის, რადგან სწორედ ადამიანის კრეატიულობის, დინამიზმისა და გამომგონებლობის გამო ვითარდება საზოგადოება. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ თუ ინდივიდებს მიეცემათ საშუალება, სრულყოფილად განავითარონ ნიჭი და გაავრცელონ თავიანთი იდეები, მთავრობა შეძლებს სიმბიოზური ურთიერთობების აშენებას, სადაც ინდივიდიც და საზოგადოებაც გაიზრდება და განვითარდება.

ანტიმითი განსხვავემი

ამერიკელ ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის განსხვავების საფუძველი დაპირისპირებული მოსაზრებებია ადამიანის ბუნების შესახებ. ლიბერალებს სჯერათ ადამიანების სიკეთისა და კარგი ბუნებისა. მართალია, ისინი არ უარყოფენ, რომ ზოგი ადამიანი საზოგადოებისათვის მიუღებლად იქცევა, მაგრამ ასეთ ადამიანებს გარემოს მსხვერპლად მიიჩნევენ. მაგალითად, თანამედროვე ამერიკელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დანაშაულის შესამცირებლად საზოგადოებამ უნდა შეამსუბუქოს სიღარიბის, სასოწარკვეთის მდგომარეობა და რასიზმი, რომელიც ასაზრდოებს ანტისაზოგადოებრივ ქმედებას. სხვა სიტყვებით, ადამიანები თანასწორნი არიან ღირსების მიხედვით და იმსახურებენ ასეთ მოპყრობას მთავრობისა და თანამოქალექეების მხრიდან.

კონსერვატორები ადამიანის ბუნებას უფრო მუქ ფერებში ხედავენ. მათ მიაჩ-

ნიათ, რომ ადამიანები დაბადებიდანვე ეგოისტები და ხშირად დაუმორჩილებლები არიან. ინდივიდები ცდილობენ თავიანთი თავი სხვებზე მაღლა დააყენონ, ისინი განსხვავდებიან მოტივაციით, შესაძლებლობებით, მორალური ღირებულებებითა და იღბლით. კონსერვატორები ამბობენ, რომ ამ განსხვავებათა შემცირება არც ერთ მთავრობას არ ხელეწიფება. საბოლოოდ, თავიანთი ლიბერალი ოპონენტებისგან განსხვავებით, მათ ნაკლები „თავის ტკივილი“ აქვთ არათანაბარი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და განსხვავებული ქონებრივი შესაძლებლობების გამო. ამასთან, ისინი არ მიაწერენ ადამიანის ანტისაზოგადოებრივ ქმედებას გარემო ფაქტორებს. პირიქით, ფიქრობენ, რომ საზოგადოებაში ყოველთვის იარსებებენ „დამპალი ვაშლები“ (ამერიკული გამოთქმა — ცუდი გავლენის მქონე ადამიანი. მთარგმნ. შენ.).

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც კონსერვატორებსა და ლიბერალებს განასხვავებს, ისაა, რომ ეს უკანასკნელნი თავს ისტორიულად მიმდინარე პროცესის ნაწილად მიიჩნევენ, რომლის ფარგლებშიც ადამიანის მდგომარეობა გაუმჯობესდა და თანდათან უფრო უმჯობესდება. სხვა სიტყვებით, ლიბერალები ისტორიას პროგრესული თვალსაზრისით უყურებენ. მათ სჯერათ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი დღეს უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე რამდენიმე თაობის ან რამდენიმე საუკუნის წინ. მათი აზრით, მომავლის სოციალური მოწყობა, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ისე იქნება კონსტრუირებული, რომ ყველა ადამიანს საუკეთესო მისცეს. აქედან გამომდინარე, ლიბერალები ოპტიმისტურად უყურებენ მომავალში საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს გაკეთილშობილების მცდელობას.

კონსერვატორები, მათგან განსხვავებით, აწმყოს სირთულეების დაძლევისას წარსულს გზამკვლევად იყენებენ. ისინი ეჭვქვეშ აყენებენ მოსაზრებას, რომ ცვლილება შეიძლება გაუტოლდეს პროგრესს. მათთვის პოლიტიკური ერთობა ფაქიზი ორგანიზმია, რომელიც გაერთიანებულია საერთო ფასეულობებითა და შეხედულებებით. ჩვეულება და ტრადიციები, აღიარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტები (მაგალითად, ოჯახი, ეკლესია, მთავრობა) და ღრმად ფესვგადგმული სოციალური ხატები კონსერვატორებისათვის ერთადერთი მყარი საფუძველია სტაბილური საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. თვით საზოგადოების მსგავსად ტრადიციებიც არასდროს უნდა შეიცვალოს სწრაფად და ერთი ხელის მოსმით. კონსერვატორთა უმრავლესობა სავსებით ეთანხმება ედმუნდ ბერკის მოსაზრებას – როდესაც ცვლილება საჭირო არ არის, არც უნდა შევცვალოთ.

კონსერვატორი, ლიბერალი და საჯარო პოლიტიკა

კონსერვატორთა და ლიბერალთა განსხვავებული მოსაზრებები ცვლილებების, ადამიანის ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, გვეხმარება ამ ორ ჯგუფს შორის არსებული დაძაბულობის ახსნაში. ამ დაძაბულობას ზოგი დამკვირვებელი „კულტურათა ომსაც“ უწოდებდა.[12] ზემოაღნიშნულ პროგრამებს (ისეთი სოციალური ინსტიტუციების მიზანი, შემადგენლობა და მნიშვნელობა, როგორიცაა ოჯახი, განათლება, ხელოვნება, კანონი და პოლიტიკა) მორალურ საკითხებში უთანხმოება უდევს საფუძვლად. კონსერვატორების აქცენტი ტრადიციებსა და ორთოდოქსულობაზე, კულმინაციას აღწევს რწმენაში, რომ კეთილი და ბოროტი ტრანსცენდენტურ ფილოსოფიასა და რელიგიაში ჩაქსოვილი უნივერსალური ფასეულობებია. მათგან განსხვავებით, ლიბერალთა მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისადმი ერთ-

გულება გამოხატულია რწმენაში, რომ მორალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებები პირადი საკითხებია. მაგალითად, ლიბერალთა უმრავლესობა ეწინააღმდეგება სკოლებში ლოცვას, მოითხოვს ფართო ლეგალურ და სოციალურ უფლებებს ჰომოსექსუალებისათვის, ასევე, მიიჩნევენ, რომ ქალებს აქვთ აბორტის გაკეთების უფლება. ამისაგან განსხვავებით, კონსერვატორები, როგორც წესი, ფიქრობენ, რომ სკოლებში ლოცვის აკრძალვა, ჰომოსექსუალთა უფლებების აღიარება და აბორტის ნებართვა, მორალურად არასწორია. ლიბერალების აზრით კი, ინდივიდუალური არჩევანის უარყოფით ირღვევა ის, რაც მორალურად სწორია.[13]

ლიბერალები და კონსერვატორები, ასევე, განსხვავდებიან ადამიანური ბუნებისა და უფლებების საკითხების მიმართ თავიანთი დამოკიდებულებითაც. საკუთრების უფლებისადმი ერთგულება იმის რწმენასთან ერთად, რომ წარმატება და აყვავება ადამიანის ბედნიერების არსია, კონსერვატორებს დაურეგულირებელი კომერციისა და ინდუსტრიის მომხრეებად აქცევს. ამავე მიზეზით, ისინი ეწინააღმდეგებიან სოციალურ პროგრამებს, რომლებიც მოიცავს ეროვნული შემოსავლის მსხვილმასშტაბიან გადანაწილებას, დიდ ან მზარდ გადასახადებს, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებსა და სხვ. ამგვარი დამოკიდებულების გამო თანამედროვე კონსერვატორები „მცირე მთავრობის“ მომხრეები არიან. ხოლო იქ, სადაც სახელმწიფო პროგრამები აუცილებელი ან გარდაუვალია, კონსერვატორების აზრით, ადგილობრივი ხელისუფლება უფრო ახლოსაა ხალხთან და ამიტომ უფრო სანდოა, ვიდრე ფედერალური ხელისუფლება. მეორე მხრივ, ადამიანის ბუნების შესახებ, ცოტა არ იყოს უარყოფითი შეხედულება კონსერვატორებს ლიბერალებზე უფრო მკაცრად განაწყობს პირადი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის (ამიტომ ისინი მომხრენი არიან კრიმინალების მიმართ უფრო სასტიკი სადამსჯელო ღონისძიებების გატარებისა), ასევე ეროვნული უსაფრთხოების საკითხების მიმართ. და ბოლოს, კონსერვატორებს სჯერათ, რომ ეკონომიკური თანასწორობით ზედმეტად დაინტერესებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს სისტემას, რომელმაც, მათი აზრით, აშშ ესოდენ წარმატებულ ქვეყნად აქცია. მაგალითად, სახელმწიფო მცდელობა მიაღწიოს ეკონომიკურ თანასწორობას ისეთი მექანიზმების საშუალებით, როგორიცაა მაკომპენსირებელი პროგრამა, ახშობს ინდივიდუალურ ინიციატივას და ამცირებს კავშირს პირად დამსახურებასა და ფულად ჯილდოს შორის.

ვინაიდან ლიბერალები სამყაროს კარგ და კეთილ ადგილად და ადამიანის ბუნებას — თანდაყოლილად კეთილად მიიჩნევენ, ისინი უფრო მიდრეკილნი არიან დაინახონ თანამშრომლობის, ცხოვრებისა და მანკიერებათა გამოსწორების შესაძლებლობები იქ, სადაც კონსერვატორები გამოწვევებსა და საფრთხეებს ხედავენ. ამრიგად, საგარეო საქმეებში ლიბერალები თავდაცვაზე ნაკლები ხარჯების გაწევის მომხრენი არიან, კონსერვატორები კი ეთანხმებიან ძველ გამონათქვამს: „გეშინოდეს ღმერთისა და შეინახე შენი თოფის წამალი მშრალად.“ საშინაო საქმეებთან დაკავშირებით ლიბერალები ფიქრობენ, რომ საზოგადოება, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, მოგებულია ხელისუფლების აბსოლუტური ჩარევით, რათა უზრუნველყოს დაჩაგრული ან უიღბლო ადამიანები სახელმწიფო საცხოვრებლით, სახელმწიფო დასაქმებით, ჯანმრთელობის უნივერსალური დაზღვევითა და ა.შ. მათი აზრით, როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოების კეთილდღეობის დონე მთლიანად, შემოსავლის გადანაწილების დიდი უთანასწორობა უნდა გამოსწორდეს სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით. ყველა ადამიანი თანასწორი იბადება, ამიტომ არავინ უნდა იტანჯებოდეს სიღარიბით გამოწვეული დამცირებით მაშინ, როცა

ზოგი ფუფუნებაში ცხოვრობს. ნებისმიერი ამერიკელის დისკრიმინაციის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდება ძლიერი საკომპენსაციო პროგრამებითა და ხელისუფლების ჩარევით. მეტიც, მათ სჯერათ, რომ დანაშაულის ჩამდენნიც მსხვერპლნი არიან (ეკონომიკური და სოციალური უსამართლობისა) და მიაჩნიათ, რომ ღარიბები უფრო ხშირად ეხვევიან კრიმინალურ დანაშაულში. ლიბერალები მოითხოვენ ბრალდებულთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას. და ბოლოს, ამერიკელი ლიბერალისათვის ინდივიდუალიზმის დაცვის საუკეთესო საშუალება იქნება აეკრძალოს ხელისუფლებას კონსტიტუციით მინიჭებული სიტყვის, აღმსარებლობის, შეკრებების, გაერთიანებების და პიროვნების თავისუფლებაში ნებისმიერი სახით ჩარევა.

დასკვნა

სახელმწიფო გარკვეული სოციალური ან ეკონომიკური მიზნების მიღწევას საჯარო სიკეთის მისეული განსაზღვრების მიხედვით ცდილობს. ამ მიზნების სისრულეში მოყვანა დამოკიდებულია სახელმწიფოს იდეოლოგიაზე — საჯარო სიკეთის შესახებ შეხედულებათა ორგანიზებულ ნაკრებზე.

იდეოლოგიები შეიძლება შემდეგნაირად კლასიფიცირდეს: ანტისახელმწიფოებრივი (ანარქიზმი, ლიბერტარიანიზმი), მემარჯვენე (მონარქიზმი, ფაშიზმი), ან მემარცხენე (რევოლუციური კომუნიზმი, დემოკრატიული სოციალიზმი, რადიკალური ეგალიტარიანიზმი). აშშ-ში დომინირებს ორი სხვა იდეოლოგიური ტენდენცია: ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი. გასაკვირია, მაგრამ საოცრად ძნელია ამ ორი თვალსაზრისის განსხვავება. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ აშშ-ში ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი იზიარებს მრავალ ფუნდამენტურ მოსაზრებას და ფასეულობას. თუმცა, რა თქმა უნდა, მათ შორის გარკვეული განსხვავებებიც არსებობს. კონსერვატორები ხაზს უსვამენ ეკონომიკურ უფლებებს, ლიბერალები აქცენტს სამოქალაქო უფლებებზე აკეთებენ. ლიბერალებს სჯერათ ადამიანის კეთილი ბუნებისა, კონსერვატორები ადამიანის ბუნების მიმართ ნაკლებად კეთილგანწყობილი არიან. ლიბერალები მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ და სჯერათ, რომ ის უზრუნველყოფს უკეთეს ცხოვრებას ყველასათვის. კონსერვატორები, აწმყოს პრობლემებთან გასამკლავებლად, გზამკვლევად წარსულს მიიჩნევენ. ეს განსხვავებები გამოხატულია განსხვავებულ საჯარო პოლიტიკურ მიზნებში, რომლებსაც თითოეული ეს ჯგუფი მისდევს.

საკვანძო სიტყვები

(საზოგადო) სიკეთე
იდეოლოგია
ანარქიზმი
ნიჰილიზმი
ლიბერტარიანელობა
მონარქისტებიფაშიზმი
კაპიტალიზმი
თავისუფალი მეწარმეობა
თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა
კოლექტივიზმი
სოციალიზმი
უტოპისტი სოციალისტები

რევოლუციური კომუნიზმი
პროლეტარიატი
ბურჟუაზია
დიალექტიკური მატერიალიზმი
კაპიტალისტური დაგროვების კანონი
პაუპერიზაციის კანონი
ევროკომუნიზმი
დემოკრატიული სოციალიზმი
გრადუალიზმი
კეთილდღეობის სახელმწიფო
ლიბერალური ტრადიცია
ამერიკული ლიბერალიზმი
ამერიკული კონსერვატიზმი
ლიბერალიზმი
კონსერვატიზმი
მოთხოვნა-მიწოდების კანონი
თავისუფალი (*laissez-faire)* კაპიტალიზმი

კითხვები გამოცდისათვის

1. რა მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება განსაზღვროს კონსტიტუციური სახელმწიფოს ხელისუფლებამ საჯარო სიკეთე?
2. რატომ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების წარმატებული მოქმედება დამოკიდებულია მის მიერ საჯარო სიკეთის რეალიზაციის შესაძლებლობაზე?
3. რა არის იდეოლოგია? არის თუ არა ეს მეცნიერული ტერმინი, რომელიც ადვილად გამოიყენება პოლიტიკის ანალიზისას? რატომ?
4. რით ჰგავს რევოლუციური კომუნიზმი დემოკრატიულ სოციალიზმს? რომელ პოლიტიკურ საკითხებზე თანხმდება ეს ორი მიმდინარეობა? რომლებზე ვერ თანხმდება?
5. როგორ შეგვიძლია განვასხვავოთ ერთმანეთისგან ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი აშშ-ში?

შენიშვნები:

1. Aristotle, The Politics, რედ და მთარგმ. Ernest Braker (New York: Oxford University Press, 1962), 1279a, 112.
2. ეს მსჯელობა ეფუძნება Andrew Haywood-ის, Political Ideologies: An Introduction (New York: St. Martin's Press, 1992), 6-8. ჰეივუდის (და ჩვენი) მსჯელობა კი, თავის მხრივ, ემყარება განსაზღვრებას, რომელიც შემოგვთავაზა May Salinger-მა, წიგნში Politics and Ideology (London: Allen & Unwin, 1976)
3. The Anti-Defamation League ob B'nai B'rith, Hate Groups in America: A Record of Bigotry and Violence (New York, n.d.), 11.
4. კალვინისტები არიან პროტესტანტები, რომლებიც მიჰყვებიან კალვინის (1509-1564) სწავლებას. მტკიცე კალვინისტებს სჯერათ „ბედისწერის", რომლის თანახმადაც ზოგი ადამიანი რჩეულია ღვთის მიერ ხსნისათვის, ხოლო ზოგი — სამუდამოდაა დაწყევლილი.
5. Jack C. Plano and Roy Olton, The International Relations Dictionary (Santa Barbara, Calif.: ABS, 1982), 81.

6. Bertrand Russell, A History of Western Philosofhy. (New York: Simon & Schuster, 1965), 364.
7. Martin Diamond, Winston Fisk, and Herbert Garfinkel, The Democratic Republic: An Introduction to American Government (Skokie, III.: Rand McNally, 1971), 4-5.
8. Baron de Montesquieu, The Spirit of Laws, მთარგმ. Thomas Nugent (New York: Hafner Press, 1949), bk. 5, chap. 6, 46.
9. Adam Smith, An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations (New York: Modern Library, 1965), 14.
10. როგორც აღნიშნულია Robert Heilbroner-ის მიერ ნაშრომში The Wordly Philosophers: The Lives, Times and Ideas of Great Economic Thinkers (New York: Modern Library, 1965), 14.
11. John Stuart Mill, On Liberty (Lake Bluff, Ill.: Regnery/Gateway, 1955), 85.
12. James Devison Hunter, Culture Wars: The Struggle to Define America (New York: Basic Books, 1991). ჩვენი მსჯელობა ძირითადად მიჰყვება, მაგრამ ზუსტად არ იმეორებს ჰანტერისას.
13. იქვე. როგორც ჰანტერი აღნიშნავს, ეს არ არის დაპირისპირება რელიგიურობასა და არარელიგიურობას შორის. უფრო ხშირად აზრთა სხვადასხვაობა თავს იჩენს რელიგიურებს შორის.

თავი XIII

საჯარო პოლიტიკის პრობლემები

პრინციპემი, პრიორიტეტემი და პრაქტიკემი

უსაფრთხოების უზრუნველყოფა

• გარე მტრებისგან დაცვა • შიდა მტრებისგან დაცვა • სოციალური დაცვა • საკუთარ ქმედებათაგან დაცვა

კეთილდღეობის უზრუნველყოფა

• საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი • საგანმანათლებლო კრიზისი • შემოსავლების განაწილება

თანასწორობის უზრუნველყოფა

• რასობრივი დისკრიმინაცია • პოზიტიური ქმედებები თუ შებრუნებული დისკრიმინაცია • ვის სჭირდება დაცვა?

თავისუფლების უზრუნველყოფა

• თავისუფლების ღირებულება • თავისუფლება და პირველი საკონსტიტუციო შესწორება • პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

სამართლიანობის უზრუნველყოფა

• დანაშაული და სასჯელი • მართლმსაჯულება, როგორც მართებული პროცედურა • სამართლებრივი დაცვის საზღვრები

მიზანთა კონფლიქტი

XII თავში გამოვყავით ხუთი მთავარი ღირებულება: უსაფრთხოება, კეთილდღეობა, თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა. ეს ღირებულებები იმავდროულად საჯარო პოლიტიკის ძირითად მიზნებს წარმოადგენენ, თუმცა თითოეულის განხორციელებისათვის კონკრეტული სტრატეგიის განსაზღვრა საკმაოდ ძნელია. განვითარებულ ქვეყნებში დებატები მუდმივად ცვალებადი საჯარო პოლიტიკის პრობლემებზე პოლიტიკის ძირითადი არსია.

რადგანაც საჯარო პოლიტიკის საკითხების ყოვლისმომცველი შედარებითი ანალიზი ამ სახელმძღვანელოს მაშტაბებს ცილდება, ძირითად აქცენტს შეერთებულ შტატებზე გავაკეთებთ. ბევრი საკითხი თუ პრობლემა, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული სხვა დემოკრატიული სისტემებისთვისაცაა დამახასიათებელი. ასევე, თანდათანობით მომივიხილავთ ამ პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებსაც.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ჩვეულებისამებრ, ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს უპირველესი მიზანი თავისი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ტირანიების გარდა, რომელიც ეჭვსა და შიშს თავიანთ მოქალაქეებში შეგნებულად თესავს, ნებისმიერი ხელისუფლება პიროვნების უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც სახელმწიფოს არსებობის უმთავრეს ფაქტორს და ასევე აუცილებელ წინაპირობას სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა მიზნების მისაღწევად. გავლენიანი პოლიტიკური ფილოსოფოსი თომას ჰობსი (1588-1679) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უსაფრთხოებას და მოსალოდნელი საფრთხეებისაგან დაცვას, როგორც ხელისუფლების არსებობის გამამართლებელ უმთავრეს მიზეზს. ამ თვალსაზრისით ჰობსი მარტო არ ყოფილა, თვით არისტოტელეც პოლიტიკის სხვა უმთავრეს მიზნებს შორის ყველაზე მაღლა სიცოცხლის ხელყოფისაგან დაცვას აყენებდა.[1]

გარეშე მტრისგან დაცვა

ტერმინს ***ეროვნული უსაფრთხოება*** – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკულ პოლიტიკაში ყველაზე ხშირად იყენებდნენ. შეერთებული შტატების დაცვა გარეშე თუ შინაური მტრებისგან უმთავრეს სახელმწიფო პრიორიტეტად იქცა, რაც თავდაცვის დაფინანსების ზრდასა და 1980-იანი წლებში საბიუჯეტო დეფიციტის გაღრმავებაში გამოიხატა, თუმცა ცივი ომის ეპოქის დასრულებასთან ერთად გაჩნდა კითხვა: შეიცვალა თუ არა მსოფლიო ისე ძირეულად, რომ ამერიკამ თავის პრიორიტეტებს სერიოზულად გადახედოს და სამხედრო მზადყოფნაც მნიშვნელოვნად შეამციროს?

1945 წლიდან 1980-იანი წლების ბოლომდე ეროვნულ უსაფრთხოებაზე დებატების მთავარი თემა საბჭოთა საფრთხე იყო. ისინი, ვინც საბჭოთა კავშირს ძლევამოსილ, მაგრამ მშვიდობის მოსურნე სუბიექტად განიხილავდნენ, შეიარაღებაზე დიდი დანახარჯების მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებდნენ და ორ სუპერსახელმწიფოს შორის თანამშრომლობის (უპირველეს ყოვლისა, განიარაღების დაჩქარების) საკითხის წინა პლანზე წამოწევას ცდილობდნენ. სხვები, ვინც საბჭოთა

კავშირს საშიშ ექსპანსიურ ძალად მიიჩნევდნენ, რომელიც მსოფლიო ბატონობას ესწრაფვოდა, თავგამოდებით უჭერდნენ მხარს თავდაცვის ბიუჯეტის ზრდასა და ახალი საბრძოლო ტექნოლოგიების განვითარების პროგრამებს. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების მთვარი სადავო საკითხი ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა საბჭოთა ლიდერების მოტივებსა და საბჭოთა სისტემის ხასიათზე.

1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სულ უფრო რთული ხდებოდა ამერიკელ გადასახადის გადამხდელთათვის თავდაცვაზე გამოყოფილი დიდი დანახარჯების აუცილებლობის დასაბუთება. თუმცა, სკეპტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ მსოფლიო ერთი ხელის მოსმით ვერ გახდებოდა უსაფრთხო მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკელების უმეტესობა თავს სულ უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა. ამერიკის ინტერესები ყოველთვის იდგა ეკონომიკური თუ სტრატეგიული საფრთხის წინაშე (მაგალითად, ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობა 1990 წელს), ხოლო მუდმივი რეგიონული თუ ადგილობრივი კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღის (ბალისტიკური რაკეტები, ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი) რაოდენობის ზრდასთან ერთად, ჰორიზონტზე ახალი საფრთხეების გამოჩენაზე მიანიშნებდა.



სქემა 13-1 *სამხედრო ხარჯების ზრდა.1990-იან წლებში მოქმედი სამხედრო ძალები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდთან შედარებით (1950) კიდევ უფრო შემცირდა. სამხედრო ხარჯები 1990-იან წლებში არსებითად შემცირდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ისევ ცივი ომის წლების დონეს გაუტოლდა.*

წყარო: Defense Department. იბეჭდება Sioux Falls Argus Leader-დან, 18 მაისი 1997წ. 11C.

1990-იან წლებში მეორე მსოფლიო ომის მაშტაბების კონფრონტაციის საფრთხე თითქოს ნელ-ნელა გაქრა. ლიბერალები და კონსერვატორები, მზარდი საბიუჯეტო დეფიციტისა და ახალი პოლიტიკური გარემოებების ფონზე, ბოლოსდაბოლოს შეთანხმდნენ და მხარი დაუჭირეს შეირაღებული ძალებისა და შეიარაღების პროგრამების შემცირებას (თუმცა, ისინი ყოველთვის ვერ თანხმდებოდნენ ამ შემცირების მოცულობასა და მასშტაბებზე). სამხედრო პოლიტიკური ცვლილებები თავდაცვის ბიუჯეტებზეც აისახა (იხ. სქემა 13-1). 1986 წელთან შედარებით, როდესაც ცივი ომის ეპოქამ პიკს მიაღწია, პენტაგონმა თავისი თანამშრომლების (მოქმედი, სარეზერვო და სამოქალაქო) რიცხვი 20 %-ით შეამცირა. 20 %-იანი შემცირება შეეხო პროფესიულ ჯარსაც (მოქმედ სამხედრეობსაც) (4,4 მლნ-დან 3,5 მლნ-მდე).

2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ ქვეყნის განწყობა ერთ დღეში შეიცვალა. მიღებული დარტყმისა და განცდილი ზარალის გამო პენტაგონი ისევ ეროვნული პოლიტიკური არენის წინა ხაზზე აღმოჩნდა. კონგრესი და მთელი ქვეყანა ისევ ცივი ომის დროინდელ რუტინას დაუბრუნდა და მზად იყო, ყველაფერი გაეღო, რათა ამერიკა კვლავ უსაფრთხო დემოკრატიულ ქვეყნად ქცეულიყო, რომელიც შიგნით ტერორისტებისაგან და გარეთ იმ მტრებისაგანაც იქნებოდა დაცული, რომლებიც ტერორისტებს მფარველობენ. დასრულდა 1990-იანი წლების ეიფორია, წარსულს ჩაბარდა ხელშეუხებლობის ილუზია, გაქრა შეგრძნება იმისა, რომ ამერიკა „განსაკუთრებულია“ და კატასტროფები მხოლოდ სხვაგან შეიძლება ხდებოდეს.

შიდა მტრემისაგან დაცვა

11 სექტემბერმა განსაკუთრებით წინ წამოსწია ხელისუფლების მიერ თავის მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის საკითხი შიდა მტრებისგან – საკუთარივე მოქალაქეებისაგან, ჯაშუშებისა და მტრულად განწყობილი უცხოელებისგან. დღეისათვის ეროვნული უსაფრთხოების ეს „ახლებური“ ხედვა ყველაზე უფრო პრიორიტეტულია; მას გაცილებით დიდი ყურადღება ეთმობა, ვიდრე თავის დროზე ძველ მიდგომას (და მეტ წინააღმდეგობასაც წარმოშობს). დებატებმა ამ საკითხზე ნათელი გახადა, რამდენად რთულია ზღვარის გავლება ტერორიზმსა და დანაშაულთან ბრძოლას შორის. ცხადია, რომ ტერორისტული აქტები – უადანაშაულო ადამიანების მიმართ ჩადენილი ყველა სხვა სახის ძალადობის აქტების მსგავსად – დანაშაულებრივ ქმედებებს განეკუთვნება. მაგრამ, ტერორიზმი პოლიტიკური მიზნებით არის მოტივირებული და მას ხშირად „სახელმწიფო სპონსორები“ ჰყავს საზღვარგარეთ (მათ შორის იყვნენ ავღანეთი, ერაყი, ირანი, ჩრდილოეთი კორეა). იმსახურებენ თუ არა ამის გამო ტერორისტები „ჩვეულებრივი“ დამნაშავეებისგან განსხვავებულ მოპყრობას? უნდა სარგებლობდნენ თუ არა ისინი იმავე კონსტიტუციური გარანტიებით, რითაც მკვლელობაში თუ ძალადობაში ბრალდებულები? რა ხდება მაშინ, თუკი ტერორისტული აქტის ჩამდენი საკუთარი მოქალაქეა? ტერორიზმი უფრო დაწვრილებით შემდეგ თავში იქნება განხილული, ამიტომ ამჯერად მხოლოდ მძიმე დანაშაულის მიმოხილვით შემოვიფარგლებით და ტერორიზმს შევეხებით იმდენად, რამდენდაც ეს დანაშაულსა და სასჯელზე საუბრისას იქნება საჭირო.

დღემდე არ არსებობს კონსენსუსი იმაზე, რა იწვევს დანაშაულს, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ მისი თავიდან ასაცილებლად და უნდა ისჯებოდეს თუ არა

ყველა ქმედება, რომელიც დანაშაულებრივად არის მიჩნეული (მაგალითად, მარიხუანას მოხმარება და შენახვა). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში ოდნავ შემცირდა, დანაშაულის რიცხვმა შეერთებულ შტატებში უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. რატომ?

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ფენომენია, ადამიანური (პიროვნული) იმედგაცრუებისა და გაუცხოების შედეგია, რომელიც სიღარიბითა და უგულებელყოფით, რასობრივი დისკრიმინაციით, არათანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობებითაა განპირობებული. სხვა რითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ დანაშაულის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქალაქის ღარიბ უბნებში, სადაც ყველაზე დაბალი შემოსავალი და ცხოვრების ყველაზე უარესი პირობებია. ამ თვალსაზრისით, დანაშაული ხელისუფლების უყურადღებობისა და საზოგადოების გულგრილობის შედეგია. ზოგიერთი ექსპერტი კი სრულიად განსხვავებულ სოციალურ ფენომენზე მიუთითებს დანაშაულის ზრდის მიზეზების ასახსნელად. ისინი აქცენტს ტრადიციული ამერიკული ოჯახის ნელ-ნელა გაქრობასა და რისკის ზღვარზე მყოფი ბავშვების რაოდენობის ზრდაზე აკეთებენ. ასევე ხაზს უსვამენ თემისა და მეზობლების მნიშვნელობის დაკნინებას და მათგან გამოწვეულ იზოლაციასა და ინდივიდუალიზმზე მიუთითებენ, რომელიც ამჟამად ამერიკულ ცხოვრებაში არის გაბატონებული. როდესაც სოციალური კავშირები (და მასთან დაკავშირებული ემოციები, როგორიცაა სირცხვილი) შესუსტებულია, იგივე ემართება იმ შეზღუდვებს, რომლებიც საზოგადოებრივად არასასურველ თუ უკანონო ქმედებებს ბლოკავენ. და ბოლოს, ექსპერტები პოპკულტურასაც ადანაშაულებენ, რომელიც მასმედიის საშუალებით ვრცელდება. თანამედროვე ამერიკული კულტურა, გარდა იმისა, რომ ძალადობას ასხამს ხოტბას (პოპულარული მუსიკით დაწყებული სატელევიზიო სარეკლამო რგოლებით დამთავრებული), მუდმივად ეწევა იმ ღირებულებების პოპულარიზაციას, რომლებიც დანაშაულეს აქეზებს (სასურველის ადვილად მიღწევა და თვითგამოხატვის შეუზღუდავობა).[2]

ისინი, ვინც სიღარიბესა და შემოსავლის არათანაბარ განაწილებას მიიჩნევენ დანაშაულის მთავარ გამომწვევ მიზეზად, მხარს უჭერენ სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც მათი აღმოფხვრისკენ იქნება მიმართული. ხოლო ისინი, ვინც ოჯახისა და კულტურის დეგრადაციაზე საუბრობენ, თვლიან, რომ ხელისუფლებას ბევრი არაფრის გაკეთება ძალუძს დანაშაულის შესამცირებლად, გარდა იმისა, რომ დამნაშავეთათვის შექმნას „დაუყოვნებლივი და გარდაუვალი“ სასჯელის გარანტიები.

კიდევ ერთი მიდგომა დანაშაულის შემცირების თვალსაზრისით არის ე.წ. უმსხვერპლო დანაშაულთა დეკრიმინალიზაცია. ასეთი მიდგომა გამართლებულია არამხოლოდ პრაქტიკული — პოლიციის, საგამოძიებო თუ საპატიმრო ხარჯებისა და დროის დაზოგვა, არამედ ფილოსოფიური მოსაზრებებითაც. ისეთ განსხვავებულ ქმედებებს, როგორიცაა პროსტიტუცია თუ მათხოვრობა, საერთო ის აქვთ, რომ თითოეული ინდივიდის მიერ თუ ინდივიდთა შორის დამოუკიდებლად არის ჩადენილი და ამით საზოგადოების სხვა წევრებს ზიანი არ ადგებათ.

დებატები დანაშაულის დეკრიმინალიზაციაზე, უპირველეს ყოვლისა, ნარკოტიკების ლეგალიზაციას შეეხება. ყველაფერი მარიხუანაზე საუბრით დაიწყო და ამ ბოლო ხანებში კოკაინსაც შეეხო. დეკრიმინალიზაციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ნარკომანიის არასასურველი სოციალური ასპექტები ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ ხელისუფლების მიერ კანონგარეშედ გამოცხადებული ძვირი სიამოვნების დასაკმაყოფილებლად ნარკომანები იძულებულნი არიან ხშირად ჩაიდი-

ნონ ძარცვა და ყაჩაღობა. ნარკოტიკების ლეგალიზება კი მასზე ფასის დავარდნას და ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულის შემცირებას გამოიწვევს (თუმცა, იმ მოგებასთან ერთად, რომელსაც ორგანიზებული დამნაშავეები იღებენ).

დანაშაულისადმი დამოკიდებულების ცვლილება

რატომ ეგუებიან ამერიკელები დანაშაულის ასეთ მაღალ მაჩვენებელს? ამ კითხვაზე საინტერესო (და წინააღმდეგობრივი) პასუხი შემოგვთავაზა ნიუ-იორკელმა სენატორმა, სპეციალობით სოციოლოგმა დანიელ პატრიკ მოინიჰანმა (1927-2007) თავის ცნობილ სტატიაში „დევიაციური ქცევის გადაფასება“.[3] მოინიჰანი ამტკიცებდა, რომ რაკი ამერიკელები დანაშაულის სწრაფი ზრდის პირისპირ აღმოჩნდნენ, მისი მნიშვნელობა უგულებელყვეს იმის ახლებური შეფასებით (ანუ გადაფასებით), რა შეიძლება ჩაითვალოს ნორმად. რამდენიმე წლის წინ დანაშაულის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მძიმე სოციალურ პათოლოგიად მიიჩნეოდა, თუმცა, დღეს აღიქმება საზოგადოების ნორმალურ მდგომარეობად, რომლის გამოსწორებაც თითქმის შეუძლებელია.

მოინიჰანს გამაოგნებელი მაგალითიც მოჰყავს. 1929 წლის 14 თებერვალს ოთხმა განგსტერმა მათი შვიდი მოქიშპე განგსტერი წმინდა ვალენტინის დღეს ცეცხლსასროლი იარაღით ამოხოცა. მოინიჰანი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ამ ამბავმა მთელი ერი შოკში ჩააგდო, თავად მოვლენა ლეგენდად იქცა და წმინდა ვალენტის დღის ხოცვა-ჟლეტის სახელით მსოფლიო ენციკლოპედიაშიც კი შევიდა. გარდა ამისა, იგი კონსტიტუციურ ცვლილებას დაედო საფუძვლად და ბოლო მოუღო „მშრალ კანონს“ (ეს უკანასკნელი ჯგუფური ძალადობისა და დანაშაულის გამომწვევ მიზეზად არის მიჩნეული).

მოინიჰანი აღნიშნავდა, რომ დღეისათვის ნარკოტიკების ვაჭრობასთან ერთად ძალადობის ეს სახეობა ისევ დაბრუნდა, თუმცა წარსულთან შედარებით „დაუჯერებელი მასშტაბებით“. ამერიკელებისათვის მისაღები გახდა ძალადობა, რომელიც ერთ დროს მათ არანორმალურ და მიუღებელ საქციელად მიაჩნდათ. „სამწუხაროდ, ლოს-ანჯელესი წმინდა ვალენტინის ხოცვა-ჟლეტის მოწმე უკვე ყოველკვირეულად ხდება“, — აცხადებდა მოინიჰანი სტატიის ბოლოს.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის ოპონენტები ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგებიან. ისინი აღიარებენ, რომ ლეგალიზაციის შედეგად შემცირდება ზარალი, რომელსაც საზოგადოებას ნარკოტიკების მომხმარებლები აყენებენ, მაგრამ ამავდროულად გაიზრდება ამ უკანასკნელთა რიცხვი და საზოგადოება ამჯერად იმით დაზარალდება, რომ უმაქნის და დეგრადაციის გზაზე მდგარ მოქალაქეებს მიიღებს. ნათელია, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციის საწინააღმდეგო არგუმენტები იგივეა, რაც უმსხვერპლო დანაშაულის ლეგალიზაციის მოწინააღმდეგეთა — საზოგადოებას ერთნაირად ძვირი უჯდება როგორც ნარკომანი მოქალაქეები, ასევე მეძავებითა და მაწანწალებით დასახლებული უბნები, რომლებიც თავიანთი არსებობით გარეშემო მყოფთა უსაფრთხოებასა და სტაბილურობას საფრთხეს უქმნიან.

ნარკოტიკებისა და პროსტიტუციის ლეგალიზება შეერთებულ შტატებში სავარაუდოდ უახლოეს ხანებში არ განხორციელდება, თუმცა ჰოლანდიაში, განსაკუთრებით

მის დედაქალ ამსტერდამში სტუმრობისას ნებისმიერ ამერიკელს აუცილებლად გაუჩნდება კითხვა — გაამართლებდა თუ არა ჰოლანდიური მოდელი აშშ-ში? ამსტერდამში ნარკოტიკების მოხმარება და პროსტიტუცია მხოლოდ გარკვეულ უბნებშია დაშვებული და პოლიციის მეთვალყურეობისა და კონტროლისგან თავისუფალია. მეძავები მუდმივ სამედიცინო შემოწმებას გადიან, ხოლო ნარკოტიკებით მოვაჭრეების წინააღმდეგ საკმაოდ მკაცრი კანონები მოქმედებს. დღეისათვის ამდტერდამი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქალაქია დასავლეთ ევროპაში.

დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული საჯარო პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობელემა იარაღის კონტროლია. კონსერვატორების უმრავლესობას მიაჩნდა, რომ იარაღის გაყიდვისა და შენახვის შეზღუდვით მძიმე დანაშაულის რიცხვი არ შემცირდებოდა, თუმცა ეს მოსაზრება მხარდაჭერით აღარ სარგებლობს. 1993 წელს კონგრესმა მიიღო ე,წ. ***ბრეიდის კანონი*** [ეწოდა ჯეიმს ბრედის გამო, რომელიც 1981წ. რონალდ რეიგანზე თავდასხმის დროს დაიღუპა — მთარგმნ. შენ.], რომელიც ხუთდღიან საცდელ ვადას აწესებდა პისტოლეტის შეძენაზე, 1994 წლიდან კი ეს შეზღუდვა სხვა სახის ცეცხლსასროლ იარაღზეც გავრცელდა.

იარაღის კონტროლსა და ანტიტერორიზმს შორის ურთიერთკავშირი 2001 წ. 11 სექტემბრის შემდგომ გარემოში ბევრ საინტერესო საკითხს წარმოშობს. მოსალოდნელია, რომ ამერიკის მოსახლეობის გაზრდილი შეშფოთება უსაფრთხოების საკითხებით და ხელისუფლების მცდელობა არ დაუშვას შემდგომი ტერორისტული აქტები, კიდევ უფრო გაამკაცრებს იარაღის ფლობაზე შეზღუდვებს. თუმცა, იმავდროულად აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც ამ მოსაზრებას შეეწინააღმდეგებიან იმ მოტივით, რომ მოქალაქის კონსტიტუციური უფლება ატაროს იარაღი, ახლა ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს, როდესაც ისინი უცხო მტრების სამიზნე გახდნენ.

სოციალური დაცვა

თანამედროვე ხელისუფალთა ერთ-ერთ მთავარი მიზანი სოციალური უსაფრთხოებაა. ფართო გაგებით სოციალური უსაფრთხოება მოიცავს ისეთ პრობლემებს როგორიცაა, სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა, ხანდაზმულობა, ასევე სტიქიური უბედურებები — წყალდიდობა, ქარიშხალი, ხანძარი და სხვა. რა როლი ეკისრება ხელისუფლებას თავისი მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ამ მარადიული საფრთხეებისგან დაცვაში? სასურსათო ტალონები, სუბსიდიები ფერმერებისთვის, პენსიები, შემწეობები ჯანმრთელობაზე და უმუშევრობაზე, დახმარება სტუდენტებისათვის — ეს ყველაფერი მოქალაქეებისათვის ფინანსურ უზრუნველყოფას ისახავს მიზანად საჭირო დროსა და ადგილზე.

ფედერალური ხელისუფლების ვალდებულებათა მოცულობა 1990-იანი წლებიდან ინტენსიური განხილვის საგანი გახდა. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ დახმარების აურაცხელი პროგრამებით ხელისუფლება სინამდვილეში ხალხს იმ საქციელისკენ უბიძგებს, რომელსაც იგი ებრძვის (რადგან ამით უმუშევრობას წაახალისებს). 1996 წელს, სოცუზრუნველყოფის სისტემის რეფორმის შედეგად, შტატებს მეტი უფლებამოსილება მიენიჭათ (და მეტი მოქნილობაც) სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელების სფეროში, ხოლო შემწეობები მნიშვნელოვნად შეეზღუდათ იმ პირებს, რომელთაც მუშაობა არ სურთ.

ყველაზე უფრო მწვავე საბიუჯეტო პრობლემაა სოციალური უსაფრთხოების

ფონდის გადახდისუნარიანობა, რომელიც ხანდაზმულ მოქალაქეებს პენსიითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს. სოციალური უსაფრთხოების ფონდიდან ასაკოვან ამერიკელებს ყოველთვიურად ერიცხებათ თანხა, ხოლო სამედიცინო მომსახურების ფონდი მათ ექიმისა და საავადმყოფოს ხარჯებს უფარავს. ბოლო წლებში ორივე ფონდი მნიშვნელოვნად გაიზარდა. რადგანაც ამერიკელები ვალდებულნი არიან სოციალური უსაფრთხოების ფონდში იხადონ გარკვეული თანხა სანამ საპენსიო ასაკი მოუწევთ (ჩვეულებრივ 65 წელი), შემწეობებს სამართლიანად ეწოდება ***კუთვნილი დახმარება*** (სახელისუფლებო დანახარჯები, რომელსაც ამერიკელები სრულიად მართლზომიერად მიიჩნევენ, ყველაზე უფრო ძვირადღირებულ სოციალური უსაფრთხოებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯებთან ერთად). აღნიშნული შემწეობები პოლიტიკურად მგრძნობიარე ფენომენია, რადგანაც საკმაოდ მსხვილი ინტერესთა ჯგუფები (როგორიცაა, მაგალითად, გადამდგარ პირთა ამერიკული ასოციაცია) და ამომრჩეველთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით ასაკოვანი მოქალაქეები) მზად არიან „დასაჯონ“ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ამ პროგრამების შემცირებას დაუჭერენ მხარს.

სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უსაფრთხოების ფონდებს საერთო პრობლემა აქვთ: ხარჯები ბევრად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სამომავლოდ დაგეგმილი შემოსავლები. პრობლემა ნაწილობრივ ისიც არის, რომ ამერიკელები დიდხანს ცოცხლობენ, რაც პროგრამების ფასს კიდევ უფრო ზრდის. ბევრად უფრო პრობლემურია (საჯარო პოლიტიკის თვალსაზრისით) დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები, განსაკუთრებით საპენსიო ასაკს მიღწეული “ბეიბი ბუმერების“ (მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში დაბადებული ადამიანები) დიდი რაოდენობა, რომლებზეც თანხა დაიხარჯება აღნიშნული პროგრამებიდან. მაგალითად, 1965 წელს, როდესაც სამედიცინო მომსახურების ფონდი შეიქმნა, აღნიშნული ფონდის თითო ბენეფიციარზე თანხას საშუალოდ 5,5 ადამიანი იხდიდა. 2040 წლისათვის ეს შეფარდება 2.2-დან 1.0-მდე შემცირდება. სამედიცინო უზრუნველყოფის ფონდს სერიოზულ დარტყმას აყენებს ჯანდაცვის სწრაფად მზარდი ხარჯები. 1980-დან 1990-იანი წლების შუა ხანებამდე ამ პროგრამის ხარჯები წლიურად 11 %-ით გაიზარდა, რამაც ის ყველაზე სწრაფად მზარდ ფედერალურ პროგრამად აქცია (სქემა 13-2).

გარდა ამისა, სოციალური უსაფრთხოების ფონდს, სულ ცოტა, კიდევ ერთი პრობლემა აქვს, რომელზე საუბარსაც პოლიტიკოსები თავს არიდებენ. წლების განმავლობაში ხელისუფლება ამ ფონდიდან თანხას იყენებდა საშემოსავლო დანაკლისის (საბიუჯეტო დეფიციტის) შესავსებად. როდესაც ხელისუფლება ვერ ახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებას, მან თანხა ან კერძო სექტორიდან უნდა ისესხოს (უპირველეს ყოვლისა, ფასიანი ქაღალდების გაყიდვით), ან საჯარო დანაზოგებიდან აიღოს - ამ შემთხვევაში სოციალური უსაფრთხოების ფონდს მიმართოს.

აღნიშნული ფონდიდან თანხების მუდმივი ხარჯვით (ფლანგვით), ფედერალური ხელისუფლების ვალი 2001 წელს 5.8 ტრილიონ დოლარს გაუტოლდა, რომელზეც საპროცენტო განაკვეთი 360 მილიარდს შეადგენდა. შედარებისთვის, *NASA*-ს ბიუჯეტი 14 მლრდ იყო, მაშინ როდესაც განათლებაზე 32 მლრდ, ხოლო გზებზე 41 მლრდ გამოიყო. დემოგრაფიული ზრდის ტენდენციები ბევრ განვითარებულ ქვეყანაში საპენსიო ფონდს პრობლემას უქმნის, სამთავრობო ქმედებებმა და საეჭვო (ზოგჯერ ყალბმა) აღრიცხვის შემთხვევებმა ეს პრობლემა აშშ-ში კიდევ უფრო გაამწვავა.

ამასობაში, მოლოდინი იზრდება. ამერიკელები, რომლებიც წლების განმავლობა-

ში სოლიდურ თანხას დებდნენ ამ სისტემაში სამართლიანად ელიან (და მოითხოვენ) სრული პენსიის მიღებას, როდესაც სამუშაოს თავს დაანებებენ.



სქემა 13-2 *სამედიცინო მომსახურების პროგრამის მზარდი ხარჯი*

37 მლნ ამერიკელზე მეტი იღებს სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას. ეს ყველაზე მზარდი და ამავე დროს რიგით მეორე ძვირადღირებული (ბიუჯეტის დაახლოებით 12% ხმარდება) ფედერალური პროგრამაა. მასზე ძვირადღირებულია სოციალური დაზღვევის პროგრამა.

წყარო: *Steve Langdon*-ის *"With Compaign Dist Settling, Medicare Chances Brighter," Congressional Quarterly* (18 იანვარი 1997წ.): 179; *Robert Pear*-ის *"Experts Say Cost of Medical Insurance Is Underestimated," New York Times,* 30 ნოემბერი 2000წ., *A1; Social Security Administration, "Status of the Social Security and Medicare Programs," www.ssa.gov/OACT/TRSUM/tsumary.html,* 21 მაისი, 2002წ.

ისეთი სოციალური პროგრამების მაღალი ფასი, როგორიცაა *Medicare* (სამედიცინო მომსახურება) და *Medicaid* (სამედიცინო დახმარება) კიდევ ერთხელ გვახსენებს, რამდენად დიდია ინდუსტრიულ ქვეყნებში დაავადებათა მკურნალობის ხარჯები. თუმცა, დამატებით საფრთხეს ჯანმრთელობასა და საზოგადოების უსაფრთხოებას ადამიანები თავადაც უქმნიან. ამდენად, ხელისუფლება ახალ მედიკამენტებს ცდის, სანამ მათ ბაზარზე გაიტანს და აწესებს სტანდარტებს მოსახლეობის ტრანსპორტირებისას საფრთხის მაქსიმალურად შესამცირებლად. ცალკე უნდა აღინიშნოს ხელისუფლების მცდელობა, დაიცვას გარემო ადამიანების დამანგრეველი ქმედებებისა და დაბინძურებისაგან, არ დაარღვიოს ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის სავალდებულო სტანდარტები, შეასრულოს დადგენილებები გარემოზე ზემოქ-

მედების შესახებ, დაიცვას ნარჩენების გადამუშავების გამკაცრებული მოთხოვნები, კონსერვაციის გზით კი გადაარჩინოს ველური ბუნების გადაშენების პირას მყოფი სახეობები — ეს ყველაფერი გარემოს დაცვას ისახავს მიზნად. გარემოს დაცვის ტენდენციები, როგორიცაა მჟავა წვიმების შემცირება და მდინარეთა დაბინძურების შეზღუდვა, სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს და საერთაშორისო შეთანხმებების საგანი ხდება (მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელსაც ხელს აწერენ შეერთებული შტატები, კანადა და მექსიკა).

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გარემოსდაცვითი პროგრამების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებში მწვანეთა პარტიამ არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწია სხვა განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით (გერმანია, საფრანგეთი). კრიტიკოსები ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ ხელისუფლების ამგვარი მცდელობა ინდუსტრიულ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას აფერხებს, რისი ფასიც (უსარგებლო დაბრკოლებებისა და ბიუროკრატიული რუტინის თვალსაზრისით) ძალიან მაღალია.

საკუთარ ქმედებათაგან დაცვა

ხელისუფლება მოქალაქეებს საკუთარი თავისათვის საფრთხის მიყენებისაგანაც იცავს. მაგალითად, ზოგიერთ შტატში მოქმედებს კანონი, რომელიც მოტომრბოლელებს ავალდებულებს ატარონ უსაფრთხოების ჩაფხუტი ან ჯანმრთელობისათვის საშიში პრეპარატების გაყიდვას კრძალავს. ადამიანების ცხოვრებაში ხელისუფლების ჩარევა მორალის საკითხებს მოიცავს. კონსტიტუციის მეთვრამეტე შესწორება, რომელმაც მშრალი კანონი დააწესა, ეროვნული კანონმდებლობის მიერ თავისი მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ზიანისგან დაცვის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია. ასეთ მაგალითებს განეკუთვნება ადგილობრივი, შტატისა და ფედერალური კანონები პორნოგრაფიის გავრცელებისა და პროსტიტუციის აკრძალვის შესახებ.

მორალისტური კანონების დამცველები აცხადებენ, რომ არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია უგულებელყოს მოქალაქეთა მორალური თავისებურებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქცევის გარკვეული ნორმების ხელყოფას არასასურველი საზოგადოებრივი შედეგები აქვს. ოპონენტები კი პასუხობენ, რომ ამგვარი საკანონმდებლო აქტებით ხელისუფლება ზღუდავს პიროვნულ თავისუფლებას. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ადამიანები აკრძალულ ქმედებებს ნებაყოფლობით ჩადიან და თითოეული პიროვნება თავად უნდა წყვეტდეს, მისთვის რა არის უკეთესი.

კეთილდღეობის უზრუნველყოფა

შეერთებულ შტატებს ხშირად ახასიათებენ, როგორც კომერციულ ქვეყანას, სადაც მოქალაქეები მუდმივად ფინანსური უსაფრთხოების ძიებაში არიან, ხოლო მომხმარებელი მეფეა. საუკუნენახევრის წინ ალექსის დე ტოკვილი აღნიშნავდა, რომ ამერიკელები მუდმივად აჟიტირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც პიროვნული ფუფუნების დაუღალავი ძიებითაა განპირობებული. ეს მდგომარეობა ამერი-

კული საზოგადოებისათვის ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა. დამფუძნებელი მამები სწორედ მუყაითი მოქალაქეებისგან შემდგარ საზოგადოებაზე ფიქრობდნენ, რომელიც საკუთარ თავზე დამოკიდებულების სამეწარმეო პრინციპებზე, აღმასვლისა და მოგების მიღების მოტივზე იქნებოდა დაფუძნებული.[4]

„კომერციული რესპუბლიკის" შექმნით, დამფუძნებელმა მამებმა სრულიად შეგნებულად დაიწყეს პოლიტიკური ექსპერიმენტის განხორციელება, რომლისთვისაც ფილოსოფოსები და ეკონომისტები (მათ შორის ჯონ ლოკი და მონტესკიე) 100 წელზე მეტხანს იბრძოდნენ. მათი აზრით, პოლიტიკური წესრიგი, რომელიც კომერციული საქმიანობისა და ვაჭრობის ზრდას უწყობდა ხელს, ყველაზე კარგად უზრუნველყოფდა ძლიერი ეროვნული ეკონომიკის შექმნას. ასეთ საზოგადოებაში, სადაც წარმატება მხოლოდ შრომასა და ბუნებრივ შესაძლენლობებზე იყო დამყარებული, ვიდრე წარმომავლობაზე, მოქალაქეებს საშუალება მიეცემოდათ, რომ შეეძინათ სიმდიდრე იმ რაოდენობით, როგორც სურდათ ან სჭირდებოდათ.

მეცხრამეტე საუკუნეში, ადამ სმიტის თავისუფალი ბაზრის ფილოსოფიამ, ბიზნეს-კორპორაციების გაჩენამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ კომერციული სახელმწიფო კაპიტალისტურ სახელმწიფოდ გადააქცია. განსაზღვრების თანახმად, კაპიტალიზმი გულისხმობს კერძო (ჩვეულებისამებრ, არარეგულირებად საკუთრებას) წარმოებას და საქონლისა და მომსახურების განაწილებას. მეოცე საუკუნის დასაწყისში ფედერალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ნორმები მონოპოლიებისგან, ბიზნესის ბოროტად გამოყენებისა და ეკონომიკური უსამართლობის სხვა შემთხვევებისგან დასაცავად. საჯარო პოლიტიკის ეს მიმართულება განსაკუთრებით გაძლიერდა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის პირობებში, როდესაც ფრანკლინ რუზველტის ინიციატივით, დაიწყო პროგრამების განხორციელება, რომელიც რიგითი მოქალაქეების ეკონომიკური უსაფრთხოების გამყარებისკენ იყო მიმართული. 1960-იან და 1970-იან წლებში სამედიცინო მომსახურების, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების პროგრამები, გაზრდილი შეღავათები სოციალურ უსაფრთხოებაზე და სასურსათო ტალონები უზრუნველყოფდა უმუშევრობის კომპენსაციასა და სოციალურ კეთილდღეობას.

1980-იანი წლებისათვის ფედერალური ხელისუფლების ჩარევა ეკონომიკაში ისეთი აშკარა გახდა, რომ ეკონომისტებმა საუბარი დაიწყეს ***შერეულ ეკონომიკაზე***, რომელიც მოიცავდა როგორც კერძო მეწარმეობის, ასევე სოციალიზმის ნიშნებს. ხელისუფლების „ჩარევის" ხარისხით აშშ ბევრად ჩამორჩებოდა სხვა დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებს, თუმცა ახლომხედველი პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხით მანიპულირებდნენ, ამის შემჩნევას ვერ ახერხებდნენ.

ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და ათწლეულის შემდეგ, ნიტ გინგრიჩმა და სხვა რესპუბლიკელებმა კონგრესში გამოთქვეს აზრი, რომ ხელისუფლება საკმაოდ შორს წავიდა პიროვნული ეკონომიკური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი მნიშვნელოვნად გაიზარდა). კლინტონის პირველ საპრეზიდენტო ვადაში კონსერვატორებმა კონგრესში შეძლეს გარკვეული ჯგუფების ინტერესების დასაცავად გაერთიანებულიყვნენ (მათ შორის ამერიკული სამედიცინო საზოგადოება, ფარმაცევტული კომპანიები და მაღალანაზღაურებადი საავადმყოფოების ადმინისტრატორებიც იყვნენ) და ხელი შეეშალათ ჯანდაცვის ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნისათვის, რომელიც ყველა მოქალაქეს დაიცავდა. დღეისათვის შეერთებულ შტატებში 40

მილიონზე მეტ ამერიკელს (მათ შორის უმეტესობა ბავშვია) არ აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა და თავს ლიცენზირებულ ექიმთან სტუმრობის უფლებას ვერ მისცემს, რომ არაფერი ვთქვათ საავადმყოფოში ერთი დღე-ღამის გატარებაზე.

სამეჯოდო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი

წლიური ფედერალური დანახარჯები აშშ-ში განსაცვიფრებლად დიდი – 1.7 ტრილიონია. როდესაც ხელისუფლება ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე აგროვებს წელიწადში, ჩნდება ***ბიუჯეტის დეფიციტი***, დეფიციტის აკუმულირება კი ***ეროვნულ ვალს*** წარმოშობს. ეკონომისტები თანხმდებიან, რომ ეს ვალი, თავისი ზრდის ტენდენციითა და მაშტაბებით სერიოზულ გრძელვადიან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ეკონომისტები ასევე აცხადებენ, რომ ერთიან ეროვნულ პროდუქტთან ვალის შეფარდება - ერთი მესამედი (30 პროცენტი) - თავისთავად განსაკუთრებული განგაშის საფუძველს არ იძლევა. საგანგაშო, ეკონომისტთა აზრით, ვალის ზრდის ტემპებია.

დაკარგული დივიდენდები: ეროვნული ვალი. ბიუჯეტის დეფიციტი რადიკალურად გაიზარდა 1980-1990 წლებში. 1981 წელს, როდესაც პრეზიდენტი რონალდ რეიგანი გახდა, ვალი 1 ტრილიონზე ნაკლები იყო. 1988 წელს რეიგანის საპრეზიდენტო ვადის დასასრულს მან 2.5 ტრილიონს გადააჭარბა, 1997 წელს კი 6 ტრილიონს მიუახლოვდა (ამ დონეზე რჩება დღემდე). ეროვნული ვალის ასეთ ზრდას სერიოზული გართულებები შეიძლება მოჰყვეს. ხელისუფლებას მის დასაფარად უზარმაზარი სესხის აღება და შესაბამისი პროცენტის გადახდა უწევს. 1990-იანი წლების ბოლოს ფედერალური გადასახადების სახით გადახდილი ყოველი დოლარიდან 15 ცენტი საშინაო ვალის დასაფარად წავიდა (სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქალაქეები მთავრობისთვის გადახდილი ერთი დოლარის სანაცვლოდ 85 ცენტზე ნაკლები ღირებულების საქონელსა და მომსახურებას იღებენ).

1992-2000 წლებში პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა და რესპუბლიკელების მიერ კონტროლირებადმა კონგრესმა სწრაფად მზარდი ეროვნული ვალის პრობლემის მოგვარება სცადეს და შედეგად ბიუჯეტის დეფიციტი 1990-ანი წლების ბოლოსთვის მნიშვნელოვნად შემცირდა. ასევე მნიშვნელოვნად დაეცა დეფიციტის მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. ეკონომიკური ზრდის პირობებში, 1997 წლის გაზაფხულზე ბიუჯეტის გრძელვადიან დაგეგმვაზე შეთანხმდნენ, რასაც 2001 წლისათვის ბიუჯეტი უნდა დაებალანსებინა. ამასობაში, საგადასახადო შემოსავლებმა მოსალოდნელზე სწრაფი მატება დაიწყო, რაც სავარაუდოდ ბევრად უფრო დააჩქარებდა ბიუჯეტის დაბალანსებას და გადაჭარბებით შესრულებასაც კი. ამგვარად, პრობლემამ, რომელიც რამდენიმე წლის წინ სრულიად მოუგვარებელი ჩანდა, დროებით მაინც, უკანა პლანზე გადაინაცვლა.

ეს ყველაფერი უცბად შეიცვალა 11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც კონგრესმა მახარი დაუჭირა ნიუ-იორკ სიტის რეკონსტრუქციისთვის უზარმაზარი თანხის გამოყოფას, ასევე დაზარალებული ავიახაზების კრიზისიდან გამოსაყვანად და ქვეყნის შიგნით და გარეთ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების შესაძლებლობა გაქრა (თუკი ასეთი რამ ოდესმე არსებობდა).

თავდასხმამ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე უარყოფითად იმოქმედა უოლ სტრიტზეც (რომელიც მანჰეტენზე რამდენიმე კვარტალის მოშორებით მდებარეობს), ვინაიდან ბირჟაზე აქციების ფასი მკვეთრად დაეცა. სერიოზული დარტყმა მიადგა ეკონომიკის მრავალ სექტორს (მაგალითად, ავიახაზებსა და ტურიზმს) და ტრაგედიის შემდგომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაეცა მომხმარებელთა ნდობა. ბევრი საწარმო გაკოტრების პირას მივიდა, ხოლოს სხვებმა თანამშრომლები დაითხოვეს. ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა მნიშვნელოვნად შეამცირა საპროცენტო განაკვეთები (სანამ უკანასკნელ ოთხწლეულში ყველაზე დაბალ მაჩვენებელს არ მიაღწიეს) იმ მიზნით, რომ ეკონომიკური ვარდნა შეეჩერებინა.

საგადასახადო ტვირთი: მსუბუქი თუ შესაბამისი? ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ გადასახადები ძალიან მაღალია, თუმცა განვითარებულ ქვეყნებს შორის აშშ-ში ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთებია. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობაში მთლიანი შიდა პროდუქტის 40-50% სახელმწიფოს ეკუთვნის; იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და კანადაში ეს მაჩვენებელი 45%-ს, ხოლო საფრანგეთში 50%-ს უტოლდება. შეერთებულ შტატებში კი, გადასახადები მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს, ხოლო საშემოსავლო გადასახადები მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო წლებში. 1999 წელს საშუალო ამერიკული ოჯახის შემოსავლის 9 პროცენტი ფედერალურ, შტატის და ადგილობრივ გადასახადებში მიდიოდა. 1999 წელს გადასახადების გადამხდელთა ერთი მესამედი საშემოსავლო გადასახადს არ იხდიდა. ოთხი პირისგან შემდგარი ოჯახი, რომლის საშუალო წლიური შემოსავალი 55 000 დოლარი იყო, 8 პროცენტზე ნაკლებს იხდიდა, რაც 1965 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი განაკვეთი იყო.თვით ყველაზე მაღალშემოსავლიანი (700 000 დოლარზე მეტი წელიწადში) მოსახლეობის ერთი პროცენტიც მხოლოდ 22,2 პროცენტს იხდიდა.[5]

ამ შედარებით დაბალ გადასახადებს პოლიტიკური, კულტურული და იდეოლოგიური მიზეზები აქვს. ამერიკელები ზოგადად უკმაყოფილებას სამი რამის გამო ვერ მალავენ. ესაა მაღალი გადასახადები და „დიდი მთავრობა“, „სოციალური უზრუნველყოფა“, რაც ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო სისტემის არარსებობაში გამოიხატება (რაც თითქმის ყველა პოსტინდუსტრიულ ქვეყანაში გვხვდება), და საწარმოთა სახელმწიფო მფლობელობა (კომუნალური სისტემის, რკინიგზის, ავიახაზებისა და პორტების ჩათვლით).

პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა ერთხელ თქვა, რომ ფედერალური საგადასახადო კოდექსი „შესაძლოა უცხო ენაზეც ყოფილიყო დაწერილი“. მართლაც, ის რომ სხვა ქვეყანაში დაეწერათ, ბევრად უფრო აზრიანი და გასაგები იქნებოდა. ფედერალური საგადასახადო კოდექსის თავბრუდამხვევი მუხლები - რომელთა გაგება ან ინტერპრეტირება შეუძლებელია - გადამხდელის ღამის კოშმარი და საბუღალტრო კომპანიების ახდენილი ოცნებაა. გადასახადების გამარტივების მცდელობამ მარცხი განიცადა. 1986 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი, რომლითაც შიდა შემოსავლების სამსახურს საგადასახადო სისტემის გამოსწორება დაევალა. რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახის საშუალო შემოსავლისა და დანახარჯების ჰიპოთეტური ჩამონათვალი 50 ექსპერტს დაეგზავნა, რათა მათ ოჯახის საგადასახადო ვალდებულებების ეს მითიური საზღვრები დაედგინათ. შედეგად წარმოდგენილ იქნა გადასახადების 50 სხვადასხვა „ზღვრული ოდენობა“, რომელიც 12 500-დან 36 000 დოლარამდე მერყეობდა.[6]

შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემა არაჩვეულებრივად არის მორგებული მდიდარ და ძლიერ საშუალო კლასზე. დაბალი საშემოსავლო გადასახადების გამო, შეერთებული შტატები თავის უმდიდრეს მოქალაქეებს ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალ საგადასახადო განაკვეთს აკისრებს. ამავე დროს, რადგანაც გადასახადები მოხმარებაზე (გაყიდვებზე) ასევე დაბალია, ისინი გაცილებით ნაკლებ ტვირთად აწვება გადამხდელებს, ვიდრე მათ მიაჩნიათ. გადასახადების გამო წუწუნი ძველი ამერიკული ჩვეულებაა. ამერიკის დამოუკიდებლობას წინ უძღოდა გადასახადებთან დაკავშირებული საპროტესტო აქცია „ბოსტონური ჩაის სმა“ და ამერიკული რევოლუციის მოწოდება: “არავითარი გადასახადები წარმომადგენლობის გარეშე“.

გადასახადები მოხმარებაზე მდიდრებს მძიმე ტვირთად არ აწვება, რადგანაც თავიანთი შემოსავლის საკმაოდ მცირე წილს ხარჯავენ საჭმელზე, ტანსაცმელზე, ტრანსპორტსა და სხვა ძირითადი მოხმარების ნივთებზე. ბრუნვის მაღალი გადასახადები მძიმედ ტვირთად საშუალო ფენას სწორედ იმავე მიზეზით აწვება: ისინი თავიანთი შემოსავლის ბევრად უფრო დიდ ნაწილს ხარჯავენ სასიცოცხლოდ აუცილებელ ნივთებზე. შედარებისათვის სხვა ქვეყნების მაგალითები განვიხილოთ. ევროპულ ქვეყნებში ფართოდ არის დანერგილი დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) — ბრუნვის გადასახადის ერთ-ერთი სახეობა, რომლის დაფიქსირებაც (შეფასებაც) პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის ყველა ეტაპზე ხდება — ამგვარად, გადასახადების მთლიანი “ნაკრები“ უკვე მზა პროდუქციის საბოლოო ფასზე აისახება და მისი ტვირთი მომხმარებელს აწვება. საგადასახადო განაკვეთები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან - ყველაზე დაბალი 19%-ს, ხოლო ყველაზე მაღალი 25%-ს შეადგენს. აშშ-ში კი პირიქით, გაყიდვის გადასახადი იშვიათად აღემატება 6%-ს, ხოლო მინესოტაში სასურსათო მაღაზიები ამ გადასახადს არც კი იხდიან (ეს არ ეხება სადილს რესტორანში).

შეერთებულ შტატებში ფედერალური შემოსავლების 58 პროცენტი ინდივიდუალური და კორპორაციული საშემოსავლო გადასახადებისგან შედგება, თუმცა საგადასახადო ტვირთი მოქალაქეებს ბევრად უფრო მძიმედ აწვება, ვიდრე კორპორაციებს. კორპორაცული გადასახადი ფედერალური შემოსავლების მხოლოდ 10%-ს შეადგენს, იგი რადიკალურად შემცირდა 1950-1960 წლების შემდეგ (25%-ს შეადგენდა). თუმცა, ამავდროულად, სოციალური უსაფრთხოების გადასახადი (სულ 34%) ფედერალური შემოსავლების ყველაზე სწრაფად მზარდი წყაროა და 2000-01-ში (ასევე, წინა წლებშიც) ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების მთავარი პირობა გახდა.

საგანმანათლებლო კრიზისი

ამერიკელები განათლებას მისი პრაქტიკული სარგებლიანობიდან გამომდინარე აფასებენ — რას უტოლდება დოლარებსა და ცენტებში საშუალო სკოლის დიპლომი ან კოლეჯის ხარისხი.[7] მოსწავლეები საშუალო სკოლის მაღალ კლასებსა და კოლეჯში სწავლას მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნის იმედით აგრძელებენ.

განათლებას სერიოზული ეკონომიკური და სოციალური დატვირთვაც აქვს მთელი ქვეყნისათვის. კარგად მომზადებული და უნარიანი სამუშაო ძალა აუცილებელია, თუ ამერიკას სურს, რომ კონკურენტუნარიანი იყოს გლობალურ ბაზრებზე.

ძალიან ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ამერიკული განათლება კრიზისშია. ამ კრიზისის ნიშნები უკვე რამდენიმე წელია სახეზეა. სკოლებში იარაღი, ნარკოტიკები და ბანდები სტუდენტებსა და მასწავლებლებს საფრთხეს ერთნაირად უქმნიან. კოლეჯში მისაღები გამოცდების შედეგების გაუარესება, აურაცხელი კროსკულტურული შედარებები, რომელიც ადასტურებს, რომ ამერიკელ მოსწავლეთა ქულები მათემატიკის ტესტებში ევროპელ და აზიელ სტუდენტებთან შედარებით დაბალია, წერა-კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევების შემფასებელი ტესტების ძალზე დაბალი მაჩვენებელი — ეს ყველაფერი ხშირად მოჰყავთ ამერიკული დაწყებითი და საშუალო განათლების მარცხის მაგალითებად (იხ. სქემა13-3). განათლების ეროვნული შეფასების მონაცემების (1990) მიხედვით, "დიდი ნაწილი — ჩვენი დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლების მოსწავლეთა თითქმის ნახევარზე მეტი ინგლისურში, მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ისტორიასა და გეოგრაფიაში ძირითადი საკითხების ცოდნას ვერ ავლენს", მიუხედავად საჯარო სკოლების კარგი დაფინანსებისა.[8] მეტიც, ამერიკული ბიზნესი ყოველწლიურად 30-დან 35 მილიარდ დოლარამდე ხარჯავს სტუდენტთა იმ უნარ-ჩვევებში გადასამზადებლად, რაც მათ სკოლაში უნდა შეეძინათ. ცოდნის შეფასების ინფლაცია განათლების ყველა საფეხურზე ყოვლისმომცველ და დამანგრეველ მოვლენადაა აღიარებული. მასწავლებლები მოსწავლეებს სულ უფრო და უფრო ანებივრებენ და მათგან სულ უფრო და უფრო ცოტას ელიან. რა უნდა გაკეთდეს სტანდარტების ასეთი გაუარესების ფონზე?



სქემა 13-3 *მოსწავლეთა ცოდნის შედარება*

ამერიკელ მოსწავლეთა ქულები საერთაშორისო შედარებებში შუაადგილზეა. ბოლოდროინდელი გამოკვლევის მიხედვით მერვეკლასელ ამერიკელთა ქულები მათემატიკაში საშუალოზე ოდნავ დაბალია (41 ქვეყნის მოსწავლეთა მაჩვენებლების შედარებისას 28-ე ადგილზე), ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საშუალოზე მაღალი (იმავე 41 ქვეყნის შედარებისას მე-17 ადგილზე). შენიშვნა: შეცდომათა ზღვარი ± 10 ქულაა თითოეული ქვეყნისათვის.

წყარო: IEA Third Internationl Mathematics and Science Study (TIMSS, 1994-95).

განათლების სისტემის ზოგიერთი რეფორმატორი მხარს უჭერს სკოლებში ეროვნული შეფასებების ჩატარებას, რაც სუსტ და ძლიერ სკოლებს გამოავლენს და სიტუაციის გამოსწორების კატალიზატორის როლს შეასრულებს. სხვები აქცენტს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობაზე აკეთებენ, იმ მოტივით, რომ კონკურენცია განათლების სფეროში სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. კონსერვატორთა ნაწილი, მხარს უჭერს ვაუჩერულ სისტემას, რომლის ფაგლებშიც სახელმწიფო მხოლოდ ნაწილობრივ აანაზღაურებს იმ კერძო და სამრევლო სკოლებში სწავლას, რომლებიც აკრედიტაციის პირობებს აკმაყოფილებს.[9] 1993 წელს კალიფორნიაში გამართულ რეფერენდუმზე ამომრჩევლებმა ვაუჩერულ დაფინანსებას მხარი არ დაუჭირეს. თუმცა, ვაუჩერების პროგრამაზე აქტიური საუბარი 2000 წელს კვლავ განახლდა, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს. რადგანაც რეფორმატორთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კერძო სკოლები უკეთესად მუშაობენ (განსაკუთრებით რომაული კათოლიკური სკოლები), ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მძაფრი კონკურენცია აიძულებს საჯარო სკოლებს ან გააუმჯობესონ ხარისხი, ან დაიხურონ.

ამასობაში საგანმანათლებლო ექსპერიმენტი წინ მიიწევს. ბალტიმორსა და მინეაპოლისში კერძო კომერციული კორპორაციები საჯარო სკოლებს აფინანსებენ, ხოლო ნიუ-იორკის შტატში სახელმწიფო ეხმარება კერძო სკოლებს. სხვადასხვა სახის კერძო სკოლები იქმნება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ძლიერდება საოჯახო სკოლების არსებობის ტენდენციაც.

საჯარო სკოლის ადმინისტრატორები და მასწავლებლები ზოგადად ფუნდამენტურ რეფორმებს ეწინააღმდეგებიან. ისინი შიშობენ, რომ ვაუჩერული სისტემა საჯარო სკოლებს ყველაზე ნაკლებად სასურველი სტუდენტების სარბიელად გადააქცევს. ისინი ასევე ეჭვს გამოთქვამენ იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა სტანდარტულ ტესტებს ზუსტად შეაფასოს მოსწავლეთა ცოდნა. ბოლოს, ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ ყველაზე უფრო მწვავე პრობლემები, რომლებსაც საჯარო სკოლები აწყდებიან, ისეთი სერიოზული სოციალური პრობლემების გამოძახილია, როგორიცაა დანაშაული, ოჯახების ნგრევა, ნარკოტიკების გამოყენება და განათლების მიმართ ინტერესის დაკარგვა; ამ პრობლემების მოგვარება კი სკოლებს არ ძალუძს. ერთადერთი საკითხი, რაზეც ყველა თანხმდება ისაა, რომ განათლებული მოქალაქეები ეკონომიკური წარმატების აუცილებელი პირობაა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად.

შემოსავლების განაწილება

კეთილდღეობა დამოკიდებულია არამარტო საზოგადოებაში დაგროვილ სიმდიდრეზე, არამედ მის განაწილებაზეც. შემოსავლის განაწილება წარმოშობს არამხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ზნეობის საკითხებსაც. მომხმარებლებმა საკმარისი ფული უნდა გამოიმუშავონ იმისთვის, რომ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ხარჯების დაფარვა შეძლონ. თუ ამას ვერ შეძლებენ და ვერც პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტი ვერ მოხდება, ეკონომიკა ნელ-ნელა ვარდნისკენ წავა. მორალური თვალსაზრისით, აშკარა ეკონომიკური უთანასწორობის გამართლება ძნელია საზოგადოებაში, რომლის დევიზიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო: „პატიოსნად იმუშავებ, პატიოსნად გადაგიხდიან.“

სულ უფრო მზარდია განსხვავება საზოგადოების უმდიდრესი და უღარიბესი წევრების შემოსავალს შორის. მაგალითად, 1994 წელს აშშ-ის მოსახლეობის უმდიდრესი მეხუთედის შემოსავალი 13,5-ჯერ აღემატებოდა მისი უღარიბესი მეხუთედის შემოსავალს (იხ. სქემა 13-4). მეტიც, 2000 წელს შეერთებულ შტატებში სიღარიბის მაჩვენებელი 11,3%-ს შეადგენდა, ხოლო რასობრივ ჭრილში ეს მაჩვენებელი ასე გამოიყურება: 9,4% თეთრკანიანები, 22,1% შავკანიანები, 21,2% ლათინოამერიკელები და 10,8% — აზიური წარმოშობის ამერიკელები.[10]

შემაშფოთებელია ტენდენციები, რომლებიც 1980 წელს გახდა აშკარა და 1990-იან წლებშიც გაგრძელდა. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავდა, 1980-იან წლებში „ძლიერ, განათლებულ, დაოჯახებულ და უზრუნველყოფილ ადამიანთა რაოდენობა საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე მაღალი იყო“ მაშინ, როცა „ქალების, ახალგაზრდების, შავკანიანების და ლათინოამერიკელების არაპროპორციულად დიდი ნაწილი ამ ეპოქის დანაკარგად იქცა.“ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქალაქის უბნების მცხოვრებნი — „სკოლის გარეთ დარჩენილი მოსწავლეები, მარტოხელა დედები, დიასახლისები, უმუშევარი ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცები და ყველა რასის უსახლკარონი“, რომელთა მზარდი რიცხვი „კითხვებს ბადებდა ერის მომავალზე“.[11]

კონსერვატორები ეკონომიკური უთანასწორობის საკითხს განსხვავებულად უყურებენ. იმის მაგივრად, რომ შემოსავლებს შორის მკაფიო განსხვავებზე გააკეთონ აქცენტი, ისინი ხაზს უსვამენ, რომ აშშ-ს ყოველთვის ჰყავდა ძლიერი საშუალო კლასი და წამგებიანი იქნება საზოგადოების სხვადასხვა ფენების გათანაბრება



სქემა 13-4 *საოჯახო შემოსავლების უთანასწორობა, 2000*
წყარო: U.S. Department of Commerce, Bureau of the Census, Current Population Survey, 2000-2001, 12 მაისი, 2002წ. www.census.gov/hhes/www/img/incpov00/fig12.jpg

საკანონმდებლო გზით (აქ იგულისხმება პროგრამები, რომელთა მიზანია შემოსავლების თანაბრად გადანაწილება). პოლიტიკა, რომელიც მათთვისაა შექმნილი, ვინც ბევრს მუშაობს, ეკონომიკურ რისკზე მიდის, ფულს გონივრულად აბანდებს და ხალხისათვის საჭირო პროდუქციასა და მომსახურებას უზრუნველყოფს, ბევრად უფრო ნაყოფიერია.

კონსერვატორები იმასაც აღნიშნავენ, რომ შემოსავლის განაწილების მაჩვენებლებში ასახული არ არის სამთავრობო ტრანსფერები, რომელთა მიზანია საზოგადოების ყველაზე უფრო დაუცველი ფენის დახმარება (კომპენსაციები უმუშევართათვის, ტალონები პროდუქტებზე, შეღავათები მრავალშვილიან ოჯახებზე და ა.შ.). დეტალური მონიტორინგის პირობებში ასეთი პროგრამები, გარკვეულწილად შეზღუდული რაოდენობით, ეხმარება ღარიბებს ისე, რომ საზოგადოების დასაქმებულ მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას არ უკარგავს მოტივაციას კვლავაც იშრომონ და ქვეყნის უწყვეტი კეთილდღეობა უზრუნველყონ.

თუმცა, ყველა კითხვაზე პასუხი არც ლიბერალებს აქვთ და არც კონსერვატორებს. მაგალითად, რით შეიძლება დაეხმაროს საზოგადოება 16 წლის მარტოხელა დედას, რომელმაც ახლახან მიატოვა სკოლა, რათა იგი არამხოლოდ გადარჩეს, არამედ წარმატების შანსიც ჰქონდეს ცხოვრებაში?

თანასწორობის უზრუნველყოფა

თანასწორობა ამერიკული პოლიტიკური ცხოვრების ამოსავალი პრინციპია. თავისუფლების დეკლარაციის თეზისი „ყველა ადამიანი თანასწორი იბადება“ ნიშნავს, რომ „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა“ ყველა ამერიკელის თანდაყოლილი უფლებაა და არა პრივილეგირებული უმცირესობისა. თავისუფლების დეკლარაციის მიღებამდე ერთი საუკუნით ადრე ინგლისელი პოლიტიკის ფილოსოფოსი ჯონ ლოკი ამტკიცებდა, რომ „სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება“ ყველა ადამიანის ბუნებრივი უფლებაა. ამდენად, თანასწორუფლებიანობის იდეას — მათი რეალურად ხორცშესხმისაგან განსხვავებით — ღრმა ფესვები აქვს ანგლოსაქსურ პოლიტიკურ ტრადიციაში.

რასობრივი დისკრიმინაცია

სქესობრივი და რასობრივი დისკრიმინაციის თვალსაზრისით ამერიკული გამოცდილებაბევრადჩამოუვარდებათანასაწორუფლებიანობისპრინციპს.აფროამერიკელების დისკრიმინაცია შეერთებული შტატების პოლიტიკური ცხოვრების უდავო ფაქტად რჩება. მონობის დაკანონებამ 1860-იან წლებამდე ამერიკული იდეალები დაცინვის საგნად აქცია. სამოქალაქო ომის ზღურბლზე, დრედ სკოტის სამარცხვინოდ ცნობილ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შავკანიანები, განურჩევლად იმისა, მონები იყვნენ თუ თავისუფალნი, მოქალაქეებად არ ჩაითვლებოდნენ. მთავარი მოსამართლე როჯერ ტენი ამტკიცებდა, რომ შავკანიანები იმდენად „უღირსნი“ იყვნენ, რომ მათ „არ გააჩნდათ უფლებები, რომელთა დაცვაც თეთრკანიანებს მოეთხოვებოდათ“.

სამოქალაქო ომის შედეგად მონობას ბოლო მოეღო, მაგრამ ეს კანონის წინაშე თანასწორობას არ ნიშნავდა. მდგომარეობა ვერც კონსტიტუციის მეთოთხმეტე

შესწორებამ შეცვალა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად იძლეოდა იმის გარანტიას, რომ არცერთ პიროვნებას არ შეიძლება უარი ეთქვას „კანონისგან ერთნაირად დაცვაზე“. სამწუხაროდ, სწორედ უზენაესი სასამართლო, კონსტიტუციის დაცვის გარანტი, ყველაზე მეტად უგულებელყოფდა ამ შესწორების ძირითად არსს.

გამორჩეული სამართლებრივი პრეცედენტები: სამოქალაქო უფლებების საქმის განხილვის შედეგად (1883 წელს), სასამართლომ დაასკვნა, რომ კონგრესის მიერ მიღებული აქტები, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (რესტორნებში, სკვერებში და ა.შ.) რასობრივ დისკრიმინაციას კრძალავდა, არაკონსტიტუციური იყო.[12] მეთოთხმეტე შესწორების ის მუხლი, რომელიც თანაბარ დაცვას გულისხმობდა, მოსამართლის დასკვნით, მიზნად ისახავდა დისკრიმინაციის აკრძალვას მხოლოდ სახელმწიფოს და არა კერძო პირების მხრიდან. ცალკეული ინდივიდების მიერ ჩადენილ დისკრიმინაციულ აქტებს საჯარო ხელისუფლებასთან ოფიციალური კავშირი არ ჰქონდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფედერალური ხელისუფლების კომპეტენციის სფეროს სცილდებოდა და შესაბამისად, ფედერალური სასამართლოებისასაც. მაგალითად, თუ რესტორნების მესაკუთრე უარს ეტყოდა შავკანიან მოქალაქეებს მომსახურებაზე, ამ შემთხვევაში ის კერძო პირის უფლებებით ისარგებლებდა და კონგრესის არანაირი გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში კონსტიტუციური არ იქნებოდა.

ცამეტი წლის შემდეგ, პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ საქმის (1896) განხილვისას, სასამართლო კიდევ უფრო შორს წავიდა.[13] შტატის იმ კანონების გადახედვისას, რომლებიც აკანონებდა მატარებლის ვაგონებში რასობრივ სეგრეგაციას, სასამართლომ კანონიერად ცნო დოქტრინა – „განცალკევებული, მაგრამ თანასწორი“.

ჰომერ პლესიმ (სასამართლოს ჩანაწერით „შვიდი მერვედი თეთრი და ერთი მერვედი აფრიკული სისხლით“) მატარებელში თეთრების სექციაში არსებული სავარძლით ისარგებლა და მას მოსთხოვეს „ფერადკანიანთა სექციაში“ გადასულიყო. თითქმის ერთხმად სასამართლომ უარყო პლესის სარჩელი იმის თაობაზე, რომ კანონი სეგრეგეციის შესახებ არღვევდა კანონის წინაშე მისი თანასწორობის უფლებას. მათი მტკიცებით, კანონი თავისი არსით ნეიტრალური იყო. იგი ორივე რასის წარმომადგენლებს თანაბარ პირობებში აყენებდა. სასამართლო იმდენად შორს წავიდა, რომ დაასკვნა – თუ „ორი რასის დაკანონებული განცალკევება ფერადკანიან მოქალაქეებს დამამცირებელ დამღას ასვამს“, ეს „აქტში კი არ არის ჩადებული, არამედ ასეთ დატვირთვას ფერადკანიანი რასის წარმოამდგენლები თავად აძლევენ მას.“

სამოქალაქო უფლებებისა და პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ საქმეების განხილვისას მხოლოდ მოსამართლე ჯონ მ. ჰარლანი არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ორივე შემთხვევაში, მისი აზრით სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა მეთოთხმეტე შესწორებას, რომელმაც „სახელისუფლებო სისტემა რასობრიობის დამღისგან გაათავისუფლა“. მას სჯეროდა, რომ არც ერთ ხელისუფლებას, არც ერთ დონეზე გააჩნდა კონსტიტუციური უფლება, მიეღო კანონები, რომლებიც რასობრივ დისკრიმინაციაზე იქნებოდა დაფუძნებული. მისი აზრით, კონსტიტუციას რასობრივი მიკერძოება ახასიათებდა. ჰარლანის განსხვავებულ მოსაზრებებს 58 წელი დასჭირდა, სანამ კანონის სახეს მიიღებდა.

სამოქალაქო უფლბებისა და პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ საქმეების განხილვისას სასამართლომ, გარდა იმისა, რომ აშკარა რასობრივი სეგრეგაციის სანქციონირება მოახდინა სამხრეთში, ასევე შეუწყო ხელი ისეთი სოციალური სისტემის

სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას, სადაც შავკანიანები დისკრიმინაციის, უხეშად მოპყრობისა და მკვლელობის მსხვერპლნიც კი ხდებოდნენ.

რასობრივი თანასწორობა: ბოლოს და ბოლოს თავისუფალი? სამართლებრივად უზრუნველყოფილი თუ ნაკარნახევი რასობრივი სეგრეგაცია წესად იყო ქცეული სამხრეთში (და ჩრდილოეთის უმეტეს ნაწილშიც) მეოცე საუკუნეში. თუმცა, 1940-იანი წლების ბოლო ხანებიდან უზენაესმა სასამართლომ ძველი სამართლებრივი ფორმულების ინტერპრეტაციისას გეზი ნელ-ნელა რასობრივი თანასწორობის დაცვაზე აიღო. მაგალითად, შელი კრამერის წინააღმდეგ (1948) საქმეში აღნიშნული იყო, რომ კერძო კონტრაქტებში ჩადებული დისკრიმინაციული ზომების სამართლებრივი მხარდაჭერა არ იყო კონსტიტუციური.[14] სასამართლომ დაასკვნა, რომ მსგავსი ხელშეკრულებების ლეგალურად გამოცხადება „სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციულ ქმედებას“ უტოლდებოდა, რაც მეთოთხმეტე შესწორებით იყო აკრძალული. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმის დაუყოვნებლივ აკრძალვაზე სასამართლომ უარი თქვა, მან მოითხოვა, რომ განცალკევებული საჯარო დაწესებულებები ჭეშმარიტად თანასწორი ყოფილიყო. ამგვარად, სვიტი პეინტერის წინააღმდეგ საქმის განხილვისას სასამართლომ დაავალდებულა ტეხასის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა მიეღო შავკანიანი სტუდენტებიც, რადგანაც შტატს არ შეეძლო შავკანიანებისათვის იმავე დონისა და რეპუტაციის ცალკე სკოლა შეექმნა.[15]

ბრაუნი ტოპეკას საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ ცნობილი საქმის განხილვისას (1954) სასამართლომ ერთხელ და სამუდამოდ უარყო განცალკევებული, მაგრამ თანასწორი (სეგრეგაციის) დოქტრინა.[16] სასამართლომ სეგრეგირებული სკოლები არაკონსტიტუციურად გამოაცხადა, „რადგანაც ასეთი ტიპის სასწავლო დაწესებულებები თავიანთი არსით უთანასწოროა.“

ბრაუნის საქმეზე გამოტანილმა განაჩენმა სიტყვა „თანასწორობის“ მნიშვნელობაზე გაცხოველებული დებატები გამოიწვია აშშ-ში. მიუხედავად თავდაპირველი პროტესტის სიმძაფრისა, ეროვნული კონსენსუსი მხოლოდ ეტაპობრივად იქნა მიღწეული. ათი წლის შემდეგ კონგრესმა მიიღო 1964 წლის სამოქალაქო უფლებების აქტი,[17] ფედერალური კანონების პირველი სერია, რომელიც მიზნად რასობრივი თანასწორობის უზრუნველყოფას ისახავდა. ის ფაქტი, რომ 1964 წლის აქტი აკანონებდა თანასწორი მოპყრობისა და მომსახურების პრინციპს დაწესებულებებში, რომელიც არაკანონიერად იქნა გამოცხადებული სამოქალაქო უფლებების საქმის განხილვისას, ახალ ეტაპზე გადასვლაზე მიუთითებდა.1960-იანი წლების ბოლოს, ინტენსიური სამოქალაქო მოძრაობისა და სამოქალაქო ომიდან მოყოლებული ყველაზე ძლიერი მღელვარების შემდეგ მთავრობა საბოლოოდ მზად იყო ყველა მოქალაქისათვის თანასწორუფლებიანობის პრინციპი სამართლებრივად განემტკიცებინა. პოლიტიკურმა ორთაბრძოლამ რასობრივი თანასწორობისა და თეთრკანიანთა უპირატესობის საკითხებზე, დასაბამი მისცა რთულ და გაცხოველებულ დებატებს თანასწორობის უზრუნველყოფის საშუალებებზე.

სასკოლო ავტობუსების საქმე. პასუხი კითხვაზე, რამდენად შეუძლია და ვალდებულია ხელისუფლება უზრუნველყოს თანაბარი უფლებები, კარგად გამოჩნდა 1970-1980-იან წლებში სასკოლო ავტობუსების საქმის მაგალითზე, რომელიც შედეგად მოჰყვა „ბრაუნი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ“ ბუნდოვან საქმეს. ამ შემთხვევაში, სასამართლომ დაასკვნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სეგრეგაცია არაკონსტიტუციური იყო. სასამართლომ აღიარა, რომ შავკანიანი ბავშვები ინტეგრირებულ სკოლებში უკეთ ისწავლიდნენ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება იმასაც გულისხმობდა, რომ მხოლოდ საკანონმდებლო და დეიურე ცვლილებები საკმარისი არ იყო ამ მიზნის განსახორციელებლად. დე ფაქტო სეგრეგაცია ისევ პრობლემად რჩებოდა, — რაც სიღარიბის სოციალურ-ეკონომიკური გავლენის შედეგი იყო — იგულისხმება აფროამერიკული მოსახლეობის კონცენტრაცია ძველ უბნებში.

მაგრამ, როგორ უნდა განხორციელებულიყო მოსახლეობის გადანაწილების არსებული სქემის ცვლილება ინტეგრირებული სკოლების შექმნის მიზნით? ყველაზე რეალური შესაძლებლობა მოსწავლეთა ინტეგრაციისა, ამ უბნებიდან მათი ტრანსპორტირების უზრუნველყოფა იყო. მოსწავლეთა ტრანსპორტირება, გარდა იმისა, რომ მათი ინტეგრაციის ყველაზე სანდო საშუალება იყო, „თანასწორი შესაძლებლობის“ უზრუნველყოფისათვის ქვეყნის მკაფიო და უდავო მზადყოფნაზეც მიუთითებდა. სასკოლო ავტობუსების შემოღებამ — რაც გარკვეულ შემთხვევებში ფედერალური საოლქო სასამართლოების მიერ იყო დადგენილი და არაერთხელ განხილული ფედერალური მოსამართლეების მიერ, ქვეყნის ყოველ ტერიტორიულ ერთეულს მიანვდინა ხმა იმის შესახებ, რომ ამიერიდან რასობრივად ერთგვაროვანი სკოლები „კანონების თანაბარი დაცვის შესახებ“ კონსტიტუციურ ტესტს ვეღარ ჩააბარებდნენ.

კრიტიკოსები სასკოლო ავტობუსების შემოღებას სხვადასხვა მიზეზით ეწინააღმდეგებოდნენ. მათ შორის იყვნენ ის მშობლებიც, რომლებსაც უმცირესობების მიმართ ამპარტავნული დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი იყო წინააღმდეგობა იმ მშობლების მხრიდან, რომლებიც თვლიდნენ, რომ ახლომდებარე სკოლა საუკეთესო იყო ბავშვებისათვის, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობდნენ ისინი. სხვები აცხადებდნენ, რომ სკოლა არ უნდა გადაქცეულიყო „სოციალურ ლაბორატორიად“. სკოლის ადმინისტრაციას ეშინოდა, რომ მშობლების ინტერესი და მონაწილეობა სასკოლო პროცესში სახლსა და სკოლას შორის მანძილის ზრდის პროპორიულად შემცირდებოდა.

საბოლოოდ, სასკოლო ავტობუსებით გამოწვეული უკმაყოფილება საჯარო სკოლების მიმართ „ნდობის კრიზისს“ დაემთხვა.[18] დაბალი საგამოცდო შეფასებები, სასკოლო დისციპლინასა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები, დაბალი აკადემიური სტანდარტები და სკოლის დაფინანსებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სიძნელეები ნათლად მიუთითებდა, რომ საჯარო სკოლებში ყველაფერი რიგზე ვერ იყო.

იყო თუ არა სასკოლო ავტობუსების იდეა კარგი? დიახ და არა! მან აიძულა ადგილობრივი ხელისუფლება და სკოლის საბჭოები, გარეუბნების სკოლებში სასწავლო გარემო და პირობები გაეუმჯობესებინა. მან ასევე დაანახა სკეპტიკოსებს, რომ ხელისუფლება სერიოზულად აპირებდა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მეორე მხრივ, სასკოლო ავტობუსების შემოღებას გარკვეულ შემთხვევებში ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში უმცირესობების გადანაწილება მოჰყვა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ, რომ სასკოლო ავტობუსებით მოსწავლეები შავკანიანებით დასახლებული უბნებიდან თეთრკანიანთა უბნებში გადაეყვანათ, თუმცა უზენაესმა სასამართლომ გააუქმა მსგავსი გადაწყვეტილებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალკეულ უბნებში ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული დისკრიმინაციიდან თავის დაღწევის ყველაზე სათანადო საშუალება სწორედ სასკოლო ავტობუსების გამოყენება იყო.[19]

პოზიტიური ქმედებები თუ შემტუნებული დისკრიმინაცია

სასკოლო ავტობუსების შემთხვევა 1970 წელს ***პოზიტიური (საკომპენსაციო) ქმედებების*** (უპირატესი უფლებების მინიჭება) თაობაზე დებატებმა დაჩრდილა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სამთავრობო პროგრამებსა და აქტებს, რომლების უმცირესობებს სამსახურში აყვანისა და დაწინაურების, კოლეჯებსა და პროფესიულ სასწავლებლებში მიღების დროს და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. მათი მიზანი წარსულსა და აწმყოში უმცირესობის წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაციის შედეგების გამოსწორება იყო. სასკოლო ავტობუსების მსგავსად, ეს პროგრამები თანასწორობის სახელით შეიქმნა. თუმცა ბევრ ადამიანს უჩნდებოდა შეკითხვა, იყო თუ არა ეს პროგრამები მართლაც სამართლიანი? ისინი, ვინც საკომპენსაციო დისკრიმინაციას ეწინააღმდეგებოდნენ მას ***პირუკუ დისკრიმინაციად*** აფასებდნენ.

თუ კონსტიტუციით დაშვებულია უმცირესობებისთვის გარკვეული უპირატესობების მინიჭება, იცავს თუ არა იგი უმრავლესობას პირუკუ დისკრიმინაციისაგან? ამ კითხვას პასუხი ნაწილობრივ 1978 წელს გაეცა, როდესაც სასამართლომ განაჩენი გამოიტანა თეთრკანიანი სტუდენტის ალან ბაკის სარჩელით აღძრულ საქმეზე, რომელიც დევისში, კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში მოწყობას ამაოდ ცდილობდა.[20] ბაკი ამტკიცებდა, რომ სამედიცინო სკოლის სპეციალური მისაღები პროგრამა (პროგრამა გულისხმობდა უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების ჩარიცხვას მათთვის გამოყოფილ ადგილებზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს ბაკზე გაცილებით დაბალი საშუალო შეფასება და სტანდარტული ტესტის ქულა ჰქონდა), მას უსამართლოდ ართმევდა სწავლის შანსს მხოლოდ და მხოლოდ მისი რასობრივი კუთვნილების გამო. სასამართლომ განაჩენი მალევე გამოიტანა (რომელიც საკმაოდ გაუგებარი იყო), იგი ეთანხმებოდა ბაკს, რომ ანალოგიური კვოტები, რომელიც უპირატესი უფლების მინიჭების მაგალითია, არაკონსტიტუციური იყო და სკოლას ბაკის დაუყონებლივ მიღება მოსთხოვა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე მითითებული იყო, რომ უპირატესობა უმცირესობებს მხოლოდ გარკვეული გარემოებების დადგომისას უნდა ენიჭებოდეთ. უზენაესმა სასამართლომ ბაკის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება თავის შემდგომ აქტებში გაამყარა.[21]

თუმცაღა, უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა სამსახურში მიღების პროგრამებს, რომლებიც ფართოდ ეფუძნებოდა უპირატესი უფლების მინიჭების პრინციპს (ძალაში დატოვა სქემები, რომლებიც უმცირესობას სამსახურიდან დათხოვნისგან დაცვის უპირატეს უფლებას ანიჭებდა).[22] ასევე მხარი დაუჭირა უპირატესი უფლებების მინიჭების დოქტრინას ქალების სამსახურში მიღებისას, კერძოდ, უპირატესობა მიენიჭებოდათ მათზე უფრო მაღალი კვალიფიკაციის მამაკაცებთან შედარებით დასაქმებულთა შორის გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად.[23]

მეორე მხრივ, ბოლო ხანებში სასამართლომ უმცირესობათა კუთვნილ ბიზნესზე უპირატესობა შეზღუდა, რითაც შეცვალა (ან სულაც გააუქმა) თავისი ძველი გადაწყვეტილებები.[24] ამდენად, გაურკვეველია სასამართლოს დამოკიდებულება, სად მთავრდება საკომპენსაციო დისკრიმინაცია და სად იწყება პირუკუ დისკრიმინაცია. მხოლოდ ორი განზოგადებული დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი. პირველი, კონსტიტუცია კონგრესს გაცილებით დიდ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე შტატსა და ადგილობრივ ხელისუფლებას წარსული დისკრიმინაციის შედეგების აღმოსაფხ-

ვრელად. მეორე, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული უპირატესი უფლებების მინიჭების პროგრამები შტატებისა და ადგილობრივ დონეზე ბევრად უფრო დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ, როდესაც სახეზეა უმცირესობის დისკრიმინაციის კონკრეტული (და არა საზოგადო) შემთხვევები.[25]

მსგავსი პროგრამები წინააღმდეგობრივია და ხშირად ხდება სასამართლო განხილვის საგანი. ამ პროცესებმა 1996 წლის ნოემბერში განსაკუთრებით დრამატული ხასიათი მიიღო, როდესაც ამომრჩევლებმა მხარი დაუჭირეს კალიფორნიის სამოქალაქო უფლებათა ინიციატივას, რომელიც შტატის ხელისუფლებას უკრძალავდა დისკრიმინაციას ან უპირატესობების მინიჭებას რასის, სქესის, კანის ფერის, ეთნიკური კუთვნილების ან წარმომავლობის საფუძველზე. ამომრჩეველთა მცდელობა, შეზღუდულიყო საკომპენსაციო დისკრიმინაციის პროგრამები, დაუყოვნებლივ იქნა გასაჩივრებული სასამართლოში, რამაც მათი განხორციელება რამდენიმე თვით შეაჩერა.

უპირატეს უფლებათა მინიჭების პროგრამების მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ მინიჭებული პრივილეგიები გამართლებულია (აუცილებელიც კი), რადგანაც უმცირესობათა მთელი თაობები განიცდიდნენ დისკრიმინაციას. მეტიც, მათი აზრით, აფრო-ამერიკელები და სხვა უმცირესობები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა პროფესიებში. მაშინ, როცა შავკანიანები მთელი მოსახლეობის 12 პროცენტს შეადგენენ, ადვოკატების, მოსამართლეების, ექიმების, ინჟინრების, უნივერსიტეტების და კოლეჯების პროფესორთა მხოლოდ 4 პროცენტს წარმოადგენენ. ხოლო უპირატესი უფლებების მინიჭებით გამოსწორდება მდგომარეობა, რომელიც ისტორიული უსამართლობით (განსაკუთრებით მონობითა და რასობრივი სეგრეგაციით) განპირობებული სოციალური გარემოებებითაა გამოწვეული.

უპირატესი უფლებების მინიჭების ოპონენტები აქცენტს უფრო იმ მოქალაქეებზე აკეთებენ, ვინც ამ პროგრამის განხორციელებით ზარალდება, ნაცვლად იმ ჯგუფებისა, ვისაც ეს პროგრამები ეხმარება. არსებული თვალთახედვით, ინსტიტუციური დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა უსამართლოდ და დაუმსახურებლად სჯის ადამიანებს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ გადაწყვეტილებები სასწავლებელსა და სამსახურში მიღების შესახებ სათანადო კრიტერიუმების შესაბამისად თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით იქნეს მიღებული. ოპონენტები იმასაც აცხადებენ, რომ საზოგადოება ისჯება, როდესაც ყველაზე კონკურენტუნარიან მოქალაქეებს გზას უღობავენ წარმატებისკენ. ამ მოსაზრების თანახმად, ჭეშმარიტი სამართლიანობა სულაც არ გულისხმობს საზოგადოებას, სადაც სხვადასვა პროფესიაში ყველა რასა პროპორციულად იქნება წარმოდგენილი; ის მხოლოდ თანაბარ შესაძლებლობებს მოითხოვს. როგორც მოსამართლე ჰარლანმა თქვა, თანასწორობის მისაღწევად საჭიროა, კონსტიტუცია "ფერებს არ არჩევდეს."

ვის სჭირდება დაცვა?

აფროამერიკელების გარდა, არსებობენ თუ არა სხვა ჯგუფები, რომლებიც უპირატესი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ? გამხდარან თუ არა ადგილობრივი ამერიკელები დისკრიმინაციის მსხვერპლი? რა მდგომარეობაში არიან ლათინო-ამერიკელები? აზიური წარმოშობის ამერიკელებიც დაზარალდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მრავლად არიან წარმოდგენილი ისეთ დარგებში, როგორიცაა

მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები. ნუთუ ასეთი წარმატების შემთხვევები უპირატესი უფლებების მინიჭების იდეას აზრს უკარგავს?

სქესობრივი დისკრიმინაციის პრობლემას ბევრად უფრო მწვავე საკითხების წამოწევა მოჰყვა. 1970-იანიდან 1980-იან წლებამდე მიმდინარე დებატები საბედისწერო „თანაბარი უფლებების შესახებ შესწორებას შეეხებოდა“, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ „თანაბარი მოპყრობის კანონიერი უფლება არ შეიძლებოდა უარყოფილი ან შეზღუდული ყოფილიყო შეერთებული შტატების ფედერალური ან შტატების ხელისუფლების მიერ სქესობრივი განსხვავების საფუძველზე“. საჭიროებენ თუ არა ქალები დაცვას, როგორც ისტორიულად დაჩაგრული უმცირესობა? სჭირდებათ თუ არა მათ უპირატესობის მინიჭება წარსული დისკრიმინაციის შედეგების აღმოსაფხვრელად? თუ ასეა, შედეგად რას მივიღებთ? მაგალითად, ფედერალური კანონის თანახმად, სამხედრო სამსახურისათვის მხოლოდ მამაკაცები უნდა დარეგისტრირდნენ[26] ნუთუ ეს კანონი სქესთა შორის მხოლოდ ფიზიკურ განსხვავებას ითვალისწინებს? აყენებს თუ არა ის მამაკაცებს უპირატეს მდგომარეობაში, რაკი მიიჩნევს მათ ქალებზე ფიზიკურად და ემოციურად აღმატებულ არსებებად (ქალები სუსტი, არაკოორდინირებული, არასტაბილური და პანიკისადმი მიდრეკილნი არიან), რომელთაც არ შესწევთ უნარი სამხედრო სამსახური გაიარონ? თუ პირიქით, ქალებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს არასასურველი ვალდებულებისაგან გათავისუფლებით? მსგავს წინააღმდეგობას სხვადასხვა ნორმატიულ აქტებშიც ვაწყდებით; მათ შორისაა კანონმდებლობა არასრულწლოვანთა გაუპატიურების შესახებ, რომელიც მამაკაცებს უკრძალავს არასრულწლოვან გოგონებთან სქესობრივ კავშირს, ქალებს კი იგივეს არ უკრძალავს არასრულწლოვან ვაჟებთან.[27]

ღარიბი და უმწეო მოსახლეობა კიდევ ერთი ჯგუფია, რომელიც ბევრის აზრით უპირატეს მოპყრობას იმსახურებს. რა არის სიღარიბე — როცა ადამიანები შიმშილის პირას იმყოფებიან, თუ როცა ცხოვრების შესაბამისი პირობები არა აქვთ? როგორი უნდა იყოს ცხოვრების შესაბამისი პირობები? ზოგიერთი ექსპერტი ღარიბს უწოდებს საზოგადოების გარკვეულ პროცენტულ ნაწილს, რომლებიც საერთო საშემოსავლო შკალის ყველაზე დაბალ ნიშნულზე იმყოფებიან. თუმცა, ეს არაფერს გვეუბნება იმაზე, როგორ ცხოვრობენ ასეთი ადამიანები სინამდვილეში — დასავლეთის მდიდარ ქვეყნებში ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20 პროცენტი გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე მესამე მსოფლიოს ქვეყნების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

სოცუზრუნველყოფის სისტემის ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ ღარიბები სიდუხჭირეში თავიანთი მავნე ჩვევებისა და მოსაზრებების გამო ცხოვრობენ და მათ შეცვლას არც კი ცდილობენ, ხოლო ხელისუფლებას ამგვარი პიროვნული მარცხის შედეგების გამოსწორება ნაკლებად ძალუძს. სხვები ამტკიცებენ, რომ ღარიბები გულგრილი საზოგადოებისა და ულმობელი კონკურენტული ეკონომიკური სისტემის მსხვერპლნი არიან. ხელისუფლება ვალდებულია თავისი ძალა ეკონომიკური და სოციალური თანასწორობის ხარისხის გასაძლიერებლად გამოიყენოს.

ბოლოს, განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი — იყვნენ თუ არა სხვა ჯგუფები — მაგალითად, ჰომოსექსუალები წარსულში დისკრიმინაციის ობიექტები და უნდა იყვნენ თუ არა ისინი კანონით დაცულნი დისკრიმინაციისაგან სამსახურში ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებისა თუ სოციალური შეღავათების მინიჭებისას. 1992 წელს კოლორადოში ამომრჩევლებმა ხმა მისცეს საქსუალური უმცირესობებისათვის სამართლებრივი დაცვისა და ცალკეული უპირატესობების აკრძალვას. რეფერენდუმის შედეგები გაუქმდა 1996 წელს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ

დაასკვნა, რომ აღნიშნული ზომები დისკრიმინაციული და არაკონსტიტუციური იყო.[28] ეს შემთხვევა, სხვა ანალოგიურ შემთხვევებთან ერთად, შემდეგ კითხვას ბადებს: რომელი სამართლებრივი ნორმები იცავს უკლებლივ ყველა ამერიკელს?

თავისუფლების უზრუნველყოფა

თანასწორობის მსგავსად, თავისუფლებაც თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი მიზანია. გამონათქვამები, რომლებიც თავისუფლების პოლიტიკურ ღირებულებას განადიდებს, თან გასდევს ამერიკის რესპუბლიკის ისტორიას. „ან თავისუფლება ან სიკვდილი," პატრიკ ჰენრის ეს სიტყვები ეროვნულ მოწოდებად იქცა.

თავისუფლების ღირებულება

პოლიტიკური თავისუფლება დასავლეთში დიდხანს გულისხმობდა ხელისუფლებისგან დაწესებული შეზღუდვისგან გათავისუფლებას. ამდენად, თავისუფლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური კაპიტალია ოთხი ძირითადი მიზეზის გამო:

1. სიცოცხლე აზრს კარგავს, თუ ინდივიდს მისი თავად განკარგვა არ შეუძლია. რადგანაც არჩევანის ამგვარი თავისუფლება გამორჩეული ადამიანური თვისებაა, იგი ნიშნავს შესაძლებლობას, მოიქცე ისე, როგორც მხოლოდ ადამიანები იქცევიან. ასევე ადამიანური ღირსება თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია, რადგანაც მოზრდილ მოქალაქეთა უმეტესობას უნარი შესწევს საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობა აიღოს, თვისუფლების არარსებობა ინდივიდს თვითრეალიზაციის საშუალებას ართმევს და მის განვითრებას აფერხებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფლების შეზღუდვას ზრდასრული ადამიანები ბავშვის დონეზე დაჰყავს.
2. თავისუფლება ემყარება რწმენას, რომ ინდივიდებმა უკეთ იციან, რა სურთ ან სჭირდებათ ბედნიერებისათვის. ამ თვალსაზრისის თანახმად, მისი განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ინდივიდი თავად წყვეტს, როგორ გამოიყენოს თავისი დრო და ფული.
3. თავისუფლება აუცილებელია იდეების შინაარსიანი გაცვლისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის მისაღწევად. მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაში არის შესაძლებელი იდეების გამოხატვა, სიახლეთა შექმნა და მათი საზოგადოების სასიკეთოდ გამოყენება. გამოხატვის თავისუფლება ასევე ხელისუფლების პატიოსნების უზრუნველყოფის უმთავრესი პირობაა.
4. თავისუფლების შეზღუდვას ხშირად ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამდე მივყავართ. თუ ხელისუფლებას ხელს არავინ უშლის, მიიტანოს იერიში ერთი ადამიანის თავისუფლებაზე, სხვა დანარჩენების თავისუფლებაც საფრთხის წინაშე დადგება. მაგალითად, ყველა ვთანხმდებით, რომ გარკვეული ტიპის ქცევა, როგორიცაა რეგულარული დაბანა — უაღრესად სასურველია. ამ უფლების თავისუფლად განხორციელებისას შესაძლოა მაინცდამაინც სასურველ შედეგამდე ვერ მივიდეთ (მაგალითად, რას იტყვით მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებაზე, არ დაიცვას ჰიგიენის ნორმები). მაგრამ თუ პოლი-

> ციას შეეძლება ტრანსპორტში ჩემს გვერდით მჯდომი ადამიანი იმის გამო დააჯარიმოს, რომ მას შხაპი არ მიუღია, რა შეუშლის მას ხელს, დამიჭიროს თუ თმას სათანადოდ არ დავივარცხნი ან წვერს არ გავიპარსავ?

თავისუფლება და პირველი საკონსტიტუციო შესწორება

შეერთებულ შტატებში, სამართლებრივი საკითხების განხილვისას, რომელიც პიროვნების თავისუფლებას ეხება, პირველ შესწორებას მოიშველიებენ. მასში აღნიშნულია:

> კონგრესმა არ შეიძლება მიიღოს კანონი, რომელიც მხარს დაუჭერს რომელიმე რელიგიას ან შეზღუდავს მის თავისუფალ განხორციელებას, სიტყვის ან პრესის თავისუფლებას, ადამიანთა მშვიდობიანი შეკრების და ხელისუფლებისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამგვარად, პირველი შესწორება იცავს სამოქალაქო თავისუფლების 4 ძირითად ასპექტს: სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, რელიგიის თავისუფლებას, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას. რადგანაც შესწორების ენა ლაკონური და ზოგადია, პირველი სამი უფლება ხშირად საჭიროებს ინტერპრეტაციას საზოგადოების მხრიდან.

სიტყვის თავისუფლება. ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ პირველი შესწორების უმთავრესი მიზანი პოლიტიკური გამოსვლების თავისუფლების უზრუნველყოფა იყო. რესპუბლიკის პირობებში, პოლიტიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უმთავრესი პირობა პოლიტიკურ ოპონენტებს შორის ღია დებატებია.სიტყვის თავისუფლება თითქმის არასოდეს გამხდარა სადავო, სიტყვის შინაარსი კი – არაერთხელ.

თუმცა, სიტყვის თავისუფლება შესაძლოა გახდეს ცხარე განხილვის საგანი, როდესაც ინდივიდები, რომლებიც ამ თავისუფლებით სარგებლობენ, არაპოპულარულნი არიან ან პოლიტიკური სისტემის ხელშეუხებლობასა და კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებენ. ექსტრემისტები ხშირად ძლიერი ვნებათაღელვის პროვოცირებას ახდენენ. მაგალითად, ნაცისტთა გამოსვლები ჩვეულებისამებრ მძაფრ რეაქციას იწვევდა ებრაელთა შორის. ვიეტნამის ომის საწყის ეტაპზე ახალგაზრდა პროტესტანტები ხშირად იყვნენ აღქმულნი არაპატრიოტ და არალოიალურ პირებად. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ვიეტნამის ომის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, შეერთებული შტატების პოზიციის დამცველებს სტვენითა და ყვირილით ხვდებოდნენ უნივერსიტეტების კამპუსებში გამოსვლისას. პირველი შესწორება ყველა მოქალაქეს იცავს თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამოთქმისას, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად მიუღებელი ან არაპოპულარულია ეს შეხედულებები. თუმცა, არსებობს მხოლოდ მცირე შეზღუდვები (გამოსვლა არ შეიძლება შეიცავდეს მოწოდებას უკანონო ქმედებებისკენ, არ უნდა ახდენდეს არეულობის პროვოცირებას, არ აყენებდეს ვინმეს პიროვნულ შეურაცხყოფას და ა.შ.).

რა თქმა უნდა, დაცვა, რომელსაც სიტყვის თავისუფლების მუხლი გულისხმობს, მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის გამოსვლით არ შემოიფარგლება. უზენაესმა სასამართლომ „სიტყვის“ საკმაოდ ფართო ინტერპრეტირება მოახდინა და ის „გამოხ-

ატვის“ სინონიმადაც მიიჩნია. მხატვრული გამოხატვა, სიმბოლური ჟესტები და რეკლამა ასევე ის სფეროა, რომელიც, სასამართლოს აზრით, პირველი შესწორებითაა დაცული.

თუკი დადგინდება, რომ ქმედება სიმბოლურად სიტყვის თავისუფლებას გამოხატავს, მის შინაარსს ან შეტყობინებას მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, აალებული დროშა სიტყვის თავისუფლების დაცვის სიმბოლური ფორმაა.[29] რაც შეეხება რეალურ შემთხვევებს, სიტყვის თავისუფლების სიმბოლური გამოხატვის კონტექსტი კონსტიტუციის თვალსაზრისით ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შინაარსი. კუ-კლუკს-კლანის აალებული ჯვარი შესაძლოა ცალკე კამათის სფეროა, თუმცა სიმბოლური გამოხატვის კონსტიტუციით დაცული ფორმაა.[30] სულ სხვა საკითხია ვიღაცის გაზონში აალებული ჯვარი.[31]

პრესის თავისუფლება. პრესის თავისუფლება უზრუნველყოფს ახალი ამბებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ხალხისათვის ანუ იცავს გამომცემლებს ყოველგვარი ოფიციალური ცენზურისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაზეთებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს უფლება აქვთ დაბეჭდონ ყველაფერი, რაც სურთ, მათ შორის, კრიტიკა და ბრალდებები ხელისუფლების მიმართ. იგივე ვრცელდება ელექტრონულ მედიაზე. მრავალფეროვანი და შეუზღუდავი მედია, სჯეროდათ დამფუძნებლებს, გადამწყვეტია თვითმმართველობისათვის, რადგანაც დემოკრატიის პირობებში, თითოეული მოქალაქე იღებს გადაწყვეტილებას (საარჩევნო კაბინში) და ხალხის მიერ არჩეულ თანამდებობის პირებსაც სჭირდებათ ვინმე (ან რამე), რომ პატიოსნება შეინარჩუნონ.

უზენაესმა სასამართლომაც დაასკვნა, რომ კონსტიტუციის თანახმად, პრესას არ შეუძლია ***წინასწარი შეზღუდვების*** დაუწესდეს. ეს კი ნიშნავს, რომ გარდა ომისა ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების სხვა შემთხვევებისა, ხელისუფლებას არ შეუძლია გაზეთს ან სხვა გამოცემას რაიმე სახის მასალის ბეჭდვა აუკრძალოს — მათ შორის დოკუმენტებისა, რომლებსაც ხელისუფლებამ საიდუმლო გრიფი მისცა ან ინფორმაციისა, რომლის გამოქვეყნებაც სასამართლო პროცესამდე დაუშვებელია და მოგვიანებით მოსამართლემ შესაძლოა ზიანის მომტანადაც მიიჩნიოს.[32]

რელიგიის თავისუფლება. სახელმწიფოს მიერ რელიგიის მხარდაჭერის აკრძალვით, პირველი შესწორება ხელისუფლებისგან მოითხოვს დაიცვას ნეიტრალიტეტი რელიგიურ საკითხებში — არც შეუწყოს ხელი და არც შეაფარხოს რომელიმე რელიგიის არსებობა. ეს მოთხოვნა ავსებს იმ პუნქტს, რომელიც მოქალაქეებს რელიგიის თავისუფლების გარანტიას აძლევს. ორივე პუნქტი ერთად უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეებმა შეძლონ გონივრულ ფარგლებში მათთვის სასურველ რელიგიას ემსახურონ მათთვის სასურველი ფორმით.

როდესაც რელიგიური მსახურება საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, ხელისუფლებას მისი აკრძალვა შეუძლია. მაგალითად, არც ერთი სასამართლო არ დაუჭერს მხარს რიტუალურ მკვლელობას იმ მიზეზით, რომ რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციითაა დაცული. არც ისეთი რელიგიური აქტებია კონსტიტუციით დაცული, რომლებიც რაიმე აშკარა საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას (მაგალითად, პოლიგამია).[33] თუმცა, სასამართლო გარკვეულ რელიგიურ თავისუფლებას მაინც ანიჭებს მოქალაქეებს, მაგალითად, რელიგიური მარწამსის საფუძველზე უარი თქვან სამხედრო მომზადებაზე, აზიელ ბავშვებს ათავისუფლებს განათლების მიღების

აუცილებლობისგან, აღიარებს იეღოვას მოწმეთა უფლებას, არ მოიყარონ მუხლი დროშის წინაშე (მათი რწმენის თანახმად ასეთი საქციელი კერპთაყვანისმცემლობად არის მიჩნეული).

ბევრად უფრო წინააღმდეგობრივია სასკოლო ლოცვის საკითხი. თავის მრავალრიცხოვან გადაწყვეტილებებში უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ ლოცვა, თუნდაც არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ გამოხატავდეს და ბიბლიის კითხვა საჯარო სკოლებში, ეწინააღმდეგება პირველი შესწორების პუნქტს რელიგიის შესახებ.[34] ასევე, სასულიერო პირებს არა აქვთ უფლება, გამოსაშვებ ცერემონიაზე ლოცვა წარმოთქვან.[35] უზენაესი სასამართლო უფრო შორსაც წავიდა და აუკრძალა მასწავლებლებს გამოაცხადონ „სიჩუმის დრო“, რომელიც შემდეგ ლოცვისათვის იქნება გამოყენებული.[36] იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სკოლების, მასწავლებლებისა და სასკოლო საბჭოების ფუნქციონირებას სახელმწიფო უზრუნველყოფს და მოსწავლეები საჯარო სკოლებში სახელმწიფო სავალდებულო განათლების შესახებ კანონის საფუძველზე ხვდებიან, სასამართლომ დაასკვნა, რომ საჯარო სკოლებში სასკოლო ლოცვის დაშვებით სახელმწიფო არაკონსტიტუციურად ახორციელებს რელიგიის მხარდაჭერას.

კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები უნდა შეიცვალოს. სასკოლო ლოცვა, მათი აზრით, რელიგიური ტრადიციების შენარჩუნებას უწყობს ხელს, რომელიც ქვეყანას კიდევ უფრო განადიდებს და ახალგაზრდების მორალურ დაცემას შეაჩერებს. სასამართლოს გადაწყვეტილების მომხრეები თავიანთი პოზიციის გასამართლებლად აცხადებენ, რომ ყოველდღიური ლოცვა და ბიბლიის კითხვა სკოლაში იმ მოსწავლეთა უფლებებს ზღუდავს, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ ან არც ერთ რელიგიურ აღმსარებლობას არ აღიარებენ. რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის ყველაზე საიმედო გზა რწმენის საკითხებში სახელმწიფოს ჩარევის მინიმუმამდე დაყვანაა.

რელიგიის შესახებ პუნქტს ხშირად მოიშველიებენ საჯარო დებატების დროს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან იმ მშობლების დახმარებას ეხება, რომელთა შვილებიც კერძო, განსაკუთრებით სასულიერო და რელიგიურ სკოლებში სწავლობენ. ამ შემთხვევაში ყველაზე ძლიერი არგუმენტი ის არის, რომ მშობლებს არჩევანის თავისუფლება ჰქონდეთ, რათა გადაწყვიტონ, რომელ სკოლაში წაიყვანონ შვილები. ყველა მშობელი, ყველა მოქალაქე იხდის გადასახადებს, საიდანაც საჯარო სკოლები ფინანსდება, თუმცა ზოგჯერ მათ ურჩევნიათ თავიანთი შვილები კერძო ან რელიგიურ სკოლაში გააგზავნონ რელიგიური, სოციალური ან საგანმანათლებლო მოსაზრებებით. მათ კერძო სკოლაში სწავლების გადასახადიც უნდა გადაიხადონ, ამიტომ ექსპერტები სვამენ კითხვას: უნდა დაეხმაროს თუ არა ხელისუფლება მშობლებს, რომლებსაც შვილები მსგავს სკოლებში შეჰყავთ მათთვის საგადასახადო შეღავათების თუ სხვა ფინანსური დახმარების გაწევის გზით. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სწორედ ამ მიზნით, ბოლო წლების განმავლობაში კონგრესში ვაუჩერული დაფინანსების სხვადასხვა სქემა იქნა შემუშავებული.

პირადი ცხოვრების ხელშეუხლობა

პირველი შესწორება ადამიანის რამდენიმე თავისუფლებას იცავს. თუმცა, არსებობს ადამიანის სხვა უფლებები, რომლებიც შესწორებით პირდაპირ არ არის დაცული (არც უფლებათა ბილის რომელიმე მუხლით).

ამ უფლებათა შორის უმთავრესია ე.წ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ანუ არჩევანის თავისუფლება, რომელიც ზოგადად გულისხმობს ზრდასრული მოქალაქეების უფლებას, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე გადაწყვიტონ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ქალებს აქვთ აბორტის ფუნდამენტური, თუმცა არა შეუზღუდავი უფლება. თავდაპირველად, უზენაესი სასამართლო განსაკუთრებით ზრუნავდა, რომ ამ უფლების შეუფერხებელი განხორციელება უზრუნველეყო. თუმცა, მოგვიანებით სასამართლო (უფრო კონსერვატიული შეხედულებების მქონე) ნაკლები ენთუზიაზმით უჭერდა მხარს ამ უფლების განხორციელებას, რაკი თვლიდა, რომ აბორტის უფლება არ ავალდებულებს საჯარო ფონდებს ხელმოკლე ქალებს აბორტის ხარჯები დაუფაროს. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხელისუფლება არ იყო ვალდებული მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო სექტორში დასაქმებული ექიმებისათვის ან დამხმარე პერსონალისთვის ხელფასი გადაეხადა.[37]

უზენაესი სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებებზე, რომელიც აბორტის უფლებას ეხებოდა, პროტესტი სიცოცხლის უფლების დამცველი ჯგუფებისგან მოდიოდა; ისინი აცხადებდნენ, რომ ადამიანის სიცოცხლე ჩასახვასთან ერთად იწყება და ამიტომაც აბორტის დაშვება მკვლელობის ლეგალიზაციის ტოლფასია. ადამიანის ემბრიონს, მათი აზრით, კონსტიტუციური უფლებები აქვს, მათ შორის სიცოცხლის უფლება, რომელიც იშვიათი შემთხვევების გარდა (როდესაც ბავშვის დაბადებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დედის სიცოცხლეს), გადაწონის დედის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. სიცოცხლის უფლების მხარდამჭერი მოძრაობა თავის პოზიციას საპროტესტო აქციებითა და ხშირად, კლინიკების ბლოკირებით გამოხატავდა. პროტესტის ასეთ ფორმებზე 1994 წელს სამართლებრივი შეზღუდვები დაწესდა. კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ქალებს საშუალებას აძლევდა, აბორტის მიზნით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიემართათ შესაბამისი კლინიკებისათვის, ხოლო საპროტესტო აქციების მონაწილეებს მათთვის ამ უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა აუკრძალა. იმავე წელს უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ თუ კლინიკებს აბორტის მოწინააღმდეგე აქტივისტების მიერ ბლოკირების შედეგად ეკონომიკური ზიანი მიადგებოდა, აქციის ორგანიზატორებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ „რეკეტიორთა და დანაშაულებრივი გაერთიანებების შესახებ“ (*RICO*) კანონის საფუძველზე.[38] თუმცა, როგორც სასამართლომ 1997 წელს დაადგინა, აღნიშნული შეზღუდვების დაწესების შემდეგ, აბორტიის წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა სიტყვისა და გამოხატვის უფლებაც კონსტიტუციურ დაცვას საჭიროებდა.[39]

უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლემ მხარი დაუჭირა თავისუფალი არჩევანის უფლებას და შემოგვთავაზა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ახალი კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია პიროვნების უფლებაზე – „თავად განსაზღვროს, რაში მდგომარეობს მისი არსებობისა და დანიშნულების, სამყაროს იდეა და ადამიანის ცხოვრების საიდუმლო“.[40] აღნიშნული ტერმინები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მათთვის, ვინც აცხადებდა, რომ არსებობს სიკვდილის უფლება და პაციენტებს, რომლებიც უკურნებელი სენით არიან დაავადებულნი ან აუტანელ ტკივილს განიცდიან, უნდა გააჩნდეთ კანონიერი უფლება სიცოცხლე დაასრულონ ექიმების დახმარებით. თუმცა, 1997 წელს, უზენაესმა სასამართლომ ერთხმად განაცხადა უარი ეცნო სიკვდილის კონსტიტუციური უფლება.[41]

სამართლიანობის უზრუნველყოფა

წინამდებარე თავში სამართლიანობა განხილული იქნება ვიწრო გაგებით, როგორც საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი, რომელიც სასამართლოებისა და მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების შედეგად მიიღწევა. ამ მოსაზრების თანახმად, სამართლიანი საზოგადოება ისაა, სადაც სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები სამართლიანობის პრინციპს ემსახურება და სასჯელი დანაშაულის შესაბამისია.

დანაშაული და სასჯელი

არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია თავის თავს მისცეს უფლება, დაუსჯელი დატოვოს საზოგადოებისათვის საშიში ან კრიმინალური საქციელი. იმ ადამიანების დასჯით, რომლებიც წესებს არღვევენ, საზოგადოება მკაფიოდ მიუთითებს, რომ ასეთი საქციელს არ შეეგუება. სასჯელის სიმკაცრე კი იმაზე მეტყველებს, რამდენად არასასურველია ესა თუ ის საქციელი. ანტისაზოგადოებრივი ქმედებისათვის განსაზღვრული სასჯელი ოთხ მიზანს ემსახურება. პირველი — საზოგადოება მეტადაა დაცული, თუ დამნაშავე ციხეში იმყოფება; მეორე — ერთი დამნაშავის დასჯამ შესაძლოა სხვებს იმავე დანაშაულის ჩადენა გადააფიქრებინოს (დანაშაულის პრევენცია); მესამე — სასჯელი კრიმინალების გამოსწორების უმთავრესი წინაპირობაა, რაც მათ საბოლოოდ საშუალებას აძლევს ნორმალურ და ნაყოფიერ ცხოვრებას დაუბრუნდნენ (დამნაშავის რეაბილიტაცია); ბოლოს, მეოთხე — სასჯელი ერთგვარი კომპენსაციაა უდანაშაულო მსხვერპლისათვის, რომელიც იმსახურებს, განიცადოს კმაყოფილება დასჯილი დამნაშავის ხილვით (***რეტრიბუცია — სანაცვლოს მიგება***).

მართლმსაჯულემა, რომელიც მართემული პროცედურა

არსებობს ძველი სამართლებრივი კლიშე, რომლის თანახმადაც სამართლიანობის 90 პროცენტი მართებული პროცედურის დამსახურებაა. პროცედურის დაცვის მექანიზმები იცავს უდანაშაულო ადამიანს დაუმსახურებელი ბრალდებისაგან, ხოლო ბრალდებულს — დაუმსახურებელი განაჩენისაგან. აღნიშნული მექანიზმები, რომლებიც ***მართებული სამართლის პროცესის (due process of law)*** სახელითაა ცნობილი, დეტალურადაა აღწერილი კონსტიტუციის უფლებათა ბილში, კერძოდ კონსტიტუციის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე შესწორებებში. კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქეს აქვთ კანონიერი უფლება, დაცული იყოს (1) უკანონო ჩხრეკისა და დაკავებისგან; (2) არავის არ შეიძლება ორჯერ მიესაჯოს სასჯელი ერთი და იმავე დანაშაულისათვის; (3) არავინ არის ვალდებული, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ; (4) ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს დაუყოვნებელი, საჯარო და მიუკერძოებელი სასამართლო პროცესი; (5) ჰქონდეს ინფორმაცია მის მიმართ წაყენებული ბრალის შესახებ; (6) დაუპირისპირდეს მოწმეებს, რომლებიც მის საწინააღმდეგო ჩვენებას აძლევენ; (7) მოითხოვოს თავისი მოწმეების დაკითხვა; (8) ჰყავდეს ადვოკატი.

რა თქმა უნდა, თითოეული ეს კონსტიტუციური უფლება შეიძლება გახდეს სასამართლოს ინტერპრეტაციის საგანი. ერთად ისინი ამერიკის სასამართლო სისტე-

მის საფუძველს ქმნის. აი, როგორია სამართლებრივი პროცედურა ერთ-ერთი მოქალაქის თვალით:

> როდესაც ადამიანი სასამართლოში მიჰყავთ და მას საზოგადოების წინაშე სერიოზული დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, მთლიანი სახელმწიფო მანქანა მოძრაობაში მოდის, რათა იგი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგეს. სახელმწიფო ბრალმდებელს ან პროკურორს ხელთ მთელი არმია ჰყავს, რომლებიც სრულ მზადყოფნაში არიან, რათა დანაშაულთან დაკავშირებით ყოველგვარი ინფორმაცია მოიპოვონ. მათ სახელმწიფო იმაში უხდის ანაზღაურებას, რომ უამრავი მოწმე დაკითხონ, ნივთმტკიცებები შეისწავლონ და ისეთი საქმე შექმნან, რომელიც ბრალდებულის დანაშაულს დაამტკიცებს. ამ უკანასკნელს კი ხელთ გაცილებით ნაკლები რესურსი აქვს. მოპასუხეს ძალიან უმართლებს, თუ მას საკმარისი შემოსავალი აქვს ადვოკატის ხარჯების დასაფარად. ცოტა თუ შეძლებს კერძო დეტექტივის დაქირავებას, რომელიც მთელ თავის დროს, უნარსა და რესურსებს მხოლოდ იქით მიმართავს, რომ ნივთმტკიცებები მოიძიოს და დაცვის სტრატეგია ააგოს. არც ერთ ინდივიდს არ ძალუძს სათანადოდ პასუხი გასცეს თანამედროვე სახელმწიფოს, როცა ეს უკანასკნელი მთელი ძალით ერთვება საქმეში მას შემდეგ, რაც პირს კანონდარღვევაში წაუყენებენ ბრალს.[42]

ამდენად, პროცედურული გარანტიები აუცილებელია, რათა მოპასუხე დაცული იყოს მართლმსაჯულების შეცდომებისგან.

სამართლებრივი დაცვის საზღვრები

ზემოთ მოყვანილი დაცვის მექანიზმების მიუხედავად, სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა ყოველთვის სამართლიანი არ არის. ხელმოკლე მოქალაქეები ყოველთვის გაცილებით დაბალი დონის სამართლებრივ დახმარებას იღებენ. ისტორიულად, ყველაზე დიდი უსამართლობანი რელიგიური უთანასწორობის შედეგი იყო. ასეთი შემთხვევების სიხშირით გამოირჩეოდა სამხრეთი, სადაც სასჯელის დაკისრება და მისი სიმკაცრე უმთავრესად რასობრივ საფუძველზე ხდებოდა. შავკანიან მამაკაცებს, რომელთაც ბრალად თეთრკანიან ქალებზე ძალადობა ედებოდა (ძირითადად უსამართლოდ), ჩვეულებისამებრ, სიკვდილით სჯიდნენ ან მთელ ცხოვრებას ციხეში ამყოფებდნენ, თეთრკანიანი მამაკაცებს კი შავკანიანი ქალების მიმართ ჩადენილი იმავე დანაშულისთვის პასუხს არავინ სთხოვდა.

ასეთი აშკარა უსამართლობის შემთხვევაში, სამართლებრივი პროცედურა სრულიად არაეფექტიანია. თუმცა, სისტემაში ასეთი ხარვეზების აღმოჩენა გაცილებით ადვილია, ვიდრე მათი აღმოფხვრა. სათანადო სამართლებრივი პროცედურით გათვალისწინებული თითქმის ყველა გარანტია გარკვეულ წინააღმდეგობას წარმოშობს. მაგალითად, კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ მოპასუხე პირს აქვს უფლება, ჰყავდეს ადვოკატი. ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელია.

მაგრამ თუ ბრალდებულს ადვოკატის დაქირავების საშულება არა აქვს? ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, რომ მძიმე დანაშულში ბრალდებული უმწეო მოქალაქე ადვოკატით უზრუნველყოს? თუ ადამიანს მხოლოდ მსუბუქი გადაცდომა აქვს ჩადენილი? რას იტყვით სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე?

უნდა უზრუნველყოს თუ არა სახელმწიფომ დაცვით მსჯავრდადებული ადამიანი, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სურს? და თუ უნდა უზრუნველყოს, მხოლოდ ერთჯერადად, თუ იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას მსჯავრდებული მოითხოვს?[43]

ბრალდებულის პროცედურული დაცვის საკითხები, როგორც შინაარსობრივად, ასევე პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, რთული და წინააღმდეგობრივია. თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ დაცვის მექანიზმები აუცილებელია, რათა სამართლის განხორციელება უზრუნველყოფილი იყოს. მაგრამ ასევე, ბევრს საუბრობენ იმაზეც, და საკმაოდ წარმატებითაც, რომ ეს უფლებები ფართოდ იქნეს გამოყენებული, რათა ეჭვმიტანილთათვის დაცვა ხელმისაწვდომი იყოს. თუმცა, სამართლებრივი დაცვის ამ მექანიზმებისათვის გარკვეული შეზღუდვებიც არსებობს. მათი გამოყენება ისე ფართოდ რომ მოხდეს, როგორც ეს თეორიულადაა შესაძლებელი, მათი ფულადი ღირებულება წარმოუდგენლად გაიზრდება ან საერთოდ შეუძლებელი გახდება ვინმეს დადანაშაულება, ან სასამართლო პროცესი ისე გაიწელება, რომ მართლმსაჯულების განხორციელება შეფერხდება და სულაც, შეუძლებელი გახდება. ამდენად, პროცედურული დაცვის მექანიზმები უნდა განისაზღვროს ეჭვმიტანილის უფლებების შეჯერებით ხელისუფლების ვალდებულებასთან, დასაჯოს ისინი, ვინც კანონს მართლაც არღვევს.

ომის პირობებში კონსტიტუციური გარანტიები და სათანადო სამართლებრივი პროცედურა იზღუდება იმ სახით, როგორითაც ის სხვა გარემოებებში მიუღებელი იქნებოდა. მაგალითად, სამოქალაქო ომის დროს პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა ე.წ. „ჰაბეას კორპუსის“ (*Habeas Corpus*) მოქმედება შეაჩერა. ამ მიზეზით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე როჯერ ტენი დაპირისპირებული აღმოჩნდა შეერთებული შტატების სამხედრო ძალებთან, მაგრამ იძულებული გახდა პოზიციები დაეთმო, როდესაც ცხადი გახდა, რომ უმაღლესი მთავარსარდალი გენერლების მხარეს იყო.

დავუბრუნდეთ 2001 წლის მოვლენებს. 11 სექტემბრის შოკისმომგვრელი მოვლენების შემდეგ, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომელსაც ზურგს ხალხის წარმოუდგენლად მაღალი მხარდაჭერა უმაგრებდა (დაახლოებით 9 - 1-თან შეფარდებით), თხოვნით მიმართა კონგრესს, მიეღო ახალი ვრცელი ანტიტერორისტული კანონი („პატრიოტის აქტის“ სახელწოდებით ცნობილი), რომელიც იუსტიციის დეპარტამენტს გამოძიების, დაკითხვის, ჩხრეკის, დაპატიმრების, დაკავებისა და თვალყურის დევნების (სატელეფონო მოსმენებისა და ელექტრონული ფოსტის მონიტორინგის) უპრეცედენტო უფლებას ანიჭებდა მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ქმედებები ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად იქნებოდა მიმართული. 175-გვერდიანმა კანონპროექტმა დაჩქარებული წესით გაიარა წარმომადგენელთა პალატა, რომლის უმრავლესობასაც რესპუბლიკელები შეადგენდნენ, მცირე ცვლილებები განიცადა დემოკრატების მიერ კონტროლირებად სენატში, სადაც მხოლოდ ერთმა მისცა ხმა მის წინააღმდეგ (სენატორი რასელ ფინგოლდი ვისკონსინის შტატიდან). პატრიოტის აქტის მასშტაბები, მისი მიღების ტემპები და მასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია მკაფიოდ მიუთითებს, რომ საზოგადოება თანახმაა (მოითხოვს კიდეც), რომ კრიზისის პირობებში თავისუფლება შეიზღუდოს და კანონმდებლებმა „სამეფოს გასაღები“ უფრო პოპულარულ უმაღლეს მთავარსარდალს გადასცენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყნებში უმრავლესობა პოლიციასა და უსაფრთხოების სამსახურს ჩვეულებრივ პირობებში გაცილებით ნაკლებ დაბრკოლებებს უქმნის, ვიდრე ეს აშშ-ში იქნებოდა მისაღები (იხ. ჩანართი).

ტერორიზმი და სამოქალაქო უფლებები: სადაც მაღანსი

სხვა ქვეყნების გამოცდილება

მაშინ, როდესაც კონგრესი ეძებს გზას, როგორ მიაღწიოს ბალანსს უსაფრთხოებასა და თავისუფლებას შორის, გონივრული იქნება მიმოხილვა იმისა, როგორ იქცევიან სხვა ქვეყნები. გეოგრაფიულად რაც უფრო ვშორდებით ანგლო-საქსურ მოდელს, უსაფრთხოების ზომები კიდევ უფრო მკაცრდება.

პრობლემებმა, რომელიც დიდ ბრიტანეთს ჩრდილოეთ ირლანდიაში შეექმნა, მის ხელისუფლებას დაპატიმრებისა და დაკავების ფართო უფლებები მისცა, თუმცა ამას ქვეყანაში სამოქალაქო უფლებების არსებობის ძველი ტრადიცია და ყოველ-გვარი პირადობის მოწმობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აბალანსებს. გერმანია განსაკუთრებით მკაცრია პოლიტიკური ექსტრემისტების მიმართ, მისი ნაცისტური წარსულისა და 1970-იან წლებში მემარცხენე ფრთის ტერორისტებთან ბრძოლის გამო, თუმცა, იგი ტოლერანტობას ამჟღავნებს სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ, როგორებიცაა ისლამისტი ფუნდამენტალისტები (მაგრამ არა საინტოლოგების მიმართ). გერმანელები ვალდებულნი არიან ატარონ პირადობის მოწმობები, თუმცა, მათი კანონმდებლობით სახელმწიფო დაწესებულებებს პირადი ინფორმაციის გაცემა მკაცრად აქვთ აკრძალული.

საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში ხელისუფლებას ბევრად მეტი უფლებამოსილება აქვს. თუ ვერ წარადგინეთ პირადობის მოწმობა ქუჩაში შემოწ-მებისას, შესაძლოა ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდეთ, მით უმეტეს, თუ უცხოელს ჰგავხართ. ჩვეულებრივი დამნაშავეების დევნის დრო-საც კი მოსამართლეებს პოლიციასთან ერთად საკმაოდ ფართო — სატელეფონო მოსმენების, ჩხრეკის, საბანკო ანგარიშების შემოწმებისა და განაჩენის გამო-ტანამდე ეჭვმიტანილთა ციხეში ჩასმის — უფლებები აქვს, მათ შორის, საფრან-გეთში ოთხ წლამდე ვადითაც კი. ფრანგი ჟურნალისტები, რომლებიც ტერორიზმსა და კორუფციის საკითხებზე მუშაობენ, პოლიციას არაერთხელ დაუკავებია. ესპა-ნეთის საიდუმლო სამსახური კი პოლიტოკოსებისა და თვით მეფის სატელეფონო მოსმენებსაც კი ახორციელებს.

იაპონიაში ეს ბალანსი მნიშვნელოვნადაა დარღვეული სამოქალაქო უფლე-ბების საზიანოდ — პოლიციას დაკავებისა და დაკითხვის ფართო უფლებები აქვს. შესაძლოა, სწორედ ამიტომაა, რომ სასამართლოს ბრალდებულთა მხოლოდ 1%-ისთვის გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. ადამიანები ვალდებულნი არიან ად-გილობრივ სახელმწიფო ორგანოებში დარეგისტრირდნენ (რომლებიც უკანასკნელ წლებამდე ქვეყანაში მყოფი ყველა უცხოელისგან თითის ანაბეჭდებს იღებდნენ). 1995 წლის აუმ სინრიკიოს რელიგიური სექტის მიერ ტოკიოს მეტროში ცრემლსადენი გაზის გაშვების შემდეგ ხელისუფლებას გაეზარდა ქონების ჩამორთმევის უფლება.

ამერიკის მსგავსად, სხვა ქვეყნების ხელისუფლებასაც მეტი ძალუფლება სურს. ბრიტანეთმა ადამიანის უფლებათა აქტს გადახედა. გერმანია სავარაუდოდ რელიგიურ ჯგუფებს სპეციალურ სტატუსს გაუუქმებს და პირადი ხელშეუხე-ბლობის შესახებ კანონსაც შეარბილებს. ესპანეთი და საფრანგეთი, სავარაუდოდ, ამ თვალსაზრისით უფრო შორს წავლენ. ცვლილებები ნაკლებად შეეხება იაპონიას: ამ ქვეყანაში შიდა უსაფრთხოების ისედაც უმკაცრესი წესები მოქმედებს.

წყარო: ადაპტირებულია *The Economist, October 20, 2001, 31.*

მტკიცებულების უარყოფის წესი. მართებული სამართლებრივი პროცედურის არც ერთი პუნქტი არ აღძრავს სამართლიანობის საკითხს ისე მკაფიოდ, როგორც ე.წ. ***მტკიცებულების უარყოფის წესი (დაუშვებელი მტკიცებულება)***. აღნიშნული წესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უკანონო გზით მოპოვებული არც ერთი მტკიცებულება არ შეიძლება წარედგინოს სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ, აღნიშნული წესის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კონსტიტუციის მეოთხე შესწორების შესაბამისად, უკანონო დაკავებისა და ჩხრეკის აკრძალვა აზრს დაკარგავდა, თუ პოლიციელებს არ ეცოდინებოდათ, რომ მათ მიერ არალეგალური ქმედებითა და კონსტიტუციის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები სასამართლოში გამოყენებული ვერ იქნებოდა.[44] მტკიცებულების უარყოფის წესი, სასამართლოს აზრით, პოლიციის მიერ ძალაუფლების შეგნებულად ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების უტყუარი საშუალებაა.

აღნიშნული წესის მოწინააღმდეგეები (მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებიც) თავინთი არგუმენტების წარმოდგენისას აცხადებენ, რომ ის სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, რომ ჩხრეკა და დაკავება სასამართლოს მიერ დადგენილი რთული მითითებების მიხედვით განახორციელონ.[45] მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია შესაძლებელი სახელმძღვანელოს პრინციპით ჩხრეკა ან დაკავება; უმეტესწილად, პოლიციის ოფიცრებს შემთხვევის ადგილებზე სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება უწევთ. პოლიციის ოფიცრები, რომლებიც საზოგადოების უსაფრთხოებას იცავენ, ხშირად თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ; მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისაგან განსხვავებით, ისინი საკუთარ თავს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში აუჩქარებლად გადაწყვეტილების მიღების უფლებას ვერ მისცემენ.

დაუშვებელი მტკიცებულების შესახებ დებატებს საფუძვლად უდევს აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა. აღნიშნული წესის მომხრეები სამართალდამცავ ოფიცრებს მოჭარბებული ენერგიის მქონე პიროვნებებად მიიჩნევენ, ხოლო მოწინააღმდეგეები მათ ბუნდოვანი და დამაბნეველი კანონების მსხვერპლად თვლიან. გარდა ამისა, ამ წესის მომხრეები მას სამართლიანობის უტყუარ გარანტად მიიჩნევენ, ხოლო მოწინააღმდეგეები — მართლმსაჯულების შემაფერხებელ გარემოებად. უზენაესი სასამართლო შეეცადა ორ საწინააღმდეგო მოსაზრებას შორის ერთგვარი ბალანსისათვის მიეღწია და დასაშვებად მიიჩნია არასწორი გზით მოპოვებული მტკიცებულებები იმ შემთხვევაში, როდესაც შეცდომა პოლიციის მიერ უნებლიედ იყო დაშვებული და მათ მართლაც სურდათ სამართლებრივი პროცედურის დაცვა.[46] ასეთი გამონაკლისები ბრალდებულის უფლებებსა და საზოგადოების უსაფრთხოებას შორის ბალანსის მიღწევას ისახავს მიზნად.

სასამართლო და სასჯელაღსრულების ადმინისტრირების დისკრეტული უფლებები. ბოლო დრომდე, სამართლის გაბატონებული თეორიის თანახმად, ბრალმდებლებს (რომელთა ფუნქციაა ბრალის წაყენება, საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ბრალის უარყოფა), მოსამართლეებსა (რომელთაც საეჭვო საქმეზე განაჩენის გამოტანა შეუძლიათ) და საპყრობილეთა სამეთვალყურეო საბჭოებს (რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას, რა დრო უნდა გაატაროს რეალურად ბრალდებულმა ციხეში) ფართო დისკრეტული უფლებამოსილება უნდა გააჩნდეთ. სასამართლო და ადმინისტრაციული დისკრეცია ამ სფეროში, უპირველეს ყოვლისა, იმით არის გამართლებული, რომ ხშირად ერთსა და იმავე დანაშაულში ეჭვმიტანილ

და ბრალდებულ პირებს განსხვავებული წარსული, მოტივაცია და დანაშაულისადმი დამოკიდებულება, ასევე რეაბილიტაციის განსხვავებული პერსპექტივა აქვთ და ა. შ. დისკრეციული ძალაუფლების საფუძველზე სასამართლოს მაგისტრატებს და სხვა ოფიციალურ პირებს ამგვარ გარემოებათა გათვალისწინება შეუძლიათ, როდესაც საქმე სახდელის დაწესებაზე ან სასჯელის სიმკაცრეზე მიდგება. ამგვარი დისკრეცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც დანაშაულის რიცხვი იზრდება, ხოლო ციხის საკნების რაოდენობა იგივე რჩება; ასეთ პირობებში მოსამართლეები არ ჩქარობენ, რომ დამნაშავეები, თუ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში არ არიან ბრალდებულნი, გაისტუმრონ გადავსებულ ციხეებში, სადაც პერსონალის ნაკლებობაა.

სასამართლო სისტემის ეს ასპექტი ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი იმ მიზეზით, რომ იგი შესაძლოა ბოროტად იქნეს გამოყენებული. კრიტიკოსების აზრით, ბრალმდებლები გადაწყვეტილებას მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და პირადი ნებასურვილის მიხედვით მიიღებენ, მოსამართლეები განაჩენს სამართლის მათთვის სასურველი თეორიების საფუძველზე გამოიტანენ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ჭკვიანი დამნაშავეები ადვილად გააცურებენ. სასამართლო სისტემის მსგავსი ხარვეზები, მათი აზრით, სასჯელს ზემოქმედებისა და იძულების ეფექტს უკარგავს. უფრო მეტიც, აცხადებენ რომ ამ შემთხვევაში დანაშაულში ბრალდებულთა სასჯელი უმეტესწილად ისეთ გარემომებებზეა დამოკიდებული, რომელიც ცოტა უჩვეულოა სამართლებრივი სისტემისათვის, მაგალითად, რომელი მოსამართლე რომელ საქმეს განიხილავს. მსგავსი არგუმენტების ძალამ ზოგიერთი შტატი აიძულა ისეთი სამართლებრივი რეფორმები გაეტარებინა, როგორიცაა საეჭვო საქმეებზე ისეთი განაჩენის გამოტანის შეზღუდვა ან აკრძალვა, რომელიც ზუსტად არაა განსაზღვრული.

სიკვდილით დასჯა. საჯარო დებატები სიკვდილით დასჯის მიზანშეწონილობის თაობაზე ორი სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. პრაქტიკული თვალსაზრისით, ექსპერტები ბევრს კამათობენ იმაზე, ახდენს თუ არა სასჯელის უმაღლესი ფორმა მკვლელობათა პრევენციას. თითოეული მხარის მიერ წარმოდგენილი მაგალითები იმდენად ფრაგმენტულია და ინტერპრეტაციები იმდენად მრავალფეროვანი, რომ რაიმე ცალსახა პასუხი არ არსებობს. მეორე მხრივ, ბევრად უფრო ცხარედ კამათობენ იმაზე, მორალურად რამდენად გამართლებულია სიკვდილით დასჯა.

საინტერესოა, რომ ორივე მხარე ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობაზე საუბრობს. სიკვდილით დასჯის მიმხრეები აცხადებენ, რომ მართლმსაჯულებას სასიკვდილო განაჩენი იმიტომაც გამოაქვს, რომ იგი ადამიანის სიცოცხლეს უმაღლეს მნიშვნელობას ანიჭებს — საზოგადოება მორალურად ვალდებულია, რომ უდანაშაულო ადამიანების მკვლელობას უმკაცრესი პასუხი გასცეს.

მიზანთა კონფლიქტი

ამერიკელთა უმეტესობას პოლიტიკის შესახებ მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი არ გააჩნია, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, როგორ უნდა იქნეს მიღწეული საჯარო სიკეთეები. საკმაოდ რთულია ამ თავში განხ-

ილული საჯარო პოლიტიკის ხუთი ძირითადი მიზნის - უსაფრთხოების, კეთილდღეობის, თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის - ბოლომდე გააზრება. როგორც ზემოთ დავინახეთ, თითოეული მიზნის განხილვისას წინააღმდეგობრივ და კომპლექსურ საკითხებს ვაწყდებით და საჯარო პოლიტიკის მიზნების მიღწევის გზები ყოველთვის ნათლად განსაზღვრული არ არის.

ხშირად, თავად ეს მიზნები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მაგალითად, სახელმწიფო იღვწის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, მაგრამ, ომის პირობებში, ეროვნული უსაფრთხოების სახელით თავადვე უზღუდავს თავის მოქალაქეებს ამ თავისუფლებას კომენდანტის საათის, შემოსავლების შემცირების, მუშაკთა მობილობის შეზღუდვის, საპროტესტო აქციების აკრძალვის და სხვა ანალოგიური ქმედებების განხორციელების გზით. ბუშის ადმინისტრაციის ინიცირებული და კონგრესის მიერ დაჩქარებული წესით მიღებული ანტიტერორისტული კანონი, რომელიც 11 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასა და პენტაგონზე თავდასხმის შედეგი იყო, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, როგორი კონკურენცია შეიძლება არსებობდეს სამოქალაქო თავისუფლებისა და ეროვნული უსაფრთხოების პრინციპებს შორის კრიზისის დროს. ზოგჯერ, მოსამართლე ზღუდავს პრესის თავისუფლებას, რათა გახმაურებელი საქმის განხილვისას ეჭვმიტანილის უფლებები დაიცვას. სამთავრობო ნორმატიულმა აქტებმა, რომლებიც თანასწორობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, შესაძლოა, დამქირავებელი დაავალდებულოს, რომ თავის თანამშრომლებს მინიმალური ხელფასი გადაუხადოს ან უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტი დაუწესოს, რითაც მატერიალური კეთილდღეობის მიღწევას გაართულებს. როდესაც საზოგადოება ხუთი მთავარ ღირებულებას (თავისუფლება, თანასწორობა, უსაფრთხოება, მატერიალური კეთილდღეობა და სამართლიანობა) აღიარებს, იგი მათ შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევაზე უნდა ზრუნავდეს და არ დაუშვას რომელიმე მათგანის უპირატესობა დანარჩენებზე.

როგორ უნდა შევაფასოთ, რამდენად წარმატებულია ხელისუფლება საჯარო პოლიტიკის აღნიშნული ხუთი მიზნის მიღწევის თვალსაზრისით? ალექსის დე ტოკვილმა თავის ნაშრომში "დემოკრატია ამერიკაში" გონივრულად დაასკვნა, რომ რაც უფრო თანასწორუფლებიანი არიან ადამიანები, მით უფრო თვალში საცემი ხდება ამ თანასწორობიდან მცირეოდენი გადახვევაც კი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო უახლოვდება პოლიტიკური სისტემა თანასწორობის სანუკვარ მიზანს, მით უფრო აშკარაა მისი მარცხი, როდესაც ის ამ მიზანს სრულად ვერ აღწევს. იგივე შეიძლება ითქვას საჯარო პოლიტიკის სხვა მიზნებზეც. რადგანაც ინტერესთა და მოთხოვნათა კონფლიქტი თითოეული მიზნის სრულ განხორციელებას უშლის ხელს, დემოკრატიის პირობებში ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ მოქალაქეები და ლიდერები ახლომხედველობით დაავადდებიან ან, კრიზისის პირობებში, ომის ისტერია ან ფსევდოპატრიოტიზმი შეიპყრობთ. პატრიოტიზმში ცუდი არაფერია, თუ ის არ გვიკარგავს რეალობის შეგრძნებას ან არ არღვევს ბალანსს უსაფრთხოებასა და თავისუფლებას შორის, რისიც პატრიოტიზმის გამოვლინების ოპონენტებს 2001 წელს ეშინოდათ.

ზომიერება, რასაც ძველი ბერძნები ოქროს შუალედს უწოდებდნენ, დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური სტაბილურობის გასაღებია. ზომიერება მოქალაქეებს შეუსაბამო პოლიტიკური მოლოდინისგან იცავს. ის ასევე აღკვეთს მცდელობას, რომ ერთი მიზანი მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან მიზანზე უარის თქმის ხარჯზე იქნეს მიღწეული. იმ ადამიანების ფანატიზმმა, რომლებიც ერთჯერად და მიუღწ-

ეველ მიზნებს ემსახურებიან, შესაძლოა გაამძაფროს დისკუსია საჯარო პოლიტიკის საკითხებზე. მძაფრმა ყვირილმა მათი მშვიდი ხმა ჩაახშოს, ვისაც სჯერა, რომ მოთმინებისა და ზომიერების გარეშე, დემოკრატია ვერ შეძლებს იმ ბალანსის მიღწევას, რომელიც სწორი მმართველობის ძირითადი არსია.

დასკვნა

საჯარო პოლიტიკის საკითხები მოიცავს დემოკრატიული ხელისუფლების ხუთ უნივერსალურ მიზანს: უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, თანასწორობას, თავისუფლებასა და სამართლიანობას. მათ შორის ყველაზე ფუნდამენტურია უსაფრთხოება, რადგანაც მის გარეშე სხვა ღირებულებების დაცვა ან შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. უსაფრთხოება გულისხმობს დაცვას მტრულად განწყობილი მოქალაქეებისაგან და გარკვეულ შემთხვევაში — მოქალაქეების დაცვას საკუთარი თავისგანაც კი.

შეერთებულ შტატებში, მატერიალური კეთილდღეობის ცნება ისტორიულად დაკავშირებულია თავისუფალ სამეწარმეო პრინციპზე დაფუძნებულ ეკონომიკასთან, რომელიც კომერციული რესპუბლიკის იდეას ემყარება. 21-ე საუკუნეში ხელისუფლება თავისი მოქალაქეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა პროგრამების განხორციელებით ცდილობს. ამ პროგრამებმა ცხარე დებატები გამოიწვია ხელისუფლების ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის საკითხებზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბიუჯეტო დეფიციტი გამწვავდა. საგანმანათლებლო სისიტემის ხარვეზები კი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ეკონომიკაში ამერიკის კონკურენტუნარიანობას. შემოსავლის განაწილება ამერიკაში საერთო სახელმწიფო დებატების კიდევ ერთი თემა გახდა.

თანასწორობისათვის ბრძოლა შეერთებულ შტატებში აღინიშნა მცდელობით, ბოლო მოღებოდა რასობრივ დისკრიმინაციას. უზენაეს სასამართლოში ორი გახმაურებული საქმის განხილვამ სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში, ხელი შეუწყო კანონებისა და საზოგადოებრივი აზრის შენარჩუნებას, რომელიც რასობრივი უთანასწორობის არსებულ სტერეოტიპს პასუხობდა. მოგვიანებით კი საქმემ — ბრაუნი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ (1954) — საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას სამოქალაქო უფლებებისათვის, რაც საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ზომების გატარებაში გამოიხატა და რასობრივი თანასწორობის ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. სამოქალაქო უფლებების საქმეს ახალი წინააღმდეგობა მოჰყვა მოსწავლეების სასკოლო ავტობუსებით სავალდებულო უზრუნველყოფისა და უპირატესი უფლებების მინიჭების საკითხებზე. თანასწორობის საკითხი საჯარო პოლიტიკის თვალსაზრისით ასევე მოიცავს ქალთა, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და უმწეოთა უფლებებს.

თავისუფლების უზრუნველყოფა ამერიკული საზოგადოების უმთავრესი ღირებულებაა. ინდივიდუალურ უფლებებს შორის, რომლებიც პირდაპირ არის დაცული კონსტიტუციის პირველი შესწორებით, არის სიტყვის, პრესის, რელიგიის თავისუფლება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, არჩევანის თავისუფლება პიროვნების თავისუფლების ასევე უმნიშვნელოვანესი ასპექტებია შეერთებულ შტატებში.

სამართლიანობის უზრუნველყოფა, ვიწრო გაგებით, შეიძლება განისაზღვროს, როგორც საჯარო ხელისუფლების მიზანი და მართლმსაჯულების სისტემის

თანაბარი და ეფექტიანი ფუნქციონირება. სამართლიანობის ტესტს სასამართლოები იმის მიხედვით აბარებენ, რამდენად მიუკერძოებლად ასრულებენ კანონს. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა ყველა საზოგადოებაში უზრუნველყოფს ანტისაზოგადოებრივი და დანაშაულებრივი საქციელის დასჯას. შეერთებულ შტატებში ეს სისტემა მართებული პროცესის და სამართლიანი პროცედურის პრინციპების ერთგულია. მართებული პროცესით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც კონსტიტუციაშია მოცემული და სასამართლოების მიერაა ინტერპრეტირებული, თანამედროვე საზოგადოებას გარკვეულ პრობლემებს უქმნის. წინააღმდეგობრივი ნორმა მტკიცებულების უარყოფის შესახებ, მიზნად ისახავს ბალანსის მიღწევას დანაშაულში ეჭვმიტანილისა და საზოგადოების წევრების უფლებებს შორის. ამავე მიზანს ემსახურება სასამართლო დისკრეციისა და უმაღლესი სასჯელის საკითხები.

კონფლიქტი აღნიშნულ ხუთ მიზანს შორის ხშირად აფერხებს თითოეული მათგანის სრულყოფილად განხორციელებას. სწორედ ამიტომ, საჯარო პოლიტიკაში თითოეული მიზნის მნიშვნელობის შეფასებისას, მოქალაქეებმა ზომიერება და საღი აზრი უნდა შეინარჩუნონ.

საკვანძო სიტყვები

ეროვნული უსაფრთხოება
ეროვნული ბრედის კანონი
შერეული ეკონომიკა
ბიუჯეტის დეფიციტი
ეროვნული ვალი
პოზიტიური ქმედებები
პირუკუ დისკრიმინაცია
წინასწარი შეზღუდვა
ანგარიშწორება (რეტრიბუცია)
მართებული სამართლებრივი პროცესი (due process of law)
მტიცებულების უარყოფის წესი (დაუშვებელი მტკიცებულება)

კითხვები გამეორებისათვის

1. რომელია პოლიტიკური თემები, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს შეიცავს?
2. რა სახის ეკონომიკური პრობლემები აქვს დღეს აშშ-ს?
3. შეადარეთ თანასწორობის იდეალი და რეალობა აშშ-ს ისტორიაში?
4. რატომაა თავისუფლება ღირებული? როგორაა იგი დაცული აშშ-ში?
5. რა საკითხები დგას ამერიკის სასამართლო სისტემის დღის წესრიგში? რატომაა ეს საკითხები მნიშვნელოვანი?
6. რა კავშირშია ერთმანეთთან საჯარო სიკეთე და ზომიერება?

შენიშვნები:

1. Aristotle, The Politics, რედ და მთარგმ. Ernest Braker (New York: Oxford University Press, 1962), 1252b, 5.

2. Daniel Patrick Moynihan, "Defining Deviance Down," American Scholar 62 (ზამთარი, 1993), 1.
3. James Q. Wilson, Thinking About Crime (New York: Basic Books, 1983), 234-240.
4. Martin Diamond, პირადი მიმოწერა.
5. იხ. Glenn Kessler-ის "The Lightened Federal Tax Load," Washington Post National Weekly Edition, 3 აპრილი 2000, 18.
6. "Don't Feel Alone If Tax Confusing: 50 Experts Differ over Family Return," Lincoln Star (AP Report), 18 Tebervali 1989, 2.
7. როგორც ტოკვილმა შენიშნა; იხ. Alexis de Tocqueville, Democracy in America, რედ და მთარგმ. J. P. Mayer (Garden City, N.Y.: Doubleday, 1966), 302, 459-468.
8. თუმცა სკოლებს შორის დიდი შეუსაბამობაა. იხ. Jonathan Kozol-ის Savage Inequalities: Children in America's Schools (New York: Crown, 1991).
9. რა თქმა უნდა, ასეთი პრობლემები ჩნდება პირველი შესწორების მუხლშიც - დებულება სახელმწიფო რელიგიის აკრძალვის შესახებ.
10. "Poverty in the U.S.: 2000," U.S. Census Bureau სექტემბერი 2001, 2.
11. Kevin Phillips, The Politics of Rich and Poor (New York: Random House, 1990), 2002.
12. Civil Rights Cases, 109 U.S. 3 (1883).
13. Plessy v. Ferguson, 163 U.S. 537 (1896).
14. Shelley v. Kraemer, 334 U.S. 1 (1948).
15. Sweatt v. Painter, 339 U.S. 629 (1950).
16. Brown v. Board of Education of Topeka, 347 U.S. 483 (1954).
17. მას მხარი დაუჭირეს, როგორც კონგრესის კანონიერ უფლებას, დაარეგულიროს ვაჭრობა უცხოურ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის; იხ. Heart of Atlanta Motel v. United States, 379 U.S. 241 (1964), და Katzenbach v. McClung, 379 U.S. 294 (1964).
18. იხ. Peter Schotten-ის "The Establishment Clause and Excessive Governmental - Religious Entanglement: The Constitutional Status of Aid to Non-Public and Secondary Schools," Wake Forest Law Review 15 (1979): 240-244.
19. Milliken v. Bradley, 418 U.S. 717 (1974).
20. Regents of the University of California v. Bakke, 438 U.S. 265 (1978).
21. არსებითად, უზენაესი სასამართლო ბაკის საქმეზე შორს წავიდა და მხარი დაუჭირა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ რასა არ შეიძლება იყოს სასწავლებელში (იურიდიულ ფაკულტეტზე) მიღების ფაქტორი.
22. Wygant v. Jackson Board of Education, 476 U.S. 267 (1986).
23. Johnson v. Transportation Agency, Santa Clara County, 480 U.S. 616 (1979).
24. Adarand Construction, Inc. v. Pena, 515 U.S. 200 (1995).
25. იხ. მაგალითად, United States v. Paradise, 480 U.S. 149 (1987); City of Richmond v. J. A. Croson Co., 488 U.S. 469 (1989); და Metro Broadcasting, Inc. v. Federal Communications Commission, 497 U.S. 547 (1990).
26. Rostker v. Goldberg, 453 U.S. 57 (1981).
27. Michael M. v. Superior Court, 450 U.S. 464 (1981).
28. Romer v. Evans, 116 S. Ct. 1620 (1996).
29. Texas v. Johnson, 491 U.S. 397 (1989).
30. Brandenberg v. Ohio, 395 U.S. 444 (1969).

31. ეს საკითხი გადაწყდა R.A.V. v. St. Paul, 505 U.S. 112 (1992). თვრამეტი წლის თეთრკანიანმა ბიჭმა სან პოლში, მინესოტა მეზობლად მცხოვრები შავკანიანთა ერთადერთი ოჯახის ეზოში ჯვარი დაწვა. ნაცვლად იმისა, რომ ის სხვისი სიმშვიდის დარღვევისა და სხვისი საკუთრებისათვის ზიანის მიყენების გამო დაეპატიმრებინათ, ის ადგილობრივი სასამართლოს დადგენილებით გაასამართლეს, რომლის მიხედვითად არაკანონიერად ითვლებოდა „კერძო თუ საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებულ მიწაზე სიმბოლოს, საგნის ან ნახატის მოთავსება, მათ შორის, აალებული ჯვრის ან ნაცისტური სვასტიკის, რომელიც შესაძლოა ბრაზის, განგაშის ან შეურაცხყოფის საფუძველი გამხდარიყო სხვა რასის, კანის ფერის, მსოფლმხედველობის, რელიგიისა თუ სქესის ადამიანებისათვის“. 1992 წელს უზენაეს სასამართლოზე გადაწყდა, რომ ეს დადგენილება ასეთი სახით არღვევდა „პირველ დამატებას“.
32. იხ. New York Times, Co. v. United States, 403 U.S. 713 (1971); და Nabraska Press Association v. Stuart, 427 U.S. 539 (1976).
33. Reynolds v. United States, 98 U.S. 145 (1879).
34. უმნიშვნელოვანესია Abington School District v. Schempp, 374 U.S. 203 (1963) და Engle v. Vitale, 370 U.S. 421 (1963).
35. Lee v. Wiesman, 505 U.S. 577 (1992).
36. Wallace v. Jaffree, 472 U.S. 38 (1985).
37. თავდაპირველი საქმე, რომელიც იცავდა ქალთა უფლებებს აბორტის თაობაზე არის Roe v. Wade, 410 U.S. 113 (1973). სხვა მნიშვნელოვან საქმეთა შორისაა არის Harris v. McRae, 448 U.S. 297 (1980); Webster v. Reproductive Health Services, 492 U.S. 490 (1989) და Rust v. Sullivan, 500 U.S. 173 (1991). იხ. ასევე Planned Parenthood of Southeast Pennsylvania v. Casey , 505 U.S. 833 (1992).
38. Schenck v. Pro Choice Network of Western New York, 117 S. Ct. 855 (1997).
39. N.O.W. v. Scheidler, 510 U.S. 249 (1994).
40. Planned Parenthood of Southeast Pennsylvania v. Casey 505 U.S. at 851 (1992).
41. Washington v. Glucksberg, 117 S. Ct. 82258 (1997).
42. Burton Leiser, Liberty Justice, and Morals: Contemporary Value Conflicts (New York: Macmillan, 1973), 192.
43. უზენაესი სასამართლოს პასუხის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საბჭოს ეფექტიანი დახმარება სააპელაციო სასამართლოს საშუალებით. იხ. Douglas v. California, 372 U.S. 353 (1963), და Ross v. Moffitt, 417 U.S. 600 (1974).
44. Mapp v. Ohio, 367 U.S. 643 (1961).
45. იხ. მაგალითად, Chief Justice Burger's dissent in Bivens v. Six Unknown Agents of the Federal Bureau of Narcotics, 403 U.S. 897 (1970).
46. United States v. Leon, 468 U.S. 897 (1984).
47. იხ. მაგალითად, *"The Battle in Congress," The Economist, 20 ოქტომბერი 2001, 31, 34.*



ნაწილი IV

პოლიტიკა ძალადობის გზით

თავი XIV რევოლუცია: სამართლიანობის სახელით

თავი XV ტერორიზმი: სუსტის იარაღი

თავი XVI ომი: პოლიტიკა სხვა საშუალებებით

თავი XIV

რევოლუცია

სამართლიანობის სახელით

რევოლუციის კვლავდაბრუნება
თანამედროვე რევოლუციები: ორი ტრადიცია

• ამერიკული რევოლუცია • ფრანგული რევოლუცია • ორი რევოლუციის შედარება

რევოლუციის სასურველობა: ბერკი, პეინი და ლოკი

• ბერკის პოზიცია • პეინის კრიტიკა • ლოკისეული პერსპექტივა

რევოლუციის მიზეზები

• ტრადიციული ახსნა • რევოლუციის სოციალური ფსიქოლოგია • რევოლუციის თანამედროვე თეორიები

ცოტა სიტყვა თუ გამოიყენება ისე ხშირად, როგორც სიტყვები *რევოლუცია* და *რევოლუციური*. ტელევიზორში ძალიან ხშირად არის რეკლამები ახალი „რევოლუციური“ საპარსი საცხის, საოჯახო ტექნიკისა ან ავტომობილების შესახებ, რომლებიც „რევოლუციას ახდენენ“. მაგრამ, კერძოდ რა გამოარჩევს რევოლუციას ან რევოლუციურ მთავრობას? თავისი არსით, სიტყვა *რევოლუციური* დიდ ცვლილებას აღნიშნავს. ამრიგად, ჭეშმარიტად რევოლუციური საპარსი საცხი, საოჯახო ტექნიკა ან ავტომობილი უნდა იყოს ფუნდამენტურად ახალი და უკეთესი პროდუქცია, ვიდრე აქამდე არსებული საპარსი საცხი, საოჯახო ტექნიკა ან ავტომობილები. სიტყვა *რევოლუცია* ხშირად იხმარება შემდეგი მნიშვნელობით: მაგალითად, ე. წ. სამრეწველო რევოლუციას ნიშნავს ძირეულ ცვლილებას წარმოების სტილში, რომელიც ცვლის ეროვნულ ეკონომიკასა და საზოგადოების სტრუქტურას.

პოლიტიკურ კონტექსტში, ***რევოლუცია*** არის ფენომენი, რომელსაც მოაქვს ფუნდამენტური ცვლილება არსებულ ხელისუფლებასა და საზოგადოებაში. ჩვეულებრივ, მას თან სდევს ძალადობა და კულტურული ძვრები. თუმცა, ყველანაირი პოლიტიკური ცვლილება არ არის რევოლუცია. თუ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოდის ლიდერთა ჯგუფი, რომელთა პოლიტიკა იმეორებს მათი წინამორბედების პოლიტიკას და ეს ცვლილება ქვეყანასა ან საზოგადოებაზე ნაკლებად აისახება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რევოლუცია არ მომხდარა და მის შედეგად შექმნილ მთავრობას არ შეიძლება ვუწოდოთ რევოლუციური.

რევოლუციის კვლავდაბრუნება

კაცობრიობის ისტორიაში რევოლუციები განსაკუთრებით მოსახლეობის სწრაფი მატებისა და სწრაფი ეკონომიკური ცვლილებების დროს ხდებოდა.[1] ძვ. წ. აღ. VII და VI საუკუნეებში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნებოდა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში, ძვ. წ. აღ. პირველ საუკუნეში — რომში, ისლამურ სამყაროში — ახ. წ. აღ. VIII საუკუნეში და ევროპაში, განსაკუთრებით 1500-1650 და 1750-1850 წლებში.

მეოცე საუკუნეში რევოლუცია უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე ადრე. გარკვეული თვალსაზრისით, რევოლუცია ეროვნული ძალადობის ტალღის ნაწილია, რომელმაც საკუთარი კვალი დააჩნია მეოცე საუკუნეს. ცნობილმა ჰარვარდელმა სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა 1930-იან წლებში ჩაატარა „შიდა არეულობის“ შთამბეჭდავი კვლევა 11 პოლიტიკურ საზოგადოებაში. მხოლოდ დასავლეთ ევროპაში მან შეძლო არანაკლებ 1622 ასეთი არეულობის იდენტიფიცირება პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, რომელთაგან სრული 70 პროცენტი „მოიცავდა მნიშვნელოვანი მასშტაბის ძალადობასა და სისხლის ღვრას.“[2] უფრო მეტიც, მან აღმოაჩინა, რომ ყოველ შესწავლილ ქვეყანაში ყოველ ხუთ შედარებით მშვიდობიან წელიწადზე მოდიოდა „მნიშვნელოვანი სოციალური არეულობის“ ერთი წელიწადი. საბოლოოდ, სოროკინმა დაასკვნა, რომ XX საუკუნე იყო ყველაზე სისხლიანი და მშფოთვარე საუკუნე ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ მან ეს დასკვნა გააკეთა მეორე მსოფლიო ომამდე.

შემდგომმა მოვლენებმა გაამყარა სოროკინის დასკვნა. მაგალითად, 1945-დან 1962 წლამდე პერიოდში, 100-დან დაახლოებით 40 განვითარებადი ქვეყანა გახდა სულ მცირე ერთი სამხედრო გადატრიალების მოწმე მაინც, ხოლო 1943 და 1962 წლებს შორის ლათინური ამერიკის ფაქტობრივად ყველა, აზიის ქვეყნების ორ მესამედში და

აფრიკის დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნების ნახევარში აღინიშნა არსებული მთავრობის დამხობის მცდელობა.[3] ნიუ იორკ თაიმსმა აღნიშნა, რომ 1946 და 1959 წლებში დაფიქსირდა „შიდა ომის“, მათ შორის „სამოქალაქო ომის, პარტიზანული ომის, ლოკალური აჯანყებების, ფართოდ გავრცელებული შფოთის, ორგანიზებული და სავარაუდოდ არაორგანიზებული ტერორიზმის, არეულობისა და სახელმწიფო გადატრიალებების“ 1200 შემთხვევა.[4] ახლანდელ დროში რევოლუციები, აჯანყებები და სამოქალაქო არეულობები არ შემცირებულა. თუ ორგანიზებული და არაორგანიზებული ძალადობა ყოველთვის იყო პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მეოცე საუკუნეში ის უკეთ ორგანიზებულიც და უფრო ხშირიც გახდა.

თუმცა, ყველა რევოლუცია არ არის ძალადობრივი. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში, 1989 წელს ქვეყნები ერთი მეორეს მიყოლებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კონტროლიდან და მათი უმეტესობა შებრუნდა საბაზრო ეკონომიკისა და საპარლამენტო დემოკრატიისაკენ. მცირე შემთხვევების, მაგალითად რუმინეთის, გარდა, ეს რევოლუციები ყველა ქვეყანაში მოხდა მინიმალური ძალადობით და სისხლისღვრით. ჩეხოსლოვაკიაში მას ხავერდოვანი რევოლუციაც კი უწოდეს, რადგანაც კომუნისტური დიქტატურიდან კონსტიტუციურ ხელისუფლებაზე გადასვლა რბილად განხორციელდა. დამოუკიდებელი ბალტიისპირეთის ქვეყნებში — ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში — ასევე სანიმუშოდ განხორციელდა მშვიდობიანი მასობრივი რევოლუცია. თითოეულ ამ შემთხვევაში, პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესი დიდი შფოთის, საკუთრების განადგურებისა და ადამიანთა მსხვერპლის გარეშე წარიმართა.

თანამედროვე რევოლუციები: ორი ტრადიცია

თანამედროვე რევოლუციის იდეას — რწმენას იმისა, რომ „ერს შეთანხმებული პოლიტიკური ბრძოლის საშუალებით შეუძლია ძირეულად შეცვალოს პოლიტიკური წესრიგი, რომელიც მართავდა მის ცხოვრებას და მასთან ერთად საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურას“ — შესაძლოა თვალი გავადევნოთ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან.[5] მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციას ზოგადად ხანგრძლივი ისტორია აქვს და სათავეს იღებს მონათა აჯანყებებიდან ანტიკურ ხანაში, თანამედროვე რევოლუციის გამორჩეული ნიშანია იდეა, რომ დაბალი კლასების მრისხანება არა უბრალოდ გაანადგურებს თავსმოხვეულ საზოგადოებრივ წესრიგს, არამედ „შექმნის ახალ და განსხვავებულ წესრიგს, რომელშიც ჩაგვრის ტრადიციული ფორმები აღარ იარსებებს.“[6] ამ მიზეზის გამო, ხშირად აღიარებენ, რომ თანამედროვე რევოლუციას, როგორც წესი, „ახასიათებს ემოციების მიერ წარმართული უტოპიური იდეები — მოლოდინი იმისა, რომ საზოგადოება წინ მიიწევს როგორც ღირებულებებისა და სტრუქტურების ღრმა ცვლილებების, ასევე პირადი ქცევების ცვლილებებისაკენ.“[7]

თანამედროვე რევოლუცია და მისი თანმხლები სურვილი, ჩამოყალიბდეს ახალი, სამართლიანი საზოგადოებრივი წესრიგი, ჩვეულებრივ, სათავეს იღებს 1789 წლის ***საფრანგეთის რევოლუციიდან***. ***ამერიკული რევოლუცია***, დაწყებული 1776 წელს, გვთავაზობს თანამედროვე რევოლუციის ალტერნატიულ, თუმცა ნაკლებად გავრცელებულ მოდელს. ამერიკულმა და ფრანგულმა რევოლუციებმა, რომლებიც თანამედროვე ეპოქის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენებია, გავლენა

მოახდინეს მომავალი თაობების ბედზე. ორივე რევოლუცია იბრძოდა ღრმად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებებისათვის, რომლებსაც წარმართავდა ახალი ტიპის პოლიტიკური წესრიგის ხედვა.

თუმცა, ეს ორი რევოლუცია ერთმანეთისგან დრამატულად განსხვავდებოდა ბევრ ასპექტში. როგორც ერთი შორსმჭვრეტელი მკვლევარი ამტკიცებს:

> „ჭეშმარიტად უდავოა, რომ სამყარო, როდესაც ის თვალს ადევნებს 1776 წლის და შემდგომ მოვლენებს, მიდრეკილია დაინახოს ამერიკული რევოლუცია საფრანგეთის რევოლუციად, რომელსაც წარმატება არ ჰქონია. იმავდროულად, დამფუძნებელი მამები ფიქრობდნენ, რომ მათ ჰქონდათ საბაბი, შეეფასებინათ საფრანგეთის რევოლუცია ამერიკის რევოლუციად, რომელიც დამარცხდა. ჭეშმარიტად, ამ ორი რევოლუციის განსხვავებული შეფასებები დამოკიდებულია ცალკეული პიროვნებების პოლიტიკურ ფილოსოფიაზე თანამედროვე მსოფლიოში: არსებობს პოლიტიკის ორი კონფლიქტური კონცეფცია ადამიანების მდგომარეობასთან მიმართებაში, რომელიც სიმბოლიზებულია ამ ორი რევოლუციით. უდავოა, რომ საფრანგეთის რევოლუცია, საკვანძო მნიშვნელობით, უფრო „თანამედროვეა“ ამ ორი რევოლუციის შორის. სხვა საკითხია, ეს კარგია, თუ ცუდი.“ [8]

ამერიკის რევოლუცია

უდავოა, რომ დამფუძნებელი მამები ამერიკის დამოუკიდებლობისათვის მეფე ჯორჯ III წინააღმდეგ წარმოებულ ომს ლეგიტიმურ რევოლუციად განიხილავდნენ. დაიწყეს რა ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ 1770-იან წლებში, ამერიკელი კოლონისტები გახდნენ თანამედროვე მსოფლიოში პირველი წარმატებული ანტიკოლონიური რევოლუციის წამომწყებნი. კოლონისტთა ურთიერთობის გაწყვეტა დიდ ბრიტანეთთან დროთა განმავლობაში სრული და შეუქცევადი გახდა. ამ მიზეზის გამო, მართებული იქნება ვთქვათ, რომ ამერიკის ***რევოლუციურმა ომმა*** შექნა მოდელი იმისა, რაც შემდგომში ცნობილი გახდა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები. თუმცა, ამერიკის რევოლუცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა XX საუკუნის თითქმის ყველა რევოლუციური აჯანყებისგან.

ისტორიული მნიშვნელობა. ამერიკის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის გასაგებად, პირველ რიგში უნდა გავეცნოთ მისი ლიდერების პოლიტიკურ შეხედულებებს. აღსანიშნავია, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ამერიკელი აღიქვამდა რევოლუციურ ომს, როგორც განსაკუთრებულ, უნიკალურ გამოცდილებას. ერთი სპეციალისტის მიხედვით:

> „დასაწყისიდანვე, ატლანტიკის დასავლეთ სანაპიროზე მის [რევოლუციის] მონაწილეებს სწამდათ, რომ ეს იყო მეტად შესანიშნავი მოვლენა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო მათი რევოლუცია, არამედ იმიტომ, რომ მათ მიაჩნდათ, რომ მას მოსდევდა ახალი ფაზა კაცობრიობის პოლიტიკურ განვითარებაში და ამდენად უნივერსალური მნიშვნელობა ჰქონდა.“ [9]

თანამედროვე პოლიტიკურ ტრაქტატებთან ერთად, დამფუძნებელი მამები კარგად იცნობდნენ მსოფლიო ისტორიას და დიდი პოლიტიკური ფილოსოფოსების, მათ შორის მონტესკიეს, ლოკის, რუსოს, იუმისა და ვოლტერის შრომებს.[10] იცნობდნენ რა კლასიკურ პოლიტიკურ აზრს, მათ არ ჰქონდათ მიდრეკილება, გადაჭარბებით შეეფასებინათ პოლიტიკისადმი ახალ ან ექსპერიმენტულ მიდგომათა ღირებულება.

1776 წლის რევოლუციის მონაწილეებს სწამდათ, რომ განცალკევებას, რომელსაც ისინი მოითხოვდნენ, ჰქონდა უნივერსალური მნიშვნელობა და დამოუკიდებლობის დეკლარაციაში დაცული თავისუფლების ენა იყო ამ მნიშვნელობის მარადიული გამოხატულება. სხვა სიტყვებით, დამფუძნებლები მოიაზრებდნენ მჭიდრო კავშირს მათ ნათქვამ სიტყვებს („ჭეშმარიტებებს“) და ქმედებებს შორის.[11] ამრიგად, რომ გავიგოთ, რა იყო ჭეშმარიტად რევოლუციური ამერიკის რევოლუციაში, აუცილებელია პირველ რიგში ფოკუსირება მოვახდინოთ იმაზე, რას წერდნენ ამერიკელი რევოლუციონერები ხელისუფლებაზე, ხოლო შემდეგ დავაკვირდეთ მათ მოქმედებებს.

გამართლება. ამერიკის რევოლუციური კრედოს ყველაზე აშკარა გამოხატულება შეიძლება ვიპოვოთ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. დიდი ბრიტანეთისგან გამოყოფის შესახებ განცხადებასთან ერთად, დეკლარაცია მის მიზეზებსაც ასახელებდა.

დეკლარაცია ამტკიცებდა, რომ ბრიტანულმა ხელისუფლებამ სავალალოდ დაარღვია კარგი მმართველობის პრინციპები. მიჰყვებოდა რა ჯონ ლოკის გზას, თომას ჯეფერსონი (მთავარი ავტორი) ამტკიცებდა, რომ ეს პრინციპები ორი სახის იყო: ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს უმრავლესობის ნების შესაბამისად (დეკლარაციის ზუსტი ენით რომ ვთქვათ, ასეთი ხელისუფლება უნდა დაფუძნებული იყოს „მართულთა თანხმობაზე“) და უნდა იცავდეს ინდივიდის „სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის“ ხელშეუხებელ უფლებებს. ეს პრინციპები, ჯეფერსონის აზრით, იყო ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა შეფასებულიყო ყველა ეპოქისა და ქვეყნის მთავრობის ლეგიტიმურობის ხარისხი. სხვა სიტყვებით, კარგი (ანუ ლეგიტიმური) ხელისუფლების ძალაუფლება გამომდინარეობს მართულთა თანხმობიდან და ასეთი ხელისუფლება მოქმედებს თითოეული მოქალაქის ხელშეუხებელი უფლებების დასაცავად.

განიხილავდა რა ადამიანის უფლებებს კარგი ხელისუფლების ფილოსოფიურ საფუძვლად, დამოუკიდებლობის დეკლარაცია მნიშვნელოვნად განუდგა წარსულ გამოცდილებას და მის თანამედროვე პრაქტიკას. უწინ, ხელისუფლებები არსებობდნენ, რათა უზრუნველეყოთ წესრიგი, შეექმნათ იმპერიები, დაესაჯათ ურწმუნოები და ძალით შეენარჩუნებინათ მორჩილება. ახლა, პირველად ისტორიაში, პოლიტიკური რეჟიმი საკუთარ თავს ღიად უძღვნიდა ადამიანების უფლებების და თავისუფლებების დაცვის პრინციპების სამსახურს.

დეკლარაციის პრინციპებიდან გამომდინარეობდა, რომ ხელისუფლებამ, რომელიც ნაცვლად დაცვისა, თანმიმდევრულად ლახავდა ამ უფლებებს, დაკარგა მართვის უფლება. კოლონისტებმა დეკლარაციაში შეიტანეს ეს დასკვნა, კოლონისტებმა განაგრძეს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მათ სურდათ მხოლოდ ბრიტანეთის ქვეშევრდომთა თანაბარი სტატუსი, დამოუკიდებლობის დეკლარაცის შექმნის შემდეგ ისინი არაფერზე იყვნენ თანახმა, გარდა სრული თვითმმართველობისა. მათ სურდათ

შეექმნათ არა უბრალოდ ნებისმიერი სახის ხელისუფლება, არამედ სწორედ ისეთი ხელისუფლება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა დეკლარაციის პრინციპებთან. მათ სწამდათ, რომ ეს ჭეშმარიტებები გამოსადეგი იყო ცამეტი კოლონიის ფარგლებს გარეთაც. ჯეფერსონმა განმარტა მის მიერ შექმნილი დოკუმენტის მარადიული სიტყვების *უნივერსალური* მნიშვნელობა:

> „დაე ეს იყოს, და მე მჯერა რომ იქნება (ზოგიერთისთვის უფრო ადრე, ზოგისთვის უფრო გვიან, მაგრამ საბოლოოდ ყველასთვის) ნიშანი, რათა ადამიანები აღდგნენ და გაწყვიტონ ჯაჭვი, რომელთა ქვეშაც ცრუ ბერებისეულმა უმეცრებამ და ცრურწმენებმა დაარწმუნა ისინი, რომ შეეკრათ ხელ-ფეხი, და გააცნობიერონ თვითმმართველობის მადლი და უსაფრთხოება.“[12]

სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. ჯეფერსონის გრძნობები გადმოცემული იყო მისი ან ნებისმიერი სხვა დროის საუკეთესო რევოლუციური რიტორიკის მსგავსად. კერძოდ, იგი უხმობდა მოქალაქეებს, ებრძოლათ და შესწირვოდნენ დიად მიზანს. თუმცა, მაინც შეცდომა იქნებოდა განგვეხილა ამერიკის რევოლუცია მხოლოდ იმ ბრძოლის კონტექსტში, რომელიც მას მოჰყვა. იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა გააფთრებული ისტორიული ბრძოლები, ხდებოდა დიადი სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური ცვლილებები. შემზღუდველი მემკვიდრეობითი კანონები, როგორიცაა უფროსი ვაჟის უფლება მემკვიდრეობაზე (მაიორატი) გაუქმდა; ბრიტანული დიდი საკუთრებები გადანაწილდა უფრო მცირე ჰოლდინგებზე; მიწაზე დასახლების სამეფო შეზღუდვები გაუქმდა; გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რელიგიური თანასწორობისა და სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების დასაცავად; ძველმა ოჯახებმა დაკარგეს ძალაუფლება; მათ ადგილებს „იკავებდნენ ახალი ლიდერები ახალგაზრდებიდან, უბრალო ხალხიდან და საშუალო კლასებიდან“.[13]

ასევე მოხდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები, რამდენადაც თითოეულმა კოლონიამ შექმნა თავისი კონსტიტუცია. ომის ქარ-ცეცხლში შექმნილმა ამ კონსტიტუციებმა შეინარჩუნა ადრე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემები (განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების კუთხით). ამავდროულად, ისინი იცავდნენ ინდივიდუალურ თავისუფლებებს. ამ დოკუმენტებში შესული ცნებები და პრინციპები შემდგომში აისახა კონფედერაციის მუხლებში და საბოლოოდ, შეერთებული შტატების კონსტიტუციაში. კანონის უზენაესობის, ანუ კანონიერებისა და პროცედურული კორექტულობის უზენაესობის მნიშვნელობა, არ შეიძლება გადაფასებულ იქნეს.

მან, რასაც შესაძლოა ვუწოდოთ კონსტიტუციური პროცესი, თავის კულმინაციას მიაღწია ხალხის მიერ არჩეული მთავრობის ანუ უმრავლესობის მთავრობის შექმნით, იმ დროს, როდესაც ევროპის ხალხები უმეტესწილად კვლავ არისტოკრატიული ან მონარქიული ბატონობის ქვეშ იყვნენ. უფრო მეტიც, კოლონისტების მყარი ზრუნვა კონსტიტუციურობაზე გადამწყვეტი იყო იმ შეთქმულებებისა და ინტრიგების თავიდან არიდებისას, რომელთაც შეეძლოთ გაეთიშათ ახალი ერი მრავალ მოქიშპე პოლიტიკურ ერთეულად.

ზომიერი რევოლუცია. ამერიკის რევოლუციურ ბრძოლებში გამოჩენილი ზომიერება რეტროსპექტივაში მართლაც აღსანიშნია (იმდენად, რომ ზოგიერთი პოლიტოლოგი

არც კი ახდენს მის კლასიფიცირებას რევოლუციად). ამ კონფლიქტს ახასიათებდა „სხვა რევოლუციებთან შედარებით ძალადობის იშვიათი სიმცირე“.[14]

უფრო გვიანდელ რევოლუციურ კონფლიქტებთან შედარებით (როგორიცაა საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციები და ესპანეთის სამოქალაქო ომი), სამოქალაქო დაპირისპირება აჯანყებულებსა და ლოიალურად განწყობილებს შორის დიდი არ იყო. არც ამერიკული რევოლუციის ლიდერები ყოფილან როდისმე რეპრესირებულნი ან სიკვდილით დასჯილნი, რასაც ვერ ასცდა შემდგომი რევოლუციების ბევრი წამომწყები. „მთავარსარდალი (ვაშინგტონი) გახდა რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და დატოვა პოსტი საკუთარი ნებით; რევოლუციური მანიფესტის ავტორი (ჯეფერსონი) იყო მისი პირველი სახელმწიფო მდივანი.“[15]

რამ განაპირობა ამ რევოლუციის უნიკალურობა მოწესრიგებულობის მხრივ? ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ კოლონიათა ლიდერებმა რევოლუციის შესახებ ლოკისეული მიდგომა შეუხამეს რეალისტურ, მიღწევად პოლიტიკურ მიზნებს. ლოკისეულ მიდგომაში, რომელსაც მოგვიანებით მივუბრუნდებით, ვგულისხმობთ, რომ მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, დამფუძნებლებს რევოლუცია მიაჩნდათ გარდაუვალ ბოროტებად. ის იყო გარდაუვალი, რადგანაც მათ არ იცოდნენ დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების არავითარი სხვა გზა, მაგრამ ის მაინც იყო ბოროტება, რამდენადაც იწვევდა ტანჯვას, სისხლისღვრასა და გაუკაცრიელებას. ამერიკული რევოლუცია რჩება უნიკალურად სწორედ იმიტომ, რომ მას სათავეში არ ედგნენ ფანატიკოსები, რომლებიც აღიარებდნენ ხისტ იდეოლოგიას, ან ისინი, ვინც ფიქრობდა, რომ ყველა გზა გამართლებულია მათი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამის საპირისპიროდ, მისი ლიდერები იყვნენ შორსმჭვრეტელი პიროვნებები, რომლებიც მუდმივად ეკითხებოდნენ საკუთარ თავს (და ერთმანეთს), რამდენად მართებული იყო ის, რასაც ისინი აკეთებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის ლიდერთა მხრიდან ენთუზიაზმის ნაკლებობა არ ყოფილა, „ეს ენთუზიაზმი გაწონასწორებული იყო ეჭვით, თვითკრიტიკით, ზრუნვითა და სკეპტიციზმით“.[16] მოკლედ, ამერიკული რევოლუციის სიკეთე თავისთავად არ მოსულა.

ეს გაწონასწორებული რევოლუციური ღირებულებები ემსახურებოდა გონივრულ და ნათელ მიზნებს. არსებითად ის, რაც კოლონიათა ლიდერებს სურდათ რევოლუციისგან, იყო ინგლისისგან განცალკევება და მმართველობის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა თანხმობასა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემაზე. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს პოლიტიკური ხედვა ადამიანთა შესაძლებლობების ფარგლებში ჯდებოდა. რევოლუციური ომი თავისთავად შორს იდგა აუხდენელი ოცნებისგან, რაც საბოლოოდ საკმაოდ ნათლად დაადასტურა ამერიკულმა გამარჯვებამ. რევოლუციური კონფლიქტის განვითარებასთან ერთად, თვითმმართველობისა და მოქალაქეთა უფლებების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრინციპები კოლონიებში ვითარდებოდა როგორც შტატების, ასევე ქალაქების დონეზე. მომდევნო პერიოდის რევოლუციონერებისგან განსხვავებით, კოლონიათა ლიდერები არ ცდილობდნენ დაუყოვნებლივ დაეფუძნებინათ რაიმე რადიკალურად ახალი და განსხვავებული. რაკი აცნობიერებდნენ საფრთხეებს, რომლებსაც შეიცავდა დონ კიხოტური და უტოპიური იდეალიზმი, მათ იცოდნენ, რომ „აუხდენელი ოცნებებისკენ პოლიტიკური სწრაფვა იწვევს ტერორს და ტირანიას შეუძლებლის მიღწევის განწირულ მცდელობაში.“[17]

ამერიკულ რევოლუციას არ ახასიათებდა ამგვარი ტერორი და ტირანია, რადგანაც, ერთ-ერთი სპეციალისტის სიტყვებით, ის იყო „გონივრული მოლოდინების რევოლუ-

ცია“.[18] სიფხიზლე, ზომიერება და სიფრთხილე იყო ამ რევოლუციის ნიშანი და შემდგომში კონსტიტუციის მიერ კურთხეული „კარგად მოწყობილი კავშირის“ მთავარი მახასიათებელი.

საფრანგეთის რევოლუცია

საფრანგეთის რევოლუცია საკმაოდ განსხვავებული იყო. წლების განმავლობაში საფრანგეთი განიცდიდა მზარდ პოლიტიკურ არასტაბილურობას და ხალხის უკმაყოფილებას. არისტოკრატია ესწრაფოდა შეენარჩუნებინათ მკვეთრი კლასობრივი განსხვავებები, რომლებიც ახასიათებდა ფრანგულ საზოგადოებას და ამიტომ მუდმივად უშლიდა ხელს ეკონომიკური და საზოგადოებრივი რეფორმების მცდელობებს. უფრო მეტიც, მთავრობა ამჟღავნებდა აშკარა უუნარობას, გამკლავებოდა ცვალებად გარემოებებს. თვით უნარიან და განათლებულ მონარქსაც კი, და ასეთი არ იყო ლუი XVI (1774-1792), გაუჭირდებოდა გამკლავებოდა დაქსაქსული და ძნელად კოორდინირებადი სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგობას. ამას გარდა, 1780-იან წლებში მთავრობის წინაშე გადასახადების გაზრდის სირთულეები იდგა, რაც გამოწვეული იყო წინა ომის შედეგად წარმოქმნილი ვალებით. ამასთანავე, ხელისუფლებისათვის შეუფერებელ დროს ხდებოდა ეკონომიკური ცვლილებებიც. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა ვითარდებოდა, შედეგი ძალზე არათანაბრად იყო გადანაწილებული. განსაკუთრებით მძიმე იყო ქალაქელი ღარიბებისა და გლეხების მდგომარეობა, რომელთაგან მრავალი პირველადი მოხმარების ნივთების უკმარისობას უფრო ხედავდა, ვიდრე მდგრადი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას.

1789 წლისთვის უთანხმოების მორევი განხეთქილების ზღვად იქცა. რეფორმატორები საშუალო და მაღალი კლასებისგან მოითხოვდნენ როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ცვლილებებს. ყველაზე უფრო ზომიერი მოთხოვნები შეიცავდა კლასობრივი პრივილეგიების შეზღუდვას და საგადასახადო სისტემის რეფორმას. ზოგიერთ ლიდერს სურდა უფრო რადიკალური ცვლილებები, მათ შორის სახალხო სუვერენიტეტზე დაფუძნებული პოლიტიკური წესრიგის შექმნა.

ყველა ეს მოთხოვნა წამოაყენეს 1789 წლის მაისის ***გენერალური შტატების*** — ახლადარჩეული გიგანტური პარლამენტის შეხვედრაზე, რომელიც საარჩევნო ხმის მქონე მამაკაცთა მიერ იყო არჩეული და იყოფოდა სამ წოდებად: სასულიერო პირებად, არისტოკრატიად და უბრალო ხალხად. მნიშვნელოვანი დებატების შემდეგ (რაც კარგი დასაწყისია არეულობისათვის), დელეგატების უმრავლესობამ, რომელთაც სათავეში ედგა რაოდენობრივად მეტი მესამე წოდების წარმომადგენელი (უბრალო ხალხი), ჩამოაყალიბა ეროვნული კრება. გარდა უფლებისა, დაეწესებინა ან გაეუქმებინა ნებისმიერი გადასახადი, ამ ორგანოს წევრები ითხოვდნენ არისტოკრატიული პრივილეგიების გაუქმებას.

ეს ქმედებები პირდაპირ უტევდა მონარქიას. ლუი XVI-მ ამას მისგან მოსალოდნელი არაადეკვატურობით უპასუხა — გამოიყენა ძალა, რითაც განარისხა საკუთარი ოპონენტები. როდესაც მან უბრძანა საკუთარ ძალებს, აეკრძალათ შეკრებები ეროვნული კრებისთვის, დელეგატებმა მალევე შეაკეთეს ახლომდებარე ჩოგბურთის დარბაზი და გადაწყვიტეს იქ შეკრებილიყვნენ სისტემატურად, სანამ არ მიაღწევდნენ კონსტიტუციის მიღებას. მეფე ერთგვარად ორჭოფობდა და რამდენიმე დღის შემდეგ დათმობებზე წავიდა საადასახადო რეფორმის სფეროში, მაგრამ უარი თქვა

გაეუქმებინა არისტოკრატიის პრივილეგიები. იმავდროულად, მან განალაგა შეიარაღებული ძალები სტრატეგიულ პოზიციებზე. თუმცა, არც ერთი ეს ღონისძიება ადეკვატური არ აღმოჩნდა და არც ძალით დამუქრება გამოდგა თანმიმდევრული. ამას მალევე მოჰყვა ძალადობის სპორადული აფეთქებები, რომელთა შორის იყო ***ბასტილიის*** შტურმით აღება და როდესაც მეფის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებები საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან წესად იქცა, ლუი XVI იძულებული გახდა დათანხმებოდა კონსტიტუციის მიღების მოთხოვნებს.

ახალი კონსტიტუცია. ორ წელიწადში, რომელიც 1791 წლის კონსტიტუციის მიღებას დასჭირდა, ქვეყანას ეგალიტარულმა სულმა გადაუარა. გაუქმდა არისტოკრატიული პრივილეგიები და ეკლესიის მიწების კონფისკაცია მოხდა. ფუნდამენტური მნიშვნელობის პოლიტიკურმა დოკუმენტმა — ***ადამიანის უფლებათა დეკლარაციამ,*** განადიდა ლოზუნგი, რომელმაც განასახიერა იმ დროის ეგალიტალური სულისკვეთება: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. ახალმა კონსტიტუციამ დააფუძნა კონსტიტუციური მონარქია. ლუი XVI-ს აღარ შეეძლო ღვთიურ უფლებებს დაყრდნობოდა და ავტოკრატულად ემართა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია მეფეს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად აღიარებდა და აკისრებდა პასუხისმგებლობას საგარეო საკითხებში, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციათა უმეტესობის შესრულებას იგი ავალებდა ეროვნულ კრებას, რომელსაც ბიუჯეტის მართვის, ასევე ომის გამოცხადების უფლება ჰქონდა. შეიქმნა ახალი არჩევითი ადმინისტრაცია და განხორციელდა საარჩევნო უფლებების ლიბერალიზაცია.

ამრიგად, საფრანგეთში საოცრად მოკლე პერიოდში მიღწეულ იქნა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შთამბეჭდავი დემოკრატიზაცია. მეფის ძალაუფლებას, რომელიც აქამდე თითქმის შეუზღუდავი იყო, ძირი გამოეთხარა და განხორციელდა რადიკალური საზოგადოებრივი რეფორმები.

პოლიტიკური არასტაბილურობა. კონსტიტუციის მიერ 1791 წელს დაფუძნებული კონსტიტუციური მონარქიის არსებობა ერთ წელიწადზე ნაკლებ დროს გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ქვეყანა ნელ-ნელა იშლებოდა ეფექტიანი პოლიტიკური ლიდერის არარსებობის პირობებში. ბუნებრივია, მეფეს სძულდა თავსმოხვეული ახალი მთავრობა (ერთხელ ლუი XVI-მ სცადა ქვეყნიდან გაქცევა, რათა შეერთებოდა ახალი მთავრობის ოპონენტებს, მაგრამ დაიჭირეს და პარიზში დააბრუნეს). კონსტიტუცია უკრძალავდა დამფუძნებელი ყრილობის ყოფილ წევრებს ახალ საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობას, რაც ნიშნავდა იმას, რომ გამოცდილი კანონმდებლები პოლიტიკური პროცესისაგან განზე რჩებოდნენ. დამატებითი პრობლემები წარმოიშვა, როდესაც ახლადარჩეულმა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ეფექტიანად მოქმედება და რეფორმის შედეგად ძალაუფლებადაკარგულმა ძალებმა, განსაკუთრებით კათოლიკურმა ეკლესიამ და არისტოკრატიამ, დაიწყეს ახალი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ავსტრიასთან და პრუსიასთან ომმა გაამწვავა არსებული სიძნელეები და არც ნავარაუდევი ეკონომიკური გაუმჯობესება ჩანდა. პარიზში გამუდმებით ტრიალებდა ჭორები მეფისათვის აბსოლუტური ძალაუფლების მოახლოებულ დაბრუნებაზე, რაც ასაზრდოებდა კონტრრევოლუციის ფართოდ გავრცელებულ შიშს. ეს კი ძირს უთხრიდა რეფორმების მოტანილ პოლიტიკურ ოპტიმიზმს.

რადიკალიზმის ზრდა. 1790-იანი წლების ქაოსურ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაში მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. 1793 წლის ივნისში ლუი XVI-ს ბრალი დასდეს სახელმწიფო ღალატში, ჩამოაგდეს ტახტიდან და თავი მოჰკვეთეს. სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელში აიღო პოლიტიკური რადიკალების გუნდმა, რომელიც მიზნად ისახავდა საფრანგეთის საზოგადოების შეცვლას და ამისთვის არ ერიდებოდა ძალადობის გამოყენებას. ახალი ლიდერის, მაქსიმილიან რობესპიერის (1758-1794) უმთავრესი პრიორიტეტი იყო მოეგო ომი ავსტრიისა და პრუსიის წინააღმდეგ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო როგორც სამხედრო ვალდებულება და მკაცრი დისციპლინა ბრძოლის ველზე, ასევე ეროვნული ერთიანობა ქვეყნის შიგნით. გარე საფრთხის არსებობის პირობებში ყველანაირი პოლიტიკური ოპოზიცია მიიჩნეოდა მოღალატედ. ამგვარი ვითარება სამწუხარო იყო, თუმცა არა მოულოდნელი, რადგან, დღესაც კი, პოლიტიკური რეპრესიები გავრცელებული ფენომენია ომიანობის დროს. მაგრამ რობესპიერი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფით. ამას გარდა, მას სურდა შეექმნა სათნოების რეჟიმი — თავიდან „აეშენებინა“ ფრანგული საზოგადოება, ასე ვთქვათ, თავიდან გამოეძერწა მორალურად სრულყოფილი ფრანგი მოქალაქეები. ერთ-ერთი მკვლევარის შეხედულებით:

> რობესპიერს სურდა საფრანგეთი, რომელშიც არ იქნებოდნენ არც მდიდრები, არც ღარიბები, ადამიანები არ ითამაშებდნენ აზარტულ თამაშებს, არ დათვრებოდნენ, არ უღალატებდნენ, არ მოიპარავდნენ და არ მოკლავდნენ, მოკლედ, სადაც არ იქნებოდა არც მცირე და არც დიდი მანკიერებები, საფრანგეთი, რომელსაც მართავდნენ ხალხის არჩეული ზნემაღალი და განათლებული ადამიანები, რომლებიც სრულიად თავისუფალნი იქნებოდნენ სიხარბის ან ძალაუფლების სიყვარულისგან და ბრძნულად დატოვებდნენ თანამდებობას დროთა განმავლობაში, რათა გზა გაეხსნათ მათი მემკვიდრეებისათვის, მშვიდობიანი საფრანგეთი, როგორც შიგნით, ასევე მთელ მსოფლიოსთან მიმართებაში.[19]

რობესპიერის გრანდიოზული, მაგრამ უტოპიური იდეალიზმი არ ყოფილა მხოლოდ გაცხადება იმისა, რა უნდა ყოფილიყო, არამედ იგი მანიფესტი იყო, რომელიც რეალობად უნდა ქცეულიყო მთელი გზნებითა და სისრულით. „ახალი მოქალაქის“ შესაქმნელად მომართული რობესპიერი თავად ვერ განასახიერებდა პიროვნული თავისუფლების ან ბედნიერებისაკენ სწრაფვის მიზანს ისე, როგორც ამას ამერიკელი რევოლუციონერები აკეთებდნენ. ან როგორ შეიძლებოდა აბსოლუტურ სიკეთედ და ბოროტებად დაყოფილ მსოფლიოში ყოფილიყო ადგილი პიროვნული არჩევანისთვის? რობესპიერი მიდრეკილი იყო არა თავისუფალი ქვეყნის შექმნისაკენ, არამედ „თავისუფლების დესპოტიზმის“ დამკვიდრებისაკენ. თუმცა, სათნოების ინსტიტუციონალიზაცია საფრანგეთის რევოლუციის მხოლოდ ერთი ასპექტი იყო ღარიბებისადმი თანაგრძნობასთან ერთად. სურვილებისგან გათავისუფლება და მუდმივი სიუხვის დაპირება რობესპიერის რევოლუციის მნიშვნელოვან მიზნად იქცა. იგი წამოწყებულ იქნა ჩაგრულთა სახელით მჩაგვრელთა სიხარბისა და სიძუნწის წინააღმდეგ.[20] რობესპიერს სწამდა, რომ მხოლოდ ამგვარი პოლიტიკის საშუალებით იყო შესაძლებელი სათნო და დაკმაყოფილებული მოქალაქეობის უზრუნველყოფა.

ახალი დღის წესრიგი. სათნოებისათვის ხელშესაწყობად და სიღარიბის უმოკლეს დროში აღმოსაფხვრელად რობესპიერი ფრანგული ცხოვრების მყისეულ შეცვლას გეგმავდა. სახელმწიფო ინსტიტუტები, სამართლებრივი მოწყობა, სოციალური რეალობა — ყველაფერი უნდა შეცვლილიყო. ახალი კალენდარიც კი იქნა შემოღებული, როგორც ისტორიის ახალი ეპოქის სიმბოლო. ცვლილების სული ტოტალური იყო, უმთავრესი მიზანი — სამოთხე მიწაზე. ერთმა მკვლევარმა შენიშნა, რომ წარმმართველი სულისკვეთება იყო „შეკრული, ენთუზიაზმით სავსე, თავისუფლად მოტივტივე მესიანიზმი... რომელიც არაფრით კმაყოფილდებოდა, გარდა ადამიანების ცხოვრების პირობების რადიკალური ტრანსფორმაციისა“.[21]

თუმცა, მესიანიზმის პრობლემა ისაა, რომ მხოლოდ ღმერთს (ან ღმერთის მოციქულს) შეუძლია შეასრულოს დიადი დაპირებები. რობესპიერს არ გააჩნდა ამგვარი ღვთაებრივი შესაძლებლობები. იგი და მისი თამაბერძოლები მალევე დარწმუნდნენ, რომ ახალი წესრიგის შემოღება და მისი შენარჩუნება სხვადასხვა იყო. იმედგაცრუებისა და უსასრულო მოლოდინების ფეთქებადსაშიშ ნარევს პოლიტიკური დისპუტები მოჰყვა.ახალი მმართველების ოპოზიციამ ფართოდ დაიწყო ზრდა.

ტერორის მეფობა. რობესპიერის პასუხი მზარდ ოპოზიციასა და გადაულახავ სიძნელეებზე, რომლებიც ყოველდღიურ მართვაში იჩენდა თავს, იყო სათნოების რეჟიმის განმტკიცება მასობრივი რეპრესიებით, რომელიც ***ტერორის მეფობის*** სახელით გახდა ცნობილი. საყოველთაო გახდა, განსაკუთრებით პარიზში, სიკვდილით დასჯა გილიოტინის გამოყენებით, რაზეც ბრძანებას საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი გასცემდა. ხელისუფლების ძალადობა, თავდაპირველად რეჟიმის აქტიური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული, მალევე ინერციით გაგრძელდა. ის შეეხო იმ ადამიანებსაც, ვინც იზიარებდა რობესპიერის ხედვას, მაგრამ არ ეთანხმებოდა მის მეთოდებს. მოგვიანებით გილიოტინის მსხვერპლნი გახდნენ ისინიც, ვინც მხოლოდ ეჭვმიტანილნი იყვნენ უთანხმოებაში. ხელისუფლებაში მყოფთ ღრმა უნდობლობა დაუფლებოდათ მაშინ, როცა გადარჩენილებს საკუთარი უსაფრთხოების საკითხი აღელვებდათ. საბოლოოდ, კოლექტიურმა შიშმა რობესპიერი დამხობამდე და სიკვდილით დასჯამდე მიიყვანა. მისი ერთწლიანი მმართელობის განმავლობაში სიკვდილით 40 ათასამდე ადამიანი დასაჯეს — გასაოცარი რაოდენობა მეთვრამეტე საუკუნისთვის.

რევოლუციის შედეგები. საფრანგეთის რევოლუციის შედეგების შეფასება ადვილი არ არის. მან აშკარად ვერ მიაღწია მიზნებს. რობესპიერის დამხობის შემდეგ ხელისუფლება მიიღო კორუფციულმა და არაკომპეტენტურმა მთავრობამ, რომელიც ცნობილია დირექტორიის სახელით. 1799 წელს რეჟიმმა გზა დაუთმო ნაპოლეონ ბონაპარტის დიქტატურას (1804-1815), რომელმაც შეძლო წესრიგისა და სტაბილურობის აღდგენა. ნაპოლეონის მმართველობისას, საფრანგეთმა სცადა დაემორჩილებინა მთელი ევროპა ამბიციური ომების სერიის შედეგად, რომლებმაც საბოლოოდ ქვეყანა დამარცხებამდე და ნაპოლეონის დამხობამდე მიიყვანა.

ამრიგად, საფრანგეთის არც ერთ რევოლუციას სახალხო მთავრობა არ მოჰყოლია. საბოლოოდ, ნაპოლეონის დამხობის შედეგად, მონარქია აღდგა. თუმცა, მრავალი ღირსშესანიშნავი და გრძელვადიანი ცვლილება განხორციელდა. მაგალითად, 1815 წელს აღდგენილი მონარქიის შემდეგ მეფის ძალაუფლება უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე რევოლუციამდე. უფრო მეტიც, რევოლუციური ეპოქიდან გამომდინ-

არე, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური რეფორმები შენარჩუნდა და ხელისუფლება ახლა უფრო ცენტრალიზებული და ეფექტიანი იყო. ამ ცვლილებების მიუხედავად, აღდგენილი მონარქია მკვეთრ კონტრასტში მოდიოდა ახალი საზოგადოების ეგალიტარულ ხედვასთან, რაც ასე შთააგონებდა რობესპიერს და მის მიმდევრებს.

ორი რევოლუციის შედარება

თუ ამერიკული რევოლუცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც ზომიერი მიზნების მქონე, ფრანგული რევოლუცია შეიძლება აღვწეროთ, როგორც უსაზღვრო მოლოდინების რევოლუცია. დასაწყისში ფრანგ რევოლუციონერებს წმინდა გულით სჯეროდათ, რომ ყველაფერი შესაძლებელი იყო. ექსტრემისტების მიზნები უტოპიური იყო. დასახული უკიდურესი მიზნების რეალიზაციისათვის, ისინი იძულებულნი იყვნენ მიემართათ უკიდურესი საშუალებებისათვის ტერორის ჩათვლით. დაუჯერებელია, რომ იმ დროის ამერიკის ყველაზე ცნობილი რადიკალი თომას პეინი რევოლუციის დროს საფრანგეთის ციხეში აღმოჩნდა იმიტომ, რომ მისი პოლიტიკა არ იყო საკმარისად რადიკალური. ცამეტ კოლონიაში რევოლუციონერთა უმეტესობა პოლიტიკურად ზომიერი იყო. საფრანგეთში ზომიერები ან სიკვდილით დასაჯეს ან დააპატიმრეს.

ამერიკის რევოლუციამ თავისი უფრო ზომიერი მიზნებით შეძლო შეექმნა თანამედროვე ეპოქის რესპუბლიკური მთავრობის პირველი წარმატებული მაგალითი. საფრანგეთს ასეთი წარმატება არ ჰქონია. ამის მიუხედავად, მეოცე საუკუნის მრავალი რევოლუციური მოძრაობა გაცილებით უფრო მეტად შთაგონებული იყო საფრანგეთის და არა ამერიკის მაგალითით. [22]

გასაგებია, რატომაც შთააგონა საფრანგეთის რევოლუციამ რევოლუციონერთა წარმოსახვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რადგან მას სურდა აღმოეფხვრა სიღარიბე და თანაუგრძნო ჩაგრულებისათვის. მაგრამ კონკრეტული და მდგრადი შედეგების მისაღწევად პოლიტიკური მიზნები რეალისტური უნდა იყოს, სხვაგვარად, აუხდენელი ოცნებები შესაძლოა, გარდაუვალ კოშმარად იქცეს.

რევოლუციის სასურველობა: ბერკი, პეინი და ლოკი

რა უფრო მოსალოდნელია, რომ რევოლუცია მრავალ რამეს გააუმჯობესებს ადამიანების ცხოვრებაში თუ პირიქით? 200 წლის წინ ბრიტანელ კონსერვატორ ედმუნდ ბერკსა და ამერიკელ რევოლუციონერ თომას პეინს ამ საკითხზე დისკუსია ჰქონდათ. დებატების უმეტესი ნაწილი საფრანგეთის რევოლუციის ადრეულ ფაზას დაემთხვა. დისკუსიის საკვანძო თემას წარმოადგენდა საკითხი, შედიოდა თუ არა რევოლუცია ფრანგი ხალხის ინტერესებში, რომლის სახელითაც იგი წამოწყებული იქნა, უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, რევოლუციები საზოგადოებისთვის სასიკეთოა თუ საზიანო.

მეტჯის პოზიცია

საფრანგეთის რევოლუციამ შთააგონა ედმუნდ ბერკი (1729-1797) დაეწერა რევოლუციათა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკა, რომელიც ოდესმე დაწერ-

ილა ინგლისურ ენაზე — *გააზრებანი საფრანგეთის რევოლუციაზე* (1790). ბერკს არ სჯეროდა, რომ საფრანგეთის რევოლუცია ღრმად ფესვგადგმული ეკონომიკური და საზოგადოებრივი ძალების შედეგი იყო. მისი აზრით, ჭეშმარიტი რევოლუციონერები იყვნენ ფილოსოფოსები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს რაციონალიზმის დამანგრეველი დოქტრინა და მეცნიერება ღმერთად აღიარეს. იგი ამბობდა, იმის მტკიცებით, რომ მთავრობა ცალკეული მარტივი მიზნების მისაღწევად არსებობს (მაგალითად, იცავს პიროვნების უფლებებს), რევოლუციონერებმა შექმნეს არასწორი წარმოდგენები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შეხედულება, რომ რადიკალურ ცვლილებებს ყოველთვის გაუმჯობესება მოაქვს. ამგვარი აზროვნება ანადგურებდა ორ რამეს, რასაც ბერკი პოლიტიკური საზოგადოების საფუძვლად მიიჩნევდა — რელიგიას და ტრადიციას.

ბერკი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის რევოლუციის საფუძველში იდო საფრთხის შემცველი პოლიტიკური განზოგადებები. პოლიტიკის მეტისმეტად გამარტივებული წარმოდგენით და მიუღწეველი მოლოდინებით, რომლებიც არ შეესაბამებოდა საფრანგეთის ისტორიასა და ტრადიციებს, ასევე, გამარტივებული ცნებებით, როგორიცაა „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“, საფრანგეთის რევოლუცია ემუქრებოდა საზოგადოებრივ წესრიგს, რომელზეც, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებული იყო ყველა სხვა პოლიტიკური ფასეულობა და სათნოება. სწორედ კარგი წესრიგი, ბერკის აზრით, განაპირობებდა ყველაფერ დანარჩენს.

სწავლება კარგი მმართველობის შესახებ, ანუ როგორ წარვმართოთ, შევინარჩუნოთ იგი ან მოვახდინოთ მისი რეფორმირება, შეუძლებელია ფილოსოფიური განსჯის გზით. ხელისუფლებას იგი „ექსპერიმენტულ მეცნიერებად“ განიხილავდა, რომლის პრაქტიკოსებსაც სჭირდებოდათ სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, რომელიც გამოცდილებას მოაქვს, ხოლო გამოცდილება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ერთ დღე-ღამეში გაჩნდეს; იგი გროვდება, იზრდება, იწვრთნება და ამასთანავე, თაობიდან თაობას გადაეცემა. ბერკის ხედვა შეიცავდა წარსულის თაყვანისცემას, ისევე როგორც ასაკისა და მიღწევებისადმი პატივისცემას. მისი აზრით, საზოგადოება აწეწილი ქსოვილი იყო ხელით ნაქარგი ინსტიტუტებისა, რომელთაც შინაგანი ლოგიკა აქვს და ჩვევების, ტრადიციებისა და შეთანხმებების ძალით გრძელდება.

ხელისუფლებისა და ადამიანური შესაძლებლობებისა და შეზღუდულობის ამგვარმა გონივრულმა ხედვამ ბერკი მიიყვანა პრაგმატიზმისა და სიფრთხილის მნიშვნელობის ხაზგასმამდე. იგი ამბობდა, რომ სიფრთხილე „სათნოებათაგან უპირველესია“. რაც შეეხება პრაგმატიზმს, იგი მიიჩნევდა, რომ კაცობრიობის და საზოგადოების სირთულიდან გამომდინარე, ვერანაირი მარტივი, ყველაფრის მომცველი პოლიტიკური ფორმულა ვერ მოიტანდა იმგვარ ღრმა ცვლილებებს, როგორსაც ფრანგი თეორეტიკოსები ჰპირდებოდნენ ხალხს.

საბოლოოდ, ბერკი აკრიტიკებდა მათ უკიდურეს მოუთმენლობას, ვინც განადიდებდა რევოლუციას. გამოდიოდა რა თანდათანობითი და გააზრებული რეფორმის მხარეზე, იგი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ თუ პოლიტიკური ცვლილებები არ მოხდებოდა ნელა და წინდახედულად, მოსახლეობის უდიდესი მასა უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე უწინ: „საჭიროა დრო, რათა მოხდეს აზრთა გამთლიანება, რომელსაც თავისთავად ძალუძს წარმოშოს ყველა ის სიკეთე, რასაც მიზნად ვისახავთ. ჩვენი მოთმინება უფრო მეტს მიაღწევს, ვიდრე ჩვენი ძალა.“[23]

რევოლუცია იძლევა უფრო მეტ დაპირებას, ვიდრე ეს ნებისმიერ პოლიტიკურ

წესრიგს შეუძლია და ზრდის დაუყოვნებლივი უტოპიური გარღვევების არარეალისტურ პოლიტიკურ მოლოდინს. ამით რევოლუციას შეუძლია დააბრმავოს მასები ნეტარი (მაგრამ მიუღწეველი) მომავლის ხედვითა და წაართვას წარსულის სიბრძნის ხედვის უნარი. ერთი სიტყვით, გონივრული პოლიტიკა შესაძლებელია მივიჩნიოთ „შესაძლებლის ხელოვნებად", რევოლუციის მრუდე სარკეში კი იგი შეუძლებლის მეცნიერებად იქცევა.

პეინის კრიტიკა

თომას პეინმა (1737-1809) სცადა უარეყო რევოლუციის ბერკისეული ხედვა 1792 წლის თებერვალში დაწერილ ნაშრომში *ადამიანთა უფლებები.* ეს ორნაწილიანი ნაშრომი პირადად ბერკს პასუხობდა. განსაზღვრავდა რა სახალხო რევოლუციის ლეგიტიმურობას, პეინი ხაზს უსვამდა მრავალ უსამართლობას, რომლებიც ჩაიდინა ბრიტანულმა მონარქიამ ამერიკელი კოლონისტების მიმართ. პეინისთვის ტირანია და მონარქია ერთი და იგივე იყო. მონარქისტები, აცხადებდა იგი, ზეობენ უმეცრებაზე და პრინციპულად მცდარნი არიან:[24]

> *ყველანაირი მემკვიდრეობითი ხელისუფლება თავისი ბუნებით ტირანიაა. სამემკვიდრეო გვირგვინს, ტახტს ან ნებისმიერ სხვა უცნაურობას, რაც შესაძლებელია ვუწოდოთ ამგვარ რამეს, არ გააჩნია რაიმე სხვა ახსნა გარდა იმისა, რომ კაცობრიობა სამემკვიდრეო ქონებაა. მიიღო მემკვიდრეობით ძალაუფლება, ეს იგივეა, რაც მიიღო მემკვიდრეობით ხალხი, თითქოს იგი იყოს ნახირი ან ჯოგი.*[25]

სხვა ადგილას იგი წერს:

> როდესაც ხელისუფლების მონარქიული და მემკვიდრული სისტემების პირობებში გასაცოდავებულ ადამიანებს ვაკვირდებით, რომლებიც საკუთარი სახლიდან ამა თუ იმ ძალამ გამოდევნა და გადასახადებმა მტერზე მეტად მოუღო ბოლო, აშკარა ხდება ამ სისტემათა სიავე და ხელისუფლების პრინციპებსა და მოწყობაში საერთო რევოლუციის აუცილებლობა.[26]

ამ განზოგადების მხარდასაჭერად, პეინს მოჰყავდა მეფის უსამართლობისა და კორუფციის მრავალი მაგალითი. მას სჯეროდა, რომ ყველაზე დიდი უსამართლობა იყო ხალხისათვის საკუთარი ხელისუფლების არჩევის უფლებაზე უარის თქმა. მას მიაჩნდა, რომ ხალხი არ უნდა იყოს შეზღუდული საკუთარი წინაპრების გადაწყვეტილებებით. „ყოველი ეპოქა და თაობა უნდა იყოს თავისუფალი საკუთარ ქმედებებში, ყველა შემთხვევაში, როგორც ეპოქები და თაობები, რომლებიც წინ უსწრებდნენ მას... მმართველთა პატივმოყვარეობა და შესაძლებლობები საფლავის მიღმა არის ყველაზე სასაცილო და ქედმაღლური ყველა ტირანიაში." [27]

პეინი აღიქვამდა საფრანგეთის რევოლუციას, როგორც ხაზგასმით სამართლიანს. იგი ამტკიცებდა, რომ მონარქიის დამხობის მცდელობაში ფრანგი ხალხი უბრალოდ ახორციელებდა ფუნდამენტურ უფლებას (რომელიც გამომდინარეობდა მათი თანა-

ბარი, ბუნებითი უფლებიდან, ყოფილიყვნენ თავისუფალნი). პეინს თითქმის რელიგიური რწმენა ჰქონდა ხალხის ბუნებით სიქველესა და სიბრძნეზე. ამ რწმენამ მიიყვანა იგი დასკვნამდე, რომ როდესაც საფრანგეთის რევოლუციას შევადარებდით სხვა ქვეყნების რევოლუციას, ცხადი გახდებოდა, რომ „პრინციპები და არა პიროვნებები იყვნენ რევოლუციის სამიზნეში ამოღებული განადგურების ობიექტები.“ [28]

ლოკისეული პერსპექტივა

ბერკს სძულდა სახალხო რევოლუცია, პეინი კი ადიდებდა მას.[29] დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე ჯონ ლოკმა (1632-1704) დაიკავა გარკვეულად შუალედური პოზიცია ამ ორ უკიდურესობას შორის *ხელისუფლებისადმი მიძღვნილ მეორე ტრაქტატში.* ლოკმა დაიწყო მსჯელობა იმ წანამძღვრებით, რომ ანარქიული ბუნებითი მდგომარეობიდან თავდასაღწევად ადამიანები თანახმა იყვნენ ჰყოლოდათ ხელისუფლება. ლოკის აზრით, შემდგომში თანხმობა იქმნებოდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე ფორმალური ხელისუფლების საფუძველზე, სადაც ეს უკანასკნელი არსებობდა პირველ რიგში იმისათვის, რათა დაეცვა ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებლად მიჩნეული უფლებები. შემდეგ იგი სვამდა კითხვას: რა მოხდება, თუ ხელისუფლება, მისი შინაგანი აზრის საპირისპიროდ, დაემუქრება სიცოცხლეს, თავისუფლებას და მოქალაქეთა საკუთრებას? ამგვარ შემთხვევაში, ხელისუფლება ახორციელებდა „ძალას უფლების გარეშე“ და ადამიანებს გააჩნდათ უფლება, წინააღმდეგობა გაეწიათ და დაეცვათ საკუთარი თავი. ლოკის სიტყვებით:

> ხელისუფლების მიზანი კაცობრიობის სიკეთეა, და რა არის საუკეთესო კაცობრიობისათვის — ადამიანები ყოველთვის დაუცველნი იყვნენ ტირანიის შეუზღუდავი ნებისაგან, თუ ის, რომ მმართველები ვალდებულნი უნდა იყვნენ შეეგუონ ოპონირებას მაშინ, როცა ისინი უზომოდ იყენებენ საკუთარ ძალაუფლებას და მიმართავენ მას საკუთარი ხალხის საკუთრების გასანადგურებლად და არა მის შესანარჩუნებლად? [30]

ლოკი არ ადიდებდა რევოლუციას. იგი ირწმუნებოდა, რომ სახალხო ამბოხი არ შეიძლება დაიწყოს იმპულსურად. ადამიანები უნდა შეეგუონ ინდივიდების შეცდომებს და არასწორი მმართველობის ცალკეულ შემთხვევებს, ამტკიცებდა იგი. მაგრამ ისინი არ უნდა შეეგუონ „ჩაგვრის, გაურკვევლობისა და სიცრუის ხანგრძლივ სერიას“.[31] ლოკი იმასაც კი ვარაუდობდა, რომ აჯანყების მისეული დოქტრინა რევოლუციების შემაკავებლად იმუშავებდა: იგი მიუთითებდა, რომ ხელისუფლების მიერ ხალხის აჯანყების უფლების ცოდნა მას რეპრესიული ქმედებების წამოწყებამდე ორმაგად დაკვირვებულ განსჯას აიძულებს. საბოლოოდ, მჩაგვრელი მთავრობის წინააღმდეგ ხალხის აჯანყების უფლების გაცნობიერება იმაზე უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე გაცნობიერება იმისა, რომ საკმარისად დამთრგუნველ პირობებში ხალხი აჯანყდება. ამიტომ, გააცნობიერებს ხელისუფლება ამგვარ უფლებას თუ არა, არაარსებითია:

> თუ ადამიანთა უმრავლესობა საკუთარი სინდისიდან გამომდინარე დარწმუნებულია, რომ კანონები, და მასთან ერთად მათი საკუთრება, თავისუ-

ფლება და სიცოცხლე, შესაძლებელია, მათი რელიგიაც კი, საფრთხეშია, არ შემიძლია ვთქვა თუ როგორ შეძლებენ ისინი შეაკავონ მათ მიმართ გამოყენებული უკანონო ძალაუფლება. ეს უხერხულობა ყოველ ხელისუფლებას შეეხება. [32]

რევოლუციის უფლების დეკლარაციით ლოკმა უბრალოდ გამოხატა ის, რასაც პოლიტიკური ცხოვრების ფაქტად მიიჩნევდა. თუმცა, ეს არ ამცირებს ლოკის თეორიის მნიშვნელობას. აჯანყების მისეული დოქტრინა მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსთვის თავად იყო რევოლუციური. ინგლისშიც კი, სადაც ორი საუკუნით ადრე თავი მოჰკვეთეს ჩარლზ I, კვლავ საკამათო იყო საკითხი, ჰქონდათ თუ არა დინასტიურ მმართველებს მბრძანებლობის ღვთიური უფლება. სხვა ევროპული ერი-სახელმწიფოების უმრავლესობაში მონარქების ღვთიური უფლების საკითხი უეჭველად მიაჩნდათ. არაა გასაკვირი, რომ მეფეები არაფერს ისე უმნიშვნელოდ არ თვლიდნენ, როგორც ხალხის ნებას, რადგანაც სწამდათ, რომ მათი ძალაუფლება ღვთისგან მომდინარეობდა.

რევოლუციის ლოკისეულმა თეორიამ დააჩქარა ღვთიური უფლების დოქტრინის დასამარება. ლოკი ამტკიცებდა, რომ რევოლუცია აუცილებელი ხდებოდა, როდესაც ხელისუფლება მოქმედებდა მისი არსებობის მიზეზის საპირისპიროდ. უზრუნველყოფს კი რევოლუცია კარგ ხელისუფლებას? ცხადია, არა — მან შესაძლოა მიგვიყვანოს ანარქიამდე ან კიდევ უფრო მეტ ტირანიამდე. ქმნის რევოლუცია უკეთესი მმართველობის შესაძლებლობას? უეჭველად. ლოკი აცხადებდა, რომ ხალხს ხშირად მხოლოდ რევოლუციის საშუალებით შეუძლია შეცვალოს ტირანია და მოიპოვოს ახალი და უკეთესი ხელისუფლების შექმნის შესაძლებლობა, რომელიც დაიცავს მათი სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებებს.

ამრიგად, ლოკს არ ეკუთვნის რევოლუციასა და პოლიტიკურ გამოცოცხლებას შორის კავშირის შესახებ უტოპიური მტკიცებები. მისეული ხედვით, რევოლუცია შესაძლოა გამომდინარეობდეს უკეთესი ხელისუფლების სურვილიდან, მაგრამ არ იძლევა ასეთი ბედნიერი შედეგის გარანტიას. ახალი ხელისუფლება სრულიად ახალია მხოლოდ იმ გაგებით, რომ ის ცვლის წინას. როგორც ადრე არისტოტელე, ლოკიც აღიარებდა ხელისუფლების ფორმების სასრული რაოდენობის არსებობას. ამრიგად, რევოლუცია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მმართველობის ახალი ფორმების ძიება, არამედ უნდა გავიგოთ სიტყვასიტყვით — რევოლუციად (გადასხვაფერებად) — მმართველობის ერთი არსებული ფორმიდან სხვა ფორმაზე გადასვლად.[33]

ასეთი განსაზღვრებით რევოლუცია ნაკლებად ჰგავს რომანტიკულ მოვლენას. ლოკის აზრით, რევოლუცია გულისხმობდა მმართველობის ერთი არასრულყოფილი ფორმის მეორე, შესაძლოა კიდევ უფრო ნაკლებად სრულყოფილი ფორმით ჩანაცვლებას, უცილობლად, მასშტაბურ ცვლილებებს ფართო საზოგადოებაში და შეიცავდა პოლიტიკური ძალისა და ძალადობის გამოყენებას თითქმის ყოველ შემთხვევაში. რევოლუციის ამგვარი მიდრეკილება რყევებისადმი ნიშნავდა, რომ ეს პროცესი საფრთხეს შეიცავდა მაშინაც კი, როდესაც მიზანი აშკარად სასურველი იყო. რევოლუციის ლოკისეული ფხიზელი ხედვა არ შეიძლება გადაფასდეს. როგორც ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე მეცნიერი აღნიშნავს: „რევოლუციების შედეგები ტერორი და ძალადობრივი და აგრესიული რეჟიმების ჩამოყალიბებაა“.[34]

რევოლუციის მიზეზები

ლოკი მიიჩნევდა, რომ რევოლუცია გარდაუვალი და მისაღებია, როდესაც მოქალაქეებს უბრალოდ აღარ ძალუძთ გაძლება. მაგრამ, კერძოდ, როდის დგება ის მომენტი, როცა მათ „აღარ შეუძლიათ გაძლება“? რა აიძულებთ მოქალაქეებს, განუდგნენ ფესვგადგმულ პოლიტიკურ ჩვევებს და მხარი დაუჭირონ რევოლუციას?

ტრადიციული ახსნა

ბევრი მკვლევარისთვის, როგორც ისტორიული გამოცდილება, ასევე საღი აზრი ცხადყოფს, რომ ხელისუფლების მიერ ჩადენილი უსამართლობა ხელს უწყობს ისეთი გარემოს წარმოქმნას, რომელშიც შესაძლებელია რევოლუციის აღმოცენება. რევოლუციის სათავეების ეს ტრადიციული ახსნა დასაბამს იღებს არისტოტელესთან, რომელმაც ქრისტეს შობამდე მეოთხე საუკუნეში შენიშნა, რომ აჯანყებისადმი მოწოდება შესაძლოა აღმოცენდეს უმნიშვნელო მოვლენისაგან. მიუხედავად ამისა, იგი, ჩვეულებრივ, პატარა საკითხებს მაინც არ ეხება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაპერწკალი, რომელიც ანთებს რევოლუციას, არ უნდა აგვერიოს აჯანყების საფუძველში მდებარე რეალურ მიზეზებში. არისტოტელე აცხადებდა, რომ უმეტეს შემთხვევებში, რევოლუციას იწვევს უთანასწორო სამართლით მართვა. ყველა სახის პოლიტიკური წესრიგის პირობებში პატივისა და სიმდიდრისაკენ სწრაფვამ შესაძლოა ხალხში წარმოშვას შეხედულება, რომ ერთ-ერთი ან ორივე ეს სიკეთე არ არის სამართლიანად გადანაწილებული. ამრიგად, რევოლუცია შესაძლებელია განვითარდეს დაძაბულობიდან, რომელიც არსებობს მრავალრიცხოვან ღარიბებსა (დემოკრატებს), რომელთაც სურთ თანასწორობა და მცირერიცხოვან მდიდრებს (ოლიგარქებს) შორის, რომელთაც სურთ საკუთარი ძალაუფლებისა და სიმდიდრის შენარჩუნება.

პოლიტიკურ ცხოვრებაში მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული დაძაბულობის თაობაზე არისტოტელეს მოსაზრებებმა სათავე დაუდო ამ თემის განხილვას დასავლურ პოლიტიკურ აზრში, რომლის მნიშვნელობა გარკვეული პერიოდის შემდეგ გაიზარდა. მაგალითად, ჯეიმს მედისონმა *ფედერალისტში* განაცხადა, რომ „განხეთქილების ყველაზე გავრცელებული და მდგრადი წყარო არის სიმდიდრის სხვადასხვაგვარი და არათანაბარი გადანაწილება“ და ჩამოაყალიბა ისეთი ხელისუფლების თეორია, რომლის პირობებშიც პოლიტიკური განხეთქილების ამგვარი წყარო უნდა შემცირებულიყო.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, კარლ მარქსმა რევოლუციის უმთავრეს მიზეზად ქონებრივი უთანასწორობა გამოაცხადა. მისი აზრით, რევოლუცია კლასთა შორის ბრძოლის სინონიმია და მუდმივად გამომდინარეობს გაბატონებული უსამართლობიდან. მდიდარ კაპიტალისტებსა და გაღატაკებულ მშრომელებს შორის ეკონომიკური უფსკრულიას ზრდასთან ერთად, რევოლუციის ალბათობაც იზრდება.

რევოლუციის სოციალური ფსიქოლოგია

რა აიძულებს რიგით პიროვნებას, უგულებელყოს საზოგადოების ძლიერი გავლენა, რომელიც მას კონფორმიზმისკენ უბიძგებს და მონაწილობა მიიღოს რევო-

ლუციურ მოძრაობაში? მარქსი თვლიდა, რომ სიღარიბით და სოციალური გაუცხოებით გამოწვეული სასოწარკვეთა არის რევოლუციური მოქმედების ძირითადი ფსიქოლოგიური ბერკეტი. მისი ამგვარი ახსნა ამჟამად ფართოდაა გაზიარებული. რამდენიმე წლით ადრე მარქსმა ეს პოზიცია კომუნისტურ მანიფესტში (1848) ჩამოაყალიბა. თუმცა, ალექსის დე ტოკვილი გვთავაზობს ალტერნატიულ მოსაზრებას. იკვლევდა რა საფრანგეთის რევოლუციას, მან შეამჩნია, რომ „ხალხის უკმაყოფილებამ ყველაზე მაღალ დონეს საფრანგეთის იმ ნაწილში მიაღწია, სადაც ყველაზე მეტად შეინიშნებოდა გაუმჯობესება, ეკონომიკური და სოციალური სასიკეთო ძვრები, პოლიტიკური ზეგავლენის შემცირება, მაგრამ იქ მაინც არსებობდა დიდი უკმაყოფილება“.[35]

ტოკვილი ასკვნიდა, რომ ეკონომიკურ გაუმჯობესებას რევოლუციამდე მივყავართ, რადგანაც, როდესაც ადამიანები დაინახავენ გარკვეული გაუმჯობესებების შესაძლებლობას, მათ გარდაუვალად მეტის სურვილი გაუჩნდებათ, აღარ მოისურვებენ ცუდი პირობებისა და გაღიზიანების ატანას და მხოლოდ რეალური, მყისიერი გაუმჯობესება დააკმაყოფილებთ. ამგვარად ჩნდება რევოლუციის განზრახვა, ამტკიცებდა იგი.

მარქსის და ტოკვილის პოზიციები ერთმანეთთან შეუთავსებელი ჩანს, მაგრამ 1962 წელს ჯეიმს ს. დევისმა დაწერა აღიარებული სტატია, რომელშიც იგი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ „ორივე იდეას აქვს განმარტებითი და შესაძლებელია, წინასწარმეტყველური ღირებულება, თუ ისინი შეპირისპირებული და განლაგებული იქნებიან სათანადო დროითი რიგის მიხედვით“.[36] დევისი ამ პროვოკაციულ დასკვნამდე 1842 წლის დორის აჯანყების, რუსეთის 1917 წლის რევოლუციის და ეგვიპტის 1952 წლის რევოლუციის გულდასმით შესწავლის შედეგად მივიდა. ამ მოვლენებში რევოლუციური განვითარების მსგავსი სქემის გამოვლენით, მან დაასკვნა, რომ რევოლუცია უფრო მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც პირობები უმჯობესდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და შემდგომ მოსდევს უეცარი გაუარესება. დევისის თეზისის განხილვისას, ორი სხვა მეცნიერი თანმიმდევრულად ამტკიცებდა, რომ ადრეული ეკონომიკური ზრდის და შემდგომი ეკონომიკური დაქვეითების ტემპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია ამ კუთხით. რაც უფრო მეტია ერთ სულზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი რევოლუციური ძვრების წინა პერიოდში და „რაც უფრო მკვეთრია უკან დახევა უშუალოდ რევოლუციის წინ, მით უფრო ხანგრძლივი და ძალადობრივია რევოლუცია“, აცხადებდნენ ისინი.[37] სხვა სიტყვებით, რევოლუცია არა იმდენად საშინელი ტანჯვის, არამედ გამანადგურებელი იმედგაცრუების შედეგია. საშინელი უკმაყოფილება, რომელსაც საქონლის შეძენისა და ღირსეული ცხოვრებისათვის კანონიერი უფლების მოპოვების უუნარობა კიდევ უფრო ამძაფრებს, ადამიანებს აჯანყებისაკენ უბიძგებს.[38]

რევოლუციის თანამედროვე თეორიები

იმის აღნიშვნა, რომ რევოლუციები გამომდინარეობს უსამართლობიდან ან უსამართლობის აღქმიდან, ასახავს რევოლუციის ფილოსოფიურ აღქმას. ამგვარი შეხედულება ხაზს უსვამს უსამართლობის მნიშვნელობას, როგორც მოქმედების მიზეზს ანუ იდეას, რომლის მიხედვით ხელისუფლების უკეთური ან უსამართლო ქმედება განიხილება რევოლუციის პრინციპულ მიზეზად. მაგრამ, კერძოდ რომელ

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს მივყავართ რევოლუციურ აღტკინებამდე? თანამედროვე სოციოლოგები ხშირად ფართომასშტაბიან კვლევებზე დაყრდნობით ცდილობენ ახსნან რევოლუციური პროცესი უფრო ზუსტი ტერმინებით, ვიდრე ამას ძველი პოლიტიკური ფილოსოფოსები აკეთებდნენ.[39]

რევოლუციის ახსნა. საკვანძო საკითხი, რომელიც დგას თანამედროვე სოციოლოგთა წინაშე, შემდეგნაირად ჟღერს: განზოგადების რა დონეზე შეიძლება ავხსნათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ რევოლუციებს შორის მრავალი განსხვავება, ასევე განვმარტოთ რევოლუციის შინაგანი ბუნებაც. ზოგიერთი დამკვირვებელი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე რევოლუცია (ამ შემთხევაში იგულისხმება 1970 და 1990 წლებს შორის მომხდარი რევოლუციები) განსხვავდება როგორც პირველი რევოლუციებისგან, რომლებმაც შთანთქა მონარქიები და იმპერიები, ასევე მეოცე საუკუნის დასაწყისის კომუნისტური რევოლუციებისგან რუსეთსა და ჩინეთში. 1970-1990 წლებში რევოლუციები უმეტესწილად ხდებოდა: 1) მცირე, ურბანიზებულ ერებში (განსაკუთრებით მესამე სამყაროში); 2) საზრდოობდა იდეოლოგიებით, დასავლური კოლონიური ბატონობისადმი დაპირისპირებით და ეთნიკური და რელიგიური სარჩულით; 3) განპირობებული (ან შეზღუდული) იყო, ზოგადად, ცივი ომით, კერძოდ კი ზესახელმწიფოებით და საერთაშორისო ინტერვენციით.[40] მართალია, ეს ნიშნები ნათელს ჰფენს 1970-1990 წლებში მომხდარი რევოლუციების მნიშვნელოვან ფაქტებს, ისინი არ ეწინააღმდეგებიან რევოლუციის შინაარსობრივ განზოგადებას.[41] უფრო მეტიც, 1990 წლის შემდეგ, მსოფლიო დრამატულად შეიცვალა ცივი ომის დასრულების შედეგად. მაგალითად, იმ ქვეყნებში, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილი იყვნენ, რევოლუცია მნიშვნელოვნად განსხვავებულ პოლიტიკურ გარემოში მოხდა, ვიდრე ათი წლის წინ. ანტირუსულმა განწყობამ ჩაანაცვლა ანტიდასავლური იდეოლოგიები და შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ძალაუფლების მასშტაბური კონფლიქტი დასრულდა. ამგვარი სერიოზული პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, თანამედროვე სოციოლოგების შრომები შეიცავს მნიშვნელოვან აღმოჩენებს რევოლუციის ზოგადი ბუნების შესახებ.

პოლიტოლოგების, ტედ გურისა და ჯეკ გლადსტონის აზრით, რევოლუცია ყველაზე უკეთ გამოიხატება, როგორც დროში გაწელილი ინტერაქტიული პროცესი.[42] პოლიტიკური კრიზისის შედეგად ხელისუფლების მანქანა ეტაპობრივად იწყებს რღვევას, იწყება გავლენიანი მოქალაქეებისა და ხელისუფლების ურთიერთგაუცხოება.

ხელისუფლების ლიდერებს სულ უფრო მეტად აღიქვამენ შეუფერებლებად: მათ არ შეუძლიათ ეფექტიანი ძალაუფლების განხორციელება, ეკონომიკის სტაბილიზაცია, არ გააჩნიათ ძალა, დაამყარონ შიდა წესრიგი, არიან სუსტნი და გაუბედავნი გარე საფრთხეების წინაშე. ამგვარად, არსებული მთავრობა აღიქმება არალეგიტიმურად თითქმის ყველას (მათ შორის ელიტის) მიერ და კარგავს მართვის უფლებას.[43] სწორად ამ მიზეზების გამო, წარმატებული რევოლუციონერები, როგორც წესი, პოულობენ მდიდარი (შესაძლოა არისტოკრატიულიც) პატრონების მხარდაჭერას და ასევე შეუძლიათ მრავალი უკმაყოფილო ადამიანის მობილიზება. რევოლუციის, როგორც ინტერაქტიული პროცესის ეს ახსნა რევოლუციის ტრადიციულ თეორიასთან თავსებადია. ის გვეხმარება ავხსნათ, როგორ უდევს უსამართლობა ან უსამართლობის აღქმა საფუძვლად რევოლუციას. თანამედროვე სამეცნიერო სამყარო დეტალურად ხსნის ამ პროცესს. იგი შეისწავლის კრიზისის ტიპებს, რომელიც რევოლუციის წინა პერიოდში დგას სახელმწიფოთა წინაშე, ფაქტორებს,

რომლებსაც მივყავართ ხელისუფლებისადმი ნდობის მნიშვნელოვან დაკარგვამდე და განნირული ხელისუფლებების ხშირად უმწეო რეაგირებამდე.

წინარევოლუციური პრობლემები. წინარევოლუციური ქვეყნები, როგორც წესი, სახიფათო სირთულეების წინაშე დგანან. სერიოზული ეკონომიკური სირთულეები, მაგალითად, ეკონომიკური სტაგნაცია და დაკნინება, უზომო ვალი და შიდა ომებთან დაკავშირებული მაღალი დანახარჯები შესაძლოა განსაკუთრებით გამომფიტველი იყოს. ***ეკონომიკური შეღწევა,*** ერთი ან მეტი სხვა ქვეყნის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე შესაძლოა იქცეს რევოლუციურ ფაქტორად. უცხოური კაპიტალის შედინებამ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში შეიძლება უბიძგოს ხელისუფლების ისეთი ახალი პოლიტიკის გატარებისკენ, რომელიც მოკლევადიან პერსპექტივაში საფრხეს უქმნის მის არსებობას (მაგალითად, შესაძლებელია ქვეყანამ ხელი შეუწყოს მარცვლეულის ექსპორტისათვის წარმოებას ქვეყნისშიდა მოხმარების სანაცვლოდ, რათა მრეწველობისა და ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი უცხოური ვალუტა დააგროვოს).

არ არის გამორიცხული, რომ დემოგრაფიულმა ფაქტორებმა გაამწვავოს ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის სწრაფმა მატებამ, რაც მესამე სამყაროს ქვეყნებში აღინიშნება, შესაძლოა შეანელოს ან უკანაც დახიოს ეკონომიკური ზრდა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ არასტაბილურობას. ეთნიკურმა, რასობრივმა ან რელიგიურმა დაძაბულობებმა შეიძლება გაზარდოს არასტაბილურობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი ჯგუფი სწრაფი ტემპით ვითარდება. უფრო მეტიც, სწრაფმა ურბანიზაციამ შესაძლოა შექმნას არაერთი სერიოზული პრობლემა მუშათა კლასით დასახლებულ გარეუბნებში. მაგალითად, როდესაც უმიწო ან მცირემიწიანი გლეხები იძულებული ხდებიან სოფლის ტრადიციული გარემოდან ქალაქის უცნობ გარემოში გადავიდნენ სამუშაოს საძებნად, მათ ხვდებათ ისეთი პრობლემები, როგორიცაა სოციალური რღვევა, არასწორად დაგეგმილი ურბანიზაცია, არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები, ანტისანიტარია და სამედიცინო და საგანმანათლებლო სერვისების ნაკლებობა. როგორც წესი, ამასთან ერთად იზრდება კრიმინალი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაღალია გაუცხოებული ახალგაზრდა მამაკაცების პროცენტული მაჩვენებელი.[44]

ასევე რევოლუციის რისკის წინაშე დგას ხელისუფლება, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას საკუთარი მოქალაქეები უცხო ქვეყნებისგან. ის ხელისუფლება კი, რომელიც აგებს ომს, კიდევ უფრო დიდი რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. ამ ქვეყნებში, რომლებიც როგორც წესი, მკაცრ ეკონომიკურ რეგრესს განიცდიან, წაგებულმა ომმა შესაძლოა რადიკალური ცვლილებების ხელშემწყობი გარემო შექმნას.[45] გარდა ამისა, არეულობა მეზობელი ქვეყნების სუსტ ხელისუფლებასაც შეიძლება გადაედოს და გავლენა მოახდინოს მასზე.

ხელისუფლების რეაქცია. დაგროვილი ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური პრობლემები წინარევოლუციურ ქვეყნებში ხშირად მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს, რომელიც ხელისუფლებას საპასუხო მოქმედებისკენ უბიძგებს. ზოგჯერ ამას წინ ეღობება ძლიერი შიდა ინტერესები. მაგალითად, როდესაც ოფიციალურ თანამდებობის პირებს შორის არიან მდიდარი მიწათმფლობელები, მათი ინტერესები ხშირად აფერხებს რეფორმებს, რომლებიც მიმართულია სერიოზული და პოტენციურად რევოლუციური შიდა კრიზისის შემცირებისაკენ.[46] სხვა შემთხ-

ვევაში, ხელისუფლების მოქმედებას აფერხებს ფართოდ გავრცელებული შიდა კორუფცია. რა სახის პრობლემაც არ უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას, ვერავინ მოითმენს მის სრულ უუნარობას. თუ ხელისუფლების რეაქცია უსამართლო ან მდგომარეობისადმი შეუფერებელია, ან ხელისუფლება საერთოდ ვერ ახერხებს რეაგირებას, იგი დგას რისკის წინაშე, დაკარგოს მხარდამჭერების ნდობა და სავარაუდოა, იქცეს რევოლუციური მოქმედების ობიექტად.

გასაკვირია, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც აკეთებენ ცოტას ან არაფერს, დგას დამხობის ისეთივე რისკის წინაშე, როგორც ხელისუფლება, რომელიც მოქმედებს გადამწყვეტად და რეპრესიულადაც კი. საფრანგეთის რევოლუციის კვლევაში ალექსის დე ტოკვილმა აღნიშნა, რომ მოსახლეობამ მონარქიის წინააღმდეგ ხელახლა სწორედ მაშინ აიღო ხელში იარაღი, როდესაც დაიწყო რეჟიმის შერბილება. ტოკვილი ასკვნიდა: „ზოგადად რომ ვთქვათ, ყველაზე საშიში მომენტი ცუდი ხელისუფლებისთვის არის ის, როდესაც იგი ცდილობს მისი მმართველობის მანერის შეცვლას“.[47] ტოკვილს სჯეროდა, რომ ამ პარადოქსს (ისევე, როგორც მის ვარაუდს, რომ პირველ რიგში რეფორმა და არა რეპრესია იწვევს რევოლუციას) საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური ფაქტი:

> აქამდე მოთმინებით უძლებდნენ იმას, რაც უმოწყალო ჩანდა, მაგრამ წყენა აუტანელი ხდება მაშინ, როგორც კი ადამიანებს გონებაში გაუელვებს მისი მოშორების შესაძლებლობა... თავად ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ტკივილი შესაძლებელია განიკურნოს, ყურადღებას ამახვილებს სხვა ტკივილზე და ის უფრო მეტად აუტანელი ჩანს; ადამიანები შესაძლოა იტანჯებოდნენ უფრო ნაკლებად, მაგრამ ისინი ახლა უფრო მგრძნობიარენი არიან.[48]

საბოლოოდ, ტირანებს არ შეუძლიათ საკუთარ თავს რეფორმების უფლება მისცენ, რადგან მათი ამგვარი ქმედება ნიშნავს წარსულის უსამართლობების აღიარებას და აუცილებლად გამოიწვევს „მოსახლეობაში დაგროვილი ბოღმის გაცოცხლებას.[49]

თანამედროვე კვლევები გარკვეულად ადასტურებს ტოკვილის დაკვირვებას. რევოლუციებში შეიარაღებული ძალების როლის შესახებ კვლევაში, ერთ-ერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ რევოლუცია ვერასდროს იქნება წარმატებული, სანამ შეიარაღებული ძალები ხელისუფლებისადმი ლოიალურად იქნებიან განწყობილნი და შესაძლებელია მათი ეფექტიანად დასაქმება.[50] როდესაც შიდა უსაფრთხოების ზომები მეტისმეტად დაგვიანებული და მეტისმეტად გაუაზრებელია ან განწირული ხელისუფლების უკანასკნელი იმედია, არსებობს დიდი შანსი, რომ რეპრესიის ახალი აქტები მხოლოდ გააუარესებს სიტუაციას. ნათელია ისიც, რომ ხელისუფლება, რომელიც თავს იკავებდა ფიზიკური ძალის სისტემატური გამოყენებისაგან, რევოლუციურ სიტუაციაში დამხობის უფრო მეტი რისკის წინაშე დგას.

წარმატებული რევოლუცია. რევოლუცია რომ მოხდეს, უნდა არსებობდნენ ქარიზმატული ლიდერები, რომელთაც შეუძლიათ თვალი გაუსწორონ რეჟიმის დამხობის მცდელობასთან დაკავშირებულ სასიკვდილო რისკს.[51] იმავდროულად, რევოლუციურ ლიდერებს სჭირდებათ იმ ადამიანთა მხარდაჭერა, რომელთაც უკავიათ მაღალისაზოგადოებრივი მდგომარეობა და აქვთ შესაბამისი უნარები. ელიტაზე ზეგავლენის მოხდენისათვის შესაბამისი მომენტი დგება მაშინ, როდესაც ხელისუ-

ფლება აწყენინებს, ემუქრება ან ძირს უთხრის მას გარკვეული გზით. წინარევოლუციურ ხელისუფლებას დიდ საფრთხეს უქმნის ელიტის გაუცხოება შეიარაღებულ ძალებში.[52] თუ გენერლები (და სხვა მაღალი რანგის ოფიცრები) შეწყვეტენ ხელისუფლების მხარდაჭერას (ან მის წინააღმდეგ შებრუნდებიან), ეს თითქმის ყოველთვის ფატალურია ხელისუფლებისათვის.

რევოლუციური ცვლილებები ხშირად ზევიდან წარიმართება. თუმცა, ყველა რევოლუციური ცვლილება დამოკიდებულია ახალი ხელისუფლების წარმატებაზე, როგორ მოიპოვებს ან შეინარჩუნებს მასობრივ მხარდაჭერას, რაც, თავის მხრივ, ხშირად დამოკიდებულია მოქალაქეთა წინა რეჟიმისადმი უთანხმოების დონეზე. მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზები შეიძლება მოიცავდეს „ფართოდ გავრცელებულ უკმაყოფილებას ეკონომიკური პირობებით, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობას შორის; იმედგაცრუებას პოლიტიკაში რეალური მონაწილეობის შესაძლებლობების არარსებობით, განსაკუთრებით სტუდენტებსა და საშუალო კლასს შორის; გავრცელებულ უკმაყოფილებას უცხოური ინვესტიციებისა და ოფიციალურ პირების კორუმპირებულობის გამო; და სოფლის მტრულ განწყობას ურბანული რეჟიმის მტაცებლურობისა და რეპრესიული პოლიტიკის გამო“.[53] სწორია იგი თუ არასწორი, ეს არის უსამართლობის აღქმა ხალხის მიერ, რომელიც კვებავს თანამედროვე ეპოქის ყველანაირი რევოლუციის ხანძარს.

და ბოლოს, რევოლუცია ნაკლებსავარაუდოა, თუ ყველა ან ზემოთ განხილული ფაქტორების უმეტესობა, ერთდროულად არ არსებობს. ამგვარად, ქვეყანა, რომელსაც მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები აქვს, სავარაუდოდ არ მიექანება რევოლუციისაკენ, თუ ასევე არ გაჩნდა სხვა წინარევოლუციური ელემენტებიც, როგორიცაა რევოლუციურ ლიდერთა არსებობა, ელიტისა და მოქალაქეთა ძლიერი მხარდაჭერა რადიკალური ქმედებისადმი და მოსახლეობის რწმენის დაკარგვა არსებული ხელისუფლების მართვის უნარში. სწორედ ამ ფაქტორთა თანხვედრის შედეგად ხდება რევოლუცია.

მასობრივი მოძრაობების საფრთხეები. ესპანელმა ფილოსოფოსმა ხოსე ორტეგა ი გასეტმა (1883-1955) 1930 წელს გამოაქვეყნა ცნობილი წიგნი *მასების ამბოხი*. ამ დროისთვის ფაშისტებს უკვე ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება იტალიაში, გერმანიაში ჰიტლერის ძალაუფლებაში მოსვლას რამდენიმე წელი აკლდა და სტალინი საბჭოთა რუსეთში საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდირებას ახდენდა.[54] გასეტი შეძრწუნებით წერდა „ძალაუფლების განხორციელებაში მასების ჩართვის“ შესახებ და ამტკიცებდა, რომ „მასებს, მათივე განმარტებიდან გამომდინარე, არც შეუძლიათ და არც უნდა მართავდნენ საკუთარ ცხოვრებას, და მით უმეტეს, არ უნდა მართავდნენ საზოგადოებას ზოგადად, რაც ნიშნავს იმას, რომ ევროპა სინამდვილეში იტანჯება უდიდესი საერთო კრიზისისგან, რომელიც აზიანებს ხალხებს, სახელმწიფოებს და ცივილიზაციებს“.[55]

მეოცე საუკუნე ისტორიაში რამდენიმე ყველაზე სისხლიანი მასობრივი მოძრაობის მოწმე გახდა. ორტეგა ი გასეტის სიტყვები განსაკუთრებით მოსწრებულია თანამედროვე რევოლუციათა დამღუპველი შედეგების შუქზე:

> როგორც შეერთებულ შტატებში ამბობენ: „იყო განსხვავებული ნიშნავს იყო უხამსი“. მასა ამსხვრევს ყველაფერს, რაც მისგან განსხვავებული, შესანიშნავი, ინდივიდუალური, დახვეწილი და რჩეულია. ნებისმიერი,

> რომელიც არ ჰგავს ყველას, ვინც არ ფიქრობს ისე, როგორც ყველა, დგას განადგურების საფრთხის წინაშე. [56]

დასკვნა

პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში რევოლუცია ნიშნავს სახელმწიფოს მმართველობის ფორმების მნიშვნელოვან ცვლილებებს. თანამედროვე ეპოქაში ამგვარი ცვლილებები სულ უფრო ხშირად ხდება მსოფლიოს მრავალ რეგიონში.

არსებობს რევოლუციის ორი ძირითადი ტრადიცია: ამერიკული და ფრანგული. ამერიკული რევოლუცია უფრო შეზღუდული იყო ვიდრე ფრანგული და ისახავდა უფრო ზომიერ მიზნებს. ფრანგი რევოლუციური ლიდერები, უფრო პრაგმატული ამერიკელი კოლეგებისგან განსხვავებით, მიზნად ისახავდნენ ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და მორალური სურათის რადიკალურ და სრულმასშტაბიან ცვლილებებს.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან მძაფრი კამათი იმართებოდა იმ საკითხის შესახებ, იყო თუ არა რევოლუცია სასურველი. მას შემდეგ, რაც ედმუნდ ბერკმა გამოკვეთა რევოლუციასთან დაკავშირებული მრავალი საფრთხე, თომას პეინმა ხაზი გაუსვა მის მრავალ დადებით მხარეს. შედარებით ადრე, ჯონ ლოკმა დაიკავა უფრო ზომიერი პოზიცია; იგი ამტკიცებდა, რომ რევოლუცია გარდაუვალი და გამართლებულია, როდესაც იგი მიმართულია მჩაგვრელი ხელისუფლების წინააღმდეგ.

რევოლუციის ზუსტი მიზეზების გამორჩევა რთულია. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ უსამართლობა არის სახალხო ჯანყის სათავე. მაგრამ რა უბიძგებს რიგით მოქალაქეს მონაწილეობა მიიღოს რევოლუციაში? კარლ მარქსი თვლიდა, რომ დეგრადირებად ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს მივყავართ რევოლუციაში მონაწილეობისაკენ. ალექსის დე ტოკვილი ამტკიცებდა, რომ ბრალი უნდა დავდოთ გაუმჯობესების გზაზე მდგარ პირობებს, რადგანაც ისინი ცვლიან სოციალური რეალობის პიროვნულ იმედებს. თანამედროვე ხედვა ჩამოაყალიბა ჯეიმს ს. დევისმა, რომელიც ახდენს მარქსის და ტოკვილის პოზიციების კომბინირებას იმის მტკიცებით, რომ რევოლუციამ მოსალოდნელია იფეთქოს მაშინ, როდესაც ძლიერი ეკონომიკური ან სოციალური უკუსვლა მოჰყვება ზრდადი მოლოდინის და ზომიერი გაუმჯობესების პერიოდს. რევოლუციის მიზეზების უფრო ახალი კვლევები ხაზს უსვამს, რომ იგი მიმდინარე პროცესია და ასახავს ლეგიტიმურობის კრიზისს.

რთული ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური პრობლემების პირობებში, ხელისუფლება მოქმედებს შეუფერებლად ან უსამართლოდ. ამით იგი კარგავს საზოგადოებაში ელიტის ნდობას და იწყება მასების მობილიზება, როდესაც რევოლუციის ლიდერები გეგმავენ არსებული ხელისუფლების დამხობასა და ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარებას. საბოლოოდ, ყველა მასობრივ მოძრაობაზე დამყარებული რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ პროცესს მრავალი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.

საკვანძო სიტყვები

რევოლუცია	ადამიანის უფლებათა დეკლარაცია
საფრანგეთის რევოლუცია	ტერორის მეფობა
ამერიკის რევოლუცია	რევოლუციის უფლება
რევოლუციური ომი	ეკონომიური შეღწევა
გენერალური შტატები	
ბასტილია	

კითხვები გამეორებისათვის

1. რას ნიშნავს რევოლუცია? წინა პერიოდებთან შედარებით გახდა თუ არა რევოლუცია უფრო მეტად ან ნაკლებად გავრცელებული მეოცე საუკუნეში?
2. რა მნიშვნელოვანი მსგავსება იყო ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებს შორის? რა მნიშვნელოვანი განსხვავება იყო მათ შორის?
3. რევოლუციის სასურველობის შესახებ კამათში რა პოზიციები ეკავათ ედმუნდ ბერკსა და თომას პეინს? რა იყო ბერკის ძირითადი არგუმენტი? რითი პასუხობდა პეინი?
4. რაში მდგომარეობდა ჯონ ლოკის პოზიცია რევოლუციის მიმართ? რატომ იცავდა იგი მოქალაქეთა უფლებას, დაემხოთ საკუთარი ხელისუფლება? რა მოსაზრებით იკავებს ლოკი ადგილს პეინის და ბერკს შორის?
5. არისტოტელეს შეხედულებით, რა არის რევოლუციის პრინციპული მიზეზი? როგორ განავითარა თანამედროვე სოციალურმა მეცნიერებამ არისტოტელეს ფილოსოფიური შეხედულებები რევოლუციაზე?
6. მოჰფინა თუ არა შუქი თანამედროვე კვლევებმა რევოლუციის მიზეზებს? თუ კი, აქვთ მათ წინა კვლევებთან საერთო ელემენტები, თუ ეწინააღმდეგებიან მათ?
7. რა თეორიები ჩამოყალიბდა იმის ასახსნელად, როგორ და რატომ ხდებიან ინდივიდები იმდენად იმედგაცრუებულნი, რომ შეუერთდნენ რევოლუციას?

შენიშვნები:

1. *Jack A. Goldstone, `Revolutions in World History'*, წიგნში: *Theoretical, Comparative, and Historical Studies*, მე-2 გამოც., რედ. *Jack A. Goldstone (San Diego: Harcourt, 1993), 320.*
2. ციტირებულია *Thomas Greene, Comparative Revolutionary Movements (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1989), 5.*
3. იქვე, 5.
4. *იქვე. 6.*
5. *Ted Robert Gurr* და *Jack Goldstone, 'Comparisons and Policy Implications'*, *წიგნში: Revolutions of the Late Twentieth Century,* რედ. *J. Goldstone, T. R. Gurr, and F. Moshiri (Boulder, Colo.: Westview Press, 1991), 324. თანამედროვე* და *ტრადიციულ რევოლუციებს შორის სხვაობა ლინგვისტურადაც აისახება სიტყვებით*

„რევოლუცია“ და „აჯანყება“. ეს განსხვავება ლიტერატურაში ცალსახად ჯერაც არ კეთდება და ამიტომ ამ თავში მას არ შევხებივართ.

6. *Barrington Moore, Jr., Reflections on the causes of Human Misery and upon Certain Proposals to Eliminate Them (Boston: BeAacon Press, 1972), 170.*
7. *James Dougherty და Robert Pfaltzgraff, Jr., Contending Theories of International Relations, მე-3 გამოც. (New York: Harper & Row, 1990), 321. სხვა ნაშრომებთან ერთად ავტორები იმოწმებენ Hannah Arendt-ის სამეცნიერო ნაშრომებს.*
8. *Irving Kristol, 'The American Revolution as a Successuful Revolution', წიგნში Readings in American Democracy, red. Paul Peterson (Dubuque, Iowa: Kendall Hunt, 1979), 52-53.*
9. *Cecilia Kenyon, 'Republicanism and Radicalism in the American Revolution: An Old-fashioned Interpretation', წიგნში The Reinpretation of the American Revolution, 1763-1789, რედ. J. Greene (New York: Harper & Row, 1968), 291.*
10. *მაგალითისათვის იხ. Bernard Bailyn, 'Political Experience and Enlightenment in Eighteenth-Century America',* წიგნში *The Reinpretation of the American Revolution, რედ. Greene, 282-283.*
11. *Martin Diamond, 'The Revolution of Sober Expectations',* წიგნში *Readings in American Democracy, რედ. Peterson, 66.*
12. *Jefferson-ისა და Roger C. Weightman-ის მიმოწერა, June 24, 1826,* წიგნში *The Political Writings of Thomas Jefferson: Representative Samples, რედ. Edward Dumbauld (Indianapolis: Bobbs-Merrill, 1965), 9.*
13. *Benjamin Wright, Consensus and Continuity, 1776-1787 (New York: Norton, 1967), 3. Wright-ი ეყრდნობა J. Franklin Jameson-ის ნაშრომს.*
14. *იქვე, 1.*
15. *იქვე.*
16. *Kristol, 'The American Revolution', 53.*
17. *Diamond, 'The Revolution of Sober Expectations', 73.*
18. *იქვე, 65.*
19. *Crane Brinton, The Anatomy of Revolution (New York: Random House, 1966), 122-123.*
20. *Hannah Arendt, On Revolution (New York: Penguin, 1976), 60.*
21. *Kristol, 'The American Revolution', 6.*
22. *იქვე, 61.*
23. *Edmund Burke, Reflections on the Revolution in France (Indianapolis: Library of Liberal Arts, 1955), 197.*
24. *Thomas Paine, 'The Rights of Man', წიგნში Thomas Paine: Representative Selections, რედ. H. Clark (New York: Hill & Wang, 1967), 159.*
25. *იქვე, 184-185.*
26. *იქვე, 162.*
27. *იქვე, 61.*
28. *იქვე, 70.*
29. თუმცა, ამისდა მიუხედავად, ბერკი გარკვეულწილად ამერიკის მომხრე იყო რევოლუციურ ომში, არწმუნებდა რა საკუთარ ერს ეცნოთ ამერიკის უკმაყოფილება კანონიერად.
30. *John Locke, 'An Essay Concerning the True Original Extent and End of Civil Government',* წიგნში *Two Treatises on Government (New York: New American Library, 1963), 466.*
31. *იქვე, 463.*

32. იქვე, 452-453.
33. იხ. Joseph Cropsey-ს Political Philosophy and the Issues of Politics (Chicago: University of Chicago Press, 1977), 157-162.
34. Jack Goldstone, 'An Analytical Framework', წიგნში Revolutions of the Late Twentieth Century, რედ. J. Goldstone, T. R. Gurr, and F. Moshiri (Boulder, Colo.: Westview Press, 1991), 50.
35. Alexis de Tocqueville, The Old Regime and the French Revolution (Garden City, N.Y.: Doubleday, 1955), 176.
36. James C. Davies, 'Toward a Theory of Revolution', American Sociological Review (February 1962): 6.
37. Raymond Tanter and Manus Midlarsky, 'A Theory of Revolution', Journal of Conflict Resolution 11 (1967): 272, ცხრილი 6.
38. Ted Gurr, Why Men Rebel (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1970), 3-21.
39. როგორც Jack A. Goldstone-მა აღნიშნა წიგნში 'Theories of Revolution: The Third Revolution', World Politics (April 1980): 425-453.
40. ბოლო ორი წინადადება წარმოადგენს J. Goldstone-ის, T. R. Gurr-ისა და F. Moshiri-ს ვარაუდს წიგნში Revolutions of the Late Twentieth Century (Boulder, Colo.: Westview Press, 1991). ეს სამი მახასიათებელი განსაზღვრულია Goldstone-ის წიგნში An Analytical Framework, 325.
41. როგორც Goldstone-ი აღიარებს 1970 წლიდან დაწყებული მის მიერ რევოლუციათა შესწავლა შეესაბამება რევოლუციის მისეულ ზოგად გაგებას. იხ. Goldstone, An Analytical Framework, 37-38.
42. ეს მსჯელობა ძირითადად ეყრდნობა Gurr-ისა და Goldstone-ის Comparisons and Policy Implications, 324-352.
43. Barry Schult და Robert Slater, 'A Framework for Analysis', წიგნში Revolution and Political Change in the Third World, რედ. B. Schutz და R. Slater (Boulder, Colo.: Lynne Rienner, 1990), 7-9. იხ. ასევე Gurr-ისა და Goldstone-ის Comparisons and Policy Implications, 331.
44. 1975 წელს წიგნის Thinking about Crime გამოქვეყნებიდან James Q. Wilson-ი თავის ნაშრომებში ამერიკაში დანაშაულებათა შესახებ ხაზს უსვამდა იმას, რომ ახალგაზრდა მამაკაცების სოციალიზაცია დიდი სირთულეა კანონმორჩილ საზოგადოებაში; ამჟამად, ლიტერატურაში არსებობს მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ამ დემოგრაფიულ ფაქტსაც აქვს გავლენა რევოლუციაზე. შეადარე Gurr-ისა და Goldstone-ის Comparisons and Policy Implications, 335 (რომლებმაც ხაზი გაუსვეს ასაკს და არა სქესს) და James Q. Wilson-ის Thinking about Crime (New York: Basic Books, 1975).
45. Walter Lacqueur, 'Revolution' წიგნში International Encyclopedia of the Social Sciences (New York: Macmillan/Free Press, 1968), 501. იხ. ასევე, Robert Hunter-ის Revolution: Why? How? When? (New York: Harper & Row, 1940), 126.
46. Theda Skocpol, States and Social Revolutions: A Comparative Analysis of France, Russia, and China (Cambridge: Cambridge University Press, 1979), 249.
47. Tocqueville, The Old Regime, 176.
48. იქვე.
49. იქვე, 187.
50. D. E. H. Russell, Rebellion, Revolution and Armed Forces: A Comparative Study of Fifteen Countries with Special Emphasis on Cuba and South Africa (Orlando, Fla.: Academic Press, 1974).

51. *ტოტალიტარული რევოლუციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქარიზმატული ლიდერი. იხ. მე-3 თავი.*
52. *Gurr და Goldstone, Comparisons and Policy Implications, 353-354.*
53. *იქვე, 334.*
54. *Jose Ortega y Gasset, The Revolt of the Masses (New York: Norton, 1993). პირველად დაიბეჭდა 1930 წელს.*
55. *ციტირებულია ვებ-გვერდიდან The History Guide, www.history-guide.org/europe/gasset.html, 2002 წლის 13 მაისი.*
56. *იქვე.*



თავი XV

ტერორიზმი

სუსტის იარაღი

რა არის ტერორიზმი?

• ტერორიზმის წარმოშობა • ტერორიზმის ლოგიკა • ტერორისტული ტაქტიკა • ტერორისტული აქტი და ომი • ტერორისტული ჯგუფების მახასიათებლები • ტერორიზმი ალჟირში: თანამედროვე მაგალითი.

ვინ არის ტერორისტი?

ტერორისტების კლასიფიკაცია: კრიმინალები, პარტიზანები თუ რევოლუციონერები? • ტერორისტის იდენტიფიცირება

ტერორიზმი და საზოგადოება

ახალგაზრდა რეკრუტები • ტერორიზმის ფსიქოლოგია • ტერორიზმი და მასმედია

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

შიდა კანონმდებლობა • ქვეყნებს შორის თანამშრომლობა • უნილატერალური ზომები ტერორიზმის წინააღმდეგ • რა შეუძლია პიროვნებას

შესაძლებელია კი ტერორიზმის შეკავება?

1993 წლის თებერვალში, ქალაქ ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომზე აფეთქდა 1200-ფუტიანი ბომბი, რომელიც ნაქირავებ, ყვითელ ფერის სატვირთო მანქანაში იყო დამონტაჟებული. აფეთქებამ მსოფლიოში სიმაღლით მეორე შენობის სარდაფში მყისიერად წარმოშვა 200 ფუტი რადიუსის კრატერი. დაშავდა ათასზე მეტი ადამიანი, თუმცა აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის რიცხვი დიდი არ იყო, დაიღუპა მხოლოდ შვიდი. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობის და აშშ-ეს ეკონომიკური სიძლიერის სიმბოლოს წინააღმდეგ მიმართულმა ტერორისტულმა აქტმა ამერიკელებს შოკი მიჰგვარა. რვა წლის შემდეგ, 2001 წლის 11 სექტემბერს, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ახალი ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა. ამჯერად შენობებს კომერციული რეისის ორი, ადვილად აალებადი საწვავით დატვირთული თვითმფრინავი შეეჯახა. ცათამბჯენები მცირე ხნის განმავლობაში იწვოდა, შემდეგ კი საოცარი სიძლიერით ჩამოინგრა, რამაც მანჰეტენის ცენტრის დიდი ნაწილი გაანადგურა, შენობებში მყოფი ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, ქუჩები ათასობით ტონა ცეცხლმოდებული ნანგრევით აავსო და კვამლის, მტვრისა და ფერფლის უზარმაზარი ღრუბელი წარმოქმნა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში იყო ჩამოწოლილი ქალაქის თავზე.

1993 წელს მრავალმა ამერიკელმა დასვა კითხვა: მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული თავდასხმა ერთადერთი იყო თუ მომავალშიც განმეორდებოდა? მალე ამ კითხვაზე პასუხი ცხადი გახდა: ამერიკელების წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული თავდასხმები გახშირდა, რაც უამრავი ადამიანის სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს (იხ. ცხრილი 15-1).

გრაუნდ ზ — ნანგრევების გროვა იქ, სადაც 2001 წლის 11 სექტემბრამდე ამაყად იდგა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები.

ცხრილი 15.1

ტერორიზმის სამიზნე: ამერიკელები

აპრილი, 1983	თვითქმკვლელმა აიფეთქა თავი ლიბანში, ბეირუთში, შეერთებული შტატების საელჩოში. დაიღუპა 63 ადამიანი.
ოქტომბერი, 1983	ბეირუთში ამერიკული სამხედრო ყაზარმების და ბომბვამ 229 ადამიანი იმსხვერპლა.
დეკემბერი, 1988	ნიუ-იორკში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომში აფეთქდა ავტომანქანა. დაიღუპა 7 ადამიანი, დაშავდა 1042.
თებერვალი, 1993	ფედერალურმა გამომძიებლებმა დროულად გადაარჩინეს შეერთებული შტატები და მდინარე ჰუძონის ორი გვირაბი მუსლიმი ექსტრემისტების მიერ დაგეგმილი ტერორისტული აქტისგან.
ივნისი, 1993	მანილაში, ფილიპინები, პოლიციამ დააკავა ისლამის მიმდევარი ტერორისტული დაჯგუფების წევრები. ისინი ცდიდნენ ბომბებს, რომლებითაც შემდეგ აპირებდნენ შეერთებული შტატების სარეისო თვითმფრინავებზე თავდასხმას წყნარ ოკეანეზე გადაფრენის დროს. ამ შეთქმულების ლიდერი, რამზი აჰმედ იუსეფი მოგვიანებით პაკისტანში დააკავეს. მას ბრალად ედება მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმის დაგეგმვაში მონაწილეობაც.
აპრილი, 1995	ოკლაჰომას შტატში ოკლაჰომა სიტიში აფეთქებულმა სატვირთო მანქანამ გაანადგურა ფედერალური შენობა. დაიღუპა 168 ადამიანი, დაშავდა 600-ზე მეტი. დამნაშავედ ცნეს ამერიკის ორი მოქალაქე.
ნოემბერი, 1995	საუდის არაბეთში, ქალაქ რიადში მდებარე ამერიკულ სამხედრო საწვრთნელ ბანაკთან აფეთქდა მანქანა. დაიღუპა 5 ამერიკელი, დაშავდა 30.
აპრილი, 1996	გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააკავა თეოდორ ჯ. კაძინსკი და ბრალი დასდო დაჯგუფება „უნაბომბერის“ მიერ 18 წლის განმავლობაში ჩადენილი ტერორისტული აქტების დაგეგმვაში (კაძინსკი დამნაშავედ ცნეს).

ივნისი, 1996	საუდის არაბეთში, დჰარანში, საცხოვრებელ კომპლექსთან აფეთქდა დანაღმული სატვირთო მანქანა. დაიღუპა 19 ამერიკელი, დაშავდა 280.
1 ივლისი, 1996	არიზონას შტატში, ქალაქ ფენიქსში, ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს „ვაიპერ მილიციის“ დაჯგუფების 12 წევრი, რომლებსაც ბრალად მთავრობის შენობების აფეთქების დაგეგმვა ედებოდათ.
17 ივლისი, 1996	თვითმფრინავი ნიუ-იორკიდან აფრენის შემდეგ მალევე აფეთქდა და ჩამოვარდა, რამაც 230-ვე მგზავრი იმსხვერპლა. აფეთქების მიზეზი დღემდე უცნობია.
27 ივლისი, 1996	ჯორჯიის შტატში, ატლანტაში, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დროს, კონცერტზე აფეთქდა ბომბი. დაიღუპა ერთი ადამიანი, დაშავდა 111.
აგვისტო, 1998	კენიასა და ტანზანიაში აფეთქება მოხდა შეერთებული შტატების საელჩოებთან. დაიღუპა 224 ადამიანი, რომელთა უმრავლესობა უბრალო კენიელი იყო.
ოქტომბერი, 2000	იემენში, ქალაქ ადენში, შეერთებული შტატების ბაზაზე, დანაღმული კატარღის აფეთქების შედეგად დაიღუპა 17 ადამიანი.
11 სექტემბერი, 2001	შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს აეროპორტებიდან გაიტაცეს 4 თვითმფრინავი: ორი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენებს შეეჯახა და ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, მესამე პენტაგონის ტერიტორიაზე ჩამოვარდა, მეოთხე კი — პენსილვანიის შტატში, ერთ-ერთ ყანაში.

წყარო: *„უოლ სტრიტ ჯორნალი“, 29 ივნისი, 1996, გვ. 14; „ეკონომისტი“, 15 სექტემბერი 2001, გვ. 18.*

როგორც ვხედავთ, შეერთებული შტატების წინააღმდეგ მრავალი ტერორისტული თავდასხმას მოხდა, თუმცა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიოს ზოგიერთ სხვა კუთხეში ტერორიზმის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას. ტერორიზმმა დიდი გასაქანი ჰპოვა მრავალ განვითარებად ქვეყანაში, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე (მაგალითად, ალჟირში, სადაც მთავრობას ყოველდღიურად უხდება თავდასხმებთან გამკლავება, და ისრაელში, სადაც თვითმკვლელების მიერ მოწყობილი აფეთქებები მოქალაქეებს მუდმივ საფრთხეს უქმნის). სპარსეთის ყურის ქვეყნების მდგომარეობაც მსგავსია. შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ აფრიკიდან სპარსეთის ყურემდე მდებარე ყველა მუსლიმური ქვეყანა ტერორიზმის ხშირი მსხვერპლია.

დღეს მსოფლიოში ტერორიზმისგან დაცული არ არის არც ერთი ქვეყანა. უკანასკნელი წლების მანძილზე ტერორისტული აქტები ხშირია მრავალ სამხრეთ-ამერიკულ ქვეყანაში (განსაკუთრებით პერუში, კოლუმბიასა და მექსიკაში). ტერორიზმისგან დაზღვეული არც დასავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებული ინდუსტრიის მქონე ქვეყნებია. ამის ერთ-ერთ ნათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც ირლანდიური რესპუბლიკური არმიის (*IRA*) ულტრანაციონალისტები 1960-იანი წლებიდან წარმართავენ ტერორისტულ კამპანიას ჩრდილოეთ ირლანდიაზე (იგივე ოლსტერზე) ბრიტანული კონტროლის წინააღმდეგ.

ტერორიზმის პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ მისი შედეგების იგნორირება შეუძლებელია. ამაზე მეტყველებს მრავალი არც ისე გახმაურებული და მალევე მივიწყებული შემთხვევა. მაგალითად, 1994 წლის გაზაფხულზე გერმანიის პოლიციამ აღმოაჩინა და აღკვეთა ბირთვული მასალების გაყიდვის ოთხი მცდელობა, რის შედეგადაც შეიძლებოდა ატომური ბომბი დამზადებულიყო. 1994 წლის აგვისტოში ავიაკომპანია ლუფტჰანზას მოსკოვი-მიუნხენის რეისზე 350 გრამი ბირთვული საწვავი აღმოაჩინეს. ორი დღის შემდეგ დააკავეს გერმანიის მოქალაქე, რომელმაც პოლიციის ინფორმატორსს სუფთა პლუტონიუმი მიყიდა.[1] ასევე დიდ საშიშროებას ქმნის ბიოლოგიური და ქიმიური მასალების გადახედვის ფაქტები შავ ბაზარზე გაყიდვის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ ტერორისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების მცდელობა მხოლოდ ნოველებსა და ფილმებში აღარ გვხვდება. 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკელებმა დაინახეს, რომ ასეთი რამ ახლა უკვე სავსებით რეალურ საფრთხედ იქცა.

რა არის ტერორიზმი?

მიუხედავად მისი აქტუალურობისა, ***ტერორიზმი*** ბუნდოვან ცნებად რჩება. ზოგიერთი განმარტება ხაზს უსვამს ტერორიზმის ძალისმიერ მეთოდებს პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად. ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით, ტერორიზმი არის „ძალის ან მუქარის გამოყენება დაშინების, გავლენის მოხდენის მიზნით. იგი ხშირად გამოიყენება როგორც პოლიტიკური იარაღი.“ სხვა წყარო ტერორიზმს განმარტავს, როგორც „უდანაშაულო მოქალაქეებზე განზრახ თავდასხმას პოლიტიკური მიზნებით.“[2] ტერორიზმის განმარტებები მრავალრიცხოვანია, თუმცა მათი უმეტესობა რამდენიმე ფაქტორს ითვალისწინებს, როგორიცაა ძალადობა, სურვილი იმისა, რომ მომხდარი ფაქტი გახმაურდეს, პოლიტიკური მოტივი და მოსახლეობის გამიზნული დაშინება.[3] როგორც ამ თავში მოგვიანებით ვნახავთ, ტერორიზმის ჩვენეული განმარტება მის სტრატეგიასა და მეთოდებსაც მოიცავს.

ტერორიზმის რამდენიმე ფორმა არსებობს.[4] ზოგი მეცნიერი ტერორისტულ მოქმედებებს იმის მიხედვით ახარისხებს, (1) არის თუ არა იგი რომელიმე მთავრობის მიერ დაფინანსებული ან განხორციელებული ან (2) რამდენ ქვეყანას მოიცავს იგი (იხ. ცხრილი 15-2). ანუ, ***სახელმწიფო ტერორიზმი*** არსებობს მაშინ, როცა ხელისუფლება მისივე ქვეყნის მოქალაქეებზე ახორციელებს ტერორისტულ აქტებს, როგორც ეს ჰიტლერის დროის გერმანიაში ხდებოდა. ***საერთაშორისო ტერორიზმს*** უწოდებენ მოვლენას, როცა რომელიმე ქვეყნის ხელისუფლება შეიფარებს საერთაშორისო ტერორისტებს (როგორც ავღანეთის თალიბების მთავრობა მოიქცა ოსამა ბინ ლადენთან და ორგანიზაცია ალ ქაიდასთან მიმართებაში), აფინანსებს საერ-

თაშორისო ტერორისტულ ოპერაციებს ან რაიმე სხვა გზით უჭერს მხარს საერთაშორისო ტერორიზმს (ანუ ტერორიზმს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ ხორციელდება). ცივი ომის დროს შეერთებული შტატები ხშირად ადანაშაულებდა საბჭოთა კავშირს მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებში არსებული ანტიამერიკული ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსებასა და იარაღით დახმარებაში. საბჭოთა კავშირი ამ ბრალდებას პასუხობდა, რომ შეერთებული შტატების მთავრობაც მიმართავდა მსგავს მეთოდებს, როცა ეს ამერიკის ინტერესებში შედიოდა. ირანი, ერაყი, ლიბია, სუდანი, სირია, ჩრდილოეთი კორეა და კუბა ბოლო რამდენიმე წელია, შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებული საერთაშორისო ტერორიზმის ეჭვმიტანილთა სიაში ირიცხება [დღეისათვის ამ სიაში შედიან: კუბა, ირანი, სუდანი, სირია — მთარგმნ. შენ.]. ამ სიაში, რასაკვირველია, ავღანეთიც იყო 2001 წლამდე, როცა თალიბების რეჟიმი დაემხო.

ტერორიზმი: სუთი განმარტება

ტერორიზმის განმარტება ძნელია. ტერორისტული აქტები დიდ ემოციას იწვევს როგორც მის მსხვერპლში (ადამიანებში, ვინც ფიზიკურად დაშავდა ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო), ასევე მის უშუალო მომწყობშიც. შეერთებული შტატების მთავრობაც კი ვერ თანხმდება ერთიან განმარტებაზე. გამონათქვამი – „ის, ვინც ერთი ადამიანისთვის ტერორისტია, სხვისთვის თავისუფლებისთვის მებრძოლია," დღესაც აქტუალურია. გთავაზობთ ტერორიზმის რამდენიმე განმარტებას.

> ტერორიზმი არის ძალადობის ან მუქარის გამოყენება პოლიტიკური ცვლილების გამოწვევის მიზნით.
>
> — ბრაიან ჯენკინსი

> ტერორიზმი არის უდანაშაულო მოსახლეობის მიმართ ძალადობის უკანონო გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.
>
> — უოლტერ ლაკერი

> ტერორიზმი არის უდანაშაულო ადამიანების მიზანმიმართული და სისტემატური მკვლელობა, ჩაგვრა და მუქარა, რისი საშუალებითაც ხდება მოსახლეობის დაშინება მთავრობაზე გავლენის მოხდენისა და პოლიტიკური ან ტაქტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით.
>
> — ჯეიმს მ. პოლანი

> ტერორიზმი არის პოლიტიკური ან სოციალური მიზნებით ძალადობის ან მუქარის უკანონო გამოყენება ადამიანებისა თუ მათი საკუთრების მიმართ. იგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება რომელიმე ქვეყნის ხელისუფლების, ინდივიდების ან ჯგუფის დასაშინებლად და შესავიწროვებლად ან მათი ქცევის, პოლიტიკის შეცვლის მიზნით.
>
> — აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ოპერატიული სამსახური, 1986

> ტერორიზმი არის ადამიანების ან მათი საკუთრების მიმართ განხორციელე-

ბული ძალადობრივი აქტი ხელისუფლების, მშვიდობიანი მოსახლეობის ან მისი რომელიმე ნაწილის დასაშინებლად ან შესავიწროვებლად, რაიმე პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მისაღწევად.

— გამოძიების ფედერალური ბიუროს განმარტება

წყარო: *ადაპტირებულია ვებ გვერდიდან www.terrorism.com 2002 წლის 18 მაისი.*

ცხრილი 15.2

ტერორიზმის კლასიფიკაცია

ტიპი	კონტროლდება და იმართება რომელიმე მთავრობის მიერ?	ეხება თუ არა ერთზე მეტ ქვეყანას?
სახელმწიფო ტერორიზმი	კი	არა
საერთაშორისო ტერორიზმი	კი	კი
საშინაო ტერორიზმი	არა	არა
ტრანსნაციონალური ტერორიზმი	არა	კი

წყაროები: *ადაპტირებულია Charles W. Kegley, Jr., ed., International Terrorism: Characteristics, Causes, Controls (New York: St. Martin's Press, 1990), 5; and Edward Mickolus, 'Trends in International Terrorism, in International Terrorism in the Contemporary World, ed. Marius H. Livingston et al. (Westport, Conn.: Greenwood Press, 1978), 45.*

საშინაო ტერორიზმი ერთი ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება ტერორისტების მიერ, რომლებსაც მთავრობასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. ჩვეულებრივ, საშინაო ტერორიზმის მიზანი მოსახლეობაში შიშისა და უთანხმოების გამოწვევა და არსებული პოლიტიკური ინსტიტუტების დისკრედიტაციაა. ინგლისის, ესპანეთისა და დასავლეთის ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, შეერთებულ შტატებში ასეთი ტერორიზმი საკმაოდ იშვიათი იყო 1995 წლამდე, როცა ოკლაჰომა სიტის ფედერალური ოფისის შენობა ააფეთქეს, ხოლო 1996 წლის ზაფხულში ატლანტაში ოლიმპიური თამაშების დროს ბომბი აფეთქდა. ***ტრანსნაციონალური ტერორიზმი*** მაშინ ჩნდება, როცა სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებსაც არც ერთი მთავრობა არ აფინანსებს, ერთმანეთთან იწყებენ თანამშრომლობას, ან ასეთი დაჯგუფებების ტერორისტული ოპერაციები ერთი სახელმწიფო საზღვრებს სცილდება.

თანამედროვე ტერორიზმის გლობალურმა ხასიათმა ტერორიზმის საშინაო და საერთაშორისო ფორმებს შორის არსებული ზღვარი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა.[5] შეგვიძლია, კლასიფიკაციის სხვა მეთოდი ვცადოთ და ტერორისტული აქტები, რომლებიც არ არის რომელიმე მთავრობის მიერ დაფინანსებული ან განხორციელებული, ***ანტისახელმწიფოებრივ ტერორიზმში*** გავაერთიანოთ. ეს უკანასკნელი,

თავის მხრივ, შეიძლება ორ სახეობად დავყოთ: დაჯგუფებები, რომლებიც საკუთარ სამშობლოზე პოლიტიკური კონტროლის დაბრუნებას ცდილობენ, როგორც ბასკები ესპანეთში, ირლანდიელი კათოლიკეები ჩრდილოეთ ირლანდიაში, თამილები შრილანკაზე, სიქჰები ინდოეთში და ჩეჩნები რუსეთში. ისინი ***ნაციონალისტურ-სეპარატისტულ ტერორიზმს*** ახორციელებენ. ამ ტიპის ტერორიზმი, როგორც წესი, რომელიმე ერთი ქვეყნის საზღვრებს არ სცილდება, თუმცა ხშირად ხდება ისე, რომ ტერორისტები სხვა რადიკალური დაჯგუფებებისგან, უცხოელი კერძო დონორებისგან ან სხვა ქვეყნების მთავრობისგანაც კი იღებენ ფულს, იარაღსა და სხვა სახის დახმარებას. ხოლო ის დაჯგუფებები, რომლებიც საზოგადოების დესტაბილიზაციას რაიმე აბსტრაქტული რწმენის საფუძველზე ცდილობენ, ***იდეოლოგიურ ტერორიზმს*** ახორციელებენ. იდეოლოგია შეიძლება მარქსიზმის ან ისლამის რომელიმე განშტოებას წარმოადგენდეს,[6] ან შთაგონებად ფაშიზმი ან ანარქიზმი ედოს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „წითელი არმიის ფრაქცია“ გერმანიაში, „წითელი ბრიგადები“ იტალიაში, „ნათელი ბილიკი“ პერუში, „ისლამური ჯიჰადი“ ეგვიპტეში, ოსამა ბინ ლადენის „ალ ქაიდა“ და ასევე, რამდენიმე უკიდურესი მემარჯვენე დაჯგუფება შეერთებულ შტატებში. ხშირად, ასეთ დაჯგუფებებსაც აქვთ საერთაშორისო კავშირები.

ზოგჯერ ტერორიზმი შეიძლება ერთდროულად ნაციონალისტურ-სეპარატისტულიც იყოს და იდეოლოგიურიც. ამის მაგალითია ჰამასი (ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა), რომელიც დაუპირისპირდა მშვიდობიან მოლაპარაკებებს ისრაელსა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას შორის ისრაელის მიერ ოკუპირებული — მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირისა და ღაზას სექტორის შესახებ. ჰამასი ნაციონალისტურ-სეპარატისტული მოძრაობაა, რომელიც ისრაელის განადგურებასა და მის ადგილას რადიკალური ისლამური ქვეყნის შექმნას ცდილობს. მაგრამ მისი მოტივაცია ამავდროულად იდეოლოგიურიცაა, კერძოდ კი იგი ისლამური ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთ განშტოებას ეყრდნობა, რომელიც მომხრეებს მოუწოდებს ექსტრემიზმისა და ჯიჰადისკენ (წმინდა ომისაკენ). ჰამასის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ტერორიზმის განმარტება შედარებით უფრო ადვილია, ვიდრე მისი კლასიფიკაცია, რადგან ზოგი ტერორისტი ერთდროულად რამდენიმე კატეგორიას მიეკუთვნება.

ტერორიზმის წარმოშობა

ტერორიზმსა და რელიგიურ ფუნდამენტალიზმს შორის კავშირი ნამდვილად არსებობს — ისლამური ექსტრემიზმი ამის ნათელი მაგალითია. თუმცა, ბევრი ტერორისტი რელიგიური არ არის. ტერორისტული აქტების რეალურ განხორციელებამდეც რელიგიური ფუნდამენტალისტების ძალიან მცირე ნაწილი მიდის. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ტერორიზმის წარმოშობა შეგვიძლია რელიგიას დავუკავშიროთ, უფრო კონკრეტულად კი სამ საიდუმლოებით მოცულ რელიგიურ სექტას.[7]

თუგები ერთ-ერთი ინდუისტური სექტის წარმომადგენლები იყვნენ. რელიგიური მოსაზრების საფუძველზე საუკუნეების მანძილზე მათ ათასობით ადამიანი შეიწირეს. ეს სექტა საბოლოოდ მეცხრამეტე საუკუნეში დაიშალა. *ზელოტები*, ებრაელთა ექსტრემისტული დაჯგუფების წევრები, ძვ.წ. 66-73 წლებში სხვა რელიგიის წარმომადგენლებს ხოცავდნენ და კერპთაყვანისმცემელი რომის წინააღმდეგ

აჯანყების დაწყებას ცდილობდნენ. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში *ასასინებმა*, შიიტური მუსლიმური სექტის წარმომადგენლებმა, ისლამის „განწმენდის“ მიზნით, სხვა რელიგიების უამრავი წარმომადგენლის სიცოცხლე შეიწირეს. გვიან შუა საუკუნეებში და შემდეგ, რეფორმაციის პერიოდში, წარმოიშვა მრავალი სისხლისმღვრელი ქრისტიანული სექტაც.[8]

თანამედროვე რევოლუციური ტერორიზმი ხშირად ნაკლებად უკავშირდება რელიგიურ მოტივს, რაზეც მეტყველებს საფრანგეთის რევოლუციის ლიდერებისა და მეცხრამეტე საუკუნის რუსი ანარქისტების ნაშრომები და მოღვაწეობა.[9] ზოგი ექსპერტი მიმჩნევს, რომ თანამედროვე ტერორიზმს საფუძველი 1960-იანი წლების ბოლოს ჩაეყარა; ზოგი მისი ჩასახვის წლად კონკრეტულად 1968 წელსაც კი ასახელებს. 1960-იანი წლების ბოლოს მოხდა რასისტული დაპირისპირებები შეერთებულ შტატებში, კონფლიქტის ესკალაცია ვიეტნამში და არაბეთსა და ისრაელს შორის ექვსდღიანი ომი (1967 წელი). დღევანდელი ტერორიზმი ნაწილობრივ განაპირობა 1968 წელს მომხდარმა შემდეგმა მოვლენებმა:

- სამმა პალესტინელმა ტერორისტმა ისრაელის სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა და მის ეკიპაჟს ალჟირში ჩაფრენა აიძულა. ეს საჰაერო მეკობრეობის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო.
- დასავლეთ გერმანიაში ბაადერ-მაინჰოფის ბანდის წევრებმა პირველი ტერორისტული აქტი განახორციელეს — ფრანკფურტში დაწვეს მაღაზია.
- იასირ არაფატი, ისრაელის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მხარდამჭერი, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი გახდა.
- მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობამ შეერთებულ შტატებში განაპირობა ისეთი შიდა ტერორისტული დაჯგუფებების წარმოქმნა, როგორებიცაა „შავი პანტერები“ და „უეზერმენი“ [„ამინდის მთქმელი“ — სახელი მომდინარეობს ბობ დილანის ერთ-ერთი სიმღერიდან — მთარგმნ. შენ.].[10]

ამას გარდა, ტერორიზმისთვის ხელსაყრელ გარემოს შექმნას სულ ცოტა სამმა ისტორიულმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. პირველ რიგში, შეიძლება ითქვას, რომ ატომურ ეპოქაში სამხედრო დაპირისპირებებისა და კონფლიქტების გლობალური საშიშროება უზომოდ გაიზარდა (ჩვეულებრივი კონფლიქტი ან ომი, ვთქვათ, პაკისტანსა და ინდოეთს შორის, დღეს შეიძლება, მსოფლიო ომად გადაიქცეს). ამიტომ ქვეყნები, რომელთა ინტერესებიც გარკვეულ ტერორისტულ დაჯგუფებათა მიზნებს ემთხვევა, ზოგჯერ ამ დაჯგუფებებს მორალური, ფინანსური ან სამხედრო მხარდაჭერით უზრუნველყოფენ. ამგვარად, ტერორიზმი გარკვეულწილად ქვეყნებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დამხმარე საშუალებად იქცა. ტერორიზმის ხელშემწყობ მეორე ისტორიულ ფაქტორად დავასახელებთ ევროპული კოლონიალიზმის დასრულებას, რამაც მრავალ ახლადშექმნილ ქვეყანას მოსაგვარებლად დაუტოვა უამრავი ტერიტორიული, ნაციონალური და რელიგიური კონფლიქტი. შედეგად, ამ ქვეყნებში და მათ შორის გაჩაღდა ტერორისტული ქმედებებით გაჯერებული ომების სერია. ადამიანის უფლებებისა და სიცოცხლის მიმართ დემოკრატიული საზოგადოებების განსაკუთრებული პატივისცემა მესამე ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამან გამოიწვია ის, რომ ტერორისტულმა შემთხვევებმა მასმედიისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა. ამიტომ, 1960-იანი წლებიდან ასეთი ინცინდენტები ფართოდაა გახმაურებული, რაც ტერორისტებისთვის ხელსაყრელი რეკლამაა.



სქემა 15-1. *საერთაშორისო ტერორისტული აქტები 1981-დან 2000 წლის ჩათვლით. წყარო: აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, კონტრტერორიზმის კოორდინაციის ოფისი, „გლობალური ტერორიზმის მახასიათებლები", www.state.gov/s/ct/rls/pgtrpt/2000/2452.htm, 2002 წლის 14 მაისი.*

ტერორიზმი და ***კონტრტერორიზმი,*** ანუ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მასშტაბურ ინდუსტრიად XX საუკუნის 70-იან წლებში იქცა. არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვით ტერორისტული ინციდენტების რიცხვი 1971-1985 წლებს შორის ათჯერ გაიზარდა.[11] ტერორისტული აქტების რაოდენობა 1980-იან წლებში და მის შემდეგაც საკმაოდ დიდია (სქემა. 15-1). თუმცა, სხვადასხვა მონაცემში ეს რაოდენობა განხსვავებულია, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ტერორიზმის განსხვავებული განმარტებები განაპირობებს. „რისკს ინტერნეიშენალის" მონაცემებით, მაგალითად, 1985 წელს მომხდარი ტერორისტული შემთხვევების რაოდენობა 3000-ს აჭარბებს, შეერთებული შტატების მთავრობის მაჩვენებელი კი ოთხჯერ დაბალია.[12]

ასეა თუ ისე, ტერორიზმი გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ ძლიერ განვითარდა და დღემდე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. 2001 წელს შეერთებული შტატებისთვის ის უპირველეს საფრთხედ იქცა. მანამდე კი ტერორიზმი ბევრად აქტუალურ პრობლემა იყო დასავლეთ ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და აზიის ქვეყნებისთვის (სქემა 15-2). (საკვირველია, მაგრამ 1990-იანი წლების ბოლოს ტერორიზმი ახლო აღმოსავლეთში ბევრად იშვიათი მოვლენა იყო, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში, ჩრდილოეთ ამერიკის გარდა).

ტერორიზმის ლოგიკა

ხშირად ტერორისტული აქტების მიზანი შიშის და გაურკვევლობის ატმოსფეროს შექმნაა, რის შედეგადაც მოსახლეობას მოქმედი მთავრობის მიმართ ნდობა ეკ-

არგება და მას მხარს აღარ უჭერს. ტერორისტები ძალადობას ფსიქოლოგიურ იარაღად იყენებენ.

ტერორისტები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სტატუს კვოს: ისინი ცვლილებების ან ქაოსის, როგორც თვითმიზანის ან როგორც სასურველი ცვლილების წინაპირობის მიღწევას ცდილობენ. ტერორისტები არსებულ ვითარებას დაუშვებლად მიიჩნევენ და დაკარგული აქვთ იმედი, რომ მათთვის სასურველი ცვლილებები პროტესტის გამოხატვის მშვიდობიანი მეთოდების ან პოლიტიკური ქმედებების შედეგად მოხდება. ხშირად ტერორისტების მიზანი იმდენად რევოლუციის მოხდენა არ არის, რამდენადაც მთავრობის მხრიდან რეპრესიული ქმედებების პროვოცირე-



სქემა 15-2. *საერთაშორისო ტერორისტული აქტების საერთო რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 1995-2000*

წყარო: აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, კონტრტერორიზმის კოორდინაციის ოფისი, „გლობალური ტერორიზმის მახასიათებლები“, www.state.gov/s/ct/rls/pgtrpt/2000/2452.htm, 2002 წლის 14 მაისი.

ბა, რის შედეგადაც მთავრობა სუსტი და უსუსური ჩანს. ამგვარად, მათი აზრით, საფუძველი ეყრება მომავალ რევოლუციას.

ტერორიზმი ხშირად არა ყველაზე უსამართლო, არამედ ყველაზე სუსტი ხელისუფლების მქონე ქვეყნებში გვხვდება. ტერორიზმის ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს: „ჩვენს დროში ტერორიზმისგან ყველაზე დაცული საზოგადოებები სწორედ ისინია, სადაც პოლიტიკაში ჩარტულობის დონე დაბალია და უსამართლობის დონე — მაღალი“.[13] შეგვიძლია დავამატოთ, რომ ტერორისტული თავდასხმების ყველაზე ხშირი ობიექტები ის საზოგადოებებია, რომლებშიც პოლიტიკაში მონაწილეობის დონე მაღალია, უსამართლობისა კი — დაბალი. შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო სამხედრო და ეკონომიკური სტანდარტებით სუსტები ნამდვილად არ არიან, მაგრამ ტერორიზმი ორივე ამ ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემაა.

ტერორისტული ტაქტიკა

ტერორიზმს ხშირად უწოდებენ სუსტების იარაღს ძლიერთა წინააღმდეგ. ტერორისტული აქტების განხორციელება იმ ინდივიდებისთვის და პატარა დაჯგუფებებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც რესურსების ნაკლებობას განიცდიან. მათი სამიზნეები, როგორც წესი, დაუცველია. ტერორიზმს დიდი ფული არ სჭირდება, ის შეიძლება ისეთ ქმედებებს ეფუძნებოდეს, რომლებიც ჩვეულებრივ დანაშაულთან ასოცირდება (მაგალითად, შეიარაღებულ ძარცვასთან).

ტერორისტთა იარაღი ხშირად იაფფასიანი და თვითნაკეთია (მაგალითად, პატარა ზომის ცეცხლსასროლი იარაღი და დინამიტი), მაგრამ, როგორც ვიცით, ისინი ზოგჯერ ძალიან მასშტაბური და დახვეწილიცაა (მაგალითად, სამგზავრო თვითმფრინავები, რომლებსაც სამიზნის გასანადგურებლად იყენებენ ან ციმბირული წყლულის (ჯილეხის) სასიკვდილო ვირუსი). ტერორისტული მეთოდები უკვე საკმაოდ ნაცნობი გახდა. რკინიგზის ხალხმრავალ სადგურებზე ბომბის დამონტაჟება, მდიდარი ბიზნესმენების გატაცება და სამგზავრო თვითმფრინავების აფეთქება საკვირველ ან თუნდაც უჩვეულო მოვლენებად უკვე აღარ მიგვაჩნია.

ტერაქტების ობიექტი, ჩვეულებრივ, მშვიდობიანი მოსახლეობაა, მაგრამ ზოგჯერ მათი სამიზნე მსოფლიო ლიდერებიც ხდებიან. ტერორისტულ დაჯგუფებებს ბრალად ედებათ მრავალი ადამიანის მკვლელობა. მათ შორისაა იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალდო მორო (1978), დედოფალ ელისაბედის ბიძაშვილი, ერლ მაუნტბატენი (1979), ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი (1981), ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი (1984) და მისი შვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი (1991). ტერორისტებმა ასევე სცადეს რომის პაპის იოანე პავლე II-ის (1981), ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერისა (1984) და მისი შემცვლელის, ჯონ მეიჯორის (1991) მოკვლა. შესაძლოა (თუმცა დაზუსტებული არ არის), 11 სექტემბრის ტერაქტის ერთ-ერთი ობიექტი თეთრი სახლიც ყოფილიყო. თუ ასეა, ტერორისტებს, ალბათ, შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოკვლის იმედიც ჰქონდათ.

ურთიერთდამოკიდებულება ტერორისტულ მეთოდებსა და მათ ობიექტებს შორის კარგად ჩანს ბრაზილიელი ტერორისტის, კარლოს მარიგელას ცივ და საშიშ ნაწარმოებში „სახელმძღვანელო ურბანული პარტიზანული ომებისათვის“, რომელიც 48 გვერდში ასწავლის მოყვარულ ტერორისტებსა და რევოლუციონერებს

ხიდების აფეთქების, გატაცებისა და ბანკების გაძარცვის საშუალებით ფულის შოვნასა და მტრების „ფიზიკურ ლიკვიდაციას“. წიგნში უამრავი „რჩევაა“, მაგალითად, მანქანის, თვითმფრინავისა და გემის მართვის სწავლა; მექანიკური და რადიოგადამცემი მოწყობილობების ტექნიკის დაუფლება; ფიზიკური ფორმის შენარჩუნება; ფოტოგრაფიისა და ქიმიის შესწავლა; „კალიგრაფიის სრულყოფილი ცოდნის“ შეძენა; ფარმაკოლოგიის, პირველადი დახმარებისა ან მედიცინის შესწავლა. წიგნი ასევე ხაზს უსვამს, რომ საჭიროა პირველმა დაარტყა და ამასთან, სწორად დაუმიზნო.

ძირითადათ, ტერორისტები პოლიტიკური აქტივობის ყველა სხვა ფორმასთან შედარებით უპირატესობას ძალადობას ანიჭებენ. მეტიც, ისეთი რევოლუციონერები, როგორიც მარიგელაა, ძალადობას მიიჩნევენ არა აუცილებელ სისასტიკედ, არამედ გათავისუფლებისა და შემოქმედების პოზიტიურ ფორმად.[14] მარიგელას აზრით, ტერორიზმი მაშინ არის წარმატებული, როცა სტრატეგია და ტაქტიკა ერთიანდება:

> „მთავრობას რეპრესიის გაძლიერების გარდა სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. პოლიციის პატრულირება, სახლების გაჩხრეკა, უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრება ქალაქში ცხოვრებას აუტანელს ხდის. მთავრობა წარმოჩნდება, როგორც უსამართლო, პრობლემის გადაჭრის უნარის არმქონე... პოლიტიკური სიტუაცია სამხედრო სიტუაციად გარდაიქმნება, როცა ძალოვანები სულ უფრო ხშირად უშვებენ შეცდომებს და იყენებენ ძალადობას... პაციფისტები და მემარჯვენე ოპორტუნისტები... ერთიანდებიან, და ჯალათებს არჩევნებს სთხოვენ.“[15]

ურბანული (საქალაქო) პარტიზანული ომების მომხრეები უარყოფენ ეგრეთ წოდებულ „პოლიტიკურ გამოსავალს“ და უფრო მეტად ემხრობიან აგრესიასა და ძალადობას, მიმართავენ საბოტაჟს, ტერორიზმს, ექსპროპრიაციას, თავდასხმებს, გატაცებებსა და მკვლელობებს, ამძაფრებენ პრობლემებს, რომელსაც მთავრობა უნდა გაუმკლავდეს.[16]

ურბანული პარტიზანული ჯგუფი, სახელად „ტუპამაროსი,“ 1963-1972 წლებში ურუგვაის ატერორებდა მთავრობის გადაგდების მიზნით. „ტუპამაროსი“ მარიგელას რევოლუციური პრინციპების ხორცშესხმა იყო და შთაგონების წყაროდ იქცა მთელი მსოფლიოს ტერორისტებისა და ექტრემისტებისტებისთვის. აღსანიშნავია, რომ „ტუპამაროსის“ საფრთხეს ურუგვაიში მხოლოდ მას შემდეგ მოეღო ბოლო, რაც მისი წევრების უმრავლესობა მთავრობის მასშტაბური ოპერაციის შედეგად დაიხოცა. დღეს ურუგვაი მშვიდობიანი, დემოკრატიული ქვეყანაა.

ტერორისტული აქტები და ომი

ალ ქაიდას მოქმედებას, როცა მისმა მებრძოლებმა 2001 წლის 11 სექტემბერს გაიტაცეს ოთხი კომერციული თვითმფრინავი, სამი მათგანი წარმატებით შეაჯახეს ხალხით სავსე შენობებს — მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით თუ ვუწოდებთ საომარ მოქმედებას. ისინი ამ დროს ტერორისტულ აქტს ახორციელებდნენ. როდესაც 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონელმა კამიკაძე პილოტებმა საომარი თვითმფრინავები პერლ ჰარბორთან ამერიკულ სამხედრო გემებს შეაჯახეს, ეს, უპირველეს

ყოვლისა, საომარი მოქმედება იყო და მხოლოდ შემთხვევით — ტერორისტული აქტი, თუ საერთოდ შეიძლება მას ტერორისტული აქტი ეწოდოს. იაპონელთა მოულოდნელი თავდასხმა ზუსტად იქნა შესრულებული: ერთი ხელის მოსმით მათ ჩაძირეს აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის საომარ გემთა დიდი ნაწილი. ომის ჟარგონით, ეს თავდასხმა წინმსწრები დარტყმის კლასიკური მაგალითია. რაც არ უნდა საშინელი და ვერაგული ყოფილიყო ამერიკელთათვის იმ დროს ეს ოპერაცია, ის ძალიან წარმატებული იყო, როგორც სტრატეგიული მოვლენა (ცხადია, მთლიანი ომის პერსპექტივაში, ის განსხვავებულ ასპექტს იძენს: მან მოახერხა ამერიკელი ხალხის გამოწვევა ისე, როგორც სხვა ვერაფერი შეძლებდა ამას და მწვანე შუქი აუნთო პრეზიდენტ რუზველტს, რათა დაესვა საკითხი კონგრესში იაპონიისა და გერმანიისათვის ომის გამოცხადების თაობაზე).

ამ ორ მოვლენას — 11 სექტემბრის თავდასხმებსა და პერლ ჰარბორს — ხშირად ერთმანეთს ადარებენ, მაგრამ ისინი, ცხადია, განსხვავებულ კატეგორიებს განეკუთვნებიან. პერლ ჰარბორი იყო შედეგი იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც მიიღეს აშშ-სთან იმ დროს დიპლომატიური ურთიერთობების მქონე სახელმწიფოთა მთავრობებმა და უმაღლესმა სამხედრო პირებმა: ამას, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, შეიძლება საომარი მოქმედება ვუწოდოთ. მეტიც, დარტყმა მიმართული იყო სამხედრო სამიზნეებზე — იაპონელ პილოტებს შეეძლოთ სამოქალაქო სამიზნეებისათვისაც დაერტყათ ჰავაის კუნძულებზე, მაგრამ ისინი ასე არ მოქცეულან. და ბოლოს, ეს თავდასხმები არ განხორციელებულა იმისათვის, რომ დესტაბილიზაცია გამოეწვია და დაემხო აშშ-ის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ხელისუფლება. მისი მიზანი იყო გაენადგურებინა აშშ-ის საზღვაო ძალები წყნარ ოკეანეში და ამით თავიდან აეცილებინა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა იაპონიის გეგმებში აზიის იმპერიალისტური გადანაწილების თაობაზე.

11 სექტემბრის თავდასხმა ამ სამ არგუმენტს მწვავედ უპირისპირდება. ის არ იყო შემუშავებული და განხორციელებული სახელმწიფოს მიერ (თუმცა, ავღანეთმა თავშესაფარი მისცა ალ ქაიდას ქსელის წამყვან ლიდერებსა და მის ბევრ მებრძოლს). ტერაქტი, ძირითადად, მიმართული იყო სამოქალაქო პირების წინააღმდეგ. ეს თავდასხმა მიზნად ისახავდა აშშ-ის სისუსტის გამოაშკარავებას, მისი მთავრობის შერცხვენას, ამერიკის ეკონომიკური ძალისთვის ძირის გამოთხრასა და პენტაგონის იმიჯის დაკნინებას როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ამასთან, ეს თავდასხმები განხორციელდა ოსამა ბინ ლადენის რადიკალური ისლამიზმის მხარდასაჭერად, რათა მათ საბოლოოდ დაემხოთ ე.წ. „მოღალატე“ მთავრობები არაბულ სამყაროში (მათ შორის ბინ ლადენის სამშობლოში — საუდის არაბეთში).

ტერორისტული ჯგუფების მახასიათებლები

მსოფლიოში 600-ზე მეტი ტერორისტული დაჯგუფება არსებობს.[17] როგორც წესი, ისინი მცირერიცხოვანნი და მჭიდროდ შეკრულნი არიან, მათი რიცხვი 100-ზე მეტ წევრს იშვიათად სცილდება და ძირითადად რამდენიმე ათეულზე ნაკლებს ითვლის. ყველაზე ცნობილ ტერორისტულ დაჯგუფებთაგან ბევრი ახლო აღმოსავლეთში გვხვდება და დაკავშირებულია ისლამურ ფუნდამენტალიზმთან (აბუ ნიდალის ორგანიზაცია, ალ ქაიდა, ისლამური ჯიჰადი, ჰეზბოლა (ღვთის პარტია) და ჰამასი). რადგანაც ეს დაჯგუფებები ეთნიკურად და პოლიტიკურად ჰომოგენურია

— ზოგჯერ მისი წევრები ერთმანეთის ახლო მეგობრები და ნათესავებიც კი არიან — უაღრესად ძნელია ამ ტერორისტულ ქსელებში შეღწევა და მათი კონტროლი. ხშირად ამისათვის დაზვერვის საუკეთესო სამსახურები ერთად მუშაობენ.

2001 წლის დეკემბერში, ბინ ლადენის ვიდეოჩანაწერის გავრცელების შემდეგ, მსოფლიომ შეიტყო, რომ ალ ქაიდა მოქმედებს ,,იცოდე, რაც საჭიროას" პრინციპით, მკაცრად იცავს და ანაწევრებს ინფორმაციას ორგანიზაციის შიგნით იერარქიებს შორისაც კი. ეს ძალიან წაგავს ოფიციალური სადაზვერვო სამსახურების პრაქტიკას. კონტრდაზვერვასთან ამგვარი მსგავსება არსებითი მნიშვნელობისაა ტერორისტული ჯგუფებისა და ქსელების წარმატებისა და გადარჩენისათვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აშშ-ში, ევროპაში, არაბულ სამყაროსა და დანარჩენ მსოფლიოში უსაფრთხოების ზომები უაღრესად გამკაცრებულია.

საუდელი მდიდარი ოსამა ბინ ლადენი აშშ-ზე განხორციელებული ტერორისტული შეტევების სულისჩამდგმელი იყო. ეს თავდასხმა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის განადგურებით დასრულდა.

ამის გათვალისწინებითაც ტერორისტული დაჯგუფებების არსებობის ხანგრძლივობა ხუთიდან ათ წლამდე მერყეობს. მათი ლიდერებიც ვერ ინარჩუნებენ ძალაუფლებას რამდენიმე წელზე მეტ ხანს (თუმცა, აქაც არსებობს გამონაკლისები. აბუ ნიდალი, ბურუსით მოცული ფიგურა, 1980-იან წლებში სამოგზაურო გემის „აჩილე ლაუროს" გატაცებისა და რომისა და ვენის აეროპორტებზე თავდასხმების ინიციატორი [აბუ ნიდალი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა 2002 წელს, ბაღდადში — მთარგმნ. შენ.]. ასევე, ოსამა ბინ ლადენი, ალ ქაიდას დამფუძნებელი და პირველი ფიგურა). ტერორისტული ჯგუფები იშვიათად მოქმედებენ მუდმივი ადგილსამყოფელიდან. ტერორისტები შედარებით მცირე წვრთნას გადიან, არ იყენებენ რთულ

იარაღს, აქვთ ხელსაწყოები, როგორსაც ჩეულებრივი ქურდები ფლობენ, ზოგიერთი მათგანის შოვნა შეიძლება ნებისმიერ საბითუმო ტექნიკის მაღაზიაში. ცხადია, ეს დახასიათება არ მიესადაგება 11 სექტემბრის თავდასხმების ორგანიზატორებს.

ტერორიზმი ალჟირში: თანამედროვე მაგალითი

1990-იან წლების ალჟირში ძნელი იყო ხაზის გავლება ისლამურ ფუნდამენტალიზმსა და ტერორიზმს შორის ან რევოლუციასა და სამოქალაქო ომს შორის. ალჟირი ყველაზე ცხადად წარმოგვიდგენს იმ ტენდენციებს, რომლებიც არაბულ სამყაროში აღინიშნება, მაგალითად ეგვიპტესა და საუდის არაბეთში, სადაც ტერორიზმი იქცა ექსტრემისტული დაჯგუფებების ერთგვარ ტაქტიკად (ისინი იღვწოდნენ რეგიონში სამოქალაქო ხელისუფლებების დასამხობად).

ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლის შემდეგ, 1962 წელს, ალჟირმა საფრანგეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამის შემდეგ ქვეყანას დაახლოებით 30 წელი უმეტესად პრომარქსისტული სამხედრო პირები მართავდნენ, რის გამოც მუსლიმური ფუნდამენტალიზმის უკმაყოფილება სახიფათოდ გაიზარდა. ამ მღელვარებისგან წარმოიშვა პოლიტიკური ორგანიზაცია ისლამის გადარჩენის ფრონტი. მოგვიანებით, 1991 წელს, როდესაც ალჟირში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა, ფრონტმა პირველსავე ტურში მიაღწია წარმატებას. თუმცა, 1992 წელს სამხედროებმა გააუქმეს არჩევნების შედეგები და დანიშნეს ახალი პრეზიდენტი. ამ ცინიკურმა აქტმა ფრონტის რადიკალიზაცია გამოიწვია და იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნისკენ უბიძგა. მეტიც, მან დაანაწევრა შეიარაღებული ისლამისტური მოძრაობა და პირველობა ყველაზე ექსტრემალურ ჯიჰადურ ელემენტებს — ტოტალური ტერორიზმის მომხრეებს დაუთმო. 1992 წლის ბოლოს წარმოიშვა შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფება როგორც მკვლელთა, სისხლისმღვრელთა ორგანიზაცია — ნაკ-ლებად ძალადობრივი და უკომპრომისო გადარჩენის ფრონტის ალტერნატივა.

პოლიციაზე, უსაფრთხოების ძალებსა და სამთავრობო პირებზე ისლამისტური დაჯგუფებების პირველ თავდასხმებთან ერთად, ალჟირში ტერორისტული კოშმარი დაიწყო. სულ მალე ტერორისტებმა მიზანში სხვა დაჯგუფებებიც ამოიღეს. 1993-94 წლებში ათობით თავდასხმა განხორციელდა ოპოზიციურ დაჯგუფებებზე, უცხოელებზე, ინტელიგენციაზე, ჟურნალისტებსა და უბრალო მოქალაქეებზე. 1995-დან 1998 წლამდე ტერორისტულ აქტთა მხოლოდ 25% იყო მიმართული უსაფრთხოების ძალთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ, დანარჩენი 75% კი — მოქალაქეებზე (იხ. ცხრილი 15-3). სკოლები და სკოლის პერსონალი თავდამსხმელების „საყვარელ“ სამიზნეთა შორის იყვნენ.

როცა სტრატეგია შეიცვალა და ტერორისტების სამიზნეში მოქალაქეები მოექცნენ, შეიცვალა აჯანყებულთა ტაქტიკაც. 1996 წელს უფრო მეტი იყო აფეთქება, ვიდრე მკვლელობა, სისხლისმღვრელი შეტაკებები სამართალდამცავებთან და ორგანიზებული შეიარაღებული თავდასხმები (იხ. ცხრილი 15-4). ადრე, ძირითადად, სამთავრობო შენობებსა და პოლიციის განყოფილებებს აფეთქებდნენ. 1990-იანი წლების შუა რიცხვებიდან გახშირდა ბაზრების, კინოთეატრების, რესტორნებისა და სკოლების აფეთქებები.

ალჟირის ისლამური მოძრაობის შესახებ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელისუფლებათა ცნობების თანახმად:

ძალადობამ სისასტიკის უკიდურეს დონეს მიაღწია მასობრივ სასაკლაოთა სერიებში, რომელიც დაწყო 1996 წლის ბოლოს. 1996 წლის ნოემბრიდან 1999 წლის ივლისამდე სულ მცირე 67 მასობრივი მკვლელობა მოხდა. მათი უმეტესობა 1997 წელს აღინიშნა (41 შეტაკება). ამ შეტაკებებში მონაწილეობდნენ ავტომატებით, ყუმბარებით, დანებითა და ნაჯახებით შეიარაღებული სამხედრო აქტივისტები. ისინი თავს ესხმოდნენ სოფლებს ღამით, რათა ამოეხოცათ მაცხოვრებლები. ხშირად მათ ჩეხავდნენ და ყელს ღადიდნენ. დაუცველი იყო საკონტროლო-გამშვები პუნქტები, სამხედრო აქტივისტები გეგმავდნენ სპეციალური სამიზნეების, მაგალითად, სახელმწიფო მოხელეების ან მაღალი სამხედრო ჩინის მქონე პირების ლიკვიდაციას.[18]

ცხრილი 15.3

ალჟირელი ისლამისტი აქტივისტების სამიზნეები 1992-დან 1998 წლამდე*

წელი	*პოლიცია და სამართალ-დამცავები*	*სამთავ-როგო პირები*	*ოპოზიცი-ური დაჯგუ-ფებები*	*უცხოე-ლები*	*ინტელი-გენცია და ჟურნა-ლისტები*	*მოძალა-ძეები*	*სულ*
1992	*28*	*1*	*0*	*2*	*2*	*5*	*38*
1993	*43*	*26*	*1*	*10*	*7*	*1*	*88*
1994	*25*	*18*	*12*	*19*	*15*	*14*	*103*
1995	*31*	*17*	*11*	*10*	*27*	*37*	*133*
1996	*18*	*8*	*3*	*3*	*6*	*49*	*87*
1997	*19*	*5*	*3*	*0*	*0*	*98*	*125*
1998	*7*	*0*	*0*	*0*	*0*	*60*	*67*
სულ	*171*	*75*	*30*	*44*	*57*	*264*	*641*

** დადგენილია თითოეულ კატეგორიაში ცალკეული თავდასხმების რიცხვთა და არა მსხვერპლთა მთლიანი რაოდენობის მიხედვით.*

წყაროები: *მონაცემები შეგროვილია Middle East Journal და Middle East International-ის ქრონოლოგიის სექციებიდან. აქ მოცემულია მხოლოდ ისეთი შემთხვევები, რომლებშიც დადგენილია მოვლენის თარიღი და ადგილმდებარეობა. ბევრი ინციდენტი არ არის შეტანილი ამ ცხრილში, რადგან ისინი არ უზრუნველყოფენ საკმარის ინფორმაციას მისი სანდოობის დასამტკიცებლად. იმის მიუხედავად, რომ ეს პროცედურა სათანადოდ ვერ აფასებს ალჟირში ძალადორბრივ ინციდენტებს, ის საკმაოდ სანდოდ ასახავს ძალადობის ტენდენციებს.*

ალჟირის მთავრობა ყოველივე ამას უპირისპირდებოდა ძალისმიერი პოლიტიკით — ტერორისტთა ადგილზე ლიკვიდაციით. მოგვიანებით მან დადო პოლიტიკური რეფორმის პირობა. 1996 წლის ნოემბერში უმრავლესობამ აღიარა მთავრობის მიერ მხადაჭერილი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ხალხშიც პოპულარობით სარგებლობდა. ცვლილებებს ალჟირს შეზღუდული დემოკრატიისაკენ მიჰყავდა. მთავრობამ შეძლო შეემცირებინა ისლამისტური რადიკალური დაჯგუფებები, შეინ-

არჩუნა ძალაუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებაში და აკრძალა რელიგიაზე დაფუძნებული ყველა სახის პოლიტიკური პარტია (ამრიგად, 1997 წლის ივლისის არჩევნების დროს ისლამის გადარჩენის ფრონტსა და მის მსგავს დაჯგუფებებს უფლება არ ჰქონდათ თავიანთი კანდიდატურები წამოეყენებინათ, შეეძლოთ მხოლოდ მოსახლეობისათვის არჩევნების ბოიკოტისკენ მოწოდება).

ფრონტმა უარყო და გააკრიტიკა ახალი კონსტიტუცია და განაგრძო ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ 1997 წლის სექტემბრამდე, როდესაც მისმა შეიარაღებულმა ფრთამ, ისლამის გადარჩენის არმიამ, ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა. მაგრამ ყველაზე სისხლიან მასობრივ მკვლელობებში არა გადარჩენის არმიის, არამედ ისლამური დაჯგუფების თავზეხელაღებულ ბანდიტთა და ფანატიკოსთა ჯგუფები მონაწილეობდნენ. მთავრობის წევრებს სურდათ ტერორისტთა მოძებნა და ლიკვიდაცია და არა მათთან მოლაპარაკება. არცი ისინი იყვნენ კომპრომისის მომხრე.

ცხრილი 15.4

ალჟირელი ისლამისტების მეთოდები 1992-98 წლების აჯანყების დროს*

წელი	*მშვიდობიანი დემონსტ-რაცია*	*ძალადობრივი შეტაკება*	*აფეთქება და საბოტაჟი*	*მკვლელობა და შეიარაღებული შეტაკება*	*სულ*
1992	*5*	*15*	*10*	*14*	*44*
1993	*0*	*19*	*4*	*62*	*85*
1994	*0*	*16*	*10*	*73*	*99*
1995	*0*	*8*	*43*	*68*	*119*
1996	*0*	*9*	*42*	*25*	*76*
1997	*0*	*10*	*34*	*63*	*107*
1998	*0*	*11*	*22*	*46*	*79*
სულ	*5*	*88*	*165*	*351*	*609*

* *მონაცემები შეგროვილია იმავე გზით, როგორც 15-3 ცხრილის მონაცემები*

1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა ყინული გაალღო. მთავრობამ გაათავისუფლა რამდენიმე პოლიტპატიმარი და მხარი დაუჭირა სამოქალაქო შერიგების/მშვიდობის აღდგენის კანონს. ამით, ამნისტია ვრცელდებოდა აჯანყებულებზე, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა სისატიკეში, ვანდალურ აქტებში. გადარჩენის არმიამაც ისარგებლა ამნისტიით და 1999 წელს დაიწყო თავისი სამხედრო აქტივისტების დემობილიზაცია სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ. ათასობით აქტივისტმა ისარგებლა რეჟიმის მიერ მინიჭებული ამნისტიით. 2000 წლის დასაწყისიდან ისლამისტური დაჯგუფების აქტივისტებმაც დაიწყეს ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადება. ამის მიუხედავად, ალჟირში მასობრივი ჟლეტის კიდევ რამდენიმე ფაქტი

დაფიქსირდა, თუმცა უფრო იშვიათად, ვიდრე სისხლიან — 1994-1998 წლებში.

მთელი ამ დროის განმავლობაში ალჟირი იტანჯებოდა სერიოზული ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით. გაზისა და ნავთობის დიდი მარაგის მიუხედავად, ალჟირში ადამიანები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ. უმუშევრობა 25%-ს აღწევს. 1997 წელს მოსახლეობის ნახევარზე მეტი 20 წელზე ახალგაზრდა იყო (ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უმუშევრობა ყველაზე მტკივნეულად ახალგაზრდობას აწვება ტვირთად. ამას შეუძლია ნაწილობრივ ახსნას, რატომ არის ამდენი ტერორისტი და რევოლუციონერი ახალგაზრდა). მეტიც, სახეზეა მოუგვარებელი ეთნიკური დაყოფა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერბერები, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ და თავს გაუცხოებულად და დაჩაგრულად გრძნობენ. ეს გრძნობა უფრო ინტენსიური გახდა, მას მერე, რაც ალჟირმა არაბული ოფიციალურ ენად გამოაცხადა, რითაც გააღიზიანა ბერბერულად და ფრანგულად მოლაპარაკენი. ამ პრობლემების იგნორირება გრძელდება, რადგან რეჟიმი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მილიტარისტი ისლამისტებისგან შექმნილ საფრთხეზე, რომლებიც ცდილობენ ალჟირი თეოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნან.

ვინ არიან ტერორისტები?

ნორმალურ ქვეყნებში წყნარად მცხოვრები ადამიანებისათვის ძნელია 1990-იან წლებში ალჟირში განვითარებულ საშინელებათა გაგება. ვინ არიან ამ ტერორისტული აქტების განმახორციელებლები? საიდან მოდიან ისინი? რით განსხვავდებიან ტერორისტები ჩვეულებრივი კრიმინალებისგან, პარტიზანებისა ან რევოლუციონერებისგან? რა აიძულებს ადამიანებს, მიმართონ ტერორს?

ტერორისტების კლასიფიკაცია: კრიმინალები, პარტიზანები თუ რევოლუციონერები?

რა არის ტერორიზმისათვის დამახასიათებელი? ტერორიზმი და ფანატიზმი ერთმანეთთან მჭიდროდაა ასოცირებული. მაგრამ როგორ შეიძლება ამ სახის ფანატიზმის გაგება? აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ტერორიზმს ეპყრობა, როგორც პოლიტიკურ ფენომენს, ტერორისტებს კი პოლიტიკური საქმიანობისათვის ძირის გამომთხრელ ადამიანებად თვლის. ეს მიდგომა ხაზს უსვამს მთლიანად ტერორიზმის არალეგალურობას და მხარს უჭერს მასთან ბრძოლას სწრაფი დასჯითა და შესაფერისი სიფრთხილით. ამ მიდგომის კრიტიკოსები (მათ შორის ევროპისა და ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყანა) ტერორიზმს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ პრობლემად მიიჩნევენ. იმის მიუხედავად, რომ ეს ქვეყნები არ არიან ტერორისტთა დასჯის წინააღმდეგნი (და ამას თავადაც აკეთებენ), ისინი, როგორც წესი, თანაუგრძნობენ სოციალურ ფენებს და ეთნიკურ ერთობებს, რომელთა წარმომადგენლობასაც იჩემებენ ტერორისტები. მათი აზრით, ტერორიზმი გაქრება მხოლოდ მაშინ, როცა უსამართლობის, სასოწარკვეთისა და უიმედობის მიზეზები აღმოიფხვრება.

აშშ და ისრაელი ფილოსოფიური წყალგამყოფის ერთ მხარეს არიან, ევროპა — მეორე მხარეს. არაბული სამყარო გაყოფილია: ისლამური ფუნდამენტალიზმი ანათემაა ეგვიპტისათვის, ალჟირისა და იორდანიისათვის, მაგრამ აღიარებულია

სუდანში. საუდის არაბეთის მდგომარეობა ამბივალენტურია, ის უფრთხის ისლამურ ფუნდამენტალიზმს და ამავდროულად ამაყობს თავისი როლით, როგორც ისლამის დაბადების ადგილი და რწმენის დამცველი. იქაც კი, სადაც ხელისუფლება ავიწროებს ისლამისტურ დაჯგუფებებს, ბევრი ადამიანი საიდუმლოდ კეთილგანწყობილია მათ მიმართ. პალესტინაში კეთილგანწყობა ისეთი დაჯგუფებების მიმართ, როგორიცაა ჰამასი და ჰეზბოლა, დიდია და ფაქტობრივად, აშკარაც. ბევრი არაბი აღიარებს, რომ მთელს არაბულ სამყაროში ადამიანები აღტაცებულნი არიან ოსამა ბინ ლადენით. მართლაც, მონაცემების თანახმად, ბევრ ქვეყანაში ოსამა ყველაზე გავრცელებული სახელია ჩვილ ვაჟებში.

დასავლეთი თანხმდება იმაზე, რომ ტერორისტები კრიმინალები არიან, თუმცა არავითარ შემთხვევაში — ჩვეულებრივი კრიმინალები. მკვლელობა, მოტაცება, ბანკების გაქურდვა და თვითმფრინავების გატაცება საზიზღარი დანაშაულია, იმის მიუხედავად, ვინ და რატომ განახორციელებს მას. ეს ტერორისტული აქტებია, თუ მათი მოტივი პოლიტიკურია. როცა სერიული მკვლელები თავიანთ „საქმეზე“ მიდიან, უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან და მთელი საზოგადოება დაშინებულია. მაგრამ ამ მკვლელობების მიზანი არ არის ერთობათა დაშინება და ცხადია, არც პოლიტიკური მიზნების მიღწევა. ისინი, უპირველეს ყოვლისა, მკვლელები არიან და მხოლოდ შემთხვევით — „ტერორისტები“. დროდადრო ტერორისტები თანამშრომლობენ კრიმინალებთან ან კრიმინალები იყენებენ მათ ტაქტიკას, მაგრამ ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია და, როგორც წესი, ნარკოტერორისტების სახელთანაა დაკავშირებული. შეიარაღებული აჯანყებები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კოლუმბია და პერუ, ასოცირებულია ძალაუფლების მქონე ნარკობარონებთან. ორივე მათგანი ცდილობს ძირი გამოუთხაროს ლეგიტიმურ პოლიტიკურ ხელისუფლებას და დაამარცხოს (ან გადაიბიროს) მთავრობის შეიარაღებული ძალები.

თუ ტერორისტები არ არიან ჩვეულებრივი კრიმინალები, მაშინ ისინი არც ჩვეულებრივი პარტიზანები ან „თავისუფლებისათვის მებრძოლები“ არიან, როგორც ხშირად თავად ირწმუნებიან ხოლმე. პარტიზანები შეადგენენ რევოლუციური მოძრაობის ან პარტიის შეიარაღებულ ფრთას. მაოს წითელი არმია, ალბათ, ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია. პარტიზანული ძალები ითრევენ მთავრობას შეიარაღებულ ბრძოლაში. არავის შეუძლია იმის მტკიცება, რომ პარტიზანებს არასდროს ჩაუდენიათ სისასტიკე მოქალაქეების მიმართ (ან ის, რომ უნიფორმიანი ჯარისკაცები ამას არასდროს აკეთებენ), მაგრამ ყველაზე მწვავე ძალადობა მიმართულია სახელისუფლებო და უსაფრთხოების ძალებისკენ. ამისგან განსხვავებით, ტერორისტები, პირველ რიგში, მიზანში იღებენ მოქალაქეებსა და არამებრძოლებს. ეს სტრატეგია დაფუძნებულია შიშისა და ეჭვის დათესვაზე, რათა ადამიანებმა არ ითანამშრომლონ პოლიციასთან და სამხედროებთან და დაარწმუნონ ისინი, რომ ხელისუფლებას მათი დაცვა არ შეუძლია.

ყველა ტერორისტი რევოლუციონერია, თუმცა, არა ჩვეულებრივი გაგებით. ცხადია, მეოცე საუკუნის ბევრი რევოლუცინერი მიმართავდა ტერორს, ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდეც და მის შემდეგაც. მაგრამ ჩვეულებრივი რევოლუციონერები კონცენტრირებულნი არიან ხელისუფლების დამხობაზე და არა მცდელობაზე, ხელოვნურად (მასობრივი ტერორის საშუალებით) გამოიწვიონ პოლიტიკური და სოციალური კრიზისი. მიზნების მისაღწევად რევოლუციონერები ცდილობენ შექმნან აჯანყებულთა პარტია, შეაღწიონ მთავრობაში, პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებში; პროფკავშირების მეშვეობით გასწიონ აგიტაცია და პროპაგანდა ახალგაზრდათა შთაგონები-

სთვის ამბოხებების, აჯანყებებისა და ქუჩის დემონასტრაციითა წამოსაწყებად. ამრიგად, რევოლუციონერთა ხელში ტერორიზმი არის ტაქტიკა და არა სტრატეგია. ტერორისტთა ხელში ტერორი როგორც ტაქტიკა, ისე სტრატეგიაა. ხშირად ტერორისტები ფრანგი ემილ ანრის აზრს იზიარებენ. როდესაც ეს ადამიანი კაფეში ბომბის შეგდებისათვის გაასამართლეს 1894 წელს, მან თქვა: „უდანაშაულო არავინაა“.

ტერორისტის იდენტიფიცირება

ერთი მოსაზრების თანახმად, ტერორიზმს ურბანული სიღარიბე ასაზრდოებს. ამრიგად, თანამედროვე ტერორიზმის შესახებ ნებისმიერმა თეორიამ უნდა გაითვალისწინოს მისი სოციალური კონტექსტი, მათ შორის ურბანული პრობლემები, ოჯახური სტრუქტურის რღვევა, ახალგაზრდათა უმუშევრობა და გადაჭედილ, სწრაფი ტემპის და ხშირად უსახურ ქალაქში გაუცხოების ფაქტორი. ასევე, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია დასავლური ჩარევა — ჯერ კოლონიალიზმი და ახლა გლობალიზაცია. ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ ამას და შეეგუონ ამ სტრესს, სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. ზოგი დანაშაულს სჩადის, სხვები — ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღებას იწყებენ, მცირე ნაწილი ტერორისტი ხდება. თუმცა, ყველა ტერორისტი არ მოდის ურბანული გარემოდან და არც სიღარიბე აწუხებს. ზოგი ტერორისტი იზრდება ურბანული სიღარიბის ცენტრში, სხვები კი უბრალოდ, მის წინააღმდეგ იბრძვიან. მაგალითად, ოსამა ბინ ლადენი დაიბადა საუდის არაბეთის ძალზე შეძლებულ ოჯახში. მეტიც, ბევრი ტერორისტი განათლებული და პრივილეგირებული წარმოშობისაა. ისინი, უბრალოდ, აკვირდებიან სასტიკ უსამართლობას, რომელიც თავად არ განუცდიათ. ტერორისტთა უმრავლესობა მამრობითი სქესის, მარტოხელა და ახალგაზრდაა.[19]

ტერორიზმი და საზოგადოება

მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას მრავალ ადამიანს პროტესტის ჭეშმარიტი, სამართლიანი და ღრმა განცდა აქვს. თუ ეს პროტესტი აღარ იარსებებს, შესაძლოა ტერორიზმიც გაქრეს.[20] მაგრამ ასევე, არსებობენ საზოგადოებები, სადაც ინდივიდებსა და ჯგუფებს უსამართლოდ ექცევიან, თუმცა, ამის მიუხედავად, იქ ტერორიზმი არ გაჩენილა. რატომ? დაფიქრდით ამაზე: ტოტალიტარულ და (ხშირად ასევე)ავტორიტარულ სახელმწიფოებს არა აქვთ ტერორიზმის პრობლემა.[21]

ხშირად ტერორიზმისაკენ მიდრეკილი უფრო სუსტი სახელმწიფოებია — ანუ მათ არასტაბილური პოლიტიკური სტრუქტურები (მთავრობა, ბიუროკრატია, თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალები, პარტიული სისტემა და ა.შ) და დანაწევრებული პოლიტიკური კულტურა აქვთ. სუსტმა სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს არაპოპულარული და არალეგიტიმური ავტორიტარული სახელმწიფოს ფორმა ან სუსტი და განუკითხავი დემოკრატიის სახე.[22] თუკი ყველა სახის სუსტი ხელისუფლება გარკვეულწილად დაკავშირებულია ტერორიზმის შემთხვევებთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული ქვეყნები თავისი ბუნებით მეტად მგრძნობიარენი (მოწყვლადები) არიან ტერორიზმის მიმართ და მათთვის მიუღებელია მკაცრი კონტრტერორისტული პროგრამები (იხ. სქემა 15-3). მოდით, ვნახოთ რატომ.

ახალგაზრდა რეკრუტები

შიიტი თვითმკვლელი ქალი, რომელიც 1985 წელს თავისი დანაღმული მანქანით ისრაელის არმიის პატრულს შეეჯახა სამხრეთ ლიბანში, თექვსმეტი წლის იყო. იორდანელი, რომელმაც 1984 წელს რომში არაბთა გაერთიანებული საემიროების დიპლომატის მოკვლა სცადა, 22 წლისა იყო. სამგზავრო გემის „აჩილე ლაუროს“ ოთხი გამტაცებლიდან უფროსი 23, ხოლო უმცროსი — 19 წლისა იყო. გამოკვლევების შედეგების თანახმად, ტერორისტების საშუალო ასაკი 22,5 წელია.



ახლო აღმოსავლეთი 2
ევრაზია 4
აფრიკა 6
დას. ევროპა 7
აზია 9
ლათ. ამერიკა 172

დაბომბვა 1
ცეცხლის წაკიდება 2
სხვა 3
შეიარაღებული შეტევა 4
გატაცება 11
დანაღმვა 179

მთავრობა 2
დიპლომატები 3
სამხედროები 8
სხვები 17
ბიზნესი 178

სქემა 15-3. ანტიამერიკული ტერორისტული თავდასხმები, 2000
წყაროები: *აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, კონტრტერორიზმის საკოორდინატო ოფისი, Pattern of Global Terrorism, 2000. Online at www.state.gov/s/ct/rls/pgtrpt/2000/2461.html, 14 მაისი, 2002.*

ჩრდილოეთ ირლანდიაში დააპატიმრეს თორმეტი და თოთხმეტი წლის ტერორისტები. არაბულ და ირანულ დაჯგუფებებში აჰყავთ თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ბავშვები ხშირად ძალზე სახიფათო მისიებისათვისაც.[23] გერმანელმა ფსიქოლოგმა, რომელიც გაესაუბრა „წითელი არმიის ფრაქციის“ დაჯგუფების დაკავებულ წევრებს, „გარდატეხის ასაკის კრიზისის“ ელემენტები აღმოაჩინა [ირლანდიის რესპუბლიკური არმიის განაყოფი — მთარგმნ. შენ.] ირლანდიის დროებითი რესპუბლიკის არმიის ექსპერტი აკვირდებოდა „ტერორისტულ ტრადიციებს“ ზოგ ქვეყნებში, სადაც „ოჯახები შთაუნერგავენ შვილებს, რომ [ტერორიზმი] არის მათი უფლებებისათვის ბრძოლის გზა.“[24]

ერიკ ჰოფერი თავის ნაშრომში მიმოიხილავს ზოგიერთი ახალგაზრდის ფანატიზმისადმი მიდრეკილებას. ის ათავსებს ასეთ ახალგაზრდებს ე.წ. „შეუფერებლების“ კატეგორიაში, რომელსაც შემდეგ ყოფს დროებითად და მუდმივად. ჰოფერი წერს:

> ამ კატეგორიაში მოზარდები, უმუშევარი კოლეჯდამთავრებულები, ვეტერანები, ახალი იმიგრანტები და მისთანანი შედიან. ისინი უკმაყოფილონი და აღელვებულები არიან შიშით, რომ მათი საუკეთესო წლები გაილევა მანამ, სანამ მიზანს მიაღწევენ.[25]

ამავდროულად, ჰოფერი მაინც ფიქრობდა: მიუხედავად იმისა, რომ ისინი „ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ, მათი ბოლომდე გადაბირება ყოველთვის მაინც ვერ ხერხდება“.

ტერორიზმის ფსიქოლოგია

ტერორიზმის ფსიქოლოგიის ერთი ექსპერტის აზრით, „მიზეზის მქონე ტერორისტები“ საზოგადოებისათვის ყველაზე სახიფათონი არიან.[26] ვინ არიან ეს მეამბოხეები? ვინ ახდენს მათ მოტივირებას? არაა გასაკვირი, რომ ტერორისტულ დაჯგუფებათა წევრების ყველაზე ხშირად დამახასიათებელი შტრიხები ასოცირებულია მოზარდობასთან. ეს შტრიხებია:[27]

- *ზედმეტი გამარტივება.* ტერორისტები ხედავენ კომპლექსურ საკითხებს შავ-თეთრ ფერებში. მათ არ აინტერესებთ დებატები და ხშირად ცხოვრობენ „ფანტაზიის ომის“ პრინციპით, ჰგონიათ, რომ ადამიანები მათ მიზანს მხარს უჭერენ.
- *იმედგაცრუება.* ტერორისტები ფიქრობენ, რომ ცხოვრება უსამართლოა, მეტს იმსახურებენ, საზოგადოებამ კი მოატყუა ისინი. მათ არ სურთ დაელოდონ ან იღვაწონ უკეთესისათვის და მიაჩნიათ, რომ რაღაცის მისაღებად მორიდება არ არის საჭირო.
- *რისკის გაწევაზე ორიენტაცია.* ბევრი ტერორისტი მოწყენილობის გამო სათავგადასავლო სიტუაციებს ეძებს ხოლმე.
- *თვითკმაყოფილება.* ტერორისტები ამჟღავნებენ თავდაჯერებულობას, დოგმატიზმსა და შეუწყნარებლობას საწინააღმდეგო მოსაზრებების მიმართ.
- *უტოპიზმი.* ტერორისტებს აქვთ ერთი რწმენა — სამოთხე დედამიწაზე, ახლოს, ჰორიზონტს მიღმაა და ერთადერთი, რაც მას ეღობება, არის არსებული ბინძური და მჩაგვრელი წესრიგი.
- *საზოგადოებრივი იზოლაცია.* ერთი ექსპერტის მიხედვით, ტერორისტები ძალიან მარტოსულები არიან. ზოგიერთისათვის ტერორისტული ქსელი შეიძლება ერთადერთი „ოჯახი“ იყოს.
- *თვითრეალიზაციის საჭიროება.* ტერორისტებს აერთიანებს საჭიროება — თავი მნიშვნელოვნად იგრძნონ, სურვილი — თავისი ანაბეჭდი დატოვონ გაზეთების პირველ ფურცელზე.
- *სისხლის გემო.* შეპყრობილ ტერორისტებთან ინტერვიუებში, ნაცნობებისა და ნათესავების ჩვენებებში, თვითმხილველთა და ყოფილ მძევალთა განცხადებებში ხაზგასმულია კიდევ ერთი შემაშფოთებელი მახასიათებელი: ზოგი ტერორისტი საერთოდ არ განიცდის სინდისის ქენჯნას.

ტერორისტები ხშირად ზედმეტად ამარტივებენ რეალობას. მაგალითად, მათ

შეიძლება დაინახონ მსხვერპლი, როგორც მხოლოდ ობიექტი — ეს ჩვევა აღმოჩენილია ნაცისტ მცველებს შორის საკონცენტრაციო ბანაკებში.[28] მსგავსი მოსაზრება აქვს პოლ რ. მაკჰიუს, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის გამოჩენილ ფსიქიატრს. იგი თვლის, რომ ტერორისტებს აქვთ „ცხოველური ჟინი“ ერთგვარი „იდეა ფიქსი“. ეს იდეა არის „კულტურის ან საზოგადოების გაზიარებული აზრი, მაგრამ ის პაციენტში აღვიძებს დომინანტურ ქცევებს, რომ ემსახუროს ამ იდეას.“[29] ერთი სახის კლინიკური აშლილობა, რომელსაც ეს იდეა იწვევს, არის ნერვული ანორექსია. დოქტორ მაკჰიუს აზრით, ადოლფ ჰიტლერი (ანტისემიტი), კარი ნეიშენი (ალკოჰოლისაგან თავშეკავება) და ჯონ ბრაუნი (აბოლიციონიზმი, მონების გათავისუფლება) სამი ისტორიული ფიგურაა, რომელთაც მსგავსი იდეა ფიქსები ჰქონდათ. უფრო თანამედროვე მაგალითებია უნაბომბერი და ჯეკ კევორკიანი (ევთანაზია). [ამ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ისინი ემსახურებიან იდეას, რომლისთვისაც მიზანი ყველა საშუალებას ამართლებდა - მთარგმნ. შენ.]

მათ, ვინც იდეებისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებასთან დაკავშირებით პიროვნულ აშლილობას განიცდიან, ხშირად ფანატიკოსებს უწოდებენ. ჰოფერის მიმოხილვები ფანატიკოსთა შესახებ ამავეს ამტკიცებს: ფანატიზმი (უსაზღვრო, ბრმა თავდადება), იქნება ის პოლიტიკური თუ რელიგიური, ჰოფერის შეხედულებით, თითქმის ყოველთვის დაფუძნებულია სიძულვილზე. მისი თვალსაზრისით, ფანატიზმი სიძულვილს მიზნის სამსახურში აყენებს. თავის მხრივ კი სიძულვილი, სიყვარულისგან განსხვავებით, გამაერთიანებელი ძალაა ერთნაირად მოაზროვნე ფანატიკოსებისათვის. ამრიგად, სიძულვილი განსაზღვრავს მათი არსებობის აზრს.

საყურადღებოა ფანატიკური გონებრივი მდგომარეობის ჰოფერისეული დახასიათება:

> ფანატიკოსი მუდამ ხიფათიანი და არასრულფასოვანია. მას არ შეუძლია თავდაჯერებული იყოს მხოლოდ საკუთარ შინაგან ძალებზე და რესურსებზე, საკუთარ უარყოფილ „მე“-ზე დაყრდნობით. ამიტომ ის მთელი ვნებითა და თავდადებით ეპოტინება ნებისმიერი სახის მხარდაჭერას, რაზეც კი ხელი მიუწვდება. მისი დაუოკებელი ერთგულება მისი ბრმა თავდადებისა და რელიგიურობის არსია. ის ამას ყველა სახის ძალისა და ღირსების წყაროდ აღიქვამს. თუმცა, მისი მიზანმიმართული თავდადება სოცოცხლეზე მოჭიდების საშუალებაა მისთვის, ის ადვილად აღიქვამს თავს იმ მიზნის დამცველად და მხარდამჭერად, რომელსაც თავად ეჭიდება. ის მზად არის საკუთარი სიცოცხლე გასწიროს, რათა საკუთარ თავსაც და სხვებსაც აჩვენოს, რომ სწორედ ეს არის მისი როლი. ის საკუთარ სიცოცხლეს საკუთარი მნიშვნელოვნების დასამტკიცებლად სწირავს.[30]

არ არის აუცილებელი, რომ ფანატიკოსები კეთილშობილური მიზნებით იყვნენ მოტივირებულნი. ისინი ეჭიდებიან მიზანს არა იმიტომ, რომ ის სამართლიანი ან წმინდაა, არამედ იმიტომ, რომ უსაზღვროდ სჭირდებათ რაიმე ხელჩასაჭიდი. სწორედ რაიმე იდეის ერთგულების ეს დაუოკებელი საჭიროება აქცევს მიზანს *თვითმიზნად*. აქედან კი მცირე ნაბიჯი რჩება *ჯიჰადამდე* ან ტერორისტულ კამპანიამდე.[31]

იმის მიუხედავად, რომ არ არის აუცილებელი ტერორიზმი სოციალური უთანასწორობისა და უსამართლობის ანარეკლი იყოს, ხშირად მაინც ასეა ხოლმე. მაგალითად,

ალჟირის შემთხვევაში, რომელსაც საერთაშორისო ამნისტიამ (*Amnesty International* — ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორის ორგანიზაცია) 1990-იანი წლების ბოლოს ახლო აღმოსავლეთში ყველაზე ძალადობრივი ქვეყანა უწოდა, ტერორიზმი იყო საპასუხო რეაქცია სამხედროების მიერ 1992 წლის არჩევნების შედეგების უკანონო გაუქმებაზე. მაგრამ მაინც, როცა საქმე საქმეზე მიდგება, დიდ გამოცანად რჩება, როგორ შეუძლია ადამიანს ჩაიდინოს ისეთი ბარბაროსული აქტები, თუნდაც იდეალიზმისა და რელიგიურობის სულისკვეთებით, რომლებიც არღვევს მორალურობის ყველაზე ელემენტარულ სტანდარტებსაც კი.

ტერორიზმი და მედია

ტერორისტები სახელის მოხვეჭისკენ ისწრაფვიან, ცდილობენ ყურადღების მიპყრობას. რატომ? იმიტომ, რომ მედიაში გაშუქება, განსაკუთრებით კი დრამატული კადრები, რომლებსაც ტელევიზია უჩვენებს, მსოფლიოს ყურადღებას მიიპყრობს, საზოგადოებას გააცნობს ტერორისტებისათვის მნიშვნელოვან იდეასა და მიზანს. ეს არამარტო პოლიტიკურადაა მომგებიანი, არამედ ამით უცნობი და უინტერესო ინდივიდები თავს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მეტიც, *CNN*-სა და მსოფლიოს სხვა წამყვან არხებზე „პრაიმ ტაიმი“ (საუკეთესო საეთერო დრო ტელევიზიაში) ეთმობა ტერორისტებისა და ტერორიზმის პრობლემის გაშუქებას. ცხადია, ყველაზე შემაძრწუნებელ, სენსაციურ ტერორისტულ აქტებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მედიაში. ეჭვგარეშია, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ფატალური აფეთქება ისტორიაში ყველაზე ფართოდ და ვრცლად გაშუქებული ტერორისტული აქტია.

პოლიტიკის ბევრი ანალიტიკოსი, რომელიც ჟურნალისტიკის სფეროს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს, ტერორიზმის ასეთ მზარდ აღზევებას ნაწილობრივ მედიას, კერძოდ კი ტელევიზიას აბრალებს. ცუდ ახალ ამბავში მეტი სენსაციაა და, შესაბამისად, ნილსენის მაღალ რეიტინგს (ანუ თავის მხრივ მაღალ სარეკლამო შემოსავალს) იძლევა [*Nielson rating* — მედიააუდიტორიის კვლევის სისტემა, შემუშავებული ნილსენ მედია რისერჩის მიერ — მთარგმნ. შენ.]. ამ თვალსაზრისით, ტერორიზმი ტელევიზიისთვისაა „ზედგამოჭრილი“.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მედიისათვის მხოლოდ სიახლის შეტყობინება არ არის საკმარისი. ახალი ამბების ინდუსტრიამ უნდა გაყიდოს ინფორმაცია, მაყურებელთა წილი — ახალი ამბების ბაზარი, რომელიც ირჩევს სატელევიზიო სიახლეებს, განსაზღვრავს იმას, რამდენს გადაუხდიან კომპანიები თავიანთ სარეკლამო პროდიუსერებს. ამრიგად, ახალ ამბების პროდიუსერებს არ უნდათ ხელიდან გაუშვან კარგი ისტორია, მაშინაც კი, თუ ეს ტერორისტთა სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

მედიის დასაცავად შეგვიძლია ვთქვათ: შეუძლია ვინმეს ამტკიცოს, რომ უდანაშაულო ადამიანებით სავსე თვითმფრინავის გატაცება არ არის გასაშუქებლად მნიშვნელოვანი? მედია ხომ, ბოლოს და ბოლოს, პასუხისმგებელია, მიაწოდოს ადამიანებს ინფორმაცია და სად არის გარანტია, რომ მაშინაც, თუ ერთი ტელეკომპანია გადაწყვეტს არ გააშუქოს გარკვეული ტერორისტული ინციდენტი ან მხოლოდ მცირე ყურადღება მიაქციოს მას, სხვებიც იგივეს გააკეთებენ? საბოლოოდ, საიდუმლო მოლაპარაკება და ცენზურა ერთადერთი „გამოსავალია“, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოჯანმრთელების საშუალება დაავადებაზე უარესია. როცა დემოკრატიული სახ-

ელმწიფოები ებმებიან კონსტიტუციურად საეჭვო საქმიანობაში ტერორისტული აქტების საპასუხოდ, ტერორიზმის განმახორციელებლები იმარჯვებენ პოლიტიკურად და მორალურად. პროტესტსა და დემონსტრაციას, რომლებიც შეიძლება ცენზურამ, სატელეფონო საუბრების მოსმენამ და სხვა მსგავსმა ზომებმა გამოიწვიოს, შეიძლება ზოგჯერ საზოგადოების დესტაბილიზაცია მოჰყვეს.

მედიის თვითშეკავება მხოლოდ მიმზიდველი გამოსავალია. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ახალი ამბების ინდუსტრია არ შეამცირებს ტერორიზმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, სანამ საზოგადოებრივი აზრი არ განეწყობა ამ გამოშვებების წინააღმდეგ. როგორც მომხმარებლები, ხშირად ვიღებთ იმას, რასაც ვითხოვთ და ამ თვალსაზრისით ვიმსახურებთ იმას, რასაც ვიღებთ.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

კითხვა, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოები აწყდებიან, მდგომარეობს არა იმაში, როგორ შეიძლება ტერორიზმის შეკავება, არამედ როგორ შეიძლება მისი შესუსტება ძირითად თავისუფლებათა შეზღუდვის გარეშე. ეს კითხვა აწუხებდა აშშ-სა და მის ევროპელ მოკავშირეებს გვიანი 1960-იანი წლებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლასთან და რუსული მაფიის აღზევებასთან ერთად, ბირთვული ტერორიზმის საფრთხე შესამჩნევად გაიზარდა. ამით ხაზი გაესვა ქმედითი ხელისუფლებების საჭიროებას მსოფლო ტერორიზმთან დაპირისპირებისა და მისი დამარცხების მიზნით.[32]

შიდა კანონმდებლობა

ავტორიტარულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებში ტერორისტებს სწრაფად და სასტიკად უსწორდებიან. დემოკრატიული სახელმწიფოები მიჰყვებიან კანონს ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრმა დემოკრატიულმა ქვეყანამ მიიღო ახალი კანონი ან შეცვალა ძველი, რათა უფრო ეფექტიანად გამკლავებოდა ტერორისტებსა და ტერორიზმს.

ამერიკელი დემოკრატების ერთ-ერთი მიდგომაა ახალი კანონმდებლობის მიღება. მაგალითად, აშშ-ში საჰაერო მეკობრეობა (თვითმფრინავების გატაცება) ფედერალურ დანაშაულადაა აღიარებული ისევე, როგორც ნებისმიერი ძალადობრივი აქტის ჩადენა თვითმფრინავის მგზავრის მიმართ აშშ-ის ფარგლებში და ნებისმიერი ამერიკელი მგზავრის მიმართ საზღვარგარეთ. სავაჭრო ცენტრის და ოკლაჰომა სიტის აფეთქების შემდეგ, 1996 წლის აპრილში კონგრესმა მიიღო ანტიტერორისტული და ეფექტიანი სასიკვდილო განაჩენის აქტი (*Antiterorism and Effective Death Penalty Act*) . ამ აქტმა აღჭურვა ფედერალური აღმასრულებელი ორგანოები მეტი ფინანსებითა და ახალი მექანიზმებით ტერორიზმთან საბრძოლველად, შებოჭა იმიგრაცია და გაამარტივა ტერორიზმში ეჭვმიტანილ უცხოელთა დეპორტაციის პროცედურა.

2001 წელს, სექტემბრის იმ საბედისწერო დღეს, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე მეორე დარტყმამ გამოამჟღავნა ყველა ადრე მიღებული კონტრტერორისტული ზომის სრული არაადეკვატურობა აშშ-ში. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სწრაფად შექმნა ქვეყნის უსაფრთხოების ახალი ოფისი კონტრტერორიზმის სფეროში მომუშავე ყველა ფედერალური დეპარტამენტისა და სააგენტოს საქმიანობის კოორდინაციისათ-

ვის. პრეზიდენტმა ასევე გამოსცა ორაზროვანი დირექტივა ტერორიზმში ეჭვმიტანილთათვის სამხედრო ტრიბუნალის შექმნის თაობაზე:

> განხილული იყო შესაძლებლობა სასამართლო პროცესების წარმოებისა გემებზე ზღვაში ან აშშ ისეთ სამხედრო ნაგებობებზე, როგორიცაა ბაზა გუანტანამოს ყურეში, კუბა. ეს პროცესები უნდა ყოფილიყო სწრაფი და უაღრესად გასაიდუმლოებული. . . .[და] ინფორმაციის გაცემა შეიძლება შეზღუდული ყოფილიყო მშრალ ფაქტებამდე, როგორიცაა მოპასუხის სახელი და განაჩენი. საოქმო ჩანაწერები შეიძლება საჯარო საზოგადოებისგან დაფრული ყოფილიყო წლობით, საუკუნეების განმავლობაშიც კი.[33]

ყველაზე დიდი ცვლილებები, რომლებიც ეხება მთავრობის უფლებამოსილებას აშშ-ში ლეგალურად მყოფ უცხოლებზე, 11 სექტემბრის შემდეგ კონგრესის მიერ მიღებულ კანონში აისახა. ამ კანონის სრული სახელია: ამერიკის გაერთიანება და გაძლიერება შესაფერისი მექანიზმების შექმნის საშუალებით, რათა შეაჩერონ და არ დაუშვან 2001 წლის მსგავსი ტერორისტული აქტი (*Uniting and Strengthening America by Providing Appropriate Tools Required to Intercept and Obstruct Terrorism Act of 2001*). აშშ-ში მას პატრიოტის აქტის სახელით იცნობენ. მასში განხილულია ცნება, ვინ უნდა მოიაზრებოდეს ტერორიზმში ეჭვმიტანილად და აღჭურვავს გენერალურ პროკურორს უფლებამოსილებით, დააკავოს არაბები და მუსლიმები, ისევე როგორც სხვა უცხოელები. ეს კანონი აძლევს მთავრობას უფლებას, აუკრძალოს აშშ-ში შესვლა ნებისმიერ უცხოელს, რომელიც საჯაროდ ამართლებს ტერორიზმს ან მიეკუთვნება რომელიმე ტერორისტულ დაჯგუფებას. კანონი აფართოებს ასევე „ტერორისტული საქმიანობის“ განსაზღვრებასაც, მასში ახლა უკვე ნაგულისხმებია ნებისმიერი უცხოელი, რომელიც იყენებს „საშიშ ხელსაწყოს“ ან აგროვებს ფულს ტერორისტული დაჯგუფებისათვის გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად. და ბოლოს, კანონი საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, დააკავოს ნებისმიერი უცხოელი, რომელიც გენერალურ პროკურორს სახიფათოდ მიაჩნია.

პრეზიდენტის ბრძანებებიდან გამომდინარე, ანტიტერორისტული ზომები და ახალი კანონი ფედერალურ ხელისუფლებას, მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, მოქალაქეების თვალყურის დევნების უფლებას და დაკავების საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებში. გამოკითხვებმა დაადგინა, რომ ამერიკელთა დიდი უმრავლესობა ამ ზომებს შესაფერისად მიიჩნევდა და არ ფიქრობდა, რომ ისინი რისკის ქვეშ აყენებდა სამოქალაქო უფლებებს. მაინც არსებობდა უმცირესობა, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე მხრიდან, რომელიც კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ამ ზომებს. ისინი გამოხატავდნენ შიშსა და შეშფოთებას იმის მიმართ, რაც ინდივიდუალური თავისუფლებებისა და კონსტიტუციური გარანტიების ეროზიად მიაჩნდათ (განსაკუთრებით, უფლებების შესახებ საკონსტიტუციო შესწორების I, IV, V და VI მუხლებთან მიმართებაში).

ტერორიზმთან ბრძოლის კიდევ ერთი, ახალი მიდგომა დაკანონდა – ტერორისტული ორგანიზაციების წევრობის უკანონოდ გამოცხადება. გაერთიანებულ სამეფოში ტერორისტული დაჯგუფებები უკანონოა, მათ შორისაა ირლანდიის რესპუბლიკური არმია (*IRA)* და ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია. საბერძნეთშიც მიიღეს კანონები, რომლებიც კრძალავს ტერორისტულ დაჯგუფებებს და მათ წევრობას დანაშაულად თვლის. ამასთან, საფრანგეთმა, ბრიტანეთმა

და შვედეთმა შეზღუდეს ვიზების გაცემა უცხოელი ნაციონალისტების მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტების თავიდან აცილების მიზნით. იტალიასა და შვედეთში კანონით პოლიციისათვის უფრო იოლი გახდა ტელეფონების მოსმენა და საფოსტო გზავნილების გახსნა „წერილი-ბომბების“ აღმოსაჩენად. ყოველთვის, როცა დემოკრატები ასეთ ზომებს მიმართავს, ის გარდაუვლად წამოჭრის სამოქალაქო თავისუფლებათა საკითხებს.

თანამშრომლობა ქვეყნებს შორის

საერთაშორისო ძალისხმევა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახორციელებდა, ასევე არაეფექტიანი აღმოჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციისა (1971 წელს) და ევროსაბჭოს (1977 წელს) მიერ განხორციელებულ რეგიონულ მიდგომებზე.[34] ამისგან განსხვავებით, ზოგიერთი ორმხრივი მოლაპარაკება მოკავშირე ქვეყნებს ან მსგავსი ინტერესების მქონე მოქიშპე ქვეყნებს შორის უფრო წარმატებული გამოდგა ტერორიზმთან ბრძოლაში. მაგალითად, 1973 წლის მოლაპარაკებამ აშშ-სა და კუბას შორის ბოლო მოუღო ამერიკული თვითმფრინავების გატაცებას ჰავანაში. კიდევ ერთი მაგალითია 1986 წლის მოლაპარაკება აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის, რომლის მიხედვითაც მათ გააფართოვეს ექსტრადიციის ხელშეკრულება და გამორიცხეს პოლიტიკური მოტივით ჩადენილი სერიოზული ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენთა შეწყალება. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-მ მოიპოვა ბევრი ქვეყნის, მათ შორის პაკისტანისა და რუსეთის მთავრობების მხარდაჭერა და აქტიური თანამშრომლობა მსოფლიო მასშტაბით ანტიტერორისტული კამპანიის წარმოებაში. ამას განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს ნატოს წევრი ქვეყნები, მათგან ყველაზე აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთი იმდროინდელი პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის მეთაურობით.

დიდი ყურადღება დაეთმო სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას, მაგრამ ამან მხოლოდ მცირე წარმატება მოიტანა ტერორიზმთან ბრძოლაში. ინტერპოლი პოლიციის საერთაშორისო სააგენტოა, რომლის შტაბბინა საფრანგეთშია. ასევე, დასავლეთ ევროპაში არსებობს ორგანიზაცია, რომელიც დროდადრო ახვედრებს ერთმანეთს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებსა და პოლიციის უწყებათა მეთაურებს ტერორიზმის შესახებ ინფორმაციის გასაცვლელად და გამოძიების კოორდინირებისათვის. ამ ორგანიზაციებმა ერთგვარად გააიოლეს ტერორისტთა შეპყრობა და ზოგჯერ ხელიც შეუშალეს ტერორისტული აქტების განხორციელებას. მაგალითად, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვევრვო სააგენტოს მაღალი რანგის წარმომადგენლებმა ითანამშრომლეს რუსეთთან საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებსა და ბირთვული იარაღის შესაძლო კონტრაბანდისტებს შორის კავშირის გამოსავლენად.

საერთაშორისო თანამშრომლობას შეუძლია მიაღწიოს სწრაფ წარმატებას, როცა მისი მიზანი კონკრეტულ ტერორისტულ პრობლემებთან ბრძოლაა და მოკავშირე ქვეყნებს შორის არსებობს ურთიერთგაგება და კოორდინაცია. მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები გამოვლინდა 1986 წლის აპრილში, როცა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა გასცა ლიბიაზე სარაკეტო შეტევის ბრძანება. ეს ქვეყანა საერთაშორისო ტერორიზმის ღია მხარდამჭერად მიიჩნეოდა. თავდაპირველად ბრიტანეთი

მომხრე იყო აშშ-ის მიერ დარტყმის განხორციელებისა. ფრანგებს შეეშინდათ ტერორისტთა შურიძიებისა და უარი უთხრეს ბრიტანეთის ბაზებიდან აფრენილ აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავებს გადაეკვეთათ საფრანგეთის საჰაერო სივრცე.

აშშ-ის სადამსჯელო საჰაერო დარტყმა წარმატებული გამოდგა და მალე გაჩნდა მრავალმხრივი კონსენსუსის ნიშნებიც. 1986 წლის აპრილში ევროპის თანამეგობრობამ ხმა მისცა ლიბიაზე ეკონომიკური სანქციების დაწესებას და 1986 წლის ზაფხულში ლიბიის მოქალაქეები გააძევეს ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, დასავლეთ გერმანიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, დანიიდან, ბელგიიდან, ნიდერლანდებიდან და ლუქსემბურგიდან. მოგვიანებით, ლოქერბის [შოტლანდია] თავზე სამგზავრო თვითმფრინავების აფეთქებაში დადანაშაულებული ლიბიელები დააპატიმრეს. ისინი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე 2000 წელს წარსდგნენ. იმის მიუხედავად, რომ ეს ლოქერბის ტრაგედიიდან დიდი ხნის შემდეგ მოხდა, ცხადი გახდა, რომ მთავრობათშორის თანამშრომლობას შეუძლია ტერორისტების დასჯას შეუწყოს ხელი.

უნიკალური ზომები

ზოგი კონტრტერორისტული სტრატეგია ელემენტარული ჩანს, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით. მაგალითად, ბევრ აეროპორტში გამძაფრდა უსაფრთხოების ზომები 1985 წლის ტერორისტული სისხლიანი სასაკლაოების შემდეგ, მაგრამ აშშ-ში ეს სათანადოდ არ გაკეთდა 11 სექტემბრის ტერაქტამდე. ერთ დღესაც, ოთხი კომერციული თვითმფრინავი თითქმის ერთდროულად გაიტაცეს აღმოსავლეთ სანაპიროს სამი სხვადასხვა აეროპორტიდან და, როგორც ჩანს, გამტაცებლებმა მოახერეს თვითმფრინავებში იარაღის შეტანაც.

ბევრ ხელისუფლებას სჯერა, რომ შეკავება და ანგარიშწორება ტერორიზმთან ბრძოლის ერთადერთი ეფექტიანი საშუალებაა. ამ თვალსაზრისით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს სულ მცირე ტერორისტებთან მოლაპარაკებაზე უარის თქმას, განსაკუთრებით როცა საქმეში ჩართული არიან მძევლები ან სამოქალაქო სამიზნეებზე ტავდასხმა არ წყდება. სხვაგვარად მოქცევა მარცხისათვის განწირული და ბოროტების დაჯილდოების ტოლფასი იქნებოდა, რაც მომავალშიც წაახალისებდა მსგავს თავდასხმებს.

პერუს „განათებული გზა“ ტერორიზმის წინააღმდეგ წარმატებისაკენ

Sendero Luminoso — „განათებული გზა“ 1980 წელს პერუს დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევასთან ერთად გაჩნდა. თავდაპირველად, აგრარულ საფუძველზე შექმნილმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ საარჩევნო ყუთები დაწვა და გასაფრთხილებლად მკვდარი ძაღლების დაკიდებით გაითქვა სახელი, მოგვიანებით კი ყურადღება მასობრივ ძალადობას მიაპყრო. ძალადობა ზოგჯერ რეგიონულ ომში გადაიზრდებოდა ხოლმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაბომბვის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა და უბრალო მოქალაქეთა მკვლელობების ჩათვლით. 1992 წლისათვის 5 ათას წევრიანი ძლიერი ორგანიზა-

ციის კისერზე დაახლოებით 23 ათასი მკვლელობა და 20 მლრდ დოლარის ზარალი იყო. ორგანიზაციის ლიდერი ქარიზმატული აბიმალ გუზმანი საშუალო კლასის წარმომადგენელი და ყოფილი ფილოსოფიის მასწავლებელი იყო. მისი ხელმძღვანელობით „განათებული გზა“ მხარს უჭერს და მაოისტურის მსგავს იდეოლოგიას. ჯგუფის გამორჩეული ნიშანი იყო ყველა სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო, სამოქალაქო, რეფორმისტული თუ რადიკალური ორგანიზაციის მიმართ მტრობა. მის მტრებს შორის იყო უფრო მცირერიცხოვანი, ნაკლებად ძალადობრივი მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია რევოლუციური მოძრაობა ტუპაკ ამარუ, რომელსაც XX საუკუნის 80-იანი წლების მიჯნასა და 90-იანი წლების დასაწყისში ძალზე მომგებიან ნარკოტიკების ოპერაციებზე კონტროლის ბრძოლა მოუგო. ტუპაკ ამარუ გაუჩინარდა პოლიტიკური სცენიდან, მაგრამ 1996 წლის დეკემბერში კვლავ გამოჩნდა, როცა დიპლომატიური მიღების დროს მისმა პარტიზანებმა ალყა შემოარტყეს იაპონიის ელჩის ადგილსამყოფელს და მძევლად აიყვანეს (ბევრი მათგანი ოთხი თვით) მრავალი მაღალჩინოსანი (ისინი გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც უშიშროების ძალებმა ტერორისტების ადგილსამყოფელი შტურმით აიღეს და პარტიზანები მოკლეს).

XX საუკუნის 80-იან წლებში გუზმანსა და „განათებულ გზას“ პერუს რამდენიმე სუსტი დემოკრატიული ხელისუფლება დაუპირისპირდა. ვერც ერთმა ვერ შეძლო ჰიპერინფლაციის, მაღალი უმუშევრობის, უზარმაზარი საგარეო ვალის, ფართოდ გავრცელებული სიღარიბის, ნარკობარონებისა და ხელისუფლების კორუფციის (ტერორიზმზე რომ არაფერი ვთქვათ) დათრგუნვა. 1992 წლის 5 აპრილს პერუში მოვლენები რადიკალურად შეიცვალა. გადაწყვიტა რა მკაცრი და მტკიცე მოქმედებების კურსის აღება, პრეზიდენტმა ალბერტო ფუხიმორიმ სრული ძალაუფლება აიღო ხელში. მან შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაშალა არჩეული კონგრესი და მნიშვნელოვნად შეაჩერა სასამართლოს მუშაობა. ფუხიმორის აკრიტიკებდნენ სამხედრო მოქმედებების გამო. მიუხედავად ამისა, ექვსი თვის შემდეგ გუზმანი ციხეში იჯდა. მეტიც, 1993 წელს პოლიტიკურ მკვლელობათა რაოდენობა 50%-ით შემცირდა და კლება მომდევნო წელსაც გაგრძელდა. წარმატებული იყო ფუხიმორის ეკონომიკური პოლიტიკაც: 7%-იანმა ზრდის ტემპმა პერუს ლათინური ამერიკაში ძლიერი ეკონომიკის სახელი მოუტანა. მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციის დონე. [2000 წელს ფუხიმორი ავტორიტარიზმის და ადამიანის უფლებების შელახვის ბრალდებით გადააყენეს — მთარგმნ. შენ.]

გუზმანის დაჭერის შემდეგ „განათებულ გზას“ დაშლის საფრთხე ემუქრებოდა, რადგან მისი ათასობით წევრი დაპატიმრებული იყო. მოგვიანებით, ორგანიზაცია კვლავ აღდგა. მიუხედავად იმისა, რომ „განათებული გზის“ წევრების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო იდეოლოგია ბუნდოვანი გახდა, ორგანიზაცია არსებობას განაგრძობდა ოსკარ რამირეს დურანდის (გუზმანის ძველი მეგობრის) ხელმძღვანელობით. ის კვლავ ახორციელებდა მისთვის ჩვეულ ძალადობის აქტებს, თუმცა უკვე შემცირებული მასშტაბით. ორგანიზაცია კვლავ ჩაფლული იყო ნარკოტიკების არალეგალურ ვაჭრობაში.

როგორი ჩანდა მომავალი? პერუს უკიდურესი ეკონომიკური ვარდნის გარდა, სავარაუდოა, რომ „განათებული გზა“ ან ტერორისტულ ორგანიზაციად დარჩება, ან საზოგადოებისათვის სხვაგვარ საფრთხედ ტრანსფორმირდება — მაგალითად, სპეციალიზდება ორგანიზებულ დანაშაულზე (ტრანსფორმაცია, რომელიც უკვე განიცადა რამდენიმე ტერორისტულმა დაჯგუფებამ კოლუმბიასა და ბრაზილიაში).

კონტრტერორიზმმა იმუშავა იქ, სადაც მთავრობებმა გამოამჟღავნეს ნება და შესაძლებლობა, მიეღოთ მტკიცე და პრევენციული (პროფილაქტიკური) სამხედრო კონტრზომები. 1976 წელს ისრაელის კომანდოსების მამაცურმა რეიდმა უგანდის ენტებეს აეროპორტში დაამტკიცა, რომ ტერორისტები არ არიან დაუმარცხებლები მაშინაც კი, როცა მათ მძევლები ჰყავთ. იგივე გააკეთეს კომანდოსებმა 1996 წლის დეკემბერში, როცა ტუპაკ ამარუს რევოლუციურ მოძრაობას ლიმაში (პერუ) მძევლად ჰყავდა აყვანილი ადამიანები იაპონიის საელჩოში. მძევალთა დახსნის ოპერაციებში წარმატებისათვის საჭიროა კარგად გაწვრთნილი, სწრაფად მოქმედ კომანდოსთა ერთეულები, როგორიცაა, მაგალითად, გერმანიის *GCG-9,* რომელმაც გაათავისუფლა ლუფტჰანზას გატაცებულ თვითმფრინავში მყოფი მძევლები მოგადიშუში, სომალიში 1977 წელს. აღსანიშნავია ასევე ბრიტანელთა *SAS* (*Special Air Service*) და აშშ-ს *Delta Force*. ადგილობრივი პოლიციის სამსახურები არ არიან ტერორისტებთან გასამკლავებად სათანადოდ აღჭურვილი და გაწვრთნილი:

> როცა *SAS*-თან ერთად მუშაობ ისეთ არეალში, როგორიცაა ქალაქი არმაში [ჩრდილოეთ ირლანდია], სულ მალე აცნობიერებ, რომ ომის მონაწილე ხარ და არა საპოლიციო ოპერაციისა. ღამიდან ღამემდე ირლანდიის რესპუბლიკური არმიის აქტივისტთა დანაყოფები [მტრის ზურგში აღწევენ] უსაფრთხო სამხრეთისაკენ და [გადაადგილდებიან] თავისუფლად ისეთი ადგილებისაკენ, რომლებიც თავიანთთვის უსაფრთხო გახადეს მკვლელობით, წამებით, მოტაცებებითა და სხვა დანაშაულებებით. ისინი რთულ იარაღს იყენებენ, [მათ შორის], მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს, სარაკეტო დანადგარებს, ფუგასურ ნაღმებსა და მრავალნაირ ასაფეთქებელ ნივთიერებებს. აუდიომეთვალყურეობის მეშვეობით შენ უსმენ მათ შეხვედრებს, სადაც გაიცემა საბოტაჟის მოწყობის ბრძანებები, რომლებმაც მოქალაქეები უნდა შეიწიროს.
> სამოქალაქო საპოლიციო პროცედურებს არ შეუძლია გაუმკლავდეს ამ სახის საფრთხეს. თუ შენ დაადგენ ჯგუფის ადგილსამყოფელს, სავაჭრო ცენტრზე ორგანიზებული თავდასხმის პროცესში, სადაც რძის ბიდონები სავსეა ასაფეთქებლებითა და ლურსმნებით, მასთან გასამკლავებლად საბრძოლო პატრულს აგზავნი და არ იძახებ ადგილობრივ პოლიციელს.[35]

კონტრტერორიზმი იტალიაში: ისტორიული წარმატებული შემთხვევა

XX საუკუნის 70-იან წლების დასავლეთში იტალია ტერორის მასშტაბებით გამოირჩეოდა. უკიდურესი მემარცხენე წითელი ბრიგადები კაპიტალიზმისა და ხელისუფლების „სიმბოლოებს“ — ასობით მოსამართლეს, მეწარმეს და პოლიტიკოსს იტაცებდნენ და კლავდნენ. 1969-დან 1983 წლამდე ტერორისტული ძალადობის 14 ათასზე მეტი აქტი აღირიცხა, 409 ადამიანი მოკლეს, ხოლო 1366 დაჭრეს.

1978 წელს წითელმა ბრიგადებმა ყოფილი პრემიერ-მინისტრი და იტალიის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკოსი ალდო მორო გაიტაცეს. იგი მოკლეს, როცა ხელისუფლებამ უარი თქვა მოროს გამტაცებლებთან მოლაპარაკებაზე. საბოლოოდ ტერორისტები დამარცხდნენ. აღშფოთებული საზოგადოება მკაცრ კონტრტერორ-

ისტულ ბრძოლას ითხოვდა, რის შედეგადაც წითელი ბრიგადების წევრთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

როგორ შეძლო ეს იტალიამ? თავდაპირველად პოლიციამ წითელი ბრიგადის ტერორისტულ დაჯგუფებებში შეაღწია და მისი ასობით წევრი დააპატიმრა. შემდეგ, სასჯელის შემსუბუქება შესთავაზეს იმ მონანიე ტერორისტებს, რომლებიც აქტივისტებისა და სხვა ტერორისტების ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას გადასცემდნენ. შემდეგ, პოლიციამ თავისი ძალები ისეთ შეზღუდულ და შედარებით ადვილად სამართავ ტერორისტული სამიზნეებზე მიმართა, როგორიცაა აეროპორტები, პორტები და საზღვრები. საბოლოოდ, ახალმა კანონებმა პოლიციას უფლებამოსილება გაუზარდა სატელეფონო საუბრებისა და სხვა რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

თანაგრძნობის გარეშე დარჩენილი იტალიის ტერორისტები იზოლაციაში მოექცნენ და დღეს ქვეყნის სტაბილურობისათვის უმნიშვნელო საფრთხეს წარმოადგენენ.

თუმცა, ისეთი სპეციალური კონტრტერორისტული დანაყოფების არსებობა, როგორიც ბრიტანეთის *SAS*-ია, არ არის საკმარისი. ხელისუფლებას უნდა სურდეს მათი გამოყენება. როგორც ერთი ექსპერტი აღნიშნავს, კონტრტერორისტული პოლიტიკის მთავარი მიზანია „აჩვენოს არსებული სისტემის შეუცდომლობა“.[36] წარუმატებლობა, როგორიც იყო 1980 წლის აშშ მცდელობა, გაეთავისუფლებინა ტყვეები ირანიდან, 1985 წელს ეგვიპტის მცდელობა, დაეკავებინა მალტაში გატაცებული თვითმფრინავი, ხანდახან გარდაუვალია ხოლმე და ზოგჯერ ტრაგიკული შედეგებით მთავრდება, მაგრამ კიდევ უფრო ტრაგიკული შეიძლება აღმოჩნდეს შედეგები მაშინ, თუ გადაწყვეტილებები არ იქნება დროულად მიღებული.

სხვა ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც მთავრობას შეუძლია, მოიცავს შეიარაღებისა და ფეთქებადი ნივთიერებების კონტროლს და ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი (მართალია, ყველაზე ძნელი) არის კარგი შიდა სადაზვერვო ძალების განვითარება. მხოლოდ ტერორისტთა სამალავების, გადაადგილებისა და გეგმების შესახებ ინფორმაციის მოპოვებითაა შესაძლებელი მათი თავდასხმების თავიდან აცილება. ტერორისტთა სამიზნეების დაცვა მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ წინასწარ გვეცოდინება როდის და სად აპირებენ ტერორისტები დარტყმის მიყენებას.

ცხადია, დემოკრატიული საზოგადოება და ის კონსტიტუციური ნორმები, რომლებშიც პოლიცია და საგამოძიებო სამსახურები მოქმედებენ, დაბრკოლებაა ნებისმიერი ხელისუფლებისათვის, რომელიც ტერორიზმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. მოქალაქეები არ არიან მიჩვეულნი მეგობრების, ოჯახის წევრების, მეზობლებისა და თანამშრომლების თვალთვალს. ასევე, სადაზვერვო ინფორმაციის მოგროვებას რამდენიმე სააგენტო ახორციელებს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ მოხდეს ერთ-ერთი მათგანისთვის ზედმეტი ძალაუფლების მინიჭება. აშშ-ში, მაგალითად, დაზვერვა და კონტრდაზვერვა ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნულია, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო *CIA* პასუხისმგებელია უცხოეთში დაზვერვაზე და ეკრძალება აშშ-ის მოქალაქეების ან დაჯგუფებათა წინააღმდეგ შიდა შპიონაჟის ოპერაციებში მონაწილეობის მიღება — კონტრდაზვერვა გამოძიების ფედერაციული ბიურო ფუნქციაა. ამ ბიუროკრატიული უფსკრულის შემცირების საჭიროებამ განაპირობა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პრეზიდენტ ბუშის გადაწყვეტილება, შეექმნა ქვეყნის უსაფრთხოების ახალი სამსახური.

რა შეუძლია პიროვნებას?

მოქალაქეებმა და ფირმებმა თავადაც მიმართეს უსაფრთხოების ზომებს საკუთარი თავის დასაცავად.[37] ისევე, როგორც ბევრი მთავრობა აძლიერებდა თავის საელჩოებისა და სხვა საზღვარგარეთული დაწესებულებების დაცვას 1980-1990-იან წლებში, კერძო კომპანიებიც ყოველწლიურად მილიონობით დოლარს ხარჯავენ დაცვის მომსახურებისათვის აშშ-ში და სხვაგან.[38] დაცვის საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. ბევრ მოქალაქეს არა აქვს იმის საშუალება, რომ პირადი დაცვა დაიქირაოს. მაგრამ საზოგადოების სიფრთხილეს შეუძლია ტერორისტებისათვის საქმის საკმაოდ გართულება. მაგალითად, ისრაელში, სადაც ტერორიზმის მუდმივი საფრთხეა, ოფიციალური ინფორმაციით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოთავსებული ნაღმების 80%-ის გაუვნებელყოფა ხერხდება, რადგან საეჭვო ობიექტებს ადამიანები ცნობენ და მათ შესახებ დროულად აცნობებენ საჭირო ინსტანციებს.[39] აშშ-ში უსაფრთხოების ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ მომავალში ტერორიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევა დიდწილად იქნება დამოკიდებული როგორც მოქალაქეების, ისე ხელისუფლების სიფხიზლეზე. ასევე, კომერციული თვითმფრინავების პილოტები თანხმდებიან, რომ თუ თვითმფრინავის გატაცება შეწყდება, ეს მოხდება მგზავრთა მზადყოფნის გამო, გაუსწორდნენ ტერორისტებს და არა იმიტომ, რომ ავიაცი-ის უსაფრთხოების ინსპექტორები არიან ბორტზე.

შესაძლებელია კი ტერორიზმის შეკავება?

თანამედროვე ტერორიზმი სერიოზული პრობლემაა და როგორც ჩანს, მისი აღმოფხვრა მოკლე ხანში ვერ მოხერხდება. საფრთხე, პირიქით, უფრო იზრდება: ბირთვული ტერორიზმი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, უკვე რეალურია.

ცხადია, რომ არ არსებობს ერთი და სრულიად ეფექტიანი გამოსავალი ტერორიზმის პრობლემიდან. თუმცა, როგორც ვნახეთ, არსებობს ტერორისტთა ხელსაყრელი პირობების შეზღუდვის ან შემცირების გზები, აგრეთვე დასჯის, ან უბრალოდ, ტერორიზმის აღმოფხვრის მეთოდები საწყის ეტაპზე, სანამ ის დრამატულ ზღვარს მიაღწევდეს (როგორც ეს მოხდა იტალიაში და ეკვადორში 1970-იან და 1980-იან წლებში და ალჟირში 1990-იან წლებში).

წარმატების მიუხედავად, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემა: ერთმა ტერორისტმაც კი შეიძლება უზარმაზარი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. ამ არასრულყოფილ სამყაროში შეუძლებელია ტერორიზმის სრულად აღმოფხვრა, მაგრამ მოთმინებით, ურყეობით, გამბედაობითა და სიფრთხილით შეიძლება მისი შეჩერება და თავისუფლების დაცვა — ეს არის უახლესი წარსულიდან მიღებული ერთ-ერთი გაკვეთილი.

დასკვნა

ტერორიზმი შეიძლება გავიგოთ როგორც სტატუს კვოს შეცვლაზე მიმართული პოლიტიკური ძალისხმევა, რომელიც ხორციელდება მოქალაქეთა დასაშინებლად

ძალადობის გამოყენებით. იგი თანამედროვე სამყაროში ყოველდღიური მოვლენად იქცა. მისი უძველესი ფესვები რელიგიურ კონფლიქტშია. თანამედროვე ტერორიზმი 1960-იანი წლებიდან იღებს სათავეს.

ტერორისტები იღვწიან ქაოსისა და დაბნეულობის კლიმატის შექმნისათვის, იმ რწმენით, რომ პოლიტიკური არასტაბილურობა დააჩქარებს ხელისუფლების დაცემას. ისინი ქმნიან მჭიდროდ დაკავშირებულ, ჰომოგენურ, მცირე დაჯგუფებებს. ტერორისტებს შეუძლიათ დიდი საფრთხის წინაშე დააყენონ პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნები. ამის მაგალითია მუსლიმური ფუნდამენტალიზმი ალჟირში.

იმის მიუხედავად, რომ ტერორისტები არღვევენ კანონს, ისინი არ არიან დამნაშავეები ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. ისინი არც პარტიზანები და ჩვეულებრივი რევოლუციონერები არიან. ყველა ტერორისტი რევოლუციონერია, მაგრამ ყველა რევოლუციონერი არ არის ტერორისტი. ტერორისტი ისეთი სახის რევოლუციონერია, რომელიც არ იღვწის პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, მისი უპირველესი მიზანია პროტესტი გამოთქვას და შეებრძოლოს არსებული პოლიტიკური წესრიგით გამოწვეულ უსამართლობას ძალადობრივი აქტების საშუალებით. ტერორისტები, როგორც წესი, ახალგაზრდები, მარტოხელა მამაკაცები არიან. მათ ასევე საერთო აქვთ ბევრი ფსიქოლოგიური მახასიათებელი, მათ შორის ფანატიზმი და სიძულვილი.

სუსტ, ავტორიტარულ მთავრობას და დემოკრატიას ტერორისტები დიდ საფრთხეს უქმნიან. დემოკრატია და ტერორიზმი ერთმანეთის უმოწყალო მტრები არიან. დემოკრატია დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის კომპრომისის სურვილზე და სხვა ადამიანების მოსაზრების პატივისცემაზე, ტერორისტები კი ბოროტმოქმედები არიან, რომლებიც ნებისმიერ ქმედებაზე მიდიან მიზნის მისაღწევად. მეტიც, თავისი ბუნებით დემოკრატიული ქვეყნები ტერორისტული თავდასხმებისათვის ღიაა.

პრობლემა, რომლის წინაშეც დემოკრატიული ქვეყნები აღმოჩნდებიან ხოლმე ტერორიზმთან ბრძოლაში, გართულებულია იმით, რომ ერთდროულად შენარჩუნებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური თავისუფლება და დაცული იყოს ეროვნული უსაფრთხოება. დემოკრატიული ქვეყნების მიერ მიღებულმა უნირატერალურმა თუ თანამშრომლობითმა ზომებმა დაგვანახა, რომ შესაძლებელია ტერორიზმის შეკავება მაგრამ არა მისი სრულად აღმოფხვრა.

საკვანძო სიტყვები

ტერორიზმი
სახელმწიფო ტერორიზმი
საერთაშორისო ტერორიზმი
საშინაო ტერორიზმი
ტრანსნაციონალური ტერორიზმი
ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი
ნაციონალისტურ-სეპარატისტული ტერორიზმი
იდეოლოგიური ტერორიზმი
კონტრტერორიზმი

კითხვები გამეორებისათვის

1. რით განსხვავდება ტერორიზმი ჩვეულებრივი დანაშაულისგან? პარტიზანული ომისგან?
2. როგორია ტერორისტების ტიპური ტაქტიკა და როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან მათი მიზნები და საშუალებები?
3. რა ფსიქოლოგიური ფესვები აქვს ტერორიზმს და რა არის ტიპური ტერორისტის დამახასიათებელი ნიშნები?
4. რატომ არის დემოკრატია დაუცველი ტერორიზმისგან? შეაფასეთ ტერორიზმის საფრთხე დემოკრატიული ქვეყნების მიმართ.
5. რა დაბრკოლებები ხვდება კონტრტერორისტულ პოლიტიკას?
6. რა ნაბიჯი გადადგა კონსტიტუციურმა დემოკრატიამ ტერორიზმისგან თავის დასაცავად? კიდევ რისი [თუ საერთოდ რამის] გაკეთება შეიძლება?

შენიშვნები:

1. Cindy Coombs. Terrorism in the Twenty-First Century (Upper Saddle River, NJ: Prentice-Hall, 1997), 1-2.
2. „Nihilism and Terror", New Republic, September 29, 1986, 11.
3. ასევე იხ. Martha Crenshaw, „The Causes of Terrorism," წიგნში International Terrorism: Characteristics, Causes, Controls, რედ. Charles W. Kegley, Jr. (New York: St. Martin's Press, 1990), 113.
4. ორი კლასიფიკაციის სქემა არის თანამიმდევრობით განხილული. ისინი არ ამოწურავენ ლიტერატურაში მოცემულ ინფორმაციას. თავდაპირველი დისკუსია აქ მიჰყვება კეგლის, რომელიც ეყრდნობა ედვარდ მიქოლუსის `Trends in International Terrorism," in International Terrorism in the Contemporary World, რედ. Marius H. Livingston და სხვები (Westport, Conn: Greenwood Press, 1978); იხ. Charles W. Kegley, Jr., „Characteristics, Causes, and Controls of International Terrorism: An Introduction," წიგნში International Terrorism, რედ. Kegley, 5.
5. იქვე.
6. განსხვავება რელიგიასა და იდეოლოგიას შორის სრულიად ქრება, როცა მომხრეები ღიად მისდევენ პოლიტიკურ მიზნებს და რელიგიას თავიანთი საშუალებების გასამართლებლად იყენებენ. მაგალითად, ისლამისტი ექსტრემისტები ხშირად მოუწოდებენ ხალხს ჯიჰადისკენ (წმინდა ომისკენ) ისრაელის წინააღმდეგ და „ჯვაროსნული ომებისაკენ" (თუ ბინ ლადენის ეპითეტს გამოვიყენებთ), მაგრამ ყველა მუსლიმმა იცის, რომ ყურანი (ისლამის წმინდა წიგნი) მკაცრად კრძალავს უდანაშაულო ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევას და არანაირ გამონაკლისს არ უშვებს. ისლამი ტერორიზმს კიდევ უფრო მეტად კრძალავს, ვიდრე ქრისტიანობა.
7. უფრო სრულყოფილი განხილვისათვის იხ. Devid Rapoport, „Religion and Terror: Thugs, Assassins and Zealots," წიგნში International Terrorism, ed. Kegley, 146-157. ასევე იხ. Leonard Weinberg and Paul Davis, Introduction to Political Terrorism (New York: McGraw-Hill, 1989), 19-23

8. Weinberg and Devis, Political Terrorism, 22
9. Compare Repoport, „Religion and Terror," 146, და იქვე., 24-26
10. Rushworth M. Kidder, „Unmasking Terrorism," Christian Science Monitor, May 13, 1986, 19.
11. იქვე, 20.
12. იქვე, იხ. ასევე სქემა 15-1 ამ თავში.
13. Walter Laqueur, Terrorism (Boston: Little, Brown, 1977), 220.
14. Paul Johnson, „The Seven Deadly Sins of Terrorism," წიგნში International Terrorism, რედ. Kegley, 65.
15. Carlos Marighella, Mini-Manual for Urban Guerillas, მთარგმნ. Gene Hanrahan (Chapel Hill, N.C.: Documentary Publications, 1984). (თავდაპირველად გამოქვეყნდა ესპანურად 1970 წელს).
16. Claire Marighella, The Terror Network: The Secret War of International Terrorism (New York: Holt, 1981), 21-22.
17. სტატისტიკა ეყრდნობა David E. Long, The Anatomy of Terrorism (New York: Free Press, 1990), 165.
18. Mohhamad M. Hafez, Middle East Journal 4 (შემოდგომა 2000): 584-585.
19. Long, The Anatomy of Terrorism, 17.
20. Walter Laqueur, „The Futility of Terrorism," წიგნში International Terrorism, რედ. Kegley, 69. ავტორი აღნიშნავს ამ შეხედულებას, მაგრამ არ ემხრობა მას.
21. როგორც ადრე აღვნიშნეთ. იხ. მაგალითად, Henry Dietz, „Revolutionary Organization in the Counterside: Peru," წიგნში Revolution and Political Change in the Third World, რედ. Barry Schutz and Robert Slater (Boulder, Colo.: Lynne Reinner, 1990), 135.
22. Laqueur, „Faculty of Terrorism," 70; and Walter Laqueur, „Reflections on the Eradication of Terrorism," წიგნში International Terrorism, რედ. Kegley, 207.
23. Coombs, Terrorism in the Twenty-First Century, 68.
24. Rushworth M. Kidder, „Unmasking Terrorism," Christian Science Monitor, May 15, 1986, 18.
25. Eric Hoffer, The True Believer (New York: Harper & Row, 1951), 49.
26. იხ. Frederick J. Hacker, Crusaders, Criminals, Crazies: Terror and Terrorism in Our Time
(New York: Norton, 1977).
27. Kidder, „Unmasking Terrorism," May 15, 1986, 19.
28. სინდისის ქენჯნის ნაკლებობის შესახებ იხ. Long, Anatomy of Terrorism, 19.
29. Paul McHugh, The Weekly Standard, December 10, 2001.
30. Hoffer, True Believer, 80.
31. იქვე, 81.
32. ამ განხილვის დიდი წილი დაფუძნებულია Weinberg-ისა და Devis-ს ნაშრომზე Political Terrorism, თავი 8, 151-188.
33. Mattew Purdy, „Bush's New Rules to Fight Terror Transform the Legal Landscape," New York Times (online edition), December 16, 2001.
34. Weinberg and Devis, Political Terrorism, 168-170.
35. Gayle Rivers, The Specialist: Revelations of a Counterterrorist (New York: Charter Books, 1985), 40.

36. Richard Clutterburck, Protest and the Urban Guerilla (New York: Abelard-Shuman, 1974), 287.
37. იხ. generally Brian Jenkins, რედ., Terrorism and Personal Protection (Boston: Butter-worth, 1985)
38. Kidder, „Unmasking Terrorism," May 21, 1986, 16.
39. იქვე, 17.



თავი XVI

ომი

პოლიტიკა სხვა საშუალებებით

ომის მიზეზები

- ადამიანის ბუნება • საზოგადოება
- გარემო

ომის თეორიები: კრიტიკა პოლიტიკის მიღმა

ტოტალური ომი: ომი, რომელშიც ყველა იბრძვის

შემთხვევითი ომი: ომი, რომელიც არავის სურს

ბირთვული ომი: ომი, რომელსაც ვერავინ იგებს

არის თუ არა ომი ოდესმე მორალურად გამართლებული?

- სამართლიანი ომის დოქტრინა • სამართლიანი ომის დოქტრინის შეფასება • ნიურნბერგის პროცესი

ომი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა. პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსი კარლ ფონ კლაუზევიცი (1780-1831) ამბობს, რომ „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებებით“. მთავრობა ყოველთვის აცნობიერებს, რომ დიპლომატია შეიძლება უძლური აღმოჩნდეს და შესაბამისად, ნებისმიერ დროს გაჩაღდეს ომი მეზობელ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოს შიგნით მოქიშპე ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს შორის. ცხადია, ნებისმიერი დონის პოლიტიკის ყველაზე დიდი მარცხი გამოიხატება მის უუნარობაში, თავიდან აიცილოს სხვადასხვა ფორმის შეიარაღებული კონფლიქტი.

ჩვეულებრივ, როდესაც ომზე საუბრობენ, გულისხმობენ ***სახელმწიფოთაშორის ომს*** — ომს, რომელშიც ორი ან მეტი ერი-სახელმწიფოა ჩართული. ***სამოქალაქო ომი*** ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. თანამედროვე სამყაროში ამ ტიპის ომები უფრო ხშირია, ვიდრე დამოუკიდებელ სახელწიფოებს შორის. ***პარტიზანული ომი*** არის ბრძოლის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელსაც ძირითადად მსუბუქად შეიარაღებული მოძრავი შენაერთები აწარმოებენ სოფლებში (ხშირად მებრძოლებს ადგილობრივი მოსახლეობა საკვებით და თავშესაფრით ეხმარება). პარტიზანები, როგორც წესი, გამიზნულ ძალადობას მიმართავენ არმიის, პოლიციისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს ხელისუფლების შესუსტებას ან დამხობას. ომის მეოთხე კატეგორია — ***მცირე ინტენსივობის კონფლიქტები,*** იწყება მაშინ, როდესაც ერთი სახელმწიფო აფინანსებს მეტოქე სახელმწიფოში ძალადობის პერიოდულ ან ხანგრძლივ გამოვლინებას (მაგალითად, დაქირავებული ჯარისკაცების გაგზავნით ან პარტიზანების დახმარებით).

თუ გავიხსენებთ დაღუპულთა რიცხვს, განადგურებულ ქონებას, დახარჯულ თანხებს, ცხადი გახდება, რომ ომი ადამიანის ყველაზე დამანგრეველი და ფუჭი ქმედებაა. მხოლოდ მეოცე საუკუნეში ომმა 35 მილიონი ადამიანი — მათ შორის 25 მლნ სამოქალაქო პირი იმსხვერპლა (ეს შეფასება 1990 წელს გაკეთდა, როცა საუკუნის დასასრულამდე კიდევ ათი წელი იყო დარჩენილი).[1] გენერალმა უილიამ შერმანმა საკუთარ თავზე გამოსცადა ომის საშინელებები (იგი, როგორც მეთაური, თავგამოდებით იბრძოდა ომებში). ამერიკის სამოქალაქო ომის დამთავრებდან 15 წლის შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში მან თქვა: „ბევრი პატარა ბიჭი ფიქრობს, რომ ომი დიდებული რამ არის, მაგრამ, ბიჭებო, დამიჯერეთ — ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია“!

საუბედუროდ, ყველას არ ესმის ომის საშინელებები ისე, როგორც გენერალ შერმანს ესმოდა. ისტორიის მრავალი სახელგანთქმული (ან სახელგატეხილი) პიროვნება ომის დიდებამ „შექმნა“. სხვებმა კი, ვინც სისხლისღვრას არ შეურიგდა, მაინც აღიარა ომის პერვერსული მომხიბვლელობა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე საუკუნეში ბერძენმა პოეტმა ჰომეროსმა აღნიშნა, რომ კაცი ძილის, სიყვარულისა და ცეკვა-სიმღერისგან უფრო იღლება, ვიდრე ომისგან. ჰომეროსის შემოქმედება მიძღვნილია სიმამაცისა და თავგანწირვისადმი, რომელსაც ომი მოითხოვს. ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე, რომელიც ჰომეროსზე 500 წლით ადრე ცხოვრობდა, სიმამაცეს ადამიანის უპირველეს ღირსებად მიიჩნევდა. არისტოტელეს აზრით, ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე აკეთილშობილებდა ადამიანს, რადგანაც ეს იყო მორალურად სწორი ნაბიჯი სიკვდილის შიშის საპასუხოდ, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ საზოგადოებას.

აქცენტი ომის სარგებლიანობაზე არ ახასიათებს მხოლოდ ძველ ბერძნებს ან ანტიკურ მწერლებს. ალბათ, ისე არავის მოუხდენია ომის რაციონალიზაცია, როგორც ეს გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა შეძლო (1770-1831). იგი ამტკიცებდა: „თუ

სახელმწიფოები ვერ აღწევენ ურთიერთშეთანხმებას და ვერ ხერხდება მათი სურვილების ჰარმონიზაცია, მაშინ ომი ერთადერთი გამოსავალია“. ამ წინადადებაში არაფერი არ არის შოკის მომგვრელი, თუმცა, იგი საკმაოდ პესიმისტურად ჟღერს. ჰეგელი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ ომი, ფაქტობრივად, ერთადერთი გამოსავალია, რადგან „გაჭიანურებული და, მით უფრო, მუდმივი მშვიდობა ერებს რყვნის“. მშვიდობის დროს, ჰეგელის აზრით, საზოგადოება დუნდება და ნაწევრდება. „ომი აძლიერებს სახელმწიფოებს. ასევე მათთვის, ვინც მონაწილეობს სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში, საზღვრებს გარეთ ბრძოლაა საჭირო, რათა ქვეყნის შიგნით მშვიდობა დამყარდეს.“[2]

რამდენი ომი ხდება წელიწადში?

შეიძლება გვეგონოს, რომ ეს იოლი გამოსათვლელია, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა. მაგალითისთვის განვიხილოთ 1996 წელი. ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ოცდარვა შეიარაღებული კონფლიქტი დაითვალა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იმავე წელს, თავდაცვის ინფორმაციის ცენტრმა გამოავლინა ოცდაშვიდი მიმდინარე და ათი ჩამცხრალი შეიარაღებული კონფლიქტი, ხოლო თავდაცვის ეროვნული საბჭოს ფონდის მონაცემებით ეს რიცხვი გაცილებით დიდი — სამოცდაოთხი იყო. რომელი წყაროა სარწმუნო?

ეს განსხვავება რამდენიმე ფაქტორით აიხსნება. მათ შორის, უპირველესია საჯარო პოლიტიკის მკვლევარი ორგანიზაციების პოლიტიკური ორიენტაცია. თავდაცვის ეროვნული საბჭოს ფონდი კონსერვატიული ასოციაციაა, რომელიც მხარს უჭერს თავდაცვის ხაზით ბიუჯეტის ზრდას. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ამ ორგანიზაციისთვის გარემომცველი სამყარო გაცილებით საშიშია, ხოლო მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვი — უფრო დიდი, ვიდრე ლიბერალურად განწყობილი თავდაცვის ინფორმაციის ცენტრისთვის, რომელიც ხანდახან უკმაყოფილებას გამოთქვამს თავდაცვაზე დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით. ისიც არ არის გასაკვირი, რომ თავდაცვის ეროვნული საბჭოს ფონდი კონფლიქტებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე თავდაცვის ინფორმაციის ცენტრი. ეროვნული საბჭო კონფლიქტებად მიიჩნევს არა მხოლოდ შეიარაღებულ დაპირისპირებას, არამედ ნარკოტიკებთან და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ ინციდენტებსაც.

ამგვარი განსხვავებები რომ არ არსებობდეს, ომების დათვლა მაინც გაჭირდებოდა. ომის განსაზღვრა დაღუპულთა რიცხვის მიხედვით იმთავითვე შეუძლებელია, რადგანაც ომში მონაწილე არც ერთი მხარე არ ახმაურებს სარწმუნო ინფორმაციას, ხოლო მიუკერძოებელი დამკვირვებლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ან შეზღუდულია, ან საერთოდ შეუძლებელია. ეროვნული საზღვრების მიხედვით ომისა და ბრძოლების განსაზღვრა ასევე წარუმატებელია. მაგალითად, თავდაცვის ეროვნული საბჭო ბოსნიისა და სერბეთის კონფლიქტებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავს, ხოლო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო მათ ბალკანეთის კონფლიქტად მოიხსენიებს.

ჰეგელი ამბობდა, რომ „მსოფლიოს ისტორია არის მსოფლიოს სასამართ-

ლო“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეგელისათვის საიმედოობის ან გამძლეობის ყველაზე დიდი გამოცდა არის არა რაღაც აბსტრაქტული მორალური სტანდარტები, არამედ კონკრეტული წარმატება. და რადგანაც მსოფლიო პოლიტიკაში წარმატება ძალაუფლებით და სიდიდით იზომება, გამოდის, რომ *ძალა* და *უფლება* სინონიმები ყოფილა.

გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ (1844-1900) მეტი რადიკალიზმი შესძინა ამ იდეას. ნიცშე ზოგადად უარყოფდა პირობით ზნეობრიობას, ხოლო ქრისტიანულ ეთიკასა და ჰუმანურობას განსაკუთრებით ვერ იტანდა და სისუსტედ მიიჩნევდა. ნიცშე ეთაყვანებოდა ძალაუფლების აგრესიულ გამოვლინებას როგორც ადამიანებში, ასევე ქვეყნებში. იგი ხოტბას ასხამდა ნებისყოფას და ომის, ერთი შეხედვით უსიამოვნო, მაგრამ სასიკეთო გავლენას ერებსა და ცივილიზაციებზე.[3] დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ეს თემა უჩვეულო ძალით გაცოცხლდება ომის მეხოტბე დიქტატორ ადოლფ ჰიტლერისა და მისი არანაკლებ აგრესიული მოკავშირის, ბენიტო მუსოლინის მიერ, რომლებიც, ჰეგელის და ნიცშეს მსგავსად, აბუჩად იგდებდნენ პაციფიზმს. იტალიური ფაშიზმის მამის — მუსოლინის მიხედვით, „ომი ადამიანის ენერგიის მობილიზაციას ახდენს და განადიდებს იმათ, ვისაც ძალა შესწევს, მას თვალი გაუსწოროს“.[4]

იდეალურ სამყაროში ომი არ იქნებოდა, მაგრამ იგი ყოველთვის იყო და არის. ომის საფრთხე იმის იმედთან ერთად არსებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ომი აღარ იქნება. საუკუნეების განმავლობაში ბევრი მოაზროვნე-პოლიტიკოსი (რომ არაფერი ვთქვათ უტოპისტ მეოცნებეებზე) იმეორებდა, რომ გონი, ან ღმერთი, ან ისტორია მსოფლიოს გაათავისუფლებდა ომის აგონიისგან. მაგრამ ეს ოპტიმისტებიც კი თითქმის ვერასდროს თანხმებოდნენ ისეთ საკითხზე, როგორიცაა ომის გამომწვევი მიზეზები. რასაკვირველია, თუ გვინდა, რომ აღარ იყოს ომი, უპირველეს ყოვლისა, მისი გამომწვევი მიზეზები უნდა აღმოვფხვრათ.

ომის მიზეზები

რატომ მაინცდამაინც ომი? ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს, სხვადასხვა ომის შემთხვევაში, პასუხიც სხვადასხვაა. იგი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, უპირველეს ყოვლისა კი — დროზე.

ცხადია, ომს სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ფაქტორი იწვევდა. მაგალითად, მეთორმეტე საუკუნის ევროპაში ან ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ნებისმიერი მიუკერძოებელი მკვლევარი ამ პერიოდის განსაკუთრებულად ხშირ და სასტიკ ომებს აუცილებლად რელიგიურ აღტკინებას მიაწერდა. პარადოქსულია, რომ განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯვაროსნული ომები, რომლებიც მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს დაიწყო და თითქმის 200 წელს მიმდინარეობდა, იმ რწმენით იყო გამსჭვალული, რომ „ღმერთი ჩვენთანაა“.

რელიგიამ ძალზე მცირე როლი შეასრულა მეოცე საუკუნის ძირითადი ომების გაჩაღებაში (თუმცა მან ხელი შეუწყო უფრო რეგიონულ და ადგილობრივ ომებს). მაგალითად, რელიგიური ფანატიზმი არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა პირველი მსოფლიო ომის საფუძველი. ბევრი დამკვირვებელი ამ ომის დაწყების მიზეზად ***ნაციონალიზმს*** მიიჩნევს, რომლის შესახებაც მეთორმეტე საუკუნეში არაფერი იყო ცნობილი. მკვლევართა მეორე ნაწილი ომის დაწყებას ევროპულ ქვეყნებს შორის

შეიარაღებაში შეჯიბრს უკავშირებს და ამტკიცებს, რომ სამხედრო მომზადების ტემპმა ევროპა საბოლოოდ ომამდე მიიყვანა. მკვლევართა მესამე ჯგუფი ***იმპერიალიზმს*** ადანაშაულებს: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კოლონიების დასაპატრონებლად დაწყებული ბრძოლა ომში გადაიზარდა მაშინ, როდესაც დაუპატრონებელი აღარ დარჩა არც ერთი კოლონია აზიასა და აფრიკაში.

რელიგიას არც მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში უთამაშია მთავარი როლი. მისი უმთავრესი და გადამწყვეტი მიზეზი იყო იდეოლოგია (ნაციონალური სოციალიზმი გერმანიაში, ფაშიზმი — იტალიაში, ხოლო კომუნიზმი — საბჭოთა კავშირში). და მაინც, უმთავრესი „იზმი“, რომელიც გერმანიის, იტალიის და იაპონიის აგრესიული პოლიტიკის უკან იდგა, იყო ***ულტრანაციონალიზმი*** ან, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის გამოჩენილი მკვლევარი ჰანს ჯ. მორგენთაუ უწოდებდა, ***ნაციონალისტური უნივერსალიზმი.*** კორეის (1950-1953) და ვიეტნამის (1963-1975) ომებს გეოპოლიტიკური ანუ *სახელმწიფოებრივი* და *იდეოლოგიური მიზეზები* დაედო საფუძვლად. ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სწორედ პრაგმატიზმისა და იდეალიზმის ამ ნაზავმა განაპირობა ორივე ომის არადამაკმაყოფილებელი (ამერიკელების თვალსაზრისით) შედეგები.

ზედაპირულად ისე ჩანს, თითქოს ორივე მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები რადიკალურად განსხვავდებოდა იმ მიზეზებისგან, რომლებმაც განაპირობა ჯვაროსნული ომების დაწყება. მაგრამ, მიუხედავად სავარაუდო (ან უშუალო) მიზეზებისა (როგორიცაა რელიგიური ფანატიზმი, ნაციონალიზმი და ასე შემდეგ), ნებისმიერი ომი არის ერთი და იმავე ძველი „დაავადების“ გამოვლინება, მიუხედავად იმისა, რომ ამ „სენის“ სიმპტომები და სიმწვავე დროთა განმავლობაში შეიცვალა.

ფილოსოფოსები და თეოლოგები, რომლებიც იმედოვნებდნენ, ომის ფენომენის შესწავლით მოეძებნათ ახსნა მშვიდობისათვის, 2000 წელია ცდილობენ იპოვონ ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ისტორიის ყველაზე დამანგრეველი – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მეცნიერები მათემატიკური და სტატისტიკური მოდელების გამოყენებით ცდილობენ პრობლემის არსში ჩაწვდომას. ამ ტიპის რაოდენობრივი კვლევა არის მცდელობა, გამოიყენოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდოლოგიური ჟინი და სიზუსტე. ამ მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული დამცველი ჯონ ვასკე ამბობს:

> სამყაროს ფილოსოფიური ანალიზი, მაშინაც კი, როდესაც ის ეკუთვნის ისეთ დიდ მოაზროვნეს, როგორიცაა არისტოტელე, არ იძლევა მთლიან ცოდნას. ჩვენი შემეცნების არეალი გაფართოვდა მხოლოდ მეცნიერული მეთოდის განვითარების შედეგად. მხოლოდ კონტროლირებული დაკვირვების, სამხილების შეგროვების, ფრთხილი ინდუქციისა და იმ რწმენის მეშვეობით, რომ ჰიპოთეზა ყოველთვის უნდა გამოიცადოს მიღებამდე, შესაძლებელი გახდა პროგრესის მიღწევა. არა აქვს მნიშვნელობა, დადგება თუ არა ეჭვქვეშ პრივილეგირებული თეორიები, ეს პროცესი აუცილებელია, სანამ ომისა და მშვიდობის შესახებ უტყუარ ცნობას მოივიპოვებთ. [5]

რა ნაყოფი გამოიღო ომის შესწავლისადმი მეცნიერულმა მიდგომამ ამ დრომდე? ვაკსეს მიხედვით, მან „დახვეწა ფიქრები ომზე და დასვა სერიოზული კითხვები მისი გაგების შესახებ არსებულ ახსნებთან დაკავშირებით“.[6]

პოლიტოლოგების ერთი ნაწილი ასე დარწმუნებული არ არის.[7] მაგალითად, ჯეიმს

დოერტი და რობერტ პალცგრაფი ასკვიან, რომ „მიუხედავად ომის შესახებ სტატისტიკური სწავლების (როგორც ინდუქციური, ასევე დედუქციური) გავრცელებისა, ვერც ერთი მათგანი ვერ ხსნის ბოლომდე ყველაზე საჭირბოროტო პრობლემას... რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ისინი მხოლოდ სქოლიოებში შეგვხვდება და კლასიკურ შრომად არავინ ჩათვლის“.[8] გრეგ ქეშმენს ამ დებატებში ნეიტრალური პოზიცია უკავია:

> მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს რომელიმე კონკრეტული თეორია, რომელიც ახლოს მაინც მივიდოდა უნივერსალურ ღირებულებასთან, სოციალურ მეცნიერულ კვლევას ფუჭად არ ჩაუვლია. ზოგი თეორია მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს და მათ მხოლოდ მითოლოგიის სტატუსი აქვთ მინიჭებული. მაგრამ თეორიების ნაწილის სანდოობა მსოფლიო ისტორიის ფაქტებმა დაადასტურა. მართალია, გასული ოთხი ათწლეულის განმავლობაში სოციალური მეცნიერების ჩატარებული კვლევა ვერ დასრულდა ომის შესახებ ერთიანი თეორიის შექმნით, მაგრამ ჩატარებულმა კვლევებმა მაინც გაზარდა ომის მიზეზების შესახებ ჩვენი ცოდნა.[9]

ომის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას იმ სამი ალტერნატიული თეორიის განხილვით დავიწყებთ, რომლებიც დასავლეთის ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური მოაზროვნეების ნაშრომებში გვხვდება. ერთ-ერთი ინტერპრეტაცია აქცენტს ადამიანის ბუნებაზე აკეთებს, მეორე ხაზს უსვამს საზოგადოებას (მთავრობის ჩათვლით), მესამე ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო გარემოში არსებულ პრობლემებზე (მაგალითად, საკვების, წყლის, მიწის, ბუნებრივი რესურსებისა და ა.შ. ნაკლებობას), როგორც სოციალური და საერთაშორისო კონფლიქტის გაგების ძირითად საშუალებაზე.[10] ამ სამი ინტერპრეტაციის დეტალური ანალიზის შემდეგ განვიხილავთ თანამედროვე კვლევების რამდენიმე შედეგს, რათა დავადასტუროთ ან უარვყოთ ეს ინტერპრეტაციები.

ადამიანის მუნება

ისინი, ვინც ომს ადამიანის ბუნების მანკიერ მხარედ მიიჩნევენ, სხვადასხვა ახსნას გვთავაზობენ „ცუდად მოქცევის“ ზოგადსაკაცობრიო ტენდენციის შესახებ. ამ მხრივ, ქრისტიანობამ უმნიშვნელოვანესი კვალი დაატყო დასავლეთის პოლიტიკურ აზროვნებას.ძველ აღთქმაზე დაყრდნობით, ადრეული პერიოდის ქრისტიანი მოაზროვნეები მიიჩნევდნენ, რომ მთელი კაცობრიობა დაღდასმულია პირველყოფილი ცოდვის ანუ ადამისა და ევას მიერ საღვთო კანონის დარღვევის გამო ედემის ბაღში. „დაბადებაში“ მოთხრობილი დაცემის ამბავი ეხება მორალურ უძლურებასა და ადამიანის ცოდვით გამოხატულ სისუსტეს. ყველა გაგებით, ეს არის უნივერსალური მნიშვნელობის მქონე უნივერსალური ამბავი, ნაჭუჭში მოქცეული მსოფლიოს ისტორია.

ცნობილი თეოლოგის, ნეტარი ავგუსტინეს (354-430) შეხედულებით, ომი არის საფასური, რასაც ვიხდით ჩვენი ცოდვილი ბუნების გამო. სხვა ფილოსოფოსებიც ამჟღავნებენ მსგავს პესიმიზმს ისე, რომ არ ასახელებენ პირველყოფილ ცოდვას, როგორც ყველა უბედურების მიზეზს. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ომის გამომწვევად მსოფლიო ბატონობისადმი ადამიანის დაუცხრომელ სწრაფვას ასახელებს.

XVI საუკუნის იტალიელმა მოაზროვნემ, ნიკოლო მაკიაველიმ კიდევ უფრო პირქუშ ფერებში აღწერა ადამიანის ბუნებისა და პოლიტიკის ურთიერთობის პესიმისტური სურათი. „მთავარში“ მაკიაველი წერდა, რომ პოლიტიკური წარმატება და მორალური სიმართლე ხშირად ერთმანეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია: რაც უფრო ბინძურ პოლიტიკურ მეთოდს მიმართავს მთავარი საკუთარი მიზნების დასაკმაყოფილებლად, მით უფრო მდიდრდება და წარმატებული ხდება იგი.

თუ მკლევართა ერთი ნაწილი რელიგიას, ხოლო მეორე ნაწილი ფილოსოფიას იყენებს ადამიანის აგრესიული ქმედებების ასახსნელად, მკვლევართა მესამე ნაწილი ფსიქოლოგიას იშველიებს. ზიგმუნდ ფროიდს (1856-1939), ფსიქოანალიზის ფუძემდებელს, მიაჩნდა, რომ ადამიანები იბადებიან „სიკვდილის სურვილით“ — თვითგანადგურების თანდაყოლილი ტენდენციით, რომლის მიმართულების შეცვლასაც ისინი მოგვიანებით უმეტესწილად ახერხებენ. როგორც ფროიდი მიიჩნევდა, კონფლიქტის პირობებში ადამიანები ამ გამანადგურებელ ტენდენციას ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართავენ. აქედან გამომდინარე, ომს ფსიქოთერაპიული ფუნქცია აქვს: ეს არის თვითდამანგრეველი იმპულსის გამოდევნა. თუმცა, ამ თეორიის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ სანახევროდაა სწორი — ის ჯარისკაცები, რომლებიც სჩადიან მკვლელობას, თავად არ იღებენ გადაწყვეტილებას ომის დაწყების თაობაზე, ხოლო ისინი, ვინც ამის შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას (და ვინც ახერხებს მშვიდად ჯდომასა და საფრთხის თავიდან აცილებას), თავად არ იბრძვის. ჯარისკაცების უმეტესობა თავის მოვალეობას ასრულებს და გარდა ამისა, იბრძვიან, რადგან თავად მსხვერპლად ქცევა არ სურთ და არა იმიტომ, რომ ისინი *ბუნებით* მოძალადეებად არიან დაბადებული.

ფსიქოლოგთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ აგრესია ადამიანის თანდაყოლილი თვისება და ბუნებრივი რეაქციაა იმედგაცრუებაზე, ზოგჯერ კი ადამიანები ამჟღავნებენ „ტერიტორიებზე მბრძანებლობის“ იმავე ტიპს, რომლითაც ხასიათდებიან ცხოველთა შედარებით დაბალგანვითარებული სახეობები. „ტერიტორიის“ თეორიის მიხედვით, ფარულ აგრესიას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ადამიანის ბუნებაში და ერთი პირის ან ჯგუფის კუთვნილი ტერიტორიისადმი მუქარა სტიმულს აძლევს აგრესიულ ქმედებას.

მკლევართა სხვა ნაწილი მიიჩნევს, რომ ომის უმთავრესი მიზეზი დევს არა ადამიანის სულში, არამედ მის გონებაში. ადამიანები არც უზნეოები არიან და არც შეშლილები, ისინი უფრო გონებაჩლუნგები არიან, იმდენად ბრიყვები, რომ ვერ ხვდებიან ომის ამაოებას. ერთი გამოჩენილი პაციფისტი პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის წერდა:

> დაბრკოლებას ჩვენს გზაზე ქმნის არა მორალური, არამედ ინტელექტუალური სფერო. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ადამიანები წინასწარ არიან განწყობილნი და ამიტომ ვერ სწვდებიან სამყაროს სოციალურ ჭეშმარიტებას, არამედ მათ, თუმცა მოდით, ვიყოთ გულახდილები და ვთქვათ „ჩვენ“ — კონსერვატიული ტემპერამენტი და შეზღუდული გონიერება გვაქვს“. [11]

თომას ჰობსი (1588-1679) ომის განსხვავებულ, მაგრამ ასევე არანაკლებ უსიამოვნო ახსნას გვთავაზობს. ის მიიჩნევს, რომ ადამიანები ***ბუნებითი მდგომარეობით*** სასტიკები და უგუნურები არიან (ჰობსი ინგლისში პურიტანული რევოლუციის დროს ცხოვრობდა და მას ზარავდა იმაზე ფიქრი, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნდებოდა ქაოსი და „ყველა გააჩაღებდა ომს ყველას წინააღმდეგ“). მაგრამ

ყველაფრის მიუხედავად, ჰობსი რეალისტი იყო და ცდილობდა ჩასწვდომოდა ადამიანის ბუნებას ისეთს, როგორიც არის და არა ისეთს, როგორიც უნდა იყოს. ერთადერთი საშუალება ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების გასაგებად არის ცოდნა იმისა, როგორ მოიქცევიან ისინი ცივილიზებული საზოგადოების გარეშე, ბუნებით პირობებში. დღესაც მნიშვნელოვანია მის მიერ გაკეთებული დასკვნები.

ჰობსი ომის შესახებ. ჰობსის თანახმად, ბუნებით მდგომარეობაში ადამიანებს მართავს თვითგადარჩენის ძირითადი ინსტინქტი. მათ ყველაზე უფრო სიკვდილის ეშინიათ და განსაკუთრებით უფრთხიან უეცარ, მოულოდნელ აღსასრულს. თუმცა, სიკვდილის შიში მათ კი არ ადუნებთ, არამედ პირიქით, აგრესიულობასა და ძალადობას ჰმატებს, რაც ამ პირობებში ნორმად ითვლება:

> ამგვარად, ადამიანის ბუნებაში დევს დავის სამი მიზეზი. პირველი არის კონკურენცია, მეორე — განსხვავება და მესამე — დიდება. პირველი ადამიანს მოხვეჭისკენ უბიძგებს, მეორე — უსაფრთხოებისკენ, ხოლო მესამე — რეპუტაციის მოპოვებისკენ. პირველი წარმოშობს ძალადობას, რადგან ადამიანებს სურთ იბატონონ სხვა ადამიანებზე, მათ ცოლებზე, ბავშვებზე, დაეპატრონონ მათ საქონელს; მეორე ადამიანებს აიძულებს, დაიცვან საკუთარი მონაპოვარი, ხოლო მესამე იწვევს ღიმილს გასხვავებული აზრისა და სხვების შეფასებების მიმართ.
> აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მაშინ, როცა ადამიანები თავისუფლად ცხოვრობენ და არ ემორჩილებიან ერთ საერთო ძალას, ცხოვრობენ ისეთ პირობებში, რომლებსაც შეიძლება ომი ვუწოდოთ და ეს არის ყველას ომი ყველას წინააღმდეგ. [12]

ამდენად, ჰობსისთვის, ბუნებითი მდგომარეობა ომის მდგომარეობასთან იგივდება.

ჰობსმა იგივე ლოგიკა გამოიყენა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ასახსნელად, რომელიც გამუდმებული საომარი მდგომარეობით ხასიათდებოდა. მისი აზრით, სწორედ ისე, როგორც ბუნებით პირობებში ადამიანებს მართავს ძირითადი სურვილები და ინსტინქტები, ასევე, ამავე ინსტინქტების მქონე ლიდერები მართავენ სახელმწიფოებს. და სწორედ ისე, როგორც ბუნებას არ ჰყავს მთავრობა, რათა დაიცვას ადამიანები ერთმანეთისგან, ასევე, საერთაშორისო სისტემას არ ჰყავს ხელისუფლება, რათა დაიცვას სახელმწიფოები ერთმანეთისგან.

ჰობსის აზრით, არსებობს დავის სამი სახე, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ბუნების სამ ნაკლს. ესენია: *აგრესიული ომები*, რომლებსაც საფუძვლად უდევს კონკურენციის ინსტინქტი; *თავდაცვითი ომები*, რომლებიც გამოწვეულია შიშით და მესამე, *აგონისტიკური ომები* — გამოწვეული სიამაყით და პატივმოყვარეობით. ამ კომპაქტური თეორიით, ჰობსი შეეცადა აეხსნა არა მხოლოდ ის, როგორ მოიქცეოდნენ საზოგადოების და მთავრობის მაცივილიზებელი გავლენისგან თავისუფალი ადამიანები (რომლებიც კისერს გამოღადრავდნენ ერთმანეთს, რომ არა ხელისუფლების მიერ შემოღებული კანონი და წესრიგი), არამედ ისიც, რატომ იწყებენ სახელმწიფოები ომს ერთმანეთის წინააღმდეგ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გარე დამკვირვებლისათვის ყოველად უაზროა.

ჰობსის მემკვიდრეობა: ჰანს მორგენთაუ, ჰობსის მსგავსად, თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ადამიანები მანკიერები არიან. მორგენთაუს აზრით, „ადამიანური

ბუნება, რომელშიც პოლიტიკის კანონს თავისი ადგილი აქვს, არ შეცვლილა იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ჩინელი, ინდოელი და ბერძენი ფილოსოფოსები ცდილობდნენ აღმოეჩინათ ეს კანონები“ და „პოლიტიკა, საზოგადოების მსგავსად, იმართება ობიექტურ კანონთა წყებით, რომლებსაც საფუძველი ადამიანის ბუნებაში უდევს.“[13] ამ კანონთა მოქმედების გაგება შესაძლებელია „იმ ინტერესების მეშვეობით, რომლებიც ძალაუფლების“ სახელითაა ცნობილი. ამ გზით პოლიტიკის კონცეპტუალიზაცია ნიშნავს, რომ ადამიანები მოტივირებულები არიან თვითდაინტერესებით, რომელიც მათ ძალაუფლებისთვის მუდმივი ბრძოლისათვის განაწყობს. მორგენთაუმ განსაკუთრებით ნათლად გამოხატა საკუთარი აზრი, როდესაც განაცხადა, რომ „საერთაშორისო პოლიტიკა, ყველა პოლიტიკის მსგავსად, არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის“. რაც არ უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკის საბოლოო მიზანი, უშუალო მიზანი მაინც ძალაუფლებაა. „ისევე, როგორც მისმა წინამორბედმა ჰობსმა, მორგენთაუმაც უარყო მცდარი (იდეალისტური) მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ „ადამიანური საწყისი კეთილია, ხოლო ადამიანის ბუნება — იოლად დრეკადი და თვინიერი“. ნაცვლად ამისა, იგი მხარს უჭერს რეალისტურ მოსაზრებას, რომ „სამყარო, რომელიც არასრულყოფილია რაციონალური მოსაზრებიდან გამომდინარე, არის იმ ძალების მოქმედების შედეგი, რომელიც ადამიანის საწყისშია“.[14]

მორგენთაუს და მის ნაშრომებზე დაფუძნებული პოლიტიკური თეორიის რეალისტური სკოლის მიხედვით, ადამიანის ბუნება და განდიდების ინსტინქტი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, რომელიც კონკურენციასა და კონფლიქტს იწვევს. ამგვარი ანალიზი კაცობრიობას ძალიან უსიამოვნო კუთხით წარმოაჩენს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს მოსაზრება არის ერთადერთი სარწმუნო ახსნა იმისა, თუ რატომ ხდება ომები.

საზოგადოება

ყველა პოლიტიკური მოაზროვნე ომის მიზეზად ადამიანის ფსიქიკას ან ბუნებას არ მიიჩნევს. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ომის გაჩაღებაში, ზოგადად, თანამედროვე საზოგადოებას ადანაშაულებს, რომელიც სახელმწიფოს სახით არის ფორმირებული (ექსკლუზიური პოლიტიკური ან „წევრობის“ პრინციპზე აგებული ასოციაციები), ხოლო მეორე ნაწილი — პოლიტიკური სახელმწიფოების იმ კონკრეტულ კატეგორიას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას. ამ თავში განვიხილავთ პოლიტიკური თეორიებისადმი სხვადასხვა მიდგომას და აგრეთვე იმ ლიდერებს, რომლებიც საზოგადოებას ან სახელმწიფოს (საზოგადოების პოლიტიკური ჩარჩო) ადანაშაულებენ ომების გაჩაღებაში.

რუსო: დამნაშავეა ქონება. „ადამიანი თავისუფალ ქმნილებადაა დაბადებული, მაგრამ მას მთელი ცხოვრება ბორკილები ადევს“, — ერი-სახელმწიფოებზე მიტანილი ამ იერიშით დაიწყო ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან-ჟაკ რუსომ (1712-1778) კლასიკად ქცეული ნაშრომი „*საზოგადოებრივი ხელშეკრულება*“ (1762), რომელშიც პირდაპირ გააკრიტიკა ჰობსის მოსაზრება ადამიანის მუხთალ და მოძალადე ბუნებასთან დაკავშირებით. რუსომ დასაწყისშივე განაცხადა, რომ ადამიანები „სულელი, მაგრამ მშვიდობიანი“ არსებები არიან, რომლებსაც შეუძლიათ თანაუგრძნონ დაჩაგრულებს (დააკვირდით, რამდენად ეწინააღმდეგება ეს განსაზღვრება „სულელი, მა-

გრამ მოძალადე“ ადამიანების შესახებ თეზას, რომელიც ამ თავშივე განვიხილეთ). ამ კუთხიდან თუ შევხედავთ, ჰობსმა უბრალოდ შესცოდა, როდესაც ისეთი თანდაყოლილი თვისებები, როგორიცაა ამბიცია, შიში და სიამაყე, მიაწერა ბუნებით მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს. რუსოს სჯეროდა, რომ ეს არის სოციალური ადამიანისა და არა პირველყოფილი ადამიანის თვისება. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ანტისოციალურ საქციელს სოციალური საფუძვლები აქვს; ეს არის ადამიანის მანკიერების უტყუარი ნიშანი. ამ შემთხვევაში დამნაშავეა საზოგადოება და არა ადამიანის ბუნება. რუსო საკმაოდ მკვეთრად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით: „ცხადია, რომ საზოგადოებას უნდა მიეწეროს მკვლელობები, მოწამვლის ფაქტები, შარაგზის ყაჩაღობები და ამგვარ დანაშაულებათა დასჯაც კი“.[15]

რუსოს სწამდა, რომ საზოგადოება არის ყველანაირი პრობლემის მიზეზი, ომის ჩათვლით. ის განსაკუთრებით ადანაშაულებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტს, მეთვრამეტე საუკუნის ევროპის ძირითად საზრუნავს, იმ უბედურებებისათვის, რომლებმაც მთელი კაცობრიობა მოიცვა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ცივილიზაციის ყალბ სიამოვნებაზე გაცვალეს პირველყოფილი უმანკოება. საკუთრება განარჩევს ადამიანებს იმით, რომ ქმნის უსარგებლო უთანასწორობას ჯანმრთელობის, სტატუსისა და ძალაუფლების მხრივ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებსა და თანდათანობით — სახელმწიფოებს შორის:

> პირველი ადამიანი, რომელმაც შემოღობა მიწის ნაკვეთი, გონებაში ჩაიბეჭდა, რომ „ეს მისია“ და იპოვა ადამიანები, რომლებიც იმდენად სულელები აღმოჩნდნენ, რომ ეს დაიჯერეს, იყო სამოქალაქო საზოგადოების ჭეშმარიტი ფუძემდებელი. რამდენ დანაშაულს, ომს, მკვლელობასა და საშინელებას ასცდებოდა კაცობრიობა, ვინმეს რომ დაეყვირა: ნუ უსმენთ ამ მატყუარას, ინანებთ, თუ დაივიწყებთ, რომ ნაყოფი ყველასია, ხოლო მიწა — საერთო. [16]

რუსომ ჩამოაყალიბა პოსტულატი, რომ კერძო საკუთრების შექმნამ საფუძველი ჩაუყარა პირველ პოლიტიკურ საზოგადოებას, ხოლო პოლიტიკურმა საზოგადოებამ, თავის მხრივ, დამატებითი, ერი-სახელმწიფოების შექმნას. და გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ერი-სახელმწიფო მეორის პირისპირ რჩებოდა, წარმოიშვა დიდი დაძაბულობა, რომელიც შემდგომ „ერთა შორის ომებში, ბრძოლებში, მკველობებში გადაიზარდა, რამაც შეძრა ბუნება და შეარყია გონება“.[17] როგორც რუსო ამბობს, „ადამიანური რასის დაყოფამ სხვადასხვა საზოგადოებებად“ გამოიწვია ის, რომ

> ადამიანები ყველაზე ღირსეულ საქციელად თანამოძმის მკვლელობას მიიჩნევდნენ. თანდათანობით საქმე იქამდე მივიდა, რომ ადამიანები უმიზნოდ ხოცავდნენ ერთმანეთს. ბრძოლის ერთი დღის განმავლობაში უფრო მეტი მკვლელობა ხდებოდა და ერთი ქალაქის დაპყრობას უფრო მეტი საშინელება მოსდევდა, ვიდრე ეს ბუნებით მდგომარეობაში მთელი საუკუნის განავლობაში.[18]

რუსოს მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ ყველა ბოროტების სათავე კერძო საკუთრებაა, ღრმა კვალი დააჩნია თანამედროვე ინტელექტუალურ ისტორიას. იმ პოლიტიკურ მოაზროვნეებს შორისაც კი, რომლებიც უარყოფენ რუსოს შეხედულე-

ბას ერი-სახელმწიფოების მანკიერების შესახებ, მრავლად არიან ისინიც, რომლებიც აღიარებენ მის ზოგად თეორიას: „ადამიანი კარგია, მაგრამ ადამიანები ერთად — ცუდები“. ამ თემაზე რამდენიმე ვარიაცია წარმოიშვა მეოცე საუკუნეში. როგორც დავინახავთ, თითოეული ძირეულად განსხვავდება მეორისგან, მაგრამ ყველა მათგანი იზიარებს მოსაზრებას, რომ ის ფატალური მანკი, რომელსაც ომამდე მივყავართ, უნდა ვეძებოთ საზოგადოებაში და არა ადამიანის ბუნებაში.

დამნაშავეა ნაციონალიზმი: ბევრი თანამედროვე მოაზროვნე ამტკიცებს, რომ ომი იმთავითვე არსებობს ცალკეულ საზოგადოებებში დამოუკიდებელი მთავრობებით. ამ პოტენციური სეპარატისტული ტენდენციის ძირითადი გამოხატულებაა ნაციონალიზმი (რომელსაც ხშირად ჯინგოიზმის ან შოვინიზმის სახელითაც მოიხსენიებენ, გასაკუთრებით მის რადიკალურ გამოვლინებებს). ნაციონალიზმი, ჩვეულებრივ, გულისხმობს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების მიერ პატრიოტულ გრძნობას სამშობლოს მიმართ. ერთ-ერთი ცნობილი ავტორი ამბობს:

> ყველა ერს თავისი ვარდისფერი სარკე აქვს. ამგვარი სარკის განსაკუთრებული თვისებაა გამოსახულების მომხიბვლელად წარმოჩენა: ის აშორებს ნაოჭებს და ხასიათი და მშვენება პირდაპირ ბრწყინავს! თითოეული ერი საკუთარ თავს მიიჩნევს ყველაზე მართლად... თითოეული ერი დარწმუნებულია (აქ საგულისხმოა ტემპერამენტი და მიდრეკილება), რომ ის „ღვთის რჩეული“ ერია და „ღვითსგან კურთხეულ მიწაზე“ ცხოვრობს.[19]

გასაკვირი არ არის, რომ ნაციონალიზმს კერპთთაყვანისმცემლობას უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ის ერთი საზოგადოების წევრებს შორის აძლიერებს კავშირს, ერთობასა და თვითშეწირვას, თავად საზოგადოებებს შორის, პირდაპირ თუ ირიბად, მილიტარიზმის, ქსენოფობიისა და ორმხრივი უნდობლობის საფუძველი ხდება.

შესაძლებელია ნაციონალიზმით მანიპულირება ისე, რომ მან მხარი დაუჭიროს აგრესიულ პოლიტიკას, ხოლო ომი, თავის მხრივ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაციონალიზმის გასაძლიერებლად. ურთიერთკავშირი ნაციონალიზმსა და ომს შორის იმდენად მერყევი და ცვალებადია, რომ ბევრი ***ინტერნაციონალისტი*** (თეორეტიკოსების ის ნაწილი, რომლებიც მხარს უჭერენ ქვეყნებს შორის მშვიდობასა და თანამშრომლობას ხელისუფლებათა აქტიური თანამშრომლობის გზით მსოფლიო ორგანიზაციისმაგვარ სტრუქტურაში) ნაციონალიზმს მსოფლიოს ხალხებს შორის მშვიდობის მიღწევის მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევს.

იმდენად, რამდენადაც ნაციონალიზმი ხელოვნური გატაცებაა, ანუ უფრო სოციალურად არის განპირობებული, ვიდრე თანდაყოლილია, ომების გაჩაღებაში დამნაშავეა პოლიტიკური საზოგადოება. ამგვარმა მსჯელობამ მისცა სტიმული იდეალისტთა ერთ, მეოცნებე ნაწილს და მათ უკიდურესად (კრიტიკოსების აზრით „ბრიყვულ“) მარტივ ფორმულას მიაგნეს: მოვსპოთ ერი-სახელმწიფოები, მათთან ერთად — ნაციონალიზმი, ნაციონალიზმთან ერთად კი ომებიც მოისპობა. მეორე ნაწილი უფრო პრაქტიკულ გამოსავალს ხედავს — ერი-სახელმწიფოების გაუქმების ნაცვლად, საჭიროა მათი „კორექტირება“.

ვილსონი და კანტი: დამნაშავეა ტირანია. ბევრი ექსპერტი თანამედროვე კონფლიქტების უმთავრეს წყაროდ ნაციონალიზმს მიიჩნევს, ხოლო მეორე ნაწილი მეოცე საუკუნის ორი დამანგრეველი ომის გაჩაღებაში დესპოტიზმს ადანაშაულებს.

პრეზიდენტი ვუდროუ ვილსონი იყო პირველი, რომელმაც წინ წამოსწია ეს ცნება და ფაქტობრივად შეეცადა, ამ ფუნდამენტურ პრიცნიპებზე სამყაროს ახალი მოდელი აეგო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვილსონი შეეცადა გაეხანგრძლივებინა მშვიდობა მსოფლიოში ქარტიის მეშვეობით, რომელიც *თოთხმეტი პრინციპისგან* შედგებოდა. იგი იმედოვნებდა, რომ ამ პრინციპების დაცვა შესაძლებელს გახდიდა მსოფლიოს მშვიდობიანი გზით მართვას. მის მიერ შემოთავაზებული მსოფლიოს ახალი სისტემის ქვაკუთხედია ***ეროვნული თვითგამორკვევის*** უფლება ანუ ადამიანების უფლება, აირჩიონ სასურველი მთავრობა. ვილსონის აზრით თვითგამორკვევის უფლება გახდებოდა დემოკრატიის საფუძველი, რომელიც, ბუნებრივია, მშვიდობის დამკვიდრების უკეთესი საშუალებაა, ვიდრე დიქტატურა.

მაგრამ რატომ უნდა გაუჩნდეთ დემოკრატიულ სახლემწიფოებს ომის სურვილი დიქტატორულ სახელმწიფოებზე ნაკლებად? მეთვრამეტე საუკუნის გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუილ კანტმა (1724-1804) პირველმა ახსნა ეს მოვლენა, რამაც დიდი გავლენა იქონია ვილსონზე (როგორც ერთ-ერთმა კომპეტენტურმა პირმა აღნიშნა, „ვილსონმა პატიოსნად გადმოიტანა კანტის *მარადიული მშვიდობის* იდეები თავის თოთხმეტ პრინციპში“[20]). კანტის ნაშრომის მიხედვით იმისათვის, რათა სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ სიძლიერე, საჭიროა განავითარონ განათლება, კომერცია და სამოქალაქო თავისუფლება. განათლებას, კანტის აზრით, მოაქვს საერთო განმანათლებლობა, ხოლო კომერცია საშუალებას აძლევს ქვეყანას მოიპოვოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხოლო ეს ორი ფაქტორი საფუძველს უყრის მშვიდობას. რაც ყველაზე მთავარია, ფართო პოლიტიკური თავისუფლების პირობებში, მოქალაქეები უფრო კომპეტენტურები გახდებიან საზოგადოებრივ საკითხებში. რადგანაც თავისუფლება ყველაზე უფრო რესპუბლიკურ წყობაში მიიღწევა, ამგვარი ხელისუფლება *ბუნებით* უფრო მშვიდობისმოყვარეა. მიზეზი მარტივია: რესპუბლიკაში, მონარქიისა და არისტოკრატიული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, გადაწყვეტილებას ომის წარმოების თაობაზე იღებენ ის ადამიანები, რომლებმაც თავადაც უნდა იბრძოლონ. როგორც კანტი ამბობს:

> რესპუბლიკის კონსტიტუცია ახალისებს მშვიდობისმოყვარე საქციელს შემდეგი მიზეზით: თუ ომის დაწყებისთვის საჭიროა იმ ადამიანების თანხმობა, რომლებმაც საკუთარ თავზე უნდა გამოსცადონ ომის მთელი საშინელება, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი ხალისით დათანხმდებიან ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობაზე. ამგვარი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ქვეყნები, რომელთა მთავარი საგანი არ არის მოქალაქე, ძალზე იოლად იწყებენ ომს, როგორც გასართობს და ამისთვის მათ სერიოზული მიზეზი არ სჭირდებათ.[21]

კანტმა იწინასწარმეტყველა მსოფლიო სისტემის უფრო მშვიდობიანი მოდელის დამკვიდრების მყარი, თუმცა შეუმჩნეველი, ევოლუციური პროცესი, როდესაც მთავრობები გაითვალისწინებენ ადამიანთა უმრავლესობის აზრს. კანტი ფიქრობდა, რომ ომი თანდათანობით ისტორიის კუთვნილება გახდებოდა.

კანტის მიერ აღმოჩენილი კავშირი რესპუბლიკანიზმსა და მშვიდობას შორის ვილსონის პოლიტიკური კრედო გახდა. ორივე, კანტი და ვილსონი, მიიჩნევდა, რომ ერი-სახელმწიფოების შექმნა არის მსოფლიოში ომების თავიდან აცილების ერთადერთი გზა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ორივე მიისწრაფვოდა დემოკრატიის,

ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი, რომელსაც დიდი პატივით შეხვდნენ დიდ ბრიტანეთში პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, იმედოვნებდა, რომ მსოფლიოს „დემოკრატიისთვის უსაფრთხო ადგილად“ აქცევდა, მაგრამ მისი ეროვნული თვითგამორკვევის თეორია წარუმატებელი აღმოჩნდა და ვერ შეძლო ერებს შორის ომის შეჩერება.

განათლებისა და თავისუფალი ვაჭრობის გლობალური გავრცელებისკენ მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით. ვილსონი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რიგითი მოქალაქის ზნეობასა და საღ აზრს. იგი დარწმუნდა, რომ ეროვნული თვითგამორკვევის იდეალი არის კაცობრიობის პოლიტიკური ხსნის თავი და თავი. მას აგრეთვე სჯეროდა, რომ მსოფლიოს ხალხები ლიბერალურ დემოკრატიასა და მშვიდობას არჩევდნენ, ალტერნატიული მთავრობის არჩევის საშუალება რომ ჰქონოდათ. და ბოლოს, ვილსონი ფიქრობდა, რომ თუ დემოკრატიული ინსტიტუტები იარსებებდა ყველა ქვეყანაში მაშინ, როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე, ზოგადად, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზნეობრივი ძალა ხელს შეუშლიდა შეიარაღებულ აგრესიას.

ლენინი: დამნაშავეა კაპიტალიზმი. იმ ადამიანებს შორის, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ იდეას, რომ მშვიდობა ემყარებოდა უფრო მეტი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნასა და დიქტატურის აღმოფხვრას, გახლდათ ვილსონის არანაკლებ ცნობილი თანამედროვე, რუსული რევოლუციის სულისჩამდგმელი და ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი მმართველი ვ.ი. ლენინი (1870-1924). ლენინი გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა იმ ბურჟუაზიული დემოკრატიის იდეას, რომელსაც თავგამოდებით იცავდა ვილსონი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი იწონებდა ეროვნული თვითგამორკვევის იდეას, მათი ინტერპრეტაციები ამ ცნების შესახებ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ვილსონი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი ერი არჩევდა დემოკრატიას, თუკი არჩევანის შესაძლებლობა ექნებოდა დემოკრატიასა და სხვა რომელიმე სისტემას შორის. მისგან განსხვავებით, ლენინი ამტკიცებდა, რომ

კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის არჩევანის შემთხვევაში, ის აუცილებლად კომუნიზმის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ლენინისათვის პოლიტიკის პრიმატი ცხადი იყო. ლენინის, როგორც კარლ მარქსის მიმდევარის, აზრით, ომი მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტების ინტერესებს ემსახურებოდა.

თავის მნიშვნელოვან ნაშრომში „იმპერიალიზმი: კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური", ლენინმა კიდევ უფრო გააღრმავა მარქსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დასავლური იმპერიალიზმი ანუ გვიანდელი მეცხრამეტე საუკუნის ქიშპი კოლონიებისათვის, უდავოდ მიუთითებდა კაპიტალიზმის გადაშენებაზე. ლენინის აზრით, იმპერიალიზმი იყო იმ დაუნდობელი ბრძოლების ლოგიკური გაგრძელება, რაც ახასიათებს მონოპოლიურ კაპიტალიზმს. მისივე მოსაზრებით, კაპიტალისტები ყოველთვის შეეცდებოდნენ უცხო ქვეყნების ბაზრების დაპყრობას, რაც მათ საშუალებას მისცემდა, განეხორციელებინათ სარფიანი ინვესტიციები ან გაეყიდათ საქონელი. ამგვარად, მონოპოლისტი კაპიტალისტები საკუთარი ფინანსური ძალაუფლებისა და მისი თანმდევი პოლიტიკური გავლენის მეშვეობით ცდილობდნენ ომში ჩაეთრიათ საზოგადოება საკუთარი ფინანსური სარგებლის გაზრდის მიზნით. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ:

> როდესაც აფრიკაში ევროპული კოლონიები ტერიტორიის მხოლოდ ერთ მეათედს მოიცავდა (როგორც ეს 1976 წელს იყო), კოლონიურმა პოლიტიკამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, განვითარება ტერიტორიების „თავისუფალი მიტაცების" მეთოდით შეძლო, მაგრამ როდესაც აფრიკის ცხრა მეათედი მიტაცებულ იქნა (დაახლოებით 1900 წლისთვის) და მოხდა მთელი მსოფლიოს დანაწილება, ამას მოჰყვა კოლონიური მონოპოლიის პერიოდი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა მსოფლიოს განაწილების ან გადანაწილებისათვის.[22]

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლენინის აზრით, ომი სარფიანი საქმეა კაპიტალისტებისთვის და ამიტომ ცდილობენ ისინი ომის ხელშეწყობა საკუთარ საქმედ აქციონ.

ომის გამომწვევი მიზეზების ლენინისეული ანალიზი ძალზე შორს დგას ვილსონის თეორიისაგან იმის შესახებ, რომ ტირანიას აუცილებლად მივყავართ საერთაშორისო კონფლიქტებამდე. და მაინც, ეს ორი მოსაზრება ერთმანეთს ძირითად საკითხში ემთხვევა: ორივე, ვილსონიც და ლენინიც ამტკიცებდნენ, რომ ერი-სახელმწიფოები, უფრო სწორად კონკრეტული დეფექტის მქონე ერი-სახელმწიფოები, იწვევენ ომებს. ეს ორი ლიდერი ერთმანეთის თანამედროვეები და ამავდროულად მეტოქეებიც იყვნენ. ისინი იდეოლოგიური წყალგამყოფის საპირისპირო მხარეს იდგნენ, მაგრამ, რუსოს მსგავსად, ორივე ფიქრობდა, რომ საზოგადოების მანკიერების აღმოფხვრის შემთხვევაში, მსოფლიოში სამუდამო მშვიდობა დაისადგურებდა. ეს მანკი ვილსონისთვის მთავრობის კონკრეტული ტიპი იყო, ხოლო ლენინისთვის — ეკონომიკის ტიპი. ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი საკითხია ცვლილება: შეცვალე აგრესიული ერი-სახელმწიფოები და ადამიანები სიმშვიდესა და ჰარმონიაში იცხოვრებენ.

გარემო

თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ომები გამოწვეულია დეფიციტითა

და დაუცველობით, რაც დაკავშირებულია ისეთ „ბუნებრივ მტაცებლებთან“, როგორიცაა სიცივე, შიმშილი, დაავადებები, ქარიშხლები და ა.შ. ეს მოსაზრება ფილოსოფოს ჯონ ლოკის (1632-1704) იდეებს ემთხვევა.

ლოკის შეხედულება. ტრაქტატში სამოქალაქო მთავრობის შესახებ (1690) ლოკი ამტკიცებდა, რომ ომები არის ბუნების კანონების გამოძახილი და არა ადამიანის ბუნებისა ან საზოგადოების დეფექტებისა. მარტივად რომ ვთქვათ, გარემო პირობები, რომელსაც ადამიანი ვერ აკონტროლებს, ხშირად აყენებს ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის პირისპირ და ამიტომ, კონფლიქტებიც გარდაუვალია. მისი წინამორბედი ჰობსის მსგავსად, ლოკიც არ ხუჭავდა თვალს ადამიანის ბუნების მანკიერებებზე. ადამიანის ბუნების შესწავლამ ლოკი იმ აზრამდე მიიყვანა, რასაც ჰობსიც ემხრობოდა — ანუ თვითგადარჩენა ადამიანის ძირითადი ინსტინქტია. თუმცაღა, ამ საკითხზე ამ ორი მოაზროვნის მსჯელობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ერთ-ერთი კომპეტენტური პირის სიტყვებით:

> ლოკის მიერ დანახული ბუნებითი მდგომარეობა არ არის ისეთი სასტიკი, როგორიც ეს ჰობს წარმოედგინა. თუ ძალის გამოყენება უფლების გარეშე ჩვეულებრივი მოვლენაა ლოკისეულ ბუნებით მდგომარეობაში, ეს იმიტომ არ ხდება, რომ ადამიანების უმეტესობა ბოროტმოქმედი, ველური ან სისხლისმსმელია; ჰობსისგან განსხვავებით ლოკი არ ფიქრობს, რომ თითოეული ადამიანი ერთმანეთის პოტენციური მკვლელია. სიცოცხლისათვის ძირითადი საფრთხე ბუნებით მდგომარეობაში არის არა მკვლელის ტენდენციები ადამიანებში, არამედ ის სიღატაკე და გაჭირვება, რაც ახასიათებს ამ მდგომარეობას.[23]

ლოკს სწამდა, რომ სიღატაკე და გაჭირვება გარდაუვალია ბუნებით მდგომარეობაში, რადგან, მისი აზრით, დიდი ძალიხმევაა საჭირო ყოველდღიური სარჩოს მოსაპოვებლად. ამ პირობებში კი, ჩვენი ქონება უნდა დავიცვათ იმ მეზობლებისგან, რომლებიც ისწრაფვიან მისი დაპატრონებისკენ და იმ ადამიანებისგან, რომლებსაც შიათ და ღარიბები არიან. ამგვარად, ლოკი პრობლემას უფრო მწირ რესურსებში (საკვები, მიწა და ა.შ) ხედავდა, ვიდრე შინაგან ბუნებრივ ხასიათზე.

ლოკის შეხედულებები ადამიანებზე, საზოგადოებასა და ბუნებაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ომისა და მშვიდობის საკითხებთან. თუ ომის წარმოშობის მიზეზები უნდა ვეძებოთ ადამიანებში, როგორც ეს ჰობს სჯეროდა, მაშინ მისი აღმოფხვრის ერთადერთი საშუალებაა შინაგანი მეობის შეცვლა. ხოლო, თუ პრობლემა უნდა ვეძებოთ საზოგადოებაში, როგორც რუსო და ლენინი თვლიდნენ, მაშინ გამოსავალი მდგომარეობს საზოგადოების (ან სახელმწიფოს) იმგვარად გადაწყობაში, რომ აღმოიფხვრას აგრესიული ქცევის გამომწვევი ფაქტორები. მაგრამ, თუ პრობლემაა არა ადამიანი ან საზოგადოება, არამედ ბუნებაა, მაშინ ერთადერთ გამოსავლად ბუნების გარდაქმნაღა რჩება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბუნების ტრანსფორმაცია იყო ზუსტად ის გზა, რომელსაც ლოკი შიდა საზოგადოებაში კონფლიქტის აღმოფხვრის ინსტრუმენტად მიიჩნევდა. მისი აზრით, სამოქალაქო ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ისეთი პირობების დამკვიდრებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური განვითარების მეშვეობით მნიშვნელოვნად შესუსტდება სოციალური დაძაბულობის ძირითადი მიზეზი — ადამიანის მდგომარეობის ბუნე-

ბრივი „გაჭირვება“. ამავე დროს, თუ ბუნების ცვალებადობას ჩაენაცვლება ორგანიზებული საზოგადოების ოფიციალური წესები, მნიშვნელოვნად შემცირდება იმის საჭიროება, რომ ადამიანებმა მუდმივად აკონტროლონ ერთმანეთი. ამგვარად, ადამიანები შეძლებდნენ საბოლოოდ დაეტოვებინათ ბუნებითი მდგომარეობა, მთელი თავისი ანარქიითა და საფრთხეებით.

ბუნებითი მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ, ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ ბედის ირონიით შეაბიჯეს სხვა — საერთაშორისო პოლიტიკის სასტიკ სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ ლოკს არ მოურგია პოლიტიკის შესახებ საკუთარი თეორია საერთაშორისო ურთიერთობებისათვის, მისი მსჯელობა სრულად მიესადაგება ამ საკითხს. მთავრობის „გამოგონებამდე“ ადამიანები ცხოვრობდნენ შიდა ანარქიაში. ამგვარადვე, ეფექტიანი მსოფლიო ხელისუფლების არარსებობის პირობებში სახელმწიფოები არსებობენ საერთაშორისო ანარქიაში. ამ გაგებით, ერი-სახელმწიფოებს შორის არსებული დამოკიდებულება მცირედით განსხვავდება იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც არსებობდა ადამიანებს შორის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე. საერთაშორისო ბუნებითი მდგომარეობა, ისევე, როგორც თავდაპირველი ბუნებრივი მდგომარობა, მუდმივად იმყოფება *პოტენციურ* საომარ ვითარებაში. აქედან გამომდინარე, თითოეული ერი-სახელმწიფო საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით მოქმედებს მტრულ გარემოში, სწორედ ისე, როგორც თითოეული ადამიანი მოიქცეოდა ბუნებით მდგომარეობაში.

ომის ყველაზე უფრო გავრცელებული და ძვირფასი ნადავლი ტერიტორიაა და ისტორიიდან გამომდინარე, სწორედ ახალი ტერიტორიებისა და მიწების, ლოკის მიხედვით ქონების, დაპატრონების გამო ხდება ომების უმეტესი ნაწილი. გაიხსენეთ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ევროპის სახელმწიფოების ბრძოლას ახალი კოლონიებისათვის ლენინი ახალი ბაზრების, იაფი მუშახელისა და ნედლეულის დაპატრონების სურვილს მიაწერდა. მნიშვნელოვანია ლენინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაპიტალის (ფული და ქონება) დაგროვებისადმი მიდრეკილება, რომელსაც ლოკიც აღწერდა, პირდაპირ უკავშირდება იმპერიალიზმის ფენომენს, რაც, როგორც მან იწინასწარმეტყველა, მსოფლიოს ომამდე მიიყვანდა. ლენინი თუნდაც აჭარბებდეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ საკუთარი მოსაზრების გამოთქმისას, ერთი რამ ცხადია: ტერიტორიულობა ყოველთვის უკავშირდებოდა და კვლავაც დაუკავშირდება ომს.

ლოკი იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც ჯერ კიდევ მრავლად იყო ევროპელების მიერ დაუპატრონებელი და აუთვისებელი ტერიტორია. იგი აღნიშნავდა, რომ ადამიანები ჰარმონიულად იცხოვობდნენ, თუ რომელიმე მათგანი არ მოინდომებდა სხვების დაჩაგვრას. ამ ფაქტებს მივყავართ იმ აზრამდე, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნა რესურსებზე, ხოლო, სიღატაკის ზღვრის საკითხი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ლოკი ამტკიცებს, რომ პრეისტორიულ ადამიანს საფრთხე ექმნებოდა ბუნებრივი რესურსების ამოწურვით. წარმოიდგინეთ, რამდენად გაძლიერდა ეს საფრთხე დროთა განმავლობაში.

ბუნებრივი რესურსების სიმწირე: მალთუსის კოშმარი. ბევრმა თანამედროვე ავტორმა განავრცო ლოკის მიერ წამოწეული ბუნებრივი რესურსების სიმწირის თემა. ამ თემას თომას მალთუსიც (1766-1834) შეეხო თავის ცნობილ ნაშრომში — „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“ (1780). რიჩარდ ფოლკმა (1972), მაგალითად, განსაზღვრა „პლანეტარული საფრთხის ოთხი განზომილება“: „ომის სისტემა“,

„მოსახლეობის ზრდა“, „მწირი რესურსები“ და „გარემოს გადატვირთვა“.[24] საფრთხის ეს ოთხი განზომილება, ფოლკის მიხედვით, ერთი პრობლემის ერთმანეთთან დაკავშირებული ასპექტებია და აქედან გამომდინარე, ერთად უნდა განვიხილოთ.

საერთაშორისო კონფლიქტის მიზეზებთან დაკავშირებით ფოლკის მოსაზრებები შეესაბამება პოლიტიკის ლოკისეულ გაგებას:

> ...საერთაშორისო საზოგადოება, რასაკვირველია, არის ომის სისტემის უკიდურესი მაგალითი. კონფლიქტები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სასიცოცხლო ინტერესები მუდმივად რისკის ქვეშაა. ძალაუფლებისა და რესურსების უთანასწორობა უბიძგებს სახელმწიფოებს დაეპატრონონ მეზობელი სახელმწიფოების კუთვნილებას.[25]

სწორედ ისე, როგორც ადამიანები არიან დაუცველი სხვების ძალადობისგან ბუნებით მდგომარეობაში, მტაცებელი ერი-სახელმწიფოები საფრთხეს უქმნიან სხვა ერ-სახელმწიფოებს. ამიტომ, ისტორიის განმავლობაში, როგორც ფოლკი ამტკიცებს, ის გარემოებები, რომლებიც არ ემორჩილებიან კონკრეტული ერი-სახელმწიფოების კონტროლს, აიძულებს მათ, განიხილონ საკუთარი უსაფრთხოება მეზობელი სახელმწიფოების საჭიროებების პირდაპირპროპოციულად. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმ უპრეცენდენტო ნგრევისა, რაც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს მოჰყვა, „მრავალი ნაბიჯი გადაიდგა, და ხშირად წარმატებითაც, ომის ბარბაროსობის ხარისხის შესამცირებლად, მაგრამ ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა ომის წარმომშობი ფაქტორების აღმოსაფხვრელად“.[26] კონკრეტულად რომელ ფაქტორებზეა ლაპარაკი? პროფესორი ფოლკი ამტკიცებს, რომ საკვებისა და წყლის მარაგის ხელმისაწვდომობა პირდაპირ კავშირშია უძველეს ომებთან, რაც კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება თანამედროვე ომებთან მიმართებაში:

> დღევანდელი, მასობრივი შიმშილის ვითარებაში უნდა გავითვალისწინოთ უძველესი კავშირი, რაც არსებობს ომებსა და საკვების მარაგის კონტროლს შორის, ისევე, როგორც საუკუნეობრივი გამოცდილება, რომელიც გულისხმობს სამხედრო ძალით პრივილეგირებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დაცვას.[27]

საკვებისა და წყლის მარაგზე უფრო მნიშვნელოვანი, ფოლკის აზრით, არის მოსახლეობის დემოგრაფიული აფეთქების კონტროლის აუცილებლობა. ბევრ შემთხვევაში მოსახლეობის ზრდა პლანეტარული მნიშვნელობისაა. გასაგებია, რომ მსოფლიოში არც ერთი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რამდენად ძლევამოსილია იგი, არ გრძნობს თავს ბოლომდე დაცულად ჩვენი დროის ამგვარი პრობლემებისაგან. 1973 წლის ნავთობის კრიზისი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ყველაზე მდიდარი და ძლევამოსილი ქვეყნებიც კი შეიძლება დაუცველები გახდნენ. შეზღუდულია და არაპროპორციულად განაწილებული არა მხოლოდ ნავთობი, არამედ ისეთი ნედლეულიც, როგორიცაა ალუმინი, სპილენძი და თუთია. ამავე დროს, მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ქვეყნები ყველაზე მნიშვნელოვანი ნედლეულის — საკვების — დეფიციტს განიცდიან.

ომის თეორიები: კრიტიკა

წინამდებარე თავში განხილული სამი ძირითადი მოსაზრება ომის ძირითადი მიზეზების შესახებ ეყრდნობა დასავლეთის პოლიტიკური ფილოსოფიის ფუნდამენტურ პრინციპებს — ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ტრიადას. სამივე თეორია გარკვეულწილად გამართლებულია. ერთად აღებული, ეს თეორიები ხსნის ომის წარმოშობის ძირითად მიზეზებს. ცალკე ან ერთად აღებული ეს თეორიები კი ხსნის, რატომ დაიწყო კონკრეტული ომები. მაშინაც კი, როდესაც ომი იზოლირებულად მიმდინარეობს, ომის გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია და ძნელია მათი გამოყენება სხვა შემთხვევების ასახსნელად. მაგალითად, როდესაც, სავარაუდოდ, ეგოისტური და ძალადობისაკენ მიდრეკილი ადამიანური ბუნება არის ის ფაქტორი, რომელიც უბიძგებს სახელმწიფოთა ლიდერებს აწარმოონ ომი, ყველა ლიდერი არ არის ეგოისტი ან მოძალადე. უფრო მეტიც, ყველა ლიდერი ერთნაირად როდი ექვემდებარება საკუთარი ხალხის პოლიტიკურ და საკანონმდებლო შეზღუდვებს, ან ოპონენტების სამხედრო შესაძლებლობებს. ასევე, ისინი ერთნაირად არ აღიქვამენ საშიშროებებსა და რისკებს. რაც შეეხება ერი-სახელმწიფოებს, ჩანს, რომ, სხვადასხვა მახასიათებლები მათ ომისკენ ან პირიქით, მშვიდობისკენ მიდრეკილ სახელმწიფოებად აქცევს. მაგრამ არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რომელი მახასიათებლები არის დაკავშირებული ომის წარმოების ტენდენციასთან. და ბოლოს, მაშინ, როდესაც საკვებისა და სხვა რესურსების სიმცირე ზოგ სახელმწიფოს კონფლიქტისაკენ უბიძგებს, ეს ფაქტორი ხშირად იწვევს საპირისპირო რეაქციას: დახმარებისა და თანამშრომლობის ძლიერი სურვილის სახით.

არ არსებობს ერთი კონკრეტული განმარტება, რომელიც ადეკვატურად ხსნის ყველა ომის გამომწვევ მიზეზებს. პრობლემის გამარტივება უფრო აბრკოლებს პასუხის მოძიების პროცესს. იდეალიზმი და სხვადასხვა რელიგიური მრწამსი იმედს აძლევს ომისგან გადაქანცულ მსოფლიოს, მაგრამ ეს იმედი მაინც უადგილოა.

პოლიტიკის მიზეზი

მიზანშეწონილია ვივარაუდოთ, რომ თუ ყველა თანასწორია, ის სახელმწიფოები, რომლებიც ამჟღავნებენ ნაციონალიზმს, უფრო მიდრეკილები არიან ომებისაკენ, ვიდრე პოლიტიკურად აპათიური სახლმწიფოები, მაგრამ ყველა იშვიათად არის თანასწორი. რასაკვირველია, ეროვნულ სახელმწიოფებრიობასთან დაკავშირებული ახსნა „უძლურია ომის შემთხვევების ახსნაში“.[28]

მაგრამ რა ვუყოთ ვილსონისეულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დემოკრატიული ქვეყნები ბუნებით მშვიდობიანები არიან, ხოლო ტირანია თანამედროვე სამყაროში ომის გაჩაღების უთავრესი მიზეზია? მრავალი წლის განმავლობაში ბევრმა მოაზროვნემ გაუსვა ხაზი დამოკიდებულებას დიქტატორულ და ომისმოსურნე ან აგრესულ ქმედებას შორის. მაგალითად, არისტოტელე ფიქრობდა, რომ „ტირანები ომის შემოქმედნი არიან“. ისინი საკუთარ ხალხს ომისკენ უბიძგებდნენ იმ განზრახვით, რომ „თავიანთი დაქვემდებარებულები მუდამ დაკავებულები ყოფილიყვნენ და ყოველთვის დასჭირვებოდათ ლიდერი.“[29] ზოგი თანამედროვე ავტორი, როგორიცაა ჰანა არენდტი, ამტკიცებდა, რომ ტოტალიტარული ხელისუფლება *იმთავითვე* აგრესიულია.[30] მეოცე საუკუნის ორი მნიშვნელოვანი კონფლიქტი (მეორე მსოფლიო

ომი და კორეის ომი) წამოიწყეს ტოტალიტარმა დიქტატორებმა. ასევე, სტალინმა 1930-იან წლებში, ჰიტლერმა — 1940-იან წლებში, მაომ 1950-იანი წლების დასაწყისში და პოლ პოტმა 1975-1979 წლებში, გააჩაღეს ომი საკუთარ ქვეყნებში სისხლისღვრისა და მასობრივი მკვლელობების სახით. სახელმწიფო ქმედების უკიდურესად სისხლიანი ეს ეპიზოდები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ტოტალიტარი მმართველები მიდრეკილნი არიან ძალადობისაკენ.

არსებობს სხვა მოსაზრებები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს დიქტატურასა და ორგანიზებულ ძალადობას. დიქტატორები სრულად აკონტროლებენ შეიარაღებულ ძალებს, პოლიციასა და პროპაგანდის საშუალებებს. ხშირად ისინი ომის გმირები არიან, რომლებმაც სამხედრო გამარჯვებებით გაიკაფეს გზა ძალაუფლებისკენ. ეს წარმატებული ჯარისკაცები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს მართვის სადავეები, იშვიათად ამბობენ უარს ძალის გამოყენებაზე. ამგვარი მმართველებისთვის ომი საერთო სახალხო გადახვევაა ყველდღიური ცხოვრების რუტინისგან და ხშირად სხვა მახრეს მიმართავს დაგუბებულ შიდა მტრობას, რომელიც, სხვა შემთხვევაში, დიქტატორისკენ იქნებოდა მიმართული. ომს შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოების გამთლიანებას, დისიდენტებზე მიტანილ იერიშს და ბოლოს, ის შეიძლება დიქტატორმა გამოიყენოს სტაგნაციის მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის გასაჯანსაღებლად ან „მიძინებული“ მოქალაქეობის გამოსაცოცხლებლად.

რამდენად მისაღებიც უნდა იყოს ეს შეხედულებები, ისინი მაინც არ ამტკიცებენ საბოლოოდ, რომ ომს ყოველთვის დესპოტიზმი ან არაპროპორციულობა იწვევს. ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ამგვარი ანალიზის ყველა შემთხვევაზე მორგება მარტივი არ არის. გავიხსენოთ თუნდაც ვიეტნამის ომის მაგალითი. კენედის, ჯონსონისა და ნიქსონის ადმინისტრაციები ომის გაჩაღების მიზეზად კომუნისტების აგრესიას ასახელებდნენ. თუმცა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილოები ბრალს შეერთებული შტატების პროვოკაციულ ან გაუთვლელ ქმედებებს ხდებოდნენ. ამგვარად, გამომდინარე იქიდან, რომელი ფაქტორი მიგვაჩნია უფრო მყარად, ვიეტნამის ომი შეიძლება განვიხილოთ როგორც იმის მაგალითი, რომ დიქტატურა უფრო მიდრეკილია ომისკენ, ვიდრე დემოკრატიული რეჟიმი ან კიდევ დემოკრატიულ ქვეყნებს დიქტატორულზე არანაკლებად შეუძლიათ მიმართონ მილიტარიზმს.

საერთოდ, წარმომადგენლობითმა დემოკრატიულმა ქვეყნებმაც ვერ მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებას, თავიდან აეცილებინათ ომი. მაგალითად, მე-20 საუკუნეში, ინდოეთმა, მსოფლიოს უდიდესმა დემოკრატიულმა ქვეყანამ, რამდენიმე სისხლისმღვრელი ომი გადაიტანა პაკისტანის წინააღმდეგ. არც შეერთებული შტატების ხელისუფლება მდგარა განზე: მისმა სამხედროებმა 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები წამოიწყეს. დემოკრატიული სახელმწიფოები ყოველთვის არ ყოფილან არამოსურნე მონაწილეები ომში. შეერთებული შტატები არც კი ცდილა თავიდან აერიდებინა ესპანურ-ამერიკული ომი 1898 წელს. გარდა ამისა, ძნელია თვალი დავხუჭოთ 1914 წლის მექსიკის რევოლუციაში ამერიკის ჩარევის ფაქტზე, როდესაც (არც მეტი, არც ნაკლები) სწორედ პრეზიდენტ ვილსონის ბრძანებით ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა ალყა შემოარტყეს ნავსადგურ ვერაკუზს, ხოლო შემდეგ სადამსჯელო რაზმი გაემგზავრა მექსიკაში პანჩო ვილას [მექსიკის რევოლუციის (1910-1917) ერთ-ერთი ლიდერი — მთარგმნ. შენ.] ძალების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების რაოდენობრივი ანალიზი არ ადასტურებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ვითომცდა დემოკრატიული ქვეყნები

ომისკენ ნაკლებად მიდრეკილნი არიან, ვიდრე ავტორიტარული ან ტოტალიტარული სახელმწიფოები.[31] ფაქტობრივად, დემოკრატიული სახელმწიფოები ისეთივე სიხშირით ებმებიან საომარ მოქმედებებში, როგორც სხვა ტიპის სახელმწიფოები. ზოგი მტკიცებულება ხელს უწყობს იმ მოსაზრებას, რომ დემოკრატიული ქვეყნები შეიძლება უფრო იშვიათად იწყებენ ომს, მაგრამ უფრო ხშირად უერთდებიან მათ.[32] თუმცა, ერთი მხრივ, კანტ-ვილსონისეული ომის პროდასავლური და ანტიდიქტატორული მოსაზრებები მართალია: დემოკრატიული სახელმწიფოები ძალიან იშვიათად (ან არასოდეს) ეომებიან ერთმანეთს (იხ. ცხრილი 16-1).[33] ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებს შორის უკვე საუკუნე-ნახევარია არ ყოფილა ომი.[34]

აღიარება იმისა, რომ დემოკრატიული ქვეყნები უფრო ხშირად ეომებიან სხვა არადემოკრატიულ სახელმწიფოებს და არა ერთიმეორეს, არის ***დემოკრატიული მშვიდობის პარადოქსი***. ერთ-ერთი, მრავალმხრივი ახსნის თანახმად:

> დემოკრატიულ ქვეყნებში ომის მოლოდინი და მასთან დაკავშირებული საშიშროებები უმეტეს შემთხვევაში შემცირებულია ამ ქვეყნების საერთო პოლიტიკური კულტურით, ორმხრივი იდენტობითა და სიმპათიით, ზოგადად, ადამიანებსა და ელიტარულ წრეებს შორის არსებული მჭიდრო კავშირებით, ამ ქვეყნების ინტერესთა ჯგუფების უნარით, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, ჩამოაყალიბონ ტრანსნაციონალური კოალიციები, უფრო ხშირი კომუნიკაციებითა და უფრო პოზიტიური ორმხრივი აღქმით.[35]

ურთიერთთანმხვედრი სახელმწიფოებრივი აღქმის საკითხი შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს. გაითვალისწინეთ, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში მთავრობის ძალაუფლება უფრო დანაწევრებული და შეზღუდულია, პოლიტიკური ლიდერები უფრო მიდრეკილები არიან კომპრომისისკენ, როდესაც საქმე კონფრონტაციას ეხება და კონსტიტუციურ დემოკრატიულ ქვეყნებში პატივს სცემენ თითოეული მოქალაქის უფლებას. ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს პოლიტიკური დავის მშვიდობიანი გზით მოგვარებას დემოკრატიულ ქვეყნებში. დემოკრატიული ქვეყნები არ უქმნიან საფრთხეს ერთმანეთს, რაც მჭიდროდ უკავშირდება საერთო ფასეულობებისა და ინტერესების *აღქმას*. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს იმის ალბათობას, რომ სხვადასხვა სახის პოლიტიკური ძალა მონაწილეობდეს ისეთ კრიზისში, რომელიც ომს გამოიწვევს.

აქედან გამომდინარე, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოები ებმებიან ომში, ისინი არადემოკრატიული სახელმწიფოების წინააღმდეგ იბრძვიან, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური განსხვავების (ან დაშორების) ხარისხი მთავრობებს შორის, ისევე, როგორც ეკონომიკური და კულტურული განსხვავებები, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.[36] ამგვარი მონაცემები ამყარებდნენ ვუდრო ვილსონის დასკვნას იმის შესახებ, რომ დიქტატორული რეჟიმი დემოკრატიული წყობის დაუძინებელი მტერია, აგრეთვე, მხარს უჭერს ლენინის მოსაზრებას კაპიტალისტური და კომუნისტური რეჟიმების შეუთავსებლობის შესახებ. ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკის შესახებ ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ ცხადყო, რომ „რაც უფრო მსგავსია ორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, პოლიტიკური ორიენტაცია, კულტურა და სარწმუნოება, უფრო შეწყობილია მათ მიერ მიცემული ხმები გაეროში კენჭისყრებში“ და ნაკლებსავარაუდოა მათ შორის კონფლიქტის გაჩაღება. იმავე ლოგიკით, „რაც უფრო განსხვავებულია ორი ქვეყანა ეკონომიკური განვითარებისა

და სიდიდის თვალსაზრისით, მით უფრო დიდია მათ შორის კონფლიქტის არსებობის ალბათობა.“[37]

ცხრილი 16.1

ომები, 1816-1991

ომის ტიპები	რაოდენობა*
დემოკრატიები დემოკრატიების წინააღმდეგ	0
დემოკრატიები არადემოკრატიების წინააღმდეგ	155
არადემოკრატიები არადემოკრატიების წინააღმდეგ	198
სულ	**353**

**** განისაზღვრება იმ სამხედრო ქმედებათა საფუძველზე, რომლის დროსაც არანაკლებ 1000 ადამიანი დაიღუპა.***
წყარო: *Haiku Institut of Peace Research, (October 20, 1991) თავი 18, 473.*

ეკონომიკის მიღმა

თუ პოლიტიკა მხოლოდ ნაწილობრივ და ბუნდოვნად ხსნის კონფლიქტის არსს, ლენინის თეორია იმის შესახებ, რომ ომი გამოწვეულია ეკონომიკური ფაქტორებით, კერძოდ კი კაპიტალიზმით, კიდევ უფრო ბუნდოვანია. მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი: ომი წინ უსწრებდა როგორც კაპიტალიზმს, ასევე იმპერიალიზმს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კაპიტალიზმი არ არის ომის გამომწვევი ერთადერთი მიზეზი.[38] უფრო მეტიც, არ არსებობს ისტორიული მტკიცებულება, რომელიც მხარს უჭერს ლენინის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები განსაკუთრებით მიდრეკილნი არიან ომისა და კონფლიქტისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ომის დაკავშირება შესაძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებთან, ეს ახსნა ყველა შემთხვევაში არ გამოდგება[39]. გარდა ამისა, დამოკიდებულება კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმს შორის ბოლომდე ნათლად განსაზღვრული არაა. კაპიტალისტური ქვეყნების ნაწილი მისდევს იმპერიალისტურ პრაქტიკას და ომშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, შვედეთი და შვეიცარია. ლენინის ეკონომიკური თეორია ძნელად თუ ხსნის ამგვარ განსხვავებას ან იმას, რატომ ამჟღავნებს სოციალისტური ქვეყნების ნაწილი მიდრეკილებას შეიარაღებული აგრესიისადმი. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი ამბობს:

> საბჭოთა კავშირმა დაიპყრო ბალტიისპირეთის ქვეყნები (1939), ფინეთი (1939), უნგრეთი (1956), ჩეხოსლოვაკია (1968) და ავღანეთი (1979), ჩინეთმა შეტევა მიიტანა ტიბეტზე (1956), ინდოეთსა (1962) და ვიეტნამზე (1979); ვიეტნამმა შეუტია კამბოჯას (1975), საბჭოთა კავშირი და ჩინეთი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოგადენის ირგვლივ (1977). 1945-1967 წლებში მომხდარი 69 საერთაშორისო კონფლიქტიდან, სოციალისტურმა ქვეყნებმა მონაწილეობა მიიღეს თხუთმეტ მათგანში, რაც დაახლოებით 25 პროცენტს შეადგენს.

> უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ მსოფლიოს ქვეყნების მხოლოდ 15 პროცენტს ჰქონდა სოციალისტური ეკონომიკა.[40]

ყველაფერი ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური სისტემები არ არის დაკავშირებული ომებთან. მაგალითად, სპარსეთის ყურის ომი, რომელშიც მონაწილეობდა კოალიცია აშშ-ის მეთაურობით, გამოწვეული იყო ეკონომიკური მოტივებით, კერძოდ, არაბეთის უშველებელი სანავთობე საბადოებისა და ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ევროპასთან დამაკავშირებელი სასიცოცხლო არხების სადამ ჰუსეინის კონტროლისგან დასაცავად. მაგრამ მხოლოდ ეკონომიკური მოტივები არაა საკმარისი ომის გასაჩაღებლად. იმის დასადასტურებლად, რომ ეკონომიკური სისტემის ერთი კონკრეტული ტიპი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რომელიმე ფაზა ან ზოგადად ეკონომიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს ომის გაჩაღებაში, არგუმენტები ძალიან მწირია. როდესაც აკადემიური კვლევები ეკონომიკას ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს, ისინი ძირითადად *მხოლოდ* ომებისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირის სტატისტიკას ეყრდნობა, რომელიც, როგორც ყველა მეცნიერისთვის ცნობილია, არ ადასტურებს მიზეზ-შედეგობრიობას.

მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ომები განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიებზე ხდება. ხომ არ მიგვანიშნებს ეს იმაზე, რომ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნები უფრო მიდრეკილნი არიან ომისკენ? არა ყოველთვის, რადგან ხშირ შემთხვევაში ეს ომები პროვოცირებულია განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების მიერ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიმდინარე კონფლიქტები სუეცში, ალჟირში, კონგოში, ვიეტნამში, ავღანეთში, ფოკლენდის კუნძულებსა და ერაყში, ამის მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ ვერ დავადასტურებთ მყარ ურთიერთკავშირს ეკონომიკის განვითარებასა და შეიარაღებული კონფლიქტების სიხშირეს შორის, არსებობს დამამტკიცებელი სამხილები, რომ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები უფრო მიდრეკილები არიან ომისაკენ, ვიდრე ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნები.[41]

ზედმეტი გამარტივემის საფრთხე

ომის შესახებ მრავალი მარტივი თეორია არსებობს. მაგალითად, ზოგი რაოდენობრივი თეორეტიკოსი შესაშური სიზუსტით გვთავაზობს მოდელებს, რომლებსაც, მათი აზრით, მივყავართ ომის გამომწვევ სამხედრო ალიანსამდე, მუქარამდე, კრიზისების სერიებამდე და ა.შ.[42] გარდა ამისა, ამგვარმა კვლევებმა აჩვენა, რომ პოლიტიკური ლიდერების მიერ გადადგმული ისეთი ნაბიჯები, როგორიცაა ალიანსის შექმნა ომის საფრთხის შესამცირებლად, ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ომის დაწყების ალბათობის ზრდას.[43] თუმცა, დღემდე ვერც ერთმა კვლევამ ვერ შეძლო დაედასტურებინა, რომ ამ მოდელებში აღწერილი მოქმედებები არის ომის უშუალო მიზეზები. თითოეული ეს ფენომენი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მის უკან მყოფ მეორე ფენომენთან. უფრო მეტიც, თვით ყველაზე „ტიპური“ მოდელიც თავისთავად შეზღუდულია, რადგან მხოლოდ იმ კონფლიქტებს ეხება, რომლებიც დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე მთავარ სახელმწიფოებს შორის ხდება.[44]

ომის თეორეტიკოსების უმეტესობა დიდი ხანია ამტკიცებს, რომ პატარა სახელმწიფოებთან შედარებით, ძლევამოსილი სახელმწიფოები უფრო მიდრეკილნი არიან

ომისკენ.[45] ეს ალბათობა ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ საკუთარი გამარჯვების რწმენა, უფრო იხრებიან ომებისკენ.[46] თუმცა, რომელიმე სახელმწიფოს ძლიერების განსაზღვრა რთული საქმეა, პოლიტიკურმა ლიდერებმა შესაძლოა გაანგარიშებაში შეცდომა დაუშვან და გადაჭარბებით შეაფასონ საკუთარი ქვეყნის სიძლიერე ან პირიქით, სათანადოდ ვერ შეაფასონ მოწინააღმდეგე (ამის თვალსაჩინო მაგალითია ვიეტნამის ომი).[47] ის ქვეყნები, რომლებიც განიცდიან შიდა ძალადობას, უფრო მიდრეკილნი არიან ომისკენ შემდეგი მიზეზების გამო: ომმა, შესაძლებელია, გააერთიანოს ერი ან შიდა კონფლიქტებმა იოლ სამიზნედ აქციოს ქვეყანა.[48] ის ქვეყნები, რომლებსაც „რისკის მოყვარული“ ლიდერები ხელმძღვანელობენ, უფრო ხშირად ებმებიან ომში.

კიდევ ერთი შესაბამისი ფაქტორია საერთო საზღვრები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საერთო საზღვარი დიდია ან ეს ხდება ისტორიული მტრების შემთხვევაში.[49] გარემო ფაქტორებიც უდიდეს როლს თამაშობს, რადგან ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან მოსახლეობის ზრდის ტენდენციით, საჭირო რესურსების უკმარისობითა და მაღალი ტექნოლოგიებით, სავარაუდოდ უფრო ხშირად ახორციელებენ ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას, მაშინ, როდესაც მცირერიცხოვანი, მაგრამ ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნები იშვიათად ებმებიან ომში და თუ ეს სახელმწიფოები მაინც მონაწილეობენ ომში, ისინი უფრო მსხვერპლი არიან, ვიდრე აგრესორი.[50] დასკვნის სახით რომ ვთქვათ, დიდი, ძლევამოსილი ქვეყანა სწრაფი ტემპით მზარდი მოსახლეობითა და მაღალ დონეზე განვითარებული ტექნოლოგიით, რომელიც ესაზღვრება ისტორიულ მტერს და რომელსაც მართავს რისკის მოყვარული ლიდერი, იქნებოდა აგრესიული ომის პირველი კანდიდატი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ქვეყანა იმყოფება სამოქალაქო მღელვარების ან შეიარაღებული აჯანყების პირობებში.

ამ თავში განხილული ფაქტორების დიდი ნაწილი, ადამიანის ბუნებით და მწირი რესურსებით დაწყებული და ომისათვის დამახასიათებელი ნიშნებით დამთავრებული (როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა, ეკონომიკური განვითარება და საზღვრების პრობლემები), ძნელია ან სულაც შეუძლებელი, შეიცვალოს. ამერიკელი კომიკოსი უილ როჯერი ამბობდა, რომ მსოფლიოში მშვიდობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ქვეყნები, ადამიანების მსგავსად, მოძრაობას შეძლებდნენ; მაგრამ ქვეყნებს არ შეუძლიათ მოძრაობა (თუმცა მოსახლეობას შეუძლია — ის მიგრირებს — გადაადგილდება).

მცდარ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია კონფლიქტების აღმოფხვრა ან მათი დაყვანა მხოლოდ ერთ ფაქტორამდე, შეუძლია რეალურად გაზარდოს ომის ალბათობა. როგორც 1919-1939 წლების ევროპის ისტორია ადასტურებს, მხოლოდ საერთაშორისო სისტემის გადაწყობაზე კონცენტრირება და ადამიანის ბუნების როლის უარყოფამ წააქეზა უმოწყალო ადამიანები ომისკენ და გზას გაუხსნა ეგოისტ და ამბიციურ ლიდერებს.[51] ამერიკელ, ფრანგ და ბრიტანელ ლიდერებს 1930-იან წლებში რეალურად რომ შეეფასებინათ ულტრანაციონალისტების იდეოლოგია ან ჰიტლერის ჯოჯოხეთური ზრახვები, შესაძლებელი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილება.

ომთან დაკავშირებული კომპლექსური მიზეზებისა და ფაქტორების ახსნამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს კონფლიქტების მართვის საერთაშორისო სისტემის მოკრძალებულ გაუმჯობესებას მშვიდობის დასადგურების შესახებ ილუზიების გაქარწყლების მეშვეობით. ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებში მარტივი გადაწ-

ყვეტილების მიღებამ, შესაძლოა, უფრო გააუარესოს მდგომაროება, ვიდრე გადაწყეტილების საერთოდ არ მიღებამ, რადგან ადამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო ცდილობდნენ გაემარტივებინათ ომის საკითხები, ისტორიისათვის ცნობილი არიან ომის დაწყებაში ყველაზე დიდი წვლილის შეტანით.

ტოტალური ომი: ომი, რომელშიც ყველა იბრძვის

ტოტალური ომი სრულიად ახალი ფენომენია. ის რამდენიმე არსებითი ნიშნით განსხვავდება შორეული წარსულის ***შეზღუდული ომებისგან***. პირველ რიგში, ის არ არის შეზღუდული დროში, რაც იმას ნიშნავს, რომ ომში მონაწილე სახელმწიფო ან სახელმწიფოები ცდილობენ მოიპოვონ სრული გამარჯვება მოწინააღმდეგეზე. მათ ვერ აჩერებს ვერაფერი, გარდა ***უპირობო კაპიტულაციისა.*** მეორე, ტოტალურ ომში ყველა საშუალება გამოიყენება. ტოტალურ ომში მონაწილე სახელმწიფოები იყენებენ განვითარებულ ტექნოლოგიებს შეიარაღების მოქმედების მანძილის, სიზუსტისა და განადგურების პოტენციალის გაზრდის მიზნით. მესამე, ტოტალური ომი არც მონაწილეებითა შეზღუდული. მასში შეიძლება საზოგადოების ყველა ფენა იყოს ჩაბმულები.

ნაპოლეონის ომები ტოტალური ომის პროტოტიპად ითვლება, რადგან ეს არის ამგვარი ტიპის ომის პირველი შემთხვევა. ნაპოლეონმა საყოველთაო ჰეგემონიის მოპოვების მიზნით წამოიწყო ეს ომი. იგი არ ცნობდა არავითარ ლიმიტს დროის ან საშუალებების მხრივ. ნაპოლეონს სურდა გაბატონებულიყო მთელს ევროპაზე და ჰქონდა ყველა საშუალება, რაც საჭირო იყო ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის იმ დროს (ცხადია, ნაპოლეონის ეპოქაში არ არსებობდა მასობრივი განადგურების იარაღი, არამედ იყო კონვენციური იარაღი და არმია. ნაპოლეონის სწორედ ამგვარმა ჯარმა მიწასთან გაასწორა მოსკოვი, კრემლის ჩათვლით, რუსეთის დამარცხების შემდეგ). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაპოლეონმა შემოიღო არმიაში მასობრივი გაწვევის იდეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მან გააერთიანა უამრავი ახალგაზრდა კაცი მსოფლიოს პირველ სახალხო არმიაში. ამ დრომდე ჯარი შედგებოდა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალი და დაქირავებული ჯარისკაცებისგან. ნაპოლეონმა ასევე წარმატებით გამოიყენა ნაციონალიზმის იდეა, პროპაგანდა და პატრიოტული სიმბოლიკა მთელი საზოგადოების საომარი მობილიზაციისთვის. ყველა ეს ინოვაცია ავისმომასწავებელი ნიშანი იყო: მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ორი ტოტალური ომი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ერთი მოვლენა, რომელიც, მცირე შესვენებით ორ უკიდურესად მძიმე სპაზმს შორის, თითქმის ერთი საუკუნის წინ დაწყებული პროცესების საშინელ კულმინაციად იქცა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტოტალური ომის ცნება კიდევ უფრო საშინელი გახდა, რაც საბრძოლო შესაძლებლობების განვითარებასა და მეცნიერულ და ტექნოლოგიურ აღმოჩენებს უკავშირდება. ბირთვული ეპოქის დადგომამ მთლიანად შეცვალა ომის სტრატეგია და ტაქტიკა, ასევე სამხედრო ძალების მოქმედების ლოგიკა და ბრძოლის ველი. ომის ახალი სახის მსგავსად, ეს ტრანსფორმაციაც ტოტალური იყო.

შემთხვევითი ომი: ომი, რომელიც არავის სურს

ჩვენ მოგვწონს, როცა ვფიქრობთ, რომ ჩვენმა ლიდერებმა ყოველთვის კარგად იციან, რასაც აკეთებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ომისა და მშვიდობის საკითხებს ეხება. მაგრამ გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც ხდება. რა მოხდებოდა პაკისტანელი იარაღით მოვაჭრენი ინდოეთის გავლით რომ ცდილიყვნენ ციმბირის წყლულის გამომწვევი ტვირთის გატანას და ანთრაქსის სასიკვდილო სპორები ინდოეთის დედაქალაქის, ნიუ-დელის ცენტრში მაშინ გავრცელებულიყო, როდესაც ქაშმირელი ტაქსის მძღოლი შუქნიშნის წითელ შუქზე გაივლიდა და სატვირთო მანქანას დაეჯახებოდა გადატვირთულ გზაჯვარედინზე? და რა იქნებოდა, ეს ყველაფერი პაკისტანთან კრიზისის დროს რომ მომხდარიყო? ხომ შესაძლებელია ინდოეთს ეფიქრა, რომ პაკისტანი გლობალურ ომს იწყებდა? პაკისტანს არაფერი ესაქმებოდა ამ ამბავთან, მაგრამ ინდოეთს შეიძლება ჯერ საპასუხო დარტყმა მიეყენებინა და შემდეგ დაესვა კითხვები (ლოდინი მეტისმეტად სარისკო იქნებოდა ამგვარ შემთხვევაში). ამ სცენარით, საყოველთაო ბირთვული ომი შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევითობის და არასწორი აღქმის და არა რომელიმე მხარის რაციონალური გადაწყვეტილებისა და არჩევანის შედეგი.

მცდარი აღქმის გამო ომებს იწვევს შექმნილი სიტუაციის არასწორი ინტერპრეტირება და ყველაზე გავრცელებული ტიპია იმ ომებისა, რომლებიც არავის სურს. ***შემთხვევითი ომები*** ამგვარი ომების ერთ-ერთი ვარიანტია. გზავნილის არასწორი თარგმანი, შეტყობინება, რომელიც დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიდა, ყურადღების მიღმა დარჩენილი ან არასწორად ინტერპრეტირებული დიპლომატიური სიგნალი კოსმოსური ეპოქის იარაღების სისტემის შემოღებამდე კარგა ხნით ადრე აჩქარებდა განუზრახველ ომებს. ტექნოლოგიურ ეპოქაში, სადაც დომინირებს ბირთვული იარაღი და ბალისტიკური რაკეტები, შემთხვევით გამოწვეული ომების საშიშროება და რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ***ომის ესკალაცია*** შესაძლებელია იყოს ლიმიტირებული (და ლოკალიზებული) კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის, როდესაც არც ერთი მხარე თავდაპირველად არ აპირებდა მის ხელთ არსებული ყველაზე გამანადგურებელი იარაღის გამოყენებას. მაგრამ მსხვერპლის რიცხვის ზრდასა და ბრძოლის ველზე სიტუაციის ცვლილებასთან ერთად, ერთ-ერთი მხარე (სავარაუდოდ ის, რომელიც აგებს) ბრძოლის ბედის საკუთარ მხარეს შემობრუნების მიზნით გამოიყენებს უფრო ძლიერ იარაღს და მოწინააღმდეგესაც სხვა არაფერი დარჩება, გარდა იმისა, რომ იმავე სიძლიერის იარაღით დაუპირისპირდეს. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე ფლობს ბირთვულ იარაღს, ამგვარი სიტუაციის დინამიკამ შესაძლებელია ბირთვულ ომამდე მიიყვანოს საქმე. აქედან გამომდინარე, ის, რაც დაიწყო ტრადიციული ომით, შეიძლება ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდეს საყოველთაო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამდე.

კათალიტიკურ ომებსაც შეუძლია ძალადობის წარმოშობა და განადგურება ნებისმიერი სახელმწიფოს განზრახვისგან დამოუკიდებლად. ისტორიულად, ამგვარი ომები ყველაზე მეტად ალიანსების მოლაპარაკებათა საფუძველზე იწყება: თუ ალიანსის ერთ წევრზე განხორციელდა შეტევა, მოკავშირეები ებმებიან მის დაცვაში და ამგარად, ომი კიდევ უფრო ფართო მასშტაბიანი ხდება. ომი შეიძლება დაიწყოს, როგორც ლოკალური კონფლიქტი ორ განვითარებად ქვეყანას შორის, რომლებსაც ძლიერი მოკავშირეები ჰყავს. ადგილობრივი ომი ყოველთვის შეიძლება გადაიზარდოს რეგიონულ და გლობალურ ომშიც კი (როგორც ეს მოხდა ორივე მსოფლიო ომის შემთხვევაში).

შესაძლებელია, აგრეთვე, სხვა ჯოჯოხეთური სცენარიც. მაგალითად, ფსიქიკურად შეშლილმა ადამიანმა შეიძლება რამენაირად მოახერხოს ბირთვული ომის საშიშროების გამოწვევა. გულისხმობს თუ არა ყველა ეს სცენარი საბოტაჟს, არასწორ აღქმას, შემთხვევითობას, ესკალაციას თუ ფატალურ მოვლენებს, გვიჩვენებს, როგორ შეიძლება დაიწყოს ომი წინასწარგანზრახული აგრესიის გარეშე.

ბირთვული ომი: ომი, რომელსაც ვერავინ იგებს

მასობრივი განადგურების იარაღი მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს. შეერთებულმა შტატებმა ორი ატომური ბომბი ჩამოაგდო იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, რათა დაესრულებინა მეორე მსოფლიო ომი. პრეზიდენტი ტრუმენი დაელოდა იაპონიის უმაღლესი მთავარსარდლის მიერ დანებების შესახებ განცხადებას, მას შემდეგ, რაც პირველმა ბომბმა მიწასთან გაასწორა ჰიროსიმა. სამი დღის შემდეგ მან მეორე ბომბის ჩამოგდების ბრძანება გასცა. ამჯერად ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა, იაპონია დანებდა. ეს იყო ომში ატომური იარაღის გამოყენების პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. დიდი შეცდომა იქნება ამ მომგებიანი სტრატეგიის ხელახალი გამოყენება. მიზეზი მარტივია: როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო 1945 წელს, მსოფლიოში სულ ორად ორი ატომური ბომბი არსებობდა და ისიც ამერიკელების არსენალში. პრეზიდენტ ტრუმენს არ გაურისკავს, რადგან მის გადაწყვეტილებას არ მოჰყვებოდა ***მასირებული საპასუხო დარტყმა*** იაპონიის ან სხვა ქვეყნის მხრიდან. იმ დროისთვის შეერთებულ შტატებს ჰქონდა (მართალია, მცირეხნიანი) ***ბირთვული მონოპოლია.***

საბჭოთა კავშირმა სწრაფად განავითარა ბირთვული იარაღის პროგრამა და უკვე 1950-იანი წლების ბოლოსთვის მასობრივი განადგურების იარაღის მთელი არსენალი ჰქონდა, კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ჩათვლით. მოსკოვმა ფაქტობრივად დაამარცხა შეერთებული შტატები კოსმოსში, როდესაც 1957 წელს გაუშვა პირველი სატელიტი *ვოსტოკი,* რომელიც დედამიწას უვლიდა გარს. 1960-იან წლებში შეერთებულმა შტატებმა არა მხოლოდ დაკარგა ბირთვული მონოპოლია, არამედ ყველაზე ძლევამოსილი ქვეყნის რეპუტაციაც. ომის მუქარისა და ***კონფრონტაციის*** ეპოქას (ბირთვული იარაღის მუქარით მოწინააღმდეგეების დაშინება) მოჰყვა ***უეჭველი ურთიერთ განადგურების*** ან **ურთიერთ შეკავების** ეპოქა ანუ სიტუაცია, რომელშიც ორივე ზესახელმწიფოს აქვს უნარი, წინ აღუდგეს ***პირველ დარტყმას*** და მიაყენოს ***მეორე საპასუხო დარტყმა*** მოწინააღმდეგეს, რაც გამოიწვევს აგრესორისთვის ***მიუღებელ ზარალს.***

თითოეული ზესახელმწიფო ძალ-ღონეს არ იშურებდა ბირთვულ შეჯიბრში გამარჯვებულის პოზიციის მოპოვებისა და შენარჩუნებიათვის. 1970-იანი წლების დასაწყისისთვის, ორივე სუპერსახელმწიფოს უშველებელი შესაძლებლობა ჰქონდა ***მასობრივი განადგურების იარაღით*** გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა მეტოქისთვის. კიდევ უფრო შემაშფოთებელი ის იყო, რომ ორივე მხარემ ააგო ბირთვული წყალქვეშა ნავები, რომლებიც მოძრავი პლატფორმის ფუნქციას ასრულებდა ბირთვული რაკეტების გაშვებისთვის. ორივე მხარეს უნდოდა ამ შეჯიბრის მოგება, არც ერთ მათგანს არ სურდა დამარცხება, მაგრამ ორივე მათგანმა იცოდა, რომ ამ ომში გამარჯვებული არ იქნებოდა, თუ ისინი ვერ შეინარჩუნებდნენ ურთიერთშეკავების მდგომარეობას. კუბის ბირთვული კრიზისის დროს (1963) ეს ბალანსი თითქ-

მის დაირღვა. ეს იყო გამოსაფხიზლებელი განგაში. ორმა დაუძიენებელმა მტერმა სასწრაფოდ დაამყარა კავშირი — ახლა უკვე ყველასთვის ცნობილი ***ცხელი ხაზი*** — პირდაპირი საკომუნიკაციო გზა თეთრ სახლსა და კრემლს შორის კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით.

არის თუ არა ომი ოდესმე მორალურად გამართლებული?

ჯერჯერობით ომი განვიხილეთ მხოლოდ და მხოლოდ აგრესორების თვალთახედვით. მაგრამ რა შეიძლება ითქვას მსხვერპლის შესახებ? ძალიან ცოტა ექსპერტი თუ შეეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნებს აქვთ უფლება, წინ აღუდგნენ შეიარაღებულ აგრესიას. როდესაც დგება ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, თავდაცვა მორალურად გამართლებულია. ამიტომ, მიუხედავად ბენჯამინ ფრანკლინის მტკიცებისა, რომ „არ არსებობს კარგი ომი და ცუდი მშვიდობა“, ზოგი ომი შეიძლება აუცილებლად და საჭიროდ ჩავთვალოთ. კონკრეტულად რომელი ომები მიეკუთვნება ამ კატეგორიას? ვინ უნდა განსაზღვროს და რამდენად დარწმუნებულები შეგვიძლია ვიყოთ განსაზღვრისას?

სამართლიანი ომის დოქტრინა

სამართლიანი ომის ანგარიშგასაწევი დოქტრინის მიხედვით არსებობს გარემოებები, რომელთა ფონზე ომი შეიძლება იყოს „კარგი“ არა „სასიამოვნოს“ ან „ბუნებრივად სასურველის“ მნიშვნელობით, არამედ ქვეყნის კეთილდღეობისა და სამართლიანობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე. ეს კონცეფცია თავდაპირველად წინ წამოსწიეს ადრეული პერიოდის ქრისტიანმა თეოლოგებმა, კერძოდ კი ნეტარი ავგუსტინემ, ხოლო შუა საუკუნეების ფილოსოფოსებმა კიდევ უფრო დახვეწეს იგი. თანამედროვე ეპოქაში, ჰუგო გროციუსმა (1583-1645) [ჰოლანდიელი ფილოსოფოსი, ითვლება საერთაშორისო სამართლის დამფუძნებლად — მთარგმნ. შენ.] და ბუნებითი სამართლის სხვა თეორეტიკოსებმა მოახდინეს მისი ხელახალი ფორმულირება.

ის მეცნიერები, რომლებისთვისაც მისაღებია სამართლიანი ომის ცნება, ერთსულოვნად თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ თავდაცვითი ომები გამართლებულია. თუ რომელიმე ქვეყანა გახდა მოულოდნელი თავდასხმის მსხვერპლი, საპასუხო შეტევა მოძალადეზე მიზანშეწონილია. ზოგმა თეორეტიკოსმა კიდევ უფრო გააფართოვა ეს დოქტრინა და უფლება მისცა მესამე მხარე-სახელმწიფოებს ჩაერთონ აგრესიის უძლური მსხვერპლების დაცვაში. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომი, რომელსაც წინ უსწრებდა ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობა, ამგვარი შემთხვევის ნათელი მაგალითია.

თანამედროვე თეორეტიკოსები სამართლიანი ომის დოქტრინას მხოლოდ თავდაცვით ომებს უკავშირებენ, მაგრამ ადრეული ავტორები ყოველთვის ვერ ახდენდნენ ამგვარ განსხვავებას. ნეტარი ავგუსტინეს, მაგალითად, ეზიზღებოდა ომი მთელი თავისი უბედურებებით, მაგრამ საჭიროდ თვლიდა აგრესიულ ომებსაც კი ისეთი გარემოებებისას, როდესაც „სახელმწიფო უძლურია გადაიხადოს კომპენსაცია იმ ზიანის გამო, რომელიც მისმა მოქალაქეებმა გამოიწვიეს ან დააბრუნოს ის, რაც მიტაცებულ იქნა.“[52] ადრეული ეპოქის სხვა ქრისტიანი თეოლოგები, მათ შორის

წმინდა ამბროსი (340-397), ამტკიცებენ, რომ ერები არათუ უფლებამოსილნი, არამედ ვალდებულნიც კი არიან, მაღალი პრინციპების დასაცავად გააჩაღონ აგრესიული ომები. „კაცს აქვს მორალური მოვალეობა, გამოიყენოს ძალა, აღუდგეს წინ ბოროტებას და შეაჩეროს იგი“, — წერდა წმინდა ამბროსი.[53] ამბროსი აცნობიერებდა შეზღუდვებსაც აგრესიული ომის შემთხვევაში და ამბობდა, რომ ომისთვის საჭიროა სამართლიანი მიზეზი.

სამართლიანი ომის დოქტრინა გაცხადებულია ხუთ კონკრეტულ პოსტულატში. პირველი, ომი უნდა იყოს ყველაზე ბოლო საშუალება ლეგიტიმური ხელისუფლებისთვის და მის გარდა აღარ უნდა არსებობდეს რომელიმე პოლიტიკურად ეფექტიანი ალტერნატივა; მეორე, კონფლიქტის მიზეზი უნდა იყოს სამართლიანი. იგი უნდა დაიწყოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეაჩეროს აგრესია და გამოასწოროს უსამართლობა; მესამე, ომი არ შეიძლება იყოს ფუჭი. ყოველთვის უნდა იყოს იმის ალბათობა, რომ ქვყანას, რომელიც იწყებს ომს, აქვს წარმატების შანსი; მეოთხე, საჭიროა იყოს პროპორციულობა როგორც დროსთან, ასევე საშუალებებთან მიმართებაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომის მიზეზმა უნდა გაამართლოს დახარჯული ფულისა და დაღუპულთა რაოდენობა, ხოლო ომში გამოყენებული საშუალებები უნდა ამართლებდეს ომის დაწყების მიზეზს; დაბოლოს, მეხუთე, სამართლიანი ომი მაქსიმალურად უნდა ამცირებდეს სამოქალაქო პირებისადმი მიყენებულ ზარალსა და სიკვდილიანობას. თუ დაცულია ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა, ომი შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.

სამართლიანი ომის დოქტრინას საფუძვლად უდევს სამართლიანობის ის ცნება, რომელიც სცილდება უშუალო სახელმწიფო ინტერესებს. განსხვავებით მარტივი ნაციონალიზმისა, რაც გამოიხატება ისეთი ლოზუნგებით, როგორიცაა „ავია თუ კარგი, მაინც ჩემი ქვეყანაა“, სამართლიანი ომის კონცეფცია შეიცავს იმ მორალური პასუხისმგებლობის შეფასების სტანდარტს, რომელიც სცილდება ვიწრო სახელმწიფო ინტერესებს. ადრეული პერიოდის ქრისტიანი თეოლოგები სამართლიანობის ცნებას აფუძნებდნენ ქრისტიანულ თეოლოგიურ დოქტრინასა და სულიერ მოძღვრებებზე. სამართლიანი ომის თანამედროვე დოქტრინები ეფუძნება ბუნებითი კანონზომიერების ფილოსოფიას, რომლის მიხედვით არსებობს ადამიანის კეთილდღეობასთან დაკავშირებული მარტივი ჭეშმარიტებები, ასეთი ჭეშმარიტებები ნათელია ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის და ერთობლიობაში ქმნის „ყველასათვის სამართლიანის“ იდეალს.

სამართლიანი ომის დოქტრინის შეფასება

იმ კრიტიკული შენიშვნებიდან, რომელიც ახლავს სამართლიანი ომის დოქტრინას თქვენს ყურადღებას სამ ძირითად მათგანზე გავამახვილებთ: დოქტრინა არის მორალური რელატივიზმი, ეთნოცენტრულად მიკერძოებულია და პოლიტიკურად არარეალური.

მორალური რელატივიზმი. კრიტიკოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ სამართლიანი ომის კონცეფცია ეფუძნება ძალზე სუბიექტურ და, აქედან გამომდინარე, დაუდასტურებელ ფასეულობათა განსჯას, რაც ***მორალური რელატივიზმის*** სახელითაა ცნობილი. გამომდინარე იქიდან, რომ მოსაზრებები განსხვავდება იმის შესახებ, ვინ არის დამ-

ნაშავე კონკრეტული ომის დაწყებაში, მორალური პასუხისმგებლობის დაკისრების ნებისმიერი მცდელობა ხშირად ასახავს არა დაზუსტებულ რეალურ ფაქტებს, არამედ დამკვირვებელთა მოსაზრებებს. მორალური რელატივიზმის ამგვარი ტიპის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება მხოლოდ ომამდელი და ომის შემდგომი სიტუაციის ზედმიწევნით აღწერაა, რაც მხოლოდ სარწმუნო ფაქტებს დაეყრდნობა.

ეთნოცენტრულობა და ნაციონალისტური მიკერძოება. მსგავსად ამისა, დადგენილია, რომ სამართლიანი ომის დასავლელი თეორეტიკოსები ეხებიან მხოლოდ საკუთარ კულტურას და ცდილობენ ყურადღება არ მიაქციონ იმ ომების გამამართლებელ ფაქტებს, რომლებიც სხვა კულტურის მქონე ერებმა დაიწყეს. ამას შეიძლება ***ეთნოცენტრიზმი*** ეწოდოს. მაგალითად, *ჯიჰადის* („ბრძოლა“ ან „საღვთო ომი“) ისლამური კონცეფცია ცდუნების, ბოროტების ან „მოღალატეთა“ წინააღმდეგ, არის აგრესული ომის მორალური საფუძველი, რომელსაც იშვიათად აღიარებენ სამართლიანი ომის დოქტრინის დასავლელი დამცველები.

პოლიტიკური მიამიტობა. სამართლიანი ომის დოქტრინის ოპონენტების გარკვეული ნაწილი აყენებს პრაქტიკული წინააღმდეგობის საკითხს. მათი მტკიცებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაძლებელი იქნება შეთანხმება სამართლიანი ან უსამართლო ომების მტკიცე, მიუკერძოებელი და საყოველთაოდ მისაღები განსაზღვრების შესახებ, მაინც ძნელი იქნება მიღებული დოქტრინის მართებულად გამოყენება. ისევე, როგორც ადამიანები ვერ იქნებიან საკუთარი თავის ობიექტური მოსამართლეები, სახელმწიფოები ვერ გამოიჩენენ მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც საკუთარი ინტერესები აქვთ. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მიუკერძოებელი მსაჯულის გარეშე, სამართლიანი ომის დოქტრინა რჩება იმ ბუტაფორიად, რომელსაც აგრესორი ქვეყნები იყენებენ საკუთარი კეთილდღეობისკენ მიმართული ქმედებისა და სამხედრო ჩარევების გასამართლებლად.

სამართლიანი ომის დოქტრინის მხარდამჭერები კი თვლიან, რომ მორალური განსჯა ომის შესახებ დიდი ხანია ითვლება როგორც ბუნებრივად, ასევე საჭიროდ: ბუნებრივად იმ გაგებით, რომ „იმ დროიდან დაწყებული, რაც კაცები და ქალები ომზე ლაპარაკობენ, ყოველთვის ეხებიან „სწორსა“ და „არასწორს“[54] და საჭირო იმიტომ, რომ ამის გარეშე ყველა ომი ობიექტურად (ან საქებრად) ჩაითვლება.

როგორც ცნობილია, არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მტკიცებულება, რომ აგრესიული ომი უარესია, ვიდრე პრევენციული, მაგრამ ასეთი მტკიცებულება არც არის საჭირო, რადგან ვიცით, რომ ცივსისხლიანი მკვლელობა მორალურად უფრო გაუმართლებელია, ვიდრე მკვლელობა თავდაცვის მიზნით. ამ განსხვავებას მხარს უჭერს არა მხოლოდ სისხლის სამართალი, არამედ საღი აზრიც.

ხშირად ამბობენ, რომ სამართლიანი ომის დოქტრინა იმ ადამიანების სასარგებლოდ მუშაობს, რომლებიც მხარს უჭერენ მას. ეს მოსაზრება სიმართლის მარცვალს შეიცავს. თავისთავად, სამართლიანი ომის დოქტრინა არ შეიცავს საყოველთაოდ მისაღებ სტანდარტს, რომელიც საჭიროა ერი-სახელმწიფოს ქცევის შესაზღუდად. სახელმწიფოთა ლიდერები ხშირად მონაწილეობენ ზნეობრივ საუბრებში და ამავე დროს უზნეოდ იქცევიან. სამართლიანი ომის დოქტრინის შენარჩუნება ღირს არა ქცევის გასაკონტროლებლად, არამედ შეფასების მეთოდის სახით.

ნიურნბერგის პროცესი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მოხდა ისტორიისათვის ცნობილი პირველი შემთხვევა, როდესაც გერმანიაში, ქალაქ ნიურნბერგში ნაცისტ ლიდერებს ბრალი წაუყენეს. მათ ბრალი დასდეს, პირველი, მშვიდობის წინააღმდეგ მოქმედებაში, რადგან ომის დაწყებით დაარღვიეს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები; მეორე, საომარი წესების დარღვევაში, როგორიცაა ტყვეების მიმართ გამოჩენილი სისასტიკე, ქალაქების მთლიანი განადგურება, დაპყრობილ ქვეყნებში სამოქალაქო პირების მიმართ გამოჩენილი სასტიკი მოპყრობა. მესამე, **კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში**, რაც აგრეთვე გულისხმობდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტას.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცისტებმა ვერ შეძლეს ებრაელი ხალხის განადგურება, ისინი ძალიან ახლოს იყვნენ დასახულ მიზანთან. ევროპელი ებრაელების მასობრივი ჟლეტის გამო ნაცისტი ლიდერების დასჯის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა დამსახურებული განაჩენის გამოტანის სურვილს. გერმანელთა მოქმედება ვერ გამართლდებოდა ომის ფაქტით (ომიც, რასაკვირველია, ჰიტლერმა დაიწყო). უფრო მეტიც, გერმანელი ნაცისტების მიერ ჩადენილ სისასტიკეს ანალოგი არ აქვს თანამედროვე სამყაროში.

კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა კონცეფცია მყარად უჭერს მხარს სამართლიანი ომის დოქტრინას. ნაცისტების მიერ იმ მორალური პრინციპების უგულებელყოფა, რომ საჭიროა უდანაშაულო ადამიანების წამებისა და სიკვდილისგან დაცვა, იმდენად აშკარა იყო და მათი დარღვევა იმდენად თვალშისაცემი, რომ უმცირესი ეჭვის გარეშეც კი, ნაცისტების მიერ ჩადენილ ქმედებებს არანაირი მორალური გამართლება არ ჰქონდა. მართალია, ომის დროს ჩადენილი დანაშაულებების მორალურობა/ამორალურობის საკითხი შეიძლება პრობლემური იყოს. თუმცა, ჰოლოკოსტის შემთხვევაზე ეს არ ვრცელდება. სამართლიანი ომის დოქტრინაში მითითებული განსაზღვრების შესაბამისად, ეს არის უდავოდ კრიმინალური საქციელი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიურნბერგის პროცესი გამართლებული იყო, ზოგადად, ამგვარი პროცესების გამართვის ტენდენცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. იოლი არ არის მშვიდობის წინააღმდეგ მებრძოლის იარლიყის მიკვრა კონკრეტულ და ხშირად უპრეცედენტო შემთხვევებში. სიკვდილის ბანაკებმა დაარღვიეს კანონის, სამართლის, ღირსების ყველა სტანდარტი, მაგრამ რა ვუყოთ მოკავშირეთა მიერ დრეზდენის დაბომბვის ფაქტს? ან გერმანელი მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებს, რომლებზეც, რბილად რომ ვთქვათ, თვალს ხუჭავდა საბჭოთა არმია? ან ჰიროსიმასა და ნაგასაკის მცხოვრებთა სასოწარკვეთას? ომში ზნეობასთან და მორალთან დაკავშირებული კითხვები ხშირად ბუნდოვანი და უპასუხოა.

არსებობს გენოციდისა და ეთნიკური წმენდის უფრო ახალი მაგალითები პოლიტიკურად მოტივირებული მასობრივი მკვლელობების ჩათვლით, რომლის მსგავსიც ბოსნიაში, რუანდაში, სიერა-ლეონესა და სხვა ქვეყნებში მოხდა 1990-იან წლებში. უნდა წარდგნენ თუ არა ტერორისტები მართლმსაჯულების წინაშე, რთული იურიდიული და ზნეობრივი საკითხია, რომლის განხილვასაც აქ არ ვაპირებთ. ვთქვათ, რომ პრეზიდენტმა ბუშმა 11 ტერაქტი საომარ მოქმედებად შეაფასა. ამ ტერაქტმა ფეხქვეშ გათელა უზენაესი ზნეობრივი და რელიგიური პრინციპები, კერძოდ ის, რომ არასოდეს აქვს გამართლება უდანაშაულო ადამიანების ჟლეტას. წარდგებიან თუ

არა ალ ქაიდას ლიდერები ან შემსრულებლები ოდესმე მართლმსაჯულების წინაშე, დამოკიდებულია იმაზე, როდის, სად და როგორ დააკავებენ მათ (თუ, რასაკვირველია, მოხერხდა ზოგი მათგანის ცოცხლად აყვანა), აგრეთვე იმაზე, მოიყვანს თუ არა სისრულეში აშშ-ს ხელისუფლება საკუთარ დაპირებას, გაასამართლოს ისინი სამხედრო ტრიბუნალმა და არა საერთაშორისო სასამართლომ.

დასკვნა

ომის თავიდან აცილება ყოველთვის არ არის სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი. მაგალითად, იტალიის ფაშისტი ლიდერი, ბენიტო მუსოლინი, ყოველთვის ხოტბას ასხამდა ომს.

დღემდე ბევრი მცდელობა იყო ომის დაწყების მიზეზების გამოსავლენად. შედეგად, მასთან დაკავშირებული თეორიები შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: მეცნიერთა ნაწილი მიზეზს ადამიანის ბუნებაში ხედავს, მეორე ნაწილი საზოგადოებას ადანაშაულებს, ხოლო მესამეს სჯერა, რომ ყველაფერში დამნაშავეა დედაბუნება (შეუბრალებელი გარემო). თომას ჰობსი ფიქრობდა, რომ ომი არის ადამიანის უკუღმართობის პრო-დუქტი. ჟან-ჟაკ რუსოს მიაჩნდა, რომ ადამიანი ზოგადად კარგია, მაგრამ საზოგადოება ხდის მას მანკიერს; ჯონ ლოკის აზრით, ადამიანის აგრესია ბუნებრივი რესურსების სიმცირით არის გამოწვეული (ადამიანის კონტროლის გარეთ არსებული ობიექტური გარემოებებით). ბუნებრივი რესურსების სიმწირე უკავშირდება ბუნებრივი ძალებისა და ფაქტორების მრავალფეროვნებას, შიმშილის, დაავადებების, ქარიშხლების, გვალვებისა და ა.შ. ჩათვლით.

ერთ ფაქტორზე დაფუძნებული თეორიები ვერ ხსნის ომის გამომწვევ მიზეზებს. ომს განაპირობებს სხვადასხვა — სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური — ფაქტორი.

დაძაბულობის პირობებში, ომი შეიძლება დაიწყოს ისე, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს ყველა მხარის სურვილს. ასეთი არასასურველი ომები ხშირად იწყება არასწორი ინტერპრეტაციის, გაუგებრობის, შემთხვევითობის, ესკალაციის ან კათალიტიკური რეაქციების შედეგად. დაუგეგმავი ომის დაწყების ალბათობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ პოტენციურ საფრთხეს, რაც დაკავშირებულია ზნეობრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან. ხშირად, როდესაც ომი იწყება, გარკვეული არ არის, ვინ ან რამ გამოიწვია მისი დაწყება.

სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტად ომის გამოყენება საერთაშორისო სამართლისა და ზნეობრივი ნორმების დარღვევაა, თუმცა, არა ყველა ომის შემთხვევაში. სამართლიანი ომის დოქტრინა ამტკიცებს, რომ თავდაცვა და უნივერსალური პრინციპების დაცვა არის ბრძოლის ლეგიტიმური საფუძველი, მაგრამ ამ დოქტრინას ხშირად აკრიტიკებენ ზნეობრივი რელატივიზმის, კულტურული ეთნოცენტრიზმის და პოლიტიკური რეალიზმის ნაკლებობის მოტივით.

ნიურნბერგის პროცესზე მოხდა აგრესიული ომის დროს ჩადენილი დანაშაულებების გამო ბრალის წაყენება. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა ჩამოაყალიბეს საომარ დანაშაულებათა ახალი კატეგორია — დანაშაულებანი კაცობრიობის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ნიურნბერგის პროცესი გამართლებული

იყო, საჭიროა ამგვარ პროცედურებს მაქსიმალური სიფრთხილით მოვეკიდოთ მომავალში.

საკვანძო სიტყვები

სახელმწიფოთაშორისი ომი
სამოქალაქო ომი
პარტიზანული ომი
მცირე ინტენსივობის კონფლიქტები
შეიარაღებაში შეჯიბრი
იმპერიალიზმი
ულტრანაციონალიზმი
ბუნებითი მდგომარეობა
ინტერნაციონალისტები
ეროვნული თვითგამორკვევა
დემოკრატიული მშვიდობის პარადოქსი
შეზღუდული ომი
უპირობო კაპიტულაცია
ომი მცდარი აღქმის გამო
შემთხვევითი ომი
ომის ესკალაცია
კათალიტიკური ომი
ნაციონალისტურ-სეპარატმასირებული
საპასუხო დარტყმა
ბირთვული მონოპოლია
ურთიერთ განადგურება
ურთიერთ შეკავება
პირველი დარტყმა
საპასხუხო დადრტყმა
მასობრივი განადგურების იარაღი
ცხელი ხაზი
სამართლიანი ომი
მორალური რელატივიზმი
ეთნოცენტრუიზმი
დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ
საომარი დანაშაული
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

კითხვები გამეორებისათვის

1. რამდენ ძირითად კატეგორიად იყოფა განმარტებები ომის უშუალო მიზეზების შესახებ?
2. თომას ჰობსის მიხედვით, რა არის ყვლა ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზი? რა არგუმენტებით ცდილობს ჰობსი საკუთარი თეზისის დაცვას?
3. რა არის, რუსოს აზრით, ომის ძირითადი მიზეზი? რით განსხვავდება მისი მოსაზრება ჰობსის მოსაზრებისგან? რა არგუმენტებს იშველიებს რუსო საკუთარი მოსაზრების დასაცავად?
4. იმ მეცნიერთა შორის, რომლებიც ომის გამომწვევ მთავარ მიზეზად საზოგადოებას მიიჩნევენ, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, საზოგადოების კონკრეტულად რომელი ასპექტი განაპირობებს ერი-სახელმწიფოების ომისკენ მიდრეკილებას. დაასახელეთ ტექსტში წარმოდგენილი ოთხი ალტერნატიული თეორია.
5. როგორ ხსნიდა ჯონ ლოკი ომის ფენომენს? რით განსხვავდება ეს მოსაზრება ჰობსის მოსაზრებებისგან? რომელი არგუმენტებით ამყარებს ის საკუთარ მოსაზრებას?

6. ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ რომელი ახსნა მიგაჩნიათ ყველაზე სარწმუნოდ? პასუხი დაასაბუთეთ.
7. რატომ არის ძნელი უბრალოდ დაიგმოს დამნაშავე მხარე ან მხარეები, როდესაც ომი იწყება?
8. საომარი ხელოვნების დახვეწის ეპოქაში, სულ უფრო და უფრო შესაძლებელი ხდება ომის დაწყება წინასწარ განუზრახველად. რა შემთხვევაში შეიძლება ეს მოხდეს?
9. არის თუ არა ყველა ომი გაუმართლებელი ზნეობრივი კუთხით? პასუხი დაასაბუთეთ.
10. არის თუ არა სამართლიანი ომის დოქტრინის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები დაბალანსებული? პასუხი დაასაბუთეთ.
11. რა უძღოდა წინ ნიურნბერგის სასამართლო პროცესს? რა არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები? როგორ შეესაბამება სამართლიანი ომის დოქტრინა ამ კონტექსტს?
12. მიზანშეწონილი და შესაძლებელია თუ არა ნიურნბერგის ტიპის პროცესების გამართვა ყოველი ომის შემდეგ?

შენიშვნები:

1. *Paul Seabury* და *Angelo M. Codevilla, War: Ends and Means (New York: Basic Books, 1990), 6.*
2. *G. W. F. Hegel, Philosophy of Rights,* თარგმ. *T. M. Knox,* წიგნში *Great Books of the Western World,* ტომი 46, რედ.: *R. Hutchins (Chicago: Encyclopaedia Britannica, 1952), 149.*
3. *Friedrich Nietzsche, Human, All Too Human,* თარგმ. *Marion Farber (Lincoln: University of Nebraska Press, 1984), 230-321),* აფორიზმი 477.
4. *Benito Mussolini, "The Doctrine of Fascism",* თარგმ. *M. Oakeshott,* წიგნში *Great Political Thinkers,* რედ. *William Ebenstein (New York: Holt, 1965), 621.*
5. *John Vasquez, "Introduction: Studying War Scientifically"*, წიგნში *The Scientific Study of Peace and War: A Text Reader,* რედ. *John Vasquez* და *Marie Henehan (New York: Lexington, 1992), xix.*
6. იქვე, *xxii.*
7. თუ ომის თვისობრივ ანალიზთან დაკავშირებული სტატისტიკური მეთოდოლოგიის გაცნობა გსურთ, წაიკითხეთ *Stuart Bremer*-ისა და სხვათა ავტორობით (ადაპტირებული *Marie Henehan*-ის მიერ) *'The Scientific Study of War: A Learning Package"*, იქვე, 373-437.
8. *James Dougherty* და *Robert Pfaltzgraff, Jr., Contending Theories of International Relations: A Comprehensive Study,* მე-3 გამოცემა *(New York: HarperCollins, 1990), 356.*
9. *Greg Cashman, What Causes War? An Introduction to Theories of International Conflict (New York: Lexington, 1993), 279.*
10. ეს განხილვა ასევე მოიცავს იმ კლასიფიკაციების ვარიაციას, რომელიც წარმოდ-

გენილია *Kenneth N. Waltz*-ის ნაშრომში *Man, the State, and War: A Theoretical Analysis (New York: Columbia Univesity Press, 1965).* ვაღიარებთ, რომ ვალში ვართ ამ ნაშრომის წინაშე.

11. ციტატა მოტანილია *Sir Norman Angell*-ის ნაშრომიდან *Neutrality and Collective Security*, რომელიც, თავის მხრივ, გამოიყენა *Edward Hallett Carr*-მა წიგნში *The Twenty Years' Crisis, 1919-1939 (New York: Harper & Row, 1964). 39.*
12. *Thomas Hobbes, The Leviathan (London: Everyman's Library, 1956). 64.*
13. *Hans J. Morgenthau, Politics among Nations: The Struggle for Power and Peace*, მე-5 გამოც. *(New York: McGrow-Hill, 1992), 3-4.*
14. იქვე, 29.
15. *Jean-Jacques Rousseau, FFirst and Second Discourses,* თარგმ. *Roger* და *Judith Masters*, რედ. *Roger Masters (New York: St. Martin's Press, 1964), 197.* ციტატა აღებულია რუსოს „მეორე საუბრის" შენიშვნებიდან.
16. იქვე, 195-196.
17. იქვე, „მეორე საუბარი",141-142.
18. იქვე, 161.
19. *Frederick Hartmann, The Relations of Nations (New-York: Macmillan, 1978), 32.*
20. *William Galston, Kant and the Problem of History (Chicago: University of Chicago Press, 1975), 26-27.*
21. *Immanuel Kant, "Eternal Peace",* წიგნში *Immanuel Kant's Moral and Political Writings,* რედ. *Carl Friedrich (New York: Modern Library, 1949), 458.*
22. *V. I. Lenin, Imperialism: The Highest Stage of Capitalism (New York: International Publishers, 1939), 124.*
23. *Robert Goldwin, "John Locke",* წიგნში *History of Political Philosophy,* რედ. *L. Strauss* და *J. Cropsey (Skokie, III.: Rand McNally, 1963), 442.*
24. *Richard Falk, This Endangered Planet: Prospects and Proposals for Human Survival (New York: Vintage Books, 1972), 106-107.*
25. იქვე, 105.
26. იქვე, 113.
27. იქვე, 155.
28. *Cashman, What Causes War? 157.*
29. *Aristotle, The Politics,* მთარგმ. და რედ. *Ernest Barker (New York: Oxford University Press, 1962), 1313b, 245.*
30. *Hannah Arendt, Totalitarianism (New York: Harcourt, 1951), 113-114.*
31. *William Dixon, "Democracy and the Peaceful Settlement of International Conflict", American Political Science Review 88 (March 1994): 14.*
32. დემოკრატიული ქვეყნების ტენდენციაზე იხ. *Stuart Bremer*-ის, *"Are Democracies Less Likely to Join Wars?" (*ნაშრომი წარმოდგენილი იყო *Amercian Political Science Association*-ის ყოველწლიურ შეხვედრაზე, *Chicago, September 3-6, 1992).*
33. უფრო ვრცლად იხ. *Brice Russett-is Grasping the Democratic Peace (Princeton, N.J., Princeton University Press, 1993).*
34. როგორც მითითებულია *Cashman*-ის ნაშრომში *What Causes War?, 129.*
35. იქვე.
36. იქვე, 137-139.
37. *Rudolph Rummel, "Some Empirical Findings", World Politics 21 (1969): 238-239.*

38. მსჯელობა შერჩევით მოჰყვება *Cashman*-ის *What Causes War?, 132-134.*
39. *Morgenthau, Politics among Nations, 51-57.*
40. იქვე, 133.
41. *Michael Haas, "Scietal Approaches to the Study of War"*, წიგნში *The War System, red. Richard Falk* და *Samuel Kim (Boulder, Colo.: Westview, 1980), 355-356, 365.*
42. იხ. *John Vasquez, "The Steps to War"*, წიგნში *The Scientific Study of Peace and War: A Text Reader*, რედ. *John Vasquez* და *Marie Henehan (New York: Lexington, 1992), 343-370.*
43. *Jack Lavy, "Alliance Formation and War Behavior: An Analysis of the Great Powers, 495-1975,* წიგნში *The Scientific Study of Peace and War: A Text Reader,* რედ. *John Vasquez* და *Marie Henehan (New York: Lexington, 1992), 3-36.*
44. *Vasquez, "The Steps to War", 370.*
45. *Cashman, What Causes War? 137.*
46. იქვე.
47. *Dougherty da Pfaltzgraff, Contending Theories, 354-355.*
48. იქვე, 145-152; თუმცა, როგორც ქეშმენი აღნიშნავს, მხილებულება ცალსახა არ არის.
49. იქვე, 142-145, ამავე ნაშრომშია მოცემულია კვლევების შეჯამება. იხ., ასევე *Paul Diehl*-ის *"Arms Races to War: Testing Some Empirical Linkages", Sociological Quarterly 26* (შემოდგომა 1985): 331-349; და მისივე *"Continuity and Military Escalation in Major Power Rivalries, 1816-1980", Journal of Politics 47* (ნოემბერი 1985): 1203-1211.
50. *Nazli Chourci* და *Robert North, "Lateral Pressure in International Relations: Concept and Theory"*, წიგნში *Handbook of War Studies,* რედ. *Manus Midlarsky (Boston: Unwin Hyman, 1989), 310-311.*
51. *Waltz, Man, the State, and War, 233.*
52. ციტირებულია *Lee McDonald*-ის ნაშრომში *Western Political Theory: From Its Origins to the Present (Orlando, Fla.: Harcourt, 1968), 127.*
53. ციტირებულია *Dougherty* და *Pfaltzgraff*, ნაშრომში *Contending Theories of International Relations, 151, n. 24.*
54. *Michael Walzer, Just and Unjust Wars (New York: Basic Books, 1968), 1.*



ნაწილი V

პოლიტიკა მთავროპის გარეშე

თავი XVII
საერაშორისო ურთიერთობები: მრბოლა ბლიერემისკის

თავი XVIII
საერთაშორისო ორგანიზაცია(ები): მრბოლა წესრიგისთვის

თავი XVII

საერთაშორისო ურთიერთობები

მრბოლა ბლიეტრემისთვის

იყავი რეალისტი: მაკიაველი და მორგენთაუ

კლასიკური ევროპული სისტემა

• სისტემური წინაპირობები • ევროპული კონსენსუსის მარცხი

თანამედროვე გლობალური სისტემა

• ევროცენტრიზმის დასასრული • ბიპოლარობის დასაწყისი • იდეოლოგიის პრიმატი • ბირთვული ომის საფრთხე • ურთიერთ შეკავება

ამერიკის საგარეო პოლიტიკა: გუშინ და დღეს• რა არის ეროვნული ინტერესი? • ეროვნული ინტერესის დაცვა

დიდი დებატები: რეალიზმი და იდეალიზმი

• ბუმერანგის ეფექტი • ახალი საგარეო პოლიტიკის ძიებაში • იდეალიზმი, როგორც ეგოიზმი: ზნეობის ძალა • ახალი სამყარო, ძველი ჩვევები • ახალი ტენდენციები, ძველი პრობლემები • რა ხდება ცივი ომის შემდეგ? • გლობალური ეკონომიკა • რეგიონალიზმის აღზევება • ეთნიკური ძალადობის წყევლა • აღსასრულის ახლებურად: „მდუმარე გაზაფხულის“ თავიდან აცილება • აღსასრული ძველებურად: ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილება • საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია

აპოკალიფსური ხედვები: ცივილიზაციათა შეჯახება და ანარქია?

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 416 წელს ათენელებმა გემები და ჯარი სპარტის ნეიტრალური კოლონიის, მილოსის კუნძულის დასაპყრობად გაგზავნეს, რომელსაც არ სურდა ომის მონაწილე გამხდარიყო.[1] ათენელები, რომლებიც მოლაპარაკებებს ძალის პოზიციიდან აწარმოებდნენ, მილოსის მკვიდრთაგან უპირობო კაპიტულაციას მოითხოვდნენ და ეუბნებოდნენ, რომ „სამართლიანობის საკითხი მხოლოდ თანაბარ ძალებს შორის არსებულ ურთიერთობებში დგება, მაშინ როცა ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ და სუსტნი ურიგდებიან იმას, რასაც უნდა შეურიგდნენ.“ მილოსელებმა კითხვის დასმით გასცეს პასუხი, „რატომ შეიძლება იყოს ჩვენთვის კარგი თქვენი მმართველობის ქვეშ ყოფნა?“ „იმიტომ“ უპასუხეს ათენელებმა, რომ „თქვენ გექნებათ არჩევანის გაკეთების უპირატესობა დამორჩილებასა და საკუთარი თავის უბედურებაში ჩაგდებას შორის და შესაბამისად, რაკი არ გაგანადგურებთ, ჩვენც მოგებული დავრჩებით“. მილოსელები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ათენელები, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობები ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა. თუმცა, ათენელები ამ ლოგიკას არ იზიარებდნენ. სამართლიანობის საკითხის უხეში უგულებელყოფით, ისინი თვლიდნენ, რომ თუ მილოსს მისცემდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას, მაშინ მილოსელები და სხვებიც ამას ათენის სისუსტედ მიიჩნევდნენ. „ჩვენი იმპერიის გაფართოებით“, განაგრძობდნენ ათენელები „მოვიპოვებთ უსაფრთხოებას. ფაქტი, რომ ხართ კუნძულოვანი და შედარებით სუსტი სახელმწიფო, ადასტურებს, რომ ვერ შეაფერხებთ ზღვის მბრძანებლებს.“ ასე რომ, მილოსის სახელმწიფო ძალის პოლიტიკის გათვლებს შეეწირა.

ათენელების შეურიგებლობას მილოსელები გაბედულად და მტკიცედ დაუხვდნენ. მილოსელები კვლავ იმეორებდნენ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მათ მაინც ნეიტრალურად დარჩენა სურდათ. ათენელებმა განაგრძეს კუნძულის ალყაში მოქცევა, მილოსელებმა საპასუხო წინააღმდეგობა გაუწიეს. სპარტელები მოვიდნენ, მაგრამ ვერ დარჩნენ. შემდეგ უბედურების ზარმაც ჩამოჰკრა:

> ათენიდან დემეასის ვაჟის, ფილოკრატეს მეთაურობით დამატებითი ძალები გაიგზავნა და ალყა უფრო გაძლიერდა. შიდა გამცემლობის გამო მილოსელები ჩაბარდნენ ათენელებს, რომლებმაც ყველა მამაკაცი დახოცეს, ქალები და ბავშვები მონებად გაყიდეს, შემდეგ კი დაახლოებით ხუთასამდე კოლონისტი დაასახლეს ამ ტერიტორიაზე.

ეს ამბავი ისევე იკითხება, როგორც ერთ-ერთი საზარელი ეპიზოდი ჰარი პოტერის ცხოვრებიდან, სწორედ ის, როდესაც ეშმაკეული ვოლდემორი უკან ისეთი გაძლიერებული ბრუნდება, როგორიც არასოდეს ყოფილა. ჰოგვარტისაგან განსხვავებით მილოსი რეალურად არსებული ადგილი იყო და შესაბამისად მოთხრობაში გადმოცემული ტრაგედია რეალურად მოხდა. ამ ყველაფრის საფუძველი პელოპონესის ომი (ძვ. წელთაღრიცხვის 431-404) იყო. ჩვენ კი მილოსელების საზარელი ბედისწერის შესახებ ვიცით იმის გამა, რომ ბერძენმა ისტორიკოსმა თუკიდიდემ აღწერა ეს ამბავი.

იყავი რეალისტი: მაკიაველი და მორგენთაუ

იტალიური რენესანსის ეპოქის უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) წერდა, რომ ჭკვიანი მმართველი ყოველთვის მოსაგებად უნდა

თამაშობდეს. მისივე სიტყვებით, „ჩვენი ცხოვრების წესი ძალზე შორსაა იმისაგან, როგორც უნდა ვცხოვრობდეთ. ვინც სწორად ცხოვრებას შეეცდება, გადარჩენის ნაცვლად საფრთხეში იგდებს თავს“.[2] ბრძენი მმართველი — აგრძელებდა მაკიაველი — აცნობიერებს, რა უნდა გაკეთდეს მისი გავლენის სფეროს შესანარჩუნებლად და გასაფართოებლად და არ აძლევს მორალურ ეჭვებს მისი აზროვნების დაჩრდილვის უფლებას. მაგალითად, მმართველმა მხოლოდ მაშინ უნდა დაიცვას მიცემული პირობა, როცა ეს მის ინტერესებშია:

> კეთილგონიერი მმართველი არ უნდა იყოს საკუთარი აღთქმის ერთგული, თუკი შეიძლება, რომ ეს ერთგულება საზიანო აღმოჩნდეს მისთვის და უკვე აღარ არსებობს მიზეზები, რამაც ეს აღთქმა დაადებინა. . . ყველა კაცი კარგი და კეთილი რომ იყოს, ასეთი ქცევა უკეთური იქნებოდა, მაგრამ რაკი ისინი ბოროტნი არიან და გამუდმებით არღვევენ იმას, რაც აღგითქვეს, შენ რატომღა უნდა უერთგულო საკუთარ აღთქმას მათ მიმართ?[3]

მაკიაველის მოსაზრება და მილოსელთა ბედიც იმ ფაქტის მკაფიო ილუსტრირებაა, რომ ზნეობა ნაკლებად მნიშვნელოვანია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, ვიდრე სახელმწიფოს შიგნით. მანამ, სანამ საერთაშორისო პოლიტიკა ბუნებითი მდგომარეობის მსგავსია, სახელმწიფოებს შორის დაძაბულობა შენარჩუნდება და ერთადერთი პასუხგასაცემი შეკითხვა იქნება, ვინ გადარჩება და ვინ განადგურდება.

მაკიაველის ინტელექტური პირდაპირობა და პოლიტიკისადმი ულმობლად რეალისტური მიდგომა, შესაძლოა, ყველაზე წარმატებული პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძველია თანამედროვე მსოფლიოში. ეს იმ გაგებით, რომ მან გაუძლო დროის გამოცდას, ის კვლავაც ახდენს გავლენას და მოყოლებული მაკიაველის დროიდან, მისი მართებულობის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად დაგროვდა. თეორია, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ საკუთარი ინტერესებისა და არა იდეალების შესაბამისად, ცნობილია, როგორც ***პოლიტიკური რეალიზმი.*** ამჟამად ის ყველაზე მეტად ჰანს მორგენთაუს (1904-1980) ნაწერებთან ასოცირდება. მაკიაველის მსგავსად, პოლიტიკური რეალისტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, როგორ უნდა იქცეოდნენ ქვეყნები და აკვირდებიან, რეალურად როგორ იქცევიან ისინი და ცდილობენ გაარკვიონ რატომ იქცევიან ასე. თვითგადარჩენა სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა, ხოლო გადარჩენის უზრუნველყოფის საუკეთესო გზა — სახელმწიფოს ძლიერების ზრდაა. საერთაშორისო პოლიტიკაში, ამტკიცებს მორგენთაუ, რაც არ უნდა იყოს საბოლოო მიზანი, უშუალო მიზანი ყოველთვის ძლირებაა. ასე რომ, ინტერესი განსაზღვრულია როგორც ძლიერება. მორგენთაუსათვის ეს ორი კონცეფცია ერთიანია — ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ინტერესი, პირველ რიგში, ძლიერების მიღწევაა, შემდეგ კი სხვა მიზნებისა, როგორიცაა პრესტიჟი და ა.შ., და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზრდის სახელმწიფოს ძლიერებას.

პოლიტიკური რეალისტები ამტკიცებენ, რომ წარმატება საერთაშორისო პოლიტიკაში, მაშინაც კი, როცა კონფრონტაცია არ არის, საბოლოოდ მაინც ძლიერებაზეა დამოკიდებული. მორგენთაუს თანახმად, „ძალა, ძლიერება შეიძლება გულისხმობდეს ყველაფერს, რაც აწესებს და ინარჩუნებს ერთი ადამიანის კონტროლს მეორეზე“.[4] ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი საერთაშორისო პოლიტიკაში სამხედრო ძლიერებაა. შესაბამისად, პოლიტიკური რეალისტები ცივი გონებით განიხილავენ ისეთ თემებს, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოების საკითხები (მეტი

ყოველთვის უკეთესია, ვიდრე ნაკლები), ბირთვული იარაღის კონტროლი და საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობა (შეზღუდული სარგებლობითა და მომავლის იმედის გარეშე).

თუმცა, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება სინონიმური არაა. სხვა ფაქტორებიც, მათ შორის გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ქმნიან სახელმწიფოს ძლიერებას. თვით პოლიტიკური ლიდერის პიროვნული ქარიზმა და კომპეტენციაც ან სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობა აძლევს მას უპირატესობას კონკურენტულ და საშიშ მსოფლიოში. მორგენთაუს თანახმად, არამატერიალური ფაქტორების, როგორიცაა ქარიზმა, უგულებელყოფა „ტოლფასია პრესტიჟის უგულებელყოფისა, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში დამოუკიდებელი ელემენტისა“.[5]

სახელმწიფოს მთავარი ინტერესების ოპტიმიზაცია და გაწონასწორება პოლიტიკურ სიბრძნეს საჭიროებს. მორგენთაუ წერს: „რეალიზმი სიბრძნეს განიხილავს, როგორც პოლიტიკური ქმედების შედეგების წინასწარ გაზომვას, რაც უზენაესი ღირსებაა პოლიტიკაში“.[6] სწორად ინტერპრეტირებისა და გამოყენების შემთხვევაში ამგვარი სიბრძნე სწორად წარმართავს სახელმწიფოს საქმეებს. ეროვნული ინტერესების რეალისტურ შეფასებაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა არამარტო რისკიან თავგადასავლებს, არამედ ასევე დამპყრობლურ სიბრმავესაც აირიდებს, რაც ანადგურებს ერებსა და ცივილიზაციებს მორალური პრინციპების, იდეალების თუ ღმერთის სახელითაც კი“.[7] როგორც მორგენთაუ აღნიშნავდა, ეროვნული ინტერესის კონცეფცია მორალისტების დაშვებული შეცდომების საპირისპიროა. ცხადია, ეროვნული ინტერესი განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყნამდე, იცვლება წლიდან წლამდე, ასეთი ინტერესი შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი, პირველხარისხოვანი ან მეორეხარისხოვანი, ზოგადი ან სპეციფიკური.

პოლიტიკური რეალისტისათვის წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე ისაა, ვინც ფლობს ეროვნული ინტერესებისა და ამოცანების ეროვნულ შესაძლებლობებთან დაბალანსების ხელოვნებას. სიბრძნე მოითხოვს, რომ სახელმწიფო მოღვაწემ, მსგავსად მყიდველისა სუპერმარკეტში, განასხვავოს ერთმანეთისაგან ის, რაც აუცილებელია და რაც, უბრალოდ, სასურველია. სახელმწიფოს მართვის ცოდნა გულისხმობს ერის მოლოდინებისა და სურვილების სახელმწიფოს შესაძლებლობებთან შესაბამისობში მოყვანასა და სასიცოცხლო და მეორეხარისხოვანი ინტერესების ზუსტად გარჩევას. პოლიტიკური რეალიზმი საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოქნილობას, ობიექტურობასა და სენტიმენტალიზმის ნაკლებობას ანიჭებს. პოლიტიკური რეალისტი იტყვის, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში არსებობენ არა მუდმივი მოკავშირეები, არამედ მხოლოდ მუდმივი ინტერესები. მორგენთაუს აზრით, სახელმწიფო მოღვაწე-ებს სხვა პრინციპებით საქმიანობა არ ეპატიებათ, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ამორალური შეიძლება იყოს ასეთი საქციელი ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების პოზიციიდან.

საერთაშორისო პოლიტიკის რისკიან სამყაროში ზნეობას აქვს სხვა სახე — ჩვენი შიდა ცხოვრების ზნეობისაგან განსხვავებული, როგორც პირადული, ასევე პოლიტიკური. რადგანაც სხვა სახელმწიფოებიც მოქმედებენ ინტერესებისა და არა იდეალების შესაბამისად, საკუთარმა სახელმწიფომაც ასევე უნდა იმოქმედოს. ნებისმიერი სახელმწიფო სხვის ხარჯზე სარგებლის მიღებას ცდილობს — კოლექტიური საქციელის ამგვარი ფორმა ადვილად შესამჩნევი და უნივერსალურია. აქედან გამომდინარე, მორგენთაუ ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური რეალიზმი არა მარ-

ტო ხსნის, რატომ იქცევიან სახელმწიფოები ისე, როგორც იქცევიან, არამედ, ასევე შეუძლია გააკეთოს პროგნოზი, როგორ მოიქცევიან ისინი.

კლასიკური ევროპული სისტემა

მაკიაველი და მორგენთაუ, ორივე ევროპის ისტორიის ხმაურიანი ეპოქის პროდუქტები იყვნენ, თუმცა სხვადასხვა დროს. მაკიაველიზე ზეგავლენა იქონია იმ მძაფრმა მეტოქეობამ, ინტრიგებმა და კონფლიქტმა, რაც ახასიათებდა XV-XVI საუკუნეების იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობებს. იგი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც თანამედროვე ერი-სახელმწიფო ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. კლასიკური ევროპული სისტემის დაბადება მაკიაველის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მოხდა. მორგენთაუ დაიბადა გერმანიაში I მსოფლიო ომამდე. ამ ომის ერთ-ერთი შედეგი იყო ევროპული სისტემის ნგრევა, რომელსაც მონაწილე სახელმწიფოებს შორის ***წონასწორობის*** შენარჩუნება სურდა. კოლექტიური გაწონასწორობის ეს აქტი ინტერესზე იყო დაფუძნებული, ის კავშირში იყო „ინტერესის“ იმგვარ დეფინიციასთან, რომელიც სისტემის ყველა აქტორის გადარჩენას გულისხმობდა. ევროპის ცნობილი ***ძალთა წონასწორობის სისტემა*** თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ფუნქციონირებდა (იხ. სქემა 17-1). ის 1648 წელს ვესტფალიის ზავის დადებით დაიწყო და დასრულდა I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად. ნაპოლეონის საფრანგეთის მოკლე პერიოდის გარდა, 266 წლის მანძილზე, ვერც ერთმა სახელმწიფომ კონტინენტზე ჰეგემონიის დამყარება ვერ შეძლო, რაც თავისთავად აღსანიშნავი მიღწევა იყო ნებისმიერი ეპოქისათვის.



სქემა 17-1. *ძალთა წონასწორობის რეგულირება*
წონასწორობა (A) ირღვევა ახალი მონაწილის დამატებით (B); წონასწორობა კვლავ აღდგება (C) ამა თუ იმ სახელმწიფოს გადასვლით ერთი ალიანსიდან მეორეში.
წყარო: *Edward V. Gulick, Europe's Classical Ballance of Power (New York: Norton, 1967).*

სისტემური წინაპირობები

საერთაშორისო სისტემა ფუნქციონირებდა ეფექტიანად, რადგან ერთი სახელმწიფო, რომელიც ***წონასწორობის დამცველის*** სახელით იყო ცნობილი, კრიზისისა და კონფლიქტის ვითარებაში საკუთარ სამხედრო თუ პოლიტიკურ შესაძლებლობებს უფრო სუსტი ალიანსის მხარეზე გადაისროდა ხოლმე. დიდი ბრიტანეთი ამგვარად იქცეოდა, რადგანაც ამის საშუალებას გეოგრაფიული მდებარეობა და სამხედრო (განსაკუთრებით საზღვაო) შესაძლებლობები აძლევდა. კონტინენტის სიახლოვეს

მდებარე კუნძულოვან სახელმწიფოს, ბრიტანეთს შეეძლო შედარებით მშვიდად ედევნებინა თვალი მეტოქეობისა და კონფლიქტებისათვის ლა მანშის სრუტის გადაღმა. ისტორიულად, ბრიტანეთის მთავარი საზრუნავი ის საკითხი იყო, ვინ მართავდა ე.წ. დაბლობს (დღევანდელი ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორია), ზუსტად სრუტის გასწვრივ, რომლის სიგანე ყველაზე ვიწრო წერტილში მხოლოდ 22 მილია. ზოგადად, ბრიტანეთი მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, რადგანაც ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი დაპყრობა. და ბოლოს, ბრიტანეთის საზღვაო უპირატესობამ და ეკონომიკურმა ძლიერებამ იგი ძლიერი მოკავშირე და საზარელი მტერი გახადა, თუმცა სახმელეთო ჯარის სიმცირემ მის მიერ ევრაზიის კონტინენტზე დომინირების საფრთხე გამორიცხა.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა ტრადიციულ ევროპულ სისტემას, იყო ძირითადი ზნეობრივი კონსენსუსი — ყველა სახელმწიფო ერთსა და იმავე ცივილიზაციას მიეკუთვნებოდა. ისტორიკოსებმა ედუარდ გიბონმა და არნოლდ ტოინბიმ, ისევე როგორც ფილოსოფოსებმა ემერიხ დე ვატელმა და ჟან ჟაკ რუსომ, აღნიშნეს ის უზარმაზარი მნიშვნელობა, რაც იმ კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებს ჰქონდა, რომელიც გავრცელდა ევროპულ საზოგადოებაში და გადალახა სახელმწიფო საზღვრები ძალთა ბალანსის სისტემის აყვავების პირობებშიც კი.[8]

ამ არაორდინალურ პირობებში, „საერთაშორისო პოლიტიკა გახდა არისტოკრატიული გართობა, სპორტი მმართველებისათვის, როდესაც ყველა თამაშის ერთიან წესებს აღიარებს და ყველა მსგავსი შეზღუდული მიზნებისათვის იბრძვის“.[9] შეზღუდული მიზნები ნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც ომი გაჩაღდებოდა, მეტოქეები არ ცდილობდნენ ერთმანეთის განადგურებას. უმეტეს შემთხვევაში, ევროპის მმართველები, XVIII საუკუნის განმანათლებლობის, რაციონალიზმის იდეებით შეპყრობილნი, მმართველობისას პრაგმატულ მიდგომას ირჩევდნენ და ნებისმიერი სახის ფანატიზმს აბსურდულად და სახიფათოდ მიიჩნევდნენ. არამარტო მიზნები, არამედ სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობებიც შეზღუდული იყო: მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას თუ შეეძლო ქვეყნის სიმდიდრე მაღალი რისკის შემცველ თავგადასავლებში გაეფლანგა, ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიის არარსებობის გამო სამხედრო მოქმედებებიც შეზღუდული იყო.

ამ პანევროპული კულტურის კიდევ ერთი შემთხვევითი ასპექტი იდეოლოგიის არარსებობა გახლდათ. მოკავშირეთა შეცვლა გარემოპირობების შეცვლასთან ერთად ხდებოდა. სტრუქტურულ სიხისტეს შეეძლო შეეფერხებინა გაწონასწორების პროცესი და უფრო შესაძლებელი გაეხადა ტოტალური ომი.

ევროპული კონსენსუსის მარცხი

რამ განაპირობა შედარებით სტაბილური საერთაშორისო წესრიგის რღვევა, რომელიც 250 წელზე მეტი ხნის მანძილზე არსებობდა? პირველი, XIX საუკუნეში ნაპოლეონის მიერ ევროპის დაპყრობის თითქმის წარმატებულმა მცდელობამ შეექმნა პირველი სახალხო არმია თანამედროვე ისტორიაში და იმ პერიოდში ნაციონალიზმის ზრდის შესახებ გვაუწყა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ჰეგემონიის მცდელობა საბოლოოდ უშედეგოდ დამთავრდა, ის იყო მრავალი მოვლენის მაუწყებელი და მან მიზნის ერთი გარშემო გაერთიანებული ერის ძლიერების დემონსტრირება მოახდინა. თვითონ მიზნის არსი დაფუძნებული იყო ადამიანთა თანასწორობის ფეთქებად

იდეაზე, რომელიც გვიან XVIII საუკუნის საფრანგეთისა და ამერიკის რევოლუციების შედეგად წარმოიშვა. ნაპოლეონის ომებსა და I მსოფლიო ომს შორის ისეთმა იდეებმა, როგორც იყო ერთა თვითგამორკვევა და უნივერსალური უფლებები, პოლიტიკის შესახებ ფუნდამენტური შეხედულებები შეცვალა და ამით საფუძველი გამოაცალა ძველ არისტოკრატიულ წესრიგს.

XIX საუკუნეში ინდუსტრიულმა რევოლუციამ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სფეროებში სამხედრო მოქმედებების არსი შეცვალა. მაგალითად, პრუსიამ გამოიყენა რკინიგზა სამხედრო ძალების გადასაყვანად ავსტრიისა (1866) და საფრანგეთის (1870) წინააღმდეგ. ომში ახალი საშუალებებით, მაგალითად, სამხედრო დანიშნულების შიდა წვის ძრავების, მოძრავი საველე არტილერიისა და უკვე I მსოფლიო ომისათვის, საბრძოლო თვითმფრინავების გამოყენებაც აღარ იყო უცხო.

ბოლო ფაქტორი, რამაც საფუძველი გამოაცალა ევროპულ სისტემას, სამხედრო ალიანსების სიმტკიცე იყო. XIX საუკუნის დასასრულისათვის, კოალიციები ფიქსირებული და კარგად გამოკვეთილი ხდებოდა მაშინ, როცა სახელმწიფოები თანდათანობით ახდენდნენ სამხედრო ძალის აკუმულირებას. მშვიდობიანობის ჟამს უპრეცედენტო დანახარჯებმა სამხედრო კვლევებისა და განვითარებისათვის, შედარებით დიდი, მუდმივი არმიების შექმნამ და სამხედრო შეჯიბრმა კიდევ უფრო გაამწვავა ევროპის დაყოფა ორ დაპირისპირებულ ალიანსად. ამგვარმა ვითარებამ განაპირობა I მსოფლიო ომის დაწყება, რამაც ძალთა წონასწორობის კლასიკური სისტემის დასასრულის დასაწყისი გვამცნო.

თანამედროვე გლობალური სისტემა

II მსოფლიო ომმა განაპირობა ახალი კონფიგურაციის წარმოქმნა, რომელიც დღესაც განაგრძობს მსოფლიო პოლიტიკის განსაზღვრას. ევროპული სისტემა ორი სუპერსახელმწიფოს მიერ დომინირებულმა გლობალურმა სისტემამ შეცვალა. ამ ახალ ***ბიპოლარულ სისტემაში*** ორივე მხარემ უზარმაზარი სახსრები ტოტალური ომის საწარმოებლად საჭირო რესურსების შექმნისაკენ მიმართა და თითოეული მხარე ერთმანეთს იდეოლოგიურ მტრად აღიქვამდა. ცივი ომი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის 1945 წლიდან დაიწყო, თითქმის ნახევარ საუკუნეს გაგრძელდა და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია განვიხილოთ მსოფლიო პოლიტიკის სტრუქტურული მახასიათებლები ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მეტოქეობის მაგალითზე, მანამ, სანამ გადავალთ თანამედროვე გლობალური სისტემის განხილვაზე.

ევროცენტრიზმის დასასრული

ერთ-ერთი ყველაზე აშკარა ცვლილება საერთაშორისო პოლიტიკაში II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპის სახელმწიფოების გავლენის შემცირება იყო, რომლებიც XVII საუკუნიდან საერთაშორისო ძალთა წონასწორობის ბრუნვის ცენტრს წარმოადგენდნენ. რეალურად, ევროპას ჩრდილი პირველად ორი არაევროპული ძალის — ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის გაძლიერებამ მიაყენა, რისი წინაპირობებიც უკვე გვიან XIX საუკუნეში იკვეთებოდა. II მსოფლიო ომის შემ-

დეგ ნათელი გახდა, რომ ისეთი ტრადიციულად ძლიერი სახელმწიფოები, როგორიც იყო დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია, მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები გახდნენ. ბრიტანეთი იძულებული გახდა, უარი ეთქვა მსოფლიო მასშტაბის იმპერიაზე, საფრანგეთი საკუთარი ეკონომიკის, საზოგადოებისა და ხელისუფლების რეკონსტრუქციით იყო დაკავებული, გერმანია დამარცხებული და დანაწევრებული იყო ზონებად, რის შედეგადაც ორი ახალი სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (დასავლეთი გერმანია) და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკა (აღმოსავლეთი გერმანია) წარმოიშვა. საბჭოთა კავშირი, რომელმაც ომის შედეგად უზარმაზარი დანაკარგები განიცადა, არნახულად გაძლიერდა.

II მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის კოლონიები მალევე დაიშალა. ამ ყოფილ კოლონიურ ტერიტორიებზე ახალი სახელმწიფოები აღმოცენდნენ, რომლებმაც ორ ინდუსტრიულ ბლოკს მიმართეს სამხედრო და ეკონომიკური დახმარებისათვის.ასე რომ, მესამე სამყარო ბიპოლარული ძალების მეტოქეობის არენად გადაიქცა. ამ ბრძოლის ბრენდი ცივი ომი იყო.

მიპღოარღმის დასაწყისი

მიუხედავად იმისა, რომ ევროპულიდან გლობალურ საერთაშორისო სისტემაზე გადასვლა II მსოფლიო ომამდე დაიწყო, ომმა ეს პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა — ნაწილობრივ მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორების, ევროპის სახელმწიფოების მთავარი სცენიდან ჩამოშორებით. ყოფილი დიდი სახელმწიფოების ადგილზე, რომელთა რაოდენობა ომის დაწყებისას შვიდს შეადგენდა, ორი სუპერსახელმწიფო გამოჩნდა — ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპის დასავლეთ ნაწილზე პროტექტორატის მსგავსი რამ შექმნა, ხოლო საბჭოთა კავშირმა „სატელიტური“ იმპერია — ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც პირველმა შექმნა და გამოიყენა ბირთვული იარაღი, II მსოფლიო ომის შემდეგ მცირე პერიოდის განმავლობაში ბირთვულ მონოპოლიას ფლობდა. საბჭოთა კავშირმა, დასავლელი ექსპერტების თუ პოლიტიკოსების გასაოცრად, წარმატებით გამოსცადა ბირთვული იარაღი 1949 წელს და ამით მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მასაც ჰქონდა უფლება სუპერსახელმწიფო ყოფილიყო.

1950-იან წლებში სამხედრო ძლიერებისა და ეკონომიკური რესურსების თვალსაზრისით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ყველა დანარჩენი სახელმწიფო დაჩრდილეს. თუმცა, მათ შორის არსებულმა იდეოლოგიურმა უფსკრულმა მათ შორის ნებისმიერი სახის თანამშრომლობა შეაფერხა.

იდეღლოგიის პრიმაგი

საერთაშორისო სცენაზე ორი სუპერსახელმწიფოს დომინირება მათ ბუნებრივ მეტოქეებად აყალიბებდა; რადგანაც ერთი იყო კაპიტალისტური და დემოკრატიული, ხოლო მეორე კომუნისტური და დიქტატორული, მეტოქეობამ განსაკუთრებით საშიში და მძაფრი ხასიათი მიიღო. II მსოფლიო ომის დასასრულისათვის ალიან-

სის წევრთა უნდობლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა დიქტატორის იოსებ სტალინის მიმართ, რაც განპირობებული იყო საბჭოთა არმიის მიერ გერმანელებისაგან გათავისუფლებული აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობითა და სტალინის მცდელობით, აეძულებინა დასავლეთის სახელმწიფოები, უარი ეთქვათ დასავლეთ ბერლინზე. ამერიკის შერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისათის არანაკლებ შემაშფოთებელი საბჭოთა კავშირის მიერ 1949 წელს საკუთარი ატომური იარაღის გამოცდა გახდა.

ამასთან, საბჭოთა კავშირმა ამერიკის საგარეო პოლიტიკური ქმედებები, მათ შორის დიდი რაოდენობის სესხის მიცემაზე უარის თქმა და ***მარშალის გეგმის*** წამოწყება, აღიქვა, როგორც დასტური, რომ „ამერიკული იმპერიალიზმი“ „მსოფლიო სოციალისტური სისტემის“ დანგრევას ისახავდა მიზნად. სტალინის მთავარმა იდეოლოგმა ანდრეი ჟდანოვმა 1947 წელს კომუნისტური პარტიის ყრილობაზე განაცხადა, რომ მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ამ ორი ბანაკის დოქტრინას ორეული ჰყავდა დასავლეთში „მსოფლიო კომუნისტური შეთქმულების“ სახით, რომელიც ემყარებოდა მოსაზრებას, რომ საიდუმლო კომუნისტური პროექტის მიზანს ყველა დემოკრატიული საზოგადოების დამხობა წარმოადგენდა. რეტროსპექტიულად, ამგვარი რწმენა შესაძლოა გადაჭარბებულიც კი იყოს, თუმცა ორივე მხარეს არსებულმა ექსტრემალურმა რიტორიკამ, რომელიც სავსე იყო იდეოლოგიური დაპირისპირებებით, ამგვარ ინტერპრეტაციას დამაჯერებლობა შემატა.

ამერიკის შეკავების პოლიტიკა დასავლეთ ევროპაში გავლენიანი სამხედრო ალიანსის — ***ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო)*** შექმნით გააქტიურდა. საბჭოთა კავშირმა საკუთარი სამხედრო ალიანსის — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნით უპასუხა (ჩვეულებრივ ***ვარშავის ხელშეკრულების*** სახელწოდებითაა ცნობილი), რომელიც მოსკოვსა და აღმოსავლეთ ევროპას აკავშირებდა ერთმანეთთან. ორ ბლოკს შორის არსებული კონფრონტაციული ატმოსფერო კომპრომისისა და შეთანხმებისათვის მცირე შესაძლებლობას ტოვებდა. ცივი ომი წამოიწყო ორმა განსაკუთრებით ძლიერმა სახლემწიფომ, რომელთა მიზნები, ინტერესები და ღირებულებები ურთიერთშეუთავსებელი ჩანდა. უკეთეს შემთხვევაში, თითოეული ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა მეორის ამბიციებს, უარეს შემთხვევაში კი, ორივე ერთმანეთის განადგურებას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით, ომის შემდგომი სისტემა მკვეთრად განსხვავდებოდა იმ ტრადიციული ევროპული სისტემისაგან, რომელიც მან ჩაანაცვლა: ომისა და დიპლომატიის მიზანი უკვე მხოლოდ ტერიტორიებისა და სამფლობელოების განსაზღვრა აღარ იყო.

ბირთვული ომის საფრთხე

როდესაც ევროპული ძალთა წონასწორობა დაირღვა, სახელმწიფოებმა ომის წარმოების საშუალებების შეზღუდვის მიზნით კონკრეტული წესები დაადგინეს. XX საუკუნის ორმა ტქნოლოგიურმა გარღვევამ დიდად გაზარდა სამხედრო ძალის დესტრუქციული პოტენციალი. პირველად შეიქმნა საჰაერო თავდასხმის, ხოლო შემდეგ — გადაზიდვის სისტემები, რომელთა შესაძლებლობები ომის წარმოების შესახებ ერთი საუკუნით ადრე არსებულ წარმოდგენებს ძირეულად ცვლიდა. მეორე, ბირთვული ფიზიკის მიღწევებმა განაპირობა ატომური და წყალბადის ბომბების შე-

ქმნა, რომელთაც მთელი ქალაქების განადგურება შეეძლო. ამ სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის არსენალი სახმელეთო და საზღვაო რაკეტებით გაივსო. ამ ორ სახელმწიფოს ჰქონდა უზარმაზარი შესაძლებლობები: ორივე მხარეს გააჩნდა საკმარისი რაოდენობის ბირთვული იარაღი, რომ გაენადგურებინათ ერთმანეთი. ასეთ ვითარებაში ფართომასშტაბიანი ომი თვითმკვლელობის ტოლფასი გახდა. შექმნილი ვითარების აღქმამ, როგორც შემდეგ ვნახავთ, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ითამაშა უსაფრთხოების ახალი სქემის წარმოქმნაში. იგი მიზნად ისახავდა კაცობრიობის გადარჩენას მსოფლიოში, რომელიც განადგურების რეალური საფრთხის წინაშე იდგა.

უტოიტთ შეკავემა

II მსოფლიო ომის შემდგომი ძალთა წონასწორობის სისტემა შეკავების პრინციპს ეფუძნებოდა. ბირთვული იარაღის უპრეცედენტო გამანადგურებელმა ეფექტმა განაპირობა შეკავების პრინციპის არსებობა, რაც კონფლიქტის პრევენციას ნიშნავდა, რამდენადაც ისეთი სახელმწიფოების ეროვნული თავდაცვა, როგორც აშშ და საბჭითა კავშირი იყო, მოითხოვდა აგრესორისათვის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ეპასუხათ. შეკავება ამოქმედდა არა როგორც აბსტრაქტული იდეა, არამედ როგორც ისტორიული აუცილებლობა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბირთვული მონოპოლია II მსოფლიო ომის შემდეგ მალევე დაკარგა, თუმცა 1970-იანი წლების შუა პერიოდამდე მაინც უპირატეს პოზიციაში იმყოფებოდა. 1957 წელს საბჭოთა კავშირმა პირველი სატელიტი (თანამგზავრი) გაუშვა ორბიტაზე. საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა კოსმოსურმა გასროლამ დაანახა მთელს მსოფლიოს, რომ იგი უკვე შორი რადიუსის რაკეტების შექმნის ტექნოლოგიასაც ფლობდა, ანუ საბჭოთა კავშირს შეეძლო გაესროლა იარაღი საკუთარი ტერიტორიიდან, რომელიც პირდაპირ ამერიკული სამიზნეებისაკენ იქნებოდა მიმართული.

1960-იანი წლების ბოლოს, ამერიკისათვის უძლეველობის ერა დასრულდა: საბჭოთა კავშირმა შექმნა სახმელეთო სარაკეტო სისტემა, რომლის საწინააღმდეგოდ ადეკვატური თავდაცვის სისტემა არ არსებობდა. ახლა უკვე ორივე მხარე აღმოჩნდა ბირთვული უფსკრულის წინაშე. ***შეკავება*** გახდა ახალი ლოზუნგი სამხედრო სტრატეგიის შესახებ დებატებში და II მსოფლიო ომის შემდგომი ძალთა წონასწორობის შემადგენელი ნაწილი. შეკავების თეორიის თანახმად, სახელმწიფოები ქმნიან ბირთვულ იარაღს არა მისი გამოყენების, არამედ სხვა სახელმწიფოების მიერ მათი გამოყენების შეკავების მიზნით. აქედან გამომდინარე, ამ სახის იარაღის შესაქმნელად საჭირო ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სკვერების მშენებლობასთან დაკავშირებული პროექტების ფინანსებისაგან. ამ ყველაფრის ფლობა მოხმარების გარეშე სერიოზული შიდა პოლიტიკური მარცხი იქნებოდა. ამის საპირისპიროდ, ბირთვული იარაღის ოდესმე გამოყენება გამოიწვევდა ბევრად უფრო სერიოზულ საგარეო პოლიტიკურ მარცხს, რომელსაც შეეძლო საფრთხეში ჩაეგდო თვით კაცობრიობის არსებობა.

ასე რომ, შეკავება ფუნდამენტურად ფსიქოლოგიური ფენომენია. როგორც ასეთი, ის საკუთარ თავში მაღალი რისკის მქონე პოკერის თამაშის ელემენტებს შეიცავს. პოკერის მსგავსად, შეკავება მოიცავს გარკვეულ რეალობაზე დაფუძნებულ ინტერესთა შეჯიბრს, რადგანაც გადარჩენას საფრთხე ემუქრება, მოთამაშეებმა

მინიმუმამდე უნდა შეამცირონ რისკი. ბლეფი ამ პროცესის ნაწილია. ამრიგად, თუ *A* ქვეყანა წარმატებით იყენებს სამხედრო ძალას, რათა *B* ქვეყანას სასურველ საგარეო პოლიტიკურ მიზანზე უარი ათქმევინოს, *B* ქვეყნის პრესტიჟი ილახება, ხოლო *A* ქვეყანა ფსიქოლოგიურ უპირატესობას ზეიმობს. ბირთვული შეკავება ეფუძნება არა მარტო რეალურ ძლიერებას, არამედ უდიდესი საშიშროების პირობებში ორივე მხარის მოტივებსა და აღქმას.

რამდენიმე საკვანძო მოსაზრება უდევს საფუძვლად ბირთვული შეკავების თეორიას. პირველი, სახელმწიფოები პოტენციურ აგრესორებთან ურთიერთობაში აცხადებენ ნათლად გამოკვეთილ მზაობას თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენონ ბირთვული იარაღი. მეორე, მიუხედავად ორმხრივი უნდობლობისა, ორივე მხარეზე გადაწყვეტილების მიმღებნი რაციონალურნი არიან, შესაბამისად არცერთი მხარე არ წამოიწყებს ბირთვულ მოქმედებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი საკუთარ თავს საპირისპირო დარტყმისაგან იცავს. მესამე, თითოეულ მხარეს აქვს მეორე დარტყმის (უკუგების) განხორციელების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ბირთვული შესაძლებლობები გაუძლებს პირველი დარტყმის უპირატესობას და შეძლებს საპასუხო დარტყმის განხორციელებას, რომელიც თავდამსხმელს შესაბამის ზიანს მიაყენებს.

იმისათვის რომ უზრუნველეყო მისი ბირთვული ძალების სიცოცხლისუნარიანობა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა II მსოფლიო ომის შემდეგ განცალკევებული გადაზიდვის სისტემები შექმნა. ეს ე.წ. ***სამეული (ტრიადა)*** შედგებოდა სახმელეთო კონტინენტთა შორისი ბალისტიკური რაკეტების *(ICBM),* წყალქვეშა ნავიდან გასაშვები ბალისტიკური რაკეტებისა (*SLBM*) და სტრატეგიული ავიაციისგან (*SAC*). საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა მსგავსი სამეულისაგან შემდგარი შეკავების სისტემა. იგი ძირითადად ეფუძნებოდა სახმელეთო სარაკეტო სისტემებს, რომელიც სსრკ-ს უფრო დიდი რაოდენობით ჰქონდა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამასთან, ამერიკის საზღვაო შეკავების სისტემა ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირისა.

შეკავებასა და სამხედრო შეირაღებაში უპირატესობა II მსოფლიო ომის შემდეგ ხან ერთ მხარეს ჰქონდა ხან მეორეს. რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა შეიარაღების მიმართულებასა და ტემპებს. თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდა სპეციფიკური მიზნები და პრიორიტეტები, რაც გარკვეულ შეზღუდვებს აწესებდა სამხედრო ხარჯებზე. მეორე, თითოეული სუპერსახელმწიფო ეჭვის თვალით უყურებდა ერთმანეთის ქმედებებს. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის მიერ 1970-იან წლებში გამალებული შეიარაღების წამოწყებამ აიძულა ამერიკა, თვითონაც იგივე გაეკეთებინა. ამ მცდელობების ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ სტაბილური წონასწორობის მიღწევა ვერ ხერხდებოდა იმ პირობებში, როდესაც ერთ სახელმწიფოს, ექსპანსიური საგარეო პოლიტიკით, ჰქონდა აშკარა უპირატესობა ბირთვული იარაღის რაოდენობასა და ძლიერებაში. დაბოლოს, თავისი უარყოფითი გავლენა ტექნოლოგიამაც იქონია. ერთი მხრივ, რადგანაც ტექნოლოგიების ცოდნა არ შეიძლება არ გავრცელდეს, ორივე სახელმწიფო ზედმეტად ფრთხილობდა განიარაღების საკითხთან მიმართებაში, მეორე მხრივ, შესაძლებლობა იმისა, რომ ერთ სახელმწიფოს შეიძლება მიეღწია ტექნოლოგიური გარღვევისათვის, საკმაოდ მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო მაღალი დონის სამხედრო კვლევებისა და განვითარების გაგრძელებისათვის.

ბირთვულმა შეკავებამ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იმუშავა, თუმცა იგი სავსე იყო დაძაბულობითა და საფრთხეებით. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სუ-

პერსახელმწიფო მუდმივად არწმუნებდა დანარჩენ მსოფლიოს, რომ მათ ბირთვული იარაღი მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისათვის სჭირდებოდათ, თვითონ ბირთვული იარაღის არსენალების არსებობის ფაქტი ხშირად ამწვავებდა შიშსა და უნდობლობას.

ამერიკის საგარეო პოლიტიკა: გუშინ და დღეს

მიზნებსა და საშუალებებს შორის განსხვავება საკვანძოა საერთაშორისო პოლიტიკისა და ასევე საგარეო პოლიტიკის ფორმულირებისათვის. საგარეო პოლიტიკურ მიზანში ჩვენ ვგულისხმობთ იმ ამოცანების ერთობლიობას, რაც განაპირობებს სახელმწიფოთა ქმედებებს, საგარეო პოლიტიკის საშუალებებში კი იმ სტრატეგიებს, რომელსაც სახელმწიფოები მიმართავენ საკუთარი ამოცანების რეალიზების მიზნით. მიზნები (ამოცანები) თავისი არსით არის ფართო, მტკიცედ დაფუძნებული და რთულად (ნელა) ცვალებადი. სტრატეგიები კი შეიძლება იყოს პრაგმატული და ტაქტიკური, მთლიანად ნაკარნახევი იმ მიზნებით, რომელიც სახელმწიფოებს აქვთ. სტრატეგია შეიძლება იცვლებოდეს დროთა განმავლობაში და იყოს გლობალური, ან რეგიონული. ნებისმიერი სახელმწიფოს მსგავსად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორ ძირითად მიმართულებას შორის არჩევანი უნდა გააკეთოს. მან, ალბათ უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერმა სხვა სახელმწიფომ მსოფლიოში, საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და ეროვნული ინტერესების შეცვალა მოახდინა XX საუკუნის შუა პერიოდში.

რა არის ეროვნული ინტერესი?

საერთაშორისო პოლიტიკაში ორი მნიშვნელოვანი და ხშირად გამეორებადი სტრატეგია არის ცნობილი — თავდაცვითი ანუ ***სტატუს კვოს სტრატეგია*** და თავდასხმითი — ***ექსპანსიონისტური სტრატეგია (ექსპანსიონიზმი)***. სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილი ამბობს, რომ ისინი მიმართავენ პირველს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა რეალურად მეორე სტრატეგიას ატარებენ. ეს თვალთმაქცობა გარკვეულწილად წინასწარ განზრახულია და საკუთარი თავის მოტყუებაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ ადამიანის ბუნებაშია, მოვახდინოთ საკუთარი ქმედებების რაციონალურად წარმოსახვა, როდესაც მათ გამართლებას ვერ ვახერხებთ.

დამკვირვებლისათვის შესაძლოა გამოჩნდეს, რომ ხანდახან თავდაცვით, სტატუს-კვოს მომხრე სახელმწიფოსა და აგრესიულ სახელმწიფოს ქმედებებს შორის არსებითი განსხვავება არ არის, თუმცა მოტივაცია და მიზნები მათ საკმაოდ განსხვავებული აქვთ. სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ გაფართოებას და არსებული ძალაუფლებრივი ურთიერთობების შეცვლას, ამას ხშირად სწორედ იმ სახელმწიფოების ხარჯზე აკეთებენ, ვისაც არსებული ურთიერთობების შენარჩუნება სურს. როგორც წესი, ექსპანსიონისტი სახელმწიფოები უკმაყოფილონი არიან არსებული სტატუს-კვოთი. ამ მიზეზით, ისინი ცდილობენ მოახდინონ ომის პროვოცირება, წამოიწყონ გამალებული შეიარაღება, ხელი შეუწყონ რევოლუციის წამოწყებას, და ზოგადად, ესწრაფვიან საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაციას. ასეთი ქმედებები წარმოშობს საკმაოდ დიდ ზნეობრივ წნეხს ამ სახელმწიფოებზე, თუმცა თითოეული შემთხვევის მაინც ინდივიდუალურად განხილვა უნდა მოხდეს.

განსხვავება აგრესორსა და თავდაცვით სახელმწიფოს შორის საკმაოდ ნათელია თეორიულად, თუმცა პრაქტიკულად საკმაოდ ბუნდოვანია. ასე რომ, თუ მოწინააღმდეგე სახელმწიფო არ ერთვება შეიარაღების შეჯიბრში, სტატუს კვო სახელმწიფო მზადაა დარჩეს არსებული სამხედრო მომზადების დონეზე, მაგრამ თუ უკმაყოფილო მეტოქე სახელმწიფო მის ხელთ არსებულ სამხედრო არსენალს კიდევ ზრდის, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ თუნდაც ყველაზე კმაყოფილი სტატუს კვო სახელმწიფოც კი იძულებული გახდება იგივე გააკეთოს, ოღონდ, რა თქმა უნდა, განსხვავებული მოტივაციით. პირველ შემთხვევაში მოტივაცია ექსპანსიაა, მეორე შემთხვევაში — საკუთარი თავის დაცვა.

ბედისწერა

ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის აცხადებდა პრეტენზიას, რომ იგი ახორციელებდა სტატუს-კვოს პოლიტიკას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის ფართოვდებოდა. ისტორია იმისა, როგორ გაიზარდა ამერიკის შეერთებული შტატები 13 შტატიდან და გადაიჭიმა მთელს კონტინენტზე ოკეანიდან ოკეანამდე, ნებისმიერმა სკოლის მოსწავლემ იცის. თუმცა, მასწავლებლები იშვიათად წარმოაჩენენ ამას ამერიკული იმპერიალიზმის ან ექსპანსიონიზმის ისტორიად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსწავლეები და მასწავლებლები აბორიგენი ამერიკელები არიან. ესპანელებსა და მექსიკელებს ამ საკითხის გამო დავის სრული საფუძველი აქვთ, ასევე ხალხს, ვინც ცხოვრობს ტეხასში, კალიფორნიასა ან ფლორიდაში (სხვა შტატებთან ერთად). თვით რუსებიც კი შეიძლება შეეწინააღმდეგონ (ისინი დასახლდნენ ალასკაზე მანამ, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები შეიქმნებოდა) ამგვარ ხედვას. ექსპანსიონისტები აშშ-ის კონგრესში ამას „ბედისწერას“ უწოდებდნენ, მაგრამ, როგორც შექსპირმა თქვა, ვარდი, თუნდაც სხვა სახელით, მაინც ვარდია.

ზოგიერთი სახელმწიფო უყურადღებოდ ტოვებს ამ ტიპის საერთაშორისო სისტემაში წარმოქმნილ საფრთხეებს და ცდილობს თავი დააღწიოს საერთაშორისო ძალის პოლიტიკის თამაშებს. ეს სახელმწიფოები მიმართავენ ***ნეიტრალიტეტის*** ან ***მიუმხრობლობის*** პოლიტიკას. ნეიტრალურობა გულისხმობს ნებისმიერ სიტუაციაში განზე ყოფნას, მაშინ როცა მიუმხრობლობა ზოგადად არავის მხარეზე ყოფნა, თუმცა არა ყველა შემთხვევაში ნეიტრალურად დარჩენაა.

სტატუს-კვო სტრატეგიები არსით კონსერვატიულია. სახელმწიფოები, რომლებიც მიმართავენ ამგვარ სტრატეგიებს, მიზნად არსებული წონასწორობის შენარჩუნებას ისახავენ, ისინი ეთაყვანებიან სტაბილურობას, სახელმწიფოებს შორის მშვიდობიან ურთიერთობას და ყველაფერთან ერთად, ლეგიტიმურობას. სტატუს-კვო სახელმწიფოები ზოგადად ცდილობენ მიმართონ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა საერთაშორისო სამართალი, მრავალმხრივი შეთანხმებები და გლობალური მნიშვნელობის ორგანოები (მაგალითად, ერთა ლიგა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), რათა მსოფლიოში შენარჩუნებულ იქნეს ძალაუფლების დანაწილების არსებული ფორმა და პრესტიჟი. ჩვეულებრივ, ისინი უარს ამბობენ რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების აღიარებაზე, რადგან მიაჩნიათ, რომ

მათ ძალაუფლება ხელში არაკანონიერი გზით ჩაიგდეს, ან საფრთხეს უქმნიან რეგიონული ან გლობალური წონასწორობის სტაბილურობას, ანდა იმ მოტივით, რომ ძალადობისა და უკანონობის საერთაშორისო აღიარება საფუძველს აცლის სამართლისა და წესრიგის პრინციპებს მთელს მსოფლიოში. ამერიკის საგარეო პოლიტიკა II მსოფლიო ომის შემდეგ ამ პოლიტიკის ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა — ამერიკის შეერთებული შტატები ჩინეთის ხელისუფლების აღიარებაზე თითქმის მთელი ორი ათწლეულის განმავლობაში ამბობდა უარს, კომუნისტების მიერ 1949 წელს ძალაუფლების ხელში ჩაგდების გამო.

და მაინც, რამდენიმე სახელმწიფო თანმიმდევრულად მისდევს სტატუს-კვოს სტრატეგიას თითქმის ყველა ფრონტზე. ხანდახან პოლიტიკური მდგომარეობა რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოში მერყეობს ექსპანსიონიზმსა და სტატუს-კვო სტრატეგიებს შორის. ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ისტორია ამ ტენდენციის ილუსტრირების ნათელი მაგალითია. მართალია, სხვადასხვა დროს იგი ატარებდა კონტინენტური და კონტინენტს მიღმა ექსპანსიის პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატები მისი არსებობის უმეტეს ნაწილში რეგიონული და საერთაშორისო სტატუს-კვოს შენარჩუნების პრინციპს ეყრდნობოდა. ამგვარი პოლიტიკის ორი მაგალითია მონროს დოქტრინა და II მსოფლიო ომის შემდგომი მცდელობა, შეეკავებინა საბჭოთა აგრესია. ორივე მათგანი წიგნის მომდევნო ნაწილშია განხილული.

ეროვნული ინტერესის დაცვა

სახელმწიფოს გრძელვადიან მიზნებსა და მოკლევადიან პოლიტიკურ ქმედებებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ზღვარი მიზნებსა და ყოველდღიურ პოლიტიკას შორის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს წარმოშობს. პირველი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სტრატეგიას ირჩევს სახელმწიფო — ექსპანსიონისტურს თუ სტატუს-კვოს, ის ერთდროულად შესაძლოა იყენებდეს სხვადასხვა მეთოდს განსხვავებულ პრობლემებთან მიმართებაში. მაგალითად, სახელმწიფო შეიძლება ცდილობდეს სტატუს-კვოს შენარჩუნებას საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით ერთ სახელმწიფოსთან და ამავდროულად მიმართავდეს ექსპანსიურ პოლიტიკას მეორესთან მიმართებაში: მაგალითად, 1939 წლის აგვისტოში ფაშისტურმა გერმანიამ — ექსპანსიონისტურმა სახელმწიფომ, ხელი მოაწერა თავდაუსხმელობის პაქტს საბჭოთა კავშირთან, რაც მან აღმოსავლეთ ევროპის დასაპყრობად გამოიყენა.

სახელმწიფომ შესაძლოა აირჩიოს ექსპანსიონიზმის სტრატეგია, როცა მას სჯერა, რომ პირველი დარტყმის განხორციელება და პოტენციური მტრის ტერიტორიის დაკავება აუცილებელია მისი თვითგადარჩენისათვის. ეს მაგალითები სხვა საკითხებზეც მიგვითითებს, კერძოდ იმაზე, რომ ძალის გამოყენების სტრატეგიები არის მოქნილი, ისინი იცვლება პირობების შეცვლის თანმიმდევრულად და შეიძლება გარდაიქმნას, როცა სახელმწიფოს მმართველი ელიტა ამას საჭიროდ მიიჩნევს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არაერთხელ განახორციელა ლათინური ამერიკის სახელმწიფოების დაპყრობა ან სამხედრო ინტერვენცია, ხოლო მიზეზად ყოველთვის ან სტატუს-კვოს შენარჩუნება ან ჩაგრული ხალხის ტირანიისაგან გათავისუფლება სახელდებოდა.

მონროს დოქტრინა: სტატუს კვოს დაცვა. 1823 წლის 2 დეკემბერს პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ კონგრესისადმი ყოველწლიურ მიმართვაში გამოაცხადა ***მონროს დოქტრინა***. ამ მიმართვაში მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პატივს სცემდა არსებულ პოლიტიკურ კონფიგურაციას მსოფლიოს დასავლეთ ნახევარსფეროში. „ევროპული სახელმწიფოების უკვე არსებული კოლონიების საქმეებში ჩვენ არ ჩავრეულვართ და არც ჩავერევით“ განაცხადა მონრომ. მაგრამ

> იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და ინარჩუნებენ მას . . . ვერ შევეგუებით ნებისმიერი ევროპული სახელმწიფოს მიერ შევიწროების ან კონტროლის ნებისმიერ ფორმას და ამას აღვიქვამთ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ არამეგობრული დამოკიდებულების გამომჟღავნებას.[10]

ამ დეკლარაციით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფაქტობრივად განაცხადა, რომ ამ დროიდან ვაშინგტონი ნებისმიერი საგარეო აქტორის მხრიდან წონასწორობის დარღვევის ნებისმიერ მცდელობას შეეწინააღმდეგებოდა. ამით, მონროს დოქტრინამ დაუმტკიცა ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება, შეენარჩუნებინა უპირატესი პოზიცია მსოფლიოს თითქმის ნახევარში — იმ ნახევარსფეროში, რომელსაც იგი საკუთარი სახელმწიფო ინტერესების მნიშვნელოვან ნაწილად თვლიდა.

ისტორია, კონფლიქტი და საგარეო პოლიტიკა: ახლო აღმოსავლეთის მაგალითი

საერთაშორისო ურთიერთობებში საგარეო პოლიტიკური მიზნების კომპლექსურობისა და ორაზროვნების ილუსტრირებისათვის, ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის ხანგრძლივი კონფლიქტის გახსენებაც კი საკმარისია.

II მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელმა ნაციონალისტებმა, იგივე სიონისტებმა, ბრიტანელებისა და არაბების წინააღმდეგ პალესტინაში საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით ომი წამოიწყეს. თავიანთი ქმედებების გასამართლებლად მათ მოჰქონდათ ისტორიული, ბიბლიური და სამართლებრივი არგუმენტები და ამტკიცებდნენ, რომ ჰოლოკოსტის (მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების მიერ ებრაელების წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი გენოციდი — მთარგმ. შენ.) შემდეგ ებრაელებს უსაფრთხოდ მხოლოდ საკუთარ სამშობლოში შეიძლებოდა ეცხოვრათ. ომს, რომელიც მათ წამოიწყეს, ბევრი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა. პალესტინელმა არაბმა დევნილებმა ებრაელები იმპერიალისტებად მიიჩნიეს. არაბმა ნაციონალისტებმა ეს საბაბად გამოიყენეს და სიონიზმისა და ახლად შექმნილი ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ საღვთო ომი გამოაცხადეს. რეგიონში არსებულმა არაბულმა ქვეყნებმა უარყვეს ისრაელის სუვერენიტეტი, რაც მაინცდამაინც მოულოდნელი არ ყოფილა.

შემდეგ რადიკალმა პალესტინურმა დაჯგუფებებმა ტერორისტული აქტების განხორციელება დაიწყეს ისრაელის მოქალაქეებისა და რამდენიმე არაბული ქვეყნის, განსაკუთრებით ეგვიპტის წინააღმდეგ. 1956 წელს ეგვიპტემ სუეცის არხი ჩამოართვა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს

ისრაელს ეგვიპტის წინააღმდეგ ომში, სწორედ იმ საკითხზე, თუ ვინ გააკონტროლებდა არხს. ამ ეპიზოდმა კიდევ უფრო გააძლიერა არაბთა რწმენა, რომ სიონიზმი და დასავლური იმპერიალიზმი არაბულ სამყაროზე გაბატონებას ისახავდა მიზნად.

მტრობის გაღვივების ათწლეულის შემდეგ, მეორე ომი დაიწყო. 1967 წელს ისრაელმა, რომელიც პასუხობდა ეგვიპტიდან წამოსულ საფრთხესა და ასევე ეყრდნობოდა დაზვერვის სამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომ ეგვიპტე ემზადებოდა თავდასხმისათვის, წინმსწრები სამხედრო მოქმედებები განახორციელა ეგვიპტის წინააღმდეგ, რაც ექვსდღიანი ომის სახელით გახდა ცნობილი. დაახლოებით ერთკვირიანი სამხედრო შეტაკებების შედეგად ისრაელმა დაიკავა არაბთა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, სინაის ნახევარკუნძული და ღაზას ოლქი ეგვიპტეში, გოლანის სიმაღლეები სირიასა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო იორდანიაში. იერუსალიმი, მანამ დანაწევრებული ქალაქი, მთლიანად ისრაელის კონტროლოს ქვეშ აღმოჩნდა. ამ დამარცხებით დამცირებულმა ეგვიპტემ და სირიამ მომდევნო ბრძოლებისათვის დაიწყეს მზადება. 1973 წელს ისრაელის ტერიტორიებზე თავდასხმით მათ 1967 წლის შემდეგ შექმნილი სტატუს კვოს გადასინჯვა სცადეს. ისრაელი ამ შემთხვევაშიც თანაბარ ძალებს ფლობდა, თუმცა, ამჯერად, წარმატებას ვერ მიაღწია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მედიატორის ფუნქცია იკისრა. ეგვიპტელებმა 1979 წელს ისრაელთან საზავო ხელშეკრულების (კემპ-დევიდის შეთანხმება) დადებით დაიბრუნეს სინაის ნახევარკუნძული, მაგრამ სხვა არაბულმა სახელმწიფოებმა ეგვიპტე სიონიზმსა და დასავლურ იმპერიალიზმთან გარიგებაში დაადანაშაულეს.

კონფლიქტი პალესტინელებსა და ებრაელებს შორის 1980-იან წლებში ისევ გამწვავდა, როდესაც ისრაელმა დაიპყრო ლიბანის ნაწილი 1982 წელს, იმ მიზნით, რომ საპასუხო ქმედებები განეხორციელებინა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციისა და სხვა დაჯგუფებათა თავდასხმებზე. მოგვიანებით პალესტინელებმა წამოიწყეს პირველი ინტიფადა (აჯანყება) ისრაელის მიერ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას ოლქის დაკავების გამო. 1990–იან წლებში დროებითი სიმშვიდე აღინიშნა და პირველი ნაბიჯები გადაიდგა პალესტინის სახელმწიფოს შექმნისაკენ. ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის მშვიდობა დაირღვა 2000 წელს, როდესაც პალესტინის გამათავისუფლებელმა ორგანიზაციამ უარყო კონფლიქტის მოგვარების თაობაზე ისრაელის გეგმა, რომელიც, მართალია, ბევრად უფრო გულუხვი იყო, ვიდრე ისრაელის მიერ ადრე გაკეთებული ნებისმიერი დათმობა, მაინც ვერ დააკმაყოფილა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერი იასირ არაფატი. დაიწყო მეორე ინტიფადა, ბევრად უფრო სასტიკი, ვიდრე პირველი. საინტერესოა, რომ ორივე მხარე მუდმივად ცდილობდა საკუთარი ქმედებების გამართლებას, ოღონდ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა არგუმენტებით. არაბები აცხადებდნენ, რომ ისინი იცავდნენ პალესტინელთა თვითგამორკვევის უფლებას, ხოლო ებრაელები აპელირებდნენ ჰოლოკოსტსა და ისრაელის უფლებაზე, ჰქონოდა სუვერენული სახელმწიფო.

შეკავება: სტატუს-კვოს გაფართოება. ამერიკის სტატუს-კვოს პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი მაგალითია შეკავება, რომელიც 1940-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 1991 წლამდე, კერძოდ კი საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა. II მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა წონასწორობა ევროპაში

და ამერიკის შეერთებული შტატები პირველად აღმოჩნდა პირველხარისხოვანი მსოფლიო ლიდერის როლში, თუმცა, მას მეტოქეც გამოუჩნდა. საბჭოთა კავშირი, იოსებ სტალინის ლიდერობით, ახალ სასტიკ საფრთხეს უქმნიდა ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებას. იმ დროისათვის ისე ჩანდა, თითქოს ასრულება ეწერა ალექსის დე ტოკვილის საუკუნოვან წინასწარმეტყველებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი, თითოეული „განგების მიერ იყვნენ ხელდადებულნი, რომ ებატონათ მსოფლიოს ნახევარზე“.[11]

ამერიკული პოლიტიკის შემოქმედებმა მოულოდნელად გადაწყვიტეს, რომ აღქმული საბჭოთა საფრთხისათვის შეკავების პოლიტიკით ეპასუხათ, რომლის ძირითადი საფუძვლები 1947 წლის ივლისში პრესტიჟულ ჟურნალ *Foreign Affairs* -ში დაბეჭდილ სტატიაში იყო ასახული. უცნობი ავტორი ბატონი X *(Mr. X)* იმ პერიოდში სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის შტაბის გავლენიანი დირექტორი და მოგვიანებით ამერიკის ელჩი საბჭოთა კავშირში, ჯორჯ ქენანი გამოდგა. ქენანი წერდა:

> ნათელია ამერიკის შერთებული შტატების ნებისმიერი პოლიტიკის მთავარი ელემენტი საბჭოთა კავშირის მიმართ უნდა იყოს გრძელვადიანი, მომთმენი, მაგრამ [საჭირო] მყარი და ფხიზელი შეკავება რუსეთის ექსპანსიური ტენდენციების მიმართ . . . საბჭოური ზეწოლა დასავლეთის სამყაროს თავისუფალ ინსტიტუტებზე შეიძლება შეკავდეს საპირისპირო ძალის სხვადასხვა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ წერტილებში გამოყენებით.[12]

ქენანმა იწინასწარმეტყველა, რომ თუ შეკავების პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნებოდა გამოყენებული ათწლეულის მანძილზე, მაშინ საბჭოთა გამოწვევა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. მან ასევე გამოთქვა ვარაუდი, რომ შეკავების გამართლების შემთხვევაში ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფო საკუთარი შიდა პოლიტიკური ზეწოლის მსხვერპლი გახდებოდა.

შეკავების ეს ახალი დოქტრინა სხვა არაფერი იყო, თუ არა აპრობირებული სტატუს-კვოს პოლიტიკა ევროპასთან მიმართებაში. მისი შესამჩნევი სიახლე იმ სტატუს-კვოს ინიციატივების სპეციფიკურ მისადაგებაში გამოიხატებოდა, რომელიც ევროპაში II მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა.

შეკავების პირველი მთავარი გამოცდა მოხდა 1947 წელს, როდესაც საბერძნეთი ლამის კომუნისტური ამბოხების მსხვერპლი გახდა. მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ტრადიციულად სტატუს-კვოს გარანტორის როლს თამაშობდა, განაცხადა, რომ მას აღარ შეეძლო დახმარებოდა საბერძნეთის ლეგიტიმურ მთავრობას, მაშინ აშშ შევიდა საბერძნეთში. ჰარი ტრუმენმა კონგრესისადმი გაგზავნილ დაჟინებულ მიმართვაში მოითხოვა დახმარება გაეწიათ თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებისათვის. ტრუმენმა შეკავების პრინციპების ხელახალი ფორმულირება მოახდინა, რაც შემდეგ ***ტრუმენის დოქტრინის*** სახელით გახდა ცნობილი: „მე მჯერა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა თავისუფალი ხალხების მხარდაჭერა უნდა იყოს, იმ ხალხებისა, რომლებიც ეწინაღმდეგებიან დაპყრობის მცდელობას, როგორც მცირე შეიარაღებული ჯგუფის, ასევე გარე ძალის მხრიდან.“[13] მას შემდეგ, რაც კონგრესმა დაამტკიცა პრეზიდენტის მოთხოვნა, შეკავება ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პოლიტიკა გახდა.

1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური მთავრობის მიერ ძალაუფლების მოპოვებას ამერიკის შეერთებული შტატები „ევროპის აღდგენის პროგრამით“, ე.წ. ***მარშალის გეგმით*** გამოეხმაურა. პროგრამით გათვალისწინებული16,5 მილიარდი ამერიკული დოლარი ომისაგან დანგრეული ევროპის ქვეყნების ეკონომიკის რეკონსტრუციისათვის იყო გამიზნული. ეს პროგრამა შედგენილი იქნა ევროპის არა მატო ეკონომიკური, არამედ სულიერი და პოლიტიკური აღდგენისათვის. იმ დროისათვის შიშობდნენ, რომ კომუნიზმი შეიძლებოდა მოსულიყო „უკანა კარიდან“ ანუ საფრანგეთისა და იტალიის გავლენიან კომუნისტურ პარტიებს შესაძლოა ესაგრებლათ მოსახლეობის საერთო დემორალიზაციით და მოსკოვის ფარული მხარდაჭერის გამოყენებით მოეპოვებინათ ძალაუფლება პარიზსა და რომში, ისევე, როგორც ეს პრაღაში მოხდა. ასე რომ, მარშალის გეგმა აშშ-ის მიერ II მსოფლიო ომის შემდეგ სტატუს-კვოს შენარჩუნების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო.

1949 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაარღვია ის ტრადიცია, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ მისი შექმნიდან იღებდა. მან მშვიდობიან დროს მხარი დაუჭირა სამხედრო ალიანსს — ***ნატო*** (***ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია***), რომელიც დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს, აშშ-სა და კანადას მოიცავდა. ნატო იყო შეკავების სტრატეგიის ეკონომიკურიდან სამხედრო სფეროზე გადატანის ლოგიკური მცდელობა.

1949 წელს კომუნისტების მიერ ჩინეთის კონტინენტურ ნაწილზე ძალაუფლების მოპოვებამ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მღელვარების ახალი ტალღა წარმოშვა. 1950 წელს, როცა კორეაში სამხედრო შეტაკებები დაიწყო ჩრდილოეთის კომუნისტურ რეჟიმსა და სამხრეთის არაკომუნისტურს შორის, ამერიკის შეეთებულმა შტატებმა გადა-წყვიტა ისევე ენერგიულად აემოქმედებინა შეკავების პოლიტიკა აზიურ პერიმეტრზე, როგორც ამას იგი ევროპაში აკეთებდა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ომი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარეობდა, კორეის ომი, რეალურად, აშშ-ის წამოწყებული იყო მისი ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად, რაც მდგომარეობდა სტატუს-კვოს შენარჩუნებაში, ოღონდ ამჯერად აზიაში.

1960-იან წლებში პოლიტიკამ, რომელიც პირველ რიგში ევროპასა და შემდეგ აზიაში კომუნიზმის გავრცელების შეჩერებას ისახავდა მიზნად, მესამე სამყაროს სახელმწიფოებში ანტიკომუნისტური ინტერვენციის ფორმა მიიღო. სამხედრო აღჭურვილობა, ეკონომიკური დახმარება, დიპლომატიური მხარდაჭერა და ამერიკის ბირთვული ქოლგა მიმართული იყო ყველა იმ სახელმწიფოსაკენ, რომელიც მიიჩნეოდა, რომ კომუნისტური ამბოხების ან სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის წინაშე იდგა. სამხედრო ინტერვენცია ითვლებოდა შესაბამის საპასუხო პოლიტიკად კონკრეტული პირობების შემთხვევაში. სამხედრო შეკავების ამ სტრატეგიამ უმაღლეს მწვერვალს 1964-1972 წლებში, სამხრეთ კორეაში ასიათასობით ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნის შემდეგ მიაღწია, რაც მიზნად ისახავდა დახმარებოდნენ სახელმწიფოს კომუნისტური მეამბოხეებისა და ჩრდილოეთ ვიეტნამის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვიეტნამის ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ნაკლებად ეყრდნობოდა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტევენციის სტრატეგიას საერთაშორისო სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად, თუმცა ამერიკის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები მაინც უცვლელი დარჩა.

ადრეულ 1990-იან წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების შეკავების პოლიტიკამ მისი მთავარი მიზანი დაკარგა. საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებამ და-

მოუკიდებლობა მიეცა აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სატელიტი სახელმწიფოებისათვის, ასევე 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ ამერიკის მიერ მართული კოალიციის მხარდაჭერამ და საბჭოთა სახელმწიფოს დეზინტეგრაციამ იმავე წელს, დაადასტურა, რომ ამერიკის შეკავების პოლიტიკამ მიზანს მიაღწია. 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლამ საბოლოოდ გამოავლინა, რომ საბჭოთა საფრთხე ვეღარ შეასრულებდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედის ფუნქციას. ეს კი ამერიკის შეკავების პოლიტიკას მოძველებულსა და დრომოჭმულს ხდიდა.

დიდი დებატები: რეალიზმი და იდეალიზმი

არსებობს ტენდენცია, რომ პოლიტიკური რეალიზმი ეროვნული ინტერესების აგრესიული განხორციელების სინონიმად იქცეს, არა სავალდებულოდ ექსპანსიონისტები, არამედ, მაგალითად, ინტერვენციული. პოლიტიკური რეალისტები იშვიათად თუ არიან ზომიერნი კრიზისულ სიტუაციებში. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და მისმა კონსერვატიულმა რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ ყველას მოუწოდეს აგრესიული ქმედებებისაკენ დამნაშავეებისა და ნებისმიერი იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვინც საერთაშორისო ტერორისტებს მფარველობდა. ამერიკის მიერ გამოყენებული მეთოდები იყო ძალისმიერი — დაბომბვა და სპეციალური საბრძოლო დანაყოფების გადასმა იმ მიზნით, რომ (1) დაემხოთ თალიბანის მთავრობა, (2) მოეკლათ ან დაეკავებინათ ოსამა ბინ ლადენი და გაენეიტრალებინათ ალ ქაიდას ტერორისტული ქსელი.

სინამდვილეში, ძალისმიერი მეთოდები ყოველთვის ექსპანსიონისტურ სტრატეგიას როდი გამოხატავს. ამერიკა არ ცდილობდა ავღანეთის კოლონიად გადაქცევას. საკმაოდ უცნაურია, რომ სტატუს-კვოს მომხრეები (განსაკუთრებით კონსერვატორები) ძალადობას პირდაპირ უკავშირებენ აგრესიას, ხოლო აგრესიას — ექსპანსიონიზმს. ამასთან, სწორედ სტატუს-კვოს დამცველები (კვლავ, განსაკუთრებით კონსერვატორები) მიმართავენ ძალადობას ან აფინანსებენ ამბოხებებს, როგორც რევოლუციური მოძრაობების დამარცხებისაკენ მიმართული სტრატეგიის ნაწილს. ამგვარი სტრატეგიის მომხრეები პრეტენზიას გამოთქვამენ, რომ იდეალისტები არიან, მაგრამ მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი, მცირე გამონაკლისის გარდა, გარე ძალის მხრიდან სამხედრო ინტერვენციის ნებისმიერ მცდელობას მაინც იმპერიალიზმად აფასებს. მაგალითად, რეიგანის ადმინისტრაცია (1980-1988 წწ) ხელს უწყობდა სხვადასხვა ანტიკომუნისტურ მეამბოხეებს მსოფლიოში 1980-იან წლებში, მათ შორის ჯგუფებს ცენტრალურ ამერიკაში (კონტრას ნიკარაგუაში) აზიაში (*მუჯაჰიდებს* ავღანეთში) და აფრიკაში (უნიტას პარტიზანებს ანგოლაში). პრეზიდენტი რეიგანი ვერავის გააბრიყვებდა იმით, რომ იგი ამ მეამბოხე ძალებს, რომლებიც მას მართლა მოსწონდა, „თავისუფლებისათვის მებრძოლებს“ უწოდებდა. ეს მაგალითები საგარეო პოლიტიკის ანალიზში მორალური ობიექტურობის მნიშვნელობის (მაგრამ სირთულის) ილუსტრირებას ახდენს. ძალისა და სიმდიდრის არსებული ბალანსის შეცვლაზე მიმართული სტრატეგია აუცილებლად იმპერიალიზმის ან იდეალიზმის ნიშანი როდია; უფრო ხშირად, ის აჩვენებს, რომ რეალიზმმა, ავად თუ კარგად, გავლენა მოახდინა პოლიტიკის შემქმნელებზე, რომ მათ თავიანთი ქმედებებისათვის გარკვეული მიმართულება მიეცათ.

იმის გასაგებად, რა არის ექსპანსიონიზმი, უნდა გავიგოთ ისიც, რას არ წამოადგენს იგი. მაგალითად, ყველა ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს თუნდაც ტერიტორიული პრეტენზიები სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში ან ძალისა და სიმდიდრის გლობალური გადანაწილების შეცვლა სურს, არ არის აგრესიული და ექსპანსიონისტური. სასაზღვრო დავა თავისთავად არ გულისხმობს, რომ მოდავე სახელმწიფოს იმპერიული ზრახვები აქვს. არც ბევრი განვითარებადი სახელმწიფოს „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის“ დამყარების მოთხოვნა გულისხმობს ამას (რაც გლობალური სიმდიდრის ხელახლა გადანაწილების მოთხოვნაში გამოიხატება). სტატუს-კვოს შეცვლა ამგვარი გზით ნაკლებად აგრესიულია, რადგანაც მიზნები და მეთოდები შეზღუდული და ზომიერია და ისინი პირწმინდად პოლიტიკური და დიპლომატიურია (ზეწოლა ან დარწმუნება) და არა სამხედრო ან ეკონომიკური (დაშინება და იძულება).

ცივი ომის დროს პოლიტიკური რეალიზმი უმნიშვნელოვანესი თეორია იყო საერთაშორისო ურთიერთობების აღსაწერად. ძალის ექსპანსიის ან ძალის შენარჩუნებისა და რეგიონული საბრძოლო სტრატეგიები კარგად გააზრებული და კრიტიკულად შესწავლილი გახლდათ იმ პირობებში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მიმართავდნენ გადარჩენისა და ძალაუფლების მოპოვების სტრატეგიებს, რაზედაც სხვა სახელმწიფოებიც ხშირად რეაგირებდნენ. იმ პერიოდში, საკუთარ ინტერესს გამოდევნებულ ქვეყნებს შორის ძალუფლებისათვის ბრძოლის რეალისტური შეხედულება ბევრი (თუმცა არა ყველა) პოლიტოლოგისათვის სახელმწიფოთა ქმედებების სრულყოფილ ახსნას უზრუნველყოფდა. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დამთავრების შემდეგ, დებატები პოლიტიკური რეალიზმისა და ეროვნული ინტერესის ცნების რელევანტურობის თაობაზე უფრო მწვავე გახდა.

ბუმერანგის ეფექტი

„ბუმერანგის ეფექტის“ კონცეფცია ცივი ომის დასრულების შემდეგ აკადემიურ წრეებში ამერიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ დებატების უმთავრესი თემა იყო (თუმცა დებატები საზოგადოების დიდი ნაწილისათვის უმეტესად შეუმჩნეველი დარჩა). ამ ტერმინის პოპულარიზაცია მოახდინა ჩალმერს ჯონსონმა, აზიის საკითხების ექსპერტმა, რომელმაც ამავე სახელწოდების ბესტსელერი დაწერა.[14] ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსებმა რეალურად ეს კონცეფცია თავისთვის გამოიგონეს, თუმცა იგი შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მკვლევარებმა გამოიყენეს. ჯონსონის აზრით:

> ეს ტერმინი გულისხმობს [წარსულის] იმ პოლიტიკური ქმედებების არასასურველ შედეგებს, რომელიც ამერიკული საზოგადოებისათვის [დღემდე] მეტწილად გასაიდუმლოებული იყო. ის, რასაც ყოველდღიური პრესა აქვეყნებს – „ტერორისტთა“ საშინელი ქმედებები, „ურჩი სახელმწიფოები“ ან „იარაღის უკანონო მოვაჭრეები“, ხშირ შემთხვევაში ადრინდელი ქმედებების გამოძახილია.[15]

მაგალითებად ჯონსონს მოაქვს 1988 წელს საავიაციო კომპანია პან ამერიკანის რეისი 103-ის აფეთქება ლოკერბის თავზე, შოტლანდიაში, რომელიც მისი მტკიცე-

ბით, „იყო სამაგიეროს გადახდა რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ლიბიაზე განხორციელებული საჰაერო თავდასხმისათვის, რომლის დროსაც პრეზიდენტ მუამარ კადაფის გერი დაიღუპა“.[16] ის ასევე ამბობს, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა ამერიკაში წარსულში შტატების მიერ ლათინურ ამერიკაში დიქტატორებისა და ანტიკომუნისტური მოძრაობის ხელშეწყობის შედეგია და ტერორისტული აქტები ამერიკის სამიზნეებზე ამის უკუგამოძახილია. იგი ახდენს პენტაგონის ტექნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის 1997 წელს გაგზავნილი მოხსენების ციტირებას, რომ ისტორიული მონაცემები აჩვენებს ურთიერთკავშირს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საერთაშორისო სიტუაციებში ჩარევასა და ამერიკის წინააღმდეგ ტერორისტული თავდასხმების რაოდენობის ზრდას შორის.“[17]

სურათი, რომელსაც ჯონსონი აღწერს, საკმაოდ შემაშფოთებელია:

> წარსულის გამოძახილის ყველაზე პირდაპირი და ნათელი ფორმა ხშირად მაშინ იჩენს თავს, როდესაც მსხვერპლი პასუხობს ამერიკის საიდუმლო თავდასხმებს, ან ამერიკის მიერ დაფინანსებულ ტერორისტულ კამპანიას, ან ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ დაგეგმილ უცხო ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის დამხობას. დღეს მთელს მსოფლიოში უკვე საკმარისი საფუძველია შექმნილი მომავალი ბუმერანგის ეფექტებისათვის.[18]

1999 წელს გამოთქმული ეს მოსაზრება წინასწარმეტყველური ჩანდა განსაკუთრებით იმ დღეებში, როდესაც ტერორისტებმა მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე თავდასხმები განახორციელეს გატაცებული სამგზავრო თვითმფრინავების გამოყენებით. ჯონსონმა 1990-1991 წლების სპარსეთის ყურის ომისა და მის შემდეგ პერიოდზე, განსაკუთრებით კი იმ ხანგრძლივ გაჭირვებაზეც დაწერა, რაც ერაყმა გამოიარა ამერიკის მიერ ეკონომიკური ბლოკადის დაწესების შემდეგ. ჯონსონი წერდა, რომ „ბლოკადამ დაავადებების, ცუდი კვებისა და არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების გამო დაახლოებით ნახევარი მილიონი ერაყელი მოქალაქის დაღუპვა გამოიწვია.“ ოსამა ბინ ლადენმა და ალქაიდამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები შემდეგი არგუმენტებით „გაამართლეს“: (1) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საუდის არაბეთში ამერიკელი ჯარისკაცების განთავსებით მათი ქვეყნის წმინდა მიწა-წყალი წაბილწა, (2) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი შეუწყო ისრაელს პალესტინელთა უფლებების დარღვევაში და (3) ამერიკამ წამოიწყო ეკონომიკური ომი ერაყის მოქალაქეების წინააღმედგ.

პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ბინ ლადენი ამერიკის ორ საელჩოზე თავდასხმაში დაადანაშაულა 1998 წელს, ნაირობიში (კენიის დედაქალაქი) და დარ ეს სალამში (ტანზანიის დედაქალაქი). საპასუხოდ მან ხართუმში (სუდანის დედაქალაქი) ფარმაცევტული ქარხანა და ავღანეთში ალ ქაიდას საწვრთნელი ბაზები დაბომბა. ვერც ერთი ამ საჰაერო დარტყმის შედეგად ვერ მოხერხდა მთავარი მიზნის მიღწევა, მაგრამ სუდანზე თავდასხმამ საკმაოდ დიდი დაბნეულობა გამოიწვია, როდესაც გაირკვა, რომ ფარმაცევტული ქარხანა არ აწარმოებდა მასობრივი განადგურების ბირთვულ იარაღს, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაჩნდა. თუმცა,

> მთავრობის წარმომადგენლებმა განაგრძეს ამ თავდასხმების გამართლება ტერორიზმის „შეკავების“ მოტივით, იმ შემთხვევაშიც კი თუ მსხვერპლნი არანაირ კავშირში არ იყვნენ ზიანთან, რომელიც აშშ-ს მიადგა. მსოფლიოში ამ

> გზით ინერგება მომავალი „ბუმერანგის ეფექტები“. ხელისუფლების წარმომადგენლები უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ საელჩოების დაბომბვაში დადანაშაულებული ბინ ლადენი ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პროტეჟეა. როდესაც ამერიკა ორგანიზებას უწევდა ავღანელ მეამბოხეებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1980-იან წლებში, მან (ბინ ლადენმა) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის ავღანეთიდან განდევნაში და მხოლოდ 1991 წელს შემოუტრიალდა ამერიკას, რადგანაც მან სპარსეთის ყურის ომისა და მისი დასრულების შემდეგ მშობლიურ საუდის არაბეთში ამერიკის ჯარის განთავსება საკუთარი რელიგიური რწმენის შებღალვად მიიჩნია.[19]

ჯონსონის ანალიზი და ბრალდება განსაკუთრებით დამაჯერებლად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების ფონზეც ჩანს. ჯონსონი ბევრი მსგავსი მაგალითის ანალიზს ახდენს, რომელიც მისი შეფასებით, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გამოიწვიო მომავალი „ბუმერანგის ეფექტი“ ამერიკის ურთიერთობებში იაპონიასთან (ოკინავა [განლაგებულია სამხედრო ბაზა — მთარგმნ. შენ.]), სამხრეთ კორეასთან (1980 წლის კვანჯუს ჟლეტა [სამხრეთ კორეაში აჯანყება, რომელიც სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშვეს — მთარგმნ. შენ.), ჩინეთთან, ინდონეზიასთან და სხვებთან. მიუხედავად იმისა, რომ ჯონსონის კრიტიკის ზოგიერთი ადგილი საკმაოდ მკვეთრია და წიგნში ბევრი სიმართლეა ნათქვამი, მისი შეხედულებები საკამათოა და ხშირად არ არის გაზიარებული აკადემიური წრისა და სამთავრობო ექსპერტების მიერ. მართლაც, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების პერიოდში ბევრი ამერიკელი ეჭვის თვალით უყურებდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ნებისმიერ კრიტიკას და ბევრი პოლიტოლოგიც ამ შეხედულებას ეთანხმებოდა.

ახალი საგარეო პოლიტიკის ძიებაში

საერთაშორისო ურთიერთოებების ზოგიერთი თეორეტიკოსი კვლავ დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში ბევრი არაფერი შეცვლილა. ისინი აგრძელებენ ეროვნული ინტერესების ცნების ტრადიციულ მისადაგებას მსოფლიო პოლიტიკასთან. თუმცა, შეცვლილმა გარემოებებმა (საბჭოთა კავშირის დაშლამ) ამერიკის შეერთებულ შტატებს მეტწილად იზოლაციონისტური ანუ ქვეყნის შიდა პროცესებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარებისაკენ უბიძგა. ცივი ომის შემდგომი რეალისტების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ ჰქონდა იმის ფუფუნება, რომ მსოფლიო პოლიციელის როლი ეთამაშა და არც მისი უსაფრთხოება თუ კეთილდღეობა საჭიროებდა ამას. ნაცვლად ამისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, „უნდა განამტკიცოს საკუთარი უსაფრთხოება და კეთილდღეობა არა უტოპიურ მიზნებზე დაყრდნობით და არა მთელი მსოფლიოს კეთილდღეობაზე ზრუნვით, არამედ . . . ბოლომდე მისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.[20]

ნეოიზოლაციონისტები ანარქიულ საერთაშორისო სისტემას ობიექტურ მოცემულობად მიიჩნევენ და ამიტომ რჩევებს მსოფლიოს შეცვლის მცდელობის საწინააღმდეგოდ იძლევიან. ნაცვლად ამისა, ისინი ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მინიმუმამდე უნდა შეამციროს საგარეო კონფლიქტებში მისი

მონაწილეობა. საერთაშორისო განხეთქილებები და კონფლიქტები საერთაშორისო სისტემის დამახასიათებელი ნაწილია, რომლის წევრებიც ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან ზომით, ბუნებრივი რესურსებით, ეკონომიკური განვითარებით, ისტორიული გამოცდილებითა და ა.შ.

შიდა პოლიტიკაზე ორიენტირტებული ეროვნული ინტერესების კონცეფცია გამორიცხავს იმ ტიპის საერთაშორისო ეკონომიკურ ინიციატივებს, რომელიც ამერიკას პირდაპირ არ ასარგებლებს. ამავდროულად, ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამერიკის როლს არსებულ ალიანსებში (განსაკუთრებით ნატოში) და საერთაშორისო ორგანიზაციებში (მაგალითად, გაეროში) და სხვა მრავალეროვნულ ინსტიტუტებში (როგორიცაა მსოფლიო ბანკი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია). და ბოლოს, ამან შეიძლება მსოფლიო მესაჭის (ანუ ეფექტიანი ხელმძღვანელობის) გარეშე დატოვოს.

პოლიტოლოგები მაქს სინგერი და აარონ ვილდავსკი სხვა კუთხით უყურებენ ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკას. ისინი ამტკიცებენ, რომ მიუხედავად „ახალი მსოფლიო წესრიგის“ თაობაზე საუბრებისა, ბევრი თანამედროვე კრიტიკოსი ვერ ახერხებს გააცნობიეროს ის რეალური მსოფლიო, რომელიც ცივი ომის შემდეგ ჩამოყალიბდა.[21] განსხვავებით იმ მეოცნებეთაგან, რომლებიც აცხადებენ ერთი პოლიტიკური მსოფლიოს არსებობის შესახებ, და ცივი ომის რეალისტებისაგან, ვინც ახდენს სამი პოლიტიკური სამყაროს იდენტიფიცირებას, ვილდავსკი და სინგერი ამტკიცებენ, რომ არსებობს ორი ამგვარი მსოფლიო — ერთი, რომელიც შედგება განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან და მეორე, რომელიც შედგება გაღატაკებული, არადემოკრატიული სახელმწიფოებისაგან. უფრო მეტიც, ისინი წარმატებულ დემოკრატიულ ქვეყნებს, რაც დაახლოებით მსოფლიო მოსახლეობის 15 პროცენტს მოიცავს, „მშვიდობის ზონებს“ უწოდებენ, ხოლო განუვითარებელ დიქტატორულ სახელმწიფოებს - „კონფლიქტის ზონებს.“ ორი ზონა თუ ორი მსოფლიო დანახულია, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული და განცალკევებული. სინგერი და ვილდავსკი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ძალაუფლებრივი დაპირისპირებები და კონფლიქტები კვლავ ნორმაა კონფლიქტურ ზონაში. ამასთან ერთად, მშვიდობიანმა კონკურენციამ და ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ჩაანაცვლა ომი მშვიდობის ზონაში.

ამ ანალიზის პოლიტიკური დატვირთვა ბევრის მთქმელია. მაგალითად, თუ ამგვარი განსხვავებული და განცალკევებული ზონები არსებობს, მაშინ სახელმწიფოებს მშვიდობის ზონაში შეუძლიათ განზე გადგნენ იმ ძალადობისა და სისხლისღვრისაგან, რაც კონფლიქტის ზონაში ხდება. აქედან გამომდინარე, სამხედრო ინტერვენცია რეგიონულ კონფლიქტებში დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. სინგერისა და ვილდავსკის თანახმად:

> ჩვენი საერთო მიზანი სტაბილური დემოკრატიული ქვეყნების რიცხვის ზრდა უნდა იყოს, ანუ მშვიდობის ზონა უნდა გაფართოვდეს რაც შეიძლება მალე. ვვარაუდობთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს პოლიტიკა ხუთი მიმართულებით უნდა წარმართოს: პირველი, მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ ჩვენი პოლიტიკა დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ქვეყნებთან მიმართებაში; მეორე, სავაჭრო ბარიერების შემცირებით; მესამე, ეკონომიკური დახმარების გაწევითა და რეკომენდაციებით; მეოთხე, მაგალითის მიცემითა და საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობით; სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან დაუ-

> ღალავი მუშაობით მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო წესრიგის გაუმჯობესების მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო ინტერვენცია გახდება აუცილებელი. მაგრამ არ უნდა გავატაროთ იძულების პოლიტიკა ავტორიტარულ რეჟიმებზე დემოკრატიის თავსმოხვევის მიზნით.[22]

ამგვარი ანალიზი ოპტიმისტურია იმდენად, რამდენადაც იგი გვიჩვენებს „მაგალითის მიცემისა და ჩვენი ბაზრების გახსნილობის შესაძლებლობებს," როგორც ყველაზე ეფექტიან გზას, ზემოქმედება მოვახდინოთ ავტორიტარულ სახელმწიფოებზე. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხედულება ავტორიტარულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს ტრადიციული რეალისტური თვალთახედვით განიხილავს, იგი პოლიტიკას დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის სხვაგვარად აფასებს.

იდეალიზმი, რიგორც პირადი ინტერესი: ზნეობის ძალა

პოლიტიკური რეალიზმი, მისი აქცენტირებით ძალაზე, ეგოიზმსა და ეროვნულ ინტერესზე, საკამოდ გავლენიანი გამოდგა. ჯერ კიდევ ცივი ომის დამთავრებამდე პოლიტიკური რეალიზმის ინდიფერენტულობა ზნეობის საკითხების მიმართ ფართოდ იყო გაკრიტიკებული. როგორც ზევით ვნახეთ, პოლიტიკური რეალიზმი ნაკლებად იყენებს ზნეობის იდეას, ნაცვლად ამისა, იგი კეთილგანწყობილია ისეთი ცნებების მიმართ, როგორიცაა ფაქტები, ინტერესი და ძალა. მიიჩნევენ რა მორალურობის ამგვარ უარყოფას აღმაშფოთებლად, ზოგიერთი პოლიტოლოგი მხარს საერთაშორისო პოლიტიკის ალტერნატიულ შეფასებას უჭერს, რასაც ***იდეალიზმს*** უწოდებენ, რომელიც ღირებულებებს, იდეალებსა და ზნეობრივ პრინციპებს მიიჩნევს მთავარ კომპონენტად სახელმწიფოთა ქმედებების ასახსნელად, გასაგებად და შესაცვლელადაც კი. იდეალებით დაინტერესება არა მარტო გვეხმარება, ავხსნათ, რატომ იქცევიან სახელმწიფოები, ისე როგორც იქცევიან, არამედ ასევე აძლევს მიმართულებას სახელმწიფოებს, როგორ უნდა მოიქცნენ. იდეალისტები ხშირად მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოებს, მსგავსად ადამიანებისა, სურთ მშვიდობა და კეთილდღეობა, მაგრამ როდესაც პოლიტიკური ლიდერები შეცდომაში შედიან ირაციონალური ძალების, მაგალითად, იდეოლოგიისა და მხურვალე ნაციონალიზმის ზემოქმედების შედეგად, სანაცვლოდ ომებსა და საერთაშორისო დაძაბულობებს ვღებულობთ. იმისათვის, რომ შემცირდეს მსოფლიო დაძაბულობა, რომ აღდგეს რაციონალურობა და საბოლოოდ შეეწყოს ხელი მშვიდობის განმტკიცებას, იდეალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას საერთაშორისო სამართალს და ისეთ გლობალურ ორგანიზაციებს ანიჭებენ, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა.

იდეალისტები რეალისტებს ხშირად ცინიკოსებად აღიქვამენ, საპასუხოდ რეალისტები იდეალისტებს გულუბრყვილოებს უწოდებენ. ვინ არის მართალი? ალბათ ორივენი. თვით რეალიზმის არქიტექტორი, ჰანს მორგენთაუ, არ უარყოფს, რომ ზნეობრივი ფაქტორები *გარკვეულ* როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზნეობის საკითხის გაუთვალისწინებლად რეალისტისათვის თუ ნებისმიერი სხვა თეორიული სკოლის წარმომადგენლისათვის, ძალიან რთულია ერი-სახელმწიფოთა ცალკეული ქმედებების გაგება. სინგერი და ვილდავსკი აღნიშნავენ რეალიზმის სიღრმისეულ გავლენას საბჭოურ-ამერიკული მეტოქეობის ზენიტისას:

„პრაქტიკულად ყველას სჯეროდა, რომ თუ სახელმწიფო ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მისი მეზობლები, იგი საკუთარ ძლიერებას მათ დასაპყრობად ან გასაკონტროლებლად გამოიყენებდა.“[23] მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არასდროს მომხდარა, არც ცივი ომის დროს და არც მის შემდეგ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც მსოფლიოს ერთადერთი სუპერსახელმწიფო. ასე რომ, შესაძლოა თვით შეკავებაც კი ზნეობრივი პრინციპების გავლენით ისევე ავხსნათ, როგორც ძალის პოლიტიკის ურთიერთქმედებით.

ზოგიერთი სახელმწიფო ლიდერი საგარეო პოლიტიკის ფორმულირებისას აშკარად ზნეობრივ პრინციპებს ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე სხვები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ერთა თვითგამორკვევის პრინციპსა და კოლექტიურ უსაფრთხოებას ანიჭებდა, ხოლო პრეზიდენტი ჯიმი კარტერი აქტიურად უწყობდა ხელს ადამიანთა უფლებების გლობალურ გავრცელებას; ორივე პრეზიდენტი გარკვეულ ზნეობრივ პრინციპებს იზიარებდა. სახელმწიფოები ხანდახან ალტრუისტულად იქცევიან, მაგალითად, იმ დევნილთათვის თავშესაფრის მიცემით, ვინც პოლიტიკურ დევნას, ეკონომიკურ კატასტროფას, თუ სამოქალაქო ომს გამოექცა. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ბრიტანეთის ლიდერებმა სცადეს ვერსალის საზავო ხელშეკრულების შედეგად გერმანიაზე დაკისრებული მკაცრი პირობების შემსუბუქება. ამგვარი მიდგომა შეფასდა „კეთილშობილურ იდეად, რომელიც ფესვგადგმული არის ქრისტიანობაში, მამაცობასა და საერთო გონიერებაში.“[24]

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოქმედებები სომალიში 1992-1994 წლებში მასობრივი შიმშილობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა. ამ ინტერვენციას, რომელსაც ბევრი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა და არანაირი ეკონომიკური თუ სამხედრო უპირატესობა არ მოუტანია ამერიკისათვის, მხოლოდ ეროვნული ინტერესის საფუძველზე ვერ ავხსნით.[25] უფრო მეტიც, ამ ინტერვენციამ ისლამისტი ექსტრემისტების (ოსამა ბინ ლადენის ჩათვლით) გაუცხოების გარდა სხვა არაფერი გამოიწვია და მათი შეფასებით, ეს ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ერთი მორიგი ინტერვენცია იყო ისლამური საზოგადოების შიდა საქმეებში.

უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მოიცავს როგორც იდეალებს, ასევე საკუთარ ინტერესებსაც. მაგალითად, მარშალის გეგმა ნებისმიერ შემთხვევაში დიდსულოვანი იყო. უფრო მეტიც, თვით უინსტონ ჩერჩილი, რომელიც თავის ნათქვამ ნებისმიერ სიტყვას კარგად ზომავდა, მას „ისტორიაში ყველაზე უანგარო ქმედებას“ უწოდებდა.[26] მაგრამ მარშალის გეგმა ასევე მიესადაგებოდა ამერიკის შეერთებული შტატების II მსოფლიო ომის შემდგომ სტატუს კვოს სტრატეგიულ პოლიტიკას და მიზნად ისახავდა სტაბილური დასავლეთევროპული საზოგადოების შექმნას, რომელიც შეძლებდა წინ აღდგომოდა სამხედრო აგრესიასა და შიგნიდან გადატრიალებას. მსგავსად, გერმანიამ დიდი დახმარება გაუწია რუსეთს 1991-92 წლებში, ნაწილობრივ ჰუმანიტარული მოტივებით და ნაწილობრივ იმის შიშით, რომ დასუსტებულ რუსეთში მიმდინარე პროცესები გამოიწვევდა დასავლეთ ევროპის დესტაბილიზაციას, ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევდა დიდი რაოდენობით დევნილების გადაადგილებას გერმანიის მიმართულებით.

მართალია, რომ სახელმწიფოები ყველაზე უფრო თანამგრძნობნი მაშინ არიან, როცა მათ გარკვეული ფსონი აქვთ დადებული, მაგრამ ბევრი სახელმწიფო ხვდება, რომ შესაძლოა კარგი საგარეო პოლიტიკა კარგი საქმეებიც იყოს და მაღალი იდეალების მხარდაჭერამაც შეუწყოს ხელი სახელმწიფოს ინტერესების გატარებას. კეთილშო-

ბილებას ხშირად კეთილი ნება მოსდევს და კეთილ ნებას „გაცვლითი ღირებულება“ აქვს საერთაშორისო პოლიტიკაში (ისევე, როგორც ნებისმიერ პოლიტიკაში).

სახელმწიფოებს ხანდახან კონკრეტული ეროვნული ინტერესები დაუთმიათ მორალური პრინციპების გამო. II მსოფლიო ომის დროს სწორედ დანია იყო ამ მოსაზრების ნათელი ილუსტრირება. მიუხედავად იმისა, რომ იგი ოკუპირებული ქვეყანა იყო, ფაშისტურმა მთავრობამ მას საკმაოდ ფართო პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიანიჭა. ებრაული წარმოშობის მოქალაქეებისა და სხვა დევნილების დაცვის მოტივით, დანიის მთავრობამ და მოსახლეობამ ღიად განაცხადა უარი გერმანელთა იმ ბრძანებების შესრულებაზე, რომელიც მიზნად ებრაელთა დანარჩენი მოსახლეობისაგან იზოლაციას ისახავდა და შესაბამისად, ამგვარი ქმედებით საკუთარი თავი ჩაიგდო საფრთხეში. ასეთი უჩვეულო ზნეობრივი გამბედაობის შედეგად, დანიელებმა „ექსტრაორდინალური დაბრკოლება შეუქმნეს გერმანულ გამანადგურებელ მანქანას: ეს იყო დანიის ხელისუფალთა მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთსულოვნება ებრაელების გადასარჩენად.“[27] დანიელთა ქმედებების შედეგები და თვით ამგვარი ქმედებებიც საკმაოდ იშვიათი იყო. თუმცა, „პატარა დანიამ, ზედმეტად სუსტმა იმისათვის, რომ თავდაცვაზე ძალაზე დაყრდნობით ეზრუნა, საგარეო პოლიტიკა ჰუმანიტარულ მოტივებზე მიმართა. . . და შედეგად ჰიტლერის დაპყრობა გადაიტანა.“[28]

აღიარება იმისა, რომ ორივეს, ზნეობასაც და ძალასაც შეუძლია გარკვეული როლის შესრულება საერთაშორისო ურთიერთობებში, ამტკიცებს, რომ ეროვნული ინტერესების ფართო გაგება ორივე კომპონენტს უნდა მოიცავდეს. უფრო მეტიც, ისეთი ზნეობრივი პრინციპების მსოფლიოს მასშტაბით გავრცელება, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და ადამიანთა უფლებები, წარმოდგენილია, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების შემადგენელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ეს იდეა დაფუძნებულია ვარაუდზე, რომ საგარეო პოლიტიკა, რომელიც ინდიფერენტულია ზნეობის მიმართ, არ შეიძლება მორალურად გამართლებული იყოს; ასევე იგი ეყრდნობა უტილიტარულ შეხედულებას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან შემდგარი მსოფლიო, რომელიც პატივს სცემს თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს, უფრო უსაფრთხოც იქნება. დემოკრატიული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები ხშირად იდეალიზმისა და რეალიზმის ელემენტებს ერთდროულად შეიცავს. ეს მნიშვნელოვან ჭეშმარიტებაზე მიუთითებს: ძალა სამართლიანობის გარეშე უბრალო სარგებლიანობას, მაშინ, როცა ზნეობა ძალის გარეშე მხოლოდ კარგი განზრახვაა.[29]

ახალი სამყარო, ძველი ჩვევები

პოლიტიკურ რეალიზმის თეორიის მიხედვით, ეროვნული ინტერესის ცნების მთავარი დაშვება ამბობს, რომ სუვერენული ქვეყნები თავად ცდილობენ, განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები. ზოგიერთი თანამედროვე კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ორიენტირებული ეროვნული ინტერესის ცნება მოძველებულია. ისინი ამტკიცებენ, რომ „ახალი დიპლომატიის, ინსტიტუტებისა და მარეგულირებელი საერთაშორისო რეჟიმების არსებობაა საჭირო იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა თავი გაართვან მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის გაზრდილ „ურთიერთდამოკიდებულებას,“ რადგანაც „ ეროვნული სუვერენიტეტის ჩვენეული, საყოველთაოდ მიღებული თანხვედრა სახელმწიფო საზღვრებთან, უკვე დრომოჭმულია.“[30]

აშკარად გამოკვეთილი ეკოლოგიური გამოწვევები (როგორიცაა გლობალური დათბობა, მჟავური წვიმები, ჰაერის დაბინძურება), ისევე, როგორც არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების სწრაფი ამოწურვა, ჭარბმოსახლეობა და მსოფლიო სიღარიბე გლობალურია თავისი მნიშვნელობით და შესაბამისად გლობალური მიდგომების შემუშავებას საჭიროებს. „იფიქრე ლოკალურად, იმოქმედე გლობალურად", ასეთია თანამედროვეობის დევიზი. მისი არსია ის, რომ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული მორალური ვალდებულება, რომ მხოლოდ ვიწრო, ეგოისტური ინტერესების ფარგლებში არ იმოქმედონ. გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე, ადრინდელმა მსოფლიო წესრიგმა გზა ახალ მსოფლიო წესრიგს უნდა დაუთმოს, რომელშიც გლობალური ინტერესები ჩაანაცვლებს ეროვნულ ინტერესებს. ასე რომ, სულ უფრო და უფრო მზარდი ურთიერთდამოკიდებულების მსოფლიოში, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის საკუთარი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საუკეთესო გზა არა შიგნით, არამედ გარეთ ყურება, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის კარის გაღება და ნების-მიერი სახის ნაციონალისტური ტენდენციების (ისეთის, როგორიცაა გადამეტებული პატრიოტიზმი, პროტექციონიზმი და იზოლაციონიზმი) უარყოფაა ახალი გლობალური თვითშეგნების დამკვიდრებისათვის.

ამგვარი მიდგომა ადამიანების აზროვნებისა და ქმედებების მკაფიო ცვლილებას მოითხოვს. ის ასევე საჭიროებს საკუთარი ინტერესის ბევრად უფრო ფართო და გათვითცნობიერებულ დეფინიციას, ვიდრე ეს იყო საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკაში წარსულში. ზოგიერთი ახალ მსოფლიო წესრიგსა და გლობალურ თანამეგობრობას კარგად შენიღბულ იდეალიზმად აღიქვამს. თუმცა, ამ მიდგომის მომხრეები უარყოფენ ბრალდებას და ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა, რომელსაც ისინი მხარს უჭერენ, ღრმად დევს ადამიანის ინტერესში და გლობალური უსაფრთხოება, ალბათ, თვითგადარჩენაც კი, მსოფლიო პოლიტიკის ხედვის რადიკალურ გადაფასებაზეა დამოკიდებული. დღევანდელ მსოფლიოში, ასკვნიან ისინი, გუშინდელი რეალიზმი არათუ დრომოჭმული, არამედ საშიშიცაა.

ახალი ტენდენციები, ძველი პრობლემები

საბჭოთა კავშირის დაშლამ II მსოფლიო ომის შემდგომი ძალთა წონასწორობის სისტემის დასასრულის შესახებ გვამცნო. სახელმწიფოებს მოულოდნელად ერთმანეთთან ურთიერთობათა ხელახლა განსაზღვრა მოუხდათ. აქედან გამომდინარე, ხშირად ამტკიცებენ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი აღმოცენების პროცესშია. ამ ახალი მსოფლიო პოლიტიკის დინამიკის გაგება არსებითია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ნებისმიერი თანმიმდევრული ხედვისათვის.

საერთაშორისო პოლიტიკა დღეს არ ასახავს ძალთა წონასწორობის მკაფიო კონფიგურაციას, სადაც მონაწილეები დაუსრულებელი მიზნებით, კონფლიქტური ინტერესებითა და დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობებით ურთიერთქმედებენ სტაბილურობისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად, ისე, როგორც ეს ხდებოდა ევროპაში 1648-1914 წლებში. აღმოცენებადი საერთაშორისო წესრიგისათვის ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია დამახასიათებელი, მაგალითად, ევროპული ინტეგრაციისაკენ მიმართული მოძრაობა, რომელიც სცდება ტრადიციულ სახელმწიფო საზღვრებს, რელიგიური და ეთნიკური პარტიკულარიზმის თანადროული ზრდა უკვე არსებული სახელმწიფოების შიგნით, რამაც გამოიწვია სამი მრავალეთნიკური

სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკის დაშლა ევროპაში. საერთაშორისო ურთიერთობების დღევანდელი მდგომარეობა უფრო დროებითი და გარდამავალია და გარკვეული დროის შემდეგ უფრო სტაბილურ ხასიათს მიიღებს.[31]

რა ხდება ცივი ომის შემდეგ?

ჩვენ ვცხოვრობთ გაუწონასწორებელ (დაუბალანსებელ) მსოფლიოში. საბჭოთა იმპერიის დაშლამ და ადრეულ 1990-იან წლებში ერაყის წინააღმდეგ ომში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების დემონსტრირებამ აშკარა გახადა, რომ ამერიკა მსოფლიოში ერთადერთი სუპერსახელმწიფოა. ეს დასკვნა კიდევ უფრო განამტკიცა ამერიკის სტაბილურ ეკონომიკასა და ყოფილ საბჭოთა ეკონომიკას შორის არსებულმა აშკარა განსხვავებამ, ასევე ამერიკის შიდა სტაბილურობისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში წარმოქმნილი არასტაბილურობის შედარებამ და დასავლური ალიანსის შენარჩუნებამ მას შემდეგაც კი, რაც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ *სუპერსახელმწიფოს* უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს, ანალიტიკოსთა უმეტესი ნაწილი ამტკიცებს, რომ სუპერსახელმწიფო სამ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი, მას უნდა ჰქონდეს სრული ძლიერება ანუ არა მხოლოდ სამხედრო ძლიერება, არამედ ეკონომკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და თვით ზნეობრივიც კი; მეორე, ჰქონდეს გლობალური ხედვა, რაც მსოფლიოს ყველა რეგიონში საკუთარი ძლიერების განხორციელების შესაძლებლობას გულისხმობს; მესამე, ჰქონდეს საერთაშორისო არენაზე ლიდერობის დამტკიცების სურვილი. ამ კრიტერიუმების მიხედვით, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები არის სუპერსახელმწიფო. იაპონია და გერმანია ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები არიან. ბრიტანეთსა და საფრანგეთს აქვს თვალსაჩინო დიპლომატიური ძლიერება და მნიშვნელოვანი სამხედრო შესაძლებლობები, თუმცა არ მიიჩნევიან ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებად. რუსეთის ფედერაციას აქვს უზარმაზარი სტრატეგიული ბირთვული შესაძლებლობები და გარკვეული დიპლომატიური ძლიერება, თუმცა ამ ეტაპზე საკუთარი შიდა ეკონომიკური პრობლემებით არის დაკავებული. ჩინეთს, რეგიონულ ძალას, აკლია გლობალური შესაძლებლობები და განვითარებული მრეწველობა.

უნიპოლარული მსოფლიოს ერთი თანამდევი ეფექტი გლობალური დაძაბულობის შემცირებაა (რასაც ვერ ვიტყვით რეგიონული კონფლიქტების შემთხვევაში). ბირთვული ჩიხი, რომელიც ცივ ომს განსაზღვრავდა, უკვე აღარ არის მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა. ჩაცხრა იდეოლოგიური კონფლიქტი (კაპიტალიზმი და დემოკრატია, სოციალიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ), რომელიც II მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოს განსაზღვრავდა. ეს „დეიდეოლოგიზაცია“ არ გულისხმობს, რომ თანამედროვე მსოფლიო ბოლომდე გათავისუფლდა განსხვავებული ინტერესებისა და ღირებულებებისაგან. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხედვა, რომელზე დაყრდნობითაც ამერიკელები აფასებდნენ მსოფლიო პოლიტიკას თითქმის ოთხი ათწლეულის მანძილზე, გადასინჯვას საჭიროებს. რეალიზმი ისევე საჭიროა ეროვნული თვითგადარჩენისათვის, როგორც ადრე, მაგრამ ზუსტად რა არის რეალისტური საგარეო პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოს შეცვლილი გარე-

მოებების პირობებში, ნაკლებად აშკარა და ცხადია.

უნიპოლარული მსოფლიოს კიდევ ერთი შედეგი არის ის, რომ მსოფლიოს ერთადერთი სუპერსახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები საგარეო ფაქტორების გავლენის შედეგად ნაკლებადაა შეზღუდული. თუმცა, არც ერთი სახელმწიფო არ არის ბოლომდე სრულად თავისუფალი საკუთარ ქმედებებში (განსაკუთრებით იმის გამო, რომ ბევრი სახელმწიფო ფლობს ბირთვულ იარაღს). ბევრი შეზღუდვა, რომელსაც დღეს ამერიკის შეერთებული შტატები განიცდის, თვითონ ამერიკამ დაიწესა. ეს შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალურიც კი.

გლობალური ეკონომიკა

მსოფლიოს ყველაზე გავლენიან სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური კონფლიქტების შემცირების პარარელურად იზრდება საერთაშორისო ეკონომიკის მნიშვნელობა. მსოფლიოს სახელმწიფოების დედაქალაქებში გავრცელებული სიტყვაა ***გლობალიზაცია***. ბუნებრივია, რომ ომისა და მშვიდობის პრობლემატიკის შემცირების შედეგად, სახელმწიფოები და მათი ლიდერები ბიზნესსა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხებს მიუბრუნდნენ. ეჭვგარეშეა, რომ დღეს სახელმწიფოები ეკონომიკურად ბევრად უფრო ურთიერთდამოკიდებულნი არიან, ვიდრე ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა რას ნიშნავს ეს ყველაფერი? მოკლედ რომ ვთქვათ, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ერთი მხრივ, ეკონომიკური თანამშრომლობის, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკური კონკურენციის ზრდას იწვევს.

მსოფლიო ეკონომიკის ეს ტრანსფორმაცია უმეტესწილად დიდი მრავალეროვნული კორპორაციებისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების არსებობითაა განპირობებული, რომელსაც სახელმწიფო საზღვრები ვერ აბრკოლებს. გარდა ამისა, ზოგიერთი პრობლემა, მაგალითად, რეგიონული და გარემოსდაცვითი პრობლემები, შეიარაღების კონტროლის შეზღუდული ფორმები, საერთაშორისო ვალის საკითხები და ეკონომიკური პოლიტიკის შეჯერება კრიზისების დროს, უბრალოდ საერთაშორისო თანამშრომლობას საჭიროებს. მაგალითად, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ეკონომიკურ საკითხებს პასუხი გაეცა 1997-98 წლებში, როდესაც ბევრმა აზიურმა სახელმწიფომ მოულოდნელი მკვეთრი ეკონომიკური ვარდნა განიცადა.

გლობალური ეკონომიკური საფრთხეების საპასუხოდ, შემუშავებულ იქნა დახმარების პროგრამა, რომელმაც პირდაპირი სარგებელი მოუტანა ბევრ სახელმწიფოს, მათ შორის სამხრეთ კორეასა და ინდონეზიას. ამ პროგრამას ხელმძღვანელობდა ***საერთაშორისო სავალუტო ფონდი*** — ორგანიზაცია, რომელშიც მრავალი სახელმწიფო შედის და მიზნად მსოფლიოში ეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებას ისახავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კოორდინაცია გაუწია დიდი ეკონომიკური სესხების გაცემას და მოითხოვა, რომ სახელმწიფოებს, რომელსაც ის ეხმარებოდა, სესხი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების გატარებისთვის გამოეყენებინა.

ამგვარი თანამშრომლობითი მცდელობების ფონზეც კი, ეკონომიკური კონკურენცია სახელმწიფოებს შორის მაინც იზრდება. ხშირად, მთავრობები ცდილობენ ასარგებლონ საკუთარი მოქალაქეები შიდა საწარმოების ან სოფლის მეურნეობის სუბსიდირებით, იმპორტულ საქონელზე ტარიფის დაწესებით, ან სხვა სახის სავაჭრო ბარიერების შექმნით. ამგვარი პროტექციონისტული ქმედებები ხელს უშლის თავისუფალ საერთაშორისო ვაჭრობას და შესაძლოა, საერთაშორისო დაძაბუ-

ლობაც გამოიწვიოს თვით მოკავშირეებს შორისაც კი. ასეთი დაძაბულობის ნათელი მაგალითი ამერიკასა და იაპონიას შორის არსებული სავაჭრო მოლაპარაკებებია. ამერიკული და იაპონური ურთიერთობები მოულოდნელად გართულდა იაპონიის ხელისუფლების პროტექციონისტული პოლიტიკის გამო. სავაჭრო მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის ევროპულ მოკავშირეებს შორის 1993-94 წლებში დაიძაბა სოფლის მეურნეობისათვის სამთავრობო სუბსიდიების გაცემის გამო. ეს მაგალითები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ უდიდესი მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკის სამყაროში კონკურენცია, ისევე, როგორც თანამშრომლობა, კვლავაც არსებობს.

რეგიონალიზმის აღზევება

მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოები გეოგრაფიულ ეკონომიკურ გაერთიანებებს აყალიბებენ. ხშირად ეს გაერთიანებები სცდება სახელმწიფოთა ვიწრო ეკონომიკურ ინტერესებს და დიდ ფინანსურ ჯილდოს ჰპირდება მათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული თანამშრომლობა ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში. ასე რომ, ევროპის კავშირს აქვს ერთიანი ეკონომიკა ერთიანი ვალუტით და მის საზღვრებში ჭეშმარიტად თავისუფალი ვაჭრობით.

ევროპულ სახელმწიფოებს შორის არსებული ეს ეკონომიკური თანამშრომლობა ევოლუციური ხასიათისაა და წლების მანძილზე ვითარდება ეკონომიკური (ერთიანი ბაზარი) და სამხედრო (ნატო) თანამშრომლობის საფუძველზე. ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ის ფაქტი იყო, რომ ამ თანამშრომლობითი ურთიერთობების შედეგად საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული საუკუნეობრივი მეტოქეობა და უნდობლობა დაძლეულ იქნა. ამასობაში, 1994 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მექსიკამ და კანადამ გააფორმეს ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (*NAFTA*). მოგვიანებით, იმავე წელს, გაჩნდა იდეა, რომ *NAFTA*-ში ჩილეც ჩაერთოთ. 1994 წლის დეკემბერში, დასავლეთ ნახევარსფეროს 34 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თავისუფალი სავაჭრო ზონის თაობაზე (შეთანხმებას ოფიციალურად ამერიკის თავისუფალი ზონა ეწოდა), რომელიც გადაჭიმული იქნებოდა კანადიდან არგენტინის ტერიტორიის ჩათვლით. ამგვარ ეკონომიკურ გეგმას უნდა მოეცვა ბაზარი დაახლოებით 850 მილიონი მომხმარებლით, რომელიც 13 მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების საქონელსა და მომსახურებას მოიხმარდა [ეს ინიციატივები ჯერ-ჯერობით განუხორციელებელი რჩება — მთარგმნ. შენ.]. და ბოლოს, იაპონიამ განამტკიცა კავშირები წყნარი ოკეანის აუზის სხვა სახელმწიფოებთან და იკვეთება ნიშნები, რომ „1990-იან წლებში იაპონიას და აზიის ახლად ინდუსტრირებულ სახელმწიფოებს (სამხრეთი კორეა, სინგაპური, ჰონკონგი და ტაივანი) ძალუძთ ახალი ძლიერი ბლოკის შექმნა, რომელიც მის წევრ სახელმწიფოებს ვაჭრობით, ინვესტიციებითა და დახმარებებით დააკავშირებს ერთმანეთთან.“[32] ეს პოტენციური რეგიონული ბლოკი ყველაზე ნაკლებად გამოკვეთილია ამ სამ ალიანსს შორის და ამავდროულად, აღმოცენებადი ეკონომიკური მანქანა ჩინეთის სახით, საკმაოდ ართულებს მის რეალიზაციას.

რა აღმოცენდება ეკონომიკური ძლიერების ამგვარი „სამთავიანი“ კონცენტრაციისაგან? რა თქმა უნდა, თანამშრომლობა ამ ეკონომიკურ ბლოკებს შიგნით გაიზრდება. თანამშრომლობა ასევე ურთიერთდამოკიდებულებას ნიშნავს, კარგად ან

ცუდად, როგორც ეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღმოაჩინა ადრეულ 1950-იან წლებში, როდესაც მექსიკის პესოს გაუფასურებამ საფრთხე ამერიკის ფინანსურ ბაზრებსაც შეუქმნა. უფრო მეტიც, ამ თანამშრომლობიდან გამომდინარე, ბევრი მომავალი პოლიტიკური ინტეგრაციის იმგვარ ფორმებს წინასწარმეტყველებს, რომელიც სახელმწიფო საზღვრებს გადაფარავს.

უფრო რთული კითხვა, რომელიც ისმის, შემდეგია: როგორ მოახერხებს თანაარსებობას ეს სამი გეოეკონომიკური ბლოკი? კონკურენცია მათ შორის გარდაუვალია. თუმცა, ამავე დროს, ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალიც დიდია. ბოლოს, სავარაუდოა, რომ სამივე ბლოკის სახელმწიფოები რეგიონულ სავაჭრო ასოციაციებში წევრობით ისარგებლებენ და ადვილი მოსალოდნელია, რომ მათსა და ბევრ განვითარებად სახელმწიფოს შორის ეკონომიკურ ზღვარს გაზრდიან. ასეთ შემთხვევაში, რეგიონული ჯგუფების არსებობა შესაძლოა უფრო დამაბრკოლებელი, ვიდრე ხელისშემწყობი ფაქტორი გახდეს გლობალური ეკონომიკის აღმოცენებისათვის.

ეთნიკური ძალადობის წყაროა

მაშინ, როცა მჭიდრო რეგიონულმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ისეთ სახის პოლიტიკური ორგანიზაციების აღმოცენებას, რომელიც სცდება ეგოისტური ერი-სახელმწიფოების ფარგლებს, ეთნიკური დაძაბულობები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში თვით ერი-სახელმწიფოს არსებობას უქმნის საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი VIII თავშია განხილული, რამდენიმე იმ მნიშვნელოვან მომენტს უნდა შევეხოთ, რომელიც აღმოცენებად საერთაშორისო წესრიგთან არის კავშირში.

ორი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მსოფლიოში ეთნიკური კონფლიქტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. უთანხმოებები სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ ჯგუფებს შორის ერი-სახელმწიფოების შიგნით და ამგვარ ჯგუფებსა და მთავრობებს შორის, მიუთითებს მნიშვნელოვან ფაქტზე: ინტენსიური ეთნიკური დაპირისპირებები მსოფლიოს მხოლოდ ერთი რომელიმე რეგიონით კი არ შემოიფარგლება, არამედ თითქმის ყველგან არსებობს.

ეთნიკური შუღლის მაგალითები თითქმის შეუზღუდავია. ყველაზე ცნობილ დაპირისპირებულ ეთნიკურ [და რელიგიურ - რედ. შენ.] ჯგუფებს წაროადგენენ სიქჰები და მუსლიმები ინდოეთში, ფრანგულად მოსაუბრე კვებეკელები კანადაში, ქურთები ერაყსა და თურქეთში, თამილები შრი-ლანკაში და ტიმორელები ინდონეზიაში. ინტენსიური ეთნიკური დაძაბულობა დაპირისპირებულ ხალხებს შორის თითქმის ყოველთვის ასოცირდება ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ბრძოლასა და ძალადობასთან. ეთნიკურ დაძაბულობებს ხშირად გამოუწვევია ამბოხი, სამოქალაქო ომი, ტერორისტული აქტი და დროგამოშვებით, ქვეყნების დეზინტეგრაციაც კი.

ერთი კონკრეტული პრობლემა, რომელიც ასოცირდება ეთნიკურ ბრძოლასთან, დაკავშირებულია დევნილებთან და სხვა იძულებით გადაადგილებულ ადამიანებთან. 1994 წლის ზაფხულში სამოქალაქო ომმა რუანდაში გამოიწვია 200 ათასიდან 500 ათასამდე ადამიანის სიკვდილი, დაახლოებით 3 მილიონმა დევნილმა (ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტი) სცადა მეზობელ ზაირში გადასვლა (ახლა ზაირს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჰქვია). საერთაშორისო დახმარების სააგენტოებისა

და ზაირის მთავრობის წინაშე მასობრივი შიმშილობისა და ეპიდემიური დაავადებების პრობლემა დადგა. ომმა ბოსნიაში ასევე მილიონობით დევნილი, ობოლი და თავშესაფრის მაძიებელი წარმოშვა 1990-იანი წლების შუა პერიოდში.

თვით მოსახლეობის საყოველთაო აღწერის რუტინული სამთავრობო ვალდებულება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია ყოველ ათ წელიწადში სავალდებულოდ მიიჩნევს, შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მსოფლიოს სხვა რეგიონებში. ერაყში, ლიბანში, კენიასა და პაკისტანში, სხვა ქვეყნების მსგავსად, ეთნიკურმა უთანხმოებებმა დააბრკოლა აღწერის ჩატარება, რადგან „საკანონმდებლო ადგილების, შემოსავლების და სხვა საზოგადოებრივი საქონლის გადანაწილება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დამოკიდებულია იმაზე, რა შედეგებს აჩვენებს აღწერა.“[33] აღწერის ჩატარებამ თვით ომიც კი გამოიწვია:

> ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში მდებარე ასამის შტატში, აღწერის შედეგებმა, რომლის თანახმადაც უმნიშვნელო ცვლილება იყო დაფიქსირებული ბენგალელებსა და ასამელებს შორის არსებულ პროპორციაში, 1970-იან წლებში გზა გაუკაფა ძალადობრივ რეაქციას საარჩევნო სიებში ბენგალური სახელების ზრდის ფაქტის გამო. ამის შედეგად ათასობით ადამიანი დაიღუპა. აღწერა შესაძლოა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდეს ეთნიკურად დაყოფილ საზოგადოებაში.[34]

ბოლოს, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ეთნიკური კონფლიქტები უფრო კომპლექსური ხასიათისაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ბევრ სახელმწიფოში, როგორიცაა არაერთი ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფო ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, სხვადასხვა ხალხია წარმოდგენილი, რომლებიც განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან და უმეტესობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის სურვილს გამოთქვამს და მოთხოვნასაც აყენებს. თვით კანადაშიც კი, ბევრი ფრანგულად მოსაუბრე კვებეკელი, რომელთა რაოდენობა კანადის 27 მილიონიანი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს, დამოუკიდებლობის მოთხოვნას მხარს საკუთარი ენისა და კულტურის შენარჩუნების მოტივით უჭერს. კვებეკში მცხოვრებ დაახლოებით 800 ათასი ინდიელს მსგავსი მოთხოვნის არგუმენტად საკუთარი 10000 წლიანი ისტორია მოჰყავს. კვებეკელმა ესკიმოსებმა (ინუიტებმა) განაცხადეს, რომ ისინი შეეცდებიან შექმნან თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო კვებეკისავე ფარგლებში იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი მოიპოვებს დამოუკიდებლობას. ამგვარი მოთხოვნები აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ გაზრდილი ეთნიკური გრძნობები, რაც პოლიტიკის, ეკონომიკის, ენის, დისკრიმინაციისა და კულტურის საკითხებზე პაექრობაში გამოიხატება, შესაძლოა, გადამწყვეტი მამოძრავებელი ძალა იყოს დღევანდელ მსოფლიოში, რაც ხშირად პოლიტიკური ერთობის მის ყველაზე მცირე ნაწილებად ფრაგმენტაციას იწვევს.

აღსასტული ახალომტად: „მდუმარე გაზაფხულის“* თავიდან აცილება

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თითქმის მთელს მსოფლიოში გარემოსდაცვითი საკითხების უმეტესი ნაწილი უყურადღებოდ რჩებოდა 1960-იან წლე-

ბამდე. მას შემდეგ დაინტერესება გარემოსდაცვითი საკითხებით დიდად გაიზარდა, ისევე, როგორც გაიზარდა გარემოსდაცვითი ჯგუფების რაოდენობა და მათი შესაძლებლობა მსოფლიოს მასშტაბით გავლენა მოეხდინათ მთავრობებზე გლობალური ეკოლოგიური საკითხების მოსაგვარებლად. ეს ე.წ. *მწვანე პარტიები* თითქმის ყველა წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოში არსებობს, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანაში უფრო გარემოსდაცვითი ინტერესთა ჯგუფები აყვავდა. ისეთ კარგად ცნობილ და ფინანსურად ძლიერ ჯგუფებს, როგორიცაა *სიერას კლუბი, აუდუბონის საზოგადოება, გადაარჩინეთ დელფინები* და *ეროვნული ბუნების ფედერაცია,* საკმაოდ დიდი პოლიტიკური გავლენა აქვს. უფრო მეტიც, კვლევითი ინსტიტუტები მონიტორინგს უწევენ გარემოს მდგომარეობას და მოითხოვენ იმგვარი საჯარო პოლიტიკური ქმედებების გატარებას, რომელიც ეკოლოგიურ ფაქტორებს გაითვალისწინებს.

არცთუ ისე გასაოცარია, რომ გასულმა ათწლეულებმა ასეთი გაზრდილი დაინტერესება გამოიწვია გარემოსდაცვითი საკითხებით — მჟავურმა წვიმებმა, გლობალურმა დათბობამ, წყლის რესურსების დაკონსერვების საჭიროებამ, ტყეებისა და თევზის მრეწველობის პრობლემებმა ისეთი ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებამ, როგორიცაა ნავთობი, გაზი და სხვა მინერალები, უბიძგა სახელმწიფოთა მეთაურებს ეთანამშრომლათ გარემოსდაცვითი შეთანხმებების დასადებად. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ამგვარი შეთანხმებების უმეტესი ნაწილის გავლენა საკმაოდ შეზღუდულია, ვარაუდობენ, რომ მომავალში მათი რაოდენობა და მნიშვნელობა თანდათან უფრო გაიზრდება.

აღსასტული ბვლეემუტად: მიტთვული იატაღის გავტცელემის თავიდან აცილემა

განადგურების უზარმაზარი მასშტაბით გამოწვევის შესაძლებლობის გამო, ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი — ზოგჯერ მათ *ABC* იარაღს (ინგლისური *Atomic, Biological and Chemical Weapons*-ის — ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი. მთარგმნ. შენიშვნა) უწოდებენ — თავისთავად განსხვავებულ კატეგორიად კლასიფიცირდება. (ატომური იარაღი ასევე ბირთვული იარაღის სახელწოდებით არის ცნობილი; – ეს ორი სახელწოდება ურთიერთშემცვლელია). გარდა იმისა, რომ ამ იარაღს შეუძლია გამოიწვიოს სიცოცხლის განადგურება, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ფართომასშტაბიანი ეკოლოგიური დაბინძურება, მათი გამოყენების შედეგად ასევე მოხდება გენეტიკური მუტაციები, რასაც დიდი გავლენა ექნება მომავალ თაობებზე. რეალურად, მათ მიერ გამოწვეული ეფექტების პროგნოზირება ან გაკონტროლება საკმაოდ რთულია. სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვს ეს იარაღი, სურთ, რომ სხვა სახელმწიფოებს არ ჰქონდეს იგი. ერაყი და ჩრდილოეთი კორეა ის ორი სახელმწიფოა, რომელმაც სცადა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მტკიცედ უპირისპირდებოდნენ [თავისი ბირთვული პროგრამა აქვს ირანს — რედ. შენ.].

მართალია, არსებობს *ABC* იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებები (იხ. VIII თავი), მაგრამ ბევრი ის სახელმწიფოც კი, რომელსაც უკვე აქვს მასობრივი განადგურების იარაღი, უარს აცხადებს ამ შეთანხმებების ხელმოწერაზე. ლოგიკურია, რომ სახელმწიფოებრივი არასტაბილურობა და რეგიონული კონფლიქტები უფრო

საშიში გახდა მასობრივი განადგურების იარაღის სისტემების გავრცელების ალბათობის გამო. ცხელი წერტილები, მაგალითად, ჩრდილოეთ კორეა აზიაში, საფრთხეს უქმნის მსოფლიო სტაბილურობას. როგორც 17-1 ცხრილი გვიჩვენებს, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთა რაოდენობა ჯერ კიდევ საკმაოდ მცირეა, თუმცა, თუ 1960-იან წლებში ბირთვული იარაღის მფლობელთა რაოდენობა ხუთს შეადგენდა, დღეს ეს რიცხვი ცხრამდე გაიზარდა.

ცხრილი 17.1

ბირთვული იარაღის გავრცელება

აქვს ბირთვული იარაღი	სავარუდოდ, აქვს ბირთვული იარაღი	პირობა დადო, რომ არ შექმნის ბირთვულ იარაღს	უარი თქვა ბირთვულ იარაღზე	მიჩნეულია, რომ ცდილობს ბირთვული ირაღის მოპოვებას
ჩინეთი	ისრაელი	ალჟირი	ბელორუსია	ირანი
საფრან-გეთი		არგენტინა	ყაზახეთი	ერაყი*
დიდი ბრიტანეთი		ბრაზილია	უკრაინა	ლიბია*
ინდოეთი		გერმანია		ჩრდილოეთ კორეა
პაკისტანი		იაპონია		სირია
რუსეთი		სამხრეთი აფრიკა		
შეერთებუ-ლი შტატები				

** აშშ-ს ლიბიასთან დაახლოებისა და ერაყში ინტერვენციის შემდეგ ეს ქვეყნები აღარ ითვლებიან ბირთვუ-ლი ამბიციების მქონედ. რედ. შენ.)*

არანაკლებ აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ განვითარებად სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ღირებული ბუნებრივი რესურსები - მაგალითად, ნავთობით მდიდარი ლიბია, ირანი და ერაყი — მიიჩნევა, რომ სურს (ან სურდათ) ბირთვული იარაღის შექმნა. უფრო მეტიც, ეს ფაქტები კიდევ ერთხელ მიუთითებს ბირთვული იარაღის გავრცელების საფრთხეების რეალურობაზე. დღესდღეობით, ბირთვული იარაღის დასამზადებელი ტექნოლოგია ფართოდაა ცნობილი და მის დასამზადებლად საჭირო აუცილებელი ნივთიერებები (მაგალითად, გამდიდრებული ურანი) გაცილებით ადვილად მოიპოვება. ერთ-ერთი შეფასების თანახმად, 2000 წლისათვის დაახლოებით 40 სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა ბირთვული იარაღის საწარმოებლად საჭირო საშუალებები.[35] ამ იარაღის პოლიტიკური, სამხედრო და სიმბოლური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიამიტობაა ველოდოთ, რომ ქვეყნები (განსა-

კუთრებით, აგრესიული მიზნების მქონე ქვეყნები), რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი იარაღი, არ შეეცდებიან მის შექმნას.

რაც უფრო მეტი იქნება იმ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორების (მაგალითად, ტერორისტების) რაოდენობა, ვისაც ექნება ბირთვული, ბიოლოგიური თუ ქიმიური იარაღი, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ეს იარაღი გამიზნულად თუ უმიზნოდ იქნება გამოყენებული. გავრცელების უამრავი ფორმა არსებობს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის შემდეგ ბირთვული იარაღი მემკვიდრეობით ერგო რამდენიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას. ძლიერი დიპლომატიური ზეწოლის შედეგად ყაზახეთსა და უკრაინაში [ასევე ბელორუსში — მთარგმნ. შენ.] არსებული კონტინენტთაშორისი რაკეტები რუსეთს გადასცეს.

კიდევ ერთი კოშმარული სცენარი რეალობად იქცა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, როცა ტერორისტებმა ანტრაქსით (ციმბირული წყლულის ვირუსი) რამდენიმე თავდასხმა განახორციელეს. კიდევ უფრო დიდ საფრთხეს შეიცავდა შესაძლებლობა, რომ ტერორისტულ ქსელებს გამოეყენებინათ ატომური იარაღი დასახლებულ ადგილებში რადიაციის გასავრცელებლად ან ანტრაქსზე უფრო ძლიერი ბაქტერიული იარაღი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია

ახალ საერთაშორისო წესრიგში ზოგიერთი პროცესი მიუთითებს შეზღუდულ, მაგრამ მნიშვნელოვან ტენდენციაზე, რომელიც გარდაქმნის თანამედროვე ერ-სახელმწიფოებს (მაგალითად, გლობალური ეკონომიკისა და თანამშრომლობითი ორგანიზაციების ზრდა, როგორიცაა ვთქვათ ევროპის კავშირი). ასევე, ზოგიერთი პროცესი ერი-სახელმწიფოს დეზინტეგრაციაზე მიანიშნებს (მაგალითად, ეთნიკური დაძაბულობები). თანამედროვე რეალობის კურიოზული ფაქტი ის გახლავთ, რომ ეს ორივე ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია ერთდროულად აღინიშნება.

საინტერესოა, როგორ ჯდება საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია ამ მოდელში? ეჭვგარეშეა, რომ საინფორმაციო რევოლუცია რეალურად მიმდინარეობს. გლობალური კომუნიკაციების შესაძლებლობები გასაოცრად გაიზარდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. მურის კანონის თანახმად (გორდონ მური, ინტელის თანადამფუძნებელი) გამოთვლითი სიმძლავრე ერთ დოლარზე ყოველ 18 თვეში ორმაგდება: დღეს 2000 დოლარიანი ნოუთბუქი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე 10 მილიონდოლარიანი კომპიუტერი 1970-იან წლებში. ამას ემატება ისიც, რომ 1970-იან წლებში მხოლოდ დაახლოებით 50000 კომპიუტერი იყო მსოფლიოში; დღეს მათი რაოდენობა დაახლოებით 140 მილიონამდე გაიზარდა. როცა ტრანსატლანტიკურ სატელეფონო ხაზს ერთდროულად მხოლოდ 138 სატელეფონო საუბრის გადაცემა შეეძლო, დღეს ეს რიცხვი 1,5 მილიონს შეადგენს. ინტერნეტს მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 50 მილიონამდე მომხმარებელი ჰყავს და მათი რაოდენობა კვლავ იზრდება.

საინფორმაციო რევოლუციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ეფექტი ხელისუფლების მიერ საკუთარ მოქალაქეებზე კონტროლის დაწესების შესაძლებლობის შესუსტებაა. მოქალაქეებს მსოფლიოს მასშტაბით უკვე ხელი მიუწვდებათ ინფორმაციის დამოუკიდებელ წყაროებზე. ყველაფერი, დაწყებული მთავრობის კრიტიკით და დამთავრებული პორნოგრაფიით ან კრიმინალ-ტერორისტის

პირადი ვებ-გვერდით „შექმენი შენი საკუთარი ბირთვული იარაღი“, ხელმისაწვდომია ნებისმიერი ქვეყნისათვის, როგორც წესი, ხელისუფლების ძალისხმევის გარეშე. საინფორმაციო რევოლუცია თვით იმ ტრადიციულ კულტურებსა და ცივილიზაციებს უქმნის საფრთხეს, რომლებიც არ იზიარებენ დასავლურ ღირებულებებს.

რა თქმა უნდა, საინფორმაციო რევოლუციას მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგებიც აქვს, რომელთაგან ზოგიერთი დღეს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავინახოთ. მაგალითად, ზოგადად მიჩნეული იყო, რომ ტექნოლოგია ტირან მმართველებს საკუთარი ძალაუფლების გახანგრძლივების კუთხით შეეძლოთ გამოეყენებინათ (გავიხსენოთ ჯორჯ ორუელის მიერ მის კლასიკურ ნოველაში 1984 ტელეეკრანებისა და სხვა ტექნოლოგიების აღწერა, რომელსაც ტოტალიტარი მმართველები იყენებდნენ), მაგრამ საპირისპიროც შესაძლოა სიმართლე იყოს: საინფორმაციო რევოლუცია გარკვეულწილად ხელს უწყობს მსოფლიოში თავისუფლებას იმით, რომ იგი ურთულებს არადემოკრატიულ ლიდერებს საკუთარი მოქალაქეების კონტროლს. უფრო მეტიც, თუ ტექნოლოგია ხელს უწყობს თავისუფალი მთავრობების რაოდენობის ზრდას და დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან ომისაგან თავს იკავებენ, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნას უნდა შეუწყოს ხელი?

ეპოქალიპსური ხედვები: ცივილიზაციათა შეჯახება და ანარქია?

ახალი, აღმოცენებადი საერთაშორისო წესრიგი მართლაც რომ გადაიზარდოს უფრო მშვიდობიან ეპოქაში, იგი მშვიდობას ბოლომდე მაინც ვერ უზრუნველყოფს. კაცობრიობის ისტორიაზე თვალის გადავლებაც კი შეგვახსენებს, რომ კონფლიქტის არსებობა საუკუნეებს ითვლის. ასე რომ, დღევანდელ ცივი ომის შემდგომ ეპოქაში, მეცნიერები დაობენ არა იმაზე, იქნება თუ არა მომავალში კონფლიქტები, არამედ იმაზე, რითი იქნება იგი განსხვავებული წარსულში არსებული კონფლიქტებისაგან. სემუელ ჰანტინგტონი მომავალი კონფლიქტის ერთ-ერთ ყველაზე დამაინტრიგებელ და ამაღელვებელ ხედვას გვთავაზობს. ის ამტკიცებს, რომ ცივი ომის იდეოლოგიურ დაპირისპირებებს „ცივილიზაციათა შეჯახება“ შეცვლის:

> კონფლიქტების ფუნდამენტური წყარო ამ ახალ მსოფლიოში უკვე არც იდეოლოგია და არც ეკონომიკა არ იქნება. კაცობრიობის გამყოფი უმნიშვნელოვანესი საზღვრები და კონფლიქტის უპირატესი წყაროები კულტურით განისაზღვრება. ერი-სახელმწიფო მთავარ მოქმედ პირად დარჩება საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ გლობალური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტები გაიშლება ერებსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას ეკუთვნიან. ცივილიზაციათა შეჯახება მსოფლიო პოლიტიკის დომინირებადი ფაქტორი გახდება. მომავალში, ცივილიზაციათა გამყოფი საზღვარი იქნება ახალი ფრონტის ხაზი.[36]

ჰანტინგტონის განმარტებით *ცივილიზაცია არის* „ადამიანთა უმაღლესი კულტურული დაჯგუფება და მათი კულტურული იდენტობის უმაღლესი დონე, რომელიც ადამიანებს სხვა ცოცხალი არსებებისაგან განასხვავებს“.[37] ამას გარდა, დიდი თუ

პატარა, ბევრისა თუ მხოლოდ ერთის მომცველი ცივილიზაცია, ორი ძირითადი თავისებურებით ხასიათდება. პირველში შედის ობიექტურ ფაქტორები, როგორიცაა ენა, ისტორია, ჩვეულებები, ინსტიტუტები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რელიგია.[38] იდეები მიეკუთვნება მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას. ასე რომ, მაშინ, როცა იდეები ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის, კონსტიტუციონალიზმის, ადამიანის უფლებების, თანასწორობის, თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის თაობაზე დასავლური კულტურის ფუნდამენტური ასპექტებია, ჰანტინგტონი თვლის, რომ „ეს ღირებულებები მცირედ თუ აისახება ისლამურ, კონფუციურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ ან მართლმადიდებლურ კულტურებში.“[39] ჰანტინგტონს მიაჩნია, რომ მომავალი კონფლიქტები მჭიდროდ იქნება დაკავშირებული კულტურულ იდენტობებთან და ადამიანების სურვილთან, იბრძოლონ და მოკვდნენ იმ ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვისათვის, რომელთაც საფრთხეს ამერიკანიზაცია, ვესტერნიზაცია და გლობალიზაცია უქმნის (რაც განვითარებად სამყაროში ბევრი ადამიანის გონებაში ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებებია).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს განმსაზღვრელ თავისებურებას ეთნიკური დაძაბულობები და კონფლიქტები შეადგენს. ჰანტინგტონმა თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტების ბუნება და გეოგრაფია შეისწავლა. მაგალითად, მათ შორის, დაპირისპირება ქრისტიანობაზე დაფუძნებულ დასავლურ ევროპასა და ისლამურ ცივილიზაციაზე დაფუძნებულ არაბულ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას შორის. აქ ეთნიკურმა დაძაბულობამ ძალადობრივი ფორმა მიიღო, მაგალითად, დასავლეთის სახელმწიფოების მიერ წამოწყებული სამხედრო ინტერვენციები (როგორიც იყო სპარსეთის ყურის ომი 1991 წელს) და ტერორირისტების ანტიდასავლური აქტები ისლამურ და არაბულ სახელმწიფოებში (განსაკუთრებით, ირანში, ერაყში, ლიბიაში, ეგვიპტესა და სირიაში). კულტურათა და ცივილიზაციათა შეჯახების სხვა მაგალითები არსებობს ბალკანეთში, სადაც მართლმადიდებელი ქრისტიანები და მუსლიმები მტრობენ ერთმანეთს, ისევე, როგორც ძველი რუსეთის იმპერიის პერიფერიებში. დაპირისპირებამ ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყო ოსები და ინგუშები რუსეთში, სომხები და აზერბაიჯანელები — კავკასიაში.

ჰანტინგტონის ხედვით, ცივილიზაციათა შეჯახება მოიცავს არა მხოლოდ მსოფლიოს რეგიონებს შორის კონფლიქტებს, არამედ ასევე კულტურულ კონფლიქტებს იმ არეალში, სადაც ორი ცივილიზაცია თანაარსებობს. მაგალითად, აზიაში ჩინური და იაპონური ცივილიზაციები უპირისპირდება ერთმანეთს, ისევე, როგორც ჩინელები და ტიბეტელები (ბუდისტები), ჩინელები და ინდოელები (ინდუსები) და ჩინელები და მუსლიმები (ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში). ინდოეთის სუბკონტინენტზე, ინდუისტური უმრავლესობა ინდოეთში ებრძვის საკუთარ მრავალრიცხოვან მუსლიმურ უმცირესობას, ისევე, როგორც მეზობელ პაკისტანს.

ევროპაში კულტურული დაყოფა დასავლურ, ანუ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იზიარებენ კათოლიკურ, აღორძინების, რეფორმაციის, განმანათლებლობისა და ინდუსტრიული რევოლუციის იდეებს და აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ძირითადად სლავური და მართლმადიდებლურია და დასავლეთის უმთავრესი რელიგიური და ინტელექტუალური მიღწევებისაგან განზე რჩებიან, ჩაენაცვლა დიდ დაპირისპირებას რკინის ფარდის ჩამოხსნის შემდეგ. დღეს მას „ხავერდის ფარდას“ უწოდებენ. და ბოლოს, დასავლეთი ნახევარსფერო ორი განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობის სამშობლოა. ჩრდილოეთი ამერიკა

(ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა) ანგლოფონურია და მკვეთრად განიცდის ბრიტანული და ჩრდილოეთ-ევროპული კულტურის, მათ შორის პროტესტანტიზმის, გავლენას. მექსიკა, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა ძირითადად ესპანურენოვანი და კათოლიკურია და ადგილობრივი და იბერიული კულტურების სინთეზს წარმოადგენს.

ჰანტინგტონი აქცენტს აკეთებს, რომ ***ნათესავი ქვეყნის სინდრომი,*** რომლის შესაბამისადაც სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები და ლიდერები კულტურულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში აშკარად იჩენს თავს. მაგალითად, 1991 წელს სპარსეთის ყურის ომში, არაბი ელიტაც და მოსახლეობაც ერაყს ფარგლებს გარეთ დასავლეთის საწინააღმდეგოდ განეწყო. არაბთა მხარდაჭერა სხვა არაბულ-ისლამური ქვეყნის მიმართ, რომელსაც თუნდაც ისეთი სასტიკი დიქტატორი მართავდა, როგორიც სადამ ჰუსეინი იყო, ნათესაური სინდრომის გამომჟღავნების მხოლოდ ერთი მაგალითია. სხვა მაგალითებია თურქების მიერ აზერბაიჯანის (მუსლიმური) მხარდაჭერა სომხეთის წინააღმდეგ (ქრისტიანული) ან დასავლეთის მიერ მართლმადიდებელი სერბების დასჯა, ასევე ბოსნიელი მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებული სისასტიკე.

უფრო მეტიც, ჰანტინგტონი ახდენს „გახლეჩილი ქვეყნების“ იდენტიფიცირებას, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციასა და კულტურას მიკუთვნებული ხალხებისაგან შედგება და დეზინტეგრაციის პირველი კანდიდატები არიან. ამის ნათელი მაგალითებია საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია და მექსიკა. კონფლიქტები გახლეჩილ ქვეყნებში ადვილად შეიძლება გადაიზარდოს სხვადასხვა ცივილიზაციას მიკუთვნებულ სახელმწიფოებს ან ჯგუფებს შორის ომში.

ყველაზე უფრო ავისმომასწავებელი ელემენტი ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორიაში არის გლობალური კონფლიქტის შესაძლებლობა დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის (ჰანტინგტონის სიტყვებით „დასავლეთი — დანარჩენის წინააღმდეგ“). არაბულ სახელმწიფოებსა და ჩინეთს შორის პოლიტიკური კავშირების განვითარება ისლამურ-კონფუციური ალიანსის შექმნას მოასწავებს. ოსამა ბინ ლადენის ალ ქაიდას მოძრაობის წარმოშობა ანტიდასავლური, ანტიიუდეურ-ქრისტიანული განწყობებით ამაგრებს ჰანტინგტონის მთავარ თეზისს, მიუხედავად იმისა, რომ მას (ჰანტინგტონს) არ უწინასწარმეტყველებია, რა ფორმას მიიღებდა ცივილიზაციათა შეჯახება ახალ საუკუნეში. თვით ფაქტი, რომ ოსამა ბინ ლადენმა ფორმალურად გამოაცხადა *ჯიჰადი* „დამპყრობლების“ წინააღმდეგ და მუსლიმების მოვალეობად აქცია „ამერიკელების განადგურება ყველგან “[40] მიუთითებს, რომ ამერიკელების მიერ მართული კამპანია საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ კონფრონტაცია ურჩ არასახელმწიფოებრივ აქტორსა და მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს შორის. რას ნიშნავს ეს ზუსტად, ჯერ კიდევ დასადგენია. დაგმობენ კი არაბული ქვეყნები არა მხოლოდ ბინ ლადენს, არამედ ტერორიზმსაც? შეძლებს ამერიკის შეერთებული შტატები, გამონახოს გზა არაბთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად (განსაკუთრებით პალესტინელთა მისწრაფებების) ისე, რომ ამან ისრაელთან მისი განსაკუთრებული ურთიერთობების გაწყვეტა არ გამოიწვიოს?

ჰანტინგტონის თეზისი გამოჩენისთანავე ფართოდ იქნა განხილული და აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორც ყველა იდეა მსოფლიოში, ისიც მალევე მიეცა დავიწყებას, ყოველ შემთხვევაში 2001 წლის 11 სექტემბრამდე მაინც. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტებით გამოწვეულმა შოკმა და შიშმა განაპირობა, რომ

ამერიკელებს ეძებნათ პასუხები ისეთ კითხვაზე, როგორიცაა: რატომ ვძულვართ მათ ასე ძალიან? პასუხის ძიებამ კვლავ გამოიწვია დაინტერესება ამ თემაზე დაწერილი ნაშრომებით, მათ შორის ჰანტინგტონის, ჩალმერს ჯონსონისა და ჟურნალისტ რობერტ კაპლანის ნაშრომებით, რომელმაც 1994 წელს — იმ წელს, როდესაც პირველად დაიბომბა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, ჟურნალ *Atlantic Monthly*-ში დაბეჭდა სტატია „მომავალი ანარქია".[41]

კაპლანი ამტკიცებს, რომ „მსოფლიო რუკის დანაწევრება და გადაკეთება მხოლოდ ახლა იწყება." ერი-სახელმწიფო იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი ჩვენთვის არის ცნობილი, უკვე მოძველებულია და მისი ჩანაცვლება მოხდება არა უფრო დიდი რეგიონული დაჯგუფებებით ან მსოფლიო სახელმწიფოთი (ისე, როგორც ამას იდეალისტები სულელურად წინასწარმეტყველებდნენ II მსოფლიო ომის შემდეგ) არამედ, კაპლანის შეხედულებით, პოლიტიკური ქარბორბალების უფორმო ძალით, რომელიც ისაზრდოებს უზარმაზარი და საკმაოდ არასტაბილური ურბანული კონცენტრაციით, როგორიც არის მომავლის გადატვირთული, ქაოსური, კრიმინალური ქალაქები. სურათი, რომელსაც კაპლანი გვიხატავს, შემაშფოთებელია:

> წარმოიდგინეთ ჰოლოგრამის მსგავსი კარტოგრაფია სამ განზომილებაში. ამ ჰოლოგრამაში იქნება ჯგუფებისა და სხვა ერთეულების ურთეირთგადამკვეთი დაკიდული შრეები, ქალაქი-სახელმწიფოებისა და სხვა ერების ორგანზომილებიანი ფერადი ნიშნულების ზემოთ, რომელიც აღნიშნავს ნარკოკარტელების, მაფიების და უსაფრთხოების კერძო სააგენტოთა ძალაუფლებას. საზღვრების მაგივრად იქნება ძალაუფლების მოძრავი ცენტრები, შუა საუკუნეების მსგავსად. ამ შრეთაგან ბევრი იქნება მოძრავი. სწორ ადგილზე ფიქსირებული და უხეშად გავლებული ხაზების მაგივრად იქნება ბუფერული ერთეულების ცვალებადი ნახაზი, ქურთული და აზერბაიჯანული ბუფერული ერთეულების მსგავსად თურქეთსა და ირანს შორის. ამ პროტეანულ კარტოგრაფიულ ჰოლოგრამას ასევე უნდა დავუმატოთ სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა, მოსახლეობის მიგრაცია, დაავადებების გავრცელება. ასე, რომ ამგვარი მსოფლიოს რუკა არასოდეს იქნება სტატიკური. ეს მომავალი რუკა, სავარაუდოდ ბოლო რუკაც კი, ქაოსის მუტაციის ანარეკლი იქნება.[42]

დასავლეთი აფრიკა ამგვარი ულმობელი მომავლის მაგალითია, სადაც საზღვრები რეალურად ქრება, საზოგადოება ხდება ეთნიკური კონფლიქტის წყარო, პოლიცია და პოლიტიკური ძალაუფლება თანდათანობით ქრება ამ სურათიდან, კრიმინალები, ყაჩაღები და კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები აკონტროლებენ ვაჭრობას, ძალადობა გახშირებულია, ავადმყოფობა ისეა მოდებული ქალაქგარეთ, როგორც მკვლელი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, დახოცოს ყველა ცოცხლად დარჩენილი.

რა ფორმას მიიღებს მომავალი კონფლიქტები, იქნება ეს ერი-სახელმწიფოების დეზინტეგრაცია თუ ცივილიზაციათა გლობალური მასშტაბის შეჯახება, ჯერაც გაურკვეველი რჩება. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ომის ღრუბლები გააგრძელებს პოლიტიკის სათამაშო მოედნების წყვდიადში მოქცევას ყველა დონეზე — ლოკალურზე, რეგიონულზე და საერთაშორისოზე. ისიც ეჭვგარეშეა, რომ ლოკალური კონფლიქტები ზოგიერთი სახელმწიფოს არსებობასა და ხელისუფლების სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის და ისიც, რომ ერთ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილურობის მეზობელ სახელმწიფოებში გადადინებაც მოხდება. კონფლიქტის შეჩერებისა და ომის შემცირების წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება ამავე მიზნები-

სათვის II მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო ინსტიტუტების ეფექტიანობაზე. ეს ინსტიტუტები, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჩვენი ყურადღების ცენტრში ამ წიგნის დასკვნით თავში მოექცევა.

ანარქია აფრიკაში

სიერა-ლეონესა თუ დასავლეთ აფრიკის დანარჩენ ნაწილში ტირანია უცხო ხილი ნამდვილად არ არის. ის უკვე გაზრდილი უკანონობის შემადგენელი ნაწილია, რაც, საკუთარი მნიშვნელობით, ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ნებისმიერი სახის სახელმწიფო გადატრიალება, ამბოხება თუ დემოკრატიის დამკვიდრების ეპიზოდური ექსპერიმენტები. დანაშაული იყო ის თემა, რაზედაც ჩემს მეგობარს, მაღალი თანამდებობის აფრიკელ სახელმწიფო მოხელეს (რომლის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, თუ დავასახელებ), ნამდვილად სურდა საუბარი. დანაშაულის თემა აქცევს დასავლეთ აფრიკას ჩემი მოსაზრებების ამოსავალ წერტილად იმის თაობაზე, თუ როგორი პოლიტიკური ხასიათი ექნება ჩვენს პლანეტას XXI საუკუნეში. დასავლეთ აფრიკის ქალაქები, განსაკუთრებით ღამით, ყველაზე საშიში ადგილებია დღევანდელ მსოფლიოში: ჩაბნელებული ქუჩები; პოლიციას ხშირად არა აქვს საწვავი სატრანსპორტო საშუალებებისათვის; შეიარაღებული ღამის ქურდები და მანქანების მძარცველები მრავლად არიან. „ მთავრობა სიერა-ლეონეში დაღამების შემდეგ ყოველგვარი გავლენის გარეშე რჩება," ამბობს ერთ-ერთი უცხოელი. 2000 წლის სექტემბერში, როდესაც დედაქალაქში, ფრითაუნში ვიყავი, კალაშნიკოვის ავტომატით შეიარაღებული 8 პირი შეიჭრა ერთი ამერიკელის საცხოვრებელ სახლში. მათ ის შებოჭეს და გაძარცვეს. დაივიწყეთ მაიამი: უსაფრთხოების ადეკვატური ზომების არარსებობის გამო აშშ-ს ტრანსპორტის მდივნის გადაწყვეტილებით შეწყდა პირდაპირი ფრენები ამერიკასა და მუჰამედ მურტალას სახელობის აეროპორტს შორის, რომელიც მეზობელ ნიგერიულ ქალაქ ლაგოსში მდებარეობს. ეს ერთ-ერთია, იმ არცთუ მრავალრიცხოვან შემთხვევას შორის, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უცხო ქვეყნის აეროპორტს დანაშაულებრივი კავშირების გამო ემბარგო დაადო. აბიჯანში, სპილოს ძვლის სანაპიროს დედაქალაქში, რესტორნებში შენს მანქანასა და შესასვლელს შორის, თხუთმეტიოდე ნაბიჯის მოშორებით მოძრაობენ შეიარაღებული დაცვის სამსახურის წარმომადგენლები და გექმნება შემზარავი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს ამერიკის ქალაქები მომავალში. იტალიელი ელჩი დაიღუპა მაშინ, როცა მძარცველები თავს დაესხნენ აბიჯანის ერთ-ერთ რესტორანს. ნიგერიელი ელჩის ოჯახის წევრები თავის საცხოვრებელშივე შებოჭეს და გაძარცვეს. უნივერსიტეტის სტუდენტებმა სპილოს ძვლის სანაპიროში დაიჭირეს ყაჩაღები, რომლებიც მათ საცხოვრებლებს ძარცვავდნენ, ყელზე ყულფი მოაბეს და დაწვეს. ყველაფერს სპილოს ძვლის სანაპიროს ერთ-ერთი პოლიციელი უყურებდა, მაგრამ შიშით ჩარევას ვერ ბედავდა. როცა აბიჯანის ავტობუსის სადგურზე მივდიოდი, ახალგაზრდა ადამიანების ჯგუფი მოუსვენარი თვალებით უყურებდა ჩემს ტაქსს, ხელს ურტყამდნენ მანქანის მინებს და მოითხოვდნენ ქირას ჩემი ბარგის წაღებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი პატარა ხელჩანთა მქონდა. დასავლეთ აფრიკული ექვსი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ყველგან ვხედავდი ახალგაზრდა ადამიანების ასეთ-

სავე ბრბოებს. ისინი ჰგავდნენ გათავისუფლებულ მოლეკულებს ძალიან არასტაბილურ საზოგადოებრივ გარემოში, რომელიც აალების პირას იყო მისული. „როგორც ხედავ, აფრიკის სოფლებში ბუნებრივ მოვლენად არის მიჩნეული, იკვებო ნებისმიერ მაგიდაზე და თავი შეაფარო ნებისმიერ ქოხს, მაგრამ ქალაქებში ამგვარი თემური პირობები უკვე აღარ არსებობს — ღამის გასათევად უნდა გადაიხადო და საჭმელად უნდა მიგიწვიონ. როდესაც ახალგაზრდა ადამიანები აღმოაჩენენ, რომ ნათესავები ვეღარ შეიფარებენ, ისინი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, უერთდებიან სხვა ემიგრანტებს და თანდათანობით კრიმინალურ საქმიანობაშიც ერთვებიან“, — მითხრა ჩემმა მეგობარმა მინისტრმა.

„არაბული ჩრდილოეთ აფრიკის გაღარიბებულ ნაწილებში,“ — გააგრძელა მან, — „ნაკლები დანაშაულია, იმიტომ, რომ ისლამი უზრუნველყოფს სოციალურ სიმტკიცეს: განათლებისა და ინდოქტრინაციის გზით. აქ, დასავლეთ აფრიკაში, ზედაპირულად ისლამიც და ქრისტიანობაცაა წარმოდგენილი. დასავლური რელიგია ძირგამოთხრილია ანიმისტური რწმენებით, რომელიც შეუთავსებელია მორალურ საზოგადოებასთან, რადგანაც ის დაფუძნებულია ირაციონალურ სულის ძალაუფლებაზე. აქ სული გამოყენებულია, რათა ნებაზე მიუშვან ერთი პიროვნების შურისძიება მეორის საწინააღმდეგოდ ან ერთი ჯგუფისა მეორის წინააღმდეგ.“ ლიბერიის სამოქალაქო ომის დროს ჩადენილი ბევრი ძალადობა *ჯუჯუს* სულის რწმენას უკავშირდებოდა. *BBC*-იმ თავის ჟურნალ *Focus on Africa*-ში აღწერა, რომ სიერალეონეს სამოქალაქო ომში ამბოხებულებს „წინ მიუძღოდა ახალგაზრდა სრულიად შიშველი ქალი უკუსვლით, რომელიც გზას სარკეში ხედავდა. სიშიშვლე მას არმიის პოზიციების გადაკვეთას უადვილებდა და იქ მარხავდა თავის სილამაზეს... რათა აჯანყებულთა წარმატების შანსი გაეზარდა.“

ნაწყვეტი Robert D. Kaplan-ის წიგნიდან *The Coming Anarchy, New York: Vintage Books, 2001, 4-6.*

დასკვნა

ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის გამო საერთაშორისო პოლიტიკის მოქმედება მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფო თუ შიდა პოლიტიკასაგან. ქალაქ მელოსის ბედისწერა საერთაშორისო არენაზე სამხედრო ძლიერების უპირატესი მნიშვნელობის ილუსტრირებას ახდენს. ძალაუფლებისათვის ბრძოლა საერთაშორისო სისტემის ბუნების შემადგენელი ნაწილია. ყოველი სუვერენული სახელმწიფო სტატუს კვოს შეცვლის მსურველ სხვა სახელმწიფოსთან კონკურენციის პირობებში საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას ცდილობს. ეროვნული ინტერესის კონცეფცია ორაზროვანია, თუმცა, მოიცავს ყველაფერს, რასაც სახელმწიფო ლიდერები საკუთარი ქვეყნის გრძელვადიანი უსაფრთხოებისა თუ კეთილდღეობის ხელშემწყობად მიიჩნევენ.

საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევარებმა უნდა განასხვავონ ერთმანეთისაგან საგარეო პოლიტიკური მიზნები და ამ მიზნების მიღწევის საშუალებები. სახელმწიფოები სხვადასხვა საშუალებებს ირჩევენ, თუმცა, ეს არჩევანი ყოველთვის

ერთი უმთავრესი მიზნით — სახელმწიფოების ძლიერების ზრდის სურვილითაა განპირობებული. ზოგიერთი სახელმწიფო კმაყოფილია ძალის არსებული გადანაწილებით და მხოლოდ არსებული სტატუს კვოს შენარჩუნებას ცდილობს, სხვები უკმაყოფილონი არიან და შესაბამისად, მისი შეცვლისაკენ ისწრაფვიან. ყველა სახელმწიფო, რომელსაც სურს კონკურენტუნარიანი იყოს საერთაშორისო არენაზე, მუდმივადაა ჩართული საკუთარი ძლიერების გაზრდის პროცესში. მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო თუ ახერხებს, თავი აარიდოს ძლიერების შენარჩუნებასა და ძლიერების გაზრდას შორის არჩევანის გაკეთებას; ისინი, ზოგადად, ძალის პოლიტიკის უარყოფას ცდილობენ.

მონროს დოქტრინა მიზნად ისახავდა გაეხანგრძლივებინა რეგიონული სტატუს კვო დასავლეთ ნახევარსფეროში; ასევე, საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხის შეკავება შესაძლებელი იყო გლობალური სტატუს კვოს სტრატეგიით, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიმუშავა II მსოფლიო ომის შემდეგ. ცივი ომის შემდეგ პერიოდში, ზოგიერთმა პოლიტოლოგმა პოლიტიკური რეალიზმის თეორიაზე დაყდნობით დაიწყო მტკიცება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა მიემართა იზოლაციონიზმის სტრატეგიისათვის. სხვების აზრით კი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის მთავარი მახასიათებლები მნიშვნელოვანი მექანიზმი იყო თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის გასაგებად და ამერიკის საგარეო პოლიტიკის განსასაზღვრად. მართალია, პოლიტიკური რეალიზმი წარსულში საერთაშორისო პოლიტიკის ახსნას გვთავაზობდა, დღეს მას აკრიტიკებენ ზნეობის საკითხის მიმართ მისი ინდიფერენტული დამოკიდებულებისა და ეროვნული ინტერესის კონცეფციაზე აქცენტირების გამო, გლობალური პრობლემების არსებობის ფონზე.

ტრადიციული ძალთა წონასწორობის სისტემა, რომელიც ფორმალურად 1648 წლიდან არსებობდა, შეზღუდული იყო მასშტაბით. ევროპული სისტემის ერთი უპირატესობა ის იყო, რომ მისი ყველა წევრი იზიარებდა საერთო ღირებულებებსა და რწმენებს. დიდი ბრიტანეთი მოქმედებდა, როგორც წონასწორობის დამცველი. ევროპული სისტემა მუშაობდა, რადგან მიზნები და საშუალებები შეზღუდული, ხოლო ალიანსები მოქნილი იყო. XIX საუკუნის განმავლობაში ამ პირობების შეცვლამ ძალთა წონასწორობის სისტემის დაშლას დაუდო სათავე.

II მსოფლიო ომის შემდეგ, ძველი ევროპული მულტიპოლარული სისტემის ადგილზე ბიპოლარული სისტემა ჩამოყალიბდა. გეოგრაფიულად უფრო ფართე, ვიდრე მისი წინამორბედი, ამ ბიპოლარული სისტემის მთავარი მახასიათებელი იყო სასტიკი დაპირისპირება ორ სუპერსახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. სიღრმისეული იდეოლოგიური განსხვავებები და ბირთვული ჰოლოკოსტის საფრთხე ამ მეტოქეობის თავისებურება იყო. 1960-იანი წლების ბოლოსთვის, სტრატეგიული ჩიხის ვითარებამ, რომელიც ეფუძნებოდა ურთიერთ შეკავებას, ამ ორ ტიტანს შორის ომი ირაციონალური გახადა.

საბჭოთა კავშირის დაშლასა და ცივი ომის დამთავრებასთან ერთად, ახალი საერთაშორისო წესრიგი იწყებს აღმოცენებას. საყურადღებოა, რომ ეს ძალთა წონასწორობის სისტემა კი არ არის, არამედ იგი სხვადასხვა სახის ტენდენციებს ამჟღავნებს. უფრო მეტიც, საკმარისი საფუძველია იმისათვის, რათა ვირწმუნოთ, რომ ეს სისტემა დროებითი და გარდამავალი იქნება.

აღმოცენებადი საერთაშორისო წესრიგი უნიპოლარულია, რომლის სათავეში ამერიკის შეერთებული შტატებია. თანამშრომლობა და კონკურენცია ეკონომიკური

საკითხების გარშემო გაიზარდა. უფრო მეტიც, ეკონომიკური ძლიერება კონცენტრირებული ხდება სამ რეგიონში: დასავლეთ ევროპაში, ამერიკასა და იაპონიაში. დამაფიქრებელია მსოფლიო მასშტაბით ეთნიკური კონფლიქტების რაოდენობის ზრდა. გაუმჯობესებული საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემები უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. თუმცა, განვითარებად ქვეყნებში მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება მსოფლიო სტაბილურობას საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი კონფლიქტების წყარო უცნობია, ერთი გავლენიანი მეცნიერის მტკიცებით, ის კულტურული განსხვავებულობიდან ამოიზრდება და მას ცივილიზაციათა შეჯახების ფორმა ექნება.

საკვანძო სიტყვები

პოლიტიკური რეალიზმი
ძალთა წონასწორობის სისტემა
წონასწორობის დამცველი
ბიპოლარული სისტემა
მარშალის გეგმა
ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების
ორგანიზაცია (ნატო)
ვარშავის ხელშეკრულება
ეროვნული ინტერესი
სტატუს კვოს სტრატეგია
ექსპანსიონიზმი
ნეიტრალიტეტი
მიუმხრობლობა
მონროს დოქტრინა
შეკავება
ტრუმენის დოქტრინა
იდეალიზმი
გლობალიზაცია
საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ნათესავი ქვეყნის სინდრომი

კითხვები გამოცდისათვის

1. რას გვეუბნება ათენელთა და მელოსელთა დაპირისპირების თუკიდიდესეული აღწერა საერთაშორისო პოლიტიკის ბუნების თაობაზე?
2. რა მოიაზრება პოლიტიკისადმი მაკიაველისტურ დამოკიდებულებაში? რა სახის მსოფლმხედველობას გულისხმობს ამგვარი მიდგომა?
3. რას გულისხმობს ცნება „ეროვნული ინტერესი“? როგორ იყენებენ პოლიტიკური რეალისტები ამ ტერმინს?
4. რომელი ორი ძირითადი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია არის ხელმისაწვდომი სახელმწიფოებისათვის?
5. რა იგულისხმება ძალთა წონასწორობაში? როგორ მუშაობდა ტრადიციული ევროპული ძალთა წონასწორობის სისტემა? რა იყო მისი მთავარი მახასიათებლები? რატომ შეძლო მან მეტ-ნაკლებად წარმატებულად ფუნქციონირება 260 წლის განმავლობაში?
6. რამ გამოიწვია კლასიკური ევროპული ძალთა წონასწორობის სისტემის რღვევა?

7. რითი განსხვავდებოდა II მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემა მისი წინამორბედებისაგან?
8. არის თუ არა დღეს ძალთა წონასწორობა?
9. რა ქმნის მშვიდობის მთავარ საფრთხეს დღევანდელ მსოფლიოში?

შენიშვნები

1. ციტირებები ამ დისკუსიიდან ეკუთვნის თუკიდიდეს 'The Melian Conference,' in Readings in World Politics, მე-2 გამოც., რედ., Robert Goldwin and Tony Pearce (new York: Oxford University Press, 1970),472-478.
2. Niccolo Machiaveli, The Prince, in The Prince and Discourses (New York: Modern Library, 1952), 56.
3. იქვე, 64
4. Hans J. Morgenthau, Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, მე-5 გამოც., (New York: McGraw-Hill, 1992), 11.
5. იქვე, 22-23.
6. იქვე, 11.
7. იქვე, 11.
8. იქვე, 221-223.
9. იქვე, 27.
10. ციტირებულია, Alexander De Conde, A History of American Foreign Policy: Growth to World Power, tomi 1, მე-3 გამოც., (New York: Scribner's, 1978), 130.
11. Alexis De Tocqueville, Democracy in America, tomi 1 (New York: Schocken Books, 1961), 522.
12. George F. Kennan, ``Sources of Soviet Conduct,`` in Caging the Bear: Containment and the Cold War, red. Charles Gati (Indianapolis: Bobbs-Merrill, 1974), 18.
13. Congressional Record, 80 Cong., 1st sess. (March 1947), 1981.
14. იხ. Chalmers Johnson, Blowback: The Costs and Consequences of American Empire (New York: Holt, 2000).
15. იქვე, 8.
16. იქვე.
17. იქვე, 9.
18. იქვე.
19. იქვე, 11.
20. მაგალითისათვის იხ. Alan Tonelson, ``What is the National Interest?`` in America's National Interest in a Post Cold War World, red. Alvin Z. Rubinstein (New York: McGraw-Hill, 1994), 56. aseve, Barbara Conry, U.S. ``Global Leadership``: A Euphemism for World Policeman, Policy Analysis No. 267 (CATO Institute, February 8, 1997).
21 Max Singer and Aaron Wildavsky, The Real World Order: Zones of Peace/Zones of Turmoil (Chatham House, 1996), 5-6.
22. იქვე, 199.
23. იქვე, 5.
24. Martin Gilbert, The Roots of Appeasement (New York: New American Library, 1996).

25. მიუხედავად რამდენიმე ექსპერტის განცხადებისა, რომ პრეზიდენტ კლინტონმა ამგვარი პოლიტიკის გატარებით განიმტკიცა პოლიტიკური კავშირები აფრო-ამერიკელ კონგრესმენებთან, მაინც უნდა დავუშვათ, რომ ეს მის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა. ალტრუიზმის საინტერესო შემთხვევა მოხდა 1920-1921 წლებში, როდესაც საზარელი შიმშილი სუფევდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ ანტიკაპიტალისტური რევოლუციების აქტიური მხარდაჭერისა, ამერიკის მთავრობამ დახმარების ორგანიზაცია (ჰუვერის კომისია) შექმნა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მილიონობით დოლარის ღირებულების საკვები იქნა გაგზავნილი და მილიონობით ადამიანი გადარჩა ვოლგის რეგიონში. იმ პერიოდის ოფიციალურმა საბჭოთა გაზეთმა აღნიშნა კიდევაც, რომ „ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის, მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღმოგვიჩინა დროული და რეალური დახმარება." ციტ. Adam Ulam, Expansion and Coexistence: Soviet Foreign Policy, 1917-1973, მე-2 გამოც., (New York: Praeger, 1974) 148.
26. ციტ. Marvin Jones, The Fifteen Weeks (New York: Harbinger, 1955), 256.
27. Raul Hilberg, The destruction of the European Jews (New York: Harper&Row, 1961), 358-359.
28. Arnold Wolfers, Discord and Collaboration: Essays on International Politics (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1965), 93.
29. მოსაზრება, რომ იდეალიზმსა და რეალიზმს შორის განსხვავება იგივეა, რაც განსხვავება პრინციპსა და გონივრულობას შორის ნათან ტარკოვს ეკუთვნის. Nathan Tarcov, Principle and Prudence in Foreign Policy: The Founders Perspective, The Puiblic Interest 76 (Summer 1984) 45-60.
30. Jessica Tuchman Mathews, ``The Environment and International Security,`` in World Security: Challenges for a New Century, მე-2 გამოც., რედ. Michael Klare and Daniel Thomas (New York: St. Martin Press, 1994), 286.
31. განსაკუთრებით გამოსადეგია Charles Krauthammer, ``The Lonely Superpower,`` New Republic, July 29, 1991. 23-27. ჩვენი მსჯელობა რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტში რაუტჰამმერ-ისას ემთხვევა.
32. Joan Edelman Spero, The Politics of International Economic Relations, მე-4 გამოც., (New York:St. Martin's Press, 1990), 229.
33. Donald Horowitz, 'Ethical and National Conflict', in World Security Challenges for a New Century, red. Klare and Thomas, 175.
34. იქვე, 176.
35. Charles Kegley, Jr., and Eugene Wittkopf, World Poitics: Trend and Transformation, მე-6 გამოც., (New York: St. Martin's Press, 1997), 395-396.
36. Samuel Huntington, 'The Clash of Civilizations?' Foreign Affairs 72 (Summer 1993): 22-43; and Samuel Huntington, 'If Not Civilizations, What? Paradigms of the Post-Cold War Era', Foreign Affairs 72 (December 1993): 24-39; amis Semdeg, hantingtonma am sakiTxis Sesaxeb sakuTari TvalTaxedva gamoaqveyna wignSi The Clash of Civilizations and the Remaking of World Order (New York: Simon & Schuster, 1996).
37. Huntington, 'Clash of Civilizations', 24.
38. იქვე, 25, 26.
39. იქვე, 40.

40. Judith Miller, 'A Child of Privilege Who Champions Terror', New York Times, September 14, 2001, veb-gverdi.
41. Robert D. Kaplan, The Coming Anarchy (New York: Vintage Books, 2001). ეს ბესტსელერი არსებითად გამოქვეყნებულ ნაშრომთა კრებულია.
42. იქვე, 50-51.



თავი XVIII

საერთაშორისო ორგანიზაციები

მრბილა წესრგისთვის

არასახელმწიფო აქტორები მსოფლიო ასპარეზზე

მულტინაციონალური კორპორაციები • საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორანიზაციები

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)

ისტორიული ფონი: ერთა ლიგა • გაეროს დაარსება • გაერო ცივი ომის დროს • გაერო ცივი ომის შემდეგ • დიდი საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემები

საერთაშორისო სამართალი

სარგებლიანობა • შესრულება და იძულება • საერთაშორისო სამართალი თანამედროვე ეპოქაში • საერთაშორისო სამართლის შეზღუდულობა • საერთაშორისო სამართლის შეფასება

მუდმივი სწრაფვა მშვიდობისაკენ

თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისათვის — უხსოვარი დროიდან ეს გამონათქვამი პოლიტიკურ რეალისტთა კრედო იყო. ისტორია გვასწავლის, რომ კონფლიქტი ადამიანური რეალობის ნაწილია და ომის თავიდან აცილება ან მერე შეჩერება, საუკეთესო შემთხვევაში, სიფხიზლითა და სამხედრო მზადყოფნის პოლიტიკითაა შესაძლებელი. თუმცა ამ შეხედულებას ყოველთვის ჰყავდა ოპონენტები. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც

> საწვავის ფასი ამერიკის ბენზოგასამართ სადგურებზე უცხო ქვეყნების დედაქალაქებში დგინდება... ამერიკელი მომხმარებლისათვის ფერადი ტელევიზორების ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს არა მხოლოდ შიდა ბაზრის ძალები, არამედ შეთანხმებები, ერთი მხრივ, ვაშინგტონსა და მეორე მხრივ, ტოკიოს, ტაიპეისა და სეულს შორის... კრემლში მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ამერიკულ გადასახადებზე და ასევე იმაზე, თუ რაში დაიხარჯება ამოღებული თანხები... მიწოდება განსაზღვრავს კეთილდღეობას ყველგან, ხოლო იქ, სადაც ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, საჭიროა ახლებური აზროვნება და ახალი კონცეპტუალური მიდგომები.[1]

სახელმწიფოთა ეროვნული მეურნეობები სულ უფრო ერწყმის მსოფლიო ეკონომიკას. ამგვარ განვითარებას ბევრი წინასწარმეტყველებდა და მიესალმებოდა დიდი ხნით ადრე, ვიდრე ეს რეალობად იქცეოდა. ეგრეთ წოდებული ***ფუნქციონალისტები*** ამტკიცებდნენ, რომ ეფექტიანი საერთაშორისო ორგანიზაციები ხელს შეუწყობდა თანამშრომლობას მსოფლიო მასშტაბით და ეს თანამშრომლობა, თავის მხრივ, წარმოშობდა საერთო ეკონომიკურ ინტერესებს, ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ურთიერთგაგებას და შეამცირებდა მსოფლიო დაძაბულობასა და საომარ მოქმედებებს. აზროვნების ამ სკოლამ, რომელსაც ***ფუნქციონალიზმი*** ეწოდება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აკადემიური საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. მის მომხრეებს სწამდათ, რომ ეროვნულ საზღვრებს გაცილებული მშვიდობის, ვაჭრობისა და თანამშრომლობის უპირატესობები საზოგადოებას საბოლოოდ ვიწრო ეროვნული ინტერესების უარყოფამდე მიიყვანდა.

ის, რასაც გუშინ ფუნქციონალიზმი ეწოდებოდა, დღეს ***ურთიერთდამოკიდებულების*** სახელითაა ცნობილი. ეს ტერმინი აღნიშნავს ერებს შორის არსებული ახლო კავშირების რთულ ქსელს, რომელიც, ზოგიერთის თქმით, თვით საერთაშორისო წესრიგის საფუძველს ცვლის. კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკის მუდმივმა განვითარებამ და ზრდამ გამოიწვია ზეეროვნული (სუპრანაციონალური) სტრუქტურების წარმოქმნა, რომლის მიზანია უზრუნველყოს შესაბამისი რეგულაციები და მოიხსნას ხელოვნური დაბრკოლებები (როგორიცაა ტარიფები და სავაჭრო კვოტები).

რეგიონული სავაჭრო კავშირების ზრდა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ სვლა ნათლად აისახა ევროკავშირის 1992 წლის გადაწყვეტილებაში, შეექმნა ერთიანი ეკონომიკური ზონა. ისეთი ზეეროვნული სტრუქტურების წარმოქმნა, როგორიცაა ამერიკის ერთიანი ბაზარი კარიბის ზღვის აუზში, მერკოსური — სამხრეთ ამერიკის სამხრეთში, აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმი და სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია *(SAARS),* ასახავს რეგიონული ინტეგრაციის მიმართ იმ დიდ ინტერესს, რომელიც ევროპის ფარგლებს გარეთაც არსებობს. ამ განვითარების საბოლოო შედეგი, სავარაუდოდ, იქნება გაზრდილი თანამშრომლობა და ერთა შორის არსებული სამხედრო კონფლიქტების

ეკონომიკური კონკურენციით ჩანაცვლება. საბოლოოდ, რაციონალური ინტერესი უბიძგებს ყველა სახელმწიფოს აღიაროს, რომ თავისუფალი ვაჭრობა და ინვესტიციები სარგებლის მომტანია ყველა ერისათვის.

გამოიწვია თუ არა ამგვარი ეკონომიკური გაერთიანებების ზრდამ კეთილდღეობის გარდა მშვიდობის საკითხის წინ წამოწევაც? და ნამდვილად შეუწყო თუ არა ხელი ასეთ თანამშრომლობას გლობალური და რეგიონული ორგანიზაციების, მათ შორის, რამდენიმე უნივერსალური ორგანიზაციის (როგორიცაა გაერო) შექმნამ ან საერთაშორისო სამართლის ნორმების შემუშავებამ და ცხოვრებაში გატარებამ? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჯერ მსოფლიოში არსებული სხვადასხვა სახის ზეეროვნული სტრუქტურის განხილვაა საჭირო.

არასახელმწიფო აქტორები მსოფლიო ასპარეზზე

საერთაშორისო თანამშრომლობას, სახელმწიფოების გარდა, ხელს უწყობენ არასახელმწიფო სუბიექტებიც. ასეთ ორგანიზაციებს, ჩვეულებრივ, ***არასახელმწიფო აქტორებს*** უწოდებენ. მულტინაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები არასახელმწიფო ინსტიტუტების სამი ძირითადი სამართლებრივი ფორმაა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში.

მულტინაციონალური კორპორაციები

კომპანიებს, „უცხოური ფილიალებით, რომლებსაც ფირმის პროდუქცია და მარკეტინგი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააქვთ," ჩვეულებრივ, ***მულტინაციონალურ (მრავალეროვნულ) კორპორაციებს*** *(MNC)* უწოდებენ. „თანამედროვე მულტინაციონალური კორპორაცია არის შვილობილ კომპანიათა გლობალური ქსელი."[2] ძლიერ, აშშ-ში დაფუძნებულ მულტინაციონალურ კორპორაციათა მაგალითს წარმოადგენს ჯენერალ მოტორსი, მაიკროსოფტი, ექსონი, კოკა-კოლა, მაკდონალდსი და ინტელი. გასაოცარი იყო მეორე მსოფლიო ომის ბოლოდან მულტინაციონალურ კორპორაციათა აღმავლობა. 1990-იანი წლებში ამგვარ კორპორაციებში დასაქმებული იყო 73 მილიონი ადამიანი, რაც მსოფლიოს ანაზღაურებადი არასასოფლოსამეურნეო სამუშაო ადგილების 10% და სამრეწველო ქვეყნებში დასაქმებულთა დაახლოებით 20%-ს შეადგენდა. პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით დასაქმებულთა რიცხვი, სულ მცირე, 150 მილიონი ადამიანი იყო, რაც მთლიანად ანაზღაურებადი, არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების 20%-ს შეადგენდა.[3] ამასთან, 1990-იან წლებში მსოფლიოს 350 უმსხვილესი მულტინაციონალური კორპორაცია მსოფლიო საქონელბრუნვის თითქმის 40%-ს მოიცავდა. ამჟამად, ზოგი უმდიდრესი მრავალეროვნული კომპანიის წლიური გაყიდვები ბევრი სუვერენული ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს აჭარბებს.[4] მსოფლიო მასშტაბით კორპორაციების გაყიდვები ყოველწლიურად მრავალ ტრილიონ დოლარს შეადგენს.[5] უკვე გასაგები ხდება, რატომ მიაჩნია ზოგიერთს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი ფუნდამენტურად განსხვავდება წინამორბედისაგან:

> ახლა ძალის ბალანსზე ფიქრის დრო არ არის. ისეთმა ზესახელმწიფომაც კი, როგორიცაა შეერთებული შტატები, საკუთარ თავზე გამოსცადა, რომ მცდელობა, შეაფერხო ვაჭრობისა და ინვესტირების ნაკადი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ირანი და კუბა, არა მარტო არაეფექტიანი, არამედ ფინანსურად წამგებიანიცაა. მულტინაციონალური კორპორაციები, რომელთაც ერთ დროს ქონებას ართმევდნენ ან ანგარიშებს უყადაღებდნენ, უკრძალავდნენ ვაჭრობას მტრულ ქვეყნებთან და უახლესი მაღალი ტექნოლოგიებისა და დეფიციტური საქონლის თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას, ახლა თავად განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკას.[6]

გაუმჯობესებულმა ტექნოლოგიამ და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლამ ხელი შეუწყო მულტინაციონალური კორპორაციების ზრდას. თანამედროვე კომპიუტერებმა, კომუნიკაციებმა და სატრანსპორტო ტექნოლოგიებმა შექმნეს კორპორატიული გაფართოების, ინტეგრაციისა და პიროვნული მობილობის საშუალება. გლობალური ეკონომიკის ზრდამ ხელი შეუწყო ამ პროცესს (1950 წლიდან მოყოლებული მსოფლიო ვაჭრობა 10-ჯერ და მეტად გაიზარდა), სულ უფრო მეტმა კორპორაციამ გახსნა ფილიალი საზღვარგარეთ, რათა მოეპოვებინა უპირატესობა ახალი ბაზრებისა და მუშახელის შემცირებული ღირებულების კუთხით.[7]

ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და (ბოლო დრომდე) იაპონიის ძირითადი ბანკები წარმოადგენდნენ ფულადი სახსრების ძირითად წყაროს მულტინაციონალური კორპორაციების მსოფლიო გაფართოებისათვის. თავად ეს გიგანტური ბანკებიც მრავალეროვნულია და ტრილიონობით დოლარის აქციებს ფლობენ. 1990-იანი წლების დასაწყისში (იაპონიის ეკონომიკის დაღმასვლამდე და საფინანსო სისტემის თითქმის სრულ განადგურებამდე) უდიდესი მულტინაციონალური ბანკების ნახევარზე მეტი იაპონური იყო, დანარჩენები კი უმეტესად შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაშია განლაგებული. მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად, რომლებიც გაეროს სპეციალიზებული სააგენტოებია, მულტინაციონალური ბანკები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ინვესტირებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში.

არასტაბილურ წლებში კომერციული ბანკებიც ცდილობდნენ მსოფლიოს ფინანსური სისტემის დაბალანსებას. 1973-74 წლების ზამთარში, როდესაც ნავთობის ფასი გაოთხმაგდა და 1979-80 წლებში კვლავ ორჯერ და მეტად გაიზარდა, ეროვნულ სიმდიდრეებს შორის უცებ დიდი უთანასწორობა გაჩნდა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ამ წლებში საერთაშორისო საბანკო სისტემა უზრუნველყოფდა სტაბილურობას ნავთობით მდიდარი ქვეყნებიდან ამოღებული ფულის გასესხებით იმ ქვეყნებზე, რომლებიც ნაღდი ფულის ნაკლებობას განიცდიდნენ ან ნავთობზე მაღალი ფასების გამო ხელი არ მიუწვდებოდათ კვების პროდუქტებზე.

მულტინაციონალური კორპორაციები მომავალშიც იარსებებს. ზოგიერთი მიესალმება მათ არსებობას და ამტკიცებს, რომ ისინი ზრდიან მსოფლიო კონკურენციას, აუმჯობესებენ ეკონომიკურ ეფექტიანობას და ხელს უწყობენ ტექნოლოგიურ განვითარებას. და მაინც, მულტინაციონალური კორპორაციების წარმოქმნამ შეშფოთება გამოიწვია მრავალ ქვეყანაში. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ასეთი კორპორაციები ძალზე ხშირად ორიენტირებულნი არიან მოგებაზე და ყურადღებას არ აქცევენ იმ ზიანს, რასაც ამ პროცესში მასპინძელ ქვეყნებს აყენებენ და ისინი უკანონოდ ერევიან მასპინძელი ქვეყნების შიდა საქმეებში (მაგალითად, ჩილეში

1970-იან წლებში). ამ მხრივ, ვინაიდან ისინი ერთი რომელიმე სახელმწიფოს სამართლებრივი კონტროლის ფარგლებს გარეთ მოქმედებენ, სერიოზულ პრობლემას უქმნიან ტრადიციული ტერიტორიული სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სისტემის ერთიანობას.

> როგორი საფუძვლიანიც არ უნდა იყოს ეს კრიტიკა, უდავოა, რომ მულტინაციონალური კორპორაციები კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად მძლავრი ძალაა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში. ერთი ცნობილი პოლიტიკოსის სიტყვებით: მრავალეროვნული ფირმები, რომლებიც კოორდინირებას უწევენ წარმოებას გლობალური მასშტაბით და საკუთარ ნაწარმს მთელს მსოფლიოში ანაწილებენ, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ძალზე შთამბეჭდავი მანიფესტაციაა. ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მსოფლიო პოლიტიკის მოდელს, რომელიც ეროვნული თვითკმარობის იდეას ეფუძნება და საზღვრებს მიღმა ურთიერთობებს გამონაკლის შემთხვევად განიხილავს. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ისინი XIX საუკუნის ინდუსტრიული რევოლუციის საერთაშორისო ეკვივალენტია; მეორე მოსაზრების თანახმად კი, შესაძლოა ისინი მომავალში მსოფლიო ეკონომიკის საფუძვლად იქცეს.[8]

საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები

არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების ორი ძირითადი ტიპი: ორგანიზაციას, რომელიც შედგება კერძო პირებისა და მათი გაერთიანებებისაგან, ეწოდება ***საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია*** *(INGO),* ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრებსაც მთავრობები წარმოადგენენ, ***საერთაშორისო სამთავრობო (სახელმწიფოთაშორისი) ორგანიზაცია*** *(IGO)* ეწოდება. ორივე მათგანი სხვადასხვა სახის გაერთიანებას მოიცავს (იხ. ცხრილი 18-1 და 18-2). ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებზე, რადგან ისინი უფრო პირდაპირი გზით ახდენენ გავლენას მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო მშვიდობის გზების ძიებაზე.

თანამედროვე ეპოქის პირველი თვალსაჩინო სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია იყო საღვთო კავშირი. იგი 1815 წელს შეიქმნა რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მიერ ევროპაში რევოლუციური დემოკრატიული მოძრაობის ჩასახშობად. საერთოდ, სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვანი გახდა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში (1919-1939 წლებში). ისტორიაში პირველი უნივერსალური საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია იყო ერთა ლიგა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები. 1940 წლისათვის უკვე 80-ზე მეტი საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია და 500-მდე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია იყო; მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ორივე ტიპის ორგანიზაციათა რიცხვი გამუდმებით იზრდებოდა (იხ. ცხრილი 18-1).

ბრძოლა, ღიაა ყველასათვის. მეორე მხრივ, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის წევრობა შეზღუდულია რეგიონული ჩარჩოებით, მაგრამ ემსახურება რამდენიმე საერთო მიზანს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხაზით. გაერო მსოფლიოს გამორჩეულ საერთაშორისო ორგანიზაციად ითვლება იმ მიზეზების გამო, რომლებიც მომდევნო თავშია ახსნილი.

ცხრილი 18.1

ზოგიერთი ტიპური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია *(INGO)*

აფრო-აზიელ ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია
საერთაშორისო ამნისტია
არაბ იურისტთა კავშირი
ევროპელ მაუწყებელთა კავშირი
აზიელ ქალთა ასოციაციების ფედერაცია
საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ფედერაცია
ქალთა საერთაშორისო ალიანსი
საერთაშორისო სავაჭრო პალატა
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
აკორდიონისტთა საერთაშორისო კონფედერაცია
არაბულ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაცია
თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაცია
კორიდის მოწინააღმდეგეთა საერთაშორისო საბჭო
სამეცნიერო კავშირთა საერთაშორისო საბჭო
კრიმინალურო პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ავიაკომპანიების პილოტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია
ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი
პოლიტიკური მეცნიერების საერთაშორისო ასოციაცია
ვენერულ დაავადებებთან და ტრეპონემატოზთან ბრძოლის საერთაშორისო კავშირი
ადგილობრივ თვითმმართველობათ საერთაშორისო კავშირი
ლათინოამერიკელ გემთმფლობელთა ასოციაცია
სარეკლამო სააგენტოთა სკანდინავიური ასოციაცია
როტარი საერთაშორისო ფონდი
ხსნის არმია
გადავარჩინოთ ბავშვები
ეკლესიათა მსოფლიო კავშირი
ებრაელ ჟურნალისტთა მსოფლიო ფედერაცია
ოსტატ მკერავთა მსოფლიო ფედერაცია
გაერთიანებული ერების ასოციაციათა მსოფლიო ფედერაცია

ზეეროვნულ, ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო სტრუქტურათა მრავალფეროვნება ქმნის იმას, რასაც ერთი ავტორი „ურთიერთ დამოკიდებულების ქსელს“ უწოდებს.[10] ჩვენ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციათა ორ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ტიპს მიმოვიხილავთ: ეკონომიკურ თანამშრომლობას (კერძოდ, ევროკავშირს) და სამხედრო ალიანსებს (კერძოდ, ნატოს, რომელიც ამჟამად ცვლილებებს განიცდის ცივი ომის დასრულების გამო).

ცხრილი 18.2

ზოგიერთი ტიპური საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია *(IGO)*

აფრიკის განვითარების ფონდი
აფრიკის მიწის თხილის საბჭო
არაბული საფოსტო კავშირი
აზიის განვითარების ბანკი
აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ეკონომიკური საბჭო
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია
ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზარი
ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
საყოველთაო ეკონომიკური დახმარების საბჭო
ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა
ევროპის კოსმოსური სააგენტო
სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
ყურეთა თანამშრომლობის საბჭო
ტროპიკული თინუსის ინტერამერიკული კომისია
განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი
სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ყავის საერთაშორისო ორგანიზაცია
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ზეითუნის ზეთის საერთაშორისო საბჭო
წითელი კალიების (აკაციის) კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაცია ცენტრალური და
სამხრეთ აფრიკისათვის
ტელეკომუნიკაციების სატელიტის საერთაშორისო ორგანიზაცია
ვეშაპთჭერის საერთაშორისო კომისია
ლათინური ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ასოციაცია
ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (*NATO*)
აფრიკის ერთობის ორგანიზაცია
ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია
ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (*OPEC)*
ბანანის ექსპორტიორ ქვეყანათა კავშირი
გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის ორგანიზაცია (*UNESCO)*
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
უნივერსალური (საყოველთაო) საფოსტო კავშირი
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

ეკონომიკური თანამშრომლობა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთშორისო ხელშეკრულებების დიდ ნაწილს შეადგენს სავაჭრო შეთანხმებები. მათი დიდ უმრავლესობა მხოლოდ ორმხრივი იყო (მოიცავ-

და მხოლოდ ორ ქვეყანას). არსებობს მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმებების სულ მცირე, 5 გამორჩეული ფორმა, მათ შორის:

- *პრეფერენციული (უპირატესობის) სავაჭრო შეთანხმებები.* ამგვარი შეთანხმებებით რამდენიმე სახელმწიფო თანხმდება მიანიჭოს ერთმანეთს ექსკლუზიური სავაჭრო უფლებები, საბაჟო ტარიფების ურთიერთშემცირების ჩათვლით. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ***ბრიტანეთის თანამეგობრობა***, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და მისი ყოფილი მრავალი კოლონიისაგან შედგება.
- *არადისკრიმინაციული სავაჭრო ორგანიზაციები.* მისი იდეაა, ხელი შეუწყოს უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას გლობალური ან რეგიონული მასშტაბით. ამგვარი შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე მაგალითია ***მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია*** *(WTO),* რომელსაც ადრე ერქვა საყოველთაო შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფზე *(GATT*); კიდევ ერთი ასეთი ორგანიზაციაა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოცოაცია *(EFTA*), რომლის მოცულობა და გავლენა ევროკავშირის შექმნის შემდეგ შემცირდა (იხ. ჩანართი „ევროკავშირი: ჩამოყალიბების ისტორია“).
- *თავისუფალი სავაჭრო ზონები.* ასეთი შეთანხმებები სცილდება პრეფერენციულ სისტემებს იმით, რომ მასში სრულად არის აღმოფხვრილი სავაჭრო ბარიერები წევრ ქვეყნებს შორის. წევრ სახელმწიფოთა მთავრობები თმობენ სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრის სუვერენულ უფლებას სხვა წევრ ქვეყნებთან მიმართებაში, თუმცა ინარჩუნებენ სრულ თავისუფლებას, განსაზღვრონ საკუთარი სახელმწიფო სავაჭრო პოლიტიკა არაწევრ ქვეყნებთან. ამის თვალსაჩინო მაგალითია ***ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება*** *(NAFTA)*, რომელიც წარმატებით შედგა 1993 წელს აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის და მომდევნო წლებში იგეგმება მისი გაფართოება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაშიც.
- *საბაჟო კავშირი.* ასეთი ეკონომიკური თანამშრომლობა თავისუფალ სავაჭრო ზონებზე ერთი საფეხურით მაღლა დგას და ეფუძნება როგორც თავისუფალ ვაჭრობას წევრ სახელმწიფოთა შორის, ისე ერთიან საგარეო ტარიფს არაწევრ ქვეყნებთან ნებისმიერი სახის ვაჭრობაზე. მაგალითად, მერკოსურის სავაჭრო შეთანხმება, რომელიც მოიცავს 4 სრულუფლებიან წევრს (არგენტინა, პარაგვაი, ბრაზილია და ურუგვაი) და ორ ასოცირებულ წევრს (ჩილე და ბოლივია), ხელს უწყობს თავისუფალ ვაჭრობას წევრ ქვეყნებს შორის, თუმცა 14%-იან საერთო გარე ტარიფს აწესებს წარმოების საშუალებებზე.
- *ეკონომიკური კავშირები.* ასეთი შეთანხმებები უზრუნველყოფს ერთა შორის ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან დონეს, ასევე გულისხმობს სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობას. ასეთი ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ***ევროკავშირი (****EU),* რომელსაც ჩანართში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

სამხედრო ალიანსები. სამხედრო ალიანსს იშვიათად განიხილავენ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციად, თუმცა, ფაქტობრივად, ისინი წარმოადგენენ მთავრობათშორისი ურთიერთობის პირველ ფორმას, რომელიც თანამედროვე სახელმწიფო სისტემაში წარმოიქმნა. მე-17 საუკუნეში ამ სისტემის ჩამოყალიბებიდან

დაწყებული, ასეთი ალიანსები საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ატრიბუტია. სამხედრო ალიანსის მიზანი პოტენციურ თუ უკვე არსებულ მტერთან ბრძოლა ან მისი შეკავებაა. გასაკვირია არაა, რომ ალიანსი, თავის მხრივ, სხვა ალიანსს წარმოქმნის. ასე რომ, სამხედრო ალიანსი ხშირად შეირაღებაში შეჯიბრის ნაწილია, რასაც, ჩვეულებრივ, ომები მოჰყვებოდა. ამ ფაქტმა ზოგიერთი პოლიტოლოგი და მსოფლიო ლიდერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სამხედრო ალიანსი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის ისეთი ფორმა, რომელიც, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, წინააღმდეგობაში მოდიოდა მსოფლიო მშვიდობასა და წესრიგთან. მაგალითად, პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს მიაჩნდა, რომ პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი სამხედრო ალიანსები იყო; როგორც შემდეგ ვნახავთ, მან სცადა დაეარსებინა „ღია გარიგების“ პრინციპზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია (ერთა ლიგა). მას სწამდა, რომ ასეთი ალიანსი აღმოფხვრიდა სამხედრო ალიანსების საჭიროებას (რომლებიც საუკუნეების მანძილზე საიდუმლოდ იქმნებოდა და ზოგჯერ ბოლომდე საიდუმლოდ რჩებოდა).

ალიანსები არ გამქრალა. მეორე მსოფლიო ომის შედეგ შეერთებული შტატები შეეცადა, საბჭოთა კავშირის მხრიდან დასავლეთ ევროპისადმი მომდინარე საფრთხე ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) შექმნით აეცილებინა. შეერთებული შტატებისათვის ეს იყო მშვიდობიანობის პეროდში მიღებული პირველი სამხედრო კავშირი, მას შემდეგ, რაც ჯორჯ ვაშინგტონმა თავის ცნობილ „გამოსამშვიდობებელ მიმართვაში“ ახალგაზრდა ამერიკელი ერი გააფრთხილა, არასოდეს ჩაბმულიყო „შემბოჭველ ალიანსში“. საბჭოთა კავშირმა ნატოს 1955 წელს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ასევე ცნობილია, როგორც ვარშავის ხელშეკრულება) შექმნით უპასუხა.

ვარშავის ხელშეკრულება დაიშალა 1989 წელს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმი დაემხო (საბჭოთა კავშირის დაშლამდე ორი წლით ადრე). ასე რომ, ნატომ შეასრულა თავისი თავდაპირველი მისია, მაგრამ იმის მაგიერ, რომ დაშლილიყო, შეერთებული შტატებით სათავეში ახალი მიზეზი მოძებნა არსებობის გასაგრძელებლად და ახალი ტიპის ალიანსად იქცა. ვინაიდან მისი ყურადღება აღარ იყო მიმართული მტრის დამარცხებისაკენ, ნატო შეეცადა ევროპაში ახალი როლი შეესრულებინა როგორც მშვიდობისმყოფელს. ნატოს ახლადჩამოყალიბებული მისიის პირველი გამოცდა იყო ბოსნიის ომი [ასევე ომი კოსოვოში. დღეს ნატო-ს მთავარ გამოწვევად ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაცია მიიჩნევა. რედ. შენ.]. ნატო ამჟამადაც გაფართოების პროცესშია. მისი 26 წევრიდან ორის გარდა (აშშ და კანადა) ყველა ევროპული სახელმწიფოა. 2004 წელს ნატოს სრულუფლებიან წევრთა რიცხვი 26-მდე გაიზარდა [2009 წლიდან წევრთა რიცხვი 28-მდე გაიზარდა — რედ. შენ.]. ნატოს გაფართოებას ხელს უწყობს 2 მიზეზი: ერთი ის, რომ ნატოს არსებობის სამხედრო მიზანი პოლიტიკურით შეიცვალა, მეორე კი ის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის წევრობაზე უარის თქმა იქნებოდა ცივი ომის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის დაყოფის გაგრძელება.

ნატოს ახალი როლი, იყოს ევროპის „პოლიციელი“, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი კრიტიკოსი ეჭვქვეშ აყენებს მისი არსებობის საჭიროებას ცივი ომის დასრულების შემდგომ. ამას გარდა, რუსი ნაციონალისტები ამტკიცებენ, რომ ალიანსში მოსკოვის ყოფილი აღმოსავლეთ ევროპელი მოკავშირეების მიღება, არის აგრესიული პოლიტიკა, რომლის მიზანია რუსეთის ფედერაციის იზოლაცია ევროპისგან და ევროპის ხელახალი გადანაწილება რუსეთის საზიანოდ. ნატოს გა-

ფართოების მოწინააღმდეგეები შეერთებულ შტატებში ამტკიცებენ, რომ ეს კვლავ გამოიწვევს ევროპის დაყოფას და უფრო გაამწვავებს ურთიერთობას შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის ევროპის სტაბილურობას.

ევროკავშირი: ჩამოყალიბება ისტორია

ევროკავშირს ადრე ევროპის თანამეგობრობა ეწოდებოდა. მისი ისტორია იწყება 1952 წელს, როცა საფრანგეთმა, დასავლეთ გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა დააარსეს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთაინება (*ECSC*). 1957 ექვსმა სახელმწიფომ დადო ორი ხელშეკრულება რომში (რომის ხელშეკრულებები), რამაც სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარა ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას (*EEC*) და ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობას (*Euratom*). 1987 წელს ხელი მოაწერეს ერთიან ევროპულ აქტს, რომელმაც გააერთიანა აქამდე არსებული სამართლებრივი დოკუმენტები. მნიშვნელოვანი იყო 1992 წელს მაასტრიხტის შეთანხმება, რის შემდეგაც ევროპის გაერთიანებას ევროკავშირი ეწოდა.

დღეისათვის ევროკავშირი უზრუნველყოფს ხალხის, საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას წევრ ქვეყნებს შორის. 2002 წლიდან მიმოქცევაშია ერთიანი ვალუტა ევრო. ევროკავშირმა შექმნა ზესახელმწიფოებრივი ფუნქციის მქონე ინსტიტუტები: ევროპული საბჭო, მინისტრთა საბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი, სასამართლო და ა.შ.

ევროპის თანამეგობრობა ექვსმა ქვეყანამ დააფუძნა. დღეს ევროკავშირის წევრია 27 ქვეყანა: დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი (1973), საბერძნეთი (1981), პორტუგალია, ესპანეთი (1986), ავსტრია, ფინეთი (1995), შვედეთი (1995), პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, კვიპროსი, მალტა (2004), ბულგარეთი, რუმინეთი (2007).

აზრთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, ნატო კვლავაც გააგრძელებს არსებობას. თუმცა, კითხვები კვლავ რჩება. გაამართლებს თუ არა ნატო, როგორც სამშვიდობო ალიანსი? რა შედეგებს მიაღწევს იგი საბოლოოდ? და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნამდვილად შეუწყობს თუ არა იგი ხელს ევროპაში მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას?

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არის ისტორიაში ყველაზე ამბიციური მცდელობა, შეიქმნას უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც შესწევს ძალა, შექმნას ჩარჩოები მსოფლიო მშვიდობისათვის და თუნდაც სამხედრო ზეგავლენის გზით უზრუნველყოს სამართლიანობის დაცვა მთელს მსოფლიოში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს შექმნა არ იყო პირველი ასეთი მცდელობა.

ისტორიული თვინი: ერთა ლიგა

გაეროს არსის გასაგებად საჭიროა მისი განხილვა ისტორიულ კონტექსტში. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული რამდენიმე საერთაშორისო სამშვიდობო გაერთიანება დაარსდა და ჩვეულებრივ, ეს დამანგრეველი ომების შემდგომ ხდებოდა. საღვთო კავშირი, რომელიც 1815 წელს, ნაპოლეონის ომების შემდეგ შეიქმნა, იყო ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა მცდელობა, შეხვედრებისა და კონფერენციების გზით გაეკონტროლებინათ საერთაშორისო სიტუაცია. უფრო დახვეწილი ორგანიზაცია იყო ***ერთა ლიგა***, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1919 წელს ჩამოყალიბდა.

1919 წელს, როდესაც ერთა ლიგის შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდა, მის დაარსებას ვილსონიანელები ისე მიესალმნენ, როგორც მსოფლიო ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყებას. ერთა ლიგის მექანიზმები იყო ასამბლეა, საბჭო და მუდმივი სამდივნო. ასამბლეა იყო სათათბირო ორგანო, რომელიც შედგებოდა წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. თითოეულ წევრს ჰქონდა თანაბარი ძალის ხმა. რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ერთსულოვანი მხარდაჭერის მოპოვება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველა სახელმწიფო, რაოდენ პატარაც უნდა ყოფილიყო იგი, სარგებლობდა ვეტოს უფლებით თითქმის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. უფრო მცირე საბჭო ოთხი მუდმივი და ოთხი არამუდმივი წევრისაგან შედგებოდა. საბჭოს მოვალეობაში შედიოდა საფრთხის არსებობის გამოძიება და მოხსენება ასამბლეისათვის, აგრეთვე რეკომენდაციის მიცემა სათანადო ზომების მისაღებად. ამ ორივე ორგანოს საქმიანობას კოორდინაციას უწევდა მუდმივი სამდივნო, ერთა ლიგის ადმინისტრაციული ერთეული.

სხვა მიზნებთან ერთად, ერთა ლიგის უპირველესი ამბიციური მიზანი იყო საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნება და ამავე დროს, აგრესორი ქვეყნებისათვის სამაგიეროს გადახდა — მშვიდობა და სასჯელი, ეს იყო „ერთი მედლის ორი მხარე". ომი (როგორც დანაშაული) აღარ იყო რაციონალური, რადგან თავდასხმა ერთ რომელიმე წევრზე ნიშნავდა თავდასხმას ყველა მათგანზე. ამ კუთხით ლიგამ მოახდინა პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის სურვილის ინსტიტუტიონალიზაცია, ჩაენაცვლებინა ძალთა ტრადიციული ბალანსი „ქვეყანათა ერთიანი, ყოვლისმომცველი, ძლიერი გუნდით, რომელიც გახდებოდა მსოფლიოში მშვიდობის გარანტი".[11] მთავარი იყო ისეთი შთამბეჭდავი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომ არც ერთ სახელმწიფოს, ვისაც არსებული მდგომარეობის დარღვევა მოუნდებოდა, არ ჰქონოდა რაიმე შანსი მის წინააღმდეგ. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც საერთაშორისო მშვიდობას დაარღვევდა, დაუპირისპირდებოდა კანონმორჩილი ქვეყნების გაერთიანებული სამხედრო ძალები. ერთა ლიგის დამაარსებელთა აზრით, ასეთი ძალის მხოლოდ არსებობაც კი შეაჩერებდა პოტენციურ აგრესორებს, ისინი ვერ გაბედავდნენ მის გამოცდას.

პრეზიდენტ ვლსონის მხარდაჭერის მიუხედავად, შეერთებული შტატები თავიდანვე განზე გადგა (რადგან სენატში მყოფი რესპუბლიკელები ამ ხელშეკრულების დამტკიცებას ეწინააღმდეგებოდნენ). ეს ნაბიჯი ერთა ლიგის მომავალი წარუმატებლობებისა და საბოლოო დაშლის მომასწავებელი იყო. 1930-იანი წლების დასაწყისში თავი იჩინა მწვავე მეტოქეობამ და ეროვნული ინტერესების კონფლიქტმა.

თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ერთა ლიგა მარცხისათვის იყო განწირული. პირველ რიგში, იგი მსოფლიო ორგანიზაციად მიიჩნეოდა, მაგრამ არ

ყოფილა საყოველთაოდ აღიარებული (როგორც შეერთებული შტატები, ისე ახალწარმოქმნილი საბჭოთა კავშირი ლიგის გარეთ რჩებოდნენ, თუმცა, სრულიად სხვადასხვა მიზეზის გამო). მეორე, მას ჰქონდა პროცედურული ხარვეზები: ნებისმიერი სამხედრო თუ საპოლიციო ქმედებისათვის საჭირო იყო ერთსულოვანი მხარდაჭერა, რაც ფაქტობრივად გარანტია იყო იმისათვის, რომ კრიზისის შემთხვევაში ლიგა პარალიზებული იქნებოდა, რადგან ყველას, დიდსა თუ მცირე სახელმწიფოს, ვეტოს უფლება ჰქონდა. მესამე, კოლექტიური უსაფრთხოების ზომებს ქარტიის მიხედვით განაპირობებდა აგრესია, თუმცა, ქარტია არ განმარტავდა, რა ითვლებოდა აგრესიად. წევრი ქვეყნები მის განსაზღვრაზე ვერც აბსტრაქტულად შეთანხმდნენ და ვერც შემდგომ, კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ჰიტლერმა გერმანიის რაინის ოლქის რემილიტარიზაცია მოახდინა, იტალია ეთიოპიაში შეიჭრა, გერმანია დაემუქრა (და საბოლოოდ შეიჭრა კიდეც) პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას, ხოლო იაპონიამ აზიის დაპყრობა დაიწყო.

და ბოლოს, ერთა ლიგის წარმატება ყველაზე მეტად დამოკიდებული იყო შეერთებულ შტატებზე, რადგან პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ძალთა ბალანსმა დასავლეთ ევროპიდან უფრო გლობალური სახელმწიფოს ხელში გადაინაცვლა. ამ ომმა შეერთებული შტატები წინ წამოწია მსოფლიო ასარეზზე და რამდენიმე წელიწადში დაიმსხვრა მითი ევროცენტრული მსოფლიოს შესახებ. აქედან გამომდინარე, ძალთა გადანაწილება უკვე მოიცავდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და რეგიონს და მანამდე არსებული უდიდესი სახელმწიფოები ან საერთოდ გაქრნენ (ავსტრია-უნგრეთის იმპერია და მეფის რუსეთი), ან დაიჩრდილნენ ისეთი სახელმწიფოების გვერდით, როგორებიცაა შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი, იაპონია და (საბოლოოდ) ჩინეთი.

გაერთა ორგანიზაციის დაარსება

უზარმაზარმა ნგრევამ, გამაოგნებელი რაოდენობის მსხვერპლმა და მეორე მსოფლიო ომის საშინელმა ახალმა იარაღმა კვლავ წამოჭრა ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების გზით მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. გაეროს დამაარსებლები აცნობიერებდნენ, რომ ორგანიზაციის წარმატებისათვის ის ერთა ლიგაზე მაღლა უნდა მდგარიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთა ლიგას სულ მცირე, ორი ფატალური ნაკლი ჰქონდა: პირველი, მისი ყველა წევრი თანაბარი უფლებებით სარგებლობდა სახელმწიფოთა განსხვავებული ძლიერების მიუხედავად. ასამბლეაში ყველა წევრ სახელმწიფოს ერთი ვეტოს უფლება ჰქონდა; მეორე, საბჭოშიც კი, სადაც ძლიერი სახელმწიფოები მუდმივი წევრები იყვნენ, არამუდმივ წევრებსაც ჰქონდათ ვეტოს უფლება. ამის შედეგად, სუსტ სახელმწიფოებს ზედმეტი გავლენა გააჩნდათ, ხოლო ძლიერებს პირიქით — მცირე. ლიგის კიდევ ერთი დიდი სისუსტე მისი არასრულობა გახლდათ. შესაძლოა, ლიგის სამშვიდობო მიზნები მსოფლიო მასშტაბის იყო, მაგრამ მისი წევრობა შეზღუდული იყო. რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს არყოფნა, განსაკუთრებით შეერთებული შტატებისა, ნიშნავდა, რომ ლიგის მანდატი მხოლოდ თეორიულად იყო საყოველთაო, პრაქტიკულად კი — შეზღუდული.

1945 წელს გაეროს დამაარსებლები მიზნად ისახავდნენ ერთა ლიგის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ხარვეზების გამოსწორებას. დიდი ძალისხმევა

დაჭირდა იმას, რომ არც ერთი პოტენციური წევრი არ დარჩენილიყო ახალი ორგანიზაციის მიღმა (იხ. ცხრილი 18-2). გენერალური ასამბლეა ჩამოყალიბდა სათათბირო ორგანოდ, სადაც ყველა წევრ ქვეყანას თანაბარი წარმომადგენელი ჰყავს და ხმის უფლება აქვს. გაეროს ქარტიის თანახმად შეიქმნა უშიშროების საბჭო, რომლის „ძირითადი პასუხისმგებლობაა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაა". ქარტია აზუსტებს, რომ ეს ორგანო შედგება ხუთი მუდმივი წევრისა (აშშ, საბჭოთა კავშირი [რომელიც უკვე რუსეთმა შეცვალა], გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და ჩინეთი) და ათი არამუდმივი წევრისაგან. ერთა ლიგისაგან განსხვავებით, მხოლოდ, ეგრეთ წოდებულ დიდ ხუთეულს მიეცა ვეტოს უფლება ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე, მაგალითად, როგორიცაა გენერალური მდივნის არჩევა და ასევე მშვიდობის უზრუნველყოფის ზომები. ამ გზით, გაეროს ქარტია შეეცადა გამოესწორებინა ლეგალური თანასწორობის ანომალია პოლიტიკური უთანასწორობის პირობებში. გაეროში თითოეულ წევრ ქვეყანას ეკისრება პასუხისმგებლობები, რომლებიც შეესაბამება თითოეული მათგანის შესაძლებლობებს.

გაეროს ქარტიის მე-7 თავში — „ქმედებანი მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარრვევისა და აგრესიის აქციების მიმართ" — აღწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მოვალეობების განხორციელება. 39-ე მუხლში დაზუსტებულია, რომ უშიშროების საბჭო წყვეტს, არსებობს თუ არა მუქარა და დაირღვა თუ არა მშვიდობა ან განხორციელდა აგრესიის აქტი. ამის შესაბამისად იგი გასცემს რეკომენდაციებს ან წყვეტს, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული მე-41 და 42-ე მუხლების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად. შესაბამის მუხლებში გაწერილია, როგორ უნდა აღასრულოს უშიშროების საბჭომ საკუთარი მოვალეობები. 41-ე მუხლი ეხება ეკონომიკურ სანქციებს „ეკონომიკური ურთიერთობების, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო და კომუნიკაციის სხვა საშუალებების ნაწილობრივი ან სრული შეწყვეტის ჩათვლით." 42-ე მუხლი არეგულირებს ისეთ სიტუაციებს, სადაც ეკონომიკური სანქციები არაეფექტურია; ასეთ შემთხვევებში უშიშროების საბჭომ, შესაძლოა, განახორციელოს საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ოპერაციები, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად. შესაძლოა, ეს გულისხმობდეს მანევრებს, ბლოკადას ან სხვა ოპერაციებს წევრი ქვეყნების საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალების მიერ. მე-7 თავის დანარჩენი მუხლები ეთმობა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის სამხედრო კომპონენტების მოწყობას, სამხედრო-საშტატო კომიტეტის დაარსების ჩათვლით (მუხლი 47).

ამ მუხლებით განსაზღვრულმა საერთაშორისო სამშვიდობო მექანიზმებმა ბევრად გადააჭარბა ერთა ლიგის შესაბამის მექანიზმებს. უფრო მეტიც, როგორც გაეროს ეგრეთ წოდებული სპეციალიზებული ორგანიზაციების დაარსებამ ცხადყო, გაერო გასცდა მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ფუნქციებს. ამ ორგანიზაციების წყალობით, გაერო დიდ როლს ასრულებს მთელს მსოფლიოში სხვადასხვა სახის კატასტროფებთან ბრძოლის, ლტოლვილთა განსახლების, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ტექნიკური დახმარების, ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისა და მრავალი სხვა თვალსაზრისით. იგი ასევე ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას ისეთი სამსახურების საშუალებით, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური საბჭო (*ECOSOC)* და გაეროს ბავშვთა ფონდი *(UNICEF*). და ბოლოს, მსოფლიო ბანკის (*WB*), საერთაშორისო სავალუტო ფონდისა *(IMF)* და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის *(UNCTAD*)

საშუალებით გაერო ეხმარება ეკონომიურად გაჭირვებულ სახელმწიფოებს. სპეციალიზებული ორგანიზაციების სიმრავლე ცხადყოფს, რომ გაეროს მიზანი თავიდანვე არა მხოლოდ მსოფლიო ომის თავიდან აცილება, არამედ მსოფლიოში კეთილდღეობის ხელშეწყობაც იყო.

თუმცა, გაეროს ქარტია ნამდვილად არ იყო გამიზნული, როგორც მსოფლიო მთავრობის მოდელი. ქარტიის მეორე აბზაცის მეშვიდე მუხლში ნათლად არის ნათქვამი, რომ „ნებისმიერი ქვეყნის ***საშინაო იურისდიქცია***“ გაეროს კომპეტენციას სცილდება. გარდა ამისა, მეორე მუხლში ცალსახად არის ნათქვამი, რომ გაერო „ეფუძნება მის წევრთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს.“

ამის მიუხედავად, გაეროს წევრთა თანასწორობას ზღუდავს ქარტიის სხვა მუხლები, რომლებიც ორგანიზაციის შიგნით მეტ ძალაუფლებას ანიჭებს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებს. ასეთი მუხლების მიღების ძირითადი მიზეზი იყო ძლიერი სახელმწიფოების მიზიდვა გაეროში. მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი, უფრო საპატიო მიზეზი: გაეროს შექმნის თავდაპირველ მომხრეთა ნაწილი ამ ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას განიხილავდა არა მხოლოდ როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა ასოციაციას, არამედ როგორც მსოფლიო მთავრობის წინამორბედს. თუკი ეს ოდესმე რეალობად იქცეოდა, ძლიერ სახელმწიფოებს სუსტ ქვეყნებთან შედარებით დიდი როლი დაეკისრებოდათ. ასე რომ, ქარტიაში არსებული წინააღმდეგობები იმ იდეალიზმისა და რეალიზმის ანარეკლია, რომელიც გაეროს შექმნისას არსებობდა; ხოლო იმ იდეალისტთათვის, რომლებიც „ერთიანი მსოფლიოს“ შექმნაზე ოცნებობდნენ, ეს გახლდათ გარკვეული დათმობა წარსულისადმი, რაც, მათი აზრით, აუცილებელი იყო მომავლისათვის გზის გასაკვალად.

გაერო ცივი ომის დროს

სამწუხაროდ, გაერომ თავი ვერ აარიდა ზოგიერთ იმ პრობლემას, რომელმაც თავის დროზე ერთა ლიგა დაასამარა. ცალკეული სახელმწიფოები, უბრალოდ, მზად არ იყვნენ იმ დოზით შეეტანათ წვლილი გაეროში, რასაც მისი ნორმალური ფუნქციონირება მოითხოვდა. მათ არც საკუთარი სუვერენიტეტის დათმობა სურდათ.

ერთი მხრივ, ქარტია რამდენიმე საკითხში ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, იმოქმედონ კანონის უზენაესობის დაცვით და უშიშროების საბჭოს ანიჭებს უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დასაჯოს ისინი. მეორე მხრივ, ქარტიაში არის რამდენიმე პუნქტი, რომელიც მის წევრებს საშუალებას აძლევს გვერდი აუარონ საკუთარი მოვალეობების შესრულება. მაგალითად, 51-ე მუხლში ნათქვამია, რომ „არსებულ ქარტიაში ვერაფერი შეზღუდავს სახელმწიფოთა უდავო უფლებას ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის შესახებ“. ვინაიდან „თავდაცვა“ ძალის გამოყენების ლეგალური გამართლებაა და ცალკეულ სახელმწიფოებს უფლება აქვთ თავდაცვის მოტივით, ფაქტობრივად, გაამართლონ ყველანაირი ქმედება საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი დებულება აგრესიას მწვანე შუქს აძლევს. დილემა სახეზეა: ისეთი პუნქტების გარეშე, როგორიცაა 51-ე მუხლი, ქვეყნები გაეროს ქარტიას არ მიიღებდნენ; ასეთი მუხლებით კი მისი მისიის შესრულება ეჭვქვეშ დგება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გაეროს ბოლო დრომდე სდევდა თან, იყო მუდმივი დაძაბულობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც ცივი

სქემა 18-2 გაერთიანებული ერების სისტემა

გაერთიანებულმა ერებმა, მსოფლიოს უმნიშვნელოვანესმა საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციამ, მრავალ შვილობილ, შედარებით მცირე სამთავრობო ორგანიზაციას ჩაუყარა საფუძველი.
წყარო: ადაპტირებულია The World Factbook 1996, Central Intelligence Agency, 1997, და 'Current Peacekeeping Operations', UN Department of Public Information, 1997.



ომის პერიოდში გაეროს მუშაობას აფერხებდა. ვინაიდან ასამბლეაში უმრავლესობა ხან ერთ ხან მეორე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, გაეროს განზრახვათა უმეტესობა ჩიხში ექცეოდა. უმეტეს შემთხვევაში ვერ ხერხდებოდა იმ კონსენსუსის მიღწევა, რაც საჭირო იყო უშიშროების საბჭოში კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თუ საბჭოთა კავშირი არ გამოიყენებდა ვეტოს უფლებას რაიმე სადავო გადაწყვეტილებაზე, მაშინ ამას შეერთებული შტატები აკეთებდა.

ამის მიუხედავად, კონფლიქტის მართვაში გაეროს შეზღუდული ფუნქციები ყოველთვის უშედეგო არ იყო. სხვადასხვა დროს გაერომ დიდი წვლილი შეიტანა მშვიდობის დამყარებაში სპეციალური შუამავლების, ზავებზე ზედამხედველობის გაწევით, ნახევრად გასამხედროებული ძალების გაგზავნით მსოფლიოს მრავალ კუთხეში, კვიპროსის, ახლო აღმოსავლეთისა და კონგოს ჩათვლით. მართალია, ეს მცდელობები ყოველთვის შეზღუდული იყო მასშტაბებისა და წარმატების თვალსაზრისით, იგი მაინც ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

გაერო ცივი ომის შემდეგ

1980-იანი წლების შუა და ბოლო პერიოდი უპრეცედენტო იყო გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის, განსაკუთრებით კი შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის თვალსაზრისით. ამ მხრივ კატალიზატორის როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის ახალმა შემრიგებლურმა საგარეო პოლიტიკამ მიხეილ გორბაჩოვის ინიციატივით. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეერთებული შტატები კონკურენტის გარეშე დარჩა გაეროში. პირველად მისი არსებობის ისტორიაში, გაეროსათვის დამახასიათებელი გახდა ერთსულოვნება მიზნის მისაღწევად და არა მწვავე კონფლიქტი მის ორ უძლიერეს წევრს შორის. ამას ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: პირველი, გაეროს მიდგომა საერთაშორისო მშვიდობის დაცვის მიმართ უფრო მკაცრი გახდა და ზოგჯერ მშვიდობის დაცვის ფარგლებსაც კი სცილდებოდა (იხ. ცხრილი 18-3).[12] მეორე, მან გასცა სანქცია კოლექტიური სამხედრო მოქმედების შესახებ ერაყის წინააღმდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი ქუვეითში შეიჭრა.

სამშვიდობო მისიების გაძლიერება. ის ფაქტი, რომ ახალი ათასწლეულის დასაწყისში გაეროს სამშვიდობო ძალები მთელს მსოფლიოში იყო განლაგებული, მიუთითებდა გაეროს როლის ზრდაზე ცივი ომის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე. 88 ქვეყნის სულ მცირე 47 ათასი მშვიდობისმყოფელი მსახურობდა გაეროს 15 მისიაში. ცივი ომის დასრულების შემდეგ უფრო მეტი სამშვიდობო მისია განხორციელდა, ვიდრე მთელი ცივი ომის ეპოქაში (რომელიც დაახლოებით რამდენიმე ათწლეულს გაგრძელდა). მთლიანად, 1948-2001 წლებში სულ ორმოცდათოთხმეტი სამშვიდობო მისია შესრულდა.

გაეროს ბოლოდროინდელი სამშვიდობო ქმედებები მოიცავდა მრავალი სახის მისიას, რომელთაგან ბევრი ამ ორგანიზაციისათვის უპრეცედენტო იყო. თავის მხრივ, ეს ქმედებები მასშტაბებითაც განსხვავდებოდა. მხოლოდ ორმოცდაათი დამკვირვებელი უწყობდა ხელს საბჭოთა კავშირის გამოსვლას ავღანეთიდან 1988 წელს. 1989 წელს კი გაეროს 109 ქვეყნის სამხედრო პერსონალი დასჭირდა ნამიბიაში მშვიდობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. გაეროს მშვიდობისმყოფელებს



სქემა 18-3 *გაეროს დასრულებული და მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციები [2002 წლის მდგომარეობით*

წყარო: *United Nations, 'Peacekeeping,' www.un.org/peace, accessed May 22, 2002. იბეჭდება გაერთიანებული ერების ნებართვით.*

* 2009 წელს შეწყვიტა არსებობა

ასევე მოუწიათ ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორიცაა არჩევნებისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმება, პატიმართა გათავისუფლება და სამშობლოდან განდევნილთა დაბრუნება.

გაეროს ჯარისკაცები ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ მშვიდობის შენარჩუნებაში მთელ მსოფლიოში. ამ სურათზე ნაჩვენებია, როგორ გაჰყავს გაეროს ჯარისკაცს ხორვატი ქალი სამშვიდობოზე სნაიპერის ცეცხლის საფრთხის პირობებში.

1991 წლიდან გაეროს 400-მდე მშვიდობისმყოფელმა იკისრა ახალი როლის შესრულება ელ-სალვადორში: სამოქალაქო ომის დასასრულს მათ თვალყური უნდა ედევნებინათ და დაეფიქსირებინათ სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ფაქტები და გაეწიათ რეკომენდაციები მათი საბოლოო აღმოფხვრისათვის. ასევე, 1991 წლის ოქტომბრიდან გაეროს მშვიდობისმყოფელებს დაევალათ კამბოჯაში სამშვიდობო შეთანხმების შესრულების მონიტორინგი ოთხ მხარეს შორის, რომლებიც მანამდე ომში იყვნენ ჩართულები. შეთანხმება მოიცავდა სხვადასხვა შეიარაღებული ძალების განიარაღებას, 350 ათასი ლტოლვილის სამშობლოში დაბრუნებას (რეპატრიაციას) და არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფას. ერთი ექსპერტის თქმით, ამან გაეროს დააკისრა „ფაქტობრივი პასუხისმგებლობა, ემართა ქვეყანა 18-თვიან გარდამავალ პერიოდში“.[13] 1993 წელს 40 ათასი მშვიდობისმყოფელი გაიგზავნა ყოფილ იუგოსლავიაში მოლაპარაკებების ხელშესაწყობად, რამაც ქვეყანა საბოლოოდ 1995 წლის ნოემბერში შეერთებული შტატების მიერ ლობირებულ სამშვიდობო შეთანხმებამდე მიიყვანა. ამ ძალებმა, ნატოს სამხედრო მხარდაჭერასა და გაეროს მიერ დაწესებულ სანქციებთან ერთად, აიძულა სერბი დიქტატორი, სლობოდან მილოშევიჩი, კეთილსინდისიერად ეწარმოებინა მოლაპარაკებები. მოგვიანებით, როდესაც არჩევნებში დამარცხების შემდეგ მილოშევიჩს სახელმწიფო სადავეები წაართვეს (და სახალხო მღელვარების შემდეგ, როდესაც მან სცადა არჩევნების შედეგების

გაუქმება), გაერომ დიდი როლი შეასრულა ყოფილი დიქტატორი პრეზიდენტისა და სამხედრო დანაშაულში ბრალდებული სხვა პირების გასამართლების საქმეში.

ცივი ომის შემდეგ გაეროს სამშვიდობო მისია უფრო ხშირი და ამბიციური გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მხოლოდ ერთი წლის მანძილზე (1999 წლის ივნისი-2000 წლის ივლისი) გაერომ განახორციელა სამშვიდობო მისია კოსოვოში (იუგოსლავია), სიერა-ლეონეში (დასავლეთი აფრიკა), აღმოსავლეთ ტიმორში (ინდონეზიის ყოფილი ნაწილი), კონგოსა (ცენტრალური აფრიკა) და აფრიკის კონცხზე (ეთიოპია და ერიტრეა). მაგრამ ეს წამოწყებები, რისკს შეიცავს და წარმატება გარანტირებული არ არის. მაგალითად, 1992 წელს გაერომ მშვიდობისმყოფელები გაგზავნა სომალიში, რათა ხელი შეეწყო შიმშილის ზღვარზე მყოფ მოსახლეობაში სურსათის უსაფრთხო დარიგებისათვის, მაგრამ მათ თავს დაესხნენ ამბოხებულები, რომლებიც გაეროს დასავლეთის (კერძოდ კი შეერთებული შტატების) მარიონეტად მოიაზრებდნენ. გაეროს მშვიდობისმყოფელები, ჩვეულებრივ, ცდილობენ თავი აარიდონ ძალის გამოყენებას და მსხვერპლს, თუმცა ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რა ცხელ წერტილებში უწევთ მათ მოქმედება. 1948 წლიდან დღემდე გაეროს სამშვიდობო ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადა დაღუპული 1600 ადამიანის ჩათვლით. სამშვიდობო მისია ლიბანსა (244 მსხვერპლი) და კვიპროსში (170 მსხვერპლი) განსაკუთრებით სარისკო იყო. ამ ორიდან არც ერთ შემთხვევაში კონფლიქტი არ დასრულებულა (მეომარი მხარეებისათვის მისაღები გადაწყვეტილება არ მოიძებნა) და ამიტომ გაეროს სამშვიდობო ძალები იქ ისევ იმყოფებიან. 1990-იან წლებში განხორციელებული 10 სამშვიდობო ოპერაციიდან უმეტესობა 15 ადამიანზე ნაკლები მსხვერპლით დასრულდა, რასაც ვერ ვიტყვით სიერა-ლეონეზე — აქ მისიის 46 წევრი დაიღუპა.

გაეროს მშვიდობისმყოფელები ყოველთვის ვერც საჭირო პოლიტიკური ცვლილებების გატარებას ახერხებენ. კამბოჯაში მშვიდობიანობა გაეროს ჯარების გასვლის შემდეგ დიდხანს არ გაგრძელებულა: 1997 წლის ივნისში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გაეროს ამბიციურმა მცდელობამ, ხელი შეეწყო ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის, მარცხი განიცადა. ყოფილ იუგოსლავიაში გაეროს მშვიდობისმყოფელთა მცდელობამ, მიეღწიათ ცეცხლის შეწყვეტისათვის, შედეგი მხოლოდ მას შემდეგ გამოიღო, რაც ნატოს ჯარებმა საჰაერო და სახმელეთო მხარდაჭერა აღმოუჩინა სამშვიდობო ოპერაციას. საბოლოოდ, სერბეთის არმია დამარცხდა და პრეზიდენტი მილოშევიჩი იძულებული გახდა, მოლაპარაკებები დაეწყო. ერთ-ერთი დასკვნა, რაც გაერომ ბოსნიისა და კოსოვოს ომებიდან გააკეთა, არის ის, რომ სამშვიდობო მისია რეგიონულ კონფლიქტებს ვერ შეაჩერებს წევრ ქვეყანათა სამხედრო დახმარებისა და რეგიონული სამხედრო ალიანსის (მაგალითად, ნატოს) მხარდაჭერის გარეშე. ფაქტობრივად, იუგოსლავიასა და სხვაგან მიღებული გამოცდილება მტკიცე არგუმენტია ახალი რეგიონული სამხედრო ჯგუფების შექმნისათვის, რომლებიც იმოქმედებენ როგორც გაეროს სამართალდამცავი ორგანოები.

გაეროს სამშვიდობო მისია ზოგ რეგიონში მუდმივ რეალობად იქცა კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების გარეშე (ქაშმირი, კვიპროსი, ლიბანი და ზემოთ დასახელებული მაგალითები). ასეთი მისიები გაეროს ბიუჯეტის ხარჯების ზრდის მუდმივი მიზეზი გახდა. 1990-იანი წლების შუა ხანებში გაეროს სამშვიდობო მისიებზე წელიწადში 3.2 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯებოდა და ამ თანხის ერთი მესამედი დეფიციტური იყო. 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის ივნისამდე გეგმის მიხედვით გაწერილი იყო 3-3,5 მილიარდი აშშ დოლარის ხარჯი. მთლიანობაში, 1948 წლიდან

2001 წლამდე სამშვიდობო ოპერაციების საერთო დანახარჯმა დაახლოებით 23 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ამასთან, საჭიროა ამ ციფრების დინამიკაში განხილვა, რასაც გაეროს მოწინააღმდეგეები იშვიათად აკეთებენ. შედარებისთვის, შეერთებული შტატების თავდაცვის ბიუჯეტი მხოლოდ 2001 წელს 300 მილიარდი აშშ დოლარი იყო [2009 წელს აშშ-ს თავდაცვის ხარჯები 700 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს - მთარგმნ. შენ]. პენტაგონისთვის იმავე პრიოდში გამოყოფილი იყო 48 მილიარდი აშშ დოლარი ახალი ვერტმფრენების, 67 მილიარდი აშშ დოლარი თვითმფრინავების (*F*-22) შესაძენად და 223 მილიარდი აშშ დოლარი ახალი ერთობლივი საბრძოლო ქვედანაყოფების შესაქმნელად (*JSF*). ამ ციფრებთან შედარებით ყველა სამშვიდობო მისიის საერთო ხარჯი ძალიან ცოტაა. რაც უნდა მოკრძალებული იყოს ამ მისიების წარმატება, მაინც წარმოუდგენელია უკეთესი კაპიტალდაბანდება მსოფლიოს გადასახადების გადამხდელთათვის.

გაერო და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი

საზოგადოება გაეროს უნდობლობას უცხადებს. ბევრისათვის გაუგებარია, სინამდვილეში რა ფუნქციებს ასრულებს იგი. პარადოქსია, მაგრამ გაეროს იმიჯის პრობლემა ყოველთვის განსაკუთრებულად მწვავედ იდგა შეერთებულ შტატებში, ქვეყანაში, სადაც მდებარეობს გაეროს შტაბ-ბინა და რომელმაც ყველაზე დიდი როლი შეასრულა მის ჩამოყალიბებაში. საზოგადოების უნდობლობა გაეროს მიმართ მეტწილად არაინფორმირებულობითაა გამოწვეული. გაეროს მიჩნევა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ მსოფლიო მთავრობად, იგივეა, რაც ზღაპრის დაჯერება.

გაერო, მსოფლიო ორგანიზაციიდან, რომლის თავდაპირველი მიზანი ომის თავიდან აცილება იყო, გადაიქცა ორგანიზაციად უფრო ნაკლებ ამბიციური მიზნით, როგორიცაა მშვიდობის ხელშეწყობა (მაგალითად, დროებითი ზავის (ცეცხლის შეწყვეტის) მონიტორინგი, სამშვიდობო პროცესზე დაკვირვება და ნახევრად გასამხედროებული ძალების განლაგება). ის ასევე ძალიან მოსახერხებელი ადგილია წევრი ქვეყნებისათვის დიალოგისა და უმთავრეს გლობალურ საკითხებზე მოლაპარაკებებისთვის. გაერო ასევე არაპირდაპირ უწყობს ხელს მშვიდობის შენარჩუნებას, როცა ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს უღარიბეს ქვეყნებს.

არც ის შეესაბამება სიმართლეს, რომ გაერო მხოლოდ და მხოლოდ შეერთებული შტატების ნების შემსრულებელია. პირიქით, იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ, მათ შორის შეერთებულმა შტატებმაც, უარი თქვეს საწევროს გადახდაზე, როდესაც უკმაყოფილო დარჩნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებით (1998 წლის მარტში შეერთებულ შტატებს 1.3 მილიარდი დოლარი დავალიანება ჰქონდა გაეროს მიმართ). მთლიანობაში, გაეროსადმი სხვადასხვა ქვეყნის დავალიანებამ 2.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის ორჯერ მეტია მის წლიურ ბიუჯეტზე.

ამერიკის საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამერიკამ საკუთარ თავზე დიდი ტვირთი აიღო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გაეროს დაახლოებით 1300 მშვიდობისმყოფელიდან, რომლებიც 1945 წლიდან სხვადასხვა მისიისას დაიღუპნენ, მხოლოდ 3 პროცენტი იყო ამერიკელი. კიდევ ერთი, ნაკლებად ცნობილი ფაქტია გაეროს მნიშვნელოვანი ეკონომიკური წვლილი შეერთებული შტატების ეკონომიკაში. ნიუ

იორკის ყოფილი მერის, რუდოლფ ჯულიანის განცხადებით, გაეროს წყალობით ნიუ იორკ სითის ეკონომიკა 1990-იანი წლების ბოლოს ყოველწლიურად 3.2 მილიარდი აშშ დოლარის მოგებას ნახულობდა; ნიუ-იორკში გაეროს შტაბბინის არსებობამ 30600 სამუშაო ადგილი შექმნა, რაც 1.2 მილიარდი დოლარის წლიურ გამომუშავებას ნიშნავს.

კოლექტიური სამხედრო მოქმედება. 1990 წლის აგვისტოში, როდესაც ერაყი ქუვეითში შეიჭრა, გაერომ სამხედრო ოპერაციით უპასუხა. ამგვარი კოლექტიური საომარი მოქმედება კოლექტიური უსაფრთხოების მიზნით, რომელსაც აშშ ხელმძღვანელობდა, ვუდრო ვილსონის აუხდენელი ოცნება იყო. მისი ხედვით ერთა ლიგას სამხედრო ძალა მსოფლიოში მშვიდობისა და სამართლიანობის დასაცავად უნდა გამოეყენებინა. გაეროს მოქმედება ერაყში ანალოგიური იყო 1950 წელს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ძალის გამოყენება. მაშინაც, კოალიციას აშშ მეთაურობდა. ამგვარმა მოქმედებამ მაშინაც პრობლემები წარმოშვა. საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობდა ამ ოპერაციაში. მოსკოვი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამერიკის მიერ გაეროს გამოყენებას თავისი სატელიტი (დამოკიდებული) სახელმწიფოს, სამხრეთ კორეის დასაცავად. მართალია, სამხედრო მისია გაეროს დროშის ქვეშ მიმდინარეობდა, ეს, ეგრეთ წოდებული კორეის კონფლიქტი, სინამდვილეში იყო ომი, რომელსაც შეერთებული შტატები აწარმოებდა ჯერ ჩრდილოეთ კორეის და შემდეგ ჩინეთის წინააღმდეგ. სამშვიდობო ოპერაციის მეთაური, გენერალი დუგლას მაკარტური ანგარიშვალდებული იყო აშშ-ს პრეზიდენტის და არა გაეროს გენერალური მდივნის მიმართ.

კიდევ ოთხი ათწლეული გავიდა, ვიდრე გაერო ისევ ჩაერთვებოდა საერთაშორისო კოალიციაში აგრესორის წინააღმდეგ. ცივი ომის დროს ყველა ასეთი მცდელობა უშედეგოდ სრულდებოდა, რადგან თითოეული ზესახელმწიფო ვეტოს უფლებას იყენებდა მეორის მიერ შემოთავაზებული ძალისმიერი გამოყენების შესაზღუდად.

1990-91 წლებში, როდესაც შეერთებულმა შტატებმა (ბრიტანეთის მხარდაჭერით) ერაყში წამოიწყო სამხედრო ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“, გაეროს უშიშროების საბჭოში შეიკრიბნენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, რათა გადაეწყვიტათ, როგორ ეპასუხათ ერაყის აგრესიისათვის. ეს იყო პირველი დიდი გამოცდა გაეროსათვის ცივი ომისშემდგომ პერიოდში. შეერთებულმა შტატებმა მოიპოვა უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა ერაყის წინააღმდეგ რეზოლუციის მისაღებად, მკაცრი ეკონომიკური სანქციების დასაწესებლად და საბოლოოდ მიიღო თანხმობა ძალის გამოყენებაზე ქუვეითიდან ერაყის არმიის განსადევნად.

ერაყის წინააღმდეგ ომი ამერიკის მოქმედების შედეგი იყო. გაეროს საკუთარი ძალები ერაყში არ გაუგზავნია. გენერალური მდივანი ვერ აკონტროლებდა ვერც კოალიციური ძალების განლაგებას და ვერც მათ მოქმედებას. იქ არ იმყოფებოდა გაეროს გენერალური შტაბი და შესაბამისად ვერ ხელმძღვანელობდა კოალიციის წევრთა (ძირითადად შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის) მიერ განხორციელებულ სამხედრო თუ დიპლომატიურ ოპერაციებს. იგი არც ოპერაციის დაფინანსებაში მონაწილეობდა. საომარ მოქმედებებს უმთავრესად ამერიკის მოკავშირეები: იაპონია, გერმანია, ქუვეითი და საუდის არაბეთი აფინანსებდა. ამიტომ, არ შეიძლება ერაყის წინააღმდეგ ომს გაეროს ოპერაცია ვუწოდოთ. იგი არც კოლექტიურ ქმედებად შიეძლება ჩაითვალოს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს იყო შეერთებული

შტატების მიერ შექმნილი და გაეროს მიერ სანქცირებული ფართომასშტაბიანი კოალიცია. [სპარსეთის ყურის მეორე ომის დროს, აშშ-მ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე დაიწყო - რედ. შენ.]

დიდი საერთაშორისო ორგანიზაციების პრობლემები

წარმატებების მიუხედავად, გაერომ ვერ გაამართლა მის შემქმნელთა ყველა იმედი. მისი დამაარსებლები შეეცადნენ გადაეჭრათ ის პროცედურული პრობლემები, რომლის წინაშეც იდგა ერთა ლიგა, მაგალითად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კონსენსუსი, რომელიც ლიგას ხშირად ხელს უშლიდა ადეკვატური ზომების მიღებაში. ამის მიუხედავად, გაეროც არაერთხელ აღმოჩნდა იმავე პრობლემების წინაშე. პროცედურული პრობლემები ხშირად პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის შედეგია.

უნივერსალურობის პრობლემა. პირველ რიგში, საჭიროა ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სიდიდისა და გავლენის მქონე ქვეყნის დარწმუნება, რათა შეუერთდნენ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციებს და დარჩნენ მის ნაწილად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, კრიზისულ სიტუაციაში გამომჟღავნდება ასეთი ორგანიზაციის არაადეკვატურობა და იგი დაიშლება. ერთა ლიგის მაგალითით თვალსაჩინო გახდა, რომ საჭიროა ასეთ ორგანიზაციას შეუერთდეს ყველა ძლიერი სახელმწიფო ანუ ყველა, ვისაც შესწევს ძალა, დაარღვიოს საყოველთაო მშვიდობა. გაეროს შემთხვევაში ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც ორი ათწლეულის განმავლობაში გაეროს მიღმა რჩებოდა. დღეს გაერო უნივერსალურ ორგანიზაციაა 192 წევრი ქვეყნით, იმ ჯუჯა სახელმწიფოების ჩათვლით, რომლებიც რუკაზე წერტილებად ჩანან.

უთანასწორობის პრობლემა. პატარა სახელმწიფოები დიდ სახელმწიფოებთან თანასწორობას მოითხოვენ საერთაშორისო ორგანიზაციებში. სხვაგვარი დამოკიდებულება შეურაცხმყოფელი იქნება და შესაძლოა სხვა სახელმწიფოს სუვერენული ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის საშუალება მისცეს. იმავე პრინციპით, ძლიერი სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ მათი უპირატესობა გამოჩნდეს სპეციალურ პროცედურულ საკითხებში, როგორიცაა ვეტოს უფლება, რომლითაც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები სარგებლობენ. სხვა შემთხვევაში, ისინი ამას საკუთარი მნიშვნელობის დამცირებად მიიჩნევენ. უფრო მეტიც, ვინაიდან წევრ სახელმწიფოთა შეფარდებითი ძალა დროთა განმავლობაში იცვლება, თავდაპირველი ფორმულა, რომელიც ასეთ საკითხებს აგვარებს, დროდადრო გადახედვას საჭიროებს. ზოგიერთ ქვეყანას, რომელსაც ადრე დიდი ძალა ჰქონდა, უნდა ჩამოერთვას უწინდელი უფლებები, რათა ადგილი გათავისუფლდეს აღმავლობის ფაზაში მყოფი სახელმწიფოებისათვის. ეს ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ „ტექნიკური“ პრობლემა. ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, თუკი არ გადაჭრის უთანასწორობის პრობლემას და ამავე დროს არ იქნება იმდენად მოქნილი, რომ შეიცვალოს მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად.

კომპეტენციის პრობლემა. ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციებს ძალა არ შესწევთ, გადადგან ესა თუ ის ნაბიჯი, რადგან მას ესა თუ ის სახელმწიფო ეწინააღმდეგება. არადა, ცალკეულ ასეთ სახელმწიფოებს ვეტოს უფლება შეიძლება არც ჰქონდეთ. მაგალითად, თუკი განვითარებადი ქვეყნები გაერთიანდებიან, მათ შეუძლიათ დაბლოკონ გენერალური ასამბლეის ფუნქციონირება, შესაძლოა უშიშროების საბჭოს რომელიმე მუდმივი წევრი დაიყოლიონ, ვეტო დაადოს ამა თუ იმ საკითხს (ან, თეორიულად, მათ შეუძლიათ უმრავლესობის მოპოვებით დაბლოკონ ესა თუ ის საკითხი უშიშროების საბჭოში). შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციებს აკლიათ იმ სახის ძალაუფლება სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად, რაც საბოლოოდ ცალკეული მთავრობის კომპეტენციაში შედის. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ, არის საყოველთაო ინტერესის სფეროში არსებული კონკრეტული საკითხების გადაჭრა (მაგალითად, სამშვიდობო ოპერაციები).

ერთიანობის პრობლემა. წარსულში ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაციები იყო ალიანსები, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ იქმნებოდა. ამის მაგალითია საღვთო კავშირი, რომელიც საფრანგეთის აღორძინების შიშით შეიქმნა. კიდევ ერთი მაგალითია თანამედროვე არაბული ლიგა: რომ არა საერთო მტრის (ისრაელის) წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობა, არაბული ქვეყნები, ალბათ, ამ ბოლო ათწლეულების მანძილზე სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაერთვებოდნენ ერთმანეთთან. ასევე, რომ არა კომუნისტური ექსპანსიის საფრთხე, 1940-იანი წლების ბოლოსა და 1950-იანი წლების დასაწყისში, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია არასოდეს დაარსდებოდა. გაერომ ერთიანობის პიკს 1990-91 წლებში მიაღწია, როდესაც მას მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობა შეუერთდა საერთო მეტოქის — ერაყის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, როგორც კი რეალური საფრთხე ქრება, ალიანსიც სუსტდება.

სუვერენიტეტის პრობლემა. სუვერენიტეტი, ანუ სახელმწიფოს უზენაესობა ტერიტორიულ ფარგლებს შიგნით, საფუძვლად უდევს ოთხივე ზემოხსენებულ პრობლემას. ქვეყანას სუვერენიტეტი ან აქვს, ან არა, ან თავად წყვეტს საკუთარ შიდა საქმეებს, ან არა. როგორც მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელმა პოლიტიკოსმა ჯონ კალჰუნმა ერთხელ აღნიშნა, ქვეყანა ისევე არ შეიძლება ნაწილობრივ სუვერენული იყოს, როგორც ქალი ნაწილობრივ ფეხმძიმე. ასე რომ, ეფექტიანი მსოფლიო მთავრობის შექმნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ არსებული მთავრობები დათანხმდებიან დათმონ სუვერენიტეტი უფრო ზემდგომი ხელისუფლების სასარგებლოდ. ამ პერსპექტივას კი სახელმწიფოთა (და პოლიტიკოსთა) უმეტესობა ძალზე სარისკოდ მიიჩნევს შიშით, ცრურწმენებითა და უნდობლობით გამსჭვალული მსოფლიოს პირობებში.

საერთაშორისო სამართალი

მშვიდობისა და ჰარმონიულობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დღევანდელი ერი-სახელმწიფოების სისტემის პირობებში. ამ კონტექსტში საერთაშორისო სამართალს შეუძლია გააძლიეროს საერთაშორისო ორგანიზაციები, რათა მათ უფრო მშვიდობიანი და უსაფრთხო მსოფლიოს განვითარებას შეუწყონ ხელი.

350 წლის განმავლობაში საერთაშორისო სისტემა რეგულირდება ***საერთაშორისო სამართლით***. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სახელმწიფოთა უფლებებსა და მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ. „თამაშის წესები", რომლებიც სუვერენულმა სახელმწიფოებმა აღიარეს, ძირითადად ხელშეკრულებებით გამოიხატება. საერთაშორისო სამართლის სხვა, ასევე ფართოდ აღიარებული წყაროებია ჩვეულება და კონვენცია; სამართლიანობასა და მორალზე დაფუძნებული ზოგადი პრინციპები; აგრეთვე, სასამართლო გადაწყვეტილებები და ავტორიტეტული იურისტების სწავლებანი.

საერთაშორისო სამართლის ყველაზე ცნობილ კოდიფიკაციად რჩება ჰუგო გროციუსის (ომისა და მშვიდობის შესახებ ნაშრომი), რომელიც გამოქვეყნდა 1625 წელს, ოცდასამი წლით ადრე, სანამ 1648 წელს ვესტფალიის ზავით ერი-სახელმწიფოთა სისტემის დაბადება ოფიციალურად გამოცხადდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემის წარმოშობა დაემთხვა თამაშის წესების ჩამოყალიბებას, რომლითაც საერთაშორისო ურთიერთობების მოწესრიგება ხდება. ვესტფალიის ზავის შემდეგ, საერთაშორისო სამართალი ყოველდღიური მსოფლიო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა.

სარგემლიანობა

ერთი წუთით წარმოიდგინეთ უამრავი პრაქტიკული შეკითხვა, რომლებზეც სარწმუნო პასუხის გაცემა შეუძლებელია საერთაშორისო ნორმებისა და კონვენციების გარეშე. როგორ შეიძლება განისაზღვროს საზღვრები ხმელეთსა და ზღვაზე? დავუშვათ, ორ სახელმწიფოს შორის საზღვარზე მდინარეა, ვინ გადაწყვეტდა: (1) სად უნდა გაევლო საზღვარს: მდინარის ნაპირებს შორის, მის კალაპოტზე, თუ მდინარის ზუსტად ცენტრში; (2) მდინარე უნდა ყოფილიყო თუ არა ნაოსნობისთვის ღია ერთი სახელმწიფოსათვის, ორივე სახელმწიფოსათვის, თუ არც ერთისათვის; (3) აქვთ თუ არა მდინარის სათავეში მდებარე სახელმწიფოებს დამბების, ჰიდროელექტროსადგურებისა და რეზერვუარების აშენების უფლება მდინარეებზე, რომლებიც დინების ბოლოში სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზეც მიედინება? ამ სახის კითხვები თავს იჩენდნენ საერთაშორისო ურთიერთობის ბევრ სხვა შემთხვევასა და სფეროში. რას შეუძლია ამა თუ იმ უცხო ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლების უსაფრთხოების გარანტირება? როგორ მოწესრიგდება მოძრაობა ღია ზღვაში? ვინ წყვეტს, უნდა ჰქონდეს თუ არა ნეიტრალურ სახელმწიფოს უფლება, გააგრძელოს ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა ომში ჩართულ ორივე დაპირისპირებულ მხარესთან? ესაა რამდენიმე იმ არსებითი მნიშვნელობის საკითხთაგან, რომელთა გადაწყვეტაც უაღრესად რთული იქნებოდა საერთაშორისო სამართლის არსებობის გარეშე.

შესტულმა და იძულმა

გასაოცარია, მაგრამ საერთაშორისო სამართალს ადგენენ და ახორციელებენ ის სახელმწიფოები, რომელთა შესაზღუდადაც იქმნება იგი. როგორც ერთი ავტორი აღნიშნავს:

> თავისი არსებობის ოთხასი წლის მანძილზე, საერთაშორისო სამართალის ზედმიწევნით აკვირდებოდნენ. როცა მისი ერთ-ერთი კანონი ირღვეოდა, ამას ყოველთვის არ მოჰყვებოდა სათანადო რეაგირება. ხოლო როცა სადამსჯელო ქმედებას მიმართავდნენ, ის არ იყო ყოველთვის ეფექტიანი. და მაინც, არ იქნება სწორი უარვყოთ საერთაშორისო სამართლის, როგორც სავალდებულო წესების სისტემის არსებობა.[14]

საერთაშორისო სამართლის განხორციელება ყოველთვის დიდ სიძნელეებს უკავშირდებოდა. დამნაშავეს სახელმწიფო სჯის კანონის ძალით, მაგრამ საერთაშორისო სფეროში არც ერთი სახელმწიფო არ არის მმართველი (ცხადია, არც გაერო). ცხადია ისიც, რომ შეუძლებელია სახელმწიფოთა დაპატიმრება, გასამართლება და ციხეში ჩასმა. თუმცა, მათი დასჯა მაინც შესაძლებელია. მთავრობათა ფუნქციური ეკვივალენტი საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსია. სხვა სიტყვებით, „კანონდამრღვევებად მიჩნეული“ სახელმწიფოები, სხვა სახელმწიფოებისგან დიპლომატიური შეზღუდვების, ეკონომიკური ემბარგოს ან ბლოკადის მსხვერპლნი ხდებიან. ექსტრემალურ სიტუაციაში შესაძლებელია მათ საზღვრებში შეჭრა და დაპყრობა.

ასევე, არ არის მართალი მოსაზრება, რომ საერთაშორისო სამართალს არანაირი ძალა არ აქვს და დიდ ერი-სახელმწიფოებს არასდროს მოუწევთ დაემორჩილონ მის დიქტატს. სინამდვილეში საერთაშორისო და სახელმწიფოს სამართალს შორის განსხვავება ინტენსივობაზეა დამოკიდებული: იმ დროს, როცა რიგითი მოქალაქეები, როგორც წესი, უმალ ელიან სასჯელს კანონის დარღვევისას, მთავრობებს უფრო ხშირად შეუძლიათ დაარღვიონ კანონი და დარჩნენ დაუსჯელნი. ამის გათვალისწინებით, პოლიტიკური ზეწოლა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესასრულებლად რეალური და აზრიანია. ამის თანამედროვე მაგალითი იყო სერბეთის ხელისუფლების მიერ იძულების გზით მიღებული გადაწყვეტილება ექს-პრეზიდენტ მილოშევიჩის გაეროს ტრიბუნალისათვის გადაცემის შესახებ.

საპასუხო პოლიტიკური რეაქციის შიში არ არის იმის ერთადერთი მიზეზი, რომ მთავრობათა უმრავლესობა უმეტესწილად მიჰყვება საერთაშორისო თამაშის წესებს. როგორც უკვე ვნახეთ, ყველა ქვეყანას შეუძლია საერთაშორისო წესებისა და რეგულაციების უნიფიცირებული სისტემიდან სარგებლის მიღება. ამ წესების გარეშე საერთაშორისო ვაჭრობა, მოგზაურობა და ტურიზმი ძალიან გართულდებოდა, ხოლო საერთაშორისო ფინანსური ტრანსაქციები, უცხოური ინვესტიციები, ტექნოლოგიური ტრანსფერი, საფოსტო და ტელეკომუნიკაციები ლამის შეუძლებელი იქნებოდა. დიპლომატიური იმუნიტეტის საგულდაგულოდ დამუშავებული და ფართოდ აღიარებული წესების გარეშე ძალიან ცოტა მთავრობა გაგზავნიდა თავის წარმომადგენელს უცხო ქვეყნის დედაქალაქში. არსებულ გარემოებებში საეჭვოა, შეუძლია თუ არა ნებისმიერ მთავრობას, ქედმაღლურად შეხედოს საერთაშორისო სამართალს. დიპლომატიური იზოლაციის, ეკონომიკური ნგრევისა და სამხედრო შურისძიების საფრთხის წინაშე მთავრობები, როგორც წესი, ხელშკრულებებს, კონვენციებსა და ზოგად წესებს მხოლოდ ყველაზე ექსტრემალურ, გამონაკლის სიტუაციებში არღვევენ.

საერთაშორისო სამართლის შემთხვევაშიც ძალა ყველა სახის პოლიტიკის საფუძვლად რჩება. უზრუნველმყოფი ძალის გარეშე კანონი ფარსია. საერთაშორისო სცენაზე პოლიციის როლს საერთაშორისო აქტორები ინდივიდუალურად ან

კოლექტიურად თამაშობენ. ამრიგად, ძალთა ბალანსი „აუცილებელი მდგომარეობაა თვით საერთაშორისო სამართლის არსებობისათვის.“[15]

საერთაშორისო სამართალი თანამედროვე ეპოქაში

მეორე მსოფლიო ომამდე საერთაშორისო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ ჟენევისა და ჰააგის კონვენციები, რითაც ჩამოაყალიბეს ომის წესები. 1945 წლიდან საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებით განვითარდა რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში, მათ შორის, შეიარაღების კონტროლის საკითხებში. სამომავლოდ, მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო სამართალი დაინტერესდება ეკოლოგიური პრობლემებით.

ჟენევისა და ჰააგის კონვენციები. მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებამდე ომის წესები განსაზღვრული არ იყო. 1856 წელს რამდენიმე ძლიერმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა მრავალმხრივ საერთაშორისო კონფერენციათა სერიებს, რომელიც დაგვირგვინდა პარიზის დეკლარაციით, რომელიც ზღუდავდა ომს ზღვაში, უკანონოდ აცხადებდა მეკობრეობასა და აკანონებდა საზღვაო ბლოკადის ფორმებს. უფრო მნიშვნელოვანი იყო 1864 წლის ***ჟენევის კონვენცია*** (გადახედილ იქნა 1906 წელს), რომელიც ეხებოდა ბრძოლის ველზე დაჭრილთა მოპყრობას. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის იყო 1899 წლის ***ჰააგის კონვენცია***, რომელმაც გაამახვილა ყურადღება სახმელეთო ომის წესებზე. 1907 წელს ჰააგის მეორე კონფერენციაზე გადაიხედა 1899 წლის ნორმები მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ასევე, წამოჭრილ იქნა საკითხები ახალი სახის იარაღის გამოყენების შესახებ, როგორიცაა ე. წ. „ცენტრდაკარგული“ ტყვიები [ტყვია, რომელიც მიზანში მოხვედრის შემდეგ იშლება და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მსხვერპლს, ამჟამად აკრძალულია - მთარგმნ. შენ.] მომწამვლელი გაზი და გაზით სავსე ნაღმები.

შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ შეთანხმებები. არც ერთი საკითხი არ ჩანდა იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც შეიარაღებაზე ორმხრივი კონტროლის შესახებ მოლაპარაკებები აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის დროს (იხ. ცხრილი 18-3). იმის მიუხედავად, რომ ეს მოლაპარაკებები მრავალრიცხოვანი და საპირისპირო იყო, მათ ბირთვულ შეკავებაზე გავლენა მაინც მოახდინეს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, გაუმჯობესებულმა ურთიერთობამ აშშ-სა და რუსეთს შორის, უბიძგა აშშ-სა და რუსეთს შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე მოლაპარაკება გაემართათ. ყველაზე მნიშვნელოვანია 1993 წლის სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება II **(START II)**, რომლის საფუძველზეც ბირთვული ქობინების რაოდენობა, პირველი მსგავსი ხელშეკრულების მიხედვით შემცირებულ დონესთან შედარებით, კიდევ 60 პროცენტით შემცირდა. მეტიც, *START II*-მა აკრძალა მრავალქობინიანი სახმელეთო რაკეტები და შეამცირა წყალქვეშა გემების ატომური ქობინებიც. აშშ-სა და რუსეთს იმედი ჰქონდათ, რომ „შეძლებდნენ გამანადგურებელი ომის საფრთხის შემცირებას ისეთი სახის ბირთვული იარაღის აკრძალვით, რომელსაც ორივე ზესახელმწიფო გამოიყენებდა პრევენციული დარტყმისას.“[16]

ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში შეიარაღების კონტროლის მიზნით მიღებული ხელშეკრულებები მრავალმხრივი გახდა და მას მიუერთდა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა. მოლაპარაკებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- 1959 წლის ***ანტარქტიდის შეთანხმებამ*** აკრძალა ყველა სახის სამხედრო საქმიანობა ანტარქტიდის კონტინენტზე და ყოველ ხელმომწერ მხარეს მისცა საჰაერო მეთვალყურეობის უფლება. ასევე, აკრძალა ბირთვული მრეწველობის ნარჩენებით გარემოს დაბინძურება და წაახალისა თანამშრომლობა სამეცნიერო გამოკვლევებისას.
- 1967 წლის ***კოსმოსის შეთანხმებამ*** აკრძალა კოსმოსში ბირთვული იარაღის, მთვარესა და პლანეტებზე სამხედრო ბაზების განლაგება და აკრძალა კოსმოსურ სივრცეზე რომელიმე სახელმწიფოს პრეტენზიები.
- 1968 წლის ***ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებამ*** შეზღუდა ხელმომწერი ქვეყნები ბირთვული იარაღისა და მასალების გაცემასა და მიღებაში. იმ დროს, როცა ქვეყანათა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ამ მოლაპარაკებას, რამდენიმე ხელმომწერი არ ემორჩილებოდა ამ წესს. ირანს, ერაყს, ლიბიას, პაკისტანსა და ინდოეთს ხელი არ მოუწერიათ ამ შეთანხმებაზე.
- 1971 წლის ***ზღვის ფსკერის შეთანხმებამ*** აკრძალა ბირთვული იარაღის გამოცდა წყალქვეშ თითოეული ქვეყნის 12-მილიანი სასაზღვრო რადიუსის გარეთ.
- 1972 წლის ***ბიოლოგიურ იარაღის კონვენციამ*** სავალდებულო გახადა ბიოლოგიური რეზერვების განადგურება და უკანონოდ გამოაცხადა ამ სახის იარაღის შენახვა და წარმოება.
- 1993 წლის ***ქიმიური იარაღის კონვენცია*** მიზნად ისახავს ათი წლის განმავლობაში ქიმიური იარაღის განადგურებას. აშშ-ის სენატმა შეთანხმების რატიფიკაცია 1997 წელს მოახდინა.

ამგვარი შეთანხმებების მოლოდინი უსასრულო არაა. მთავრობები, როგორც წესი, ხელს არ აწერენ ხელშეკრულებებს, რომლებიც არასასურველ ვალდებულებებს უწესებს მას. მაგალითად, აშშ-მ გამოაცხადა, რომ მას ისედაც არ განუზრახავს ქიმიური იარაღის განვითარება (ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ ეყრდნობოდა ამ სახის იარაღს) იმ დროს, როცა მან ხელი მოაწერა ქიმიური იარაღის კონვენციას. იქ, სადაც ქცევის წესების შესახებ მოლაპარაკება ქვეყნებისაგან მოითხოვს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე უარის თქმას, საერთაშორისო სამართალი არ არის საკმარისად ეფექტური.

საერთაშორისო სამართალი და გარემოს დაცვა. მოსალოდნელია, რომ მომავალში საერთაშორისო სამართლის ის ნაწილი, რომელიც გარემოსა და ეკოლოგიას შეეხება, საგრძნობლად გაიზრდება და გაფართოვდება. ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ იარაღის შეზღუდვის მოლაპარაკებების გამოცდილება საფუძვლად დაედება ტრანსნაციონალური ეკოლოგიური მოლაპარაკებების ახალ ეპოქას.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როგორიცაა მონრეალის პროტოკოლი, რომელიც კრძალავს ოზონის გარსისათვის საშიშ ნივთიერებათა გამოყენებას (იხ. ჩანართი „საერთაშორისო სამართალი და გარემო: მონრეალის პროტოკოლი“), საერთაშორისო ეკოლოგიურ მოლაპარაკებათა რაოდენობა და ფარგლები შეზღუდულია. შეიარაღების მსგავსად, ეკოლოგიური საკითხებიც, როგორც წესი, ეროვნული სუვერენიტეტის სფეროში ექცევა. თუმცა რესურსების ამოწურვა, გადაშენების ზღვარზე მყოფი სახეობები და ადამიანის მიერ გამოწვეული ცვლილებები ბიოსფეროში ის საკითხებია, რომლებიც, ბირთვული ომის შესაძლებლობის მსგავსად, ყველა ქვეყანაზე ახდენს გავლენას.

ცხრილი 18.3

შეიარაღების კონტროლის შესახებ ძირითადი ორმხრივი შეთანხმებები შეერთებულ შტატებსა დაყოფილ საბჭოთა კავშირს/რუსეთს შორის

თარიღი	შეთანხმება	ძირითადი მიზნები
1963	ცხელი ხაზის შესახებ	ამყარებს მთავრობებს შორის პირდაპირ რადიო და სატელეგრაფო საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც გამოიყენება კრიზისის პერიოდებში.
1971	ცხელი ხაზის მოდერნიზაციის შესახებ	საფუძველს უყრის ცხელი ხაზის სატელიტური საკომუნიკაციო სისტემის ამოქმედებას.
1971	ბირთვული ავარიების შესახებ	ქმნის ბირთვული იარაღის შემთხვევითი ან არასანქცირებული აფეთქების შესახებ შეტყობინების პროცესს; ქმნის შემთხვევითობის თავიდან აცილების გარანტიებს.
1972	ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ (SALT 1)	ზღუდავს ანტიბალისტიკური რაკეტებისაგან დაცვის სისტემების გაფართოებას ერთ ტერიტორიაზე და კრძალავს კოსმოსური რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შექმნას.
1972	SALT 1-ის დროებითი ხელშეკრულება თავდასხმის სტრატეგიული იარაღის შესახებ	ხუთწლიანი პერიოდით ყინავს სუპერსახელმწიფოთა ხელთ არსებული ბალისტიკური რაკეტის გამშვების მოწყობილობების მთლიან რაოდენობას.
1972	დროებითი შეთანხმების პროტოკოლი	განმარტავს და აძლიერებს სტრატეგიულ იარაღზე თავდაპირველ შეზღუდვას.
1972	ღია ზღვის შესახებ	აყალიბებს ოკეანიაზე კრიზისის გამომწვევი ინციდენტების თავიდან აცილების პროცედურებს.
1973	ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ	სუპერსახელმწიფოთაგან მოითხოვს კონსულტაციებს ბირთვული ომის საფრთხის გაჩენის შემთხვევაში.
1974	ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდილების შეზღუდვის შეესახებ	ზღუდავს 150 კილოტონაზე მეტი წონის ბირთვული იარაღის არარეგალურ გამოცდას.
1974	ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ შეთანხმების პროტოკოლი	ამცირებს ანტიბალისტიკური რაკეტების დასაშვებ რაოდენობას ერთ ტერირორიაზე.
1976	ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვის შესახებ სამშვიდობო მიზნებით	აფართოებს 1974 წლის შეთანხმებით განსაზღვრულ აკრძალვას ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის თაობაზე; მოითხოვს დამკვირვებლების დასწრებას 150 კილოტონაზე მეტი წონის იარაღის გამოცდისას.
1977	კონვენცია სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული მიზნებით გარემოს შემცვლელი ტექნიკის გამოყენების აკრძალვის შესახებ	კრძალავს იარაღს, რომელიც პლანეტის ეკოლოგიის მოდიფიცირების საფრთხეს ქმნის.
1979	Salt II (არარატიფიცირებული)	აწესებს სტრატეგიული მატარებლების, MIRV-ედ რაკეტების, გრძელდისტანციური ბომბდამშენის, ფრთიანი რაკეტების, კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების და სხვა იარაღის ზღვარს; ზღუდავს იარაღის გამოცდას.
1987	ბირთვული რისკის შემცირების ცენტრების შესახებ	ორივე ქვეყნის დედაქალაქში ქმნის ბირთვულ კრიზისის მართვის ბერკეტებს.

თარიღი	შეთანხმება	ძირითადი მიზნები
1987	საშუალო რადიუსის ბირთვული ძალების შეთანხმება	ანადგურებს შეერთებულ შტატებისა და სსრკ-ს სახმელეთო, საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვულ იარაღს ევროპაში და რთავს ადგილზე ინსპექტირების უფლებას
1990	ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ	ბოლოს უღებს ქიმიური იარაღის წარმოებას; ანახევრებს ქიმიური იარაღის ინვენტარის რაოდენობას 1999 წლისათვის, ხოლო 2002 წლის ბოლოსათვის 5 ათას მეტრულ ტონამდე ამცირებს.
1990	მოლაპარაკებები ბირთვული გამოცდის შესახებ	ახალი პროტოკოლი აუმჯობესებს ვერიფიკაციის პროცედურებს.
1991	START (შეთანხმება სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ)	30%-ით ამცირებს სტრატეგიული ბირთვული იარაღის არსენალს.
1992	START I პროტოკოლი	რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ყაზახეთისაგან მოითხოვს სტრატეგიული იარაღის შემცირებას ყოფილი სსრკ-ს მიერ START-ით შეთანხმებული პირობების მიხედვით.
1992	ღია ცის შეთანხმება	ნებას რთავს შეუიარაღებელ თვითმფრინავებს დაკვირვების მიზნით იფრინონ შეერთებული შტატების, რუსეთისა და მათი მოკავშირეების თავზე.
1992	ერთობლივი საფრთხის შემცირების შესახებ	უზრუნველყოფს რუსეთს მრავალგვარი მოწყობილობებითა და დახმარებით სტრატეგიული მატარებლების სისტემის უსაფრთხო განადგურების, ბირთვული საბრძოლო მუხტის ტრანსპორტირების, ბირთვული იარაღის რადიაქტიული ნარჩენების დამარხვისას ფიზიკური დაცვის, საბრძოლო მუხტის ბალანსირების და ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის განადგურებისა და მოწყობილობათა დემონტაჟისათვის.
1993	START II	2003 წლისათვის ამცირებს შეერთებულ შტატებსა და რუსეთში სტრატეგიული ბირთვული ქობინების რაოდენობას 3000-დან 3500-მდე; კრძალავს მრავალჯერადი გამოყენების სახმელეთო სისტემებს.
1995	ძალზე გამდიდრებული ურანის შესახებ	ამცირებს ბირთვული საბრძოლო დაშლის შედეგად მიღებული ბირთვული საწვავის დივერსიისა და მოპარვის რისკს სამთავრობო შესყიდვებისა და სამოქალაქო დანიშნულების რეაქტორში საწვავად გამოყენების გზით.
1997	ბირთვული საწვავის შემცირების შესახებ	კრძალავს ბირთვული საწვავის წარმოებას ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული აფეთქების მოწყობილობებისათვის.
1997	კონვერსიის შესახებ	ავალდებულებს შეერთებულ შტატებს ხელი შეუწყოს რუსეთში პლუტონის მწარმოებელი დარჩენილი სამი რეაქტორის გადაკეთებას ისე, რომ ველარ აწარმოოს იარაღის კლასის პლუტონი; პროექტის დასრულება 2000 წლის ბოლოსათვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ სავარაუდოა, რომ 2002 წლისთვის დასრულდება.
1997	START III	1998 წელს მოსკოვის სამიტზე განახლებული ხელშეკრულება, რომ შეერთებული შტატები და რუსეთი აღარ განადგებს 2000-2500-ზე მეტ სტრატეგიულ ბირთვულ საბრძოლო ქობინს კონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებზე, წყალქვეშა ნავის ბალისტიკურ რაკეტებზე და სტრატეგიულ ბომბდამშენებზე 2007 წლის 31 დეკემბრისათვის, START II-ის ხელშეკრულების რატიფიკაციის მოლოდინში.

საერთაშორისო სამართალი და გარემო: მონრეალის პროტოკოლი

მონრეალის პროტოკოლი, ფორმალურად ცნობილი, როგორც პროტოკოლი ნივთიერებებზე, რომლებიც ცვეთენ ოზონის საფარს, აღიარებულია ყველაზე მნიშვნელოვან ეკოლოგიურ შეთანხმებად ისტორიაში და საერთაშორისო სამართლის ახალი ეპოქის მომასწავებელ მოდელად. კიბოს გამომწვევი ულტრაიისფერი რადიაციისგან პლანეტის დამცავი ოზონის სფეროს ეროზიამ შეაშფოთა მსოფლიო საზოგადოება. 1986 წელს ოცდასამმა სახელმწიფომ შეიმუშავა 1999 წლისათვის ფლოროფლუოროკარბონების (ცნობილია *CFC* სახელით და ფართოდ გამოიყენება ავტომობილების კონდიციონერებში) 50 პროცენტით შემცირების გეგმა. 1990 წელს ლონდონში განახლდა მოლაპარაკება, რომლის მიხედვითაც 2000 წლისათვის *CFC* სრულად უნდა აღმოფხვრილიყო. ორი წლის შემდეგ კოპენჰაგენში 80-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, ეს ვადა 1996 წლამდე გადმოეწიათ და აეკრძალათ რამდენიმე საზიანო ნივთიერება. 1992 წელს აშშ-მ ერთპიროვნულად გამოაცხადა თანხმობა მონრეალის პროტოკოლის მოდიფიკაციაზე.

მონრეალის პროტოკოლის მოდიფიკაციის უპრეცედენტო მასშტაბებმა დაამშვიდა გარემოს ცვილებით შეშინებული ბევრი ადამიანი. და მაინც, მოლაპარაკების შედეგების განხორციელება რთული აღმოჩნდა. ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობდა განვითარებადი ქვეყნებისა საერთაშორისო სუბსიდირება, რათა მათ შეეძინათ ისეთი ტექნოლოგიები, რომელიც არ დააზიანებდა ოზონს. ხელშეკრულების კრიტიკა სხვადასხვა მხრიდან გაისმოდა. ზოგს ხელშეკრულება უსარგებლოდ მიაჩნდა, სხვებს სჯეროდათ, რომ ის ძალიან ცოტას ცვლიდა.

და მაინც, არსებობდა ფაქტობრივი მტკიცებულებები, რომ ეს მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება შეიძლება ეფექტიანად მოქმედებდეს. 1997 წელს გამოქვეყნებული ჰოლანდიური კვლევისას ერთმანეთს შეადარეს სამ მოსალოდნელ სცენარი: პირველი, არ არსებობდა არავითარი შეზღუდვები ოზონის ფენის გამანადგურებელ ქიმიურ ნივთიერებებზე; მეორე, ხორციელდებოდა მონრეალის 1987 წლის პროტოკოლის შეთანხმებები და მესამე, ხორციელდებოდა უფრო მკაცრი კოპენჰაგენის შეთანხმებები. შედეგები შთამბეჭდავი აღმოჩნდა. „თუ შეადარებთ იმას, რა შეიძლება მომხდარიყო სხვა შემთხვევაში, დაინახავთ საოცარ წარმატებას.“

გლობალური დათბობის შესახებ მოლაპარაკება (განხილული მსოფლიო ლიდერების მიერ კიოტოში, იაპონია, 1997 წლის დეკემბერში) კარგი მაგალითია იმისა, რაოდენ ძნელია საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის ჩამოყალიბება. ბევრი მეცნიერი, მათ შორის გეოფიზიკოსები და მეტეოროლოგები, წინასწარმეტყველებენ დედამიწაზე გლობალურ დათბობას მომავალ საუკუნეში. მსოფლიო მასშტაბის გლობალური დათბობის ეფექტი შეიძლება დამღუპველი იყოს, უარყოფითად იმოქმედოს მსოფლიო კლიმატზე, გამოფიტოს ნიადაგი და გამოიწვიოს ზღვის დონის მატება, რაც დაემუქრება ბევრ სანაპირო ქვეყანას.

გლობალური დათბობის უმთავრესი მიზეზია ნახშირორჟანგი, რომელიც წარმოიქმნება ნავთობის, ნახშირისა და სხვათა შიდა წვის ძრავაში წვის შედეგად. მაგრამ აშშ-ში არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია ნებისმიერ მოლაპარაკებაზე, რომელიც

ხელს შეუშლიდა, შეაჩერებდა ან შეზღუდავდა საწვავის მოხმარებას. პროფკავშირებს აფიქრებს სამუშაო ადგილების დაკარგვა. მრეწველობის უმსხვილესი დარგების წარმომადგენლები დამატებითი სამართლებრივი შეღავათების დაწესებას ითხოვენ. სკეპტიკოსები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ კომპიუტერული მოდელირების გზით მიღებულ შედეგებს და ეეჭვებათ, რომ გლობალური დათბობა საერთოდ მოხდება. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია მისი შედეგების ადვილად გადატანა.

ამ საკითხზე მსოფლიოში მრავალი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ევროპის ქვეყნები ეკოლოგიური სტანდარტების მომხრენი არიან, რაც მხარდაჭერას ვერ პოულობს აშშ კონგრესში. კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის სამხრეთით მდებარე ქვეყნების მცირე რაოდენობა საკუთარ თავს გლობალური დათბობისას ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მიიჩნევს (მაგალითად, ზღვის დონის მხოლოდ ორი ფუტით მატებასაც კი შეუძლია საფრთხეში ჩააგდოს მათი სანაპირო ბიზნესი და დააბინძუროს წყალი). ეს ქვეყნები კიდევ უფრო მკაცრ სტანდარტებს ლობირებენ, ვიდრე ევროპა. ამ დროს, განვითარებადმა ქვეყნებმა, მათ შორის ჩინეთმა, ინდოეთმა და ბრაზილიამ, უარი თქვეს ნებისმიერი სახის მოლაპარაკებაზე. ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, როგორიცაა საუდის არაბეთი, ნებისმიერი სახის მომავალ მოლაპარაკებას მიიჩნევენ ეკონომიკურად საზიანოდ და აგრძელებენ მათ კატეგორიულ ოპონირებას.

ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ჯორჯ ბუშმა მიიღო, იყო ის, რომ ხელს არ მოაწერდა კიოტოს ხელშეკრულებას. ამ გადაწყვეტილებამ ფართო კრიტიკა დაიმსახურა საზღვარგარეთ, ქვეყნის შიგნით კი საპირისპირო რეაქცია გამოიწვია. გლობალური დათბობის შესახებ ხელშეკრულების გაურკვეველი შინაარსი კიდევ ერთი მხარეა, რაშიც ის შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებებს წააგავს: მათზე მოსალაპარაკებლად მრავალი წელია საჭირო, კიდევ უფრო მეტი — მათ განსახორციელებლად და ეს პროცესი ყოველთვის პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის გავლენის ქვეშ არის.

საერთაშორისო სამართლის შეზღუდულობა

ხელშეკრულებები, რომელთა მიზანია ომის უკანონოდ ცნობა (მაგალითად 1928 წლის ბრიან-კელოგის პაქტი, რომლის რატიფიკაციაც საბოლოოდ სამოცდაათხმა ქვეყანამ მოახდინა) და მოლაპარაკებები, რომლებიც მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების განვითარებისათვის იმართება (მაგალითად გაეროს ქარტია), იშვიათად უძლებენ დროის გამოცდას ან სახელმწიფოთა ამბიციებს. მეზობელი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ყველაზე თავმდაბალი „მეგობრობის“ პაქტებიც კი საუკუნეთა განმავლობაში ირღვეოდა.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემას აკლია სამი პრაქტიკული წინაპირობა მსოფლიო სამართლებრივი ნორმების მისაღებად. პირველი, დღესდღეობით არ არსებობს საერთაშორისო საკანონმდებლო ორგანო, გენერალური ასამბლეის გარდა, რომლის ძალაუფლებაც უმნიშვნელოა. მეორე, არც ერთ საერთაშორისო აღმასრულებელ ორგანოს არ აქვს უფლება, ინიცირება მოახდინოს და განახორციელოს საერთაშორისო სამართალი (სიმბოლურად, გაეროს გენერალურ მდივანს აკისრია ეს მოვალეობა, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, ამ ორგანოს ბრძანებებს არ აქვს რეალური ძალა). მესამე, არ არსებობს საშუალება, აიძულო სუვერენული მთავრობები,

უთანხმოებები განსახილველად წარუდგინონ საერთაშორისო სასამართლოს ან დაემორჩილონ მის ვერდიქტს.

გადაწყვეტილებების განხორციელება არის იმ ერი-სახელმწიფოების პრეროგატივა, რომლებიც ხშირად ამ გადაწყვეტილებებს ნახევრად ან საერთოდ არ ახორციელებენ. მანამ, სანამ საერთაშორისო სამართალს აკლია განჭვრეტადობა და თანმიმდევრულობა, კანონის უზენაესობისთვის დამახასიათებელი, ის მთავრობების მხოლოდ დარწმუნებას თუ შეძლებს, მაგრამ არა იძულებისას.

საერთაშორისო სასამართლო. საერთაშორისო სამართლის მოქმედების არაეფექტიანობა ნათლად ჩანს საერთაშორისო სასამართლოს მუშაობაში. საერთაშორისო სასამართლო გაურკვეველი ინსტიტუტია, რომელიც იკრიბება ჰააგაში (ჰოლანდიის ძველ დედაქალაქში). იგი გაეროს ქარტიაში ჩამოყალიბებული ექვსი უმთავრესი ორგანოდან ერთ-ერთია. საერთაშორისო სასამართლო არის სრულიად კანონიერად დაფუძნებული სასამართლო ორგანო მოსამართლეებით, პროცედურული კანონებითა და ტრიბუნალით, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მას აკლია ცხადად დადგენილი იურისდიქცია.

საერთაშორისო სასამართლო ერთ-ერთია დასავლეთის სამყაროს იმ სასამართლოთაგან, რომელსაც განსახილველი საქმე იშვიათად აქვს. სამუშაოს ნაკლებობა წარმოშობილია არა საერთაშორისო უთანხმოებათა არარსებობით, არამედ უთანხმოებათა მიმართებაში სასამართლოს გაურკვეველი იურისდიქციით. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სასამართლოს 36-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ამბობს:

> მოცემული წესდების ხელმომწერ ქვეყნებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გამოაცხადონ, რომ იმ ქვეყანასთან მიმართებაში, რომელიც ასევე აღიარებს ამ ვალდებულებას, ისინიც აღიარებენ სავალდებულოდ სასამართლოს იურისდიქციას ყველა სამართლებრივ უთანხმოებაში, რომელიც ეხება: (1) ხელშეკრულების ინტერპრეტაციას, (2) ნებისმიერ კითხვას საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით, (3) ნებისმიერი ფაქტის არსებობას, რომელიც დადასტურების შემთხვევაში არღვევს საერთაშორისო მოვალეობას.

სხვა სიტყვებით, მთავრობები კანონით მოვალენი არიან დაემორჩილონ სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიცემული აქვთ თანხმობა სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე. მათ შეუძლიათ წინასწარ გააკეთონ დეკლარაცია სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შესახებ, როგორც მათ 36-ე მუხლი მოუწოდებს ან დაემორჩილონ მას გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

საერთაშორისო სასამართლოს არსებობის პირველი ოცი წლის განმავლობაში 42-მა მთავრობამ გამოთქვა სურვილი, დამორჩილებოდა სასამართლოს ***სავალდებულო იურისდიქციას***. ეს კანონზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯად იყო აღქმული. თუმცა, საერთაშორისო საქმეებში, ისევე, როგორც ზოგადად ცხოვრებაში, ყველაფერი ისე არაა, როგორც ჩანს. ამ მხრივ საინტერესოა ამერიკის დამოკიდებულება 36-ე მუხლის მიმართ. აშშ-სგან, მოელოდნენ, რომ ის უფრო მედგრად იბრძოლებდა საერთაშორისო სამართლის პატივისცემაზე დაფუძნებული სტაბილური და მოწესრიგებული სამყაროსათვის, მაგრამ

აშშ-ს 1946 წლის 14 აგვისტოს დეკლარაცია, რომ ამერიკა თანხმობას აცხადებდა საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციაზე, სინამდვილეში დიპლომატიური ხრიკი იყო. ის აცხადებდა:

> დეკლარაცია არ გამოიყენება, როცა საქმე ეხება: ა) უთანხმოებებს, რომლთა გადაჭრასაც მხარეები ანდობენ სხვა ტრიბუნალს უკვე არსებული მოლაპარაკებების საფუძველზე ან რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია მომავალში; ბ) იმ უთანხმოებებს, რომლებიც ეხება არსებითად აშშ-ის საშინაო იურისდიქციაში არსებულ საკითხებს, რადგან მას თავად ამერიკა გადაწყვეტს; გ) უთანხმოებებს, რომლებიც თავს იჩენს მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან გარდა იმ შემთხვევებისა, თუ (1) შეთანხმების ყველა მონაწილე მხარე, რომლებზეც გავლენას ახდენს გადაწყვეტილება, არის საერთაშორისო სასამართლოში განხილვის მხარე ან (2) აშშ-ი ეთანხმება იურისდიქციას.

ეს ნიშნავს, რომ აშშ დათანხმდება სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციას მხოლოდ მისთვის სასურველ შემთხვევაში და არა ავტომატურად. აშშ-ის თანხმობა სავალდებულო იურისდიქციაზე არ იყო უნიკალური. თანამედროვე სამყაროს არც ერთი მთავრობა არ დათანხმებულა უპირობოდ დამორჩილებოდა საერთაშორისო სასამართლოს.

ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო სასამართლო. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ თუ აშშ ან სხვა რომელიმე სახელმწიფო იტვირთავდა ლიდერობას საერთაშორისო სასამართლოსთან გონიერი ურთიერთობის დამყარების საქმეში, შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც მიჰყოლოდნენ მათ კვალს. რამ უნდა შეუშალოს ხელი აშშ-ს და, ვთქვათ, დიდ ბრიტანეთს, რათა მათ დადონ პირობა, რომ მომავალში მათ შორის უთანხმოებათა გადაწყვეტას მსოფლიო სასამართლოს ანდობდნენ? ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც არაფერს შეეძლო დაებრკოლებინა ქვეყნებს შორის ასეთი ხელშეკრულების დადება. თუმცა, ეს შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, რატომ იქნებოდა საჭირო? ერთი საუკუნის განმავლობაში აშშ-სა და ბრიტანეთს ძალიან მცირე უთანხმოება თუ ჰქონიათ, რომელიც ხანგრძლივ მოლაპარაკებას საჭიროებდა; ნებისმიერი უთანხმოება მომავალშიც მცირე და უმნიშვნელო იქნება, ახლო მოკავშირეებში იშვიათია აზრთა სხვადასხვაობა, რომელსაც სასამართლო გარჩევა დასჭირდება. ცხადია, სავალდებულო იურისდიქციის ეფექტიანობა ვერ გაიზომება, როცა ორ მთავრობას ესოდენ მეგობრულ ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან. ნებისმიერი უთანხმოება, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია ჩვეულებრივი დიპლომატიის გზით, ისედაც გადაეცემა გასარჩევად საერთაშორისო ტრიბუნალს.

საერთაშორისო სასამართლოს სარგებლიანობა გამოიცადა 1980-იან წლებში, ნიკარაგუის ყოფილ მარქსისტულ რეჟიმსა და რეიგანის ადმინისტრაციას შორის წარმოშობილი დაპირისპირებისას. 1985 წელს აღიძრა საქმე საერთაშორისო სასამართლოში აშშ-ის წინააღმდეგ. ის დაადანაშაულეს საზღვრის დანაღმვასა და აჯანყებულთა მხარდაჭერაში. სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობა პროცესს ბოიკოტს უცხადებდა და უარს ამბობდა ნიკარაგუის მთავრობასთან მოლაპარაკებებზე. პრეზიდენტმა რეიგანმა ეს ქმედება იმით გაამართლა, რომ ნიკარაგუა სასამართლოს პოლიტიკური და პროპაგანდისტული მიზნებისათვის იყენებდა. 1986 წლის ივნისში სასამართლომ აშშ-ის გამამტყუნებელი განაჩენი

გამოიტანა. ნიკარაგუის ინიციატივით გაეროს უსაფრთხოების საბჭომ კენჭი უყარა სასამართლოს გადაწყვეტილების მხარდაჭერის საკითხს. კენჭისყრა აშშ-ის საწინააღმდეგოდ დასრულდა: 11 ხმა 1-ის წინააღმდეგ (დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ტაილანდმა თავი შეიკავეს, აშშ-მ ვეტოს უფლება გამოიყენა). სამწუხაროდ, როგორც ეს წინააღმდეგობებით სავსე საქმე გვიჩვენებს, სავალდებულო იურისდიქციასთან დაკავშირებული პრობლემა, ისევე, როგორც ზოგადად საერთაშორისო სამართალი, ყველაზე ნაკლებეფექტიანი იქ, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა.

1998 წლის თებერვალში საერთაშორისო სასამართლომ მნიშვნელოვან საქმეში კიდევ ერთხელ გამოიტანა განაჩენი აშშ-ის წინააღმდეგ. ამჯერად საქმე ეხებოდა უთანხმოებას, რომელმაც თავი იჩინა 1988 წელს ლოქერბი (შოტლანდია) თავზე „პან ამერიკის“ ავიახაზების 103-ე რეისის თვითმფრინავის ტერორისტულ აფეთქებასთან დაკავშირებით. ამ დროს 259 ადამიანი დაიღუპა (პლუს 11 ადამიანი მიწაზე). აშშ და დიდი ბრიტანეთი ინტენსიურად იბრძოდნენ ლიბიისათვის გაეროს სანქციების დასაწესებლად, მას მერე, რაც ლიბიის მთავრობამ უარი თქვა ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილი ორი ლიბიელი ნაციონალისტის ექსტრადიციაზე. სანქციები დაწესდა 1992 წელს და აგრძელებდა მოქმედებას. ლიბიის მთავრობამ საქმე განსახილველად საერთაშორისო სასამართლოს წარუდგინა, მაგრამ აშშ ირწმუნებოდა, რომ სასამართლოს არ ჰქონდა ამ საქმეში იურისდიქცია. ეს პროცედურული საკითხი მოსამართლეებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს 1998 წელს.

ამ საქმეში პოლიტიკური და სამართლებრივი მანევრირება ერთადროულად მიმდინარეობდა. აშშ ზეწოლას ახდენდა ლიბიაზე, რათა მას გადაეცა ეჭვმიტანილები ჰააგისათვის, ოღონდ არა საერთაშორისო სასამართლოს, არამედ შოტლანდიური სასამრთლოს იურისდიქციაში. 1998 წლის ბოლოს ლიბია დათანხმდა აშშ-ის შეთავაზებას და 1999 წელს გადასცა ეჭვმიტანილები გაეროს. საჯარო სასამართლო პროცესი გაიმართა 2000 წელს, ხოლო 2001 წლის იანვარში ერთ-ერთი ლიბიელი (ლიბიის დაზვერვის ყოფილი აგენტი), რომელსაც ბრალი ედებოდა ლოქერბის მასობრივ მკვლელობებში, დამნაშავედ ცნეს შოტლანდიელმა მოსამართლეებმა და 20 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მეორე ეჭვმიტანილი გაამართლეს და ლიბიაში დაბრუნების უფლება მისცეს.

ამ განაჩენით საქმე არ დახურულა და არც აშშ დათანხმებულა ლიბიისათვის გაეროს სანქციების შეწყვეტას. თუმცა, ამ შემთხვევით შემზადდა ნიადაგი ლიბიისა და დასავლეთის (კერძოდ, აშშ-ის) ხელახალი დაახლოებისათვის.

საერთაშორისო სამართლის შეფასება

სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის უყოყმანოდ აღიარებაზე მაღლა სახელმწიფო ინტერესებს აყენებენ. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით ერები განსხვავდებიან — ზოგი საერთაშორისო სამართლის წესებს იშვიათად არღვევს, სხვებს, შეიძლება, საერთოდ არ ანაღვლებდეთ ეს წესები და მათ მხოლოდ მიზანშეწონილობის, მოგების თვალსაზრისით ემორჩილებოდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტი, რომ ქვეყნები არიან სამართლის ძალით შებოჭილნი, ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალს ისინი დაემორჩილებიან მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარი ქცევა ქვეყნის ინტერესებში შედის. სხვა სიტყვებით, საერთაშორისო სამართლის მორჩილება და პატივისცემა, საბოლოოდ, სახელმწიფო ინტერესზეა დამოკიდებული.

არის თუ არა აქედან გამომდინარე, სამართლის პრინციპები, უმნიშვნელო საერთაშორისო პოლიტიკაში? საქმე ასე ცალსახად არაა; საერთაშორისო სამართალს დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობებისა და მმართველების ქმედებათა გაგებისა და შეფასებისათვის. ხანდახან შესაძლებელია მთავრობათა დასჯა (მაგალითად, სანქციების გზით, როგორც ერაყის, ირანის, ჩრდილოეთ კორეისა და ბევრი სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემთხვევაში). მმართველები ასევე შესაძლებელია დაისაჯონ, მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარსდგა 2002 წელს.

საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების პირველი პრინციპია ეროვნული თვითგადარჩენა. საერთაშორისო სამართალი წარმატებულია მაშინ, როცა ის ემსახურება განსაკუთრებით ძლევამოსილი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს. ასეთ დროს საერთაშორისო სამართლის მექანიზმი (როგორც წესი, საერთაშორისო სასამართლო) იწყებს მოქმედებას. თუმცა, წამყვან ძალებს მაინც ურჩევნიათ გამოსავლის მიღწევის ტრადიციული და სამხედრო საშუალებები (სადაც შედეგს უფრო კარგად აკონტროლებენ), ვიდრე სასამართლო საშუალებები (სადაც შედეგზე კონტროლს გადასცემენ იმ მოსამართლეებს, რომელთა ერთგულება გარანტირებული არაა). ალბათ, მოვიდა იმის დრო, რომ საერთაშორისო სამართლის როლი და საერთაშორისო სასამართლოს პრესტიჟი გაიზარდოს.

მუდმივი სწრაფვა მშვიდობისკენ

2001 წელს გაერომ და მისმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მიიღეს ნობელის მშვიდობის პრემია, რადგან ისინი იღვწოდნენ მშვიდობიანი მსოფლიოს შესაქმნელად. ეს იყო მსოფლიო ისტორიაში ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაციის აღიარება. შესაძლებელია, გაეროს ამგვარი სიტყვებით დახასიათება ბევრის მთქმელია თავად სამყაროზე (და მსოფლიოს ისტორიაზე). სინამდვილეში, გაეროს მიღწევები იყო მცირე, მაგრამ არც სულ მთლად უმნიშვნელო.

1945 წლის შემდეგ შედარებით სტაბილური წესრიგს ძალთა ბალანსის პოლიტიკა და ბირთვული შეკავება ამყარებდა, ხოლო ცივი ომის დასასრულმა წარმოშვა არა მხოლოდ წესრიგის დამყარების ახალი გზები, არამედ ახალი საფრთხეები და არასტაბილურობის წყაროებიც. ჯერ კიდევ უცნობია, შეძლებს თუ არა ქაოსის მუდმივი ძალების დაბალანსებას ახალი საერთაშორისო ორგანიზაციების გაჩენა და ძველების განვითარება.

საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ შეცვლის დიპლომატიასა და ომს (ან მის საფრთხეს), როგორც საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ერი-სახელმწიოფოები აგვარებენ უთანხმოებათა უმრავლესობას. არ უნდა ველოდეთ, რომ საერთაშორისო სამართლის პატივისცემა ან ხელშეკრულებათა ხელშეუხებლობა მოიმატებს იმდენად, რომ ძალა აღარ იყოს ომის შეჩერების ან შეზღუდვის მთავარი საშუალება.

საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაგვეხმარონ კონფლიქტების მართვის უზარმაზარი დავალების შესრულებაში, თუმცა, ისინი ვერ გადაჭრიან ყველა კონფლიქტს ყველგან. მოწესრიგებული მსოფლიო ნაკლებად იქნებოდა განწყობილი ომისათვის. შესაძლოა, ის ყველა გაგებით უკეთესი სამყარო ყოფილიყო. ასეც რომ იყოს, ლოგიკური შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ ვინაიდან ომი წესრიგის არარსე-

ბობაა, ამიტომ წესრიგის არსებობა ავტომატურად ნიშნავს ომის არარსებობას.

ფაქტობრივად, არ არსებობს სწრაფი წარმატება. არც ერთ ცალკეულ ფაქტს ან მოვლენას, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, არ შეუძლია გახდეს ისეთი მსოფლიოს წინაპირობა, სადაც აღარ იქნება ომი. იდეოლოგიური მტრობის დასრულება მსოფლიოს უმსხვილეს და უძლიერეს სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია უფრო უსაფრთხო და ჯანმრთელი მსოფლიოსაკენ. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, არ არის მარადიული მშვიდობის გარანტია.

ამრიგად, ძიება გრძელდება. იმის მიუხედავად, რომ მშვიდობა რჩება მიუღწეველი, ომის თავიდან აცილების საჭიროება, განსაკუთრებით უმსხვილესი ომებისა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით, იმდენად აუცილებელია, რომ ადამიანები გამუდმებით ეძებენ კონფლიქტების მოგვარების გზებს. არის თუ არა კონფლიქტის მართვა საკმარისი? უნდა ვეცადოთ თუ არა კონფლიქტის სრულ აღმოფხვრას? ნათქვამია, რომ პოლიტიკა არის შესაძლებლობების ხელოვნება. თუმცა, კონფლიქტებთან უფრო წარმატებით გამკლავების გზების მონახვა დღეს მსოფლიოს ძალიან სჭირდება.

დასკვნა

რა წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო სამართალს მშვიდობიანი სამყაროს შენებაში? ვაჭრობაზე, მოგზაურობასა და ყველა სახის მიმოსვლაზე სახელმწიფო ბარიერების შემცირება აისახა თანამედროვე მსოფლიოში არასამთავრობო აქტორების ზრდაში, მათ შორისაა მულტინაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. მრავალეროვნულმა ეკონომიკურმა შეთანხმებებმა და სამხედრო კავშირებმა ასევე გააძლიერეს რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულება.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო შეთანხმებების ეს შთამბეჭდავი ქსელი თავისუფალი არ არის სახელმწიფო შუღლისაგან. მრავალმხრივმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაამტკიცეს თავიანთი დადებითი როლი საერთაშორისო არენაზე ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. მეოცე საუკუნეში ერთა ლიგა დაიშალა დაპირისპირებული ეროვნული ინტერესების გამო. ცივი ომის განმავლობაში გაერო მრავალ დაბრკოლებას გადააწყდა, თუმცა წარმატებასაც მიაღწია, როგორც მშვიდობის შენარჩუნების ინსტიტუტმა. მუშაობა მშვიდობის შენარჩუნების სფეროში გაიზარდა ცივი ომისშემდგომ სამყაროში. ამ პერიოდში შედგა გაეროს ეგიდით კოლექტიური სამხედრო აქცია ერაყის წინააღმდეგ.

საერთაშორისო სამართალი არეგულირებს და აიოლებს ურთიერთობებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის, რომელთა ურთიერთობა სხვა მხრივ შეიძლება ქაოსური იყოს. როგორც გაეროს, საერთაშორისო სამართალსაც, ზოგადად, არათანმიმდევრული ისტორია აქვს. საერთაშორსო სამართლის თანამედროვე მაგალითებია ჟენევისა და ჰააგის კონვენციები, რომლებმაც განსაზღვრეს ომის წესები და დაადგინეს შეიარაღების შემზღუდველი მრავალმხრივი ხელშეკრულებები. საერთაშორისო ეკოლოგიური მოლაპარაკებები საერთაშორისო სამართლის სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. საერთაშორისო სამართლის შეზღუდ-

ვები აშკარა ხდება იმ სიძნელეების განხილვისას, რომლებსაც საერთაშორისო სასამართლო აწყდება. გაეროსა და საერთაშორისო სამართლის სისუსტეს განაპირობებს ის, რომ მათ არ შესწევთ უნარი გადაწონონ ეროვნული ინტერესები.

საკვანძო სიტყვები

ფუნქციონალიზმ ფუნქციონალისტები
ურთიერთდამოკიდებულება
არასახელმწიფო აქტორები
მულტინაციონალური კორპორაციეა
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (*INGO*)
საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები (*IGO*)
ბრიტანეთის თანამეგობრობა
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (*WTO*)
ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (*NAFTA*)
ევროკავშირი *(EU)*
ერთა ლიგა
კოლექტიური უსაფრთხოება
საშინაო იურისდიქცია
საერთაშორისო სამართალი
ჟენევის კონვენცია
ჰააგის კონვენცია
სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება II (*START II*)
ანტარქტიდის შეთანხმება
კოსმოსის შეთანხმება
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმება
ზღვის ფსკერის შეთანხმება
კონვენცია ბიოლოგიური იარაღის შესახებ
კონვენცია ქიმიური იარაღის შესახებ
საერთაშორისო სასამართლო
სავალდებულო იურისდიქცია

კითხვები გამეორებისათვის

1. განსაზღვრეთ არასამთავრობო ფაქტორები საერთაშორისო პოლიტიკაში. რა გავლენა აქვს მას საერთაშორისო სისტემაზე?
2. რამ განაპირობა გაეროს დაარსება? რით განსხვავდება იგი ერთა ლიგისაგან?
3. რას აკეთებს გაეროს უშიშროების საბჭო და როგორ იღებს ის გადაწყვეტილებებს?
4. სად გამოიყენეს გაეროს სამშვიდობო ოპერაციები ყველაზე მეტად 1990-იან წლებამდე? როგორ შეიცვალა საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების კონტექსტი ცივი ომის დასრულების შემდეგ? ჩამოთვალეთ ადგილმდებარეობა სამი ან ოთხი ყველაზე ამბიციური სამშვიდობო მისიისა ბოლო წლებში.
5. ასრულებს თუ არა საერთაშორისო სამართალი პოზიტიურ როლს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში? პასუხი დაასაბუთეთ.
6. რა შეზღუდვები აქვს საერთაშორისო სამართალს?
7. რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს საერთაშორისო სასამართლო?
8. რისი გაკეთება არის შესაძლებელი მსოფლიო პოლიტიკაში საერთაშორისო სამართლის როლის გაზრდისათვის?
9. ანიჭებს თუ არა მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციები უპირატესობას საერთაშორისო სასამართლოს? უფრო ფართო როლს ანიჭებს მას, თუ უფრო მცირეს?

შენიშვნები:

1. Charles W. Kegley, Jr., and Eugene Wittkopf, American Foreign Policy: Pattern and Process, me-2 gamoc., (New York: St. Martin's Press, 1987), 149-150.
2. პირველი ციტატა არის Joan Edelman Spero-ს ნაშრომში The Politics of Economic Relations, me-4 gamoc., (New York: St. Martin's Press, 1991), 104. მეორე კი Bruce Kogut-ის Foreign Policy (Spring 1998): 7; online at www.findarticles.com/cf_dls/m1181/n110/20492572/.
3. როგორც გაეროს World Investment Report-ში არის ნათქვამი. რეზიუმესათვის იხ. Francis Williams, `Global Business: A Fact of Life _ UNCTAD's World Investment Report Assesses the Role of Multinationals,' Financial Times, August 31, 1994, 4.
4. Lester Brown, et al., Vital Signs: The Trends That Are Shaping Our Future (New York: Norton, 1993), 74.
5. Charles W. Kegley, Jr., and Eugene Wittkoph, World Politics: Trend and Transformation, me-6 gamoc., (New York: St. Martin's Press, 1997), 129.
6. Kogut, Foreign Policy, 1; online reprint at findarticles.com
7. Joan Edelman Spero, The Politics of Economic Relations, 112-113.
8. George Modelski, ed., Transnational Corporations and World Order (New York: Freeman, 1979),3.
9. Kegley and Wittkopf ახდენენ IGO-ების კლასიფიკაციას წევრობის მოცულობისა და მიზნების რაოდენობის მიხედვით. აქ მოცემულია მათზე მითითება. იხ. Kegley and Wittkopf, World Politics, 144-148.
10. Harold K. Jacobson, Networks of Interdependence: International Organization and the Global Political System (New York: Knopf, 1979).
11. ციტირებული Inis L. Claude, Jr., Power and International Relations-ში (New York: Random House, 1962), 97.
12. Margaret Karns, `Maintaining International Peace and Security: UN Peacekeeping and Peacemaking,' in World Security: Challenges for a New Century, me-4 gamoc., red. Michael Klare da Daniel Thomas (New York: St. Martin's Press, 1994), 199. ჩვენი მსჯელობა გაეროს როლის შესახებ ცივი ომის შემდეგ ეთანხმება კარნესას და ჩვენ ვალში ვართ მისი ნაშრომის წინაშე.
13. Karns, Maintaining International Peace, 206.
14. Hans J. Morgenthau, Politics among Nations: The Struggle for Power and Peace, me-5 gamoc., (New York, Knopf, 1978), 281.
15. Lassa Francis Oppenheim, International Law: A Treatise, nawili 1, me-2 gamoc., (London: Longman, 1912), 281.
16. Kegley, Jr., and Wittkopf, World Politics, 472.
17. ეს ციტატა გადმოტანილია Associated Press-დან, შემდეგი სტატიის მიხედვით Henry Slapper, Guus J. M. Velders, John S. Daniel, Frank R. de Gruijl, and Jan C. van der Leun, `Estimates of Ozone Deplation and Skin Cancer Incidence to Examine the Vienna Convention Achievements,' Nature 384 (November 1996): 256-258.

სიტყვარი:

ადამიანის ბუნება – ადამიანთა საერთო ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს მათ რეაქციებს გარემოსა და სხვა ადამიანების მიმართ.

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია – 1789 წლის აგვისტოში საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ მიღებული ეს მოკლე მანიფესტი შეიქმნა როგორც პრეამბულა მოგვიანებით დასაწერი ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციისა; მან სუვერენული ძალაუფლება ერს მიანიჭა, მაგრამ შეზღუდა იგი სიცოცხლის, საკუთრების და უსაფრთხოების ინდივიდუალური უფლებებით.

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია – მართვის კომპეტენციების გადაცემა ცენტრალური ხელისუფლებისგან ადგილობრივი ბიუროკრატიისთვის.

ავტოკრატია – ერთი მმართველის შეუზღუდავი პოლიტიკური ძალაუფლება.

ავტორიტარიზმი – ამ ტერმინით ხასიათდება სახელმწიფოები, სადაც მთელი ლეგიტიმური ძალაუფლება კონცენტრირებულია ერთი პიროვნების (დიქტატორის) ან მცირე ჯგუფის (ოლიგარქიის) ხელში, ინდივიდუალური უფლებები სახელმწიფოს ნება-სურვილს ექვემდებარება, ხოლო პოლიტიკური ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენება.

ავტორიტეტი – ხელისუფლების უნარი, საზოგადოების წევრთა მორჩილება დაიმსახუროს.

აზიური გრიპი – ტერმინი, რომლითაც აღნიშნავენ 1997 წლის არეულობას აზიის საფონდო ბირჯებზე, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ეკონომიკებში.

ამერიკის რევოლუცია (1775-83) – ამ ეპოქალურმა მოვლენამ, რომელსაც აგრეთვე „დამოუკიდებლობისთვის ომს“ ან „რევოლუციურ ომს“ უწოდებენ, ბოლო მოუღო ამერიკის ცამეტ კოლონიაზე დიდი ბრიტანეთის ბატონობას და 1787-89 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების შექმნას დაუდო საფუძველი; მას ჩვეულებრივ 1776 წელს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით ათარიღებენ.

ამერიკული კონსერვატიზმი – პოლიტიკური მიდგომა აშშ-ში, რომელიც სხვა ღირებულებებთან შედარებით უპირატესობას ეკონომიკურ კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და ტრადიციას ანიჭებს.

ამერიკული ლიბერალიზმი – პოლიტიკური მიდგომა აშშ-ში, რომელიც სხვა ღირებულებებთან შედარებით უპირატესობას ინდივიდუალიზმს, თანასწორობას და სამოქალაქო უფლებებს ანიჭებს.

ანარქიზმი – დოქტრინა, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება ნებისმიერი სახის ხელისუფლების არსებობას და ხშირად უკანონო და ძალადობრივი მეთოდებით ებრძვის მას.

ანგარიშსწორება (*retribution*) – დამნაშავეთა დასჯა იმის საფუძელზე, რომ მათ ბოროტება ჩაიდინეს და ტანჯვას იმსახურებენ.

ანტარქტიდის შეთანხმება – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც კარძალავს ყოველგვარ სამხედრო საქმიანობას ანტარქტიდის კონტინენტზე და უშვებს იქ ნებისმიერი ქვეყნის მიერ განხორციელებულ

ღონისძიებათა ინსპექტირებას. ის აგრეთვე აუქმებს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიულ პრეტენზიებს ანტარქტიდის მიმართ და ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებს მშვიდობიან თანამშრომლობას კვლევების სფეროში.

ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი – ტერორიზმი, მიმართული ხელისუფლების და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ.

არაკონვენციური მონაწილეობა – პოლიტიკური აქტივობის ფორმები, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მოქალაქეთა უმრავლესობის მხრიდან გაკიცხვას იმსახურებს.

არასამართლებრივი მონაწილეობა – პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს კანონებთან.

არასახელმწიფო აქტორები – ერი-სახელმწიფოებისგან განსხვავებული მოქმედი პირები, როგორიცაა მულტინაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ საერთაშორისო პოლიტიკაში.

არაძალადობრივი წინააღმდეგობა – კონფრონტაციისადა პროტესტის არაძალადობრივი ფორმა; მას ხანდახან „სამოქალაქო დაუმორჩილებლობასაც“ უწოდებენ.

ასი ყვავილის კამპანია – მოკლე პერიოდი ჩინეთის ისტორიაში (1956 წ.), როდესაც მაო ძე-დუნმა გასაქანი მისცა გამოხატვის თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს. ეს პოლიტიკა შეიცვალა რეჟიმის მიმართ გახშირებული კრიტიკის პასუხად.

ასკრიპტიული საზოგადოება – საზოგადოება, რომელშიც ინდივიდს სტატუსი და მდგომარეობა განესაზღვრება მისი რელიგიით, სქესით, ასაკით ან სხვა მსგავსი ნიშნით.

ახალი ინდუსტრიული ქვეყნები – ქვეყნები, რომლებმაც ბოლო ათწლეულებში მიაღწიეს ეკონომიკის აყვავებას, ინდუსტრიის საექსპორტო დარგების განვითარებას და საშუალო კლასის სწრაფ ზრდას: მაგალითად, სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ტაილანდი.

ბალფურის დეკლარაცია – ასე ეწოდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პატივსაცემად, რომელმაც 1947 წელს გამოაცხადა, რომ „ბრიტანეთი მხარს უჭერს პალესტინაში ებრაელი ხალხისთვის ეროვნული სახლის დაფუძნებას“ და იკისრა ვალდებულება, რომ „ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას იმ პირობით, რომ არაფერი უნდა გაკეთდეს ისეთი, რაც შელახავს პალესტინის არსებული არა-ებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს ან რომელიმე სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა უფლებებს და პოლიტიკურ სტატუსს“.

ბასტილია – საფრანგეთის რევოლუციის დროს (1789) ეს იყო პარიზის ავადსახსენებელი სამეფო საპყრობილე; 1789 წლის 14 ივლისს ბასტილიაზე ხალხის იერიშმა და ტუსაღთა გათავისუფლებამ მძიმე დარტყმა მიაყენა მონარქიას და საფრანგეთის ისტორიაში მთელი ეპოქის აღსასრულის სიმბოლოდ იქცა. მოგვიანებით რევოლუციონერები გილიოტინით გაუსწორდნენ თვით ბურბონთა სამეფო დინასტიას, კერძოდ მეფე ლუი XVI-ს და მის ექსტრავაგანტულ მეუღლეს, დედოფალ მარია ანტუანეტას.

ბიკამერალიზმი – იხ. *ორპალატიანი სისტემა.*

ბიპოლარული სისტემა – იხ. *ორპოლუსიანი სისტემა.*

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმება – 1968 წელს შექმნილი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანია შეაფერხოს ბირთვული იარაღის არმქონე ერების მიერ ასეთი იარაღის მოპოვება. მას არ შეუერთდნენ საფრანგეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდებას.

ბირთვული მონოპოლია – მას ადგილი აქვს, როცა დაპირისპირებაში მყოფი ორი ქვეყნიდან ერთს ბირთვული იარაღის გამოყენების რეალური შესაძლებლობა აქვს; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებული შტატები დაახლოებით ათი წლის მანძლზე ინარჩუნებდნენ ბირთვულ მონოპოლიას.

ბიუჯეტის დეფიციტი – ცენტრალური ხელისუფლების მიერ წლის განმავლობაში იმაზე მეტის დახარჯვა, ვიდრე ის შემოსავლების სახით იღებს. წლების განმავლობაში ეს დეფიციტი სახელმწიფო ვალად იქცევა და მნიშვნელოვანი ხანგრძლივვადიანი გავლენა აქვთ ქვეყნის ეკონომიკის სიჯანსაღესა და კეთილდღეობაზე (იხ. აგრეთვე *ეროვნული ვალი*).

ბიჰევიორალისტები – ამ მიმდინარეობის მომხრეები პოლიტიკის შესწავლისას ქცევას ძირითადად ფაქტებზე დაყრდნობით აფასებენ.

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია – ფსიქოლოგიის სკოლა, რომლის თანახმადაც ადამიანთა და ცხოველთა ქცევას გარემოდან ან სხვა ადამიანებისგან მიღებული სტიმულები (გამღიზიანებლები) განსაზღვრავს; შესაბამისად, შესაძლებელია ადამიანთა და ცხოველთა ქცევით მანიპულირება, თუ სასურველ ქცევას პოზიტიურ სტიმულებს შევუთანადებთ, ხოლო არასასურველს – ნეგატიურს.

ბიჰევიორალური ინჟინერია – წახალისებისა და სასჯელის კარგად დაპროგრამებული გამოყენება ინდივიდსა თუ ცხოველში ქცევის სასურველი წესების დასამკვიდრებლად.

ბრეიდის კანონი – პრეზიდენტ რონალ რეიგანის პირველი პრეს-მდივნის ჯეიმს ბრეიდის სახელით ცნობილი კანონი (ძალაში შევიდა 1994 წელს), რომელიც იარაღის ყიდვისას ხუთდღიან მოსაცდელ ვადას აწესებს; მისი მიზანია, დრო მისცეს სამართალდაცვის ორგანოებს, გაარკვიონ, მყიდველი ნასამართლევი ხომ არ არის. (ბრეიდი მძიმედ დაიჭრა 1981 წელს პრეზიდენტ რეიგანზე განხორციელებული თავდასხმის დროს).

ბრიტანეთის თანამეგობრობა – თვალსაჩინო მაგალითი პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებისა, როდესაც რამდენიმე სახელმწიფო თანხმდება, ერთმანეთს ექსკლუზიური სავაჭრო უპირატესობები მიანიჭოს. მოიცავს დიდ ბრიტანეთს და მისი ყოფილი კოლონიების უმრავლესობას.

ბრიტანეთის რაჯი – ბრიტანეთის კოლონიური მმართველობა აზიის სუბკონტინენტზე მე-18 საუკუნიდან 1947 წლამდე, როდესაც ინდოეთმა და პაკისტანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ბუნდესრატი – ზედა პალატა გერმანულ ფედერალურ სისტემაში. მის წევრებს, რომელთაც უშუალოდ ნიშნავენ ქვეყნის მიწები (Länder), ძირითადად არაფორმალური გავლენა აქვთ საკანონმდებლო პროცესზე.

ბუნდესტაგი – ქვედა პალატა გერმანულ ფედერალურ სისტემაში, რომელსაც წამყვანი როლი აქვს ქვეყნის საკანონმდებლო საქმიანობაში.

ბუნებითი მდგომარეობა – ადამიანთა ცხოვრების წესი მანამდე, სანამ შეიქმნებოდა ქცევის სოციალური კოდექსები და ნორმალური ადამიანური ქცევის კონტროლის კოლექტიური ტექნიკები.

ბურჟუაზია – მარქსისტულ იდეოლოგიაში, კაპიტალისტთა კლასი.

„გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს" (*winner-takes-all*) – საარჩევნო სისტემა, რომელშიც იმარჯვებს კანდიდატი, ვინც ყველაზე მეტ ხმას იღებს.

გამოჩენილი ლიდერები – ინდივიდები, ვისაც განსაკუთრებული პოლიტიკური სიბრძნისა და უნარების მეშვეობით თავისი ქვეყნები განსაკუთრებული განსაცდელიდან გამოყავს.

განვითარებადი ქვეყნები – ქვეყნები, სადაც არ არის უზრუნველყოფილი პოლიტიკური ძალაუფლების გადაცემის მექანიზმები, სახელმწიფოს მხრიდან სერვისები და პირადი უსაფრთხოება.

განმეორებადი გამოკითხვები (*tracking polls*)– ამომრჩეველთა ერთსა და იმავე შერჩევასთან რამდენჯერმე ჩატარებული გამოკითხვები, რომელთა მიზანია დროში ცვალებადი განწყობების დინამიკის შესწავლა.

განცალკევებული კუნძულები – ოჯახი, ეკლესია თუ სხვა სოციალური ორგანიზაცია, რომლის შიგნითაც შეიძლება შენარჩუნდეს შიდა წინააღმდეგობა გაბატონებული ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ.

გარანტირებული ურთიერთგანდგურება – ჩიხში შესული დაპირისპირება ბირთვული შეიარაღების სფეროში, როდესაც ორივე მოწინააღმდეგე სახელმწიფომ იცის, რომ თუ ერთ-ერთი ომს წამოიწყებს, თავდასხმის ობიექტს განცდილი მოულოდნელი ბირთვული შეტევის მიუხედავად მაინც დარჩება საპასუხო, „მეორე დარტყმის" საკმარისი უნარი, რომ აგრესორს მიუღებლად მძიმე ზიანი მიაყენოს. ცივი ომის დროს ამას ეყრდნობოდა ორ ზესახელმწიფოს შორის სტაბილური სტრატეგიული ურთიერთობა.

გაორებული აღმასრულებელი ხელისუფლება (*dual executive*)– საპარლამენტო სისტემებში მიღებული ფუნქციების განაწილება ორ პიროვნებას – სახელმწიფოს მეთაურსა და უმაღლეს აღმასრულებელ თანამდებობის პირს შორის. უკანასკნელის როლს პრემიერ-მინისტრი ასრულებს, ხოლო სახელმწიფოს ცერემონიულ მეთაურად რომელიმე სხვა არჩეული პირი (პრეზიდენტი) ან მონარქი გვევლინება.

გაუცხოება – უბრალო მოქალაქეების განწყობა, რომ პოლიტიკური მონაწილეობის ნორმალურ ფორმებს შედეგი არ მოაქვს ან რომ მათ არ ეძლევათ პოლიტიკურ პროცესებში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა.

გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლება (*divided executive*)– ვითარება საფრანგეთის ხელისუფლებაში, როდესაც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ხშირად სხვადასხვა პარტიებსა თუ პოლიტიკურ მსოფლმხედველობებს წარმოადგენენ.

გაწვევა – პირდაპირი კენჭისყრა არჩეული თანამდებობის პირის გადასაყენებლად.

გენდერული განსვლა – ეს ტერმინი გამოიყენება შეერთებულ შტატებში ქალებისა და მამაკაცების საარჩევნო ქცევებს შორის განსხვავებათა დასახასიათებლად. განსხვავება ყველაზე თვალსაჩინოა იმ პოლიტიკურ პრობლემებთან მიმართებაში, რომლებიც ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენების მართებულობას ეხება.

გენერალური შტატები (*Estates-General*) – საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანო 1789 წლამდე, რომელშიც წარმოდგენილი იყო სამი წოდება – სამღვდელოება, თავადაზნაურობა და უბრალო ხალხი.

გესტაპო – ნაცისტურ გერმანიაში ასე ერქვა საიდუმლო სახელმწიფო პოლიციას – ჰიტლერის ინსტრუმენტს, რომელსაც ის ებრაელთა და პოლიტიკურ ოპონენტთა მასობრივი ტერორის გასატარებლად იყენებდა.

გლასტნოსტი – სიტყვა-სიტყვტით ნიშნავს „ღიაობას"; ეს ტერმინი აღნიშნავს საბჭოთა კავშირში მიხეილ გორბაჩოვის მიერ ცენზურის შეკვეცას და პოლიტიკური დებატებისა და განსხვავებული აზრისთვის ასპარეზის შექმნას.

გლასტნოსტის პირველადობის მოდელი – განვითარების თეორია, რომლის თანახმადაც ლიბერალური პოლიტიკური რეფორმები წინ უნდა უსწრებდეს ეკონომიკურ რეფორმებს.

გლობალიზაცია – პროცესი, რის შედეგადაც ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებული დემოკრატიების ღირებულებები, განწყობები, დამოკიდებულებები და პროდუქტები მთელ მსოფლიოში ვრცელდება მას-მედიისა და ვაჭრობის მეშვეობით.

გომინდანი – ჩინეთის ნაციონალისტური პარტია ჩან კაი-შის ლიდერობით. 1949 წელს დაამარცხა მაო ძე-დუნმა.

გრადუალიზმი – რწმენა, რომ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ცვლილებები უნდა განხორციელდეს თანდათანობით, რეფორმების გზით, და არა ერთბაშად, რევოლუციური წესით.

გულაგის არქიპელაგი – მეტაფორული სახელი, რითაც ცნობილია ყოფილ საბჭოთა კავშირში იოსებ სტალინის მიერ შექმნილი და საიდუმლო პოლიციის მიერ მართული მონური შრომის ბანაკები, სადაც განსხვავებულად მოაზროვნე და პოლიტიკურად არასასურველ პირებს აგზავნიდნენ.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემქნილი ახლად სუვერენული ქვეყნების სუსტი ფედერაცია. მასში შევიდა თითქმის ყველა რესპუბლიკა, მანამდე სსრკ ნაწილი რომ იყო.

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ – დანაშაულის კატეგორია, რომელიც პირველად ნიურგბერგში ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების გასამართლებისას გამოიყენეს; მიეყენება მილიონობით უდანაშაულო მოქალაქის განურჩევლად განადგურების შემთხვევებს.

დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ – სამხედრო დამნაშავეთა ნიურბერგის სასამართლოზე გამოყენებული კატეგორია, რომელიც მიეყენება საერთაშორისო მშვიდობის დარღვევას გაუმართლებელი, აგრესიული ომით.

დაქვემდებარების თეორია – მის მიხედვით განვითარებადი ქვეყნები ღარიბი და მდიდარ ერებზე დამოკიდებული რჩებიან დიდი ხნის მანძილზე

კოლონიალიზმის ფორმალური დასრულების შემდეგ, რადგან ინდუსტრიული ერები (დასავლეთი) ყველა ღონეს (პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სამხედროსა და კულტურულს) ხმარობენ ნაკლებ განვითარებული და ჭარბი იაფი მუშა ხელის მქონე ქვეყნების მხრიდან კონკურენციის აღსაკვეთად. ამით ნარჩუნდება მსოფლიო ეკონომიკური სისტემა, სადაც დაბალია ფასები ნედლეულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

დევოლუცია – აშშ ფედერალიზმის კონტექსტში ეს არის შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეტი უფლებების მინიჭება, რათა მათ ვაშინგტონის ჩარევის გარეშე შემოიღონ კანონები, გაატარონ პოლიტიკა და მიიღონ გადაწყვეტილებები.

დეიტონის შეთანხმებები – 1995 წელს პარიზში (საფრანგეთი) ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმება ბოსნიის ომის დასრულების თაობაზე; მან ქვეყნის ტერიტორიის 49 პროცენტი სერბებს გადასცა, ხოლო 51 პროცენტი – მუსლიმებსა და ხორვატებს, სარაევოს დედაქალაქის სტატუსი შეუნარჩუნა და შექმნა ცენტრალური ხელისუფლება კოლექტიური საპრეზიდენტო მმართველობითა და პარლამენტით.

დემაგოგი – ადამიანი, რომელიც სახელმწიფო თანამდებობის მოპოვებას ცდილობს პოპულარული შიშებისა და ცრურწმენების მანიპულირებით, შემდეგ კი თანამდებობას პირადი გამორჩენისთვის იყენებს.

„დემოკრატიზაცია“ – მიხეილ გორბაჩოვის შემოღებული პოლიტიკა ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიულ რეფორმათა წასახალისებლად, რაც აგრეთვე გულისხმობდა მეტ კონკურენციას კომუნისტური პარტიის შიგნით.

დემოკრატიის კედელი – კედელი პეკინის ცენტრში, რომელზეც 1978 წლიდან დაუშვეს რეჟიმის საჯარო კრიტიკა.

დემოკრატიის კორელატები – პირობები და გარემოებები, რომლებიც ერში დემოკრატიის შექმნასა და შენარჩუნებასთან პოზიტიურ კორელაციაში მყოფად მიიჩნევა.

დემოკრატიული მშვიდობის პარადოქსი – დემოკრატიული სახელმწიფოები ხშირად არიან სამხედრო თავლსაზრისით ძლიერი, ეომებიან სხვა სახელმწიფოებს, ახდენენ სამხედრო ინტერვენციას, ხანდახან აგრესიის აქტებს ჩადიან, მაგრამ ერთმანეთს არ ეომებიან.

დემოკრატიული სოციალიზმი – მმართველობის ფორმა, რომელიც ემყარება საერთო-სახალხო არჩევნებს, ეკონომიკის ძირითად სექტორებზე სახელმწიფო საკუთრებასა და კონტროლს და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე მიმართულ ფართო სოციალურ პროგრამებს ჯანდაცვისა და განათლების სფეროში.

დიადი პროლეტარული კულტურული რევოლუცია – 1966 წელს დაწყებული ქაოტური პერიოდი, როდესაც მაოძე-დუნისმითითებით ჩინეთის ახალგაზრდები („წითელი გვარდია“) თავს ესხმოდნენ ბიუროკრატიულ და სამხედრო თანამდებობის პირებს კაპიტალისტური და მატერიალისტური ტენდენციების აღმოფხვრის საბაბით. ეჭვმიტანილ თანამდებობის პირებს იძულებით აგზავნიდნენ შრომით კოლონიებში „გამოსასწორებლად“.

დიალექტიკური მატერიალიზმი – კარლ მარქსის თეორია ისტორიული პროგრესის შესახებ, რომლის თანახმადაც ეკონომიკური კლასები ერთმანეთთან ბრძოლით საფუძველს უქმნიან ეკონომიკურ სისტემათა განვითარებად თანმიმდევრობას, რომელიც საბოლოოდ უკლასო საზოგადოების შექმნით დასრულდება.

დიდი ნახტომი – ჩინეთის ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნისა და მოდერნიზაციის მცდელობა მაო ძე-დუნის მიერ 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში; ამ დროს მთელი მოსახლეობა მობილიზებული იყო თვითკმარ კომუნებად, რომელთა შიგნით ყოველგვარი საქმიანობა ჯგუფური წესით მიმდინარეობდა.

დისტოპია – საზოგადოება, რომლის შემქმნელებს სრულყოფილი პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბება სწადდათ, მაგრამ აღმოაჩინეს, რომ ძალაუფლების შენარჩუნება მხოლოდ ძალადობით და კომუნიკაციის საშუალებებზე უხეში მონოპოლიით შეეძლოთ.

დისციპლინებული პარტიები – საპარლამენტო დემოკრატიებში ეს ნიშნავს იმას, რომ კანონმდებლები როგორც წესი ერთიანი პარტიული ჯგუფების სახით აძლევენ ხმას პარტიული პლატფორმის მხადასაჭერად.

დოქტორ ბონების საქმე – პრეცედენტი ინგლისის სასამართლოში (1610 წ.), როდესაც იურისტმა ედვარდ ქოუქმა ჩამოყალიბა პრინციპი, რითაც კანონის უზენაესობასთან წინააღმდეგობაში მოსული საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ცხადდება.

დუმა – სრული ოფიციალური სახელია „სახელმწიფო დუმა“ ან „სათათბირო“; ასე ქვია რუსეთის ეროვნული საკანანმდებლო ორგანოს – ფედერალური საკრებულოს ქვედა პალატას. ის 1993 წლის კონსტიტუციით აღდგა მას შემდეგ, რაც 1917 წელს გააუქმეს. მასში შედის 450 დეპუტატი, რომელთაგან ნახევარს საერთო-ეროვნული პარტიული სიებით ირჩევენ, მეორე ნახევარს კი – ერთმანდატიანი ოლქებიდან.

ევგენიკა – სახეობათა მემკვიდრეობითი თვისებების კონტროლზე მიმართული მოძღვრება; ჩვეულებრივ, ის მიმართავს შერჩევით შეჯვარებას სახეობის გაუმჯობესების მიზნით.

ევროკავშირი – ევროპელი ერების ეკონომიკური ასოციაცია; ადრე ცნობილი იყო როგორც საერთო ბაზარი ან ევროპის ეკონომიკური გაერთიანება.

ევროკომუნიზმი – ტრადიციული საბჭოთა კომუნისტური თეორიის სახეცვლილება დასავლეთ ევროპაში, რომელმაც უარი თქვა ძალადობრივ რევოლუციასა და დიქტატურაზე და არსებული სახელისუფლებო სტრუქტურების არჩევნების გზით გაკონტროლებას მიანიჭა უპირატესობა.

ეთნიკური წმენდა – ბოსნიაში გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც მუსლიმანებს ძალადობით აძევებდნენ ქალაქებიდან და სოფლებიდან.

ეთნოცენტრიზმი – ერების უუნარობა, მეტ-ნაკლებად ობიექტურად შეაფასონ საკუთარი ქმედება ნაციონალიზმის იდეოლოგიის გამო.

ეკონომიკური შეღწევა – გავლენა, რომელსაც ერთი ან რამდენიმე ქვეყანა ახორციელებს წინარევოლუციურ პერიოდში მყოფი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ერთგული (ლოიალური) ოპოზიცია – ინგლისში ჩამოყალიბებული რწმენა, რომ

ძალაუფლებაში არმყოფ პარტიას ეკისრება პასუხისმგებლობა, ალტერნატული პოლიტიკური სტრატეგიები და პროგრამები ჩამოაყალიბოს. ასეთ პარტიას ხანდახან „ერთგულ (ლოიალურ) ოპოზიციას“ უწოდებენ.

ერთობა – იხ. *თემი.*

ერი (ნაცია) – თუმცა ეს ტერმინი ხშირად სახელმწიფოს და ქვეყნის სინონიმად იხმარება, ის აღნიშნავს გამორჩეული ენისა და კულტურის მქონე სპეციფიკურ ხალხს ან დიდ ერთნიკურ ჯგუფს. მაგალითად, ფრანგები, ჰოლანდიელები, ჩინელები და იაპონელები ქმნიან როგორც ერს, ასევე სახელმწიფოს (სწორედ აქედან წარმოდგება ტერმინი „ერი-სახელმწიფო“). მაგრამ ყველა ერს არა აქვს იმის იღბალი, რომ საკუთარი სახელმწიფო ჰქონდეს – ამის თანამედროვე მაგლითებია ქურთები (ცხოვრობენ თურქეთში, ირანსა და ერაყში), პალესტინელები (დასავლეთ სანაპირო და ღაზა, ლიბანი, იორდანია), პუშტუნები (ავღანეთი), უიგურები და ტიბეტელები (ჩინეთი).

ერი-სახელმწიფო – გეოგრაფიულად განსაზღვრული ერთობა, რომელსაც ერთი ხელისუფლება აქვს.

ერის მშენებლობა – პროცესი, რის შედეგადაც მოცემული ტერიტორიის მაცხოვრებლებმა, მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასითებლების მიუხედავად, თავი უნდა გააიგივონ შესაბამისი ერი-სახელმწიფოს სიმბოლოებთან და ინსტიტუტებთან.

ეროვნული ასამბლეა – საფრანგეთის ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს ქვედა და პოლიტიკურად წამყვანი პალატა, რომელიც ყველა კანონს იღებს.

ეროვნული თვითგამორკვევა – ერის უფლება, საკუთარი ხელისუფლება თავად აირჩიოს.

ეროვნული ვალი – ყოველწლიური საბიუჯეტო დეფიციტების თანდათანობითი აკუმულაცია, რაც იქმნება იმის შედეგად, რომ მთავრობა ხარჯავს მეტს, ვიდრე შემოსავალი აქვს. ეს აიძულებს ხელისუფლებას, ფული ისესხოს ხარჯების გასასტუმრებლად, რის შედეგადაც მსხვილი თანხების გადახდა უხდება საბანკო პროცენტის დასაფარად, რაც თითოეული წლის სახელმწიფო ბიუჯეტს აკლდება.

ეროვნული ინტერესი – პოლიტიკის მიზანი, მიმართული ერის გავლენისა და პრესტიჟის შენარჩუნებასა თუ გაზრდაზე.

ეროვნული უსაფრთხოება – ქვეყნის დაცვა საგარეო თუ საშინაო მტრისგან.

ექსპანსიონიზმი – ქვეყნის სტრატეგია, მიმართული მისი ტერიტორიის ან გავლენის გასაფართოებლად.

ვაიმარის რესპუბლიკა – ასე ერქვა გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1919 წელს ქ. ვაიმარში გამართული საკონსტიტუციო კონვენციის გადაწყვეტილებით დაფუძნებულ კონსტიტუციურ დემოკრატიას. მას პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილობის პერიოდში მოუწია არსებობა და 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლით დასრულდა.

„ვარსკვლავთა პალატა“ (*Star Chamber*) – ისტორიულად ასე უწოდებდნენ სასამართლოს ინგლისში, რომლის იურისდიქციაც გაფართოვდა საიმისოდ, რომ მეფეს შეუზღუდველად შეძლებოდა დაესაჯა ნებისმიერი ქვეშემრდომი მისი ბრძანების შეუსრულებლობისთვის.

ვარშავის ხელშეკრულება – 1955 წელს საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების მიერ შექმნილი სამხედრო ბლოკი, რითაც შეიქმნა ერთიანი სამხედრო სარდლობა და საბჭოთა კავშირს მიეცა შესაძლებლობა, სატელიტი სახელმწიფოების ტერიტორიაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი ჰქონოდა ამ ქვეყნების გარე აგრესიისგან დაცვის გამოცხადებული მიზნით.

ვაჭრობის პირობები – საერთაშორისო ეკონომიკაში ასე ქვია ქვეყნის მიერ მსოფლიო ბაზარზე შეძენილი პროდუქტების (საქონლის, ნაწარმის, მომსახურების) ფასს მის მიერ გაყიდული პროდუქტების ფასთან მიმართებაში. სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების ფასების სტრუქტურა საერთაშორისო ბაზარზე არ არის ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის მწარმოებლებისათვის, რადგან სამრეწველო ნაწარმი მათთან შედარებით ჩვეულებივ უფრო ძვირია.

ზღვის ფსკერის შეთანხმება – საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღის განთავსებას ზღვის ფსკერზე 29-მილიანი ტერიტორიული საზღვრის მიღმა.

თავისუფალი (*laisser-faire*) კაპიტალიზმი – ეკომომიკური წყობა, დამყარებული იმ იდეაზე, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოს რეგულირებისაგან თავისუფალი ბაზარი ეკონომიკური სისტემის საუკეთესო რეგულატორია.

თავისუფალი მეწარმეობა – სხვა სახელი კერძო მეწარმეობისთვის, რომელსაც სახელმწიფო ზედმეტად არ აფერხებს თავისი რეგულაციებით და შეზღუდვებით; მისი საწინააღმდეგოა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკა ან ბიზნესებისა და მრეწველობის სახელმწიფო საკუთრება.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა – დეცენტრალიზებული ეკონომიკა, რომელშიც ფასები, ხელფასები და საბანკო პროცენტი, ისევე როგორც წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლიობას მიწოდებისა და მოთხოვნის ძალები განსაზღვრავს და არა სახელმწიფო.

თანაარსებობა – იხ. *კოჰაბიტაცია.*

თანატოლთა ჯგუფი – ასაკითა და სხვა მახასიათებლებით მსგავს ადამიანთა ჯგუფი.

თემი – ინდივიდთა ნებისმიერი ასოციაცია, რომელიც ემყარება გეოგრაფიულ, ეთიკურ, რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიშნებზე დაფუძნებულ საერთო იდენტობას.

თეოკრატია – ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა რელიგიას და რომელშიც სამღვდელოება დომინირებს.

იდეალიზმი – პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც სახელმწიფოთა ქცევის გასაგებად და, შესაძლოა, შესაცვლელად საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებს ღირებულებებს, იდეალებსა და მორალურ პრინციპებს.

იდეოლოგია – მყარი, წინასწარ განსაზღვრული წარმოდგენების ერთობლიობა საზოგადო სიკეთის მიღწევის საუკეთესო გზებზე, გაზიარებული პოლიტიკოსებისა თუ მოქალაქეების მიერ.

იდეოლოგიური ტერორიზმი – ტერორის ფორმა, ჩვეულებრივ მარქსისტული მი-

მართულებისა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს დამხობას.

იმპერიალიზმი – ტერიტორიული გაფართოების (იმპერიის მშენებლობის) პოლიტიკა, ხშირად სამხედრო დაპყრობის გზით. წარმოიშობა სიტყვიდან „იმპერია“.

ინდივიდუალიზმი – ალექსის დე ტოკვილის მიხედვით, ასე ქვია ადამიანის გრძნობების საკუთარ თავზე პრობლემებზე მიმართვას, მთლიანი საზოგადოების ზოგადი წუხილებისგან თავის გამოყოფას. ჯონ სტუარტ მილის მიხედვით, ეს ადამიანის ის თვისებაა, რაც მას ცხოველებისაგან განასხვავებს და მის განსაკუთრებულობასა და ღირსებას განსაზღვრავს.

ინსტიტუციური რევოლუციური პარტია – მექსიკის დომინანტური პოლიტიკური პარტია 1929 წლიდან ბოლო პერიოდამდე; მას არჩევნები არ წაუგია 2000 წლამდე, როდესაც ეროვნული ქმედების პარტიის წარმომადგენელმა ვინსენტე ფოქსმა საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო.

ინტერესთა ჯგუფი – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ცდილობს, გავლენა მოახდინოს პოლიტიკასა და კანონმდებლობაზე სპეციალურ ინტერესთა განსაზღვრულ სფეროში, რისთვისაც იყენებს ლობირებას, პარტიებისთვის ფინანსურ შეწირულობებს და სხვა ხერხებს.

ინტერნაციონალისტები – თეორეტიკოსები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ერებს შორის მშვიდობას და თანამშრომლობას და საამისოდ მხარს უჭერენ ყველა მთავრობის მონაწილეობას რაიმე სახის მსოფლიო ორგანიზაციაში.

ინტიფადა – არაბულად „აჯანყებას“ ნიშნავს; ასე დაერქვა პალესტინელთა აჯანყებას დასავლეთი სანაპიროსა და ღაზას სექტორის ისრაელის მიერ ოკუპაციის წინააღმდეგ 1987-1993 და 2001-02 წლებში. მეორე ინტიფადა ძალადობის განსაკუთრებული ესკალაციით აღინიშნა – ექსტრემისტული პალესტინური დაჯგუფებები ხშირად იყენებდნენ აფეთქებებს კამიკაძე (თვითმკვლელი) ტერროროსტების მიერ, ისრაელი კი ოკუპირებული ტერიტორიების დასაშოშმინებლად უაღრესად მკაცრ მეთოდებს მიმართავდა.

კათალიტიკური ომი – კონფლიქტი, რომელიც ლოკალური და შეზღუდული შეჯახების სახით იწყება, მაგრამ ფართო ომში გადაიზრდება მას შემდეგ, რაც სამხედრო ალიანსების გააქტიურების შედეგად მასში სხვა მონაწილეები ჩაერთვებიან.

კაპიტალისტური დაგროვების კანონი – კარლ მარქსის მიხედვით, ეს არის შეუვალი კანონი, რისი ძალითაც ყველაზე ძლიერი და ხარბი კაპიტალისტები თანდათანობით მოიცილებენ უფრო სუსტ კონკურენტებს და გაზრდიან ბაზარზე კონტროლს.

კანონი *ex post facto* – კანონი, რომელიც უკანა რიცხვით ახდენს ჩადენის მომენტში კანონიერად მიჩნეული ქმედების კრიმინალიზაციას.

კანონის უზენაესობა – ამ კონცეფციის თანახმად, ხელისუფლების და მისი თანამდებობის პირების ძალაუფლება და დისკრეცია შეზღუდული უნდა იყოს უზენაესი ნეიტრალური წესების ერთობლიობით, რომლებიც ხელს უშლის მთავრობის მხრიდან თვითნებურ და უსამართლო მოქმედებას.

კაპიტალიზმი – კერძო მეწარმოებაზე დამყარებული და მოგების მოტივით წარმართული საბაზრო ეკონომიკის სისტემა; ის კომუნიზმის საპირისპიროა და მკვეთრად განსხვავდება ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკის სისტემისაგან.

კეთილდღეობის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია თავისი მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფა და რომელიც ამ მიზანს აღწევს სპეციფიკური საჯარო პოლიტიკით, როგორიცაა ჯანმრთელობის დაზღვევა, მინიმალური ხელფასი და სუბსიდიები ბინების ასაშენებლად.

კემპ-დევიდის შეთანხმება – 1979 წლის შეთანმხმება, რითაც ისრაელმა სინას ნახევარკუნძული დაუბრუნა ეგიპტეს და სანაცვლოდ ეგიპტესგან მისი არსებობის უფლების აღიარება მიიღო; ყოფილმა მტრებმა სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს და ერთმანეთთან მშვიდობის შენარჩუნების ვალდებულება აიღეს.

კერძო ინტერესთა ჯგუფები – მათი წევრების პირად ინტერესთა დასაკმაყოფილებლად შექმნილი ჯგუფები.

კოალიციური მთავრობა – პოლიტიკური სიტუაცია მრავალპარტიულ საპარლამენტო სისტემებში, რომლის დროსაც არც ერთ პარტიას არა აქვს უმრავლესობა და ყველაზე ძლიერი პარტია დროებით კავშირს ამყარებს უფრო მცირე პარტიებთან საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის მოსაპოვებლად.

კოლექტივიზაცია – მიწისა და წარმოების ყველა სხვა საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა.

კოლექტივიზმი – რწმენა, რომ საერთო კეთილდღეობისთვის უკეთესია, პოლიტიკური ერთეულის შიგნით არსებული წარმოების და განაწილების საშუალებები საერთო (და არა ინდივიდუალურ) საკუთრებაში იყოს.

კოლექტიური უსაფრთხოება – საერთაშორისო ურთიერთობებში ამ მიზნით იდება შეთანხმება რამდენიმე ქვეყანას შორის ერთიანი ძლიერი გაერთიანების შექმნაზე, რომელიც დაუპირისპირდება ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აგრესიის აქტს ჩაიდენს. რაკი ვერც ერთი ცალკე აღებული ერი ვერ აჯობებს კოლექტიურ ძალას, აგრესია წარუმატებელი აღმოჩნდება.

კოლონიალიზმი – პოლიტიკა, რომელიც განუვითარებელი რეგიონების და სუსტი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმეებზე გაბატონებას ცდილობს. მას „იმპერიალიზმსაც“ უწოდებენ.

კომუნიზმის პირველი სტადია – მარქსისტულ თეორიაში ასე უწოდებენ კაპიტალიზმის დამხობის მომდევნო პერიოდს, რომლის დროსაც პროლეტარიატი ამყარებს მშრომელთა დიქტატურას კონტრ-რევოლუციის თავიდან ასაცილებლად და სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დასამყარებლად.

კომუნიზმის მეორე სტადია – მარქსისტულ თეორიაში ასე უწოდებენ უტოპიურ უკლასო საზოგადოებას, რომელშიც ადამიანები მაქსიმალურ თვითგამოხატვას აღწევენ, საზოგადოება თანამშრომლობის და ჰარმონიის მდგომარეობაშია, ხოლო ომი სრულიად გამორიცხულია.

კონვენცია ბიოლოგიური იარაღის შესახებ – 1972 წლის საერთაშორისო ხელშეკრულე-

ბა იარაღის კონტროლის სფეროში, რომელმაც მონაწილე ქვეყნები დაავალდებულა, გაენადგურებინათ ბიოლოგიური იარაღის არსებული მარაგები და უკანონოდ გამოაცხადა ასეთი იარაღის წარმოება და შენახვა.

კონვენცია ქიმიური იარაღის შესახებ – 1993 წლის საერთაშორისო ხელშეკრულება იარაღის კონტროლის სფეროში, რომლის ძალითაც ქიმიური იარაღი ათი წლის ვადაში უნდა მოისპოს. ის მოითხოვს ქიმიური იარაღის მარაგების განადგურებას და, ასეთი იარაღის წარმოების შეწყვეტის მიზნით, იმ კომპანიების მონიტორინგს, რომელთა პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ნერვული აგენტების დასამზადებლად.

კონვენციური მონაწილეობა – ჩართვა პოლიტიკური აქტივობის ყველაზე გავრცელებულ და მარტივ ფორმებში, როგორიცაა ხმის მიცემა, მედიაში პოლიტიკური საკითხების მიდევნება და პოლიტიკურ მიტინგებზე მისვლა.

კონსერვატიზმი – პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც სხვა ღირებულებებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და ტრადიციას.

კონსტიტუცია – ხელისუფლების მოწყობისა და მოქმედების ძირითადი წესების განსაზღვრა.

კონსტიტუციონალიზმი – იხ. *კანონის უზენაესობა.*

კონსტიტუციური დემოკრატია – უმრავლესობის ნების პრინციპზე აგებული შეზღუდული მმართველობის სისტემა, რომელშიც პოლიტიკური ძალაუფლება დაქსაქსულია მრავალ დაჯგუფებასა და ინტერესთა ჯგუფს შორის, ხოლო სახელისუფლებო მოქმედებები და ინსტიტუტები კონსტიტუციით განსაზღვრულ წესებს უნდა შეესაბამოს.

კონტრტერორიზმი – ტერორიზმთან საბრძოლველად გამოყენებული მეთოდები.

კოჰაბიტაცია (თანაარსებობა) – საფრანგეთში ასე უწოდებენ გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლების იძულებით თანაარსებობას.

კოსმოსის შეთანხმება – შეერთებულ შტატებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელმაც აკრძალა კოსმოსში იარაღის შეტანა, კოსმოსზე ეროვნული სუვერენიტეტის გავრცელება, და წაახალისა თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა კოსმოსური კვლევების სფეროში.

კულაკები – შეძლებული მიწათმფლობელების კლასი რუსეთის საზოგადოებაში, რომელიც იოსებ სტალინმა გაანადგურა, რადგან ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი დიდი კოლექტიური მეურნეობების შექმნის მისეულ პროგრამას.

ლეგიტიმური ხელისუფლება – მთავრობის სამართლებრივი და მორალური უფლება, მართოს გარკვეული მოსახლეობა და კონკრეტული ტერიტორია.

ლეგიტიმურობა – პოლიტიკური ძალაუფლების აღსრულება ადამიანთა ერთობის შიგნით მის წევრთა მიერ წესების ნებაყოფლობითი დაცვის საფუძველზე.

ლიბერალიზაცია – ყოფილ საბჭოთა კავშირში ასე უწოდებდნენ რეპრესიული საშინაო პოლიტიკის შერბილებას. საბჭოთა ისტორიისთვის დამახასიათებელი იყო ლიბერალიზაციისა და რეპრესიის მონაცვლეობა.

ლიბერალიზმი – პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც ყველა სხვა ღირებულებასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალიზმს, თანასწორობას და სამოქალაქო უფლებებს.

ლიბერალური განათლება – განათლება, რომელიც ხაზს უსვამს კრიტიკული აზროვნების უნართა განვითარებას ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიისა და მეცნიერების შესწავლის გზით.

ლიბერალური ტრადიცია – 300-წლიანი ტრადიცია დასავლურ პოლიტიკურ აზროვნებაში, რომლის აზრითაც ხელისუფლების მიზანი ინდივიდუალურ უფლებათა წინ წამოწევა და დაცვაა. ამერიკული ლიბერალიზმისა და ამერიკული კონსერვატიზმის დამცველთა შორის დიდი ხანია მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, რომელ ინდივიდუალურ უფლებებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

ლიბერტარიანელობა – მოძღვრება, დამყარებული რწმენაზე, რომ ხელისუფლება აუცილებელი ბოროტებაა, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს ინდივიდუალურ თავისუფლებასა და პირად ცხოვრებაში. უწოდებენ აგრეთვე „მინიმალიზმს“.

ლოიალური ოპოზიცია – იხ. *ერთგული ოპოზიცია.*

ლობისტები – ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, გავლენა მოახდინონ ხელისუფლების პოლიტიკაზე რაიმე სპეციალური ინტერესის სასარგებლოდ.

ლოკ საბჰა – ინდოეთის ფედერალური პარლამენტის პირდაპირი ხმის მიცემით არჩეული ქვედა პალატა. ინდოეთში, ისევე როგორც გაერთიანებულ სამეფოში და სხვა საპალამენტო სისტემებში, მთავრობები იქმნება ქვედა პალატის უმრავლესობაში მყოფი პარტიის (ან პარტიათა კოალიციის) მიერ საერთო-ეროვნული არჩევნების შემდეგ.

მაგნა კარტა (*magana carta,* თავისუფლებათა დიდი ქარტია) – 1215 წელს მეფე ჯონის მიერ მისი ბარონების მიმართ გაკეთებული პოლიტიკური დათმობები, რამაც ინგლისში კანონის უზენაესობას ჩაუყარა საფუძველი.

მაჟორიტარული სისტემა (*first past the post*) – გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებში გამოყენებული საარჩევნო სისტემა, რომლითაც საკანონმდებლო ორგანოს კანდიდატები ერთმანდატიან ოლქებში იყრიან კენჭს და იმარჯვებს ის, ვინც სხვაზე მეტ ხმას დააგროვებს. ზოგიერთ სხვა ქვეყანაში – მაგალითად, საფრანგეთში – თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ხმების განსაზღვრულ პროცენტზე მეტი ვერ მოაგროვა, ორ ყველაზე ძლიერ კანდიდატს შორის კენჭისყრის მეორე ტური ცხადდება. ეს წესი ხელს აძლევს ფართო და მყარი სოციალური ბაზის მქონე პარტიებს და ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას უქმნის საფუძველს. კრიტიკოსების აზრით, ის არადემოკრატიულია, რადგან გადაულახავ წინააღმდეგობებს უქმნის პატარა ან ახალ პარტიებს და ამომრჩეველს დილემის წინაშე აყენებს: ან ხმა მისცეს მხოლოდ პოლიტიკური სპექტრის ცენტრთან ახლოს მდგომ, წამყვანი პარტიის კანდიდატებს, ან გაფლანგოს თავისი ხმა გამარჯვების შანსის არმქონე კანდიდატის მხარდაჭერით.

მართებული სამართლებრივი პროცესი – სამართლიანი იურიდიული პროცედურების გარანტია; აშშ კონსტიტუციაში მას მე-5 და მე-15 შესწორებები ადგენს.

მარქსისტები – კარლ მარქსის (1818-1883) პოლიტიკური ფილოსოფიის მიმდევრები, რომლის მიხედვითაც მომავალი ეკუთვნოდა ინდუსტრიულ ჩაგრულ კლასს („პროლეტარიატს“) და რომ საბოლოო ჯამში „უკლასო საზოგადოება“ შეცვლიდა საკუთრების მიხედვით კლასებად დაყოფილ საზოგადოებას; ცივი ომის (1947-91) დროს ამ ტერმინს შეცდომით მიუყენებდნენ ყველას, ვინც საბჭოთა კავშირის თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იდეოლოგიას ემხრობოდა დასავლეთის წინააღმდეგ.

მარშალის გეგმა – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპისადმი მასიური ეკონომიკური დახმარების პროგრამა. მას საფუძვლად ედო შიში, რომ ომით გაჩანაგებულ ქვეყნებს კომუნისტური რევოლუციების საფრთხე შეექმნებოდა.

მასირებული საპასუხო დარტყმა – სამხედრო-სტრეტეგიული დოქტრინა, რომელიც ბირთვული კონტრდარტყმის რეალისტურ მუქარას ეყრდნობოდა. მას შეერთებული შტატები 1950-იან წლებში, ამერიკული ბირთვული მონოპოლიის მოკლე პერიოდში იყენებდა. ამ დოქტრინის თანახმად, თუ საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებს ან მის რომელიმე მოკავშირეს კონვენციური იარაღის გამოყენებით დაესხმებოდა თავს, შეერთებული შტატები ბირთვული დარტყმით უპასუხებდა.

მასმედია – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორიცაა ტელევიზია, რადიო, ფილმები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები.

მასობრივი მობილიზაციის რეჟიმები – ტოტალიტარული სახელმწიფოები მათი ევოლუციის ყველაზე აქტიურ ეტაპზე, როცა ისინი ხელს უწყობდნენ მოქალაქეთა მონაწილეობას მიტინგებსა და პოლიტიკურ შეკრებებში.

მასობრივი მოძრაობა – ლიდერის და/ან იდეოლოგიის ერთგულ მიმდევართა ნებისმიერი დიდი ჯგუფი, რომელიც მზადაა მოძრაობის გულისთვის ნებისმიერი მსხვერპლი გაიღოს.

მეიძის რესტავრაცია – იაპონიის ფეოდალური ხანის დასასრული 1868 წელს, როდესაც გავლენიან ინდივიდთა მცირე ჯგუფმა ტახტზე დასვა სიმბოლური ძალაუფლების მქონე იმპერატორი, წამოიწყო ეკონომიკური მოდერნიზაციის პროგრამა და თანამედროვე სახელმწუფო ბიუროკრატია ჩამოაყალიბა.

მეორე დარტყმა – სიმეტრიული საპასუხო დარტყმა ბირთვული თავდასხმის წინააღმდეგ; პარადოქსია, მაგრამ „მეორე დარტყმის უნარი“ არსებითად ამცირებს იმის ალბათობას, რომ ბირთვული დაპირისპირება რეალურ ბირთვულ ომში გადაიზრდება.

მეორე სამყარო – კომუნისტური სახელმწიფოები.

მესამე სამყარო – ასე უწოდებენ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს, რომელთა უმრავლესობა ადრე ევროპის კოლონია იყო. ეს ქვეყნები როგორც წესი ღარიბი და მჭიდროდ დასახლებულია.

მზარდი მოლოდინების რევოლუცია – განვითარების გზით მიღწეული რევოლუცია, რომელსაც მესამე სამყაროს ქვეყნებმა უნდა განიცადონ პირველი და მეორე სამყაროების წარმატებათა მიბაძვით.

მთავრობა – პიროვნებები და ინსტიტუტები, რომლებიც ქმნიან და ამკვიდრებენ წესებსა და კანონებს ადამიანთა უფრო დიდი ერთობებისთვის.

მინისტრთა კოლექტიური პასუხისმგებლობა – ბრიტანულ სისტემაში ეს პრინციპი კაბინეტის მინისტრებს მთავრობის ყველა ქმედებაზე და გადაწყვეტილებაზე საერთო პასუხისმგებლობას აკისრებს; მინისტრები ღიად და საჯაროდ არ უპირისპირდებიან ოფიციალურ პოლიტიკას ან პრემიერ-მინისტრის ნაბიჯებს, თუმცა დახურულ შეხვედრებზე შეუძლიათ იდავონ და განსხვავებული აზრი გამოთქვან სხვადასხვა საკითხზე (და უეჭველად ასეც იქცევიან).

მიუმხრობლობა – ცივი ომის პერიოდისთვის დამახასიათებელი პოლიტიკა, როდესაც მრავალი განვითარებადი ქვეყანა (მაშინ მათ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს უწოდებდნენ) არჩევდა, არ მიმხრობოდა არც შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს („დასავლეთს“) და არც საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს („აღმოსავლეთს“). მიუმხრობლობა იმით განსხვავდება ნეიტრალიტეტისგან, რომ ის არ გამორიცხავს ლოკალურ კონფლიქტებში ქვეყნის ჩარევას ან აგრესიულ მოქმედებას, და რომ მეორე მსოფლიო ომამდე ის არ ქცეულა მნიშვნელოვან ცნებად საერთაშორისო ურთიერთობებში.

მიუღებელი ზარალი – ომის დროს ასე უწოდებენ ნგრევის დონეს, რომელიც პოტენციურ აგრესორს სხვა ქვეყანაზე თავდასხმის ცთუნებას გაუქრობს. სწორედ ამ მიზნით ავითარებენ ბირთვული სტრატეგიის დოქტრინაში მეორე დარტყმის უნარს: მან უნდა შეაკავოს წინასწარი ან პრევენციული ბირთვული შეტევა („პირველი დარტყმა“).

მოგოლები – მუსლიმი დამპყრობლები, რომლებმაც დინასტიური იმპერია შექმნეს აზიის სუბ-კონტინენტზე; მათი ყველაზე გამოჩენილი მმართველები იყვნენ ბაბური (1483-1530), აკბარი (1556-1605), შაჰ იაჰანი (1628-1658) და აურანგზები (1658-1707). შაჰ იაჰანი ტაჯ-მახალის არქიტექტორიც იყო.

მოზაიკური საზოგადოება – სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების განსაკუთრებით მაღალი დონით გამორჩეული საზოგადოება (ასეთი რამ გავრცელებულია აფრიკის და ლათინური ამერიკის ერებში). ამ ნიშანს შეუძლია, ქვეყნის განვითარება შეაფერხოს.

მოთხოვნა-მიწოდების კანონი – კაპიტალისტური ანუ საბაზრო ეკონომიკის საფუძვლად მყოფი ეს პრინციპი ადგენს, რომ ეკონომიკის საუკეთესო რეგულატორია ბაზრის „უხილავი ხელი“, ანუ თავისუფალი და შეუზღუდავი ეკონომიკური აქტივობის სავარაუდოდ რაციონალური შედეგი. კერძოდ, ეს შედეგი მოაქვს საკუთარი ეგოისტური ინტერესების მქონე თავისუფალი ინდივიდების (მწარმოებლების, მომხმარებლების, მეწარმეების, მშრომელების) რაციონალური გადაწყვეტილებების საფუძველზე აღმოცენებულ კანონზომიერებებს წარმოების, განაწილების, დაბანდების და მოხმარების სფეროში.

მონარქისტები – მხარდამჭერები სისტემისა, რომელშიც პოლიტიკური ძალაუფლება ეკუთვნის ერთ პიროვნებას (მაგალითად, მეფეს), რომელიც პირადი გადაწყვეტილებების საფუძველზე მართავს.

მონაწილეობა – აქტიური ჩართულობა პოლიტიკურ საქმეებში, რაც შეიძლება გულისხმობდეს მოქმედების სახეთა ფართო სპექტრს – ხმის

მიცემითა და მასობრივი პროტესტით დაწყებული და შეიარაღებული აჯანყებითა და ტერორიზმით დამთავრებული.

მონროს დოქტრინა – აშშ პრეზიდენტის ჯეიმს მონროს მიერ ფორმულირებული სტატუს ქვოზე მიმართული პოლიტიკა, რომლის თანახმადაც შეერთებული შტატები უნდა შეეწინააღმდეგოს გარე ძალების ნებისმიერ მცდელობას, შეცვალონ ძალთა ბალანსი დასავლეთ ნახევარსფეროში.

მორალური რელატივიზმი – აზრი, რომ ყველა მორალური მსჯელობა არსებითად სუბიექტურია და მხოლოდ მათი გამომთქმელი პიროვნებისთვის აქვს ძალა. ამ კონცეფციის თანახმად, არ არსებობს რომელიმე მოსაზრება მორალის საკითხზე, რომელიც რამით ჯობია ნებისმიერ სხვას.

მოქალაქეობა – უფლება და მოვალეობა, კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღო თვითმმართველობის მიმდინარე ფუნქციობაში.

მრავალეროვანი სახელმწიფოები – სუვერენული სახელმწიფოები, რომელთა კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს ორი ან მეტი (ხანდახან გაცილებით მეტი) ეთნოლინგვისტური ჯგუფი (ან ერი); საგულისხმო მაგალითებია ინდოეთი, ნიგერია, რუსეთი, ჩინეთი, ყოფილი იუგოსლავია.

მრავალჯერადი განადგურების უნარი (*overkill*) – იმაზე გაცილებით უფრო დიდი ბირთვული არსენალის ფლობა, ვიდრე საჭიროა მტრის სრული განადგურებისთვის.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (*WTO*) – არადისკრიმინაციული სავაჭრო ორგანიზაცია, რისი მიზანიცაა გლობალურ თუ რეგიონულ დონეზე დაუბრკოლებელი სავაჭრო ურთიერთობების მხარდაჭერა. ადრე მას ერქვა საყოველთაო ხელშეკრულება ვაჭრობასა და ტარიფებზე.

მსოფლიო სასამართლო – ასევე ცნობილია როგორც „საერთაშორისო სასამართლო“ (*International Court of Justice*) – გაეროს ძირითადი სასამართლო ორგანო; სასამართლო განიხილავს ნებისმიერ საქმეს, რითაც მასში შედიან მისი იურისდიქციის ნებაყოფლობით მაღიარებელი მხარეები.

მტკიცებულების უარყოფის წესი (დაუშვებელი მტკიცებულება) – სამართლებრივ პროცედურებში ასე ქვია წესს, რომლის ძალითაც კონსტიტუციური მოთხოვნების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ვერ გამოიყენება სასამართლოში ბრალდებულის წინააღმდეგ.

მულტინაციონალური კორპორაცა – კომპანია, რომლის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ქვეყანაშია განაწილებული.

მცირე ინტენსივობის კონფლიქტი – ასეთი რამ ხდება, როცა ერთი სახელმწიფო აფინანსებს, ასპონსორებს და ეხმარება ძალადობის სპორადულ და ხანგრძლივ გამოყენებას მეტოქე ქვეყანაში.

მწვანე რევოლუცია – სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის დრამატული ზრდა თანამედროვე საირიგაციო სისტემებისა და ქიმიური სასუქების შეტანის შედეგად, დამახასიათებელი თანამედროვე ინდოეთის, მექსიკის, ტაივანისა და ფილიპინებისთვის.

მწირი ინფორმაციის რაციონალობა – იდეა, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ, აზრიანი არჩევანი გააკეთონ (მაგალითად, გონივრულად მისცენ ხმა) მიუხედავად იმისა, რომ ისინი არასაკმარისად ერკვევიან საჯარო

პოლიტიკაში, კანდიდატების ავ-კარგიანობაში და მიმდინარე პრობლემებში.

ნათესავი ქვეყნის სინდრომი – ვითარება, რომლის დროსაც ერთმანეთთან კულტურულად დაკავშირებული ქვეყნები და ლიდერები მსგავს პოზიციებს იცავენ.

ნატო (ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) – 1949 წელს დაარსებული სამხედრო კავშირი, რომელშიც ჩრდილო ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა შედის. მისი თავდაპირველი მიზანი იყო ევროპაში საბჭოთა კავშირის აგრესიის აღკვეთა.

ნაცია – იხ. *ერი.*

ნაციონალისტურ-სეპარატისტული ტერორიზმი – ტერორიზმის ფორმა, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობის მაძიებელი ჯგუფები მისდევენ. მათი საქმიანობა ჩვეულებრივ მოცემულ ეროვნულ საზღვრებშია მოქცეული.

ნეიტრალიტეტი – პოლიტიკა, რომელიც უპირობო პრიორიტეტად მიიჩნევს ომში ჩაუბმელობას. საამისოდ ქვეყანა მეზობლების მიმართ რაიმე მუქარას ერიდება, მხოლოდ თავდაცვით სამხედრო რესურსებს ინარჩუნებს და არასოდეს ემხრობა კონფლიქტის რომელიმე მხარეს. ფინეთი, შვედეთი და შვეიცარია ნეიტრალიტეტის პოლიტიკის წარმატებით განხორციელების მაგალითებია.

ნიჰილიზმი – მსოფლმხედველობა, რის თანახმადაც ყველა არსებული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტის განადგურება თავისთავად სასურველი მიზანია.

ნომენკლატურა – ყოფილი საბჭოთა კომუნისტური პარტიის სისტემა, რითაც ის აკონტროლებდა ყველა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ თანამდებობას და ამით უზუნველყოფდა მიმდინარე გადაწყვეტილებების მიმღებთა მხარდაჭერას და ერთგულებას.

ოლიგარქია – ავტორიტარული მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც გავლენიან ინდივიდთა მცირე ჯგუფი სრულად აკონტროლებს ძალაუფლებას.

ოლიგარქიის რკინის კანონი – ელიტისტური თეორია, რომლის თანახმადაც ნებისმიერი დიდი ორგანიზაციის (მაგ., პოლიტიკური პარტიის, პროფესიული კავშირის) მართვის საჭიროებებს თავისთავად მივყავართ მდგომარეობამდე, როცა ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობა და მათზე კონტროლი ბიუროკრატთა მცირე ჯგუფითაა შემოზღუდული. ამის გამო ეს ჯგუფი ორგანიზაციის ფარგლებში ძალაუფლების ყველა ბერკეტს ეუფლება.

ომი მცდარი აღქმის გამო – საომარი კონფლიქტი იმის გამო, რომ ორ ქვეყანას არასწორად ესმის ერთმანეთის ნამდვილი განზრახვები.

ომის ესკალაცია – საომარ კონფლიქტში ასე ქვია გადასვლას შედარებით უფრო ლოკალური და შეზღუდული შეტაკებებიდან სრულმასშტაბიან ომზე. ჩვეულებრივ ეს ხდება, როცა მოცემულ მომენტში წაგებული მხარე ბრძოლაში გარდატეხის შესატანად თავისი სამხედრო ძალის მკვეთრ გაზრდას გადაწყვეტს, და ეს ტენდენცია გრძელდება, სანამ ორივე მხარე ომში თავისი სრული პოტენციალით არ ჩაებმება.

ორპალატიანი სისტემა (ბიკამერალიზმი) – საკანონმდებლო ხელისუფლების დაყოფა ორ პალატად.

ორპოლუსიანი (ბიპოლარული) სისტემა – ძალთა ბალანსის ტრადიციული ევროპული სისტემის გარდაქმნა ორ მტრულ ბანაკად, რომელთაც შეერთებული შტატები და ყოფილი საბჭოთა კავშირი ედგნენ სათავეში. თითოეული ფლობდა გადამწყვეტ სამხედრო და ეკონომიკურ უპირატესობას და მკვეთრად უპირისპირდებოდა მეტოქის პოლიტიკასა და იდეოლოგიას.

პალესტინა – ლიბანის და სირიის სამხრეთით და იორდანიის დასავლეთით მდებარე ტერიტორია, რომელსაც ბიბლიურ დროს იუდეასა და სამარიას უწოდებდნენ. დღეს ამ ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე არსებობს ისრაელის ერი-სახელმწიფო, რომელიც 1947 წელს შეიქმნა შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მხადაჭერით.

პალესტინელი არაბები – პალესტინის ყოფილი ტერიტორიის (მისი უდიდესი ნაწილი დღეს ისრაელია) არაბი მაცხოვრებლები. სხვა არაბთა უმრავლესობის მსგავსად, პალესტინელი არაბებიც მუსლიმანები არიან. მილიონობით პალესტინელს იძულებით გადასახლება მოუხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ებრაელმა ემიგრანტებმა, ძირითადად ევროპიდან, ისტორიული სამშობლოს აღდგენის ოცნება აისრულეს. ამან სათავე დაუდო ხანგრძლივ დაპირისპირებას პალესტინელ არაბთა და ისრაელს შორის.

პარტიზანული ომი – მცირე მობილურ ერთეულებად მოქნილად ორგანიზებული სამხედრო დაჯგუფებების ტაქტიკა, რომლებიც ტერორისა და საბოტაჟის აქტებს ახორციელებენ, შემდეგ კი სამოქალაქო მოსახლეობაში ითქვიფებიან.

პარტიის ყრილობა – საბჭოთა სისტემის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა. ფორმალურად ის პარტიის წევრებს წამოადგენდა, სინამდვილეში კი მმართველი ელიტის მიერ გატარებული პოლიტიკის ლეგიტიმაციას ემსახურებოდა.

პარტიულობა – თაგვანწირვის, ენთუზიაზმისა და უპირობო ერთგულების სულისკვეთება, რაც კომუნისტური პარტიის წევრებს მოეთხოვებოდა.

პაუპერიზაციის კანონი – ამ დებულებით კარლ მარქსს სურდა იმის თქმა, რომ რაკი კაპიტალიზმს ახასიათებს თანდაყოლილი მიდრეკილება კრიზისებისა და უმუშევრობის ზრდისკენ, მუშები გარდუვალად გადადიან ჭარბი მუშახელის კატეგორიაში.

პატრონ-კლიენტელური ურთიერთობა – პოლიტიკური მონაწილეობის ფორმა, უფრო მეტად გავრცელებული განვითარებად ქვეყნებში, როდესაც, იერარქიული სისტემის ფარგლებში, გავლენიანი პირები გარკვეული სიკეთეების სანაცვლოდ მოიპოვებენ ხმებს, ფინანსურ სახსრებს და იმტკიცებენ პოლიტიკური ძალაუფლების ბაზას.

პერესტროიკა – ამ ტერმინით აღნიშნავდნენ მიხეილ გორბაჩოვის სხვადასხვა მცდელობას, გარდაექმნა საბჭოთა ეკონომიკა მისი სოციალისტური ხასიათის სრული უარყოფის გარეშე.

პერესტროიკის პირველადობის მოდელი – ეროვნული განვითარების თეორია, რომლის თანახმადაც ლიბერალური საბაზრო რეფორმები წინ უნდა უსწრებდეს პოლიტიკურ რეფორმებს.

პირდაპირი დემოკრატია – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც გადაწყვეტილებე-

ბი უშუალოდ მოქალაქეებისა და არა მათი წარმომადგენლების მიერ მიიღება.

პირველი დარტყმა – მოულოდნელი ან წინმსწრები თავდასხმა ბირთვული იარაღის გამოყენებით.

პირველი სამყარო – ინდუსტრიული დემოკრატიები.

პირუკუ დისკრიმინაცია – მასზე საუბროვენ მაშინ, როდესაც პოზიტიური ქმედებები, რომელთა მიზანია ისტორიულად ჩაგრულ ჯგუფებს დაეხმარონ სამსახურის, საცხოვრებლის და განათლების მოპოვებაში, უმრავლესობისთვის შემაფერხებელ ფაქტორებად იქცევა. ეს უმცირესობების და გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის უპირატესობის მინიჭების გაუთვალისწინებელი შედეგია.

პლებისციტი – კენჭისყრა, რომელიც ქვეყანაში ტარდება საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ პრობლემაზე.

პლურალისტები – ამ თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ რაკი ნებისმიერ დიდ დემოკრატიაში პოლიტიკური პროცესი დეცენტრალიზებული და ინსტიტუციურად დანაწევრებულია, პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურების კონტროლი შეუძლიათ მხოლოდ სპეციალურ ინტერესთა შემოზღუდულ სივრცეში შექმნილ, ერთი საკითხის გარშემო გაერთიანებულ კოალიციებს.

პროპაგანდა – მას-მედიის გამოყენება მოსახლეობაში სასურველი შეხედულებების ჩასანერგად და ხალხის აზრებისა და ქმედების სასურველი მიმართულებით წარსამართად.

პროპორციული წარმომადგენლობა – პოლიტიკური სტრუქტურა, რის პირობებშიც საკანონმდებლო ორგანოს მანდატები პარტიებს შორის ნაწილდება ამომრჩეველთა მიღებული ხმების წილის შესაბამისად.

პროლეტარიატი – მარქსისტულ თეორიაში, მუშათა კლასი.

პოზიტიური ქმედებები – სოციალურად ან ეკონომიკურად უარეს მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების წევრებისთვის უპირატესობის მინიჭება წარსული დისკრიმინაციის გამო დაკარგული შესაძლებლობების საკომპენსაციოდ.

პოლიტბიურო – პატარა ჯგუფი, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო იყო. მისი წევრები ხშირად იმავდროულად კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ან წამყვანი დარგების მინისტრები იყვნენ.

პოლიტიკა – პროცესი, რის შედეგადაც საზოგადოება ირჩევს და გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ძალაუფლებით აღჭურვავს თავის მმართველებს, მოქმედებს საერთო მიზნების მისაღწევად და აგვარებს კონფლიქტებს თავის შიგნით.

პოლიტიკის ახალი გაგება – მეთვრამეტე საუკუნის დოქტრინა, რის თანახმადაც პოლიტიკური სისტემა შეიძლება ისე მოეწყოს, რომ შეიქმნას კომპეტენტური მთავრობა, მაგრამ თავიდან იყოს აცილებული ძალაუფლების ზედმეტი ცენტრალიზაციიდან გამომდინარე ტირანია.

„პოლიტიკო“ – აშშ-ში ასე უწოდებენ კანონმდებელს, რომელიც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებში ამორჩეველთა ნებას მისდევს, მაგრამ საკუთარ მოსაზრებებს ეყრდნობა იმ სფეროებში,

რაც ნაკლებ აღელვებს ამომრჩევლებს ან სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ერის კეთიდღეობისთვის.

პოლიტიკური აპათია – პოლიტიკური მონაწილეობის მიმართ ინტერესის არქონა.

პოლიტიკური განვითარება – ხელისუფლების უნარი, ეფექტურად გამოიყენოს ძალაუფლება, წესრიგი და საზოგადოებრივი სამსახურების მუშაობა უზრუნველყოს, ამასთან თავიდან აიცილოს ცვლილებები ლიდერთა შორის.

პოლიტიკური პარტია – ინდივიდთა ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც ერთმანეთს ეთანხმება საჯარო პოლიტიკის ზოგიერთ ან ყველა საკითხზე და ორგანიზდება იმ მიზნით, რომ თავისი წევრების მეშვეობით ხელისუფლების კონტროლს მიაღწიოს.

პოლიტიკური რეალიზმი – ფილოსოფია, რომლის თანახმადაც ყველა პოლიტიკურ ურთიერთობაში საკვანძო ფაქტორი ძალაუფლებაა, ამიტომ საჭიროა მისი პრაგმატული და გამოზომილი გამოყენება ეროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. განხორციელებული პოლიტიკა ფასდება როგორც კარგი ან ცუდი იმის მიხედვით, თუ რამდენად სასიკეთოა ის ეროვნული ინტერესებისთვის და არა მისი მორალურობის ხარისხით.

პოლიტიკური სოციალიზაცია – პროცესი, რითაც საზოგადოების წევრები ითვისებენ მათი გარემოს ძირეულ ღირებულებებს და ემზადებიან სამოქალაქო მოვალეობათა შესასრულებლად.

პოლიტიკური ქმედების კომიტეტები – კონკრეტული კანდიდატების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წარმართული კამპანიებისთვის სახსრების მოსაზიდად შექმნილი ჯგუფები აშშ-ში.

პოლიტიკური ქმედუნარიანობა – პოლიტიკურ საქმიანობაში ქმედითი მონაწილეობის უნარი, რომელსაც ჩვეულებრივ საფუძვლად უდევს განათლება, სოციალური სტატუსი და საკუთარი თავის რწმენა.

პოლიტიკური შეღწევა – ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა გზების და ხიდების მშენებლობით, სატელეფონო ხაზების გაყვანით, რათა საბოლოო ჯამში უფრო ინტეგრირებული ეროვნული ეკონომიკა ჩამოყალიბდეს.

პოლიციური ძალაუფლება – სახელმწიფოთა უნარი, შეინარჩუნონ შიდა მშვიდობა და წესრიგი, უზრუნველყონ განათლება და ზოგადად დაცვან ადამიანების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

პრეფექტი – საფრანგეთში ასე ქვიათ მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ორგანოების ხელმძღვანელებს.

პროლეტარიატი – მუშათა კლასის სინონიმია მარქსისტულ თეორიაში.

პროლეტარიატის დიქტატურა – მარქსისტულ თეორიაში ეს არის მუშათა რევოლუციის უშუალოდ მომდევნო სტადია, რომლის დროსაც სახელმწიფოს კომუნისტური პარტია აკონტროლებს და მას კაპიტალისტური რეაქციისა თუ კონტრრევოლუციისგან იცავს; პროლეტარიატის დიქტატურას წმინდა კომუნიზმისა და უკლასო საზოგადოებისკენ მივყავართ.

პროპორციული სიების სისტემა – პროპორციული წარომადგენლობის მეთოდი, რომლის დროსაც პარტიები ქმნიან საკუთარი კანდიდატების რანჟირებულ

სიას და მის მიხედვით შეყავთ ისინი საკანონმდებლო ორგანოში.

ჟენევის კონვენცია – საერთაშორისო სამართლის კორპუსი, რომელიც ადგენს ომის დროს დაჭრილთა, ტყვეთა და ომის ზონაში მოხვედრილ სამოქალაქო პირთა მიმართ მოპყრობის წესებს.

რაჯია საბჰა – ინდოეთის ფედერალური პარლამენტის ზედა პალატა – შტატების არაპირდაპირ არჩეული საბჭო.

„რბილი ფული“ (*soft money*)- (აშშ-ში) ისეთი შეწირულობები პოლიტიკური პარტიების ეროვნული კომიტეტებისადმი, როდესაც პარტია არ არის ანგარიშვალდებული ფედერალური საარჩევნო კომისიის მიმართ იმ პირობით, რომ ფული კონკრეტული კანდიდატის საჭიროებისთვის არ იქნება გამოყენებული; ეროვნული კომიტეტები ასე მიღებულ თანხებს გადასცემენ პარტიულ ორგანიზაციებს შტატების დონეზე, რომელთაც ჩვეულებრივ ანგარიშვალდებულების ნაკლებ მკაცრი წესები აქვთ. კრიტიკოსები „რბილ ფულს“ უწოდებენ უზარმაზარ ხვრელს კანონმდებლობაში პარტიების დაფინანსების შესახებ და მას ლეგალიზებულ კორუფციას უთანაბრებენ.

რევოლუცია – საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების ძირფესვიანი შეცვლა, რასაც ხშირად თან ახლავს ძალადობა, კულტურული დაპირისპირება და სამოქალაქო ომი.

რევოლუციის უფლება – ჯონ ლოკის თეორია, რომლის თანახმადაც, თუ ხელისუფლება თავისი მოქმედებით სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების ძირეულ უფლებებს ლახავს, მოქალაქეებს უფლება აქვთ, აჯანყდნენ და შეცვალონ ის ახლით, რომელიც მართებულად შეასრულებს თავის ამოცანებს.

რევოლუციური კომუნიზმი – იდეოლოგია, რომლის თანახმადაც კაპიტალისტური სისტემა მუშათა კლასის ძალადობრივმა აჯანყებამ უნდა დაამხოს და საჯარო საკუთრებითა და სახელისუფლებო კონტროლზე დამყარებული ეკონომიკური სისტემით შეცვალოს.

რევოლუციური ომი – ამერიკის ომი დამოუკიდებლებისთვის (1975-83); იხ. *ამერიკის რევოლუცია.*

რეკტიფიკაცია – მაოისტურ ჩინეთში ასე ერქვა ყველა „კაპიტალისტურად“ მიჩნეული თვისების – მაგ., მატერიალიზმისა და ინდივიდუალიზმის, აღმოფხვრას.

რესპუბლიკა – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სუვერენიტეტის მატარებელია მოცემული ქვეყნის ხალხი და არა მისი მმართველები. რესპუბლიკების უდიდესი უმრავლესობა დღეს დემოკრატიული ანუ წარმომადგენლობითია, რაც ნიშნავს, რომ სუვერენულ ძალაუფლებას ახორციელებენ მოქალაქეთა მიერ არჩეული და მათ წინაშე პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

რეფერენდუმი – ხმის მიცემა, რითაც მოქალაქეებს შეუძლიათ პირდაპირ გააუქმონ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო – სასამართლო, რომელიც განიხილავს საჩივრებს საოლქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

საბოტაჟი – ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრის მცდელობა, ხშირად გარე ძალების დახმარებით.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები – საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრებიც კერძო პირები და ჯგუფები არიან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი – გაეროს მიერ შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც მრავალი ქვეყნის მთავრობა შედის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს გლობალურ თანამშრომლობას სავალუტო სფეროში, საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკონომიკურ სტაბილობას. ის ასევე ეხმარება საგადასახადო ბალანსის გათანაბრებას წევრი ქვეყნებისთვის საკუთარი ფონდიდან სესხების გაცემით.

საერთაშორისო სამართალი – ჩვეულებათა, ხელშეკრულებათა და საზოგადოდ მიღებულ წესთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ერების უფლებებსა და მოვალეობებს ერთმანეთთან ურთიერთობაში.

საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები – საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრებიც მთავრობები არიან.

საერთაშორისო ტერორიზმი – ტერორიზმის ფორმა, რომელშიც ერთი ქვეყანა სხვა ქვეყნის ხელისუფლებას უპირისპირდება. ხანდახან „სახელმწიფოს დასპონსორებულ ტერორიზმსაც“ უწოდებენ.

სავალდებულო იურისდიქცია – სამართლებრივი ვალდებულება, დაემორჩილო სასამართლოს გადაწყვეტილებას. მსოფლიო სასამართლოს არსებობის პირველი ოცი წლის მანძილზე ორმოცდაორი ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა მზაობა, ეღიარებინა მისი სავალდებულო იურისდიქცია.

საზოგადო სიკეთე – პოლიტიკური ერთობის წევრთა მიერ გაზიარებული შეხედულებები იმის თაობაზე, თუ რა მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლება: მაგალითად, მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების, კეთილდღეობის, თანასწორობის, თავისუფლების, სამართლიანობის მაქსიმალური დონე ყველა მოქალაქისთვის.

საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფები – ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც მათი აზრით მთელ საზოგადოებას წაადგება.

საზოგადოებრივი აზრი – მოქალაქეთა შეხედულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელისუფლებო თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებებზე და ქცევაზე.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა – მოქალაქეთა გამოკითხვა მათი შეხედულებების გასაგებად.

სალიამის ტაქტიკა – ამ მეთოდებით ვ. ი. ლენინი თიშავდა თავის ოპონენტებს მცირე ჯგუფებად, რომლთაც ერთმანეთს უპირისპირებდა და იოლად ამარცხებდა.

სამართლიანი ომი – თავდაცვითი ომი, ან ომი, რომელიც ერთადერთი საშუალებაა ქვეყნის მიერ დასახული მართებული მიზნის მისაღწევად.

სამართლიანობა – საზოგადოების შიგნით სიკეთეებისა და მოვალეობების განაწილება დამსახურების მიხედვით.

სამოქალაქო განათლება – პოტენციურ მოქალაქეებში იმ ძირეული ღირებულებებისა და შეხედულებების შთანერგვა, რომლებიც საფუძვლად უდევს მოცემულ წესრიგს.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა – კანონის არაძალადობრივი და ღია დარღვევა,

რისი მიზანიცაა იურიდიული, პოლიტიკური თუ სოციალური უსამართლობის წარმოჩენა.

სამოქალაქო ლიდერები – ინდივიდები, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ ხელისუფლებაზე რაიმე ოფიციალური თანამდებობის დაუკავებლად.

სამოქალაქო ომი – ომი ერის გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ ნაწილებს შორის.

საომარი დანაშაული – ომის დროს ჩადენილი დანაშაული, რომელიც სეროზულად არღვევს ომის ზოგადად აღიარებული წესებს.

საპარლამენტო სისტემა – დემოკრატიული მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ხელისუფლება კონცენტრირებულია საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც ირჩევს პრემიერ-მინისტრს და კაბინეტის წევრებს. მათ იმდენ ხანს შეუძლიათ თანამდებობაზე ყოფნა, რამდენ ხანსაც პარლამენტში უმრავლესობის მხარდაჭერა ექნებათ.

საპარლამენტო სუვერენიტეტი – დიდ ბრიტანეთში ასე უწოდებენ დაუწერელ კონსტიტუციურ პრინციპს, რისი ძალითაც ბრიტანეთის პარლამენტი უზენაესი საკანონმდებლო ორგანოა; პარლამენტის მიერ მიღებული კანონები არ ექვემდებარება სამართლებრივ გადასინჯვას და არც სამეფო ტახტს შეუძლია მათი გაუქმება.

საპრეზიდენტო სისტემა – მმართველობის დემოკრატიული ფორმა, რომელშიც უმაღლესი აღმასრულებელი თანამდებობის პირი საერთოსახალხო ხმის მიცემით აირჩევა ფიქსირებული ვადით, ხოლო მისი უფლებამოსილება მკაფიოდაა გამიჯნული ხელისუფლების სხვა შტოებისგან.

სასამართლო გადასინჯვა – სასამართლოს უფლება, ხელისუფლების აქტები არაკონსტიტუციურად, მაშასადამე ძალადაკარგულად გამოაცხადოს.

საფრანგეთის რევოლუცია (1789) – მან საფრანგეთში ბურბონების დინასტია დაამხო თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის (*liberté, egalité, fraternité*) სახელით, კონსერვატული, არისტოკრატული და როიალისტური ინსტიტუტებით მართულ ევროპაში ლიბერალიზმის ვირუსი შეიტანა და ნაპოლეონ ბონაპარტის მმართველობა მოამზადა; მან საფრანგეთის პირველ რესპუბლიკასა და ნაპოლეონის ომებს ჩაუყარა საფუძველი.

საშინაო იურისდიქცია – არსებითად სუვერენული სახელმწიფოს განმგებლობას მიკუთვნებული საქმეები.

საშინაო ტერორიზმი – ტერორიზმის ფორმა, რომელსაც ახორციელებენ ადამიანები ქვეყნის შიგნით რომელიმე მთავრობასთან კავშირის გარეშე.

სახელმწიფო – დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც გააჩნია მოცემული მოსახლეობის ლოიალობა, ახორციელებს მონოპოლიას ძალის ლეგიტიმურ გამოყენებაზე და აკონტროლებს ტერიტორიას, რაზეც მისი მოქალაქეები თუ ქვეშემრდომები ცხოვრობენ.

სახელმწიფოთაშორისი ომები – ომები სუვერენულ სახელმწიფოებს შორის.

სახელშელახულთა ბილი (*bill of attander*) – საპარლამენტო აქტი, რომელიც პიროვნებას დამნაშავედ ცნობს და სასჯელს უფარდებს სასამართლო პროცესის გარეშე.

სახელმწიფო გადატრიალება (coup d'état) – სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა ალტერნატული ჯგუფის (ხშირად სამხედროების) მიერ, ვისაც ძირითად სახელისუფლებო ინსტიტუტებზე კონტროლის მოპოვება სურს მმართველობის ფორმის ან საზოგადოების ძირფესვიანი შეცვლის გარეშე.

სახელმწიფო მოღვაწე – ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსი, ვისაც გააჩნია გამორჩეული პოლიტიკური უნარები და პრაქტიკული სიბრძნე, საზოგადო სიკეთეზე ზრუნავს და ადამიანებისთვის მნიშვნელოვან პოზიტიურ შედეგებსაც აღწევს.

სახელმწიფოს არმქონე ერები – ხალხები ან ერები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ან ფართო ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არ გააჩნიათ საკუთარი ავტონომიური, დამოუკიდებელი თუ სუვერენული მმართველობითი სტრუქტურა; ასეთი ხალხების მაგალითებია ქურთები, პალესტინელები, ტიბეტელები (იხ. *ერი).*

სახელმწიფოს მართვის ხელოვნება – სახელმწიფოს საქმეთა უნარიანი გაძღოლა.

სახელმწიფოს მშენებლობა – ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა, რომელთაც ხელეწიფება ქვეყნის შიგნით სახელისუფლებო ფუნქციების განხორციელება და რესურსების განაწილება.

სახელმწიფო ტერორიზმი – ძალადობრივი მეთოდები, რასაც სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურები იყენებენ საკუთარი ხალხის დასაშინებლად და დასაშოშმინებლად.

საჯარო სიკეთე – იხ. საზოგადო სიკეთე

სიონიზმი – მოძრაობა, რომლის თავდაპირველი მიზანი იყო ებრაელთა ეროვნული სახელმწიფოს – ისრაელის აღდგენა, დღეს კი მის მხარდასაჭერად იღწვის.

სოციალიზმი – ეს იდეოლოგია კოლექტიურ და სახელმწიფო საკუთრებას უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალურ და კერძო საკუთრებასთან შედარებით.

სტატუს კვოს სტრატეგია – სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკა მიზნად ისახავს, შეინარჩუნოს ძალთა არსებული ბალანსი კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმების, დიპლომატიისა და მოლაპარაკებების გამოყენებით, ასევე ესწრაფვის მის ლეგიტიმაციას საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისმეშვეობით.

სტრატეგიული გამოკითხვა – საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ამ ტიპს იყენებენ იმის გასარკვევად, თუ რა პოზიციები უნდა დაიკავოს კანდიდატმა და რა სახის პოლიტიკური რეკლამა შეუქმნის მას პოზიტიურ იმიჯს.

სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება II (*START II*) – შეერთებულ შტატებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულება სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვაზე.

სტრატიფიცირებული შერჩევა – საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ამ ნაირსახეობაში რესპონდენტები შეირჩევიან ასაკის, შემოსავლის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის და მსგავსი ნიშნების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ შერჩევა მთლიანად საზოგადოების სტრუქტურას შეესაბამებოდეს; განსხვავდება შემთხვევითი შერჩევისაგან.

სუვერენიტეტი – მთავრობის უნარი, რეალურად განახორციელოს უზენაესი ძალაუფლება სახელმწიფოში.

ტერორიზმი – პოლიტიკური აქტივობა, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად ეყრდობა ძალადობას ან ძალადობის მუქარას.

ტერორის მეფობა – ადამიანთა მასობრივი დასჯა საფრანგეთის რევოლუციის დროს მაქსიმილიან რობესპიერისა და მისივე საჯარო უსაფრთხოების კომიტეტის ბრძანებით. ასე უსწორდებოდნენ ადამიანებს, ვისი შეხედულებებიც რევოლუციონერთა უტოპიური იდეალებისგან განსხვავდებოდა.

ტიანანმენის მოედნის ჟლეტა – 1989 წელს მოსამსახურეებმა და სტუდენტებმა პეკინში, ტიანანმენის მოედანზე, გამართეს მიტინგი დემოკრატიული თავისუფლებისა და მმართველობის სისტემის რეფორმის მოთხოვნებით. ჯარმა ძალადობრივად ჩაახშო საპროტესტო აქცია, რის შედეგადაც დაიხოცა 1500 და დაშავდა ათი ათასამდე ადამიანი.

ტოტალიტარიზმი – პოლიტიკური სისტემა, რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ეკონომიკასა და ხელისუფლებას მკაცრად აკონტროლებს მმართველი ელიტა.

ტრადიციონალისტები – თეორეტიკოსები, რომელთა მიერ პოლიტიკის შესწავლა ფუნდამენტურ და „მარადიულ“ პრობლემებში ჩაღრმავებას ემყარება.

ტრადიციული საზოგადოებები – ასეთი საზოგადოებები წარსულზე არიან ორიენტირებულნი და წინააღმდეგობას უწევენ ცვლილებებს. მათი გავრცელებული ნიშნებია სიღარიბე, ეკონომიკის ძირითადად აგრარული ხასიათი, წერა-კითხვის დაბალი დონე და მაღალი შობადობა.

ტრანსნაციონალური ტერორიზმი – ასეთ რამესთან გვაქვს საქმე, როცა სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ტერორისტული ჯგუფები ერთმანეთთან თანამშრომლობენ ან მოცემული ტერორისტული ჯგუფის საქმიანობა სახელმწიფო საზღვრებს კვეთს.

ტრუმენის დოქტრინა – აშშ პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დაპირება, რომ მისი ქვეყანა დაეხმარება ყველა თავისუფალ ქვეყანას, რომელსაც შეიარაღებული უმცირესობის მიერ განხორციელებული რევოლუცია ან გარე აგრესია დაემუქრება.

ტუტელაჟი – ყველა ადგილობრივად მიღებულ გადაწყვეტილებაზე ცენტრალიზებული ბიუროკრატიული კონტროლის სისტემა, რომელიც გამოიყენება მმართველობის უნიტარულ სისტემებში (მაგალითად, საფრანგეთში).

უბრალო უმრავლესობა – ამომრჩეველთა ყველაზე დიდი ნაწილი.

უზენაესი სასამართლო (აშშ-ში) – უმაღლესი დონის ფედერალური სასამართლო, რომელიც წყვეტს სამართლის ინტერპრეტაციასთან თუ საკონსტიტუციო პრინციპებთან დაკავშირებულ განსაკუთრებით რთულ საკითხებს.

ულტრანაციონალიზმი – უკიდურესი ნაციონალიზმი, რომელსაც ხშირად ფაშიზმს ადარებენ; აგრესიული მემარჯვენე ორიენტაცია, რომელსაც ჩვეულებრივ ახასიათებს მილიტარიზმი, რასიზმი და ქსენოფობია.

უმრავლესობის მმართველობა – პრინციპი, რომლის თანახმადაც უპირატესობა ენიჭება კანდიდატს ან პროგრამას, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების ნახევარს პლუს ერთ ხმას მაინც.

უმრავლესობის ტირანია – პოლიტიკური სიტუაცია, რომელშიც დომინანტური ჯგუფი ხელისუფლების კონტროლს იყენებს უმცირესობის ჯგუფების დასაჩაგრად.

უნდობლობის ვოტუმი – საპარლამენტო დემოკრატიებში ასე ჰქვია კენჭისყრას პარლამენტში, რომელიც მთავრობამ აუცილებლად უნდა მოიგოს, რათა ხელისუფლებაში დარჩეს.

უნიტარული სისტემა – სისტემა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უფლებათა დელეგირება ცენტრალური მთავრობის ნებაზეა დამოკიდებული.

უპირობო კაპიტულაცია – არჩევანი, რომელსაც მეომარი მხარე დამარცხების პირას მისულ მოწინააღმდეგეს აძლევს: ან დაუყონებლივ დანებდი (რითაც გამარჯვებულის კეთილ ნებაზე მთლიანად დამოკიდებული დარჩები), ან ბოლომდე განადგურდი.

ურთიერთდამოკიდებულება – პოლიტიკური მოძღვრება, რომლის თანახმადაც არც ერთ ერს არ შეუძლია სრული იზოლაცია სხვა ერების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ქმედებებისგან, და რომ ამის გამო იქმნება ეროვნულ ინტერესებზე მაღლა მდგომი საერთაშორისო ორგანიზაციების მზარდი ქსელი.

ურთიერთშეკავება – ამ თეორიის თანახმად აგრესიული ომები თავიდან შეიძლება ავიცილოთ, თუ თავდასხმის პოტენციურ ობიექტს საკმარისი სამხედრო ძალა ექნება საიმისოდ, რომ ნებისმიერი შესაძლო აგრესორი სათანადოდ დასაჯოს.

უტოპია – სრულყოფილი პოლიტიკური და სოციალური სისტემის წარმოსახვა.

უტოპისტი სოციალისტები – ადამიანები, ვისაც სწამდა, რომ შესაძლებელია ქონების წარმატებული ერთობლივი მართვა, რითაც გადაიჭრება ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემები.

უფლებათა პეტიცია – ინგლისის პარლამენტის მიერ 1628 წელს გამოცემული აქტი, რომელმაც დააწესა მართებული სამართლებრივი პროცესი და შეზღუდა მეფის მიერ გადასახადების დაწესების უფლება.

უჯრედები – მცირე, მჭიდროდ დაკავშირებული ქვედა დონის ორგანიზაციული ერთეულები ვ. ი. ლენინის ბოლშევიკურ პარტიაში.

ფაშიზმი – ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა, რომელსაც სათავეში უდგას პოპულარული ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერი და რომელშიც ერთადერთი პოლიტიკური პარტიისა და კარგად მართული ძალადობის მეშვეობით სრული პოლიტიკური და სოციალური კონტროლი ხორციელდება. ფაშიზმი იმით განსხვავდება კომუნიზმისგან, რომ თუმცა ეკონომიკურ სტრუქტურას სახელმწიფო აკონტროლებს, ის კერძო მესაკუთრეთა ხელშია.

ფედერალიზმი – შეზღუდული მმართველობის სისტემა, რომელიც ემყარება ძალაუფლების განაწილებას ცენტრალურ ხელისუფლებასა და უფრო მცირე რეგიონულ ერთეულებს შორის.

ფედერალური ასამბლეა – რუსეთის ეროვნული საკანონმდებლო ორგანო, ორპალატიანი პარლამენტი, შექმნილი 1993 წლის კონსტიტუციით. მასში შედის ქვედა (სახელმწიფო დუმა) და ზედა (ფედერაციის საბჭო) პალატები.

ფედერალური ერთეული („შტატი“, „მიწა“ – და ა. შ.) – ძირითადი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული ფედერალურ სისტემაში. ის

სუვერენული არ არის და ჩვეულებრივ დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე ისეთ საკითხებში, როგორიცაა რესურსების (საგადასახადო ტრანსფერების და გრანტების) გამოყოფა, თავდაცვა (სამხედრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციებში დახმარება), აგრეთვე სხვა ფედერალურ ერთეულებთან და უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობა.

ფედერაციის საბჭო – რუსეთის ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს, ფედერალური ასამბლეის ზედა პალატა, შექმნილი 1993 წლის კონსტიტუციით. მასში შედის 89 ტერიტორიული ერთეულიდან არჩეული 178 წარმომადგნელი (თითო ერთეულიდან ორ-ორი).

ფილოსოფოსი მეფეები – ბრძენი ფილოსოფოსები, რომლებიც პლატონის „სახელმწიფოში“ აღწერილ იდეალურ ქალაქში მმართველებად გვევლინებიან.

ფოკუს-ჯგუფები – ადამიანთა მცირე ჯგუფები, რომლებიც კომუნიკაციების ექსპერტის ხელმძღვანელობით განიხილავენ კონკრეტულ საკითხებს.

ფუნქციონალიზმი/ფუნქციონალისტები – ამ პოლიტიკური მოძღვრების თანახმად, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების თანდათანობითი გადაცემა საერთაშორისო თანამშრომლობითი ორგანიზაციებისთვის (როგორიცაა გაეროს სპეციალიზებული სააგენტოები – მაგალითად, იუნესკო), საბოლოოდ საერთაშორისო დონეზე გადაანაცვლებს რეალურ ძალაუფლებას და აქ მოახდენს პოლიტიკური ქმედების ინტეგრაციას.

ქარიზმატული ლიდერი – პოლიტიკური ლიდერი, რომლის ლეგიტიმურობა მოსახლეობის მხრიდან თაყვანისცემას ემყარება. ასეთი თაყვანისცემის საფუძველი შეიძლება იყოს წარსული საგმირო საქმეები (რეალური ან წარმოსახვითი), პიროვნული ორატორული ნიჭი თუ პოლიტიკური ნაწერები.

ქაშმირი – ინდოეთსა და პაკისტანს შორის სადავო ტერიტორია. ქაშმირის უდიდეს ნაწილზე კონტროლს ინდუისტური უმრავლესობის მქონე ინდოეთი ახორციელებს, მაგრამ თვით ამ პროვინციის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანია, ანუ პაკისტანის ოფიციალურ რელიგიას მისდევს. 1947 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ინდოეთმა და პაკისტანმა სამჯერ იომეს ქაშმირის გამო, 2000-2001 წლებში კი დაძაბულობამ კვლავ იმატა. ინდოეთსაც და პაკისტანსაც არსენალში ბირთვული იარაღი აქვს.

ქვეყანა – როგორც პოლიტიკური ტერმინი, ის დაახლოებით შეესაბამება სახელმწიფოს და შეიძლება „ერის“ და „ერი-სახელმწიფოს“ სინონიმად იყოს გამოყენებული. სიტყვა „ქვეყანა“ შეიძლება გამოყენებულ იქნას მის მიმართ სიყვარულის გამოსახატავადაც (მაგალითად, პატრიოტულ ლექსებსა და სიმღერებში), რადგან „სახელმწიფოსგან“ განსხვავებით მას ემოციური ელფერიც აქვს.

ქნესეთი – ისრაელის ერთპალატიანი პარლამენტი.

შეზღუდული ომი – ტოტალური ომის (მაგალითად, ტოტალური ბირთვული ომის) საპირისპირო ცნება.

შეზღუდული ხელისუფლება – კონცეფცია, რომლის თანახმადაც ხელისუფლება ვერ

გადადგამს ნაბიჯს, რაც გინდა ბევრმა ადამიანმა მოისურვოს ეს, რომელიც წინააღმდეგობაში შევა კონსტიტუციურ პრინციპებთან – მაგალითად, სამართალთან.

შეიარაღებაში შეჯიბრი – მოქიპშე სახელმწიფოების მიერ ურთირთსაწინააღმდეგოდ მიმართული იარაღის მომარაგება; ეს პროცესი ხელს უწყობს შეიარაღების სისტემების დარგში კვლევის და ტექნოლოგიების განვითარებას, ზოგი ექსპერტის აზრით კი ომის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

შეკავება – შეერთებული შტატების პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგეგ, რომელიც გლობალური სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე იყო მიმართული. ტერმინი უკავშირდება შეერთებული შტატების მცდელობას, შეეკავებინა საბჭოთა კავშირი, რათა მას ვერ შეძლებოდა შემდგომ გაეფართოვებინა თავისი კონტროლის სფერო ისე, როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპაში გააკეთა. ამ პოლიტიკიდან ამოიზარდა ნატო, მარშალის გეგმა, კორეისა და ვიეტნამის ომები.

შეკავება და გაწონასწორება – საკონსტიტუციო საშუალებები, რომლებიც საშუალებას აძლევს სახელისუფლებო შტოებს, წინ აღუდგნენ ძალაუფლების უკანონო გადამეტებას სხვა შტოების მიერ.

შეკითხვების საათი – დიდ ბრიტანეთში ასე ჰქვია ყოველი კვირის ორშაბათიდან ხუთშაბათამდე საგანგებოდ გამოყოფილ დროს, როდესაც მისი უდიდებულესობის ლოიალური ოპოზიცია (ხელისუფლებაში არმყოფი პარტია) ახდენს მთავრობის (ხელისუფლებაში მყოფი პარტიის) ქმედებათა და გადაწყვეტილებათა კრიტიკას და გამოკვლევას; ყოველი კვირის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი ორჯერ არის მოვალე, უპასუხოს მწვავე შეკითხვებს ოპოზიციის მხრიდან.

შემთხვევითი ომი – ბირთვული შეტევა წინასწარი განზრახვის გარეშე შეცდომის ან არასწორი გათვლის გამო (თანამედროვე ეპოქაში).

შემთხვევითი შერჩევა – გამოკითხვის მეთოდი, როდესაც ადამიანები (რესპონდენტები) შემთხვევითი წესით შეირჩევიან მოსახლეობის საერთო მასიდან (იხ. აგრეთვე *სტრატიფიცირებული შერჩევა*).

შერეული ეკონომიკა – ეკონომიკური სისტემა, რომელიც ახამებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მფლობელობაში მყოფ საწარმოებს.

შერეული რეჟიმი – სახელმწიფო, რომელშიც ძალაუფლების სხვადასხა შტო სხვადასხვა სოციალურ კლასს წამოადგენს.

შტატი – იხ. „ფედერალური ერთეული“

„ჩალის გამოკითხვები“ – არამეცნიერული კვლევები; საზოგადოებრივი აზრის მარტივი, იაფი გამოკითხვები, რომლებიც ხშირად მანიპულაციის და ბოროტად გამოყენების საგნად იქცევა.

ჩვეულებრივი პოლიტიკოსები – ინდივიდები, ვისი პრიორიტეტიც არჩევნების (ხელახლა) მოგებაა.

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (*NAFTA*) – 1994 წელს შეერთებული შტატების, მექსიკისა და კანადის მიერ დადებული ხელშეკრულება, რითაც სამი ერი შეთანხმდა ერთმანეთთან ვაჭრობა თავისუფალ რეჟიმში ან შემცირებული ტარიფებით ეწარმოებინა.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია – იხ. *ნატო*.

ცენტრალური კომიტეტი – ჯგუფი, რომელიც მართავდა საბჭოთა კომუნისტურ პარტიას მის ყრილობათა შორის. მის წევრებს პარტიის ლიდერები არჩევდნენ.

ცივი ომი – დაძაბულობის მაღალი დონე შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომლის დროსაც გავლენის გასაძლიერებლად მხარეები იყენებდნენ დიპლომატიურ მანევრებს, ურთიერთმტრულ პროპაგანდას, ეკონომიკურ სანქციებსა და სამხედრო ძლიერების ზრდას.

ცხელი ხაზი – ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის კომუნიკაციის დაცული პირდაპირი ხაზი, რომელიც 1963 წელს, ცივი ომის პიკში შეიქმნა გაუფრთხილებლობით გამოწვეული ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ძალაუფლება – ადამიანთა და ინსტიტუტთა ქცევაზე გავლენის მოხდენის ან მისი კონტროლის უნარი როგორც დარწმუნების, ისე იძულების მეშვეობით.

ძალაუფლების დანაწილება – ხელისუფლების ორგანიზება ერთმანეთისგან გამოყოფილი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების მიხედვით; თითოეულ შტოს ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი წესი, აგრეთვე განსხვავებული კომპეტენცია და მოვალეობები აქვს.

ძალაუფლებათა შერწყმა (*fusion of powers*) – ყოველგვარი მმართველობითი ძალაუფლების შერწყმა საკანონმდებლო ორგანოში, რაც საპარლამენტო სისტემისთვისაა დამახასიათებელი.

ძალთა წონასწორობის (ბალანსის) სისტემა – საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიის ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმადაც დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე ქვეყნები ცდილობენ არსებული ვითარების შენარჩუნებას იმით, რომ საშუალებას არ აძლევენ ნებისმიერ სახელმწიფოს, სხვებზე უპირატესობა მოიპოვოს. ძალთა ბალანსის სისტემაში მონაწილე ერები ალიანსებს ქმნიან და შეზღუდულ ომებში იბრძვიან, ხოლო ერთი ქვეყანა წონასწორობის დამცველის როლს თამაშობს იმით, რომ რიგრიგობით უჭერს მხარს მოქიშპე ბლოკებს ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად.

ძირითადი კანონი – 1949 წლის დასავლეთ გერმანიის კონსტიტუცია.

ჭეშმარიტი მორწმუნე – ადამიანი, რომელიც თავიდან ბოლომდე ერთგულია რევოლუციური მოძრაობისა და ფანატიზმის ნიშნებს ავლენს იდეის მხარდაჭერასა და მისთვის თავგანწირვაში.

წარმომადგენლობითი დემოკრატია – სამოქალაქო მონაწილეობის ფორმა, რისი მეშვეობითაც მოქალაქეები ირჩევენ თავის წარმომადგენლებს ხელისუფლებაში.

წარმომადგენლობის დელეგაციური თეორია – მოსაზრება, რომლის თანახმადაც არჩეული თანამდებობის პირები თავისი საარჩევნო ოლქის შეხედულებებს უნდა ასახავდნენ.

წარმომადგენლობის მეურვეობითი თეორია – მოსაზრება, რომლის თანახმადაც არჩეული თანამდებობის პირები უნდა იქცეოდნენ როგორც ლიდერები, რომლებიც თავისი ამომრჩევლების ინტერესებში კომპეტენტურ არჩევანს აკეთებენ.

წმენდა – ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ყველა მეტოქის თავიდან მოცილება მასობრივი დაპატიმრებების, ციხეში ჩასმის, ქვეყნიდან გაძევების და მკვლელობების გზით. ხშირად მიმართულია ყოფილი თანამზრახველების და მათი მომხრეების წინააღმდეგ, რომელთაც საკმარისი გავლენა აქვთ (რეალურად ან ხელისუფლების აზრით), რათა საფრთხე შეუქმნან გაბატონებულ ელიტას.

წონასწორობის დამცველი – ქვეყანა ძალთა წონასწორობის სისტემაში, რომელიც კონფლიქტების დროს არბიტრის ფუნქციას ასრულებს და მორიგეობით ემხრობა სხვადასხვა მხარეს პოლიტიკური ბალანსის შესანარჩუნებლად.

ხუნტა – მმართველი ოლიგარქია, ჩვეულებრივ სამხედრო ოფიცრებისგან შემდგარი.

ჰააგის კონვენცია – ფართოდ გაზიარებული წესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს როგორც მეომარი, ისე ნეიტრალური მხარეების ქმედებებს სახმელეთო ომების დროს, მათ მიერ ახალი იარაღის გამოყენებას და სხვა უფლებებსა და მოვალეობებს.

ჰაბეას კორპუსი (*habeas corpus act*) – 1679 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული აქტი, რომელმაც გააძლიერა ინგლისის მოქალაქეთა უფლება, დაცული ყოფილიყვნენ კანონის მიერ.

ინდექსი

„ადამიანის უფლებები“ (პეინი), 500
„აჩილე ლაუროს“ გატაცება 528, 535
„გააზრებანი საფრანგეთის რევოლუციაზე“ (ბერკი), 499
„გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“ (მალთუსი), 566
„დემოკრატია ამერიკაში“ (დე ტოკვილი), 70, 357, 454, 480
„დემოკრატიზაცია“, 228, 230, 678
„იმპერიალიზმი: კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური“ (ლენინი), 564
„კანონთა გონი“ (მონტესკიე), 436
„კაპიტალი“ (მარქსი), 56, 145
„კომუნისტური მანიფესტი“ (მარქსი და ენგელსი), 429, 504
„მამაცი ახალი სამყარო“ (ჰაქსლი), 62
„მასების ამბოხი“ (გასეტი), 508
„მთავარი“ (მაკიაველი), 107
„მორალის შესავალი“ (ლიპმანი), 394
„პოლიტიკა“ (არისტოტელე), 106
„პოლიტიკო“, 412-413, 691
„სადნობი ქვაბი“ 23
„საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (რუსო), 559
„სახელმძღვანელო ურბანული პარტიზანული ომებისათვის“ (მარიგელა), 525
„უტოპია“ (მორი), 48
„შეკითხვების საათი“, 210, 700
„ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების კვლევა“ (სმითი), 436
„ხედვა უკან“ (ბელამი), 49
„ხელისუფლებისადმი მიძღვნილი მეორე ტრაქტატი“ (ლოკი), 501

აბაჩა, სანი 98, 105
აბორტი, 473
ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, 495, 673
ადამიანის ღირსება, 68
ადამიანური ბუნება
  განსაზღვრება, 673
  ომი, 556
  უტოპიები და, 60
ადამსი, ჯონ 366, 396
ადერი, დუგლას 396
ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია 81, 673
ავგუსტინე, 556, 577
ავსტრალია
  ამომრჩეველთა რაოდენობა, 354
  აღიარება, 78
  მოსახლეობის რუკა, 290-291
  პირდაპირი დემოკრატია, 350-353
  პირველი სამყაროს განსაზღვრება, 268
  შედარებითი პოლიტიკა, 36
  ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტი, 269
ავსტრია
  ამომრჩეველთა რაოდენობა, 354
  ევროკავშირი, 644
  ერი-სახელმწიფოები, 23
  საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები, 639
  საპარლამენტო დემოკრატია, 170
ავტობუსების საქმე, 464
ავტორიტარიზმი, 97, 115
  ავტოკრატია, 98, 673
  თანამედროვე ფენომენი, 106-107
  ინტერესთა ჯგუფები, 384-385
  ლეგიტიმურობა, 108-109, 684
  ნაკლოვანებები, 98-101
  ნიგერია და, 103-106
  ნიშნები, 102-103,
  ოლიგარქია, 98, 689
  პოლიტიკური მონაწილეობა, 364-365
  პოლიტიკა, 103
  პოპულარობა, 110
  საზოგადოებრივი ინტერესის უგულებელყოფა, 111-113
  სახელმწიფო გადატრიალება 102 , 696
  ტირანული, 108
  ქარიზმატული ლიდერი, 109, 700
  ღირსებები, 97, 98
  ხუნტა, 97
ავტორიტეტი, 24-25, 673
ავღანეთი, 268, 304 იხ. ასევე ალ ქაიდა; ოსამა ბინ ლადენი
  განვითარება, 268, 287
  გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის უზრუნველყოფა, 650
  თალიბების მმართველობა, 121, 300, 518
  ომი, 572
  ტერორიზმი, 448, 518
  შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და, 607
აზერბაიჯანი
  კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
  რუკა, 225
  რუსეთის ინტერვენცია, 239
აზია, იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 115
  აზიური გრიპი, 259, 679
  არაასოციაციური ინტერესთა ჯგუფები, 375
  ახლად ინდუსტრიული ქვეყნები, 258
  განვითარებადი ქვეყნები, 269, 280-281, 289, 292
  დაქვემდებარების თეორია, 33

ეკონომიკური ტრანზიცია, 285, 258, 264
კოლონიალიზმი, 271-273
მეორე სამყაროს განსაზღვრება, 269
მოსახლეობის რუკა, 290-291
პოლიტიკური ეკონომიის პერსპექტივა, 32
ტერორიზმი, 524
ძალაუფლება, 25
აზია-წყნარი ზღვის აუზის თანამშრომლობის ფორუმი, 636
აიხმანი, ადოლფი, 40-41
ალ-ასადი ჰაფეზი, 98-99
ალბანეთი და კომუნიზმის კრახი, 223
ალექსანდრე რობერტ უმცროსი, 398
ალისას თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში (კეროლი), 422
ალმონდი, გაბრიელი, 375
ალჟირი
ბირთვული იარღის გავრცელება, 622
კოლონიალიზმი, 272
ომი, 571
ტერორიზმი, 529, 532, 534, 538
ალ ქაიდა, 120, 300, 518, 526, 528, 581, 607, 609, 626
ამბროსი, 578
ამერიკული კონსერვატიზმი, 434, 673
ამერიკის მმართველობა, შესწავლა 35
ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, 541
ამერიკული ლიბერალიზმი, 434, 673
ამერიკული რევოლუცია, 68, 86, 489, 490, 673
გამართლება, 491
ევროპის კონსენსუსი და, 594
ისტორიული მნიშვნელობა, 490
პეინეს შეხედულება სასურველობის შესახებ, 500
რევოლუციური ომი, 490, 693
საფრანგეთის რევოლუციასთან შედარება, 493, 498
სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, 492
შერბილება, 492
ამინ, იდი, 98
ანანი, კოფი, 699
ანარქიზმი, 423, 673
ანგოლა
განვითარება, 270, 273, 176, 287
კოლონიალიზმი, 273
UNITA, 607
ანომიკური ინტერესთა ჯგუფები, 375
ანრი, ემილი, 534
ანტარქტიდის შეთანხმება, 661, 673
ანტისამთავრობო იდეოლოგია, 423
ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი, 520, 674
აპათია, პოლიტიკური, 358, 692
აპარატჩიკები, 228
აქვინელი, თომას, 436
არაასოციაციური ინტერესთა ჯგუფი, 375
არაბეთის გაერთიანებული საამიროები
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
განვითარება, 270
არაკონვენციური მონაწილეობა, 337, 674
არალეგალური მონაწილეობა, 338
არასახელმწიფო აქტორები, 637-644, 674
არაფატი, იასირ, 402, 604
არაძალადობრივი წინააღმდეგობა, 272, 674
არჩევნები, 336, 345-347, 350-358 იხ. ასევე ხმის მიცემა
არენდტი, ჰანა, 40, 131, 568
არგენტინა
ავტორიტარული სახელმწიფო, 115
განვითარება, 280, 281
პოლიტიკური ტრანზიცია, 261
საბაჟო კავშირი, 642
ფოლკლენდის ომი, 163, 262, 572
ფაშიზმი, 425
არისტოტელე, 27, 35, 75, 86, 106, 108, 161, 312, 425, 436, 503, 552
ასი ყვავილის კამპანია, 146, 674
ასკრიპტიული საზოგადოება, 286, 674
ასოციაციის ტიპის ინტერესთა ჯგუფი, 375
აუმ სინრიკიოს სექტის მიერ ცრემლსადენი გაზით თავდასხმა, 477
აფრიკა, იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, 639
განვითარებადი ქვეყნები, 268, 289
დამოკიდებულების თეორია, 33
კოლონიალიზმი, 272-273
მოსახლეობის გეგმა, 290, 291
ტერორიზმი, 524
ცივილიზაციათა შეჯახება, 626
აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, 639
აფროამერიკელები, 78, 415
აღმოსავლეთ ევროპა
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97, 112
განვითარებადი ქვეყნები, 280-281
გერმანული ინვესტიციები და, 192
ევროკავშირი და, 644
ვარშავის ხელშეკრულება, 597, 616, 643, 681
კომუნიზმის კრახი, 26, 119, 223, 243-247, 431, 489
მეორე სამყაროს განსაზღვრება, 269
საპარლამენტო დემოკრატია, 170
ცივი ომი, იხ. ცივი ომი
აღმოსავლეთ გერმანია, 184, 191, 224, 233
აღმოსავლეთ პაკისტანი, იხ. ბანგლადეში

აღმოსავლეთ ტიმორი
  და გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის უზრუნველყოფა, 653
აღმასრულებელი ხელისუფლება
  გერმანია, 187
  დიდი ბრიტანეთი, 166-167, 213
  საფრანგეთი, 173-175, 179
  შეერთებული შტატები, 212-213
ახალი ატლანტიდა (ბეკონი), იხ. ბეკონის „ახალი ატლანტიდა“
ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (NICs)
  აზია, 258
  ახალი კურსი, 79
  განსაზღვრება, 674
  შედარებითი პოლიტიკა, 37
ახალი ზელანდია
  პირველი სამყაროს განსაზღვრება, 268
  ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტი, 269
ახალი ფედერალიზმი, 79
ახლო აღმოსავლეთი, იხ. ასევე სპარსეთის ყურე; სპეციფიკური ქვეყნები
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 97, 115
  გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის უზრუნველყოფა, 650
  განვითარებადი ქვეყნები, 271
  სახელმწიფოს არმქონე ერები, 24
  ცივილიზაციათა შეჯახება, 625
  ძალაუფლება, 25
აჯანყებისკენ წაქეზება, 339

ბაბანგიდა, იბრაჰიმი, 105
ბაბეფი, ფრანსუა-ნოელ, 428
ბაკის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, 466
ბაკუნინი, მიხეილი, 424
ბალადური, ედუარდი, 179
ბალტიისპირეთის ქვეყნები. იხ. განსაკუთრებული ქვეყნები
ბალფურის დეკლარაცია, 206, 674
ბანგლადეში, 271, 274, 287
ბარბადოსი, 270
ბარე, სიად, 294
ბარისტერები, 214
ბასტილია, 495, 674
ბახრეინი
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
  განვითარება 270
ბედისწერა, 601
ბეკონის „ახალი ატლანტიდა“, 48, 53
  გზა უტოპიისაკენ, 59
  სამომვალო გეგმა, 55
  სტაბილურობა და მეცნიერება, 53-54
  უტოპიით შთაგონება, 59
  უტოპიის პრაქტიკულობა, 60
ბელამი, ედუარდი, 49
ბელგია
  ამომრჩეველთა რაოდენობა, 354
  ევროკავშირი, 644
  ერი-სახელმწიფოები, 23
  კოლონიალიზმი, 272-273
  პროპორციული წარმომადგენლობა, 348, 349
  საპარლამენტო დემოკრატია, 170
  ტერორიზმი, 541
ბელორუსია
  ბირთვული იარაღის გავრცელება, 622
  ბირთვული იარაღი, 235
  კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
  რუკა, 225
ბენინი, 280
ბეტანკური, რომულო, 396-398
ბილბო, თეოდორი, 406
Bill of attainder, 74, 696
ბიოლოგიური იარაღის კონვენცია, 661
ბიპოლარული სისტემა, 595-599, 675
ბირთვული იარაღის გავრცელება, 621-623
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმება 661, 675
ბირთვული მონოპოლია, 576, 675
ბირთვული ომი, 597-600
ბისმარკი, ოტო ვონ, 183
ბიუჯეტის დეფიციტი, 456-458, 675
ბიუკენენი, პატი, 427
ბიჰევიორალისტები, 29-31, 675
ბიჰევიორალისტური ინჟინერია, 675
ბიჰევიორალისტური ფსიქოლოგია, 675
ბლანი, ლუი, 428
ბლეკსტოუნი, 214
ბლერი, ტონი, 163, 167, 169, 432, 541
ბოკასა I, 98
ბოლივია
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
  განვითარება, 282
  საბაჟო კავშირი, 642
ბონაპარტე, ნაპოლეონი, 110, 497, 574, 593 594
ბოსნია
  გაერო და, 298, 653
  ომი, 580
  ცივილიზაციათა შეჯახება, 626
ბოშები, 39
ბოცვანა, 281
ბრაზილია
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
  ბირთვული იარღის გავრცელება, 622
  განვითარება, 270, 280
  გლობალური დათბობა და, 665
  დაქვემდებარების თეორია, 33
  პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 33
  პოლიტიკური ტრანზიცია, 261-262
  საკონსტიტუციო დემოკრატია, 68
  საბაჟო კავშირი, 642
  ტერორიზმი, 543
  უმრავლესობის მმართველობა, 92
  ფედერალიზმი, 79
  ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტი, 269
  ძალაუფლების დანაწილება, 91
  ხმის მიცემა, 336

ბრაუნი ტოპეკის განათლების საბჭოს წინააღმდეგ, 464
ბრაუნი, ჯონი, 537
ბრახერი, კარლ დიტრიხი, 142
ბრეიდის კანონი, 451, 675
ბრიტანეთის თანამეგობრობა, 642, 675
ბრიტანეთის რაჯი, 205, 675
ბრჟეზინსკი, ზბიგნივე, 138
ბულგარეთი
ევროკავშირი და, 644
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
კომუნიზმის კრახი, 184, 223, 233
ბუმერანგის ეფექტი 608-610
ბუნდესრატი, 188, 676
ბუნდესტაგი, 188, 349, 676
ბუნებრივი რესუსრსების სიმწირე, 566-567
ბურკე, ედმუნდი, 411, 498-499, 509
ბურკინა ფასო, 271
ბურჟუაზია, 429, 676
ბურუნდი
განვითარება, 271
კოლონიალიზმი, 273
ბუში, ჯორჯ ჰ. ვ., 294
ბუში, ჯორჯი ვ., 217, 354, 372, 391, 476, 539, 580, 607, 665

გაბონი, 280, 281
გადასახდი, 457-458
გერმანია, 185
დიდი ბრიტანეთი, 180
გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEFF), 294, 647
გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNICTAD), 647
გაერთიანებული ერები, 639, 644, 669
ბოსნია, 298
დაარსება, 646-648
ერთა ლიგა, 645-646
ერთიანობა, 657
იდეალიზმი, 612
ისრაელი, 207
ისტორია, 645-646
კამბოჯა, 224
კოლექტიური უსაფრთხოება, 645, 683
კომპეტენცია, 657
კოსოვო, 298
მშვიდობა, 669-670
ნეოიზოლაციონისტები, 610
საშინაო იურისდიქცია, 648, 695
სამხედრო მოქმედება, 655-658
სამშვიდობო მისიები, 650-654
სუვერენიტეტი, 657, 696
ტერორიზმი, 541
უთანასწორობა, 656
უნივერსალურობა, 656
ცივი ომი, 648
ცივი ომის შემდგომი პერიოდი, 650-654
გაერთიანებული სამეფო. იხ. დიდი ბრიტანეთი
გამბია, 281
გამოკითხვები, 340-345
განათლება
სამოქალაქო განათლება, 320, 695
განდი, ინდირა, 206, 284, 525
განდი, მაჰათმა, 272, 339, 404
განდი, რაჯივ, 284, 525
განვითარებადი ქვეყნები, 268, 304 იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
ასკრიპტიული საზოგადოება, 286, 674
კლასიფიკაცია, 268-269
კოლონიალიზმის მემკვიდრეობა, 271-273
განვითარების თეორია, 301-302
განვითარების მოტივები, 281-282
განვითარების საზოგადოებრივი ბარიერები, 282-283
განვითარების ფსიქოლოგიური ბარიერები, 285-286
განსაზღვრება, 676
გლასტნოსტის პირველადობის მოდელი, 279, 677
დემოკრატია და, 276-281
დემოკრატიის კორელატები, 276-277, 678
დაქვემდებარების თეორია, 677
ეკონომიკური განვითარების წინაღობები, 287-292
ეკონომიკური კორელატები, 277
ერის მშენებლობა, 274, 680
ისტორიული ანუ გარემოებითი კორელატები, 278
მარცხი განვითარებაში, 292-293
მეორე სამყარო, 269, 686
მეპ-ი ერთ სულ მოსახლეზე, 288
მესამე სამყარო, 269, 686
მზარდი მოლოდინების რევოლუცია, 282, 686
მოზაიკური საზოგადოებები, 285, 687
მონაწილეობა, 274
მოსახლეობის რუკა, 290-291
მწვანე რევოლუცია, 289, 688
პატრონ-კლიენტური ურთიერთობა, 275, 690
პერესტროიკის პირველადობის მოდელი, 279, 691
პირველი სამყარო, 268, 691
პოლიტიკური განვითარება, 273-276, 692
პოლიტიკური კორელატები, 277-278
პოლიტიკური შეღწევა, 274, 692
ტრადიციული საზოგადოება, 286, 698
ფსიქოკულტურული კორელატები, 278
ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტი, 269
ძალაუფლების რესურსების განაწილება, 279
ჭარბგანვითარება, 302-303
განვითარების საზოგადოებრივი ბარიერები, 282-285
განმეორებადი გამოკითხვა, 342, 676
განტევების ვაცი, 124

განცალკევებული კუნძულები, 122, 676
განცალკევებული, მაგრამ თანასწორი, 463
გაორებული აღმასრულებელი ხელისუფლება, 166, 676
გარე მტრები, 446-448
გარემოს საკითხები
  დაცვა, 454
  საერთაშორისო სამართალი, 661-665
  საერთაშორისო ურთიერთობები, 615
გასეტი, ხოსე ორტეგა ი, 508
გაუცხოება, 356, 676
გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლება, 179, 676
გაწვევა, 351, 676
გებელსიი, იოსეფი, 136
გეგმური ეკონომიკა, 226
გენდერული განსვლა, 317, 677
გენერალური შტატები 494, 677
გენრო, 194
გერმანია, 170-171, 182, 191-193
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 111
  აღმოსავლეთ გერმანია, 184, 191, 224, 233
  აღმოსავლეთ ევროპის ინვესტიციები, 192
  აღმასრულებელი ხელისუფლება, 187
  ბუნდესრატი, 188, 676
  ბუნდესტაგი, 188, 349, 676
  გაერთიანება, 185, 191
  გაერთიანებული ერების სამხედრო ქმედება, 655
  გაყოფა 183-185
  ევროცენტრიზმი, 595-596
  ევროკავშირი, 192, 644
  ეკონომიკა, 191
  ემიგრაცია, 192
  ერი-სახელმწიფო, 23
  ვაიმარის რესპუბლიკა, 183, 680
  თავისუფლება, 81, 190
  იდეალიზმი და რუსეთის დახმარება, 612, 613
  კანონები, 191
  კანცლერი, 187
  კოლონიალიზმი, 271-273
  კონსტიტუციური დემოკრატია, 68
  ნაცისტური გერმანია, იხ. ნაცისტური გერმანია
  ნეოფაშისტური 192
  პოლიტიკური პარტიები, 189, 370
  პროპორციული წარმომადგენლობა, 348, 349
  რუკა, 186
  საკანონმდებლო ხელისუფლება, 188
  სამოქალაქო თავისუფლებები, 190-191
  Lander (მიწა), 81-82, 185, 188
  სასამართლო სისტემა, 190
  ტერორიზმი, 477, 518, 521, 535, 542, 544
  უმრავლესობის მმართველობა, 73
  უცხოელი მუშა, 192
  ფედერალიზმი, 79, 81, 185
  ფრაქცია, 188
  ცივი ომი, 183-185
გერმანიის ქრისტიან დემოკრატიული კავშირი/ ქრისტიან სოციალისტური კავშირი CDU/ CSU, 189
გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (სდპ), 189
გესტაპო, 136, 677
გვინეა-ბისაუ, 271, 281
გიბონი, ედვარდი, 594
გინგრიჩი, ნიტი, 455
გლადსტონი, ჯეკი, 505
გლასტნოსტი, 230, 677
გლასტნოსტის პირველადობის მოდელი, 279, 677
Gleichschaltung (უნიფიკაცია), 129
გლობალიზაცია, 617, 677
გლობალური დათბობა, 664-665
გომესი, ხუან ვისენტი, 397
გორბაჩოვი, მიხეილი, 184, 223, 225-233, 254
გორი, ალი, 217, 354, 372
გრადუალიზმი, 431, 677
გროციუსი, ჰუგო, 577, 658
გრუვი, ჯოან, 360
გუზმანი, აბიმალი, 543
გულაგის არქიპელაგი, 141, 677
გური, ტედი, 505

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) 225, 235, 677
დანაშაული
  სამართლიანობა, 474, 478-479
  უსაფრთხოება, 446
დანაშაულის პრევენცია 474
დანია
  ამომრჩეველთა რაოდენობა, 355
  ევროკავშირი და, 644
  ერი-სახელმწიფოები, 23
  იდეალიზმი და ებრაული მოსახლეობა, 614
  მასმედია და პოლიტიკური სოციალიზაცია, 324
  საპარლამეტო დემოკრატია, 170
  საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, 432
  ტერორიზმი, 542
დასავლეთ ევროპა. იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
  დაქვემდებარების თეორია, 33-34
  ინტერესთა ჯგუფები, 378, 381
  მულტინაციონალური კორპორაციები, 638
  პირველი სამყაროს განსაზღვრება, 269
  პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 32
  ტერორიზმი, 518, 523, 524
  შედარებითი პოლიტიკა, 37
  ცივილიზაციათა შეჯახება, 625
დაქვემდებარების თეორია, 33, 677
დე გოლი, ჩარლზი, 172, 173, 174, 175, 176, 178, 352
დე ტოკვილი, ალექსის, 504, 507, 509, 605
დეიტონის შეთანხმება, 298, 678

დეკოლექტივიზაცია, 250
დემაგოგები, 392, 406-409, 678
დემოკრატია
  განვითარებადი ქვეყნები, 276-281
  ინტერესთა ჯგუფები, 382-383
  პირდაპირი დემოკრატია, 350-353, 691
  საპარლამენტო დემოკრატია იხ. ასევე საპარლამენტო დემოკრატია
  წარმომადგენლობითი დემოკრატია, განსაზღვრება, 703
დემოკრატიის კედელი, 253, 678
დემოკრატიის კორელატები, 226-228, 586
დემოკრატიული მშვიდობის პარადოქსი, 678, 570
დემოკრატიული სოციალიზმი, 431-433, 678
დენ სიაოპინი, 229, 249, 254
დევოლუცია, 79, 678
დიადი პროლეტარული კულტურული რევოლუცია, 148, 248, 678
დიალექტიკური მატერიალიზმი, 429, 679
დიალექტიკური პროცესი, 429
დიდება, 395-396
დიდი ბრიტანეთი, 161
  1911 და 1949 წლების საპარლამენტო აქტები, 162
  ამერიკის რევოლუცია, იხ. ამერიკის რევოლუცია
  აღიარება 78
  აღმასრულებელი ხელისუფლება, 166-167, 212-213
  ბარისტერები, 214
  ბრიტანეთის თანამეგობრობა 642, 675
  ბრიტანეთის რაჯი, 205, 675
  გადასახადი 169, 457
  გაერთიანებული ერების წევრობა, 647
  გაერთიანებული ერების სამხედრო მოქმედება, 655
  გაორებული აღმასრულებელი ხელისუფლება, 166, 676
  დაშოშმინება 413
  დისციპლინირებული პარტიები, 165-166, 679
  დოქტორ ბონემის საქმე, 77, 679
  ევროცენტრიზმი, 596
  ევროკავშირი, 644
  ერი-სახელმწიფო, 23
  ვარსკვლავთა პალატა, 77
  თემთა პალატა, 162
  ინტერესთა ჯგუფები, 384
  ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA), 169, 518, 540
  კეთილდღეობის სახელმწიფო, 168, 432
  კოლონიალიზმი, 271-273
  კონსტიტუცია, 68
  ლოიალური ოპოზიცია, 166
  ლორდთა პალატა, 162, 216
  მაგნა კარტა, 76
  მასმედია და პოლიტიკური სოციალიზაცია, 324
  ომი, 573
  პოლიტიკური ლიდერობა, 399-400
  პოლიტიკური პარტიები, 162, 165-166, 366
  რეფერენდუმები, 350
  საარჩევნო სისტემა, 348
  საკანონმდებლო ხელისუფლება, 209-212
  საპარლამენტო სისტემა, 161
  სასამართლო ხელისუფლება 213-216
  სახელმწიფო ხარჯები, 169
  სისტემის უპირატესობა და ნაკლი, 216-217
  სოლისიტორები, 214
  სუპერსახელმწიფოს სტატუსი, 616
  ტერორიზმი, 169, 477, 518, 540, 545
  უნდობლობის ვოტუმი, 164, 698
  უნიტარული სისტემა, 82
  უფლებათა პეტიცია, 77
  ფოლკლენდის ომი, 163, 262, 572
  ძალაუფლების შერწყმა, 162-163, 701
  შიდა კაბინეტი, 166
  შერეული წყობა, 161, 700
  ჩრდილოეთ ირლანდია, 169
  ძალთა წონასწორობა 593
  ჰაბეას კორპუსი, 77, 702
დიდი ბრიტანეთის კონსერვატული პარტია, 165-166
დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია, 165
დიდი დეპრესია, 79, 455
დიდი ნახტომი, 147, 248, 679
დისკრიმინაცია, 462-467, იხ. ასევე უმცირესობები
დისციპლინებული პარტიები, 165-166, 679
დისტოპია, 62, 679
დოერტი, ჯეიმსი, 556
დომინიკის რესპუბლიკა, 98
დორის აჯანყება, 504
დოსტოევსკი, ფიოდორი, 110
დოული, ბობი, 317, 343, 344
დოქტორ ბონემის საქმე, 77, 679
დრედ სკოტის საქმე, 462
დუგლასი, სტივენი, 401
დუვალიე, „ბეიბი დოკი“, 98
დუვალიე, ფრანსი „პაპა დოკი“, 98
დუმა, 239, 679
დურანდი, ოსკარ რამირეზ, 543

ებრაელები
  ისრაელი, იხ. ისრაელი
  ჰოლოკოსტი, 39, 119, 144, 154, 207, 580, 603
ეგვიპტე
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 102, 109
  განვითარება, 270, 274, 289
  კემპ დევიდის შეთანხმება, 207, 403, 604, 683
  პოლიტიკური ლიდერობა, 402-404
  საგარეო პოლიტიკა, 603

ტერორიზმი, 521, 529, 532, 545
ეგვიპტის რევოლუცია, 504
ევგენიკა, 60, 679
ევროკავშირი (EU), 184, 192, 193, 618, 623, 636, 640, 642, 644, 679
ევროკომუნიზმი, 431, 679
ევროპა იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
ავტორიტარული რეჟიმები, 108-109, 111-112
აღმოსავლეთ ევროპა, იხ. აღმოსავლეთ ევროპა
გლობალური დათბობა და, 665
ერი-სახელმწიფოები, 23
მოსახლეობა, 290-291
ომი, 573
პოლიტიკური პარტიები, 366
რევოლუცია, 488-489
საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, 593
ტერორიზმი, 524, 532, 539-546
ცივი ომი, იხ. ცივი ომი
ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა, 644
ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC), 647
ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (ECSC), 644
ევროპის სავალუტო კავშირი (EMU), 180, 192
ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA), 642
ევროსაბჭო, 541
ევროცენტრიზმი, 595
ეთიოპია
გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის უზრუნველყოფა, 653
განვითარება, 271, 276, 282, 287
მენგისტუ ჰაილე მარიამის მმართველობა, 149
კოლონიალიზმი, 273
ეთნიკური ძალადობა, 619-620
ეთნიკური წმენდა, 297, 679
ეთნოცენტრული მიკერძოება, 579, 679
ეიზენჰაუერი, დუაიტ დ., 409
ეკვადორი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
განვითარება, 282, 287
ეკონომიკა და ომი, 571
ეკონომიკის ცენტრალიზებული კონტროლი, 138
ეკონომიკური განვითარება, 287-293
ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC), 647
ეკონომიკური თანამშრომლობა, 641-642
ეკონომიკური შეღწევა, 506, 679
ელცინი, ბორისი, 233-235, 236, 240, 241
ელისაბედ II, 166, 167
ელ სალვადორი
გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის უზრუნველყოფა, 650
განვითარება, 276
ემიგრაცია
გერმანია, 192
საფრანგეთი, 181
ენგელსი, ფრიდრიხი, 57, 429
ერაყი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98
ბირთვული იარაღის გავრცელება 621, 622
ბუმერანგის ეფექტი 609
გაერთიანებული ერების სანქციები, 669
განვითარება, 282
ეთნიკური ძალადობა, 619
ომი, 569, 572, 577, 626, 655, 657
ტერორიზმი, 381, 519
ქურთები, 24, 73
ცივილიზაციათა შეჯახება, 625, 626
ერები საბჭოთა კავშირში, 231-233, 620
ერთა ლიგა, 639, 643, 645-646, 655, 656
ერთობა, 22, 680
ერთპარტიული სისტემა, 368-369
ერი, 22, 680
ერის მშენებლობა, 274, 680
ერი-სახელმწიფოები, 23
ერიტრეა
გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის უზრუნველყოფა, 653
განვითარება, 271
ეროვნული ასამბლეა, 176, 680
ეროვნული ვალი, 456-458, 680
ეროვნული თვითგამორკვევა, განსაზღვრება, 680
ეროვნული ინტერესი, 600-607, 680
ეროვნული უსაფრთხოება, 446-448, 680
ეროვნული ქმედების პარტია 263
ესპანეთი
ევროკავშირი, 644
ერი-სახელმწიფო, 23
კოლონიალიზმი, 272
კომუნიზმი, 431
ომი, 569
სამოქალაქო ომი, 493
საპარლამენტო დემოკრატია, 170
ტერორიზმი, 477, 520, 592
ფაშიზმი, 425
ესტაფეტა, 141
ესტონეთი
ევროკავშირი, 644
კომუნიზმის კრახი, 233, 489
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
ნატო-ს გაფართოება, 643
რუკა, 225
რუსეთის ინტერვენცია, 235
ეფექტიანი ხელისუფლება, 82-85
ექსპანსიონისტური სტრატეგია, 600, 680
ex post facto კანონი 74, 682

ვაიმარის რესპუბლიკა, 183, 680
ვალონები, 23
ვარსკვლავთა პალატა, 77, 680
ვარშავის პაქტი, 597, 616, 643, 681

ვაშინგტონი, ჯორჯი, 86, 320, 365, 393, 396, 493, 643
ვასკე, ჯონი, 555
ვატელი, ემერიხ დე, 594
ვაჭრობის პირობები, 34, 681
ვაუჩერები, 460
ვენესუელა
  განვითარება, 281
  პოლიტიკური ლიდერობა, 397-399
  პოლიტიკური პარტიები, 372
  პოლიტიკური ტრანზიცია, 261
ვერსალის შეთანხმება, 183, 613
ვესტფალიის ზავი, 658
ვიეტნამი
  განვითარება, 277, 282
  ეკონომიკური ტრანზიცია, 260
  კომუნიზმის კრახი, 223, 224
  ომი, 571, 573
  ტოტალიტარიზმი, 149
  შედარებითი პოლიტიკა, 36
  შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, 606
ვილდავსკი, აარონი, 611, 612
ვილსონი, ჯეიმს ქ., 359
ვილჰელმ II, 183
Winner-take-all (გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს) საარჩევნო სისტემა, 347
ვიტფოგელი, კარლი, 111
ვოლტერი, 491
ვუდვორდი, ჯულიანი ლ., 355

ზაირი. იხ. კონგო
ზამბია
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
  პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 33
ზიუგანოვი, ევგენი, 234
ზღვის ფსკერის შეთანხმება, 661, 681

თავისუფალი (laissez-faire) კაპიტალიზმი, 437, 681
თავისუფალი მეწარმეობა, 427, 681
თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, 427, 681
თავისუფლება, 469
  აბორტი, 473
  გერმანია, 81, 191
  სამოქალაქო თავისუფლებები, 190-191, 477
  საკონსტიტუციო დემოკრატიები, 81, 86-92
  პირადი ცხოვრება, 472-473
  პირველი შესწორება, 470-472
  პრესის თავისუფლება, 471
  რელიგიის თავისუფლება, 471-472
  სიტყვის თავისუფლება, 470-471
  ღირებულება, 469
  წინასწარი შეზღუდვა, 471
თავისუფლების შესახებ (მილი) 438
თალიბები, 120, 300, 518
თანაარსებობა, 179, 681
თანამგზავრი, 598
თანასწორობა, 462
  გაერო, 656
  დაცული ჯგუფები, 468
  პირუკუ დისკრიმინაცია 466-467, 691
  პოზიტიური ქმედებები, 466
  სიღარიბე, 468
  რასობრივი დისკრიმინაცია, 462-467
  რადიკალური ეგალიტერიანიზმი, 433
  ჰომოსექსუალთა უფლებები, 468
თანატოლები, 323-324, 681
თემთა პალატა, 162
თეოკრატია, 97, 681
თურქეთი
  ავტორიტარული სახელმწიფო, 102
  ეთნიკური ძალადობა, 619
  კოლონიალიზმი, 271-273
  ტრუმენის დოქტრინა, 605
  უმრავლესობის მმართველობა, 73
  ქურთები, 24, 73
  ცივილიზაციათა შეჯახება, 626

იაპონია, 170-171, 193, 201-204
  აუმ სინრიკიოს სექტის ცრემლსადენი გაზით თავდასხმა, 477
  ბირთვული იარაღის გავრცელება, 622
  ბუმერანგის ეფექტი, 610
  გენრო, 194
  დაქვემდებარების თეორია, 34
  ევროცენტრიზმი და, 595
  ეკონომიკა და, 201-204
  ვაჭრობა, 202, 618
  თანმიმდევრულობა ხელისუფლებაში, 202
  ისტორია, 194
  კონკურენტული უპირატესობა, 203
  კონსტიტუცია, 195-196
  კულტურა, 201
  მეიძის რესტავრაცია 194, 686
  მულტინაციონალური კორპორაციები, 638
  ნაგასაკი, 576
  ომი, 555, 576
  პირველი სამყაროს განსაზღვრება, 268-269
  პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 32
  პოლიტიკური პარტიები, 197-199, 369
  პოლიტიკურ ცვლილებათა შემაფერხებელი ფაქტორები, 199
  რუკა, 197
  საპარლამენტო დემოკრატიის გარეგნული და რეალური მხარეები 196
  სასამართლო, 201
  სუპერსახელმწიფოს სტატუსი, 616
  ტერორიზმი, 477, 543
  ტრადიცია და თანამედროვეობა, 204
  ფაშიზმი, 425
  შედარებითი პოლიტიკა, 37
  შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა, 203
  ცივილიზაციათა შეჯახება, 625

ცხოვრების დონე, 203
ჰიროსიმა, 576
იაპონიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია (ლდპ), 199
იარაღის კონტროლი, 451
იბო, 23, 104
იდეალიზმი
გაერთიანებული ერები და, 612
განსაზღვრება, 681
საერთაშორისო ურთიერთობები, 612-614
იდეოლოგიები, 423
ანარქიზმი, 423, 673
ანტისამთავრობო იდეოლოგია, 423-425
ბურჟუაზია, 429, 676
გრადუალიზმი, 431, 677
დემოკრატიული სოციალიზმი, 431-433, 678
დიალექტიკური მატერიალიზმი, 429, 679
დიალექტიკური პროცესი, 429
ევროკომუნიზმი, 431, 679
თავისუფალი მეწარმეობა, 427, 681
თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა, 427, 681
კაპიტალიზმი, 427-428
კაპიტალისტური დაგროვების კანონი, 429
კეთილდღეობის სახელმწიფო, 432, 683
კოლექტივიზმი, 428, 683
კომუნიზმი და დემოკრატია, 431
ლიბერტარიანელობა, 424, 685
მარქსიზმი, 429
მემარცხენე იდეოლოგები, 428-429
მემარჯვენე იდეოლოგები, 425
მონარქია, 425
ნიჰილიზმი, 424
პაუპერიზაციის კანონი, 430, 690
პროლეტარიატი, 429, 692
რადიკალური ეგალიტერიანიზმი, 433
რევოლუციური კომუნიზმი, 429-430, 693
რელიგიური უფლებები, 426-427
საერთაშორისო ურთიერთობები, 596-597
სოციალიზმი, 428, 696
ტოტალიტარიანიზმი, 124-127
უტოპისტი სოციალისტები, 428, 698
ფაშიზმი, 425-426, 698
ჩინეთი, 249
იდეოლოგიური ტერორიზმი, 521
იემენი, 271, 276
იმპერიალიზმი, 555, 682
ინდივიდუალიზმი, 356-358, 682
ინდოეთი, 170-171
არაძალადობრივი წინააღმდეგობა, 272, 674
ბრიტანეთის რაჯი, 205, 675
განვითარება, 270, 272, 282, 284-285, 289
გლობალური დათბობა, 665
ეთნიკური ძალადობა, 619
კონსტიტუცია, 68
კონსტიტუციური დემოკრატია, 68
ლოკ საბჰა, 206, 685
მოგოლები, 205, 687
მრავალეროვნული სახელმწიფოები, 23
ომი, 559, 569, 571, 575
პოლიტიკური პარტიები, 369
რაჯია საბჰა, 206, 693
საპარლამენტო მმართველობა, 205-206
ტერორიზმი, 521, 522
უმრავლესობის მმართველობა, 92
ფედერალიზმი, 79
ქაშმირი, 205, 653, 699
ცივილიზაციათა შეჯახება, 625
ინდონეზია
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98, 109
ბუმერანგის ეფექტი, 610
განვითარება, 276
ეკონომიკური ტრანზიცია, 260
საპრეზიდენტო დემოკრატია, 90
ინდუსები, 23
ინდუსი თამილები, 23
ინიციატივა, 351
ინსტიტუციური ინტერესთა ჯგუფები, 375
ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია (PRI), 263, 280, 369
ინტერესთა ჯგუფები, 374
ავტორიტარული სახელმწიფოები, 384-385
ანომიკური ინტერესთა ჯგუფები, 375
არაასოციაციური ინტერესთა ჯგუფები, 375
ასოციაციური ტიპის ინტერესთა ჯგუფები, 375
გავლენა, 376-378
დემოკრატია და, 382-383
ინსტიტუციური ინტერესთა ჯგუფები, 375
კერძო ინტერესთა ჯგუფები, 376, 683
ლობისტები, 376, 685
პოლიტიკური მეცნიერება, 35
პოლიტიკური ქმედების კომიტეტი, 379-381, 692
რაოდენობა, 378-380
რბილი ფული, 381, 393
საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფები, 376, 694
ტიპები, 375-376
შეერთებული შტატები, 379, 383
ინტერნაციონალისტები, 561, 682
ინტიფადა, 207, 604, 682
იოანე პავლე II, 224, 525
იორდანია
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
მონარქია, 425
საგარეო პოლიტიკა, 604
ტერორიზმი, 532
იორუბა, 104
ირანი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98, 108
ბირთვული იარაღის გავრცელება, 622
განვითარება, 283
მულტინაციონალური კორპორაციები, 637-638
ტერორიზმი, 448, 519

ცივილიზაციათა შეჯახება, 625
ხომეინის მმართველობა, 150
ირლანდია
ევროკავშირი, 644
პროპორციული წარმომადგენლობა, 348-349
საპარლამენტო დემოკრატია, 170
ჩრდილოეთ ირლანდია, 169, 477, 518, 521
ირლანდიის რესპუბლიკური არმია, 171, 518, 540
ისრაელი, 170-171, იხ. ასევე პალესტინა
ბალფურის დეკლარაცია, 206, 674
ბირთვული იარაღის გავრცელება, 622
ბუმერანგის ეფექტი 609
გაერთიანებული ერები, 207
განვითარება, 270
ინტიფადა, 207, 604, 682
კემპ-დევიდის შეთანხმება, 207, 404, 604, 683
კონსტიტუცია, 69
პალესტინელი არაბები, 206, 690
პროპორციული წარმომადგენლობა, 348-349
საგარეო პოლიტიკა, 603
სადათი, 403
საპარლამენტო მმართველობა, 206-208
სიონიზმი, 206, 603, 696
ტერორიზმი, 521, 532, 544
უმრავლესობის მმართველობა, 73
ქნესეთი, 208, 699
ისტონი, დევიდი, 36
იტალია
ავტორიტარული სახელმწიფოები, 111
ამომრჩეველთა რაოდენობა, 355
ბრიტანულ სისტემასთან შედარება, 166-168
გადასახადები, 457
ევროკავშირი, 644
ერი-სახელმწიფოები, 23
კოლონიალიზმი, 272
კომუნიზმი და, 431
მარშალის გეგმა, 606
ომი, 555
პოლიტიკური პარტიები, 371
პროპორციული წარმომადგენლობა, 348-349
ტერორიზმი, 477, 521, 541, 544
უნიტარული სისტემები, 82
ფაშიზმი, 119, 123, 131, 425, 508, 554
ქმედითობა მთავრობაში, 85
ხელისუფლების სტაბილურობა, 83, 85
იუგოსლავია, 268, 295 იხ. ასევე სპეციფიკური რესპუბლიკები
ბალკანეთის კრიზისი, 295-297
ბოსნია, 297-299
გაეროს სამშვიდობო მისიები, 652, 653
განვითარება, 292
დაშლა, 22, 24, 616
დეიტონის შეთანხმება, 298, 678
ეთნიკური წმენდა, 257, 679
თვითრეგულირება, 296
კოსოვო, 297
ცივილიზაციათა შეჯახება, 626
იუმი, დევიდი, 491

კაბო-ვერდე, 280
კადაფი, მუამარი, 98, 109, 274
კალჰუნი, ჯონი ს., 657
კალიფორნიის სამოქალაქო უფლებათა ინიციატივა (CCRI), 352
კამბოჯა
გაერთიანებული ერები და, 652
განვითარება, 276
კოლონიალიზმი, 273
კომუნიზმის კრახი, 223, 224
პოლ პოტის მმართველობისას, 149
ომი, 571
კამერუნი, 281
კამპანელას „მზის ქალაქი“, 49
კამპუჩია. იხ. კამბოჯა
კანადა
აღიარება, 78
დაბეგვრა, 457
ეთნიკური ძალადობა, 619
NAFTA, 263, 545, 618, 642, 702
უმრავლესობის მმართველობა, 92
ფედერალიზმი, 79
ცივილიზაციათა შეჯახება, 626
კანონის უზენაესობა, 75-77, 682
კანონი უცხოელებისა და ამობოხებისადმი წაქეზების შესახებ, 80
კანტი, იმანუელი, 312-313, 562, 570
კანცლერი, 187
კაპიტალიზმი, 455
განსაზღვრება, 683
იდეოლოგია, 427-428
შეერთებული შტატები და, 427
კაპიტალისტური დაგროვების კანონი, 429, 682
კაპლანი, რობერტი, 627
კარიბის აუზის ქვეყნები, 636 იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
კარიბის აუზის ქვეყნების ერთიანი ბაზარი, 636
კარტერი, ჯიმი, 341, 613
კასინელი, ს.ვ., 151
კასტრო, ფიდელი, 123, 149, 224, 316, 397
კატალიტური ომი, 575, 682
კატარი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
კაუნდა კენეტი, 114
კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული 580
კევორკიანი, ჯეკ, 537
კეთილდღეობა, 454-456
ეროვნული ვალი, 456, 680
საბიუჯეტო დეფიციტი, 456-458
საგადასახო ტვირთი, 457
საგანმანათლებლო კრიზისი, 458-460
სკოლის ვაუჩერი, 460

შემოსავლის განაწილება, 460-462
შერეული ეკონომიკა, 455, 700
ჯანდაცვის ეროვნული დაზღვევა, 455
კეთილდღეობის სახელმწიფო, 432
განსაზღვრება, 683
დიდი ბრიტანეთი, 162, 168
კელოგ-ბრიანის პაქტი-1928, 665
კემპ-დევიდის შეთანხმება, 207, 403, 604, 683
კენანი, ჯორჯი ფ., 605
კენია
განვითარება, 274, 281
ეთნიკური ძალადობა, 620
კონსტიტუცია, 68
პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 33
შეერთებული შტატების საელჩოზე თავდასხმა, 609
კენიატა, ჯომო, 274, 276
კენჭისყრა, 176
კერეკუ, მეთიუ, 280
კერძო ინტერესთა ჯგუფი, 376, 683
კვიპროსი და გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის დაცვა, 650, 653
კიმ დე იუნგი, 259
კინგი, მარტინ ლუთერი, 272, 320, 339, 415
კიოტოს ხელშეკრულება, 664-665
კირიბატი, 270
კიროვი, სერგეი, 140
კლასი, 316
კლაუზევიცი, კარლი, 552
კლინტონი, ბილი, 79, 88, 212, 317, 341, 343, 359, 456, 609
კოალიციური მთავრობა, 370
კოიძუმი, ძიუნიტირო, 199, 201
კოლექტივიზაცია, 139, 683
კოლექტივიზმი, 428, 683
კოლექტიური სამთავრობო პასუხისმგებლობა, 213
კოლექტიური უსაფრთხოება, 645, 683
კოლი, ჰელმუტი, 191
კოლონიალიზმი, 271-273, 683
კოლონიზაცია, 4-5
კოლუმბია
ავტორიტარული რეჟიმი, 114
განვითარება, 226, 276, 287
პოლიტიკური პარტიები, 371
პოლიტიკური ტრანზიცია, 261
ტერორიზმი, 518, 542
კოლხოზი, 139
კომერციული რესპუბლიკები, 436
კომუნიზმი, 431-432, იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
კომუნიზმის მეორე სტადია, 58, 683
კომუნიზმის პირველი სტადია, 57, 683
რევოლუციური კომუნიზმი, 429-430, 693
კომუნიზმის მეორე სტადია, 58, 683
კომუნიზმის პირველი სტადია, 57, 683
კონფრონტაცია, 576
კონგო
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98
გაერთიანებული ერების მიერ მშვიდობის დაცვა, 653
განვითარება, 271, 274, 280, 281
ეთნიკური ძალადობა, 691
კოლონიალიზმი, 273
ომი, 572
კონსერვატიზმი, 433-437, 439-442, 684
კონსტიტუცია, 68-69
განსაზღვრება, 684
იაპონია, 195-196
საფრანგეთი, 68, 178-179
საფრანგეთის რევოლუცია, 494
შეერთებული შტატები, იხ. შეერთებული შტატების კონსტიტუცია
კონსტიტუციური დემოკრატია, 68, 92-93
ადამიანის ღირსება, 68
ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია, 81, 673
ახალი ფედერალიზმი, 79
bill of attainder, 74
განმანათლებლობის იდეები, 86
გერმანია და, 68
დევოლუცია, 79, 687
დემოკრატიული კონსტიტუცია, 68-69
დოქტორ ბონემის საქმე, 77
ენერგიული ხელისუფლება, 84-85
ეფექტიანი ხელისუფლება, 82-85
ვარსკვლავთა პალატა, 77, 680
თავისუფლება და ფედერალიზმი, 81-82
თავისუფლების არქიტექტურა, 86-92
კანონის უზენაესობა, 75-78, 682
კომპენსაციური დისკრიმინაცია, 75
კონსტიტუციონალიზმი, 77-78
კონსტიტუცია, იხ. ასევე კონსტიტუციის განმარტება, 684
მაგნა კარტა, 76
მართებული სამართლებრივი პროცესი, 77, 686
მგრძნობიარე ხელისუფლება, 69-74
პარალელური ძალაუფლება, 68
პოპულარული ავტონომია, 68
რესპუბლიკები, 68, 693
საპარლამენტო სისტემები, 71
საპრეზიდენტო სისტემა, 89, 695
საპოლიციო ძალაუფლება, 79
სტაბილურობა, 83-84
ტუტელაჟი (მეურვეობა), 82, 698
უმრავლესობის მმართველობა, 70-72, 91
უმრავლესობის ტირანია, 72-74, 698

უმცირესობის უფლებები, 75
უნიტარული სისტემები, 82, 698
უფლებათა პეტიცია 77, 699
ფედერალიზმი, 579-80, 699
ფემინიზმი, 75
შეერთებული შტატები, 86
შეზღუდული ხელისუფლება, 74-82, 701
შეკავება და გაწონასწორება, 88-89, 701
ძალაუფლების დანაწილება, 89, 702
ხმოსანთა შედარებითი უმრავლესობის სისტემა, 71
ჰაბეას კორპუსი, 76
კონსტიტუციური კონვენტი, 80, 83
კონტრას, 607
კონტრტერორიზმი, 523, 542-545, 684
კორეა
სამხრეთ კორეა იხ. სამხრეთ კორეა
ჩრდილოეთ კორეა, იხ. ჩრდილოეთ კორეა
კორუფცია, 104
კოსმოსის შეთანხმება, 661, 684
კოსოვო, 298, 653
კოსტა რიკა
პოლიტიკური ტრანზიცია, 361
კრისტოლი, ირვინგი, 40
კუბა
განვითარება, 276
კასტროს მმართველობა, 123
კომუნიზმის კრახი, 223, 224
მარქსიზმი, 33
მეორე სამყაროს განსაზღვრება, 269
მულტინაციონალური კორპორაციები, 637
ტერორიზმი, 519, 541
შედარებითი პოლიტიკა, 37
კუთვნილი დახმარება, 452
კულაკები, 138, 310, 684
კულიჯი, კალვინ 428
კუომინტანგი, 134, 145, 677
ლათინური ამერიკა, იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97, 114-115
ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, 541
არაასოციაციური ტიპის ინტერესთა ჯგუფი, 375
ბუმერანგის ეფექტი, 609
განვითარებადი ქვეყნები, 270, 280, 288
დაქვემდებარების თეორია, 34
კოლონიალიზმი, 272
ლატიფუნდია, 289
მინიფუნდია, 289
მოსახლეობის რუკა, 290-291
ომი, 570
პოლიტიკური პარტიები, 372
პოლიტიკური ტრანზიცია, 261, 264
ტერორიზმი, 524
საპრეზიდენტო დემოკრატია, 90
ძალაუფლება, 25
ლაკეურ, უოლტერი, 519
ლაოსი
განვითარება, 276
ეკონომიკური ტრანზიცია, 211
კომუნიზმის კრახი, 223, 224
ლატიფუნდია, 289
ლატვია
ევროკავშირი, 644
კომუნიზმის კრახი, 233, 489
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
ნატო-ს გაფართოება, 643
რუკა, 225
რუსეთის ინტერვენცია, 235
ლე პენი, ჟან მარი, 178, 181
ლეგიტიმურობა, 25, 108-109, 684
ლენდონი, ალფი, 340
ლენინი, ვ. ი., 121, 122, 123, 124, 126, 127, 128, 130, 133, 134, 135, 247, 430, 563, 567, 571
ლი ტენ-ჰუი, 260
ლიბანი
გაეროს სამშვიდობო მისია, 562
ეთნიკური ძალადობა, 620
ლიბერალიზაცია, 684
ლიბერალიზმი, 433-435, 438-442, 685
ლიბერალური განათლება, 322, 685
ლიბერალური ტრადიცია, 685
ლიბერია
განვითარება, 281
კოლონიალიზმი, 273
სულიერი რწმენა, 629
ლიბერტარიანელობა, 424, 685
ლიბია
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98, 109
არაბული რესპუბლიკების ფედერაცია, 403
ბირთვული იარაღის გავრცელება, 622
განვითარება, 274, 282
პან ამერიკული რეისი, 608, 668
ტერორიზმი, 519, 541
ცივილიზაციათა შეჯახება, 625
ლიდერის კულტი, 123
ლინკოლნი, აბრაამი, 394, 400-402, 476
ლიპმანი, უოლტერი, 393
ლიტვა
ევროკავშირი, 644
კომუნიზმის კრახი, 233, 481
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
რუკა, 225
ლობისტები, 376, 685
ლოიალური ოპოზიცია, 685
ლოკ საბჰა, 206, 685
ლოკი, ჯონი, 35, 76, 86, 108, 436, 437, 455, 462, 491, 501-502, 509, 565-566, 581
ლონგ, ჰიუ, 407-408
ლორდთა პალატა, 162, 216
ლუი XVI, 494, 495, 496
ლუქსემბურგი
ევროკავშირი, 644
ტერორიზმი, 542

მაასტრიხის შეთანხმება, 644
მადაგასკარი, 281
მაგნა კარტა, 76, 685
მაკარტურ, დუგლასი, 655
მაკგრატი, მაიკლი, 360
მაკედონია, 246
მაკიაველი, ნიკოლო, 86, 107-108, 133, 557, 590-591
მაკკარტი, ჯოზეფი, 408-409
მაკჰიუ, პოლი რ., 537
მალაიზია
  განვითარება, 279
  ეკონომიკური ტრანზიცია, 260
მალავი, 271
მალერი, გუსტავი, 142
მალთუსი, თომას, 566
მალთუსის შეხედულება, 566-567
მალი, 271, 281
მანდელა, ნელსონი, 391
მაო ძედუნი, 25, 124, 126, 128, 134, 151, 153, 154, 224, 247, 248, 249, 251, 253, 260, 533, 569
მარიგელა, კარლოსი, 525, 526
მარკოს, ფერდინანდი, 98
მაროკო
  ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
მარქსი, კარლი, 111, 145, 429, 503, 509, 564
მარქსისეული უკლასო საზოგადოება, 48, 55-56
  გზა უტოპიისაკენ, 59
  ეკონომიკის წამყვანი როლი, 56
  კომუნიზმის მეორე სტადია, 58, 683
  კომუნიზმის პირველი სტადია, 57, 683
  პროლეტარიატის დიქტატურა, 56-57, 692
  უტოპიით შთაგონება 59
  უტოპიის პრაქტიკულობა, 60
მარქსისტები და მარქსიზმი, 521
  განსაზღვრება, 686
  იდეოლოგია, 429
  პოლიტოლოგია, 29, 33-35
  შეერთებული შტატები, 33
  ჩინეთი, 33
მარშალი, ჯორჯი, ს., 409
მარშალის გეგმა, 597, 606, 686
მართებული პროცედურა, 474
მართებული სამართლებრივი პროცედურა, 77, 474, 686
მარტივი უმრავლესობა, 347
მასირებული საპასუხო დარტყმა, 576, 686
მასმედია, 324-328, 686
მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება, 576
მასობრივი კომუნიკაცია, 138
მასობრივი მობილიზაცია, 248, 686
მასობრივი მობილიზაციის რეჟიმი, 364, 686
მასობრივი მოძრაობა, 434, 592
მგრძნობიარე ხელისუფლება, 69-74
მედია და ტერორიზმი, 538-539
მედისონი, ჯეიმსი, 83, 84, 87, 382, 396
მეიერი, გოლდა, 392
მეიძის რეაბილიტაცია, 194, 686
მეიჯორი, ჯონი, 169, 525
მემარცხენე იდეოლოგიები, 428-433
მემარჯვენე იდეოლოგები, 425-428
მენგისტუ, ჰაილე მარიამი, 149
მენდელსონი, ფელიქსი, 142
მეორე დარტყმა, 576, 686
მეორე სამყარო, 269, 686
მექსიკა
  ავტორიტარული რეჟიმი, 115
  განვითარება, 270, 279, 280, 289
  ეროვნული ქმედების პარტია, 263
  ცივილიზაციათა შეჯახება, 626
  ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია, 263, 280, 369
  კონსტიტუციო დემოკრატია, 68
  ომი, 569
  პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 33
  პოლიტიკური ტრანზიცია, 263
  ტერორიზმი, 518
  უმრავლესობის მმართველობა, 92
  ფედერალიზმი, 79
  ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA) 263, 618, 642, 700
  ძალაუფლების დანაწილება, 91
მერკოსური, 636
მესამე მსოფლიო, 269, 686
მეხუთე რესპუბლიკა, 172-173
მზარდი მოლოდინების რევოლუცია, 282, 686
მთავრობა, განსაზღვრება, 22, 686
მთავრობა, კოალიცია, 309, 585
მიამიტობა, პოლიტიკური, 579
მიანმა
  განვითარება, 271
  ეკონომიკური ტრანზიცია, 260
მიიძავა, კიიჩი, 198
მილი, ჯონ სტუარტი, 35, 314, 438
მილოშევიჩი, სლობოდანი, 297, 299, 652, 653, 659, 669
მილსი, ს. რაიტი, 362
მინიფუნდია, 289
მისტიკი, ჯოზეფი, 327
მიტერანი, ფრანსუა, 82, 175, 179, 180, 433
მიუმხრობლობის პოლიტიკა, 601
მიუღებელი ზარალი, 576, 687
მიხელსი, რობერტი, 362
მოგულები, 205, 687
მოდერნიზირებადი ქვეყნები, იხ. განვითარებადი ქვეყნები
მოინიჰანი, დანიელ პატრიკი, 450
მოლდოვეთი

კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
რუკა, 225
რუსეთთან კონფლიქტი, 239
რუსეთის ინტერვენცია, 235
მონარქია
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
იდეოლოგია, 425
მონარქისტთა განსაზღვრება, 687
სტაბილურობა, 83
მონაწილეობა, პოლიტიკური. იხ. პოლიტიკური მონაწილეობა
მონოლითური საზოგადოება, 136-137
მონრეალის პროტოკოლი, 664
მონროს დოქტრინა, 602-603, 688
მონტესკიე, ბარონ დე, 86, 111, 436, 437, 455, 491
მოქალაქეობა, 310-313, 688
მორალური რელატივიზმი, 578, 688
მორალური უმრავლესობა, 426-427
მორგანტაუ, ჰანსი ჯ., 555, 558, 590-593, 612
მორის უტოპია, 49
მორო, ალდო, 525, 544
მოსახლეობის რუკა, 290-291
მოთხოვნა-მიწოდების კანონი, 370, 591
მოუნტბატენის ტერორისტული აქტი, 525
მოზაიკური საზოგადოება, 285, 687
მოზამბიკი, 280
მრავალეროვნული სახელმწიფო, 23
მრავალპარტიული სისტემა, 370-371
მსოფლიო ბანკი, 330, 611, 638
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), 611, 642, 688
მსოფლიო სავაჭრო ცენტრი. იხ. ტერორიზმი
მტკიცებულების უარყოფის წესი, 478, 688
მუბარაქი, ჰოსნი, 102
მულტინაციონალური კორპორაცია, 637-639, 688
მურის კანონი, 623
მუსოლინი, ბენიტო, 111, 123, 131, 554, 581
მშვიდობა, 669
მშვიდობის წინააღმდეგ მოქმედება, 580
მცირე ინტენსივობის კონფლიქტი, 552, 688
მძღოლი-ამომრჩეველის კანონი, 355
მწვანე რევოლუცია, 289, 688
მწვანეთა პარტიები შეერთებულ შტატებში, 621
მწირი ინფორმაციის რაციონალობა, 360, 688

ნაგასაკი, 576
ნაიშენი, კარი 537
ნამიბია
გაერთიანებული ერების სამშვიდობო მისია, 650
განვითარება, 281
ნაპოლეონ ბონაპარტე, 110, 497, 593, 594
ნასერი, გამალ აბდელი, 102, 109, 274, 276, 402, 403
ნატესავი ქვეყნის სინდრომი, 627, 689
ნაურუ, 270
NAFTA ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, 263, 454, 618, 642, 700
ნაციონალიზმი, 228, 554, 561, 578
ნაციონალისტურ-სეპარატისტული ტერორიზმი, 521, 689
ნაცისტური გერმანია, 39-41
გესტაპო, 136, 677
თანატოლთა ჯგუფები და პოლიტიკური სოციალიზაცია, 323, 325
ნიურნბერგის პროცესი, 580-581
ომი, 555, 580
პოლტიკური პარტიები, 368, 373
რელიგია და პოლიტიკური სოციალიზაცია, 317-318
ტერორიზმი, 518, 537
ტოტალიტარიანიზმი, 119, 120, 121, 142, 151
ფაშიზმი, 425, 442
ჩერჩილი, 399, 400
ნეიტრალიტეტი, 601, 689
ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, 601
ნეოიზოლაციონისტები, 610
ნერუ, ჯავაჰარლალ, 206, 274, 276
ნიგერია
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98, 103-106
განვითარება, 274, 281, 283
დანაშაული, 628
მრავალეროვნული სახემწიფოები, 23
კოლონიალიზმი, 271
საპრეზიდენტო დემოკრატია, 90
უმრავლესობის მმართველობა, 92
ფედერალიზმი, 79
ძალაუფლების დახლეჩვა, 91
ნიდერლანდები
ამომრჩეველთა რაოდენობა, 355
ევროკავშირი, 644
ერი-სახელმწიფო, 23
კოლონიალიზმი, 272
ნარკოტიკებისა და პროსტიტუციის დეკრიმინალიზაცია, 449
საპარლამენტო დემოკრატია, 170
ტერორიზმი, 542
ნიკარაგუა
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98
განვითარება, 276, 280
კონტრას, 607
საერთაშორისო სასამართლო, 667
ნიქსონი, რიჩარდი, 78, 79, 88, 212, 217, 337, 359, 391
ნიუმენი, სანდრა შულცი, 327
ნიურნბერგის პროცესი, 580-581
ნიუტონი, ისააკი, 86
ნიცშე, ფრიდრიხ, 554
ნიჰილიზმი, 424, 689
ნკრუმა, ჯოშუა, 276

ნომენკლატურა, 228, 689
ნონალიგნმენტ, 515, 594
ნორვეგია
ინტერესთა ჯგუფები, 318
ერი-სახელმწიფო, 23
საპარლამენტო დემოკრატია, 170
პროპორციული წარმომადგენლობა, 349
ამომრჩეველთა რაოდენობა, 355
კეთილდღეობის სახელმწიფო, 432
ნორიეგა, მანუელი, 98
ნორმები, 25

ობასანჯო, ოლუსეგუნი, 105, 281
ობლასტი, 237
ოკეანეთის თანამეგობრობა (ჰერინგტონი), 49
ოკლაჰომას დაბომბვა, 520
ოლიგარქია, 98, 689
ოლიგარქიის რკინის კანონი, 362, 689
ომანი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
განვითარება, 270
ომი, 552-554, 581
ადამიანის ბუნება, 556-559
ბირთვული მონოპოლია, 576, 675
ბირთვული ომი, 576, 597-598
ბუნებრივი რესურსების სიმწირე, 566
ბუნებითი მდგომარეობა, 557
გარემო მიზეზები, 564-567
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, 580, 677
დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, 580, 677
დემოკრატიული მშვიდობის პარადოქსი, 570, 678
ეთნოცენტრიზმი, 579, 679
ეროვნული თვითგამორკვევა, 562
ვილსონის შეხედულება, 561-562
თეორიათა ზედმეტი გამარტივება, 572-573
იმპერიალიზმი, 555, 682
ინტერნაციონალისტები, 561, 682
კათალიტიკური ომი, 575, 682
კანტის შეხედულება, 562
კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა, 599
კონფრონტაცია, 576
ლენინის შეხედულება, 563-564
ლოკის შეხედულება, 565-566
მალთუსის შეხედულება, 566-567
მასირებული საპასუხო დარტყმა, 576, 686
მასობრივი განადგურების იარაღი, 576
მეორე საპასუხო დარტყმა, 576, 686
მიზეზები, 554-567
მიუღებელი ზარალი, 576, 687
მორალური რელატივიზმი, 578-579, 688
მცირე ინტენსივობის კონფლიქტები, 552, 688
ნაციონალიზმი, 554, 561
ნაციონალისტური მიკერძოება, 579
ნაციონალისტური უნივერსალიზმი, 555
ნიურნბერგის პროცესი, 580-581
ომის ესკალაცია, 575, 689
ომი მცდარი აღქმის გამო, 575, 689
პარტიზანული ომი, 552, 690
პელოპონესის ომი, 590
პირველი დარტყმა, 576
პირველყოფილი ცოდვა, 556
პოლიტიკური მიამიტობა, 579
რუსოს შეხედულება, 559-561
საზოგადოება, 559-564
სამართლიანი ომის დოქტრინა, 577, 580
სამოქალაქო ომი, 80, 493, 552, 695
სახელმწიფოებრივი მიზეზები, 555
სახელმწიფოთაშორისი ომები, 552, 695
ტერორიზმისა და ომის აქტების შედარება, 526-527
ტოტალური ომი, 574
ულტრანაციონალიზმი, 555, 697
უპირობო კაპიტულაცია, 574, 698
ურთიერთ განადგურება, 576
ურთიერთ შეკავება, 576
შეერთებული შტატების კონსტიტუცია, ომის ძალაუფლება, 90
შეზღუდული ომი, 574, 699
შეიარაღებაში შეჯიბრი, 555, 700
შემთხვევითი ომი, 575-576
ცივი ომი. იხ. ცივი ომი
ცხელი ხაზი, 577, 701
ჰობსი ომის შესახებ, 558
ომის გარემო მიზეზები, 564-567
ომისა და მშვიდობის კანონის შესახებ (გროციუსი), 658
ო'ნილი, ტიპი, 210
ოპოზიციური პარტიები, 133-134
ორდინარული პოლიტიკოსები, 392, 409-411, 700
ორპალატიანი სისტემა, 91, 690
ორპარტიული სისტემა, 370
ორუელის „ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი“, 62, 122, 624
ოსამა ბინ ლადენი, 120, 300, 518, 521, 527, 528, 534, 607, 609, 610, 613, 626
ოუოტერგაიტი, 78, 88, 337, 391
ოჯახები და პოლიტიკური სოციალიზაცია, 314-323

პაკისტანი, 205
განვითარება, 274, 282
ეთნიკური ძალადობა, 620

კაშმირი, 205, 653, 699
ომი, 569, 575
ტერორიზმი, 522, 541
პალესტინა, 206, 690
პალესტინელები. იხ. ასევე ისრაელი
ინტიფადა, 207, 604, 682
პალესტინელი არაბები, 206, 690
პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია, 402, 604
საგარეო პოლიტიკა, 603
სახელმწიფოს არმქონე ერები, 24
ტერორიზმი, 521, 522
უმრავლესობის მმართველობა, 73
პალცგრაფი, რობერტი, 556
პან ამერიკის რეისი, 608, 668
პანამა
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98
განვითარება, 280
პარაგვაი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
საბაჟო კავშირი, 642
პარალელური ძალაუფლება, 68
პარკსი, როზა, 416
პარტიები, პოლიტიკური. იხ. პოლიტიკური პარტიები
პარტიის ყრილობა, 690
პარტიულობა, 128, 690
პარტიზანული ომი, 552, 690
პატნემი, რობერტი, 357
პატრიოტის აქტი, 476, 540
პატრონ-კლიენტელური ურთიერთობა, 275, 692
პაუპერიზაციის კანონი, 430, 690
პეინე, თომასი, 498, 500, 509
პელოპონესის ომი, 590
პერესტროიკა, 228-230, 690
პერესტროიკის პირველადობის მოდელი, 279, 690
პერლ ჰარბორი და 11 სექტემბერი, 526-527
პეროი, როსი, 344, 370
პერუ
ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
განვითარება, 282, 287
პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 33
ტერორიზმი, 518, 521, 542-543
პინოჩეტი, აუგუსტო, 261
პირადი ცხოვრება, 472-473
პირადი ინტერესი, 38-39, 612-614
პირდაპირი დემოკრატია, 350-353, 691
პირველი დარტყმა, 576, 691
პირველი საკონსტიტუციო შესწორება, 470-472
პირველი სამყარო, 268, 691
პლატონი, 35, 556
პლატონის „რესპუბლიკა“, 48, 49
ადამიანის ბუნება და უტოპია, 60
ბეკონის „ახალ ატლანტიდასთან“ შედარება, 54
გზა უტოპიისაკენ, 59
კეთილშობილი ტყუილი, 52-53
სამართლიანი ქალაქი, 50-52
ფილოსოფოსი მეფეები, 51, 699
უტოპიის პრაქტიკულობა, 60
უტოპიის შთაგონება, 59
პლებისციტი, 350, 691
პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ, 463
პლურალისტული თეორიები, 363-364
პოლანი, ჯეიმსი მ., 519
პოლიტბიურო, 691
პოლიტეკონომისტები, 29, 32, 34
პოლიტიკის ახალი გაგება, განსაზღვრება 691
პოლიტიკის განსაზღვრება, 21, 691
პოლიტიკის შესწავლა. იხ. პოლიტიკური მეცნიერება
პოლიტიკის ძირითადი კონცეფციები, 21-27
პოლიტიკური აპათია, 358, 692
პოლიტიკური განვითარება, 273-276, 692
პოლიტიკური ლიდერობა, 391, 419
„პოლიტიკო“, 412-413, 691
ბედის წყალობა, 395
ბეტანკური, რომულო, 369-399
ბილბო, თეოდორი, 406
დამშოშმინებლები, 413
დემაგოგები, 392, 406-409, 678
დიდება, 395-396
კანონმდებლები, როგორც დელეგატები, 410
კანონმდებლები, როგორც მეურვეები, 411-412
კინგი, მარტინ ლუთერი, 415-416
ლინკოლნი, აბრაამ, 400-402
ლონგი, ჰეი, 407-408
მაკარტი, ჯოზეფი, 408-409
ნამდვილი ლიდერი, 392, 392-405
პარკსი, როზა, 416
პოლიტიკური უნარები, 394-395
პრაქტიკული სიბრძნე, 394
სადათი, ანვარი, 402-404
საზოგადოებრივი სიკეთე, 393-394
სამოქალაქო ლიდერები, 392, 414-417, 695
სახელმწიფო მოღვაწეობა, 393
სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, 393, 696
ტოტალიტარიზმი, 123-124
უეტერლინგი, პატი, 416
ქარიზმატული ლიდერი, 109, 699
შეერთებული შტატები, 401-402, 404, 410, 416
შესაძლებლობები, 395
ჩერჩილი, უისტონი, 399-400
ჩვეულებრივი პოლიტიკოსები, 392, 409-414, 700
წარმომადგენლობის მეურვეობითი თეორია, 411-412
ჰაველი, ვაცლავი, 414-415
პოლიტიკური მეცნიერება, 27

ამერიკის მმართველობა, 35
ბიჰევიორალისტები, 29-32
დაქვემდებარების თეორია, 33
ერთ სულ მოსახლეზე წლიური ზრდა, 33
ვაჭრობის პირობები, 34, 681
ინტერესთა ჯგუფები, 35
მარქსისტები, 29, 33-35
მეთოდები, 29-35
მიზანი, 28
პირადი ინტერესი, 38
პოლიტიკური თეორია, 35-36
პოლიტიკური ეკონომისტები, 29, 32-33
პოლიტიკური პარტიები, 35
საერთაშორისო ურთიერთობები, 35, 37-38
საზოგადოებრივი ინტერესი, 39-41
საკონსტიტუციო სამართალი, 35
საჯარო მმართველობა, 35, 38
საჯარო პოლიტიკა, 35
ტრადიციონალისტები, 29
ქვედარგი, 35-38
შედარებითი პოიტიკა, 35, 36-37
შესწავლის მიზანი, 38-41
პოლიტიკური მიამიტობა, 579
პოლიტიკური მონაწილეობა, 336, 385-386
„გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს“ 347, 676
„ჩალის გამოკითხვები“, 340, 700
ავტორიტარული სახელმწიფოები, 364-365
ამომრჩევლის ცოდნა, 359-361
ამბოხი, აჯანყებისკენ წაქეზება, 339
არაკონვენციური მონაწილეობა, 337, 674
არასამართლებრივი ფორმები, 338-339
არჩევნები, 336, 345-347, 354-355
გამოკითხვები, 340-345
განმეორებადი გამოკითხვა, 342, 676
გაუცხოება, 356, 676
გაწვევა, 351, 676
ელიტისტური თეორიები, 362-363
ინდივიდუალიზმი, 356-358, 682
ინიციატივა, 351
ინტერესთა ჯგუფები. იხ. ინტერესთა ჯგუფები
კოალიციური მთავრობა, 370, 683
მარტივი უმრავლესობა, 347
მასობრივი მობილიზაციის რეჟიმები, 364, 686
მმართველი ელიტის მბრუნავი კარი, 361
მონაწილეობის განსაზღვრება, 274
მონაწილეობის მოდელები 355
მძღოლი-ამომრჩევლის კანონი, 355
მწირი ინფორმაციის რაციონალურობა, 360, 688
ოლიგარქიის რკინის კანონი, 362, 689
პირდაპირი დემოკრატია, 350-353, 690
პლებისცისტები, 350, 691
პლურალისტული თეორიები, 363-364, 691
პოლიტიკური აპათია და შეერთებული შტატები, 358
პოლიტიკური ქმედუნარიანობა, 356, 692
პოლიტიკური პარტიები. იხ. პოლიტიკური პარტიები
პროპორციული წარმომადგენლობა, 348-349
რეფერენდუმი, 351-352, 693
საარჩევნო სიები, 349
საარჩევო სისტემა, 347-350
საბოტაჟი, 339, 693
საზოგადოებრივი აზრი, 339-340, 694
საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, 340, 694
სამართლებრივი ფორმები, 336-338
სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, 272, 338, 694
სატელეფონო ჯგუფი, 341
სტრატეგიული გამოკითხვა, 341, 696
სტრატიფიცირებული შერჩევა, 342, 696
ტერორიზმი, 339
ტრადიციული მონაწილეობა, 336
ფოკუს-ჯგუფები, 341, 699
შემთხვევითი შერჩევა, 341, 700
ხმის მიცემა შეერთებულ შტატებში, 337, 354
პოლიტიკური მონაწილეობის ელიტისტური თეორიები, 362-364
პოლიტიკური პარტიები, 365
განსაზღვრება, 692
გერმანია, 189-190, 370
დიდი ბრიტანეთი, 162, 165-166, 367
დისციპლინებული პარტიები, 165-166, 679
ერთპარტიული სისტემა, 368-369
იაპონია, 197-199, 368, 369
ისტორია, 365-366 ინდოეთი, 369
ლათინური ამერიკა, 372
მექსიკა, 263, 280, 369
მომავალი, 373-374
მრავალპარტიული სისტემა, 370-371
ოპოზიციური პარტიები, 133-134, 166
ორპარტიული სისტემა, 370
პარტიული სისტემის განმსაზღვრელები, 371-373
საფრანგეთი, 176-178
შეერთებული შტატები, 365-366, 370, 372
ჩინეთი, 249
ძირითადი მიზნები, 366-368
პოლიტიკური რეალიზმი, 591, 692

პოლიტიკური სოციალიზაცია, 313, 331
  განსაზღვრება, 692
  გენდერული განსვლა, 317, 677
  თანატოლები, 323-324
  კანონები, 328-329
  ლიბერალური განათლება, 422, 685
  მასმედია, 324-328, 686
  მოქალაქეობა, 310-313, 688
  ოჯახები, 314-323
  პოლიტიკური ღირებულებები, 329
  რელიგია, 317-320
  სამოქალაქო განათლება, 320, 694
  სკოლა, 320-322
  სოციალური კლასი, 316
  სოციალიზაციის მარცხი, 330
  უმაღლესი განათლება, 322
  უმცირესობის სტატუსი, 316
პოლიტიკური ქმედების კომიტეტი, 379-380, 384, 692
პოლიტიკური ქმედუნარიანობა, 356, 692
პოლიტიკური შეღწევა, 274, 692
პოლონეთი
  ევროკავშირი, 644
  ერთა ლიგის უმოქმედობა, 646
  ერი-სახელმწიფო, 23
  კომუნიზმიდან ტრანზიცია, 243
  კომუნიზმის კრახი, 223, 233
  კონსტიტუციური დემოკრატია, 68
  ნატო-ს წევრობა, 644
  საპარლამენტო დემოკრატია, 170
  ჰოლოკოსტი, 39
პომპიდუ, ჟორჟ, 178
პოპკინსი, სამუელი, 360
პორტუგალია
  ევროკავშირი, 644
  ერი-სახელმწიფო, 23
  კოლონიალიზმი, 272
  საპარლამენტო დემოკრატია, 170
პოტი, პოლი, 149, 397, 569
პრაქტიკული სიბრძნე, 394
პრესის თავისუფლება, 471
პრეფექტი, 82, 692
პრეცედენტული სამართალი, 214
პრიმაკოვი, ევგენი, 241
პროლეტარიატი, 429, 692
პროლეტარიატის დიქტატურა, 56-57
პროპაგანდა, 129-130, 691
პროპორციული წარმომადგენლობა, 348-349, 691
პრუსია, 639
პუტინი, ვლადიმერი, 234, 237, 240, 241

ჟდანოვი, ანდრეი, 597
ჟენევის კონვენცია, 660
ჟოსპინი, ლიონელი, 175, 179, 181

რაბინ, იცხაკ, 403
რადიკალიზმი, 496
რადიკალური ეგალიტერიანიზმი, 433
რაიჯა საბჰა, 206, 693
რასელი, ბერტრანი, 430
რასობრივი დისკრიმინაცია, 462-467
რბილი ფული, 381, 693
რეაბილიტაცია, 474
რეალიზმი, პოლიტიკური, 591, 692
რეაქციული ძალები, 228
რევოლუცია, 488, 509
  ამერიკის რევოლუცია. იხ. ამერიკის რევოლუცია
  ბერკის პოზიცია სასურველობის შესახებ, 498-500
  განსაზღვრება, 693
  ეგვიპტის რევოლუცია, 504
  ეკონომიკური შეღწევა, 506, 679
  თანამედროვე თეორია, 506-508
  კვლავდაბრუნება, 488-489
  მასობრივი მოძრაობა, 508, 686
  მიზეზები, 503-509
  მიზეზების ტრადიციული ახსნა, 503
  რევოლუციის უფლება, 502, 693
  რუსეთის რევოლუცია, 123, 504
  საფრანგეთის რევოლუცია. იხ. საფრანგეთის რევოლუცია
  სოციალური ფსიქოლოგია, 503-504
  წინარევოლუციური პრობლემები, 506
  წარმატებული რევოლუციები, 507-508
  ხელისუფლების რეაქცია წინარევოლუციურ პრობლემებზე, 506-507
რევოლუციის სოციალური ფსიქოლოგია, 503-504
რევოლუციის უფლება, 502, 693
რევოლუციური კომუნიზმი, 429, 693
რევოლუციური მოძრაობების დამარცხებისკენ მიმართული სტრატეგია 607
რევოლუციური ომი, 490, 693
რეფერენდუმი, 350, 351, 693
რეგიონალიზმი, 618-619
რეიგანი, რონალდი,79, 217, 426, 455, 541, 667
რეკტიფიკაცია, 122, 693
რელიგია
  პოლიტიკური სოციალიზაცია, 317-320
  რელიგიის თავისუფლება, 471-472
  ჩინეთის რეპრესია, 254-255
რელიგიის თავისუფლება, 471-472
რელიგიური მემარჯვენეები, 426-427
რესპუბლიკა (პლატონი). იხ. პლატონის „რესპუბლიკა“
რესპუბლიკები, 22, 68, 693
რეტრიბუცია, 474
რიჩარდსი, ლეონარდი ჯ., 360
რობერტსონი, პეტი, 427
რობესპიერი, მაქსიმილიანე, 496, 497
რომი, ერნსტი, 135
როპერი, ელმო, 355
როჯერი, უილი, 573
რუანდა, 268

განვითარება, 271, 281, 292
ეთნიკური ძალადობა, 691
კოლონიალიზმი, 273
მრავალეროვნული სახელმწიფოები, 23
ომი, 580
რუზველტი, თედი, 370
რუზველტი, ფრანკლინ დელანო, 79, 340, 393, 455, 457
რუკები
გერმანია, 186
იაპონია, 195
მოსახლეობის რუკა, 290-291
რუსეთი, 225
საბჭოთა კავშირი, 225
საფრანგეთი, 174
რუმინეთი
ევროკავშირი, 644
კომუნიზმის კრახი, 184, 223, 233, 489
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
რუსეთი, 235, 242-243
გაერთიანებული ერების წევრობა, 647
გერმანიის ჰუმანიტარული დახმარება, 613
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, 225, 235
დუმა, 239, 679
ეთნიკური ფრაგმენტაცია, 237-239
ეთნიკური ძალადობა, 619
ელცინის როლი, 233-235
ეკონომიკური ვარდნა, 236-237
ლიდერობა, 241
ობლასტი, 237
პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, 92
პროპორციული წარმომადგენლობა, 348-349
პუტინის როლი, 241
რესპუბლიკები, 225
რუკა, 225
საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები, 639
საპრეზიდენტო დემოკრატია, 89-90
სახელმწიფოს მშენებლობა, 239-240
სუპერსახელმწიფოს სტატუსი, 616
ტერორიზმი, 521, 541
უმრავლესობის მმართველობა, 92
ფედერალური ასამბლეა, 239, 698
ფედერაციის საბჭო, 240, 699
ჩეჩნეთი, 235, 237, 241
ცივილიზაციათა შეჯახება, 625
ძალაუფლების დანაწილება, 91
რუსეთის რევოლუცია, 123, 504
რუსო, ჟან-ჟაკი, 35, 491, 559-561, 564, 581, 594

სააპელაციო სასამართლო, 215, 694
საარჩევნო სიები, 349
საბერძნეთი
ამომრჩეველთა რაოდენობა, 354
ევროკავშირი, 644
ერი-სახელმწიფო, 23
საპარლამენტო დემოკრატია, 170
ტერორიზმი, 540
ტრუმენის დოქტრინა, 605
ომი, 559
საბოლოო გადაწყვეტილება, იხ. ჰოლოკოსტი
საბოტაჟი, 339, 693
საბჭოთა კავშირი
აპარატჩიკები, 228
ბირთვული იარაღი, 276
ბირთვული იარაღის გავრცელება, 622
ბირთვული ომი, 597-600
გაეროს სამხედრო მოქმედება, 655
გაეროს წევრობა, 647
გეგმური ეკონომიკა, 226
გლასტნოსტ, 230, 677
გორბაჩოვის ტრანზიცია, 225-235
გულაგის არქიპელაგი, 141, 677
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, 225
დემოკრატიზაცია, 228, 230-231, 678
ევროცენტრიზმის დასასრული, 595-596
ელცინის როლი დაშლაში, 233-235
ერთა ლიგის წევრობა, 646 ეროვნებები, 232
ესტაფეტა, 141
ვარშავის ხელშეკრულება, 597, 616, 643, 681
თანატოლები და პოლიტიკური სოციალიზაცია, 324
კოლექტივიზაცია, 139, 683
კოლხოზი, 139
კომუნიზმის კრახი და დაშლა, 22, 24, 26, 119, 223-224, 264, 431, 606, 615
კულაკები, 139, 310, 684
მასობრივი მოძრაობები და საფრთხეები, 508
მბრძანებლური ეკონომიკა, 226
მეორე სამყაროს განსაზღვრება, 269
ნაციონალისტები, 228
ნომენკლატურა, 228, 689
ომი, 571
ორმხრივი შეკავება, 598, 600
პერესტროიკა, 228-229, 230, 690
რეაქციული ძალები, 228
რელიგია და პოლიტიკური სოციალიზაცია, 318
რუკა, 225
სავხოზი, 139
საჩვენებელი სასამართლოები, 140
სკოლები და პოლიტიკური სოციალიზაცია, 321
სტალინის მმართველობა, 119, 121, 122, 138-141, 151
სუპერსახელმწიფოს სტატუსი, 596
შეერთებული შტატების შეკავება, 604-605
შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოება, 446-448

ცივილიზაციათა შეჯახება, 626
ცივი ომი. იხ. ცივი ომი
სადათი, ანვარი, 101, 102, 402, 404
სადამსჯელო ოპერაციები, 131
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, 639-644, 694
საერთაშორისო პოლიტიკა, 636, 669
არასახელმწიფო აქტორები, 637-644, 674
გაერთიანებული ერები, იხ. გაერთიანებული ერები
ეკონომიკური თანამშრომლობა 641-642
მულტინაციონალური კორპორაციები, 637-639, 688
მშვიდობა, 669
საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები, 639-644, 694
საერთაშორისო სამართალი, იხ. საერთაშორისო სამართალი
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, 639-644, 694
სამხედრო ალიანსები, 642-644
ურთიერთდამოკიდებულება, 636, 698
ფუნქციონალიზმი, 636, 699
ფუნქციონალისტები, 636, 699
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 34, 617, 647, 694
საერთაშორისო სამართალი, 657-658
გარემო 661, 664-665
მშვიდობა, 669
ჟენევის კონვენცია, 660, 693
სავალდებულო იურისდიქცია, 666,
საერთაშორისო სასამართლო, 666-667
სარგებლიანობა, 658
შეზღუდულობა 665-668,
შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ შეთანხმებები, 660-661
შესრულება და იძულება, 658-659
შეფასება, 668-669
ჰააგის კონვენცია 660, 702
საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები, 639-644, 694
საერთაშორისო სასამართლო, 666, 669, 688
საერთაშორისო ტერორიზმი, 518, 694
საერთაშორისო ურთიერთობები, 608, 629-631
ბირთვული იარაღის გავრცელება, 621-623
ბირთვული ომი, 597-599
ბიპოლარული სისტემა, 595-600, 675
ბუმერანგის ეფექტი 608-610
გარემოსდაცვითი საკითხები, 620-621
გლობალიზაცია, 617, 677
ევროცენტრიზმი, 595-596
ევროპული სისტემა, 593-595
ეთნიკური ძალადობა, 619-620
ექსპანსიონისტური სტრატეგია, 600, 680
ვარშავის ხელშეკრულება, 597
თანამედროვე გლობალური სისტემა, 595-600
იდეალიზმი, როგორც პირადი ინტერესი, 612-614
იდეოლოგია, 596-597
მაკიაველი და, 590-591
მარშალის გეგმა, 597, 606
მიუმხრობლობის სტრატეგია, 601, 687
მორგენთაუ და, 591-592
ნათესავი ქვეყნის სინდრომი, 626, 689
ნატო, 597
ნეიტრალიტეტის სტრატეგია, 601, 689
პოლიტიკური რეალიზმი, 591, 692
პოლიტოლოგია, 32, 37
რეგიონალიზმი, 618-619
საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 617
საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია, 623-624
სუპერსახელმწიფოები, 596
ურთიერთ შეკავება, 598-599
შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, იხ. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა
ცივილიზაციათა შეჯახება, 624-628
ცივი ომის შემდგომი საგარეო პოლიტიკა, 610-611
ძალთა წონასწორობის სისტემა, 593-594, 701
წონასწორობა, 593
წონასწორობის დამცველი, 593, 702
საერთო სამართალი 213
სავალდებულო იურისდიქცია, 694
საზოგადოება
ასკრიპტიული საზოგადოება, 286, 674
მარქსისტული საზოგადოება. იხ. მარქსის უკლასო საზოგადოება
ტერორიზმი, 534-539
საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფები, 376, 694
საზოგადოებრივი აზრი, 339-340, 694
საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, 340, 694
საზოგადოებრივი ინტერესი, 39-41
საფრანგეთი, 170-171, 182
ავტორიტარული სახელმწიფოები, 110
აღიარება, 78
აღმასრულებელი ხელისუფლება, 173-175, 179
ბრიტანულ სისტემასთან შედარება, 167-170
გადასახადი, 457
გაერთიანებული ერების წევრობა, 647
გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლება, 179, 676

ევროკავშირი და, 180, 618, 644
ევროცენტრიზმის დასასრული, 595-596
ეკონომიკა, 180
ემიგრაცია, 181
ერთიანი კენჭისყრა 176
ერი-სახელმწიფოები, 23
ეროვნული ასამბლეა, 175-176, 680
თანაარსებობა, 179, 681
კოლონიალიზმი, 222-224, 431-432
კონსტიტუცია, 68, 178
მარშალის გეგმა და, 606
მეხუთე რესპუბლიკა, 172-173
მსოფლიო ვაჭრობა, 180
პოლიტიკური პარტიები, 176-178
პრეფექტები, 82
რევოლუცია, იხ. საფრანგეთის რევოლუცია
რეფერენდუმი, 350
რუკა, 174
საკონსტიტუციო დემოკრატია და, 68
საპრეზიდენტო დემოკრატია, 90
სასამართლო სისტემა, 181-182
სახელმწიფო და ქვეყანა, 22
სუპერსახელმწიფოს სტატუსი, 616
ტერორიზმი, 477, 540, 541
უმრავლესობის მმართველობა, 73
უმუშევრობა, 180
უნიტარული სისტემა, 82
ფაშიზმი, 426
ძალაუფლების დანაწილება, 90
საფრანგეთის კომუნისტური პარტია, 176-178
საფრანგეთის ნაციონალისტური პარტია, 178
საფრანგეთის რევოლუცია, 68, 182, 489-490, 494-495, 695
„ახალი დღის წესრიგი“, 497
ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, 495, 673
ამერიკის რევოლუციასთან შედარება, 493, 498
არასტაბილურობა, 495
ბასტილია, 495, 674
ბერკის პოზიცია 498-499
გენერალური შტატები, 494, 677
ევროპის კონსენსუსი, 594-595
რადიკალიზმი, 496
ტერორის მეფობა, 497, 697
ტერორიზმი, 522
საფრანგეთის სოციალისტური პარტია, 176-177
საგანმანათლებლო იდეები, 86
საიდუმლო პოლიცია, 138
საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია, 623-624
საკანონმდებლო ხელისუფლება
გერმანია, 188
დიდი ბრიტანეთი, 209-212
იაპონია, 196
კანონმდებლები, როგორც დელეგატები, 410
კანონმდებლები, როგორც მეურვეები, 411-412
საპარლამენტო დემოკრატია, 209-211
შეერთებული შტატები, 209-211
საკომპენსაციო დისკრიმინაცია, 466
საკომსტიტუციო სამართალი, 35
სალიამის ტაქტიკა, 133, 694
სამართლიანი ომი, 577-579, 694
სამართლიანობა, 474
განსაზღვრება, 694
დანაშაულის პრევენცია, 474
დანაშაული და სასჯელი, 474
მართებული სამართლის პროცესი, 474, 685
მტკიცებულების უარყოფის წესი 478, 688
მართებულო პროცედურა, 474-475
პოლიტიკა, 26-27
რეაბილიტაცია, 474
სამართლებრივი დაცვის საზღვრები, 475-479
სანაცვლოს მიგება, 474
სასამართლო და სასჯელაღსრულების ადმინისტრირების დისკრეტული უფლებები, 478
სიკვდილით დასჯა, 479
სამოქალაქო განათლება, 320, 695
სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, 272, 338, 695
სამოქალაქო თავისუფლებები და უფლებები, 477
გერმანია, 191
სამოქალაქო ლიდერები, 392, 414-417, 695
სამოქალაქო ომი, 80, 493, 522, 695
სამრეწველო რევოლუცია, 595
სამშვიდობო მისიები, გაერთიანებული ერები, 651, 650-656
სამხედრო ალიანსები, 642-644
სამხედრო მოქმედება და გაერთიანებული ერები, 655
სამხედრო ხარჯები, 447
სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია, 636
სამხრეთ აფრიკა
ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
ბირთვულო იარაღის გავრცელება, 622
განვითარება, 280
კონსტიტუციური დემოკრატია, 68
საპრეზიდენტო დემოკრატია, 90
ჩრდილოეთის და სამხრეთის კონფლიქტი, 269
სამხრეთ კორეა
ავტორიტარული სახელმწიფოები, 102, 113
ბუმერანგის ეფექტი, 610
გაერთიანებული ერების სამხედრო ქმედება, 655
განვითარება, 279
დაქვემდებარების თეორია, 34
ეკონომიკური ტრანზიცია, 258-259
კონსტიტუციური დემოკრატია, 68

პოლიტიკური სოციალიზაციის მარცხი, 330
შედარებითი პოლიტიკა, 37
შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, 606
ჩრდილოეთის და სამხრეთის კონფლიქტი, 269
სან ტომე, 281
საოლქო სასამართლო, 215
საპარლამენტო დემოკრატია, 161, 218
ავსტრია, 170
აღმასრულებელი შტო, 212
ბელგია, 170
გერმანია, იხ. გერმანია
დიდი ბრიტანეთი. იხ. დიდი ბრიტანეთი
იაპონია. იხ. იაპონია
ინდოეთი. იხ. ინდოეთი
ისრაელი. იხ. ისრაელი
კოლექტიური სამთავრობო პასუხისმგებლობა, 213
კონსტიტუცია, 217
პრეცედენტული სამართალი, 214
საერთო სამართალი, 213
საკანონმდებლო დამოუკიდებლობა, 209-210
საკანონმდებლო ხელისუფლება, 209-212
საპარლამენტო სისტემის განსაზღვრება, 161, 695
საპარლამენტო სუვერენიტეტი, 209, 695
საპრეზიდენტო ხელისუფლებასთან შედარება, 210-218
სასამართლოები, 213-216
საფრანგეთი. იხ. საფრანგეთი
უპირატესობები და ნაკლოვანებები, 216-217
შეკითხვების საათი, 211, 700
საპოლიციო ძალაუფლება, 79, 692
საპრეზიდენტო სისტემა
განსაზღვრება, 695
კონსტიტუციური დემოკრატია, 89
საპარლამენტო დემოკრატიასთან შედარება, 208-218
საქართველო
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
რუკა, 225
რუსეთის ინტერვენცია, 235
საქმეები სამოქალაქო უფლებათა შესახებ, 463, 464
სასამართლო კონტროლი, 215
სასამართლო სისტემა
გერმანია, 190
დიდი ბრიტანეთი, 213-216
საპარლამენტო დემოკრატია, 213-216
საფრანგეთი, 181-182
შეერთებული შტატები, 213-216
საშინაო იურისდიქცია, 648, 696
საშინაო ტერორიზმი, 520, 696
საჩვენებელი სასამართლოები, 140
სასკოლო ავტობუსი, 464
სასჯელი, 474, 479
სატელეფონო ჯგუფი, 341
საუდის არაბეთი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 97
ბუმერანგის ეფექტი, 609
განვითარება, 270
გლობალური დათბობა, 665
მონარქია, 425
სპარსეთის ყურის ომი, 656
ტერორიზმი, 527, 529, 533
ჩრდილოეთის და სამხრეთის კონფლიქტი, 265
სახელმწიფო გადატრიალება, 102, 696
სახელმწიფო მოღვაწეობა, 393
სახელმწიფო ტერორიზმი, 518, 696
სახელმწიფო, 22, 695
სახელმწიფოს არმქონე ერები, 24, 696
სახელმწიფოს მშენებლობა
განვითარებადი ქვეყნები, 274
განსაზღვრება, 696
რუსეთი, 239-240
სახელმწიფოთაშორისი ომები, 552, 695
საჯარო მმართველობა, 35, 38
საჯარო პოლიტიკა შეერთებულ შტატებში, 446, 481-482
თანასწორობა. იხ. თანასწორობა
კეთილდღეობა. იხ. კეთილდღეობა
მიზნთა კონფლიქტი, 479-481
პოლიტიკური მეცნიერება, 35
სამართლიანობა. იხ. სამართლიანობა
უსაფრთხოება. იხ. უსაფრთხოება
საჯარო სიკეთე, 422, 442
განსაზღვრება, 696
იდეოლოგია. იხ. იდეოლოგია
პოლიტიკის მიზნები და საშუალებები, 422
პოლიტიკური ლიდერობა, 394
შეერთებული შტატების პოლიტიკა. იხ. შეერთებული შტატები
სეკო, მობუტუ სესე, 98
სენ-სიმონი, კომტე დე, 49, 428
სერბსკა, 298
სექტემბერი, 11. იხ. ტერორიზმი
სვიტი პეინტერის წინააღმდეგ, 464
სიბრძნე, 394
სიერა-ლეონე, 268, 299-300
გაერთიანებული ერების სამშვიდობო მისია, 653
განვითარება, 271, 281
დანაშაული, 628
კოლონიალიზმი, 273
ომი, 580
სიკვდილით დასჯა, 479
სინგაპური
ავტორიტარიზმი, 108, 113
განვითარება, 279
დაქვემდებარების თეორია, 33-34

შედარებითი პოლიტიკა, 37
ჩრდილოეთის და სამხრეთის კონფლიქტი, 269
სინგერი, მაქსი, 611, 612
სინხები, 23
სინჰალები, 23
სიონიზმი, 206, 603-604, 696
სირია
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98
არაბული რესპუბლიკების ფედერაცია, 403
საგარეო პოლიტიკა, 604
ტერორიზმი, 519
ცივილიზაციათა შეჯახება, 625
სიტყვის თავისუფლება, 470-471
სიტყვის თავისუფლება, 470-4741
სიღარიბე, 468
სკოლები
სკოვაკეთი
ევროკავშირი, 644
კომუნიზმის კრახი, 223
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
საპარლამენტო დემოკრატია, 170
სლოვენია, 297
ევროკავშირი, 644
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
საპარლამენტო დემოკრატია, 170
სმიტი, ადამ, 89, 111, 427, 455
სოციალიზაცია, პოლიტიკური. იხ. პოლიტიკური სოციალიზაცია
სოციალიზმი, 428, 696
სოციალური დაცვა, 451-454
სოციალური კლასი, 316
სოკრატე, 49, 53, 70, 322
სოლისიტორი, 241
სოლჟენიცინი, ალექსანდრე, 141
სომალი, 268, 294
გაერთიანებული ერების სამშვიდობო მისია, 653
განვითარება, 271, 274, 282, 292
იდეალიზმი და შეერთებული შტატების სამხედრო მოქმედება, 613
სომოზა, ანასტასიო, 98
სომხეთი
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 246
რუკა, 225
სოროკინი, პიტირიმ, 488
სპარსეთის ყურე. იხ. ასევე ახლო აღმოსავლეთი; სპეციფიკური ქვეყნები
განვითარება, 270
ტერორიზმი, 519
ომი, 572, 626, 656
სპილოს ძვლის სანაპირო
დანაშაული, 628
სსრკ. იხ. საბჭოთა კავშირი
სტალინი, იოსები, 119-123, 126, 135, 138-141, 151, 153, 233, 247, 310, 569, 597, 605
სტატუს კვო სტრატეგია, 600-607, 69
სტრატეგიული გამოკითხვა, 341, 696
სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება II, 660, 696
სტრატიფიცირებული შერჩევა, 342, 696
სუდანი
განვითარება, 271
ტერორიზმი, 519, 533
შეერთებული შტატების საელჩოს დაბომბვის კონტრდარტყმა, 609
სუეცის კონფლიქტი, 572
სუკარნო, ახმედი, 274, 276
სუპერსახელმწიფოს სტატუსი, 596
სუვერენიტეტი, 657, 696
სუჰარტო, გენერალი, 98

ტაივანი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 102, 108, 113
განვითარება, 279, 289
დაქვემდებარების თეორია, 33-34
ეკონომიკური ტრანზიცია, 260
შედარებითი პოლიტიკა, 37
ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტი, 269
ტაილანდი
განვითარება, 279
ეკონომიკური ტრანზიცია, 260
ტაჯიკეთი
რუკა, 225
რუსეთის ინტერვენცია, 235
ტანზანია, 609
ტეინი, როჯერი, 462, 477
ტერორიზმი, 515-518, 546-547
ალჟირი, 529-532
ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი, 521, 674
არმოშობა, 521-523
ახალგაზრდა რეკრუტები, 535-536
ბიუჯეტის დეფიციტი, 456
განსაზღვრება, 518-521, 697
თანამშრომლობა ქვეყანებს შორის, 541-542
იდეოლოგიური ტერორიზმი, 521, 681
კანონმდებლობა, 539-541
კონტრტერორიზმი, 523, 542-545, 684
ლოგიკა, 523-525
მედია, 538-539
მიზანთა კონფლიქტი, 479-481
მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, 515
ნაციონალისტურ-სეპარატისტული ტერორიზმი, 521, 689
ოკლაჰომას დაბომბვა, 520
პატრიოტის აქტი, 476, 540
საერთაშორისო ტერორიზმი, 518, 694
საზოგადოება, 534-539
სამოქალაქო უფლებები უცხოურ ქვეყნებში, 477
საშინაო ტერორიზმი, 520, 695
სახელმწიფო ტერორიზმი, 518, 696
ტერორისტთა კლასიფიცირება, 532-534

ტერორისტთა ტაქტიკა, 525-526
ტერორისტის იდენტიფიცირება, 534
ტრანსნაციონალური ტერორიზმი, 520, 697
უნილატერალური ზომები, 542-545
უტოპია, 62-63
ფსიქოლოგია, 536-538
შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოება, 448
შეკავება, 546
წინააღმდეგ ბრძოლა, 539-546
ჯგუფის მახასიათებლები, 527-529
ტერორის მეფობა, 497, 697
ტეტჩერი, მარგარეტი, 163, 164, 168-170, 525
ტიანანმენის მოედნის ჟლეტა, 254, 697
ტიბეტი, 571
ტირანია, 108
ტიტო, იოსეფ ბროზი, 101, 296, 297, 392
ტოინბი, არნოლდი, 594
ტომას, ნორმანი, 432
ტოტალიტარიზმი, 119-122, 153-154
ადამიანური მსხვერპლი, 151-152
ავღანეთში თალიბების რეჟიმი, 120
Gleichschaltung (უნიფიკაცია), 129
განსაზღვრება, 697
განტევების ვაცი, 124
განცალკევებული კუნძულები, 122, 676
გერმანია ჰიტლერის მმართველობისას, 119, 121, 123, 142-144, 151
ეთიოპია მანგისტუ ჰაილე მარიამის მმართველობისას, 149-150
ეკონომიკის ცენტრალიზებული კონტროლი, 138
იდეოლოგია, 124-127
ირანი ხომეინის მმართველობისას, 150
კამბოჯა პოლ პოტის მმართველობისას, 149
კუბა კასტროს მმართველობისას, 123
ლიდერის კულტი, 123
ლიდერობა, 123-124
მომავლის დაპირებები, 126
მონოლითური საზოგადოება, 136-137
მონოპოლია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე, 138
ოპოზიციური პარტიები, 133-134
ორგანიზაცია, 127-129
პარტიულობა, 128, 690
პროპაგანდა, 129-130, 691
რევოლუციური ეტაპი, 123-132
რევოლუციური ბრძოლა, 125
რეკტიფიკაცია, 122, 693
საბჭოთა კავშირი სტალინის მმართველობისას, 119, 121, 122, 138-141, 151
სადამსჯელო ოპერაციები, 131
საზოგადოების ტრანსფორმაცია, 137-138
საიდუმლო პოლიცია, 138
სალიამის ტაქტიკა, 133, 694
სიცოცხლისუნარიანობა, 153
უჯრედები, 127-128, 698
fasci di combattimento („მებრძოლი ჯგუფები“), 131
ფაშისტური იტალია, 119, 131
შეიარაღებული ძალები, 138
ჩინეთი მაოს მმართველობისას, 119, 121, 122, 123, 124, 145-149
ძალადობა, 130-132
ძალაუფლების კონსოლიდაცია, 132-137
ძირითადი პარტიული ორგანიზაციები, 128
წმენდა, 134, 702
ტოტალიტარიზმის რევოლუციური ეტაპი, 123-132
ტოტალური ომი, 574
ტრადიციონალისტები, განსაზღვრება, 697
ტრადიციული მონაწილეობა, 336
ტრადიციული საზოგადოება, 286, 697
ტრანსნაციონალური ტერორიზმი, 520, 697
ტრიადა, 599
ტრუმენი, ჰარი, 217, 391, 576
ტრუმენის დოქტრინა, 605-606, 697
ტრუხილო, რაფაელი, 98
ტუტელაჟი (მეურვეობა), 82, 697
ტუტსი, 23

უგანდა
ავტორიტარული სახელმწიფო, 98
განვითარება, 271
უეჭველი ურთიერთგანადგურება, 576
უთანასწორობა, იხ. თანასწორობა
უილსონი, ვუდროუ, 562, 563, 568, 570, 613, 643, 655
უკრაინა
რუსეთთან კონფლიქტი, 238-239
ნატო-ს გაფართოება, 643
ბირთვული იარაღის გავცელება, 622
ბირთვული იარაღი, 235
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 199
ულტრანაციონალიზმი, 555, 697
უმაღლესი განათლება, 322
უმრავლესობის მმართველობა, 70-72, 73, 91, 697
უმრავლესობის ტირანია, 72-74, 698
უმცირესობები
აფროამერიკელები, 578, 465
ბრაუნი ტოპეკას საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ, 464
კონსტიტუციო დემოკრატია, 75
პოლიტიკური სოციალიზაცია, 316
რასობრივი დისკრიმინაცია, 464-467

საკომპენსაციო დისკრიმინაცია, 75, 466-467
შეერთებული შტატები, 316
უნაბომბერი, 537
უნგრეთი
ევროკავშირი და, 644
კომუნიზმის კრახი, 184, 223, 233
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 245-246
ომი, 571
საპარლამენტო დემოკრატია, 170
ფაშიზმი, 425
უნდობლობის ვოტუმი, 164, 698
უნიტა, 607
უნიტარული სისტემა, 82, 698
Untermenschen (ქვეადამიანები), 39
უორნერი, მარკი, 380
უოტერლინგ, პატი, 416
უპირობო კაპიტულაცია, 574, 698
ურთიერთ შეკავება
ომი, 576
საერთაშორისო ურთიერთობები, 598-600
ურთიერთდამოკიდებულება, 636, 698
ურუგვაი
ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
საბაჟო კავშირი, 642
ტერორიზმი, 526
უსაფრთხოება, 446
გარემოს დაცვის პროგრამები, 454
გარეშე მტრები, 446-448
დანაშაული, 448-451
ეროვნული უსაფრთხოება, 446-448, 680
კუთვნილი დახმარება, 452
საკუთარი ქმედება, 454
სამხედრო ხარჯები, 447
სოციალური დაცვა, 451-454
შიდა მტრები, 448-451
ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურება, 453
უტოპია, 48, 59, 63-64
ადამიანური ბუნება, 60-61
ბეკონის „ახალი ატლანტიდა“. იხ. ბეკონის „ახალი ატლანტიდა“
ბელამის „ხედვა უკან 2000-1887“, 49
განსაზღვრება, 48, 698
დისტოპია, 62, 679
ევგენიკა, 60, 679
კამპანელას „მზის ქალაქი“, 49
მარქსის უკლასო საზოგადოება. იხ. მარქსის ულასო საზოგადოება
მორის „უტოპია“, 48
ორუელის „ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი“ 62
ორუელის სამყარო, 62
პლატონის „რესპუბლიკა“. იხ. პლატონის „რესპუბლიკა“
პოლიტიკის უგულებელყოფა, 61-62
ტერორიზმი, 62-63
ჰაქსლის „მამაცი ახალი სამყარო“, 62
ჰერინგტონის „ოკეანეთის თანამეგობრობა“, 49
უტოპისტი სოციალისტები, 428, 698
უფლებათა პეტიცია, 77, 698

ფაგი, ჯონი, 398
ფაინსტაინი, დაიანა, 380
ფალველი, ჯერი, 426, 427
ფარახანი, ლუისი, 27
Fasci di combattimento, („მებრძოლი ჯგუფები“) 131
ფაშიზმი, 119, 123, 131, 425-426, 699
ფედერაციის საბჭო, 240, 700
ფედერალიზმი
გერმანია, 79, 81, 185
საკონსტიტუციო დემოკრატიები, 79-81
ფედერალისტი, 87, 172, 382, 503
ფედერალური ასამბლეა, 239, 699
ფერბენკი, ჯონ კინგი, 147
ფეჰლევი შაჰ მუჰამედ რეზა, 98, 108
ფილიპინები
ავტორიტარული სახელმწიფოები, 98
განვითარება, 276, 289
ეკონომიკური ტრანზიცია, 260
საპარლამენტო დემოკრატია, 90
ფილოსოფოსი მეფეები, 51, 699
ფინეთი
ევროკავშირი, 644
ერი-სახელმწიფო, 23
ომი, 571
საპარლამენტო დემოკრატია, 170
First past the post არჩევნების სისტემა, 347
ფოკუს-ჯგუფები, 341, 699
ფოლკი, რიჩარდი, 566, 567
ფოლკლენდის ომი, 163, 262, 572
ფოქსი, ვისენტე, 259, 263, 280, 369
ფრანკლინი, ბენჯამინი, 396
ფრაქცია, 188
ფრიდრიხი, კარლი, 138
ფროიდი, ზიგმუნდი, 557
ფსიქოლოგია
ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია, 675
განვითარების ბარიერები, 285-287
რევოლუციის სოციალური ფსიქოლოგია, 503-504
ტერორიზმი, 536-538
ფულბრაიტი, უილიამი, 412
ფუნქციონალიზმი/ფუნქციონალისტი, 636, 699
ფურიე, ჩარლსი, 49
ფუხიმორი, ალბერტო, 543

ქალი
აბორტი, 473
ავღანეთი 301
ფემინიზმი, 75
ქარიზმატული ლიდერი, 109, 700
ქაშმირი, 205, 653, 699
ქეროლ, ლუის, 422
ქეშმენ, გრეგი, 556
ქვეყანა, 22, 700
ქმედითი ხელისუფლება, 84-85
ქნესეთი, 208, 699
ქუვეითი

ავტორიტარული სახელმწიფო, 97
განვითარება, 270
ომი, 391, 577, 655
ქურთები
სახელმწიფოს არმქონე ერი, 24
უმრავლესობის მმართველობა, 73

ღირებულებები, პოლიტიკური, 329

ყაზახეთი
ბირთვული იარაღის გავრცელება, 622
ბირთვული იარაღი, 235
რუსეთთან კონფლიქტი, 239

შავკანიანი ამერიკელები, 78, 464, 465
შაიკო, რონალდი, 379
შვედეთი
ამომრჩეველთა რაოდენობა, 355
ევროკავშირი, 644
ერი-სახელმწიფოები, 23
ინტერესთა ჯგუფები, 381
კეთილდღეობის სახელმწიფო, 432
ომი, 571
საპარლამენტო დემოკრატია, 170
ტერორიზმი, 541
შებრუნებული დისკრიმინაცია, 466-467
შედარებითი პოლიტიკური სისტემები
ავტორიტარული სახელმწიფოები, იხ. ასევე ავტორიტარიზმი
პოლიტიკური მეცნიერება, 35
საკონსტიტუციო დემოკრატიები, იხ. ასევე საკონსტიტუციო დემოკრატია
ტოტალიტარული სახელმწიფოები, იხ. ასევე ტოტალიტარიზმი, უტოპია, იხ. ასევე უტოპიები
შედარებითი უმრავლესობის სისტემა, 71
შეერთებული შტატები
ამერიკული კონსერვატიზმი, 434, 673
ამერიკული ლიბერალიზმი, 434, 673
ამომრჩევლის ცოდნა, 359-361
არჩევნები, 345-347, 350-358
აღმასრულებელი ხელისფლება, 212-213
გაეროს წევრობა, 647, 648, 650, 653, 654
გაეროს სამხედრო ქმედება, 655
განმანათლებლობის იდეები, 86
განვევა, 351
გენდერული განსვლა, 317
გლობალური დათბობა, 665
დემაგოგები, 406-409
დაქვემდებარების თეორია, 33-34
ევროცენტრიზმი, 595-596
ერთა ლიგა, 645-646
ერი-სახელმწიფოები, 23
ინიციატივა, 351
ინტერესთა ჯგუფები, 378, 383
კალიფორნიის სამოქალაქო უფლებათა ინიციატივა, 352
კაპიტალიზმი, 427-428
კლასი, 316
კეთილდღეობის სახელმწიფო, 432
კომუნიზმი, 431
კონსერვატიზმი, 433-438, 439-442, 684
კონსტიტუცია. იხ. შეერთებული შტატების კონსტიტუცია
კონსტიტუციური დემოკრატია, 86
ლიბერალიზმი, 433-436, 438-442, 685
ლიბერალური ტრადიცია, 434
მასმედია და პოლიტიკური სოციალიზაცია, 324-329
მოთხოვნა-მიწოდების კანონი, 437, 687
მოქალაქეობა, 311
მულტინაციონალური კორპორაციები, 637
მძღოლი-ამომრჩევლის კანონი, 355
მწვანე პარტიები, 621
ომი, 569, 573, 576
ოჯახი, 314-315
პირდაპირი დემოკრატია, 350-353
პოლიტიკური აპათია, 358, 692
პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 32
პოლიტიკური ლიდერობა, 401, 405, 410, 416
პოლიტიკური პარტიები, 365-368, 369, 371-373
პოლიტიკური სოციალიზაციის მარცხი, 330
პოლიტიკური ღირებულებები, 329
რევოლუცია. იხ. ამერიკის რევოლუცია
რელიგია, 317-320
რელიგიური მემარჯვენეები, 426-427
რეფერენდუმი, 351
სააპელაციო სასამართლო, 215, 693
საარჩევნო სისტემა, 347-350
საგარეო პოლიტიკა. იხ. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა
საკანონმდებლო ხელისუფლება, 209-212
საერთაშორისო სასამართლო, 666
სკოლა და პოლიტიკური სოციალიზაცია, 321
სამოქალაქო უფლებები, 438-439
სამოქალაქო ომი, 80
საოლქო სასამართლო, 215
სასამართლო ხელისუფლება, 213-216
სისტემის ღირსება და ნაკლი, 216-217
სუპერსახელმწიფოს სტატუსი, 596
სახელმწიფო პოლიტიკა. იხ. შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკა

ტერორიზმი, 448, 476, 515-518, 522, 523, 532, 535
უზენაესი სასამართლო, 215
უმცირესობები, 316
ფაშიზმი, 425
ფედერალიზმი, 79
შედარებითი პოლიტიკა, 37
ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA) 263, 454, 642, 700
ცივილიზაციათა შეჯახება, 626
ცივი ომი. იხ. ცივი ომი
ხმის მიცემა, 354-355
შეერთებული შტატების კონსტიტუცია, 68, 78, 87, 371, 492
ომის გამოცხადება, 90
ორპალატიანი სისტემა, 91, 689
საპრეზიდენტო სისტემა, 89
უმრავლესობის მმართველობა, 91
შეკავება და გაწონასწორება, 88-89
ძალაუფლების დანაწილება, 90-91
შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა
ბედისწერა, 601
ბირთვული ომი, 597-598
ბუმერანგის ეფექტი, 608-610
ბურთვული იარაღის გავრცელება, 621-623
გარემოს დაცვის საკითხები, 615, 620
გლობალიზაცია, 617
ეთნიკური ძალადობა, 619-620
ეროვნული ინტერესი, 600-607, 680
ექსპანსიონისტური სტრატეგია, 600
ვიეტნამი, 606
კონტრა, 607
იდეალიზმი, როგორც პირადი ინტერესი, 612-614
იდეოლოგია, 596-597
იაპონია, ურთიერთობა, 203
მარშალის გეგმა, 597, 606, 613, 686
მონროს დოქტრინა, 603, 688
ნატო, 606
ნეოიზოლაციონისტები, 610
ორმხრივი შეკავება, 598-600
რეგიონალიზმი, 618-619
საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუცია, 623-624
სტატუს კვოს სტრატეგია, 600-607, 696
ტრიადა, 599
ტრუმენის დოქტრინა, 605-607, 697
უნიტა, 607
შეკავება, 604-607
ცივილიზაციათა შეჯახება, 624-629
ცივი ომის შემდგომი პერიოდის საგარეო პოლიტიკა, 610-612, 6166
შეზღუდული ომი, 574, 699
შეზღუდული ხელისუფლება, 74-82, 699
შეთანხმებები. იხ. სპეციფიკური შეთანხმება
შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ შეთანხმებები, 660-661
შეიარაღებაში შეჯიბრი, 555, 701
შეკავება და გაწონასწორება 88-89, 701
შელი კრამერის წინააღმდეგ, 464
შემთხვევითი ომი, 575, 701
შემთხვევითი შერჩევა, 341, 700
შერეული ეკონომიკა, 455, 700
შერეული რეჟიმი, 161, 700
შერმანი, უილიამ 552
შეღწევა, პოლიტიკური, 274, 692
შვეიცარია
ლენინი გადასახლებაში, 123
ომი, 571
პირდაპირი დემოკრატია, 350
საპარლამენტო დემოკრატია, 170
შიდა მტრები, 448-451
შირაკი, ჟაკი, 175, 177, 179, 180
შპეერი, ალბერტი, 40
შრი-ლანკა
განვითარება, 285, 292
ეთნიკური ძალადობა, 619
კოლონიალიზმი, 273
მრავალეროვნული სახელმწიფოები, 23
ტერორიზმი, 521

ჩადი, 271, 274, 281, 282
ჩალის გამოკითხვა, 340, 700
ჩან კაი-ში, 134, 145, 247
ჩარლზ I, 502
ჩემბერლენი, ნევილი, 164, 406, 413
ჩემი ბრძოლა (Mein Kampf) (ჰიტლერი), 125, 130
ჩენ შუი-ბინი, 260
ჩერჩილი, ჯონი, 399
ჩერჩილი, უინსტონი, 164, 392, 399-400, 613
ჩეჩნეთი, 234, 238, 241, 521
ჩეხეთის რესპუბლიკა
ევროკავშირი და, 644
კომუნიზმის კრახი, 223
კომუნიზმიდან ტრანზიცია, 244-245
პოლიტიკური ლიდერობა, 415
საპარლამენტო დემოკრატია, 170
უმრავლესობის მმართველობა, 73
ჩეხოსლოვაკია
დაშლა, 24
ერთა ლიგა 646
კომუნიზმის კრახი, 1184, 233, 489
მარშალის გეგმა და, 606
ომი, 571
პოლიტიკური ლიდერობა, 414
ჩილე
ავტორიტარული სახელმწიფოები, 114
საბაჟო კავშირი, 642
დაქვემდებარების თეორია, 33
განვითარება, 276, 278, 280, 282
მულტინაციონალური კორპორაციები, 638
პოლიტიკური ტრანზიცია, 261

ჩილუბა, ფრედერიკი, 114
ჩინეთი
ავტორიტარული რეჟიმი, 109, 111, 112
ასი ყვავილის კამპანია, 146, 674
ბაზარზე ორიენტირებული რეფორმა, 250-253
ბუმერანგის ეფექტი, 610
გაერთიანებული ერების წევრობა, 647, 655
განვითარება, 275, 279, 282
გლობალური დათბობა და, 664
დეკოლექტივიზაცია, 250
დემოკრატიის კედელი, 254, 678
დენ სიაპინის მეფობა, 248
დიდი ნახტომი წინ, 147, 248, 679
დიადი პროლეტარული კულტურული რევოლუცია, 148, 248, 678
იდეოლოგია, 249
კეთილსასურველი ერის (MFN) სტატუსი, 255
კომუნიზმი ტრანზიციაში, 223-224, 247-249, 264
მაოს მმართველობა, 119, 121, 122, 123, 124, 145-149, 247-248
მარქსიზმი და, 33
მასობრივი მობილიზაცია 248, 686
მეორე სამყარო, 269
ომი, 559, 57
პარტიის გავლენა, 249
პერმანენტული მეურნეობის სისტემა, 111
პიროვნული თავისუფლება, 253
პოლიტიკური ფრაგმენტაცია, 255-256
პოლიტიკური რეპრესია, 254-255
რელიგიური რეპრესია, 254-255
საზოგადოებრივი პრობლემები, 253
სამხედრო ძალაუფლება, 257
სუპერსახემწიფოს სტატუსი, 616
ტიანანმენის მოედნის ხოცვა-ჟლეტა, 254-255, 697
შედარებითი პოლიტიკა, 37
შეერთებულ შტატებთან ვაჭრობა, 256
შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და, 607
ცივილიზაციათა შეჯახება, 625, 626
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. იხ. ჩინეთი
ჩრდილოეთ აფრიკა. იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
განვითარებადი ქვეყნები, 270, 271
დანაშაული, 629
ტერორიზმი, 517
ძალაუფლება, 25
ცივილიზაციათა შეჯახება, 625
ჩრდილოეთ ამერიკა. იხ. ასევე სპეციფიკური ქვეყნები
განვითარებადი ქვეყნები, 288
მოსახლეობის რუკა, 290-291
მულტინაციონალური კორპორაციები, 637-639
პირველი სამყაროს განსაზღვრება, 268
პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, 32
ტერორიზმი, 524
ცივილიზაციათა შეჯახება, 625
ჩრდილოეთ ატლანტიკის თანამშრომლობის ორგანიზაცია (ნატო), 298, 299, 391, 541, 597, 606, 611, 618, 640, 643, 652, 689
ჩრდილოეთ ირლანდია, 169, 477, 518, 521
ჩრდილოეთ კორეა
ბირთვული იარაღის გავრცელება, 621
ბირთვული იარაღი და იაპონია, 203
გაერთიანებული ერების სამხედრო ქმედება, 655
ეკონომიკური ტრანზიცია, 260
კომუნიზმის კრახი, 223, 224
მარქსიზმი, 33
შედარებითი პოლიტიკა, 37
შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, 606
ტერორიზმი, 448, 519
ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტი, 269

ცეილონი, იხ. შრი ლანკა
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, 98
ცენტრალური კომიტეტი, 701
ცივი ომი, 427, 446, 448, 505, 519, 595, 597, 616, 655, 669, 702
ცივილიზაციათა შეჯახება, 624-628
ცხელი ხაზი, 577, 701

ძალადობა
ბრეიდის კანონი, 451, 675
რევოლუცია. იხ. რევოლუცია
ტერორიზმი. იხ. ტერორიზმი
ტოტალიტარიზმი, 130-132 ომი. იხ. ომი
ძალაუფლება, 24-26, 701
ძალაუფლებათა შერწყმა, 162-163, 701
ძალაუფლების დანაწილება, 90-91, 701
ძალაუფლების კონსოლიდაცია, 132-137
ძალაუფლების მქონე ელიტა, 362
ძალაუფლების მქონე ელიტის მბრუნავი კარი, 361-364
ძალთა წონასწორობის სისტემა 593, 702
ძიან ძემინ 249
ძირითადი კანონი, 703

წარმომადგენლობითი დემოკრატია, განსაზღვრება, 701
წარმომადგენლობის დელეგაციური თეორია, 410, 703

წარმომადგენლობის მეურ-
ვეობითი თეორია, 411, 701
წესრიგი, 21-24
წინასწარი შეზღუდვა, 471
წმ, ვალენტინის დღის ხოცვა-ჟლეტა, 450
წმენდა, 134, 702
წონასწორობა საერთაშო-
რისო ურთიერთობებში, 593
წონასწორობის დამცველი, 593, 701

ჭარბგანვითარება, 302-303

ხმის მიცემა
ამომრჩევლის რაოდე-
ნობა, 354
ამომრჩევლის ცოდნა, 359-361
ბრაზილია, 337
შეერთებული შტატები, 337, 354-355
ხმოსანთა შედარებითი
უმრავლესობის სისტემა, 71
ხომეინი, აიათოლა რუჰო-
ლა, 150
ხორვატია, 297
ბოსნიის კონფლიქტი, 297
კომუნიზმიდან ტრანზი-
ცია, 246
ხრუშჩოვი, ნიკიტა, 140, 248
ხუნტა, 97

ჯანდაცვის ეროვნული
დაზღვევა, 455-456
ჯანდაცვის მსოფლიო ორ-
განიზაცია (WHO), 641
ჯეფერსონი, თომასი, 86, 366, 435, 491, 492
ჯეიკობ უოტერლინგის
აქტი, 417
ჯენკინსი, ბრაიანი, 519
ჯონსონი, ჩალმერსი, 609, 610, 627
ჯონსონი, ენდრიუ, 212
ჯონსონი, ლინდონი, 217, 391
ჯორჯ III, 490

ჰააგის კონვენცია, 660, 702
ჰაბეას კორპუსი (Habeas
Corpus Act), 77, 702
ჰადამოვსკი, ეუგენი, 131
ჰაიტი, 98
ჰამილტონი, ალექსანდერ, 84, 87, 88, 366, 396, 404
ჰან სენი, 224
ჰანტინგტონი, სემუელი, 293, 624, 625, 626, 627
ჰაქსლის „მამაცი ახალი
სამყარო“, 62
ჰარდინგი, უორენი, 391
ჰარლანი, ჯონი მ., 463, 467
ჰაფინგტონი, მაიკლი, 380
ჰაშიმოტო, რუიუიტარო, 199
ჰატა, ცუტოუმო, 198
ჰაუსა-ფულანი, 104
ჰაველი, ვაცლავი, 414
ჰეგელი, გ. ვ. ფ., 552, 553
ჰენრი, პატრიკი, 469
ჰერინგტონის „ოკეანეთის
კეთილდღეობა“, 49
ჰიროსიმა, 576
ჰიტლერი, ადოლფი, 39, 110, 119, 124, 125, 127, 128, 129, 130, 134, 135, 149, 151, 153, 154, 233, 392, 399, 400, 414, 425, 537, 554, 569, 573, 580
ჰობსი, თომასი, 86, 268, 446, 557-558, 559, 581
ჰოლოკოსტი, 39, 119, 144, 154, 207, 603
ჰომოსექსუალები
ჰოლოკოსტი და, 39
ჰომოსექსუალთა უფლე-
ბები, 468
ჰონდურასი, 287
ჰონეკერი, ერიხ, 185
ჰონკონგი, 269
ჰოსოკავა, მორიჰინო, 198
ჰოფერი, ერიკი, 123, 536, 537
ჰუსეინი, სადამი, 98, 391, 572, 626
ჰუტუს, 23